ნარკვევები
საქართველოს ისტორიიდან

აფხაზეთი

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან

აფხაზეთი

უძველესი დროიდან დღემდე

თბილისი
ინტელექტი
2007

UDC (უაკ) 94(479.22)+94(479.224) ნ – 295

სარედაქციო კოლეგია: პროფესორი ჯემალ გამახარია (მთავარი რედაქტორი), პროფესორი თამაზ ბერაძე, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე

ავტორთა კოლექტივი: ჯემალ გამახარია (პროექტის ხელმძღვანელი), ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, თამაზ ბერაძე, ლია ბითაძე, ირაკლი გელენავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა, გურანდა ფხაკაძე, რეზო ხვისტანი, ბეჟან ხორავა, დაზმირ ჯოჯუა.

რეცენზენტები: პროფესორი ოთარ ჟორდანია
პროფესორი მანანა სანაძე
პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე

წიგნი წარმოადგენს პირველ განმაზოგადებელ მეცნიერულ ნაშრომს აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე უძველესი დროიდან დღემდე. მისი მეშვეობით მკითხველი გაეცნობა ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების შეხედულებებს სადავო საკითხებზე, რაც, თავის მხრივ, მკითხველს საშუალებას მისცემს დარწმუნდეს ამა თუ იმ დებულების სისწორეში. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის, პოლიტოლოგიის, გეოპოლიტიკის, კონფლიქტოლოგიის და სხვა კურსების შესწავლისას. იგი დაეხმარება პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

გარეკანზე გამოსახულია გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესიის სვეტზე ამოკვეთილი გიორგი ბასილის ძის ქართული წარწერა (XIს.).

ISBN: 978-9941-0-0410-0

სარჩევი

შესავალი (ჯემალ გამახარია)..... 5

თავი I. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (თამაზ ბერაძე, ბეჟან ხორავა)..... 6-10

თავი II. წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (მალხაზ ბარამიძე, გურანდა ფხაკაძე)
1. ქვის ხანა (ძვ.წ. 1 800 000 – 50 000) 11-14
2. ენეოლით-შუაბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. V-II ათასწლეულის შუახანები) 15-22
3. გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანა (ძვ.წ. XVI-VIIსს.) 22-29

თავი III. თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალი - ძველი ეგრისის (კოლხეთის) შემადგენლობაში ძვ.წ. I საუკუნემდე (ჯემალ გამახარია)
1. მონაცემები წინარეანტიკური პერიოდის შესახებ 30-40
2. ეთნოპოლიტიკური ვითარება ძვ. წ. VI-I სს. 40-57

თავი IV. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე (ჯემალ გამახარია)
1. ეთნიკური ვითარება 58-77
2. ქრისტიანობის გავრცელება..... 77-80
3. აფხაზეთი ეგრისის (ლაზიკის) შემადგენლობაში. 80-92

თავი V. აფხაზეთი „აფხაზთა სამეფოს" შემადგენლობაში. VIIIს. მეორე ნახევარი – Xს. (ლია ახალაძე) 93-112

თავი VI. აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება (რევაზ ხვისტანი) 113-118

თავი VII. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში.
XI – XVსს.
1. აფხაზეთი XI საუკუნიდან XIII საუკუნის 40-იან წლებამდე (ლია ახალაძე)..... 119-130
2. აფხაზეთი XIIIს-ის 40-იანი წლებიდან XVს-ის 90-იან წლებამდე (თამაზ ბერაძე) 130-140
3 გენუელთა სავაჭრო ფაქტორია სავასტოპოლ-ცხომში//ცხუმში (თამაზ ბერაძე) 141-147

თავი VIII. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVI საუკუნეში (თამაზ ბერაძე) 148-152

თავი IX. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში (კობა ოკუჯავა)
1. პოლიტიკური ვითარება 153-161
2. ეთნიკური პროცესები 161-171
3. რელიგიური ვითარება..... 171-174

თავი X. ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის (ლია ბითაძე) 175-179

თავი XI. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები (თეიმურაზ გვანცელაძე) 180-198

თავი XII. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე (ბეჟან ხორავა)..... 199-204

თავი XIII. აფხაზეთი XVIIIს. მიწურულსა და XIXს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში" (ბეჟან ხორავა) 205-220

თავი XIV. აფხაზეთი 1810-1880 წლებში (ბეჟან ხორავა)
1. რუსეთის ბატონობის განმტკიცების მცდელობანი. 1810-1820წწ. 221-228
2. სახალხო აჯანყებები და რუსეთის მიერ გატარებული სამხედრო-დიპლომატიური ღონისძიებები.
XIXს. 20-იანი წლები. 228-241
3. აფხაზეთის სამთავრო XIXს. 30-50-იან წლებში 242-251
4. რუსეთ-კავკასიის ომის დასრულება და აფხაზეთის სამთავროს გაუქმება 251-260
5. აფხაზეთის კოლონიზაცია XIX ს. 60-70-იან წლებში..... 260-265

თავი XV. აფხაზეთი 1881 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე (ირაკლი გელენავა)
1. რუსული კოლონიალური პოლიტიკის გამკაცრება აფხაზეთში. 1880-1905წწ. 266-276
2. აფხაზეთი დემოკრატიული რევოლუციის, რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. 1905 - 1917 წლები 277-286

თავი XVI. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში (ჯემალ გამახარია)
1. აფხაზეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. 1917წ. თებერვალი – 1918წ. მაისი 287-292
2. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული. 1918წ. ივნისი – 1919წ. მარტი 292-301
3. პოლიტიკური ვითარება ავტონომიურ აფხაზეთში და მისი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ. 1919წ. მარტი – 1921წ. მარტი 301-311

თავი XVII. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937წწ. (ჯემალ გამახარია) 312-324

თავი XVIII. აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990წწ. (დაზმირ ჯოჯუა) 325-344

თავი XIX. აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში.
1990-1992წწ. (დაზმირ ჯოჯუა) 345-354

თავი XX. აფხაზეთი 1992-2007 წლებში (დაზმირ ჯოჯუა)
1. ომი აფხაზეთში. 1992-1993წწ..... 355-366
2. აფხაზეთი ომისშემდგომ წლებში. 1993-2007წწ. 366-369

თავი XXI. ძველი რუკები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების შესახებ (ბადრი გოგია) ..... 370 - რუკ. №№1-16

პირთა საძიებელი 371-377

შესავალი

აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე განმაზოგადებელი მეცნიერული ნაშრომის მომზადება და სხვადასხვა ენებზე გამოცემა მეტისმეტად გაჭიანურდა. ასეთი ნაშრომის შექმნის აუცილებლობა კი მრავალი გარემოებით არის ნაკარნახევი. პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სახელმწიფოს მუდმივი მცდელობა, ჩამოაშოროს საქართველოს თავისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გახდა აფხაზეთისა და მასთან ერთად მთლიანად დასავლეთ საქართველოს ისტორიის პოლიტიზაციის, შესაბამისად, ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაციის მიზეზი. სწორედ გაყალბებული ისტორიის საფუძველზე, ლოზუნგით „აფხაზეთი – საქართველო არ არის", XXს. დასაწყისში აღმოცენდა თანამედროვე აფსუურ-აფხაზური პოლიტიკური სეპარატიზმი – რუსული იმპერიალიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა და მისი დასაყრდენი საქართველოში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აფხაზეთში დღეს არსებული უკანონო რეჟიმი და მისი მფარველები ოდითგანვე ქართული რეგიონის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის" საფუძვლად „ხალხის ნებასთან" ერთად, ისტორიას, „ისტორიულ უფლებას" (?!) ასახელებენ. ამ „უფლების" დასაცავად სეპარატისტულად განწყობილმა ავტორებმა (ს.ლაკობა, ო. ბღაუბა, ვ. ჩირიკბა, მ. გუნბა, ვ. ჰაგბა, გ. ოთირბა, ნ. აკაბა, ე. აჯინჯალი, ი. მარუხბა, თ. აჩუგბა, დ.დბარი, ს.შამბა, თ.ძაფშბა და სხვებმა) რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნეს ათობით ტენდენციური ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები. ხსენებულ ავტორთა გამოცემებს მეცნიერული ღირებულება პრაქტიკულად არ გააჩნია. სეპარატისტები თავიანთი ფანტასტიკური „დასკვნებით" უფრო ილუზორულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებიან, ვიდრე მეცნიერებას. ყალბი ისტორიოგრაფია სეპარატისტული ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშ იმყოფება.

ქართული ისტორიოგრაფია კი, სამწუხაროდ, ძლიერ ჩამორჩა მოვლენებს. მიუხედავად დიდი პოტენციალისა, დამოუკიდებელ საქართველოში მან ჯერ ვერ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. სათანადოდ არ არის გაცნობიერებული ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკური და იდეოლოგიური საფრთხეებისაგან ქვეყნის დაცვის, აწმყოსა და მომავლის უკეთესად გააზრების საქმეში. ამ პირობებშიც აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილმა არაერთმა საყურადღებო ნაშრომმა იხილა მზის სინათლე. თუმცა აშკარაა, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ დღემდე ვერ შეიმუშავა ერთიანი მიდგომა ცალკეული საკვანძო პრობლემებისადმი; ბოლომდე არ არის დაძლეული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნეგატიური გავლენა ისეთ პრობლემათა კვლევისას, როგორებიცაა ანტიკური ხანის კოლხეთის//ეგრისის სამეფოს ეთნოპოლიტიკური ისტორია, ქართველი და აფხაზი ხალხების ეთნოგენეზისი და ა.შ. ეს კი, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა და შემდგომი პერიოდის ისტორიის გაშუქებაზეც.

ავტორთა კოლექტივის ამოცანას წარმოადგენდა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის (და არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთის, რომლის საზღვრები ყოველთვის არ ემთხვეოდა მის ამჟამინდელ ფარგლებს) უპირატესად ეთნოპოლიტიკური ისტორიის გაშუქება, არგუმენტირებული პასუხის გაცემა სეპარატისტ-ფალსიფიკატორებისათვის. მთავარი არგუმენტი კი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროებია, რომელთა ცნობებითაც გაჯერებულია წარმოდგენილი ნაშრომი. გამოკვლევის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში გამოყენებულია როგორც ისტორიკოსებისა და არქეოლოგების, ისე ანთროპოლოგების, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტებისა და ლინგვისტების უკანასკნელი მეცნიერული მიღწევები.

წინამდებარე ნაშრომს არანაირი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მიმდინარე პოლიტიკასთან, აფხაზეთის მომავალი სტატუსის განსაზღვრასთან. ნარკვევის მიზანს წარმოადგენს არა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე ზემოქმედება მისი გაუმჯობესების, მით უმეტეს გაუარესების თვალსაზრისით, არამედ ისტორიული სინამდვილის აღდგენა. ვინაიდან ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა მოსაზრებები ამ ეტაპზე სრულიად შეუთავსებელია, თანამშრომლობა მათ შორის ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ავტორები გამოთქვამენ მზადყოფნას, მომავალში ითანამშრომლონ მეორე მხარესთან.

წიგნის მომზადებაში გაწეული სხვადასხვა სახის კვალიფიციური დახმარებისათვის ავტორები მადლობას მოახსენებენ სიმონ გოგიძეს, ნანა კვარაცხელიას, დინარა დარსალიას, ლიკა (თეონა) ნუცუბიძეს, ხვიჩა ქარდავას, დავით ჟვანიას.

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამხმარე სახელძვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის, პოლიტოლოგიის, გეოპოლიტიკის, კონფლიქტოლოგიის და სხვა კურსების შესწავლისას. იგი დაეხმარება პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

თავი I. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეებს – ენგურსა და ფსოუს შორის მდებარეობს ქვეყნის ერთ-ერთი მხარე აფხაზეთი, რომელიც არის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მდ. ფსოუ და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი რუსეთის ფედერაციისაგან გამოყოფს, ხოლო მდ.ენგური და კავკასიონის გვერდითი კოდორისა და აფხაზეთ-სვანეთის ქედები - მეზობელი სვანეთისა და სამეგრელოს მხარეებისაგან. აფხაზეთის ფართობია 7600კვ.კმ, რაც საქართველოს ფართობის 12,3% შეადგენს; დედაქალაქია – ქ.სოხუმი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და სახელგანთქმული ქალაქი.

სახელწოდება „სოხუმი“ ქართული ცხომი//ცხუმისაგან მოდის, რაც რცხილას ნიშნავს. ძველ ბერძნულ წყაროებში (ფსევდო სკილაქს კარიანდელი - ძვ.წ. IVს. და სხვ.) მას დიოსკურია ეწოდება. ანტიკური ტრადიციით, ეს სახელწოდება მითიური დიოსკურებიდან მომდინარეობს. დიოსკურები (ბერძნ. იოსკუროი, ზედმიწევნით – ზევსის ვაჟიშვილები) იყვნენ ტყუპი ძმები კასტორი და პოლიდევკე. თითქოს, დიოსკურთა მეეტლეებმა, არგონავტებმა ტელხისმა და ამფისტმა დააარსეს ქ.დიოსკურია. თუმცა, ქალაქის სახელი დიოსკურია ძველი ქართული სახელწოდების ბერძნულ გააზრებას უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ „დია“ ქართული ენის რამდენიმე დიალექტზე, მათ შორის მეგრულად დედას ნიშნავს, ხოლო „სკური“ – წყალს. რომაელებმა ძვ.წ I საუკუნეში მას სებასტოპოლისი უწოდეს რომის იმპერატორის გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 43 – ახ.წ. 14წწ.) პატივსაცემად, რომელიც ავგუსტუსთან ერთად სებასტოსის („დიდი“) ტიტულსაც ატარებდა. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქართულ წყაროებში ქალაქის სახელწოდება ორი ფორმით – ცხომი და ცხუმი - გვხვდება. XIVს. დასაწყისში არაბი ავტორი აბუ-ალ-ფედა პირველად იხსენიებს ქალაქს სახელწოდებით „სუხუმ“, რაც მისი ქართული სახელისაგან „ცხუმი“ მომდინარეობს. სუხუმ//სოხუმს ეძახდნენ მას თურქ-ოსმალებიც, რომლებიც შავიზღვისპირეთში XVს. II ნახევრიდან გამოჩნდნენ. აღმოსავლურ ენებში (არაბული, თურქული) ც ბგერა არ არის, ამასთან ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმაც ჭირს. ასე მივიღეთ ქართული ცხომი//ცხუმიდან სუხუმ//სოხუმი. ეს სახელწოდება ქართულში სოხუმის, ხოლო რუსულში სუხუმის ფორმით დამკვიდრდა. საკუთრივ აფხაზები ამ ქალაქს „აყვას“ უწოდებენ. ეს აფხაზური გეოგრაფიული სახელი პირველად იტალიელი კარტოგრაფის ჯ.გასტალდის 1561 წლის რუკაზეა დაფიქსირებული „აყვა“ ფორმით მდ.ყუბანის შუა წელზე, ხოლო შემდეგ, 1737წ. ქართულად შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე დღევანდელ ქალაქ სოხუმის ადგილას დაფიქსირებულია „აყუ“ ფორმით, თუმცა იქვე მახლობლად აღნიშნულია „ცხუმის ციხეც“.

* * *

აფხაზეთს ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი საზღვრავს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა გადაჭიმული. აფხაზეთის ფარგლებში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის, აფხაზეთის კავკასიონის, მწვერვალებია: დომბაიულგენი (4046 მ), გვანდრა (3985 მ), ერცახუ (3910 მ), ფშიში (3790 მ), აღეფსთა (3257 მ). სანჩაროს (2292 მ), აძაფშის (2497 მ), ალაშთრახუს (2723 მ), ხიდას (2632 მ), ნაჰარის (2931 მ), მარუხის (2746 მ) და ქლუხორის (2781 მ) უღელტეხილებზე გადადის საცალფეხო გზები ჩრდილოეთ კავკასიაში. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი ციცაბოდ ეშვება მდინარეების ბზიფის, ჩხალთის, საკენის ხეობებისაკენ. აფხაზეთის მთიანი შუა ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით – გაგრის, ბზიფის, ჩხალთის ანუ აფხაზეთის, კოდორის ანუ ფანავის ქედებს, რომლებსაც, თავის მხრივ, მრავალი განშტოება აქვთ.

აფხაზეთი მთაგორიანი მხარეა. მისი ტერიტორიის 74% მთასა და მთისწინეთს უჭირავს, დანარჩენი – ვაკე-დაბლობებს. ზოგან მთა უშუალოდ ადგება ზღვას, ზოგან მათ შორის შედარებით დიდი მანძილია. ჩრდილო-დასავლეთით, მდ.ფსოუს მარცხენა

ნაპირზე, 10-15კმ. მანძილზე, ზღვასა და კავკასიონს შორის ზღვის პირას მოზრდილი ვაკეა. სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაგრის ქედი უშუალოდ ადგება ზღვას. გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის მასივი თანდათან უკან იხევს და ზღვისპირა ვიწრო ვაკე ზოლი ბიჭვინთის დაბლობში გადადის. ბიჭვინთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა კვლავ ზღვისკენ მიიწევს და ახალი ათონის მიდამოებში უშუალოდ ზღვას ადგება. სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღვისპირა ვაკე ზოლი თანდათან ფართოვდება და მდ.კოდორის მარცხენა ნაპირიდან კოლხეთის დაბლობში გადადის. სანაპირო ზოლი სწორხაზოვანია; აღსანიშნავია სოხუმისა და გაგრის უბეები, ბიჭვინთისა და სოხუმის კონცხები.

კოდორის ქედის ჩრდილოეთით, მდ.კოდორის შუა წელში მდებარეობს მთიანი მხარე წებელი, ხოლო მის ზემო წელში – მთიანი მხარე დალი (აფხაზეთის სვანეთი); მდ.ბზიფის ზემო წელში, კავკასიონის ქედსა და ბზიფის ქედს შორის ქვაბულში – მთიანი მხარე ფსხუ.

აფხაზეთში ბევრი ტბაა: რიწა, ადუედა აძიჟი, დერიკვარა აძიში, ყვარაში, პატარა რიწა, ამტყელი, ცისფერი ტბა, ინკითი, ბებესირი, პაპანწყვილი და სხვ.

აფხაზეთის მდინარეთა ქსელი ხშირია. მთავარი მდინარეებია: ფსოუ, ბზიფი, კოდორი, გუმისთა, კელასური, ღალიძგა, მოქვი, ენგური, რომლებიც შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან.

საქართველოს, და შესაბამისად აფხაზეთის, სასაზღვრო მდინარე ფსოუ სათავეს აიბგის ქედზე იღებს და შავ ზღვას სოფ.ლესელიძესთან ერთვის. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ.მეჰადირი მოედინება, რომელსაც სათავე გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე აქვს და შავ ზღვაში დაბა განთიადთან ჩაედინება. დაბა განთიადის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვას პატარა მდინარე ბეღერეფსთა, იგივე ხოლოდნაია რეჩკა ერთვის. აფხაზეთის ყველაზე გრძელი მდინარეა ბზიფი. იგი სათავეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან იღებს. მისი სიგრძეა 110კმ. თავისი დინების უმეტეს ნაწილში, მდ.იუფშარას შესართავამდე, ზოგადად დასავლეთის მიმართულება აქვს, შემდეგ გეზს იცვლის და სამხრეთისაკენ უხვევს. ზემო დინებაში ხეობა ვიწრო და ღრმაა; სოფ.ფსხუსთან ხეობა განიერდება და მდინარე იტოტება; ქვემოთ ხეობა ვიწრო, ზოგან კანიონისებრია, დაბა ბზიფთან დაბლობზე გამოდის და ბიჭვინთის კონცხთან შავ ზღვას ერთვის. აღსანიშნავია, რომ „ბზიფი“ ამ მდინარის შედარებით ახალი სახელწოდებაა. XIXს. 20-იან წლებამდე მას კაპოეტის წყალი (კაპოეტის მდინარე) ერქვა. სახელწოდება ქართულია და მომდინარეობს თევზის სახელიდან კაპოეტი. თევზი კაპოეტი კალმახ-ორაგულის ჯიშს ეკუთვნის; იგი მოზრდილი სახის კალმახია და სწორედ ამ მდინარეში გვხვდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულია სახელწოდება ბზიფიც (ბზიბი), რაც დაკავშირებულია მცენარის სახელთან – ბზა. აფხაზეთის მთავარ მდინარეს, რომელიც ბზების ხეობაზე მოედინება ბზიფის (ბზების) წყალი ეწოდება.

ბზიფის მარჯვენა შენაკადის იუფშარას ხეობაში, ზღვის დონიდან 884 მ-ზე უმშვენიერესი რიწის ტბა მდებარეობს. იგი მთა ფშეგიშხის ჩამოქცევისა და მდ.ლაშიფსას დაგუბების შედეგად გაჩნდა. რიწის სანაპიროები გარშემორტყმულია წიწვიანი და შერეული ტყეებით დაფარული მთის ფერდობებით, რის გამოც ის კავკასიაში ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ითვლება.

საკუთრივ ბზიფის მარჯვენა ნაპირზე, ზღვასთან ახლოს, პატარა, მაგრამ უაღრესად ლამაზი ცისფერი ტბა მდებარეობს.

ბზიფის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოედინება მდ.მჭიშთა ანუ შავწყალა, რომელიც სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას გუდაუთის დასავლეთით ერთვის. ის კარსტული მდინარეა. შუა საუკუნეებში „მუწის წყალი“ ანუ მიწის წყალი ეწოდებოდა, რადგან დიდ მანძილზე მიწის ქვეშ მოედინება. მისი აფხაზური (მჭიშთა) და რუსული (ჩორნაია რეჩკა) სახელები შავწყალას ირიბ თარგმანს წარმოადგენს.

მჭიშთას სამხრეთ-აღმოსავლეთით მოედინება მდ. ხიფსთა, რომელიც სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას გუდაუთასთან ერთვის. მისი რუსული სახელი – ბელაია რეჩკა, ქართული თეთრწყალას პირდაპირი თარგმანია. შუა

საუკუნეებში ამ მდინარეს ზუფუ (ზუფუს მდინარე) ერქვა, მის ნაპირზე იყო სოფ. ზუფუ (ამჟ. ლიხნი), საიდანაც მან სახელწოდება მიიღო.

ხიფსთას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ააფსთა მოედინება, რომელიც სათავეს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში იღებს, სამხრეთ კალთას მიუყვება და გუდაუთასა და ახალ ათონს შორის შავ ზღვაში ჩაედინება. მას ბაკლანოვკასაც ეძახიან, თუმცა მისი ისტორიული სახელია აღაცოს წყალი, რომელიც სოფლის სახელიდან „აღაცო“ მომდინარეობს. XIX საუკუნეში ამ მდინარეს ააცს ეძახდნენ, რაც ქართული აღაცოს წყლის აფხაზური ფორმაა; სოფელ აღაცოს კი დღესაც ააცი ეწოდება. მდ.ხიფსთას მარჯვენა შენაკადია პატარა მდინარე ეგრი.

ახალი ათონის ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში პატარა მდინარე ფსირცხა ჩაედინება. შუა საუკუნეებში მას ანაკოფიის მდინარე ეწოდებოდა ძველი ციხე-ქალაქის, ანაკოფიის (ამჟ. ახალი ათონი) სახელის მიხედვით.

ფსირცხას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ.გუმისთა მოედინება. იგი მდინარეების აღმოსავლეთ გუმისთის და დასავლეთ გუმისთის შეერთებით წარმოიქმნება. ეს მდინარე შავ ზღვას სოხუმის დასავლეთით ერთვის. დღევანდელი ქ.სოხუმის ფარგლებში შავ ზღვაში მდ.ბესლეთი (ბასლა) ჩაედინება. იგი კარსტული მდინარეა, სათავეს კარსტული წყაროებიდან იღებს. შუა საუკუნეებში მას ცხომის, იგივე ცხუმის მდინარე ეწოდებოდა ქ.ცხომის (ამჟ. სოხუმი) სახელის მიხედვით. ბესლეთი 4კმ-იანი კარსტული გვირაბით დაკავშირებულია მდ.კელასურთან, რომელიც სოხუმის აღმოსავლეთით, სოფ.კელასურთან ერთვის შავ ზღვას. იგი სათავეს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, ხიმსის მყინვარზე იღებს. სახელწოდება „კელასური“ ბერძნული „კლისურადან“ მომდინარეობს, რაც გასასვლელ ადგილს, ვიწრობს ნიშნავს.

კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყველაზე დიდი მდინარეა კოდორი, რომელიც სიგრძით აფხაზეთის მეორე მდინარეა. იგი დალის ხეობაში იღებს სათავეს, იქმნება მდინარეების გვანდრისა და საკენის შეერთების შედეგად. კოდორი ჯერ დასავლეთით, შემდეგ კი სამხრეთ-დასავლეთით მიედინება და სოფ.აძიუბჟას (ისტორიული სოფ. შქაწყარი, იგივე შუაწყალი, რომლის თარგმანია აფხაზური აძიუბჟა) სამხრეთით შავ ზღვას ერთვის. მისი სიგრძეა 84კმ. მდ.კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს დრანდის ტაძარი, X-XVIIსს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი. დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758წწ.) ცნობით, კოდორი თავდაპირველად დაბის სახელწოდება ყოფილა და აქედან დარქმევია შემდეგ ეს სახელი მდინარეს. სოფ. კოდორი სკოტორის ფორმით ჯერ კიდევ VII საუკუნეში ბიზანტიელ ავტორთან თეოდოსი განგრელთან იხსენიება. სახელწოდება „კოდორი“ ქართულია, როგორც ფუძე სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით. კოდორის უმთავრესი შენაკადებია: ჩხალთა (აფხაზურად აწგარა), მრამბა, ჯამპალი ამტყელით. მდ. ამტყელის ხეობაში ამტყელის ანუ აზანთის ტბა მდებარეობს, რომელიც 1891წ. წარმოიშვა მიწის უზარმაზარი მასის მიერ მდ. ამტყელის დაგუბების შედეგად.

კოდორის აღმოსავლეთით, ერთ პატარა მდინარეს ცხენისწყალი ეწოდება. ამ მდინარის ბერძნულად თარგმნილი სახელწოდება ჯერ კიდევ II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა და რომის იმპერიის დიდმოხელის ფლავიუს არიანეს თხზულებაში გვხვდება.

აფხაზეთის მნიშვნელოვანი მდინარეა აგრეთვე მოქვი, რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას ოჩამჩირის მახლობლად ერთვის. მდ. მოქვთან მისი მარჯვენა შენაკადის მდ.დვაბის შეერთების ადგილას მდებარეობს მოქვის ტაძარი, X-XVIIსს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი; ქ.ოჩამჩირის აღმოსავლეთით შავ ზღვას ერთვის მდ.ღალიძგა (სახელი ღალიძგა - „ღელის ნაპირი“ თავიდან ამ მდინარისპირას მდებარე სოფელს ერქვა), რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ხოჯალის მახლობლად იღებს. შუა საუკუნეებში მას ეგრისწყალი ეწოდებოდა; კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს სათავეს მდ.ოქუმიც, რომელიც შავ ზღვას სოფ.გუდავასთან ერთვის. მის მარჯვენა ნაპირზეა ისტორიული სოფელი ოქუმი, საიდანაც მდინარემ ეს სახელი მიიღო. ოქუმის მარჯვენა შენაკადებია: მდ.წარჩე – ისტორიული წყაროების დადისწყალი – და მდ.ოხოჯე, რომლის ნაპირზეც მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო

ცენტრი X-XVIIIსს. ბედიის ტაძარი; მარცხენა შენაკადია მდ.დიდი ერისწყალი, ისტორიული წყაროების ერთისწყალი. მდ.ოქუმის აღმოსავლეთით სწრაფი და წყალუხვი მდ.ენგური მოედინება. იგი სათავეს სვანეთში, ზღვის დონიდან 2614მ-ზე, მყინვარ ენგურზე იღებს და შავ ზღვას სოფ.ანაკლიასთან ერთვის. მისი ქვემო დინება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას სამეგრელოსგან გამოყოფს.

აფხაზეთი სუბტროპიკული სარტყლის ყველაზე ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი მას ჩრდილოეთის ცივი ქარების შემოჭრისაგან იცავს. თბილი ზღვა, რომელიც არასოდეს იყინება, მშფოთვარე მთის მდინარეები რბილ, ტენიან სუბტროპიკულ კლიმატს ქმნიან. აფხაზეთში ძირითადად ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა გავრცელებული. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაახლოებით 55% ტყით არის დაფარული. აქ 2 ათასზე მეტი სახეობის მცენარეა გავრცელებული, მათ შორის, 150 სახეობის ხე და ბუჩქოვანი მცენარე. ხე-მცენარეებიდან აღსანიშნავია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წიფელი, წაბლი, კაკალი, ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ბზა და სხვ. აქ გვხვდება როგორც ბარისა და მთის ტყის, ისე მაღალი მთის ცხოველთა სახეობები. ბინადრობს: ჯიხვი, შველი, არჩვი, რიწის ტყეებში – კავკასიური ირემი. გვხვდება: დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, ციყვი, კურდღელი და სხვ. XXს. დასაწყისში მოისპო კავკასიური დომბა. ფრინველებიდან გავრცელებულია: არწივი, მიმინო, ორბი, შევარდენი, კავკასიური შურთხი, ხოხობი, მწყერი, თოლია, ოფოფი და სხვ. მდინარეებსა და ტბებში არის კალმახი, კოლხური წვერა, ლოქო, ზოგან შავი ზღვიდან – ორაგული და ზუთხი. სასარგებლო ფლორისა და ფაუნის დასაცავად შექმნილია: რიწა-ავადჰარის, ფსხუს, ბიჭვინთის, გუმისთის, მიუსერის ნაკრძალები.

აფხაზეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აღსანიშნავია ტყვარჩელისა და ბზიფის ქვანახშირის საბადოები. ბევრგანაა ტყვიის, თუთიის, სპილენძის საბადოები; თაბაშირი, კირქვა, სააგურე თიხა და სხვ. განსაკუთრებით უხვად არის სამკურნალო მინერალური წყლები მდინარეების კოდორის, საკენის, ბზიფის, ავადჰარის და სხვ. ხეობებში, ხოლო თერმული სამკურნალო წყლები – ტყვარჩელის, სოხუმის, ახალი ათონის და გაგრის მიდამოებში. შესანიშნავი ბუნება და ძვირფასი სამკურნალო წყაროები აფხაზეთს უმდიდრესი კლიმატოლოგიური ჯანმრთელობის კერად აქცევენ.

აფხაზეთის ძირითად მოსახლეობას ქართველები და აფხაზები შეადგენენ. ამჟამინდელი აფხაზები (აფსუები) ეთნიკურად აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ხალხებს მიეკუთვნებიან, მათი ენა – აფხაზური, იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ჩრდილო-დასავლურ, აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში შედის. ამ ჯგუფში აფხაზურთან ერთად შედის აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური ენები, რომლებზეც ჩრდილოეთ კავკასიის მონათესავე ხალხები – აბაზები, ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები მეტყველებენ.

გვიან შუა საუკუნეებამდე აფხაზები ეთნოკულტურული თვალსაზრისით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციების მოსახლეობა (ქართლელები, კახელები, მეგრელები, სვანები და სხვ.) და ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. გვიან შუა საუკუნეებში მთის ჩამოწოლის – დასავლეთ კავკასიის მთის მოსახლეობის აფხაზეთში მოძალებისა და ჩამოსახლების შედეგად ამ მხარეში რადიკალური ეთნიკური ცვლილება მოხდა. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა.

1989 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობა 525 061 შეადგენდა. ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი – 239 872 (45,7%), აფხაზი – 93 267 (17,8%), სომეხი – 76 541 (14,6%), რუსი – 74 913 (14,2%), ბერძენი – 14 664 (2,8%), სხვა ეროვნების წარმომადგენელი – 25 804 (4,9%).

1991 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის 5 ადმინისტრაციული რაიონი – გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის; 1 – გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული

ტერიტორია, 6 ქალაქი – გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, სოხუმი, გუდაუთა, გაგრა; 4 დაბა – ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში.

აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბება რთული ეთნო-პოლიტიკური პროცესების შედეგია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და მხოლოდ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს დასრულდა.

იყო დრო, როდესაც აფხაზეთი, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ არსებობდა. ძვ.წ. XV-IIსს. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია კოლხეთის სამეფოში შედიოდა და მთლიანად ქართული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული.

ძვ.წ. I – ახ.წ. IIსს. ამ ტერიტორიაზე ჩანან კვლავ ქართველური თემები ამჯერად სანიგების, აფშილებისა და აბაზგების სახელწოდებით. II-VIIIსს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. საისტორიო წყაროების მიხედვით, VI-VIIIსს. ამ ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მდ.კოდორსა და მდ.ენგურს შორის ეგრისის სამეფოს ოდიშის ერისთავებს ექვემდებარებოდა. კოდორის სათავეებში – დალის ხეობაში მისიმიანთა სვანური ტომი ცხოვრობდა, რომელიც უშუალოდ ეგრისის მეფეს ემორჩილებოდა. უშუალოდ ლაზეთის სამეფო ადმინისტრაციას ემორჩილებოდა აგრეთვე აფშილეთიც, რომელიც შავი ზღვის პირას, მდინარეების კოდორისა და ანაკოფიისწყალს შორის მდებარეობდა. უფრო ჩრდილო-დასავლეთით, მდ.აქეუნტამდე (ამჟამად მდ.შახე), ლაზთა სამეფოს დაქვემდებარებული აბაზგიის ორი საერისთავო მდებარეობდა.

IX-Xსს. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია დამოუკიდებელ დასავლურქართულ სამეფოში შედიოდა, რომელსაც სამეფო დინასტიის მიხედვით, საისტორიო ტრადიციით, „აფხაზთა სამეფოს“ უწოდებენ. ამ სამეფოში, მდინარეებს კოდორსა და ენგურს შორის ტერიტორია, ისევე როგორც ადრე, ოდიშის საერისთავოში შედიოდა; დალის ხეობა სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა; ძველი აფშილეთის ტერიტორიას ცხუმის საერისთავო მოიცავდა, მის ჩრდილო-დასავლეთით კი საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო მდებარეობდა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ნიკოფსიამდე (ამჟ. ნეგოფსუხო) აღწევდა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ, დაახლოებით 2,5 საუკუნეზე მეტ ხანს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ შეცვლილა. XIVს. დასაწყისში ცხუმის საერისთავო ოდიშის საერისთავოს შეუერთდა. ამის შემდეგ ოდიშისა და აფხაზეთის საერისთავოებს შორის საზღვარი მდ. ანაკოფიისწყალზე გადიოდა.

XVს. 70-90-იან წლებში ერთიანი ქართული სამეფო დაიშალა. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ისეთივე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით დასავლურქართულ იმერეთის სამეფოში გაერთიანდა. აფხაზეთის ერისთავები იმერეთის მეფეების და იმავდროულად ოდიშის ერისთავების ვასალები იყვნენ.

XVIს. 50-იან წლებში იმერეთის სამეფოს გურია, ოდიში და აფხაზეთი განუდგნენ. თავდაპირველად აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი მდ.ანაკოფიისწყალზე გადიოდა, მაგრამ XVIს. 80-იანი წლების შემდეგ საზღვარმა უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ.კელასურზე გადაინაცვლა. ამ დროისათვის აფხაზეთის გამგებლები ჯერ კიდევ ოდიშის მთავრების უზენაესობას აღიარებდნენ.

XVI-XVIIსს. აფხაზეთში, როგორც ზემოთ ითქვა, რადიკალური ეთნიკური ცვლილებები მოხდა, რაც დაკავშირებული იყო დასავლეთ კავკასიის ტომების ჩამოსახლებასთან. მათზე დაყრდნობითა და ოსმალეთის გადამწყვეტი მხარდაჭერით XVII-XVIIIსს. მიჯნაზე აფხაზეთის მთავრებმა საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ.ეგრისწყალზე (ამჟ. ღალიძგა), მოგვიანებით კი მდ.ენგურზე გადაიტანეს. თანდათანობით მდ.ენგურსა და მდ.ღალიძგას შორის ჩამოყალიბდა მცირე ფეოდალური სამფლობელო – სამურზაყანო. 1702 წლიდან 1840 წლამდე ეს ოლქი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა, გარდა დროის პატარა მონაკვეთისა XVIIIს. 80-იანი წლებიდან 1805 წლამდე, როცა ის აფხაზთა მთავარს ემორჩილებოდა.

1810წ. რუსეთის იმპერიამ აფხაზეთის სამთავრო (მდ.ბზიფიდან მდ.ღალიძგამდე წებელისა და სხვა მთის საზოგადოებების გარეშე) მისი ოკუპაციის მიზნით თავისი

„მფარველობის” ქვეშ შეიყვანა. 1864წ. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და ტერიტორია მდ.ენგურიდან გაგრის ჩათვლით „სოხუმის სამხედრო განყოფილებაში“ შეიყვანა, რომელსაც შემდეგ სოხუმის ოლქი ეწოდა.

აფხაზეთის ტერიტორიას თითქმის თანამედროვე საზღვრებში (მეჰადირ-ფსოუს მონაკვეთის გარეშე) ოფიციალურად აფხაზეთი პირველად 1919 წლის მაისში ეწოდა მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ავტონომია აღიარა და აფხაზეთის სახალხო საბჭომ რეგიონის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. აფხაზეთის ავტონომია დღევანდელ საზღვრებში საბოლოოდ XXს. 20-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა, როდესაც რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მდ.მეჰადირსა და მდ.ფსოუს შორის მდებარე ტერიტორია დაუბრუნა.

თავი II. წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე

1. ქვის ხანა (ძვ.წ. 1 800 000 – 50 000)

ქვის ხანა კაცობრიობის განვითარების უძველესი და ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია, რომლის ადრეულ ეტაპზე მკვლევარები ძირითადად 2 – შელის და აშელის საფეხურებს გამოყოფენ. მათ წინ უნდა უსწრებდეს უძველესი საფეხური, რომელიც ოლდუვეის კულტურის სახელით არის ცნობილი. ამ საფეხურისთვის ნიშანდობლივია ქვის იარაღების გამოყენება დამუშავების გარეშე, რომლებსაც ეოლითებს უწოდებენ. ეს პერიოდი მეოთხეული პერიოდის საწყისს, დაახლოებით 1 800 000 წლის ფარგლებშია საგულისხმებელი.

მეოთხეული პერიოდი, რომელსაც ზოგჯერ ანთროპოგენურ (ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებულ) პერიოდსაც უწოდებენ. შეინიშნება გამყინვარების ოთხი და გამყინვარებათაშორისი სამი პერიოდი. კავკასიაში გამყინვარების კვალი შედარებით სუსტია და იგი ძლიერი არ უნდა ყოფილიყო. კავკასიაში მისი ვერტიკალური ზონალობის გამო ფაქტობრივად ყოველთვის იყო პირობები ადამიანის განსახლებისთვის. კლიმატის აცივებასთან ერთად ადამიანი ინაცვლებს დაბლობ, შედარებით თბილ ზოლში, ხოლო დათბობასთან ერთად ადამიანი კვლავ ითვისებს მაღლივ ზონებს. ადამიანის საცხოვრისის ვერტიკალური ცვლილება მარტო ქვის ხანისთვის არ არის დამახასიათებელი და შეინიშნება მომდევნო ხანებშიც. ამგვარად, აშკარაა, რომ გეოგრაფიული გარემო და კლიმატი არის ის გადამწყვეტი პირობა, რომელიც მხედველობაშია მისაღები ადამიანის განსახლების პროცესის შესწავლის დროს. აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველა ვერტიკალური ზონა არის წარმოდგენილი: კოლხეთის დაბლობის სანაპირო ვიწრო ზოლი, მთისწინა, 80-110მ. სიმაღლის ტერასები, მთა-ბორცვოვანი და ალპური ზონა. ეს გარემოება კი კლიმატის ცვლილებასთან ერთად ქმნიდა საფუძველს მოსახლეობის შიდა მიგრაციისთვის.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია ქვის ხანის ძეგლებით საკმაოდ ადრიდან გახდა ცნობილი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ს.ზამიატნინის[1], ბ.კუფტინის, ლ.სოლოვიოვის, ა.ლუკინის, ი.ვორონოვის, ვ.ბჟანიას[2], ნ.ბერძენიშვილის, ალ.კალანდაძის, ლ.წერეთლის, გ.გრიგოლიას, ლ.ქორქიას შრომები[3]. მათ მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი ძეგლთა გამოვლენის, გათხრისა და მეცნიერული განზოგადოებისთვის.

ამ კვლევების შედეგად სადღეისოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქვის ხანის რამდენიმე ათეული ძეგლია დაფიქსირებული[4]. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იაშთხვის სადგომი. იგი განფენილია სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იაშთხვას მთის ფერდებსა და ძირში. ნასახლარის მთელი ტერიტორია (ფართობი 70 ჰა) მოფენილია კულტურული ნაშთებით. იარაღისთვის საჭირო ნედლეული, კარგი კლიმატი და მდებარეობა საუკეთესო პირობებს ქმნიდა პირველყოფილი ადამიანის განსახლებისთვის. იაშთხვის ფერდობები მოფენილია საწარმოო ნაშთებით, ანატკეცებით. მათთან ერთად ვხვდებით ნუკლეუსებს, უხეშ ლამელებს, წვეტანისებრ სახოკებს. იშვიათია ხელცული„ დამზადებული ბიფასერი ტექნიკით, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ამ პერიოდის ძეგლებზე და ფაქტობრივად ძირითად სამეურნეო და საბრძოლო იარაღს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, იგი მოგრძო ოვალური, ზოგჯერ წაწვეტებული ფორმისაა. მონაპოვარი მასალა აშკარად **აშელური ხანისაა**, ზოგიერთ ნიმუშს ემჩნევა უფრო არქაული **წინააშელური** ნიშნები[5], თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია[6].

---

[1]. **С. Н. Замятнин. Палеолит Абхазии. Сухуми, 1937; მისივე: Очерки по палеолиту. М-Л., 1961.**

[2]. **Б.А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.I. Тб., 1949; А.Л. Лукин. Неолитическое селище Кистрик близ Гудаута. - С.А., XII. М., 1950; Ю.Воронов. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969; В.Бжания. Древнейшая культура Абхазии. Автореферат канд. диссертации. М., 1966; Л.Н.Соловьев. Первобытное общество на территории Абхазии. Сухуми, 1971.**

[3]. **ნ. ბერძენიშვილი, ალ.კალანდაძე და სხვ. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.**

Н.З.Бердзенишвили. Новые данные по палеолиту Абхазии. - ТАИ, т. XXX, 1959; А.Н.Каландадзе. Разыскания по археологии до-античной Грузии. Автореферат. Тб., 1969; ლ.წერეთელი, ლ.ქორქია, გ.გრიგოლია, მ.ბარამიძე. დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები ენგურჰესის სამშენებლო ტერიტორიაზე. – აკძ. 1963 წელს საქართველოში. თბ., 1964.

[4]. **სადღეისოდ ქვის ხანის ყველა ეტაპის დაახლოებით 150-მდე ძეგლია ცნობილი. აქედან ქვედა პალეოლითის განეკუთვნება 15-20.**

[5]. **Л.Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 35.**

[6]. **И.И. Коробков. Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения. - С.А.У. М.,1967, გვ. 201; ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976, გვ. 12-13.**

ქვედა პალეოლითური ძეგლები კავკასიაში სადღეისოდ საკმაოდ მრავალრიცხოვანია და, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა კლიმატურ ზოლშია ფიქსირებული, მათ შორის იაშთხვაში. ეს პერიოდი ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა. მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე **მუსტიეური** იარაღ-ნაკეთობები 100-მდე პუნქტშია მოპოვებული. ისინი განლაგებულია ფაქტობრივად ყველა ვერტიკალურ ზოლში დაბლობიდან დაწყებული მაღალმთიანი ზონის ჩათვლით. აშკარაა, მოსახლეობამ იმდენად მოიმატა, რომ საჭირო გახდა ახალი სასიცოცხლო ტერიტორიების ათვისება. გვიანშელისა და ადრე მუსტიეს ხანაში, როგორც ჩანს, ჰავა მკვეთრად შეიცვალა და მოსახლეობა ტოვებს მაღალმთიან ზოლს. გვიანმუსტიეს ხანაში საკმაოდ დათბა და მოსახლეობა კვლავ უბრუნდება მთიან რეგიონს. განვითარებული და გვიანმუსტიეს მასალები ჩანს კოდორის ხეობაში სოფ.აჟარის ზემოთ, ფაქტობრივად ალპურ ზონაში მაშინ, როდესაც გალის, ოჩამჩირის, კელასურის, ბზიფის ეხის და სხვა ადრემუსტიეს და მომდევნო ხანის ძეგლები ძირითადად დაბლობ და მთისწინა ზოლშია განფენილი. მხარის ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ მუსტიეური ხანის ძეგლები მრავლადაა გამოვლენილი აფხაზეთის მიმდებარე სოჭის რეგიონში. აფხაზეთისგან განსხვავებით, აქ ღია სადგომები არ ჩანს და **მუსტიეს ხანა** ფიქსირდება ნავალიშენის, ახშტირის, ვორონცოვის, ხოსტის და სხვა გამოქვაბულებში, რაც, შესაძლოა, კლიმატის გავლენით იყო გამოწვეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ძეგლებზე კრანიოლოგიური მასალა ფაქტობრივად არ არის, რაც აძნელებს მსჯელობას ანთროპოგენეზის პროცესებზე. ერთადერთი ხელმოსაჭიდი ამ თვალსაზრისით არის ახშტირის გამოქვაბულში გვიანმუსტიეს ფენაში ნაპოვნი ანთროპოლოგიური ნაშთები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახშტირის პალეოანთროპი ახლოს დგას თანამედროვე ადამიანის ტიპთან და განეკუთვნება ე.წ. პალესტინელ ადამიანებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია თანამედროვე ადამიანის ზოგიერთი ნიშნები. საკაჟიას, ჯრუჭულას, ცუცხვათის და განსაკუთრებით ახშტირის მცირერიცხოვანი ანთროპოლოგიური მასალა თითქოს იმის მანიშნებელია, რომ სწორედ ამ ჯგუფიდან უნდა განვითარებულიყო თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანი ომო შაპიენს–ი. მაგრამ ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული რიგი მკვლევარების მიერ. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა დმანისის აღმოჩენების შემდგომ, რომლის მიხედვით, გონიერი ადამიანის ფორმირების პროცესის ერთ-ერთ ძირითად კერად სამხრეთ საქართველო, უფრო ფართოდ კი დასავლეთ ამიერკავკასია უნდა იქნეს მიჩნეული. კერძოდ, აფხაზეთის, აჭარისა და ზემო იმერეთის რეგიონებია საგულისხმებელი.

პრიმიტიული იარაღის არსებობის პირობებში პირველყოფილ ადამიანებს პატარა ჯგუფებად უნდა ეცხოვრათ და საკმაოდ უნდა ემოძრავათ საკვების მოსაპოვებლად. განვითარებული მუსტიეს პერიოდში კი აშკარად შეინიშნება მოსახლეობის რიცხვის მატება, პირველყოფილი საზოგადოების უადრეს საფეხურს საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით ბზარი უჩნდება და იქმნება გვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობა.

პალეოლითის დასაწყისში მთელი კავკასიის ტერიტორიაზე შეინიშნება კლიმატის მკვეთრი აცივება, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე. ადამიანი ტოვებს მთიან რეგიონს და იკავებს უფრო თბილ, დაბლობ და ღრმა ხეობებს. ამის გამო კულტურულ ფენებში მოპოვებული ძვლოვანი და მცენარეული ნაშთები ტიპურია ზედა ვიურმის გამყინვარების პერიოდისათვის. შეინიშნება მოსახლეობის კონცენტრაცია ორ ძირითად რეგიონში – რიონ-ყვირილას აუზსა და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. შემუშავებულია ქრონოლოგიური შკალა[1]. ეს ხანა უფრო ხანმოკლეა და გრძელდება დაახლოებით 25 ათასი წლის განმავლობაში. იცვლება ქვის დამუშავების ტექნიკა. ჩნდება სრულიად ახალი ფორმები – საფხეკები, საჭრისები, წვეტანები, მოგრძო ლამელები, ნუკლეუსები. განსაკუთრებით საყურადღებოა მიკროლითური გეომეტრიული ჩასართების და ძვლის დამუშავებული იარაღების გამოჩენის ფაქტი. ზოგიერთ ძეგლზე (მღვიმევის ეხი) შეინიშნება კედელზე საჭრისით გამოყვანილი გრავირებული უსისტემო ხაზები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე **ზედაპალეოლითური** მასალები ყველაზე სრულად სამ პუნქტშია შესწავლილი – აფიანჩა, სუფინიფშაჰვა (ცივი მღვიმე), ოქუმი. საინტერესო ძეგლები მიკვლეულია, სოჭი-ადლერის მხარის გამოქვაბულებში: ახშთირი, ნოვოლიშენი, ხოსტა, აწი და სხვა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახშთირის გამოქვაბულის ზედაპალეოლითური ფენა რადიონახშირბადით 19500 500წ. არის დათარიღებული (კალიბრირებული მეთოდით თარიღი კიდევ

[1]. С. Н. Замятнин. О локальных различиях в культуре палеолитического периода. - ТИЭ, XVI. М., 1951, გვ. 131.

უფრო აძველებს მას). სწორედ ეს ძეგლები ქმნიან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ზედაპალეოლითურ ძეგლთა რეგიონს, თუმცა რაიმე ლოკალურ განსხვავებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით სათუოა.

აფხაზეთის ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სრულად შესწავლილია აფიანჩას გამოქვაბული[2]. კულტურულ ფენათა საერთო სიმძლავრე 16მ. აღწევს. ადამიანი მასში დასახლებულა ზედა პალეოლითის ადრეულ ეტაპზე და ცხოვრობდა **ნეოლითის ხანის** ჩათვლით. ამდენად, საქმე გვაქვს ქვის ხანის სამი საფეხურის უწყვეტი განვითარების სურათთან. ამ თვალსაზრისით აფიანჩას სტრატიგრაფიული ჭრილი ფაქტობრივად ერთადერთია და ეტალონური ზოგადად კავკასიის ქვის ხანის შესწავლისათვის.

აფიანჩას ზედაპალეოლითურ ფენებში (2 დონე) ყველა ზემოთნახსენები იარაღია მოპოვებული. განსაკუთრებით საყურადღებოა მიკროლითური იარაღების სიმრავლე და ნაირგვარობა. ამ ფენებში ჩნდება ძვლის ნაპრიალევი იარაღები: ნემსები, საკინძები, დანისებრი, ჰარპუნისებრი და სხვა.

მსგავსი მასალები მოპოვებულია მდ.კოდორის და ამტყელის შესართავთან ცივი მღვიმის ორფენიან ეხში (ხუფინიფშაჰვა). განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველთა ძვლების ნაშთები. მათში გამოირჩევა გამოქვაბულის დათვი, კეთილშობილი ირემი, ტახი, ფრინველთა ნაირსახეობა. აშკარაა, რომ მონადირეობა ჯერ კიდევ მეურნეობის ძირითადი სახეობაა. შესაძლოა, გარკვეული წილი უკავია მეთევზეობასაც. ზედაპალეოლითი სოციალურად არ არის ის საზოგადოება, სადაც უკვე უნდა იყოს გამოყოფილი ბელადი ან წინამძღოლი. ეს პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოებაა ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე.

ამრიგად ჩანს, რომ **გვიანპალეოლითის** ადამიანი ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა განსახლებული და, შესაძლებელია, სწორედ აქედან ხდება მისი გადაადგილება კავკასიის სხვა რეგიონებში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ამ მასალების მსგავსება ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებთან. მნიშვნელოვანი ჩანს კონტაქტები და ტიპოლოგიური მსგავსება ირან-ერაყის და აზოვისპირეთის მასალებთან. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს კავკასიის, მათ შორის აფხაზეთის, ზედაპალეოლითის ერთიან ხასიათზე, რაც ერთგვაროვანი ისტორიული პროცესებითაა განპირობებული.

კრანიოლოგიური მასალების სიმცირე არ იძლევა საშუალებას იმ პერიოდის ადამიანის ფიზიკური ტიპის, მით უფრო ეთნიკური კუთვნილების გარკვევისათვის. სავარაუდოა, რომ ეს ადამიანი ქვედა პალეოლითში მოსახლე გონიერი ადამიანის, ნეანდერტალელის განვითარების შემდგომი ეტაპი იყოს, რისთვისაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ყველა პირობა არსებობდა.

გვიანპალეოლითური კულტურის განვითარების შემდგომი ეტაპი **მეზოლითის** სახელითაა ცნობილი. ეს პერიოდი, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება იმ გარემოებით, რომ კვლავ მკვეთრად იცვლება კლიმატი, მთავრდება გამყინვარების პერიოდი და დგება თანამედროვე გეოლოგიური პერიოდი, ჰოლოცენი.

მეზოლითი აღმოცენებულია ადგილობრივი ზედა პალეოლითის საფუძველზე. ამაზე აშკარად მიუთითებს ის გარემოება, რომ ზემოთხსენებულ რიგ ძეგლებზე (აფიანჩა, თეთრი მღვიმე, რიონ-ყვირილას აუზი) მეზოლითი ზემოდან ადევს ზედა პალეოლითს[1]. მონაპოვარი მასალების ტიპოლოგიური ანალიზი აშკარად მიუთითებს თანდათანობითი განვითარების ევოლუციურ სურათს. ზედა პალეოლითში ჩასახული ქვის დამუშავების მიკროლითური ინდუსტრია თანდათან იხვეწება და სრულყოფილ სახეს ღებულობს. ადამიანი ჯერ კიდევ ძირითადად სახლობს გამოქვაბულში, თუმცა კლიმატის დათბობა შესაძლებლობას აძლევს, ბარისა და მთის რეგიონების ხელახალი ათვისება დაიწყოს. ამის გამო მეზოლითის ხანაში ფაქტობრივად ათვისებულია ყველა ლანდშაფტურ-კლიმატური ზოლი, თუმცა უპირატესობა კვლავ, რიონ-ყვირილას აუზსა და აფხაზეთს უკავია. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია და ნაწილობრივ შესწავლილი ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა ქვაჩარა (ქვაბჩარა), ცივი მღვიმე, ჯამპალი, იაშთხვის ღია სადგომი და სხვა. მასალის შესწავლა საშუალებას იძლევა ამ ძეგლებში გამოიყოს ორი პერიოდი: ადრეული ეტაპი და მოგვიანო. დამახასიათებელია ადრეულ ეტაპზე მაკროლითური ტექნიკის შემდგომი აღმავლობა და გეომეტრიული ფორმების

---

[2] ლ. წერეთელი. მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973, გვ. 37 და შმდ.

[1]. ო. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 34-39; მისივე: ქართველ ტომთა..., გვ. 25-29; ლ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 77 და შმდ.

გაჩენა (სეგმენტი, ტრაპეცია, სამკუთხედი). ამასთანავე ჩნდება კომბინირებული იარაღები, რომლებსაც ამზადებდნენ ხისგან ან ცხოველის ძვლისგან. სპეციალურ ნაპრალში წებოვანი ნივთიერების გამოყენებით მაგრდებოდა ჩასართები, გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ჩასართის დაზიანების შემთხვევაში იგი ადვილად იცვლებოდა და იარაღი ახლდებოდა. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ პერიოდში კომბინირებული იარაღი გამოიყენებოდა შემგროვებლურ მეურნეობაში მცენარეული საკვების მოპოვების დროს. არაა გამორიცხული მათი გამოყენება ცხოველური ნაწილების (მაგალითად, ტყავის) დამუშავების დროსაც.

მეზოლითის ადამიანის მეურნეობა მიმთვისებლური ხასიათისაა და დამყარებულია შემგროვებლობა-მონადირეობაზე, რაზეც მიუთითებს ზემოთადნიშნული ძვლოვანი ნაშთები. მცენარეული საკვების მოპოვებაში, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა ძვლის წვერწამახული და ნამუშევარი თოხისებრი იარაღი. ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს მომპოვებელი მეურნეობის პრიმიტიულ, ჩანასახოვან სახედ. ამ თვალსაზრისით აფიანჩას (თანამედროვე გულრიფშის რაიონი) აღმოჩენებს არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ.

გარკვეული ძვრები მეურნეობის ხასიათში იწვევს ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ სფეროში. ამ პერიოდისთვის პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფი, როგორც ერთეული, დაშლილი და გამქრალი ჩანს და საფუძველი ეყრება გვაროვნულ წყობილებას, მის უადრეს საფეხურს - ადრემატრიარქალურ გვარს. შესაძლებელია, ამავე პერიოდში ვივარაუდოთ ადრეტომობრივი გაერთიანებებიც. აშკარაა, რომ მოსახლეობა ხანგრძლივადაა დასახლებული ერთ ადგილზე, რაც საკმაოდ ორგანიზებული და მჭიდრო კავშირში მყოფი ერთეულების არსებობის გარეშე შეუძლებელია. პირველი ასეთი ორგანიზაცია კი მხოლოდ მატრიარქალურ პრინციპზე დამყარებული გვაროვნული თემი უნდა ყოფილიყო. ეს თემები ერთიანდებოდა ტომობრივ გაერთიანებებაში, რისი ჩანასახიც უკვე ზედა პალეოლითიდან შეინიშნება. სავარაუდოა ზედა პალეოლითის ხანაში საქართველოს შავიზღვისპირეთში რამდენიმე ტომობრივი გაერთიანების არსებობა. მონათესავე ტომები შემდგომში იფანტებიან მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია საერთოკავკასიური ერთიანი კულტურული ერთობის დაშლა, რისი ასახვა ლოკალური რეგიონების ჩასახვა უნდა იყოს. მატერიალური კულტურის ძირითადში ერთგვაროვანი ხასიათი თითქოს იმისკენ მიგვანიშნებს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე ტომებში საგრძნობი ეთნიკური ცვლილება არ მომხდარა. ფართო ტერიტორიაზე განსახლებას კი უნდა გამოეწვია ენობრივი ერთობის თანდათანობითი დაშლა. ეს პროცესი სწორედ პალეოლითის ბოლო და მეზოლითის ეტაპზე უნდა დაწყებულიყო.

ნეოლითი ანუ **ახალი ქვის** ხანა (ძვ.წ. IX-VI ათასწლეულები) საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ამ დროს ხდება ძირეული ძვრები მეურნეობის ხასიათში, როდესაც პალეოლითური მითვისებითი მეურნეობა მწარმოებლურ საფუძველზე გადადის. ნეოლითში ხდება წარმოებითი მეურნეობის ძირითადი სახეების – მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარება.

მეურნეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებამ გამოიწვია დიდი ძვრები საზოგადოებრივ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფეროში. ადამიანი მკვიდრად უკავშირდება მიწას და მყარად სახლდება მასზე. ჩნდება სოფლის ტიპის დასახლებანი ხელოვნური საცხოვრისით. ჩნდება ახალი ტიპის იარაღები, ახალი ტექნიკური ჩვევები: გახეხვა-გაპრიალება, გახვრეტა, გახეხვა, მაკროლითური ტექნიკა. ამ ტექნიკით არის დამზადებული ნეოლითური ცულები, რომლებიც საკმაოდ ეფექტური და პროდუქტიული იარაღია და გვიან საფეხურზე ჩნდება.

მწარმოებლური მეურნეობის გაჩენამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სახეობაზე მოახდინა გავლენა. სწორედ ამის გამო ამ მოვლენას „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ. ეკონომიკური რევოლუცია უნდა მომხდარიყო იქ, სადაც ამისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ამის გამო ნეოლითური კულტურა ყველგან ერთდროულად არ ჩამოყალიბებულა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მომზადებული წინააზიური რეგიონი აღმოჩნდა, რომელშიც ექცევა დასავლეთ ამიერკავკასია აფხაზეთის ჩათვლით. ნეოლითური კულტურის ფორმირება აქ მოხდა ადგილობრივი მეზოლითის ევოლუციური განვითარების შედეგად, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ქვის მიკროლითურ ტექნიკაში.

ნეოლითური კულტურის ძეგლები ნაკლებადაა შესწავლილი. აშკარაა, რომ მათი კონცენტრაცია ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება. მათში ორ საფეხურს გამოყოფენ – ადრეული და გვიანდელი ნეოლითი. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა აშკარად გვიანი პერიოდის ძეგლებზე შეინიშნება. აფხაზეთის ტერიტორიაზე ნეოლითური

ძეგლები რამდენიმე პუნქტშია დაფიქსირებული[1]. ყველაზე ადრეული ჩანს ღუმურიშის ნასახლარი, რომელიც „უკერამიკო ნეოლითურ“ ძეგლთა რიგს უნდა მიეკუთვნოს. ქრონოლოგიურად მასთან ყველაზე ახლოს დგას გალი I-ის ნასახლარი, შემდგომ მოდის ლემსა, კისტრიკ-ჩხოროთოლი, ათარა.

განსაკუთრებით სიახლოვე შეინიშნება ყუბანისპირეთის მასალებთან (კამენომოსტკოე) და, შესაძლოა, მათთან ერთად ერთ ლოკალურ ვარიანტს ქმნიდეს. მეორე ასეთი ლოკალური ვარიანტი ისახება დასავლეთ საქართველოს დაბლობის ძეგლების სახით (ანასეული I და II, ოდიში, გურიანთა, პალური, მამათი, თეთრამიწა, სათაფლია და სხვ.). ყოველი მათგანი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, რაც ეტაპების მიხედვით მათი ქრონოლოგიური დაჯგუფების საშუალებას იძლევა. მასალის ძირითადად ერთგვაროვანი ხასიათი საფუძველს იძლევა დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთიანი მატერიალური კულტურის ორი ლოკალური ვარიანტი ვიგულისხმოთ.

2. ენეოლით-შუაბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. V-II ათასწლეულის შუახანები)

„ენეოლითი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სპილენძ-ქვის ხანას, ხშირად მას „ხალკოლითსაც“ უწოდებენ (ბერძნულად ხალკოს „სპილენძი“). სპეციალურ ლიტერატურაში ბოლო დროს ენეოლითურ ხანასა და კულტურას უფრო ხშირად ადრესამიწათმოქმედო კულტურას უწოდებენ.

ამ კულტურის ძეგლები კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არცერთი მათგანი ბოლომდე არ არის გათხრილი, რაც ძალიან აძნელებს მისი ნასახლარების, მშენებლობის ტექნიკისა და სხვა სამეურნეო მნიშვნელობის ფაქტების სრულად დადგენას[1]. ადრესამიწათმოქმედო ხანის ძეგლები (ენეოლითი) აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების ორი ტიპით არის წარმოდგენილი: ღია სადგომები და მღვიმე-ნაბინავარი. აფხაზეთის ენეოლითური ძეგლები ძირითადად ერთგვაროვან მასალას შეიცავს: ქვა, ძვალი, თიხის ჭურჭელი; ამ ეპოქაში გამოჩენას იწყებს ლითონის პირველი ნივთები, რომლებიც თვითნაბადი სპილენძისაგანაა დამზადებული ცივი გამოჭედვის გზით.

აფხაზეთის ენეოლითური კულტურა გენეტიკურად უკავშირდება წინამორბედ ნეოლითს. ნეოლითური კულტურის ტრადიციების გაგრძელება-განვითარება მკაფიოდაა გამოსახული ისეთ წამყვან ელემენტებში, როგორიცაა დასახლების ტიპი, მეურნეობის სახეობანი, ქვის ინდუსტრია, კერამიკული ნაწარმი და შემკულობა.

ენეოლითის ხანაში დასახლების ორი ტიპი დგინდება: მღვიმეები და ღია ნასახლარები. მღვიმეებს მიეკუთვნებაა: ოქუმი[2], ვორონცოვის მღვიმის ფარდული „ოჩაუნი“[3], ახშთირი[4]. ღია ნასახლარებია: ფსოუ[5] ათარა[6], მაჭარა[7], გვანდრა[8] და სხვ. ნასახლარებზე მყარი ნაგებობის ნაშთი აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა გამთხრელები ვარაუდობენ, მაჭარასა და გვანდრაზე მიწურები და ნახევრადმიწურები უნდა ყოფილიყო, რომელთა ზედა ნაწილი სარ-ლასტზე მოწნული და ხშირად თიხით შელესილი „ფაცხისებური“ ტიპისა უნდა ყოფილიყო.

---

[1]. ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ,. 1972; ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა..., გვ. 35-44; მისივე: საქართველოს არქეოლოგია, გვ. 41-56; კ. კალანდაძე. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა. თბ., 1986; Ю. Воронов. Археологическая карта, გვ. 17; О.Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2006, გვ. 26.

[1] . გ. ფხაკაძე. აფხაზეთის ენეოლითური ძეგლები. - აფხაზეთი. I თბ., 2006, გვ. 20-29.

[2]. გ.ფხაკაძე. ოქუმის გამოქვებულის ენეოლითური ნაშთები. – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII. თბ., 1979, გვ. 68-76.

[3] . Л.Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского причерноморья эпохи энеолита и бронзы – стоянки Воронцовской пещеры. - Труды Абх. ИЯЛИ, 29. Сухуми, 1958,გვ.. 115-135.

[4] . ს. ზამიატნინის გათხრები. მასალა ინახება პეტერბურგში. ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის მუზეუმში.

[5] . Л.К. Соловьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[6] . М.В. Барамидзе, Г.Г. Пхакадзе, А.З. Орджоникидзе. Раскопки в С. Атара. - Арх. открытия. 1977 г. М., 1977, გვ. 174-175.

[7] . В.В. Бжания. Поселение Мачара эпохи энеолита и ранней бронзы в Абхазии. – Совет. Археология, I. М., 1966, გვ. 113-126.

[8] . И.И. Цвинария. Поселение Гуандра. Тб., 1978.

ნასახლარებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად ერთგვაროვანია. ესაა ქვა, კაჟი, კერამიკა. იშვიათია ძვლისა და რქის ნივთები. მასალა თავმოყრილი იყო სავარაუდო საცხოვრებელთა იატაკებზე, ან ქვით შემოწყობილი ნაცროვანი ორმოების (კერების) გარშემო.

ქვის ინდუსტრია ენეოლითური საზოგადოების მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს. ქვის იარაღების ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ანალიზი აშკარად ადასტურებს, რომ ინდუსტრია ძლიერი ნეოლითური ტრადიციების კვალს ატარებს. ფართოდ იხმარება რიყის ქვის, ბაზალტის, სერპანტინის და ქვის სხვა ჯიშებისაგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცალპირლესილი და სოლისებური ცულები, სათლელები, სატეხები და სხვ. ნეოლითშივე იწყებს გამოჩენას ქვის იარაღების დამუშავების ახალი ტექნიკა – ატკეცვა და მოკოდვა, რომლებიც ენეოლითსა და შემდეგ ადრებრინჯაოს ხანაში ვითარდება და უნივერსალურ ხასიათს იღებს.

ატკეცვა-მოკოდვითაა დამზადებული ენეოლითური იარაღების უმრავლესობა: ცულები, სატეხები, სათლელები, თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები. ფართო ხმარებაში იყო სიბრტყით გაპობილი რიყის ქვები, რომელთა ნაპირების დამატებით ჩამოტეხისა და წამახვილების შედეგად ისინი გამოიყენებოდა საფხეკებად, საჭრისებად და სხვ. ქვის ინდუსტრიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვის თოხებს, ე.წ. სოჭი-ადლერის ტიპის თოხები სოჭი-ადლერის რეგიონის ძეგლებს ახასიათებს. ხოლო სოხუმის რეგიონში კი თოხები განსხვავებული ფორმისაა და მათ „სოხუმის ტიპის“ თოხებს უწოდებენ. თოხის ეს ორივე ტიპი ადრებრინჯოს ხანაში განაგრძობს არსებობას.

კაჟის იარაღები უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი. ესაა ანატკეცები და უხეში ლამელები რეტუშის გარეშე, ზოგჯერ ნამუშევრობის კვალით. გამონაკლისს წარმოადგენს ოქუმის და ახშთირის მღვიმეები. აქ ნაპოვნია გეომეტრიული მიკროლითები, ტრაპეციები და სეგმენტები; ასეთივე კომპლექსითაა კაჟის იარაღები წარმოდგენილი ახშთირის მღვიმეში. ნეოლითური ტრადიციები თავს იჩენს კერამიკულ ნაწარმშიც. თიხის შემადგენლობა, ფორმები და ორნამენტი ამის აშკარა საბუთია.

კაჟის ორმხრივ დამუშავებული ისრისა და შუბისპირების სიმრავლით გამოირჩევა ფარდული „ოჩაჟნი“. ზემოთაღნიშნული იარაღები მიგვითიებენ, რომ მღვიმეთა ენეოლითური კულტურული ფენები ამავდროულ ღია ნასახლარებზე (მაჭარა, გუანდრა) უფრო ადრეულებია. ამას მოწმობს არა მარტო კაჟის ინდუსტრიის დეგრადაცია, არამედ კერამიკული პროდუქციაც.

აფხაზეთის ენეოლითური ძეგლების ასაკის განსაზღვრისათვის არსებობს ერთი თარიღი ჩ[14] მაჭარის ნასახლარის ძირა IV ფენიდან 3810 90, მაგრამ შესწორებული, კალიბრებული დათარიღებით ეს კულტურა უკვე ძვ.წ. V ათასწლეულში გადადის.

ქვისა და კაჟის იარაღების მორფოლოგიური ანალიზი ცხადყოფს რომ სხვადასხვა ჯგუფების ნასახლარებზე მეურნეობის განსხვავებული ხასიათი ფიქსირდება.

ღია ტერასულ ნასახლარებზე (მაჭარა, გვანდრა, ფსოუ, გვადიხუ) „პიკის“ ტიპის წერაქვისებური იარაღების სიჭარბე სამიწათმოქმედო საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

მიწათმოქმედებას უკავშირდება ასევე „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები და ხელსაფქვავები. ამავე ძეგლებზე ნანახი ქვის მრგვალი ან ოვალური ფორმის ბადის საწაფები მეთევზეობის მნიშვნელოვან როლზე მიგვითითებს.

მღვიმურ ნასახლარებზე (ოქუმი, ოჩაჟნი, ახშთირი) სამიწათმოქმედო ხასიათის იარაღები არ ჩანს. „ოჩაჟნისა“ და ახშთირში ისრისა და შუბისპირების არსებობა ადასტურებს, რომ ამ ძეგლების მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მონადირეობას ეჭირა.

აფხაზეთის ენეოლითური მასალები, ქვის იარაღები და განსაკუთრებით თოხები ახლო მსგავსებას პოულობენ წინა აზიის ძეგლებში (ხასუნა, სიალკი, ჯემდეთ-ნასრი, სუზა და სხვ.). ეს მასალები მჭიდრო კავშირს ავლენენ აგრეთვე რიონ-ყვირილას აუზის მღვიმეების თანადროულ მასალებთან. დასავლეთ ამიერკავკასიის ამ ორივე რეგიონის მასალები კულტურის მთელი რიგი წამყვანი ელემენტებით გარკვეულ ურთიერთობაშია ჩრდილოეთ კავკასიის – ყუბანისპირეთის ცნობილ ადრემაიკოპურ კულტურასთან[1]. ენეოლითური კულტურის უშუალო მემკვიდრეა ბრინჯაოს ხანა, რომელიც ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანად იყოფა.

IV ათასწლეულის ბოლოსათვის მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ცხოვრებაში თავს იჩენს პროგრესული ცვლილებანი, რომლებიც ისტორიული განვითარებით იყო

---

[1] . **А.А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. М.,1965.**

განპირობებული. მთელი მომდევნო ათასწლეულის მანძილზე ეს ცვლილებები მატულობს. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მესაქონლეობის ახალი ფორმები, ხელოსნობის, პირველ რიგში მეტალურგიის განვითარება, განაპირობებდნენ საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და ახალ საწარმოო ურთიერთობებს, რომლებიც ასახვას პოულობდა მატერიალურ კულტურაში.

მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ მაღალგანვითარებულ მეტალურგიასთან ერთად შექმნა ახალი ეკონომიკის მყარი საფუძველი, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ დროისათვის საბოლოოდ მთავრდება დასავლეთ ამიერკავკასიის, მათ შორის აფხაზეთის, მთელი ტერიტორიის ათვისება. თუმცა ბუნებრივია, რომ კულტურული ფენები ყველა ძეგლზე ერთნაირი სიძლიერით არ არის წარმოდგენილი. მდვიმე-ნასახლარებზე ადრებრინჯაო-ენეოლითის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს (ვორონცოვის მდვიმე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე განლაგებული ნასახლარები მაჭარა, გვანდრა). კულტურული ფენები უფრო ინტენსიურად ჩანს ბუნებრივი შემაღლებების ფერდობებზე და ხელოვნურ გორა-ნამოსახლარებზე (ოჩამჩირე, ფიჩორი).

ძვ. წ. III ათასწლეული არის ადრებრინჯაოს ქრონოლოგიური ჩარჩო. იმ პერიოდში საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური დაწინაურების ძირითად საფუძველს მეტალურგია წარმოადგენს.

ლითონი (სპილენძი თავისი ბუნებრივი შენარევებით), რომელიც ერთეული ცივი ჭედვით დამზადებული ნივთებით იყო ცნობილი წინამორბედ ენეოლითურ ეპოქაში, სწრაფ აღამვლობას განიცდის. ადამიანებმა ისწავლეს მადნიდან სპილენძის გამოდნობა, მასში სასურველი რაოდენობით სხვადასხვა მინარევის შეტანა ჯერ დარიშხანისა ან ანთიმონისა, ხოლო შემდეგ უკვე კალისა.

ლითონის გამოდნობის მიგნებამ ადრებრინჯაოს საზოგადოებას საშუალება მისცა მრავალგვარი იარაღები დაემზადებინა როგორც სამეურნეო, ასევე საბრძოლო მიზნებისათვის. შეიქმნა და გამოიყო ცალკე ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ლითონის წარმოება-ჩამოსხმაში იყო დახელოვნებული. ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია იარაღების წარმოების სერიული ხასიათი.. ამის დამადასტურებელია ის მრავალრიცხოვანი ღია და ორსაგდულიანი ყალიბები, რომლებიც მრავლადაა ნასახლარებზე აღმოჩენილი (ფიჩორი).

მადანი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მოჰქონდა მდ. ბზიფის ზედა წელზე არსებული სპილენძის საბადოებიდან. ბაშკაფსარის სპილენძის საბადოებზე დადასტურებულია როგორც ღია გამონამუშევრები, ასევე შახტები და შტოლნები, რომლებიც, როგორც თვლიან, ფუნქციონირებდნენ ძვ.წ. III ათასწლეულიდან ძვ.წ. VIII ს.-მდე. დასავლეთ ამიერკავკასიაში ამ პერიოდში დაფიქსირებულია მეორე მძლავრი მეტალურგიული კერა რიონ-ყვირილას ზედა წელზე.

ადრებრინჯაოს ადრეულ საფეხურზე საცხოვრებლად ისევ გამოიყენება კარსტული გამოქვაბულები (ვორონცოვის მღვიმის „კოლოკოლნი“ და „ზალოჟნი“ გროტები)[2]; ამ მღვიმეებში თიხატკეპნილი იატაკების ნაშთებიცაა შემორჩენილი, რომლებშიც ზოგჯერ კერებია ჩალესილი. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა ნასახლარებზე - მაჭარასა[3] და გვანდრაზე მიწურები და ნახევარმიწურები გვხვდება. ისინი მრგვალგეგმიანი ან ოთხკუთხა ძირბრტყელი ორმოებია, რომელთაც გარშემო სარების ჩასამაგრებელი ორმოები შემოუყვება. ვარაუდობენ, რომ ხის კარკასები ლერწმის ტიპის სპეციალური მცენარით იყო შემოწნული. მთელი ეს კონსტრუქცია შემდეგ შიდა და გარე მხრიდან თიხით იყო შემოლესილი. სათავსოების ასაგებად მოედნები წინასწარ იყო მომზადებულ-მოტკეპნილი[4].

სულ სხვა სურათია განვითარებული ფინალური ეტაპის ძეგლებზე, გორა-ნასახლარებზე. ისინი დაბალი ხელოვნური ან ბუნებრივი გორაკებია, რომელთაც გარშემო სადრენაჟო თხრილები უვლის. ასეთი ბორცვები საკმაოდ ახლო-ახლოსაა განლაგებული და ერთმანეთს თხრილებით უკავშირდებიან (ოჩამჩირე, ფიჩორი).

აფხაზეთის ადრებრინჯაოს პირველი ძეგლი აღმოჩენილ იქნა ოჩამჩირის რაიონში მდ. ჯუყმურის ზღვასთან შერთვის ადგილას. 3 ნასახლარი ბორცვიდან ერთ-ერთზე – დასავლეთის

---

[2] . იხ. ვრცლად გ. ფხაკაძე. დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III. თბ., 1975.

[3]. В.В. Бжания. Поселение Мачара... - Совет.Археология, I. М., 1966.

[4]. И.И. Цвинария. Поселение Гуандра. Тб., 1978.

ბორცვზე (მ.ივაშჩენკო, ლ.სოლოვიოვი,[5] ბ.კუფტინი[6]) ნასახლარი ფენა ზღვის დონეზე დაბლა ჩადიოდა. დაფიქსირდა რიყის ქვით მოკენჭილი თიხით გადალესილი მოედნები, რომლებზეც მოწნული და თიხით შელესილი „ფაცხის“ ტიპის ნაგებობები იდგა.

მეორე ძეგლზე, გუმისთაში (სოხუმის რაიონი) ნაგებობის არანაირი კვალი არ აღმოჩენილა. აქვე გაითხარა ყორღანი, სადაც მიცვალებულები მოკრუნჩხულ მდგომარეობაში გვერდზე იყვნენ დასვენებულნი.[7]

ოჩამჩირესა და გუმისთის ნასახლარებზე მოპოვებული მასალა – კერამიკა და ქვის იარაღები სავსებით იდენტურია ამავე დროისა და ასეთივე ტიპის კერამიკული თუ ქვის მასალებისა. ადრებრინჯაოს კულტურას მისი პირველი აღმოჩენის პუნქტის მიხედვით ოჩამჩირული კულტურა უწოდეს და ასეა ცნობილი ლიტერატურაში. მაგრამ ამავე ეპოქას „პროტოკოლხურ კულტურასაც“ უწოდებენ[8]. ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა ამ პერიოდის ძეგლთა შესწავლამ ნათელყო, რომ ერთგვაროვანი ადრებრინჯაოს კულტურა მთელ სანაპირო ზოლსა და ბორცვოვან ზოლზეც ვრცელდება, ამიტომ ლიტერატურაში შეხვდებით ტერმინს „კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა“ (გ. ფხაკაძე)[9], რომელშიც ძირითადი ერთგვარონების მიუხედავად სამი ლოკალური რეგიონი გამოიყოფა: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (აფხაზეთი), ცენტრალური კოლხეთი და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი (აჭარა-გურია). ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ფიჩორის ნასახლარმა (გალის რ-ნი). იგი შეიძლება ეტალონურად ჩაითვალოს, რადგან ცენტრალურ ბორცვზე დაფიქსირდა 8 კულტურული ფენა: ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი - ძვ.წ. IIს. დასაწყისი[10], აქედან ადრებრინჯაოს VII და VIII ფენები განეკუთვნება. სისქით 3მ. ქვედა მე-8 ფენაში დაფიქსირდა ხიმინჯებზე დაყრდნობილი ხის ბაქნიანი სათავსოების ნაშთები, რომელთა იატაკები თიხით იყო მოლესილი. წნელის ანაბეჭდიანი ბათქაშების მიხედვით კედლები მოწნული და თიხით შელესილი უნდა ყოფილიყო. ნასახლარის მე-8 ფენაშივე აღმოჩნდა „საკულტო“ სათავსო, რომლის იატაკზე კერის გარშემო თავმოყრილი იყო მრავალგვარი თიხის ჭურჭელი, ქვის იარაღები, ხის სახნისები, ლითონის ნივთები და თიხის ორსაგდულიანი 60 ყალიბი. ფიჩორის ნასახლარისა და აქ აღმოჩენილი არტეფაქტების შესწავლამ საფუძველი მისცა მკვლევარებს (მ.ბარამიძე, გ.ფხაკაძე, ლ.ჯიბლაძე) სრულად აღედგინათ ადრებრინჯაოს ხანის საზოგადოების ცხოვრების, მეურნეობის, ეკონომიკის, საწარმოო იარაღებისა და საკულტო წეს-ჩვეულებათა განვითარების სურათი.

აფხაზეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა ენეოლითის მემკვიდრეა. ქვის ინდუსტრიას ძლიერი ენეოლითური ტრადიციები ეტყობა: რიყის ქვის იარაღები ატკეცვისა და მოკოდვის გზით არის დამზადებული.

კაჟის წარმოება დაცემულია, ნუკლეუსები ამორფულია, ამორფულია ანატკეცთა უმრავლესობაც. ლამელები არ არის. საფხეკები, საჭრისები და სახოკებიც ძალზე მცირე და ატიპურია. კაჟის ისრისწვერი სულ სამია; სამივე ასიმეტრიული, ფრთებდაშვებული, ერთი მათგანი ყუნწიანია. ასეთი ფორმისაა ხელშუბისპირებიც. საყურადღებო ფაქტია ნასახლარზე კაჟის ნამგლისპირების არსებობა, რომლებიც ორმხრივ დამუშავებულია, გვერდებდაკბილული.

ჭურჭელთა უმეტესობა ხელით ნაძერწია. თიხის ცომს ურევია კალციტი, შამოტი, ქარსი, კირი, კვარცი; გამომწვარია მურა-მოვარდისფროდ, მურა-მოწითალოდ, ლეგა და მოყავისფროდ; ფორმებია: ქილები, ქოთნები, დერგები, ჯამები, კოჭების ტიპის და კასრისებური ჭურჭლები. უმრავლესობას ზედაპირზე ნაფოტით მოსწორებული პარალელური ზოლები ეტყობა. ფუნქციურად ისინი სამზარეულო და სამეურნეო (სანოვაგისა და სითხის შესანახ) ჭურჭლებს წარმოადგენდნენ.

ყური ჭურჭლის ყველა ტიპს ახასიათებს. უპირატესია პირსა და მხარზე დამაგრებული ყურები, განსაკუთრებით დიდი ზომის ჭურჭელზე (ქოთანი) და ჯამ-ფიალებზე. დანარჩენებს ყური

---

[5] . Л.Н. Соловьев. Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. - Труды Абх. Института ЯЛИ. Сухуми, 1939; Л.Н. Соловьев. Археологические раскопки близ Очамчири в Абхазии. - С.А., IV. 1937, გვ. 323.

[6] . Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, Т. 5. 1950, გვ. 267.

[7] . В.В. Бжания. Результаты исследования Гумистинского поселения в 1967 г. – КСИЯ, 15. М., 1969.

[8] . თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპიერთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 41; მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრომი; ლ. ჯიბლაძე. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007, გვ. 7-12.

[9] . გ. ფხაკაძე. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1993, გვ. 120-121.

[10] . ითხრებოდა 1980-1991 წწ. საქ. მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციის მიერ, ხელმძღვანელი მ. ბარამიძე. იხ.: მ. ბარამიძე. ფიჩორის ნასახლარი და კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1977.

ყელსა და ტანზე აქვთ მიძერწილი. შემკულობის ყველაზე გავრცელებულ სახეობას სხვადასხვა ფორმის შვერილ-კოპები წარმოადგენს: ძუძუსებური, ქიმისებური, მოგრძო, ოვალური, უნაგირისებური, ჯიბისებური, ყელზე ან მხარზე დაძერწილი რელიეფური სარტყელი.

ფიჩორის და ოჩამჩირის ნასახლარებზე ამ ზემოთ აღწერილი ტრადიციული კერამიკის გვერდით არის მისგან სრულიად განსხვავებული თხელი, განლექილი თიხისაგან ნაძერწი, მუქი პრიალა ზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, რომელიც ადგილობრივი არ არის და უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადრეყორღანულ კულტურაში (თრიალეთი, ბედენი) ცნობილ ნაწარმს.

ადრებრინჯაოს ასაკს განსაზღვრავს ფიჩორის ნასახლარის მე-8 ფენის ჩ-14 თარიღი 2290 60, რომელიც კალიბრების შემდეგ ძვ. III ათასწ. I ნახევრამდე ჩადის.

ამ პერიოდში მაღალ განვითარებას აღწევს მიწათმოქმედება. მიწის დამუშავება ხდება უკვე ხის სახნისის საშუალებით. ფიჩორაში აღმოჩენილია ხის ორი სხვადასხვა ტიპის სახვნელი; ე.ი. მიწათმოქმედება უკვე გუთნურ ხასიათს იღებს, რაც თავისთავად გულისხმობს გამწევი ძალის გამოყენებას. ამის დადასტურებაა მთელ ამიერკავკასიაში ამ დროს გავრცელებული ხარის ფიგურები, რომელთა ნაწილი კისერთან გახვრეტილია. ამავე პერიოდს უკავშირდება ბორბლისა და საზიდარი ტრანსპორტის გაჩენა.

ფიჩორის ნასახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კულტურული მარცვლეულის ნაშთები: ხორბალი, ქერი, შვრია და სხვ. ოჩამჩირის ნასახლარზე აღმოჩენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ხარის, ძროხის), ასევე წვრილფეხა რქოსნების, ღორისა და სხვა ძვლები, რომლებიც მეტყველებენ მესაქონლეობის დიდ როლზე იმდროინდელი ადამიანების მეურნეობაში.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობის რეალურ საფუძველს წარმოადგენდა მეტალურგია. ადრებრინჯაოს ეპოქაში ხდება ლითონის წარმოების მკვეთრი და სწრაფი განვითარება. სერიულად ჩამოისხმება სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. ფიჩორის ნასახლარმა მეტალურგიის უნიკალური ნიმუშები მოგვცა: 60 ორსაგდულიანი ყალიბი ყუამილიანი ცულებისა და სამკუთხა თოხებისათვის, ოთხმხრივი ღია ყალიბი ოთხი სხვადასხვა ნივთისათვის (კოვზი, სატევარი, შუბისპირი და უცნობი ნივთი). ამასთან ერთად აღმოჩენილი იყო საქშენი მილები, ციცხვები, კოვზები, ჭურჭელი ფსკერზე ლითონის ნაშთით და სხვა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ნივთების დამზადება ნასახლარზევე ხდებოდა; ამ ნივთებმა საშუალება მისცა მკვლევარებს, ლითონის იარაღის წარმოების მთელი პროცესი აღედგინათ. სავარაუდოა, რომ ბრინჯაოს მეტალურგიაში გამოიყენებოდა აფხაზეთსა და ზემო რაჭაში მოპოვებული სპილენძის მადანი.

შესანიშნავი ლითონის ნივთები აღმოჩნდა აგრეთვე საშუალო ზომის დოლმენებში, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება: ყუადაქანებული ცულები, ფოთლისებრი სატევარი, მასრაგახსნილი და მასრაშეკრული კავები ზედწნული ორნამენტით, ქინძისთავები და სხვა. ამათ დასამზადებლად გამოიყენებოდა ჩამოსხმის, ცივად ჭედვისა და ცვილის მოდელის დაკარგვის წესი. ზოგიერთი ნივთი ჯერ ჩამოსხმულია ყალიბში და შემდეგ დამატებით არის გამოჭედილი[11]. ლითონის ნივთები დარიშხანიანი სპილენძისაგან იყო დამზადებული. სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით დარიშხანის მინარევი მერყეობდა 2,7%-დან 6,73%-მდე.

მეტალურგიის განვითარებამ, მეურნეობის ინტენსიურმა ზრდამ ოჯახში წინ წამოსწია მამაკაცის წამყვანი როლი და საბოლოოდ ჩამოყალიბდა პატრიარქალური საზოგადოება.

ენეოლითის და განსაკუთრებით ადრებრინჯაოს ხანაში მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მიმდებარე ბორცვიან ზოლში ერთგვაროვანი კულტურა იყო გავრცელებული. ძნელია ამ კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის განსაზღვრა, მაგრამ არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს ტერიტორია იმ დროს ერთი ტომით თუ არა, ერთმანეთის მონათესავე ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ამ ერთგვაროვან კულტურაში ლოკალური რეგიონები გამოიყოფა.

აფხაზეთი სწორედ ერთ-ერთ ასეთ თავისებურ ლოკალურ რეგიონს წარმოადგენს, რომლის ძირითადი დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი არის დოლმენები. ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებს განეკუთვნება ადრეული დოლმენები, რომლებიც პატარა ზომებით გამოირჩევა. როგორც ზღვასთან ახლოს, ასევე მთის ზოლში (ეშერა, აზანთა, ოთჰარა,

---

[11] . Г.Г. Пхакадзе. Восточное причерноморье во второй половине IV-III тысяч. до н. э. (К проблеме культурных конттактов). Петербург, 2000, გვ. 50-59.

ყულანურხვა, შრომა, დოუ). მათ გათხრასა და შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ა. ლუკინს, ლ. სოლოვიოვს, ბ. კუფტინს, ო. ჯაფარიძეს, ი. წვინარიას[12]. დღემდე ცნობილი ყველა დოლმენი დაახლოებით ერთი ტიპისაა. ისინი წარმოადგენენ მეგალითურ სამარხ ნაგებობებს, რომელთაც გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვთ. აგებულია ოთხი ვერტიკალურად დადგმული მასიური ბრტყელი ქვისაგან და მეხუთე ქვითაა გადახურული. ზოგ დოლმენს იატაკადაც ქვის ფილა აქვს. წინა კედელში, რომელიც ყოველთვის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული, მრგვალი ხვრელი აქვს, რომელიც ქვის საცობით იხურებოდა.

დოლმენი კოლექტიური საგვარეულო სამარხია. მასში მეორადი დამარხვის წესი იყო გამოყენებული. მიცვალებულებს ხეებზე კიდებდნენ და დროთა განმავლობაში ხორცისაგან განთავისუფლებული ძვლები დოლმენში წინა ხვრელით შეჰქონდათ. ადრებრინჯაოს ხანას მცირე და საშუალო ზომის დოლმენები განეკუთვნება, დიდი ზომის დოლმენები უკვე მომდევნო ხანაშია აგებული და გვიანბრინჯაოს ეპოქამდე იყო გამოყენებული.

როგორც ცნობილია, დოლმენები ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც, განსაკუთრებით ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე, მაგრამ დოლმენთა აგებულებისა და შიგთავსი მასალის შედარებამ ცხადი გახადა, რომ აფხაზეთის დოლმენები უფრო ადრეულია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიისა[13].

აფხაზეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები და კულტურა თავისი ტრადიციების გაგრძელებას შუა ბრინჯაოს ეპოქაში პოულობს. ეს ხანა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ შესწავლილი პერიოდია. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ძეგლების ნაკლებობაში, ან მათ არასწორ შეფასებაში უნდა ვეძებოთ. პროფ. თ. მიქელაძემ ფაქტობრივად პირველმა დიხაგუძუბა I-ის და II-ის მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთა დასავლეთ საქართველოს მასალებში შუა ბრინჯაოს ხანის არსებობა, რომელიც განისაზღვრა პროტოკოლხური II-ით.[14] ფიჩორი I-ის სტრატიგრაფიულმა ჭრილმა ძირითადად დაადასტურა თ. მიქელაძის კლასიფიკაცია, თუმცა შუა ბრინჯაოს ხანის 2 კულტურული ფენის გამოვლენამ არსებული სქემა დააზუსტა. გამოყოფილ იქნა შუა ბრინჯაოს ხანის ორი ქრონოლოგიური ეტაპი, რომელიც პროტოკოლხური II ა და ბ ფაზებად იქნა დაყოფილი.[15]

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს მიეკუთვნება ფიჩორი I-ს VI–V ფენების, ფიჩორი VI-ს ნაკარღალის III-VI ფენები, ისპანის (აჭარა) ზედა ჰორიზონტი, ანაკლია II, ანაკლია I-ის მეორე-მესამე ფენები, ნოსირის პირველი და მეორე ფენა.

პროტოკოლხურ კერამიკაში გამოიყოფა 3 ჯგუფის ნაწარმი. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ე.წ. შავპრიალა ან ყავისფერპრიალა ნაწარმი. ფორმათა შორის აღსანიშნავია კვერცხისებურტანიანი მოზრდილი ჭურჭელი პირთან მიერთებული ბრტყელი ლენტური ყურებით, პირგაშლილი კოჭბები, მაღალქუსლიანი ვაზები, ბრტყელძირიანი ჯამები, ზიარი ჭურჭელი და სხვა. თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები, განსაკუთრებით ყურები ნაკაწრი, გეომეტრიული, ტალღური ან ტეხილხაზოვანი ორნამენტით არის შემკული.[16]

შავპრიალა ჭურჭლის ნიმუშები ნაპოვნია ოჩამჩირესა და ფიჩორის I-ს VIII-VII ფენებში, ისპანის ქვედა ფენაში. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შავპრიალა ნაწარმი აღმოჩენილია ფიჩორი I-ს VI-IV ფენებში, ფიჩორი VI-ში, ნაკარღალში, ანაკლია I-სა და II-ში, ისპანის ზედა ფენაში და სხვა. თითქმის ყველა ამ ძეგლზე შავპრიალა და ყავისფერპრიალა ნაწარმი ერთეულების სახითაა წარმოდგენილი და თვით ფიჩორში, სადაც ამ ტიპის კერამიკა ყველაზე მრავალფეროვანია, საერთო რაოდენობის 1%-ს აღწევს. აქდან გამომდინარე, საეჭვოა ამ ჯგუფის ადგილობრივ, კოლხურ ნაწარმად მიჩნევა (თ. მიქელაძე), რადგან საზოგადოება თუ ფლობს ამ დონის მაღალხარისხოვანი ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიას, ბუნებრივია, უპირატესად მას აწარმოებს და მოიხმარს კიდეც. ამავე დროს მასიური კერამიკა (99%) ძალზე უხეში, მდარე ხარისხის და სრულიად სხვა ფორმებითაა წარმოდგენილი. მკვლევართა ნაწილი მას შემოტანილ ნაწარმად მიიჩნევს (ლ. სოლოვიოვი, ბ. კუფტინი, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, ე. გოგაძე)[17].ამ კერამიკის პირველად კერად ზოგჯერ მაიკოპის კულტურა მიიჩნევა. თუმცა მასში არ

---

[12] . ო. ჯაფარიძე. დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ-ს შრომები, 1955.; ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

[13] . გ. ფხაკაძე. აფხაზეთის დოლმენების კვლევის ზოგიერთი ასპექტი. – აფხაზეთი, I, 2006, გვ. 138-142.

[14] . თ. მიქელაძე. ძიებანი, გვ. 41.

[15] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი.,.. გვ. 117-145;ლ. ჯიბლაძე.დასახ. ნაშრომი, გვ. 103-126.

[16] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი..., გვ. 117-126.

[17] . იქვე.

დასტურდება ვაზისებური სასმისები, მსგავსი პროფილის ჯამები, გრძელი ლენტური ყურები, ნაკაწრი ორნამენტი. მკვლევართა მეორე ნაწილი (ლ.სოლოვიოვი, ი. ვორონოვი, ჯ. აფაქიძე)[18] ამ კერამიკის სათავეებს წინააზია-ანატოლიის ძეგლებზე ხედავს. აღსანიშნავია, რომ არც ამ რეგიონში ჩანს გავრცელებული მსგავსი პროფილის თიხის ნაწარმი, ნაკაწრი ორნამენტი; იქ ძირითადად გავრცელებულია ყავისფერპრიალა ნაწარმი, შავპრიალა კი ერთეულია.

შავპრიალა კერამიკის წარმომავლობის თვალსაზრისით ყველაზე რეალური გზები ისახება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ფიჩორის კერამიკის ზედმიწევნითი მსგავსება ბედენური იერის ნაწარმთან, კერძოდ, ფორმათა მსგავსება (ჯამები, ვაზისებური სასმისები, ზიარი ჭურჭელი, ლენტისებური ყურები), ნაკაწრი ორნამენტი, კეცი და ზედაპირის მეტალური ბზინვარება ის ელემენტებია, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებს ამ ორ რეგიონს და სვამს საკითხს მათი ერთი კერიდან მომდინარეობის შესახებ. კოლხეთში შავპრიალა კერამიკის გამოჩენა ფაქტობრივად ემთხვევა ბედენ-მარტყოფის კულტურის აყვავების საფეხურს.

კერამიკის მეორე ჯგუფში ერთიანდება უხეში კვარც - და ქარსნარევ ცომის ნაკეთობები. გამომწვარია რუხად, მონაცრისფროდ და ყავისფრად, იშვიათად შავად. ეს არის ტიპური პროტოკოლხური ნაწარმი, რომელიც გავრცელებული ჩანს კოლხეთში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე. ბუნებრივია, მთელი ამ ხანის განმავლობაში შეინიშნება ცალკეულ ფორმათა განვითარების სურათი, თუმცა საერთო იერით ეს პრინციპულად ერთგვაროვანი ნაწარმია.

ფორმებიდან აღსანიშნავია ჰორიზონტალურ ყურებიანი მოზრდილი, პირგაშლილი დერგები, თითისებრი ან ჭრილი ანაბეჭდიანი რელიეფური სარტყლებით, ზოგჯერ „ჯიბისებური“ რელიეფური დანაძერწებით, რაც ძირითადად დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისათვის; სამყურა ჭურჭელი, ვერტიკალურნახვრეტიანი ან ძუძუსებრკოპიანი ჯამები, ცილინდრულტანიანი ქილები ვერტიკალური, ხშირად დუბლირებული ყურით, უპირატესად ზედა ნაწილში ნაჭდევი ორნამენტით; თხელკედლიანი ხელადები, მცენარის ან ჭილობის ანაბეჭდებით შემკული ძირები. ვხვდებით რქისებურ სადგრებსაც.

შუა ბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურზე ვხვდებით მესამე ჯგუფის კერამიკულ ნაწარმსაც. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ჯამისებრი ფორმები, მოშავო ფერი, ზოგჯერ ნაპრიალევი ზედაპირი, შედარებით უკეთესად დამუშავებული კეცი. ისინი შემკულია კოპის ან პატარა ცრუ ყურის ირგვლივ დატანილი კონცენტრული წრეებით, ნახევარრკალებით, შევრონებით. ამ ჯგუფის კერამიკას გარკვეული შეხების წერტილები აქვს ტერამარების კულტურის ნაწარმთან ევროპაში[19] და, შესაძლოა, საქმე გვქონდეს კულტურულ გავლენასთან აღმოსავლეთ ევროპის მხრივ. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთის ადრეთრაკიული ნამოსახლარებიდან იგრძნობა გარკვეული იმპულსები ძვ. წ. VII-VI სს. კოლხურ კერამიკაზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან კავკასიისაკენ პერიოდული კავშირები ასახვას პოულობს მატერიალურ კულტურაში.

ეს კერამიკა თავს იჩენს ფიჩორი I-ის IV ფენაში, სადაც მას ახლავს მეორე ჯგუფის, უხეში რელიეფურჭრილი ორნამენტით შემკული კერამიკა და გვიანბრინჯაოს საწყისის ისეთი ტიპური მასალა, როგორიცაა ფრინველისმკერდისებრი და პირთან მიერთებული ორფერდა ყურები. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ საფეხურთან, რომლის მიკუთვნება რომელიმე ამ პერიოდისადმი საფუძველს მოკლებულია. საყურადღებოა, რომ მსგავსი ნარევი მასალა დაფიქსირებულია ნამჭედურის ქვედა (VI) ფენებში, ანაკლია I-ის III ფენაში, ნოსირის I ფენაში, ერგეტის IV–V ფენებში. ამგვარად, კოლხურ ნამოსახლარებზე გამოიყოფა მთელი პლასტი, რომელიც აშკარად შუიდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ეტაპში უნდა გაერთიანდეს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ინტერდისციპლინარული მეთოდებით შესაბამისი ფენების დათარიღება (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები).

პროტოკოლხური II ეტაპის კერამიკის შესწავლა სტრატიგრაფიულ ჭრილში, როგორც ზემოთ ითქვა, საშუალებას იძლევა შუაბრინჯაოს ხანის ნაწარმი პირობით ორ ქრონოლოგიურ საფეხურად გაიყოს: პროტოკოლხური IIა და IIბ. პროტოკოლხური IIა საფეხურს განეკუთვნება ფიჩორი I-ის VI კულტურული ფენა, მაჭარა III-ის ფენა, გუმისთა I, გვანდრა – ზედა ფენა, ახრა ყაპში და პალი. ამ პერიოდის განმსაზღვრელად ჩანს გრძელი ლენტური ყურები, რომლებიც სათავეს VIII–VII ფენებში იღებს, მაგრამ აღარაა V ფენაში; ქრონოლოგიურად პროტოკოლხური

[18] ჯ. აფაქიძის მოხსენება სიღნაღის საერთაშორისო სიმპოზიუმზე. 1995.
[19] Б.А.Куфтин. დასახ. ნაშრომი, გვ. 237-240; თ. მიქელაძე. ძიებანი, გვ. 21.

IIა მოიცავს პერიოდს ძვ.წ. XXს. მეორე ნახევრიდან XVIIIს. ჩათვლით. პროტოკოლხური IIბ საფეხურს მიეკუთვნება ფიჩორი I-ის V ფენა, ფიჩორი VI, ნაკარღალის IV–VI ჰორიზონტები, ანაკლია II-ის ზედა ფენა; ანაკლია I-ის III ფენა; ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩანს ჭილოფის ანაბეჭდიანი ან ღრუქუსლიანი ძირები, ჰორიზონტალური, წყვილადი ან ზემოდან დაკეჭნილი ყურები, ვერტიკალურხვრელიანი ან ძუძუსებრი კოპით შემკული ჯამები, რქისებური სადგრები, შავპრიალა ჭურჭლის მინაბაძები ჭრილი ორნამენტით, ლენტური ყურები, ფართო, ბრტყელი ყურები და სხვა. აღსანიშნავია, რომ არის ფორმები, რომლებიც ახასიათებს ორივე საფეხურს. ქრონოლოგიურად IIბ მოიცავს ძვ.წ. XVII-XVIსს., შესაძლოა, XVIს. პირველ ნახევარს.

შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს ყუამილიანი ცულების რამდენიმე ვარიანტი წარმოადგენს. პირველ ვარიანტში ე.წ. საჩხერული ცულები გავრცელებული ჩანს ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის საფეხურზე და ძირითადად კოლხეთის მთიანი და მთისწინა ზოლშია გავრცელებული. მეორე ვარიანტში ერთიანდება ცულები აფხაზეთის დოლმენებიდან და თრიალეთის ადრეული ყორღანებიდან. პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, მათ შედარებით მოკლე სატარე მილი, მოხრილი, მაგრამ საკმაოდ მასიური ტანი და ოდნავ გაფართოებული პირი ახასიათებს.

ფიჩორში აღმოჩენილი ცულის ყალიბების თუ ცულების ქრონოლოგიური დიაპაზონი ხანგრძლივია და მოიცავს ძვ.წ. XXIII-XVსს. ამ ცულებს ახასიათებს სწორი ექვსწახნაგა ტანი, ზემოდან რელიეფური ზოლებით შემკული მოკლე სატარე, მომრგვალებული პირი. მათი ორიგინალური ფორმა საშუალებას იძლევა ისინი ცალკე ყუამილიანი ცულების „ფიჩორულ“ ვარიანტში იქნენ გაერთიანებული. ამ ტიპის მეტ-ნაკლებად მსგავსი იარაღი ცნობილია კრასნოდარიდან, განთიადიდან და სვანეთიდან. შეინიშნება გარკვეული მსგავსება ურუპის და ფასკაუს იარაღთან. ჩრდილოკავკასიური იარაღების სამხრეთული პროტოტიპები სწორედ „ფიჩორულ ვარიანტშია“ საძებნელი, რაზეც მიგვითითებს სწორი ტანი და მორკალური პირი.

ქვის ცულებს ახასიათებს მოგრძო, ცილინდრული ფორმა, მომრგვალებული ყუა, სოლისებური ფართო პირი. შუა ნაწილში დატანილია ხეხვით შესრულებული სატარე. მათი გამოჩენა ხდება ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს, უდიდესი რაოდენობა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთშია მოპოვებული და, შესაძლოა, რეგიონის ლოკალურ ნიშნად იყოს მიჩნეული.

სატევრისპირი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებადგავრცელებული იარაღია. გვაქვს რამდენიმე ცალი საჩხერიდან, დოლმენებიდან და 2 ც ფიჩორი I-დან. მათი გამოჩენა ხდება ადრებრინჯაოს ხანაში, თუმცა VI ფენაში მისი აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ ისინი შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც გამოიყენება, როგორც ჩანს, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მეორე ტიპის სატევრისპირიც, რაზეც ფიჩორი I-ის კომბინირებული ყალიბის ერთ-ერთ წახნაგზე ამოკვეთილი ფორმა მიგვითითებს. იგი ბრტყელი, ტოლფერდა სამკუთხედისებურია, უყუნწო. ტიპოლოგიურად უფრო მოგვიანო იერისაა.

ბრინჯაოს თოხი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რამდენიმე პუნქტშია ფიქსირებული. ფიჩორი I-ის, VIII ფენაში აღმოჩენილი 10-მდის ყალიბის და 3 თოხის მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადად 3 ვარიანტის თოხია გამოყენებული. მათი გაჩენა ძვ.წ. III ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედში ხდება, თუმცა არსებობენ შუაბრინჯაოს ხანაში.

კაჟის იარაღი წარმოდგენილია ნამგლის ჩასართებით და შუბის თუ ისრისპირებით. შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ჩანს ცალგვერდდაკბილული, ზოგჯერ ზურგის მხრიდან მორკალული, ვიწროტანიანი ჩასართების ფორმები. ისინი ჩანს უკვე ადრებრინჯაოს ხანაში.

სამკუთხა, სიმეტრიულად ქუსლამოღარული ისრისპირთა ფორმები დამახასიათებელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის, ხოლო ასიმეტრიულად ქუსლამოღარული ფორმები გავრცელებულია ე.წ პროტოკოლხური კულტურის ორივე საფეხურზე.

მატერიალური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროტოკოლხური კულტურის II ეტაპი გენეტიკურ კავშირშია წინარე და მომდევნო საფეხურებთან და მათი გათიშვა შეუძლებელია. შუა ბრინჯაოს ხანის ეს მცირერიცხოვანი მასალა აშკარად გვიჩვენებს, რომ პროტოკოლხური II-ის ორ, ადრეულ და მოგვიანო საფეხურებად დაყოფა რეალურ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

საყურადღებოა საკითხი კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა კავშირურთიერთობის შესახებ. უკანასკნელ ხანებამდის ეს კავშირი საკმაოდ პრობლემატური ჩანდა. ფიჩორის ნასახლარის გათხრებმა მოგვცა ერთგვარი გასაღები ამ საკითხის

გადასაწყვეტად. ცენტრალური ბორცვის IV ფენაში გამოვლინდა ნარევი მასალა, რაც იმაზე შეიძლება მიანიშნებდეს, რომ მომხდარა კოლხური კულტურის ერთი ქრონოლოგიურ-ლოკალური ვარიანტის შეჭრა – შერწყმა იმავე კულტურის იმავე ქრონოლოგიურ-ლოკალურ ვარიანტში. ამ მხრივ ფიჩორი გამონაკლისი არ არის. ასეთივე ნარევობა ახასიათებს ერგეტის ნასახლარს[1], ანაკლია I-ის III ფენას, ნაკარღალის (აჭარა) VI ფენას, ნამჭედურის VI ფენას, ნოსირის II ფენას. ეს გარემოება საფუძველს იძლევა, რომ დასახელებული ძეგლები განეკუთვნოს შუა ბრინჯაოსა და გვიანი ბრინჯაოს ხანების გარდამავალ პერიოდს, როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი ინტენსიურად ითვისებს მთას, მეორე ნაწილი კი რჩება ბარში და აგრძელებს კოლხური კულტურის ტრადიციებს. რადაც ეტაპზე, როგორც ჩანს, ბარში დამკვიდრებული მოსახლეობის ნაწილი მიდის მთაში, სამხრეთელები ინაცვლებენ ამჟამინდელი გალის რაიონისაკენ, რაც იწვევს მიკროკულტურათა ერთმანეთში უმტკივნეულო შერწყმას. ეს პროცესი ასახულია კერამიკაში, მაგრამ ამ კულტურათა მჭიდრო გენეტიკური კავშირი უკეთესად ჩანს ლითონის ნაწარმში, რაც განსაკუთრებით მკაფიოა გარდამავალი ეტაპის მასალებში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კოლხური ცულებისა და სხვა იარაღების (თოხის, შუბისპირის, სატევრის) მონაცემები. ისინი ადასტურებენ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ შეცვლილა შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანების გარდამავალ პერიოდში.

გარდამავალი პერიოდის ძეგლებზე შენიშნული ძვრები დაკავშირებული უნდა იყოს კიდევ ერთ მოვლენასთან, რომლის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების გარკვევისათვის. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში,როგორც უკვე ითქვა, გავრცელებულია დოლმენური კულტურა სპეციფიკური ნაგებობით, დაკრძალვის წესით და ინვენტარით[2]. დოლმენი, როგორც სამარხი, მოულოდნელად წყვეტს არსებობას ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის და ადგილს უთმობს სამარხთა ახალ ტიპებს (კრომლეხი, ოსუარიუმი), თუმცა შეინიშნება გენეტიკური კავშირი დაკრძალვის რიტუალსა და სამარხულ ინვენტარში. როცა მოსახლეობის ნაწილი ტოვებს ბარის ტერიტორიას, ხდება ამ დოლმენური, მოსახლეობის ნაწილის გადაადგილება მთის ზოლისაკენ. ამის საბუთად გამოდგება ბრილის სამაროვანზე გათხრილი ერთი აკლდამა,[3] რომელიც ნაგებია მშრალი წყობით თიხა-ფიქალით ნაგები ქვებიდან. თავისი არქიტექტურული დეტალებით, დაკრძალვის რიტუალით და სამარხეული ინვენტარით (ძირითადად სამკაულით) იგი იმეორებს აფხაზეთის დოლმენების გვიანდელ ფენებსა და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ზოგიერთ კომპლექსს (ღარი, თლი, საჩხერე, ნული). განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება ზემო რუთხის №16 სამარხთან[4], რომელიც ნაგებობით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარით იმეორებს ბრილის აკლდამას. მისი შედარება ბრილისა და თლის კომპლექსებთან გვიჩვენებს, რომ იგი გარდამავალი პერიოდის ძეგლებთან უნდა იქნეს გაერთიანებული და მისი ზედა საზღვარი ძვ.წ. XIVს. საწყისზე მოგვიანო არ უნდა იყოს. ამავე დროს, ზემო რუთხის №16 სამარხის ქვედა ზღვარი ძვ.წ. XIIს. ქვემოთ არ მიდის. ამგვარად, ისახება გზა აფხაზეთის დოლმენებიდან რაჭის გავლით ყობანის ტერიტორიაზე. არქეოლოგიურად დადასტურებული ეს მოვლენა გვიჩვენებს სამხრეთულ იმპულსებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში.[5] ფაქტობრივად ეს არის სამხრეთული გავლენის გავრცელების პირველი საფეხური, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ეთნოკულტურულ ძვრებთან არის დაკავშირებული. ამ გარემოებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყობანური კულტურის სამხრეთული ფესვების ძიების საქმეში.

3. გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანა (ძვ.წ. XVI-VIIსს.)

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ფაქტობრივად მთელ კავკასიაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ძვრები და გარდაქმნები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში. აშკარად მცირდება კულტურული კონტაქტები გარე სამყაროსთან და იქმნება ერთგვარი „კულტურული იზოლაცია“. კავკასიის შიგნით შეინიშნება განვითარების ერთგვაროვანი და ამავე

---

[1]. Т. Микеладзе и др. О работах колхидской археологической экспедиции. – ПАИ в 1984-85гг. Тб., 1987, გვ. 40.

[2] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, გვ. 102-117.

[3] . იქვე, გვ. 142.

[4] . Е.И. Крупнов. Материали по археологии Северной Осетии докобанского периода. – ЛИА, 23. М., Л. 1951, გვ. 49-60; В. И. Козенкова. Культурно-экномические процессы на Северном Кавказе. М., 1966, გვ. 74-103.

[5] . მ. ბარამიძე. კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხისათვის კერამიკული ნაწარმის მიხედვით. – აფხაზეთი I, თბ., 2006, გვ. 49-61.

დროს თავისებური განვითარების ხაზი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდიდან, წინარე ხანების მსგავსად, ყალიბდება ორი სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურა: აღმოსავლეთში – ცენტრალურ ამიერკავკასიური, დასავლეთში კი – დასავლურ-ქართული (კოლხური). თითოეულ ამ კულტურაში ერთიანი მატერიალური კულტურა და განვითარების ერთიანი სურათი შეინიშნება. ამასთანავე ამ კულტურებში შესაძლებელი ხდება ლოკალური რეგიონებისა და მათ შიგნით მიკრო-ლოკალური სამრეწველო კერების გამოყოფა. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია) ამ ერთიანი კოლხური კულტურის ლოკალურ ვარიანტად არის მიჩნეული.[20] საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული პერიოდი ზოგადად ხასიათდება ძეგლთა განსაკუთრებული სიმრავლით. აშკარაა, რომ მეურნეობის სხვადასხვა დარგების, განსაკუთრებით ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის მკვეთრი აღმავლობის შედეგად ხდება ერთგვარი „დემოგრაფიული აფეთქება“, რომელმაც მოიცვა ისტორიული კოლხეთის როგორც დაბლობი, ისე მთიანი კავკასიონის ზოლიც. ამ პერიოდში უკვე შესაძლებელი ხდება ვილაპარაკოთ ხელოსნური წარმოების აღმავლობაზე, განსაკუთრებით კერამიკულ წარმოებასა და მეტალურგიაში, მოზრდილ სამაროვნებსა და ნასახლარებზე, პროტოურბანისტულ დასახლებებზე და სხვა. ეს ყოველივე წინაპირობაა კოლხეთის სახელმწიფოს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მიგვანიშნებს. განსაკუთრებით კარგად ეს მოვლენები შეინიშნება ფიჩორის მრავალფენიან ნასახლარზე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე საკვლევი პერიოდის 300-მდის ობიექტია დაფიქსირებული. ისინი წარმოდგენილია ნასახლარებით, სამაროვნებით, საწარმოო კერებით და განძებით, ე.ი. კულტურის ყველა იმ კომპონენტით, რომლებიც საერთოდ არქეოლოგიური ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი. ბუნებრივია, რომ ყველა მათგანი არ გამხდარა (და ვერც გახდებოდა) მეცნიერული კვლევის ობიექტი, თუმცა რაც შესწავლილია შემთხვევითი აღმოჩენების გათვალისწინებით საშუალებას იძლევა ამ პერიოდის ზოგადი სურათის აღსადგენად. ერთი რამ კი აშკარაა: კოლხური კულტურა აღმოცენებულია ადგილობრივი, თვითმყოფადი კულტურის საფუძველზე და რაიმე კატაკლიზმები ან კულტურულ-ეთნიკური ცვლილებები არ შეინიშნება.

აფხაზეთის ნამოსახლართა შესწავლის დღევანდელ საფეხურზე კოლხური კულტურის აფხაზეთის ლოკალურ ვარიანტში შეიძლება გამოიყოს 3 მიკრორეგიონი. I მიკროლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს მდ. ენგურის ქვემო წელის ნამოსახლარები, ფიჩორის ნასახლარის II-III ფენები და მიმდებარე №2-10 ბორცვები, მზიურის, აბაჟუს, თაგილონის და წარჩეს ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვები, რომელთა არქეოლოგიური მონაპოვარი ძირითადად იმეორებს კოლხეთის დაბლობისა და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლართა მონაპოვარს, ზოგიერთი თავისებური ელემენტით. II ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს მოქვისა და ტამიშის ნამოსახლარები. აქ გვაქვს როგორც ხელოვნურ ნამოსახლართა კომპლექსი ტამიშის სახით, ისე ბუნებრივ ზღვისპირა ტერასაზე განფენილი დასახლება. არქეოლოგიური მონაპოვარი, ერთი მხრივ, მსგავსია I ლოკალური ვარიანტის ნაწარმისა და, მეორე მხრივ, გარკვეულად უკავშირდება III ვარიანტის ნასახლართა მონაპოვარს.

III ლოკალური ვარიანტის ნასახლარები (კისტრიკი, ბომბორა) წარმოდგენილია ზღვისპირა დაბალ ტერასაზე გამოვლენილი კულტურული ფენებით და ნახევრად მიწური წნული, ფაცხისებური ნაგებობებით, რომელიც გვხვდება მეორე ვარიანტის ნასახლარებზე. I ლოკალური ვარიანტის ნაგებობანი ძელური, „ჯარგვალური“ ტიპის ნაგებობებითაა წარმოდგენილი, რაც ტიპურია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფისათვის. აშკარაა, რომ ხის არქიტექტურა ფაქტობრივად ერთგვაროვანია და არ იცვლება კოლხეთის მთელი ისტორიის განმავლობაში. ფაქტობრივად იგივე შეიძლება ითქვას წნულკედლებიან, ბათქაშით შელესილ „ფაცხაზე“.[21] ხის არქიტექტურის პარალელურად სხვა სახის ნაგებობანი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, თითქოს არ დასტურდება. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს „აბაჟუს“ ნამოსახლარი სოფ. პირველ გალში, სადაც ქვედა, ძვ.წ. VIII-VIIსს. ფენაში გათხრილია კლდეში (თირი) ჩაჭრილი სწორკედლიანი (სიმაღლე 3-1,6მ), დასავლეთით გახსნილი ნაგებობის ნაშთები საერთო ფართით დაახლოებით 400მ^2 მეტი.[22] მსგავსი ნაგებობა სადღეისოდ უცნობია კოლხეთის

---

[20] . ო. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 200; მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, გვ. 217; მისივე: კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხისათვის, გვ. 49 და სხვა.

[21] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ... გვ. 57-72; თ. ჩიგოშვილი. ენგურ-კოდორის ორმდინარეთის ნამოსახლართა კულტურა. .... აფხაზეთი I, თბ. 2006, გვ. 133-136.

[22] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, გვ. 38-40; იხ. აგრეთვე ექსპედიციის ანგარიშები 1983-1990წწ.

არქეოლოგიაში. გაურკვეველია მისი დანიშნულებაც, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი წარმოადგენდა საქონლის გადარეკვის დროს დროებით სადგომს[23]. ასეთ შემთხვევაში ერთგვარად გაურკვეველია მისი ორიგინალური კონსტრუქცია, განსაკუთრებული ზომები, გადახურვაში ხის სვეტების გამოყენება და სხვა. იგი უფრო შეიძლება იყოს ხეობის ჩამკეტი, სათვალთვალო, სასიმაგრო სისტემა.

აფხაზეთის ნამოსახლართა სისტემაში შეინიშნება კიდევ ერთი კანონზომიერება. ენგურ-კოდორის ორმდინარეთში, დაბლობ ზოლში, სადაც მრავლადაა ჭაობიანი, ნესტიანი ნიადაგი, ნამოსახლარები გამართულია ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტების გასწვრივ. მსგავსი სურათი ფიქსირდება კოლხეთის დაბლობის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე.[24]

საყურადღებოა, რომ ხელოვნურ ბორცვთა განლაგებაშიც შეინიშნება თავისებურება. ერთ-ერთი ბორცვი იყო ცენტრალური და ნასახლარის არსებობის პირველ ეტაპზე ჰეგემონი. ფიჩორის ნასახლარის მაგალითზე ჩანს, რომ ცენტრალური ბორცვი არსებობს ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან და ცხოვრება მასზე გრძელდება უწყვეტად მთელი 20 საუკუნის განმავლობაში, ვიდრე ძვ.წ. IIIს. დასაწყისამდე (ფენები I-VIII). მხოლოდ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ფენები III-II) მოსახლეობა იწყებს ბორცვის მიმდებარე ტერიტორიის ათვისებას. ძვ.წ. IX–VIII ს-თვის ცენტრალური ბორცვის ირგვლივ ორ რიგად 10 ხელოვნური ბორცვის ათვისება ხდება, სადაც ძირითადად წინარეანტიკურ-ადრეელინისტური (ძვ.წ. VIII-IIIსს) ხანის ფენებია წარმოდგენილი. ამ პერიოდში უკვე ნასახლარს უკავია დაახლოებით 10 ჰექტარი ფართობი. ეს არის მოზრდილი სოფელი, თანამედროვე ტერმინოლოგიით დაბის ტიპისა.

მსგავსი სურათი შეინიშნება კოლხეთის რიგ ძეგლებზეც: ტამიში (აფხაზეთი), ნამარნუ, წყემი, ნოსირი, ნამჭედური, ნაკარღალი და სხვა (კოლხეთის დაბლობი).

ყოველ ბორცვს და ბორცვების მთელ ამ სისტემას შემოუყვება ხელოვნური თხრილი (არხი), რომელიც, როგორც ჩანს, ივსებოდა მდ. ზორღათის წყლით და სამხრეთ-დასავლეთით გადადიოდა ზღვაში. საყურადღებოა, რომ ძვ.წ. IVს. ბერძენი ავტორის ჰიპოკრატეს ცნობა პირდაპირ ადასტურებს კოლხეთში არხების, როგორც საგზაო არტერიების არსებობას. იგი ამბობს: „მათი (კოლხების - ავტ.) სახლები გაკეთებულია წყალზე და მასალად გამოყენებულია ხეები ან ლერწამი. ისინი ცოტას დადიან ფეხით და ისიც მხოლოდ ქალაქში ან ბაზარში. ჩვეულებრივ მოგზაურობენ ნავებით, რომლებითაც ზემოთ და ქვემოთ მიუყვებიან არხებს. არხები კი იქ ბევრია“.[25] აშკარაა, რომ ეს არხები ძირითადად სამიმოსვლო არტერიაა, თუმცა მას, როგორც ჩანს, სხვა ფუნქციაც ჰქონდა. კერძოდ, გამოიყენებოდა თავდასაცავად, სამეურნეოდ და სადრენაჟოდ. ამგვარად, იგი მრავალპროფილიანი დანიშნულების სისტემას წარმოადგენდა.

საყურადღებოა, რომ ფიჩორის ნასახლარის საარხო სისტემა ძალზე კარგადაა შემორჩენილი. ნასახლარიდან არხის კვალი მიემართება ჩრდილოეთით 4 კილომეტრის მანძილზე. 2 კილომეტრში აღმართულია ხელოვნური ბორცვი, „ჯვარალები“, ხოლო 4 კილომეტრში „ნაკარღალი“. აქედან არხის (ღალი-ს) ერთ შტოდ, სავარაუდაოდ (შუალედი მონაკვეთი დაზიანებულია სამეურნეო სამუშაოების დროს) უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და 3 კილომეტრში მიადგება განმუხურის ნამოსახლარ კომპლექსს (5 ბორცვი). აქედან კი არხი მიდის სამხრეთით, ზღვისკენ. ამგვარად, აშკარაა, რომ ერთ საარხო სისტემაში განლაგებულია 4 ერთმანეთის სინქრონული ნამოსახლარი (სოფელი). საყურადღებოა, რომ მსგავსი საარხო სისტემები ფიქსირდება ცენტრალურ კოლხეთში აბაშა-სენაკის რაიონში (წყემი–ძიგურა-კეთილარი და საგვიჩიოს ბორცვები., აგრეთვე ნამარნუს სისტემა ლანჩხუთის რაიონში).

ნასახლარ ბორცვთა აღნიშნული სურათი აშკარად გვიჩვენებს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულისთვის კოლხეთის – დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია ძალზე მჭიდროდ არის დასახლებული. ნამოსახლართა დიდი ფართობი, გამაგრების სისტემა, მეურნეობის მწარმოებლური ხასიათი, სავარაუდოდ, ცალკეულ ხელოსანთა ჯგუფები (კერამიკა, ლითონის იარაღი და სამკაული) თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს პროტოურბანისტულ ცივილიზაციასთან, რომელიც აუცილებლად სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთეულის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

---

[23] . თ. ჩიგოშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[24] . გ. გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1978, გვ. 4-5.

[25] . В.В. Латышев. Известия древних писателей о Скифим и Кавказе, т. I, вып. I. ЖПБ., 1895, გვ. 58.

აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული სამაროვანია მოკვლეული და ნაწილობრივ შესწავლილი. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ცნობილი საგვარეულო სამაროვნები, როგორიცაა წითელი შუქურა, გვადიხუ, ეშერა, ჯანტუხა, აყარმარა, მერხეული, ფიჩორი და სხვა. საყურადღებოა, რომ ყველა მათგანი თითქმის სინქრონულია და ძვ.წ. VIII-Vსს. ფარგლებში ექცევა. ისინი ძირითადად ტიპოლოგიურად და არქეოლოგიური მასალებით ზუსტად ჯდებიან ე.წ. კოლხური სამაროვნების რიგებში, რომლებიც უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში იქნა მოკვლეული (პალური, ლარილარი, ბრილი, მუხურჩა, ურეკი, ერგეტა და სხვა). შეინიშნება ერთი საერთო ნიშანი ამ სამაროვნების დათარიღების საკითხში. გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნები ადრეული საფეხურის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) კოლხეთის დაბლობზე ფაქტობრივად ჯერჯერობით უცნობია და ეს პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი და საკვანძოა არქეოლოგიაში. გვაქვს ნამოსახლარი ფენები, განძები, შემთხვევითი მონაპოვარი, სამარხეული კომპლექტები მთიან რეგიონში, მაგრამ არ ჩანს მათი სინქრონული სამაროვნები კოლხეთის დაბლობზე. რით აიხსნება ეს გარემოება, ძნელი სათქმელია და ამ მიმართულებით კვლევა კოლხეთის არქეოლოგიის ძირითადი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე კი ქრონოლოგიის გარკვევა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მთელი ზემოთ აღნიშნული სამაროვნები ზოგჯერ ზოგადად საკვლევი პერიოდით არის დათარიღებული, რაც გაურკვევლობას იწვევს.[26] საყურადღებოა, რომ აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაროვნები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არის ორმო-სამარხები სხვადასხვა მდგომარეობაში დაკრძალული მიცვალებულებით, მეორადი დაკრძალვის რიტუალით, კრემაციითა და ნახევრადკრემაციით და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორადი დაკრძალვის რიტუალი, რაც ძალზე დამახასიათებელია კოლხური სამაროვნებისთვის და გავრცელებულია კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე.[27] სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია, რომ დაკრძალვის ეს რიტუალი ერთნაირად დამახასიათებელია მთელი დასავლეთ საქართველოსთვის, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ერთგვაროვნებაზე უნდა მიუთითებდეს; იმავდროულად იგი ეთნიკური ვინაობის საკითხების კვლევისათვის ერთ-ერთ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს სამარხის ერთი ტიპი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით და ცნობილია თიხის ოსუარიუმებით. დაკრძალვის წესი აქაც მეორადია. აღნიშნული გარემოება აშკარად მიგვითითებს, რომ კოლხური კულტურის აფხაზეთის ლოკალური რაიონის ერთ-ერთი მიკროლოკალური ვარიანტი სწორედ ამ რეგიონს მოიცავს. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ ვარიანტს ახასიათებს ბრინჯაოს სამკაულის ერთი ჯგუფი ჭვირული მძივები, სარტყლები ცხოველის თავით, ფრინველის ფორმის საკიდები და სხვა. ამავე ჯგუფისთვის ტიპურია არქაული იერის აგურისფერი ან მონაცრისფრო კერამიკა რელიეფურ-ჭრილი ან ტეხილი სახეებით. ძალზე მცირეა ტიპური კოლხური ნაირგვარი ორნამენტით შემკული თიხის ნაწარმი. შედარებით მრავლადაა კაჟის ისრისპირი, ნამგლის ჩასართი, რიყის ქვის სალესები, საბეგველი, ხელსაფქვავი. რეგიონის სპეციფიკა, შესაძლოა, კოლხურ კულტურაში პერიფერიული მდგომარეობით აიხსნას. არქეოლოგიური მასალების ამ ჯგუფის გავრცელების ჩრდილოეთ ნაწილი გარკვეულად მოიცავს დღევანდელი ადლერის რაიონს, რაც კოლხური კულტურის გავრცელების ჩრდილო-დასავლურ საზღვრად უნდა იქნეს მიჩნეული.

კოლხური კულტურის ერთ-ერთ სპეციფიკურ კომპონენტს ე.წ. დიუნური დასახლებანი წარმოადგენს. ისინი ვრცელდება ფაქტობრივად მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აჭარიდან მოყოლებული აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩათვლით ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ თითქმის უწყვეტად. ამგვარი დასახლებები ცნობილია და ნაწილობრივ შესწავლილი ბათუმში, ურეკში, ქობულეთში, ყულევში, გაგიდაში, ოჩამჩირეში, გულრიფშში, სოხუმში, ახალ ათონში, ქვემო ეშერაში და სხვაგან. ისინი წარმოადგენენ 1,5-3,5მ. სიმაღლის ქვიშაზვინულებს, რომლებზეც დასტურდება უძველესი ადამიანის საქმიანობის რამდენიმე (2-3-დან 12 დონემდის) ფენა, რომლებიც ჭრილში მოშავო-მონაცრისფრო ფერით გამოიყოფა. ეს შრეები მოზრდილ ლაქებადაა ფიქსირებული (სიგრძე 40-50 მ-მდის, სისქე 10-15სმ). გამონაკლისის სახით რიგ

---

[26] . ამაში სცოდავენ სეპარატისტები. იხ.: **О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 39-41. ნაშრომში ფაქტობრივად მოგვიანო კომპლექსები ხელაღებით ადრეულადაა აღიარებული. ხდება სრული აღრევა ცალკეული, კარგად განსაზღვრული ტიპის ნაკეთობების ქრონოლოგიისა.**

[27] . **მ. ბარამიძე. მერხეულის სამაროვანი. თბ., 1997, გვ. 13-14.**

ძეგლებზე ფიქსირდება თიხატკეპნილი იატაკი (გუდავა II). ფენებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა მრავალრიცხოვანია და ერთგვაროვანი. წარმოდგენილია ძირზე ქსოვილის ანაბეჭდიანი ოთხკუთხა ან ოვალური ფორმის „აბაზანისებრი“ ჭურჭლები და რქისებური ან წაწვეტებულთავიანი სადგრები. კერამიკა უხეშია, ხრეშნარევი, ფერად მოწითალო. თითქმის უკლებლივ ყველა აბაზანისებრი ჭურჭელი ატარებს ცეცხლში ყოფნის კვალს. თანმხლები კოლხური კერამიკისა და იშვიათად ბრინჯაოს ნაკეთობათა მიხედვით ირკვევა, რომ დიუნური დასახლებები გაჩნდნენ ძვ.წ. VIII საუკუნის დასაწყისისათვის და წყვეტენ არსებობას ძვ.წ. VI საუკუნის შუა ხანებისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს დასახლებები მარილის სარეწ სახელოსნოებს თუ სხვა დანიშნულების სადგომებს წარმოადგენდნენ[28]. მკვლევართა ნაწილი ამ მოსაზრებებს დღემდე იზიარებს.[29] ამ დროს სრულიად უგულებელყოფილია ქართველ არქეოლოგთა უკანასკნელი გამოკვლევები ამ სადგომების დანიშნულების შესახებ[30]. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და არქეოლოგიური მასალის შესწავლის ახლებური ინტერპრეტაციის შედეგად დიუნური ნასახლარები რკინის საწარმოო ობიექტებად არის მიჩნეული.[31]

უფრო მისაღებია დიუნურ სადგომთა რკინის მეტალურგიასთან დაკავშირება. ირკვევა, რომ უკლებლივ ყველა სადგომი შეიცავს რკინას მაგნეტიტის სახით და მისი მიღება ქვიშაზვინულიდან სავსებით შესაძლებელია.[32] ა. რამიშვილის მიერ აღდგენილი ეს პროცესი, შესაძლოა, იწვევს გარკვეულ კითხვებს, მაგრამ საერთო სურათი მაინც მისაღებია და გასაზიარებელი. ამასთანავე ფაქტია, რომ უკვე ძვ.წ. VIII საუკუნიდან რკინის იარაღი კოლხური კულტურის წამყვანი და გადამწყვეტი ელემენტია. თუმცა მისი პირველი ნაკეთობების გაჩენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, შესაძლოა, რამდენადმე წინაც უსწრებდეს ამ თარიღს. საყურადღებოა, რომ რკინის პირველი ნაკეთობები ზუსტად იმეორებენ ბრინჯაოს ნაკეთობათა ფორმებს და ჩამოყალიბებული ჩანან ადგილობრივი, კოლხური ბრინჯაოს ფორმების მიბაძვით.[33] არ არის გამორიცხული, რკინის მადნის ნაწილი, მისი მასშტაბურობის გამო, წარმოადგენდა იმპორტის ერთ-ერთ სახეს და სპილენძის მადნის პარალელურად საცვლელ პროდუქტად იყო გამოყენებული. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივად მკვლევართა უდიდესი ნაწილი რკინის მეტალურგიის ჩამოყალიბებას ქართველური ტომის, ხალიბების სახელთან აკავშირებს. აღნიშნული საკითხები დეტალურად შეისწავლა აკად. დ.ხახუტაიშვილმა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე (გურია-აჭარა, ქვემო ქართლი) წარმოქმნილი მეტალურგიული წარმოების პროცესის უადრესი საფეხურები ძვ.წ. XIV საუკუნით მაინც უნდა განისაზღვროს.[34] როგორც ჩანს, სწორედ აქედან გავრცელდა რკინის მეტალურგია საქართველოს სხვა რეგიონებში, თანაც არასინქრონულად, სხვადასხვა პერიოდში. აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე მისი გავრცელება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით არის განსაზღვრული.[35] დიუნურ სადგომთა გვერდით რკინის მეტალურგიის მაღალ დონეს აჭარა-სამეგრელოს ტერიტორიაზე შესწავლილი რკინის ჭურა-სახელოსნოები ადასტურებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჭურები შესწავლილია აფხაზეთში, თანამედროვე გალის რაიონში, კერძოდ მზიურის ტერიტორიაზეც, რომელიც აშკარად სინქრონულია დიუნური სადგომებისა და განეკუთვნება წინარეანტიკურ ხანას.

კოლხური კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე (თანამედროვე აფხაზეთის რეგიონის ჩათვლით) მატერიალური კულტურის ერთ-ერთ სპეციფიკურ და დამახასიათებელ კომპონენტს ბრინჯაოს ნივთების განძები წარმოადგენენ. სადღეისოდ სამეცნიერო

---

[28] . Л. Соловьев. Следы древнего сольярного промысла в близ г. Очамчире и Сухуми. - Труды Абхазского Гос. Музея, 1.Сухуми, 1947.

[29] . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 41; И.И. Цвинария. Поселение Гуандра. Тб., 1978.

[30] . Г. Инанишвили. Железо-плавильное дело в центральном и западном Закавказье в XIII – I веках до н.э. Тб., 1997.

[31] . Н.В. Хоштария. Археологические исследование в с. Уреки; А.Т. Рамишвили, И. Грдзелишвили. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб., 1964, გვ. 17; Д. А . Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987, გვ. 6-39.

[32] . რ. აბრამიშვილი. რკინის წარმოების ათვისების საკითხებისათვის. – სსმმ XXIII- . თბ., 1967.

[33] . იქვე.

[34] . იქვე.

[35] . იქვე.

ლიტერატურაში ცნობილია დაახლოებით 200-მდე ამგვარი კომპლექსი.[36] მათ შორის 65 სწორედ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა ფიქსირებული.[37] ისინი შეიცავენ ბრინჯაოს წუნდებულ, ხმარებიდან გამოსულ იარაღებს (კოლხური ცულები, სეგმენტისებური იარაღი, თოხი, ზოდები), იშვიათად სამკაულს, კომბინირებულ იარაღს და „მელითონეთა“ განძების სახელითაა ცნობილი. სავარაუდოდ, ისინი ხელმეორედ გადასადნობად და ახალი იარაღის ჩამოსასხმელად იყო განკუთვნილი. მათი გაჩენა ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხდება (გალი, ურეკი, ბიჭვინთა/ლძავა, განთიადი), ე.ი. პერიოდში, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ კოლხურ კულტურას და წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ ეტაპს. განძები გვხვდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა ეტაპზე და, როგორც ჩანს, წყვეტს არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისთვის. ჩვეულებრივ, ისინი დაკავშირებული არიან იმ პერიოდის ნამოსახლართა საწარმოო უბნებთან (ფიჩორი, გალი). მათი გაქრობა დაკავშირებული უნდა იყოს ბრინჯაოს ნაწარმის წარმოების შემცირებასთან რკინის მეტალურგიაზე სრული გადასვლის შემდგომ.

კოლხური კულტურა[38] დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს და ქრონოლოგიურად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავს. არქეოლოგიური მასალების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური შესწავლა გვიჩვენებს, რომ მასში ძირითადად ორი ეტაპია წარმოდგენილი. პირველი ეტაპი ხასიათდება ბრინჯაოს ინდუსტრიის მაღალი დონით და წარმოდგენილია ყველა იმ იარაღით, რაც საერთოდ ამ კულტურას ახასიათებს არსებობის მთელ მანძილზე. მეორე ეტაპი კი ამ კულტურის აყვავების ხანაა, როცა ბრინჯაოს მეტალურგიასთან ერთად რკინის წარმოება წამყვანი დარგი ხდება.[39] თითოეული ამ ეტაპის შიგნით შესაძლებელი ხდება რამდენიმე ქრონოლოგიური საფეხურის გამოყოფა.[40]

კოლხური კულტურის ხასიათი განპირობებულია მისი სამეურნეო თავისებურებით. იგი ძირითადად მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურაა და იარაღებიც სწორედ ამ ფუნქციის მატარებელია. უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან კოლხეთის ტერიტორიაზე გუთნური მიწათმოქმედება იყო მეურნეობის წამყვანი დარგი, რისთვისაც გამოიყენებოდა ხის სახვნელები. ისინი აგრძელებენ არსებობას საკვლევ პერიოდშიც, რაზეც უნდა მიგვითითებდეს ფიჭვნარის გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში აღმოჩენილი ხის სახნისები.[41] შესაძლოა, სახნისს ამ პერიოდში უკვე ჰქონდა ლითონის დამცავი. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში (ძვ.წ. VII-VIსს.) კოლხეთში დასტურდება რკინის სახნისების არსებობა, რომლებიც ხის სახნისზე წამოსაგებად იყო განკუთვნილი (ნიგვზიანის და ფიჩორის სამაროვნები).[42] მიწის დასამუშავებლად გამოყენებულია ბრინჯაოს თოხები, რომლებიც ხასიათდება სიმრავლით და ნაირგვარობით. ისინი გავრცელებულია ფაქტობრივად მთელ კოლხეთში, თუმცა შეინიშნება ერთი გარემოება - აფხაზეთის ტერიტორიაზე ისინი შედარებით მცირე რაოდენობითაა ცნობილი. თოხების გავრცელების ჩრდილოეთი პუნქტი ქვემო ეშერაა. მის სამხრეთით კი თოხები რამდენიმე პუნქტშია გამოვლენილი.[43] აშკარაა, რომ ქვის იარაღის (თოხების) ფართოდ გავრცელების გამო მდ. გუმისთის ჩრდილოეთით ლითონის თოხი უფრო გვიან შედის, რაც ამ მიკროლოკალური კერის[44] ერთ-ერთი თავისებურებით უნდა აიხსნას.

კულტურის ერთ-ერთ ძირითად და განმსაზღვრელ იარაღად კოლხური ცულებია აღიარებული. აფხაზეთის ტერიტორიაზე ვხვდებით ამ იარაღის სამივე ძირითად სახეობას – შვეტილტანიანი, მახვილი ყუით, სწორტანიანი დაწახნაგებული ყუით და ტანში ორგზის

---

[36] . დ. ქორიძე. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1965; ალ. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1974 წ.; ლ. სახაროვა. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან; Ю.Н. Воронов. დასახ. ნაშრომი; მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი... და სხვა.

[37] . ჯ. აფაქიძე. აფხაზეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განძები. – აფხაზეთი, I, თბ., 2006.

[38] ტერმინი „კოლხური კულტურა“ სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება გვიანბრინაჯაო-ადრერკინის პერიოდის აღსანიშნავად და ერთგვარად პირობითი ცნებაა, რადგან შინაარსობრივად როგორც მისი წინარე, ისე მომდევნო კულტურებიც ასევე კოლხურია.

[39] . ო. ჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 202.

[40] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი..., გვ. 147-159.

[41] . ლ. ძიძიგური. უძველესი სახვნელი იარაღები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთიდან. - აფხაზეთი. I, თბ., 2006, გვ. 40; ი. ჩავლიშვილი. უძველესი სახვნელი იარაღები ფიჭვნარიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III. თბ., 2005.

[42] . მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრომი.

[43] . ჯ. აფაქიძე. აფხაზეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განძები, გვ. 66-85.

[44] . ო. ჯაფარიძე. კოლხური ცული. – საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI – . თბ., 1955; დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი; ლ. სახაროვა. დასახ. ნაშრომი.

მოხრილი.[45] კულტურის განვითარების მეორე ეტაპზე მათი ფორმები უფრო დახვეწილია, კოხტა და მსუბუქი. ზოგიერთი მათგანი ორნამენტირებულია. როგორც ჩანს, ძირითადად საბრძოლო იარაღის ფუნქცია ჰქონდა, თუმცა, შესაძლოა, უხეში, მასიური ეგზემპლარები სამეურნეო დანიშნულებისა იყო.

კოლხური კულტურის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს სეგმენტისებური იარაღი, რომელიც საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი აფხაზეთში, ძირითადად გუმისთის სამხრეთ ზოლში. მათი დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილს მოზრდილი ნიმუშები ბარის ფუნქციის მატარებლად მიაჩნია, ნაწილს – ხვეწისა, ნაწილს კი – ხის სახნისის გარსაკრავად. გამოთქმულია მოსაზრება საცვლელ ერთეულად მათი გამოყენების შესახებ.

კოლხური კულტურის ადრეულ საფეხურებზე სამაროვანთა ნაკლებად შესწავლილობის გამო ნაკლები ინფორმაცია გვაქვს სხვა რიგის (საბრძოლო, სამკაული) მასალების შესახებ. განძების შემადგენლობაში ეს ნაკეთობანი იშვიათი გამონაკლისის სახითაა წარმოდგენილი. მეორე ეტაპზე (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) უკვე მრავლადაა ამ რიგის მასალაც: სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს შუბისპირები, სატევრები, ლითონის სამკაული. საყურადღებოა, რომ ამ ნაკეთობათა ერთგვაროვნების ფონზე მათ შორის გამოიყოფა აფხაზეთის ლოკალური რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმებიც, მაგალითად, გრძელყუნწიანი, სამკუთხაპირიანი შუბისპირები, ცხოველის გამოსახულებიანი ბრტყელი ბალთები, ჭვირული და ბრტყელი სამაჯურები, კირკალის თავისებური ფორმები, თავდაფანჯრული და ფუყე მძივები, ცხოველისა და ფრინველის ფორმის საკიდი ამულეტები და სხვა. კოლხური კულტურის ბრინჯაოს ნაწარმი აშკარად მიგვითითებს ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალ დონეზე. უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან სპილენძის მოპოვება კოლხური ტომების სამეურნეო ყოფაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. კავკასიონის სამხრეთი კალთების ტერიტორიაზე სადღეისოდ ცნობილია რამდენიმე პუნქტი, სადაც დასტურდება ლითონის მოპოვებისა და დამუშავების მთელი პროცესი (ბაშკაფსარა, ჩხალთა –აფხაზეთში, ბრილი, გონა – რაჭაში, მესტია – სვანეთში, თლია და მისი შემოგარენი – ცხინვალის რეგიონში). მიკვლეულია უძველესი სამთომადნო გამონამუშევრები და მასთან დაკავშირებული საწარმოო კერები. ამ ძეგლებიდან ყველაზე უკეთ რაჭის სამთო-მეტალურგიული ცენტრია შესწავლილი.[46] განსაკუთრებულ აღმავლობას ეს დარგი განიცდის გვიანბრინჯაოს ხანაში. ამ პერიოდის შტოლნები, შტრეკები, საძიებო თხრილები, კამერები და ფუძე ქანების გადანაყარი აშკარად გვიჩვენებენ, რომ მოპოვებულია რამდენიმე ასეული ათასი ტონა სპილენძის მადანი; იგი საკმარისი იყო არამარტო ადგილობრივი წარმოებისათვის, არამედ სრულიად რეალურია მათი ექსპორტი წინა აზიაში და ანატოლიის საშუალედო ვაჭრობის გზით უფრო სამხრეთითაც კი.[47] სწორედ რაჭაში, ბრილის სამაროვნის ძვ.წ. VI-IVსს ფენის სამარხებში ვხვდებით კილოგრამობით ლურჯი მინის ნავკრატისულ მძივებს, ეგვიპტურ სკარაბეებს, სანელსაცხებლებს, თევზის გამოსახულებიან ბრინჯაოს ფინიკიურ (?) მონეტებს. ეს უკანასკნელი საშუამავლო ვაჭრობაში ფინიკიური ქალაქების (მაგ. პუნეჟის) როლზე უნდა მიგვითითებდეს.[48] შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ეგვიპტური იმპორტი თითქმის არ ჩანს კოლხეთის დაბლობის ამ პერიოდის ძეგლებზე და იგი მხოლოდ რაჭის სამთო-მეტალურგიული ცენტრის ზოლშია დადასტურებული. ამით უნდა აიხსნას კოლხური კულტურის გავრცელების მთელ არეალში (მათ შორის აფხაზეთშიც) ბრინჯაოს ზოდების განსაკუთრებული სიმრავლე, რომელთა ფორმა ტრანსპორტირებისათვის საკმაოდ მოხერხებულია.

ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალმა დონემ და საწარმოო ჩვევებმა მოამზადა ახალ, უფრო პროგრესულ და სრულყოფილ რკინის მეტალურგიაზე გადასვლა. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს რკინის მეტალურგიაში ქართველურ ტომთა განსაკუთრებული როლის აღიარება. სამწუხაროდ, სეპარატისტი მკვლევარები სრულიად უარყოფენ ამ თვალსაზრისს და ცდილობენ

---

[45] . დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი; ლ. სახაროვა. დასახ. ნაშრომი; ლ. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. – თსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953.

[46] . გ. გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები..., გვ.; ა. აფაქიძე, ალ კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.

[47] . მ. ბარამიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი..., გვ. 175-184; მისივე: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბრინჯაოს მეტალურიგიის ისტორიის ძირითადი საკითხები. – ზღვა და ადამიანი. თბ., 1995, გვ. 26-27.

[48] . ყურადღება ამ მიმართულებით გაამახვილა კ. კუშნარიოვამ სიღნაღის საერთაშორისო (საქართველო, რუსეთი, აშშ) კოლოკვიუმზე, 1995 წ.

რკინის მეტალურგიის აფხაზეთში შემოსვლა, გავრცელება ჩრდილოელი სკივთური ეთნოსის გავლენით ახსნან[49].

კიმერიელთა და სკვითთა ტომები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში განსახლებული ჩანან ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და, სავარაუდოდ, სტეპების ზოლში. წყაროების მიხედვით, კიმერიელები სკვითებმა განდევნეს ამ ზოლიდან და ისინი ძვ.წ. VIIIს. დასაწყისისათვის გადადიან წინა აზიის ტერიტორიაზე. მათ უკან მისდევს სკვითური მასა, რომელიც ამ რეგიონში ჩანს ძვ.წ. VIIს. 90-იანი წლებისათვის. ორივე ამ ეთნოსმა გარკვეული როლი ითამაშა წინა აზიის პოლიტიკური სიტუაციის შექმნაში და ხან დამოუკიდებლად, ხან დაქირავებული რაზმების სახით მონაწილეობა მიიღო რიგ სახელმწიფოთა განადგურებაში. ჩვენთვის საინტერესოა, რა გზით უნდა მოხვედრილიყვნენ ეს ხალხები წინა აზიაში. მკვლევართა ნაწილი (მათ შორის აფხაზი სეპარატისტები) ამ გზად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, ე.წ. მეოტიდა-კოლხეთის გზას აღიარებენ. ეს დასკვნა ძირითადად წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად არის მიღებული და სრულად უარყოფილია არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედი არის კოლხური კულტურის აყვავების ხანა. უმაღლეს დონეზე ასული ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, დემოგრაფიული აფეთქება, პროტოურბანისტული ცივილიზაცია და სხვა გვაძლევს უფლებას აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის კოლხეთი (აფხაზეთის ჩათვლით) არის ძლიერი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთეული, რომლის ტერიტორიის გადალახვა არც ისე იოლი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ კოლხურ ნასახლარებზე არავითარი კვალი უცხო ეთნოსის შემოჭრისა არ შეინიშნება. წარმოუდგენელია, ამოდენა მომთაბარე ტომთა გავლას არ დაეტოვებინა რაიმე კვალი ხანძრის, შეტაკებების, ანდა უბრალოდ ტიპური კიმერიულ თუ სკვითურ ნაკეთობათა სახით. დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთადერთი კიმერიული ბრინჯაოს კელტია ნაპოვნი (თხმორის განძი, ქვემო რაჭა). ამგვარად, კიმერიელთა მიერ კოლხეთის გზით წინა აზიაში მოხვედრა არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება.

წყაროს მიხედვით, კიმერიელებს მოსდევენ სკვითური ტომები (ძვ.წ. VIIს.), თუმცა არავითარი კვალი შეტაკებისა ან ნივთიერი მასალისა არ ფიქსირდება არც კოლხეთში და არც საკუთრივ აფხაზეთში. ამგვარად, აშკარაა, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მომავალ სკვითებს კოლხეთის ტერიტორია არ გადაულახავთ და, სავარაუდოა, რომ ვერც გადალახავდნენ ძლიერი სახელმწიფოსა და ნაირგვარი საბრძოლო იარაღის არსებობის პირობებში. ამასთანავე კოლხეთის ჭაობიანი ტერიტორია და კლიმატი ნაკლებად მოსახერხებელია უცხოელთა ლაშქრობისათვის.

რამდენადმე განსხვავებული სურათი გვაქვს ძვ.წ. VIს. შუა ხანებისათვის. წინააზიური ლაშქრობების შემდგომ სკვითთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, ძალზე მცირერიცხოვანი მასა, უკან დასაბრუნებლად იყენებს კოლხეთის გზას. ამ შემთხვევაშიც არავითარი შეტაკებების კვალი არ ჩანს. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება წინააზიური მახვილების მიბაძვით და გავლენით წარმოქმნილი ე.წ. სკვითური აკინაკები., რომლებიც კოლხეთში გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან და ამ იარაღის კავკასიურ ვარიანტად ყალიბდებიან. ამავე პერიოდში ჩნდება ე.წ. სკვითური ცხოველურმოტივებიანი ნაკეთობანი, რომლებიც აშკარად წინააზიური გავლენითაა ჩამოყალიბებული. მესამე კომპონენტი, რომელიც სკვითური კულტურის ელემენტად არის მიჩნეული, არის ე.წ. სკვითური ისრისპირი. მისი გამოჩენა ხდება ძვ.წ. VIIს-ის ბოლოსათვის და VII-VIსს. ფაქტობრივად გავრცელებულია ციმბირიდან დაწყებული სამხრეთ რუსეთის სტეპების, ევროპის ნაწილის, კავკასიის და წინა აზიის ტერიტორიაზე. აღნიშნულის გამო რომელიმე რეგიონის მიჩნევა მის შემქმნელად, მით უფრო ეთნიკური კუთვნილების დადგენა შეუძლებელია.

სკვითების ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან წინა აზიისაკენ ლაშქრობის თვალსაზრისით გარკვეული პერსპექტივები ისახება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიის სახით, სადაც, სავარაუდოდ, დერბენტის გასასვლელის გამოყენებით ჩანს მოხვედრილი სკვითური ნაკეთობანი, მაგრამ ძირითადად ეს მასალაც უკანმობრუნებულ მოსახლეობას ეკუთვნის.

ამრიგად, რაიმე საბუთი კოლხეთის გზის კიმერიელთა და სკვითების მიერ გამოყენების შესახებ ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. უსაფუძვლოა რკინის მეტალურგიის სკვითებთან დაკავშირება, თუნდაც იმიტომ, რომ უძველესი სკვითური ნაკეთობანი ძვ.წ. VIIს. უადრესი არ არის. ამ დროს კი კოლხეთში (აჭარაში, ასევე ქვემო ქართლში) უკვე ძვ.წ. XIV-XIII სს-დან ჩნდება რკინის პირველი ნივთები და უმაღლესი დონის ცემენტაციის წესით მიღებული

---

[49] **. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 48, 50-54.**

ფოლადი. აქედან იგი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აფხაზეთში მათი გამოყენება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისზე მოდის, რაც სკვითებთან ვერანაირად ვერ იქნება დაკავშირებული.

თავი III. თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალი ძველი ეგრისის (კოლხეთის) შემადგენლობაში ძვ.წ. I საუკუნემდე

1. მონაცემები წინარეანტიკური პერიოდის შესახებ

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის მეტი ნაწილის მომცველი და ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან უწყვეტად არსებული პირველი ქართული სახელმწიფოს –

კოლხეთის სამეფოს შესახებ ცნობებს შეიცავს ძველბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ[50]. მასში გაშუქებული ცალკეული მოვლენები რიონის ხეობაში ვითარდება. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, არგონავტები თითქოს დიოსკურიაში (სოხუმში) მოვიდნენ. ასე, მაგალითად, აპიანე (IIს.) წერდა: „კოლხებს ეს ქალაქი (დიოსკურია – ავტ.) მიაჩნიათ არგონავტებთან ერთად დიოსკურების აქ ყოფნის საბუთად“[51]. ნიკონორ ალექსანდრიელის (VIIს.) მტკიცებით, დიოსკურიას „ადრე აია ერქვა“[52]. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიასთან არგონავტების კავშირზე წერდა ზოგიერთი მკვლევარიც[53]. რუსმა ენათმეცნიერმა გ.ტურჩანინოვმა ქ.მაიკოპში აღმოჩენილი, ვითომ, აფხაზური დამწერლობის უძველესი ნიმუშის საფუძველზე ქ.აიას ლოკალიზება ჩრდილოეთ კავკასიაში მოახდინა[54]. ცნობილია, რომ ე.წ. მაიკოპის წარწერასთან დაკავშირებით გ.ტურჩანინოვის მოსაზრებები თავის დროზე თვით ცნობილმა რუსმა მეცნიერებმაც კი (ი.დიაკონოვი, ლ.ლავროვი, ე.კრუპნოვი, პ.აუტლევი და სხვ.) არ გაიზიარეს[55] და არც ამჟამად იზიარებენ[56]. არგონავტების შესახებ მითის აფხაზებთან (და არა კოლხებთან) კავშირზე სეპარატისტული ისტორიოგრაფია დღეს მხოლოდ მინიშნებით წერს, არგუმენტად იყენებს მედეას ძმის – აფსირტეს სახელის ვითომ აფხაზურ (აფსუურ) ჟღერადობას[57]. მსგავსი ჟღერადობის გვარ-სახელები კი მრავლად გვხვდება ძველ მსოფლიოში[58]. ამდენად, მხოლოდ აფსუებისადმი მათი მიკუთვნება უსაფუძვლოა, მით უმეტეს, მსგავსი სახელები დამაჯერებლად არ იხსნება აფხაზურ ენაზე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არგონავტთა ყოფნის შესახებ არსებულ ცნობებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი ავტორები სოხუმს კოლხთა ქალაქად, აიეტის სამეფოს ნაწილად მიიჩნევენ.

კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროის, პოლიტიკური და სოციალური წყობის საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.[59] ლ.სანიკიძეს მიაჩნდა, რომ იგი ძვ.წ. XVII-XVსს. წარმოიშვა[60]. დაახლოებით იმავე აზრისაა თ.გამყრელიძეც, რომელიც წერს: „უახლესი გამოკვლევების მიხედვით, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობა ჩვენ უკვე ძვ.წ. მე-15 საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ, რამდენადაც მიკენური ეპოქის ბერძნულ წარწერებში (ძვ.წ. XV-XIVსს.) დოკუმენტურად დასტურდება მრავალი სახელი, რომლებიც „არგონავტების მითიდან“ იყო ჩვენთვის ცნობილი, მათ შორის ისეთი სახელები, როგორიცაა „(ქვეყანა) აია“, „კოლხიდა“, „იასონი“ და სხვ.“[61] ძველი ეგრისის სახელმწიფოს წარმოშობას თ.ბერაძე ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებით ათარიღებს, მ.ლორთქიფანიძე – ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით[62]. ძველბერძენ

---

[50]. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი აკაკი გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებლები აკაკი ურუშაძისა. თბ., 1975; ა.ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964წ.

[51] . აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1958, გვ. 195.

[52] . , . IV. Тб.,1884, გვ. 212-213.

[53] . მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. თბ., 1895, გვ. 13; П.К. Услар. Древнейшия сказания о Кавказе. Тб., 1881, გვ. 378; . . , 1926, . 39, 41-42 და ა.შ.

[54] . Г. Ф. Турчанинов. Памятники письма и языка народов Кавказа и Восточной Европы. Л., 1971, გვ. 11-34.

[55] . Вестник Древней Истории, 1966, №2; Советская Этнография, 1967, №2; Вопросы Истории, 1964, №8; 1965, №4 და ა.შ.

[56] . გ.ტურჩანინოვი ცდილობდა აფსუა-აფხაზებისათვის „დიდი ისტორიის“ შექმნას. მან მაიკოპის წარწერა ხეთურ იეროგლიფებს მიამსგავსა, დაათარიღა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით და აფხაზურად „წაიკითხა“; გამოდიოდა, რომ კოლხები ვითომ აფხაზები არიან, ისინი (აფხაზები) ცხოვრობდნენ მცირე აზიიდან ყუბანამდე, ჰქონდათ თავიანთი დამწერლობა და სახელმწიფო ქალაქ აიათი; გ.ტურჩანინოვის მიზანი კოლხეთის სახელმწიფოს შესახებ ქართული ვერსიის განეიტრალება იყო; მისმა „აღმოჩენამ“ სერიოზული გავლენა მოახდინა სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაზე (. . . . ., 2003, გვ. 349-354).

[57] . О. Г. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 59. აფსირტე სახელის წარმოშობის შესახებ არსებობს საკმაოდ საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იგი იხსნება ქართველურ ენობრივ ნიადაგზე (მ. ჩუხუა. ქართველურ ენა-კოლოთა შედარებითი ლექსიკონი. თბ., 2000-2001, გვ. 206).

[58] . ეგვიპტის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამი ფარაონი – ფსამეტიხები, ოფსიტე VIს. ლაზიკასა და აფხაზეთში, მწერალი მიხეილ ფსელოსი (XIს.).

[59] . იხ. ამის შესახებ: გ.ყორანაშვილი. საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი. თბ., 2000; წიგნში მოტანილია ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე. თავად ავტორს უძველესი კოლხეთის სამეფოს არსებობისა არ სჯერა.

[60] . ლ. სანიკიძე. არანაკლებ 3500 – მეთქი!!!. – საქართველოს რესპუბლიკა, 1997, 16 თებერვალი.

[61] . თ. გამყრელიძე. საქართველო ევროპაა თუ აზია? – ლიტერატურული საქართველო, 1999, 18-25 ივნისი, გვ. 4.

[62] . თ. ბერაძე. ძველი ეგრისის (კოლხეთის) სამეფო. – აია, 2001, №9-10, გვ. 32; მ. ლორთქიფანიძე. ქართული სახელმწიფოს არსებობის უწყვეტი ხაზი. – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. თბ., 2001, გვ.140.

მწერალთაგან „კოლხეთის ქვეყანა“-ს პირველად ევმელოს კორინთელი (ძვ.წ. VIIIს.) ახსენებს არგონავტებთან დაკავშირებულ კონტექსტში.[63] რა თქმა უნდა, ამჟამად შეუძლებელია ამ სახელმწიფოს ფორმირების ზუსტი თარიღის დადგენა, მაგრამ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მისი არსებობა სავსებით რეალურია.

„არგონავტიკის“ მიხედვით, აია დამოუკიდებელი, ძლიერი და ცივილიზებული სახელმწიფოა[64]. კოლხეთის ხალხი და მეფე, რომლებმაც გულთბილი მიღება მოუწყვეს არგონავტებს, – წერდა დიუბუა დე მონპერე, – „ცივილიზაციის გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ის ფათერაკების მაძიებელნი და მათი მოლაშქრენი, რომლებიც, შუა საუკუნეების ნორმანების მსგავსად, მათთან საძარცვავად მოვიდნენ და დაარღვიეს სტუმართმოყვარეობის ყველა კანონი“[65]. ოქროს საწმისისა და მედეას გამტაცებელ ბერძნებს, - წერს აპოლონიოს როდოსელი, – აიეტ მეფის შიში აქვთ; ფიქრობენ, „მალე ჩამოვა ის ელადაში, რომ შვილისათვის იძიოს შური“[66]; კოლხთა მბრძანებლის გადაკიდება, ბერძნების აზრით, არ ივარგებს, რადგანაც

„ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილ კოლხეთის მეფეს.

თუმცა შორს არის, თუ მოინდომა, ელადაშიც წავა სალაშქროდ“[67].

ქვეყნის ძლიერება და მისი წარმატებული ეკონომიკური მდგომარეობა ასახულია კოლხეთის მეფის ეპიტაფიაში, რომელიც მოყვანილი აქვს არისტოტელეს: „ოქროთი მდიდარი კოლხეთის მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აქ გააპატიოსნა“[68].

არგონავტების შესახებ მითის თანახმად, ძველი კოლხეთი კულტურულადაც დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა, ჰქონია თავისი დამწერლობაც კი:

„შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები

და ამ კირბებშია ნაჩვენები გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“[69].

ეს არის უძველესი ცნობა ქართული დამწერლობისა და კარტოგრაფიის არსებობის შესახებ. აია-კოლხეთში საკუთარ ენაზე ურთიერთობდნენ. იგივე მედეა „თავის კოლხურ ენაზე“[70] საუბრობდა, თუმცა ფლობდა ტავრების ენასაც[71].

კოლხეთი ნამდვილად ოქროთი მდიდარი სახელმწიფო ჩანს. განსაკუთრებული ბრწყინვალებითა და სიმდიდრით დედაქალაქი კუტაიისი გამოირჩეოდა. როცა ფაზისში შემოსული არგონავტები გემით მდინარეს აღმა აუყვნენ, მათ ხელმარცხნივ აღმოჩნდა „მაღალი კავკასიონი, აიას ქალაქ კუტაიისი“[72].

კოლხეთის სამეფოს საზღვრები მართლაც კავკასიონამდე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული. ამაზე მიუთითებს ჰომეროსის (ძვ.წ. VIIIს.) „ოდისეაც“ (მასში ჩართულია ცნობა არგონავტების შესახებ, აია კი მოქცეულია ოდისევსის მოგზაურობების სფეროში), რომლის მიხედვით, აიეტის სამეფო სარმატიაში მდებარე კიმერიელებს ესაზღვრებოდა[73]. ოვიდიუს ნაზონთან (ჰეროდიები, XII, 25-28) მედეა ამბობს: „ჩემი მამა სახელგანთქმულია, მას უპყრია თოვლიანი სკვითეთი, რაც კი პონტოს სანაპიროა“[74]. ამრიგად, აიეტის დროინდელი კოლხეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, შესაძლოა, აზოვის ზღვასთან ახლოს გადიოდა; ამასვე ადასტურებს დიოდორე სიცილიელის (ძვ.წ. Iს.) ცნობაც კოლხთა ტომის 33 საუკუნის წინ მეოტის ტბის (აზოვის

---

[63] . აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ.195.

[64] . ო.ლორთქიფანიძის აზრით, ძვ.წ. XII ს. ის უკვე არსებობდა, მაგრამ საეჭვოა, „არგონავტიკაში“ აღწერილი საზოგადოებრივ-ყოფითი ფონის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღება; მეცნიერი ვარაუდობს, რომ იგი უფრო ძვ. წ. VI-IV სს. რეალობას შეესაბამება (О. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии. Тб., 1989, გვ. 210, 217).

[65] . Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. 1. Сухуми, 1937, გვ. 12.

[66] . აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წ. 4, სტრ. 740-741.

[67] . იქვე, სტრ. 1100-1103.

[68] . აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 294.

[69] . აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წ. 4, სტრ. 278-280; ძველკოლხური დამწერლობის შესახებ იხ.: Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 215; აკ. ურუშაძე. ძველი კოლხები არგონავტების თქმულებაში, გვ. 145-168.

[70] . აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წ. IV, სტრ. 730.

[71] . თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, წ. III, თბ., 1976, გვ. 90, 91.

[72] . აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, წ. II, სტრ. 1265-1266.

[73] . ჰომეროსი. ოდისეა. რედაქტორი რ.გორდეზიანი. თბ., 1979, სიმღერა XI, 10.

[74] . . . ., 1973, გვ. 125; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუქა ნათელა კეჭაყმაძისა. თბ., 1961, გვ. 9.

ზღვის) მიდამოებში ფორმირების შესახებ[75]. ეს ყოველივე სრულ თანხმობაშია „ქართლის ცხოვრებასთან“ – ლეონტი მროველის თხზულებასთან, რომლის მიხედვითაც „ეგროსს ერგო აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; მდინარე მცირისა ხაზარეთისა (ყუბანი – ავტ.), სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“[76]. ძველი ეგრისის საზღვრები თ.ბერაძის აზრითაც ჭოროხის აუზიდან მცირე ხაზარეთის მდინარემდე ვრცელდებოდა[77].

აია-კოლხეთის სამეფოს მკვიდრთა ეთნიკური კუთვნილების დასადგენად პირველ რიგში უნდა მივმართოთ „ქართლის ცხოვრებას“, ასევე არქეოლოგიურ და არსებულ მწირ, მაგრამ საინტერესო ლინგვისტურ მასალას. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დასავლეთ საქართველო არის თანამედროვე აფხაზეთისა და მისი ჩრდილო-დასავლეთ რეგიონების ჩათვლით ეგრთა – უძველეს ქართველთა სამკვიდრო. ამას ადასტურებს არქეოლოგთა დასაბუთებული დასკვნა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მთელ დასავლეთ საქართველოში ერთიანი კოლხური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ[78]. სერიოზული დასკვნებია გაკეთებული ენობრივი მონაცემების მიხედვითაც. თ.გამყრელიძისა და ვიაჩ. ივანოვის ერთობლივ ნაშრომში („ინდოევროპული ენები და ინდოევროპელები“) სპეციალური პარაგრაფი ეძღვნება თემას – „ბერძნულ-ქართველური ლექსიკური კავშირები და „მითი არგონავტების შესახებ“. ავტორები ასაბუთებენ, რომ ბერძნულ ენაში ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ნასესხები რამდენიმე ათეული ქართველური სიტყვაა შესული, მათ შორის „ტკოვ“ (ტყავი), რაც ეგრისში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში ქართველთა წინაპრების მოსახლეობაზე მიუთითებს[79]. ამასვე მოწმობს „ოდისეაში“ დაფიქსირებული სამკურნალო ბალახის სახელწოდება – „მოლი“[80], რომელიც აიაში ხარობდა. მსგავსი ტერმინი სხვა ბერძნულ ტექსტში არ გვხვდება და მისი ახსნა ინდოევროპულ ენობრივ საფუძველზე შეუძლებელია. სპეციალისტთა აზრით, მოლი ბერძნების მიერ ნასესხები ქართული სიტყვაა[81]. ტანზე წასასმელი წამლის თუ წამოსასხამის მნიშვნელობით იგი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ არის გამოყენებული[82]. პროფესორ მერაბ ჩუხუას აზრით, „არგონავტიკაში“ და სხვა ბერძნულ წყაროებში ფიქსირებული „კირბოს“ წარმომავლობით არის მეგრულ-ლაზური სახეობა საერთოქართველური „კერბ“ სამწერლო ტერმინისა, რომელიც შემონახულია ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში „კეფი“ („მთელი ფურცელი არს წერილისა“) ფორმის სახით.

ქართული საისტორიო ტრადიცია, ძველბერძნული მითოლოგიიდან მოხმობილი ცნობები, ლინგვისტური მონაცემები, ასევე წინა თავში მოტანილი არქეოლოგიური

---

[75] . თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., წ. III, გვ. 75. დიოდორე სიცილიელი იმეორებს ჰეროდოტეს ცნობას კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია ამ თეორიას, რომელიც „ჰეროდოტეს ნასიბრძნი უნდა იყოს“ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 17), არ იზიარებს, თუმცა იმ უძველესი ხანის ქართველთა და ეგვიპტელთა ნათესაობისა და კულტურული კავშირების დამადასტურებელი უამრავი მასალაა დაგროვილი (მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. 1. თბ., 1906, გვ. 4, 28-32; ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. – საისტორიო მოამბე, 1924, წ. I, გვ. 61-62; ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დიოდორე სიცილიელის ცნობა კოლხთა ტომის არა ფაზისის, როგორც ჰეროდოტე მიიჩნევდა (თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ,. 1960, გვ. 71), არამედ აზოვის ზღვის ნაპირებზე ფორმირების და, შესაბამისად, იქ მკვიდრობის შესახებ.

[76] . ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1. თბ., 1955, გვ. 5.

[77] . თ. ბერაძე. ძველი ეგრისის (კოლხეთის) სამეფო, გვ. 34. იხ. აგრეთვე: თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია, წ. I. თბ., 2003, გვ. 45-46. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, XVIII საუკუნის ბოლომდე (მიუხედავად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური სურათის მკვეთრი ცვლილებისა) მთელ რიგ უცხოურ (მათ შორის რუსულ) წყაროებში, რუკებზე საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი, ისტორიული ტრადიციისამებრ, სწორედ ყუბანთან, აზოვის ზღვასთან, ან მათთან ახლოს ფიქსირდებოდა (იხ. აქვე რუკები №№1, 10, 16 და ა.შ).

[78] . ო.ჯაფარიძე. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბ., 2003, გვ. 203 (იხ. აქვე, თავი II).

[79] . . . , . . , . II. ., 1984, გვ. 904-909; თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. – საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 588. თ. გამყრელიძისაგან განსხვავებით, ტ. ფუტკარაძეს სიტყვა „ტყოვ“ არ მიაჩნია ძვ. წ. II ათასწლეულში ზანურის არსებობის დამადასტურებლად (ტ. ფუტკარაძე. ქართველები, გვ. 282-284). ის, ალბათ, უფრო საერთოქართველური სიტყვაა, საიდანაც შემდგომში მივიღეთ ტყები (მეგრ.) და ტყავი.

[80] . ჰომეროსი. ოდისეა. გვ. 218 (X, 303-306); Р. В. Гордезиани. Проблемы Гомеровского эпоса. Тб., 1978, გვ. 209.

[81] . „მოლი – ახალი ბალახი“. იხ.: – ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. 1. თბ., 1991, გვ. 500; ეს სიტყვა დღესაც არსებობს.

[82] . შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. – ქართული მწერლობა, ტ. 4. თბ., 1988, გვ. 262 (266-ე სტროფი); Ш. В. Дзидзигури. Грузинский язык. Тб., 1968, გვ. 69.

მასალა იძლევიან საკმაოდ მყარ საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია აია-კოლხეთის სამეფოს, ანუ ძველი ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა და მხოლოდ ქართველთა წინაპრებით, საერთოქართველური ენის მატარებელი ხალხით იყო დასახლებული. ო.ლორთქიფანიძის მტკიცებით, ძვ.წ. VIII საუკუნიდან კოლხეთი მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს და უძველეს ქართველთა სამკვიდრებელს წარმოადგენდა.[83] ამ სამეფოს არსებობის პერიოდში მეგრელ-ჭანებსა და ქართებს შორის ენობრივი განსხვავება ჯერ არ უნდა ყოფილიყო, – სამართლიანად წერს გ.მელიქიშვილი. მისი აზრით, „კოლხი“ სახელი მაშინ „საერთოქართველური თუ ქართი-ზანური (მეგრულ-ჭანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. იონიელი ბერძნები ქართველ ტომებს ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთობის არსებობის „კოლხურ“ ხანაში გაეცვნენ და „კოლხი“ სახელსაც, უნდა ვიფიქროთ, ამ ერთობის აღსანიშნავად ხმარობდნენ“[84]. ყველა წინაპირობა არსებობდა მაშინ, რათა ინტენსიურად განვითარებულიყო ერთიანი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების, ალბათ, ბევრად ადრე დაწყებული პროცესი. ასეთი წინაპირობები გახლდათ მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული ეკონომიკურად მდიდარი („ოქრომრავალი“), სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი (ელადის დალაშქვრის შემძლე), კულტურულად დაწინაურებული (დამწერლობისა და კარტოგრაფიის მქონე), ტერიტორიულად ვრცელი კოლხეთის სახელმწიფო, რომლის საზღვრები თავდაპირველად აშკარად სცილდებოდა ქართული წყაროების ეგრისის ფარგლებს და აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსაც მოიცავდა (შემდგომში „კოლხეთი” და „ეგრისი” იდენტური ცნებებია). მის შემადგენლობაში მოქცეული ენგურ-ფსოუს მონაკვეთიც იყო ის მხარე, სადაც ქართველთა ეთნოგენეზის ხანგრძლივი პროცესი მიმდინარეობდა. სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ქართველობამ სწორედ აია-კოლხეთის ეპოქაში მიაღწია კონსოლიდაციის ისეთ მაღალ ხარისხს, რომელმაც ისტორიის ქარტეხილებს გაუძლო. რაც მთავარია, შენარჩუნდა საერთოეროვნული თვითშეგნება, რომელიც ეფუძნებოდა საერთო კულტურული ენის (მიუხედავად ფუძეენის რღვევისა), საერთო სახელმწიფოებრივი განცდის (მიუხედავად ტერიტორიული დაქუცმაცებისა) არსებობას. მართალია, ერის კონსოლიდაციის პროცესი შემდგომშიაც გრძელდებოდა (ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ქრისტიანობას მიუძღვის), მაგრამ ქართველი ხალხის მყარი სულიერი ერთობა მაინც აია-კოლხეთის ხანაში ჩამოყალიბდა. სხვა ახსნა ქართველთა სამი ძირითადი შტოს (მეგრულ-სვანურ-ქართლური) მტკიცე ერთობის უნიკალური ფაქტისა შეუძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომ ეპოქებში ქართველი ხალხის არსებობის ბევრად მეტი ხნის განმავლობაში უკვე გარეშე ფაქტორებით განპირობებული უპირატესად დეზინტეგრაციის ხელშემწყობი პროცესები მოქმედებდნენ.

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე და უფრო შორეულ წარსულში დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ენგურ-ფსოუს მონაკვეთის მოსახლეობაზე, კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფზე არსებითი „მსჯელობის შესაძლებლობა გამორიცხულია“[85] საკმარისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის უქონლობის გამო. მიუხედავად ამისა, არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. იგი ეფუძნება უსაბუთო ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც III-II ათასწლეულებში მცირე აზიაში მოსახლე ქაშქა-აბეშლას ტომები თითქოს აფხაზ-ადიღთა წინაპრები არიან. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ პ.უსლარი, ნ.მარი, პ.უშაკოვი, დ.გულია, ვ.სტრუვე, მ.დიაკონოვი და სხვები[86]. ნ.მარი აფხაზთა პირვანდელ სამშობლოს კოლხეთის სამხრეთით და წინა აზიაში ეძებდა; თანამედროვე გეოგრაფიული სახელები – გუბაზოული, ჩიბათი, ანჩა (გურია), აგრეთვე აჭარა, ფაზისი და ა.შ. მან აფხაზურ ტოპონიმებად მიიჩნია[87]. დ.გულიამ ყოველგვარი დასაბუთების

---

[83] . ო. ლორთქიფანიძე. კოლხური ეთნოკულტურული სისტემის განითარება. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ., 2002, გვ. 18-28.

[84] . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბ., 1970, გვ. 295.

[85] . მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990, გვ. 5.

[86] . Всемирная история, т. 1. М., 1965, გვ. 379, 515.

[87] . Н. Я. Марр. История термина «абхаз». – Известия Императорской Академии Наук. VI серия, 1912, №11, с. 697-706; მისივე: Лингвистическая поездка в Абхазию (к этимологическим вопросам). – Известия..., 1913, №6, გვ. 303-337; მისივე:

გარეშე კოლხები აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებად შერაცხა და დაასკვნა, თითქოს, ახალ წელთაღრიცხვამდე მთელი კოლხეთი, მცირე სომხეთი, ჩრდილოეთ მესოპოტამია და კოლხეთის მიმდებარე სხვა რეგიონები როგორც ამიერკავკასიაში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზურ-ჩერქეზულენოვანი ხალხით იყო დასახლებული[88]; უფრო მეტიც, მან თავისი წიგნის მთელი თავი (თავი IV) მიუძღვნა იმის „დამტკიცებას“, „რომ აფხაზები ეგვიპტიდან და აბისინიიდან, ე.ი. აბასიიდან არიან გამოსულები“[89]. დ.გულია ემყარებოდა XIX-XX საუკუნეების ევროპელ და ქართველ მეცნიერთა შეხედულებებს ქართველთა და სხვა კავკასიელ ხალხთა წინაპრების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ[90], კოლხთა ეგვიპტური წარმოშობის ჰეროდოტესეულ თეორიას. მოსაზრება ქართველთა სამხრეთული წარმომავლობის შესახებ ეჭვქვეშ დადგა, როგორც კი დასავლეთის მეცნიერებმა (ბ.გროზნი ჩეხეთიდან და სხვ.) თუბალები, მუშქები (ქართველების სავარაუდო წინაპრები) ინდოევროპელებად აღიარეს. ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც ქართველების სამხრეთიდან გადმოსახლების თეორიას უჭერდა მხარს, პოზიცია რამდენადმე შეცვალა. იგი შეუდგა ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების ნათესაობის იდეის დამუშავებას. ეპიგრაფიკული წყაროების, ტომობრივი სახელწოდებებისა და ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე ი.ჯავახიშვილმა ირანულენოვან ხალხებად აღიარებული სკვითები და სარმატები ადიღების, ჩეჩნებისა და ლეკების წინაპრებად გამოაცხადა. ჩრდილოეთ კავკასიელთა კვალი, მისი აზრით, საქართველოსა და მეზობელ ალბანეთშიც მოიპოვებოდა; ტოპონიმებისა და ეთნონიმების ეს კვალი მცირე აზიამდე აღწევდა, - წერდა მეცნიერი. საკუთარი მონაცემების საფუძველზე ი.ჯავახიშვილი ოდნავი განსხვავებით, მაგრამ მაინც ტრადიციულ თვალსაზრისს დაუბრუნდა. ამჯერად, მისი მტკიცებით, „მონათესავე ქართული, ქართველური და სკვითურ-სარმატული ტომები” გადაადგილდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ; ამიტომ უშუალოდ ქართველთა წინაპრები თუბალ-ტიბარენები და მუშკები//მეშეხები, ივ.ჯავახიშვილის აზრით, ინდოევროპელები ვერ იქნებოდნენ[91].

აკად. ს.ჯანაშიამ სრულიად ახალი თეორია წამოაყენა. „ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან“ და ხეთა-სუბარების შთამომავლები არიან, – წერდა მეცნიერი; 6 ათასი წლის წინ უზარმაზარ ტერიტო-რიაზე (წინა აზია, ბალკანეთი, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულები) განფენილი ეს მოსახლეობა თანდათანობით შევიწროვდა, ძვ.წ. XIII საუკუნიდან (ხეთების სახელმწიფოს დამხობის შემდეგ) წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცდა; პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში საქართველოს თანამედროვე ტერი-ტორიაზე დასავლური და აღმოსავლური კულტურული წრე ჩამოყალიბდა, რომელიც ქართველთა ორ გაერთიანებას – დასავლურქართულს და აღმოსავლურ ქართულს – შეესაბამებოდა; „დასავლური კულტურული წრე შეიცავდა მთელს დასავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს მდ.თერგის დასავლეთით, მდ. ჭოროხის ხეობასა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაც”; ძვ.წ. VI საუკუნისათვის, როცა ურარტუს სამეფო დაეცა, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს[92]. ს.ჯანაშიას თეორიამ დიდი პოპულარობა და მხარდაჭერა მოიპოვა. დღის წესრიგიდან მოიხსნა ქართველთა წინაპრების სხვაგან ძებნისა და მათი გადმოსახლების საკითხი; ყოველგვარი აზრი დაკარგეს დ.გულიას მოსაზრებებმაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ს.ჯანაშიას თეორიის გავლენით თქვა მან უარი თავის

. – , 1916, 5, გვ. 154. ნ.მარის მოსაზრებათა კრიტიკა იხ.: თ.გვანცელაძე. მოსაზრებანი ტერმინ „აფხაზის” ნ. მარისეული ეტიმოლოგიზების ცდის შესახებ. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – 12. მასალები. თბ., 2001, გვ. 33-34 (იხ. აქვე, თავი XI).

88 . Д. И. Гулия. История Абхазии, т. 1. Тб., 1925, გვ. 76.

89 . იქვე, გვ. 79-134.

90 . საკითხის მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა იხ.: გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 18-26..

91 . ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ., 1937; მისივე: - , . – . , 1939, 4, გვ. 47-48; მისივე: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 250.

92 . საქართველოს ისტორია. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1943, გვ. 14, 16, 21, 45-48.

ძირითად დასკვნებზე[93], თუმცა XX საუკუნის 30-იან წლებში[94] არც მკაცრი კრიტიკა დაჰკლებია მეცნიერთა თუ ხელისუფალთა მხრიდან[95]. დ.გულიამ კი უარყო ძველი აბსურდული შეხედულებები, მაგრამ სეპარატისტული ისტორიოგრაფია დღემდე იზიარებს მათ.[96]

ეგვიპტე-აბისინიიდან აფხაზთა გამოსვლის იდეა სერიოზულად არავის მიუღია, სამაგიეროდ არაერთი ცნობილი ავტორი, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმთავრესად ფონეტიკურ მსგავსებათა საფუძველზე ქაშქა-აბეშლას ტომებს ჩერქეზთა წინაპრებად მიჩნეულ კერკეტებთან და აფხაზურ-აფსუურ ტომად მონათლულ აფშილებთან აიგივებდა. ერთ-ერთი პირველი იყო გერმანელი მეცნიერი ედმუნდ მაიერი, რომელმაც სხვა ევროპელ მეცნიერებთან ერთად ჯერ კიდევ 1884 წელს კოლხები, სავარაუდოდ, ქაშქებად მიიჩნია.[97] იგივე მოსაზრება გამოთქვა მიშელ თამარათიმ (მიხეილ თამარაშვილმა) 1910წ. რომში ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამითგან დღემდე“[98]. ქასქებს კოლხებად თვლიდა ივ. ჯავახიშვილიც[99].

განსხვავებული ვარაუდები გამოთქვეს ი.დიაკონოვმა, ი.დუნაევსკაიამ, გ.მელიქიშვილმა[100]. ამ უკანასკნელის აზრით, ქაშქა-აბეშლა პროტოხეთების (ხათების) მონათესავე კრებითი მნიშვნელობის ერთი და იგივე ტომობრივი სახელის ორი სხვადასხვა ვარიანტია. ქაშქების სახელით ხეთები მოიხსენიებდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელებს, რომელთა შორის, თითქოს, იყვნენ, - წერდა გ.მელიქიშვილი, - როგორც აფხაზ-ადიღთა, ისე ქართველთა წინაპრებიც[101].

XX საუკუნის 50-60 წლებიდან აქტიურად მუშავდებოდა აფხაზთა სამხრეთული წარმოშობის თეორია, რაც დაკავშირებული იყო პ.ინგოროყვას ფუნდამენტური ნაშრომის – „გიორგი მერჩულეს“ (თბ., 1954) ოფიციალურ დაგმობასთან. მასში დასაბუთებულია აფსუა-აფხაზთა ჩრდილოკავკასიური წარმოშობისა და გვიან შუა საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოსახლების, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ადრეც არსებული თეორია. ამის გამო აღელვებული აფხაზური საზოგადოების დაშოშმინების მიზნით და ასევე პოლიტიკური მოტივებით საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (რომლის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა ისტორიული მეცნიერება) 1956 წლის 10 ივლისის დადგენილებით ქართველები აფხაზთა (ასევე ოსთა და სომეხთა) ეროვნული კულტურის ვითომ ლიკვიდაციისა და ასიმილაციის მცდელობაში დაადანაშაულა. „ბრალდება“ აღიარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა (1956 წლის 6-8 აგვისტო) და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის (1956 წლის 16 აგვისტო) პლენუმებმა[102]. არარსებული „ქართული შოვინიზმის“, აფხაზთა ეროვნულ-კულტურული „ჩაგვრის” დაგმობამ გზა გაუხსნა ისტორიოგრაფიაში პ.ინგოროყვას თეორიის საპირისპირო ვარაუდების, მათ შორის აფხაზთა სამხრეთული წარმოშობის კონცეფციის დამკვიდრებას.

---

93 . . . « ». , 1951.

94 . 30-ანი წლებიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ზემოდან დაკვეთით დამუშავებული ნ. მარის ახალი კონცეფცია ხალხთა ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ; ამით უარი ეთქვა მიგრაციულ თეორიებს, ბრძოლა გამოცხადდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ (იხ. . Шни . , გვ. 290).

95 . დ.გულიას, ასევე ს.ბასარიას (. , 1923) და ს. აშხვაწაას (. . . , 1925) ანტიმეცნიერული პუბლიკაციების კრიტიკა (მათ შორის პარტიული ორგანიზაციების მხრიდან) იხ.: . . , . I. , 1934. გვ. 13-18; В. Шнирельман. Войны памяти, გვ. 290-291.

96 . . , 1991, გვ. 9-11; . . ж , . . . , გვ. 4-5.

97 . А. С. Хаханов. Древние пределы разселения грузин по Малой . ., 1903, გვ. 17; გ.მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიის ..., გვ. 32.

98 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 515.

99 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I-II. თბ., 1913, გვ. 26.

100 . И. М. Дьяконов. Языки древней Передней Азии. М., 1967; მისივე: Предыстория армянского народа. М., 1968, გვ. 12-13; მისივე: Урарту, Фригия, Лидия. – История древнего мира. Расцвет древних обществ. Изд. III. М., 1989, გვ. 40, 46-49; И. М. Дунаевская. О структурном сходстве хаттского языка с языками Северо-Западного Кавказа. – Исследования по истории культуры народов Востока. М., - Л., 1960; Г. А. Меликишвили. Наири – Урарту. Тб., 1954, с. 77, 401; მისივე: К истории древной Грузии. Тб., 1959, с. 97, 120-122; მისივე: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის. გვ. 32; მისივე: ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში. თბ., 1999, გვ. 84-96.

101 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გვ. 360.

102 . კომუნისტი,1956, 9, 25 აგვისტო.

აღნიშნულ თემას შეეხო კ.შაყრილი. მას მიაჩნდა, რომ ქაშქები ადიღთა წინაპრები არიან, აბეშლა კი – აფსუა-აფხაზებისა; დაახლოებით III-II ათასწლეულების მიჯნაზე ისინი თითქოს ნელ-ნელა დაიძრნენ კავკასიისაკენ და ძვ.წ. I ათასწლეულში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიამდე მოაღწიეს; ავტორის აზრით, მოსული აფხაზურ-ადიღური ტომები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც თავს მოახვიეს თავიანთი ენა და კულტურა[103]. ამასთანავე კ.შაყრილი არაფერს ამბობს (და ვერც იტყოდა) იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა ვითომ მცირე აზიიდან გადმოსახლებულთა კულტურული უპირატესობა და სად გაქრა იგი შემდგომში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მასალა არ ადასტურებს მოსახლეობის შემადგენლობის რადიკალურ ცვლას ძვ.წ. I ათასწლეულში, ან მის გადაადგილებას მცირე აზიიდან ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

ქაშქა-აბეშლას ტომების მცირე აზიიდან კავკასიაში, მათ შორის დასავლეთ საქართველოში გადმოსახლების თეორიას მხარს უჭერდა არქეოლოგი ლ.სოლოვიოვი. მისი აზრით, დოლმენები აფხაზეთში ქაშქებმა დაამკვიდრეს, თუმცა თვითონვე აღნიშნავდა, რომ შავიზღვისპირეთში ეს დოლმენები მცირეაზიელი ტომების სავარაუდო გადმოსახლებამდეც არის დაფიქსირებული[104]. აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობოდა ზ.ანჩაბაძეც; იგი ამტკიცებდა, რომ აფხაზური ეთნოსის ჩამოყალიბება მოხდა კავკასიის შავიზღვისპირეთში ადგილობრივი აბორიგენული მოსახლეობისა და ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიიდან მოსული ტომების კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის (ნეოლითის ხანიდან წინა ანტიკური ხანის ბოლო საუკუნეებამდე) შედეგად;[105] შემდგომში ზ.ანჩაბაძემ რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება წარმოადგინა. მისი მტკიცებით, აფხაზურ-ადიღურ-ქართველურ ტომებს უხსოვარი დროიდან ეკავათ კავკასიის დასავლეთი ნაწილი და მიმდებარე რაიონები მცირე აზიაში. ე.წ. დოლმენური კულტურის აყვავების პერიოდი, III ათასწლეულის დასასრული - II ათასწლეულის პირველი ნახევარი, უნდა განვიხილოთ, – წერდა მეცნიერი, – როგორც ძველაფხაზური ეთნოსის ჩამოყალიბების პერიოდი, ვინაიდან უფრო მეტად სწორედ მაშინ მოხდა პროტოაფხაზურ-ადიღური ეთნიკური ერთობის საბოლოო რღვევა[106]. ზ.ანჩაბაძესთან ვერ ვპოულობთ სარწმუნო მონაცემებს III-II ათასწლეულებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ენგურ-ფსოუს მონაკვეთზე მაინცდამაინც ძველაფხაზური ტომების მკვიდრობის შესახებ. შ.ინალ-იფას აზრითაც, ხათურ-აფხაზურ-ადიღური ტომები სამხრეთიდან ჩამოსულნი კი არ არიან, არამედ III-II ათასწლეულებში სახლობდნენ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან მცირე აზიამდე[107].

ეთნიკური ისტორიის საკითხებს შეეხო ო. ჯაფარიძეც. კავკასიის კულტურულ-ენობრივი დაშლის შემდეგ (IV-III ათასწლეულები) მის დასავლეთ ნაწილს (აფხაზეთის ჩათვლით) ხათურ-აფხაზურ-ადიღური ტომები იკავებენ, – წერდა იგი, – ქართველური ტომები კი ამ დროს ამიერკავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ოლქებში არიან. დასავლეთ კავკასიაში აღმოჩენილი კულტურა ო.ჯაფარიძემ აფხაზ-ადიღთა კუთვნილებად მიიჩნია[108]. სამწუხაროდ, იმავეს ამტკიცებდა მეცნიერი მოგვიანებითაც[109]. ო.ჯაფარიძის პოზიცია ამჟამადაც თითქმის უცვლელი რჩება – გვიანნეოლითის ხანაში (III ათასწლეული) აფხაზ-ადიღთა წინაპრები ყუბანისპირეთში არიან, მაგრამ დასავლეთ კოლხეთში მათი ყოფნა გამორიცხული არ არის; აქ ისინი ვითომ ქართველური ტომების მეზობლად მოსახლეობდნენ, რამაც, შესაძლოა, განაპირობა აფხაზურ-ადიღურ და ქართ-

---

[103] . К. Шакрыл. К вопросу об этногенезе абхазско-адыгских народов. – Ученые записки Адыгейского НИИ, IV. Краснодар, 1965, с. 205-221.

[104] . Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы – стоянки Воронцовской пещеры. – Труды АБНИИ, т. XX1 . , 1958, . 163-165.

[105] . З. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964, с. 121.

[106] . З. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с. 21

[107] . Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976, с. 423-424.

[108] . ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1976, გვ. 61, 266, 305.

[109] . О. Джапаридзе. На заре этнокультурной истории Кавказа. Тб., 1989, с. 393.

ველურ ენებში ასახული შეხვედრები[110]. სინამდვილეში ასეთი შეხვედრები ბევრად უფრო გვიანდელი ხანისაა.

არსებობს საპირისპირო შეხედულებებიც. მცირე აზიიდან დასავლეთ კავკასიაში ქაშქების გადასახლება, არ დასტურდება არქეოლოგიური მასალებით[111], მათ შორის დოლმენებით, რომლებიც არ არიან დაფიქსირებული მცირე აზიაში[112]. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქაშქების ეთნიკური ჯგუფი დღემდე არსებობს ირანში[113].

აფხაზ-ადიღთა ლინგვისტურ კავშირებს ხათებთან უარყოფს გერმანელი მეცნიერი ა.კამენჰუბერი. იგი მიიჩნევს, რომ ხათური და კავკასიური ენების გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობა წარუმატებელი იქნება იმის გამო, რომ ხათურის კვდომიდან კავკასიური ენების წერილობით ფიქსაციამდე 3000 წელიწადია გასული; შესაბამისად, დასკვნების გამოსატანად აუცილებელი მასალა არ დარჩა; აქედან გამომდინარე, იგი უარყოფს ი.დუნაევსკაიას პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ ჯეროვნად არ მიმდინარეობს ხათურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის სტრუქტურული თუ შესაძლო გენეტიკური კავშირების შესწავლა; მეცნიერი დარწმუნებულია, რომ ამ ენებში არსებულ მსგავსი ჟღერადობის სიტყვებს კავშირი ერთმანეთთან არა აქვთ[114].

გენეტიკური კავშირის არსებობა ჩერქეზ-ადიღთა წინაპრების აღმნიშვნელ „ქასაგ“, „ქაშაგ“ ტერმინებსა და ქაშქას შორის გამორიცხულად მიაჩნია ნ.ვოლკოვას, ვინაიდან წყაროებში ისინი ორი ათასი წლის ინტერვალით მოიხსენიებიან[115]. ასეთივე შუალედია ლურსმული წარწერების „აბეშლასა“ და „ქართლის ცხოვრების“ „აფშილს“ შორის.

მარტო დიდ წყვეტილობას დროსა და აგრეთვე სივრცეშიც დამაჯერებელ არგუმენტად არ მიიჩნევს გრ.გიორგაძე. მეცნიერის აზრით, უფრო მთავარი ის გახლავთ, რომ „ქაშაგ“ – „ქაშქას“ იგივეობის დასადგენად მხოლოდ ტერმინთა ფონეტიკური მსგავსება (რომელიც შეიძლება შემთხვევითი იყოს) საკმარისი არ არის; ხეთური წყაროების „ქასქა“ მსგავსი ან იდენტურია სხვადასხვა ეპოქის ხალხთა სახელწოდებებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ (ზოგ შემთხვევაში ახლაც ცხოვრობენ) მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში (კამერუნში არის ტომი „ქასქა“, ინდოეთში – გაშქა, პამფილიაში - სამხრეთ მცირე აზიაში – ცხოვრობდა ქერქოი და ა.შ.); გრ.გიორგაძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ „ქაშაგი“ ს.-ს. ორბელიანთან განმარტებულია როგორც „მოზრდილი ტყვე“, ხოლო ზაზა ფანასკერტელთან სიტყვა „ქაშქი“ – ნიშნავს „წუენი ქერის კორკოტისა“ (გამოიყენებოდა ლუდის აღსანიშნავადაც)[116]. უფრო ზუსტად, ს.-ს. ორბელიანი ასეთ განმარტებას იძლევა: „**ქაშაგი** მოზრდილი ტყვე, და ბაღანა-ჩვილი“[117]. დ.ჩუბინაშვილი უფრო აკონკრეტებს ამ ქართული სიტყვის მნიშვნელობას: „**ქაშაგი,** ტყვედ გასაყიდად დანიშნული მოზდილი ყრმა“[118]. აქვე, განსჯისათვის შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ჩინგიზ-ხანის პირად გვარდიას ქეშიგი ერქვა. ამრიგად, მტკიცებას „ქაშაგ”-„ქაშქას” იდენტურობის შესახებ მტკიცე საფუძველი არ გააჩნია.

გრ.გიორგაძემ შეისწავლა ქასქების ეთნიკური ვინაობა; მან არ გაიზიარა მოსაზრება ხათებთან მათი იდენტიფიცირების შესახებ იმ მიზეზით, რომ ეს ტომები განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებოდნენ; აფხაზურ-ადიღურ ტომებთან ქასქების დაკავშირებაც არადამაჯერებლად მიიჩნია ტომთა სახელების ბგერითი სიახლოვის გარდა სხვა არგუმენტების უქონლობის გამო; არ არსებობს აგრეთვე ქასქების გადასახლება-გადმოსახლების დამადასტურებელი რაიმე მასალა. ხეთურ და ლურსმულ

---

110 . ო. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006, გვ. 248.

111 . Е. Алексеева. Древняя и средневековая история Карачаево-Черкессии. М., 1971, с. 186-198.

112 . В. Марковин. Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов. Нальчик, 1974, с. 29.

113 . . . a . – - . , 1980, . 166.

114 . А. Камменхубер. Хатский язык. – Древние языки Малой Азии. Под редакцией И. М. Дьяконова и Вяч. Вс. Иванова. М., 1980, с. 23-98.

115 . Н. Г. Волкова. Этнонимы и племенние названия Северного Кавказа. М., 1973, с. 22.

116 . გრ. გიორგაძე. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბ., 2002, გვ. 96-97.

117 . სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II. თბ., 1993, გვ. 218.

118 . დ. ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1984, გვ. 1330.

ტექსტებში ასახული ქასქური ტოპონიმების[119], საკუთარი სახელებისა[120] და ცალკეული სიტყვების[121] პირველადმა ანალიზმა მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქასქები მეტ ერთობას ავლენენ ქართველებთან (მეგრელ-ლაზებთან და სვანებთან), ვიდრე აფხაზ-ადიღებთან[122].

გრ.გიორგაძე განიხილავს აბეშლაელთა[123] ვინაობის საკითხსაც. ასურეთის მეფის ტიგლათფალასარ I-ის (ძვ.წ. 1115-1077წწ.) სახელით შედგენილ ტექსტებში ისინი მოხსენიებული არიან ქასქების ვარიანტად, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ლურსმული ტექსტების ქაშქაც ასევე სინონიმია იმავე აბეშლასი, – წერს მეცნიერი და დაასკვნის: „თუკი ამ შეხედულებას („ქაშქა“ – „აბეშლას“ სინონიმობის შესახებ) გავიზიარებთ, მაშინ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული ტექსტების აბეშლაელები (საერთო ჯამში აფსილებიც – „აბეშლა“ და „აფსილი“ ტერმინების გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იმავე ჩამომავლობის – სამხრეთკოლხური წარ-მოშობის ტომებია“[124].

მთელი რიგი არგუმენტების მოშველიებით (უზუსტობები ასურულ ტექსტებში, აბეშლაელთა ლოკალიზაცია, ხეთურ ტექსტებში მათ შესახებ ინფორმაციის უქონლობა, პოლიტიკურ ასპარეზზე შედარებით გვიან გამოჩენა და ა.შ.) გრ. გიორგაძე უარყოფს „ქაშქა“ – „აბეშლას“ იგივეობას და გამოთქვამს ვარაუდს, რომ აბეშლაელები ქაშქებთან და მუშქებთან ერთად დასავლურქართველური წარმოშობისანი არიან; ამასთანავე, ჰიპოთეტურს უწოდებს „აბეშლა“ – „აფსილ“ – „აფსუას“ – სულ სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის ხალხების გაიგივების მცდელობას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ტერმინთა მიახლოებით მსგავსებას ეფუძნება; თუკი ასეთ იგივეობას დავუშვებთ, „მაშინ აფსილებიც კოლხური (მეგრულ-ლაზური) წარმომავლობის ტომად უნდა ჩავთვალოთ, რადგან აბეშლაელები ქაშქებთან ერთად სწორედ ასეთ ტომად მიგვაჩნია“[125]. ასეთია გრ.გიორგაძის მოსაზრება, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ამ საკითხზე სხვა მეცნიერების, მათ შორის გ. მელიქიშ-ვილის[126] დასკვნებისაგან. იმედია, მომავალში ეს მოსაზრება დამატებითი არგუმენტებით გამყარდება.

მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთიდან აფხაზურ-ადიღური ტომების წინაპართა დასავლეთ კავკასიაში გადასახლების თუ ამ ტომების კავკასიიდან მცირე აზიამდე გავრცელების თეორიის დასაბუთებას დასავლეთ საქართველოში ამჟამად არსებულო ტოპონიმებითაც ცდილობენ. როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი პირველი იყო ნ.მარი, რო-მელმაც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (აჭარა, გურია, სვანეთი, რაჭა) არსებული ცალკეული ტოპონიმები ვითომ აქ 3 ათასზე მეტი წლის წინ მოსახლე აფხაზთა წინაპრებს მიაკუთვნა. საბჭოთა პერიოდში ეს მოსაზრება განავითარეს დ. გულიამ, ს. ჯანაშიამ, ივ. ჯავახიშვილმა და სხვებმა. „აფხაზურ-ჩერქეზული ეტიმოლოგიის მდინარეთა და პირთა სახელების“ საფუძველზე დ. გულიამ მთელი

---

119 .ასხარბაია/აშხარბაია, ელურია/ილურია, ცითახარია (მთა), გახარია/ქახარია (დასახლება), ფათხარია, ფათალია, სუსურია/შუხურია, თიფია, ციხარია (ქვეყანა), სარია/შარია (მდინარე), თეხულია/თიხულია, თასქულია/თაშქურია (დასახლება), თიმია (დასახლება), ცულია (მდინარე), დუდუსქა/დუდუშქა (ქასქების მთავარი დასახლება), მუნისქა/მუნიშქა, თათისქა/თათიშქა, ციანთისქა/ციანთიშქა, ხათენცუვა, ქარანსუვა, თაფასავა, ქათალადუვა, ქათითიმუვა და ა. შ.

120 .პსხაფალა, ხაცინა, ქასქამუვა, ფაათა (პაათა), ფათალია, ფიხუნია, ფია (ბია), სუისმელი (შუიშმელი), დადი (დათა, თათა), დადიდუ, თემეთი, თითა (დითა), ქასქაილი (ქასქელი), სამეთილი (სამთელი), დადილუ (დადიელი) და ა. შ.

121 . ფეგაფილუ, ფიგურიალი, ფიფალალა, ფითაურია, ფითუნთუშ და ა. შ. (მათი მნიშვნელობა უცნობია)

122 . გრ.გიორგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 108-111; ნ. ხაზარაძე თვლის, რომ ურთიერთკავშირი მუშქებსა და მოსხებს, მუშქებსა და ქაშქებს, ქაშქებსა და მოსხებს შორის აშკარაა, რაც მოსხებისა და მუშკების აღმნიშვნელი ტერმინების იგივეობის ერთ-ერთ მოწმობად შეიძლება ჩათვალოთ (ნ. ხაზარაძე. მესხი ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 39).

123 . ი. გელბი „აბეშლა“ ტერმინს აკავშირებდა მესოპოტამიური წყაროების „აფშილ“ („აბშილ“) სახელწოდებასთან, ხოლო აბეშლაელების ტერიტორიას – მდ. ტიგროსისა და ვანის ტბას შორის მდებარე რაიონებთან. სიტყვა „აბეშლა“ თავისი ფონეტიკური შემადგენლობით ახლოს დგას აგრეთვე ერთ-ერთი ასურელი მეფის სახელთან – აბიაშალ (აფიაშალ); იგივე სიტყვა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მამაკაცის სახელი „აბიშალამ“. გრ.გიორგაძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ აბეშლაელები სემიტური წარმოშობისა იყვნენ (გრ. გიორგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 119)

124 . გრ. გიორგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 115. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძვ.წ. III-II საუკუნეებში წინარე ქართველური ენა ჯერ კიდევ არ იყო დიალექტებად დაყოფილი.

125 . იქვე. გვ. 121.

126 . გ. მელიქიშვილი. ძიებანი ... გვ. 93-96.

დასავლეთ კავკასია, სომხეთი და თურქეთი, როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზთა წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად გამოაცხადა[127].

ს.ჯანაშიას მოხსენებაში „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში“ (1933წ.) „არაქართული“ სახელწოდებების (აკამფსი, სუფსა, აგიდაყვა, აჭყვა, მალთაყვა, ბობოყვათი, ბერეყვა და ა.შ.) ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა: „საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი მოსახლეობის ნაკვალევია“[128]. იგივე მოსაზრება გამოთქვა ივ.ჯავახიშვილმა. ფს-ბოლოკიდურიანი ჰიდრონიმები მან ჩერქეზულად აღიარა, ხოლო ფშ-ბოლოკიდურიანი სახელების სახელმდებლად ყაბარდოელები მიიჩნია, ყვა, ყუარა კი აფხაზებს მიაკუთვნა[129]. მანვე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში 1939წ. მაისში წაკითხულ მოხსენებაში იმ მოტივით, რომ ჩერქეზულად ყვა ძე-ს ნიშნავს, ქართული გვარები ინგორო-**ყვა,** ჭანუ-**ყვა**-ძე, ღელე-**ყვა** ადიღური წარმოშობის გვარებად გამოაცხადა. ასევე ადიღურ ტოპონიმებად ჩათვალა ხოფა, სინოპი. სოფელ ბჟინევის (ხარაგაულის რ-ნი) სახელწოდებაც ჩერქეზულად (ნიშნავს ნიორს) იქნა ახსნილი. „ამრიგად, – ასკვნის ივ.ჯავახიშვილი, – ისტორიამდელ ხანაში ადიღეველები უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული დასავლეთ ამიერკავკასიაში, ისტორიული ხანის საქართველოს ტერირორიაზე“[130].

ფს-, ფშ-, ყვა- ელემენტების შემცველი ონომასტიკა, მთელ რიგ გარემოებათა გამო, ჩერქეზ-ადიღთა წინაპრების ნაკვალევად ვერ ჩაითვლება. პირველ რიგში, მოყვანილი ტოპონიმები და ჰიდრონიმები ლათინური, ბერძნული და ქართული წარმოშობისაა, რაზეც ყურადღებას ივ.ჯავახიშვილიც ამახვილებდა[131]; მეორეც, მათი ნაწილი ეკუთვნის არა 3-5 ათასი წლის წინანდელ პერიოდს, არამედ გვიანანტიკური, ან, შესაძლოა ადრეული შუა საუკუნეების ხანას, როცა მდ.რიონის სამხრეთით მდებარე თითქმის უკაცრიელ ტერიტორიებზე (თანამედროვე გურია, იმერეთისა და აჭარის ნაწილები) კვლავ ქართული მოსახლეობა დამკვიდრდა[132]; მეორე ნაწილი ძველ წერილობით წყაროებში საერთოდ არ იხსენიება. ჩერქეზ-ადიღთა ნაკვალევად მიჩნეული სახელწოდებების დათარიღების აუცილებლობაზე კი სავსებით სამართლიანად გაამახვილა ყურადღება მ.ინაძემ[133]; მესამეც, მსგავსი ტოპონიმები მრავლად გვხვდება როგორც საქართველოში, ისე ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტებზე[134]. ყვა- (კვა), ფს-, ფშ- კომპონენტების შემცველი სიტყვებიც საკმარისად მოიპოვება სხვადასხვა ენებში,

---

127 . Д. Гулиа. დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77.

128 . ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III. თბ., 1949, გვ. 120-122.

129 . ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 43-46.

130 . Вестник Древней Истории, 1939, №4, с. 35-46.

131 . ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიის..., გვ. 34-38. მოგვიანებით გ. ახვლედიანმა უარყო ქ. ლომთათიძის მიერ გამოთქმული შეხედულებები და აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, ფს- და ყვა- კომპლექსები საერთო უნდა ყოფილიყო ადიღურსა და ქართველურ ენებში. – გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – მნათობი, 1957, №2, გვ. 113-114.

132 . ბიზანტიელი ისტორიკოსი პრ. კესარიელი (VI საუკუნე) აღნიშნავდა, რომ მდ. ფაზისის მარცხენა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა დასახლებული პუნქტები არ ჰქონდათ, რომ ეს მხარე მოკლებულია მნიშვნელოვან სამოსახლოებს, ან მთლიანად დაუსახლებელია (გეორგიკა, ტ. 2, გვ. 101, 182). ეს სარწმუნო ცნობა (დ. მუსხელიშვილი მას შეცდომად მიიჩნევს. – იხ. მისი: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, გვ. 102-104) აღწერილი ვითარების თანამედროვე კომპეტენტური ავტორისა გვეხმარება საკითხის ქრონოლოგიის გარკვევაში. სადავო გეოგრაფიული სახელწოდებები უძველეს ხანაში მათი წარმოქმნის შემთხვევაში უეჭველად გაქრებოდნენ (ისედაც არც ერთ წყაროში არ მოიხსენიებიან), მათი გავრცელების თითქმის მთელი არეალის დიდი ხნით მოსახლეობისგან დაცლის გამო. ახალი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ონომასტიკის ფორმირება ლაზეთის ხსენებულ ნაწილში VI საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა მივაწეროთ.

133 . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. – მაცნე. ისტორიის... სერია, 1992, №2, გვ. 52.

134 . აფში (სოფ. დუშეთის რ-ში), აკვი/აყვი (ამჟ. ქ. ექსე საფრანგეთი), ქ. აკვანენდენტე (იტალია), ქ. აკვილეა (ძველი იტალია), კვანჯოუ (სამხრეთ კორეა), კვალეია (კუნძ. ნორვეგიაში), ფსახია, ფსერიმოსი (კუნძ. საბერძნეთში), ქ. ფსკოვი (რუსეთი), ქ. ფსოდორიტოსი (საბერძნეთი), ფსატურა, ფსარა/იფსარი/იფსარა (კუნძ. საბერძნეთში). ფსელეცკოე (სოფ. კურსკის ოლქში), ფსკენტი (რაიონული ცენტრი უზბეკეთში), ფშემისლი (თანამედროვე პერემიშლი პოლონეთში); ფშია (მდ. ქართლში), აკვიტანიის აუზი (საფრ.), კვა (მდ. ზაირში), კვანგო, კვანზა (მდ. ანგოლაში), კვანდო (მდ. ნამიბია-ზამბია-ანგოლა-ბოტსტვანაში), კვარკენი (სრუტე ბალტიის ზღვაში), კვალიფორდი (უბე ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში), კვარნერო (ადრიატიკის ზღვის ყურე), მდინარე და ქალაქი მოს- კვა (მოსკოვი), ფსიოლი (მდ. დნეპრის შენაკადი), ფსკენი (მდ. უზბეკეთში), ფსკოვა (მდ. რუსეთში) და ა. შ.

მათ შორის ქართულშიც[135]; მეოთხეც, დაუჯერებელია, რომ დაახლოებით 3-4 ათასი წლის წინ აფხაზ-ადიღებს საქართველოში ჰქონოდათ სოფლები, რომელთა სახელწოდებები უცვლელად დღემდე შემორჩა; იგივე ეხება ჰიდრონიმებს, მით უმეტეს – გვარებს[136], რომელთა ჩამოყალიბება გვიანდელი (ახ.წ. VII საუკუნისა და შემდგომი პერიოდის) მოვლენაა; მეხუთეც, შეუძლებელია ფს-, ფშ-, ყვა- ელემენტებიანი ონომასტიკა აფხაზ-ადიღთა წინაპრებს იმ შორეულ წარსულში დაეტოვებინათ ტერიტორიაზე, რომელიც ვითომ გამოიარეს (ან დროებით ეკავათ) მაშინ, როცა ასეთი სახელწოდებები შესაბამისი უძველესი ხანისა არ გვხვდება სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მიერ აფხაზთა მუდმივ საცხოვრებლად მიჩნეულ ადგილებში – მცირე აზიასა[137] და აფხაზეთში, აგრეთვე მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებში. გამოდის, რომ აფხაზურ-ადიღურად თუ ჩერქეზულად გამოცხადებული ტოპონიმიკა შორეულ წარსულში არსებობდა ყველგან, გარდა დასავლეთ საქართველოს ენგურ-ფსოუს მონაკვეთისა. ფს- კომპლექსის შემცველი სახელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში პირველად კლავდიოს პტოლემაიოსთან (ახ.წ. Iს.) გვხვდება – ქ.ამფსალიდა, რომელიც დაახლოებით მდ.შახეს ნაპირას, გოლოვინის კონცხთან მდებარეობდა[138]; V საუკუნის ანონიმი ავტორი ასევე თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ახსენებს „ნიკოფსიას“ (ყოფილი „ძველი ლაზიკა“ მდებარეობდა დღევანდელი ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით), „ფსახაფსს“ (მდინარეა ქ.ნიკოფსიასთან), „ტოფსიდას“ (მდ.ტუაფსე)[139]. სავარაუდოდ, ლათინურ, ბერძნულ, ან ქართულ ენებთან დაკავშირებული ეს სახელები გაითავისეს V საუკუნისათვის ნიკოფსიაში დამკვიდრებულმა ჯიქებმა, სხვა ჩრდილოეთ კავკასიელმა ხალხებმა. შეუძლებელია, პირიქით მომხდარიყო: იგივე **ყვა** – XIX-XX საუკუნეებამდე უდამწერლობო აფსუურ-აფხაზურიდან შესულიყო ლათინურში, ბერძნულში და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებში.

ასეა თუ ისე, მოსაზრება დასავლეთ საქართველოში წინარე აფხაზურ-ადიღურ ტომთა მოსახლეობის შესახებ საფუძველს მოკლებულია. აკად. სიმონ ჯანაშიამ ქართველთა ეთნოგენეზის ახალი თეორიის შემუშავებით ფაქტობრივად თავადვე უარყო იგი. აფხაზურ-ადიღურ ტომთა წინაპრების დასავლეთ საქართველოში ყოფნას „თავისთავად საკმაოდ საეჭვოდ“ მიიჩნევს ნ. ლომოური[1]. აღნიშნული შეხედულება უარყოფილია თანამედროვე ენათმეცნიერებაში (იხ. აქვე, თავი XI).

ისტორიამდელ ხანაში დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის ჩათვლით) მოსახლეობის შესახებ სარწმუნო ცნობების შემცველი ძველბერძნული თქმულებები და სხვა მასალები აღნიშნულ ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ქართველთა წინაპრებს და ძველ ქართულ სახელმწიფოს აფიქსირებენ.

ვარაუდობენ, რომ ძვ.წ. VIIIს. ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთის მიმართულებით სალაშქროდ დაძრულმა კიმერიელებმა კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე გამოიარეს და თითქოს ქვეყანას მძიმე დარტყმა მიაყენეს. როგორც ო.ლორთქიფანიძე მიიჩნევს, თუ მართლა განხორციელდა კიმერიელთა შემოსევები, მაშინ, ალბათ, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ კოლხეთი დაზარალდა[2]. თ.ბერაძე ასევე

---

[135] . ამფსონი, აფსიდა, აფსინდი, აფსიორება, აფსკი, აკვალანგი, აკვამარინი (მინერალი), აკვაპარკი, აყვა (ლათ. წყალი), აყვავითი (მაცოცხლებელი წყალი), ელიფსისი (ბერძნ.), ელიფსოიდი (ბერძნ.), ფსალმუნი, ფსალტირი, ფსატი, ფსევდონიმი, ფსელი, ფსვენი, ფსონი, ფსიადი (სასაკმევლე), ფსიტი (არჩვი), ფსილები (მსუბუქი ქვეითი ჯარი საბერძნეთში), ფსოლეფიტი (მცენარე), ფსილომელანი (მინერალი), ფსილოსი (ბერძნ. შიშველი), ფსინი, ფსიქო, ფსკერი, ფსოვი, ფსორიაზი, ფსტვინი, ფშანი, ფშატი, სი-ყვა-რული, ყვავი, ყვავილი, ყვანჩალა და ა. შ.

[136] . ყვა-ს შემცველი გვარების ჩერქეზულ-ადიღურ წარმოშობას თუ დავუშვებთ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ასეთი გვარების მატარებელთა წინაპრები სხვადასხვა სოციალური მიზეზების გამო არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებულან (შდრ. გრუზინოვები რუსეთში, სოკოლოვები, გოგოლები საქართველოში, გვარი აფხაზი კახეთში, მარშანიები გურიაში, და ა. შ.).

[137] . გრ. გიორგაძე ახლოაღმოსავლურ ეთნოსებს შუმერების ჩათვლით, საკმაოდ დასაბუთებულად, არა აფსუა-აფხაზებთან, არამედ დასავლურ-ქართულ სამყაროსთან აკავშირებს (გრ. გიორგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 22-26 და ა. შ.).

[138] . ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 52.

[139] . გეორგიკა, ტ. 2. თბ., 1965, გვ. 11.

[1]. ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 5; იხ. აგრეთვე მისივე: Некоторые вопросы ранней истории Абхазии (Ответ проф. Ш. Д. Инал-ипа). – მაცნე ისტორიის... სერია, 1990, №3, გვ. 165-166.

[2]. ო. ლორთქიფანიძე. „ოქრომრავალი კოლხეთი“ (მითი და რეალობა). – სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 61.

არ ეთანხმება მოსაზრებას ძვ.წ. VIIIს. ბოლო მეოთხედში კოლხეთის სამეფოს არსებობის შეწყვეტის შესახებ და ვარაუდობს, რომ კიმერიელთა შესაძლო შემოსევას კატასტროფული შედეგები არ მოჰყოლია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი აისახებოდა არქეოლოგიურ მასალაშიც (იხ. აქვე, გვ. 26-27) და ბერძნულ-სომხურ მწერლობაშიც[3]. უნდა ითქვას, რომ პირდაპირი თუ ირიბი მონაცემები სხვა ვარაუდებისათვის – კიმერიელების მიერ კოლხეთის სრული განადგურების, სამეფოს ტერიტორიაზე მეზობელი მთიელების შემოღწევისა და დამკვიდრების, „ძალთა თანაფარდობის შეცვლის“ შესახებ[4] არ არსებობენ. როცა დანამდვილებით ისიც კი არ არის ცნობილი, კიმერილებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი მართლაც გამოიარეს და მიაყენეს თუ არა დარტყმა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთს, ყოველგვარ აზრს კარგავს შემდგომი ვარაუდების მთელი სერიალი ამ „დარტყმის“ ნეგატიური შედეგების თაობაზე. მეტი საფუძველი არსებობს სხვა ვარაუდისათვის – კოლხეთის სამეფომ განსაკუთრებულ ძლიერებას სწორედ ძვ.წ. VIII საუკუნიდან მიაღწია (დიაუხის სამეფოს განადგურება და შემოერთება და ა.შ.). იმ დროიდან დაიწყო და მომდევნო საუკუნეებში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაცია, რამაც გავლენა იქონია პოლიტიკური პროცესების შემდგომ განვითარებაზე. მართებულია მ. ლორთქიფანიძის მოსაზრება ქართული სახელმწიფოს ისტორიის უწყვეტი ხაზის არსებობის შესახებ[5]. ეს უწყვეტობა დადასტურებულია თ.მიქელაძისეული პერიოდიზაციითაც[6], რომლის თანახმად, ძვ.წ. XIII ს-დან დაწყებული კოლხეთის სამეფოს ისტორიის პირველი პერიოდი ძვ.წ. VIს. შუა ხანებში დასრულდა. მეცნიერი მას „ძველი სამეფოს პერიოდს“ უწოდებს; ამის შემდეგ იწყება და ძვ.წ. I საუკუნემდე გრძელდება „შუა სამეფოს“ ახალი პერიოდი, რომელიც გვიანდელი (I-IV სს.) სამეფოს პერიოდმა შეცვალა[7].

2. ეთნოპოლიტიკური ვითარება ძვ. წ. VI-I სს.

ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულისათვის შავი ზღვის სანაპიროები ბერძნული კოლონიებითაა დაფარული. ეს საკითხი დეტალურადაა შესწავლილი ქართულ

---

3. თ. ბერაძე. ძველი ეგრისის (კოლხეთის) სამეფო, გვ. 34.

4 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 392-393; Н. Берулава. Город Диоскурия-Себастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI в. до н. э. и III в. н. э.). Тб., 2005, გვ. 28.

5. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, გვ. 136-141.

6. თ.მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები). თბ., 1974, გვ. 179-182.

7. ვ. შნირელმანი პირველი ძველქართული სახელმწიფოს ისტორიას, მოსაზრებას სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის შესახებ „კოლხიდის მირაჟს“, ხოლო თ. მიქელაძის პერიოდიზაციას ფანტასტიკურს, ძველი ეგვიპტის ისტორიის პერიოდიზაციის განმეორებას უწოდებს, მაგრამ ქართველ მეცნიერთა არგუმენტებს ღვარძლიანი შეფასებების გარდა ვერაფერს უპირისპირებს (. . . , გვ. 336-349).

ისტორიოგრაფიაში[140]. დადგენილია, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ძვ.წ. VIს. წარმოიშვნენ ახალშენები დიოსკურიასა (სოხუმი) და გიენოსში (მდ.მოქვის შესართავთან)[141]; ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება ეშერის ნაქალაქარი, სადაც ასევე არსებობდა ბერძნული ფაქტორია. ახალშენების დაფუძნება მოხდა ადრე არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში, ქალაქებში, რასაც ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერემ მიაქცია ყურადღება[142]; ბერძნული კოლონიები, მიუხედავად დამფუძნებელთა დამპყრობლური მიზნებისა, ადგილობრივთა მხრიდან მედგარი წინააღმდეგობის გამო ჩამოყალიბდნენ არა დამოუკიდებელ პოლისებად, არამედ სავაჭრო ფაქტორიებად. ნ.ლომოური დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ დასავლეთ საქართველოში არსებული და „ბერძნულად მიჩნეული ახალშენები თავიდანვე არ წარმოადგენდნენ წმინდა ბერძნულ ქალაქებს და ერთგვარ „შერეულ ხასიათს“ ატარებდნენ: ბერძენ კოლონისტთა გვერდით ამ ქალაქებში, სხვა ბერძნულ კოლონიებთან შედარებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივი, ქართული მოსახლეობა“[143]. ბერძნული კოლონიები ძირითადად საშუამავლო ვაჭრობით იფარგლებოდნენ, რაც, ო.ლორთქიფანიძის აზრით, იმას ნიშნავდა, რომ ისინი სწორედ ემპორიონებს, ე.ი. სავაჭრო ქალაქებს წარმოადგენდნენ; მათ ვერ მოახერხეს მსხვილ ბერძნულ ქალაქებად ჩამოყალიბება, რისი ძირითადი მიზეზი გახლდათ „პოლიტიკური ვითარება – კოლხური სახელმწიფოებრიობა და ადგილობრივი დემოგრაფიული სიტუაცია. ამ უკანასკნელი ფაქტორის საგანგებო შესწავლამ გვიჩვენა სწორედ, რომ ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მთლიანად იყო სამეურნეო თვალსაზრისით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ათვისებული და ასევე ყოველგვარი დემოგრაფიული ძვრების გარეშე დარჩა იგი იმავე ტერიტორიაზე“.[144]

ამასთან დაკავშირებით, დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს მოსაზრება მხოლოდ ძვ.წ. VIს. უკანასკნელ მეოთხედში კოლხური ტომების სახელმწიფო გაერთიანების საბოლოო ფორმირების, ფაქტობრივად სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, რასაც ნიადაგი, თითქოს, უკანასკნელი პერიოდის ეკონომიკურმა და კულტურულმა აღმავლობამ მოუმზადა (მ. ინაძე), აგრეთვე მტკიცება, ვითომ ბერძნული კოლონიების დაარსება ემთხვევა ჯერ კიდევ „გასახელმწიფოებრიობის გზაზე“ შემდგარი „მძლავრი და ფართო გაერთიანების არსებობას“ (ნ.ლომოური)[145]. მოვლენათა განვითარების ლოგიკიდან და მკვლევართა ხელთ არსებული მწირი მონაცემებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ჯერ არავის დაუმტკიცებია აია-კოლხეთის სამეფოს არსებობის შეწყვეტის ფაქტი; ძვ. წ. VIII-VII სს. სახელმწიფოებრიობის წყვეტას თუ დავუშვებთ, მაშინ უნდა გვქონდეს პასუხი კითხვაზე: ვინ მართავდა, რომელ დამპყრობელს ეკუთვნოდა ამ პერიოდში ისტორიული კოლხეთი? მეორეც, იმჟამინდელი საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური მასალა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის ჩათვლით) ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ისეთ მაღალ დონეს აფიქსირებს, რომლის მიღწევა სახელმწიფო ორგანიზაციის გარეშე წარმოუდგენელია; მესამეც, ბერძენ კოლონიზატორებთან გამკლავება, ახალშენების თვითმმართველ პოლისებად ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლა ასევე შეუძლებელი იქნებოდა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე; ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნებს სახელმწიფო რომ არ დახვედროდათ, ისინი აუცილებლად დამოუკიდებელ პოლისებს შექმნიდნენ (როგორც ეს ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გააკეთეს) და შემდგომში მათი უფლებების შემზღუდავი სახელმწიფოს ფორმირებას ნებით არ დაუშვებდნენ; ძვ.წ. VIს. უკანასკნელი მეოთხედიდან მთელ კოლხეთში სახელმწიფოს მიერ მოჭრილი ვერცხლის

---

140 . ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962; მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982; Н. Берулава.. Город Диоскурия-Себастополис და ა. შ.

141 . ნ. ლომოური სავსებით დამაჯერებელს უწოდებს მ. ინაძის მოსაზრებას დიოსკურიისა და გიენოსის ძვ. წ. VI ს-ში დაარსების შესახებ, თუმცა თვითონ მათ დაფუძნებას ძვ. წ. V ს-ზე ადრე არ ვარაუდობს (ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს..., გვ. 46-52; მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ..., გვ. 100, 101, 105-106 და ა. შ.).

142 . Фредерик Дюбуа де Монпере. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

143 . ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს..., გვ. 57.

144 . ო. ლორთქიფანიძე. იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი? – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, გვ. 68, 72.

145 . ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს..., გვ. 54; მ. ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 126-127.

მონეტების (კოლხური თეორის) მიმოქცევა[146] ბერძნების მოსვლამდე აქ ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობაზე მიუთითებს. ამრიგად, ძვ.წ. VIს-ში კოლხეთის სამეფო კი არ ჩამოყალიბდა[147], არამედ გადავიდა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, რაც შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების მეშვეობით მთელ ანტიკურ სამყაროსთან ეკონომიკურმა და კულტურულმა დაახლოებამ, ასევე შედარებით ხელსაყრელმა საგარეო პირობებმა (მშვიდობიანი და გარკვეულწილად მეგობრული ურთიერთობა აქმენიდურ სპარსეთთანაც) განაპირობეს[148].

ადრეანტიკური ხანის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაცია ასახულია წერილობით წყაროებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძენი ლოგოგრაფოსების[149] ჰეკატე მილეთელის (ძვ.წ. VIს), სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. VIს.; მისი ცნობები შემონახულია ძვ.წ. IVს. შუა ხანების ავტორთან – ფსევდო სკილაქს კარიანდელთან), ჰელანიკე მიტილენელის (ძვ.წ. Vს. მეორე ნახევარი), „ისტორიის მამის“ – ჰეროდოტეს (ძვ.წ. Vს.) და სხვათა ცნობებს.

ჰეკატე მილეთელის თხზულების („დედამიწის აღწერილობა“) ფრაგმენტები, რომლებიც ახ.წ. VIს. ავტორის – სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონ „ეთნიკაში“[150] არის შემორჩენილი, შემდეგნაირად გვიხატავენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ სურათს: **„კორაქსები, კოლხური ტომი, კოლების მეზობლად; ჰეკატე „აზიაში“ (ამბობს) „კორაქსების კედელი და კორაქსიკეს მხარე“.**

კოლები, ტომი კავკასიონთან; ჰეკატე „აზიაში“ (ამბობს): „ხოლო კავკასიონის ქვედა ფერდებს ეწოდება კოლიკის მთები; ქვეყანა (იწოდება) კოლიკედ“[151].

სკილაქს კარიანდელის ნაშრომში „დასახლებული ევროპის, აზიისა და ლიბიის ზღვის ირგვლივ მოგზაურობა“[152] აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აღწერილია ჩრდილოეთიდან – მდ.ტანაისიდან (დონი) სამხრეთისაკენ, დასახელებულია აქ მაცხოვრებელი ხალხები, აგრეთვე ქალაქები და მდინარეები. იგი წერდა:

„70. სავრომატები. მდინარე ტანაისიდან იწყება აზია და მისი პირველი ტომი პონტოსთან არის სავრომატები, ხოლო სავრომატთა ტომი არის ქალთა მიერ მართული.

71. მაიოტები. ქალთა მიერ მართულთა შემდეგ არიან მაიოტები.

72. სინდები. მაიოტების შემდეგ არის ტომი – სინდები. მათი (საცხოვრისი) ვრცელდება ტბის იქითაც. მათში არის შემდეგი ელინური ქალაქები: ფანაგორიის ქალაქი, კეპო, სინდის ნავსადგური, პატუსი.

73. კერკეტები. სინდის ნავსადგურის შემდეგ არის ტომი კერკეტები.

74. ტორეტები. კერკეტების შემდეგ არის ტომი – ტორეტები, ელინური ქალაქი ტორიკოსი და და ნავსადგური.

75. აქაიები. ტორეტების შემდეგ არის ტომი – აქაიები.

76. ჰენიოქები. აქაიების შემდეგ არის ტომი – ჰენიოქები.

77. კორაქსები. ჰენიოქების შემდეგ არის ტომი – კორაქსები.

78. კოლების (ტომი). კორაქსების შემდეგ არის კოლების ტომი.

79. მელანქლაინები. კოლების (ტომის) შემდეგ არის ტომი – მელანქლაინები. მათში არის მდ. მეტასორისი და მდინარე აიგიპოსი.

80. გელონები. მელანქლაინების შემდეგ არიან გელონები.

81. კოლხები. ამათ შემდეგ არის ტომი კოლხები, ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გიენოსი, მდინარე გიენოსი, მდინარე ქერობიოსი, მდინარე ქორსოსი, მდინარე არიოსი, მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი, მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე

---

146 . Д. Капанадзе, К. Голенко. К вопросу о происхождении колхидок. – Вестник Древней Истории , 1957, №4, გვ. 88-95; ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002, გვ. 206.

147 . З. В. Анчабадзе. Очерк, გვ. 27 და სხვ.

148 . იხ. უფრო ვრცლად: ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966; მისივე: არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.

149 . ისტორიკოსები, რომლებიც პროზით წერდნენ. იხ.: ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35. თბ., 1963, გვ. 3-35.

150 . გეორგიკა, ტ. III. თბ., 1936, გვ. 272-289.

151 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 29.

152 . სკილაქს კარიანდელის პიროვნებისა და ნაშრომის შესახებ იხ.: ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები...; აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964; უფრო ვრცლად: თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I (სკილაქს კარიანდელი, სკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი). თბ., 1967.

არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. აქ არის მდინარე რისი, მდინარე ისისი, მდინარე ლესტონი (ყაჩაღთა წყალი) და მდინარე აფსაროსი“[153].

ჰელანიკე მიტილენელის „ტომთა და ქალაქთა დაფუძნება“, აგრეთვე პალეფატე აბიდოსელის (ძვ.წ. IVს.) თხზულებები სინდებისა და მეოტელი სკვითების სამხრეთით მაცხოვრებელ ხალხებზე ასეთ ინფორმაციას გვაწვდიან:

„ქარიმატები – ტომი პონტოს გაყოლებაზე. პალეფატე „ტროიკის“ მეშვიდე წიგნში (ამბობს): „კერკეტებს ესაზღვრებიან მოსხები და ქარიმატები, რომლებმაც აიღეს პართენიონი ევქსინის პონტოსთან. (მოიხსენებს) ჰელანიკეც „ტომთა და ქალაქთა დაფუძნებებში“: „კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქსები““[154]

უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ჰეროდოტეს „ისტორია“:

„ხოლო მეოტიდის ტბიდან მდ. ფაზისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული (კაცისათვის), ხოლო კოლხიდიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი (1. 104)...

ცხადია, რომ კოლხები ეგვიპეტელები არიან. ამას მე თვით მივხვდი უწინ, ვიდრე მოვისმენდი... შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ მიაჩნიათ, რომ კოლხები არიან სესოსტრისის ლაშქრიდან, ხოლო თვით მეც ასე მეჩვენებოდა, რადგან (კოლხები) არიან შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები..., მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად (ამას მოწმობს ის), რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც იმთავითვე მისდევენ წინადაცვეთას...

კიდევ სხვა რამეც შეიძლება, რომ კოლხების შესახებ ვთქვა მათი ეგვიპტელებთან მსგავსების შესახებ: მხოლოდ ესენი და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა... (2. 104).

კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და მათმა მეზობლებმაც, ვიდრე კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიონიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს ჩვენ დრომდე, ყოველ მეხუთე წელს რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი ქალწული... (III. 97).

სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდ. ფაზისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე (4. 37).

ყველა ადამიანებზე უფრო ველური ჩვეულებები ანდროფაგებსა აქვთ. ისინი არც სამართალსა სცნობენ და არც რაიმე კანონს იყენებენ. ისინი მომთაბარეები არიან. ტანისამოსს ატარებენ სკვითურის მსგავსს, ხოლო ენა კი საკუთარი აქვთ. ამ ხალხებიდან მხოლოდ ესენი ჭამენ ადამიანის ხორცს (4. 106).

ყველა მელანხლენები შავ ტანსაცმელს ატარებენ, აქედანა აქვთ მათ ეს სახელიც, ხოლო ჩვეულებებს სკვითებისას მისდევენ (4. 107).

მარებს ჰქონდათ თავებზე ადგილობრივი მოწნული მუზარადები, ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები. ხოლო კოლხებს თავებზე ხის მუზარადები ჰქონდათ. გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამას გარდა – დანები. მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარანდატე ტეასპის ძე. ალაროდიელები და სასპეირები ლაშქრობენ კოლხების მსგავსად შეიარაღებულები. მათ წინამძღოლობდა მასისტიოს სირომიტრესის ძე (7. 79)“[155].

მივმართოთ კიდევ ერთი ავტორის – ჰეროდორე ჰერაკლელის (ძვ.წ. V-IVსს.) ცნობას, რომელიც კოლხეთის მიახლოებით ლოკალიზაციაში დაგვეხმარება: „კავკასია არმენიელთა ქვეყნიდან კოლხთა (მხარემდეა) გადაჭიმული“[156].

მოტანილი ცნობების მიმოხილვამდე, სხვადასხვა ტომების ვინაობის გარკვევამდე უპრიანია, გავერკვეთ „ტომი“-ს ცნებაში, გავერკვეთ, რას აღნიშნავდნენ ძველი ავტორები

---

153 . თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., I, გვ. 46-49; თ. ყაუხჩიშვილის, ნ. ლომოურისა და აკ. ურუშაძის თარგმანებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ისიც მხოლოდ სტილისტური ხასიათისა; არის მცირე სხვაობა სახელების ტრანსკრიფციაშიც. მაგალითად, „მაიოტები“, „კეპო“, „მელანქლაინები“, „აიგიპიოსი“ (ნ. ლომოური, თ. ყაუხჩიშვილი) და „მეოტები“, „კეპები“, „მელანქლენები“, „ეგიპიოსი“ (აკ. ურუშაძე); „ჰენიოქები, კოლები“ (თ. ყაუხჩიშვილი) და „ჰენიოხები“, „კოლიკე“ (ნ. ლომოური, აკ. ურუშაძე); „აქაიები“ (თ. ყაუხჩიშვილი), „ახაიები“ (ნ. ლომოური), „აქეელები “ (აკ. ურუშაძე) და ა. შ. იხ. ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 33-34; აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი..., გვ. 288-289.

154 . აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი..., გვ. 278; იხ. აგრეთვე ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 32.

155 . თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები..., გვ. 65, 71-73, 76, 82, 88, 113.

156 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 32.

ამ ტერმინით და ყოველთვის მართებულად გამოიყენება თუ არა იგი ისტორიოგრაფიაში.

ძველქართულ ლიტერატურაში, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი „ტომი“ სამი მნიშვნელობით იხმარება: ზოგადად ადამიანთა მოდგმის; კონკრეტული ეთნოსის (ერი, ხალხი); ერის ნაწილის, განშტოების – ნათესაური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სხვა ნიშნით გამოყოფილი ერთობის[157]. ბიბლიის სხვადასხვა დროის ქართულ თარგმანებში „ტომი“ ძირითადად ხალხისა (ერის) და მისი განშტოების მნიშვნელობებით გამოიყენება[158]. სულხან-საბა ორბელიანი კი ამ ტერმინს ასე განმარტავს: „ნათესავი, რომლის ნათესავისაგანაცაა, ვიტყვით ისრაელისა; შემდგომად ვიტყვით: რომელი ტომისაგან? ვიტყვით: რუბენის ტომისაგან, გინა ლევისა, გინა სხვათა; რამეთუ ერთი ნათესავი განიყოფების ტომ-ტომად, ტომი განიყოფების სახლად-სახლად და სახლი განიყოფების კაცად-კაცად; ტომად ითქმის გვამოვანთა განყოფილებაიცა სიმრავლედ-დასდასობათა... ტომად ითქმის გვამოანთა განყოფილებაიცა სიმრავლედ დას-დასობათ“[159]. მოკლედ, ტომი არის ხალხის, ერის გარკვეული ნაწილი და შედგება რამდენიმე სახლისაგან – ჯგუფისაგან, სათავადოსაგან, სანათესაოსაგან, გვარისაგან. როგორც ვხედავთ, ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, ტომი არ წარმოადგენს ეთნიკურ კატეგორიას. ძველქართულად „ტომებაი“ ნიშნავს ნათესაობას, „ტომებით“ – იგივეა, რაც „შთამომავლობით“[160].

შემდგომში ცნება „ტომი“ (племя) უპირატესად ეთნოსის, ხალხის მნიშვნელობას იმკვიდრებს; ამ ტერმინით აღინიშნება ეთნიკური ერთობა მისი პირველყოფილი ფორმით – გვარით დაწყებული და ზოგჯერ ერითაც დამთავრებული. დასავლური სოციოლოგიური და ისტორიული მეცნიერება ერის წარმოშობას განიხილავს როგორც გვარტომობრივი კავშირების გაგრძელება-განვითარებას[161]. საბჭოთა სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიისათვის ტომი ასევე იყო ეთნიკური ერთობისა და კლასობრივამდელი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ტიპი, ეთნოსის პირვანდელი ფორმა, წინარეეთნოსი; მომდევნო ფორმად განიხილებოდა ხალხი (ეროვნება), ბოლოს – ერი.

ქართულ-აფხაზური ისტორიოგრაფია ხშირად ამ საბჭოური[162] კატეგორიებით (სამსაფეხურიანი ეთნოგენეზი) უდგებოდა (არც თუ ისე იშვიათად, ამჟამადაც უდგება) ანტიკური წყაროების მიხედვით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაფიქსირებული მოსახლეობის ვინაობის დადგენის საკითხს და განიხილავდა მათ ცალკე ეთნოსებად. ასე, მაგალითად, ზ.ანჩაბაძეს მხედველობაში ჰქონდა კოლხეთის სამეფოში არსებული ვითარება და აღნიშნავდა, რომ ტომები წარმოადგენდნენ ტერიტორიულ-ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფისას არ იყვნენ ერთმანეთში ორგანულად შერწყმულნი; მას მიაჩნდა, რომ ტერმინი „ტომები“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობით უნდა გამოიყენებოდეს. ერთ შემთხვევაში ესენი იყვნენ პირველყოფილი თემური წყობილების ეთნიკური ერთეულები, მეორე შემთხვევაში

---

[157] . გამოთქმებში – „მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი” (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. – ქართული მწერლობა, ტ. 4. თბ., 1988, სტრ. 990, გვ. 207), აგრეთვე „ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 14) ადამიანთა მოდგმა იგულისხმება („ტომნი ნოესნი“ შეიძლება გავიგოთ აგრეთვე როგორც ცალკეული ერები). კონკრეტული ერი (ერები) ივარაუდება ფრაზებში: „ყოველნი ტომნი ქვეყანისანი“ (გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – ქართული მწერლობა, ტ. I. თბ., 1987, გვ. 536.); „ვინ ხარ, მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა“ (შოთა რუსთაველი. იქვე, სტრ. 1130, გვ. 236); „შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა“ (იქვე, სტრ. 1336 გვ. 276); „ტომმან ებრაელთამან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბ., 1959, გვ. 8.); „აღვწერეთ ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა“ (იქვე, ტ. IV, გვ. 14.). ერის ნაწილის განშტოების მნიშვნელობით ტერმინ „ტომი“-ს გამოყენების მაგალითებია: „აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა“ (სანათესავოს – ავტ.). – იხ.: იაკობ ხუცესი. შუშანიკის წამება. – ქართული მწერლობა, ტ. I, გვ. 230; „ტომნი დიდისა ეფრემ მაწყვერელ ეპისკოპოსისანი“ (გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – ქართული მწერლობა, ტ. 1, გვ. 611.); „მუნ ხელ-ყოს განბრწყინებად ხელმწიფობასა და შარავანდედობასა ტომის-გუარისა თქუენისა“, „აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანნო“, „აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანნო“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 26, 312.); „ხოლო ესე ქართველთა ტომნი...“ (იქვე, ტ. IV, გვ. 14.); „შემდგომად მოკუდა დედოფალი თამარი, ცოლი მეფისა, რომელი იყო კახთ—ბატონთა ტომისა“ (იქვე, გვ. 459.) და ა.შ.

[158] . იხ. ამის შესახებ: დ. მელიქიშვილი. ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1999, გვ. 208-229. გამოთქმა „ვეფხისტყაოსნის” პროლოგში „ტომი გვართა ზენათა” (სტრ. 20), ზ.გამსახურდიას აზრით, სამებას გულისხმობს (ზ.გამსახურდია. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბ., 1991, გვ. 124).

[159] . ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II. თბ., 1993, გვ. 142.

[160] . ზ. სარჯველაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1995, გვ. 197.

[161] . რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ., 2002, გვ.

[162] . იხ.: ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თხზ. ტ.2.

– ადრეკლასობრივ ურთიერთობათა დონეზე მყოფი ეთნიკური ერთობა, მცირე ეროვნება. სრულიად უსაფუძვლოდ, მაგრამ კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს დიდი ნაწილის მომცველი კოლხეთის სამეფო მეცნიერმა „ეთნიკურად დაქუცმაცებულ“ სახელმწიფოდ გამოაცხადა, სადაც კოლხების გარდა, ვითომ ცხოვრობდა ეთნიკური ინდივიდუალობით გამორჩეული ბევრი სხვა ხალხი; ამ სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – თანამედროვე აფხაზეთიც, ზ.ანჩაბაძის აზრით, ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა[163].

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. მ.ინაძე წუხს იმის გამო, რომ ბერძენ-რომაელი ავტორები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სხვადასხვა ტომებს მათი ეთნიკური ვინაობის მითითების გარეშე ასახელებენ, რაც ართულებს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნოპოლიტიკური პროცესების კვლევას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ საკითხზე მსჯელობისას აზრთა სხვადასხვაობის გაჩენისათვის. პატივცემული მეცნიერი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ყოველ შემთხვევაში, ისტორიული საქართველოს ფარგლებში მოხსენიებული ტომები, შესაძლოა, სულაც არ წარმოადგენდნენ ცალკე ეთნიკურ ჯგუფებს. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ანტიკურ პერიოდში კი არ დაიწყო „სატომო ერთეულებიდან ეროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი“[164], არამედ იმ დროისათვის ეს პროცესი ძირითადად დასრულდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველი ერი ანტიკურ ხანამდე, კერძოდ, II ათასწლეულის მეორე ნახევარში რომ არ ყოფილიყო საკმაოდ მყარ ერთობად (საერთო თვითშეგნებით, ენით, კულტურით, სახელმწიფოებრიობით) ჩამოყალიბებული, გარდაუვალი იქნებოდა სხვადასხვა ეთნოსებად მისი დაშლა,[165] რადგანაც ხელსაყრელი პირობები მონათესავე ქართველურ ტომთა კონსოლიდაციისა და ისტორიული საქართველოს მთელ სივრცეზე განფენილ ერთიან ეთნოსად ფორმირებისათვის შემდგომში ახ.წ. VIII-X საუკუნეებამდე მხოლოდ ეპიზოდურად (ძვ.წ. IIIს., ახ.წ. Vს.) თუ არსებობდა. გარეშე ფაქტორების ზეგავლენით, ანტიკური ხანა, სინამდვილეში იყო ერში დეზინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობის, განშტოებებად მისი დაყოფის პერიოდი; როგორც ტ.ფუტკარაძე ასაბუთებს, საერთოქართველური ენის დივერგენციაც იმ ეპოქაში – წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ხდება[166]. გამომდინარე აქედან, დროა, უარი ვთქვათ თეორიაზე სამი ვითომ სხვადასხვა ტომის (ქართების, მეგრელებისა და სვანების) შერწყმის შედეგად ქართველი ერის ფორმირების შესახებ. სამივე განშტოება, პირიქით, ერთი მთლიანის ნაწილობრივი დეზინტეგრაციის გზით ჩამოყალიბდა; ამასთანავე რღვევის პროცესი შორს არ წასულა, არ გაღრმავებულა, ზოგადქართული თვითშეგნებისა და საერთო კულტურული ენის დაშლა არ გამოუწვევია. ეს კი ხელსაყრელ ვითარებაში ძლიერ ქართველ მეფეებს დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნისა და ერის მთლიანად თუ ნაწილობრივ გაერთიანების საშუალებას აძლევდა.

გარეშე მტრული ძალები როგორც ერის, ისე მისი ამა თუ იმ განშტოების მცირე „ეთნოსებად“ დაშლას ცდილობდნენ. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ამ მხრივ დამპყრობთათვის ყველაზე მიმზიდველ საქართველოს შავიზღვისპირეთში, სადაც, რომაულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით, მრავალი „ეთნოსია“ დაფიქსირებული. მსგავსი „ტომების“ თუ „ხალხების“ ვინაობა თავიდანვე აინტერესებდათ მწერლებს, მემატიანეებს. ჯერ კიდევ სტრაბონი (Iს.) აკრიტიკებდა ჰელანიკეს, ჰეროდოტეს და ევდოქსეს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის სატომო სახელების დამახინჯებისათვის[167]. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი პ.ბურაჩკოვი წერდა, რომ

---

163 . З. В. Анчабадзе. Очерк..., გვ. 27-28.

164 . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. – მაცნე. ისტორიის... სერია, 1992, №1, გვ. 7.

165 . შედარებისათვის შეიძლება ებრაელი ხალხის მაგალითი მოვიტანოთ. ძვ.წ. 722 წელს ისრაელის სამეფოს, ხოლო ძვ.წ. 586წ. იუდეველთა სამეფოს განადგურებამდე და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსახლებამდე ებრაელები მყარ, ერთიან ერად რომ არ ყოფილიყვნენ ჩამოყალიბებული, ვერ შეინარჩუნებდნენ ერთიანობას და 1948წ. ვერ აღადგენდნენ ისრაელის სახელმწიფოს.

166 . ტ. ფუტკარაძე. ქართველები, გვ. 50-51; საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ იხ. გვ. 280-297.

167 . სტრაბონის რუსულ გამოცემაში ნათქვამია, რომ ეს დამახინჯებული სატომო სახელები „нам наболтали Гелланик, Геродот и Евдокс“. – . 17 . , ..., 1964,გვ. 516.

რუსეთის სამხრეთით დაფიქსირებული ახალი გეოგრაფიული სახელები, ასევე ეთ-ნონიმები წარმოადგენდნენ ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ენაზე თარგმანს; ზოგჯერ კი ტოპონიმიკისა და ეთნონიმიკის ცვლილებები საცხოვრებელი ადგილების თუ მმართველთა გამოცვლას უკავშირდებოდა. თავის მოსაზრებას იგი განამტკიცებდა ცნობით ერთ-ერთი რუსული მატიანედან, რომელშიც ნათქვამია, რომ ძველ ტომებს „სახელები დაერქვათ იმ ადგილების მიხედვით, სადაც ისინი დამკვიდრდნენ“[168]. ყაბარდოელი ისტორიკოსი გ. კოკიევი ასევე ამტკიცებდა, რომ ძველი ავტორები „ერთი და იმავე ტომის ნაწილებს, საცხოვრებელი ადგილის ცვლილებისა და მათ მიერ დაკავებული მიწების გეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით, სხვადასხვა სახელე-ბით მოიხსენიებდნენ“[169].

სატომო სახელების მიკუთვნება სხვა მიზეზებითაც ხდებოდა, კერძოდ, საქმიანობის, პროფესიის, გარეგნობის, ამა თუ იმ დასახლებისათვის („ტომისათვის“) მინიჭებული ფუნქციის მიხედვით და ა.შ. იგივე კორაქსები ძველბერძნული ენიდან ითარგმნება როგორც ყვავები; ჰენიოხები – მეეტლეები, მხედრები, სადავის დამჭერები; სავრომატები – ხვლიკისთვალიანები; მელანქლენები – შავებში (ნაბადში) ჩაცმულები; კერკეტები – მესაჭეები; ხარიმატები – სასიამოვნო თვალებიანები; ტელონები – ხარკის ამკრეფნი; ფტეროფაგები – გირჩის მჭამელები, ტილის მჭამელები; მაკროცეფალები – გრძელთავიანები და ა.შ.[170] ამის თაობაზე ა.დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა: „საერთოდ ელინები არ ერიდებოდნენ ადგილობრივი ტომებისათვის სახელების მოძებნას: შეამჩნიეს უსუფთაობა ტომს, დაარქვეს ფთიროფაგები (ტილისმჭამელები), უნახეს გრძელი წვერები – მაკროპოგონები; ჰენიოხების ერთ-ერთ მეზობელ ტომს, შეიძლება თვით ჰენიოხთა ერთ-ერთ ტომს უბრალოდ კეფალოტომები (თავის მჭრელები, ბაშიბუზუკები) უწოდეს. თვით „ჰენიოხი“ ბერძნული სახელწოდებაა, რომელიც მიღებულია დიოსკურიადის სახელის ასოციაციით“[171]. ზოგჯერ ხდებოდა ადგილობრივი სახელის ბერძნულ-რომაული გააზრება და ამის შესაბამისად სახელის შეცვლა.

როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში სატომო სახელების ეტიმოლოგია მათი მატარებელი ხალხების ეთნიკურ თავისთავადობაზე სულაც არ მიუთითებს. გარკვეულ პრობლემას და გაუგებრობას ქმნის ის გარემოება, რომ ბერძენ-რომაელი ავტორების „ტომს“ მკაცრი დეფინიცია არ გააჩნია. ის ხან ერს, ეთნოსს ნიშნავს[172], ხან კიდევ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სხვადასხვა ნიშნით მისგან გამოყოფილ ნაწილს (ნაწილებს) თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (ერთეულებს). ძველბერძნულში ტერმინ „ეთნოსს“ მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა; იგი აღნიშნავდა არა მხოლოდ „ტომს“ ან „ხალხს“, არამედ მას ჰქონდა ზოგადმადიფერენცირებელი მნიშვნელობა და აღნიშნავდა სახელმწიფოს, „ბარბაროსულ“, არაელინურ საზოგადოებას[173] და ა.შ. სტეფანე ბიზანტიელის ცნობილ „ეთნიკა“-შიც ამ ტერმინით, გარდა ეთნიკური ერთეულებისა, აღინიშნება სახელმწიფოები, ქალაქები, კუნძულები, მთები, უბრალოდ ადგილები, დასახლებები და ა.შ. მაგალითად: „გოგარენე, ადგილი კოლხებსა და აღმოსავლეთის იბერებს შუა. ეთნიკურია გოგარენი“; „ტვიენოსი, კოლხთა ქალაქი... ეთნიკურია ტვიენიტეს“[174] (იგულისხმება ქ.გიენოსი). ამ საკითხს ყურადღება მიაქცია გ.მელიქიშვილმაც. იგი მართებულად მიუთითებდა, რომ მრავალი სატომო სახელის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომების არსებობას. „ზოგიერი სახელწოდება ზოგადი (აღწერილობითი) ბერძნულია (მაგალითად, „მაკროკეფალები“ – „გრძელთავიანები“) და არ უნდა განიხილებოდნენ

---

168 . П. Бурачков. О местоположении древняго города Каркинитеса и монетах ему принадлежащих. – Записки Императорского Одесского Общества Истории древностей, т.IX. Одесса, 1875, გვ. 118.

169 . Г. А. Кокиев. Некоторые сведения из древней истории адыгов (кабардинцев). Нальчик, 1946, გვ. 7.

170 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 28-30; ბ. გოგია. ძველი კოლხეთის ზოგიერთი ტომის ეთნონიმებთან დაკავშირებით. პარიზი, 2003, გვ. 51-54.

171 . ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ზ. პაპასქირმა და ბ.ხორავამ. თბ., 2003, გვ. 63. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ თურქები იმერლებს „ბაშიაჩუკებს“ (თავშიშველებს) ეძახდნენ; ყიზილბაში ნიშნავს წითელთავიანს და ა.შ.

172 . იხ. მაგალითად, „სტრაბონის ტერმინოლოგია“. – თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 26-30.

173 . ო. ლორთქიფანიძე. იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი? გვ. 41-43.

174 . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 277, 286.

როგორც სახელები გარკვეული ტომებისა, რომლებსაც სხვა შემთხვევაში შეეძლოთ სხვა სახელებით გამოჩენა, – წერდა გ.მელიქიშვილი. – რიგ შემთხვევაში საქმე გვაქვს სატომო სახელების დამახინჯებასთან ან მოდიფიკაციასთან... ერთი და იგივე ეთნიკურ კოლექტივს შეეძლო წყაროებში გამოჩენილიყო სხვადასხვა სახელებით ამ უკანასკნელთა სხვადასხვაენოვანი წყაროებისა ან სხვადასხვა მეზობლებისაგან გადმოღების შედეგად. ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ანტიკურ წყაროებში ჩვენამდე მოღწეული შავიზღვისპირა ტომთა სახელები განვიხილოთ როგორც სხვადასხვა ტომთა რეალური სახელები და მათი გაქრობის შემთხვევაში ვისაუბროთ ამ ეთნიკური ჯგუფების რადაცნაირ გადაადგილებებზე ან განადგურებაზეც კი და ა.შ."[175] ეს აბსოლუტურად სწორი დასკვნა იშვიათად თუ არის მკვლევარების მიერ გათვალისწინებული; სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში კვლავაც გრძელდება ნებისმიერი „ტომის" ეთნიკურ წარმონაქმნად განხილვა, შესაბამისად, კვლავაც მიმდინარეობს უსაფუძვლო და სიმართლის დადგენის თვალსაზრისით სრულიად უპერსპექტივო დავა-კამათი (განსაკუთრებით ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს შორის), „ვარაუდების" წამოყენება მათ ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით. „ტომის" არასწორი გაგება ხდება საფუძველი არასწორი დასკვნებისა ისტორიოგრაფიაში კოლხეთის „მრავალტომიანობის", მთიელთა „თავდასხმების", ჩრდილოეთკავკასიიდან მუდმივი „შემოსევების", ხალხთა „გადასახლებების" შესახებ. საკითხისადმი ამგვარი მცდარი მიდგომა საშუალებას აძლევს სეპარატისტებს გააყალბონ და „მიითვისონ" კოლხეთის ისტორია.

ტერმინ „ტომის" ხმარებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს ყველა ეს მომენტი და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციები, როგორც ამას მკაცრად მოითხოვდა საბჭოთა იდეოლოგია. ანტიკური ხანის ბოლომდე და ადრე შუა საუკუნეებშიც დასაშვებია საქართველოს შავიზღვისპირეთში მოსახლე კოლხების (ლაზ-მეგრელების, სვანების) მიმართ ტერმინ „ტომის" გამოყენება ერის განშტოების მნიშვნელობით, თუმცა თანამედროვე გაგებით „ტომი" ნამდვილად არის წინარეეთნოსი[176]. საუბარია მხოლოდ ანტიკური წყაროების „ტომის" სწორ დეფინიციაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ტერმინებს „ტომი", „შტო" (განშტოება) პარალელური მნიშვნელობით იყენებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პ.ინგოროყვა და სხვები[177]. დასავლურქართული ტომებისაგან (ლაზ-მეგრელებისა და სვანებისაგან) გამოყოფილ და წყაროებში ცალკე დასახელებულ წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებს უფრო მიესადაგება ტერმინი „თემი". ამ ტერმინს ზოგჯერ ხმარობდა ივ.ჯავახიშვილი[178]. თეზისებში „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზის ისტორიიდან" ს.ჯანაშია კოლხეთის სამეფოს შესახებ წერდა: იგი შეიცავს „მრავალტომიანს თუ მრავალთემიან მოსახლეობას"; „მრავალტომიანი (თუ მრავალთემიანი) კოლხური სამყაროს მთლიანობა...; „კოლხეთის სამეფოსათვის დამახასიათებელი მრავალტომიანობა (მრავალთემიანობა)..."[179] და ა.შ. თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მოსახლეობის აღსანიშნავად ტერმინ „თემის" გამოყენების მიზანშეწონილობა დაასაბუთა ტ.ფუტკარაძემ. მისი აზრით, ტერმინი „ტომი" მხოლოდ წინარეეთნოსის აღსანიშნავად უნდა იყოს გამოყენებული, სხვა შემთხვევაში კი – თემი[180]. რ თოფჩიშვილისათვის ასევე მისაღებია „თემის" იმავე მნიშვნელობით ხმარება, თუმცა სხვა ვარიანტებსაც („ეთნოგრაფიული ჯგუფი", „ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეული" და ა.შ.) გვთავაზობს[181]. აღნიშნული მოსაზრებები ძირითადად გასაზიარებელია, მაგრამ ანტიკურ ხანასთან მიმართებაში გარკვეული კორექტივებია საჭირო. მაგალითად, კოლხთა მიმართ ტერმინ „თემის" გამოყენების შემთხვევაში მართებული არ იქნებოდა იმავე ტერმინით მისი განშტოებების აღნიშვნა. ამიტომ

---

175 . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 83.

176 . ტ. ფუტკარაძე. ქართველები, გვ. 37.

177 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია წ. I-II. თბ., 1913, გვ. 59; ს. ჯანაშია. შრომები, II. თბ., 1952, გვ. 21; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 143, 145.

178 . ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 12.

179 . ს. ჯანაშია. შრომები, II. თბ., 1952, გვ. 19,20.

180 . ტ. ფუტკარაძე. ქართველები, გვ. 37-41.

181 . რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნიკური ისტორია..., გვ. 26, 28, 78, 83, 90 და ა. შ.; მისივე: ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I. თბ., 2005, გვ. 53.

ანტიკურ წყაროებში დაფიქსირებულ მოსახლეობას საუკეთესოდ მიესადაგება ტერმინები „ტომი“ და „თემი“ (სხვა წვრილი ერთეულები).

ადრეანტიკური ხანის ავტორთა ზემოთმოყვანილი ცნობები საქართველოს შავიზღვისპირეთში კოლხებს და კოლხურ თემებს ათავსებენ. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე და მის მეზობლად დაფიქსირებული არიან კორაქსები, კოლები, ჰენიოხები, მოსხები, კერკეტები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია ჰეკატე მილეთელთან მოხსენიებული კორაქსებისა და კოლების ვინაობა. კორაქსების კოლხებისადმი კუთვნილება პირდაპირ წყაროშია მითითებული და მის სიზუსტეში ეჭვი არავის ეპარება. კოლებთან ერთად მათ კოლხებთან აიგივებდნენ ივ.ჯავახიშვილი[182], პ.ინგოროყვა[183], ნ.ლომოური[184], მ.ინაძე[185] და მრავალი სხვა. ზ.ანჩაბაძე ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა კორაქსების სანიგებთან ან აფსილებთან დაკავშირება. საბოლოო ჯამში, მან ის ზოგადი დასკვნა გააკეთა, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძველი კორაქსებისა და კოლების ეთნიკურ კოლხებთან გაიგივებისათვის[186]. საინტერესოა, რომ თვით დ.გულიაც კი კორაქსებს ქართველებად, კერძოდ, სვანებად მიიჩნევდა[187].

ჰეკათე მილეთელთან მოხსენიებული „კორაქსების კედელი“ სხვადასხვა ავტორების მიერ ლოკალიზებულია კოდორთან (ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე)[188], კელასურთან (კ.კუდრიავცევი, პ.ინგოროყვა)[189]. მკვლევარებისათვის ჯერ კიდევ XIXს. დასაწყისში იყო ცნობილი, რომ ბიჭვინთიდან ვიწრო გასასვლელი ზღვასა და მთას შუა უძველეს ხანაში ბერძნებმა ჩაკეტეს კედლით; იგი ბიჭვინთასთან იწყებოდა[190]. სწორედ ეს არის „კორაქსის კედელი“. ავტორთა უმეტესობა (ბ.კუფტინი, ნ.ლომოური, დ.კაჭარავა, გ. კვირკველია, ბ.გოგია და ა.შ.) მის ლოკალიზაციას ახდენს მდ. ბზიფის ხეობაში, სადაც უძველესი ნაგებობის კედლის ნაშთებია აღმოჩენილი[191]. შესაბამისად, მდ. ბზიფისა და გაგრის მიდამოებში უნდა მოხდეს „კორაქსიკეს მხარის“, „კოლიკეს ქვეყნისა“ და „კოლიკეს მთების“ ლოკალიზაციაც. პ.ინგოროყვას აზრით, კოლხეთის (კოლიკეს) მთები ერქვა კავკასიონის ქედის ქლუხორის ზონას; მისი სახელწოდება იყო კოლხორი, საიდანაც მომდინარეობს ამ ტერმინის გვიანდელი სახენაცვალი ფორმა ქლუხორი[192].

მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ჰენიოხები (ჰენიოქები), რომლებიც ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან (სკილაქს კარიანდელი, ჰელანიკე მიტილენელი) ახ.წ. I საუკუნემდე უამრავ ავტორთან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოიხსენიებიან[193]. არიანე (IIს.) ჰენიოხებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ათავსებს. პლინიუს უფროსის (Iს.) ცნობით, მეეტლე სანები – ჰენიოხები ტრაპიზონის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ; იგივე ავტორი სხვადასხვა სახელების მატარებელ ჰენიოხებს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში მოიხსენიებს[194]. ფლავიუს არიანე (IIს.) კი ჰენიოხებს

---

182 . ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიის..., გვ. 12.

183 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე..., გვ. 132, 141.

184 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 8, 10.

185 . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის..., მაცნე, 1992, №1, გვ. 9-10.

186 . З. В. Анчабадзе. Очерк..., გვ. 30-31.

187 . გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, გვ. 17-18.

188 . Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. Сухуми, 1937, გვ. 148. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკე მისიონერები ქრ. კასტელი და არქ. ლამბერტი მდ. კოდორს კორაქსთან აიგივებდნენ. – Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 251, 252.

189 . К. Кудрявцев. Сборник…, გვ. 28-29; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 141.

190 . Новейшие географические и историч. известия о Кавказе, собранные и пополненные С. Броневским, ч. I. М., 1823, გვ. 293.

191 . Б.А.Куфтин. Материалы по археологии Колхиды, т.1. Тб., 1949, გვ.124; ნ.ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები, გვ.9; Д.Качарава. Города и поселения Причерноморья античской эпохи. Тб., 1991, გვ. 141; ბ.გოგია. ძველი კოლხეთის, გვ. 49-50.

192 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 143.

193 . იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 168 (სტრაბონი), 170 (პომპონიუს მელა), 171 (პლინიუსი), 175 (დიონისე პერიეგეტი), 177 (ამიანე მარცელინუსი), 182 (Vს. ანონიმი), 189 (სტეფანე ბიზანტიელი); ნ.ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 44. I საუკუნის ავტორი ვალერიუს ფლავიუსი ახსენებს მრისხანე ჰენიოხებს მედეასთან კავშირში. მისი ცნობით, მედეას ჰყოლია ძიძა – ჰენიოხი ქალი (თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიური ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 2. ჰენიოხები. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, №4, გვ. 68).

194 . ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. თბ., 2006 გვ.146, 148.

სამხრეთით ათავსებს[195]. Vს. ანონიმის მიხედვითაც ჰენიოხები ფიქსირდებიან როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში[196]. არისტოტელე (ძვ.წ. Vს.), II საუკუნის ალექსანდრიელი სწავლული ჰერაკლიდე ლემბუსი (ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი მიჩნეული იყო ძვ.წ. III-IVსს. ბერძენ მწერალ ჰერაკლიდე პონტოელად) ჰენიოხებს ფაზისის მაცხოვრებლებად თვლიან, რომლებიც შემდგომში მილეთელებმა შეცვალეს[197].

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ჰენიოხებს, გახლდათ ი. ორბელი. წერილში „ტყუპების ქალაქი დიოსკურია და ჰენიოხთა მეეტლე ტომი“ (რუს. ენ.) ავტორის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, სოხუმი უძველესი დროიდან ქართველების (ან მათ მონათესავეთა) კუთვნილება იყო, ხოლო ქალაქის (დიოსკურიის) დაარსებასთან კავშირის მქონე მეეტლეები – ჰენიოხები („ჰენიქი“) იგივე სანიგები ანუ სვანები არიან[198]. ამ თემას ნ.მარიც შეეხო. მან მხარიც დაუჭირა ი.ორბელის იმ დასკვნას, რომ „ჰენიოხი“ არის სწორი პირველადი ფორმის – „ჰენიქი“//„სანიგი“-ს ბერძნული დამახინჯება; სუფიქს „ქ“-ს გათვალისწინებით, ეს სიტყვა, თითქოს, ეკუთვნის იაფეტურ ენათა იმ შტოს, რომლის წარმომადგენელიცაა აფხაზური. ნ.მარი არ ეთანხმება ი.ორბელს იმაში, რომ ძველქართულ „ჰუნე“-ს (ცხენი) კავშირი არა აქვს „ჰენიოქ“-ებთან//ჰენიოხებთან[199], რომლებიც ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, განთქმული იყვნენ ყაჩაღობით, ავაზაკობით, მეკობრეობით; სომხური „ჰეუნ“, – დასძენს ნ.მარი, - ნიშნავს ასევე ყაჩაღს, მეკობრეს, ავაზაკს; ეს უკანასკნელი სიტყვა ქართულში შესულა, ვითომ მისგან ყოფილა ნაწარმოები ავაზგი//აბაზგი//აფხაზი[200]. ამრიგად, ხელოვნური ლინგვისტური კომბინაციებით ნ. მარმა „ჰენიოხი“ („ჰენიოქი“) მაინც აფხაზებს დაუკავშირა.

„აფხაზეთის ისტორიის“ II თავი („ჰენიოხები–ინიოხები=აბასგების–აბასების–აფხაზების წინაპრები“) დ.გულიამ ჰენიოხებს მიუძღვნა და ისინი კოლხებთან გააიგივა, ორივე ერთად აფსუა-აფხაზთა წინაპრებად გამოაცხადა[201]. ზ.ანჩაბაძე ჰენიოხებს//სანიგებს ჯიქ-საძებად მიიჩნევდა[202]. ამ მოსაზრებას, რომელიც პირველად 1903 წელს ა.დიაჩკოვ-ტარასოვმა გამოთქვა[203], იზიარებდა[204] და იზიარებს სეპარატისტული ისტორიოგრაფია[205].

ჰენიოხებს შესაქმეთა წიგნის ენოქს[206]//ჰენოხს უკავშირებდა და ჭან-მეგრელებად მიიჩნევდა ივ.ჯავახიშვილი[207]. ასეთივე მოსაზრება ჰქონდა ს.ჯანაშიას[208]. პ.ინგოროყვას აზრით, ჰენიოხები, იგივე სანიხები ანუ სანები, მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ; „მათი განსახლების ტერიტორია სამ ნაწილად იყოფოდა: ძველი სამხრეთ ჰენიოხეთი –

---

195 . ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა. თბ., 1961, გვ. 42.

196 . გეორგიკა, ტ. 2. თბ., 1965, გვ. 3-4, 11.

197 . თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989 გვ.51; ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 83-93.

198 . . , . XXIII, 1911, май. СПБ., 1911, გვ. 202-215. კისლინგი ჰენიოხებს ქართველურ ტომად მიიჩნევდა, აკავშირებდა მათ სანებსა და ლაზებთან, ამ უკანასკნელებს კი – კერკეტებთან (თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის... 2. ჰენიოხები. – მაცნე, ისტორიის... სესია, 1980, №4, გვ. 72).

199 . ი. ორბელის ზოგიერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით მ. ინაძე წერს: „სატომო სახელწოდებას„ „ჰენი“ და მის ვარიანტებს „ჰონი“, „ჰუნი“ ძველქართულ სახელწოდებას „ჰუნე“ უკავშირებდა ი. ორბელი... ეთნონიმ „ჰენის“ ვარიანტული სახესხვაობიდან „ჭენი“ შესაძლებელია ნაწარმოები იყოს ზმნა „ჭენება“ (მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის..., მაცნე, 1992, №1, გვ. 14.). ასეთ დაკავშირებას ახდენდა არა ი. ორბელი, არამედ ნ. მარი. „Нельзя однако решительно примкнуть к мнению И. А. Орбели, – წერდა იგი, – что с henioq-ами не имеет ничего общаго древнегрузинский ჰონე ჰონე>ჰუნე ჰუნე конь... Трудно отказаться от мысли о связи древне-грузинского названия лошади ჰონე ჰონე>ჰუნე ჰუნე-с этническим термином hon, двоиником henioq...“. „ჰენი“, „ჭენი“, „ჭენება“-ს ერთმანეთთან დაკავშირებასაც ნ. მარი ახდენდა (Н. Марр. Из лингвистической поездки в Абхазию…, გვ. 327).

200 . Н. Марр. Из лингвистической поездки в Абхазию, გვ. 325-330.

201 . Д. Гулия. История Абхазии, т. 1, გვ. 35-52.

202 . З. Анчабадзе. Очерк..., გვ. 31-36.

203 . ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 74-75.

204 . Ю. Воронов. Материальная культура гениохских племен в VI-I вв. до н. э. – Сборник работ молодых учених-историков Абхазии. Сухуми, 1974; მისივე: Диоскурия-Себастополис – Цхум. М., 1980 და ა.შ.

205 . О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 62-68.

206 . დაბადება, IV. 17, 18; V. 18, 19, 21-24.

207 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I. თბ., 1981, გვ. 401, 403.

208 . ს. ჯანაშია. შრომები, III. თბ., 1959, გვ. 8.

შემდგომი ზღვისპირა აფხაზეთი სოხუმიდან ადლერამდე; შიდა ჰენიოხეთი (სოჭის რაიონი) და ჩრდილო ჰენიოხეთი – შემდგომში აფხაზეთის ჯიქეთი (ტუაფსეს რაიონი)". საკუთარ შეხედულებას პ.ინგოროყვა ჰენიოხთა განსახლების ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველური ტოპონიმების არსებობითაც ასაბუთებდა[209].

ჰენიოხთა ვინაობის საკითხს შეეხო გ.მელიქიშვილი. იგი იზიარებდა პ. უშაკოვის შეხედულებას მათი ურარტული წარმოშობის იგანიეხთან გაიგივების შესახებ[210]. გ.მელიქიშვილი ჰენიოხებს ქართველთა დასავლური შტოს – ჭანებისა და სვანების წინაპრებად თვლიდა[211]. სპეციალურ გამოკვლევებში ჰენიოხები ქართველებად ჰყავთ გააზრებული აკ. ურუშაძეს[212] და ბ. გიგინეიშვილს[213]. ეს უკანასკნელი უარყოფს „ჰენიოხის" კავშირს ენოხ//ენუქთან (ივ. ჯავახიშვილი) და აგრეთვე იგანიეხთან (პ. უშაკოვი, გ. მელიქიშვილი).

ჰენიოხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა შორის დღემდე საუკეთესოდ რჩება თ.ყაუხჩიშვილის ნაშრომი[214]. მასში მოყვანილი, შეჯერებული და ღრმად გაანალიზებულია თითქმის ყველა უძველესი ცნობა ამ ჯგუფის შესახებ, გათვალისწინებულია ქართველ და უცხოელ (კისლინგი და სხვ.) სპეციალისტთა ნააზრევი; ნაჩვენებია, რომ „წყაროების უმრავლესობის მიხედვით, ძვ.წ. V-IVსს-დან Iს-მდე ჰენიოხები ცხოვრობდნენ სოჭიდან პიტიუნტ-დიოსკურიამდე"; წარმომავლობით კი ეს ხალხი არის „ჭეშმარიტად ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომი"; ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ I საუკუნიდან ხდება ჰენიოხთა სამხრეთით გადაადგილება ჯიქთა მოწოლის თუ სხვა მიზეზების გამო[215].

ჰენიოხებს ეძღვნება ვრცელი პარაგრაფი თ.მიბჩუანის მონოგრაფიაში. ავტორი მათ ქართულ სამყაროს მიაკუთვნებს[216]. სერიოზული ისტორიოგრაფიული ანალიზის შემდეგ იმავე დასკვნას აკეთებს გ.გასვიანი[217]. ჰენიოხების თემას რამდენიმე ნაშრომში საინტერესოდ ავითარებს მ.ინაძე და მოჰყავს გარკვეული არგუმენტები ქართველთა ამა თუ იმ შტოსადმი მათი კუთვნილების შესახებ[218]. ნ.ბერულავას აზრით კი ჰენიოხებს შორის იყვნენ სვანები, მეგრელები, ქართები (მოსხების სახით) და აფხაზთა წინაპრებიც[219].

ჰენიოხთა ვინაობისა და განსახლების საკითხს ვრცლად ეხება ბ.გოგია. „საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, – წერს იგი, – რომ არსებობდა ჰენიოხთა ძირითადი კოლხური ტომი დიოსკურიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, ხოლო ჰენიოხთა რამდენიმე ტომი (კოლონია) კი აქედან წასულა და დამკვიდრებულა: კიმერიულ ბოსფორთან, ტუაფსესთან, რიზესთან და ფაზისთან"[220]. თავის დასკვნას ის აფუძნებს ქართველ და ევროპელ მეცნიერთა შრომებზე, აგრეთვე პირველწყაროებზე.

ყველასაგან განსხვავებული მოსაზრება აქვს ნ. ლომოურს. ადრე გამოქვეყნებულ წერილებში მან დამაჯერებლად არ მიიჩნია ჰენიოხებისა და სანიგების იდენტურობა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰენიოხთა მკვიდრობა, ქართველური შტოს (განსაკუთრებით სვანების) წარმომადგენლებად მათი გამოცხადება, თუმცა ადრე არ გამორიცხავდა, „რომ ჰენიოხები თავდაპირველად დას. საქართველოს სამხრეთ ნაწილში ბინადრობდნენ და შემდგომ თანდათან გადაიწიეს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე[221]"; ამასთანავე ნ.ლომოური უშვებდა ჰენიოხების „კუთვნილებას მეგრულ-

---

209 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 129, 134-136.

210 . П. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье. – Вестник Древней Истории, 1946, №2, с. 38.

211 . . . . , გვ. 91, 93, 115, 210, 214, 223, 373-734; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიის..., გვ. 67.

212 . აკ. ურუშაძე. ჰენიოხების შესახებ. – თსუ-ს შრომები, ტ. 96. თბ., 1963, გვ. 243-248.

213 . ბ. გიგინეიშვილი. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის. – მაცნე. ისტორიის.. სერია, 1975, №1, გვ. 115-124.

214 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, №4, გვ. 57-77.

215 . იქვე, გვ. 69, 75, 76.

216 . თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 48-83; იხ. აგრეთვე მისივე: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია. თბ., 2003, გვ. 36-44.

217 . გ. გასვიანი. აფხაზეთი, გვ. 21-25.

218 . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის... – მაცნე, 1992, №1, გვ. 10-14.

219 . Н. Берулава. Диоскурия-Себастополис, გვ. 129.

220 . ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 93.

221 . ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი... გვ. 54.

ჭანური შტოსადმი“[222]. ბოლო პერიოდში მისი პოზიცია უფრო კატეგორიული გახდა. „არსებითად გამორიცხულია, – წერს ნ.ლომოური, – ჰენიოხების მოსახლეობა კოლხეთის და ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათი ქართველობა, მეგრულ-ჭანური თუ სვანური წარმომავლობის ტომად გამოცხადება, ისევ დაუსაბუთებელია მათი კავშირი სანიგებთან“[223]. მეცნიერი ფიქრობს, რომ მხოლოდ ამგვარი პოზიციის დაცვით არის შესაძლებელი აფხაზეთში ქართველთა ყოფნის დასაბუთება და მოგერიება სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსებისა, რომლებიც ჰენიოხებს (ასევე სანიგებს) აფხაზებად მიიჩნევენ და მათი განსახლების არეალად მთელ კოლხეთს მოიაზრებენ; ჰენიოხებს აფხაზეთიდან თუ „გავასახლებთ“, მიაჩნია ნ.ლომოურს, ყველა პრობლემა თითქოს მოგვარდება[224]. ძნელია, დაეთანხმო ამ, ერთი შეხედვით, კეთილშობილური მიზნებით ნაკარნახევ, მაგრამ მცდარ და თანაც მიამიტურ მოსაზრებას. ნ.ლომოურის შეხედულებები ჰენიოხებთან მიმართებაში დეტალურადაა განხილული და უარყოფილია ბ. გოგიას მონოგრაფიაში[225]. ამჯერად კი უპრიანია ვაჩვენოთ, რამდენად არის დასაბუთებული მეცნიერის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი: „ერთადერთი ცნობა, რომელიც განცალკევებით დგას და ჰენიოხების ლოკალიზაციას დიოსკურიის ოლქში ახდენს, ეკუთვნის ახ.წ. I საუკუნის გეოგრაფს, პომპონიუს მელას“, რომელიც ვითომ „საკმაოდ ზერელე“ავტორიც ყოფილა[226].

ნ. ლომოურის თარგმანის მიხედვითაც, ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან „ჰენიოხების იქით (სამხრეთით – ავტ.) არის კორაქსების ტომი“[227]. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ნ.ლომოური არის ერთ-ერთი, ვინც დამაჯერებლად მოახდინა კორაქსების ლოკალიზება ბზიფის მიდამოებში. ამ ვერსიას თუ მივიღებთ, ცხადია, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ჰენიოხები თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში – გაგრაში და მის ჩრდილო-დასავლეთით არიან სავარაუდებელი.

სტრაბონთან დამოწმებული არტემიდორეს (II-Iსს.) ცნობით, კერკეტებისა და აქაველების შემდეგ მოდიან ჰენიოხები, რომელთა 100 სტადიონის სიგრძის სანაპირო დიდ პიტიუნტამდე აღწევს (XI. 2,14)[228]. ნ.ლომოურის მიერ დაწუნებული პომპონიუს მელას თანამედროვე პლინიუსი, როგორც უკვე ითქვა, ჰენიოხებს კოლხეთის სამხრეთით (VI. 12) და ასევე ჩრდილოეთითაც (VI. 14) ათავსებს. იგი წერდა: „ზოგიერთთა აზრით, ეს ქალაქი (დიოსკურია) დასახლებული იყო ტყუპი ძმების, კასტორისა და პოლუქსის, ამფიტის და ტელხიუსის მიერ, რომელთაგან, როგორც იუწყებიან თითქმის სრულიად სანდო (წყაროები), თავის წარმომავლობას იღებს ჰენიოხთა ტომი“[229]. მსგავსი ცნობა აქვს სოლინუსსაც (IIს.): „კოლხიდის ქალაქი დიოსკურიადა დააარსეს კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებმა, რომელთაგანაც წარმოსდგა ჰენიოხთა ტომი“[230].

მივმართოთ ნ. ლომოურის ნაშრომს – კლავდიოს პტოლემაიოსის (IIს.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მისეულ თარგმანს შესაბამისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით. ამ წყაროში ჰენიოხები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სუანო-კოლხების სამხრეთით არიან დასახელებული[231]. ეს კი უტყუარი მტკიცებაა იმისა, რომ ჰენიოხები კოლხეთის (მათ შორის აფხაზეთის) ფარგლებში არიან მოქცეულნი. ნ.ლომოური ფაქტობრივად უარყოფს საკუთარ თეორიას ჰენიოხების აფხაზეთის მიღმა (ჩრდილოეთით) მკვიდრობის შესახებ, როცა სვანო-კოლხების ლოკალიზაციას სწორად ახდენს „მდ.ბზიფის (პტოლემაიოსის კორაქსი) გასწვრივ“[232]. გამოდის, რომ ჰენიოხები სადღაც დიოსკურიასა და მდ. ბზიფს შორის არიან. ნ.ლომოური აღნიშნავს და ასეც არის, აპიანე (IIს.) ჰენიოხებს უშუალოდ დიოსკურიის შემდეგ (ჩრდილოეთით)

---

222 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 24.

223 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 20.

224 . .იქვე. პირიქით, ჰენიოხთა „გასახლება“ უფრო წამგებიანია.

225 . ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 36-39, 54-60, 77-93. იხ. აგრეთვე: ჯ. გამახარია. აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბ., 1989, გვ. 34-36.

226 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 12.

227 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 33.

228 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 120.

229 . ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, გვ. 149.

230 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის... – მაცნე, 1980, №4, გვ. 58.

231 . ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი..., გვ. 44.

232 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 33.

ათავსებს[233]. ამიანუს მარცელინუსი (IVს.) ქ.დიოსკურიას, გადმოცემების საფუძველზე, კასტორ-პოლუქსის მეეტლეებისა და ჰენიოხების წინაპრების დაარსებულად მიიჩნევს (XXII. 24)[234].

ამრიგად, ნ.ლომოურის მტკიცება, თითქოს „ზერელე“ პომპონიუს მელას გარდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არავინ ახდენს ჰენიოხთა ლოკალიზაციას, სინამდვილეს არ შეეფერება. ხშირად ჰენიოხები ნამდვილად მოიხსენიებიან გაგრის ჩრდილო-დასავლეთითაც, მაგრამ არა აფხაზ-ადიღთა გარემოცვაში, როგორც ნ. ლომოური წერს, არამედ უეჭველად ქართული ქალაქის – ძველი ლაზიკის მიდამოებში, რაც თავისთავად მრავლისმთქმელია და იმ მეცნიერთა მოსაზრებას ამყარებს, ვინც შავიზღვისპირა მოსახლეობის ამ ჯგუფს ქართველთა დასავლურ შტოს მიაკუთვნებს.

ჰენიოხების ვინაობასთან დაკავშირებით ნ.კვეზერელ-კოპაძეს მიიჩნევს, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ეთნიკურ ჯგუფს; ისინი იყვნენ პროფესიონალი მზიდავები (თუ გამცილებლები)[235], რომლებიც ვაჭრებს ემსახურებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას[236]. მართალია, ეს მოსაზრება მეცნიერების მიერ გაზიარებული არ არის[237], მაგრამ მხოლოდ მისი მეშვეობით (და არა იმდენად გადასახლებებით) შეიძლება აიხსნას ჰენიოხთა ერთდროული მოხსენიება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რამდენიმე რეგიონში, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.[238] სხვა ქართული თემებისაგან პროფესიული ნიშნით გან-ცალკევებულობაზე მიუთითებენ „ჰენიოხის“ ეტიმოლოგია, „მრავალტომიანობა“ (ანუ მრავალი დასახლების მქონე), აგრეთვე ისტორიული არენიდან შეუმჩნეველი გაქრობა რეგიონში რომაელთა პოზიციების განმტკიცების, ადგილობრივი პოლიტიკური წარმონაქმნების გაძლიერებისა და ვაჭართა მომსახურება-დაცვის ფუნქციის საკუთარ თავზე აღების კვალობაზე.

არსებობს საფუძველი „სხვადასხვა სახელწოდების“ ჰენიოხებს მივაკუთვნოთ არა მხოლოდ სანები (პლინიუსი), არამედ კერკეტებიც. დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ისინი ჩერქეზები არიან, ეყრდნობა მხოლოდ თითქმის არარსებულ ან ძალიან მიახლოებით ფონეტიკურ მსგავსებას. თ.ყაუხჩიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჰენიოხთა ლეგენდარული წინაპრები – დიოსკურთა მეეტლეები წყაროებში სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებიან. ერთს ჰქვია ამფისტრატოსი (სტრაბონი, ტროგუს იუსტინუსი), ან ამფიტოსი (პლინიუსი, ამიანუს მარცელინუსი); მეორე სახელის ოთხი ვარიანტია ცნობილი – რეკასი ან კრეკასი (სტრაბონი), თელხიოსი (პლინიუსი), ფრიგიასი (ტროგუს იუსტინუსი) და კერკიოსი (ამიანუს მარცელინუსი). „კრეკასი“ და „კერკიოსი“ „შეიძლება ერთი სახელის გადასხვაფერება იყოს და მასშიც „კერკეტების“ ეპონიმი იმალებოდეს“[239], – წერს თ.ყაუხჩიშვილი.

კერკეტების ვინაობასთან დაკავშირებით გ.მელიქიშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ „ჩერქეზი“ არ არის ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი სახელი (მართლაც, „ჩერქეზი“ თურქულად „შარა-გზის ყაჩაღს“ ნიშნავს) მაშინ, როცა „კერკეტები“ შეიძლება დავუკავშიროთ „ეგრ“-ს, რომელიც პლინიუსთან (VI. 14) „კეგრიტიკი“-ს, ხოლო პტოლემაიოსთან (9. 4) „ეკრეკტიკას“ სახელით იხსენიება. ამ მოსაზრებას ადასტურებს, – თვლის გ.მელიქიშვილი, – კერკეტების ტერიტორიაზე ქ. ძველი ლაზიკის არსებობაც[240].

აღნიშნულ შეხედულებას არსებობის სრული უფლება აქვს. გარდა ამისა, კერკეტების სემანტიკა ამ სახელის ჰენიოხებთან დაკავშირების საშუალებასაც იძლევა.

---

233 . აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 195.

234 . გეორგიკა, ტ. 1. თბ., 1961, გვ. 112.

235 . დ. გულიას აზრით, მეკობრე ჰენიოხების დაცვის თანხლების გარეშე შეუძლებელი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპი-რეთში მოგზაურობა და ამიტომაც უწოდეს მათ ბერძნებმა მეეტლეები. – Д. Гулия. История Абхазии, т.1, გვ. 45-46.

236 . Н. Квезерели-Копадзе. Дорожные сооружения древней Абхазии. Сухуми, 1955, გვ. 30-55.

237 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასის ტომების საკითხისათვის... – მაცნე, 1980, №4, გვ. 71; მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის..., მაცნე, 1992, №1, გვ. 13-14.

238 . ახ. წ. I ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაფიქსირებულმა ჰენიოხებმა, შესაძლოა, ჩაანაცვლეს ძვ. წ. 64 წ. პომპეუსის მიერ განადგურებული კილიკიელი ყაჩაღები და მეკობრეები.

239 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასის ტომების საკითხისათვის... – მაცნე, 1980, №4, გვ. 58-59.

240 . Г. А. Меликишвили. История древней Грузии, გვ. 89.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „კერკეტი“ ბერძნულად ნიშნავს „მესაჭე“-ს (შდრ. ჰენიოხი – მეეტლე, მხედარი, სადავის დამჭერი). განსაკუთრებით საინტერესოა მისი ქართული განმარტება: „კერკეტნი... ესენი არიან კაცნი ღამის მცველნი, რათა ბოროტად მავალნი შეიპყრან. კერკეტნი არიან კაცნი ღამეთა მცველნი, რათა ბოროტად მოქმედნი არა უტეონ“[241]. ამრიგად, „კერკეტის“ ბერძნულ და ქართულ სემანტიკაში ასახულია საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰენიოხებთან[242], ორივესი ერთად კი – ქართულ სამყაროსთან. არსებობს ასეთი განმარტებაც – კერკეტი – მაღალი და ჩასხმული კაცი[243], რაც ასევე ამყარებს გაკეთებულ დასკვნას. კერკეტები ახ.წ. IIს. ავტორების – სტრაბონის (XII. 3, 18)[244], კვინტუს კურციუს რუფუსის[245] მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოიხსენიებიან. ეს გარემოება კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის კერკეტების ქართველურ სამყაროსთან, მათ შორის ჰენიოხებთან დაკავშირების ალბათობას. მ.ინაძე, პირიქით, ცდილობს ვითომ ჩერქეზული წარმოშობის კერკეტების IIს. სამხრეთ საქართველოში ყოფნა ყვა-თი წარმოებულ ტოპონიმებს დაუკავშიროს[246] მაშინ, როცა იმ პერიოდში მსგავსი ტოპონიმები სამხრეთ საქართველოში დაფიქსირებული არ არის. ასეთი სახელები კერკეტებს არ დაუტოვებიათ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც, სადაც ადრე მრავალი საუკუნის განმავლობაში მკვიდრობდნენ.

VIს. ანონიმის მიერ კერკეტებთან გაიგივებული ტორეტებიც[247], სავარაუდოდ, ჰენიოხთა ერთ-ერთ ჯგუფს და ქართულ თემს მიეკუთვნება[248]. ბ.გოგიას საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრებით, ჰენიოხები არიან ტელონებიც („ხარკის ამკრეფნი“, „მოძალადენი“), რომელთა სახელწოდება მეეტლე ტელქიუსის სახელს უკავშირდება[249].

ადრეანტიკური ხანის აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჰელანიკე მიტილენელისა და პალეფატე აბიდოსელის ზემოთ მოყვანილი ცნობების თანახმად, სახლობდნენ მოსხებიც[250]. ამას ადასტურებენ სტრაბონთან დაცული მითრიდატე დიდის ომების ისტორიკოსებიც, „რომელთაც მეტად დაეჯერებათ. ამბობენ, რომ ჯერ არიან ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ფთიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან“ (XI. 2,14)[251]. სარწმუნო ცნობები („რომელთაც მეტად დაეჯერებათ“) ხელს არ უშლიან სტრაბონს სამ ნაწილად (კოლხების, იბერებისა და არმენიელების) გაყოფილი „მოსხების ქვეყანა“ სამხრეთ საქართველოშიც დააფიქსიროს თავისი „მოსხური მთებით“ (XI. 2, 15, 17; XI 12, 4; XI. 14, 1; XII. 3, 18)[252]. მოტანილ ცნობებში სტრაბონი წინააღმდეგობას ვერ ხედავს. მოსხების სამხრეთში ყოფნა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მათ ჯერ კიდევ ჰეროდოტე დ მოიხსენიებდა არიოსის XIX სატრაპიის შემადგენლობაში[253].

დისკუსიის საგანია ჩრდილოეთში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში მოსხების მოსახლეობა-არმოსახლეობის საკითხი. პომპონიუს მელას მონაცემებით, მოსხური მთები უკვე ჩრდილოეთით (კავკასიაში) არიან დასახელებული[254]. ახ.წ. VIს. ისეთი კომპეტენტური ავტორი, როგორიც იყო პროკოპი კესარიელი, მოსხების ქვეყანას კავკასიის მთიანეთში ათავსებს და იქაური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასაც აღწერს[255].

---

241 . ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I, გვ. 367.

242 . თ. ყაუხჩიშვილისეული ქართული თარგმანის მიხედვით (მაგრამ არა რუსული თარგმანით), ჰენიოხები და კერკეტები სტრაბონთან ერთი და იგივე ხალხი ჩანს: „ამის შემდეგ (არიან) აქეელები, ზიგები, ჰენიოხები – კერკეტები“ (XI. 2,1). – თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 111; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

243 . დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 604.

244 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 203.

245 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის... – მაცნე, 1980, №4, გვ. 75.

246 . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის... – მაცნე, 1992, №1, გვ. 15-16.

247 . გეორგიკა. ტ. 2. გვ. 12.

248 . ს. ყაუხჩიშვილი თვლიდა, რომ ტორეტებს, ევდუსინებს და სხვებს „ქართველურ ელემენტთან შეიძლება ძალიან შორეული კავშირი ჰქონდეთ“ (გეორგიკა, ტ. 2, გვ. 28).

249 . ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 57.

250 . ტერმინის ისტორიის შესახებ იხ.: ნ. ხაზარაძე. „მესხი“ ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის. – საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 21-42.

251 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 120.

252 . იქვე, გვ. 121, 124, 125, 174, 185-186, 203.

253 . თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები, გვ. 45.

254 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

255 . გეორგიკა, ტ. 2. გვ. 127.

ასეთია წყაროთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც მოსხები არიან როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით. ნ.მარმა ისინი, პირველ რიგში, აფხაზებთან დააკავშირა. სახელწოდება „მცხეთა“, – წერდა იგი, – „ეტყობა დანერგილია აბხაზ-აბაზხების, სახელდობრ, მათი წინაპრების – მოსხებისა და არა ქართების მიერ“[256].

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ივ.ჯავახიშვილმა. „პრ. ნ.მარი მართალი უნდა იყოს, – წერდა იგი, – როდესაც აფხაზების ძველ სახელწოდებას „აბასხი“-ს ამ „მასხი“-ს უკავშირებს, მხოლოდ მას თავში ჩვეულებრივი აფხაზური თავსართი „ა“ უზის... ამგვარად, აფხაზებს და მესხებს ერთი და იგივე ტომობრივი სახელი აქვთ, მაგრამ მარტო ამით, რასაკვირველია, ტომობრივი იგივეობა ვერ დამტკიცდება, მეტადრე სანამ ამ სიტყვის „მას“, „მოს“, „მეს“-ხის ძირითადი მნიშვნელობა გამორკვეული არ არის. პირიქით, შესაძლებელია იგი საზოგადო სახელი იყოს. მაინც და მაინც საგულისხმოა, რომ ეს სახელი მარტო ამ ორ ტომს – აფხაზებს და მესხებს კი არ რქმევიათ, არამედ ლეკები თუშებს ახლაც „მოსექებს“, ე.ი. „მოსოხებს“ ეძახიან“[257]. ივ.ჯავახიშვილის მსჯელობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვარაუდი „მესხი“-ს საზოგადო მნიშვნელობის შესახებ, რაც იმას გულისხმობს, რომ მსგავსი სახელი შეიძლება შეგვხვდეს ქართველთა განსახლების ფართო არეალში – აფხაზეთში, სამხრეთ საქართველოში, თუშეთში და ა.შ.

პ. ინგოროყვამ გაიზიარა ნ.მარისა და ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებათა ის ნაწილი, რომელიც მოსხისა და აბასხის იდენტურობას შეეხებოდა; რადგანაც მესხები სახელდებოდნენ, მეცნიერის აზრით, კელასურის ხეობაში (სინამდვილეში კი ბზიფის მხარეში) მცხოვრები კორაქსების შემდეგ, მათი განსახლების არეალად საკუთრივ აფხაზეთი (დიოსკურია-ბზიფის მონაკვეთი) მიიჩნია[258]. ვინაიდან მესხების ქართველობა ეჭვს არ იწვევდა (და არც იწვევს), პ.ინგოროყვამ გააკეთა ორიგინალური დასკვნები (მესხისა და აფხაზის იგივეობის შესახებ), რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

პ.ინგოროყვას წინააღმდეგ ზ.ანჩაბაძემ გაილაშქრა. მან აღნიშნა, რომ დამოწმებულ წყაროებში (ჰელანიკე, პალეფატე, მითრიდატეს ომების ისტორიკოსები) მოსხების განსახლების ზუსტი ადგილი მითითებული არ არის, ამიტომ ამ „ერთეული ავტორების საეჭვო ცნობებზე“ დაყრდნობით აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მათი ლოკალიზება არ შეიძლება; მოსხების ნამდვილი საცხოვრისი კი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია, სადაც ნ.მარის მტკიცებით, შესაძლოა, აფხაზებიც მოსახლეობდნენ[259].

ნ.ლომოურმაც ჩათვალა, რომ ჰელანიკეს ცნობები ზოგადია, სიზუსტით არ გამოირჩევიან, ამიტომ მის მიერ დასახელებულ ტომთა სამოსახლო ტერიტორიის განსაზღვრისათვის არ გამოდგებიან[260]. რადგანაც პალეფატე აბიდოსელის ფრაგმენტის თანახმად, მოსხების მეზობელი ხარიმატები ფლობდნენ მდ.პართენიონს მცირე აზიაში[261], ნ.ლომოურმა მხარი დაუჭირა ნ.ხაზარაძის შეხედულებას[262] მოსხების მცირე აზიაში, მატიენების მეზობლად მოსახლეობის თაობაზე და გააკეთა კატეგორიული დასკვნა: „აბსოლუტურად გამორიცხულია მოსხების მოთავსება აფხაზეთის ტერიტორიაზე“; ამასთანავე დასძინა, რომ „თუ ჩვენ ვაღიარებთ აფხაზეთის ტერიტორიაზე მესხთა ოდესმე მოსახლეობას, პ.ინგოროყვას მომხრე-მიმდევართა პოზიცია შეიძლება ერთგვარად განმტკიცდეს“[263].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ თემთა ზოგადი სახელი „მესხი“ (ივ.ჯავახიშვილი) რომელ რეგიონშიც არ უნდა დაფიქსირდეს, ამით არანაირად არ გამოირიცხება ამ სახელის მატარებელი ხალხის აფხაზეთშიც ყოფნა; იმავდროულად,

---

256 . Н. Марр. История термина «Абхаз», გვ. 704.

257 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I-II, გვ. 21-22.

258 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 137-140.

259 . З. В. Анчабадзе. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква «Георгий Мерчуле – грузинский писатель X века». – Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. XXVII. Сухуми, 1956, გვ. 262-264.

260 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები, გვ. 10-12, 26.

261 . როგორც ბ. გოგია წერს, პართენიონი არსებობდა არა მხოლოდ მცირე აზიაში, არამედ ხერსონესთან და ფეოდოსიასთანაც (ანუ ხარიმატების სიახლოვეს). – ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 127.

262 . ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984, გვ. 34.

263 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 24, 25.

აფხაზეთში მოსხთა მოსახლეობის დაშვება-არდაშვებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული პ.ინგოროყვას კონცეფციისა და მისი მიმდევრების პოზიციის სიმტკიცე თუ სისუსტე. ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგად ესმით მეცნიერებს. გ.ჩიტაიამ ჯერ კიდევ 1955წ. პ.ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“-ზე დაწერილ რეცენზიაში არ გაიზიარა „მესხისა“ და „აფხაზის“ ურთიერთკავშირი, მაგრამ მხარი დაუჭირა ისტორიულ აფხაზთა ქართველობის იდეას[264]. თ.მიქელაძემ, რომელიც არ უნდა იყოს პ.ინგოროყვას მიმდევარი, შესანიშნავად დაასაბუთა მესხების აფხაზეთში ყოფნა[265]. ადრე მ.ინაძე თვლიდა, „რომ მოსხთა ბინადრობა ძვ.წ. I – ახ.წ. Iსს-ში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება და მეტ დასაბუთებას მოითხოვს“[266]. დამატებით საბუთებად შემდგომში მან გამოიყენა სტრაბონის, განსაკუთრებით პროკოპი კესარიელის ცნობები და გააკეთა დასკვნა მესხების ერთი ჯგუფის აფხაზეთის მთიანეთში მოსახლეობის შესახებ; ამასთანავე, მ.ინაძე ადასტურებს ძვ.წ. VIს. მესხების მცირე აზიაში ბინადრობის ცნობილ ფაქტსაც[267]. ბ.გოგია ასევე აღნიშნავს, რომ უძველეს წყაროებში არსებობს მოსხთა ბინადრობის ორი (ჩრდილოეთსა და სამხრეთში) განსხვავებული ტრადიცია[268].

ამრიგად, ადრეანტიკურ ხანაში ზოგადი სახელის მატარებელი ერთ-ერთი ქართული თემის – მოსხების აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ყოფნა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ ფაქტის მხოლოდ აღიარებით დამაჯერებლად ვერ დგინდება მოსხისა და აბასხის იდენტურობა.

აფხაზეთის სიახლოვეს დასახელებული არიან აქაიები[269] და მელანქლენები[270], რომელთა შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი; ს.ყაუხჩიშვილი ამ თემებსაც ქართულ სამყაროს მიაკუთვნებს[271].

ადრეანტიკური ხანის წყაროების მიხედვით, აფხაზეთის მთელი თანამედროვე ტერიტორია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია და კოლხებითაა დასახლებული. მიუხედავად აქემენიდური სპარსეთის ექსპანსიისა და ძვ.წ. VIს. ქვეყნის სამხრეთ რაიონების დამორჩილებისა, კოლხეთი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, თუმცა ჰეროდოტეს ცნობით, ყოველ მეხუთე წელს ნებაყოფლობითი საჩუქრის სახით სპარსეთში 100 ჭაბუკს და 100 ქალწულს აგზავნიდა (III. 97). სამეფოს ქართველური მოსახლეობა ძველი ავტორების მიერ კოლხებად მიჩნეულ კორაქსებთან და კოლებთან ერთად ბზიფამდე თუ კავკასიონის ქედამდეა გავრცელებული. ჰეროდოტეს ცნობით კი კოლხებს ეჭირათ უზარმაზარი სივრცე მეოტის ტბამდე (აზოვის ზღვამდე)[272]; სამხრეთის საზღვარი აფსაროსთან (ჭოროხი) თუ ტრაპეზუნდ-კერასუნტის მიდამოებშია სავარაუდებელი[273]. წყაროთა მონაცემებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უცხო ეთნიკური ჯგუფები დასახლებული არ არიან. განსაკუთრებით ნათელია სიტუაცია ენგურ-ფსოუს მონაკვეთზე, სადაც სხვა ეთნოსის კვალი არ ჩანს..

სეპარატისტთა პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებას ემსახურება ვერსია ტერმინ „კოლხეთი“-ს კრებითი ანუ ფართო (გეოგრაფიული) და ვიწრო (ეთნიკური) მნიშვნელობის შესახებ. ტერმინებს „კოლხეთი“, „კოლხი“ ზოგჯერ მართლაც აქვთ კრებითი მნიშვნელობა; მათში იგულისხმება ქართული რეგიონები, ქართველი ერის სხვადასხვა განშტოებები და თემები. ასე ესმოდა ივანე ჯავახიშვილს „კოლხეთის

---

264 . გ. ჩიტაია. ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ. – შრომები ხუთ ტომად, II. თბ., 2000, გვ. 119.

265 . თ. მიქელაძე. ძიებანი..., გვ. 21-24.

266 . მ. ინაძე. ანტიკური ხანის...,– მოამბე, 1960, №2, გვ. 148.

267 . მ. ინაძე. აფხაზების..., – მაცნე, 1992, №1, გვ. 16-20;. . .
. – // . ., 1999. გვ. 66.

268 . ბ. გოგია. ძველი კოლხეთის..., გვ. 127-130.

269 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 1. აქაიები. – მაცნე, 1980, №3, გვ. 31-40.

270 . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები.., გვ. 32, 33.

271 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 28.

272 . ჰეროდოტე ახსენებს კოლხთა მეზობლებს ვიდრე კავკასიონის მთებამდე. მ. ინაძემ სხვა წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით კოლხთა მეზობლებად, სავსებით მართებულად, ისევ კოლხები – კოლები და კორაქსები მიიჩნია (თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები, გვ. 76; М. Инадзе. Вопросы..., გვ. 63).

273 . З. В. Анчабадзе. Очерк, გვ. 27; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები, I, გვ. 31; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 46 და სხვ.

სახელის ზოგადი შემკრებლობითი მნიშვნელობა“[274]. თვით საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში „კოლხები“ („Колхи“) განმარტებულია როგორც „ქართველურ ტომთა კრებითი სახელწოდება“[275].

სრულიად განსხვავებული მოსაზრება განავითარა გ.მელიქიშვილმა. ადრეანტიკური ხანის ავტორების მიერ დიოსკურია-ბიჭვინთის ნაწილში და კავკასიონამდე მითითებული კოლხეთის საზღვარი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ჩათვალა გეოგრაფიულ და არა ეთნიკურ საზღვრად[276]. ამაში მას მხარი დაუჭირა ზ.ანჩაბაძემ[277]. აღნიშნული შეხედულება გაიზიარა ნ.ლომოურმა[278]. ანტიკური დროის ავტორები, – წერს იგი, – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში „მხოლოდ ერთ ხალხს – კოლხებს ასახელებს (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი და სხვ.). არაა გამორიცხული, რომ ეთნონიმი კოლხი ამ შემთხვევაში პოლიტიკური შინაარსისაა და მას კრებითი ხასიათი აქვს. ე.ი. ფარავს ყველა იმ ტომს, რომელიც კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე სახლობდა და ბერძნულ-რომაული წყაროებისათვის გვიან გახდა ცნობილი, თუმცა ასეთი ვარაუდებისათვის პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება“[279]. სწორედ, ცნობების არარსებობის გამო ვარაუდები ადრეანტიკურ ხანაში აფსუა-აფხაზების დღევანდელი მათი განსახლების ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ[280] ყოვლად უსაფუძვლო და არარეალურია. შესაბამისი უტყუარი მონაცემების გარეშე, გაუგებარია, როგორ უნდა დაადგინო, თუნდაც ივარაუდო აფხაზთა წინაპრების აფხაზეთში ყოფნა, როცა ხშირად ჭირს, შეუძლებელიც კი ხდება წყაროებში არაერთგზის მითითებული ზოგიერთი ტომის თუ თემის ვინაობის გარკვევა.

ტერმინების „კოლხეთი“, „კოლხი“ მნიშვნელობის დამახინჯებას სათავისოდ იყენებდა და ამჟამადაც იყენებს სეპარატისტული ისტორიოგრაფია, რომელიც საერთოდ გამორიცხავს ქართველთა განსახლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე[281]; წყაროები კი, როგორც დავინახეთ, სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ. ზემოხსენებულ ტერმინებს უძველესი დროიდან ჰქონდათ კონკრეტულად ისტორიული კოლხეთის (ძველი საქართველოს) და ეთნიკური კოლხის (ქართველის) მნიშვნელობა. უცნობია სხვა არაქართველ ეთნოსებზე ამ ტერმინების გავრცელების თუნდაც ერთი ფაქტიც კი. პირიქით, ბერძნულ-ბიზანტიური წყაროები ასახავდნენ „გათიშე და იბატონეს“ ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკას ან სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ ამა თუ იმ ეტაპზე არსებულ რეალურ მდგომარეობას (პოლიტიკურ დაქუცმაცებას და ა.შ.) და ერთიან ტომს უმეტეს შემთხვევაში წვრილ-წვრილი ერთეულების სახით (და არა „ფართო“ გეოგრაფიული გაგებით) წარმოგვიდგენენ. ამ ვითარებაში „კოლხის“ „კრებით მნიშვნელობაზე“ საუბარს აქვს მხოლოდ პოლიტიკური მიზანი: ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრებს როგორმე მიუჩინონ ადგილი, რომელიც ისტორიული წყაროებით დადასტურებული არ არის. მკვლევარ-სეპარატისტებს ეს აძლევს მთელი კოლხური ცივილიზაციის მითვისების მცდელობის საშუალებას.

ისტორიოგრაფიაში ტენდენციურად არის გაშუქებული ძვ.წ. III-I საუკუნეების ეთნო-პოლიტიკური მოვლენები. როგორც ცნობილია, ძვ.წ. IIIს. პირველი ნახევრიდან, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოს ნებაყოფლობით შეუერთდა[282] და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ეს არ ყოფილა გამოწვეული ეგრისის სამეფოს დასუსტებითა და

---

[274] . ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 12.

[275] . Советская Историческая Энциклопедия , т. 7. М., 1965, გვ. 546.

[276] . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 62-63; მისივე: საქართველოს, კავკასიის..., გვ. 87.

[277] . З. В. Анчабадзе. Очерк..., გვ. 29; მისსივე: История и культура..., გვ. 132.

[278] . ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 25; მისივე: „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის. – თსუ შრომები, ტ. 1. . 1971, გვ. 19-31. დაახლოებით იგივე პოზიცია აქვს მ. ინაძესაც (ძველი აფხაზეთის..., მაცნე, 1992, №1, გვ. 8; მისივე: Вопросы..., გვ. 63).

[279] . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 6.

[280] . იქვე. იხ. აგრეთვე: Н. Ломоури. Некоторые вопросы ранней истории Абхазии (Ответ проф. Ш. Д. Инал-Ипа), – მაცნე, ისტორიის..., სერია, 1990, №3, გვ. 161.

[281] . Ш. Д. Инал-Ипа. Вопросы…, გვ. 200; მისივე: О моем народе, его истории и отечестве. – Советская Абхазия, 1989, 16 сентября; О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 60-84 და სხვ.

[282] . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 22-24.

დაშლით. ფარნავაზმა დახმარებისათვის ქუჯის იმიტომ მიმართა[283], რომ ეგრისი იმ დროისათვის კვლავ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მაშინდელი გაერთიანება იყო, როგორც უკვე ითქვა, ნებაყოფლობითი, საერთო ეროვნული ინტერესებით განპირობებული ისტორიული აქტი, რომლის რეალიზებას ხელს უწყობდა საერთაშორისო ვითარებაც–ელინური სახელმწიფოების რღვევისა და ურთიერთდაპირისპირების ხანგრძლივი პროცესის დაწყება[284]. ამ პროცესს არ შეეძლო არ გამოეწვია საერთაშორისო ეკონომიკური აქტიურობისა და კავშირების შესუსტება, ახალ სახელმწიფოთა წარმოშობა თუ აღდგენა, სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები. შექმნილ ვითარებაში ქართლ-ეგრისის გაერთიანება და ძლიერი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება არსებული რეალობით ნაკარნახევ ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. როგორც ნ.ბერულავა ასაბუთებს, მაშინ ქართლს შეუერთდა არა მხოლოდ ცენტრალური ეგრისი მდ.ღალიძგამდე,[285] არამედ მთელი სამეფო დიოსკურიის ჩათვლით[286]. დაქუცმაცებული და გამუდმებული შინაომებით დაკავებული საბერძნეთის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნამდვილად საეჭვოდ გამოიყურება ლეონტი მროველის ცნობა ეგრისწყლის (ღალიძგის) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ბერძნების (თუნდაც, ძვ.წ. III საუკუნის განმავლობაში გალატიასთან მძიმე ბრძოლებში დასუსტებული პონტოს სამეფოს) ხელში გადასვლის შესახებ.

ძვ.წ. IIს. დასაწყისიდან, როცა ქართლზე სელევკიდების სახელმწიფოს რღვევის შედეგად წარმოქმნილი სომხეთი გაბატონდა, ეგრისი ისევ ცალკე სამეფოდ ჩანს, რაზეც იმავე საუკუნის მეორე ნახევრის მეფე სავლაკის მონეტები მოწმობენ.[287] სოხუმის რაიონში მისი აღმოჩენა სამეფოს კვლავ ძველ საზღვრებში აღდგენაზე უნდა მიუთითებდეს[288]. პლინიუსის ცნობით, „კოლხეთში მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკი, რომელმაც მიიღო სამთავროდ მთელი მიწა; ამბობენ, მას შემოსდიოდა დიდი რაოდენობით ოქრო და ვერცხლი სვანთა ტომების მიწიდან და საერთოდ მთელი თავისი სამფლობელოდან, რომელიც სახელგანთქმული იყო ოქროს საწმისებით“[289]. აქედანაც ირკვევა, რომ სავლაკი მთლიანად ფლობდა ეგრისს („მთელ მიწას“) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისა და სვანეთის ჩათვლით.

ძვ.წ. II-I სს. მიჯნაზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა (111-63წწ.) მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, საკუთარი სამეფოს შემადგენლობაში მოაქცია[290]. ეგრისი აგრძელებდა არსებობას ცალკე ერთეულის სახით. მისი მმართველი გახდა მითრიდატე უმცროსი (მეფის ვაჟი), რომელიც მალე ღალატში იქნა ეჭვმიტანილი და სიკვდილით დასაჯეს[291]. მმართველებად კოლხეთში მითრიდატე VI-თან დაახლოებული პიროვნებები იგზავნებოდნენ. ასეთი იყო სტრაბონის „დედის ბიძაც მამის მხრიდან“ – მოაფერნე; პონტოს მეფეს ეგრისიდან „მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის“[292].

ძვ.წ. I საუკუნის შუახანებიდან, როცა რომაელებმა დაამარცხეს მითრიდატე VI, თვითონ დაეუფლნენ ყოფილი კოლხეთის სამეფოს და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, მათ შორის აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიას. რომაელთაგან დევნილმა

---

283 . იქვე, გვ. 22.

284. ფარნავაზ მეფეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დასუსტებულ სელევკიდებთან (სირია), „მსახურებდა იგი ანტიოქოსს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 25).

285 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 24.

286 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

287 . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 305.

288 . მ. ინაძის მოსაზრებას კოლხეთის სამეფოს მხოლოდ ღალიძგამდე აღდგენის შესახებ საკმაო დამაჯერებლობით უარყოფს ნ. ბერულავა (. . დასახ. ნაშრომი, გვ. 89-90).

289 . ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, გვ. 154.

290 . ძვ.წ. IVს. ბოლოს შექმნილ და ძვ.წ. IIIს. გაძლიერებულ პონტოს სამეფოს ქართული ისტორიოგრაფია განიხილავდა ქართული სამყაროს ნაწილად, რომლის მოსახლეობას შეადგენდნენ მესხები, ტაბალ-ტიბარენები (იბერები), ხალდები, ხალიბები, კოლხები, მოსინიკები და სხვები; ამ სამყაროს ღვიძლი შვილის, – მითრიდატე VI-ის ხელმძღვანელობით წარმოებული ომი კი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იყო დიდი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (ლ. სანიკიძე. პონტოს სამეფო. თბ., 1956, გვ. 3; საქართველოს ისტორია, I. თბ., 1958, გვ. 58; გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი. თბ., 1965, გვ. 278-279).

291 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 475.

292 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124-125.

მითრიდატემ 66/65წწ. ზამთარი დიოსკურიაში გაატარა და აქ შეიმუშავა გრანდიოზული სამოქმედო გეგმები, რომელთა განხორციელება ვერ მოახერხა[293].

კოლხეთი//ეგრისი აქტიურად იყო ჩაბმული ელინისტურ სამყაროსთან გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ელინისტურ ხანას განეკუთვნება სტრაბონის ცნობაც დიოსკურიაში ათობით ეროვნების წარმომადგენელთა, ძირითადად კავკასიელების თავმოყრის შესახებ.[294] ნ.ბერულავას ვარაუდით, ეს ცნობა ეხება კოლხეთში რომაელთა ბატონობის, კერძოდ, არისტარხის მმართველობის პერიოდს; როგორც ენერგიულმა მმართველმა, მან გააერთიანა კოლხეთი, ჭრიდა მონეტებს დიოსკურიაში, სადაც ერთ-ერთი, თუ ერთადერთი (გ.გამყრელიძე, თ.თოდუა) რეზიდენცია ჰქონდა; მოახერხა ვაჭრობის გამოცოცხლება აღებ-მიცემობაში რომაელთა ჩართვის გზით.[295] ძვ.წ. 48წ. პომპეუსის დაღუპვითა და არისტარხის პოზიციების შესუსტებით ისარგებლა ბოსფორის მეფე ფარნაკემ (მითრიდატეს ვაჟმა) და მძიმე ბრძოლების გადახდის შემდეგ კოლხეთს დაეუფლა, დაიბრუნა პონტოს სამეფო და თავი აზიის მეფედ გამოაცხადა. 47წ. იულიუს კეისარმა (ძვ.წ. 49-44წწ.) იოლად დაამარცხა ფარნაკე[296]; კოლხეთი კვლავ რჩებოდა რომის პროვინციად.

არ არსებობს არქეოლოგიური მასალა ან წერილობითი ცნობები ძვ.წ. II-Iსს-ში აფხაზეთის ამჟამინდელ ფარგლებში და მის სიახლოვეს ეთნიკური სიტუაციის შეცვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, გ.მელიქიშვილი წერს აფხაზეთის მთიანეთში ვითომ მცხოვრებ მეომარ ტომებზე, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელთა შემოდწევაზე, ჯიქების შემოსევაზე და კერკეტების მიწების მიტაცებაზე, ბარის მოსახლეობის აწიოკებაზე და ა.შ.[297]. ეს დასკვნა აგებულია სტრაბონის ცნობაზე ზიგების ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველად გამოჩენის თაობაზე; ბერძენი მწერალი საუბრობდა კარგად ცნობილ თემაზე – აქეელების, ზიგების და ჰენიოხების ყაჩაღობა-მეკობრეობაზე, მოსახლეობის შევიწროებაზე, ხალხის გატაცებაზე (XI. 2, 12)[298]. სტრაბონთან არ არის ცნობა მთიელთა შემოსევების, კერკეტების ზიგებით ჩანაცვლების, მთისა და ბარის დაპირისპირების, ეთნიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ვითარების შეცვლის შესახებ. გაუგებარია, რატომ ანიჭებს გ.მელიქიშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას წყაროში ზიგების გამოჩენას. ეს ხალხი მითრიდატე VI-ს დროს უკვე ცხოვრობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში[299]. ზიგის სემანტიკა („უღელში შებმულნი“ – ბერძნ.) რაღაცნაირად მოსახლეობის საქმიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს; ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ ხალხის გამოჩენას არავითარი პოლიტიკური თუ ტერიტორიული ცვლილებები არ მოჰყოლია, არც მათი ეთნიკური ვინაობაა (ძველი წყაროებით, პელაზგური წარმოშობისანი არიან) საბოლოოდ დადგენილი, ხოლო დამკვიდრებული მოსაზრება ზიგების ადიღელობის შესახებ დამაჯერებლად დასაბუთებული არ არის. ასეც რომ იყოს, რა შუაშია აქ აფხაზეთი? ზიგები ხომ აქედან შორს – თანამედროვე ტუაფსეს მიდამოებში სახლობდნენ და მხოლოდ Vს-ში დაეუფლნენ ქ.ძველ ლაზიკას[1].

მძიმე, მაგრამ ასევე არარეალურ სურათს გვიხატავს მ.ინაძეც, რომლის აზრით, სტრაბონისეული „სკეპტუხიები“[2] წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ადრეკლასობრივი საზოგადოების წინა ხანაში არსებულ **სატომო ორგანიზაციათა** საფუძველზე წარმოქმნილ ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს ეთნიკური თავისთავადობა, მიდრეკილება სამეფოსაგან განდგომისა, რითაც, საბოლოო ჯამში, ძირი გამოუთხარეს კოლხეთის სახელმწიფოს და

---

[293] . აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 195-196, 261; გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ., 2006, გვ. 28-32.

[294] . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 122-123.

[295] . Н. Берулава. დასახ. ნაშრომი, გვ. 97-98; გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[296] . გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42.გამარჯვებულმა იულიუს კეისარმა რომს სასწრაფოდ უპატაკა: „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“ (. P . . ., 1998, გვ. 604).

[297] . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 307-310; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გვ. 478-482.

[298] . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 118-119.

[299] . იქვე, გვ. 119.

[1] . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 11.

[2] . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124.

ადრეანტიკური ხანის დასასრულისათვის იგი თითქოს წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცდა.[3] შემდგომში მ.ინაძემ ოდნავ შეარბილა პოზიცია, მაგრამ „სკეპტუხიების“ არსი (ვითომ, ეთნო-ტერიტორიული ერთეული) უცვლელი დატოვა[4]. კოლხეთის სამეფოს ეთნო-ტერიტორიულ ერთეულებად დაშლის თემა ხელოვნურადაა შექმნილი და მიზნად ისახავს ახ.წ. პირველ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებული „მრავალტომიანობის“ მიზეზების „ახსნას“; მ.ინაძე ამ მოვლენის მიზეზებს მთიელთა ეტაპობრივ ჩამოსახლებებში, ხან კიდევ კოლხეთის ვითომ მრავალტომიანობაში, სკეპტუხიებში ხედავს[5].

აღნიშნულ პრობლემას საკმაოდ ვრცლად შეეხო ო. ლორთქიფანიძე. კოლხეთის სამეფოს მრავალტომიანობა „ძნელად სარწმუნოა, – წერს მეცნიერი. – ყველა წყარო, რომელიც კი ჩვენთვის საინტერესო ხანას ეხება... დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზღვისპირეთში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (რომელიც სტრაბონთან „კოლხეთის ზღვად“ იწოდება.... XI. 1, 6) პიტიუნტიდან (დღევანდელი ბიჭვინტა) მდ.აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი) და აღმოსავლეთით იბერიამდე – ასახელებს ყოველთვის და მხოლოდ (!) ერთ ხალხს – კოლხებს (სხვა არცერთი ტომი ამ ტერიტორიაზე არიანემდე არ იხსენიება)“[6]. სკეპტუხიებს ეთნოპოლიტიკურ ერთეულებად არ მიიჩნევს თ. ბერაძე. მისი დასკვნით, სკეპტუხია არის საერისთავო, რომელიც ზოგ შეთხვევაში მხოლოდ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, ზოგჯერ კი მათში ერთი ქართული მოდგმის ტომი იყო გაერთიანებული[7].

ამრიგად, წყაროთა მონაცემებით, ძვ.წ. VI – Iსს. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა, იგი კვლავ ქართულ რეგიონად რჩებოდა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ხნით რომაელთა ხელში გადასვლამ განაპირობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მომავალში.

თავი IV. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე

---

[3] . მ. ინაძე. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. – საქ. სსსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 26, №6, 1961, გვ. 783-789; მისივე: ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994, გვ. 54.

[4] . მ. ინაძე. კიდევ ერთხელ ეთნო-ტერიტორიული ერთეულის შესახებ. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ., 2002, გვ. 93-111.; სკეპტუხიების „სეპარატიზმზე“ და „შიდადაპირისპირებებზე“ საუბრობს ნ. ბერულავაც (. . დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 88, 121, 131 და ა. შ.).

[5] . მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის... - მაცნე, 1992, №2, გვ. 47, 48, 58; მისივე: ..., გვ. 64, 71, 77-78, 80 და ა. შ.

[6] . ო. ლორთქიფანიძე. იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი, გვ. 49-50.

[7] . თ. ბერაძე. სამეგრელოს ისტორია. – აია, 2001, №9-10, გვ. 39.

1. ეთნიკური ვითარება

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კოლხეთი თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით წარმოადგენდა რომთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი პონტოს სამეფოს შემადგენელ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს. ძვ.წ. 14 წლიდან პონტოში (შესაბამისად ეგრისში) მეფობდნენ ჯერ პოლემონ I, შემდეგ მისი მეუღლე პითოდორისი; ახ.წ. 38წ. ტახტი, რომის ნებით, მათმა შვილიშვილმა პოლემონ II-მ დაიკავა. 63 წელს იმპერატორმა ნერონმა (54-68წწ.) უარყო ბუფერულ ქვეყნებზე დაყრდნობის პოლიტიკა, ამიტომ პონტოს სამეფო გააუქმა, გადააქცია იგი იმპერიის პროვინციად და ეგრისთან ერთად გალატიის შემადგენლობაში შეიყვანა. 72 წლიდან იმპერატორ დომიციანეს (81-96წწ.) მმართველობამდე ეგრისი შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში“ – კაპადოკიისა და გალატიისაგან შემდგარ ერთიან პროვინციაში, მოგვიანებით კი იგი კაპადოკიის ნაწილი გახდა[300].

კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში – ფაზისსა და დიოსკურიაში I საუკუნის 60-ნი წლებიდან რომაული სამხედრო გარნიზონები იდგნენ. ეს ქალაქები იმავდროულად ითვლებოდნენ იმპერიის საზღვაო ფლოტის საყრდენ პუნქტებად. იოსებ ფლავიუსის სიტყვებით (66წ.), იუდეველთა მეფეს ჰეროდე აგრიპას (29-93წწ.) განუცხადებია, რომ ჰენიოხები და კოლხები, ტავრები და ბოსფორელები, საერთოდ პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, „რომლებიც უწინ საკუთარ მფლობელებსაც კი არ სცნობდნენ, ახლა 3000 ჰოპლიტს ჰყავთ ისინი მორჩილებაში და 40 ხომალდი იცავს მშვიდობას ზღვაზე, რომელზედაც უწინ ცურვა არ შეიძლებოდა და შემაძრწუნებელი იყო“[301]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რომაელები საკმაოდ მტკიცედ აკონტროლებდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით სამხედრო გარნიზონების მიმდებარე რეგიონებს, მათ შორის აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიას.

ეთნოპოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან სტრაბონი (I საუკუნის დასაწყისი), პომპონიუს მელა (Iს. პირველი ნახევარი), პლინიუს უფროსი (79 წ-მდე), ფლავიუს არიანე (131წ.), კლავდიოს პტოლემაიოსი (IIს. 20-60-ანი წლები) და სხვები.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ კოლხეთთან დაკავშირებით ძირითადად წინა საუკუნეების მწერალთა წყაროებია გამოყენებული, მაგრამ მასში არის ავტორის თანადროული მონაცემებიც. მხედველობაში გვაქვს პონტოს მეფეების პოლემონ I-ისა და პითოდორისის მმართველობის პერიოდი (XI. 2, 18)[302]; კოლხეთის ფარგლებშია მოხსენიებული დიოსკურია და ბიჭვინთა (XI. 2, 14)[303]. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობას დიოსკურიის თავზე და მის ირგვლივ სვანთა ძლიერი ტომის დომინირების შესახებ. სტრაბონი წერს, რომ სვანები „თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200000 (კაცის რაოდენობით): მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაა ორგანიზებული“ (XI. 2,19)[304]. არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს სვანური ლაშქრის სავარაუდო რაოდენობა. აშკარაა, რომ დიოსკურიის მხარე და კავკასიის ზეკარები კვლავ ქართველთა ხელშია. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არანაირ პირდაპირ თუ ირიბ ცნობებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური სიტუაციის შეცვლის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფია“ არ შეიცავს. იგივე შეიძლება ითქვას Iს. პირველი ნახევრის მოღვაწის – პომპონიუს მელას

---

300 . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 363-364; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გვ. 537-538; თ. თოდუა. რომაული სამყარო და კოლხეთი. I-IV სს. თბ., 2003, გვ. 7-8.

301 . გეორგიკა, ტ. 1, გვ 274; თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

302 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 120-121, 125 – 126.

303 . იქვე, გვ. 120-121.

304 . იქვე, გვ. 125-126.

„ქვეყნის აღწერილობაზეც“. ამ ნაშრომის პირველ წიგნში მოყვანილია ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ; ფაზისის შემდეგ მითითებულია ქალაქი, რომელიც „ბერძენი ვაჭრების დაარსებულია და კიკნოსი ჰქვია“[305]. თ.ყაუხჩიშვილის აზრით, საუბარი უნდა იყოს ქ.გიენოსზე[306] (ოჩამჩირესთან), რომლის შემდეგაც პომპონიუს მელა ასახელებს „ველურ და გაუნათლებელ ტომებს, ფართო ზღვასთან მცხოვრებთ – მელანხლენებს, ტორეტიკას, ექვს კოლიკს, კორაქსიკებს, ფთიროფაგებს, ჰენიოხებს, აქეებს, კერკეტებს და, უკვე მეოტიდის ახლოს – სინდონებს. ჰენიოხთა საზღვრებშია დიოსკურია...“[307] ამ ცნობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ , რომ პომპონიუს მელა, როგორც ალ. გამყრელიძე წერდა, მართალია, „საპატიო ადგილს იკავებს ანტიკური გეოგრაფიის წარმომადგენელთა შორის“, მაგრამ მისი ნაშრომისადმი მაინც „დიდი სიფრთხილით მიდგომაა საჭირო, რადგან სხვადასხვა დროის ავტორების ცნობები ხშირად ერთმანეთის გვერდით აქვს მოთავსებული“[308]. სწორედ, ეს არის მიზეზი დასახელებულ „ტომთა“ თანმიმდევრობის აღრევისა, თუმცა ქართველური წარმომავლობის ჰენიოხთა საზღვრებში დიოსკურიის მოქცევას გარკვეული სიცხადე შეაქვს დანარჩენთა ლოკალიზაციის საკითხშიც. შეუძლებელია მელანქლენები, რომლებიც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, დღევანდელ მოსკოვთან, ხარკოვთან, ზოგადად, სკვითების ჩრდილოეთით ფიქსირდებიან[309], სხვებთან ერთად ჰენიოხების სამხრეთით ყოფილიყვნენ. პომპონიუს მელას მიერ დასახელებული „ტომებიდან“ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე უნდა ვივარაუდოთ ჰენიოხები, კოლიკები, კორაქსები და, ალბათ, ფთეიროფაგებიც, რომლებსაც სვანებთან აიგივებენ[310].

საკმაოდ რთულ სურათს გვიხატავს პლინიუს უფროსი. მისი მონაცემებით, მდ. ფაზისის **„შემდეგ არის სხვა მდინარე ქარიენტი, სალტიების ტომი, რომელთაც ძველად ფთეიროფაგები ეწოდებოდა და სხვები სანნები. სვანების გავლით კავკასიონიდან მოედინება მდინარე ხობუსი, შემდეგ – როანი, კეგრიტიკეს მხარე. მდინარეები: სიგანია, თერსოსი, ასთელეფოსი, ქრისოროასი. აბსილთა ტომი, ციხესიმაგრე სებასტოპოლისი, ფასისიდან 100000 ნაბიჯია; სანიკების ტომი, ქ. კიგნუმი, მდინარე და ქალაქი პენიუსი და ბოლოს ჰენიოხთა ტომები, რომლებიც განირჩევიან ბევრი სახელწოდებებით.**

მათ (ჰენიოხებს) ესაზღვრება პონტოს მხარე კოლიკა, რომელშიც, როგორც ნათქვამია, კავკასიის მთები მიბრუნებულია რიფეების მთებისაკენ... დანარჩენი სანაპირო უჭირავთ ტომებს: მელანქლენებსა და კორაქსებს, კოლხური ქალაქით დიოსკურიადით, რომელიც მდებარეობს მდინარე ანთემუნტთან, ახლა ის გაუკაცრიელებულია... დიოსკურიადიდან შემდეგი ქალაქია ჰერაკლეა. სებასტოპოლისიდან ის დაშორებულია 70000 ნაბიჯით. აქ ცხოვრობენ აქაელები, მარდები, კერკეტები, მათ მიღმა არიან – სერები, კეფალოტომები; ამ სივრცის შიგნით არის უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი, გაძარცვული ჰენიოხების მიერ. მის უკან კავკასიის მთებში ცხოვრობენ სავრომატების ხალხი – ეპაგერიტები, ხოლო მათ შემდეგ სავრომატები“ (VI. 14-16)[311].

აშკარად ჩანს, რომ პლინიუსი, მსგავსად პომპონიუს მელასი, სხვადასხვა დროის მწერალთა ცნობებს იყენებს[312], ამიტომაც გეოგრაფიული პუნქტებისა და მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ლოკალიზაციას არასწორად იძლევა. ავტორი სხვადასხვა ქალაქებად წარმოგვიდგენს სებასტოპოლისსა და დიოსკურიას; ცნობა მელანქლენებისა და კორაქსების შესახებ კოლხური ქალაქით დიოსკურიადით აშკარად ძველია და Iს. მდგომარეობას არ ასახავს; სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს მტკიცება დიოსკურიის გაუკაცრიელების შესახებ, რაც გამოწვეული იყო, ალბათ, როგორც კოლხეთის სამეფოს გაუქმებით, სავაჭრო ფაქტორიების მოშლით, ისე ფაქტობრივად ახალი ქალაქის –

---

305 . ალ. გამყრელიძე. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, კრ. I. თბ., 1965, გვ. 29.

306 . თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის... – მაცნე, 1980, №4, გვ. 64; მ. ინაძის აზრით, კიკნოსი მდ. ხობის შესართავთან მდებარე სოფ. ყულევია (მ. ინაძე. ძველი კოლხეთის ქალაქები კიგნუმი და ეა-აია. – ქართული წყაროთმცოდნეობა. X. თბ., 2004, გვ. 36-42)..

307 . ალ. გამყრელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

308 . იქვე, გვ. 12, 13.

309 . თ. ყაუხჩიშვილი. ფსევდო-სქილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, კრ. I, გვ. 6.

310 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 527.

311 . ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, გვ. 147-149.

312 . იხ. ამის შესახებ: მ. ინაძე. კოლხეთის აღწერილობა პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X. თბ., 2001, გვ. 211-212, 218; ლ. არბოლიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 10, 13-14.

სებასტოპოლისის გაშენებით თავისი სამხედრო გარნიზონით, საითკენაც გადაინაცვლა აქტიურმა ცხოვრებამ. სებასტოპოლისის ჩრდილო-დასავლეთით შეცდომით მითითებული ქ.კიგნუმი, სავარაუდოდ, უნდა იყოს პომპონიუს მელას კიკნოსი//გიენოსი. გასაზიარებელია გ.ლორთქიფანიძის მოსაზრება პენიუსისა და პიტიუნტის იდენტურობის შესახებ; ამ ვერსიის თანახმად, მდ.პენიუსი შეიძლება მდ.ბზიფთან გაიგივდეს[313].

დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით დასახელებული ქ.ჰერაკლეა იდენტიფიცირებული უნდა იყოს ფლავიუს არიანეს ჰერაკლეს კონცხთან[314], რომლის ლოკალიზაციას ს.ჯანაშია ხოსტასთან ახდენს[315].

აშკარა შეცდომაა, როდესაც პლინიუსი ფთეირეოფაგებს (სალტიებს) ამჟამინდელ სამეგრელოში (კეგრიტიკეს მხარეში) იხსენიებს მაშინ, როცა ისინი უფრო ადრინდელ (სტრაბონი)[316] და გვიანდელ (ფლავიუს არიანე)[317] ავტორებთან გაგრის მიდამოებში არიან დაფიქსირებული. სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს მდიდარი ქალაქის – ბიჭვინთის Iს. გაძარცვა ჰენიოხების მიერ. ამავე დროს, გაუგებარია ამ ფაქტის, ასევე დიოსკურიის დაცარიელების ახსნა კავკასიელ მთიელთა „თავდასხმებით“, რაზეც სრულიად უსაფუძვლოდ მუდმივად ამახვილებს ყურადღებას გ.მელიქიშვილი[318]. ბიჭვინთის უკან კავკასიის მთებში (არსებითად, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ) სავრომატული ტომების მოხსენიება არანაირად არ გამოდგება აფხაზეთში ეთნიკური სიტუაციის შეცვლის დასადასტურებლად. პლინიუსის ცნობა პრინციპული მნიშვნელობის ერთადერთ სიახლეს შეიცავს. ეს არის ისტორიაში აბსილთა პირველად მოხსენიება. მათ ლოკალიზაციასთან და ვინაობასთან დაკავშირებული დისკუსიები დღემდე გრძელდება (იხ. ქვემოთ).

აფხაზეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა კვინტუს ეპიუს ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“[319]. ნაშრომი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც ავტორმა (კაპადოკიის მმართველმა) მიართვა რომის კეისარ ადრიანეს (117-138წწ.) მას შემდეგ, რაც მისი დავალებით 134წ. მოინახულა შავი ზღვის სანაპირო ზოლი (ტრაპიზონიდან სებასტოპოლამდე) და ჩაატარა რომაული გარნიზონების ინსპექცია. დანარჩენი სანაპირო აღწერილია სხვათა ზეპირი გადმოცემების, ან ადრინდელი მწერლების ცნობათა საფუძველზე. ტრაპიზონის ჩრდილო-დასავლეთით ფლავიუს არიანე ასახელებს კოლხებს, დრილებს ანუ სანებს და წერს: **„ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფე სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი... ჰიპოსიდან დაწყებული ასტელეფამდე და დიოსკურიამდე ჩვენ ვხედავდით კავკასიონის მთას, რომელიც სიმაღლით წააგავს ყველაზე მეტად კელტურ ალპებს. გვიჩვენეს ერთ-ერთი მწვერვალი კავკასიონისა – სტრობილი, რომელზედაც მითის მიხედვით ზევსის ბრძანებით პრომეთეოსი ჩამოკიდებულ იქნა ჰეფესტოს მიერ“**[320]. დიოსკურია უკვე აღარ არის დაცარიელებული ქალაქი: „სებასტოპოლისი ძველად დიოსკურიად იწოდებოდა, მილეთის ახალშენია“, – ნათქვამია „მოგზაურობაში“; ტრაპიზონიდან იგი 2260 სტადიონითაა[321] დაშორებული, სებასტოპოლისიდან ბიჭვინთამდე კი 350 სტადიონია; აქედან სტენიტიკის მხარემდე (ძვ. ტრიგლიტი) იყო 150 სტადიონი; ამ მხარეში

---

313 . გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 12; იხ. აგრეთვე: ლ. არბოლიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36 (სხვა მდინარეების ლოკალიზაციის შესახებ იხ. იქვე, გვ. 32-35).

314 . ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 92.

315 . ს. ჯანაშია. შრომები, ტ. 6. თბ., 1988, გვ. 267.

316 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 111.

317 . ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 52.

318 . Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 364.

319 . ვეყრდნობით ნ. კეჭაღმაძის გამოცემას: „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ არიანეს სხვა შრომებთან ერთად თარგმნა და წინასიტყვაობა-კომენტარებით გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმაც. იხ.: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V. თბ., 1983.

320 . ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 42-44.

321 . ერთი სტადიონი უდრიდა დაახლოებით 178-180 მეტრს. იხ.: Н. Ломоури. Из исторической географии древней Колхиды. – Вестник Древней Истории, 1957, №4, გვ. 97.

გირჩისმჭამელები (ფთეიროფაგები) ცხოვრობდნენ. მანძილი სტენიტიკიდან მდ. აბასკოსამდე[322] (ფსოუ თუ მძიმთა) 90 სტადიონს შეადგენდა, აქედან მდ.აქეუნტამდე (შახე) – 420 სტადიონს. ამ მდინარეზე გადიოდა სანიხების საზღვარი ზიხებთან, რომელთა მმართველს „მეფობა“ ადრიანესაგან მიუღია. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ რომაელთა ბატონობა არ მთავრდებოდა დიოსკურიასთან, სადაც უკანასკნელი გარნიზონი იდგა. მანძილი მდ. შახედან ქ.ძველ ლაზიკამდე 450 სტადიონს შეადგენდა; აქედან ძველ აქაიამდე – 150 სტადიონს[323].

მთელ სივრცეზე ტრაპიზონიდან ძველ ლაზიკამდე ფლავიუს არიანესთან აშკარად ერთი – ქართული სამყაროა წარმოდგენილი, მაგრამ, გარემოებათა გამო, წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად არის დაყოფილი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ წყაროებში პირველად მოხსენიებული აბასკები, ასევე აფსილები. საყურადღებო ფაქტია აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ჰენიოხთა ჩანაცვლება პლინიუსთან და არიანესთან მოხსენიებული სანიკებით (იხ. ქვემოთ).

ფლავიუს არიანეს ტექსტთან თავისი შინაარსით ახლოს დგას Vს. ანონიმის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“. ზოგჯერ იგი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება წინამორბედის ტექსტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღწერს ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე, აგრეთვე ქალაქ „ძველ ლაზიკამდე” და „ძველ აქაიამდე” მცხოვრებ მოსახლეობას. ანონიმი ასახელებს იმავე პოლიტიკურ ერთეულებს და მმართველებსაც კი (პარაგრაფი 8-9, 13-17)[324]. განსხვავებით ფლავიუს არიანესაგან, მან „ტომთა“ აღწერას წინ ასეთი ცნობა დაურთო: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე (ჭოროხი) წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“.[325] ამრიგად, ანონიმის ცნობით, დიოსკურია-ჭოროხის მონაკვეთი, მიუხედავად აქ არსებული სამი პოლიტიკური ერთეულისა (ლაზეთი, აფსილეთი, აბაზგია), ეთნიკურად ერთფეროვანია.

ძველ აქაიამდე ტერიტორიის აღწერის შემდეგ ავტორი განმარტავს: „”ძველი აქაიიდან“ ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კოლიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები“[326]. ანონიმი არ უთითებს, აქაც უბრალოდ სახელის გადარქმევა მოხდა (რაც არ არის გამორიცხული), თუ ადრინდელი მოსახლეობის აყრა მათი საცხოვრებელი ადგილებიდან (ასეთი რამ კი წყაროებში არ არის დაფიქსირებული) და სხვა ტომის დასახლება.

აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიისათვის ახალ და უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, რომელიც თარგმნა და წინასიტყვაობა-კომენტარებით გამოსცა ნ. ლომოურმა. მეხუთე წიგნის მერვე თავში – „აზიის სარმატიის მდებარეობა“ – გეოგრაფიული პუნქტების დასახელება იწყება ჰერმონასადან[327] და მთავრდება მდ. კორაკოსის (ბზიფის) შესართავთან. მითითებულ პუნქტებს შორისაა ქ.ტაძოსი (ქ. ძველი ლაზიკა), მდ. ბურკას (მზიმთას) შესართავი, ოინანთეა (არიანეს ნიტიკა//გაგრა), კარტერონ ტეიხოსი (კორაქსის კედელი)[328]. აღნიშნულ ტერიტორიაზე „პონტოს გასწვრივ“, კლავდიოს პტოლემაიოსის მიხედვით, ცხოვრობდნენ ახაიელები, კერკეტები, ჰენიოხები და სხვა იმჟამინდელი წყაროებისათვის უცნობი სუანნო-კოლხები[329].

---

322 . სანიგების ტერიტორიაზე, კერძოდ, გაგრის ზევით დასახელებული მდ. აბასკოსის სახელის დაკავშირება იმავე სანიგთა ქალაქ დიოსკურიის სამხრეთით ლოკალიზებულ აბასკებთან (მ. ინაძე. ძველი კოლხეთის..., – მაცნე, 1992, №2, გვ. 49) ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პირიქით, აღნიშნულმა მდინარემ აბასკებისაგან კი არ მიიღო, არამედ სწორედ მათი მოსვლის შემდეგ დაკარგა თავისი სახელწოდება.

323 . ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 52-53.

324 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 6-11.

325 . იქვე, გვ. 6.

326 . იქვე, გვ. 11.

327 . საკარაუდებელია ტამანის ნახევარკუნძულზე; აქ და ქვემოთ, თუ სხვა არ არის მითითებული, გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაცია ნაჩვენებია ნ. ლომოურის კომენტარების მიხედვით. – ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 52-57.

328 . Д. Качарава, Г. Квирквелия. დასახ. ნაშრომი, გვ. 141-142.

329 . შეესაბამება ფავსტოს ბუზანდის ეგერსვანებს (История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского М. А. Геворкяна, 1953, გვ. 15).

„გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ მეხუთე წიგნის მეცხრე თავი ეძღვნება კოლხეთს„ რომელიც მდ. ბზიფიდან იწყება[330]. დასახელებულია „დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი“, მდ. ჰიპოსის (აქ კოდორის) შესართავი, მდ. კიანეოსის (მოქვისწყალი) შესართავი, სიგანეონი (ერისწყალი), ნეაპოლისი (ლოკალიზაცია უცნობია), აია[331] და ა.შ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად პლინიუსისა და არიანეს შრომების გამოყენებისა, კლავდიოს პტოლემაიოსმა არ დაასახელა წვრილ-წვრილი პოლიტიკური ერთეულები და კოლხეთის (ე.ი. მდ. ბზიფიდან კაპადოკიამდე) მთელი მოსახლეობა ქართველებად წარმოადგინა: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრეკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი[332]“. საყოველთაო აღიარებით, მანრალები – მეგრელები არიან, ეკრეკტიკის ქვეყანა – ეგრისია[333].

ეგრისის ტერიტორიაზე I-II საუკუნეების მიჯნაზე წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ერთეულთა წარმოქმნის მიზეზებთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად იმ გარემოებას მიიჩნევდა, „რომ მთლიანი დასავლეთ საქართველოს მაგიერ 134წ. ქრ. შ. ქვეყანა უკვე ოთხ სამეფოდ დაქუცმაცებული ყოფილა. როგორც ჩანს, რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება divide et impera აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შექმნისათვის შეუწყვიათ ხელი[334].“

სხვა მოსაზრება ჰქონდა ს. ჯანაშიას. მისი აზრით, „არიანესდროინდელი ზოგიერთი სამთავრო წარმოადგენს უწყებული სკეპტუხიების შემდგომ განვითარებას“[335]. სტრაბონისეულ სკეპტუხიებს (აქვე, გვ. 55) – კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს – ს. ჯანაშია სატომო ორგანიზაციებად, კოლხეთს კი „მრავალტომიან სამეფოდ“ მიიჩნევდა[336]. „სკეპტუხიების შემდგომ განვითარებაში“ იგულისხმებოდა არიანეს „სამეფოების“ პრიმიტიული „სოციალური დიფერენციაციის“, ფეოდალიზაციის ნიადაგზე აღმოცენება[337]. აფსილების, აბასკების, სანიგების (და სხვა) პოლიტიკურ წარმონაქმნებს ს.ჯანაშია „ტომობრივ სამთავროებს“ (племенные княжества) უწოდებდა, რომელთა შექმნა, თითქოს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადგილობრივი ძალების წინაშე რომის იძულებითმა დათმობამ განაპირობა[338].

IIს. ეგრისის პოლიტიკური ერთეულები „ტომობრივი სამთავროები“ რომ ყოფილიყვნენ, ს.ჯანაშიას მიერ აფსუა-აფხაზთა წინაპრებად მიჩნეული, ერთმანეთის მეზობლად მცირე ტერიტორიაზე მცხოვრები აფსილები და აბაზგები ერთ გაერთიანებას შექმნიდნენ. ასე იმიტომ არ მოხდა, რომ, ეტყობა, იმპერიის ინტერესებში მართლაც შედიოდა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე და ამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვით აშკარად უკმაყოფილო კოლხების პოლიტიკური დაქუცმაცება, რათა გამორიცხულიყო სამეფოს კვლავ აღდგენა[339].

ს.ჯანაშიას მოსაზრება სხვადასხვა ფორმით არაერთმა ავტორმა გაიმეორა. ნიკო ბერძენიშვილი თვლიდა, რომ კოლხეთის სამეფო წარმოადგენდა ტომთა დიდ გაერთიანებას, რომლის დაშლის შემდეგ „თავშემონახული“ აღმოჩნდნენ სხვა ტომებიც – აფშილები, აფხაზები და ა. შ.[340] გ. მელიქიშვილი წერდა ჩრდილოეთ კავკასიიდან I ს. ახალი „მრისხანე სტიქიის“ მოძალების, ცენტრალური კოლხეთიდან უძველესი

---

330 . კლავდიოს პტოლემაიოსი კოლხიდას მსოფლიოს დიდ ქვეყნებს შორის მოიხსენიებდა („ტეტრაბიბლოსი“) და კავკასიის ქედის ქვემოთ ათავსებდა. – Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი , გვ. 532.

331 . ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 43-45.

332 . იქვე, გვ. 45.

333 . იქვე, გვ. 57; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი , გვ. 523.

334 . ივ. ჯავახიშვილი. თხზ., ტ. I . თბ., 1979, გვ. 214.

335 . ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II. თბ., 1952, გვ. 311.

336 . იქვე, ტ. I. თბ., 1949, გვ.210; ტ. II, გვ. 311.

337 . იქვე, ტ. II, გვ. 312.

338 . С. Н. Джанашиа. Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства» –მაცნე, ისტორიის... სერია, 1991, №2, გვ. 23.

339 . ამიტომაც მცდარია ნ. კეჭაყმაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ იმპერიას არც აინტერესებდა და არც გასჩენია კოლხეთში „ახალი წყობის დამყარების სურვილი“. – ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 13.

340 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII. თბ., 1975, გვ. 245-246, 251; მისივე: საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 554.

მოსახლეობის განდევნისა და „უეჭველად“ იმ „სტიქიის“ შემადგენელი აფშილების, აბაზგებისა და სანიგების იქ დამკვიდრების შესახებ. ეს იქცა, მისი აზრით, კოლხეთში წვრილი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბების მთავარ მიზეზად. აღნიშნული წარმონაქმნები თითქოს წარმოადგენდნენ ტომთა კავშირებს „სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახით“, „მეფეები“ კი – ტომთა კავშირების ბელადებს.[341]

გ. მელიქიშვილის მთელი ეს მსჯელობა და დასკვნები ეფუძნება არა წყაროთა მონაცემებს, არამედ I საუკუნიდან კოლხეთის ტერიტორიაზე მის მიერ მთიელ აფსუა-აფხაზებად მიჩნეული „ტომების“ გამოჩენის ფაქტის თავისებურ ინტერპრეტაციას. გაუგებარია, ჰენიოხებს (რომელთაც მეცნიერი სვანებად და მეგრელებად თვლის) რატომ მიაკუთვნებს ჩრდილოკავკასიურ „მრისხანე სტიქიას“, რატომ აცხადებს ამ „სტიქიის“ ნაწილად ასევე ქართველებად აღიარებულ სანიგებს? სხვათა შორის, არც პირველი საუკუნეების ჯიქები („მრისხანე სტიქიის“ ვითომ ავანგარდი) ჩანან უცხო ძალად და არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ საფრთხეს. არიანეს მიხედვით, მათაც რომაელთა დანიშნული მეფე ჰყავდათ; ჯიქთა ტერიტორიაზე მდებარეობდა ქართული ქალაქი ძველი ლაზიკა. „მრისხანე სტიქიის“ კიდევ ერთი „მთავარი ძალა“ – აქეელები გ.მელიქიშვილის მიერ აღწერილი ვითომ მასობრივი შემოტევების შემდეგ ჰენიოხებთან ერთად მალე საერთოდ ქრებიან ისტორიული ასპარეზიდან. ეს ყოველივე დასტურია იმისა, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში არავითარი „მრისხანე სტიქია“ არ არსებულა.

გ.მელიქიშვილის მოსაზრებას „მეტად მერყევ საფუძველზე“ დამყარებულად თვლის ნ. ლომოურიც, მაგრამ ავითარებს არანაკლებ მცდარ და უკვე ნაცნობ შეხედულებას (ს. ჯანაშია) კოლხეთის სამეფოში დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ტენდენციების მქონე ტერიტორიულ-ტომობრივი ერთეულების (სკეპტუხიების) არსებობის შესახებ. ადრე ძლიერი სამეფო ხელისუფლება (ჯერ კოლხეთის, მერე რომისა) ბოჭავდა პარტიკულარიზმს, მაგრამ ახ. წ. პირველ საუკუნეებში, როცა ვითარება შეიცვალა, რომი იძულებით დათმობაზე წავიდა და ცნო „კოლხეთის ცალკეულ ტერიტორიულ-ეთნიკურ ერთეულთა ბელადების პრეტენზია, მათ მიერ ფაქტიურად დამოუკიდებლობის მოპოვება, რათა ფორმალურად სუზერენობა და ერთგვარი გავლენა მაინც შეინარჩუნოს კოლხეთში“, - წერს ნ. ლომოური; მთავარი დასკვნა კი, რომელიც წყაროთა მონაცემებს არ ეყრდნობა და, ამდენად, მიუღებელია, ასეთია: „კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაშივე მოქმედი ტენდენციების გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლის შეუძლებლობა, გამოწვეული ამიერკავკასიაში საერთო პოლიტიკური სიტუაციის რომის საზიანოდ შეცვლით, კოლხეთის ცალკეულ „სკეპტუხიათა“ გააქტიურებით და იბერიის მომძლავრება-გააგრესიულობით, არის, ჩვენი აზრით, კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეულ სამეფოთა წარმოქმნის ობიექტური პირობები და რეალური მიზეზები“[342]. ნ.ლომოური ფაქტობრივად იმეორებს გ.მელიქიშვილის შეხედულებას გაძლიერებული და დასავლეთის მიმართულებით გააქტიურებული იბერიის ფაქტორის შესახებ[343]. ვითომ ეს ფაქტორი აიძულებდა შავიზღვისპირა წვრილ „ეთნიკურ“ ერთეულებს რომთან გარკვეული კავშირის დამყარებას; ამ თვალსაზრისით, რომაული გარნიზონების ფაზისსა და დიოსკურიაში განლაგებაც აღნიშნულ ერთეულთა მმართველოებისათვის ყოფილა სასარგებლო; ნ.ლომოურის აზრით, რომის ხელქვეითობა ეგრისში წარმოქმნილ „სამეფოებს“ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე მცხოვრებ ტომთა თავდასხმებისაგან იცავდა და ა.შ.[344]

VI საუკუნეში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე დაფიქსირებულია კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეული – მისიმიანეთი. აგათია სქოლასტიკოსი (VIს.) გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას ბიზანტიელთა წინააღმდეგ მისიმიელების აჯანყებისა და იმპერიის მიერ მისი სასტიკად ჩახშობის შესახებ[345].

---

341 . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 365, 373-375.
342 . ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 21-23.
343 . Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 369.
344 . ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 24, 25, 27.
345 . გეორგიკა, ტ. 3. თბ., 1936, გვ. 85-90; 154-157; 159-174.

ამრიგად, გვიანანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებში ენგურიდან ფსოუმდე მონაკვეთზე (მის ჩრდილო-დასავლეთითაც) გარდა ლაზებისა მკვიდრობდნენ აფსილები, აბაზგები, სანიგები, სვანოკოლხები და მისიმიანები. მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა წარმოადგენს რეგიონის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხს.

უძველეს მოსახლეობას მიეკუთვნებიან სანიგები. მათი ვინაობა ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად დადგენილია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აფხაზ ისტორიკოსთა აკვიატებულ აზრს მდ.ენგურიდან (უფრო სამხრეთიდანაც) ფსოუმდე მხოლოდ აფხაზთა მკვიდრობის შესახებ. ზ.ანჩაბაძეს, ასევე შ.ინალ-იფას და სხვა ავტორებს სანიგები სათანადო დასაბუთების გარეშე საძების წინაპრებად მიაჩნდათ[346] მაშინ, როცა მათი (საძების) სახელი არა ანტიკურ, არამედ მხოლოდ გვიანდელი შუა საუკუნეების წყაროებში ჩნდება.

ძვ.წ. I საუკუნის შუახანების მოვლენებთან კავშირში სანიგებს ახსენებს მემნონი (I-IIსს.). იგი წერდა, რომ „პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეში“, საითკენაც „გაიქცნენ მითრიდატეს მომხრეები..., სახლობდნენ სანიგები და ლაზები“[347].

თუ გავითვალისწინებთ პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე VI-ის ყოფნას დიოსკურიაში და ამ ქალაქის სანიგთა მიწაზე მდებარეობას (არიანე), უნდა გავიზიაროთ თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდი ძვ.წ. I საუკუნეში სანიგების დიოსკურიის მიდამოებში მკვიდრობის შესახებ[348]. არიანეს ცნობით, ისინი მდ.შახემდე – ჯიქთა საზღვრებამდე სახლობდნენ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჯერ კიდევ ი.ორბელმა „ჰენიოხი“ („ჰენიხი“) დააკავშირა „სანიგ“-თან და ორივე ქართველურ (სვანურ) ტომს მიაკუთვნა (აქვე, გვ. 46). სანიგებს ქართველთა ამა თუ იმ შტოს (მეგრულ-ჭანურის, სვანურის ან ორივეს) წარმომადგენლებად მიიჩნევენ ნ.მარი, ს.ჯანაშია, ს.ყაუხჩიშვილი, პ.ინგოროყვა, გ,მელიქიშვილი, ნ.კეჭაყმაძე, მ.ინაძე, ნ.ლომოური, თ.მიბჩუანი, გ.გასვიანი, ბ.გოგია, დ.ლეთოდიანი და მრავალი სხვა[349]. ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, წყაროთა ზუსტ მონაცემებს ეფუძნება. ასე, მაგალითად, იპოლიტე რომაელი (IIIს.) წერს, რომ კაპადოკიის შემდეგ არიან „მარცხენა მხარეებში სკვითები, კოლხები და ბოსფორელები... სავნები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსაროსი (და სებასტოპოლისი), ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი. და ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები[350]“. ამრიგად, მოტანილ წყაროებში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, სადაც ვითომ მრავალი „სამეფო“ არსებობდა და მრავალი „ტომი“ ცხოვრობდა, სახელდებიან მხოლოდ კოლხები და სავნები (სვანები)//სანიგები. ამ ტომებს მცირედი კორექტივით უკლებლივ ასახელებს ევსტათი კესარიელი (260-340წწ.). იგი საუბრობს სანნებზე, „რომელთაც სანნიგები ეწოდებათ“[351]. აღნიშნული ავტორის მიხედვითაც, ისტორიული კოლხეთი მხოლოდ სანნების//სანნიგებისა და კოლხების სამკვიდროა.

VI საუკუნის ავტორი პროკოპი კესარიელი ეყრდნობა წინა ეპოქების ავტორთა სარწმუნო ცნობებს და არაერთხელ ახსენებს სანიგებს//საგინებს, რომელთა „ქვეყნამდე დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები“ რომის „თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს“ (98-117წლები); სანიგების//საგინების „მიწა-წყლის, ზღვისპირა ნაწილი, – აგრძელებს პროკოპი კესარიელი, – ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვის პირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმი“[352].

---

346 . З. В. Анчабадзе. Очерк..., გვ. 34-36; Ш. Инал-Ипа. Абхазы…, გვ. 97-98.

347 . ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა , გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987, გვ. 46.

348 . იქვე, გვ. 22-23.

349 . ლიტერატურის მიმოხილვა ამ თემაზე იხ.: თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 83-94; მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის... მაცნე, 1992, №2, გვ. 45-47; З. В. Анчабадзе. Очерк... გვ. 34. იხ. აგრეთვე: დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში. თბ., 1991, გვ. 120-140.

350 . გეორგიკა, ტ. I, გვ. 19-20.

351 . იქვე, გვ. 32.

352 . იქვე, ტ. 2, გვ. 125, 126.

სანიგებთან დაკავშირებულ ცნობას შეიცავს VII საუკუნის წყარო - „პასქალური ქრონიკა“, სადაც საუბარია მიწა-წყალზე „ეგრეთწოდებული სალლებისა, რომლებსაც სანიტებსაც ეძახიან“[353]. სალლები უნდა იყვნენ ფაზისის ჩრდილოეთით ლოკალიზებული პლინიუსის სალტიები, რომლებსაც ძველად ფთეიროფაგები ერქვათ, სხვები კი უწოდებდნენ სანნებს (აქვე, გვ. 57). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პლინიუს უფროსის „სანთა ჰენიოხთა ტომი“ (VI. 12), აგრეთვე მაკრონებისა (სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით – სანები[354]) და ჰენიოხების „სამეფო“ ფლავიუს არიანესთან (აქვე, გვ. 58), რათა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი სანების//სანიგების და ჰენიოხების როგორც იდენტურობას, ისე მათ ქართველობას. სავნებზე//სვანებზე და სანებზე „პრეტენზია“ თვით სეპარატისტულად განწყობილ მკვლევარებსაც არა აქვთ., ვინაიდან მათი (შესაბამისად, სანიგების) ქართველობა უდავოა. პროკოპი კესარიელი წერდა, რომ „ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახდნენ, რომელნიც ახლა იმავე სახელს ატარებენ“[355]. ამრიგად, ისტორიული წყაროების მიხედვით, სანიგები, იგივე სანები//ჭანკოლხები და სვანები, ქართველები არიან. აღსანიშნავია, რომ ამ უეჭველ ფაქტს, თანამედროვე სეპარატისტებისაგან განსხვავებით, აღიარებდა თვით დ.გულია[356].

სანიგების ქართველობის უტყუარი საბუთია თანამედროვე გაგრის ზონაში კლ.პტოლემაიოსის მიერ სვანოკოლხების მოხსენიება (აქვე, გვ. 59), აგრეთვე ფლავიუს არიანესთან და V საუკუნის ანონიმთან თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით ხსენებული ქ.ძველი ლაზიკა (აქვე, გვ. 58,59), V საუკუნიდან – ნიკოფსია[357]. ამ ფაქტებთან დაკავშირებით სეპარატისტული ისტორიოგრაფია სრულ დუმილს ამჯობინებს, ვინაიდან ისინი მთლიანად არღვევენ აფსუა-აფხაზთა ავტოქთონობის ყალბ კონცეფციას. ქ. ძველი ლაზიკის არსებობას მ. ინაძე სავსებით ლოგიკურად და დამაჯერებლად უკავშირებს უძველეს საისტორიო ტრადიციას ეგროსის სამფლობელოს გავრცელების შესახებ ზღვამდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ და აღნიშნავს, რომ კავკასიონის ქედის დასავლეთი კალთები სწორედ ძველ ლაზიკასთან ეშვებიან ზღვაში.[358]

სანიგთა ქართველობის სასარგებლოდ მოყვანილ ისტორიულ მტკიცებულებებს ვერ უარყოფს აფხაზ ავტორთა ყველაზე მთავარი არგუმენტი – „სანიგ“-ისა და „საძ“-ის ფონეტიკური მსგავსება, რომელიც იოლად გააბათილეს მ. ინაძემ და ნ. ლომოურმა[359].

ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა აფსილ-აბაზგთა ვინაობის გარკვევა.ამ საკითხზე თვით ქართულ ისტორიოგრაფიაშიც არ არის აზრთა სრული ერთიანობა, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზ ისტორიკოსებზე. სპეციალისტთა ერთი ნაწილი აფსილ-აბაზგებს აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს იმ მოტივით, რომ „აფსილი“, თითქოს, არის „აფსუას“ - აფხაზის თვითსახელწოდების იდენტური, „აბაზგი“ – „აფხაზისა“. სხვა უფრო სერიოზული არგუმენტები ამ შეხედულების ავტორებს არ გააჩნიათ. არსებობდა და არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმადაც ისტორიული ენგურ-ფსოუს მონაკვეთი უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ქართველებით იყო დასახლებული; ისტორიული აფხაზი იგივე ქართველია, თანამედროვე აფსუა-აფხაზები კი XVI-XVIIსს. ჩამოსახლებული ჩრდილოკავკასიური მოდგმის ხალხია. ეს მოსაზრება XVI საუკუნიდან თანდათანობით იხვეწებოდა და დასრულებული სახე XXს. მიიღო.

აფხაზეთის უძველეს ისტორიას, მათ შორის აფსუა-აფხაზთა წარმოშობის თემას გვიან შუა საუკუნეებიდან ეხებოდნენ მოგზაურები, მისიონერები, დიპლომატები, მეცნიერები. გერმანელი დიპლომატი ს.გერბერშტაინი, რომელიც XVIს. პირველ მეოთხედში საგანგებო მისიით ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, მდ.ყუბანის სამხრეთით

---

353 . იქვე, ტ. 4, წ. 1, გვ. 10.

354 . იქვე, ტ. 3, გვ. 281.

355 . იქვე, ტ. 2, გვ. 120.

356 . »Санны (саниги, суани, нынешние свани) родственное племя абазгов, до Рождества Христова долгое время и после Р. Хр. жили около Диоскурии». – Д. И. Гулиа. Собр. соч., т. 6, гв.. 100-101.

357 . საქართველოს ისტორიული სასაზღვრო პუნქტი XIV ს. მეორე ნახევრამდე მაინც. – ქართლის ცხოვრება, ტ. 4. თბ., 1973, გვ. 201.

358 . მ. ინაძე ძველი აფხაზეთის... მაცნე, 1992, №2, გვ. 47.

359 . მ. ინაძე. ანტიკური ხანის..., მოამბე, 1960, №2, გვ. 148-156; ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის... გვ. 31-33.

მდებარე ტერიტორიებს, რუსების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამეგრელოს მიაკუთვნებდა; იქვე აღნიშნავდა, რომ „მდინარე ყუბანთან ცხოვრობდა აფხაზი ხალხი“[360].

XVIIს. შუა ხანების თურქი ისტორიკოსი ქათიბ ჩელები აფხაზებს ებრაული წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა; ებრაელებში ის, სავარაუდოდ, გულისხმობდა ხაზარებს, რომელთა უმეტესობა იუდაიზმს მისდევდა; აფხაზთა უშუალო წინაპრებად თურქი ისტორიკოსი ყარა აუდაჰანის (ასტრახანის) მოსახლეობას (სადაც ყველაზე მეტად იყო იუდაიზმი გავრცელებული ხაზართა შორის) თვლიდა[361]. ქათიბ ჩელების მოსაზრებას ამყარებს პლინიუსის ცნობა აბზოას ტომის კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ბინადრობის შესახებ.

კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633-1649 წლებში სამეგრელოს სამთავროში იმყოფებოდა და კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, წერდა: „...საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდი“[362]. მნიშვნელოვანია, რომ 1672წ. საქართველოში ჩამოსული ჟან შარდენი სამეგრელოს მკვიდრთა ისტორიულ მეხსიერებაზე დაყრდნობიით წერდა: „კოლხთა სამეფოს ასეთი მცირე ტერიტორია როდი ეჭირა, როგორც დღეს. იგი ერთი მხრივ განვრცობილი იყო მეოტიდის (აზოვის – ავტ.) ჭაობამდე, მეორე მხრივ კი – იბერიამდე“[363].

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში პირველად XVIIIს. გაჩნდა ტერმინი „აფსარი“//„აფსუა“, რომელიც ჩანართის სახითაა შეტანილი XIIIს. თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[364]. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების დამდგენისა და გამომცემლის – ს.ყაუხჩიშვილის განმარტებით, „აფსარი“ არის „ერთ-ერთი ქართველი ტომი დასავლეთ საქართველოში“[365]. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „ანაკოფიის დასავლეთი არის აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი“. ეს ტერიტორია, „დაიპყრეს რა ბერძენთა, უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა – აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე[366]“. ამრიგად, აბაზგთა განსახლების ტერიტორია არის არა მთიელ კავკასიანთა, არამედ ეგროსიანთა კუთვნილება. თანამედროვე აფსუა-აფხაზებმა, როგორც ვახუშტი წერდა, მიწები „ეგრისის მდინარედმდე“ დაიპყრეს XVIIს. ბოლოს[367].

აფხაზეთის თემას შეეხო პირველი რუსი პროფესიონალი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ვ.ტატიშჩევი (1686-1750წწ.), რომლის შრომებს რუსულ ისტორიოგრაფიაში წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. მისი სიტყვებით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია – ჩრდილოეთ სამეგრელოა, რომლის „მეტი ნაწილი“ ამჟამად სხვა ხალხით – ყუბანელებით გაივსო[368] (кубанцы наполняют). ვ.ტატიშჩევმა ტერმინი „ავხაზოს“ რუსულ მატიანეთა „ობეზებს“ დაუკავშირა და ეს უკანასკნელნი ქართველებთან გააიგივა. „ობეზთა ქვეყნიდან ანუ ქართველი დედოფალი“[369], – ასე უწოდებს იგი კიევის მთავრის იზიასლავ II-ის (1146-1154წწ.) მეუღლეს. შეხედულება, რომ აფხაზეთი სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია, ანუ იგივე სამეგრელოა, XVIIIს. ბოლომდე და XIXს. დასაწყისამდე მყარად იყო გაბატონებული რუსულ მეცნიერებასა და პოლიტიკურ აზროვნებაში.

გენერალი პიეტრო – სიმეონ პალასი (1741-1811წწ.), პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რომელმაც 1794წ. კავკასიაში იმოგზაურა, აფხაზებს („აბსნე“) აბაზებად მოიხსენიებდა და მათ შესახებ წერდა: „ეს ხალხი, როგორც ჩანს,

---

360 . С. Герберштейн. Записки о Московии. М.,1988, გვ. 181.

361 . ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1973, გვ. 132, 133.

362 . ა. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 9-10.

363 . ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975, გვ. 108.

364 . ქართლის ცხოვრება, ტ. 2. თბ., 1959, გვ. 58.

365 . იქვე, გვ. 636.

366 . იქვე, ტ. IV, გვ. 783, 784.

367 . იქვე, გვ. 845.

368 . В. Н. Татищев. История Российская, т. 1. М., - Л., 1962, გვ. 171.

369 . იქვე, გვ. 422..

წარმოშობით არის კავკასიის მთების ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან“[370]. ამდენად, პალასის მიხედვით, შეუძლებელია თანამედროვე აფხაზები აფსილ-აბაზგთა შთამომავლები იყვნენ.

აფსილების ლოკალიზაცია სამეგრელოში მოახდინა და მეგრელებად მიიჩნია ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, რუსეთის საგარეო უწყების თანამშრომელმა ჟან (იან) პოტოცკიმ (1761-1815წწ.), რომელმაც კავკასია 1799 წელს მოინახულა[371].

აბაზების სახელით იცნობს აფხაზებს მინას მედიჩი-ბუიშკიანი, რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 1815-1819წწ. იმოგზაურა. მისი დასკვნით, „აბასი სკვითური ტომია, როგორც ჩანს, დიდი სათათრეთიდან მოსული და აქ დასახლებული და, ცხოვრობდნენ რა მეგრელების მეზობლად, მათ ჟამთა განმავლობაში მიიღეს ქრისტიანობა და შეერივნენ მეგრელებს შავი ზღვის სანაპიროზე. შემდგომ მათ, აბასებმა, დაუტევეს ქრისტიანობა და ხის თაყვანისმცემლები შეიქმნენ“. მ.მედიჩი-ბუიშკიანის დაკვირვებით, „უთუოდ სოხუმელი აბასებიც ამ ტომებს (მეგრელებს – ავტ.) ეკუთვნიან. შემდგომში ისინი, გახდნენ რა ხის თაყვანისმცემლები, შეუერთდნენ ძირითადად აბასებს“.[372]

აფხაზეთს და აფხაზებს (აბაზიებს) კარგად იცნობდა გერმანელი მოგზაური და ენათმეცნიერი ჰაინრიხ იულიუს კლაპროთი (1783-1835წწ.); კავკასიაში მოგზაურობის (1807-1808წწ.) შემდეგ მან გამოსცა რამდენიმე ნაშრომი გერმანულ და ფრანგულ ენებზე. აფხაზთა („აბსნე“) შესახებ 1812წ. იგი წერდა: „ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და მოგვიანებით გავრცელდნენ სხვა რაიონებში...“[373] კლაპროთი, როგორც ვხედავთ, ეყრდნობა იმ დროისათვის გაბატონებულ მოსაზრებას („ფიქრობენ“ სხვებიც) აფსუა-აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების შესახებ. მორიგ ნაშრომში (1823წ.) კი მან აღნიშნა: აბაზები („აბსნე“), „როგორც ეტყობა, მთელი ანტიკური ეპოქა ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში“, საიდანაც გამოდევნეს ჩერქეზებმა[374]. ეს დასკვნა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოში რომ არ უცხოვრიათ და ეს წინაპრები აფსილ-აბაზგები არ არიან, დამაჯერებლად მტკიცდება აფხაზური ენობრივი მასალისა და ხალხის ზნე-ჩვეულებების ანალიზის საფუძველზე. სხვებისაგან განსხვავებით[375], ამას იოლად მიხვდა გერმანელი მეცნიერი. 1827 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშიც ი.კლაპროთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: აფსუა-აფხაზები „ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში“[376]. კავკასიაში, საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში მოგზაურობას (1833წ.) სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა შვეიცარიელმა ფრანგმა, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. ავტორი პარალელური მნიშვნელობით ხმარობდა ტერმინებს „აფხაზეთი“ და „ლაზიკა“; აღნიშნავდა, რომ მთიელთა შემოტევების შედეგად სამეგრელოს საზღვარმა ორი საუკუნის წინ ჯერ ანაკოფიამდე, შემდგომში კი მდ.ღალიძგამდე გადაინაცვლა[377]; ეხებოდა რა უძველეს ისტორიას, კერძოდ, არიანესთან დასახელებულ „ტომებს“, დიუბუა დე მონპერე კოლხეთში ეთნიკურ ცვლილებებს ვერ ხედავდა[378]. ის სპეციალურად არ იკვლევს აღნიშნულ „ტომთა“ ეთნიკური ვინაობის საკითხს, მაგრამ კომენტარებში

---

370 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

371 . Б. Гогия, Абхазия, გვ. 7.

372 . ციტირებულია ნაშრომიდან: გ. ჩიტაია. ძველი აფხაზების ეთნიკური ჩამომავლობის შესახებ. – შრომები ხუთ ტომად, II. თბ., 2000, გვ. 118.

373 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 289-290.

374 . იქვე, გვ. 298.

375 . რუსი ისტორიკოსი მ. სელეზნიოვი გაოცებას ვერ მალავდა, მისი თქმით, ნიჭიერ აფხაზთა ჩამორჩენილობის გამო. „საოცარია, – წერდა იგი, – რომ აფხაზებმა, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, რომაელებთან, ბოსფორელებთან, გენუელებთან, არ გადმოიღეს იმათგან არც სამოქალაქო მოწყობა, არც განათლება, ან მიიღეს იგი და ვერ შეითვისეს თავის ზნე-ჩვეულებებში“ (М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. II. СПБ, 1847, с. 203).. მ. სელეზნიოვი ვერ მიხვდა, რომ აფსუა-აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ უშუალო მჭიდრო ურთიერთობა ბერძნებთან და რომაელებთან. შდრ. Т. Гванцеладзе. О пути заимствования греческой христианской лексики в абхазском языке. – Rocznik orientalistychny. T. L. I, z. 2, Wafrszawa, გვ. 130-134.

376 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

377 . იქვე, გვ. 312-313, 681.

378 . Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т I. Сухуми., 1967, გვ. 148.

მითითებული აქვს: „აფსილები – მეგრული მოსახლეობა (ადრე ჰენიოხები ერქვათ)“[379]. იგი განმარტავდა, რომ ეგრისი არის კოლხეთის მკვიდრი გეორგიანების საცხოვრისი; მათ „ახსენებს პლინიუსი „ეკრეკტიკეს“ ფორმით და ამ სახელით თანამედროვე სამეგრელოს მოიხსენიებს“[380]. მოკლედ, ფრ. დიუბუა დე მონპერე ისტორიულ კოლხეთში, ეგრისში, სამეგრელოში არაქართველ ტომებს არ იცნობდა.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, აფხაზეთი არის ქვემო ივერია, „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“; სახელი „აფხაზი“, მისი აზრით, უკავშირდება ეგროსის შთამომავლის, გმირისა და აფხაზეთის პირველი მეფის – აფხაზოსის სახელს[381]. როგორც ჩანს, თეიმურაზი ემყარება ვახუშტი ბატონიშვილის ვერსიას – ლეგენდას ეგროსისა და მისი შთამომავლების შესახებ (აქვე, გვ. 63). მაგრამ ეს არის ისტორიული რეალობის შემცველი ლეგენდა, რომელიც ხაზს უსვამს უძველეს აფხაზთა ქართულ წარმომავლობას. ამ დროს, არსებობს კავკასიის ხალხების, მათ შორის აფსუა-აფხაზების ლეგენდა – ნართების ეპოსი, რომლის გმირების ძირითადი სამოქმედო არეალი ყუბანისპირეთია; აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიასთან კი ისინი დაკავშირებული არ არიან. ეპოსის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ნაწილი ყუბანისპირეთში მცხოვრები ხალხის შემოქმედების ნაყოფია“[382], – ასკვნის ნ.ანთელავა.

აფსილთა ეთნიკურ ვინაობაზე არის საუბარი პროკოპი კესარიელის თხზულების ფრანგულ გამოცემაში (1856წ.), რომელიც მ. ისამბერს ეკუთვნის. მასში ნათქვამია: „აფსილები არიან ლაზები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობენ და აბაზგებს ესაზღვრებიან (ისინი უეჭველად, თანამედროვე მეგრელები არიან)“[383].

ი.შოპენის აზრითაც, აფსილები (ჰენიოხებთან და სანიგებთან ერთად) ქართული (მეგრული) წარმომავლობისანი არიან, აბაზგ (апгасы)-აფხაზები კი „დიდხანს ცხოვრობდნენ მთის (კავკასიონის) ხეობებში“[384].

დ.ბაქრაძე ახალი ეპიგრაფიკური და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით დაწერილ წიგნში ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ქართული ენისა და მისი მეგრულ-სვანური დიალექტების გავრცელების არეალად თვლიდა თანამედროვე აფხაზეთს გაგრამდე, თუმცა „მეგრელებს ეკავათ, – წერდა იგი, – მთელი შავიზღვისპირეთი, ყუბანიდან ტრაპიზონამდე და თვით ტრაპიზონიც“[385]. ე.ი. დ.ბაქრაძე მთიელთა ყოფნას მეგრელებთან ერთად თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით ვარაუდობდა. მოგვიანებით იგი კვლავ მიუბრუნდა აფხაზეთის თემას. „ჩვენ ვფიქრობთ, – წერდა დ. ბაქრაძე, – რომ აფხაზნი, შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას-იქიდამ, როგორც უფრო ძლიერნი, მოაწვნენ მეგრელებს და ამ უკანასკნელებმა თავის სისუსტის გამო დაუთმეს მათ თავისი მიწაწყალი... ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზური ენა ძველადგანვე ცოტა-ცოტად იჭერდა მეგრულის ენის ადგილს – მიწასა და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმ დროს, რომელსაც ზემოთ ხსენებული ნაშთები ეკუთვნის, მთელი წებელდი და აფხაზეთი, მთლად თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც, ჯერ ისევ მეგრულს ტომს ეჭირა. როგორც წინათაც გვითქვამს, ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი შთებიან ადგილობრივ, თუმცა შეცვლით, შემდეგშიაც, როდესაც ამ სახელწოდებათა ენის ადგილი უცხო – ტომს ენას დაუჭერია. აი მიზეზი, რომ მთელს აფხაზეთში აქამომდე მრავალი მეგრული სახელწოდება ისმის; იმათ შორის თვით ისტორიული ცხუმი ანუ ცხომი (სოხუმი), რომელიც დიდი ხანია ხმარებიდამ გამოვიდა და რომელსაც აქამომდე აფხაზნი უწოდებენ ერთს ციხის ნანგრევს სოხუმის მახლობლად“[386]. დ. ბაქრაძის

---

379 . Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии, გვ. 7.

380 . იქვე, გვ. 4.

381 . თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებიდან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელი არს სრულიად საქართველოისა. სპბ., 1848, გვ. 56.

382 . ნ. ანთელავა. აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. ენციკლოპედია. თბ., 2006, გვ. 56.

383 . Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии, გვ. 7.

384 . Иван Шопен. Новыя заметки на древния истории Кавказа и его обитателей. С-Пб, 1866, გვ. 282-283, 286.

385 . Д. Бакрадзе. История Грузии на основе новых изысканий. СПБ., 1873, გვ. 2-3.

386 . დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. თბ., 1889, გვ. 272-273. „ცხუმი“, დ. ბაქრაძის აზრით, „ცხელს“ ნიშნავს (იქვე).

აზრით, აბაზგები კი არიან აფსუა-აფხაზთა წინაპრები[387], მაგრამ ცხოვრობდნენ „მთას იქით“ და მხოლოდ მოგვიანებით (XVIIს.) გავრცელდნენ მათი თანამედროვე განსახლების ტერიტორიაზე.

ორივე - აფსილები და აბაზგები აფსუა-აფხაზთა წინაპრებად, როგორც ირკვევა, პირველად მარი ბროსემ აღიარა. აბაზგია//აფხაზეთში, – წერდა იგი, – „გარდა აფხაზებისა ცხოვრობდნენ აბჟუელები=აფსილები“; მარი ბროსეს მტკიცებით, „აბ-ჟუა=აფსილია ბიზანტიელებისა და სომეხი მწერლების „აფშეღი“[388] ნიშნავს „შუა“-ს იმიტომ, რომ აფსილები მისიმიანებსა და აბაზგებს შორის ცხოვრობდნენ ღალიძგასა და კოდორს შუა“[389]. უნდა ითქვას, რომ აფსილები ნამდვილად იყვნენ „შუა სოფლის“ (აფხ. აბჟუა) მკვიდრთა – ქართველთა წინაპრები. მარი ბროსემ, სამწუხაროდ, არ იცოდა, რომ ღალიძგა-კოდორის მონაკვეთი უძველესი დროიდან XVIIს. ბოლომდე მეგრელებით იყო დასახლებული და მას „შუა სოფელი“ ერქვა. XVII-XVIII საუკუნეებში აქ დამკვიდრებულმა აფსუა-აფხაზებმა ეს სახელი უბრალოდ თავიანთ ენაზე თარგმნეს. მარი ბროსემ კი ქართული „შუა სოფლის“ მკვიდრთა წინაპრები – აფსილები ჩამოსახლებულ „აბჟუელთა“ წინაპრებად გამოაცხადა. უნდა ითქვას, რომ იგი სულაც არ თვლიდა აფხაზთა და ჩერქეზთა წარმოშობის საკითხს გადაწყვეტილად[390].

XX საუკუნის დასაწყისამდე ისტორიულ მეცნიერებაში მაინც ის აზრი იყო გაბატონებული, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ. ამ მოსაზრების მომხრე გახლდათ აფხაზეთის მკვიდრი თედო ჟორდანიაც. მხოლოდ XVIIს. ბოლოდან კელასურის სამხრეთით აფსუა-აფხაზთა გავრცელება მან შინააშლილობებს, თურქეთის ინტრიგებსა და მის გადამწყვეტ დახმარებას დაუკავშირა[391]. მანამდე აფსუებს ამ ტერიტორიაზე (არიანეს აფსილ-აბაზგთა განსახლების არეალში), თედო ჟორდანიას აზრით, არ უცხოვრიათ.

შავიზღვისპირეთის ეთნიკური ისტორიის თემას შეეხო ილია ჭავჭავაძე თავის „ქვათა ღაღადში“, რომელიც რჩება მეცნიერული პუბლიცისტიკის ნიმუშად. მისი აზრით, ძველისძველ „ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ღალისის მდინარიდგან მცირე აზიაში – შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთის მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქს შუა მდებარეობენ“. კ.პატკანოვის მსგავსი ანტიქართველები (მათ შორის ნიკო მარიც; ის მკაცრადაა გაკრიტიკებული „ქვათა ღაღადში“), რომელთაც ამ ადგილების დაჩემება სურთ ან „ქართულის კუთვნილების გაუქმება“, – აგრძელებს ილია ჭავჭავაძე, – ამტკიცებენ, თითქოს მესხები, ტიბარენები, კოლხები და ა.შ. „ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან“[392] . ასეთი იყო და დარჩა დღესაც საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა მიზანი.

1899წ. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე გაიმართა პირველი ღია დისკუსია აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე[393]. ოპონენტებად გამოდიოდნენ კ.მაჭავარიანი და მამა ამბროსი ხელაია („სამურზაკანეც“). პირველი იმ პოზიციაზე იდგა, რომ სამურზაყანოელები არიან აფსუა-აფხაზები, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის; ამასთან, იგი უსუსურ არგუმენტებს იშველიებდა (აფხაზურ გვარ სახელებს, უხუცესთა გამონათქვამებს). მეორე – ამბროსი ხელაია იმ დროისათვის ცნობილ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოწინააღმდეგეს სრულიად საპირისპიროს უმტკიცებდა. წყაროთა მოკლე მიმოხილვის შემდეგ ამბროსი ხელაია ოპონენტს ეკითხებოდა: „ხომ არ არის სწორი ისტორიკოსთა აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე სოხუმის ოლქი ფსირცხამდე დასახლებული იყო მეგრელებით, რომლებსაც სამურზაყანოს თანამედროვე

---

387 . დ. ბაქრაძე ასე იმიტომ წერდა, რომ მას ჯერ არ ჰქონდა პასუხი კითხვაზე: „ბერძნულის სახელწოდებიდამ წარმოსდგა ქართული აფხაზი, თუ ქართულის სახელწოდებიდამ – ბერძნული აბაზგი“? (დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, გვ. 271-272).ამ კითხვაზე პასუხი თ. გამყრელიძემ გასცა (აქვე, გვ. 71).

388 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 191, 547-548.

389 . Мари Броссе. О Сочинении г. Верещагина под заглавием: «Путевые заметки по Черноморскому округу». М., 1874, გვ. 2.

390 . იქვე, გვ. 3. იგივე მოსაზრებას იზიარებდა ვ. ჩერნიავსკი. იხილე: . . , გვ. 11, 15.

391 . Ф. Жордания. Абхазские католикосы. Ставрополь, 1893, გვ. 21.

392 . ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V. თბ., 1987, გვ. 40.

393 . წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ. თბ., 2006, გვ. 62-75; 425-439.

საზღვრამდე დაახევინეს“?[394] ორივე მხარე, ღრმად იყო დაუფლებული ისტორიულ ლიტერატურას და წყაროებს აფხაზეთის შესახებ, ისინი აფსილებს უყოყმანოდ მეგრელებად მიიჩნევდნენ. უთანხმოება იყო მხოლოდ მათი ლოკალიზაციის საკითხში. კ.მაჭავარიანის მტკიცებით, თანამედროვე სამეგრელოში აფსილები მდ.ენგურამდე ვრცელდებოდნენ, შესაბამისად, მეგრელები ამ მდინარის მარჯვენა მხარეს არ ცხოვრობდნენ; მამა ამბროსი, პრ. კესარიელზე დაყრდნობით, პასუხობდა, რომ აფსილები ფსირცხამდე თუ არა, კოდორამდე მაინც ვრცელდებოდნენ, შესაბამისად, ამ ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი მეგრელები არიან. მბროსი ხელაია შემდგომშიც არაერთხელ შეეხო აფსილ-აბაზგთა ვინაობის, აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილებისა და აფსუა-აფხაზთა გვიან ჩამოსახლების თემას[395].

ალ. ხახანაშვილის აზრით, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე XIს. ბოლომდე მაინც მეგრელები ცხოვრობდნენ[396]. კავკასიაში კარგად ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი კი, რომელიც აფხაზეთში გაიზარდა და წებელდაში მამის (ნ.დიაჩკოვ-ტარასოვის) მიერ დატოვებულ მამულებსაც ფლობდა, 1903, 1905 და 1909-1910 წლებში შექმნილ სხვადასხვა ნაშრომში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე აფსუა-აფხაზთა XVI-XVIIსს. ჩამოსახლების ვერსიას ავითარებდა (აქვე, გვ. 167-168).

აფხაზეთის უძველესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებული იყო ივანე ჯავახიშვილიც. სტრაბონის, პლინიუსის, არიანეს, პტოლემაიოსისა და პრ. კესარიელის ცნობების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მან შემდეგი დასკვნა გააკეთა: „როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“[397]. შემდგომში ივ.ჯავახიშვილმა რამდენადმე შეიცვალა აღნიშნული შეხედულება, მაგრამ დიდმა მეცნიერმა გარდაცვალებამდე ვერ მოასწრო ამ საკითხზე კვლევის დასრულება და არგუმენტირებული საბოლოო აზრის ჩამოყალიბება. ამიტომ ზემოხსენებული დასკვნა აფშილ-აფხაზების ქართველობის შესახებ შევიდა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის 1951 და 1961 წლების გამოცემებში[398]. იმავე ტომის ბოლო გამოცემიდან (1979წ.) კი იგი ამოღებულია და დატოვებულია ივ.ჯავახიშვილის პასუხი ნ. მარის კრიტიკაზე აფხაზთა ეთნიკური ვინაობის თაობაზე: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ“[399]. ავტორი, როგორც ჩანს, შეგნებულად არ აკონკრეტებს, ვისზეა საუბარი – თანამედროვე აფხაზებზე, რომელთაც არავინ თვლის ქართველებად, თუ ისტორიულ აფსილ-აბაზგებზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ივ.ჯავახიშვილი ფაქტობრივად ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც არიანეს „სამეფოებში“ ცალკეული ეთნოსები კი არ დაინახა, არამედ „დაყავი და იბატონე“-ს რომაული პოლიტიკის გამოვლინება (აქვე, გვ. 60). ამით მან ირიბად მიანიშნა საკუთარი „ძველი“ პოზიციის სისწორეზე აფსილ-აბაზგთა ქართველობის შესახებ.

ნიკო მარმა, რომელიც იყო აფხაზეთის სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, აფხაზი ეროვნების ისტორიკოსების პირველი თაობის ერთგვარი სულიერი მოძღვარი, 1912წ. 23 მაისს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო-ფილოლოგიურ განყოფილებას წარუდგინა მოხსენება „ტერმინ „აფხაზი“-ს ისტორიიდან“[400]. „აბასკი“ (არიანე), „ობეზი“ (რუსული მატიანეები), „აფსილი“ (პლინიუსი, არიანე) ამ ნაშრომში აფსუათა აღმნიშვნელ სახელებადაა მიჩნეული; აფსილთა ლოკალიზაციას მომხსენებელი მდ.რიონის მარჯვენა მხარეს ახდენდა. უფრო მეტიც, ზაქარია მიტილენელის (V-VIსს.) „ისტორიის“ სირიული ტექსტის „ბაზგუნი, თავისი ენით, რომელიც ემიჯნება და ვრცელდება კასპიის კარებამდე და ზღვამდე“,

---

394 . იქვე, გვ. 423.

395 . იქვე, გვ. 330, 554-555, 593, 602, 667.

396 . А. Хаханов. Древнейшие пределы расселения грузии по Малой Азии. Тифлис, 1903, გვ. 62-63.

397 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I-II, თბ., 1913, გვ. 55.

398 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თბ., 1951, გვ. 420; იქვე. თბ., 1961, გვ. 427.

399 . იქვე, თბ., 1979, გვ. 152; ივ. ჯავახიშვილმა „დაუთმო“ ნ. მარს ამ ერთ – აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხში, მაგრამ კატეგორიულად არ დაეთანხმა მეგრელებისა და სვანების, ასევე ჭანების არაქართველებად გამოცხადების მოთხოვნას (იხ. იქვე).

400 . Н. Я. Марр. История термина «абхаз», გვ. 697-706.

ნ.მარმა აფსუა-აფხაზებად გამოაცხადა, როგორც ეს მანამდე გააკეთეს ჰ.გელცერმა და ჟ.მარკვარტმა[401].

ნ.მარის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ[402]. მას ოფიციალურად არ უარუყვია თავისი არცერთი ადრინდელი დასკვნა, მაგრამ XXს. 20-იანი წლებიდან აშკარად შეიმჩნევა პოზიციის გადასინჯვის მცდელობა. კერძოდ, იგი აფხაზთა ფესვებს უკვე არა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და წინა აზიაში, არამედ ჩრდილოეთში, რუსეთის მეზობლად ეძებდა[403]. „აფხაზური ენაც, – წერდა მეცნიერი, – ძირითად თავის ფენებში ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა“[404]. ამასთანავე, ნ.მარის მტკიცებით, მეგრელ-ჭანებს უძველესი დროიდან ეკავათ „მთელი შავიზღვისპირეთი სინოპიდან და ჰალისიდან ანაპამდე და პანტიკაპეამდე“[405]; აფხაზები ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, შესაბამისად, მეგრელ-ჭანებმა დატოვეს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთი. ეს მოხდა არა ანტიკურ ხანაში, როგორც ნ.მარი წერდა, არამედ გვიან შუა საუკუნეებში. ნ.მარმა მშვენივრად იცოდა ისტორიული სიმართლე, მაგრამ მას ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით მაინც აყალბებდა.

XXს. 20-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყნდება აფხაზი ეროვნების ავტორთა წიგნები და ბროშურები აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე, რომლებსაც საფუძვლად ედო ნ.მარის ზემოხსენებული „ძველი“ იდეები, შოვინისტების მიერ შეთითხნილი წიგნარები.[406]. მხედველობაში გვყავს ს.ბასარია, ს.აშხვაწაა, დ.გულია[407], რომელთა შრომებს ისტორიოგრაფიაში უკვე მიეცა სათანადო შეფასება[408].

30-40-იან წლებში აფხაზეთის უძველესი ისტორიის საკითხებს ღრმა გამოკვლევები მიუძღვნა ს.ჯანაშიამ. აფსილ-აბაზგებს იგი აფსუა-აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევდა[409]. მიუხედავად ამისა, 1950წ. ნიკო ბერძენიშვილი სულაც არ თვლიდა საბოლოოდ დადგენილად, „თუ ვინ იყვნენ აწინდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ის ტომები... საქართველოს ისტორიის მშენებლობაში ორგანულად რომ მონაწილეობდნენ ამ ისტორიის მთელს სიგრძეზე უძველესი დროიდანვე მოკიდებული“[410].

აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის თემაზე შექმნილ ნაშრომებს შორის საეტაპო მნიშვნელობისა აღმოჩნდა პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ (თბ., 1954), აფხაზთა ვინაობისა და ეთნოგენეზის საკითხებისადმი მიძღვნილი მისი IV თავი: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო (აფხაზეთის სამეფო) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ძეგლში“. პ.ინგოროყვამ, არსებითად, აღადგინა და დამაჯერებლად დაასაბუთა ვითარებათა გამო მივიწყებული წინა საუკუნეების ევროპელი, რუსი, ქართველი მეცნიერების ზემოთმოტანილი დასკვნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართველთა მკვიდრობისა და აფსუა-აფხაზთა გვიან ჩამოსახლების შესახებ[411]. ამით მყარი მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის ისტორიოგრაფიას.

---

401 . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 18; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 187-188, 542-544. ნ. მარის ლინგვისტური ჰიპოთეზების კრიტიკა იხ. ქვემოთ (თავი XI).

402 . Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. М.,-Л., 1938.

403 . იქვე, გვ. 167-211.

404 . იქვე, გვ. 247.

405 . Н. Я. Марр. Избранные работы, т. V. М., - Л., 1935, გვ. 24-25. ნ. მარის მტკიცებით, მეგრელ-ჭანები და იბერები არიან სკვითთა შთამომავლები; სკვითების შიგნით სოლისებურად შეჭრილმა აფხაზებმა თითქოს გაყვეს ისინი ჩრდილოეთ სკვითებად და სამხრეთ კოლხებად, მოგვიანებით, იბერიელებად (Н. Я. Марр. О языке и истории абхазов, გვ. 240-241).

406 . Л. Воронов. – . ., 1907; . . . - б., 1908; . . й ( ). , 1919, და ა.შ.

407 . С. Басария. Абхазия в географическом,этнографическом и экономическом отношении. Сухуми, 1923; С. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Сухуми, 1925 (რედაქტორი ნ. მარი); Д. Гулиа. История Абхазии., т. 1. Тб., 1925.

408 . თ. მიბჩუანი. დ. გულია აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998, გვ. 167-179; გ. გასვიანი. ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ. თბ., 2003, გვ. 41-53; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. თბ., 2007, გვ. 110-111. იხ. აგრეთვე: Шнирельман. Войны памяти, გვ. 280-289.

409. ს. ჯანაშიას შრომების მიმოხილვა იხ.: ე.ხოშტარია-ბროსე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბ., 2000, გვ. 7-9.

410 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966, გვ. 278.

411 . განსხვავებული მოსაზრება იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. თბ., 2004, გვ. 28.

როგორც მოსალოდნელი იყო, პ.ინგოროყვას მონოგრაფიის გამოსვლამ აფხაზ სეპარატისტთა უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში (1954-1956წწ.) ის არ იგრძნობოდა. სეპარატისტთა ღია გამოსვლებს ბიძგი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 10 ივლისის ცნობილმა დადგენილებამ, რომელშიც საუბარი იყო საქართველოში აფხაზი, სომეხი და ოსი ხალხების ვითომ დისკრიმინაციის შესახებ (აქვე, გვ. 33). სეპარატისტებმა „დისკრიმინაციის" ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნიეს პ.ინგოროყვას „გიორგი მერჩულე". ამ წიგნის შესახებ 1956წ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისივე მოთხოვნით წარედგინა საკმაოდ ზომიერად შედგენილი მოხსენებითი ბარათი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ნ.ბერძენიშვილის ხელმოწერით[412]. ამის შემდეგ გადაწყდა, გამართულიყო დისკუსია საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ „მნათობი"-ის ფურცლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1956 წლამდეც პ.ინგოროყვას ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის ისტორიას ეხება, ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა გიორგი ჩიტაიამ შეაფასა[413] (1955წ). მან გაიზიარა „გიორგი მერჩულეს" მთავარი დებულება, რომლის თანახმადაც აფხაზეთი ძირეული ქართული ქვეყანაა; უძველესი დროიდანვე, მათ შორის ანტიკურ ხანაში იგი ქართველებით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებულად არ მიაჩნდა „აფხაზის" დაკავშირება „მოსხთან", გ.ჩიტაიას აზრით, ამით არ ირღვევა პ.ინგოროყვას ძირითადი დებულება, ისევე, როგორც არ იხსნება საკითხი ისტორიული აფხაზების ქართული წარმოშობის შესახებ. მან მიმოიხილა ნ.მარის, არნ. ჩიქობავას, ლ. ბლაიხშტაინერის, კისლინგის, ა.ნამიტოკის, მ.მედიჩი-ბეჟიშკიანის, ასევე სხვათა შეხედულებები აფხაზთა წარმოშობის შესახებ, გაითვალისწინა ეთნოგრაფიული მასალებიც და დაასკვნა: „ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზები, საკუთრივ ძველი აფხაზები განსხვავდებიან აბასა-აფსუა-აფსილებისაგან. რომ ეს უკანასკნელი მთის იქიდან მოსული ტომია, ხოლო საკუთრივ აფხაზები – ადგილობრივი ძველი მოსახლეობაა"[414].

1955წ. პ.ინგოროყვას ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე გ.ახვლედიანმაც, რომლის რეცენზია სათაურით „მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული კულტურის ისტორიაში" საქართველოს კომპარტიის რუსულენოვან ორგანოში, – „ზარია ვოსტოკა"-ში გამოქვეყნდა. „გიორგი მერჩულეს" ერთ-ერთ მთავარ ღირსებად რეცენზენტმა აფხაზეთის ისტორიის ახლებური გაშუქება, აფსილ-აბაზგთა და ისტორიულ აფხაზთა ქართველებად აღიარება მიიჩნია. „პ.ინგოროყვას ამ თეზისის ისტორიულმა დასაბუთებამ, – წერდა გ.ახვლედიანი, – არა მგონია, რაიმე შეპასუხება გამოიწვიოს"[415]. სერიოზული გამოკვლევა უწოდა მან სპეციალურ ექსკურსს – „აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან", თუმცა ყველა ტოპონიმის ეტიმოლოგია, მისი აზრით, ერთნაირი დამაჯერებლობით არ იყო ახსნილი.

ორივე მეცნიერის პოზიცია იმაზე მიუთითებდა, რომ ქართულმა ისტორიულმა და ფილოლოგიურმა მეცნიერებამ იმთავითვე გაიზიარა პ. ინგოროყვას მთავარი დებულებები[416].

ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დისკუსიის ფარგლებში პირველად გამოქვეყნდა ს.ყაუხჩიშვილის რეცენზია, რომელიც პ. ინგოროყვას მონოგრაფიის ძირითად – ფილოლოგიურ ნაწილს შეეხებოდა და ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევდა[417].

---

412 . ე. ხოშტარია-ბროსე. მეცნიერის არქივიდან. – მნათობი, 1990, № 5, გვ. 138-145.

413 . გ. ჩიტაია. ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩამომავლობის შეასხებ. – შრომები ხუთ ტომად, II. თბ., 2000, გვ. 112-122.

414 . იქვე, გვ. 119.

415 . Заря Востока, 1955 , 9 ივლისი.

416 . ზ. პაპასქირის მოსაზრებით, ქართულმა ისტორიოგრაფიამ არ გაიზიარა პ. ინგოროყვას შეხედულებები. იხ. ზ. პაპასქირი: ნარკვევები..., ნაკვ. I, გვ.28.

417 . ს. ყაუხჩიშვილი. ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის. – მნათობი, 1956, №10, გვ. 109-119.

კრიტიკული რეცენზიები გამოაქვეყნეს ნ. ბერძენიშვილმა და ქ.ლომთათიძემ[418]. სოხუმში გამოქვეყნდა აგრეთვე ზ. ანჩაბაძისა და ხ. ბღაჟბას უარყოფითი გამოხმაურებები[419].

პ.ინგოროყვას ოპონენტებს შორის განსაკუთრებული პოზიცია ნ.ბერძენიშვილს ეკავა. როგორც ხელმძღვანელი, აკადემიური ინსტიტუტის დირექტორი, ხელისუფლებას ოფიციალურად ის არ დაუპირისპირდა, მაგრამ იმ მკვლევრებმა, რომლებიც ნ.ბერძენიშვილზე დაყრდნობით იცავენ ე.წ. ორაბორიგენობის თეორიას (ამ თეორიის სასარგებლო გამონათქვამები მეცნიერს ნამდვილად აქვს), უნდა გაითვალისწინონ, რომ სწორედ ამ დიდი მეცნიერის შრომების მესამე ტომის გამოსვლა და მასში აფხაზეთის ისტორიის პ.ინგოროყვას სულისკვეთებით „გაყალბება“ გახდა 1967წ. სეპარატისტთა მორიგი საპროტესტო გამოსვლების საბაბი. გაირკვა, რომ ნ.ბერძენიშვილი ჯერ კიდევ 1951 წელს აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს პ.რატიანს სწერდა: „მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოეპოვება იმის საბუთი, აფხაზეთში მობინადრე ეს ტომები (აფსილ-აბაზგები – ავტ.) უფრო შორს იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე ვთქვათ სვანები, მესხები, ჰერები. მარტო ის რადა ღირს, რომ ქართული გადმოცემით ქვეყანა ლიხის მთიდან ვიდრე ყუბანის მდინარემდე და მაშ შუა საუკუნეების „აფხაზთა საერისთაოც“ – უძველეს დროიდანვე ეგროსის წილი იყო და რომ ქალაქი ბედია (აფშილეთში) დაარსებულია იმავე მეგრელთა ეპონიმის (მამამთავრის) ეგროსის მიერ“[420]. ე.ი. „გიორგი მერჩულეს“ გამოსვლამდე და განსაკუთრებით ზემოთნახსენები პარტიული დირექტივების მიღებამდე ნ.ბერძენიშვილი ფაქტობრივად იყო პ.ინგოროყვას თანამოაზრე, რაც შემდგომშიაც არაერთხელ დადასტურებულა. მაგალითად, იგი წერდა, რომ ეგროსის წილი ქვეყნების, მათ შორის სვანეთისა და აფხაზეთის მიმართ „არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე საუბარი“[421]. ამრიგად, ნ.ბერძენიშვილის პოზიციის ცალმხრივი შეფასება, ორაბორიგენობის თეორიის აშკარა მომხრედ, ან მოწინააღმდეგედ მისი გამოცხადება სწორი არ არის. აღნიშნული თემა მეცნიერს სპეციალურად არ უკვლევია; საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი გა-მოთქვამდა ამა თუ იმ მოსაზრებას როგორც მეცნიერი და როგორც ხელმძღვანელი[422].

პ.ინგოროყვას ძირითადი დებულებები მტკიცედ და არგუმენტირებულად დაიცვეს გ.ახვლედიანმა, ს.ყაუხჩიშვილმა და დ.კობიძემ[423]. ვინაიდან დისკუსიის მასალები საფუძვლიანად განიხილა გ.გასვიანმა[424], შეიძლება შემოვიფარგლოთ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ 50-იანი წლების ბოლოდან ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ წმინდა პოლიტიკური მოტივებით დამკვიდრდა აფხაზეთის ორაბორიგენობის თეორია[425]. აფსილ-აბაზგები უპირობოდ აფსუა-აფხაზთა წინაპრებად გამოცხადდნენ, დანარჩენ თემებთან დაკავშირებით მკვლევრებს შეეძლოთ საკუთარი,განსხვავებული მოსაზრება ჰქონოდათ[426].ეს თეორია იქცა თავისებურ „მაშველ რგოლად“, რომლის წყალობით ქართველი მეცნიერები აფიქსირებდნენ უძველესი დროიდან აფხაზეთში ქართველთა მოსახლეობას, რასაც ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა სეპარატისტული

---

418 . ნ. ბერძენიშვილი. პ. ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს“ გამო. – მნათობი, 1956, №12, გვ. 125-131; ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. – იქვე, გვ. 132-139.

419 . З. В. Анчабадзе. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква «Георогий Мнрчуле – Грузинский писатель X века. – Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа, т. XXVII. Сухуми, 1956, с. 261-278; Х. С. Бгажба. Некоторые вопросы этнонимики и топонимики Абхазии (В связи с работой Павле Ингороква «Георгий Мерчуле»). – იქვე, გვ. 279-303.

420 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 278.

421 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 607-608.

422 . ხელმძღვანელის (რომელიც ვალდებული იყო დაეცვა ოფიციაალური შეხედულება) პოზიციებიდან არის დაწერილი „პ. ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს“ გამო“ (მნათობი, 1956, №12, გვ. 126).

423 . გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – მნათობი, 1957, №2, გვ. 107-114; ს. ყაუხჩიშვილი. „გიორგი მერჩულეს გამო“. – იქვე, გვ. 115-125; დ. კობიძე. ტერმინი „აბხაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით. – იქვე, გვ. 126-128.

424 . გ. გასვიანი. ქართველი მეცნიერები პ. ინგოროყვას შეხედულებებზე...

425 . Очерки истории Абхазской АССР I. Сухуми, 1960; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1 და ა.შ.

426 . ამის ნიმუშად გამოდგება მ. ინაძის წერილი „ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის“ (საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1960, №2, გვ. 145-163), რომელშიც კრიტიკულად არის განხილული ზ. ანჩაბაძის მონოგრაფიის (Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959) ცალკეული დებულებები.

ისტორიოგრაფია. ამ გარემოების გათვალისწინებით დიდად დასაფასებელია გ.მელიქიშვილის, მ.ლორთქიფანიძის[427], მ.ინაძის, ნ.ლომოურის[428], ზ.ანჩაბაძის და ყველა იმათი ღვაწლი, ვინც საბჭოთა რეჟიმის პირობებში უპირისპირდებოდა აღვირახსნილ სეპარატიზმს ისტორიულ მეცნიერებაში.

თანამედროვე ეტაპზე კი ორაბორიგენობის დაუსაბუთებელი თეორია იმ გაგებით, როგორც მას XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა ისტორიოგრაფია გვთავაზობდა და დღესაც ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს, ანაქრონიზმად იქცა. მტკიცება, თითქოს აფხაზეთის მთიანეთი წელთაღრიცხვათა მიჯნიდან თუ უფრო ადრეც თანდათანობით ივსებოდა ველურ მთიელთა ახალ-ახალი ნაკადებით (გ.მელიქიშვილი, მ.ინაძე და ა.შ.), რომ იქ ბინადრობდნენ მთელი ეთნოსები თავიანთი პოლიტიკური წარმონაქმნე-

ბით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს; წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები მსგავს ფაქტებს არ ადასტურებენ.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ნელ-ნელა თავისუფლდება საბჭოთა პერიოდში თავსმოხვეული შეფასებებისაგან, ახალი არგუმენტებითა და დამატებითი მტკიცებულებებით უბრუნდება მივიწყებულ ტრადიციულ შეხედულებებს[429], რომლებსაც ჯერ კიდევ ჰყავთ მოწინააღმდეგეები[430]. ამიტომ კვლავ აქტუალური რჩება აფსილ-აბაზგთა ვინაობის საკითხი. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა აკად. თ.გამყრელიძემ. მან უარყო მტკიცება, თითქოს, სახელი „აბაზგი“ შეესაბამება „აბაზას“. ტერმინი „აფხაზი“ („აბხაზი“), თ.გამყრელიძის მტკიცებით, არის პირველადი ქართული ფორმა, რომელიც ბერძნულში აბაზგ//აბაზდის სახით შევიდა[431] (ბერძნულისთვის უცხო ფხ/ბხ თანხმოვანთკომპლექსი ზგ/ზდ კომპლექსმა შეცვალა); რაც შეეხება სახელ „აბაზა“-ს, იგი პირველადი რომ ყოფილიყო, ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე შევიდოდა ბერძნულში, ხოლო ბერძნულიდან იმავე ფორმით – ქართულში; მეცნიერის ავტორიტეტული აზრით, აფხაზ-აბაზგები „ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ[432]“.

---

[427] . მ.ლორთქიფანიძის აზრით, ისტორიულ აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხის გარკვევა, წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმწირის გამო ძალიან ძნელია, „მაგრამ ვინ იყვნენ ისინი თავიანთი მოდვაწეობით? ისინი იყვნენ ქართველები, რადგანაც ემსახურებოდნენ ქართულ საქმეს, ეროვნულ სახელმწიფოს“ (იხ.: მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ.7).

[428] . ნ. ლომოური ადრე პ.ინგოროყვას პოზიციას იზიარებდა. 1963წ. იგი წერდა: „თავის გამოკვლევაში „გიორგი მერჩულე“ პ.ინგოროყვა, როგორც ცნობილია, აყენებს თავისთავად, ჩვენი აზრით, საკმაოდ სწორ დებულებას აფხაზთა ტომების (აბაზგების, აფსილების) ქართული წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ზოგჯერ, ჩვენის აზრით, არადამარწმუნებელ საბუთებს იშველიებს“ (ნ.ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები..., გვ. 25-26). შემდგომში ნ.ლომოური პ.ინგოროყვას თეორიას დაუპირისპირდა (იხ. მისი: აფხაზეთის.)

[429] . თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს...; მისივე: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია, I ნაწილი. თბ.,2003; გ. გასვიანი. ძველი და ახალი აფხაზეთი; მისივე: ქართველი მეცნიერები...; დ.გოგოლაძე. „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ., 1995; . , . . и – ; ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005; მისივე: აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბ., 1998; Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии. Тбилиси-Париж, 2005; მისივე: ძველი კოლხეთის...; ზ.რატიანი. წყაროთა დაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ., 1995; ა.სონდულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა? თბ., 2007 და ა.შ. ქართულ ისტორიოგრაფიას ზურგს უმაგრებს ენათმეცნიერება (თ.გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. სადოქტ. დის. თბ., 1997; ტ.ფუტკარაძე. ქართველები) და ანთროპოლოგია (თავი X).

[430] . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის...; ე.ხოშტარია-ბროსე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები...; ო.ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ.,2006; М. Инадзе. Вопросы этнологической истории древней Абхазии. – Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999, გვ. 61-88, და ა. შ.

[431] . ს. ჯანაშიას აზრით, პირიქით, ბერძნული აბაზგი ქართულში აფხაზის ფორმით შევიდა (С. Джанашиа. Абхазия в составе Колхидского царства и Лазики, გვ. 39).

[432] . თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. – საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 582, 587, 588.

აფსილთა ვინაობის საკითხი სპეციალურად შეისწავლა დ.მუსხელიშვილმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „აფშილს“ გეოგრაფიულად, ქრონოლოგიურად, ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო აფსუასთან და ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად უნდა ჩაითვალოს[433]. მან ეს თეზისი უფრო ადრეც (1999წ.) წამოაყენა და თამაზ გამყრელიძის მოსაზრებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ არც აბაზგების გამოცხადება აფსუა-აფხაზთა წინაპრებად არის უდავო (не бесспорен)[434].

თ.გამყრელიძისა და დ.მუსხელიშვილისგან განსხვავებით, ნ.ლომოური არ ცდილობს საკუთარი მოსაზრების – აფსილ-აბაზგთა არაქართველობის დასაბუთებას. ვინაიდან წყაროებში ამაზე არაფერია ნათქვამი, – წერს იგი, – „რჩება ერთადერთი გზა – თვით ამ ეთნონიმების ლინგვისტური ანალიზისა, ხოლო ეს ანალიზი უეჭველს ხდის სახელწოდების ***აფსილი*** კავშირს აფხაზთა თვითდასახელებასთან ***აფსუა*** და აბაზგისა – ერთ-ერთი აფხაზურ-ადიღური ტომის – ***აბაზინების*** სახელთან“[435]. ეს არის მთელი „არგუმენტაცია“. აღსანიშნავია, რომ არავითარი ლინგვისტური ანალიზი ხსენებული ეთნონიმებისა ნ.ლომოურს არ ჩაუტარებია და ტერმინების მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე მითითებით შემოიფარგლება, რაც არ არის საკმარისი აფსილის – აფსუასთან, ხოლო აბაზგის – აბაზებთან იდენტიფიცირებისათვის. მაგალითად, აფსილი ბერძნულად ნიშნავს ვინც არ არის შიშველი, მელოტი, ქაჩალი (ფსილი – შიშველი, მელოტი, ქაჩალი და ა.შ.). აბსილი ითარგმნება აგრეთვე, როგორც ასხლტომა, აქეთ-იქით გაფრენა (отскакивать, разлетаться) და ა.შ.[436] ზუსტი ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, არაფერი საერთო თანამედროვე აფ-

სუასთან არა აქვთ **აფსარ/აფსარას-**ს (ძველინდური ნახევარღვთაება), **ოფს-**ს (რომაული ღვთაება), **აფსატი-**ს (სვანების, აგრეთვე ყარაჩაელების, ბალყარებისა და ოსების ღვთაება) და ა.შ. აბასკო ბერძნულ ენაზე გაუვალს, ძნელად გასავლელს ნიშნავს, აბასკია – გაუვალ მხარეს[437]. აქედან უკვე ჩანს, რამდენად სახიფათოა მხოლოდ ტერმინების გარეგნული მსგავსების საფუძველზე სერიოზული დასკვნების გამოტანა. აფსილ-აბაზგის ბერძნული ეტიმოლოგია არავითარ კავშირში არ არის აფსუა[438]-აბაზასთან, ზოგადად ეთნონიმთან. შეუძლებელია თანამედროვე აფსუა-აფხაზებს//აბაზებს დავუკავშიროთ ზაქარია მიტილენელის (VIს.) ბაზგუნი, თუმცა ფონეტიკური მსგავსება აშკარაა[439]; შუა საუკუნეების ქალაქებს აბესკურსა და აბხაზს თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არავითარი კავშირი აფსუა-აბასკ-აბხაზთან არა აქვთ, მიუხედავად აბსოლუტური ფონეტიკური მსგავსებისა[440]. ერთდროულად ორი ქ.აბხაზის არსებობა შუა საუკუნეების საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ (სოჭთან)[441] და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული სახელის მატარებელ ქალაქებს ერთნაირი ფუნქციური (და არა ეთნიკური) დატვირთვა ჰქონდათ, მსგავსად ორი დარუბანდისა (კარი – ზღუდე) – თანამედროვე

---

[433] . დ. მუსხელიშვილი. აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. – არტანუჯი, 2000, №10, გვ. 17-24. მანამდე ასეთივე მოსაზრება სხვა არგუმენტების მოშველიებით ნ. აფხაზავამ გამოთქვა. – იხ. მისი: აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998, გვ. 6-13.

[434] . Д. Мусхелишвили. Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999, გვ. 124.

[435] . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 31.

[436] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 28-30. ტერმინ „აფსილის“ „აფს“ ფუძის მატერიალური კავშირი „აფსუა“ სახელთან უდავოა, თუმცა მას ერთვის სადაურობის აღმნიშვნელი ქართული სუფიქსი ილ//ელ; უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „აფსილის“ და „აფსუას“ სემანტიკა არის განსხვავებული. მსგავსი მაგალითები კი ისტორიაში მრავლად მოიპოვება (მაგალითად, კავკასიელი და ბალკანელი ალბანები და ა.შ.). – იხ.: თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, გვ. 34-35.

[437] . Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии, გვ. 9.

[438] . იმისათვის, რომ ფთეიროფაგების (გირჩისმჭამელების) აფსუა ეთნოსისადმი კუთვნილება „დაემტკიცებინა“, შ. ინალ-იფამ აფსუა ახსნა როგორც სოჭის თუ სოჭნარის ხალხი (აფსა აფხაზურად ნიშნავს სოჭს). – იხ. Ш. Инал-Ипа. Вопросы ..., გვ. 255. იმავე მონოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ აფსუა არის აფსილიის ხალხი (იქვე, გვ. 354); დ. გულია თავის დროზე აცხადებდა, რომ აფსუა – აბსუა არის აბასიის, აბისინიის ხალხი (იხ. მისი История Абхазии, ტ. 1, გვ. 95); გ. ფიფიას აზრით, აფსთა (ხეობა)+უაა ნიშნავს „ხეობაში მაცხოვრებელს“ (სახალხო განათლება, 1990, 5 ივლისი).

[439] . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 17-19; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 187, 542-544.

[440] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 543, 553, 577-578.

[441] . იქვე, გვ. 221,590.

გაგრისა[442] და დერბენდისა.ამრიგად, ნ. ლომოურის ლინგვისტური „ანალიზი“ და დასკვნა მრავალ წინააღმდეგობას აწყდება.

აფსილ-აბაზგთა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა „ტომთა“ ქართული ეთნოსისადმი კუთვნილება, პირველ რიგში, წყაროთა მონაცემებით დასტურდება. მივმართოთ ფლავიუს არიანეს „მოგზაურობას შავი ზღვის გარშემო“ (აქვე, გვ. 58). კოლხური ტომი ავტორს რამდენიმე ნაწილად ჰყავს დაქუცმაცებული: დრილებად, ანუ სანებად//ჭანებად მაკრონებად//სანებად (აქვე, გვ. 62), ჰენიოხებად, ძიდრიტებად (იბერიის ნაწილი), ლაზებად; არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს (და არც იწვევს) „კოლხებიდან“ „ლაზებამდე“ განთავსებული „ტომების“ ქართველობა. ლაზების შემდეგ მოდიან აფსილ-აბაზგები, რომელთა ჩრდილო-დასავლეთით კვლავ ქართველ სანიგებს ვხედავთ ქალაქებით – დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთა და ძველი ლაზიკა. ჯერ არავის დაუმტკიცებია, როგორ აღმოჩნდნენ „არაქართველი“ აფსილ-აბაზგები ქართველთა განსახლების შუაგულში. პირველად ეს მ.ინაძემ სცადა. I საუკუნეში პლინიუსთან კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, თითქოს, შეცდომით ლოკალიზებული „აბზოას“ ტომი მან ჯერ სამხრეთ-დასავლეთით „გადმოსწია“, შემდეგ გააიგივა „აბაზასთან“, ბოლოს გამოთქვა ვარაუდი იმავე პირველ საუკუნეში აფხაზეთში მათი ჩამოსახლების, II საუკუნეში კი „სამეფოს“ შექმნის შესახებ[443]. მ. ინაძის ვერსია იმდენ „ალბათობაზეა“ დამყარებული და იმდენად სუსტია, რომ ძნელია მისი გაზიარება. არ არის დამტკიცებული, მართლა ცდება თუ არა პლინიუსი „აბზოას“ ლოკალიზაციისას. პირიქით, ავტორმა მეტ-ნაკლები სიზუსტით იცის ტომის განსახლების არეალი – სარმატების „მეორეს მხარეს“; თუ პლინიუსი ცდება, მაშინ გაურკვეველია, სად იყო აბზოას ნამდვილი სამოსახლო ტერიტორია? არ არის რეალური კავკასიონის ქედის გადმოლახვა მრავალრიცხოვანი ორგანიზებული მასის მიერ, თავისუფლად ჩამოსახლება ჯერ პონტოს სამეფოს, შემდეგ კი რომაელების კონტროლირებად კოლხეთის ტერიტორიაზე და უცებ „სამეფოს“ ჩამოყალიბება, თანაც „თანამოძმე“ აფსილთა გვერდით. ამ დროს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ვერ აყალიბებენ ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი აბზოა//აბაზები, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებამდე წყაროებში არც იხსენიებიან[444]. უცნაურია ისიც, რომ არცერთ წერილობით წყაროში არ არის აღნუსხ-
ული ასეთი მაშტაბური ფაქტები. მიუხედავად ამისა, მ.ინაძის ვერსიაში შეიძლება სიმართლის მარცვალიც დავინახოთ. ეს არის „აბზოას“ იდენტიფიცირება „აბაზასთან“. ისტორიოგრაფიაში უკვე არსებობს შეხედულება „აბზოა“ – „აფსუას“ იგივეობის, მისი თანდათანობითი გადაადგილებისა, აზოვისა და ყუბანის მიმართულებით, მონღოლთა შემოსევების პერიოდში მდ.ყუბანის სამხრეთით გავრცელების (ისტორიული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებამდე თუ საზღვრებშიც კი), ხოლო გვიან შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესახებ[445]. ეს მოსაზრება ეფუძნება XIVს. ბერძენი ისტორიკოსის ნიკიფორე გრიგორასის კონცეფციას აზიის ნაწილის სკვითიზაციის თაობაზე[446]. ამ კონცეფციის გათვალისწინების გარეშე კი შეუძლებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების სწორი გააზრება. აფსუა-აბზოას ურთიერთკავშირის დამამტკიცებელი ჩანს ქათიბ ჩელების ზემოთმოტანილი მოსაზრება აფხაზების ყარა აჟდახანის (ასტრახანის) მოსახლეობის შთამომავლებად გამოცხადების შესახებ (აქვე, გვ. 63).

დავუბრუნდეთ პირველწყაროებს. ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს, ფლ.არიანეს მიერ აღწერილ ტერიტორიაზე კოლხებიდან და ლაზთა სამეფოდან დაწყებული ქ.ძველ

---

442 . გ. ალასანია. საქართველო „ჯიჰან ნუმას“ კავკასიის რუკაზე. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1971, №2, გვ. 101.

443 . მ.ინაძე. ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს..., გვ. 162; მისივე: ძველი აფხაზეთის... – მაცნე, 1992, №2, გვ. 58; იხ. ასევე: Н. Берулава. დასახ. ნაშრომი, გვ. 140-141.

444 . მ. ინაძის ვარაუდი I-II საუკუნეთა მიჯნაზე აბზოა//აბაზგების ჩრდილოეთ კავკასიიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესახებ ეწინააღმდეგება მისსავე ვარაუდებს თუ მოსაზრებებს ადრეანტიკურ ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩერქეზულ-ადიღური ტომების მკვიდრობის შესახებ, ასევე მტკიცებას, თითქოს, სტრაბონთან მოხსენიებულ კავკასიელებში (ძვ. წ. II-I სს. მონაცემები) აბაზგ-აფსუათა წინაპრებიც იგულისხმებიან (მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის..., მაცნე, 1992, №1, გვ. 15-16; №2, გვ. 57).

445 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 26, 31, 528; Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии, გვ. 11, 12.

446 . გეორგიკა, ტ. 7. გვ. 124-131; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 221-223; 590-593.

ლაზიკამდე მაინც „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით წარმოდგენილი ქართული მოსახლეობა ვიგულისხმოთ. ამას ადასტურებს IVს. მეორე ნახევრის ავტორი რუფინუს ავიენიუსი, რომელმაც ზიგების სამხრეთ-აღმოსავლეთით მხოლოდ „ენერგიული კოლხები” და „მკაცრი იბერები” დააფიქსირა[447]. მის მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს Vს. ანონიმის ზემოთმოტანილი ცნობა დიოსკურიიდან ჭოროხამდე ადრე კოლხებად ცნობილი, იმჟამად კი ლაზებად სახელდებული ხალხის მკვიდრობის შესახებ (აქვე, გვ. 59). ამით Vს. წყარო აფსილ-აბაზგებს უყოყმანოდ აიგივებს ლაზებთან. ჯერ არიანესთან, შემდგომ Vს. ანონიმთან დასახელებული „ტომები“ და „სამეფოები“ სხვა არაფერია, თუ არა მსხვილი კომპაქტური დასახლებები – თემები თავიანთი ბელადებით. ამ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აგრეთვე Vს. ანონიმის ცნობა „ძველი აქაიიდან“, ვიდრე „ძველ ლაზიკამდე“ და მდ.აქეუნტამდე (შახე) ქართველთა სახლობის შესახებ (აქვე, გვ. 59) მაშინ, როცა მასში აბზოა//აბაზებზე საუბარი არც არის. ამრიგად, პირველი საუკუნეების ეთნოპოლიტიკური სიტუაციის ამსახველი ორი ძირითადი წყარო (არიანე, Vს. ანონიმი) მდ.ენგურიდან მდ.ფსოუმდე მხოლოდ ქართველებს იცნობს. როგორც ვნახეთ, კლ. პტოლემაიოსმაც ბზიფიდან კაპადოკიამდე მხოლოდ ქართველები დაასახელა (აქვე, გვ. 59).

ამ დასკვნას ამყარებს IVს. სხვა ავტორი – აგათანგელოსიც. მის მიერ სომეხთა მოქცევის შესახებ დაწერილი ნაშრომის VII-VIIIსს. რედაქცია, რომელიც შემდეგ არაბულ ენაზე ითარგმნა, 1902წ. ნიკო მარმა სინას მთაზე აღმოაჩინა და მას მიუძღვნა ვრცელი გამოკვლევა „სომეხთა, ქართველთა, აფხაზთა და ალანთა მოქცევა“[448]. დოკუმენტში აბაზგები ლაზების მნიშვნელობით მოიხსენიებიან. ნ.მარის აღიარებითაც „აფხაზებში... აქ, აშკარაა, ლაზები იგულისხმებიან“[449]. აგათანგელოსის ნაშრომის ადრინდელ რედაქციაში „აფხაზ“-ის ნაცვლად მართლაც „ლაზი“ ფიგურირებს[450].

აფსილ-აბაზგებს ცალკე ეროვნებად არ თვლის არცერთი ავტორი, ვისაც მოცემული აქვს ხალხთა გენეალოგიური სქემები. ძველი ლიტერატორები ცდილობდნენ კაცობრიობა ნოეს ძეთა – სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავლებად დაეყოთ და ამ დაყოფაში ყველა ცნობილი ეთნოსისათვის თავისი ადგილი მიეჩინათ. ევსტათი ანტიოქიელთან (280-360წწ.) და იოანე ზონარასთან (XIIს.) იაფეტის მოდგმაში ქართველთაგან მხოლოდ იბერები მოიხსენიებიან[451]; ზონარა იცნობდა აბაზგებს, პრ.კესარიელზე დაყრდნობით, მათი მოქცევის შესახებაც წერდა, მაგრამ გენეალოგიურ სქემაში არ შეიყვანა, ვინაიდან აფხაზებად იბერიელებს მიიჩნევდა.

ბიზანტიელი მწერლები: 334 წელს დაწერილი Liber generationis–ის („მოდგმათა წიგნის”) ავტორი, ეპიფანე კვიპრელი (314-403წწ.), „პასქალური ქრონიკის“ შემდგენელი (630-640წწ.), რომელიც თავის მხრივ იპოლიტე რომაელის (IIIს.) მონაცემებს ეყრდნობა, გიორგი სინგელოზი (VIII-IXსს.), ლეონ გრამატიკოსი (XIს.), გიორგი კედრენე (XIს.) გენეალოგიურ
სქემებში კოლხ-იბერებს, აგრეთვე ხალიბებს, მოსინიკებს, ტიბარენებს, სანებსა და კოლებს მოიხსენიებენ, მაგრამ არა აფსილ-აბაზგებს ან აფხაზებს[452]. მხოლოდ, იოანე ანტიოქიელთან (VIIს.), ნათქვამია, რომ იაფეტს სხვა ტერიტორიებთან ერთად აბაზგების ქვეყანაც ხვდა წილად[453]. ავტორი ამ დროს კოლხ-იბერებს არ ახსენებს. იოანე ანტიოქიელის ნაშრომის ის ფრაგმენტი, რომელშიც გენეალოგიური სქემაა მოცემული, შემორჩენილია მხოლოდ XIVს. ხელნაწერში, რაც სერიოზულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გადამწერი ტერმინ აბაზგიას (აფხაზეთი) სრულიად საქართველოს მნიშვნელობით ხმარობს, როგორც ბევრი სხვა იმდროინდელი ავტორი[454]. ყოველივე ამის შემდეგ მეტი ნდობით უნდა მოვეკიდოთ ლეონტი მროველის ეთნოგენეტურ

---

447 . . . , .II, . 2- . ., 1906, გვ. 358-359.

448 . Записки Восточного Отделения , . 16, . 2-3. ., 1905., . 36-211.

449 . იქვე, გვ. 160.

450 . გეორგიკა, ტ. 1, გვ. 71.

451 . გეორგიკა, ტ. 1, გვ. 35; ტ. 6, გვ. 191.

452 . იქვე, ტ. 1, გვ. 11-20, 39-41; ტ. 4, წ. 1, გვ. 6-9, 61-63; ტ. 5, გვ. 3-4, 10.

453 . იქვე, ტ. 1,გვ. 2.

454 . იქვე, ტ. 7, გვ. 90-91; ტ. 8, გვ. 25-26 და ა. შ.

კონცეფციას[455], რომელიც აფხაზ ერს არ ახსენებს, ხოლო აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიას ეგროსის სამკვიდროდ აცხადებს[456].

როცა ბიზანტიელი ავტორებისათვის კარგად ცნობილი აბაზგი და აფსილი სემის, ქამისა და იაფეტის, ხოლო აფხაზი ლეონტი მროველისეულ თარგამოსიანთა მოდგმაში არ ფიგურირებენ, როცა ისინი სრულიად მიუკერძოებელ ავტორებთან არ ფიქსირდებიან, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ სახელების მატარებელი ცალკე ერები, ხალხები იმ პერიოდში არ არსებობდნენ. ამიტომაც ვერ მოხვდა „აფხაზი“ თუნდაც „პასქალურ ქრონიკაში“, რომელიც დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს მაშინდელი (VIIს.) მსოფლიოს მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის შესახებ. აღნიშნული ქრონიკა ბოსფორიდან ტრაპიზონამდე მაცხოვრებელ ხალხებს შორის იმ დროისათვის უძლიერესი სამთავროს მქონე აბაზგების ნაცვლად კოლხ-იბერებს ასახელებს.[457] აფხაზებს არ ახსენებს XII-XIIIსს. ბიზანტიელი ავტორი ნიკეტა ხონიატე, როცა ჩამოთვლის ქვეშევრდომებს იმპერატორ მანუელ პორფიროგენეტისა (1143-1180წწ.), რომელიც იყო „ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა, ჯიქთა, ხაზართა, გუთთა ღვთივმმართველი“.[458] მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე პირველ საუკუნეებში დასახელებული ხალხები ეთნიკურად ქართულ სამყაროს მიეკუთვნებიან.

ზ.ანჩაბაძე არ იყენებდა ბიზანტიელ მწერალთა ცნობებს ეთნოსთა კლასიფიკაციის შესახებ და აღნიშნავდა, რომ აფსუა-აფხაზთა ინდივიდუალობას ექვთიმე ათონელისა (XI) და XIIIს. ქართველი ანონიმის მიერ შედგენილი ხალხთა სიები ადასტურებენ[459].

ექვთიმე ათონელი ეყრდნობა ეპიფანე კვიპრელისა და სხვა ავტორთა მონაცემებს. იგი მართლაც ამატებს ამ მონაცემებს აფხაზებს, ოსებს, ჯიქებს და ჰერებს; ცალ-ცალკე ასახელებს კოლხებსა და მეგრელებს. XIIIს. ანონიმი ასახელებს ქართველებს, აფხაზებს, სვანებს, მეგრელებს, დვალებს და თუშებს[460]. ზ.ანჩაბაძის აზრით, ქართველ ავტორთა სიებს საფუძვლად უდევს ენობრივი განსხვავება; ამდენად, აფხაზი ამ დოკუმენტებში ვითომ ცალკე ეთნოსად არის წარმოდგენილი[461]. სრულიად საპირისპიროს წერს თვითონ ექვთიმე ათონელი: „ამათ ყოველთა ნათესავთა არა თუ ყოველთა თუისი ენაი აქუს, არამედ მრავალნი ერთითა ენითა ზრახვენ, ხოლო ტომ-ტომადნი და ნათესავ-ნათესავნი აღწერილ არიან“[462]. ნამდვილად არ შეიძლება სხვადასხვა ენების მატარებლებად მივიჩნიოთ დოკუმენტში დასახელებული ქართული თემები. ექვთიმე ათონელი და XIIIს. ანონიმი ტერმინ „ტომს“ ხმარობენ ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობით (აქვე, გვ. 42), ანუ „აფხაზი“ ზემოხსენებულ დოკუმენტებში ქართველი ერის შემადგენელ ნაწილად არის წარმოდგენილი და არა ცალკე ეთნოსად. ადრეულ შუა საუკუნეებამდე აფხაზეთში მოსახლე თემების, მათ შორის აფსილ-აბაზგების ეთნიკურ ვინაობაზე აშკარად მიუთითებენ ქართული ტოპონი-მები[463]. უძველესი მათ შორის გახლავთ ლეგენდარული ეგრისი, რომელიც ეგროსის

---

455 . ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 3-6.

456 . ასეთ მოსაზრებას არ იზიარებს ზ. ანჩაბაძე. იხ.: Из истории средневековой Абхазии, გვ. 222-226.

457 . გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 10.

458 . იქვე, ტ. 6, გვ. 133.

459 . З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 216-217.

460 . კ. კეკელიძე. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულს მწერლობაში (იბერ ენერატიონის-ის ქართული ვერსია). – თსუ-ს შრომები, 1938, VII, გვ. 7, 11, 12.

461 . З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 217-218.

462 . კ.კეკელიძე. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები, გვ. 12.

463 . ვრცლად ამის შესახებ იხ.: პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 145-189; გ.გასვიანი. აფხაზეთი, გვ. 83-134; თ.მიბჩუანი. აფხაზეთის ტოპონიმიკა. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, გვ.154-166; დ.გოგოლაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30; დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, გვ. 108-123; თ.გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 183-200; მისივე: ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების საკითხისათვის. – ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995, №1, გვ. 25-32; აფხაზეთის ქართველური ტოპონიმია: გაგრა. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ.6. თბ., 1996, გვ. 44-49; ტოპონიმ „ტყვარჩელისა“ და ყოჩივარდას მეგრული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის. – ქართველური ონომასტიკა, ტ.1. თბ., 1998, გვ.102-108; ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი).–არტანუჯი, 2000, №10, გვ.87-92; ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ავადჰარა, ოთჰარა. – ქართველოლოგიური კრებული, ტ.1. თბ., 2002, გვ. 34-41; ქართველური ლექსიკა ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელთა მიკროტოპონიმიაში. – არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2002, გვ. 16-18; თ. ვანტსელადზე, ღ. ჩჰანტურია. არტველიან სუბსტრატე ტოპონყმს ინ ბკჰაზია. – უნდ ნივერსიტყ. ჭორკინგ აპერს, 47, უნდ, 1999, გვ. 99-105; პ.ცხადაია, ვ.ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული

სახელს უკავშირდება[464]. მ.ჯანაშვილის მიხედვით, ეს ქალაქი ძვ.წ. XXI საუკუნეშია დაფუძნებული[465]. ძვ.წ. IIIს. I ნახევარში – ფარნავაზ-ქუჯის ხანაში მას ბედია ეწოდებოდა[466].

უძველესი ქალაქია ასევე დიოსკურია[467], რომელიც ძვ.წ. IVსაუკუნიდან (ფსევდო სკილაქს კარიანდელი) ახ.წ. I საუკუნემდე (პლინიუს უფროსი) იხსენიება; I საუკუნიდან მას სებასტოპოლისი ეწოდება, VIII საუკუნიდან – ცხუმი[468]. ფსევდო სკილაქსთან გვხვდება ქ.გიენოსი (ოჩამჩირე), რომელიც იხსენიება აგრეთვე პომპონიუს მელასთან (კიკნოსი) და პლინიუსთან (კიგნუმი). ძვ.წ. II საუკუნიდან იხსენიება ბიჭვინთა//პიტიუნტი, პიტიოტა (არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი)[469]. IV საუკუნიდან არის ცნობილი ზიგანეოსი//გუდაყვა (გუდავა)[470], V საუკუნიდან – კომანი, ასევე მდ. მოქვი[471].

VI საუკუნეში იხსენიება ტრაქეა, ტიბელეოსის//წებელდის ციხე[472], აგრეთვე დარინი[473], ძახარის (ჩხალთის) ციხე, ბუქლოსი//ბუკოლუსი (ქართ. ბოკერი)[474]. VIIს. იერუსალიმელმა მონაზონმა თეოდოსი განგრელმა შემოგვინახა ლაზიკა//ეგრისში გადასახლებული ანასტასი აპოკრისიარის (VIIს.) წერილი, რომელიც შეიცავს ცნობებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ლოკალიზებული არაერთი ქართველური ტოპონიმის შესახებ: სხემარის ციხე, სქიმარი (სქიომარი, ჰიმარი), თუსუმე, მოქვი, ჯიხახორა, ფუსტას ციხე, სკოტორი, სვანიდის ციხე, მუკორისი[475]; ამათგან არცერთს არ ეძებნება აფხაზური ეტიმოლოგია (იხ. აქვე, გვ. 192).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენგურ-ფსოუს მონაკვეთზე გვიან შუა საუკუნეებამდე არ არის დაფიქსირებული არცერთი სხვა ტოპონიმი, რომელიც აფსუა-აფხაზთა ენაზე აიხსნება. ეს ფაქტი გამორიცხავს ამ ტერიტორიაზე არაქართველთა მოსახლეობას. უფრო მეტიც, ტოპონიმიკური მასალა, რომელიც წარმოდგენილია კ.მერეტუკოვის წიგნში - „ადიღეური ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (მ., 1990)[476], თვით ავტორის აღიარებით მრავალ აშკარად ქართულ გეოგრაფიულ სახელს შეიცავს. ეს არის კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი არა მხოლოდ მდ.ფსოუმდე, არამედ მდ.ყუბანამდე ქართველთა გავრცელებისა.

2. ქრისტიანობის გავრცელება

აფხაზეთში ეთნიკურ-პოლიტიკური ვითარების გარკვევაში გვეხმარება I საუკუნიდან ქრისტიანობის გავრცელებისა და თანდათანობით დამკვიდრების ისტორია. ქართული საისტორიო ტრადიციით, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. უფლის ნებითა და

სახელწოდებანი. თბ., 2003; პ.ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა). თბ., 2004, გვ. 166.

464 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 5.

465 . წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 606.

466 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 5.

467 . დიოსკურიის ქართული ეტიმოლოგიის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს ა.ტუღუშს. იხ. მისი: „დიოსკურიში – დედაი წყლისა“ (აია, 1999, №7, გვ. 62-76). მასვე ეკუთვნის გამოკვლევა „ოიკონიმ გაგრა-ს ეტიმოლოგიისათვის“ (აია, 1999, №7, გვ. 77-81.).

468 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 235.

469 . თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 120, 121.

470 . ო.აკიშბაია. გუდავა. თბ., 1998; პლინიუსი ახსენებს მდ. სიგანიას (აქვე, გვ. 57), არიანე– სიგამეს (ნ. კეჭაღმაძის აზრით, ერისწყალი, რომელიც ზიგანეოსთან//გუდავასთან ერთვის შავ ზღვას. იხ.: ფლავიუს არიანე. მოგზაურობა, გვ. 69, 70, 90).

471 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 6; იქვე, ტ. 6, გვ. 187-188; 203-204.

472 . იქვე, ტ. 3, გვ. 160; არიანე ახსენებს სტრობილის (წებელდის?) მწვერვალს (აქვე, გვ. 58); გეორგიკა, ტ. 2, გვ. 159.

473 . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 236-237. ს. ს. ორბელიანთან დარანი განმარტებულია როგორც კლდეში, მიწის ქვეშ სამალავი (ლექსიკონი, ტ. 1, გვ. 197). დარინი მეგრულად საცხოვრისს, სადგომს ნიშნავს. „დარინის გზა“ შეიძლება გავიგოთ როგორც უსაფრთხო (სპარსელებისაგან), სიცოცხლის გზა.

474 . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 85-87, 163; ტ. 4, ნაწ. I, გვ. 42., დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიის..., I, გვ. 122.

475 . გეორგიკა, ტ.4, ნაწ. I, გვ. 42-46, 50-51; მათი ლოკალიზაციის შესახებ იხ. დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, თბ., 1980, გვ. 52-57.

476 . ლექსიკონი დაამუშავებულია მონოგრაფიაში: ზ.რატიანი. წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ., 1995.

ღვთისმშობლის თხოვნით საქართველოში, კონკრეტულად აფხაზეთში მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ჩამოვიდნენ[477]. ეს მოხდა დაახლოებით 30-35 წლებში[478], სხვა მონაცემებით, მოციქულები აფხაზეთში 55წ. იმყოფებოდნენ[479]. მათი მისიონერული მოღვაწეობა აღწერილია X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ექვთიმე ათონელის თხზულებაში „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრიაისა“. მას საფუძვლად უდევს VIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორის ეპიფანე კონსტანტინოპოლელის „ანდრიას ცხოვრება“; იგი, თავის მხრივ, გაცილებით უფრო ადრინდელ ავტორთა (კლემენტი რომაელი, ევაგრე სიცილიელი, ეპიფანე კვიპრელი) ნაშრომებსა და სხვა მასალებს ემყარებოდა[480].

წმ.სიმონ კანანელი (ზილოტი) აფხაზეთში დაიღუპა და, სავარაუდოდ, ჯერ ნიკოფსიაში, მერე კი ანაკოფიაში დაიკრძალა; წმ.ანდრიამ კი მოაქცია „მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკვითედ“[481]. ანანია ჯაფარიძის აზრით, სკვითებში ძალიან ხშირად კოლხ-იბერები იგულისხმებიან[482]. ეპიფანე კვიპრელის ცნობით, წმ.ანდრიამ სკვითები, სოგდიანები და გორსინები, მართლაც, საქართველოს საზღვრებში დამოძღვრა – „დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდ.ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“[483]. წმ.ანდრიას აფხაზეთში ყოფნას ადასტურებს ფუსტელების მოხსენიება; ფუსტა – სვანური უზენაესი ღვთაებაა; გარდა ამისა, დღემდეა შემორჩენილი გადმოცემა თანამედროვე სოხუმის რაიონში ფუსტას სახელის მატარებელი უბნის არსებობის შესახებ[484]. ეპიფანე კვიპრელის მიხედვით, წმ.ანდრიას მოუნათლავს იბერები, სვანები (სუსები, ფუსტელები), ალანებიც; მონათლულთა შორის კი არ ჩანან აფხაზები, თუმცა წყაროების მიხედვით ისინიც განანათლეს მოციქულებმა. I საუკუნეში აფხაზეთი და აფხაზები არენაზე ჯერ არც ჩანდნენ, მაგრამ ქართველი ავტორები ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე, ლეონტი მროველი თავიანთ თანადროულ (XIს.) ტერმინებს იყენებენ. თ. გვანცელაძე ვარაუდობს, რომ ლეონტი მროველს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში მოციქულებთან მიმართებაში თავდაპირველად არ ეწერა „აფხაზეთი“, ხოლო ტექსტში ხშირად ნახმარი „ეგრისი“, „მეგრნი“ და „მეგრელნი“ მთელი დასავლეთ საქართველოსა (ნიკოფსიამდე) და ამ მიწა-წყლის მცხოვრებთა განმაზოგადებელი სახელებია, რომლებსაც შემდგომში იმავე მნიშვნელობით ჩაენაცვლა ტერმინები „აფხაზეთი“, „აფხაზნი“[485].

ქრისტიანობის გავრცელება მხოლოდ მოციქულთა მოღვაწეობით არ შემოიფარგლებოდა. II-IIIსს. ეს პროცესი საქართველოს მთელ შავიზღვისპირეთში მიმდინარეობდა და ლაზიკა-აბაზგიაში გადასახლებულ პირველ ქრისტიანთა წმინდა სახელებს (კლიმენტი პალმოსი, ორენტიოსი ძმებთან ერთად, იოანე ოქროპირი) უკავშირდება[486]. ქრისტიანობის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ რომაელ ჯარისკაცებს, იმპერიის შორეულ გარნიზონებში მომსახურე და მერე სამშობლოში დაბრუნებულ ადგილობრივ ქართველებს. IIს. ბოლოს მცხოვრები ლიონის ეპისკოპოსი ირინეი ადასტურებდა ევერიაში ქრისტიანობის არსებობას[487]. იმ დროისათვის საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში უკვე არსებობდნენ ქრისტიანული თემები[488].

---

477 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 38.

478 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1. თბ., 1996, გვ. 38.

479 . Сказание о Св. Апостоле Симоне Кананите (он же Зилот). М., 1891, გვ. 7.

480 . ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1. თბ., 1946, გვ. 27-28; გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 57-59.

481 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 42-43.

482 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, გვ. 71, 86-102.

483 . გეორგიკა, ტ. 4, ნაწ. I, გვ.57.

484 . გეორგიკა, ტ. 4, ნაწ. I, გვ. 54; თ. მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა. თბ., 1999, გვ. 22. ქართველურ ენობრივ სივრცეში ღვთაების სახელის გამოყენება გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებად საკმაოდ გავრცელებულია. ამ ტიპისაა, მაგალითად, ტოპონიმები: სამება, დალი (დალის ხეობა), მთავარანგელოზი (შდრ. აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიქსირებული თარგელოზი– მთავარანგელოზი) და ა. შ.

485 . თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 40, 44-45.

486 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 47-56.

487 . იქვე, გვ. 51.

488 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, გვ. 133.

ახალი სარწმუნოების გავრცელებას აფხაზეთში დიდად შეუწყო ხელი IVს. პირველ მეოთხედში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ როგორც რომის იმპერიაში, ისე საქართველოში – იბერიაში, ლაზიკაში, ამ უკანასკნელისადმი დაქვემდებარებულ აბაზგიასა და აფსილიაში. წმ.ნინო კაპადოკიელი, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოს განმანათლებელიცაა. Vს. ავტორის გელასი კვიზირელის ცნობით (ეყრდნობა გე-
ლასი კესარიელს), იმპერატორ კონსტანტინე I-ის (306-337წწ.) დროს „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“[489], რასაც იგი „ტყვე დედაკაცის“ – წმ.ნინოს დამსახურებად მიიჩნევდა. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325წ.) ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს, აგრეთვე ტრაპიზონის ეპისკოპოს დომნუსის დასწრება[490] დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს. მთელი ამ რეგიონის მთავარი საეკლესიო ცენტრი იმ პერიოდიდან ვიდრე ჰუნების შემოსევამდე ბიჭვინთა უნდა ყოფილიყო[491]. V საუკუნეში – ვახტანგ გორგასლის ეპოქაში - საქართველო ერთიანია, შესაბამისად ერთიანი იყო ეკლესიაც; იგი მცხეთას ემორჩილებოდა, წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა; კელასურთან საზღვრის გავლების შემდეგ ამ საზღვრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთი, ანანია ჯაფარიძის დასაბუთებული ვარაუდით, სახელმწიფოებრივად და, შესაბამისად, ეკლესიურადაც ბიზანტიის ნაწილი გახდა[492].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობა საკმაო დონეზე იყო გავრცელებული, რაზეც კომანის ეპისკოპოს ვასილისკოს მოღვაწეობაც მიუთითებს. იგი დიდმოწამე თევდორე ტირონის ნათესავი ყოფილა. ვასილისკოს, როგორც ქრისტიანის, წამება დაახლოებით 308წ. მომხდარა. სწორედ ის გამოეცხადა გარდაცვალების წინ იოანე ოქროპირს[493]. წმინდანები ვასილისკო და 407წ. გარდაცვლილი იოანე ერთმანეთის გვერდი-გვერდ იყვნენ კომანში დასაფლავებულნი. აქაური მოსახლეობის სარწმუნოებრივი მდგომარეობის მაჩვენებელია კომანის ეპისკოპოსისა და ადგილობრივი მრევლის თაყვანისცემა იოანე ოქროპირის საფლავისადმი. როცა იმპერატორმა თეოდოსი II-მ (408-450წწ.) წმინდანის კონსტანტინოპოლში გადასვენება გადაწყვიტა (438წ.), კომანის მღვდელმთავრისა და მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ადგილობრივი ქრისტიანები არ თმობდნენ იოანე ოქროპირის ნეშთს; იყო მწუხარება, სევდა და მოთქმა-გოდება; როცა წმინდანის უხრწნელი ნეშთი სარკოფაგიდან ამოასვე-ნეს, შეკრებილი მოსახლეობა სამღვდელოებასთან ერთად მთელი ღამე გალობდა, ანთებული სანთლებით ხელში თაყვანს სცემდა მას. ხალხმა წინააღმდეგობა ბოლომდე მაინც ვერ გასწია და გულამოსკვნილი ტირილით გააცილა იოანე ოქროპირის ნეშთი[494]. უდიდესი სიწმინდე – სარკოფაგი მაშინ კომანში დარჩა და საუკუნეების განმავლობაში მორწმუნეთა თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს[495].

ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბებზე მეტყველებენ ბიჭვინთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილ საკულტო ნაგებობათა (IV-VIსს.) მთელი კომპლექსი უნიკალური ნივთებით; არანაკლებ მნიშვნელოვანი ქრისტიანული განძია აღმოჩენილი წებელდაშიც[496]. აქ მოპოვებული მასალა ადასტურებს წებელდაში მცხოვრები აფსილების შესახებ პრ.კესარიელის ცნობის ჭეშმარიტებას: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ“[497]. ის ფაქტი, რომ

---

489 . გეორგიკა, ტ. I, გვ.186, 245-246.

490 . იქვე, გვ. 1-10.

491 . ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს.). ბათუმი, 2001, გვ. 105; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (თ. ბერაძე), გვ. 105.

492 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, გვ. 16-28.

493 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 56.

494 . - . ., 1898, . 200;
. - ნ., 1902,გვ. 158.

495 . საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, როცა იგი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა (1967-1977 წწ.), წმ. იოანე ოქროპირის სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძარში გადაასვენა და ამით განადგურებას გადაარჩინა. მოგვიანებით იური (გიორგი) ანუასა და ზოია ადამიას ღვთისმოსავმა ოჯახმა კომანის ეკლესია აღადგინა. 1990 წ. 25 ნოემბერს სარკოფაგი ამ ეკლესიაში გადმოასვენეს. მეორე დღეს კომანის ეკლესიაში პირველი ღვთისმსახურება მისმა უწმინდესობამ ილია II-მ ჩაატარა. – მადლი, 1997, 18 სექტემბერი.

496 . შესაბამისი ლიტერატურა იხ.: ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 97, სქ. 88.

497 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 128.

თანამედროვე აფსუა-აფხაზებს საკუთარი ქრისტიანული ტერმინოლოგია არ გააჩნიათ და იგი ლიტერატურული ქართულიდან, ან მისი მეგრული დიალექტიდან აქვთ ნასესხები (აქვე, გვ. 190-192), აფხაზეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებაზე, მათ ქართველობაზე მიუთითებს.

ქრისტიანობის გავრცელება იყო საწინდარი რომთან და ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა, რეგიონის უსაფრთხოებისა, მისი კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურებისა, ქართველთა შემდგომი ეროვნული კონსოლიდაციისა. ამავე დროს იგი ემსახურებოდა პოლიტიკური მიზნების მიღწევასაც – იმპერიის პოზიციების განმტკიცებას ლაზიკაში. ამ მიზნების შესაბამისად ხდებოდა ცალკეული პოლიტიკური ერთეულების
ჩამოყალიბება, შემდგომში ზოგიერთი მათგანის დაწინაურება თუ ჩამოქვეითება, აგრეთვე ქრისტიანული ცენტრების დაფუძნება და მათი რეორგანიზაცია.

3. აფხაზეთი ეგრისის (ლაზიკის) შემადგენლობაში

რთული საერთაშორისო ვითარება თავისებურ გავლენას ახდენდა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. IIIს. შუახანებისათვის გაძლიერებული სასანიდური ირანი თანდათანობით ავიწროებდა რომის იმპერიას, რომელიც შიდა ანარქიამ მოიცვა; ხშირად იცვლებოდნენ იმპერატორები („ჯარისკაცთა იმპერატორების“ პერიოდი 235 წლიდან 284 წლამდე გაგრძელდა); იმპერიას გამოეყო ბრიტანეთი, ესპანეთი, გალია და სირია-ეგვიპტე (პალმირის სამეფო); გახშირდა სხვადასხვა ველურ ტომთა თავდასხმები. IIIს. მეორე ნახევარში უნდა ჩამოყალიბებულიყო ლაზეთის სამეფოც, თუმცა მისი განთავისუფლება უფრო გვიანაა სავარაუდებელი. 50-იან წლებში კოლხეთის სანაპირო გოთებმა დალაშქრეს, თავს დაესხნენ ბიჭვინთას, მაგრამ ადგილობრივმა რომაულმა გარნიზონმა მომხდურები დაამარცხა; მალე გოთები კვლავ გამოჩნდნენ ჯერ ფაზისთან (სადაც ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ), მერე ბიჭვინთასთან, რომელიც აიღეს და პირწმინდად გაძარცვეს, დახოცეს რომაელი ჯარისკაცების[498] უმეტესობა, ნაწილი ტყვედ წაასხეს. გოთებმა ააოხრეს ტრაპიზონიც[499]. IIIს. ბოლოს რომის წინააღმდეგ ბოსფორის სამეფომ გაილაშქრა, აიღო ლაზეთი და მცირე აზიამდე მიაღწია. გ.მელიქიშვილის აზრით, ლაზები მარტო ებრძოდნენ დამპყრობლებს, რომაელები კი, სავარაუდოდ, ლაზეთში უკვე აღარ იყვნენ[500].

IIIს. დასასრული რომის იმპერიისათვის არის გარკვეული სტაბილიზაციისა და დაკარგული პოზიციების აღდგენის პერიოდი. მოხერხდა წართმეული ტერიტორიების ნაწილის ისევ შემოერთება, სხვადასხვა ტომთა შემოტევის მოგერიება, წარმატების მიღწევა ირანთან ომში. იმ პერიოდში იმპერიული ცენტრი ნელ-ნელა აღმოსავლეთისაკენ იწყებს გადმონაცვლებას; ძლიერდება პოზიციები აღმოსავლეთის პროვინციებში. IIIს. ბოლოსათვის აღდგა ბიჭვინთის რომაული გარნიზონი, იგი მალე გაფართოვდა; აქ უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა სახმელეთო თუ საზღვაო ძალების ძირითადი ბირთვი მთავარსარდლობის რეზიდენციითურთ; აღდგა და გაფართოვდა სებასტოპოლისის გარნიზონიც (სავარაუდოდ, ისიც გოთებმა ააოხრეს); IVს. I ნახევარში სავარაუდოა რომაული გარნიზონის კვლავ ჩაყენება ლაზიკაში[501]. თ.ბერაძის აზრით, IVს. 60-იან წლებში ეგრისი უკვე იმპერიის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყანაა[502].

---

498 . რომაული გარნიზონი ბიჭვინთაში 135-152 წწ. შორის ჩადგა (თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 26).
499 . ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 40-42; თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 32-33.
500 . . . . , გვ. 381.
501 . იქვე, გვ. 381, 385.; თ. თოდუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 30-36.
502 . სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 102.

ს. ჯანაშია ლაზიკის თითქმის დამოუკიდებელი სამეფოს შექმნას რომის დასუსტებასა და ირანის გაძლიერებას უკავშირებდა[503]. აუცილებლად არის გასათვალისწინებელი გ.მელიქიშვილის პოზიციაც, რომლის აზრით, ლაზიკის სახით რომს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე კავკასიის ზეკარების დასაცავად, ველურ ტომთა შემოსევების აღსაკვეთად. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდნენ ჰუნები. მათ გაანადგურეს ბოსფორის სამეფო, ალანთა გაერთიანებები, შემოიჭრნენ კავკასიაში, ააოხრეს ბიჭვინთა (IVს. 70-იანი წლები) და ა.შ. ჰუნების შეკავება ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი გარემოება. IVს. დასაწყისიდან დიდი ყურადღება ექცეოდა ქრისტიანობის ფაქტორს, რომელიც რომსა და ლაზიკას შორის სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი საფუძველი ხდება იმ ვითარებაში, როცა ირანთან დაპირისპირების შედეგად ჩამოყალიბებული ძალთა ახალი თანაფარდობა იმპერიას არ აძლევდა ეგრისზე კონტროლის სრულად აღდგენის საშუალებას. რომი თუ არ ეხმარებოდა, თვალს მაინც ხუჭავდა ლაზიკის გაფართოებაზე ჩრდილოეთის მიმართულებით. ამასთანავე, კატეგორიულად მიუღებელია გ.მელიქიშვილისა და სხვა მეცნიერთა მტკიცება II საუკუნეში ლაზების მიერ „მთიელი“ აფშილების, აბაზგების და ასევე სვანების ჩრდილო-დასავლეთით შევიწროების შესახებ[504]. არავითარი გადაადგილება და „ეთნიკური“ საზღვრების შეცვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე არცერთი მიმართულებით წყაროებში არ იხსენიება. მიუხედავად ამისა, ნ.ლომოური წერს: „Vს-ის დასაწყისისათვის, თუ უფრო ადრე არა, ლაზიკის სამეფოს გაძლიერების შედეგად, საზღვარმა ლაზებსა და აფსილებს შორის გადაინაცვლა მდ.კოდორამდე; ლაზებმა შეავიწროვეს აფსილები, ამ უკანასკნელებმა კი – აბაზგები... ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს აბაზგებმაც – მათ დაიკავეს ტერიტორია მდ. გუმისთასა და მდ.ფსოუს შორის. სანიგების განკარგულებაში დარჩა სანაპიროს მონაკვეთი მდინარეების – ფსოუსა და შახეს შორის“[505]. მოკლედ, ლაზების „შეტევის“ შედეგად აფსილები გუმისთამდე გადაადგილებულან; აფსილების მიერ „შევიწროებულ“ აბაზგებს დაუკავებიათ გუმისთა-ფსოუს მონაკვეთი და ა.შ. ორივე „შევიწროებული ტომი“ ბევრად უკეთეს და ბევრად მეტ ტერიტორიას „იკავებს“, ვიდრე „შევიწროებამდე“ ფლობდა. აფსილ-აბაზგთა მთიელებად გამოცხადება არის მიზეზი მსგავსი უსაფუძვლო და ალოგიკური დასკვნებისა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მაშინ ცხოვრობდა რომაელების მიერ ხელოვნურად რამდენიმე „სამეფოდ“ დაყოფილი ერთი ხალხი. ამ ერთეულებს შორის საზღვრების შეცვლა არ იწვევდა არანაირ მასობრივ გადაადგილებებს ერთი შუამდინარეთიდან „აუცილებლად“ მეორე შუამდინარეთამდე. ერთსა და იმავე ადგილას ცალკეული ავტორების მიერ სხვადასხვა „ეთნოსთა“ დასახელება ხაზს უსვამდა მხოლოდ მათ ეთნიკურ იდენტურობას და არ გულისხმობდა აღნიშნულ ტერიტორიაზე წყაროებისთვის უცნობ გადასახლება-გადაადგილებებს. დროა, გავთავისუფლდეთ ამ თავსმოხვეულ იმპერიულ-სეპარატისტული ვერსიებისაგან[506]. სწორი უნდა იყოს თ.მიბჩუანი, რომელიც გაგრა-ბიჭვინთის მონაკვეთზე სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს ჰენიოხების, სანიგების, სუანო-კოლხების, აბაზგების დასახელებას მათი იგივეობით – ქართველობით ხსნის[507]. იგივე სურათი გვაქვს აფხაზეთის სხვა რეგიონებშიც.

IVს. მეორე ნახევრისათვის ლაზიკა მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქით ციხე-გოჯში[508] (არქეოპოლისი). ჩრდილო-დასავლეთით მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა აფსილებზე, აბაზგებზე, სვანებზე, სკვიმნიაზე – ძველი ქართული წყაროების თაკვერზე (რაჭა-ლეჩხუმი), სავარაუდოდ, სანიგებზეც. მათი მთავრები ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ იყვნენ ვასალები ლაზთა მეფისა, რომელიც მათ ამტკიცებდა. აბაზგებს ორი თვისტომი მთავარი ჰყოლიათ; „ამასთან ერთი დაწესებული

---

503 . . . , გვ. 24-25.

504 . . . . , გვ. 383.

505 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 40.

506 . სეპარატისტების მტკიცებით, აფსილები VI საუკუნეში ლაზებმა მდ. ენგურამდე შეავიწროვეს (?!). იხ.: О. Бгажба, С. Лакоба. , გვ. 85.

507 . თ.მიბჩუანი. აფხაზეთის მატ. კულტურის ძეგლები, გვ. 16; მისივე: აფხაზეთის ავტ. რესპ. ისტორია, გვ. 45-46.

508 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. გვ. 555-558.

იყო დასავლეთის ნაწილში, – წერდა პრ.კესარიელი, – ხოლო მეორე – აღმოსავლეთისაში“.[509] ორი მმართველის ყოლა აბაზგიის დაბალი სტატუსის მაჩვენებელია. პრ.კესარიელის მოწმობით, აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან[510]; როგორც ირკვევა, აფშილეთი წარმოადგენდა ლაზიკის უშუალო ნაწილს, მაგრამ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც ლაზთა მეფის დანიშნული მაგისტროსები და სხვა მოხელეები მართავდნენ; აქაურ ციხეებში ლაზური გარნიზონები იდგნენ[511]. თავის მხრივ, ლაზთა მეფეც კონსტანტინოპოლში მტკიცდებოდა; სხვა ვალდებულებები რომაელთა წინაშე მას არ ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კავკასიის ზეკარების დაცვის საერთო ინტერესებს. ამიტომ ამბობდა თეოდორე კვირელი (Vს.): „ბევრმა მიიღო მონობის ლაგამი, მაგრამ დამმონებელთა კანონების მიხედვით ცხოვრება არ შეეძლოთ... არც ლაზები, არც სანები, არც აბაზგები, არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც კი რომაელთა ბატონობას ელოლიავებიან, არ სდებენ ერთმანეთში ხელშეკრულებებს რომაელთა კანონების მიხედვით“[512]. პროკოპი კესარიელი ადასტურებდა, რომ ლაზები კი იყვნენ რომაელების ქვეშევრდომები, მაგრამ „არც ხარკს უხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ, გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“[513]. რომი იცავდა ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა ჰუნები ლაზეთის გავლით რომაელთა მიწა-წყალზე არ შეჭრილიყვნენ. ლაზებს ამ დროს რომაელებთან ერთად ლაშქრობაც კი არ ევალებოდათ. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლებელია, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა, ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“[514]. ეს ცნობაც რომისაგან დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე და სხვა მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებზე ლაზიკის ძალაუფლების გავრცელებაზე მიუთითებს.

Vს. 50-60-იან წლებში წარუმატებლად დასრულდა ლაზეთის მცდელობა ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა; უფრო მეტიც, იმ პერიოდში მან სვანეთზე კონტროლიც დაკარგა[515], რაც, შესაძლოა, ბიზანტიის ნებითა და ხელშეწყობით განხორციელდა. ქართული საისტორიო ტრადიციით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დაახლოებით იმავე პერიოდში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა Vს. შუახანებში ისარგებლა იმ გარემოებით, რომ „მეფე ბერძენთა ლეონ დიდი (457-474წწ. – ავტ.) უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს“, დალაშქრა დასავლეთ საქართველო ვიდრე ციხე-გოჯამდე[516]. წარმატებული აღმოჩნდა ლაშქრობა ბერძენთა წინააღმდეგ, რომელიც ზავით დასრულდა: „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან (ალექსანდრე მაკედონელის დროიდან – ავტ.), რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა. და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“[517]. ეს არის ისტორიული რეალობის შემცველი ლეგენდა, რომელიც ასახავს ბიზანტიის მცდელობას ირანისკენ ტაქტიკური

---

[509] . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 133. დ. ლეთოდიანის აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს ორი სხვადასხვა ერთეულის – სანიგებისა და აბაზგების საერისთავოების არსებობასთან (დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის.., გვ. 145).

[510] . იქვე, გვ. 128, 162-165.

[511] . იქვე, გვ. 162-165; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II,. გვ. 165-166.

[512] . გეორგიკა, ტ. 1, გვ. 226-227.

[513] . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 172.

[514] . იქვე გვ. 50-51.

[515] . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 167-169.

[516] . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 157.

[517] . იქვე, გვ. 177.

მოსაზრებით გადახრილი ლაზიკის დასუსტებისა მისგან აბაზგიის ჩამოცილებით. როგორც ჩანს, V საუკუნეში ეს მიზანი მაინც ვერ იქნა მიღწეული[518].

VIს. პირველ ნახევარში ვითარება გამწვავდა. 523წ. ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა და ეგრისის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა; დასავლეთ საქართველო აფშილეთ-აბაზგიის ჩათვლით ბიზანტია-ირანის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ეტყობა, ეგრისს იმ დროისათვის უკვე ჰქონდა დამყარებული კავშირი ირანთან და, შესაძლოა, გარკვეული ვალდებულებაც ნაკისრი, მაგრამ ბიზანტიის მიერ სასწრაფოდ მიღებულმა ზომებმა მას პოზიცია შეაცვლევინა. 523წ. გარდაცვლილი ეგრისის მეფის ტახტზე ბიზანტიამ იმავე წელს კანონიერი მემკვიდრე წათე აიყვანა; იგი, თურმე, ადრე ქრისტიანობისაგან გამდგარა (ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი ვალდებულება ირანის წინაშე). ამჯერად კი მეფედ დამტკიცების პირობით კვლავ მოინათლა და მეუღლესთან – ბიზანტიელი დიდებულის ასულთან ერთად საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდა. წათეს გაქრისტიანება შაჰმა კავადმა ბიზანტიის მიერ ქვეშევრდომის გადაბირებად შეაფასა. ურჩი „ქვეშევრდომის“ დასჯის საბაბით 528წ. ირანელთა ჯარი ეგრისში შემოიჭრა, მაგრამ იგი ეგრის-ბიზანტიის გაერთიანებულმა ლაშქარმა უკუაქცია და სამეფოს საზღვრებიდან განდევნა[519].

532 წელს ბიზანტია-ირანს შორის დადებული „უვადო ზავის“ საფუძველზე ბიზანტიამ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში საკუთარი გარნიზონები ჩააყენა. სწორედ ამ ჯარების ხელმძღვანელთა თვითნებობამ უბიძგა ლაზებს ირანთან კავშირისაკენ. 542წ. გუბაზ მეფის მოწვეული ირანის ჯარი ეგრისში შემოვიდა და ადგილობრივ ძალებთან ერთად ბიზანტიელთა მთავარი სამხედრო პუნქტი – პეტრა გაათავისუფლა. ბიზანტიელებმა მაშინვე სებასტოპოლისისა და ბიჭვინთის ციხეები თავად დაანგრიეს და იქაურობა სასწრაფოდ დატოვეს. 545-546წწ. ბიზანტიამ და ირანმა ხუთწლიანი ზავი შეკრეს. ამასობაში გუბაზ მეფემ ირანელთა ვერაგობა ვერ აიტანა და ორიენტაცია კვლავ ბიზანტიისაკენ აიღო. 549წ. ირანელები ეგრისიდან განდევნეს. 550წ. მათ სცადეს დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. ირანელთა ახალი ჯარი ნაბედის სარდლობით ბიზანტია-ეგრისისაგან განდგომილ აბაზგიაში ცდილობდა დამკვიდრებას[520].

ამ ისტორიული მოვლენების ფონზე მოხდა აბაზგების მოქცევა. აბაზგიაში ქრისტიანობის გავრცელება და ამასთან დაკავშირებული ამბები 542-548 წლებში თავსდება[521]. აბაზგთა მოქცევა და მათთვის ტაძრის აშენება[522], აგრეთვე ფაზისის სამიტროპოლიტოს შექმნა[523], VI ს.შუახანებში სებასტოპოლისის ეპარქიის დაფუძნება, V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (კონსტანტინოპოლი, 533წ. მაისი) მისი მღვდელმთავრის მიწვევა[524], სარწმუნოებრივი ხასიათის სხვა ღონისძიებები[525] პირდაპირ უკავშირდება ბიზანტია-ირანის დაპირისპირებას რეგიონში და ემსახურება დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოზიციების განმტკიცებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებს. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ არასაიმედო ლაზიკის დასუსტებას, მისგან აბაზგიის ჩამოცილებას, ერთმორწმუნე, მორჩილი პოლიტიკური ერთეულის შექმნას, კავკასიის კარების ჩაკეტვას და ა.შ. აბაზგიის გაქრისტიანებასთან ერთად მთავრებს აეკრძალათ ყმაწვილების დასაჭურისება, რამაც მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მალე აბაზგებმა გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ და

---

518 . წყაროებიდან არ ჩანს, რომ აბაზგია V ს. ჩამოსცილდა ლაზიკას, როგორც წერდა ა. ბოგვერაძე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 258). ეს მოხდა შედარებით გვიან (აქვე, გვ. 83).

519 . სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (თ. ბერაძე), გვ. 107-108.

520 . იქვე, გვ. 109-112.

521 . დ. ლეთოდიანი. ძიებანი. თბ., 2003, გვ. 121.

522 . მ.ურიდიას გამოუქვეყნებელი წერილის მიხედვით, იუსტინიანე I-მა აბაზგებისათვის ტაძარი ააშენა ლიხნში, სადაც რომაული სტილის უძველესი ეკლესიის ნაშთებია აღმოჩენილი. სხვა მოსაზრებები იხ.: ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 71-72.

523 . ბ. კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.). საკანდ. დის. თბ., 2002, გვ. 12, 13.

524 . ბ. დიასამიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 157; ბ. კუდავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 14. სებასტოპოლისის ეპისკოპოსის V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დასწრების ფაქტს საეჭვოდ მიიჩნევს ანანია ჯაფარიძე. – იხ. მისი: მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით. თბ., 2003, გვ.11.

525 . ბ. დიასამიძის აზრით, VI ს. 60-70-ნ წლებში მოხდა სებასტოპოლისის ეპისკოპოსის აყვანა არქიეპისკოპოსის ხარისხში, ამ გზით ბიჭვინთის საეპისკოპოსოსათვის პირველობის ჩამორთმევა, ბიზანტია-ირანის გაჭიანურებული ომის პირობებში ერთგული და ძლიერი მხარდამჭერის შეძენა.

მოსპეს მეფობა, მაგრამ რომაელთა მიერ შემოღებული წესები კიდევ უფრო აუტანელი აღმოჩნდა. ისინი განუდგნენ რომაელებსაც და ლაზებსაც. „იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, – წერდა პრ.კესარიელი, – მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“[526]. თ.ბერაძის ვარაუდით, ამაში ეგრისის მეფის ხელიც ერია, რასაც ადასტურებდა აღმოსავლეთ აფხაზეთში ოფსიტეს – გუბაზ II-ის ბიძის გამთავრება; ეგრისის სამეფო სახლის ამ წარმომადგენლის შთამომავლები იყვნენ, – ფიქრობს თ.ბერაძე, – აფხაზთა ერისთავები, რომლებსაც ლეგიტიმური უფლება ჰქონდათ ეგრისზე[527]. საყურადღებო მოსაზრებაა.

აბაზგებმა არა მარტო მთავრები დაიყენეს ხელახლა, არამედ ფარულად სპარსელებს მიეკედლნენ (მათთან მოსალაპარაკებლად სკეპარნა გაემგზავრა), რაც მალე გამომჟღავნდა და იუსტინიანეს განრისხება გამოიწვია. აბაზგთა წინააღმდეგ 550წ. მან დიდძალი ჯარი გამოგზავნა ბესსას მეთაურობით. გადამწყვეტი ბრძოლები ტრაქეას (ახალ ათონთან თუ გაგრასთან) ციხის მიდამოებში გაიმართა. რომაელები სასტიკად გაუსწორდნენ აბაზგებს; ოფსიტემ გაქცევა მოახერხა და თავი ჰუნებს შეაფარა; დანარჩენები კი, – წერდა პრ. კესარიელი, – ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობითურთ, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს. ასე დასრულდა აბაზგების განდგომა“[528].

იმავე ხანებში (552წ.) მოხდა აფსილების განდგომაც. ლაზთა მეფე გუბაზთან დაპირისპირებულმა აფშილეთის მაგისტროსმა, წარჩინებულმა ლაზმა თერდეტმა[529] წებელის ციხე სპარსელებს ჩააბარა. მაშველი ძალა არსაიდან ჩანდა, რომაელები და ლაზები პეტრასთან ირანელების წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი. ინიციატივა თავის თავზე აიღო ციხის უფროსმა, რომელმაც ვერ აიტანა ირანელთა ჯარის მეთაურის მხრიდან მისი აფშილი მეუღლის შეურაცხყოფა და ციხეში შემოსული სპარსელები ღამით ერთიანად ამოწყვიტა. ამის შემდეგ აფშილები „კოლხებს გადაუდგნენ და ამბობდნენ, რომ კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც ისინი სპარსელების მხრით განსაცდელში იყვნენ ჩაყენებული, მაგრამ გუბაზმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ ათასი რომაელი და იოანე თომას ძე... მან თავი მოუქონა მათ და უბრძოლველად შეძლო დამორჩილება და ისინი კვლავ ლაზთა ქვეშევრდომები გახდნენ“[530]. ეგრისელებმა და რომაელებმა ირანელები აფხაზეთიდან მთლიანად განდევნეს.

დაპირისპირება ორ დიდ სახელმწიფოს შორის ამით არ დასრულებულა. ბიზანტიელებმა მიწასთან გაასწორეს პეტრას ციხე-სიმაგრე, მისი მცველი ირანელები კი ერთიანად ამოხოცეს; სასტიკი მარცხი განიცადა ირანელთა ჯარმა არქეოპოლისთან, მაგრამ მოახერხა ქუთაისში გამაგრება. 552 წელს დადებული ხუთწლიანი ზავით მხოლოდ ირანელებმა ისარგებლეს. ერთმა წარჩინებულმა ლაზმა მათ უქიმერიონის ციხე ჩააბარა, რის შემდეგაც ლეჩხუმი და სვანეთიც ირანელთა ხელში გადავიდა. მათ დაიკავეს აგრეთვე ტელეფისის ციხე (ტოლების მიდამოებში).

გუბაზ მეფე, რომელიც ბიზანტიელთა ერთგული დარჩა, კეისარს მისი სარდლების სამარცხვინო საქციელის შესახებ აცნობებდა, რაც გახდა მიზეზი მეფის ვერაგული მკვლელობისა (554წ.). აღშფოთებულმა ლაზებმა თათბირის შემდეგ მაინც ბიზანტიასთან კავშირი არჩიეს იმ პირობით, რომ გუბაზის მკვლელები სასტიკად დაისჯებოდნენ. კეისარმა ლაზთა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ახალი მეფე წათე II პატივით გამოისტუმრეს სამშობლოში. საშინაო საკითხებში იგი მთლიანად დამოუკიდებელი იყო[531].

---

526 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 156, 157.

527 . სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 112; ს. ყაუხჩიშვილის აზრით, გუბაზ მეფის ბიძა ოფსიტე და აფხაზეთის ერთ-ერთი მმართველი ოფსიტე სხვადასხვა პიროვნებები არიან. – გეორგიკა, ტ. 2, გვ. 156.

528 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 161.

529 . სეპარატისტები მკითხველებს უმალავენ, რომ თერდეტი იყო არა უბრალოდ „ლაზი წარჩინებული, რომელსაც კარგად იცნობდნენ აფსილები“ (. , . . , გვ. 88.), არამედ ამ მხარის მმართველი.

530 . გეორგიკა, ტ. 2, გვ. 164-165.

531 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 259-265; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (თ. ბერაძე), გვ. 113-115.

ბიზანტიელმა სარდალმა სოტერიქემ, რომელიც წათეს კონსტანტინოპოლიდან გამოაყოლეს, თავისი საქციელით მისიმიელთა თემი ააჯანყა. დადგენილია, რომ ეს თემი აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, კოდორის ხეობაში ცხოვრობდა; ეჭვს არ იწვევს მისი სვანური წარმომავლობაც[532]. როგორც აგათია სქოლასტიკოსი წერდა, მისიმიანები „კოლხთა ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ. ისინი ამ აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“[533]. აფშილებისგან განსხვავებული ენა – სვანური მეტყველებაა, ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე კი – კოდორის ხეობა.

555წ. ბუქლოსის ციხეში ჩასული სოტერიქე მოკავშირე კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლებს ფულს ურიგებდა. მისიმიელებმა იფიქრეს, რომ ბიზანტიელ სარდალს ამ ციხის ალანებისათვის გადაცემა სურდა, ამიტომ დელეგაცია მიუგზავნეს და იქაურობის დატოვება მოსთხოვეს. სოტერიქემ დელეგაციის წევრები აცემინა, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა მთელ თემს. აღელვებული მოსახლეობა ღამით ბიზანტიელთა ბანაკში შეიჭრა და ყველა დახოცა, წაიღო იარაღი და ფული. იმავდროულად, მისიმიელებმა დახმარებისათვის იბერიაში მყოფ ირანელებს მიმართეს, თავის მხრივაც მხარდაჭერა აღუთქვეს. „ჩვენი ქვეყანა მდებარეობს კოლხეთის ზემოთ, ის თქვენ სანდო საყრდენ ადგილად გამოგადგებათ და მტრის წინააღმდეგ სასიმაგრო ფარად“[534]., – განუცხადა მისიმიელთა დელეგაციამ ირანელ სარდალს. ეს ყოველივე მაშინვე გახდა ცნობილი ბიზანტიელებისათვის. მათ ჯერ ნახორაგანის (ვინც მიიღო მისიმიელთა დელეგაცია) სარდლობით ეგრისში შემოჭრილი ირანელთა ჯარი დაამარცხეს და დაიწყეს მზადება მისიმიანეთის დასალაშქრავად. ირანელთა გააქტიურებასთან დაკავშირებით, გაზაფხულისათვის დაგეგმილი ოპერაციის განხორციელება ზამთრის დადგომამდე ვერ მოხერხდა. ბიზანტიელთა ლაშქარი თავიდან აფშილეთში ჩავიდა; იქიდან მისიმიელებს ელჩები (აფშილები) გაუგზავნეს და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება შესთავაზეს. ეს წინადადება არ იქნა მიღებული; უფრო მეტიც, მისიმიელებმა ელჩებიც დახოცეს. მიუხედავად მისიმიელთა მხრიდან მედგარი წინააღმდეგობისა და თავდადებისა, ბიზანტიელები სასტიკად გაუსწორდნენ ამბოხებულებს, დახოცეს 5 ათასამდე ვაჟკაცი, უფრო მეტი ქალი და კიდევ უფრო მეტი ბავშვი[535]. ამის შემდეგ ბიზანტიელებმა წამოიყვანეს მძევლები, დაიბრუნეს გატაცებული ფული და დიდძალი ნადავლით უკან გაბრუნდნენ; მისიმიელებს კი უფლება მისცეს, „კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში
და ძველებური ცხოვრება გაეგრძელებინათ“[536]. მისიმიელთა ქართული თემი ბიზანტიელთა მიერ ჩადენილი ბარბაროსობის შედეგად დასუსტდა და VIIIს. შუახანების შემდეგ ისტორიულ არენაზე არ ჩანს. სავარაუდოდ, მათ კიდევ უფრო ჩრდილოეთით, სვანეთისაკენ გადაიწიეს და უსაფრთხო ადგილებში დასახლდნენ. ადგილზე დარჩენილებმა XVIIს. ბოლოდან აფსუიზაცია განიცადეს და მოგვიანებით მუჰაჯირებად იქცნენ.

562 წელს „დიდი ომიანობა ეგრისში“ დასრულდა ოცწლიანი ზავით. დასავლეთ საქართველოში ირანელები მხოლოდ სვანეთში რჩებოდნენ. 575 წელს ბიზანტია-ეგრისის ჯარმა ირანული ორიენტაციის სვანეთის მთავარი დაატყვევა, რის შემდეგაც სპარსელებმა მთლიანად ამოიკვეთეს ფეხი ეგრისის სამეფოდან[537]. ეგრისში, რომლის ქვეშევრდომებად კვლავ რჩებოდნენ აფშილეთი, მისიმიანეთი და აბაზგია (ყველანი ერთად კი – ბიზანტიის გავლენის სფეროში) დროებით მშვიდობიანობამ დაისადგურა. ზ.ანჩაბაძის მტკიცებით, აბაზგია VIს. შუახანებიდან უშუალოდ ბიზანტიას ექვემდებარებოდა, აფშილეთი და მისიმიანეთი კი ლაზიკის ვასალებად რჩებოდნენ[538].

---

532 . ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. – თსუ-ს შრომები, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 277-280; თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 128-143; გ. გასვიანი. ვინ იყვნენ მისიმიანები. – ცხუმი, 1990, №3, გვ. 23-42. და ა.შ.

533 . გეორგიკა, ტ. 3, გვ. 86.

534 . იქვე, გვ. 155.

535 . იქვე, გვ. 156-157, 160-174.

536 . იქვე, გვ. 174.

537 . სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (თ. ბერაძე), გვ. 117.

538 . . . ..., გვ. 48, 49.

უფრო სწორი უნდა იყოს პ.ინგოროყვას მოსაზრება VIს. პირველ ნახევარში ლაზეთის სამეფოსაგან აბაზგიის გამოყოფის მხოლოდ მცდელობის შესახებ. ეკლესიური გამიჯვნაც ბოლომდე ვერ განხორციელდა[539]; პოლიტიკურად აბაზგია „ერთგვარად განკერძოებულ ადგილს იჭერს ლაზეთის მხარეთა შემადგენლობაში. იგი თუმცა ლაზეთის ქვეყნის ნაწილად ითვლება (და მოსახლეობის შემადგენლობითაც ქართულია), მაგრამ პოლიტიკური გავლენა ბიზანტიისა აქ უფრო ძლიერია, ვიდრე ლაზეთის სხვა მხარეებში. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა მე-6 საუკუნეში და გაგრძელებულა მე-7-8 საუკუნეშიც“[540]. პ.ინგოროყვას ამ მოსაზრების ბოლო ნაწილი მეტ დასაბუთებას და დაკონკრეტებას მოითხოვს ისევე, როგორც მტკიცება VIს. მეორე ნახევარში ლაზეთში მეფობის გაუქმების შესახებ[541]. მეფობის გაუქმება და ლაზიკისგან აბაზგიის გამოყოფა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობეს.

VIIს. დასაწყისში, 604 წელს ირანმა საბაბად გამოიყენა კონსტანტინოპოლში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, განაახლა საომარი მოქმედებები და მოკლე ხანში ბიზანტიას გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა, დაიპყრო მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი. მძიმე მდგომარეობიდან იმპერიის გამოყვანის მიზნით სენატმა საიმპერატორო ტახტზე ენერგიული მმართველი ჰერაკლე (610-641წწ.) აიყვანა. VIIს. 20-იან წლებში მან გადაწყვიტა იერიში მიეტანა ირანზე. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ერთხანს იბერია, ლაზიკა და აბაზგიაც მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ მხარი არ დაუჭერიათ ირანში შეჭრის ჰერაკლესეული გეგმისათვის, ხოლო როცა სპარსელთა ჯარი კეისარს წამოწია და კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, ლაზებსა და აბაზგებს უარი უთქვამთ მოკავშირეობაზე და შინისაკენ გაბრუნებულან[542]. ეს ფაქტი ცხადად მეტყველებს ქართული პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალ ხარისხზე.

ირანთან ომში ბიზანტიას უფრო საიმედო და ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. ასეთი აღმოჩნდა ხაზარეთი, რომლის დახმარებით ჰერაკლე კეისარმა 627-628წწ. დაამარცხა ირანი და მთელ ამიერკავკასიაზე დიდი ხნით ბიზანტიელთა ჰეგემონია დაამყარა[543]. ბიზანტიამ სწორედ VIIს. 20-იან წლებში აბაზგია გამოიყვანა ლაზიკის სამეფოს დაქვემდებარებიდან, დაიმორჩილა უშუალოდ და ანაკოფიაში დასვა თავისი არქონტი – ქართული წყაროების „აფხაზეთის ერისთავი“[544]. იმავე პერიოდში უნდა მომხდარიყო ეკლესიური გამიჯვნაც, რასაც ადასტურებს ჰერაკლეს მმართველობის დროს შედგენილი I ნოტიცია – კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრათა ნუსხები. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ჯიქეთის ეპარქიაში შემავალი ნიკოფსიის ავტოკეფალური

საარქიეპისკოპოსო, აბაზგიის ეპარქიაში შემავალი სებასტოპოლისის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ლაზიკის (ფაზისის სამიტროპოლიტო) ეპარქიაში შემავალი ზიგანევის (გუდავის) საეპისკოპოსო[545]. აბაზგიის ეპარქია მოიცავდა აფშილეთსაც, რომლის მთავარ ქალაქ სებასტოპოლისში იყო განლაგებული ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო.

იმჟამინდელი „ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო“ თანამედროვე გაგებით სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობას არ ნიშნავდა, როგორც ეს ე.აჯინჯალს წარმოუდგენია, არამედ უშუალოდ კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ცენტრს, რომლის დამოუკიდებლობა იყო ფორმალური, რეალურ შინაარსს მოკლებული.

---

539 . ბ. კუდავას აზრით, სებასტოპოლისის საეპისკოპოსო ფაზისის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა (ბ. კუდავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 185-187.)

540 . პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

541 . იქვე, გვ. 191.

542 . . . , გვ. 36-37; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 379-380.

543 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 281-283.

544 . . . , გვ. 37; Д. Мусхелишвили. Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – Разыскания по истории Абхазии/Грузия, გვ. 125.

545 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 79, 100 (სქოლიო 137). ბ. დიასამიძე სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოდ გარდაქმნას VI ს. 70-იან წლებში ვარაუდობს (ბ.დიასამიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 161).

ასე ესმის „ავტოკეფალია“ მეორე აფხაზ მკვლევარს დ.დბარს[546]. სებასტოპოლისის ავ-ტოკეფალური საარქიეპისკოპოსოს დაფუძნება განაპირობა, ალბათ, იმ გარემოებამ, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ (აბაზგია და ლაზიკის შემადგენლობაში შემავალი აფშილეთი) პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ ერთეულზე; როგორც იმპერიის ინტერესების გამომხატველი და დამცველი, ის იყო დამოუკიდებელი, სავარაუდოდ, არა მხოლოდ ფაზისის სამიტროპოლიტოსაგან[547], არამედ ბიზანტიისათვის ნაკლებად სანდო აბაზგია-ეგრისის მმართველთაგანაც. ეტყობა, ეს უკანასკნელი ფაქტორი (საერო მმართველებისაგან დამოუკიდებლობა) ძალიან მნიშვ-ნელოვან როლს თამაშობდა. ამან განაპირობა, ალბათ, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ავტოკეფალურ საეპისკოპოსოთა სიმრავლე. მხოლოდ ჯიქეთის ეპარქიაში სამი (ხერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიის), მთლიანად კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში კი 41 ასეთი კათედრა იმყოფებოდა[548]. აშკარაა მათი კავშირი იმპერიის პოლიტიკურ მიზნებთან და ამოცანებთან.

არსებობს მოსაზრება, რომ კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული და ბიზანტიის ინტერესების სამსახურში მყოფი კათედრების პარალელურად არსებობდნენ ად-გილობრივი ქართული საეკლესიო ცენტრებიც[549]. ეკლესიური გაუცხოება, შესაძლოა, დაიწყო უკვე VIIს., როცა იმპერიაში იმძლავრეს მონოთელიტებმა, როცა თანამოაზ-რეებთან ერთად ლაზიკაში გადასახლებული ამ მიმდინარეობის მთავარი მოწინააღმ-დეგე მაქსიმე აღმსარებელი 662წ. საქართველოში გარდაიცვალა და ლეჩხუმში დაიკრძალა[550]. ეს გაუცხოება კიდევ უფრო გაღრმავდა ე.წ. ხატმებრძოლობის პერიოდში (VIIIს. 20-იანი – IXს. 40-იანი წლები) და საქმე განხეთქილებამდეც მივიდა. ანანია ჯაფარიძის აზრით, უკვე VIIIს. I ნახევარში დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიას გამოეყო. ამასთან იგი ეყრდნობა 1669-1702წწ. იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეოსის ასეთ ცნობას: „ერეკლეს შემდეგ (610-641წწ. – ავტ.) ლევ ისავროსამდე (717-741წწ. – ავტ.) ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რომელი იმპერატორის დროს და რომელ კრებაზე მიანიჭეს მას ავტოკეფალია. ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა“[551]. ანტიოქიის პატრიარქ მაკარის (1648-1672 წწ.) მიხედვით, ქართველთა პირველი კათალიკოსის – იოანეს კურთხევა (რომელსაც ტახტი აფხაზთა ქვეყანაში ედგა) მოხდა თეოფილაქტე ანტიოქიელის დროს[552]. ვ.გოილაძე ამტკიცებს, რომ 744-750წწ. ანტიოქიაში ხელდასხმული იოანე ნამდვილად იყო დასავლეთ საქართველოს პირველი კათალიკოსი[553]. აფხაზთა სამეფოს შექმნამდე იგი, სავარაუდოდ, ბიჭვინთის კათალიკოსის ტიტულს ატარებდა და იმთავითვე გამიჯნული იყო კონსტანინოპოლის საპატრიარქოსაგან. ბიჭვინთის კათედრა აბაზგიის გაძლიერებასთან ერთად ვითარდებოდა როგორც ხატმებრძოლობის საპირწონე მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო ცენტრი. სავსებით დამსახურებულად იქცა იგი დასავლეთ საქართველოს

საკათალიკოსო კათედრად. 758წ. სწორედ ბიჭვინთაში მოხდა გუთელი ეპისკოპოსის ხელდასხმაც.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გაერთიანება, მისი გამიჯვნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან[554] წინ უსწრებდა მთელი ამ რეგიონის პოლიტიკურ გაერთიანებას, იმპერიისაგან გამოყოფას და სახელმწიფოებრივი

---

546 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 4-5 (დ. დბარის წინასიტყვაობა), 85-87.

547 . ანანია ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ფაზისის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოებიც (იხ. მისი: მსოფლიო საეკლესიო კრებები, გვ. 25-27).

548 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 81.

549 . იქვე, გვ. 88-89.

550 . ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 749.

551 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 2. თბ., 1999, გვ. 90-91.

552 . არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., 1932, გვ. 89-90.

553 . ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ, 1991, გვ. 169-178. ვ. გოილაძის მოსაზრებას არ იზიარებს ბ. კუდავა (დასახ. ნაშრომი, გვ. 135).

554 . აფხაზეთის საკათალიკოსოს VIII ს. შუახანებში ჩამოყალიბების შესახებ მოსაზრებებს იზიარებს დ. დბარი (. . დასახ. ნაშრომი, გვ. 5-8).

დამოუკიდებლობის მოპოვებას. დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის არსებობა ხელს უწყობდა ერის კონსოლიდაციას, ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აღდგენა – ეროვნული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას. ეს ყოველივე კი უთუოდ თამაშობდა კატალიზატორის როლს პოლიტიკური პროცესების დაჩქარების საქმეში.

VIIს. შუახანებსა და მეორე ნახევარში აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების თაობაზე წარმოდგენას გვიქმნის იერუსალიმელი მონაზონი თეოდოსი განგრელი, რომლის თხზულებაში ავტორის მოგონებებთან (668-669წწ.) ერთად შეტანილია 662წ. ლაზეთში გადასახლებული ბიზანტიელი მოაზროვნისა და ღვთისმეტყველის მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობების შემცველი ანასტასი აპოკრისიარის (მაქსიმესთან ერთად იყო ლაზეთში გადასახლებული) წერილი[555]. მისგან ვიგებთ, რომ ლაზიკა და აბაზგია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ბიზანტიის დაქვემდებარებაში მოქცეული პოლიტიკური ერთეულებია; მათ არ ჰყოლიათ მეფეები და კონსტანტინოპოლიდან დანიშნული პატრიკიოსების მიერ იმართებოდნენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი აფშილეთისა (მდ.კელასურიდან მდ.გუმისთამდე თუ ანაკოფიამდე) და მისიმიანეთის (კოდორის ხეობა) ჩათვლით ლაზიკის შემადგენლობაშია (საკუთრივ ლაზიკის საზღვრები კელასურამდე აღწევდა). აშკარად ჩანს აბაზგიის დაწინაურების ტენდენციაც. ლაზიკის დამხობილი მთავრები აბაზგიაში გარბიან; იქ მიღებული რჩევებისა და მხარდაჭერის წყალობით ერთ-ერთმა დროებით პატივიც დაიბრუნა. ლაზიკა და აბაზგია ქრისტესმოყვარე ქვეყნებია; ქრისტესმოყვარენი არიან აბაზგიის მმართველებიც. ლაზიკის მმართველი გრიგოლი მოიხსენიება როგორც „ღვთივდაცული პატრიკიოსი და მაგისტროსი“, რომლის პირველი სახლი ჯიხახორაში (თანამედროვე ოჩამჩირის თუ გულრიფშის რ-ნში) მდებარეობდა; ცნობილი ხდება ლაზიკის კიდევ ერთი მმართველის – ლებარნიკიოსის სახელი, რომელსაც თეოდოსი განგრელი პირადად ესაუბრა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზიკის, განსაკუთრებით აბაზგიის მმართველები კეთილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ გადასახლებულთა მიმართ; ამით ისინი ეურჩებოდნენ ბიზანტიის მონოთელიტურ საერო ხელისუფლებას და ასევე კონსტანტინოპოლის მონოთელიტურ საპატრიარქოს.

VIIს. შუახანებიდან საქართველო ახალი – არაბული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა; საუკუნის ბოლოსათვის მუჰამედის მიმდევრებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქართლში. 697 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე ბიზანტიელებს აუჯანყდა და ქვეყანა არაბებს გადასცა. VIIIს. დასაწყისში არაბების ხელში აღმოჩნდა მთელი დასავლეთ საქართველო აბაზგიისა და კოდორის ხეობის ჩათვლით[556]. ბიზანტიამ სცადა დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნა და რეგიონზე კონტროლის აღდგენა. ამ მიზნით კეისარმა ვარდან ფილიპიკოსმა (711-713წწ.) ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ III-ს (710-738წწ.) ეგრისის (დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის ჩათვლით) ერისმთავრობაც უბოძა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა[557]. 712 წელს სტეფანოზ III და მისი უფროსი ვაჟი მირი გადავიდნენ ეგრისში, სადაც ბიზანტიელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ციხე-გოჯის არაბთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 714წ. შემოდგომაზე დარუბანდის გავლით ხაზარეთიდან მობრუნებული არაბი სარდალი მასლამა იბნ აბდ-ალ-მალიქი სტეფანოზის დასჯის მიზნით უზარმაზარი ლაშქრით ჯერ ქართლში, შემდეგ კი ეგრისში შეიჭრა. ბიზანტიელები და იბერები იძულებულნი გახდნენ მოეხსნათ ალყა ციხე-გოჯისათვის. ბიზანტიელთა ძალებმა ფაზისისაკენ დაიხიეს, მირმა და არჩილმა (რომელიც ასევე გამოექცა ქართლში შემოსულ მასლამას) თავი აფხაზეთს შეაფარეს და ანაკოფიაში გამაგრდნენ. აქ მოსული არაბთა ლაშქარი ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს. სტეფანოზ III ამ დროს, როგორც თ.ბერაძე და მ.სანაძე

---

555 . გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 38-56.

556 . . ა. , გვ. 38; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 285-288.

557 . დასავლეთ საქართველოში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიის, სტეფანოზ III-ის, არჩილის, მირისა და აფხაზეთის მთავრის ლეონ I-ის მოღვაწეობის გაშუქებისას ვეყრდნობით მ.სანაძისა და თ.ბერაძის ახალ, ყოველმხრივ დასაბუთებულ მოსაზრებებს (მ.სანაძე. ერისმთავრები არჩილი და მირი და „ქართლის ცხოვრება“. – მესხეთი, 2001, IV, გვ. 71-88; თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. თბ., 2003, გვ. 97-99; მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII ს.-ს I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. – ქართული წყაროთმცოდნეობა, 2004, X, გვ. 70-81).

ვარაუდობენ, ცოცხალია და იმყოფება შვილებთან (რაც ნაკლებ სავარაუდოა), ან ფაზისში – ბიზანტიელთა ბანაკში.

სტეფანოზისა და მისი ვაჟების ეგრისში მოღვაწეობის პირველი პერიოდის ზუსტმა დათარიღებამ და იმ არაბი სარდლის ვინაობის გარკვევამ (მასლამა), რომელთანაც 714წ. ქართველებს ბრძოლა მოუხდათ, თ.ბერაძეს და მ.სანაძეს საშუალება მისცა სხვადასხვა წყაროთა (მოსე კალანკატვაცის „ალვანთა ისტორია“, მირისა და არჩილის ცხოვრების ამსახველი „ქრონიკა“, ატენის წარწერები, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები) შეჯერებით დაედგინათ დასავლეთ საქართველოში არაბთა ორგზის – ჯერ მასლამას (714წ.), შემდგომში კი მურვან ყრუს (738წ.) სარდლობით - ლაშქრობის ფაქტი, აგრეთვე იუსტინიანე მეორის (705-711წწ.) ელჩის ლეონ სპათარის (ბიზანტიის კეისარი 717-741 წლებში ლეონ III ისავრიელი) ეგრისსა და ალანიაში ყოფნის ვადები – 711-714წწ. ლეონ სპათარს კეისრისაგან დავალებული ჰქონდა ალანების მოსყიდვა და წაქეზება აბაზგიის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც[558], – გვამცნობს თეოფანე ჟამთააღმწერელი (760-818წწ.). ალანები მართლაც შეიჭრნენ კოდორის ხეობაში და დიდძალი ნადავლით უკან დაბრუნდნენ. აბაზგთა მცდელობა, ხელში ჩაეგდოთ ლევ ისავრიელი ალანებისათვის გაგზავნილი „დიდძალი საჩუქრის“ ფასად, ალანთა ახალი შემოსევით, აბაზგიის დარბევითა და გაძარცვით დასრულდა. ამის შემდეგ აბაზგებმა სიამოვნებით მიიღეს იუსტინიანე II-ის წინადადება მისი ელჩის მათ ტერიტორიაზე უვნებლად გატარების შესახებ; „სამაგიეროდ ყველა თქვენს შეცოდებას გაპატიებთო“[559], – შემოთვალა კეისარმა. ლევ ისავრიელი არ ენდო აბაზგებს და მხოლოდ „აფსილთა შორის უპირველესის“ – მარინეს (მარიანეს) მეშვეობით სამშვიდობოს გააღწია. გზაში მან მოახერხა ხელში ჩაეგდო ეგრეთწოდებული „რკინის ციხე“, „სადაც მცველად იჯდა ვინმე ფარასმანი, სარკინოზთაგან დაყენებული“[560]. ლეონ ისავრიელმა დაიკავა და დაარბია ეს ციხე, ამის შემდეგ მარიანეს ხელშეწყობით აფშილეთიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მას თან გააყოლეს არაბებზე გამარჯვების მაუწყებელი მოციქულიც. იმ პერიოდისათვის იუსტინიანე II უკვე მოეკლათ (711წ.), ფილიპიკე დაებრმავებინათ (713წ.) და არტემი (ანასტასი II) მეფობდა (713-716წწ.)[561]. მ.სანაძემ და თ.ბერაძემ დაამტკიცეს, რომ არაბებთან ბრძოლის კონტექსტში მოხსენიებული „ერისთავი კეისრისა ლეონ“, რომელიც „შესრულ იყო ციხესა შინა სობდისასა“[562], არის არა აფხაზეთის ერისთავი ლეონ I, როგორც ეს მიღებულია ისტორიოგრაფიაში, არამედ ალანიიდან მობრუნებული ლეონ ისავრიელი. მან თავისი მისია წარმატებით შეასრულა, აფხაზეთი კვლავ იმპერიას დაუმორჩილა, მაგრამ სამშობლოსკენ გაღწევა ეგრისში არაბთა მძლავრობის გამო გაუჭირდა; მისი ხელშემწყობი მარინე (მარიანე) არის იგივე მირ სტეფანოზის ძე[563]. თ.ბერაძისა და მ.სანაძის მტკიცებით, ლეონ III ისავრიელმა როგორც კი კეისრის ტახტი დაიკავა (717-741წწ.), ამაგი დაუფასა მირს და არჩილს. 717-718 წლებში კეისარმა მათ ორი – ეგრისისა და ქართლის სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა. შესაბამისად, სტეფანოზ III-ის ტიტულატურამ ერთი საფეხურით „მაღლა აიწია“ – ის გახდა „მეგრელთა და ქართველთა ერისთავთ ერისთავთა უფალი“[564].

სამხრეთ კავკასია არაბებისა და ხაზარების ხშირი შეტაკებების ასპარეზად იქცა, ამიტომ სტეფანოზ III და მისი ვაჟები ვერც ქართლსა და ვერც ეგრისში თავს მყარად ვერ გრძნობდნენ. მხოლოდ 730წ. შემდეგ, როცა სტეფანოზ III-ის მოწვევით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოჭრილმა ხაზარებმა არაბები დაამარცხეს, ქართლის მეფის ძალაუფლება მთელ საქართველოზე გავრცელდა. ქვეყნის გაერთიანებას არაბთა ახალი სადამსჯელო ლაშქრობა მოჰყვა. 738წ. ხაზართა მოკავშირე სტეფანოზ მესამესთან საბრძოლველად არაბთა ხალიფამ თავისი ნათესავი, სასტიკი და დაუნდობელი მარვან

558 . გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 106-107.
559 . იქვე, გვ. 109.
560 . იქვე, გვ. 111.
561 . იქვე, გვ. 1113.
562 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 235
563 . მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 73-75.
564 . იქვე, გვ. გვ. 76.

იბნ მუჰამედი („ქართლის ცხოვრების“ მურვან ყრუ, 744-750წწ. ხალიფა) გამოგზავნა. სტეფანოზ
III არჩილთან ერთად კვლავ ეგრისში გადავიდა. მათ მურვან ყრუ დაედევნა. არაბებმა დაამარცხეს და აწამეს არგვეთის ერისთავები დავითი და კონსტანტინე[565] (ქართული ეკლესიის წმინდანები), აიღეს ციხე-გოჯი, მოაოხრეს შიდა ეგრისი, გადალახეს „კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“, გაანადგურეს ცხუმი და ანაკოფიის ციხეს მიადგნენ; ციხის შიგნით იყო „ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისა, არა კაცობრივითა ხელითა დაწერილი, არამედ ზეგარდამო... მუნ შინა იყვნენ მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა“[566]. ქართლისა და ეგრისის მეფეებთან ერთად იმყოფებოდა აფხაზთა ერისთავი ლეონ I ორიათასიანი რაზმით. ანაკოფიასთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მირი კი მძიმედ დაიჭრა.

738 წელს არაბებმა კოდორის ხეობაშიც ილაშქრეს და დაიბრუნეს რკინის (სობღის) ციხე. აქ მათ მირის (მარინეს//მარიანეს) ვაჟი ევსტათი შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს. თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით, 740წ. „არაბთა სარდალმა ისამმა გაჟლიტა მისი გამგებლობის ქვეშ მყოფ ყველა ქალაქის ქრისტიანი ტყვეები, მათ შორის იყო ნეტარი ევსტათი, ბრწყინვალე პატრიკიოსის მარინეს ძე; ის ძალიან აწვალეს, მაგრამ მან არ უარყო თავისი წრფელი რწმენა და იგი ჭეშმარიტ მარტვილად იქმნა გამოცხადებული ქარანში, სადაც მისი პატიოსანი და წმინდა ნეშთი ყოველგვარ განკურნებას ანიჭებს ხალხს ღვთის წყალობით“[567].

738-739 წლებში ლევ ისავრიელმა მოაწესრიგა ურთიერთობა მირს, არჩილსა და ლეონ I-ს შორის. ლეონს აფხაზეთი მემკვიდრეობით გადაეცა და ერისმთავრობა ებოძა, ამასთანავე იმპერატორმა მას „მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა“ პატივისცემა მოსთხოვა; უბრძანა: „ამიერითგან ნუ ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდნენ მანდით“[568].

ეგრისის მეფე მირი ანაკოფიაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა, როგორც ჩანს, ვაჟიშვილის – ევსტათის დაღუპვის (740წ.) შემდეგ. ამიტომაც სიკვდილის წინ თავის ძმას არჩილს უთხრა: „და არა მივის ძე – წული შვილი მკვიდრად, არამედ მისხენ შვიდნი ქალნი“[569]. „ეგრისს ვიდრე შორაპნამდე“ დაემკვიდრა მეფე არჩილი[570]. იურიდიულად ის იყო სრულიად საქართველოს მეფე. აფხაზეთის მთავარ ლეონს მან მადლობა უთხრა, „რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვიდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“[571]. არჩილი აფხაზეთის მთავარს ნებისმიერი თხოვნის დაკმაყოფილებას დაჰპირდა, „ნაცვლად კეთილისა მსახურებისა“; ლეონმა კი საქართველოს მეფეს ქვეშევრდომობა სთხოვა: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი – ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“[572]. მხედველობაში თუ არ მივიღებთ „მცირე ხაზარეთის“ (მდ.ყუბანის) ნაცვლად „დიდი ხაზარეთის (მდ.დონის) დასახელებას, ლეონის სამფლობელოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი („სადა დასწუდების წუერი კავკასიისა“) ზუსტად ემთხვევა ეგროსის სამკვიდროს საზღვარს. ქართული საისტორიო ტრადიციითაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, აფხაზეთის ერისთავები ეგროსის მემკვიდრეები არიან (აქვე, გვ. 63, 65). ვინაიდან აფხაზთა მეფეების ქართული წარმომავლობა

---

565 . დავით და კონსტანტინეს წამება. – ქართული მწერლობა, ტ. I. თბ., 1987, გვ. 488-501.

566 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ,გვ. 235.

567 . გეორგიკა, ტ. 4, წ. 1, გვ. 115, 116 (ს. ყაუხჩიშვილის მიერ დაშვებულია მექანიკური შეცდომა და „ნეტარი ევსტათი“ თარგმნილია, როგორც „ნეტარი მაკარი“; ძველბერძნულში მაკარიოსი ნიშნავს ნეტარს);

. „, 1884, გვ. 301,303; ჯ.გამახარია, ლ. ახალაძე. ნეტარი ევსტათი. – ივერიელნი, 2007, №6, გვ. 21.

568 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 240.

569 . იქვე.

570 . იქვე, გვ. 243.

571 . იქვე, გვ. 242.

572 . იქვე.

ისტორიოგრაფიაში პრაქტიკულად დამტკიცებულია (აქვე, თავი V), ცხადია, ერისთავი ლეონიც (აფხაზთა პირველი მეფის ბიძა) ამ დინასტიის წარმომადგენელია. „აფხაზეთის მეფეთა დივანში“ მისი სახელი, ალბათ, იმიტომ არ არის შეტანილი, რომ ამ დოკუმენტში მოხსენიებული პირებისაგან განსხვავებით, იგი არ ფლობდა ფართო გაგებით აფხაზეთს – დასავლეთ საქართველოს და განაგებდა მხოლოდ მდ.კელასურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს[573].

არჩილ მეფემ თავისი ძმისწული – მირის ქალიშვილი გურანდუხტი ცოლად შერთო ლეონს და მასვე გადასცა „გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის. და ყვეს ადთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (მორჩილებდეს – ავტ.) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“[574].

744 წლის შემდეგ, როცა მურვან ყრუმ სამხრეთ კავკასია დატოვა და ხალიფას ტახტიც დაიკავა, არჩილი უმცროს შვილთან ჯუანშერთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა[575], ეგრისი კი სამართავად უფროს ვაჟს, იოანეს გადასცა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის გადაგდებას ქართლის სამეფო სახლის მეთაურობით ეგრისში მეფობის აღდგენა და კვლავ მისი იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელება მოჰყვა. ერისთავი ლეონი ეგრისის (და ასევე ქართლის) მეფის ვასალი, მორჩილი, ხოლო ქორწინების შემდეგ სამეფო სახლის წევრიც გახდა. სხვა პოლიტიკური ერთეულები VIIIს. შუახანებში უკვე არ ჩანან; ბუნებრივად მოხდა მათი ინტეგრირება ეგრისისა და აფხაზეთის შემადგენლობაში. იმ ვითარებაში, როცა აღმოსავლეთ საქართველო არაბთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა, როცა თბილისში ამირა იჯდა, სახელმწიფოებრიობა სულს ღაფავდა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული ეს პირველი ნაბიჯი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და ერის შემდგომი კონსოლიდაციის ისტორიაში.

VIIIს. შუახანების პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით წყაროთა მკაფიო, ცალსახა ჩვენებების მიუხედავად, სეპარატისტები უტიფრად ცრუობენ, შეცდომაში შეჰყავთ საკუთარი მკითხველები და წერენ, რომ ანაკოფიასთან ბრძოლის შემდეგ ლეონ I-ს, თითქოს, ეპყრა ტერიტორია სამხრეთით ციხე-გოჯიდან ენგურამდე. ჩრდილოეთით – კავკასიის ქედამდე; ფალსიფიკატორები არაფერს ამბობენ, იმ „*ფიცი საშინელის*“ შესახებ, რომლის ძალით ლეონ პირველი ეგრისისა და ქართლის მეფის ვასალი, მორჩილი („*ერჩდეს ლეონ არჩილს*“) გახდა[576]. VIIIს. შუა ხანებში აფხაზეთი დამოუკიდებლობის გზას კი არ დაადგა, როგორც სეპარატისტები ტყუიან[577], არამედ საკუთარი ნებით ეგრისის სამეფოს ნაწილი გახდა, ხოლო მისი ერისთავი – სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. უფრო ძლიერი აფხაზეთის ნებაყოფლობით შესვლა დასუსტებული ეგრისის შემადგენლობაში კიდევ ერთი დამატებითი საბუთია შუა საუკუნეების და ადრინდელი პერიოდის ეგრისელთა და აბაზგთა (ისტორიულ აფხაზთა) ეთნიკური ერთიანობისა; ამის უტყუარი დასტურია ლეონისათვის ქართული სამეფო გვირგვინის გადაცემის ფაქტიც.

გამომდინარე აქედან და სხვა ზემოთმოტანილი არგუმენტებიდან, სრულიად უსაფუძვლოა აფხაზურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება VI-VII საუკუნეებში ვითომ არსებული აფხაზური ეროვნებების (народности) – აბაზგების, აფსილების, სანიგებისა და მისიმიანების VIIIს. უკვე ერთიან ფეოდალურ ერად ჩამოყალიბების

---

573 . მირი, არჩილი და იოანეც ფლობდნენ დასავლეთ საქართველოს, მაგრამ „აფხაზეთის მეფეთა დივანში“ ვერ მოხვდნენ, რადგანაც იყვნენ სრულიად საქართველოს მეფეები.

574 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 242-243.

575 . 762 წელს კახეთში შემოჭრილმა არაბთა ჯარების სარდალმა, რომელსაც არჩილი თავისი ნებით ეახლა, საქართველოს მეფეს მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. უარის მიღების შემდეგ მან არჩილი დააპატიმრა და თავადვე რამდენჯერმე დაკითხა. ბოლო დაკითხვაზე არაბი დაინტერესდა: „შენ უკუე იყავ დაცემასა მას სარკინოზთა აფხაზეთს შინა“? არჩილმა უპასუხა: „მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 274). მეფე არჩილი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

576 . . Бгажба, С. Лакоба. დასახ. ნაშრომი, გვ. 126;

577 . იქვე, გვ. 127.

შესახებ[578]. იგი მკვეთრ წინააღმდეგობაშია როგორც განხილულ ისტორიულ წყაროებთან, ისე, რაც ყველაზე მთავარია, „აფხაზური ფეოდალური ეროვნების“ მდიდარ ზოგადქართულ პოლიტიკურ და კულტურულ მემკვიდრეობასთან.

სამწუხაროდ, ქართულმა ისტორიოგრაფიამ აფხაზ მკვლევართა მტკიცებას ერთიანი ე.წ. აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების შესახებ პ.ინგოროყვას ნაშრომის ფაქტობრივად აკრძალვის შემდეგ მხოლოდ ის არგუმენტი დაუპირისპირა, რომ VIII საუკუნისათვის კავკასიაში გასული იყო დრო „აფხაზი ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბებისათვის“; იმ პერიოდში, თითქოს, ხდებოდა არა ახალ „ფეოდალურ ეროვნებათა“ ჩამოყალიბება, არამედ უკვე არსებულ ერთეულებში (ქართლი, სომხეთი) გაერთიანება და ა.შ.[579] უნდა აღინიშნოს, რომ „ფეოდალური ეროვნების“ ცნება ერის წარმოშობის მცდარ საბჭოურ თეორიას ეფუძნება. ამ თეორიის თანახმად (გაკვრით მასზე უკვე იყო საუბარი – აქვე, გვ. 42), ერი ისტორიული კატეგორიაა და დაკავშირებულია საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან: პირველყოფილ თემურ წყობილებასთან, მონათმფლობელობასთან, ფეოდალიზმთან, კაპიტალიზმთან და სოციალიზმთან; ის გარკვეულ ეპოქაში წარმოიშობა, ვითარდება და ბოლოს ქრება. კერძოდ, პირველყოფილი თემური და მონათმფლობელური საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ტომები და ტომთა კავშირები ფეოდალიზმის ეპოქაში ერთმანეთთან შერწყმის შედეგად ვითომ აყალიბებენ „ფეოდალურ ეროვნებებს“ (народности); მათი შერწყმით კი კაპიტალიზმის ხანაში უკვე ყალიბდებიან თანამედროვე ერები; ამ უკანასკნელთა შერწყმა და ერების გაქრობა ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიისა და, შესაბამისად, საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანახმად, კომუნიზმის ეპოქაში უნდა განხორციელდეს. სსრ კავშირის კრახამდე ისტორიკოსები, მათ შორის ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ნ.ბერძენიშვილი, ზ.ანჩაბაძე და ა.შ., ანტიკომუნისტური თეორიებით უბრალოდ ვერ იხელმძღვანელებდნენ, მაგრამ დღეს საბ-ჭოთა იდეოლოგიის პრიზმაში ერების ფორმირების საკითხის განხილვის აუცილებლობა და საფუძველი არ არსებობს.

ჯერ არ არის საკმარისად დასაბუთებული, თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდნენ „არაქართველი“ აფშილები და აბაზგები ე.წ. ფეოდალურ ეროვნებად. მიუხედავად ამისა, ნ.ბერძენიშვილის მოსაზრებას ამ საკითხში ჰყავს მიმდევრები[580]. ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ II-VIIIსს. აფშილ-აბაზგებს გააჩნდათ უმთავრესი კომპონენტი ერად ჩამოყალიბებისათვის – ძლიერი სახელმწიფოებრიობა. ბიზანტიისა და ეგრისის გავლენის ქვეშ მათი ყოფნა ხელისშემშლელი ფაქტორი ვერ იქნებოდა ისევე, როგორც არსებობის მეტი ხნის მანძილზე ამა თუ იმ ძლიერი მეზობელი იმპერიის გავლენის ქვეშ ყოფნას ხელი არ შეუშლია (მხოლოდ პროცესს ანელებდა) ქართული ტომებისათვის უძველესი დროიდან ერთიან ერად ჩამოყალიბებაში; ხელისშემშლელ ფაქტორად ვერ ჩაითვლება „დროის გასვლა“. პირიქით, იმ პერიოდში არსებობდა ხელსაყრელი ვითარება ცალკე ერად ჩამოყალიბებისათვის: აღმოსავლეთ საქართველო არაბთა ხელში იყო, ხოლო მეფე არჩილი, როგორც ვნახეთ, იქით სთავაზობდა ლეონ I-ს ნებისმიერი თხოვნის დაკმაყოფილებას. VIII საუკუნეში აფსუა ერი „დროის გასვლის“ მიზეზით კი არა, აფშილ-აბაზგთა ქართული ეთნოსისადმი კუთვნილების გამო ვერ ჩამოყალიბდა. ამიტომ არ ჰქონდათ მათ საკუთარი დამწერლობა და სახელმწიფო ენა.

ყოვლად მიუღებელი და რეალურ საფუძველს მოკლებულია ეგრისელთა და სვანთა არაქართველებად მოხსენიება მაშინ, როცა მეცნიერებაში აღიარებულია ერთიანი ერის არსებობა აია-კოლხეთის ხანიდან მაინც. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ქართველებმა შეინარჩუნეს ერთიანობა მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა,

---

578 . З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 69; მისივე: ..., გვ. 48-51; . , . , გვ. 127 და ა. შ..

579 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 591-592; ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 45 და ა.შ.

580 . ე. ხოშტარია-ბროსე. შუა საუკუნეების აფხაზეთი და აფხაზთა ეროვნული კონსოლიდაციის საკითხი. – მნათობი, 1992, №4, გვ.160-168. ავტორი იზიარებს ნ.ბერძენიშვილის მოსაზრებებს, მაგრამ მაინც უშვებს VIIIს. „აფხაზთა ეთნოსის გარკვეულ კონსოლიდაციას“ და აკეთებს დასკვნას: აფსილ-აბაზგებს თვითსახელწოდებად „აფსუა“ აურჩევიათ, რადგანაც ისინი ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ და უფრო განვითარებულნი ყოფილან (?!?); „გარედან (ბიზანტიელები, ქართველები)“ ამ „ერს“აფხაზებს ეძახდნენ წამყვანი სამხედრო პოტენციალის მქონე აბაზგების სახელწოდების მიხედვით (იქვე, გვ. 161-162).

ხანგრძლივი დროით ქვეყნის დაქუცმაცებისა და საუკუნეების განმავლობაში უცხო დამპყრობთა უღლის ქვეშ ცალ-ცალკე ყოფნისა; ამიტომ დაუშვებელია VIIIს. „ეგრისელი ფეოდალური ეროვნების“ არჩამოყალიბების მიზეზებზე, დასავლეთ საქართველოს ვითომ „ქართიზაციაზე“ საუბარი[581]. იმ პერიოდში ქართლი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფებოდა, თავად საჭიროებდა შველას; ობიექტური მიზეზების გამო ის ვერ გახდებოდა და არც გამხდარა მაშინ ერის მაკონსოლიდირებელი ძალა. „ქართიზაციის“ თეორია ეფუძნება ერის წარმოშობის დრომოჭმულ დოგმებს და არ ითვალისწინებს, რომ ქართველი ერი VIII-IX საუკუნეებამდე თითქმის 1500 წლით ადრე ჩამოყალიბდა ერთიანი ენით, დამწერლობითა და სახელმწიფოთი; რომ იბერები ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში[582] და წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, უკვე ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის შავიზღვისპირეთში, სადაც ისინი ანდრია პირველწოდებულმა მონათლა; ანგარიში არ ეწევა სომხურ ვერსიას (უხტანესი) იბერების დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ გავრცელების შესახებ[583] და არც იმ ავტორებს, ვინც კოლხებსა და სვანებს იბერებად მოიხსენიებდნენ ყბადაღებულ „ქართიზაციამდე“ დიდი ხნით ადრე.[584]

„არაქართველ“ ეგრთა და სვანთა „გაქართველების“ თეორია საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ქ.პატკანოვისა და ნ.მარისაგან ისესხა[585]. ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის კონტექსტში შემუშავებული ქართველი ერის გათიშვის ეს კონცეფცია შესანიშნავად მოერგო „სხვადასხვა ხალხების“ შერწყმის შედეგად „ფეოდალური ქართული ეროვნების“ ჩამოყალიბების კომუნისტურ თეორიას. ამიტომაც აიტაცა იგი საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ. ამ უკანასკნელის უმახინჯეს გადმონაშთად ქცეული „ქართიზაციის“ ვერსია საფუძვლიანადაა განხილული და უარყოფილი ანანია ჯაფარიძის, ტარიელ ფუტკარაძისა და სხვათა შრომებში[586].

VII-IXსს. დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა არა ქართველთა „გაქართველება“, არა „ქართიზაცია“, არამედ „ნაციონალიზაცია“ – ბერძნული გავლენისაგან თავის დაღწევა, მშობლიური ქართული ენის უფლებების თანდათანობითი აღდგენა – გაფართოება ეკლესიასა და სახელმწიფო აპარატში, ნაციონალური კულტურის განვითარება და ა.შ.

„ქართიზაციაში“ ჩვეულებრივ გულისხმობენ არაბთა ბატონობას იძულებით გამოქცეული ქართლელების ნაწილის დასავლეთ საქართველოში გადასახლებას. სრულიად აშკარაა, რომ ეს პროცესი არ შეხებია ეგრისის ცენტრალურ რაიონებს და განსაკუთრებით აფხაზეთს. ყოველგვარი „ქართიზაციის“ გარეშე აფხაზეთი წარმოადგენდა წმინდა ქართულ რეგიონს და ისტორიულ ვითარებათა გამო VIIIს. შუახანებიდან სწორედ ის იქცა ქართველთა მაკონსოლიდირებელ მძლავრ პოლიტიკურ ერთეულად.

---

581 . ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის..., გვ. 45.

582 . ზ. ბრაგვაძე. კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილას ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1990, №4, გვ. 137-150. პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I. ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ. თბ., 1957, გვ. 117. გეორგიკა. ტ. 4, წ. 1, გვ. 57.

583 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 197-198.

584 . ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, გვ. 71, 86-102.

585 . ნ.მარი მეგრელებს (მისი აზრით სკვითების შთამომავლებს), არ მიიჩნევდა ქართველებად და თვლიდა, რომ „ქართულმა სოლმა“ – ქართლელთა ვითომ შემოჭრამ ეგრისში მათ ჭანები ჩამოაშორა (. . . , გვ. 241 და ა.შ.).

586 . ანანია ჯაფარიძე. ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ. თბ., 2003; ტ. ფუტკარაძე. ქართველები, და ა.შ.

თავი V. აფხაზეთი „აფხაზთა სამეფოს" შემადგენლობაში. VIIIს. მეორე ნახევარი - Xს.

აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბება განპირობებული იყო VII-VIII საუკუნეების მანძილზე განვითარებული საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური ფაქტორებით. ერთი მხრივ, არაბთა ბატონობის გაძლიერებამ ქართლში და, მეორე მხრივ, ბიზანტიის დასუსტებამ, იქ მიმდინარე საშინაო-პოლიტიკურმა და საეკლესიო განხეთქილებამ[587] საქართველოს ისტორიულ რეგიონებში ხელსაყრელი პირობები შექმნა ახალი ქართული პოლიტიკური ერთეულების წარმოშობისათვის.

ფაქტობრივად, VIII საუკუნის შუა ხანებში ქართულ პოლიტიკურ სამყაროში საფუძველი ჩაეყარა ახალ პროცესს, რომელიც იმავე საუკუნის 80-იან წლებში დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებით დასრულდა. აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის ძმისწულმა ლეონ II-მ თავი გაითავისუფლა ბიზანტიის ვასალობისაგან და მეფის ტიტული მიიღო. „მატიანე ქართლისაჲს" ცნობით, „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა."[588] ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკური რეალობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლეონ II-ს, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის, მით უფრო, რომ მას პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მხარს უჭერდა ხაზართა ხაკანი. აფხაზთა სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და თანდათანობით აფართოებდა საზღვრებს როგორც აღმოსავლეთის, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ისტორიული წყაროების მიხედვით, VIIIს. 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს გაერთიანება აფხაზთა ერისთავის მეთაურობით ნებაყოფლობითი პოლიტიკური აქტი იყო[589]. ლეონ II-ის ამ ნაბიჯს ქართული წყაროები უარყოფით კონტექსტში არ მოიხსენიებს, რადგან აფხაზეთი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონები, საუკუნეების მანძილზე, ჯერ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს, ხოლო შემდეგ ქართლის (იბერიის), ეგრისის (ლაზიკის), ხოლო ბოლოს ისევ ქართლის სამეფოს (საერისმთავროს) ნაწილი იყო. ამჯერად, VIIIს. 80-იან წლებში მთელი დასავლეთ საქართველო გაერთიანდა აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სტეფანოზ III-ის მემკვიდრის – არჩილის ეპოქაში საქართველო ერთიან ქვეყანას წარმოადგენდა და არჩილი მეფის ტიტულს ატარებდა[590]. ბუნებრივია, ასეთი ერთიანობა ემყარებოდა ქვეყნის მთლიანობის ძველ ტრადიციებს, რომელიც პოლიტიკური მემკვიდრეობის სახით შემდეგში ლეონ II-მ მიიღო და მოხერხებულად გამოიყენა კიდეც დასავლურქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

VIIIს. შუა ხანებიდან ვიდრე 80-იან წლებამდე, თანდათანობით ფართოვდება ტერმინ „აფხაზეთის" მნიშვნელობა და ბოლოს იგი გავრცელდა აფხაზთა ერისთავების მიერ გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.[591] ნიშანდობლივია, რომ მოგვიანებით ერთიან ქართულ სამეფოს უცხოელი ავტორები უწოდებენ „აფხაზეთს", ხოლო საქართველოს მეფეებს „აფხაზთა მეფეებად" მოიხსენიებენ.[592]

---

587. იგულისხმება ბიზანტიის ეკლესიაში მიმდინარე ხატმებრძოლობა, რომელმაც გახლიჩა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებული ეკლესიების ერთობა. ფრანგი ისტორიკოსის შარლ დილის სიტყვებით, „ეს ბრძოლა უმაგალითო სიშმაგის, მძვინვარების, უკიდურესი სისასტიკის სათავედ იქცა და იმპერიაში არნახული შინააშლილობა გამოიწვია." შარლ დილი. ბიზანტიის იმპერიის ისტორია. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგაძემ. თბ., 1989, გვ. 62.

588. ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 251.

589. მ. ლორთქიფანიძე. ეგრის-აფხაზეთი. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 418.

590. ამ ცნობას ადასტურებს „მატიანე ქართლისაჲ", ლეონტი მროველის „წმიდა არჩილის წამება", ჯუანშერი და ვახუშტი ბაგრატიონი. იხ.: . . – ..., გვ. 155.

591. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 119-120; . . , გვ. 155.

592. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: ნ. ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 82, 83; გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური

VIIIს. II ნახევარში ქართველი მწერლის იოანე საბანის ძის ცნობით, დასავლეთ საქართველოს განაგებს „მთავარი აფხაზეთისა“,[593] ანუ ლეონ II-ს VIII საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველო გაერთიანებული აქვს, მაგრამ მეფის ტიტულს ჯერ კიდევ არ ატარებს. ამ კონტექსტში საყურადღებოა აფხაზთა ერისთავის ტიტულის ევოლუცია. ლეონ II თავდაპირველად ატარებდა „ერისთავის“, შემდეგ „მთავრის“, ხოლო ბოლოს „მეფის“[594] ტიტულს. ლეონის ტიტულის ევოლუცია პირდაპირპროპორციულია მისი ხელისუფლების თანდათანობითი გავრცელებისა მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ლეონ II-მ ბიზანტიის იმპერატორის ვასალიტეტისაგან თავის განთავისუფლება მოახერხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბიზანტიაში შიდაპოლიტიკური მდგომარეობა დაიძაბა.[595] მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ლეონის პოლიტიკური აღზევება და ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსი[596] უნდა დაწყებულიყო ბიზანტიის იმპერატორის ირინეს ზეობის დროს – 797-802 წლებში.[597]

აფხაზთა სამეფოს საზღვრების საკითხიც არაერთგზის არის შესწავლილი მკვლევართა მიერ. მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული შეხედულებანი. როგორც აღინიშნა, „აფხაზთა სამეფოს“ ტერიტორია მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს. დაარსების დროს მისი აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის ქედამდე აღწევდა, ჩრდილოეთი საზღვარი – ნიკოფსიამდე და ჯიქთა სამფლობელოებამდე. დასავლეთით მას შავი ზღვა ეკვროდა. რაც შეეხება სამხრეთის საზღვრებს, იგი დღესაც სადავო საკითხს წარმოადგენს. VIII საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე „ტრაპეზუნტს” აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში განიხილავდა. მისი ცნობით, „ნეტარი ჰაბო უფროისღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაი იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღუართა მათთა. რამეთუ საზღვარი მათდა არს ზღვაჲ იგი პონტოისაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტისაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარაჲსაჲ და ნაფსაჲს...“[598]. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, ტრაპიზონი არ შედიოდა აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში[599]. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული იქნა ზ.ანჩაბაძისა და მ.ლორთქიფანიძის მიერ[600]. კ.კეკელიძის აზრით, ტრაპეზუნტი შედიოდა აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში, რასაც იოანე საბანისძის ცნობის გარდა სხვა წყაროებიც ადასტურებენ: კერძოდ, 787 წლის საეკლესიო კრების აქტებს ხელს აწერს „ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფაზისისა ანუ ტრაპიზონისა“[9]; VIII საუკუნის II ნახევრის

და ქართული ტერმინოლოგია, გვ.132,134; ზ.პაპასქირი. აფხაზეთი - საქართველოა. თბ., 1998, გვ. 141-142; ზ.პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. I, გვ. 67-68.

[593] . იოანე საბანისძე. წამება წმიდისა აბოსი. - : საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუჳლოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურღი, 1882, გვ. 339.

[594] . „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის საკითხის შესწავლისას ქართულ და სომხურ ნარატიულ და ქართულ ეპიგრაფიკულ წყაროებზე დაყრდნობით უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს მეფეები VIII-X საუკუნეებში არ ატარებდნენ ტიტულს „მეფე აფხაზთა“. ამის დასტურია სომხური წყაროები და „აფხაზთა“ მეფეთა წარწერები, რომლებშიც ისინი დასახელებული არიან როგორც „ეგრისის მეფე“, ან უბრალოდ თავისთავს უწოდებენ „მეფე“-ს. ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სომხურ წყაროებში ტერმინი „მეფე აფხაზთა“ პირველად ჩანს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის ტიტულატურაში. რაც შეეხება ქართულ საისტორიო ტრადიციას (მატიანე ქართლისაჲ, სუმბატი, ვახუშტი და სხვები), იგი შეიქმნა საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-ის ტიტულატურაში დამკვიდრდა ტერმინი „მეფე აფხაზთა“. დაწვრილებით იხილეთ: ლ.ახალაძე. ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის შესახებ. – საისტორიო ძიებანი, ტ. VII, გვ. 26-33.

[595] . ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II. თბ., 1952, გვ. 216; . . , გვ. 156.

[596] . „აფხაზთა“ მეფეთა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე იხილეთ: ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – ქართული დიპლომატია. თბ., 1999, გვ. 325-335.

[597] . აღნიშნულ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულება აქვს შ. გლოველს. მისი აზრით, ლეონი აფხაზეთის ერისთავი იყო 781-782 წლებამდე; ამ პერიოდიდან 786-787 წლებამდე – გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი, ხოლო 786-787 წლიდან – „აფხაზთა მეფე“. იხ. შ. გლოველი. „აფხაზთა სამეფო“. საკან. დის. ავტორეფერატი. თბ., 2004, გვ. 9.

[598] . ქართული ლიტერატურა, ტ. 1, გვ. 454.

[599] . ს. ჯანაშია. აფხაზთა სამეფოს წარმოშობის..., გვ. 338.

[600] . . . ., გვ. 11-116; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963. გვ. 185.

[9] . კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ტფ., 1935, გვ. 28.

ბიზანტიელი მწერლის ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში დადასტურებულია გამოთქმა „ლაზეთის ქალაქი ტრაპეზუნტი“. ამასვე ადასტურებს სომხური უსახელო „გეოგრაფიის“ ცნობა, რომ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში შედიოდა ქალაქები: ათინა, რიზე და ტრაპეზუნტი[10]. აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, პ. ინგოროყვამ სამართლიანად გაიზიარა კ. კეკელიძის მოსაზრება აფხაზთა სამეფოს სამხრეთი საზღვრების შესახებ. ახლახან ეს მოსაზრება გაიზიარა შ. გლოველმაც.[601] კონსტანტონოპოლის სამწყსოში შემავალი ეკთეზისების მიხედვით, ლაზიკის ეპარქიის სამიტროპოლიტო ქალაქად ტრაპეზუნტის მხოლოდ IX საუკუნის მიწურულს დასახელება არ უნდა იყოს საკმარისი არგუმენტი იოანე საბანისძის ცნობის გასაბათილებლად. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ ტრაპეზუნტის პოლემონის პონტოს სამწყსოში დასახელება არ ასახავს პოლიტიკურ სიტუაციას და იგი საეკლესიო დაქვემდებარების მაუწყებელ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად, პოლიტიკური თვალსაზრისით, VIII საუკუნის I მეოთხედში სტეფანოზ III, როგორც ზემოდ ვნახეთ, „ქართველთა და მეგრელთა ერისმთავრის“ ტიტულს ატარებდა და იგი ფლობდა ქართლსაც და ეგრისის მნიშვნელოვან ნაწილსაც. ქართლში უკვე არსებობდა დამოუკიდებელი სამოციქულო ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს სახით, ხოლო სტეფანოზ III-ის სამფლობელოს მეორე საკმაოდ დიდი ნაწილი – ეგრისი, ეკლესიურად ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის სამწყსოს ეკუთვნოდა. ანუ პოლიტიკური ხელისუფლების გავრცელების არეალი ამ შემთხვევაში არ ემთხვეოდა საეკლესიო იურისდიქციის გავრცელების არეალს. მაშასადამე, კონსტანტონოპოლის ეკთეზისები ვერ გამოდგება „აფხაზთა სამეფოს“ ტერიტორიული საზღვრების დასაზუსტებლად.

დავუბრუნდეთ პ. ინგოროყვას მოსაზრებას, რომელმაც იოანე საბანისძის ზემოთხსენებული ცნობა შეაჯერა ანონიმი სომხური გეოგრაფიის მონაცემებთან. ამ წიგნის 1881 წლის რუსულ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ „კოლხეთი არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიისაგან. . . . იგი განიყოფება ოთხ მცირე ქვეყნად: მარგველი, ეგრევიკი, ლაზი, ჭანი, რომელ არს ხალტეთი [ხალდია]. . . აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი და სხვა მრავალნი ნავთსადგურნი, ე. ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი.“[602] ამ ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული წყაროს: იოანე საბანისძის, სომხური „გეოგრაფიის“, ეპიფანე კონსტანტინოპოლელისა და 787 წლის საეკლესიო კრების ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრაპეზუნტი გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც ნამდვილად შედიოდა ჯერ აფხაზთა სამთავროს, ხოლო შემდეგ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში.

„აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნისთანავე, ლეონ II–მ გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას და სამეფოს ტერიტორიულ – ადმინისტრაციულ მოწყობას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლეონ II-მ აფხაზთა სამეფო დაყო რვა საერისთავოდ: ცხომის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, სრულიად არგვეთის ცენტრით შორაპანში, ვაკის ცენტრით ქუთაისში და საკუთრივ აფხაზეთის.[603] ყველა საერისთავოს თავისი ტერიტორია ჰქონდა და განსაზღვრული იყო მისი ფარგლები. ლეონ მეორემ ერისთავები „დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; დასუა ცხომს და მისცა ეგრის იქით ანაკოფია ალანითურთ; დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე; ვინაჲთგანა ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამჴრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თჳისი; დასუა რაჭა-ლეჩხუმისა; დასუა სუანეთისა; შორაპნისავე, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა; დასუა ქუთათისს ვა-

---

[10] . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 213.

[601] . შ. გლოველი. აფხაზთა სამეფო, გვ. 11.

[602] . VII . . „ 1881, გვ. 27-28. დღეს მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ სომხური „გეოგრაფიის“ ავტორი არის VII საუკუნის სომეხი საეკლესიო მოღვაწე ანანია შირაკაცი. სომხურ „გეოგრაფიას“ ქართველ მკვლევართაგან 1964-1965 წლებში იკვლევდა ნ. ჯანაშია. იხ.: ნ. ჯანაშია. სომხური ანონიმური გეოგრაფია. - : ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986, გვ. 243-346.

[603] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 796.

კისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლეთის ცხენისწყლამდე.“[604] ლეონ მეორის მიერ გატარებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა შინაარსით მსგავსებას ავლენს ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს დაარსების დროს გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმასთან. ფარნავაზის მსგავსად, სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ლეონიც შეეცადა ადგილებზე შექმნა ცენტრალური ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენი საერისთავოების სახით, რომლებსაც მეფის ერთგული მოხელეები ჩაუყენა სათავეში. საკუთრივ აფხაზეთი, როგორც ვხედავთ „აფხაზთა სამეფოში” შემავალი მხოლოდ ერთ-ერთი საერისთავოა.

ლეონ მეორის მიერ გატარებული სახელისუფლებო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია აფხაზთა სამეფოს დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადება. ვახუშტის მიხედვით, „ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია, ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი“. ეს პოლიტიკური აქტი იყო ლოგიკური გაგრძელება იმ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ნაბიჯებისა, რომლებიც მანამდე გადაიდგა. გეოგრაფიულად და პოლიტიკურადაც ქუთაისი უკვე „აფხაზთა სამეფოს“ ცენტრი იყო და, ბუნებრივია, ეს ქმედება განაპირობა ამ ქალაქის მნიშვნელოვანმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. ეს მოვლენა, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო იმ ისტორიულ ტრადიციასთან, რომელიც ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოდან მომდინარეობდა, როცა ქუთაისი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ისტორიული წყაროების მიხედვით, ლეონ მეორესთვის აქ ისეთივე მშობლიური გარემოა, როგორც ანაკოფიის მიდამოებში. თანამედროვე აფხაზურ ისტორიოგრაფიაში ეს პოლიტიკა შეფასებულია, როგორც აფხაზთა მეფეების ექსპანსია აღმოსავლეთის მიმართულებით.[605] თუ ასეა, მაშინ გაუგებარია, რატომ გადმოიტანა ლეონ მეორემ თავისი სამეფოს დედაქალაქი „დაპყრობილ“ ტერიტორიაზე, მისთვის მტრულად განწყობილი და „დაპყრობილი“ ხალხის გარემოცვაში?

საყურადღებოა, ის ფაქტიც, რომ ლეონ მეორის „ექსპანსიას“ დასავლეთ საქართველოში „მატიანე ქართლისაჲ“ უცნობი ავტორი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის დადებით ისტორიულ მოვლენათა ჭრილში განიხილავს. იგი კეთილგანწყობითა და მოწიწებით მოგვითხრობს აფხაზთა მეფეების სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე. ზ. პაპასქირი აცხადებს, რომ ერთადერთი ახსნა ქართველ მემატიანეთა კეთილგანწყობისა „აფხაზი“ მეფეების ე.წ. „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ ისინი მათში არა „უცხოელ დამპყრობლებს“, არამედ ისეთივე ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს ხედავდნენ, როგორადაც მიაჩნდათ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები.[606] უფრო მეტიც, „ექსპანსიის“ შემთხვევაში ქართველი მემატიანეები შეეცდებოდნენ ოდნავი გულისწყრომა მაინც გამოეხატათ „დამპყრობელი“ ლეონის პოლიტიკის მიმართ, როგორც ამას აკეთებდნენ ქართველი მემატიანეები დამპყრობელთა შემოსევებისა და არაკეთილმოსურნე მეზობლების პოლიტიკის გაშუქებისას.

ქუთაისის „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქად გამოცხადებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული „აფხაზთა მეფეთა“ ეთნიკური წარმომავლობის საკითხი. XIII ს. სომეხი ავტორის ვარდან არეველცის მიხედვით, აფხაზთა მეფეები ვახტანგ გორგასალის შთამომავლები არიან[607]. მკვლევარები – პ. უვაროვა[608], დ. ბაქრაძე[609], დ. გულია[610] და სხვები თვლიდნენ, რომ „აფხაზთა“ მეფეები ეთნიკური ბერძნები იყვნენ. რუსი

---

604 . იქვე.

605 . ერთ-ერთი პირველი ვინც ეს მოსაზრება გამოთქვა ინგლისელი ქართველოლოგი ჯორჯ ჰიუიტი, რომლის აზრით, ტერმინი „დაჲპყრა“ პირდაპირ ძალით დაპყრობას ნიშნავს. ჯ. გამახარიამ და ბ. გოგიამ, საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად დაადასტურეს, რომ ტერმინი „დაჲპყრა“ ძველ ქართულში დაუფლების, ტერიტორიის ფლობის, ტახტის დაკავების, ახლობლის თავისთან დარჩენის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. იხ. ჯ. , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 567-568; მსგავსი განმარტება აქვს სიტყვა „დაიპყრა“-ს ქართული ოთხთავის სიმფონია–ლექსიკონში. იხ. ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა.შანიძის რედაქციით. თბ., 1986, გვ. 129. მიუხედავად ამისა, ჯ. ჰიუიტის მოსაზრებას იმეორებენ: . . , . . . , გვ. 132.

606 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., I, გვ. 50.

607 . ვარდან არეველცი. სოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბ., 2004, გვ. 116.

608 . . . . - , IV, ., 1894, გვ. 8.

609 . დ. ბაქრაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „აფხაზთა“ მეფეები ბერძნულ სახელებს ატარებდნენ. იხ. დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე, ნაწ. I. ტფ., 1889, გვ. 273-274.

610 . . . , . I, გვ. 208.

მეცნიერი ვ.ლატიშევი მათ ბაგრატიონთა საგვარეულოს აკუთვნებდა.[611] აფხაზი ისტორიკოსები ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა, ო. ბღაჟბა, ს. ლაკობა[612] და სხვები თვლიან, რომ ისინი აფხაზები იყვნენ. მ. ლორთქიფანიძის აზრით, „აფხაზთა მეფეები“ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საქმიანობით ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ.[613] მსგავს შეხედულებას ადასტურებს „აფხაზთა“ მეფეთა ეპიგრაფიკული მასალა და სხვა ისტორიული წყაროები. მათი შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „აფხაზთა“ მეფეების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი იდენტობის მაჩვენელი არის ის მატერიალური და სულიერი კულტურა, აგრეთვე სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელსაც ისინი ატარებდნენ. აქედან გამომდინარე, მათი ეროვნული იდენტიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან. შესაბამისად, „აფხაზთა“ მეფეები შუა საუკუნეების შესანიშნავ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა გალერეას მიეკუთვნებიან.[614] ზ.პაპასქირი თვლის, რომ ვინც უნდა ყოფილიყვნენ „აფხაზთა“ მეფეები ეთნო-ტომობრივად, ისინი თავიანთი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდნენ საერთო-ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს, თუმცა არ გამორიცხავს მათ აფხაზურ-აფსუურ წარმოშობას.[615] ეთნიკურად „აფხაზთა მეფეებს“ ეგრისის პატრიკიოსების შთამომავლებად მიიჩნევდა პ.ინგოროყვა.[616] ამ მოსაზრების პირდაპირი დადასტურებაა XI ს. სომეხი ავტორის იოანე დრასხანაკერტელისა და ფსევდო შაპუხ ბაგრატუნის მიერ აფხაზთა მეფის (კონსტანტინე III-ის) მოხსენიება პირველ შემთხვევაში „ეგრისის მეფედ“, მეორე შემთხვევაში – „ლაზთა მეფედ“.[617]

„აფხაზ მეფეთა დივანის“ მონაცემებზე დაყრდნობით, პ. ინგოროყვას მოსაზრება ახალი არგუმენტებით გაამყარეს თ. ბერაძემ და მ. სანაძემ, რომლებმაც ეგრისის პატრიკიოსებისა და „აფხაზთა მეფეთა“ დივანში წარმოდგენილი გენეალოგიის შეჯერების საფუძველზე, „ლეონიდების“ დინასტიის წარმომავლობა დამაჯერებლად დაუკავშირეს ეგრისის პატრიკიოსის სერგი ბარნუკის ძის სამემკვიდრეო ხაზს.[618] ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს „აფხაზთა მეფეთა“ სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი პოლიტიკა, რომლის საფუძველზე ისინი თავად ახდენენ თვითიდენტიფიკაციას. აუცილებლად ყურადსაღებია, ის ფაქტიც, რომ ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადება ვერანაირად ვერ ჯდება „დამპყრობლის“, „უცხოელის“ მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯის კონტექსტში. როგორც ითქვა, ლეონ მეორისთვის ქუთაისიც და ანაკოფიის მიდამოებიც ერთნაირად მშობლიური გარემოა. მან ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა და დედაქალაქი კოლხეთის/ეგრისის ისტორიულ ცენტრში გადაიტანა. ლეონის დროს ქუთაისი გაფართოვდა, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები, აიგო ახალი თავდაცვითი სიმაგრეები და სასახლის ნაგებობანი.[619]

ლეონ მეორის ეთნიკური ვინაობა კარგად ჩანს მის მიერ გადადგმული სხვა პოლიტიკური ნაბიჯებითაც, ასევე იმ დამოკიდებულებით, რომელსაც იგი ავლენდა დანარჩენი ქართული პოლიტიკური სამყაროსადმი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ლეონ II-ის ურთიერთობა და მხარდაჭერა ქართლის ერისმთავარ ნერსესადმი, ტახტის მემკვიდრის დინასტიური ქორწინება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან და ა. შ. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ვახუშტის ზემოთ მოყვანილ შემდეგ ცნობას: „ვინაჲთგანა ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამჴრეთისანი და

---

611 . . . . ., 1911, გვ. 10-11. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა თ.მიბჩუანმა. იხ. მისი: აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ., 1977.

612 . . . ., გვ. 80; . - . ..., გვ. 120; . . . ., გვ. 234-244; . . , ...

613 . . . , გვ. 157.

614 . ლ. ახალაძე. „აფხაზთა“ მეფეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის საკითხისათვის. – დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“. თბ, 2004, გვ. 12;

615 . ზ. პაპასქირი, ნარკვევები..., I..გვ. 51.

616 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 192.

617 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 196.

618 . მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 76-77.

619 . . . , გვ. 158. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს დასტურდება ქუთაისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. იქვე., გვ.171.

განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი“ (აქვე, გვ. 93). ეს ცნობა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ გურიისა და ჭოროხის მოსახლეობა საკუთარი ნებით ირჩევს აფხაზთა სამეფოს იურისდიქციაში შესვლას. შესაბამისად, ლეონ მეფე მათთვის უცხო და თანაც „დამპყრობელი“ კი არ იყო, არამედ ეთნიკურად და კულტურულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ახლობელი, ხოლო აფხაზთა სამეფო - საიმედო თავშესაფარი არაბთა ბატონობისაგან თავდასაცავად.

2006 და 2007 წწ აფხაზი ავტორების ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას მიერ გამოცემულ შრომებში, უგულვებელყოფილია როგორც ისტორიული წყაროების ცნობები, ასევე წინა ეპოქის ისტორიკოსთა თითქმის ყველა შეფასება „აფხაზთა“ სამეფოს წარმოშობისა და საეკლესიო პოლიტიკის შესახებ. „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახე, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და „აფხაზთა“ მეფეების ეთნიკური კუთვნილება კარგად ჩანს მათ მიერ გატარებულ საეკლესიო პოლიტიკაში, რომელიც აშკარად ანტიბიზანტიურ და ქართულ ხასიათს ატარებდა.

ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ნაშრომები ფართოდ მიმოიხილავენ „აფხაზთა“ სამეფოს პერიოდს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავტორების ყურადღების მიღმა „დარჩა“ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა „აფხაზთა“ მეფეების საეკლესიო პოლიტიკა. უფრო მეტიც, თუ აფხაზური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ავტორიტეტი ზ. ანჩაბაძე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ აფხაზეთი იყო „ქრისტესმოყვარული“ ქვეყანა და მისი მმართველები „ქრისტეს მეგობრები“იყვნენ,[620] თანამედროვე აფხაზ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ „აფხაზთა სამეფოს“ საეკლესიო და სარწმუნოებრივი პოლიტიკა განხილვის საგანიც არ უნდა გახდეს, რადგან ამ მხრივ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მათი მტკიცებით, „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის ლეონ II-ის პიროვნების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ხაზარმა დედამ, იგი მხოლოდ წარმართულ რელიგიურ ტრადიციებს სცემდა პატივს და მისდევდა იუდაისტურ სარწმუნოებას, რომელიც ხაზარებმა IX საუკუნეში სახელმწიფო რელიგიადაც კი გამოაცხადეს[621]. როგორც ვხედავთ, ლეონ II-ის სახელმწიფოებრივი და რელიგიურ-სარწმუნოებრივი სახის წარმოსაჩენად მოთხრობილია არა წყაროებში დაფიქსირებული რეალური ისტორიული ფაქტები და წარმოდგენილია არა რეალური ისტორიული სურათი, არამედ ავტორების დაუსაბუთებელი ვარაუდი, რომლითაც მკითხველს უნდა შეექმნას წარმოდგენა, რომ „აფხაზთა“ სამეფო და „აფხაზი“ მეფეები სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შორს იყვნენ ქრისტიანობისაგან, და შესაბამისად, ქართული სამყაროსაგან. შესაძლებელია, – წერენ ავტორები, – ლეონ II სწორედ ამიტომ აქცევდა ნაკლებ ყურადღებას ქრისტიანობას და სავარაუდოდ, მისი მეფობის დროს უნდა გაჩენილიყო „რელიგიური სინკრეტიზმის“ ნიშნები აფხაზთა სამეფოში. ამის არგუმენტად ავტორებს მოჰყავთ ლიხნის სასახლის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილი ჯვარი, რომელიც ექვსქიმიან ვარსკვლავშია ჩაწერილი.[622] საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ მსგავსი სიმბოლიკა ხშირად გვხვდება ქრისტიანული სამყაროს ხელოვნებაში და მათ შორის საქართველოს სხვა რეგიონებშიც. უფრო მეტიც, ეს ქართული ორნამენტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სიმბოლოა. მაგალითად, მსგავს ნიმუშებს ვხვდებით როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ფორმის ორნამენტებში და ეს თავის დროზე შესწავლილი აქვთ რ. შმერლინგს[623] და ლ. ხრუშკოვას[624].

ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა, ეხებიან რა სარწმუნოებრივ საკითხებს წერენ, რომ აფხაზები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ჭექა-ქუხილის ღმერთს, ასევე გავრცელებული იყო თაყვანისცემა ხეებისადმი (განსაკუთრებით მუხისადმი) და ა.შ.[625] ამ მოსაზრებით აფხაზი ავტორები უარყოფენ ისტორიოგრაფიაში მიღებულ მთელ რიგ დებულებებს აფხაზთა სამეფოს რელიგიურ - სარწმუნოებრივი მდგომარეობისა და აფხაზი მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, რომელიც კარგად არის

620 . . . . , გვ. 80.
621 . . . , . . . , გვ. 132.
622 . იქვე, გვ. 133.
623 . . . . ., 1962.
624 . . . V-X . ., 1982.
625 . . . , . . . , გვ. 133.

შესწავლილი ზ. ანჩაბაძის, მ. ლორთქიფანიძის, პ. ინგოროყვას, ზ. პაპასქირის ზემოთდასახელებულ ნაშრომებში. უკანასკნელ ხანს გამოიცა ა. ჯაფარიძის, ბ. კუდავას, თ. ქორიძის, შ. გლოველის, ლ. ახალაძის, ჯ. გამახარიასა[626] და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ აფხაზთა სამეფო ფეოდალური ეპოქის ქრისტიანული სახელმწიფო იყო და აფხაზი მეფეები განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართული ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში. ამის ნათელი არგუმენტია ის აქტიური საეკლესიო მშენებლობა, რომელსაც აფხაზთა მეფეები ეწეოდნენ საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად იყვნენენ ჩართული მეზობელი კავკასიელი ხალხების გაქრისტიანების საქმეში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წარმართული ღვთაებებისადმი აფხაზთა თაყვანისცემის ფაქტები უფრო გვიანი შუა საუკუნეების, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეების, ან თუნდაც XIX საუკუნის რეალობაა და არა აფხაზთა სამეფოს ეპოქისა, როდესაც „აფხაზთა მეფეთა“ სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი საქმიანობა მთლიანად ემსახურებოდა ქრისტიანული მრწამსის განმტკიცება-გაძლიერების საქმეს.

აფხაზთა სამეფოს წარმართულ – რელიგიური იდეოლოგიური სახის წარმოჩენა ავტორებს დასჭირდათ იმ მცდარი დასკვნის გამოსატანად, რომლის თანახმად აფხაზთა და ხაზართა ადრე შუა საუკუნეების სახელმწიფოებს ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური თვალსაზრისით, აგრეთვე იმის დამადასტურებლად, რომ თანამედროვე აფხაზებში შემორჩენილ წარმართობას ისტორიული საფუძველი აფხაზთა სამეფოს წიაღში მოუძებნონ.

თითქმის ყველა ნაშრომი, რომელიც ოპონირებას უწევს ქართულ ისტორიოგრაფიას, გვერდს უვლის აფხაზთა მეფეების რელიგიურ-სარწმუნოებრივ პოლიტიკას. ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროები - ნარატიული თხზულებები, საეკლესიო საბუთები და ეპიგრაფიკული ძეგლები - არგუმენტირებულად ასაბუთებენ მათ სარწმუნოებრივ იდენტიფიკაციას. ამ წყაროების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ „აფხაზთა“ მეფეების საეკლესიო პოლიტიკის საკითხები.

„აფხაზთა“ სამეფოს საეკლესიო პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ ორი პერიოდი: პირველი ეტაპზე – VIII საუკუნის 90-იანი წლებიდან ვიდრე IX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე, „აფხაზთა“ მეფეები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებს. კერძოდ, ამ დროს ლეონ II-ის, თეოდოსი II-ისა და დემეტრე II-ის ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან და საეკლესიო გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ, რათა მოეპოვებინათ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. IX საუკუნის შუახანებიდან მდგომარეობა იცვლება – „აფხაზთა“ მეფეებს პოლიტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი დრო დაუდგათ, რათა გაეტარებინათ უფრო აქტიური პოლიტიკა, როგორც ქართული ეკლესიის, ასევე დანარჩენი ქართული მიწების გაერთიანების თვალსაზრისით. ეს მისწრაფება ახალ ფაზაში გადავიდა და აშკარად ჩანს გიორგი I–ის, ბაგრატ I-ის, კონსტანტინე III–ის, გიორგი II–ისა და ლეონ III–ის საეკლესიო და სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში. აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკაში რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა:

1. პირველი და ძირითადი ამ პოლიტიკაში იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან თანდათანობით გამოსვლა.
2. საეკლესიო მშენებლობის გაფართოება და ახალი საეკლესიო ცენტრების დაარსება.
3. ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან გაერთიანებისკენ სწრაფვა

---

[626] ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი მეორე, თბ.1998; ბ. კუდავა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში (VI–IXსს). თბ., 2002; ბ. კუდავა. აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიიდან (XI–XIIსს). თბ., 2002; ბ. კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია IX-XI სს. საკანდ. დის. თბ., 2002; თ. ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია (IX-X სს). ავტორეფერატი. თბ., 2003; შ. გლოველი. „აფახაზთა სამეფო“, საკანდ. დის. ავტორეფერატი. თბ., 2004; კჰალადზე. Iნსცრიპტიონს ოფ ბკჰაზიან კინგს ონ ჩჰრისტიან არტ მონუმენტს, Iნტერნატიონალ სიმპოზიუმ ჩჰრისტიანიტყ: პასტ, პრესენტ, ფუტურე. თბ.. 2000, გვ. 9; ლ. ახალაძე. „აფხაზთა“ მეფეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის საკითხისათვის, გვ. 12; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 102-121.

4. მეზობელი ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა და ამ მიმართულებით სახელმწიფო საზღვრების უფრო საიმედოდ დაცვის უზრუნველყოფა.[627]

ქართული წყაროები - „მატიანე ქართლისაჲ," სუმბატ დავითის ძე, ვახუშტი, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები და, რაც მთავარია, ისეთი ბერძნული წყარო, როგორიცაა კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი კათედრების ნუსხები, ანუ ე.წ. „ეკთეზისების" ცნობები ერთიანობაში იძლევიან ამ საკითხებზე წარმოდგენას. თავის დროზე ამ პრობლემას არერთი მკვლევარი შეეხო და კვლევის შედეგები შეჯამდა კიდეც მ.ლორთქიფანიძის ნაშრომში, რომელშიც დასაბუთდა, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და პოლიტიკურად ბიზანტიის გავლენისაგან გამოსვლის შემდეგ შეუძლებელი იყო ბიზანტიის საეკლესიო ჰეგემონიის მოთმენა. ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს ქართული პოლიტიკა აქტიურად აყენებდა ეკლესიურად მცხეთასთან, საერთოქართულ სახელმწიფოსთან გაერთიანების საკითხს. ბრძოლა ხანგრძლივი და მძიმე იყო და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მსგავსად ბიზანტიისაგან საეკლესიო გამოყოფაც თანდათან ხორციელდებოდა.[628] პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღებისთანავე „აფხაზთა მეფის" წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი; ბიზანტიის საიმპერატორო კარისადმი დაპირისპირებული ლეონ II ვერ შეძლებდა საკუთარი საეკლესიო პოლიტიკის გატარებას მანამ, ვიდრე „აფხაზთა სამეფოს" ეკლესია კონსტანტინოპოლის სამწყსოს წარმოადგენდა. გარდა ამისა იმპერია შეეცდებოდა, ეკლესიის საშუალებით გავლენა მოეხდინა დასავლურქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე და მორჩილებაში ჰყოლოდა ის. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, აფხაზეთის სამეფო ეკლესიურად სწორედ ლეონ II-ის დროს გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს: „ამისგანვე საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითავე ბერძენთათა".[629] როგორც ჩანს, აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, – წერს მ. ლორთქიფანიძე, – უშუალოდ უკავშირდება აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიის ეკლესიისაგან.[630] ამ პერიოდში ლეონ მეორისთვის ბიზანტიას წინააღმდეგობა ვერ უნდა გაეწია გართულებული შიდაპოლიტიკური და საგარეო ვითარებიდან გამომდინარე. შესაძლოა, მას ხელს აძლევდა კიდეც „აფხაზთა სამეფოსთან" კარგი ურთიეთობის შენარჩუნების ფასად, დროებით დაეთმო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. მით უფრო, რომ ზღვისპირა ზოლში გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქცია. და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, „აფხაზთა სამეფო" არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ძალა იქნებოდა იმპერიისათვის.

სრული საეკლესიო დამოუკიდებლობის მისაღწევად საჭირო გახდა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. ამ ისტორიულ ფაქტზე მიუთითებს „მატიანე ქართლისაჲს" ცნობაც: „ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ ყ' ლ"[631] (ანუ 830 წელს). ე. ი. წყაროს მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაგრატ I კურაპალატი მხარს უჭერს დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს ანუ ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნას. როგორც ჩანს, ეს პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო და ამ საქმეში ქართველი მეფე-მთავრები აფხაზთა მეფეების მხარდამჭერებად გამოდიოდნენ. რაც შეეხება აფხაზთა საკათალიკოსოს გაერთიანებას მცხეთის საყდართან, ეს საეკლესიო რეფორმის მეორე ეტაპი უნდა ყოფილიყო.

ლეონ II-ის გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა სამეფო" ტახტზე ერთმანეთის მონაცვლეობით ადიან მისი ვაჟები: თეოდოსი II (806-825 წწ.), დემეტრე II (825-861 წწ.) და გიორგი I (861-868 წწ.).

თეოდოსი II გამეფდა 806 წელს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლეონ მეფემ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დაიჭირა თადარიგი და გაძლიერებული ტაო-კლარჯეთის

---

627 . ლ. ახალაძე. „აფხაზთა" მეფეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის საკითხისათვის, გვ. 12.

628 . მ. ლორთქიფანიძე. ახალი ქართული სამთავროების წარმოქმნა. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გვ. 422; . . , გვ. 155-170.

629 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 796.

630 . მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963, გვ. 193.

631 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 255.

პოლიტიკურ წრეებთან თავისი კავშირები დინასტიური ქორწინებით გაამყარა[632]. ამ დროს „აფხაზთა სამეფო“ ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ეტაპზე იყო და ის ნაკლებად აქტიურობდა აღმოსავლეთისაკენ სამეფო საზღვრების გაფართოების საქმეში, სამაგიეროდ, აშოტ ბაგრატიონთან ერთად გამოდის ერთიანი კოალიციით კახეთის ქორეპისკოპოსის – გრიგოლის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის სამთავროსა და „აფხაზთა სამეფოს“ შორის დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობები არსებობდა, ეს ერთიანობა საერთო ქართული ინტერესებითაც იყო გამოწვეული, რადგან „ბრძოლა ქართლსა ზედა“, ანუ ქართლის დაუფლება ნიშნავდა პირველობას საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. ეს მისწრაფება პირველად სწორედ აშოტ ბაგრატიონისა და თეოდოსი აფხაზთა მეფის ერთობლივი ბრძოლის პროცესში გამოჩნდა.

ძალზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ისტორიულ წყაროებში აფხაზთა მეფეების მიერ წარმოებული საეკლესიო მშენებლობის შესახებ არა მარტო აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე, არამედ საქართველოს დანარჩენ ისტორიულ რეგიონებში, რომლებსაც თანდათანობით იერთებდნენ „აფხაზთა“ მეფეები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მატიანე ქართლისაჲს“ და ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები, რომლებზეც „აფხაზთა“ მეფეთა სამშენებლო წარწერებია დაცული. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული ცნობა აფხაზთა მეფეების საეკლესიო მშენებლობის შესახებ დაცულია X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელიც ეხება აფხაზთა მეფის დემეტრე II–ის (825-861წწ.) თხოვნით გრიგოლ ხანძთელის მიერ სამეფოს ტერიტორიაზე სოფ. უბეში ტაძრის აგების ისტორიას. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მერჩულე განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით აღწერს აფხაზთა მეფის დემეტრე II-ის, როგორც ქრისტიანი და სარწმუნოებისათვის თავდადებული მეფის სახეს. „წმიდაო მამაო, - მიმართავს დემეტრე მეფე გრიგოლს, - აჰა, იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაცა სიწმინდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი.“ როგორც ვხედავთ, აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე ტაძრის მშენებლობის იდეა დემეტრე II-ს ეკუთვნოდა და სწორედ მისი ინიციატივით დაიწყო გრიგოლ ხანძთელმა ტაძრის აგება: „მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ“. ამ ისტორიულ მოვლენაზე მიუთითებს უბისის ტაძრის წარწერა, რომელშიც დემეტრე მეფე (825-861წწ.) არის დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს წარწერა დათარიღებულია XII ს. 40-იანი წლებით[633], სარწმუნოა, რომ იგი IX ს. წარწერაა და მასში დემეტრე აფხაზთა მეფე იყო დასახელებული და არა დავით აღმაშენებლის ვაჟი საქართველოს მეფე დემეტრე I (1025-1056წწ.), რომლის დროსაც რესტავრაცია ჩაუტარდა ამ ტაძარს და წარწერის „მეფე დემეტრე“ გაიგივებული იქნა დემეტრე I ბაგრატიონთან. ამ შემთხვევაში ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების შეჯერების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ტაძრის მშენებლობა დემეტრე II (825-861წწ.) აფხაზთა მეფის ზეობის წლებით თარიღდება.

დემეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 861 წელს, მიუხედავად იმისა, რომ მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი – ბაგრატი, აფხაზთა სამეფო ტახტი დაიკავა მეფის ძმამ გიორგი I-მა (861-868წწ.). როგორც ჩანს, გიორგის გამეფება ბაგრატის მცირეწლოვანებით იყო გამოწვეული. მსგავსად წინამორბედებისა, გიორგი პირველიც აქტიურ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო პოლიტიკას აგრძელებდა. იგი აფხაზთა მეფეებს შორის პირველია, ვინც ბრძოლა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის და აქტიურად ჩაერთო იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებსაც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორმა „ბრძოლა ქართლსა ზედა“ უწოდა. თუ IX საუკუნის დასაწყისში „აფხაზთა მეფე“ აშოტ ბაგრატიონს ეხმარებოდა ქართლისათვის წარმოებულ

---

[632] . „მატიანე ქართლისაჲსა“ და ვახუშტის ცნობით, თეოდოსი „აფხაზთა მეფეს“ ცოლად ჰყავდა აშოტ ბაგრატიონის ასული. - „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 252-253; იქვე, ტ. IV, გვ. 797.

[633] . ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX – XIIIსს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980, გვ. 140-141.

ბრძოლაში, ამჯერად IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაძლიერებული აფხაზთა მეფეები ცდილობენ თავად ჩაერთონ ამ ბრძოლაში. აფხაზთა სამეფოს ჩარევა შიდა ქართლის საქმეებში IX საუკუნის 60-იანი წლებიდან სრულიად რეალურ სახეს იღებს და ქართლისათვის ბრძოლას არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც მიეცა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ აფხაზთა მეფე, რომელიც იბრძვის როგორც შიდა ქართლზე გამავალი, ისე დარიალის გზისათვის, ამავე დროს ცდილობს ხელში ჩაიგდოს ბარდავიდან საქართველოსაკენ მიმავალი გზის მონაკვეთი, რომელიც ალაზნის აყოლებით გავაზზე გადის.[634] მომდევო ხანებში აფხაზთა მეფეები აფართოებენ ბრძოლას, ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

გიორგი I (861–868წწ.) „აფხაზთა“ მეფის სახელი დაცულია არმაზში (ქსნის ხეობაში), ერთ-ერთი ეკლესიის საამშენებლო წარწერაში, რომელიც დათარიღებულია გიორგი მეფის ზეობის წლებით, კერძოდ, 864 წლით. წარწერაში ვკითხულობთ: „ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ/ა ღ(მრ)თისაჲთა, მე, გ(იორგ)[ი] [არმაზელმა] მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ისმა)ნ დ(ა)[ვ(ი)წყ]/ე წ(მიდა)ჲ ეკ(ლე)ს(ია)ჲ ქრ(ონი)კ(ონ)სა, პდ, ჴ(ე)ლმწ(ი)ფ(ობა)სა/ გ[იორგი]სა.“[635]

IX საუკუნის 60-იან წლებში, 864 წლისათვის, როცა საფუძველი ჩაეყარა ტაძრის მშენებლობას, „ხელმწიფის ტიტულს“ ქართული პოლიტიკური ერთეულების ლიდერებიდან მხოლოდ „აფხაზთა“ მეფეები ატარებდნენ. ბუნებრივია, წარწერაში დასახელებული „ჴელმწიფე“ უნდა იყოს „აფხაზთა“ მეფე გიორგი I.

თავის დროზე არმაზის წარწერის „გიორგი მეფის“ იდენტიფიკაცია მოხდა გიორგი აფხაზთა მეფესთან, რადგან სწორედ ამ დროს, 864 წლის მახლობელ ხანებში, გიორგი I განაგებდა აფხაზთა სამეფოს ქართლითურთ.[636] ამაზე მიუთითებს სხვა წყაროც, კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲ“: „გამოვიდა გიორგი აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“.[637] მატიანის ეს ცნობა გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ამ პერიოდიდან ტაო-კლარჯეთის მმართველები ვერ ახერხებენ დამოუკიდებელ ბრძოლას ქართლისათვის, რითაც ისარგებლა „აფხაზთა“ სამეფომ და იგი ქართლის შემოერთებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაერთო[638], რასაც გიორგი I-ის მიერ ქართლის „აფხაზთა“ სამეფოს საერისთავოდ გამოცხადება მოჰყვა. მოგვიანებით, აფხაზთა სამეფომ დროებით დაკარგა შიდა ქართლი, მაგრამ უდავოა, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო არმაზის ტაძრის მშენებლობა, რომლის საამშენებლო წარწერაში ასახვა ჰპოვა აფხაზთა მეფეების მიერ დაწყებულმა ბრძოლამ ქართული მიწების გაერთიანებისათვის[639].

საყურადღებოა, რომ ამ პოლიტიკას აფხაზი ავტორები ს. ლაკობა და ო. ბღაჟბა ჩვეულებრივ „დაპყრობით“ პოლიტიკას უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ასეთი პოლიტიკით აფხაზმა მეფეებმა უბრალოდ განავრცეს აფხაზური ეთნოსის განსახლების არეალი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გიორგი I გვევლინება არა მარტო პოლიტიკური საზღვრების გაფართოების მომხრედ (შიდა ქართლის შემოერთება), არამედ საეკლესიო პოლიტიკის აქტიურ გამტარებლადაც (არმაზის ტაძრის მშენებლობა ქართლში), ანუ ქართლი მისთვის „დაპყრობილი“ ქვეყანა კი არ არის, არამედ მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ტერიტორია, სადაც მეფის მხარდაჭერით საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობს. სავარაუდოა, რომ სწორედ გიორგი I უნდა იყოს საეკლესიო რეფორმის მეორე ეტაპის დამწყები, რომელიც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსო ტახტთან გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ეს გაერ-

634 . მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ.196.

635 . ქართული წარწერების კორპუსი, ტ.I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.. გვ. 168; ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები. – აფხაზეთი, I. თბ., 2004, გვ. 56.

636 . ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 56.

637 . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 258.

638 . მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 155-170.

639 . ლ. ახალაძე. ეგრის – აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 56.

თიანება ერთბაშად არ მომხდარა და, როგორც ჩანს, იგი ბაგრატ I-ის (881-893 წწ.) ეპოქაში დასრულდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გიორგი I არის პირველი მეფე, რომელმაც გააფართოვა პოლიტიკური საზღვრები აღმოსავლეთის მიმართულებით. ცხადია, საეკლესიო ერთიანობის იდეა, რომელიც მანამდეც არსებობდა, ამის შემდეგ გაცილებით უფრო აქტიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც მყარი გახდებოდა. რეალურად სწორედ ამ დროს უნდა დაწყებულიყო მცხეთის ტახტთან „აფხაზთა საკათალიკოსოს“ გაერთიანების პროცესი. როგორც ჩანს, გიორგი I-ის მიერ დაწყებული საეკლესიო რეფორმის მეორე ეტაპი შეაფერხა აფხაზთა სამეფო ტახტზე დინასტიურმა ცვლილებებმა 868-881 წლებში, მაგრამ სამეფო ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ბიძის მიერ დაწყებული საქმე, როგორც უკვე ითქვა, წარმატებით დაგვირგვინდა ბაგრატ I-ის ეპოქაში.

868 წელს უშვილო გიორგი I გარდაიცვალა. აფხაზთა სამეფო ტახტი არსებული მემკვიდრეობის წესით ეკუთვნოდა გიორგი I-ის ძმის დემეტრე II-ის ვაჟს – ბაგრატს, რომელსაც გიორგი I-მა ქართლის ერისთავობა უბოძა[640]. ამიერიდან აფხაზთა სამეფოში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ტახტის მემკვიდრეები მამის სიცოცხლეში ჯერ ქართლის ერისთავები ხდებოდნენ. ბაგრატი ქართლის ერისთავად ჩანს გიორგის მეფობის უკანასკნელ წლებში, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა სამეფო“ ტახტი დროებით ხელში ჩაიგდო სხვა დინასტიამ. 868 წელს სამეფო ტახტი დაიკავა იოანე შავლიანმა, ხოლო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ ბაგრატმა თავი ბიზანტიას შეაფარა. შავლიანების დინასტია სამეფოს 20 წლის განმავლობაში 881 წლამდე განაგებდა. ამ პერიოდში აფხაზთა სამეფომ ვერ შეძლო შიდა ქართლის შენარჩუნება და იგი კახეთის მეფეებმა დაიმორჩილეს. 881 წელს ბაგრატ უფლისწულს ბიზანტიამ რეალური დახმარება აღმოუჩინა და „მოსცნა ბერძენთა მეფემან ლაშქარი, და მოგზავნა ზღვითდა ნავით შემოვიდა აფხაზეთად, მოკლა (ბაგრატმა – ავტ.) ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი“. ბაგრატი აფხაზთა სამეფოს ისტორიაში შევიდა ბაგრატ I-ის სახელით. მისი მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა „აფხაზთა სამეფო“. პოლიტიკური მოსაზრებით ბაგრატ I დაქორწინდა ადარნასე შავლიანის ქვრივზე, რომელიც იყო გუარამ მამფალის ასული. ამ დროს დასავლურქართულმა სახელმწიფომ აქტიურად დაიწყო სამხრეთქართული სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა. IX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბიზანტიის მხარდაჭერით აფხაზთა სამეფოს ტახტზე განმტკიცებული ბაგრატი ეხმარება ბიზანტიაში გახიზნულ თავის ცოლისძმას, გუარამ მამფალის ვაჟს, ნასრს. მან გამოიყვანა ნასრი ბიზანტიიდან, „მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრმა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხეს, ჯუარციხე და ლომსიანთა.“[641] ბაგრატის ეს ჩარევა ამჯერად წარმატებული ვერ აღმოჩნდა, მაგრამ მომდევნო საუკუნეში მისი შთამომავალი ლეონ III უკვე სერიოზულ პოლიტიკურ საყრდენს ფლობდა სამხრეთ საქართველოში და მის მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ, ჯავახეთს დაეუფლა.

ბაგრატ I-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი კვლავ გასწორდა და ტახტი კარგა ხნის მანძილზე მამიდან უფროს შვილს გადაეცემოდა. 893 წელს გამეფდა ბაგრატის ვაჟი და კანონიერი მემკვიდრე – კონსტანტინე III (893-922 წწ). ის უფრო აქტიურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს გაერთიანების მიმართულებით. IX–X საუკუნეების მიჯნაზე აფხაზთა სამეფომ დაკარგა შიდა ქართლი, რომელსაც დროებით დაეუფლა ადგილობრივ ფეოდალთა წარჩინებული ფენა, მაგრამ 904 წელს კონსტანტინე III-მ შეძლო, აღედგინა თავისი ძალაუფლება შიდა ქართლში და უფლისციხეში კვლავ თავისი ერისთავი დასვა.

912 წელს ამიერკავკასია დალაშქრეს არაბებმა საჯი ამირას აბულ-კასიმის მეთაურობით. მათი მთავარი მიზანი სომეხთა მეფის სუმბატ ბაგრატუნის დამორჩილება იყო. სუმბატმა მტერს ვერ გაუწია წინააღმდეგობა და თავი მოკავშირე „აფხაზთა“ მე-

---

640 „„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ გიორგი I-მა ქართლის ერისთავად „დაუტევა“ მისი ძმის დემეტრე II-ის (825-861წწ.) ვაჟი ტინინე, და არა უფროსი ვაჟი ბაგრატი. იხ. ზ. პაპასქირი, ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში ერთი კონიუნქტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XI. თბ., 2006, გვ. 64-68.

641 . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 261.

ფის კონსტანტინე III-ის სამფლობელოს შეაფარა. აბულ-კასიმმა დალაშქრა ქართლი, რომელიც ამ დროს „აფხაზთა“ სამეფოს ნაწილი იყო. ვერც კონსტანტინე III-მ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა მტრისათვის. „შემოვიდა ქართლად (აბუსაჯისძე), მოაოხრა ქართლი...“ და რათა არ გამაგრებულიყო ქართლში „მოარღჳინეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ“.[642] მართალია, დასავლეთ საქართველო გადაურჩა ამ შემოსევებს, მაგრამ აფხაზთა მეფემ, როგორც ჩანს, ახლად გამაგრებული უფლისციხის კედლები დაანგრია, რათა იქ არაბები ვერ გამაგრებულიყვნენ. აბულ-კასიმის წასვლის შემდეგ კონსტანტინე III-მ კიდევ უფრო გააააქტიურა თავის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ მიიწვია კონსტანტინე III ჰერეთში სალაშქროდ. კვირიკე კახთა მეფემ და კონსტანტინე III-მ ჰერეთი დალაშქრეს, რომლის შემდეგ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა ორი სიმაგრე ჰერეთში: არიში და გავაზი. ამ ისტორიულ მოვლენებს ეხმაურება ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც, ძირითადად, მოგვითხრობენ კონსტანტინე მეფის მიერ წარმოებული საეკლესიო მშენებლობის შესახებ, მაგრამ გვერდს ვერ უვლიან აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს.

კონსტანტინე III-ის ინიციატივით აიგო ერედვისა და სამწევრისის ტაძრები, რასაც ამ ტაძრებზე დაცული საამშენებლო წარწერები მიუთითებენ. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადებზე 1943 წელს რ. მეფისაშვილმა პირველად გაშიფრა და ამოიკითხა ეკლესიის მთავარი საამშენებლო წარწერა, რომელიც მოთავსებულია ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილის ირგვლივ:

„[სახ]ელითა ღ(მრთისა)ჲთა მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წმიდისაჲთა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმშ]ობელისაჲთა, [შეწევნითა წ(მი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, ჴელმწი-ფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ[ე]ბულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჰერე/თს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]ჲ გა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიდო-ბით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, [მ]წუხ(რ) ბრეძას გადაჰვთა, მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ/ისა ციხე დალეწა; ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავა/რე[ბი]სკო[სო]ბასა სანატრელისა ყ(უარყუარ)ესა, ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ/ე[ლი]სა – სანატრ[ე]ლისა სტეფანე ებისკოსისაჲთა, ძალითა, შეწევნითა მოყუას/თაჲთა, მე თ(ევდორ)ე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი –წელნი იყ(უ)ნეს ხფი, ქორონიკ[ონსა რკვ].“[643]

წარწერაში იკითხება ეკლესიის მშენებლობის დაწყების თარიღად –ხფი –906 წელი, თუმცა მასში დასახელებული ისტორიული მოვლენები ოდნავ გვიან მოხდა. აღნიშნული მოვლენები ზუსტ ასახვას პოულობენ სხვა ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი წერს, რომ აბულ-კასიმის მეორედ ლაშქრობის შემდეგ „უკმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა, ჩავიდა ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჯინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ კერძო და კჳრკე ქვემოთ. და ვითარ მისწუდეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის ჯუარსა, მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭობი. ვითარ დაიზავნეს და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, ილოცა ალავერდს წმ. გიორგის წინაშე, შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კჳირიკე ქორეპისკოპოსმან და წარვიდა ქვეყნად თჳისად.“[644]. როგორც ვხედავთ, ორივე წყარო, წარწერა და მატიანეც ერთი და იმავე მონაცემებს გვაწვდის კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის მიერ ჰერეთს ლაშქრობის შესახებ. აღნიშნული ლაშქრობა მატიანის მიხედვით, საქართველოში აბულ კასიმის ლაშქრობის, ე.ი. 914 წლის შემდეგ მოხდა. მაშასადამე, ერედვის წმ.გიორგის ეკლესიის მშენებლობა კონსტანტინე მეფის ინიციატივით, ხუროთმოძღვარ თევდორე თაფლაჲსძეს 906 წელს დაუწყია და 914 წლის შემდეგ დასრულებულა.

ყურადღებას იქცევს კონსტანტინე მეფისა და კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსის ჰერეთში ერთობლივი ლაშქრობის ისტორიის ცალკეული დეტალები, რომელშიც მემა-

---

642 . იქვე, გვ. 263.

643 . ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. გვ. 171; ლ. ახალაძე. ეგრის – აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 56-57..

644 . ქართლის ცხოვრება, ტ. 1,გვ. 264.

ტიანე ხაზგასმით აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს მეფის დამოკიდებულებას აღმოსავლურქართული სიწმინდეების მიმართ. „აფხაზთა“ მეფეს ამ დროს მყარად უჭირავს შიდა ქართლი, რომელსაც მის მიერ დასმული ერისთავი უფლისციხიდან განაგებდა, მაგრამ ჰერეთს ლაშქრობის შემდეგ კონსტანტინემ მიიღო „არიში და გავაზნი“[645]. ამიერიდან, პრაქტიკულად ისტორიული ქართლი მთლიანად (გარდა თბილისის საამიროსი, რომლის ტერიტორია თანდათან მცირდებოდა) „აფხაზთა“ მეფეს დაემორჩილა, რაც „აფხაზთა“ მეფეთა მიერ IX საუკუნის 60-იან წლებში საფუძველჩაყრილი პოლიტიკის – ქართული მიწების გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთი ბრწყინვალე ფურცელი იყო.

კონსტანტინე III-ის საეკლესიო საამშენებლო საქმიანობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყაროა სამწევრისის წარწერა, რომელიც წარმოადგენს მამასახლის დომნინოსისა და გიორგი თუალოჲსძის წარწერას კონსტანტინე მეფის მოხსენიებით:

„† ზ(ედ)ა წელსა კ-ს კოსტანტინე მეფისა მე, დომნინოს, სამწევრისა ჯუარისა მამასახლისმან და გი/ორგი თუალოჲსძემან მოვიღეთ რუვი ესე ჯუარად./ და არავი[ნ] არს სხუაჲ მო[მ]ხუმარე და [უფალი] რუვისა ამის, გარნა/ პატიოსანი ჯუარი და გიორგი, ვინ ესე აღმოიკითხოს მე, დომნინოს, მონაჲ ჯუარისაჲ, [ლოცვასა მომიჴსენეთ და თუალოჲს]ძეცა/ გ(იორ)გი ქ(რისტე)მ(ა)ნ შე(ი)წყ(ალე)ნ. ამენ. იყავნ.“[646]

წარწერა დათარიღებულია კონსტანტინე მეფის ზეობის მე-20, ე.ი. 912 წლით. თუ გავითვალისწინებთ, ერედვის წმ.გიორგის ეკლესიის წარწერისა და „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს, სწორედ ამ პერიოდში ფლობდა „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს.

ზოგადად, არმაზის, ერედვის, სამწევრისის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე „აფხაზთა“ მეფეების დასახელება არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ადგილობრივი საერო და საეკლესიო ფენის წარმომადგენლებისთვის სავალდებულო იყო მეფის ზეობის წლებით დაეთარიღებინათ დიდი მშენებლობები.[647] რასაკვირველია, ეს ვერ მოხდებოდა „დამპყრობელი“ მეფის პირობებში.

საყურადღებო ფაქტია, რომ აფხაზი ავტორები ს. ლაკობა და ო. ბღაჟბა იცნობენ სამწევრისისა და ერედვის წარწერებს, თუმცა ერთ-ერთი მათგანის (ერედვის) ლოკალიზაციას შეცდომით კახეთში ახდენენ[648]. ავტორების აზრით, ეს მიუთითებს, რომ კონსტანტინემ ქართლი დაიპყრო, მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ ბრძოლა ქართლისათვის მიმდინარეობდა აფხაზთა და სომეხთა სამეფოებს შორის. ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას წიგნში არსად არ არის ნახსენები „ქართველთა სამეფო“, ან კახეთის სამეფო. მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ თანამედროვე საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი მაშინ სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო და ბრძოლა მიმდინარეობდა აფხაზურ და სომხურ სამეფოებს შორის.[649] აფხაზი ავტორები იგნორირებას უკეთებენ იმ ფაქტსაც, რომ ეს ეპიგრაფიკული მასალა – აფხაზთა მეფეთა წარწერები ქართულ ენაზეა დაცული და არსად არ ახსენებენ, რატომ წერდნენ ისინი თავიანთი საქმიანობის შესახებ ქართულად და არა ბერძნულად, ან აფხაზურად? მაშინ, როცა კონსტანტინე II–ის ბერძნულენოვან წარწერაზე საგანგებოდ ჩერდებიან და ეს ერთადერთი წარწერა აღმოჩნდა არგუმენტი იმის, „დასასაბუთებლად“, რომ „აფხაზთა“ მეფეები ბერძნულად აწარმოებდნენ სამეფო კანცელარიის საქმიანობას.

დავუბრუნდეთ ისევ კონსტანტინე III-ს, რომელიც ცდილობდა გაემაგრებინა თავისი პოზიციები ქართლსა და კახეთში. ამ მიზნით კონსტანტინე III დინასტიური ქორწინებით

---

645 . არიში მდებარეობდა ჰერეთში, გავაზი – თანამედროვე ყვარლის რაიონშია.

646 . ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გვ. 222; ლ. ახალაძე. ეგრის – აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 57.

647 . ამის შესახებ იხ.: ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XIსს.). შემდგ. ნ. შოშიაშვილი. თბ., 1980, გვ. 34.

648 . О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 133.

649 . აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ წიგნში სომხური თემა საერთოდ ძალზე ფართო და მრავალფეროვანია, მაგალითად, კლისურის ციხე თურმე სომხებს აუგიათ, კერძოდ, ვინმე თომა სომეხს, ასევე აფხაზეთის მთებში ციბილიუმის კომენდატი VIII საუკუნეში სომეხი ყოფილა, 550 წელს პეტრას დამცველთა რიგებში იოანე სომეხიც იყო და ა. შ. ქართლი ვითომ სომხების ხელშია, ან აფხაზებისა; სად იყო ქართული სამეფო-სამთავროები, არ ჩანს. იხ. О. Х. Бгажба, С. . Лакоба. История Абхазии, გვ. 156.

დაუკავშირდა კახეთის ქორეპისკოპოსს, რითაც შეძლო ზურგი გაემაგრებინა თავისი პოლიტიკის შემდგომი გაფართოების პირობებში. კონსტანტინე III შეეცადა ალანთა კარის მიმდებარე ქვეყნების დამორჩილებას, ანუ მან სცადა ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზა გაეკონ-ტროლებინა. სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით: „ეგრისის მეფე კონსტანტინემ . . . შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხევებით, რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა თავის ხელქვეით დაემორჩილებინა“[650]. აფხაზთა მეფის ამ განზრახვას, დრასხანაკ-ერტელის ცნობით, წინ აღუდგა სომეხთა მეფე სუმბატ ბაგრატუნი. მართალია, კონ-სტანტინე III ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ვერც სუმბატმა შეძლო ალანთა კარის მიმდებარე ტერიტორიის დაკავება.

როგორც ჩანს, კონსტანტინე III–ს ალანთა კარის (დარიალის) ხელში ჩაგდების გარდა სხვა უფრო ფართო მიზნებიც ჰქონდა. „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალანთა გაქრისტიანების საკითხს. ბიზანტიის იმპერია აქტიურად ცდილობდა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას, მაგრამ ეს პრობლემა IX–X საუკუნეებამდე კვლავ გადაუჭრელი იყო. მართალია, ოსები ქრისტიანობას ადრიდანვე იცნობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აქ ფეხს ვერ იკიდებდა. IX საუკუნიდან ოსების გაქრისტიანება შედარებით წარმატებით წარიმართა.[651] ბიზანტიის იმპერიისა და გაძლიერებული „აფხაზთა“ სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთზე გავლენის მოპოვებას. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ბიზანტიის იმპერია და „ეგრის–აფხაზეთი ერთნაირად ცდილობდნენ ოსთა დამორჩილებას და ამ მიზნით, ორივე სახელმწიფო იყენებდა იდეოლოგიურ საშუალებას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და ცდილობდა ქრისტიანობის შეტანასა და გავრცელებას ალანებში.[652] „აფხაზთა“ სამეფოს ალანებისა და საერთოდ, ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მიმართ სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებდა. კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო „აფხაზთა“ სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კონსტანტინე III, სწორედ ამ მიმართულებით წარმართავდა თავის ღონისძიებებს, კერძოდ, მისი მხარდაჭერით ალანთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად გაიგზავნა არქიეპისკოპოსი. ეს, რა თქმა უნდა, ბიზანტიის ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომ კონსტანტინე მეფის ამ ღონისძიებას, როგორც ჩანს, ბიზანტიის მმართველი წრეები და ბერძენი პატრიარქიც იწონებდნენ. ამ ისტორიულ მოვლენებზე მოგვითხრობს ბიზანტიის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის (914-925წწ.) წერილები გიორგი II „აფხაზთა“ მეფისადმი[653], საიდანაც ირკვევა, რომ ალანებში ქრისტიანობის შეტანის საქმე კონსტანტინე III-ის დროს დაწყებულა. კონსტანტინე მეფის ინტერესები ალანებისადმი ჯერ კიდევ მაშინ გამოიკვეთა, როცა მან ალანთა კარის (დარიალის) შემოერთება გადაწყვიტა, მაგრამ მისი დამორჩილება ვერ შეძლო. როგორც ვხედავთ, ეს ბრძოლა იმ დიდი პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მხრიდან „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცებას და, შესაბამისად, იქ ქრისტიანობის ქადაგებას, რაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დასაყრდენი იქნებოდა „აფხაზთა“ სამეფოსათვის.

კონსტანტინე III-ის მიერ წამოწყებული დიდი პოლიტიკის გამგრძელებელი ჩანს მისი ვაჟი გიორგი II (922-957წწ.). გამეფების პირველ წლებში გიორგი II-ს ტახტს ეცილებოდა თავისი ძმა ბაგრატი, რომელიც მალე გარდაიცვალა და გიორგიმ „დაიპყრა სრულიად აფხაზეთი“. ამ პერიოდისათვის „სრულიად აფხაზეთი“ ეწოდებოდა არა მარტო საკუთ-

---

650 . იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1965, გვ. 109.

651 . გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ცხინვალი, 1958, გვ. 108-115; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ქართული სამთავროების წარმოქმნა, ეგრის-აფხაზეთის სამეფო, გვ. 443.

652 . მ. ლორთქიფანიძე. ახალი ქართული სამთავროების, გვ. 443.

653 . ცნობილია ნიკოლოზ მისტიკოსის სამი წერილი გიორგი II აფხაზთა მეფისადმი. უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად, ნიკოლოზ მისტიკოსის ერთ-ერთი წერილი კონსტანტინე III-ის სახელზე უნდა იყოს გაგზავნილი. იხ. Е. Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ. 83, 89, 91; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 112-113, 115.

რივ აფხაზეთს, ან მთელ დასავლეთ საქართველოს, არამედ აფხაზთა სამეფოს მთელ ტერიტორიას შიდა ქართლითა და ჰერეთითურთ.

გიორგი II აფხაზთა მეფეს წყაროები ახასიათებენ, როგორც ეკლესიათა მაშენებელს, ღვთისმოსავსა და გლახაკთა მოწყალეს. „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის სიტყვებით, „იყო იგი სრული ყოვლისა სიკეთისა, სიმჴნითა და ახოვანებითა; ღმრთისმოყუარე იყო, უმეტეს მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი, და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული.“[654] მსგავს დახასიათებას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონიც: „ესე გიორგი მეფე იყო ღუთისმოშიში და მოყუარული, ჰაეროვანი, მჴნე, ახოვანი, მოწყალე, უხვი, ეკლესიათა მაშენებელი და ქურივ-ობოლთა შემწყნარე“.[655] ალბათ, ნაკლებად წარმოსადგენია, რომელიმე ქვეყნის მემატიანეს მეზობელი ხალხის „დამპყრობელი“ მეფე ასეთი დახასიათებით წარედგინოს შთამომავლებისათვის. ქართველი მემატიანეების ამგვარი დამოკიდებულება „აფხაზთა“ მეფეების მიერ წარმოებული, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საეკლესიო პოლიტიკისადმი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ მათ ეთნიკურ ვინაობაზე, ადგილსა და როლზე ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

IX საუკუნის II ნახევრიდან ბიზანტიის იმპერიის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში თავისი ძველი გავლენის აღდგენა ვერ მოახერხა. ამიერიდან ბიზანტიის იმპერიამ დასავლეთ საქართველოს მიმართ ტაქტიკა შეიცვალა და შეეცადა ფორმალური გავლენა მაინც შეენარჩუნებინა საქართველოს ამ ნაწილზე. „ამ დროს ქართველთა ყმობა, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმცროს სამეფოთა შორის კავშირს უფრო უდრიდა ვიდრე ნამდვილს პოლიტიკურ დამოკიდებულებას“.[656] მიუხედავად ამისა, ამ ფორმალურ დამოკიდებულებას იმპერიის მესვეურები კარგა ხნის მანძილზე დიდი გულმოდგინებით იცავდნენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქრისტიანული ქვეყნების მეფეების მიმართ. ნიშანდობლივია „აფხაზთა“ მეფეებისადმი ბოძებული ტიტულატურა და მიმართვის წესი. გიორგი II აფხაზთა მეფეს ბიზანტიის იმპერიის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი „ექსუსიასტს“, ან „ბრწყინვალე ექსუსიასტს“ უწოდებდა, მაგრამ არასოდეს უწოდებდა მას „მეფეს“. მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზთა“ მეფეებს ამ ტიტულით არ მოიხსენიებდნენ, ბიზანტია მათ მაინც დამოუკიდებელ ხელისუფლად თვლიდა. ნიკოლოზ მისტიკოსი გიორგი II-ის „მეფური ღირსების“ შესახებაც ლაპარაკობს და არსად არ მიმართავს მას „მეფის“ ტიტულით. ეს ფაქტი, მაშინ როცა ბიზანტიის პატრიარქი კავკასიის არცერთ მეფესა და მთავარს „მეფის“ ტიტულით არ მოიხსენიებს, გიორგი II-ის დიდ ავტორიტეტსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე მიუთითებს.

ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებიდან ჩანს, რომ ბიზანტიას სურს, „აფხაზთა“ სამეფომ გააგრძელოს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ დაწყებული პოლიტიკა, პირველ წერილში პატრიარქი გიორგი II-ს შეახსენებს თავისი მამის საქმიანობას და ურჩევს, ეს გზა მანაც გააგრძელოს. „შენ საკმაოდ შეგნებული და გონიერი ხარ და მამაშენის საქმიანობასაც იცნობ, რომ ადამიანთა ხსნისათვის, ღვთის დიდი სახელის დიდებისათვის, საზოგადოდ... შენი მოღვაწეობით გვერდში ამოუდგე მას“[657] (იგულისხმება ალანთა არქიეპისკოპოსი). ნიკოლოზ მისტიკოსის სხვა წერილებიდან კარგად ჩანს, რომ გიორგი II „აფხაზთა“ მეფემ წარმატებით გააგრძელა მამის საქმე და უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ალანებში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. „შენ ღვთის ცნების მიხედვით, დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალანიის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“, – წერს ბიზანტიის პატრიარქი.[658] როგორც ჩანს, „აფხაზთა“ მეფე უშუალოდ მონაწილეობდა ალანთა მთავრისა და მისი ახლობლების გაქრისტიანების საქმეში[659].

---

654 . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 265.
655 . ქართლის ცხოვრებ, ტ. IV, გვ. 799.
656 . ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 109.
657 . გეოგიკა, ტ. IV. გვ. 213.
658 . იქვე, გვ. 214.
659 . მ. ლორთქიფანიძე. ეგრის-აფხაზეთის სამეფო, გვ. 444.

აფხაზთა“ მეფეების მიერ წარმოებული ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა მიმართული იყო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელებისაკენ ამ რეგიონში და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამავე დროს დაკავშირებული იყო ჩრდილოეთის მხრიდან სამეფოს საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცებასთანაც. ამ ფაქტზე მიუთითებს ქართული მართლმადიდებლური ტაძრების არსებობა დასავლეთ საქართველოდან ოსეთში გადასასვლელ გზებზე და ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელიც დადასტურებულია ოსურ ენაში.[660]

გარდა „მატიანე ქართლისაჲსა“ და ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებისა, გიორგი II-ის სარწმუნოებრივი პოლიტიკა სხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ლაპიდარული, ისე ჭედური წარწერები მოგვითხრობენ გიორგი II-ის საქმიანობაზე ამ მიმართულებით. გიორგი II–ის ეპოქაში მისივე ინიციატივით აიგო ჭყონდიდის, ხოფისა (ხვაფის) და ქიაჩის ტაძრები. აღნიშნული ინფორმაცია დაცულია ზემოთხსენებულ ქართულ წარწერებში.

ჭყონდიდის (მარტვილის) ტაძრის მშენებლობის ისტორიას მოგვითხრობს „მატიანე ქართლისაჲ“: „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი.“[661] მატიანეში დაცულ ინფორმაციას ტაძრის მშენებლობის შესახებ ეწინააღმდეგება ტაძრის დღევანდელი დათარიღება. გ. ჩუბინაშვილისა და ნ. ალადაშვილის სპეციალური გამოკვლევებით დაზუსტდა, რომ ჭყონდიდის ტაძარი აგებული უნდა იყოს VII საუკუნეში.[662] ტაძრის წარწერების შესწავლის საფუძველზე, ვ. სილოგავა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორია „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა გიორგი II აფხაზთა მეფის მიერ ჭყონდიდში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ, მაგრამ ტაძარი აგებულია VII საუკუნეში, გიორგი II აფხაზთა მეფემ გარკვეული სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა: განახლდა და შეკეთდა ტაძარი, აიგო საეპისკოპოსო სახლი და სხვა ნაგებობანი.[663] რაც შეეხება ტაძრის საამშენებლო წარწერას, იგი მოგვითხრობს 996 წელს ბაგრატ III-ის (978-1014წწ.) მიერ სანათლავის აგების ისტორიას.

გიორგი II-ის მიერ აგებულია ხოფის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი გუდაუთის რაიონში, რომლის საამშენებლო წარწერა მოგვითხრობს:

„[†] აღ(ა)შენა წ(მიდა)ჲ ე[სე ეკლესიაჲ] [. . .] მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)რმ[ან], [.] მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იორგ)ჲ(ს)სა, ოდ(ე)ს [და]იბადა [გ(უა)რ(ა)ნდ(უ)ხტ] [. . . .] მ(ი)სა. წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ, მ(ეო)ხ ეყავ წ(ინაშ)ე ქ(რისტე)სა.“[664]

წარწერის შინაარსი გვაუწყებს, რომ ხოფის ტაძარი იმთავითვე წმ. ნიკოლოზის სახელზე ყოფილა აგებული. რაც შეეხება წარწერის დათარიღებას, ვ. სილოგავას ვარაუდით, წარწერის პალეოგრაფია XII საუკუნისაა და „წარწერაში დასახელებული გიორგი მეფე შეიძლება სრულიად საქართველოს მეფედ – გიორგი მესამედ (1156-1184წწ.) მივიჩნიოთ, ამის მიხედვით წარწერა 1156-1178 წლებით თარიღდება.“[665] მაგრამ წარწერის პირველგამომცემლის ა. ავიძბას მონაცემებით, ხოფის წარწერაში მისი აღმოჩენის დროს იკითხებოდა ქალის სახელი გუარანდუხტ[666] (ლ. შერვაშიძის წაკითხვით), რაც ცვლის წარწერის დათარიღების ადრეულ ვარიანტს. ცნობილია, რომ გურანდუხტი, ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II –ის (922-957წწ.) ასული, გათხოვილი იყო ტაო-კლარჯეთში „ქართველთა მეფის“ ბაგრატ II ბაგრატიონის (958-994წწ.) შვილზე გურგენზე. წარწერა გურანდუხტის დაბადების ნიშნად არის ამოკვეთილი ხოფის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ფასადზე, რომლის მშენებლობა ასულის დაბადებისას უნდა დაესრულებინა გიორგი მეორეს; ამდენად, წარწერაში დასახელებული მეფე გიორგი II არის „აფხაზთა“ მეფე, რომლის ინიციატივით აიგო ხოფის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.

---

660 . ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I, გვ. 215-252; მ. ლორთქიფანიძე. ეგრის-აფხაზეთის სამეფო, გვ. 445.

661 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 265.

662 . . . . ., 1948, გვ. 31,59; . . . V–XI . ., 1977, გვ. 48-61.

663 . ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ., 2004, გვ. 51.

664 . ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I, გვ. 147-148.

665 . ქართული წარწერების კორპუსი, IIმ გვ. 142.

666 . . . . - , 1967, 7 октября.

ქართული ჭედური წარწერები მოგვითხრობენ გიორგი II-ის მიერ ქიაჩის ტაძრისადმი განსაკუთრებით მდიდარი შეწირულების შესახებ. კერძოდ, მან ქიაჩის ტაძარს შესწირა ვერცხლის საცეცხლური და სამწერობელი, რომელსაც ქიაჩის ხატსაც უწოდებენ[667]. ვერცხლის საცეცხლურზე ვკითხულობთ: „† წ(მიდა)ო ეკლესიაო, მეოხ მეყავ მე, გ(იორგ)ი მეფესა წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა“.[668]

გ. ჩუბუნაშვილმა ვერცხლის საცეცხლურის შესწავლის შემდეგ აღნიშნა, რომ ეს არის ადრეული ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში და წარწერაში დასახელებული გიორგი მეფე არის „აფხაზთა“ მეფე გიორგი II.

ქიაჩის ხატზე დაცული წარწერაც მოგვითხრობს, რომ იგი დამზადებულია გიორგი მეფის ინიციატივით.

„ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ)თისაჲთა, მე, გ(იორგ)I მ(ე)ფ(ე)მ(ა)ნ, დავსხენ ესე სამწერ-ობელნი წ(მი)დასა ამას ეკლესიასა ქიაჩს სალოცველად სულისა ჩემისათჳს. მღვდელნო, რაჟამს შესწირვიდეთ ხორცსა და სისხლსა ქრისტესა და ლოცვას მომიხსენეთ, ამენ. წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ **მეყავ წინაშე ძესა შენისა და ღმრთისა ჩვენისა მე, გიორგი მეფესა.“**[669]

ქიაჩის ხატი (სამწერობელი) გ. ჩუბინაშვილმა ვერცხლის საცეცხლურთან ერთად ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა და X საუკუნის I ნახევრით, გიორგი II-ის მეფობის წლებით დაათარიღა.

როგორც ვხედავთ, აფხაზთა სამეფოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო პოლიტიკა, რომელსაც ჯერ კიდევ IX საუკუნის 60-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი გიორგი I-მა და შემდეგ უფრო გაფართოვდა ბაგრატ I-ისა და კონსტანტინე III–ის მეფობის დროს, ახალ ფაზაში გადადის გიორგი II-ის ეპოქაში, რომლის მოღვაწეობის ხანა არის „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის მანძილზე ყველაზე წარმატებული ხანა. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ამ პერიოდის „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ წერდა, თუ როგორ გაფართოვდა და განვითარდა ეს ქვეყანა, გავრცელდა პონტოს ნაპირებზე და მისი საზღვრები აღწევდა სომეხთა და ალვანთა საზღვრებამდე, . . . ეს ტომი თავის თავდაპირველ ქვეყანაში იბერებს უწოდებდა თავის თავს, ხოლო აქ ჰქვიათ ქართ-ველები. და ამ ქვეყანას ჰქვია აფხაზეთი[670]. უხტანესის ეს ცნობა პირდაპირი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ აფხაზთა სამეფოს მოსახლეობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ. აფხაზი ისტორიკოსები, მათ შორის ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა[671], ცდილობენ გააყალბონ თანამედროვე აფხაზეთის ისტორია და ხშირად იშველიებენ უხტანესის მოტანილი ცნობის მხოლოდ პირველ ნაწილს, მეორე ნაწილს კი, სადაც აფხაზეთის ვრცელი სახელმწიფოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობაა მითითებული, მკითხველს უმალავენ[672].

აფხაზთა მეფის გიორგი II-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის. ფადლა ქორეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ კახი ფეოდალების ერთმა ნაწილმა არ აღიარა კვირიკე II-ის (929-976წწ.) ხელისუფლება და გადაწყვიტეს, კახეთი გიორგი II აფხაზთა მეფისათვის გადაეცათ. „შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწუა და ასწყვიდა. . . და კუალად დადგა ატენს და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“[673]. კახეთისათვის ბრძოლაში, როგორც მატიანის ავტორი გვამცნობს, მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო ქართლი, სადაც გიორგის უფროსი ვაჟი ლეონი ერისთავად იჯდა. კვირიკე ქორეპისკოპოსმა გიორგი მეფეს თავისი ძმა შურტა მიუგზავნა, რომელმაც „აფხაზთა“ მეფეს გადასცა ციხეები უჯარმა, ბოჭორმა, ლოწობანი და ნახჭევანი. ამ ციხეების

---

667 . აღნიშნული ნივთები აღმოჩენილია წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის ეკლესიაში.

668 . . . . ., 1959, 29, 30, 31. . 148; ლ. ახალაძე. ეგრის – აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 58.

669 . . . , ფოტო 22, 23, 24, გვ. 138.

670 . უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ., 1975, გვ. 66-67.

671 . О. Х. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 156.

672 . აფხაზი ისტორიკოსების რ. ხონელიას, მ. გუნბას მიერ უხტანესის ამ ცნობის გაყალბების შესახებ იხილეთ: . , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 197, 556.

673 . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 268.

აღება გიორგი მეფემ იოლად შეძლო. ნახჭევანის აღების შემდეგ „ვითარ იხილა კვირიკე ქორეპისკოპოსმან, რამეთუ არარა იყო ღონე მისი, ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა“[674]. როგორც ჩანს, გიორგი მეფემ კვირიკე ქორეპისკოპოსი შეიპყრო, რომელმაც სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა და გიორგი მეფეს კახეთი დაულოცა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ერისთავს – ლეონს არ სურდა ცოცხალი გაეშვა კვირიკე ქორეპისკოპოსი, გიორგიმ შვილს არ უსმინა და იგი ცოცხალი დატოვა. უფრო მეტიც, შეიწყნარა კვირიკეს თხოვნა და გაზაფხულამდე მას ბოჭორმის ციხე დაუტოვა. ამასობაში კვირიკესთან ქართლის აზნაურების ჯგუფი მოვიდა და დახმარება აღუთქვეს გიორგი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა დახმარებით „კუალად ეუფლა კვირიკე მამულსა თვისსა“, წერს „მატიანე ქართლისაის“ ავტორი.

მიუხედავად ამისა, გიორგი მეფემ მაინც გააგრძელა ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის. მისი ძირითადი პოლიტიკა, საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული და, ბუნებრივია, რომ კახეთს თავს ვერ დაანებებდა. 956 წლის ახლო ხანებში გიორგი მეფემ კახეთის შემოსაერთებლად თავისი ვაჟი – ლეონ ქართლის ერისთავი გაგზავნა. „კუალად გაგზავნა ლაშქარი თვისი, და ძე მისი ლეონ უჩინა წინამძღურად. და მივიდა და მოწუა კახეთი, და მასვე ლაშქრობასა შინა მოართუეს ამბავი: მიცვალება დიდისა და ღმრთის-მოყუარისა გიორგი მეფისა“.[675] როგორც ვხედავთ, ლეონმა შეძლო მამის დავალების შესრულება, მაგრამ გიორგის გარდაცვალებამ აიძულა დროებით გადაედო კახეთის შემოერთების საკითხი. მან სასწრაფოდ ზავი დადო კვირიკე ქორეპისკოპოსთან და ქუთაისს დაბრუნდა.

957 წელს აფხაზთა სამეფოს ტახტი დაიკავა ლეონ III-მ (957-967წწ.). წყაროების მიხედვით, გიორგი II-ს ოთხი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა: ლეონი, დემეტრე, თეოდოსი, ბაგრატი და გურანდუხტი. აფხაზთა მეფემ ორი ვაჟი - თეოდოსი და ბაგრატი, თავიდანვე ბიზანტიაში გაგზავნა, რათა მისი სიკვდილის შემდეგ ძმებს შორის ტახტისათვის ბრძოლა არ ატეხილიყო, „რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არ იყოს მათ შორის ბრძოლა და ჴდომა“[676]. მიუხედავად ამისა, თეოდოსი მაინც დაბრუნებულა, რომელსაც, როგორც ჩანს, ტახტზე სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა. 957 წელს ლეონს ტახტზე ასვლისას წინააღმდეგობანი არ შეხვედრია და მან ენერგიულად გააგრძელა მამის პოლიტიკა; გამეფებისთანავე განაახლა ბრძოლა ქართლის დანარჩენი მიწების შემოერთებისათვის. ლეონმა თავისი მეფობის პირველ წლებშივე შეძლო ჯავახეთის შემოერთება და იქ თავისი ერთგული მოხელის ზვიად მარუშიანის ერისთავად დასმა. ამ ისტორიულ ფაქტს ადასტურებს კუმურდოს ტაძრის წარწერა.

„შ(ე)წ(ე)ვნ(ი)თა ღ(მღთ)ის(ა)ჲთა, იოვ(ა)ნე/ ებ(ი)სკ(ო)პ(ო)სმ(ა)ნ დ(ა)დვა ს(ა)ძ(ი)რკვ(ე)ლი ამ(ი)ს/ ეკლეს(იი)ს(ა)ჲ ჴ(ე)ლითა ჩ(ე)მ ც(ო)დვ(ი)ლისა ს(ა)კოც(ა)რის(აჲ)თა,/ ლეონ მეფისა ზჱ – ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ, ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა / რპდ, თ(უეს)ა მ/აჲს(ს)ა ა,/ დღესა შ(ა)ფ(ა)თსა, ა მთუარი/ს(ა)სა, ერისთვობ(ა)სა ზჯიასსა; ესე ბ(ა)/ლა(ჰ)ვ(ა)რი მ(უნ) და/ჲდვა; ქ(რისტ)ე, შე(ე)წ(ი)ე მ(ო)ნ(ა)სა შ(ე)ნსა, ა(მე)ნ.“[677]

წარწერის ტექსტში მოცემულია თარიღი რპდ – 964 წელი. დამათარიღებელ არგუმენტად ლეონ მეფის მოხსენიებაც შეიძლებოდა. როგორც წარწერიდან ირკვევა, აფხაზთა მეფე ლეონ მესამე დაახლოებით 964 წლისათვის, ანუ თავისი მეფობის მე-7 წელს უკვე ფლობდა ჯავახეთსაც, სადაც მის ხელისუფლებას ზვიად ერისთავი წარმოადგენდა. ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ „აფხაზთა“ მეფეები ქართლთან ერთად ჯავახეთსაც ფლობდნენ. ნარატიული წყაროებიდან ჩანს, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფეები თავიანთ ძალაუფლებას საქართველოს სამხრეთი მიმართულებითაც ავრცელებდნენ. კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერა ამის ნათელი დადასტურებაა.

---

674 . იქვე. 269.
675 . იქვე, გვ. 269.
676 . იქვე, გვ. 270.
677 . გამოცემათა სრული სია იხ.: ვ. სილოგავა. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ., 1994, გვ. 39.

ლეონ III აქტიურ პოლიტიკას ატარებდა კახეთის შემოერთებისათვის. ლეონმა „კუალად იწყო მტერობად კჳირიკეს და ძებნად კახეთისა; გაილაშქრა სპითა დიდითა. ჩადგა არაგჳის პირსა, ასწყჳიდა მუხნარი ხერკი, და ბაზალეთი“, მაგრამ, მემატიანის სიტყვებით, მეფე ამ ლაშქრობის დროს დასნეულდა, „შეიქცა გარე და მოკუდა“.[678] როგორც ვხედავთ, ლეონ III-მ ვერ შეძლო მამის მიერ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, თუმცა „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრები სხვა მიმართულებით, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთით გააფართოვა.

ისევე როგორც გიორგი მეფეს, ლეონ III-საც ისტორიული წყაროები ახასიათებენ, როგორც ქრისტესმოყვარე, ეკლესიათა მაშენებელსა და ქვრივ-ობოლთა მფარველ მეფეს. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, „განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი მსგავსად მამისა მისისა. იყო იგიცა ღმრთის-მოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქჳისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“[679]. ზემოთაღნიშნული წყაროები მიუთითებენ, რომ ლეონ III წარმატებით აგრძელებდა მისი წინაპრების მიერ დაწყებულ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო პოლიტიკას. მან ააგო მოქვის, კუმურდოს, წირქოლის ტაძრები, ხობის ეკლესია. კუმურდოს, წირქოლისა და ხობის ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცულია ინფორმაცია ამ ტაძრების მშენებლობის შესახებ. მაგალითად, წირქოლის ტაძრის წარწერაში ვკითხულობთ: „დანიელი იტყუის: მიჴ/სენ / მე, უ(ფალ)ო, [ბ]ირის(ა)გ(ა)ნ ლომთა/[ჲსა, იჴსენ სასჯელისაგან, გ(ა)ბრ(იე)ლ მთ(ა)ვ(ა)რანგ(ე)ლ(ო)ზ/ო, ლ(ე)ონ მე/ფე.“; ხოლო ხობის ტაძრიდან შემორჩენილია ჭედური წარწერა ღვთისმშობლის ხატზე, რომელშიც ასევე ლეონ მეფის სახელი იკითხება: „† ყ(ოვ)ლ(ა)დ წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, მეოხ ეყავ წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ესა ს(უ)ლსა ლეონ მეფის(ა)“.[680]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აფხაზი ავტორები ს. ლაკობა და ო. ბღაჟბა თავიანთ შრომებში გვერდს უვლიან გიორგი II-ისა და ლეონ III-ის მიერ განხორციელებულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს და ამაოდ ცდილობენ მათ წარმოჩენას „დამპყრობელ“ აფხაზ (აფსუა) მეფეებად.

967 წელს ლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა დემეტრე III (967-975წწ.), რომელსაც ტახტს ეცილებოდა ბიზანტიიდან დაბრუნებული ძმა თეოდოსი. ძმის წინააღმდეგ მებრძოლ თეოდოსის, მართალია, მესხი აზნაურები უჭერდნენ მხარს, მაგრამ დემეტრემ იგი შეიპყრო და თვალები დასთხარა. როგორც ჩანს, უსინათლო („მწუხარე“) თეოდოსი შემდეგშიც განაგრძობდა ბრძოლას ტახტისათვის, რადგან დემეტრეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია. ასეთ პირობებში 975 წ. დემეტრე III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა უსინათლო და უშვილო თეოდოსი, რომლის ერთადერთი მემკვიდრე იყო თეოდოსის დისშვილი, გიორგი II „აფხაზთა“ მეფის შვილიშვილი ასულის მხრიდან და „ქართველთა“ მეფის ბაგრატ II „რეგუენის“ შვილიშვილი ბაგრატ ბაგრატიონი. X საუკუნის 70-იანი წლებიდან „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, რომელიც საქართველოს გაერთიანებით დასრულდა.

„აფხაზთა“ სამეფოს კულტურულ-სარწმუნოებრივი იერსახის წარმოსაჩენად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლურქართულ ეკლესიაში მოღვაწე საეკლესიო პირების, „აფხაზთა“ მეფეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაკვეთით შესრულებულ დამწერლობის ნიმუშებს, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე, ქართული დამწერლობითაა შესრულებული[681].

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების საქართველოში ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ცენტრებს ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა. ეკლესია იყო ძირითადი ძარღვი, საიდანაც იწყებოდა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის, ქართული სულიერების სათავეები. VIს. საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო ცხოვრებას. განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის იგი VIII საუკუნიდან ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც

---

678 . ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 270

679 . იქვე, გვ. 270.

680 . ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები, გვ. 59.

681 . ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. – ქართველური მემკვიდრეობა. თბ., 1999; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, I. თბ., 2005; ლ. ახალაძე. გრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები.

გადაიქცნენ ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად, სადაც მიმდინარეობდა ორიგინალური და თარგმნილი საერო თუ სასულიერო ლიტერატურის შექმნა, ხელნაწერთა განახლება; აქვე ჩამოყალიბდა ხატწერისა და ფერწერის შესანიშნავი სკოლები, სხვადასხვა კალიგრაფიული მიმდინარეობანი და ა. შ. „აფხაზთა“ სამეფოში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული საეკლესიო ცენტრების იდეოლოგიურ გავლენაზე და კულტურულ-სარწმუნოებრივ ერთობაზე მიუთითებს „აფხაზთა“ მეფის დემეტრე II-ის მიერ გრიგოლ ხანძთელის მოწვევა უბისის მონასტრისა და საეკლესიო ცენტრის დასაარსებლად. ეს კულტურული ერთიანობა ტრადიციულად შემდეგშიც გაგრძელდა. რადგან „აფხაზთა“ მეფეების ინიციატივით დაარსებული ახალი საეკლესიო ცენტრები უბე, არმაზი, მარტვილი, ხოფი, მოქვი, წირქოლი, ხობი, სამწევრისი, ერედვი ქართული მწიგნობრობის, განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ არა მარტო „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში, არამედ მომდევნო საუკუნეებშიც ხშირად წამყვანი კულტურული ტენდენციების მატარებლებად და ახალი კულტურული წამოწყებების ინიციატორებად გვევლინებიან.

ცხადია, ამ მოვლენას სათავე დაუდო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკურმა და სარწმუნოებრივმა დამოუკიდებლობამ. მისი მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში „აფხაზთა“ მეფეებს გვერდით ედგნენ ბიზანტიის გავლენისაგან თავისუფალი ეკლესია და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომელმაც შეძლო არა მარტო საეკლესიო და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება, არამედ ბრძოლა განაახლა დანარჩენი ქართული მიწების შემოერთებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

გამომდინარე აქედან, ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ „აფხაზთა“ სამეფოში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, საეკლესიო და საერო პირები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით უკვდავყვეს საკუთარი სახელები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის, სტეფანე სანანოიძის სამწერლო მოღვაწეობა მარტვილის ტაძარში, რომელიც გიორგი II-ის დროს გადაიქცა ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად. იმავე გიორგი II-ის მფარველობით სარგებლობდა დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი, შესანიშნავი „აღდგომის საგალობლების“ ავტორი იოანე მინჩხი[682]. „აფხაზთა“ სამეფოს მკვიდრი იყო მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის „აბუკურას“ ავტორი[683]. კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის დაკვეთით ქართულ ენაზე დაიწერა „აფხაზთა“ მეფეთა დივანი“[684], რომელიც წარმოადგენს ეგრის-აფხაზეთის მეფეთა VIII-X საუკუნეების მატიანეს.

„აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე სამწერლობო კულტურა მხოლოდ ქართული იყო, რაზეც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტები, ასევე „აფხაზთა“ მეფეების დაკვეთით შესრულებული ყველა წარწერა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია და რომლებიც ქართული ასომთავრული დამწერლობით არის შესრულებული. ამ ფაქტს აღნიშნავს თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ოდესმე შეხებია ამ სამეფოს ისტორიას[685], მათ შორის აფხაზი ავტორებიც.[686] მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ უვლიან გვერდს თანამედროვე აფხაზური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები მ. გუნბა ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა. საგულისხმოა, რომ აფხაზეთში დამწერლობის განვითარების ისტორიას ერთ-ერთი პირველი ნაყოფიერად იკვლევდა ხ. ბღაჟბა (ო. ბღაჟბას მამა). მისი დასკვნით, „აფხაზთა სამეფო“ წარმოადგენდა დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომლის სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო[687]. დ. გულიას აზრით კი, არსებული „მრავალრიცხოვანი მეცნიერულად შემოწმებული ფაქტები უცილობლად მეტყველებენ, რომ აფხაზები

---

682 . იოანე მინჩხის პოეზია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ. თბ., 1987.

683 . შდრ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 427.

684 . ძველი საქართველო, ტ. II. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 46-54.

685 . ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. - შრომები, ტ. VI. თბ., 1988, გვ. 26; . . . ..., გვ. 196; მ. ლორთქიფანიძე. ეგრის-აფხაზეთი, გვ. 416-445; ზ. პაპასქირი. ნარკვევები...; I, გვ. 52-53; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 119; შ. გლოველი. აფხაზთა სამეფო. გვ. 24-25. და სხვები.

686 . . . . . ., 1967, გვ. 12.

687 . იქვე.

ყოველთვის ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ საერთო ისტორიული და კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები, კაცმა რომ თქვას, იგივე ქართველები არიან...

უცილობლად დადგენილია, რომ უკვე IX ს-ის შუა ხანებიდან ქართული ენა არის დამწერლობის, სახელმწიფო და კერძო საქმისწარმოების, ყოველდღიური საეკლესიო ცხოვრებისა და ღვთისმსახურების ერთადერთი ენა“[688]

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე სადამწერლობო კულტურის განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქიდან შემორჩენილ ეპიგრაფიკულ მასალას. მათმა შესწავლამ და პალეოგრაფიულმა შედარებამ საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების დამწერლობათა ნიმუშებთან აშკარად გამოკვეთა აფხაზეთის მოწინავე კულტურულ-ისტორიული ტენდენციები. მაგალითად, იგი პირველი ეხმაურება ასომთავრულში მიმდინარე ცვლილებებს. ამის დასტურია ის, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრეული ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუში საკუთრივ აფხაზეთის, კერძოდ, გუდაუთის რაიონში მსიგხვას მთის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ამ მხარეში საფუძველი ჩაეყარა ქართული სადამწერლობო კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ კიდურწაისრული დამწერლობის კალიგრაფიულ სკოლას, რომელიც აქედან გავრცელდა დანარჩენ საქართველოში[689].

ზემოთაღნიშნული მასალა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ საქართველოს ეს ისტორიული მხარე – აფხაზეთი ქართული კულტურის გავრცელების არეალს კი არ წარმოადგენდა, არამედ თავად იყო ამ კულტურის შემოქმედი და ორგანულად ჩართული ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სამყაროში, როგორც ქართლი, კახეთი, ოდიში ან რომელიმე სხვა ისტორიული რეგიონი.[690] მეცნიერებისათვის უცნობია აფხაზთა სამეფოში არაქართული კულტურის არსებობისა და განვითარების, არაქართულენოვანი მოსახლეობის იქ მოღვაწეობის დამადასტურებელი რამენაირი ფაქტი.

---

[688] . Д. Гулия. О моей книге «История Абхазии. Сухуми. 1951 ( ). Тб., 1998, გვ.10, 15.

[689] . ლ. ახალაძე. ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. – კულტურათაშორისი კომუნიკაციები. თბ., 2007, გვ. 32-40.

[690] . დაწვრილებით იხილეთ: ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, I. გვ. 204-211.

თავი VI. აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი და სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი შუა საუკუნეების ნივთიერი ძეგლები – ქრისტიანული ტაძრები, საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ IV-XVIII საუკუნეების ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარების თითქმის უწყვეტ სურათს, სტილთა ცვლას, ევოლუციის ისტორიულ პროცესს, შემოქმედებითი ძიების, სრული მხატვრული სიმწიფისა და კრიზისის პერიოდების მონაცვლეობას. აღნიშნულ ძეგლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართული კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ კი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევართა მიერ მრავალმხრივ გაშუქებული და კარგად შესწავლილია.[1] ამჯერად აფხაზეთის რეგიონის ადრე შუა საუკუნეებისა (IV-VII სს.) და გარდამავალი ხანის (VII-X სს.) საეკლესიო ხუროთმოძღვრების მხოლოდ იმ განსხვავებული, თავისებური ნიშნებია განხილული, რომლებიც ქართული „ქვეყნებისათვის“ საზიარო მხატვრულ დინებებს, ერთიან გემოვნებას, შემოქმედებითი ძიებების საერთო მიმართულებებს ასახავენ და მთელი საქართველოსათვის ნიშანდობლივი თემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომის, შემოქმედებითი გადამუშავების შედეგს წარმოადგენს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ხუროთმოძღვართ სრულიად გარკვეული ამოცანა დაუსახა: უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სარწმუნოებრივი რიტუალის ჩასატარებლად გამოდგებოდა. ევროპასა და ახლოაღმოსავლეთში ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობა, ე. წ. ბაზილიკა და ცენტრული, მრგვალი, რვაწახნაგა, ჯვარისებრი შენობა.[2]

საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში, აგრეთვე ვხვდებით ორ სახეობას: წაგრძელებულ უგუმბათო შენობებსა და ცენტრულ შენობებს. ქართული ცენტრული ტაძრების ბირთვს შეადგენს კვადრატი, რომელზედაც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვარისებრი გეგმა. ეს სტილი გენეტიკურად უკავშირდება, ერთი მხრივ, ანალოგიურ კომპოზიციას ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგალითად, სასანურ სასახლეებს ირანში), მეორე მხრივ, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავებული, ღვიძლი და ტრადიციული გლეხური "დარბაზის" ტიპს.[3]

ხაზგასმით გამჟღვანებული სიგრძივი ღერძის მქონე შენობა-ბაზილიკის ტიპი, რომელიც აგებულია გარკვეული ელემენტების რიტმული განმეორებით, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო იყო. ამ ტიპს ნერგავდა ოფიციალური ეკლესია, რადგან ქრისტიანულ ეკლესიას დასაწყისში ესაჭიროებოდა უკვე აღიარებული, სარწმუნოების მიერ ნაკურთხი ნიმუშები. ასეთ ნიმუშებად მიჩნეულ იქნა პალესტინის უძველესი ბაზილიკები, რაკი პალესტინა, საღმრთო წერილის თანახმად, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ასპარეზი იყო.[4]

ადრექრისტიანულ ხანაში ქართლში, კახეთსა და აფხაზეთში თითქმის ერთდროულად აღმოცენდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა "სამეკლესიანი ბაზილიკა" უწოდეს. გარედან თავისი "პროფილით" იგი არ

---

[1]. ი. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ., 1955; შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961; ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974; მისივე: - . – IV . ., 1983; . . . . - . . . ., 1978; მისივე: VIII-X . ., 1988 და სხვ.

[2]. ვ. ბერიძე. ძველი ქართული..., გვ. 18.

[3]. იქვე, გვ. 19.

[4]. იქვე.

განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, მაგრამ შიგნით ნავები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებითაა გათიშული; ე.ი. არსებითად, აქ ერთ შენობაში გაერთიანებულია სამი დამოუკიდებელი სამლოცველო. V-VI საუკუნეებში ჩასახული ეს თემა VII საუკუნიდან გარკვეულ ევოლუციას განიცდის და განსაზღვრულ ხანაში მხატვრულად დასრულებული ნაწარმოების სახეს იძლევა.[1]

სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკის გვერდით, აფხაზეთში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ანუ ცალნავიანი) ეკლესია. სოფლის მცირე სამლოცველოთა უმეტესობა ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა არსებობს მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიებიც. აგრეთვე გვხვდება ორნავიანი ეკლესიები.

ქართული ეკლესია მთლიანად და სავსებით ემხრობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიღებულ ნორმებს. ფუნქციური თვალსაზრისით იგი ემთხვევა სხვა ქრისტიანული (უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი) ქვენების ეკლესიას: აღმოსავლეთისაკენ მიმართული, ნახევარწრიულ აფსიდიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო; მის ორსავ მხარეს (გარდა უძველესი ეკლესიებისა, სადაც ეს სადგომები ჯერ კიდევ არ არის), მლოცველთა დარბაზი. ქართული ეკლესიები იმთავითვე ატრიუმების გარეშე შენდებოდა. მათ არ გააჩნდათ არც ნართექსები დასავლეთის მხარეს (იშვიათი გამონაკლისის გარდა), არც ცალკე აშენებული სანათლავები (ბაპტისტერიუმები) დასავლური ეკლესიებისა, ხოლო სამრეკლოები XIII საუკუნიდან ჩნდება.[2]

დღევანდელ აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის საკულტო არქიტექტურის ოცზე მეტი ერთეულია ცნობილი, რომლებიც ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა გამოვლენილი. როგორც არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, ქრისტიანული ტაძრები არა მარტო წერილობითი წყაროებით ცნობილ ცენტრებში (ბიჭვინთა), მნიშვნელოვან ქალაქებსა და გამაგრებულ ციხეებში (სებასტოპოლისი, ანაკოფია, წებელდა) არსებობდა, არამედ წერილობით უცნობ პუნქტებშიც (გაგრა, ალაჰაძე, გიენოსი, დრანდა, განთიადი, ჰაშუფსა, მიუსერა, მრამბა, შაპკა, აბაანთა, ქიაჩ-აბაა და სხვ.).

ადრე შუა საუკუნეებში ეკლესიები აფხაზეთში წარმოდგენილია ცალნავიანი (ბიჭვინთის N1, N4 და საკათედრო ტაძრის დასავლეთით გამოვლენილი ორი ეკლესია, გიენოსი, ჰაშუფსა, წებელდა, მრამბა, შაპკა) და ორნავიანი (ბიჭვინთა) ნაგებობებით; სამნავიანი ბაზილიკებით (ბიჭვინთის N2 და N3 ეკლესიები, განთიადი, ალაჰაძე), "სამეკლესიანი ბაზილიკებით" (გაგრა, მიუსერა, აბა-ანთა, ქიაჩ-აბაა) და ჯვარგუმბათოვანი ნაგებობით (დრანდა).

მართალია, ბერძნული კონფესიური გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში საკულტო ხუროთმოძღვრული ფორმები ბიზანტიიდან შემოდის, მაგრამ აფხაზეთის მკვიდრთა ქართულ "ქვეყნებთან" სულიერ-კულტურული ერთობა არ წყდება, ამ დროის საკულტო ხუროთმოძღვრულ ნაწარმოებებში ვხედავთ ბიზანტიურისა და ადგილობრივის საზიარო მხატვრული დინებების შერწყმა-შეერთებას.

ადრე შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე აფხაზეთში აშენებული ეკლესიების ნაწილი თუ ბერძნულია (მაგალითად, ძველი პიტიუნტი, ბიჭვინთის IV-V საუკუნეების ერთმანეთზე დაშენებული ბაზილიკები, გუდავის IV საუკუნის ბაპტისტერიუმი), ცოტა უფრო გვიან, VI საუკუნეში, აწინდელ გაგრაში აგებული ე.წ. "სამეკლესიანი ბაზილიკა" საქართველოში უგუმბათო არქიტექტურის ტიპად ჩამოქნილი ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

აფხაზეთში ამ ტიპის ოთხი ძეგლია შემორჩენილი ძველ გაგრაში, აბაანთის ციხეში (სოფ. ლიხნი), ქიაჩის ბორცვზე და ამბარაში, მიუსერას კონცხზე. მათგან უძველესია ძველი გაგრის ეკლესია, რომელიც გაგრის ციხის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ ტაძარში ქართული ადრექრისტიანული რელიეფებისათვის დამახასიათებელი მოტივი – წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა, ე. წ. "ბოლნური" ჯვრებია შემორჩენილი.

---

[1]. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936, გვ. 65-66; მისივე: , . ., 1959, გვ. 141.

[2]. ვ. ბერიძე. ძველი ქართული..., გვ. 20.

არქიტექტურული თემა "სამეკლესიანი ბაზილიკისა", როგორც აღინიშნა, უგუმბათო ტაძრის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც თავისი გარეგანი ფორმებით სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ შიგნიდან, როგორც კონსტრუქციული აზრით, ისე სივრცის შთაბეჭდილებით სრულიად განსხვავდება ბაზილიკისაგან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ აქ სვეტების თუ საბჯენების ნაცვლად, რომლებიც ბაზილიკის შიდა სივრცეს ნავებად ყოფს, კედლები ჩნდება. ამ ტიპის ნაგებობამ საქართველოში საინტერესო ევოლუცია განიცადა და განსაზღვრულ ხანაში მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები მოგვცა.

მართალია, ბაზილიკის ეს ტიპი სხვა ქვეყნებშიც ცნობილია, მაგრამ ამ ტაძრებმა საქართველოში განსაზღვრული დამოუკიდებელი ტიპის სახე მიიღეს. მათი შემოქმედებითი განვითარების საფუძვლად კახეთია მიჩნეული, სადაც ამ ტიპის ორ ათეულამდე ძეგლია შემონახული. შენობის ეს ტიპი ერთნაირად მოსაწონი და მისაღები უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის. ეს გარემოება ბუნებრივად და კანონზომიერად გამოაჩენს "სამეკლესიანი ბაზილიკების" ერთდროულ აღმოცენებას კახეთში, ქართლსა და აფხაზეთში.[1] აფხაზეთში ამ ტიპის საერთოქართული ძეგლების არსებობა რეალური კულტურულ-ისტორიული ვითარების მაჩვენებელია.[2]

ქართველი მკვლევარები აფხაზეთში „სამეკლესიანი ბაზილიკების" არსებობას არ განიხილავენ როგორც ქართლის პირდაპირ პოლიტიკურ ზემოქმედებას ძლიერი ბიზანტიის ვასალ სახელმწიფოზე, ეგრისზე,[3] მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს, „ქართლის ცხოვრებისა" და სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის მონაცემებზე დაყრდნობით, არ გამორიცხავენ ქართლსა და ეგრისს შორის V-VII საუკუნეებში საეკლესიო-კულტურული ერთობის არსებობას[4] და ერთი მწყემსმთავრის, ცნობილი ქართველი მოღვაწის, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების აქტიური მონაწილის, კირიონ ქართლის კათალიკოსის (VI-VII საუკუნეების მიჯნა) ხელქვეით გაერთიანებას.[5]

ბიზანტიურისა და ადგილობრივის, მთელი კულტურულ-ისტორიული საქართველოსათვის საზიარო მხატვრული დინებების შერწყმა-შეერთების მკაფიო მაგალითია დრანდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომლის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ხუროთმოძღვრული ანალიზით გ.ჩუბინაშვილი ტაძარს მცხეთის ჯვრის (VIს.) ვარიაციად მიიჩნევს,[6] რ.მეფისაშვილი სახელოვნებათმცოდნეო და საბუნებისმეტყველო-ფიზიკური მეთოდებით VIII საუკუნით ათარიღებს,[7] ხოლო მ.ხოტელაშვილი და კ.იაკობსონი მას ბიზანტიურ ძეგლად თვლიან და არქეოლოგიური მასალით VI საუკუნით ათარიღებენ.[8] აგურით ნაშენი ტაძარი, დაბალი და განიერი მრავალსარკმლიანი გუმბათით, მრავალრიცხოვანი კარ-სარკმლებით, შუაში როტონდული სივრცით გვიანრომაული მემკვიდრეობაა. ამ ნაგებობაში ნართექსისა და მთავარი სივრცის შესასვლელთა ღერძების აცდენა VIII-IXსს. ზოგადქართულ სწრაფვას ეხმიანება, საკურთხევლის სამი შვერილით აფსიდის თაღების გადაბმის ხერხი კი "მცხეთის ჯვრისა" და მისი ჯგუფის (თუნდაც მარტვილის ტაძრის) გამოცდილებას ემყარება.[9]

---

[1]. დ. თუმანიშვილი. შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ერთობის შესახებ. – ლიტერატურა და ხელოვნება, 3-6, 1993, გვ. 177.

[2]. ვ. ბერიძე. კულტურის ძეგლები აფხაზეთში. – ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1995, გვ. 65.

[3]. დ. თუმანიშვილი. აფხაზეთის ხუროთმოძღვრების რაობისათვის. – ზედაშე, I. თბ., 2005, გვ. 80; ი.ბერძენიშვილი. აფხაზეთის "სამეკლესიანი ბაზილიკები". - მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ. 59.

[4]. ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I. თბ., 1949, გვ. 124.

[5]. ზ. ალექსიძე. ეპისტოლეთა წიგნი. თბ., 1968, გვ. 167-168.

[6]. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 140-141.

[7]. . . (VIII). – ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბ., 1981, გვ. 1,2.

[8]. . т , . . . ( ). – , . 45. ., 1984, გვ. 192-200, 204-205.

[9]. დ. თუმანიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 80., Л. Шервашидзе. Археологические раскопки в крепости Аба-анта. Полевые археологические исследование в 1976 г. Тб., 1979, გვ. 233.

შემდგომში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობებში თანდათან ძლიერდება არაბიზანტიური საწყისი, თუმცა კვლავ აშენებენ „სამეკლესიან ბაზილიკებს“. VII-VIII საუკუნეებში აშენებული აბაანთისა[10] და ამბარის “სამეკლესიანი ბაზილიკები“, აგრეთვე VIII-X საუკუნეების ქიაჩის წმ.მთავარანგელოზთა სახელობის “სამეკლესიანი ბაზილიკა“,[11] რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი სალოცავი ყოფილა, იმ ტენდენციებს ასახავენ, რაც აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში იჩენს თავს (გეგმარების გართულება, შიდა კედლების ძალოვანი შვერილებით დამუშავება).

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ, გარდამავალი ხანის ჩხორთოლის ერთნავიან დარბაზულ ეკლესიას IX-Xსს. პარალელები ჯავახეთსა (ხვილიშა - VIII-IXსს.) და შიდა ქართლში (სნექვი – IX-Xსს., ერედვის ბერის საყდარი – Xს., ერედვის წმ.გიორგი – 906წ., კუსირეთი – VIII-Xსს., ხეითის საბაწმიდა – Xს., დისევი – Xს.) მოეპოვება,[12] ხოლო წკელიკარის დარბაზულ ეკლესიას (XIს.) კი – ჯავახეთში (აგარა – Xს.).[13]

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ტენდენციები ასახულია აფხაზეთის IX-Xსს. ძეგლებში, რომლებიც გარდამავალი ხანის უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნებიან და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძიებებით გამოირჩევიან. ამ ძიებების პროცესში ქართულ ხუროთმოძღვრებაში გაბატონებულ ადგილს ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა იკავებს, რომლის ძირითადი მახასიათებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის წაგრძელებული ფორმის ნაგებობა.ასეთი ნაგებობის მასები სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნიან. ოთხ თავისუფლად მდგარ ბოძზე დაბჯენილი გუმბათი აღმართულია ტაძრის მკლავების გადაკვეთაზე. ტაძრის ეს ტიპი მრავალფეროვანია, იგება “თავისუფალი ჯვრის“ და “ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ტაძრები.[1]

„ჩაწერილი ჯვრის“ ძირითად ბირთვს ჯვარ-გუმბათოვანი სტრუქტურა შეადგენს. ეს თემა დროთა განმავლობაში თანდათან ვითარდება და რთულდება, რაც ძირითადი ერთიანი კომპოზიციური სტრუქტურისათვის ცალკეულ ელემენტთა დამატებაში გამოისახება. ანაკოფიის ტაძარში, ბზიფში წარმოდგენილ ძირითად კომპოზიციას დასავლეთით ნართექსი ემატება, რომელიც უშუალოდ ძირითად კორპუსს ერწყმის. აქ კარიბჭეები გამოწეულ ფორმას ქმნიან. ანაკოფიის ტაძრის გეგმა ლიხნში მეორდება. აქ ინტერიერს, ანაკოფიისაგან განსხვავებული, ნართექსს ზევით მოთავსებული პატრონიკე ამრავალფეროვნებს. ლიხნის ინტერიერის გრანდიოზულობისა და დიდებულების შთაბეჭდილება გაძლიერებულია სამი მხრიდან შემოვლებული ორსართულიანი გარშემოსავლელითა და დასავლეთ მხარეს დამატებული ორი სვეტით.

წინარე ხანის არქიტექტურულ ფორმათა ძიებას სრულყოფილი სახე აქვს მიღებული მოქვის ტაძარში. თავისი მშვიდი და მკაცრი სიმეტრიულობით კლასიკური ხანის ქართულ ტაძრებს უკავშირდებიან ბზიფისა და ანაკოფიის ტაძრები. ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურაში დამკვიდრებულ “ცხოველხატულ“ სტილს ასიმეტრიულობითა და დინამიურობით ეხმიანებიან ლიხნისა და მოქვის ტაძრები.

“ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ძეგლებში – ბზიფი (IXს.), ანაკოფია, ლიხნი და მოქვი (Xს. 60-იანი წლები, აფხაზთა მეფე ლეონ III-ის, ბაგრატ III-ის მკვიდრი ბიძის აგებული) ბიზანტიელების კვალიც ჩანს. ასეთია, მაგალითად, შიგნით შეზნექილი სეგმენტისაგან შედგენილი გუმბათი, რომელსაც ინგლისელები „გოგრისებურს“ უწოდებენ; სამი შვერილი აფსიდი აღმოსავლეთ მხარეს და სადგომების უშუალოდ (დასავლეთი კედლის გარეშე) გახსნა შუა სივრცისაკენ. ამ ნიშნების გამო, XIX საუკუნიდან მოყოლებული, მათ ბიზანტიური ხელოვნების ქმნილებებად თვლიდნენ. ამ ეკლესიებს აქვთ მეტად საგულისხმო ნიშან-თვისებები და მხატვრულ-ისტორიული მახასიათებლები, რომელთა მიხედვით ისინი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია, „ბიზანტიზმები“ კი მხოლოდ

---

10. . . ..., გვ. 73-74.
11. დ. თუმანიშვილი. აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები. – ჯვარი ვაზისა, I, გვ. 68.
12. . რ. ხვისტანი. ჩხორთოლის ეკლესია. – აფხაზეთი, I. თბ., 2006, გვ. 129.
13. . . . . ., 1971, გვ. 64.

[1] . გ.ჩუბინაშვილი, ნ.სევეროვი. ქართული არქიტექტურის განვითარების გზები. თბ., 1936, გვ. 82-83., В.Беридзе. Некоторые вопросы..., გვ. 7; მისივე: ძველი ქართული..., გვ. 47.

მინარევებია. ოთხივე ტაძარი ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაბჯენილი გუმბათით. ასეთი აგებულების გუმბათიანი ნაგებობა X საუკუნიდანაა გავრცელებული ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველ რუსეთში, კონსტანტინოპოლსა და თესალონიკში, ერთი სიტყვით, მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში. ამ სახის უადრესი ტაძრები სადღეისოდ საქართველოსა და სომხეთშია მიკვლეული. აღმოსავლეთ საქართველოში ამ სახის ტაძრების უწყვეტი მწკრივი გვაქვს (წრომი – VIIIს., სამშვილდე – VIIIს., იყალთო და რუისი – VIII-IXსს.), როცა ბიზანტიაში “ჩაწერილი ჯვრის“ არქიტექტურული თემა ამ პერიოდში ახლად იკიდებს ფეხს.

„ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის აფხაზეთის ტაძრებში უადრესი ბზიფის ტაძარია, რომელიც აშკარად ქართლის ძეგლებს უკავშირდება. აფხაზეთში ამ ტიპის სხვა შენობებიც (ისევე როგორც „სამეკლესიანი ბაზილიკა“) საერთოქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ქართულ სამყაროზე მიგვითითებს აღნიშნული ძეგლების გარე და შიდა აღნაგობა, სადაც გუმბათქვეშა თაღები პირდაპირ ბურჯებზეა დაყრდნობილი; ანალოგიური ბიზანტიური ძეგლების გუმბათი კი დაბალ საბჯენებზე ამოყვანილ კედლებს ეყრდნობა. აფხაზეთის ტაძრების კედლები გარედან არაა დაცხრილულ-დაცხაურებული ბიზანტიური ძეგლებივით. ბზიფის ტაძრიდან (IXს.) მოქვის ტაძრამდე (Xს.) საკურთხევლისკენა ღერძის გაყოლებით შეინიშნება მოცულობათა თანდათანობითი სიგრძივი ზრდა, ბიზანტიურ ძეგლებში კი, VII საუკუნიდან მოყოლებული, საპირისპირო პროცესი ხდება – სიგრძივი ღერძი თანდათანობით მოკლდება.[2]

ლიხნის დასავლეთი პატრონიკეს რამდენიმე სართულად დაწყობილი თაღედი, რომელიც ბიზანტიური არქიტექტურისათვის უცხოა, გურჯაანის ყველაწმინდაშია დამუშავებული და ამბარის “სამეკლესიან ბაზილიკაშია“ გადმოსული. საქართველოში აფხაზეთის და კახეთის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი დიდი თაღოვანი ბჭეები, რაც აგრეთვე უცნობია ბიზანტიური ხუროთმოძღვრებისათვის.

ბიჭვინთის ტაძარი განსხვავებული გუმბათქვეშა კონსტრუქციის გამო „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ტაძრებში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა. ძეგლი მდებარეობს ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შავი ზღვის ნაპირას, ბიჭვინთის ყურეში. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია აბანოს, სასახლისა და ტაძრების ნაშთები; ერთ-ერთი ეკლესიის იატაკი დაფარული იყო მოზაიკით, რომელიც ადრექრისტიანულ სიმბოლურ-ალეგორიულ გამოსახულებებსა და ორნამენტულ მოტივებს შეიცავდა (IV-Vსს.).

ბიჭვინთის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მაგრამ დასავლეთით აქვს ნარტექსი და აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი. ნართექსი საქართველოში იშვიათია, შვერილი აფსიდები კი ახასიათებს ადრინდელ ქართულ ეკლესიებს, უფრო გვიან შავი ზღვის სანაპიროს ძეგლებს და აქა-იქ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებსაც. ბიჭვინთის ტაძრის დასავლეთის მკლავი სამმხრივი პატრონიკეთია აღჭურვილი. ტაძრის გუმბათი საკურთხევლის კედლებს ეყრდნობა და არა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ეს თემა გარდამავალ ხანაში დამუშავდა. მისი ადრეული ნიმუშები კახეთსა და ტაო-კლარჯეთში (ბარცხანა, ოზაანი, ხანძთა – IX-Xსს.) გვხვდება, XI საუკუნიდან კი მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართულ არქიტექტურაში. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ბაგრატ III-ის აგებულსა და ჩვენს მატიანეში დიდი აღტაცებით ნახსენებ ბედიის ტაძარს. როგორც არქიტექტორ-რესტავრატორმა ლ.ხიმშიაშვილმა გაარკვია, ახლანდელი ნაგებობა ბაგრატისეულის ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში. სამაგიეროდ მანვე გამოავლინა თავდაპირველი ეკლესიის გეგმა, რომელიც დაახლოებით იმგვარივეა, როგორც ზემოგანხილული გუმბათიანი ეკლესიებისა.[1]

აფხაზეთის გარდამავალი ხანის ძეგლებს შემდეგი თავისებური ნიშნები ახასიათებს: შვერილი აფსიდა აღმოსავლეთის მხარეს, ტაძრის ძირითადი სივრცისაკენ დამატებითი

---

[2]. ზ. ჯანგველაძე. IX-X სს. საეკლესიო ხუროთმოძღვრება აფხაზეთში. – საისტორიო ძიებანი, I. თბ., 1998, გვ. 44.

[1]. ვ.ბერიძე. ძველი ქართული..., გვ. 44-45; ლ. ხიმშიაშვილი. რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედია). – ძეგლის მეგობარი, 14, თბ., 1969, გვ. 77. ი. ვარსიმაშვილი. ბედია. – ძეგლის მეგობარი, 31-32, თბ., 1973, გვ. 31-32.

კომპარტიმენტების თავისუფალი გახსნა, ნართექსი დასავლეთის მხარეს, ფასადთა ძუნწი მორთულობა. იგივე ნიშნები სხვა ქართული რეგიონების საეკლესიო არქიტექტურასაც ახასიათებს, რადგან იგი ზოგადქართული მოვლენაა შვერილი აფსიდები აქვთ ვაჩნაძიანთ ყველაწმიდას (VIIIს.) და განვითარებული შუა საუკუნეების გელათის მთავარ ტაძარს (XIIს.), ტიმოთესუბნის ეკლესიას (XII-XIIIსს.) და მეტეხის ტაძარს (XIIIს.). დამატებითი კომპარტიმენტების თავისუფალი გახსნა ტაძრის ძირითადი სივრცისაკენ ცნობილია სამშვილდის სიონში (VIIIს.), იკორთასა (XIIს.) და XII-XIII საუკუნეების სხვა ქართულ ძეგლებში. დასავლეთის ნართექსი გვხვდება წრომის ტაძარში. ეს ფორმა მარტო ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებას არ ახასიათებს, იგი საერთოდაა დამახასიათებელი ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის.[2] პატრონიკე შუა-საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, მართალია, აუცილებელ ელემენტს არ წარ-მოადგენს, მაგრამ მაინც გვხვდება (ვაჩნაძიანთ ყველაწმიდა - IXს., ალავერდის ტაძარი - XIს.).

ქართულ ტრადიციაზე აფხაზეთის ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრებში მრავალი კომპონენტი მეტყველებს. აფხაზეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, კედლების წყობაში (ბიჭვინთის გარდა) თლილი ქვაა გამოყენებული. ორივე რეგიონში გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლისას იყენებენ ეპოქისათვის დამახასიათებელ აფრებს, ბიზანტიაში კი აფრების ნაცვლად – ტრომპებს. აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტაძრებში დასავლეთ-აღმოსავლეთის სიგრძივი ღერძის თანდათანობითი დაგრძელება ხდება, ბიზანტიურ ნაგებობებში კი პირიქით - სიგრძივი ღერძი მოკლდება. აფხაზეთის ტაძრებს ახასიათებს საკურთხევლის აფსიდის ნალისებური მოყვანილობა და ფასადთა ძუნწი მორთულობა. ამ ნიშნით ისინი კახეთის ძეგლებს უახლოვდებიან, სადაც, ალავერდის ტაძრის გარდა, ყველა ძეგლი მოურთველია.

აბსიდის ჩრდილო მხარეზე ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული, ნავთან შედარებით მოკლე, შესაბამის ფასადზე საფეხურად შეჭრილი სათავსოები აქვთ გამოყენებული ილორის (XIს.), ლაშკენდარის (X-XIსს.), ღუმურიშის (XIს.) და აჩანუას დარბაზულ ეკლესიებს[691], რომელთა ანალოგიური კომპოზიციისა და ხუროთმოძღვრული ნიშნების მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში (ქართლი, ჯავახეთი, არაგვის ხეობა, რაჭა) გვხვდება. აღნიშნული ძეგლები აგრძელებენ აღებული ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების ხაზს[2].

რუსმა არქეოლოგმა ბ. რაევმა ქ.ადლერის შემოგარენში (კრასნაია პოლიანას მიდამოებში) XI-XIIIსს. ხუთი აშკარად ქართული დარბაზული ეკლესიის ნაშთი (ლიპნიკი, კრიენ ნერონი, გოლიცინი, ახშთირი) შეისწავლა. ამ ძეგლების გეგმარება და კონსტრუქცია მან საქართველოს ძეგლების (დრანდისა და ნოქალაქევის) ანალოგიურად მიიჩნია[3].

ბიჭვინთაში, მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბაში, დრანდასა და გაგრაში გამოვლენილია VI-VIIIსს. რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი წებელდის ბარელიეფებს უჭირავთ. ბიბლიური სიუჟეტებით შემკული აღნიშნული ბარელიეფები ამ რეგიონში აღმოსავლეთ საქართველოს გავლენის მაჩვენებელია. ანაკოფიის ციხის ეკლესიაში ბერების მიერ XIXს. აშენებულ კედელში ჩაყოლებულია ახლო-მახლო დანგრეული ეკლესიებიდან მოტანილი X-XIსს. რელიეფიანი ქვები, რომლებიც ქართლისა და სამხრეთ საქართველოს რელიეფებს ემსგავსებიან.[4]

---

[2] . Л. Д. Рчеулишвили. Купольная..., გვ. 77; პ. ზაქარაია. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XIII სს. თბ., 1990, გვ. 29, 42.

[691] . . (XI). ., 1963, გვ. 78., . . , .4. , 1975, გვ. 85; რ. ხვისტანი. ქრისტიანული ძეგლები ოქუმისწყლის ზემო წელზე (ღუმურიშის ეკლესია). – ძიებანი, №2. თბ., 1998, გვ. 90; . . . . ., 1967, გვ.91.

[2] . . ...., გვ.91.

[3] . . . – , 1, ., 2008, გვ. 148-149.

[4] . . . ., 1962, გვ. 77; დ.თუმანიშვილი. აფხაზეთის ხუროთმოძღვრების..., გვ. 81.

ზოგიერთი ავტორი, წარსულშიც და დღესაც, საქართველოსთან დამაკავშირებელი ისტორიულ-კულტურული ძირებისა და კავშირების იგნორირებითა და გაყალბებით ამკვიდრებს მცდარ, ტენდენციურ აზრს აფხაზეთის ისტორიის, ხელოვნების, კერძოდ კი, ხუროთმოძღვრების განვითარების საკუთარი, დამოუკიდებელი გზის არსებობის შესახებ. აღნიშნული ავტორები აფხაზეთის ადრე შუა საუკუნეებისა და გარდამავალი ხანის ეკლესიების ზემოთ განხილულ თავისებურ ნიშნებს, ქართული პარალელების შეგნებულად გვერდის ავლით, "აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების აფხაზურ-ალანური სკოლის", ან "აფხაზური ხუროთმოძღვრების" თავისებურებად თვლის,[5] რაც ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ცალკეული განსხვავებული ნიშნების არსებობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური, კანონზომიერი მოვლენაა. მკვეთრი სხვაობა კახეთის, ქართლისა და სხვა ქართული "ქვეყნების" ხუროთმოძღვრულ ძეგლებშიც ვლინდება.

ასეთ სურათს გვიხატავს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ადრე შუა საუკუნეებისა და გარდამავალი ხანის საკულტო ხუროთმოძღვრება. ამ სურათის გაყალბება შეიძლება, შეცვლა კი ვერა. სხვა სპეციალისტთა გასარკვევია, რა ენაზე ლაპარაკობდა იმჟამინდელი აფხაზი, ის კი უთუოა, რომ იგი ქართული კულტურული სამყაროს მონაწილე ყოფილა, შესაბამისად, „ქართლის ბედის" მოზიარეც უნდა იყოს.[6]

---

[5]. В. П. Пачулия. В стране золотого руна. М., 1863; Л.Д.Хрушкова. Скульптура раннесредневековой Абхазии. М., 1980; Ю.Н. Воронов. В мире архитектурных памятников Абхазии. М., 1978; История Абхазии. Под ред. С.А. Лакоба. Сухуми, 1991 და სხვ.

[6] . დ. თუმანიშვილი. აფხაზეთის ხუროთმოძღვრების..., გვ. 88.

თავი VII. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში. XIს. – XVს.

1. აფხაზეთი XI საუკუნიდან XIII საუკუნის 40-იან წლებამდე

Xს. 70-იან წლებში, 978 წლიდან „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა, როცა „აფხაზთა“ მეფეების მიერ დაწყებული ბრძოლა ქართული მიწების შემოერთებისათვის საქართველოს გაერთიანებით დასრულდა. ამჯერად ამ ბრძოლის სათავეში იდგა „აფხაზთა“ მეფეების კანონიერი მემკვიდრე და მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამგრძელებელი ბაგრატ ბაგრატიონი – გიორგი II (922-957წწ.) აფხაზთა მეფის შვილიშვილი.

ბაგრატ III ბაგრატიონის (978-1014წწ.) „აფხაზთა მეფედ“ კურთხევა იოანე მარუშის ძისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეის მომხრე ქართული პოლიტიკური დასის შორსმჭვრეტელური გეგმის თანახმად და დავით III ტაოელის სამხედრო დახმარებით განხორციელდა[692].

იოანე მარუშისძე წარმოშობით დალ-წებელის, ხეობიდან იყო[693]. როგორც ჩანს, იგი დაახლოებული იყო აფხაზთა სამეფო კართან, რამაც განაპირობა მისი ხელდასმა ქართლის ერისთავად. სწორედ აქ, ამ პოლიტიკური თვალსაწიერიდან გამოჩნდა საქართველოს გაერთიანების პოლიტიკური პერსპექტივა, რომელიც რეალურად შეამზადა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა.

ცხადია, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესი იყო. იოანე მარუშის ძის გეგმის თანახმად, თავდაპირველად „ქართველთა“ და „აფხაზთა“ სამეფოების გაერთიანება მოხდა. ამის შემდეგ ბაგრატ III-ის ძირითადი საზრუნავი დანარჩენი ქართული მიწა-წყლის შემოერთება გახდა. ამ დროს საქართველოს სამეფოს გარეთ რჩებოდა კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო და თბილისის საამირო. 998 წელს ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ სამხრეთ საქართველოს მიწების (ტაო-კლარჯეთის სამთავროს) მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულს ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთ-მეფე დაეუფლა[694], მამა-შვილი შეთანხმებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ და ეს ტერიტორია ბაგრატ III-ის ცონტროლს დაექვემდებარა. საზღვარი „აფხაზთა“ და კახეთის სამეფოებს შორის ამ დროს მდ. ქსანზე გადიოდა. თბილისი და ქვემო ქართლის ნაწილი თბილისის მაჰმადიანი ამირას გამგებლობაში შედიოდა. ჩრდილოეთით „აფხაზთა“ სამეფო საამიროს დიღმის ხევზე ესაზღვრებოდა. X საუკუნიდან ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი – სამშვილდე, ბოლნისი, დმანისი, ლორე, ლორე-ტაშირი (იგივე ტაშირ-ძორაკეტი) კვირიკიან მეფეთა სამფლობელო იყო, რომლის მეფეები ტაშირ-ძორაკეტელებად იწოდებოდნენ. სამხრეთ – დასავლეთ საქართველო ბაგრატიონთა ტაოს

---

[692]. მ. ლორთქიფანიძე. მეფე ბაგრატ მესამე. თბ., 2002, გვ .25-26.

[693]. მარუშიანთა წარმოშობის შესახებ იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. თბ., 1975, გვ. 610. ქ. ჩხატარაიშვილი. აბულასან იობის ძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1990, გვ. 98.

[694] ბაგრატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების ქრონოლოგიაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. თავის დროზე, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული 1008 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1983, გვ. 130-131). მ. ლორთქიფანიძის, ნ. შოშიაშვილისა და ვ. სილოგავას აზრით, ამ ტიტულს ბაგრატი 1001 წლიდან ფლობდა (ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გვ. 56; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 52-53). „მატიანე ქართლისაჲსა“ და სხვა საისტორიო წყაროებზე დაკვირვების საფუძველზე ზ. პაპასქირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაგრატს „ქართველთა მეფის“ ტიტული უნდა მიეღო ბაგრატ II „რეგუენის“ გარდაცვალების, ე. ი. 994 წლის შემდეგ (ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. გვ. 75-82). სინამდვილეში ეს უნდა მომხდარიყო 1008 წელს, რასაც ეპიგრაფიკული მასალაც ადასტურებს (ლ. ახალაძე. ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის შესახებ. – საისტორიო ძიებანი, 2004, №7, გვ. 26-27.)

შტოს წარმომადგენლების ხელში იყო. მის ერთ ნაწილს (ამიერტაო, შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე – ჯავახეთი და სხვ.) ჯერ ბაგრატ II „რეგუენის“, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთ-მეფე მართავდა. სამხრეთ საქართველოს მეორე ნაწილს ბაგრატიონთა შორის ყველაზე ძლიერი და სახელმოხვეჭილი მეფე დავით III კურაპალატი ფლობდა. მისი სამეფო სამხრეთით ვანის საზღვრამდე აღწევდა. ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური რუკა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისისათვის.[695] ბუნებრივია, ბაგრატ III-ის წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა – აფხაზთა სამეფოსთან გაეერთიანებინა ზემოთ დასახელებული ქართული პროვინციები.

975 წელს, როცა ბაგრატის ერთგულებაზე ქართლის აზნაურებმა დაიფიცეს, „აფხაზთა“ სამეფოში ბაგრატის ბიძა უსინათლო თეოდოსი მეფობდა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე არ ჰყავდა. ქვეყნის გაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე, უსინათლო თეოდოსი ბაგრატ მეფემ ტაოში დავით კურაპალატთან გაგზავნა: „გამოგზავნა თეოდოსი მეფე, დედის ძმა მისი, ტაოს წინაშე დავით კურაპალატისა, კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უწესოებისათვის აქუნდეს.“[696] მატიანის ავტორის სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ბაგრატის გვერდით უსინათლო თეოდოსის ყოფნა იძლეოდა საბაბს შეთქმულებისა და აშკარა გამოსვლებისათვის, „წინ გადაეღობებოდა ბაგრატის პოლიტიკას“..[697] ეს ისტორიული მოვლენა ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად შეფასებულია, როგორც ქვეყნის გაერთიანებისაკენ გადადგმული ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.[698] აფხაზი ისტორიკოსის მ. გუნბას აზრით კი ეს იყო „სასახლის გადატრიალება“, რომლის საფუძველზე მოხდა „აფხაზური“ სამეფო დინასტიის ტახტიდან ჩამოცილება და ბაგრატიონთა მიერ აფხაზთა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება[699]. აღნიშნული მოსაზრება თავის დროზე გამოთქვა რუსმა ისტორიკოსმა კ. კუდრიავცევმა, რასაც მ. გუნბა თავისი მონოგრაფიის რამდენიმე გვერდზე იმეორებს. უფრო მეტიც, ის ავითარებს რუსი ისტორიკოსის აზრს, თითქოსდა მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ მესამე დედის ხაზით მართლა მიეკუთვნებოდა „აფხაზთა“ სამეფო დინასტიას, თეოდოსი II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ აფხაზთა სამეფოს ტახტი დაიკავა არა ეროვნულმა, არამედ სხვა, ამ ქვეყნისათვის სრულიად უცხო – ბაგრატიონების სამეფო დინასტიამ[700]. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, – აგრძელებს მ. გუნბა, – ის მღელვარებები, რომელებიც ხდებოდა აფხაზეთში თეოდოსი II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ[701]. ამ შემთხვევაში კონკრეტულად რომელი მღელვარებები აქვს ავტორს მხედველობაში, გაუგებარია, რადგან საისტორიო წყაროებში არ დასტურდება არცერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს, ან თუნდაც საკუთრივ აფხაზეთის) ფეოდალების სეპარატისტულ განწყობას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თითქოსდა გამოწვეული იყო „აფხაზთა“ სამეფოს გაუქმებით.[702] პირიქით, ჩვენამდე მოღწეული ყველა წყარო მიუთითებს, რომ ბაგრატ III-ის გამეფების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები: „ამანვე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და **მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა** გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“[703], – წერს „მატიანე ქართლისაის“ ავტორი. როგორც ვხედავთ, ბაგრატის გამეფების საქმეში ერთსულოვნება იყო, როგორც დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), ისე ქართლის ფეოდალების მხრიდან.

---

[695] მ. ლორთქიფანიძე. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (X საუკუნის დასასრ. –XI ს. 60-იანი წლები). – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 153.

[696] . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 276.

[697] . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, გვ. 126.

[698] . ივ. ჯავახიშვილი, ზ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი, გ. გაბუნია და ა. შ.

[699] . . . . II (XI – XIII .). , 1999, გვ. 78.

[700] . . . . , 1922, გვ.120.

[701] . . . . II , გვ. 66.

[702]. აღნიშნული მოსაზრება ეკუთვნის კ. კუდრიავცევს, რომელიც შემდეგ შერბილებული ფორმით გამოთქვა შ. ინალ-იფამ, ხოლო მ. გუნბას მონოგრაფიაში მან კატეგორიული სახე მიიღო.

[703]. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 275.

ბაგრატ III იყო კანონიერი მემკვიდრე „აფხაზთა“ მეფეების სამეფო დინასტიისა და, უფრო მეტიც, ბაგრატი თავად იწოდა „აფხაზთა მეფედ“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამიერიდან ბაგრატ III-ის და შემდეგში გაერთიანებული საქართველოს სხვა მეფეების ტიტულატურაც იწყებოდა „აფხაზთა მეფით“ და გრძელდებოდა მომდევნო პერიოდში შემოერთებული ქართული მიწების დასახელებით. ასე, მაგალითად, ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულატურაში აისახა საქართველოს ისტორიული რეგიონების თანდათანობით გაერთიანების პროცესი. 989-999 წლებით დათარიღებულ ბედიის ბარძიმის წარწერაში იგი დასახელებულია როგორც „ბაგრატ აფხაზთა მეფე[704]“. იმავე ტიტულითაა იგი წარმოდგენილი ატენის სიონის 980 წლის წარწერაშიც[705]. ქუთაისის ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერაში ბაგრატ მეფის ტიტული ასე გამოიყურება: „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“.[1] წარწერაში აისახა 1001 წელს ბაგრატის მიერ „კურაპალატის“ ტიტულისა და 1008 წელს მამის - გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება.[2] ნიკორწმინდის ტაძრის 1010-1014 წლების ლაპიდარული წარწერა ბაგრატ III-ს უწოდებს „აფხაზთა და რანთა მეფეს და ქართველთა კურაპალატს,“[3] ე.ი. წარწერა შესრულებულია მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფომ 1010-1014 წლებში რანი შემოიერთა. იმავე თვალსაზრისით, საყურადღებოა ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხის ეკლესიის წარწერა, რომელშიც ბაგრატი ასე იხსენიება: „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოჲსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი”[4]. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, გურგენ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე „ბაგრატ აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, დაეუფლა ტაოს მამულსა თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე”[5]. სუმბატის მიერ დასახელებული ისტორიული მოვლენები ასახულია კაცხის წარწერაში დასახელებულ ბაგრატ მეფის ტიტულატურაში. ამრიგად, ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულატურა ნამდვილად ასახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების თანდათანობით პროცესს. მომდევნო საუკუნეებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ახალი ტერიტორიების შემომტკიცების კვალობაზე კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ იმ მხარის – აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელი, საიდანაც დაიწყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი, უცვლელად პირველ ადგილზე დარჩა. ამის გამო ზოგიერთი უცხო ავტორი საქართველოს უწოდებდა „აფხაზეთს”, ხოლო გაერთიანებული საქართველოს მეფეებს შემოკლებით – „აფხაზთა მეფეს”.[6] ქართული წყაროების გარდა, „აფხაზეთი“, როგორც ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის სახელი, მუდმივად ფიგურირებს იმ პერიოდის უცხოენოვან ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, სომხურ[7], ბერძნულ[8], არაბულ[9], სპარსულ[10] და თვით რუსულ[11] წყაროებშიც კი.

---

[704]. გ. ჩუბინაშვილი. ბედიის ოქროს ბარძიმი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1940, X, ბ.

[705] ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები, I, ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ., 1989, გვ. 177, №47.

[1]. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II. გვ. 53, №33.

[2]. ლ. ახალაძე. ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის შესახებ, გვ. 29.

[3]. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 55, №35.

[4]. იქვე, გვ. 56, №36.

[5]. სუმბატ დავითის ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. თბ., 1990, გვ. 53. იხ.: ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 281.

[6]. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 82,83; გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – იქვე, გვ. 132,134; ზ. პაპასქირი. აფხაზეთი – საქართველოა. თბ., 1998, გვ.141-142; ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., I, გვ. 67-68; შდრ. ლ. ახალაძე. ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის შესახებ, გვ. 30-31.

[7]. არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1974, გვ. 42; ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბ., 2004, გვ. 122. „აფხაზი“ ქართველის აღმნიშვნელ სიტყვად გამოყენებული აქვს XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანსაც. იხ.: სტეფანოს ორბელიანი. „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1978, გვ. 34.

[8]. ნ. ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, გვ. 83-88; ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., I, გვ. 67.

[9] გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები, გვ. 132-134;

რაც შეეხება ე. წ. აფხაზურ ისტორიოგრაფიაში განვითარებულ ზემოთმოტანილ თეზას, თითქოსდა ბაგრატ III-ის გამეფებით დასრულდა აფხაზთა სამეფოს არსებობა და შეილახა აფხაზი ერის სახელმწიფოებრივი ინტერესები, ის ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას, რადგან ბაგრატ III, როგორც უკვე აღინიშნა, იყო კანონიერი მემკვიდრე გიორგი II აფხაზთა მეფისა და თავდაპირველად 978 წლიდან ვიდრე 1008 წლამდე იგი ისევე ფლობდა „აფხაზთა“ სამეფოს მიწებს, როგორც მისი წინამორბედი მეფეები. არ შეცვლილა ამ სახელმწიფოს სახელი და სამეფოს დედაქალაქი, არ შეცვლილა „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი იერსახე. პირიქით, ბაგრატ III-მ გააგრძელა და გააფართოვა თავისი წინაპრების მიერ დაწყებული როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საეკლესიო პოლიტიკა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართული მიწების შემოერთებისათვის ბრძოლა. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ჯერ კიდევ გიორგი I აფხაზთა მეფის (861-868წწ.) ზეობის დროს დაიწყო და გაგრძელდა ბაგრატ I-ის (881-893წწ.), კონსტანტინე III-ის (893–922წწ.), გიორგი II-ის (922-957წწ.) და ლეონ III-ის (957-967წწ.) სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ბაგრატ მესამის საშინაო პოლიტიკის განსაზღვრისათვის დამახასიათებელია მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქართლის ფეოდალების მიმართ უფლისციხის საკითხთან დაკავშირებით. სწრაფი, შემტევი და შეუვალი პოლიტიკით მეფემ გამოავლინა მტკიცე დამოკიდებულება ფეოდალური ოპოზიციის მიმართ, რითაც საბოლოოდ აღკვეთა ქართლის ფეოდალთა თვითნებობა. გარდა ამისა, ბაგრატ მესამე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კახეთის შემოერთების საკითხს და კახი მეფეების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ რა შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ გიორგი II და ლეონ III კახეთის შემოერთებისათვის. კახეთისათვის ბრძოლა საბოლოოდ ბაგრატ III-მ დაასრულა და 1008 წელს მამის – გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, კახეთზე გაილაშქრა. „განუწყრა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე (კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს – ავტ.) და კურაპალატი იყო მას ჟამსა დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა ტაო მიცვალებასა ზედა მამისა მათისა გურგენ მეფეთ-მეფისა. წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწჯა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა, და თჳთ წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჴიდი მცხეთისა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს და... იწყო ბრძოლად ციხეთა და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა.“[1] საბოლოოდ, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ შეძლო, „აფხაზთა“ მეფეების მიერ დაწყებული საქმე – ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის წარმატებით დაესრულებინა.

ბაგრატ III-მ ტრადიციულად გააგრძელა „აფხაზთა“ მეფეების მიერ დაწყებული საეკლესიო პოლიტიკაც. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ბერძნული საეკლესიო ცენტრების გაუქმებასა და ახალი ქართული კათედრების დაარსებას. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზთა მეფეებმა კონსტანტინე III-მ, გიორგი II-მ და ლეონ III-მ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში შემორჩენილ ბერძნულ სამიტროპოლიტო კათედრებს დაუპირისპირეს ქვეყნის შიდა რაიონებში აგებული ქართული საეკლესიო კათედრები, რომლებიც აფხაზეთის საკათალიკოსოს მეშვეობით უკვე მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდნენ; ამის ნათელი დადასტურებაა გიორგი II-ის მიერ ხოფის, აგრეთვე ქიაჩის, ჭყონდიდის ტაძრების მშენებლობა, ლეონ III-ის მიერ მოქვისა და წირქოლის საყდრების მშენებლობის ისტორია. ეს ტაძრები აგებული იქნა ბერძნული სამიტროპოლიტოების საპირისპიროდ და მათ გასაუქმებლად, დასავლურქართული ეკლესიის მცხეთასთან გაერთიანების მიზნით. X ს. 70-იანი წლებიდან ბაგრატ III ენერგიულად ცდილობდა თავისი წინაპრების მიერ დაწყებული საქმის დაგვირგვინებას. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის სიტყვებით: „...აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა

---

[10]. დ. კობიძე. ტერმინ „აფხაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით; კ. ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XVსს. სპარსული წყაროების მიხედვით. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 218-222.

[11] . . - . ., 1982, გვ. 116-123.

[1]. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 278-279.

საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყუსა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჭევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი.“[2] ისტორიული წყაროების დამოწმებით, აშკარად ჩანს, რომ ბერძნული საეპისკოპოსოების „მოცვლა“ და ქართულის დაარსება ჯერ კიდევ IX–X სს. მიჯნაზე დაიწყო და ტრადიციულად გაგრძელდა ბაგრატ III-ის საეკლესიო პოლიტიკაში[3]. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ბაგრატ მესამე ღირსეული გამგრძელებელია წინამორბედთა საქმისა და ის „უცხო“ და „დამპყრობელ“ ძალას არ წარმოადგენდა დასავლურქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ არენაზე. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის იურისდიქციის ქვეშ სრულ მოქცევას. აღნიშნული პროცესი საბოლოოდ ბაგრატ III-ის მეფობის წლებში დასრულდა[4].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სამი ადმინისტრაციული ერთეულის – ცხუმის, ოდიშის[5] და აფხაზეთის საერისთავოს სახით[6]. ოდიშის საერისთავო მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს – გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებს; ცხუმის საერისთავოში შედიოდა ყოფილი აფშილეთის ტერიტორია მდინარე კელასურიდან ანაკოფიამდე. აფხაზთა საერისთავო კი მოიცავდა ტერიტორიას თანამედროვე ახალი ათონიდან (ანაკოფიიდან) ნიკოფსიამდე. თავის დროზე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე, ზ. ანჩაბაძის მიერ გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები თამარის ეპოქაში გაერთიანდნენ, რადგან ეს ადმინისტრაციული ერთეულები დასახლებული იყო აფხაზი მოსახლეობით[1]. ეს მოსაზრება დამაჯერებლად იქნა უარყოფილი, რადგან სხვა წყაროებით თამარის ეპოქაში ცხუმის ერისთავად ამანელისძე დასტურდება, ხოლო ოთაღო შარვაშისძე იყო „აფხაზთა“ ერისთავი.[2]

ზემოთდასახელებული ოდიშის, ცხუმისა და აფხაზეთის ერისთავები, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავები თავდაპირველად ემორჩილებოდნენ მსახურთუხუცესს. ეტყობა, ეს ტრადიცია ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოდან მოდიოდა, როცა მსახურთუხუცესი სამეფო კარზე წამყვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა.

აფხაზეთის საერისთავოს მოქცევას ერთიან ქართულ სახელმწიფოში უარყოფითად აფასებენ კ. კუდრიავცევი, შ. ინალ-იფა ი. ვორონოვი, მ. გუნბა და სხვები. ისინი აღნიშნავენ, რომ ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი იქცა „ჩვეულებრივ შორეულ, მიგდებულ პროვინციად“.[3] ეს მოსაზრება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან, ჯერ ერთი, გაერთიანებისა და საზღვრების გაფართოების ტენდენცია „აფხაზთა“ სამეფოდან მოდიოდა და, მეორე, ბაგრატ III წინამორბედი აფხაზთა მეფეების მსგავსად ქუთაისში იჯდა და სახელმწიფოებრივი თუ საეკლესიო მშენებლობის საკითხებშიც მათ მიერ დაწყებულ პოლიტიკურ კურსს აგრძელებდა. უფრო მეტიც, მისი ინიციატივით აიგო ბედიის ტაძარი, რის შემდეგ წამოიწია და გაფართოვდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის კულტურულ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა. ამიერიდან, ბედიის ტაძარი გახდა ამ ეპოქის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრი, ვახუშტის თქმით, სიმბოლო ქვეყნის ძლიერებისა და სიმდიდრისა[4], რომელიც სამეფო

---

2. იქვე, გვ. 281.
3. საეკლესიო კათედრების „მოცვლის“ შესახებ იხილეთ: ბ. კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია IX-XI სს.
4. ბ. კუდავა. აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX–XIII სს). – ქართული დიპლომატია, ტ. 9. თბ., 2002, გვ. 579.
5. რომელსაც ვახუშტი ბედიის საერისთავოს უწოდებს.
6. მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 245-249.

1. . . ..., გვ. 177-178.
2. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: გ. ცქიტიშვილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის. – საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966. გვ. 222-227; ი. ანთელავა. მასალები „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. - XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 42-47; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი..., გვ. 245-249.
3. . . , გვ. 122; . - . ..., გვ. 67; . . – ? . 1993. გვ. 8-12; . . . II , გვ. 67.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 780.

საძვალედაც კი იქცა. ბედიის ტაძრის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ზვიად ერისთავმა, სწორედ აქ დაკრძალა ბაგრატი და არა ქუთაისში მის მიერ ახლად აგებულ ბაგრატის ტაძარში. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ეპოქაში აიგო სხვა მნიშვნელოვანი საეკლესიო და საერო დანიშნულების ძეგლები, მათ შორის ილორისა და ლიხნის ტაძრები, ბაგრატის ციხე სოხუმთან ახლოს, ბესლეთის ხიდი[5], სათამაშას ციხე და ა.შ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მშენებლობების სათავეში თვით მეფე ბაგრატი, ან ადგილობრივი მსხვილი საეკლესიო და საერო ფეოდალები იდგნენ. მაგალითად, ილორის ტაძრის ქტიტორები იყვნენ მთავარეპისკოპოსი გიორგი, მღვდელი გიორგი ქოჩოლავა და მხარის გამგებელი გიორგი გურგენისძე.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ აფხაზი ავტორების სიტყვებით, სწორედ ბაგრატ III-ის დროიდან გვხვდება ქართული წარწერები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე[6]. სინამდვილეში ქართული ეპიგრაფიკა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე VIII-IX საუკუნეებიდან არის შემორჩენილი. უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ძველ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლად ითვლება გუდაუთის რაიონში მსიგხვას მთაზე აღმოჩენილი 48 ქართული წარწერა ანტეფიქსებზე[7]. ასევე გიორგი II აფხაზთა მეფის წარწერა გუდაუთის რაიონის სოფ. ხოფის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარზე და ა.შ. აფხაზი ავტორები ცდილობენ, საერთოდ არ ახსენონ აფხაზთა მეფეების დაკვეთით აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებზეც ქართული წარწერებია დაცული და საუბრობენ ბერძნული წარწერების სიმრავლეზე მაშინ, როცა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მხოლოდ სამი ათეული ბერძნული ლაპიდარული წარწერა თუ არის მოძიებული[1], ხოლო ქართული ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერების რაოდენობა ასამდე აღწევს, აფხაზური კი, სამწუხაროდ, საერთოდ არ არსებობს.

გაერთიანებული საქართველოს გაძლიერების პირობებში ისტორიული „აფხაზთა სამეფო“ და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ჩართული იყო ერთიან ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ სივრცეში. ეს დადასტურებულია ყველა ისტორიულ წყაროში, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს შესახებ მოგვითხრობს[2]. აფხაზეთი და აფხაზები, ისევე როგორც დანარჩენი ისტორიული მხარეები და მათი მოსახლეობა, ჩანან გაერთიანებული საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის შუაგულში.

აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილი დღემდე საუბრობს XI საუკუნის ქართულ პოლიტიკურ სამყაროში არსებულ „აფხაზთა“ სეპარატისტულ მოძრაობაზე, რომელიც გამოვლინდა ბაგრატ IV-ის ეპოქაში მისი ნახევარძმის დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახტისათვის ბრძოლის დროს. დემეტრე იყო გიორგი I-ის ვაჟი მეორე ქორწინებიდან ოვსთა მეფის ასულის ალდესაგან, რომელიც გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში, კერძოდ, ქალაქ ანაკოფიაში ცხოვრობდა. დემეტრეს ფაქტორი ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ კარგად გამოიყენა ბიზანტიის იმპერიამ და მისი დაპირისპირება სცადა საქართველოს მეფესთან. 1032 წელს ბიზანტიის წაქეზებით, დემეტრე უფლისწულის ირგვლივ ორგანიზებულ იქნა შეთქმულება, რომელიც ითვალისწინებდა ბაგრატ IV-ის ტახტიდან ჩამოგდებას და დემეტრე უფლისწულის გამეფებას. ზ.ანჩაბაძის აზრით, რადგან შეთქმულების ცენტრი იყო ანაკოფია, უნდა ვიფიქროთ, რომ ანტისახელისუფლებო შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ცალკეული აფხაზი

---

[5]. მართალია, ამ ხიდს მოსახლეობა თამარის ხიდს უწოდებს, მაგრამ მასზე დაცულ ქართულ ასომთავრულ წარწერაში იკითხება მეფე ბაგრატი, რომელიც ბაგრატ III უნდა იყოს. იხ: თ.ბარნაველი. ბესლეთის ხიდის თარიღისათვის. – მაცნე 1970, №6, გვ. 143; ვ.ბერიძე. კულტურის ძეგლები აფხაზეთში. – ჯვარი ვაზისა, 1995, №6, გვ. 66; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები) I, თბ., 2005, გვ. 181.

[6] . . . II ..., გვ. 65; . . , ... , 2007, გვ. 152.

[7]. . . . . – . , 1967, გვ. 67; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 30-31; ვ. სილოგავა. შამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ., 2004, გვ. 257-259; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 140-146.

[1]. თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ., 2004, გვ. 59-72.

[2]. შდრ. . . . XI–XV ., გვ. 180-181.

ფეოდალებიც[3]. აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ავითარებს და განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს მ.გუნბა, რომელსაც არ აეჭვებს დემეტრე უფლისწულის შეთქმულებაში აფხაზი (მ. გუნბას აზრით, აფსუა) ფეოდალების აქტიური მონაწილეობა, რადგან მათ კარგად ახსოვდათ ქართველი ფეოდალების მიერ თითქოს მოწყობილი სასახლის გადატრიალება და აფხაზური სამეფო დინასტიის ჩამოშორება ხელისუფლებიდან. მ.გუნბას მტკიცებით, აფხაზ ფეოდალებს ამ საქმეში თავიანთი პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდათ.[4] სინამდვილეში აფხაზეთის მაშინდელი მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს მეფის ხელისუფლებისადმი კარგად არის გამოხატული აფხაზთა ერისთავის ოთაღო ჭაჭას-ძის საქმიანობაში, რომელიც მხარში ედგა საქართველოს მეფეს და მეთაურობდა ანაკოფიის ალყას. „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის სიტყვებით, „იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად... წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა.“[5] ეს პოლიტიკური სიუჟეტი არანაირად არ იძლევა საშუალებას, ვიფიქროთ ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოთა მოსახლეობის სეპარატისტულ განწყობაზე მაშინდელი საქართველოს მეფის წინააღმდეგ[6]. პირიქით, ამ შემთხვევაში ოთაღო ჭაჭას ძე საქართველოს მეფის ერთგული მოხელე და მისი პოლიტიკური მხარდამჭერია. აშკარად ჩანს, რომ ეს მხარე გაცილებით მეტ ერთგულებას იჩენდა ბაგრატ IV-ის მიმართ, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხის ფეოდალები. ბაგრატ IV-მ ანაკოფიის ციხე სწორედ ოთაღო ჭაჭას ძის აქტიური დახმარებით დაუბრუნა საქართველოს სამეფოს.

აფხაზი ისტორიკოსების მოსაზრებას აშკარად ეწინააღმდეგება მეორე ქართული წყარო „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, რომელიც მოგვითხრობს, ბაგრატ IV-ის მიერ ტრადიციულად ზამთრობით აფხაზეთში მოგზაურობაზე. „განაგნა რაჲ საქმენი მის ჟამისანი ღმრთისმსახურმან მეფემან და რამეთუ მოწევნულცა იყო ჟამი ზამთრისაჲ, და **ჩვეულებისაებრ** თჳსისა წარვიდა აფხაზეთად, და აწჯა ბერსაცა (იგულისხმება პატრიკი – ავტ.) წარსლვად, რჲათა მუნ დაიზამთროს და განისუენოს... და ვითარცა წარმოვემართენით და მივიწიენით ჭყონდიდს, მეფე **სრულიად** აფხაზეთს შთასლვად წარემართა, ხოლო ჩუენ ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგვტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისაჲ“.[1] როგორც წყაროდან ჩანს, ბაგრატ IV „ჩვეულებისაებრ“ სამეფოს ამ ნაწილში ხშირად მოგზაურობდა და სამეფო საქმეებს განაგებდა. ყურადღებას იმსახურებს მატიანის ამ ცნობის ერთ კონკრეტული დეტალი. კერძოდ, მემატიანე ერთგან ამბობს, რომ მეფე „წარვიდა აფხაზეთად“, ხოლო მეორეგან აკონკრეტებს „მეფე სრულიად აფხაზეთს შთასლვად წარემართა“. საფიქრებელია, რომ პირველ შემთხვევაში აფხაზეთი გამოყენებულია დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვებში: „სრულიად აფხაზეთს“, იგულისხმება საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო, ანუ ცხუმის საერისთავოს იქითა ტერიტორია.

შეიძლება საინტერესო პარალელი გავავლოთ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების” ამ ცნობასა და ლიხნის წარწერებს შორის. ცნობილი ფაქტია, რომ ლიხნის წარწერების ერთი ნაწილი შესრულებულია გიორგი მთაწმინდელის საქართველოში მოგზაურობის შემდეგ – უახლოეს მომდევნო პერიოდში. ლიხნის ცნობილ წარწერაში კომეტის გამოჩენის შესახებ დასახელებულია ბაგრატ IV და ეს ფაქტი დათარიღებულია მისი მეფობის წლებით. კომეტა გამოჩენილა ბაგრატ IV–ის მეფობის 38-ე ინდიქტიონს, ე.ი. 1066 წელს. იმავე ლიხნის ტაძრის დასავლეთი კედლის შელესილობაზე მეორე სართულზე, ქორედის თაღის მარცხენა მხარეს, სარკმელსა და თაღს შორის დარჩენილ მონაკვეთზე მოთავსებულია წითელი საღებავითა და გარდამავალი მხედრულით

---

[3] . . . ..., გვ. 179. დაახლოებით მსგავს აზრს ავითარებენ ს.ლაკობა და ო.ბღაჟბა. იხილეთ: . , 2007, გვ. 151.

[4]. . . . II , გვ. 91.

[5]. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 299.

[6]. აღნიშნული ფაქტი ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის. იხ.: . . XI-XV , გვ. 180.

[1]. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა. თბ., 1994, გვ. 222; . , ..., 1988, გვ. 31.

შესრულებული წარწერა, რომელშიც ვაჩე პროტოსპათარი და იპატოსი და პეტრიკ პატრიკი და იოანე მწიგნობართუხუცესი არიან დასახელებული.[2] პეტრიკ პატრიკი არის XI საუკუნის საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მეფე ბაგრატ IV-ის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი წარმომადგენელი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე[3]. მისი ძმა იყო XI საუკუნის საქართველოს ასევე ცნობილი სასულიერო მოღვაწე იოანე ჭყონდიდელი, რომელმაც ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა წმ. გიორგი მთაწმინდელის რეკომენდაციით, როდესაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ბაგრატ IV-ის შემოთავაზებაზე ამ კათედრის დაკავების თაობაზე.[4] „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ ცნობა ბაგრატის აფხაზეთში მოგზაურობისა და ბერი პატრიკის დასვენების შესახებ, პარალელს პოულობს პატრიკის „სრულიად აფხაზეთში“ (ე.ი. საკუთრივ აფხაზეთში) ჩასვლასთან, მის მოღვაწეობასთან ლიხნის ტაძარში და შემდეგ აქედან ბიზანტიაში გამგზავრებასთან. სწორედ ამ მოვლენების აღსანიშნავად შეიქმნა ლიხნის წარწერა პეტრიკ პატრიკის, იოანე ჭყონდიდელისა და ვაჩეს მოხსენიებით. იმავე ლიხნის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში კურაპალატის ტიტულით დასახელებულია გიორგი II (1072-1089წწ.), ბაგრატ IV-ის ვაჟი, რომელიც ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა. წარწერის ავტორი უფალს ევედრება: „ადიდე, დაიცევ, გაზარდე, აკურთხე და დღეგრძელ-ყავ და მრავალ-ყვინ წელნი მეფობისა მისისანი“.[5] წარწერა შესრულებულია გიორგი II-ის პირველი გამეფების შემდეგ, როდესაც იგი ჯერ კიდევ სრულიად ყრმა იყო.

„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში” ასახული ფაქტი - ბაგრატის მიერ „ჩვეულებისაებრ“ აფხაზეთში და სრულიად აფახაზეთში მოგზაურობა პარალელს პოულობს აგრეთვე დავითის ისტორიკოსის, თამარისა და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულების ცნობებშიც. კერძოდ, ბაგრატ IV-ის მსგავსად, დავით აღმაშენებელი, გიორგი II, თამარი, ლაშა-გიორგი და საქართველოს სხვა მეფეები „ჩვეულებისაებრ“ მიდიან „აფხაზეთში“, რათა „განაგონ საქმენი მანდაურნი“. აღნიშნულ დეტალს იმეორებს ზემოთდასახელებული ყველა წყარო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მეფეები საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეს. თამარის მეორე ისტორიკოსის სიტყვებით: „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი მანდაურნი და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო - გეგუთი და აჯამეთი“[706]. მეორეგან იგივე ისტორიკოსი აცხადებს, რომ თამარი ხშირად სტუმრობდა ცხუმს, სადაც მას ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა: „ხოლო მეფე თამარ ზამთრის დურს იყვის და ზაფხულის კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს..“[707]

საკუთრივ აფხაზეთის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს ლაშა-გიორგის (1213-1223წწ.) საშინაო პოლიტიკაშიც. წინამორბედთა მსგავსად, ისიც „მხიარულითა პირითა მოვლიდის სამეფოსა თჳსსა განსაგებელთა საქმეთათჳს. გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, განაგნის საქმენი მანდაურნი.“[708]

ამრიგად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ნარატიული თხზულებების ცნობები ადასტურებენ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს „ერთი მიგდებული შორეული პროვინცია“ კი არ იყო, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანი მხარე, სადაც გამოჩენილი საერო და საეკლესიო პირები დიდ საეკლესიო და საერო საქმიანობას ეწეოდნენ. საქართველოს მეფეებიც „ჩვეულებისაებრ“ ხშირად ჩამოდიოდნენ სამეფოს ამ ნაწილში და „განაგებდნენ“ „მანდაურ“ საქმეებს.

---

[2]. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 207.

[3]. ელ. მეტრეველი. იოანე პატრიკისა და პეტრიკ პატრიკის იდენტიფიკაციისათვის. – ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ., 1996, გვ. 196-225.

[4]. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 173, 204.

[5]. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 204.

[706] . ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 99.

[707] . იქვე, გვ. 111.

[708] . იქვე, ტ. I, გვ. 156.

აფხაზი ისტორიკოსები სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ფეოდალებს ხედავენ დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125წწ.) და თამარ მეფის (1184-1213წწ.) დროსაც, თუმცა ამის დამადასტურებელ ისტორიულ ფაქტებს ვერ უთითებენ. მაგალითად, ასეთ მოსაზრებებს ავითარებენ ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა, სტ. ლაკობა და ო. ბღაუბა[709]. აღნიშნული შეხედულება ეფუძნება დავითის ისტორიკოსის შემდეგ სიტყვებს: „და მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრა და წუართნა; რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი. წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით...“[710]. დავითის ისტორიკოსის ამ სიტყვებში არსად ჩანს, რომ აფხაზეთში სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალები იყვნენ. პირიქით, დავითი სამეფო საქმეების მოსაგვარებლად მიდის ამ მხარეში და ჩვეულებრივ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ღირსეულთ წყალობა მისცა, ხოლო უღირსნი და ცოდვილნი დასაჯა. ეს ფაქტი სამეფო ხელისუფლების მხრიდან ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის გატარებული ღონისძიებაა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში ბევრად უფრო მეტი სიმკაცრით ჩატარდა (მაგალითად, კლდეკარის საერისთავოსთან მიმართებაში), ვიდრე აფხაზეთში.

უფრო მეტიც აფხაზეთის მოსახლეობის თანადგომა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისადმი ჩანს საისტორიო წყაროებში, კერძოდ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვებით, რომ ვთქვათ, გიორგი მესამეს (1156-1184წწ.), მართალია, ძმისწული დემეტრე და მისი მომხრეები აუჯანყდნენ, მაგრამ „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“.[711] ე.ი. ეს მხარე ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერდა საქართველოს მეფის ხელისუფლებას.

მიუხედავად ამისა, აფხაზი ისტორიკოსები სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ფეოდალებს ხედავენ 1191 წელს თამარის პირველი მეუღლის გიორგი (იური) რუსის აჯანყების დროსაც. სამაგიეროდ, საგანგებოდ უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ ამ აჯანყებაში მთელი დასავლეთ და სამხრეთ საქართველო იყო ჩართული: „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი“.[712] აჯანყებაში ასევე ჩართული იყვნენ მესხი ფეოდალები გუბაზ ტაოელის მეთაურობით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს სამეფო ტახტისათვის ბრძოლასთან და არა ერთი რომელიმე მხარის სეპარატისტულ განწყობასთან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, მაშინდელ აფხაზებს დანარჩენი საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად თავისი ადგილი ეკავათ სამეფო დარბაზის ცერემონიალზე და ასევე საპატიო სტუმრების მიღების დროს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ცნობით, თამარის წინაშე თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ჰერნი და კახნი, მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი, რაჭა-თაკუერ-მარგველითურთ, სომხითარნი და ა.შ. „ისტორიანის“ ცნობით, „და შეიყარნეს ზარითა მით გონებითა ზარგანჭდილითა, და შეიქმნა დარბაზობა. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, ...პირველად მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ, და თვით კარვის კარსა ჭელისუფალნი და შინაურნი.“[1]

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსების დაუსაბუთებელი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ მეტყველებენ ისტორიულ წყაროთა მონაცემებით დადასტურებული ის ფაქტები, რომ აფხაზები, ისევე როგორც სხვა კუთხის ქართველები, აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სამეფოს სახელით წარმოებულ სამხედრო–პოლიტიკურ აქციებში, როგორც დიდგორის (1121წ.), ასევე შამქორისა (1195წ.)

---

709 . . . ..., გვ. 182 ; . - . - , გვ. 413; . . . II , გვ. 93; . . , . . . , გვ. 151.

710 . , გვ. 86.

711 . ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 367.

712 . ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 49;

1. იქვე, გვ. 65.

და ბასიანის (1203წ.) ბრძოლებში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით სამეფო კარის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში, რომლის შედეგად ქართველებმა ერთმანეთის მიყოლებით აიღეს რიზე, ტრაპეზუნტი, ჰერაკლეა, ლიმნია და ა.შ. (1203-1204წწ.). აფხაზები ჩანან ლაშა-გიორგის მიერ განძის აღების დროს, ხორეზმის შაჰის შვილის ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ ბრძოლაში გარნისთან (1225წ.), მონგოლთა წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაში კოხტასთავზე (1246წ.) და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა ბასიანის ბრძოლაში, რომელსაც თამარის ორივე ისტორიკოსი აღწერს: „დააწყუეს რაზმი, სადა – იგი წინამბრძოლად იყო ზაქარია მჭარგრძელი ამირსპასალარი და ახალციხელი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი, – წერს „ისტორიანის“ ავტორი; – და ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი. ...და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელ-ოდესმე ქმნილ იყო მჭნეთაგან ეგევითარი ომი.“[2] ანალოგიურად აღწერს ამ ბრძოლას თამარის მეორე ისტორიკოსი თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“[3]. ამ წყაროებიდან ჩანს, რომ აფხაზები ისევე, როგორც დანარჩენი ქართველები, თავდადებით იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგაც აფხაზეთის მოსახლეობა პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით აქტიურ ძალას წარმოადგენდა და ისტორიული წყაროები მათ ხშირად ასახელებენ საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფე ლაშა-გიორგიმ განძის აღების სამხედრო ოპერაცია ოთხი ათასი რჩეული ქართველით განახორციელა, რომელთა შორის დასახელებულია დასავლეთ საქართველოს მხედრობაც: „ხოლო მეფესა ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ, ამათ შინა უმეტეს მესხნი იყვნეს, რამეთუ ერთ კერძო მჭარგრძელნი დგეს, და ერთ კერძო აფხაზნი, დადიან ბედიანნი და ლიხთ-იქითნი ზედმოკიდებით ურთიერთს.“[4] ასევე თავდადებით იბრძვის საკუთრივ აფხაზეთის მოსახლეობა ერთ-ერთი სასტიკი დამპყრობლის ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ. „და ესმა რა ესე მეფესა რუსუდანს, – წერს ჟამთააღმწერელი, – მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა, რომელთა თჳთეულად არა არს ჟამი თქმად, ...შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხჳ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა.“[5]

ამ მოვლენებს საგანგებოდ უვლიან გვერდს აფხაზური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები მ.გუნბა, ს.ლაკობა, ო.ბღაჟბა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ნაშრომებში ხშირია ანბანურ ჭეშმარიტებად ცნობილი ისტორიული ფაქტების არცოდნის (თუ გამიზნული მიჩქმალვის?) ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, ს.ლაკობასა და ო. ბღაჟბას აზრით, თამარ მეფე თურმე დავით აღმაშენებლის ასულია; ცხუმი XI საუკუნიდან ჰქვია სოხუმს, მანამდე, თითქოს სებასტოპოლისი ერქვა; მათი აზრით, ქართული წარწერები აფხაზეთში XI–XII საუკუნეებიდან გვხვდება, ფულის ერთეულები აქ ყველა ბიზანტიური და უცხოურია, ქართული ფული კი მიმოქცევაში არ ყოფილა, აფხაზებს საქართველოს სამეფოს შიგნით ვითომ პოლიტიკური ავტონომია ჰქონდათ და ა.შ.

სინამდვილეში საპირისპირო სურათს ვხედავთ ისტორიულ წყაროებში. ამ მხრივ გასაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნუმიზმატიკური მასალა. 1983 წელს ხელოვნებათმცოდე ლ. ხრუშკოვამ ლიხნის სასახლის გათხრებზე აღმოაჩინა ცნობილი „ლიხნის განძი“, რომელშიც დაცული იყო ქართული მონეტების დიდი რაოდენობა.[1] აღნიშნულ მონეტებზე ამოკვეთილი ქართული წარწერები მიუთითებენ, რომ ისინი გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ბაგრატ IV-ისა (1027-1072წწ.) და გიორგი II-ის (1072-1089წწ.) დაკვეთით იყო მოჭრილი.

---

[2]. იქვე, გვ. 96.
[3]. იქვე, გვ. 137.
[4]. იქვე, ტ. I, გვ. 153.
[5]. იქვე, ტ. II, გვ. 182-183.

[1] ლიხნის განძის შესახებ იხ.: . . . . . 1998; . . (V . . . XIII . . .). .1987. „ლიხნის განძის“ ქართული მონეტების წარწერები შეისწავლა ვ.სილოგავამ. იხ.: ვ.სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ. 2004, გვ. 221-252.

გარდა ლიხნისა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ფულის ერთეულები აღმოჩენილია ქ. სოხუმთან ახლოს და ახალ ათონთან, ივერიის მთაზე. 1871 წელს სოხუმის მახლობლად აღმოჩენილი ვერცხლის მონეტები დავით IV აღმაშენებელს (1089-1125წწ.)[2], ხოლო ივერიის მთაზე მოპოვებული მონეტა გიორგი II-ს[3] ეკუთვნოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, ჩვეულებრივ, მიმოქცევაში იყო ქართული ფული.[4]

აფხაზეთი და მისი მოსახლეობა საქართველოს ისტორიის კონტექსტში ჩანს ჟამთააღმწერელის თხზულებაშიც. იგი აღწერს მონღოლთა ბატონობის პირველ პერიოდს და მიუთითებს, რომ რუსუდან მეფემ თავისი 5 წლის ვაჟი დავითი გარკვეული მოსაზრებით ქუთაისში მეფედ აკურთხა. ამ პოლიტიკურ მოვლენებში საქართველოს მეფეს მხარში უდგანან დასავლეთ საქართველოს ფეოდალები და სამღვდელოება: „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავთა და კათალიკოსსა აფხაზეთისასა, და დასუეს მეფედ დავით ძე რუსუდანისი, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი; დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ, და სრულყო კათალიკოსმან წესი კურთხევისა".[5] აღნიშნული პოლიტიკური მოვლენები აშკარად მეტყველებენ, რომ საქართველოს მეფის ერთგულ ქვეშევრდომთა შორის პირველ ადგილზე სწორედ ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობა იდგა, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი, რომელიც ამ დროს უკვე მცხეთას ემორჩილებოდა, დავით ნარინის (1247-1293წწ.) მეფედ კურთხევისას მთავარი ფიგურაა.

XIII საუკუნის I მესამედის გამოჩენილ მოღვაწეებს და წამყვან ქართველ მხედართმთავართა შორის ისტორიული წყაროები ასახელებენ დარდინ შარვაშიძეს, რომელიც წარმოშობით შარვაშიძეთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა: „განაჩინა მხედართა თავად შარვაშას-ძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიმჭნისა მისისათჳს პირველივე დიდსა დიდებასა აღეყვანა და მტკიცედ ეპყრა სჯული."[6] მტერთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ დარდინ შარვაშიძეს ქართველი მემატიანე მაშინდელი საქართველოს სხვა გამოჩენილი მხედართმთავრებისა და საზოგადო მოღვაწეების შალვა ახალციხელის მისი ვაჟის - ფარადავლა თორელის, ცოტნე დადიანის, ავაგ ათაბაგის, ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის, სარგის ჯაყელის გვერდით ასახელებს და მას „სახელოვანსა" და „მჭნეს" უწოდებს.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ის ერთ ცნობაზე, რომლის თანახმად, თამარ მეფის (1184-1213წწ.) ვაჟს გიორგი IV-ს სახელად უწოდეს ლაშა, „რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა [აფსართა ენითა]"[7]. ამ ცნობაზე დაყრდნობით მკვლევართა დიდმა ნაწილმა გაიზიარა მოსაზრება, რომ სახელი ლაშა სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა ქართულ სინამდვილეში და არაერთი მკვლევარი დღემდე გამოთქვამს მოსაზრებას, თითქოს ლაშა აფხაზურიდან მომდინარე სახელია და მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა ქართულ სამყაროში. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზურ ონომასტიკაში მსგავსი საკუთარი სახელი გავრცელებული არ არის, ხოლო ქართულ ონომასტიკონში იგი ჯერ კიდევ თამარის ვაჟის დაბადებამდე ოთხი საუკუნით ადრე არის დადასტურებული. კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონში ტბისის „კოჟრების ეკლესიის" ეზოში ნაპოვნია ჯვრის კვარცხლბეკი, რომელზეც ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს: „წმიდაო სამებაო შეიწყალე ამისი მაშენებელი ლაშაჲცა. ჯუარი ესე აემართა სალოცველად ჩუენდა და საჴსენებელად ნაშობთა ჩუენთა.
ნაშობთა ჩუენთა, რომელმან თაყუანი სცეს. სული ჩუენი ლოცვასა მოიჴსენენ. ამენ. ადიდე, იესუ ქრისტე."[1] წარწერა ამოკვეთილია ბოლნური ჯვრის ირგვლივ და

---

[2] რ.ქებულაძე. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები. - საქ. მუზ. მოამბე, XXXIX. თბ.,1987, გვ.47.

[3] . . . .. გვ. 76; დ.კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 69.

[4] აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ დროს ქართულ ფულთან ერთად მიმოქცევაში ბიზანტიური მონეტებიც იყო.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 180.

[6] იქვე, გვ. 192-194.

[7] იქვე, გვ. 58.

[1] . ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გვ. 104-106. სურ.

დათარიღებულია VIII საუკუნით. ეს წყარო მნიშვნელოვანი არგუმენტია იმ მკვლევართა მოსაზრების უარსაყოფად, რომელთა მტკიცებით სახელი „ლაშა“, მხოლოდ XII საუკუნიდან გვხვდება ქართულ სინამდვილეში.

გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთის აქტიურ პოლიტიკურ და კულტურულ როლზე მეტყველებენ ის მრავალრიცხოვანი ქართული კულტურის კერები, რომლებიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება. XI–XIII საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა იმ საეკლესიო ცენტრების მნიშვნელობა და როლი, რომლებიც ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოს დროს დაარსდა. მიუხედავად ქართული ეკლესიის გაერთიანებისა, ფუნქციონირებას აგრძელებდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველიოს) საკათოლიკოსო და კათალიკოსი კვლავ ბიჭვინთაში იჯდა. „წესი და განგებაჲ მეფედ კურთხევისა“-ს (XIIIს) მიხედვით, იგი მონაწილეობდა მეფის კურთხევაში; “გარიგება ხელმწიფის კარისა“-ს თანახმად აფხაზეთის კათალიკოსი საქართველოს პატრიაქთან, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან და მოძღვართ-მოძღვართან ერთად სამეფო კარის, უმაღლესი საერო ხელისუფლების წევრი იყო.[2]

X–XI საუკუნეების მიჯნაზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშენდა ახალი ტაძრები: ლიხნი, ილორი, ანუხვა, წკელიკარი, წებელდის წმ. გიორგის, ანდრია მოციქულისა და წმ. თევდორეს სახელობის ტაძრები, რომელთა ფასადებზე დღემდე შემორჩენლია მრავალრიცხოვანი ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერების ნიმუშები, ასევე ხელნაწერები და საეკლესიო დანიშნულების ნივთები. აღნიშნული მასალა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ აფხაზეთი ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბედიის სამონასტრო კომპლექსი. აქ იმთავითვე ჩამოყალიბდა მძლავრი საეპისკოპოსო ცენტრი. “გარიგება ხელმწიფის კარისა“-ს მიხედვით, „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა“, ხოლო „კურთხევა მირონისა“-ს თანახმად, ასევე დიდი პატივით სარგებლობდა ბედიელი.[3]

ბედიის საეპისკოპოსო კათედრაზე მაშინდელი საქართველოს გამოჩენილი საეკლესიო პირები მოღვაწეობდნენ. მათ შორის აღსანიშნავია იოანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი – ბაგრატ IV-ის სამეფო კართან დაახლოებული პირი, XI ს. საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და პოლიტიკური ფიგურა. დავით აღმაშენებლის ეპოქაში აქ მოღვაწეობდა სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი. ასეთი ინსტიტუტის არსებობა ხაზს უსვამდა საქართველოს ტერიტორიულ და სულიერ ერთიანობას. შემდგომში სვიმეონი გახდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ანუ მეორე პირი სახელმწიფოში. ის არა მარტო საეკლესიო საქმეებს განაგებდა, არამედ აქტიურად მონაწილეობდა დავითის მიერ განხორციელებულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში. მოგვიანებით ბედიის სამონასტრო ცენტრში მოღვაწეობდნენ ნიკოლოზ, სოფრონ და მიქაელ გონგლიბაჲსძენი, ანტონ და კირილე ჟუანისძეები, გერმანე ჩხეტიძე და სხვები. მათ დიდი ამაგი დასდეს ბედიის მონასტერში ქართული კულტურის მძლავრი ცენტრის ჩამოყალიბების საქმეს.[4]

აღსანიშნავია ილორის ტაძრის ლაპიდარული წარწერები. როგორც უკვე აღინიშნა, ისინი მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობის ისტორიას გიორგი მთავარეპისკოპოსის, მღვდელ გიორგი ქოჩოლავასა და ადგილობრივი ფეოდალის გიორგი გურგენიძის მიერ. მსგავსი შინაარსის არის ანუხვის ტაძრის ეპიგრაფიკული ძეგლები, სადაც ასახულია XI საუკუნის მსხვილი ფეოდალის გიორგი ბასილის ძისა და მისი ძმების მიერ ანუხვის ტაძრის მშენებლობის ამბავი.

ზოგადად, აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული მასალა იძლევა ერთმნიშვნელოვან სურათს ამ ეპოქის აფხაზეთის სოციალური სპექტრის, მოსახლეობისა და პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ. წარწერებში დასახელებულია მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა: მეფეები, მხარის გამგებლები, მაღალი სასულიერო წოდების

---

[2] . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 141-147.

[3]. ქართული სამართილს ძეგლები, ტ. 2, გვ. 48,51-53.

[4] . აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: ბ. ხორავა. ბედიის საეპისკოპოსო. - საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 2000, გვ. 21-42; გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები. თბ., 2004, გვ. 79-96; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 36-51.

წარმომადგენლები, მღვდლები, ოსტატ-მშენებლები, უბრალო მლოცველები და ა. შ.[713] წარწერებში დასახელებულია „აფხაზთა“ სამეფოსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეები: გიორგი II (922-957წწ.), ბაგრატ III (978-1014წწ.), ბაგრატ IV (1027-1072წწ.), გიორგი II კურაპალატი (1072-1089წწ.), კონსტანტინე მეფეთა-მეფე დავით ნარინის ძე (1245-1293წწ); მსხვილი სამეფო მოხელეები, მხარის გამგებლები და ადგილობრივი მსხვილი ფეოდალები: წებელდის წმ. ანდრია მოციქულის ტაძრის მაშენებელი ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი აბულასან იობის ძე, ბაგრატ IV-ის დროინდელი მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი, მოქვის ცნობილი ოთხთავის დამკვეთი დანიელ მთავარეპისკოპოსი, ანუხვის ტაძრის მაშენებელი გიორგი ბასილის ძე და მისი ძმები, დემეტრე, თევდორე და მერკილე, ილორის ტაძრის საერო კტიტორი გიორგი გურგენისძე, ღუმურიშის ტაძრის მაშენებელი „დიოფალთ დიოფალი“ საგდუხტი, ბედიის ტაძრის განმაახლებლები - „დიოფალთ დიოფალი“ მარიხი და ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი, ერისთავთ ერისთავები - გიორგი დადიანი, ნიანია ნოველისიმოსი რაჭის საერისთავოდან, ხოფის ტაძრის მაშენებელი უცნობი „მამადმთავარი“, ტაძრის მაშენებელი ოსტატები გიორგი გალატოზი, სვიმეონ გალატოზთუხუცესი, უბრალო მლოცველები მიქაელი, გიორგი, როშა, და ა.შ.[714] ეს არის იმ ისტორიულ პირთა არასრული ნუსხა, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულ მატერიალურ და სულიერ კულტურას ქმნიდა, შესაბამისად, მაშინდელმა აფხაზებმა აქ შექმნეს და განავითარეს მხოლოდ ქართული კულტურა.

ამ ეპოქის აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობიდან ყურადღების ღირსია ქართული დამწერლობის ნიმუშები, კერძოდ, ხელოვნებითი დამწერლობის ახალი კალიგრაფიული სკოლები, რომლებსაც აფხაზეთში ჩაეყარა საფუძველი და შემდეგ გავრცელდა დანარჩენ საქართველოში[715]. უფრო მეტიც, აფხაზეთის XI–XIIსს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ქართული დამწერლობის ნიმუშების შესწავლამ და პალეოგრაფიულმა შედარებამ საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების დამწერლობათა ნიმუშებთან, ისევე როგორც აფხაზთა სამეფოს ეპოქაში, ამჯერადაც აშკარად გამოკვეთა ამ რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი როლი ქართულ კულტურაში. იგი პირველი გამოეხმაურა ქართულ დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებს, კერძოდ ნუსხურსა და მხედრულ დამწერლობაში მიმდინარე რეფორმებს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრეული მხედრული დამწერლობის ნიმუში აღმოჩენილია გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში[716]. ამ მხარის ქართული ეპიგრაფიკული მასალის ანალიზი მოწმობს, რომ აქ ჯერ კიდევ „აფხაზთა სამეფოს“ ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა ქვის კალიგრაფიულ სკოლას – კიდურწაისრულ ხელოვნებით დამწერლობას, რომელმაც სრულყოფილებას XI საუკუნეში მიაღწია.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული წყაროების ერთობლიობა არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია X–XIII საუკუნეებში პოლიტიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ერთიანი ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი ხშირად უფრო აქტიურ და წამყვან როლს თამაშობდა საერთო სახელმწიფოებრივ და კულტურულ ასპარეზზე, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონი.

2. აფხაზეთი XIII ს-ის 40-იანი წლებიდან XVს-ის 90-იან წლებამდე

1235-1242 წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. მონღოლთა დამანგრეველ ლაშქრობებს მხოლოდ დასავლეთ საქართველო, მათ შორის აფხაზეთის საერისთავო გადაურჩა. 1245 წელს რუსუდან მეფე გარდაიცვალა და საქართველოში უმეფობის ხანა

---

[713] . ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 209.

[714] . გვიანი პერიოდის წარწერებში გაცილებით მეტი ქართველი ისტორიული პირი არის დასახელებული.

[715] ლ. ახალაძე. ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. – კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №1. თბ., 2007, გვ. 32-39.

[716] . ეს არის გრიგოლ გალატოზუხუცესის XI ს. წარწერა. იხ. შინაარსი ფოტოთი: ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა..., I, გვ. 83, 246, 17.

დადგა. ახლადდაპყრობილ ქვეყანაში მონღოლები თავიანთი მმართველობის შემოღებას შეეცადნენ და საქართველო რვა დუმნად (ათიათასეულად) დაყვეს. თითოეულ ამ დუმანს „დუმნის თავებად“ ქართველი დიდებულები ჩაუყენეს. მონღოლებმა დასავლეთ საქართველო, როგორც დუმნის თავებს სამართავად ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს გადასცეს.[717]

დუმნისთავს, რომელიც მონღოლურ ნოინს შეესაბამებოდა, თავის საგამგებლო ტერიტორიაზე სრული სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ჰქონდა. საფიქრებელია, რომ მონღოლებმა რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს საკუთრივ რაჭის საერისთავოს გარდა ლეჩხუმი და არგვეთი – ტერიტორია ლიხის ქედიდან მდ. რიონამდე - დაუქვემდებარეს. ცოტნე დადიანს კი საგამგებლოდ გადასცეს სვანეთის საერისთავო, მდ. კოდორის სათავეების დალის ხეობასთან ერთად, გურია და საერთოდ საქართველოს ზღვისპირეთი დღევანდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩათვლით მდ. ჭოროხიდან ნიკოფსიამდე.

მონღოლები მალე დარწმუნდნენ, რომ ისეთ განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში, როგორიც XIII ს-ში საქართველო იყო, მონღოლური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობა ვერ გამოდგებოდა. ამიტომ 1247 წელს საქართველოში მეფობა აღადგინეს და სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფე, დავით VI რუსუდანის ძე, იგივე დავით ნარინი და დავით VII ლაშა-გიორგის ძე აიყვანეს.

საქართველოს სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფე სულ რამდენიმე წელი იჯდა. მალე დავით ნარინი მონღოლებს აუჯანყდა და ქუთაისში გაიქცა. ისტორიოგრაფიაში დავით ნარინის მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების თარიღად 1259 წელი ითვლება. როგორც ირკვევა, ეს აჯანყება სულ ცოტა 6 წლით ადრე მოხდა. ამას მოწმობს საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX-ს ელჩის ვილჰელმ დე რუბრუკუსის ცნობები საქართველოს შესახებ. 1253-1254 წლებში მონღოლეთში და უკან მოგზაურობის დროს მან საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან შემოუარა. ვილჰელმ დე რუბრუკუსი შავიზღვისპირეთის აღწერის დროს ასახელებს „ივერიას“ და აღნიშნავს, რომ „ივერები, რომლებიც ტრაპიზონის ჩრდილოეთით ცხოვრობენ, „თათრებს“ ანუ მონღოლებს არ ემორჩილებიან.” პირველმა ამ ცნობას ყურადღება ნ. ასათიანმა მიაქცია, რომელმაც დავით ნარინის ანტიმონღოლური აჯანყების თარიღად 1249 წელი მიიჩნია.[718]

აჯანყებული დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა დიდი სიხარულით მიიღეს. „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, – წერს ჟამთააღმწერელი, – შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე“[719]. დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლით საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა ბატონობისგან გათავისუფლდა, ხოლო ერთიანი საქართველოს სამეფო ფაქტობრივად ორ – აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ სამეფოებად დაიშალა.

1261 წელს დავით ნარინს ბიძაშვილი, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით VII გიორგი ლაშას ძე ეწვია. ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ერთი ნაწილი დავით ნარინის ტახტიდან ჩამოგდებას და მის ნაცვლად დავით VII –ის გამეფებას შეეცადა. ამ შინააშლილობის ჟამს დავით რუსუდანის ძეს ბოლომდე უერთგულა ბედიანმა ჯუანშერის ძემ, რომელიც იყო „კაცი წარმატებული ყოველთა ზნითა, უხჳ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა“.[720]

თხზულებაში მოხსენიებული ბედიანი ჯუანშერის ძე ოდიშის ერისთავი ბედან II დადიანია.[721] მისი დახმარება დავით ნარინისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. დავით VII გიორგის ძე იძულებული გახდა, ერთიანი საქართველოს ორად გაყოფას შერიგებოდა

---

[717] . ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 207-208.

[718] . . II . , . . . - ., 1911, გვ. 66-67; ნ ასათიანი. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბ., 2001, გვ. 220-221.

[719] . ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 229.

[720] . იქვე, გვ. 243.

[721] . თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III. თბ., 1967, გვ. 158-161.

და დასავლეთ საქართველოს ტახტზეც უარი ეთქვა. 1262 წელს ის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და მონღოლებს შეურიგდა.

დავით ნარინმა ბედან II დადიანი და საერთოდ დადიანთა საგვარეულო უხვად დაა-ჯილდოვა. მეფემ ამ საგვარეულოს ქრისტიანობის უძვირფასესი რელიკვიები უბოძა და დიდგვაროვანთა სხვა საგვარეულოებთან შედარებით უფრო მაღალ პატივში აიყვანა. დავით ნარინის მხარდაჭერით ოდიშის საერისთავო დასავლეთ საქართველოს უძლიერეს საერისთავოდ გადაიქცა.

დავით ნარინის ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ოთხ საერისთავოს შო-რის იყო განაწილებული. შავიზღვისპირეთი მდინარეებს ენგურს და კოდორს შორის ოდიშის ერისთავს ექვემდებარებოდა. მდინარე კოდორის სათავეები კი (დალის ხეობა) სვანეთის საერისთავოში შედიოდა. მდინარე კოდორის ჩრდილო-დასავლეთით ანაკოფიის ჩათვლით ცხომის//ცხუმის საერისთავო მდებარეობდა. კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ნიკოფსიამდე (ამჟამად ნეჩეფსუხო) აფხაზეთის საერისთავო ვრცელდებოდა.

1293 წელს დავით ნარინი გარდაიცვალა და სამეფო ტახტი მისმა ძემ კონსტანტინემ დაიკავა. მისი მეფობის ისტორიას ვახუშტი ბატონიშვილი აგვიწერს, როგორც დასავლეთ საქართველოში მუდმივი ანარქიის ხანას. „შემდგომად ნარინ მეფისა დაჯდა მეფედ ძე დავითისა უხუცესი კონსტანტინე, --- წერს იგი. – ამას კოსტანტინეს წინააღუდგა ძმა თჳსი მიქელ და არა უტევებდა მეფობად და პყრობად იმერეთისა და მიქელ დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგუეთი და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა – შლილობა და შფოთი და ჴდომა ურთიერთთა და იყო ოხრება ქუეყანისა. ამისთჳს შეიჭირვებდენ დიდებულნი ამის სამეფოსანი და ვერა რითა ჰყვეს ზავი მათ შორის“[1]. ის მცირეოდენი საისტორიო მასალაც, რომელიც დამატებით კონსტანტინე დავით ნარინის ძის შესახებ შემოგვრჩა, სრულებითაც არ მოწმობს ისეთ უნუგეშო ვითარებას, როგორიც მისი მეფობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონმა დაგვიხატა.

როგორც ირკვევა, კონსტანტინე დავითის ძის მეფობის ეპოქა დასავლეთ საქართ-ველოში კულტურის აღმავლობის ხანაა. მაგალითად, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აშენდა და მოიხატა ხობის ცნობილი ტაძარი. სწორედ დროის ამ მონაკვეთში დასავლეთ საქართველოში ბიზანტიიდან მხატვრობაში შემოვიდა სრულიად ახალი „პალეოლოგოსთა სკოლის“ სტილი, რომელიც აღორძინების ხანის მხატვრობის წინამორბედს წარმოადგენს. ამ სტილით არის ხელახლა მოხატული გელათის ტაძარი სწორედ XIIIს-ის მიწურულში. როგორც ირკვევა, საერთოდ კონსტანტინე დავით ნარინის ძემ სამეფოში დიდი სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა. მის დროს აიგო ბედიის ტაძრის სამრეკლო, ხოლო თვით ტაძარი ფაქტობრივად ხელახლა აშენდა და შიგნიდან მოიხატა. ამას მოწმობს ბედიის სამრეკლოს დასავლეთ კედელში ჩასმული წარწერა: „ქ.ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისი, ამენ.“ ამავე სამრეკლოს აღმოსავლეთის შესავლის თავზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულნი არიან „ნიკოლოზ ბედიელი“ და „სოფრონ ბედიელი“, რომლებიც კონსტანტინე დავით ნარინის ძის ხანაში მეფესთან ერთად ბედიის ტაძრის რეკონსრტუქციის თაოსნები იყვნენ.[2]

როგორც ირკვევა, საეკლესიო ცენტრებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე დიდი წვლილი შეჰქონდათ სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ამ ხანის ქართული ხელნაწერი წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დანიელ მოქვის მთავარეპისკოპოსის დაკვეთით მოქვის ტაძარში 1300 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც 157 მინიატურითა და 531 საზედაო ასოთია შემკული.

კონსტანტინე დავით ნარინის ძემ გადამწყვეტი როლი ითამაშა მიზგითად ქცეული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დაბრუნების საქმეში. როგორც ირკვევა, მისი სახსრებით მუსლიმთა ხელიდან გამოხსნილი ეს ტაძარი ხელახლა მოიხატა და მოიკაზმა. ამას მოწმობს იერუსალიმის

---

[1] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 801.

[2] . ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, 1, გვ. 33-39; . . C . „ 1989, გვ. 62-64.

ჯვრის ქართველთა მონასტრის შემდეგი აღაპი: „ მასვე დღესა აღაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფისა კოსტანტინესი, ჯუარისა მონასტრისა ახლად შემკაზმავისა, გარდაიჴდებოდეს დაუკლებლად ღამის თევითა და ხუცის წირვითა“[3].

თვით ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ მოყვანილი ცნობითაც აშკარაა, რომ კონსტანტინე მეფეს დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მეფობის მთელ მანძილზე უდავოდ ემორჩილებოდა. ასეთ ვითარებაში მთლად ზუსტი ვერ უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „იხილა დადიანმან გიორგიმ ესევითარება მათ შორის (ძმებს შორის შინაომი – ავტ.), მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თჳთ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და განიმკჳდრეს თჳსად და არდარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა“.[722] ამავე დროს, ვახუშტის ეს ცნობა დადიანის, შარვაშიძის, გურიელისა და სვანთა ერისთავის მეფის მორჩილებიდან სრულად გამოსვლის შესახებ არა, მაგრამ საერისთავოთა მფლობელების მიერ ფართო უფლებების თვითნებურად მიტაცებაზე მაინც მეტყველებს. ტექსტში მოხსენიებული გიორგი დადიანი ოდიშის ერისთავი გიორგი I დადიანია, ბედან II დადიანის ვაჟი.[723] ეჭვს გარეშეა, რომ ოდიშის ერისთავის ხელისუფლების ცხუმის საერისთავოზე გავრცელებას უფრო ღრმა ფესვებიც (ისტორიული და ეთნიკური) ჰქონდა, ვიდრე შინაომი დასავლეთ საქართველოში. ანაკოფიამდე ტერიტორიის „სრულიად ოდიშის“ სახელით მოხსენიება ცხუმის საერისთავოზე დადიანის კანონიერ უფლებებზე უნდა მიუთითებდეს.

XIII-XIVსს. მიჯნაზე ცხუმის საერისთავოს შეერთების შემდეგ ოდიშის შემადგენლობაში ქალაქები ცხუმი//ცხომი და ანაკოფია შევიდა. ამის შემდეგ ოდიში უშუალოდ აფხაზეთის საერისთავოს გაუმეზობლდა, რომლისგანაც მას „ანაკოფიის დასავლეთით მდებარე მცირე მთა კავკასიიდან ჩამოსული ზღუამდე“ და უფრო ზუსტად, ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით ჩამომდინარე ვახუშტისეული ტერმინოლოგიის „მდინარე მისი მცირე“ (დღევანდელი მდ. ფსირცხა) გამოყოფდა.

1323 წელს გიორგი I დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის ერისთავი მისი ძე მამია I დადიანი გახდა. მას, როგორც ერისთავს, ექვემდებარებოდა თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ანაკოფიის ჩათვლით.

1327 წელს კონსტანტინე დავით ნარინის ძე გარდაიცვალა და დასავლურქართულ სამეფო ტახტზე მისი ძმა მიქელი ავიდა, რომლის მეფობა მხოლოდ ორი წელი გაგრძელდა. მიქელს ვაჟიშვილი ბაგრატი დარჩა, რომელმაც ასაკის გამო მეფედ კურთხევა ვერ გაბედა ანუ „ვერ იკადრა მეფობა”. დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად უმეფობის ხანა დადგა და ანარქია დაიწყო. მაშინ დიდებულებმა გიორგი V ბრწყინვალეს მიმართეს. 1330 წელს ისიც დიდი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისისკენ გაემართა. ბაგრატ უფლისწულმა წინააღმდეგობა ვერ გაბედა და გიორგი V ბრწყინვალეს ქუთაისის ციხე-სიმაგრესთან ერთად იმერეთის ყველა ციხე გადასცა. „ამისნი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა, - წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. – მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო...”[724] ასე რომ, 1330 წლიდან დასავლეთ საქართველოს ყველა მხარე, მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, კვლავ ერთიან ქართულ სამეფოშია გაერთიანებული. ამის შემდეგ აფხაზეთი თითქმის საუკუნენახევარი ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

ჯერ კიდევ 1318წ. რომის პაპმა ილხანთა სპარსეთის მონღოლურ სახელმწიფოში კათოლიკური „სულთანიეს საარქიეპისკოპოსო“ დაარსა, რომელსაც სევასტოპოლის – დღევანდელი სოხუმის საეპისკოპოსოც დაუქვემდებარა. იმავე წელს სევასტოპოლის

---

[3] . ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 43, 100-101, 169.
[722] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 801.
[723] . თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 160.
[724] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ257-258, 801-802.

ეპისკოპოსად ბერნადო მორო დაინიშნა, რომელიც 1330წ. პეტრუს გერალდიმ შეცვალა.[725]

ახალმა ეპისკოპოსმა იმავე წელს კენტერბერის არქიეპისკოპოსს და ინგლისის სხვა საეკლესიო იერარქებს საგანგებო წერილით მიმართა, რომლის ტექსტმა დღემდე მოაღწია. ქვემოთ მოყვანილია ვრცელი ამონარიდი ამ წერილიდან, რადგან ის უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს XIV ს-ის 20-იანი წლების საქართველოს შესახებ:

„უფალო, კენტერბერის არქიეპისკოპოსო, ღვთის მადლით მთელი ინგლისის სამეფოში უპირველესო. ამ სამეფოს არქიეპისკოპოსებო და ეპისკოპოსებო, მოგმართავთ ამავე სამეფოს თანამოძმე პეტრუსი, ღვთის ნებით სევასტოპოლის ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში (inferioris Georgianae). აქ არის პატივმოყვარე ამაოებით მოცული ქალაქი, სადაც დაუმსახურებლად ვარ დანიშნული უმაღლესი მღვდელმთავრის ნება-სურვილით. როგორც ხმა დადის, ერთ დროს აქ 100 ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს, მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად (მუსლიმებად – ავტ.) აქციეს. მე, ჩემის მხრივ, ვეწინააღმდეგები ადამიანებით დანაშაულებრივ ვაჭრობას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აქ მბრძანებლები ქრისტიანები არიან, არც ამ საკითხში და არც სხვაში არ მიგონებენ, რადგან ბერძნული სქიზმის მიმდევრები (მართლმადიდებლები – ავტ.) არიან.... ამ წერილის მომტანი იაჰხია დე კრემონა... იმდენად ღარიბია, რომ მთელი მისი ქონება საკმარისი არ იქნება ნახევარი გზისათვის, ჩემის მხრით არაფრის მიცემა არ შემეძლო, რადგან არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია თავის შესაფარებლად. და არც ერთი დინარი არა მაქვს გასაცემი. კვირაობით რომელიმე ღარიბი ქართველისაგან შემოწირულობას ვიღებ... ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს მხედართმთავარიც არის, მზადაა მთელი ლაშქრით დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად სარკინოზების წინააღმდეგ გასალაშქრებლად... აქაურ კათოლიკებს სასაფლაოც მისცა, მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს ჩვეულებისა, აქ გარდაცვლილ კათოლიკეს არ ასხვავებენ სქიზმატიკოსისაგან. მაგრამ კათოლიკები ვერ შეეგუენ სქიზმატიკოსებს და მიცვალებულებს მათი სასაფლაოს გარეთ მარხავენ. ამის გამო ზემონათქვამი სასაფლაოს მიცემით ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი და სამღვდელოება, რადგან ამ სასაფლაოს გამო კარგავენ ლათინთა დაკრძალვის უფლებას. ამის გამო იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა მიერ სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოგლიჯეს და ასევე ლათინთა მიერ აღმართული თხუთმეტი საფლავის ქვა დაამტვრიეს, ლათინებმა ხელახლა აღმართეს ისინი... აქაურმა სქიზმატიკოსმა მღვდლებმა და ხალხმა სარკინოზთა და იუდეველთა ხელისშეწყობით ეპისკოპოსთა ეპისკოპოსთან (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი – ავტ.) წაიღეს... დაწერილია ქალაქ სანასტოპოლში, ქვემო საქართველოს სამეფოში (in regno inferioris Georgianae). მეფის წმიდა ედუარდის დღესასწაულზე, უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს.“[1].

პეტრუს გერალდის „ქვემო საქართველოში“ დასავლეთ საქართველო იგულისხმება. საქართველოს ქვემო და ზემო ნაწილებად დაყოფა ქართული მწერლობის ძეგლებში X-XI საუკუნეებიდან გვხვდება, სადაც „ქვემო“ ყოველთვის დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა. სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ „სანასტოპოლის“ კათოლიკე ეპისკოპოსი „ქართველთა ორ სამეფოს“, მათ შორის, “ქვემო საქართველოს“ სამეფოს ახსენებს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება სულ ახალი დასრულებული იყო, მაგრამ ინგლისში გაგზავნილი წერილის ავტორმა კარგად იცის, რომ საქართველოს ეს ორი ნაწილი ერთ სამეფოშია გაერთიანებული.

პეტრუს გერალდის „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარი“ მამია I დადიანი (1323-1345წწ.) უნდა იყოს. თუმცა კათოლიკე ეპისკოპოსი მთლად ზუსტი ვერაა. ოდიშის ერისთავი მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან გამოყვანილი ჯარის უფროსია. ეს უფლება დადიანთა საგვარეულოს XII-XIIIსს-ში ჰქონდა დავით ნარინის დასავლურქართული სამეფოს ჩამოყალიბებამდე[2]. როგორც ჩანს, გიორგი V

---

[725] . ჟ ღიცჰარდ . ა აპანტე ეტ ეს მისსიონს დ’ რიენტ აუ მოყენ გე, XIII –XV ს. ღომა, 1977, გვ. 178.

[1]. ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს.-ის საქართველოს შესახებ. - თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1983, ტ. 243, გვ. 101-103.

[2]. თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 154-156.

ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ მამია I დადიანის სახით დადიანთა საგვარეულოს ეს უფლება აღუდგინა. ასე რომ, სრულიად საქართველოს მეფესა და აფხაზეთის ერისთავს შორის ოდიშის ერისთავი, როგორც დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარი ჩადგა. ამის შემდეგ აფხაზეთის ერისთავი ჯერ ოდიშის ერისთავს, როგორც დასავლეთ საქართველოდან გამოყვანილი ლაშქრის უფროსს, ხოლო შემდეგ კი სრულიად საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა. ასეთი ვითარება, როგორც დავინახავთ, დიდხანს გაგრძელდა. ამას XIV-XVსს. არაბ ავტორთა ცნობებიც მოწმობენ, რომელთა მიხედვით, აფხაზეთის საერისთავო ოდიშის ერისთავებისადმია დაქვემდებარებული.

XIV-XVსს-ში საქართველოს უმნიშვნელოვანესი სანავსადგურო ქალაქები ფოთი და ცხუმი ოდიშის საერისთავოში შედიოდა. ეს ძალზე ზრდიდა ოდიშის საერთაშორისო მნიშვნელობას. უფრო მეტიც, ზოგჯერ ოდიშის ერისთავები უცხოელ დამკვირვებელთა თვალში თითქმის დამოუკიდებელ ხელისუფლებად აღიქმებოდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც სიტუაციის ასეთი აღქმა ოფიციალურ –დიპლომატიურ ხასიათს იღებდა. ეს პირველ რიგში მამლუქთა ეგვიპტის სასულთნოს შეეხება.

ეგვიპტემ შავ ზღვაში თავისი ხომალდების გაგზავნის უფლება 1261-1262 წლებში მიიღო, როდესაც მან ოქროს ურდოსთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. მამლუქთა სულთნები დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოსთან ზღვით ურთიერთობას, რადგან საქართველოს სანაპიროს გასწვრივ ერთ-ერთი საზღვაო მაგისტრალი გადიოდა, რომელიც ეგვიპტეს ბოსფორის სრუტის გავლით შავი და აზოვის ზღვებით ოქროს ურდოსთან აკავშირებდა.[726] ამ სანაპიროს დიდი ნაწილი კი უშუალოდ ოდიშის ერისთავს ექვემდებარებოდა. სწორედ ამიტომ XIVს-ის პირველი ნახევრიდან ეგვიპტის სულთნებმა ოდიშის ერისთავებთან პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს, რაც XIVს-ის ეგვიპტელი დიდმოხელის და სწავლულის ალ-მუჰიბის ენციკლოპედიურ ნაშრომში - „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა“ - აისახა. „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიანი-მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს... ყოველ მათგანთან მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა, --- წერს არაბი ენციკლოპედისტი, – მაღალი ალლაჰი დღეგრძელყოფს მის მეფურ უდიდებულესობას, დიადს, დიდებულს, მამაცს, რაინდს, მორწმუნეს, მავანს, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებას, ჯვრის რელიგიური საზოგადოების განძს, ქრისტიანობის სიამაყეს, აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს, ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“.[727]

ალ-მუჰიბის ეს ცნობა გამეორებული აქვს მეორე არაბ ენციკლოპედისტს ალ-კალკაშანდის. მის თხზულებაშიც აღნიშნულია, „რომ ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია თბილისის გამგებელი და აღნიშნა ალ-მუჰიბბიმ, რომ მისი სახელი იყო მაშინ დავითი. მეორე სუხუმისა და აბხასის გამგებელია – ეს არის ყირიმის ზღვის სამხრეთით მდებარე ორი ქალაქი...მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი“.[728]

ალ-მუჰიბი 1384 წელს გარდაიცვალა, ალ-კალკაშანდი კი 1355-1418 წლებში ცხოვრობდა. ასე რომ, მათი ცნობები დასავლეთ საქართველოს ერისთავების დაწინაურების შესახებ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის რეალობას ასახავს. დროის ამ მონაკვეთში, ე.ი. XIVს-ის 30-იანი წლებიდან XV ს-ის 20-იან წლებამდე აფხაზეთის ერისთავები ოდიშის ერისთავების დაქვემდებარებაში იყვნენ.

1386-1403 წლებში საქართველოს თემურ-ლენგი რვაჯერ შემოესია. მერვე შემოსევისას თემურ-ლენგი დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა, მაგრამ იმერეთს ვერ გასცდა. ასე რომ, ოდიშისა და აფხაზეთის საერისთავოები შუა აზიის მრისხანე მბრძანებლის ლაშქრობებს გადაურჩა.

საქართველოში თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობისთანავე დასავლეთ საქართველოში მეფობის მაძიებლები გამოჩნდნენ, რომლებიც დასავლურქართული სამეფოს აღდგენას შეეცადნენ. ინიციატივას, ერთი მხრივ, მიქელ მეფის შთამომავლები, მეორე

---

[726] . . . . „ 1989, გვ. 41-42, 81-82.

[727] . XIV-XV სს-ის არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი). თბ., 1988, გვ. 53.

[728] . იქვე, გვ. 57.

მხრივ, დასავლეთ საქართველოში სამეფო ოჯახიდან დანიშნული მეფისნაცვლები იჩენდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1387 წელს დავით ნარინის შვილთაშვილი ალექსანდრე გელათში მეფედაც კი ეკურთხა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის და ოდიშის ერისთავების მხარდაჭერა ვერ მიიღო, ვინაიდან ისინი საქართველოს მეფის ერთგულებად დარჩნენ.[729]

ალექსანდრე უფლისწულის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებას მისი შვილი შეეცადა. დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა მის მორჩილებაზეც უარი განაცხადეს. მაშინ გიორგი ალექსანდრეს ძემ დასავლეთ საქართველოს ერისთავებს შორის უპირველესის ოდიშის ერისთავის წინააღმდეგ გაილაშქრა. „განიზრახა ამან გიორგი ბრძოლა ვამიყ დადიანისა, რამეთუ უკეთუ სძლიოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყრას, - წერს ვახუშტი ბაგრატიონი. - შემოიკრიბნა სპანი იმერთანი, წარვიდა და შთავიდა ოდიშს. დღესა ერთსა ეწყო ვამიყ დადიანი და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად იძლია სპანი იმერთა და მოჰკლეს მეგრელთა მეფე გიორგი, ქ-სა ჩტჟბ (1392)“.[730]

აქ მოხსენიებული ვამიყი არის ვამეყ II დადიანი (1384-1396წწ.). ოდიშის ამ ერისთავს, როგორც დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მეთაურს, ერთ-ერთ პირველს ჯიქების სახით დასავლეთ კავკასიის მთიელთა სტიქიასთან შებრძოლება მოუხდა. ეს სტიქია ამ დროს ძალას იკრებდა და დასავლეთ საქართველოს ბარისაკენ გაჭრას ცდილობდა.

საქართველოს ბარის ურთიერთობა საქართველოსა და მისი მომიჯნავე ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთთან ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში საქართველოს ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდა. დროდადრო ბარი თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეგავლენას მთიან რეგიონებზე ავრცელებდა, ზოგჯერ კი, პირიქით, მთა ბარს უტევდა. მთის ბოლო შეტევა XIV-XV საუკუნეებიდან დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამ დროიდან მონღოლების მიერ ვიწრო ხეობებში შერეკილი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა თავისი დანაკარგის ანაზღაურებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე შეეცადა. დასავლეთ კავკასიის მთიელთა შემოტევა ერთ–ერთმა პირველმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველომ (თანამედროვე სოჭი-ტუაფსეს მონაკვეთი) განიცადა.

X-XIII სს-ში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს საზღვარი, რომელიც ამ სექტორში აფხაზეთის საერისთავოს საზღვარს ემთხვეოდა, მდ. ნიკოფსიაზე გადიოდა. ამ მდინარის ჩრდილო-დასავლეთით ქერჩის სრუტემდე და აზოვის ზღვამდე, კავკასიონის მთიანეთის კალთებზე ჩერქეზულ-ადიღური მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ. მათ ქართველები ჯიქებს და ქაშაგებს უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთ ევროპელები ჯიქებს და ჩერქეზებს.

ქართულ საისტორიო წყაროებში ნიკოფსია, როგორც საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის მიჯნა, უკანასკნელად გიორგი ბრწყინვალის ძის დავით IX-ს (1346-1360წწ.) მეფედ კურთხევისას იხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით, სპერით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ“[1].

ჯიქები შავ ზღვაზე მეკობრეობით ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყვნენ ცნობილნი. IX-XIIIსს-ში ჯერ აფხაზეთის სამეფოს, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს სიძლიერის დროს, შავ ზღვაზე ჯიქთა მეკობრეობა მინიმუმამდე დავიდა. საქართველოს ძნელბედობის ხანაში XIII-XIVსს-ში მათი აქტიურობა შავ ზღვაზე ხელახლა გაიზარდა. ამას კიდევ ერთი მომენტი დაემატა. ამ დროისათვის დასავლეთ კავკასიის მთიელები საქართველოს მორჩილებიდან გამოვიდნენ და მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ხარჯზე ტერიტორიული გაფართოება დაიწყეს.

ვამეყ II დადიანის (1474-1482წწ.) ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ ცნობა ხობის მონასტრის ეკვდერის ლაპიდარულმა წარწერამ შემოგვინახა:.,,... ერისთავთერისთავმა და

---

729 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV , გვ. 803.
730 . იქვე, გვ. 803-804.
1 . იქვე, ტ.. II , გვ. 201.

მანდატურთუხუცესმა დადიანმან ვამეყ მამისა მათისა პატრონისა ერისთავთერისთვისა დადიანისა გიორგის შედეგად, – ვკითხულობთ ამ წარწერაში, – მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვის... სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი და ყოველნივე ძალით მოირჭუნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა, რაოდენნი მოიწყო, მათი მძევალი წამოასხნა და სხვანი აოტნა, და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა-დედათა ლარნაკი და მარეხ გაერთა".[2]

მიჩნეულია, რომ წარწერაში მოხსენიებული„გაგარი" და „უღაღნი" გეოგრაფიული პუნქტებია და ვამეყ II დადიანმა ჯიქებთან ბრძოლა დღევანდელი გაგრის მიდამოებში გადაიხადა.[3] მართლაც„გაგარი" დღევანდელი გაგრის ძველი სახელწოდებაა, ხოლო „უღაღნი" ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიური ტრაქეას, დღევანდელი ახალი ათონის ძველი ქართული შესატყვისი უნდა იყოს. ამის მიუხედავად ხობის მონასტრის ეკვდერის წარწერაში სულ სხვა გეოგრაფიულ რეგიონზეა საუბარი.

„უღაღი" ძველ ქართულში „ძნელად სავალ გზას" ნიშნავდა, „გაგარი" კი, პირიქით – „ადვილად სავალს", „გასასვლელს" უნდა ნიშნავდეს. მით უფრო, რომ გაგრა მართლაც, თავისებური გასასვლელია ზღვისპირეთში. როგორც ჩანს, ვამეყ II დადიანმა მთელი ჯიქეთი აზოვის ზღვამდე მოარბია, მისი ყველა ადვილად მისადგომი თუ მიუვალად ცნობილი ციხე-სიმაგრე დაანგრია. ოდიშის ერისთავმა იმ ჯიქებს, რომლებმაც მას მორჩილება გამოუცხადეს, მძევლები ჩამოართვა, ხოლო ურჩი ჯიქების ტერიტორია სასტიკად ააოხრა[731]. როგორც ჩანს, XIVს-ის მიწურულისათვის, ჯიქეთში ქრისტიანობა შესუსტებული იყო და ეკლესიების უმეტესობა მღვდელმსახურებისა და მრევლის გარეშე იყო დარჩენილი. ოდიშის ერისთავმა მიტოვებული ეკლესიებიდან ბიზანტიური სტილის მარმარილოს სვეტისთავები, ჩუქურთმიანი ქვები წამოიღო, რომლითაც ხობის ტაძარი და თავისი საერისთავოს ეკლესიები გაამშვენიერა. ვამეყ II დადიანმა ჯიქეთში ზღვით ილაშქრა და ამით ჯიქების მეკობრეობა ზღვაზე ძალზე შეამცირა, მაგრამ ადიღე-ჩერქეზული მოდგმის ტომების სამხრეთ-აღმოსავლეთით ექსპანსია მაინც ვერ შეაჩერა.

XIVს-ის დასასრულს თემურ-ლენგის შემოსევის შედეგად დასუსტებული ცენ-ტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გიორგი VII-ის (1393-1407წწ.) ძმა კონსტანტინე გამოვიდა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტახტის დაკავებას შეეცადა. როგორც ირკვევა, კონ

სტანტინე უფლისწული იძულებული გახდა დასავლეთ საქართველო მიეტოვებინა, მაგრამ ახლა დასავლეთ საქართველოს ტახტზე პრეტენზია იმერეთის მეფეთა შთამომავალმა დიმიტრიმ გამოაცხადა. ამ დროს გიორგი VII-მ თემურ-ლენგთან ომი დაასრულა და დასავლეთ საქართველოსთვის მოიცალა, მით უფრო რომ ამ მხარის ერისთავები ტახტის პრეტენდენტის მორჩილებას არ აპირებდნენ. „ამისი მხილველი მეფე გიორგი შთავიდა სპითა და დაიპყრა ყოველი იმერეთი, – წერს ვახუშტი ბაგრატიონი. – მოერთუნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სუანნი"[732].

დასავლეთ საქართველოში ახალი შინაომის მცდელობა იყო ალექსანდრე I დიდის მეფობის პირველ წლებშიც (1412-1414წწ.). მის ინიციატორად მამია II დადიანი (1396-1414წწ.) გამოვიდა, რომელმაც აფხაზეთის საერისთავოს შეერთება მოინდომა. „არამედ იხილა რა მამია დადიანმან ესე ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა, ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა. მისრულს აფხაზეთს ეწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო, – წერს სწავლული ბატონიშვილი. —მოსწყჳდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია და ნეშტნი სპანი აოტნეს და ლტოლვილნი მოვიდნენ ოდიშს"[733].

---

[2] . ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. – ძველი საქართველო, III. თბ., 1913-1914, გვ. 132-133.

[3] . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 149-150; კ. ბერულავა. აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., გვ. 77.

[731] . თ. ბერაძე. „გაგარი" და "უღაღის" ეტიმოლოგიისათვის. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, № 1, გვ.122-123.

[732] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 275, 804-805.

[733] . იქვე, გვ. 278.

მამია II დადიანის დაღუპვამ სამეფო კარი ძალზე შეაშფოთა. საქართველოს მეფემ მამია II დადიანის მცდელობაში მისი ნებართვის გარეშე შეჭრილიყო აფხაზეთის საერისთავოში, ქვეყნის დაშლის საშიში სიმპტომი დაინახა და რეაქციამაც არ დააყოვნა. ალექსანდრე I ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ოდიშში შევიდა... „ხოლო შთასრულსა ოდიშს მოეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთუ სცოდა რაჲ მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არარაი ვის ავნო; გარნა ლიპარიტ, – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი,– აღიყვანა პატივსა მამისასა. მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი, მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა. განაგნა მუნებურნი და დაამშუდნა იგინი და მოვიდა ქუთათისს. შემოკრებული იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ.“[734]

ალექსანდრე დიდის ამ სამხედრო ექსპედიციის შემდეგ მშვიდობა დასავლეთ საქართველოში თითქმის ოთხი ათეული წელი არ დარღვეულა.

1453 წელს ოსმალო-თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ათასწლოვანმა ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. იმავე წელს, ზაფხულში ედირნეში (ადრიანოპოლში) დაბრუნებულ მეჰმედ II-ს შავიზღვისპირეთის ქრისტიანული ქვეყნების წარმომადგენლები ესტუმრნენ. ზოგიერთი ისტორიკოსი მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებსაც ასახელებს. ინგლისელი ს.რანსიმენის მიხედვით, სულთნის კარს ეწვივნენ „სამეგრელოს, იმერეთის მთავრის დადიანის,” ხოლო თურქი ისტორიკოსის მ.კირზიოღლუს ცნობით, „გურიელის, მეგრელების და აბაზების“ ელჩები.[735]

ორივე ავტორი ბიზანტიელი ისტორიკოსის დუკას თხზულებას ეყრდნობა. აქ 1453 წელს მეჰმედ მეორესთან მისულ ელჩებს შორის დასახელებული არიან: „ტრაპიზონელები და ყველა ისინი, ვინც პონტოს ზღვასთან ცხოვრობენ“[736]. როგორც ვხედავთ, ამ ელჩებს შორის საქართველოს წარმომადგენლები საერთოდ არ ჩანან.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ საქართველოს ზღვისპირეთს ოსმალეთი დაემუქრა. ვახუშტი ბაგრატიონი ოსმალო-თურქების პირველ თავდასხმას 1451 წლით ათარიღებს, მ.კირზიოღლუს და მ.სვანიძეს მიაჩნიათ, რომ თავდასხმა 1454 წელს მოხდა. ასეთი შესწორების საფუძვლად ამ ისტორიკოსებს მოჰყავთ იტალიური წყაროები, რომლებშიც 1454 წელს ოსმალეთის სამხედრო ფლოტის შავ ზღვაზე რეიდია აღწერილი, როდესაც ამ ფლოტმა სავასტოპოლი, იგივე ცხომი, დღევანდელი სოხუმი გადაწვა.[737]

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის ასეთი გადათარიღება სამართლიანი უნდა იყოს. დღევანდელ სოხუმზე ოსმალების, შემდეგ კი აფხაზების თავდასხმის შესახებ ერთ-ერთი ცნობა 1454 წლის მეორე ნახევარში შავიზღვისპირეთიდან გენუაში გაგზავნილი კონსულის ჯერარდო პინელის წერილმა შემოგვინახა: „მე ჩავიბარე სავასტოპოლის კონსუ-
ლობა... დავყავი იქ მცირე ხანი..., – ვკითხულობთ ამ წერილში, – მოულოდნელად მას თავს დაესხნენ აფხაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე, აფხაზებს უნდოდათ უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ ჩემს ჩასვლამდე თურქები დაესხნენ და გაძარცვეს ეს ქალაქი“.[738] უფრო ადრინდელი იტალიური წყაროს ცნობით, ოსმალო-თურქებმა სოხუმის ნავსადგურში გენუელთა ერთი სავაჭრო ხომალდი დაწვეს, მეორე კი ნადავლად წაიყვანეს. მათ ამ ქალაქში მცხოვრებ გენუელ ვაჭართა ერთი ნაწილი დაატყვევეს, მეორე ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა.[739]

---

[734] . იქვე.

[735] . . . 1453 . ., 1983, გვ. 150; . ირზიოგლუ. სმანლილარ ინ აფკაზ – ლერი ნი ფეტჰი (1451-1590). ნკარა, 1976.

[736] . უცაე იცჰაელის. ისტორია ყზანტინა, ატროლ გია რაეცა, ტ. ჩ II, გვ.128.

[737] . . ირზიოგლუ. სმანლილარ..., გვ. 6-7; . . ( ). И , 1982. ., 1985, . 107-111.

[738] . ჩოდიცე დიპლომატიცე დელლე ცოლონიე თაურო- იგურტ დურანტე ლა სიგნორია დელლ უფფიციო დი შ. იორგიო, ედ. . Vიგნა, არტე II, შ შ ,VII, 1871, გვ. 317-318.

[739] . იქვე, გვ.102-103.

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზების მიერ სოხუმის დარბევის შესახებ არაფერს წერს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ოსმალებმა ამ თავდასხმის დროს მთელი აფხაზეთის საერისთავო დაარბიეს. „გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსენი სპითა..., – წერს სწავლული ბატონიშვილი, – და აღაოხრნეს და მოსწყჳდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღჳს პირნი. უკუნ იქცნენ და წარვიდნენ. ამის მცნობელი მეფე გიორგი (ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე გიორგი VIII – 1445-1466წწ. – ავტ.) წარვიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რაჲსაღა ეწია. გარნა მკჳდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“.[740] „განაგნა“ აფხაზთა აჯანყების ჩახშობასაც გულისხმობს, რომლის დროსაც მათ, როგორც ვნახეთ, ცხომი სასტიკად დაარბიეს. 1454წ. გენუელები ცხუმში შემთხვევით არ აღმოჩენილან. ამ დროისათვის ქალაქში გენუელთა სავაჭრო ფაქტორია არსებობდა.

გიორგი VIII ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე აღმოჩნდა. ქვეყნის პოლიტიკური დაშლა სამცხე-საათაბაგოს ერისთავის სახლში დაპირისპირებამ დააჩქარა. 1448 წელს სამცხის ათაბაგს აღბუღა ჯაყელს ერისთავთერისთავობა ბიძამ ყვარყვარემ ჩამოართვა. გადაყენებულმა ათაბაგმა დახმარება საქართველოს მეფეს სთხოვა. გიორგი VIII ლაშქრით სამცხეში გაემართა, „ყუარყუარე მოეგება მეფესა და იტყოდა უცოდველ ყოფასა, არამედ მეფემან აღიყვანა კუალად აღბუღავე პატივსა ათაბაგობისასა“. 1451 წელს აღბუღა გარდაიცვალა და საქართველოს მეფემ ათაბაგობა მის ბიძას ყვარყვარე II ჯაყელს დაუმტკიცა. ყვარყვარე მადლიერების ნაცვლად სამცხის საათაბაგოს ერთიანი ქართული სამეფოდან გამოყოფისათვის სამზადისს შეუდგა.[741] საქართველოში შინაომი გარდაუვალი ჩანდა, როდესაც ქვეყანას რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი ეწვია. მან ქართველებს ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა.

კონსტანტინოპოლის დაცემას (1453წ. 29 მაისი) გამოხმაურება მთელ მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანულ სამყაროში მოჰყვა. დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეა გაჩნდა, რომელიც ოსმალებისგან კონსტანტინოპოლის გათავისუფლებას და ბიზანტიის იმპერიის აღადგენას ითვალისწინებდა. ამ იდეის სულისჩამდგმელი რომის პაპი კალისტო III იყო. მან ამ კოალიციაში ოსმალეთის მეზობელი ქვეყნების ჩაბმის მიზნით 1456–1460წწ. ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი აღმოსავლეთში ორჯერ გამოაგზავნა.

საქართველოში გაერთიანებული ძალებით ოსმალებთან ბრძოლის იდეა იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ რომის ელჩის შუამავლობით საქართველოს მეფესა და სამცხის ათაბაგს შორის დროებითი დაზავება მოხდა. ლუდოვიკო ბოლონიელმა საქართველოს გარდა ოსმალთა მოწინააღმდეგე მეზობელი ქვეყნები მოიარა და ისინიც ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე დაითანხმა. ბოლოს აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩები საქართველოში შეიკრიბნენ და ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად დასავლეთ ევროპაში გაემგზავრნენ. ყვარყვარე II ჯაყელმა დასავლეთ ევროპაში საკუთარი ელჩი გააგზავნა. საქართველოს სხვა ერისთავთერისთავებიც ამ დროისათვის თითქმის დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს. ამის მიუხედავად მათ დასავლეთ ევროპაში ელჩები არ გაგზავნეს და თავიანთ წარმომადგენლად სრულიად საქართველოს ელჩს მიიჩნევდნენ. ამ ელჩობასთან დაკავშირებული ლათინურენოვანი დოკუმენტებით ქართველი ერისთავთერისთავების სახელებისა და საერისთავოთა დადგენა ხერხდება. ეს კი XV ს–ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ ძალთა განლაგების ზუსტად აღდგენის საშუალებას იძლევა.

სათანადო ლათინურენოვანი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – იმერეთს, რაჭა–ლეჩხუმს, სვანეთის მეტ ნაწილს ალექსანდრე I დიდის ძმისწული ბაგრატი განაგებდა, რომელიც “მეფის“ ტიტულით მოიხსენიება. საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ შავიზღვისპირეთი გურიის საერისთავოში შედიოდა, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროებისთვის უცნობი მამია (მანია) გურიელი განაგებდა; “მარკიზის“ ტიტულით მოიხსენიება. ამ ლათინურენოვან დოკუმენტებში ოდიშის ერისთავი ბედიანი “ბენდიანის” სახელით თუ

740 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284.
741 . იქვე, გვ. 284, 704-705.

ტიტულით მოიხსენიება. ამ დოკუმენტების მიხედვით, ოდიშის ერისთავთერისთავს ძველი ტრადიციით აფხაზეთის ერისთავიც ემორჩილებოდა. ამიტომ ბედიანი ზოგიერთ დოკუმენტში როგორც "სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე" (Bendas rex Mengrelia et Abasiae) იხსენიება. ამის მიუხედავად, აფხაზეთი საქართველოს მაინც ცალკე ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. ამიტომ სათანადო დოკუმენტებში დუკას ტიტულით აფხაზეთის ერისთავი რაბია (Rabia dux Anocaciae) გვხვდება[1].

XIII–XV საუკუნეების იტალიურ დოკუმენტებში ოდიშის ერისთავს "ბედიანს", "ბენ-დიანს" უწოდებენ. ანტიოსმალურ კოალიციასთან დაკავშირებით ტრაპიზონის იმპერა-ტორის ბურგუნდიის დუკასადმი 1460 წელს გაგზავნილ წერილში ბედიანი შვილთან ერ-თად მოიხსენიება. იმავე წელს ყვარყვარე II ჯაყელის, "ანუ საქართველოს ჰერცოგის" ვენეციის დოჟისადმი გაგზავნილი წერილით დგინდება ამ ბედიანის ვინაობა. აქ "ბედიანს" de la chan de liparit" ეწოდება[2]. ეჭვს გარეშეა, რომ ეს არის ლიპარიტ II დადიანი (1414–1470წწ.). მისი "შვილი" არის შამადავლე დადიანი (1470–1474წწ.), რომელიც, როგორც ჩანს, მამასთან ერთად განაგებდა საერისთავოს[3].

ცნობილია, რომ ოდიშის მთავართა პირველი დინასტია ბედიან I დადიანიდან მოდის, რომელიც ოდიშის საერისთავოს XIII ს–ის 80–იან წლებში და XIV ს–ის დასაწყისში განაგებდა.[4] საფიქრებელია, ამის შესახებ ცნობა სულ ცოტა ორი საუკუნე შემორჩა. ამიტომაც იყო, რომ იტალიელები XIV–XV საუკუნეებში ოდიშის ერისთავებს ბედიანის სახელით მოიხსენიებდნენ.

საქართველოს და აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩების ევროპული მისია წარუმატე-ბელი იყო. დასავლეთ ევროპა ერთიანი ძალით ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზად არ აღმოჩნდა. ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლის შემდეგ საქართველოში შინაომმა ახალი ძალით იფეთქა. ინიციატივა კვლავ ყვარყვარე II ჯაყელმა გამოიჩინა. მან საქართველოს მეფის გიორგი VIII–ის წინააღმდეგ 1462 წელს თეთრბატკნიანთა მბრძანებელი უზუნ–ჰასანი მოიწვია, რომელიც ქართლში შემოიჭრა. უზუნ–ჰასანის ლაშქრობით დასავლეთ საქართველოს მეფისნაცვალმა ბაგრატმა ისარგებლა. მან აღუთქვა თავისუფლება ერისთავებს და ციხე–სიმაგრეებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. „ამისთჳის მოსცეს დადიან-გურიელმან აფხაზთა და სუანთა პირი მტკიცე მეფედ ყოფისა იმერეთს",[742] - წერს ვახუშტი ბატონიშვილი. 1463 წელს ბაგრატმა ქუთაისის ახლოს ჩიხორთან გიორგი VIII დაამარცხა. გამარჯვებულს ქუთაისში "მოერთნენ დადიან–გურიელ–აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს – ავტ.) სათნო ჩინებითა მეფედ... იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოვანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ"[743]. ბაგრატი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფედ დიდხანს არ დარჩენილა. 1466 წელს ის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თავი სრულიად საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ისტორიაში ის ბაგრატ VI–ის სახელით შევიდა. იგი რეალურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს და შიდა ქართლს ფლობდა. კახეთს გიორგი VIII დაეუფლა, რომელმაც საფუძველი დამოუკიდებელ კახეთის სამეფოს ჩაუყარა. ქვემო ქართლში ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე II დიმიტრის ძე გაბატონდა, რომელიც ბაგრატ VI–ის უზენაესობას აღიარებდა. სამცხე–საათაბაგო კი ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა.

1477 წელს ბაგრატ VI-ის წინააღმდეგ ვამეყ II დადიანი (1475–1482წწ.) გამოვიდა. "შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა

---

1. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 50–52, 56—63, 594–598; ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ., 2003, გვ, 364-374; ალლმერაყერ. ესპიცჰტე დეს ეისერტუმს ვონ თრაპეზუნა. უნცჰენ, 1827, გვ. 265; ჭ. ილლერ. თრებიზონდ, ტჰე ლასტ გრეეცე ემპირე. ონდონ, 1926, გვ. 96.
2. დ.პაიჭაძე. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო. თბ., 1989.
3. თ. ბერაძე. ოდიშის საერისთავო XVI–XVIსს. - სამეგრელო..., გვ.147–148.
4. იქვე.

742 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 805

743 . იქვე, გვ. 806.

იმერეთსა". საქართველოს მეფის საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა. ბაგრატ VI დიდი ლაშქრით ოდიშისკენ გაემართა, ვამეყ II დადიანი დაამარცხა და დაიმორჩილა[744].

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მეფე ბაგრატ VI 1478 წელს გარდაიცვალა. ქართლში სამეფო ტახტზე კონსტანტინე II (1479-1505წწ.) ავიდა. დასავლეთ საქართველოში კი გამეფებას ბაგრატ VI–ის ვაჟი ალექსანდრე შეეცადა. მან მეფედ კურთხევისათვის "მოუწოდა დადიან–გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანსა", მაგრამ მათ ვამეყ II დადიანის მეთაურობით მორჩილებაზე უარი განუცხადეს და დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე II მოიწვიეს. კონსტანტინემ დასავლეთ საქართველოს ერისთავთა დახმარებით ქუთაისი დაიკავა და ქართლისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო მცირე ხნით აღადგინა. მოკავშირენი ახლა უკვე მთელი საქართველოს გაერთიანებაზე ოცნებობდნენ და პირველ რიგში სამცხე–საათაბაგოს შემოერთებას შეეცადნენ. ვამეყ II დადიანი დასავლეთ საქართველოს ლაშქრით კონსტანტინე II–ს 1481 წელს სამცხის ათაბაგთან ბრძოლაში დაეხმარა, რის შედეგად მეფემ სამცხე და ჯავახეთი დაიმორჩილა[745]. კონსტანტინე II სრულიად საქართველოს მეფე გახდა. მან „მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა".[746] 1483 წელს კონსტანტინე II არადეთთან ბრძოლაში ყვარყვარე III ათაბაგთან დამარცხდა. ალექსანდრე ბაგრატის ძემ ამით ისარგებლა, ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეკურთხა. მაშინ ოდიშის ახალმა ერისთავმა ლიპარიტ II დადიანმა (1482–1512წწ.) დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე II კიდევ ერთხელ მოიწვია. 1487 წელს კონსტანტინე II ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ლიპარიტ II დადიანისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავების დახმარებით ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს სხვა უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები კიდევ ერთხელ დაიკავა, თუმცა დასავლეთ საქართველოს საბოლოოდ შემოერთება ვერც ახლა მოახერხა. 1488 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მბრძანებელი იაკუბ ხანი შემოიჭრა და ქართლის მეფე მასთან საბრძოლველად გაემართა. ალექსანდრე ბაგრატის ძემ ამით ისარგებლა, ქუთაისის და საერთოდ იმერეთის ციხე–სიმაგრეები დაიბრუნა, შემდეგ "დაეზავა დადიან–გურიელსა. ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა"[747]. ამის შემდეგ ალექსანდრე იმერთა მეფემ დასავლეთ საქართველოში ძალაუფლება საბოლოოდ განიმტკიცა.

1490 წელს კონსტანტინე II საგანგებოდ მოწვეულ სამეფო დარბაზს საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლის გაგრძელების თაობაზე რჩევას დაეკითხა. სამეფო დარბაზმა მეფეს ასეთი ბრძოლის უკეთესი დროისათვის გადადება ურჩია[748]. ამის შემდეგ ქართლის მეფე კახეთისა და იმერეთის მეფეებს, აგრეთვე ათაბაგს შეურიგდა, რითაც საქართველოს ფაქტობრივი დაშლა გაფორმდა.

XVს–ის II ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გადმოცემისას აუცილებელად უნდა შევეხოთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას ე.წ. "საბედიანოს" შესახებ. ამ მოსაზრების თანახმად, XVს–ის 50–70–იან წლებში არსებობდა ნახევრად დამოკიდებელი პოლიტიკური ერთეული "საბედიანო," რომლის მთავარი ბედიანი თავის ხელქვეით დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის საერისთავოებს - გურიას, ოდიშს და აფხაზეთს აერთიანებდა. ეს მოსაზრება პირველად ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა და შემდეგ არაერთმა ისტორიკოსმა გაიმეორა[749]. როგორც გაირკვა, "საბედიანო", საერთოდ არ არსებობდა და მისი დასახელება ანტიოსმალური კოალიციის შესახებ შემორჩენილი დოკუმენტების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია.

---

744 . იქვე, გვ. 807; იქვე, ტ. II, გვ. 342.
745 . იქვე, ტ. IV, გვ. 386.
746 . იქვე, ტ. II, გვ 343.
747 . იქვე, ტ. IV, გვ. 809.
748 . იქვე, გვ. 390.
749 . ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი XII ტომად, ტ. III. თბ., 1982, გვ. 329; საქართველოს ისტორია, I. თბ., 1956, გვ. 242–243; . . , გვ. 240.

3. ბენუელთა სავაჭრო ფაქტორია სავასტოპოლ-ცხომში//ცხუმში

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, 1204 წელს, ნახევრად დახურული შავი ზღვა მსოფლიო ვაჭრობისთვის თანდათან გაიხსნა. ვითარება არც 1261 წლის შემდეგ შეცვლილა, როცა კონსტანტინოპოლი ბიზანტიას დაუბრუნდა. XIII ს-ის დასასრულისათვის ბიზანტიის დედაქალაქში მრავალი ქვეყნის ვაჭარი ჩადიოდა, რომლებსაც თავიანთი ინტერესი შავიზვისპირეთშიც ჰქონდათ. მათ შორის იყვნენ ვაჭრები იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებიდან – სიცილიიდან და კატალონიიდან, აგრეთვე ეგვიპტიდან. ამ დროისათვის შავი ზღვა კარგად იყო ცნობილი მეზღვაურებისთვის, ვაჭრებისთვის. XIII-XV სს-ში დასავლეთ ევროპელების ცოდნა შავიზღვისპირეთის შესახებ პირველ რიგში ამ საუკუნეების, უფრო ზუსტად 1318-1519 წლების საზღვაო რუკებზე აისახა.

ამ რუკებზე დღევანდელი სოჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით პირველი Costo//Gusto//Costo//-Costa//Chasto, ანუ დღევანდელი ხოსტაა დატანილი. სამხრეთ-აღმოსავლეთით Laiazo//Aiaco// Layazo// Laiaco _. ლიაუშია აღნიშნული. XIIIს-ის ვენეციურ, 1318 წლის პეტრე ვესკონტეს, 1436 წლის ბიანკოს რუკებზე დატანილია Abcazia // Augazia, ანუ აფხაზეთი, რომელსაც მხარის ან კიდევ დასახლებული პუნქტის მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ საზღვაო რუკაზე, მაგალითად, 1385 წლის სოლერის, 1518 წლის ანდრეუს ბენინკაზის რუკებზე ეს მხარე თუ ზღვისპირა პუნქტი ბევრად უფრო ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელი სოჭისა და ტუაფსეს შორისაა დატანილი. დღევანდელი საქართველოს ზღვისპირეთში ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით Cacary//Chachari//Cacar// Chatari, ანუ ძველი გაგარი, დღევანდელი გაგრაა დატანილი. შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთით, ერთმანეთის მიყოლებით საზღვაო რუკებზე დატანილია Sun Soffia// Sancta Sofia//s. Soffia – ბიჭვინთის ცნობილი ტაძარი, Giro –ბიჭვინთის კონცხი, Cavo de Giro – ბიჭვინთის ყურე და Pecunda//Pezonda –საკუთრივ ბიჭვინთა, იგივე პიცუნდაა დატანილი.

ბიჭვინთის სამხრეთ –აღმოსავლეთით რუკებზე Cavo de Buxo//Cavo de Bux//Cavo Buxio//Cavo de Bussi არის დატანილი. ეს სახელწოდება „ბზების ყურედ“ ითარგმნება. მკვლევართა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ყურეში ბომბორის ყურე იგულისხმება, სადაც მდინარეები მჭიშთა (მუწუს წყალი), ხიფსთა (ზუფუს წყალი) და ააფსთა (აღაცოს წყალი) ჩაედინება. ბოლო წლებში ბ. გოგიამ და ჯ. გამახარიამ მოსაზრება გამოთქვეს, რომ „ბზების ყურეში“ მდინარე ბზიფის შესართავი იგულისხმება[750]. „ბზების ყურის“ სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვაო რუკებზე Nisoffia, Flum Nisofia და Flum Nicola არის დატანილი. ეჭვს გარეშეა, რომ ეს არის ანაკოფიის ციხე-ქალაქი და “ანაკოფიის მდინარე,” რომელსაც დღეს ფსირცხა ეწოდება.

ანაკოფიის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვაო რუკებზე Savastopoli//Sconastopoli ძველი ქართული ცხომი//ცხუმი (დღევ. სოხუმი), მის მიდამოებში p. Mengrello//Ponto Mengrello, Catancha//Cicaba// Cichaba//Cicaba – წყუბუნი დღევანდელი სოხუმის აეროპორტის მიდამოებში, gotto//Goto - კოდორის კონცხი და Tamamxa//Tamassa//Tama// Tamasa არის დატანილი. ეს პუნქტი კიდევ ერთ დასავლურევროპულ, 1654 წლის სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს რუკაზე, როგორც Satamascia არის დატანილი. ეს არის სათამაშა, ციხე-დარბაზი, დღევანდელი ტამიშის მიდამოებში, რომელიც XIXს-ის 70-იან წლებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. ციხე-დარბაზის აღწერილობა ვ.ჩერნიავსკიმ დაგვიტოვა. მისი ცნობით, 1875 წელს აქ გათხრა უცდიათ და ამ მიზნით ციხე-დარბაზის ერთ-ერთი კოშკი აუფეთქებიათ.[751]

---

750 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 821-834, 882.

751 . . . , . - П . , 1879, გვ. 19, 127.

სათამაშას სამხრეთ – დასავლეთით დატანილია Murkula - სოფელი მერკულა, Laxopotamo – მდინარე ღალიძგა, Castro Corenbedia - ალბათ, სოფელი ილორი, Corebedia - ბედია ანუ შუა ბედია, Megapotamo//Megapotami _ მდინარე ენგური, Lipotimo – მდინარე ხობი, Lofasio//Fasso//Faxio//Fasso/f.Fasio – დღევანდელი ფოთი და მდინარე რიონი, Paliastomo//Paliastama –პალიასტომის ტბა, San Giorgio - გრიგოლეთი, Vati//Lovati -- ბათუმი და Gonea - დღევანდელი გონიოს ციხე-სიმაგრე.[752]

XIII-XV საუკუნეების საზღვაო რუკებს პორტოლანებსაც ეძახდნენ, რადგან მათ, როგორც წესი, აღწერილობებიც ახლდათ. ერთ-ერთ ასეთ პორტოლანად უნდა ჩაითვალოს ესპანელი ფრანცისკელი ბერის მიერ 1350-1366 წლებში შედგენილი "ცოდნის წიგნი" მსოფლიოს სამფლობელოების, თითოეული ქვეყნის, მათ მეფეთა და მბრძანებელთა შესახებ. ვინაიდან ეს თხზულება ქართულად თარგმნილი არ არის, მოვიყვანთ ამონარიდს, რომელიც აფხაზეთს და მის მომიჯნავე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შეეხება: "შემდეგ მე მივაღწიე გოთების კონცხს (იგულისხმება ყირიმის სამხრეთი სანაპირო – ავტ.), რომელიც მდებარეობს დიდ (შავი – ავტ.) ზღვასა და ტანას (აზოვის – ავტ.) ზღვას შორის. კონცხი ესაზღვრება ორ ძალზე ვრცელ პროვინციას, დავით მეფის ქვეყანას და ანოგაზიას (Anogasia)... აქედან მე გადავედი ტანას ზღვაზე, - ვკითხულობთ ამ პორტოლანში, – სრუტით გოთების კონცხსა და ტუსის კონცხს შორის (იგულისხმება ქერჩის სრუტე – ავტ.), სადაც არის ქალაქი, რომელსაც ეწოდება მატრეგა (ტამანი – ავტ.)... მე გავუყევი დიდი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, გავიარე რა დიდი მანძილი რია სახსიასა და პესონტას (ბიჭვინთას – ავტ.) შორის... და მივედი სავასტოპოლის (Sant Estapoly) სამეფოში. მეფის დროშაზე გამოხატულია ვერცხლის მარჯვენა"[753]. ამ "სამეფოში" ოდიშის საერისთავო იგულისხმება, "ვერცხლის მარჯვენაში" მარჯვენა ხელის მტევანი, რომელიც საზღვაო რუკებზე[754] დღევანდელი სოხუმის თავზე გამოხატულ ხუთჯვრიან რუკებზე გვხვდება. "ცოდნის წიგნში" მოხსენიებული "ანოგაზია" დამახინჯებული "ავოგაზია" უნდა იყოს. მის მიხედვით, ეს მხარე ყირიმის მიდამოებში მდებარეობდა.

XIII-XV საუკუნეებში შავ ზღვაზე ვაჭრობაში ყველაზე უფრო იტალიელები აქტიურობდნენ. მათ შორის თავდაპირველად ვენეციელები გამოირჩეოდნენ. შემდეგ კი პირველობა გენუელთა ხელში გადავიდა.

XIII–XV საუკუნეებში ვენეციელების საქართველოსთან ვაჭრობის შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი, რაც ვენეციელთა საზღვაო ვაჭრობის თავისებურებით აიხსნება. ვენეციაში ხელისუფლება აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამიტომ XIII–XV საუკუნეებში უშუალოდ ვენეციიდან შავ და აზოვის ზღვებზე მხოლოდ სახელმწიფო გალერები დაცურავდნენ, რომლებსაც ღუზის ჩაშვების უფლება მხოლოდ ტანასა და ტრაპიზონის ნავსადგურებში ჰქონდათ[755]. ამ ქალაქებში ვენეციელებს სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ. 1319 წელს მათ ტრაპიზონში, ხოლო 1333 წელს კი ტანაში, ფაქტორიების გახსნის უფლება მიიღეს.[756] მკაცრი აკრძალვის მიუხედავად ვენეციელთა გალერები დროდადრო შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში, მათ შორის ცხუმში შედიოდნენ.

ქართველები უშუალო სავაჭრო ურთერთობას ძირითადად კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ვენეციელ ვაჭრებთან ამყარებდნენ. ასე, მაგალითად, 1437 წლის აგვისტოში ვენეციელმა ვაჭარმა შეიძინა გიორგი მეგრელის მიერ სავასტოპოლიდან (ცხუმიდან) სპეციალური ტარით კონსტანტინოპოლში ჩატანილი 157კგ. ცვილი, რომლისათვის მას

---

752 . . . . -
, . IX. , 1875, გვ. 410-432;
; . x , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 820-838; . . დასახ. ნაშრომი, გვ. 22-29.

753 . . . Мореплавание..., გვ. 46.

754 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.828-829.

755 . . . , გვ. 48-59.

756 . ადოერ ლ. ლიბერო დეი ცონტი დი იაცცნ ო ადოერ (ჩონსტანტინოპოლი 1436-1440), ტესტო ა ცურა დი ერინი ე.თ. ერტელე(I1 მუოვო ღამუსე , III). ღომა,1956, გვ. 59.

23,25 პერპერა გადაუხადეს. ორი დღის შემდეგ ამავე ვაჭარმა დიდი რაოდენობის ცვილი სავასტოპოლიდან ჩასული იტალიელი ვაჭრისგან შეიძინა.[757]

XIII საუკუნის 60-იან წლებიდან შავ ზღვაზე ვაჭრობაში პირველობა გენუის ხელში გადადის. 1267 წელს გენუამ ბიზანტიის კეისრისგან კონსტანტინოპოლის გარეუბანში პერაში(გალათაში) სავაჭრო ფაქტორიის დაარსების უფლება მიიღო. მალე გენუელები ქალაქ სოლდაიაში (დღევანდელი სუდაკი) დასახლდნენ. 1270-1275 წლებში მათ დღევანდელი ფეოდოსიის ადგილას (ყირიმში) - კაფაში ახალშენი დაარსეს, რომელიც მოკლე ხანში ვაჭრობის მსოფლიო ცენტრად გადაიქცა. მომდევნო ნახევარი საუკუნის მანძილზე მთელი შავიზღვისპირეთი გენუელების სავაჭრო ფაქტორიებით დაიფარა. მათი ხომალდები კასპიის ზღვაზეც დაცურავდნენ. გენუელთა სავაჭრო ფაქტორია დაახლოებით შვიდი ათეული წლის მანძილზე ირანის ილხანთა სახელმწიფოს დედაქალაქში თავრიზშიც არსებობდა, დიდი სავაჭრო ინტერესები საქართველოს ზღვისპირეთშიც ჰქონდათ.

XIII–XV საუკუნეების საქართველო-გენუის სავაჭრო ურთიერთობით და საქართველოს ზღვისპირეთში გენუელთა ფაქტორიებით მრავალი ისტორიკოსი დაინტერესდა. ისტორიკოსებს პირველ რიგში ასეთი ფაქტორიების არსებობა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე აინტერესებდათ. მათი აზრით, დღევანდელ აფხაზეთში XIV-XV საუკუნეებში გენუელებს სულ ცოტა ათი სავაჭრო ფაქტორია ჰქონდათ.[758] ამ მოსაზრების ავტორები ძირითადად XIV-XV საუკუნეების საზღვაო რუკებს ეყრდნობიან. მათ ასეთ ფაქტორიად ყველა ის დასახელებული პუნქტი მიაჩნიათ, რომლებიც ამ რუკებზე ენგურ-ფსოუს მონაკვეთზეა დატანილი. ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და გენუელთა სავაჭრო ფაქტორიად მიიჩნევს ისეთ გეოგრაფიულ პუნქტებს, რომელთა სახელწოდებებს "იტალიური ჟღერადობა გააჩნიათ." ასე, მაგალითად, კ. კუდრიავცევმა ასეთი "ჟღერადობის" გამო გენუელთა სავაჭრო ფაქტორიად მიიჩნია "ოლაგუანე" მაშინ, როდესაც ეს ტოპონიმი სიტყვასიტყვით „საქვევრეს", "ქვევრების ადგილს"–მარანს ნიშნავს. იგივე ავტორი ა. ფადეევთან ერთად გენუელთა კიდევ ერთ სავაჭრო ფაქტორიას "სანტანჯელოს" ასახელებს, რომელიც თითქოს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ მთაზე მდებარეობდა. სინამდვილეში ამ ადგილის სახელწოდებას - "სათანჯოს" და იქ მდგარ VIII–X საუკუნეების ციხე-დარბაზს გენუელებთან საერთო არაფერი აქვს. უნდა ითქვას, რომ მსგავს მოსაზრებათა მიზეზს შავიზღვისპირეთში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიების მოწყობის პრინციპების არცოდნა წარმოადგენს.

შავიზღვისპირეთის გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდათ. საერთო იყო ის, რომ ფაქტორიის არსებობა გენუელებისთვის აუცილებლად თვითმართველობას გულისხმობდა. ასეთი თვითმმართველობა საკუთარ ეკლესიას და სასაფლაოს გულისხმობდა.

XIV-XV სს-ში გენუელები ბათუმსა და ფოთში ცხოვრობდნენ. ისინი ამ ქალაქებში თვითმმართველობით არ სარგებლობდნენ და შესაბამისად არც ფაქტორია გააჩნდათ. საქართველოს ზღვისპირეთში ამ საუკუნეებში თვითმმართველობა გენუელებს მხოლოდ ცხუმში ჰქონდათ, სადაც საქართველოს ზღვისპირეთში მათი ერთადერთი ფაქტორია იყო.

ცხუმში, იგივე სავასტოპოლში გენუელები პირველად 1280 წელს არიან დამოწმებული. ამ წელს სოხუმში ერთმა იტალიელმა მეორისაგან სავაჭრო ხომალდი „Mugetto" („შროშანა") იყიდა. მისი ყიდვა-გაყიდვის აქტი ადგილზე იტალიელმა ნოტარიუსმა დაამტკიცა. 1289 წელს ეს ხომალდი ხელახლა გაიყიდა და ამ ახალმა

---

757 . იქვე, გვ. 188.

758 . . . . , 1837, გვ. 37; რიმანდიე ისტორიე დე ცომმერცე დე ლა მერ ოირე, ეტ დე ცოლონიეს გენოისეს დე ლა რიმეე, არის, 1847 გვ. 123-127; . . . – M , . IV. „ 1894 , გვ. 125-127; . , . XIII XV . - , 1938, 3; . . ..., გვ. 23-24; . . . – И , 1989; ელ. მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1992, № 320, გვ. 52-59; ზ. პაპასკირი. ნარკვევები..., I, გვ. 80-81; . . ..., გვ. 134-139; . K , გვ. 116.

ყიდვა-გაყიდვის აქტმა შემოგვინახა ცნობა „შროშანის" ადრე სოხუმში გაყიდვის შესახებ.[759]

ზემოთ მოყვანილი იყო იმ წერილის ტექსტი, რომელიც სავასტოპოლის კათოლიკე ეპისკოპოსმა 1330 წელს ინგლისში გააგზავნა. წერილში ეპისკოპოსი თავის ინგლისელ თანამოძმეებს იმ წინააღმდეგობის შესახებ აცნობებდა, რომელსაც სავასტოპოლის ადგილობრივი მოსახლეობა ამ ქალაქში კათოლიკეთა სასაფლაოს გახსნას უწევდა. უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში საკუთრივ აღმსარებლობის საკითხი ყველაზე ნაკლებ როლს თამაშობდა. ადგილობრივმა ვაჭრებმა კარგად იცოდნენ, რომ სასაფლაოსათვის მიწის გამოყოფა და შესაბამისად ეკლესიის აშენების უფლება გენუელებისთვის ცხუმში ფაქტორიის გახსნის უფლების გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს კი ადგილობრივ ვაჭრებს ძალზე აშინებდა.

ქართულ საისტორიო წყაროებში XII-XV სს-ში საქართველო–გენუის ურთიერთობების შესახებ რამე ცნობა არ გვხვდება. ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის საომარი შეტაკებები არ მომხდარა. საქართველოს შედარებითი სამხედრო ძლიერების გამო გენუელები ფაქტორიის გახსნის უფლებას მოლაპარაკების გზით ცდილობდნენ. საფიქრებელია, რომ ამ მიზნით საქართველოში გენუელთა არაერთი დელეგაცია ჩამოვიდა. იტალიური საისტორიო ტრადიციის მიხედვით, გენუელებმა სოხუმში სავაჭრო ფაქტორია ადგილობრივი ხელისუფლების (იგულისხმება ოდიშის ერისთავთერისთავი) თანხმობით მიიღეს[760]. საფიქრებელია, რომ ასეთი თანხმობის გაცემის წინ ერისთავთერისთავმა სათანადო ნებართვა საქართველოს მეფისგან გამოითხოვა. საქართველოში სავაჭრო ფაქტორიის გახსნის უფლება გენუელებმა 1354 წელს მიიღეს. თანხმობის მიღებაში დიდი როლი საერთაშორისო ასპარეზზე გენუის წარმატებამ ითამაშა. 1354 წელს საზღვაო ბრძოლაში გენუელებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს თავიანთი მუდმივი მეტოქის, ვენეციის ფლოტი. საქართველოს ხელისუფლებამ ასეთ ვითარებაში გენუელთა მორიგი თხოვნა, სამართლიანად ჩათვალა" და მათ სოხუმში სავაჭრო ფაქტორიის გახსნის უფლება მისცა. ამ ფაქტორიის პირველ კონსულად ამბროჯიო დი პიეტრო დაინიშნა[761].

სევასტოპოლის კათოლიკური საეპისკოპოსო სულთანიეს არქიეპისკოპოსის ნაცვლად ბოსფორის არქიეპისკოპოსს დაემორჩილა, რომლის რეზიდენცია კაფაში იყო. პეტრუს გერალდის შემდეგ სევასტოპოლის კიდევ ხუთი ეპისკოპოსია ცნობილი: რობერტ ჰინტელსხამი, ბერტოლდ ვოლი, ნიკოლოზ პასეკი, ჟან პოლ ფრანცისკანელი და ჟან გეორგ და რეჯობუსი. ეს უკანასკნელი სევასტოპოლის ფაქტორიის მოშლის შემდეგ იტალიაში ცხოვრობდა[762].

გენუელებს სავაჭრო ფაქტორიისათვის სოხუმი შემთხვევით არ აურჩევიათ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ის საქართველოს შავიზღვისპირეთში ერთადერთი ადგილი იყო, სადაც საგანგებოდ მოწყობილ არხებში სანაოსნო სეზონის დამთავრების შემდეგ ნაპირზე ამოუთრევლად გემების გაჩერება შეიძლებოდა[763].

1290 წლიდან გენუა თავის სავაჭრო ფაქტორიებს შავიზღვისპირეთში კონსტანტინოპოლის გარეუბანში მდებარე პერას (გალათას) პოდესტას მეშვეობით მართავდა. 1314 წელს გენუის შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფაქტორიების მართვის მიზნით ქალაქ-სახელმწიფოს ხელისუფლებამ საგანგებო დაწესებულება შექმნა, რომელსაც 1341 წლიდან „ოფიციუმ გაზარია" ეწოდა. 1354 წელს დაარსებული სევასტოპოლის გენუელთა სავაჭრო ფაქტორია ამ უწყებას დაექვემდებარა. 1398 წლიდან „ოფიციუმ გაზარია" შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფაქტორიებს კაფას კონსულის მეშვეობით მართავდა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, 1453 წლის 17 ნოემბერს, გენუის ხელისუფლებამ შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფაქტორიები გენუის კერძო, წმინდა გიორგის ბანკს" გადასცა. ამ ბანკს რვა „პროტექტორი" განაგებდა, რომლებსაც ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. შავიზღვისპირეთის გენუის ფაქტორიების კონსულებს 24

---

759 . ცტეს დეს ნოტაირეს ენოის დე ერა ეტ დე ჩააფ დე ლა ფინ დუ XIII ე სიეცლე, ედ. . რატიანუ, უცარესტ. 1927, გვ. 177.

760 . . . ე..., გვ. 99.

761 . ჭ. ეყდ, ისტორიე დუ ჩომმერცე დე ევანტ აუ ოყენ- გე, ტ. I, ეიპზიგ, 1923, გვ. 192.

762 . ჟ. ღიცჰარდ ა აპანტე ეტ ლეს მისსიონს დ' ორიენტ აუ მოყენ აგე, XIIIე-XVე ს. ღომა, 1977, გვ. 185.

763 . . . ..., გვ. 22.

კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომიტეტი ირჩევდა, შემდეგ კი მათ პროტექტორები ამტკიცებდნენ. 1456 წლიდან გენუიდან კონსულების შავიზღვისპირეთში გამოგზავნა შეწყდა. ყველა მათგანს, მათ შორის სავასტოპოლის კონსულს კაფას კონსული ნიშნავდა[764].

XIV-XV სს-ში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიას ცხუმში ნავსადგურის პირას პატარა უბანი ეჭირა. ფაქტორიის სათავეში კონსული იდგა. თავდაპირველად საკონსულოს ადმინისტრაცია კონსულისაგან, ნოტარიუსისა და სასამართლოს მდივნისაგან შედგებოდა. ადმინისტრაცია გასამრჯელოს კაფადან იღებდა. კაფას ხელისუფლება იხდიდა იმ სახლის ქირასაც, რომელშიც კონსული ცხოვრობდა. შემდეგში სავასტოპოლის ფაქტორიის ადმინისტრაციის შემადგენლობა და მისი დაფინანსების წესი შეიცვალა. 1449 წლის კაფას წესდების მიხედვით სავასტოპოლის კონსული თავის სასარგებლოდ ამ ქალაქში გენუელების ექსპორტის და იმპორტის ღირებულების 1%-ს კრებდა. კონსული შემოსული თანხით ფაქტორიის ნოტარიუსს, ანუ მდივანს, თარჯიმანს და შიკრიკს ინახავდა[765]. სასამართლო, რომელსაც კონსული თავმჯდომარეობდა, გენუის კანონების საფუძველზე გენუელებს შორის დავას წყვეტდა.

1456 წლამდე სავასტოპოლის კონსული ერთი წლით გენუაში ინიშნებოდა. ის ცხუმში კაფას გავლით ჩადიოდა. კონსულს გენუიდან თან მოჰქონდა საგანგებო „პატენტი", რომელიც მის რწმუნებებს – უფლება-მოვალეობას ადასტურებდა. გენუის არქივში რამდენიმე ასეთი პატენტია შემორჩენილი. 1455 წელს გენუის წმ. გიორგის ბანკის პროტექტორებმა სავასტოპოლის კონსულად ამბროჯიო დე პოცო დანიშნეს და მის სახელზე პატენტი გასცეს. "პროტექტორები სალამს გითვლიან პატივცემულ და ღირსეულ ბატონებს, ქალაქ კაფას კონსულს, ხაზინადრებს და ზარაფხანის მოხელეებს, აგრეთვე გენუის კონსულს სავასტოპოლში, გენუელთა ქონების მფლობელებს ამ ქალაქში, მათ, ვინც ჩადის, ან ჩავა ამ ქალაქში, – ვკითხულობთ პატენტში, – რადგან ჩვენ ავირჩიეთ და დავამტკიცეთ სავასტოპოლში გენუელთა და გენუელთა ქონების მფლობელთა, აგრეთვე ჩასულ მოვაჭრეთა და მომავალში ვინც ჩავა და ივაჭრებს ამ ქალაქში, კეთილგონიერი ვაჟკაცი, გენუის მოქალაქე ამბროჯიო დე პოცო, სრული ხელისუფლებით, უფლება–მოსილებით, გასამრჯელოთი, პატივით და შემოსავლით, რომელიც ეკუთვნის ამ თანამდებობას, ერთი წლით ან კიდევ მეტ-ნაკლები დროით ჩვენი ნების შესაბამისად... ჩვენ გამოვაგზავნეთ თქვენთან ხსენებული ამბროჯიო გენუელთა კონსულად სავასტოპოლში, რათა თქვენ მიიღოთ ის და ეპყრობოდეთ მას კეთილგანწყობით და ალერსით, როგორც საჭიროა და დაემორჩილოთ მას ყველაფერში, ისევე როგორც ჩვენ, რაც შეესაბამება მის თანამდებობას. რადგან ჩვენ წინასწარ ვიწონებთ ყველა მის გამოტანილ განაჩენს, გადაწყვეტილებას და დადგენილებას, რომელიც შედის მის კომპეტენციაში, თუ ამას კონსული ამბროჯიო გამოიტანს თანამდებობის შესაბამისად და ჩვენი სახელით იმოქმედებს კანონიერად. ამიერიდან გავალებთ თქვენ, რომ დათქმულ დროს გადაუხადოთ კონსულ ამბროჯიოს შესაბამისი გადასახადი და გამოსაღები"[766].

XIV ს-ში გენუელები სავასტოპოლის ფაქტორიაში გენუის ქალაქ-სახელმწიფოს სასარგებლოდ ბაჟის სახით შემოტანილი და გატანილი საქონლის ღირებულების 0,5%-ს იხდიდნენ. XV ს-ში ასეთი ბაჟი ორჯერ გაიზარდა. ბაჟის აკრების უფლება ერთი ან რამდენიმე წლით საგანგებო აუქციონზე იყიდებოდა.

ცხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორია, როგორც ითქვა, საქართველოს ხელისუფლების ნებართვით არსებობდა. XIV ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და გენუას შორის ურთიერთობა დაიძაბა. 1373წ. გენუელებს ქ. კაფადან საქართველოში საგანგებო ელჩობის გამოგზავნა დასჭირდათ, რომ სავასტოპოლის ფაქტორია შეენარჩუნებინათ.

---

764 . . ალარდ, ა ღომანიე გენოისე, ვოლ.I-II. ღომა, 1978, გვ. 142; ჭ. ეყდ, ისტოირე დუ ცომმერსე., I, გვ. 142-143; ჭ. ეყდ. ისტოირე...II, გვ. 385.

765 . . ალარდ. ა ღომანიე..., გვ. 141.

766 . ჩოდიცცე დიპლომატცო დელლე ცოლონიე თაურო- იგური დურანტე ლა სიგნორია დელლ'უფფიციო დი ს. იორგიო, ედ . Vიგნა , პარტე I, შ შ , VI, 1868, გვ. 266.

გენუელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ოდიშის ერისთავთერისთავთან ურთიერთობას ჰქონდა, რომლის სამფლობელოშიც ცხუმი შედიოდა. 1438 წელს გენუის ხელისუფლება შეეცადა თავის სასარგებლოდ ბაჟის აკრება გენუელებთან მოვაჭრე ადგილობრივ ვაჭრებზეც გაევრცელებინა. გენუის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ოდიშის ერისთავმა ვეტო დაადო. ამის შემდეგ გენუელებს ამ ბაჟის აკრება აღარ უცდიათ.

სავასტოპოლის ფაქტორიაში გენუის სახელმწიფოს სასარგებლოდ ცალკეულ წლებში აკრებილი თანხის რაოდენობა, რომლის შესახებ ცნობები შემოგვრჩა, საშუალებას იძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ ცხუმის გენუელთა ფაქტორიის სავაჭრო ბრუნვის შესახებ. ასე, მაგალითად, 1373 წელს ის 12 ათას სომს, ანუ 2628 კგ. ვერცხლს შეადგენდა. XV ს-ში სავასტოპოლის ფაქტორიის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ორჯერ და ზოგიერთ წლებში სამჯერ გაიზარდა[767].

შავიზღვისპირეთში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებს საკუთარი ფულის მოჭრის უფლება არ ჰქონდათ. მხოლოდ 1440-იან წლებში კაფას სავაჭრო კოლონიამ საკუთარი მონეტის მოჭრის ნებართვა მიიღო. ამის გამო XIII-XV სს-ში შავიზღვისპირეთში ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა ოქროს ურდოსა და ტრაპიზონის იმპერიის ვერცხლის მონეტების ბრუნვას ემყარებოდა. იტალიურ დოკუმენტებში ოქროს ურდოს მონეტას „ასპრა ბარიკატა", ხოლო ტრაპიზონის მონეტას „ასპრა კომნინატა" ეწოდებოდა. ხმარებაში იყო აგრეთვე 216 გრამის ვერცხლის ზოდები, რომელებიც იტალიურად „სომი" ეწოდებოდა[768].

საქართველოში ტრაპიზონულ „ასპრას" „კირმანეულ თეთრს" უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ტრაპიზონული „ასპრა კირმანუელატა"-დან მოდის, რომელიც სიტყვა-სიტყვით კირ მანუელის ვერცხლის მონეტას ანუ თეთრს ნიშნავს. „კირ მანუელი" ტრაპიზონის იმპერატორი იყო, რომლის დროსაც პირველად მოიჭრა ასეთი ტიპის მონეტა. XIII-XV სს-ში დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონის მონეტის მინაბაძი იჭრებოდა, რომელსაც ქართველები ასევე „კირმანეულ თეთრს" ეძახდნენ. ოდიშის ერისთავთერისთავი საქართველოს მეფის ნებართვით ცხუმში ასევე ვერცხლის მონეტას ჭრიდა, რომელსაც საქართველოში „ცხუმური თეთრი" ეწოდებოდა. გენუელები ამ მონეტას „სავასტოპოლის ასპრას" ეძახდნენ. კაფას დოკუმენტებში 1386 წელს მოხსენიებულია „სავასტოპოლის ასპრა", იგივე „ცხუმური თეთრი", რომელიც, როგორც ირკვევა, უფრო მეტ ვერცხლს შეიცავდა, ვიდრე ამ წლის ოქროს ურდოს ვერცხლის ფული. 1927 წელს სოხუმში აღმოჩნდა მონეტების დიდი განძი, რომლის დიდი ნაწილი მალე დაიკარგა. შემორჩა მხოლოდ კირმანეულის ტიპის ვერცხლის რამდენიმე მონეტა. ერთ-ერთი მათგანის შუბლზე მოთავსებული იყო შებრუნებული ქართული ზედწერილი "ვამეყ". ეჭვგარეშეა, რომ ეს იყო ნიმუში, რომელიც სხვა ამგვარი მონეტების მოჭრისათვის გამოიყენებოდა. ასე რომ XIII–XV სს-ში ცხუმში ზარაფხანა არსებობდა. ზედწერილში მოხსენიებული "ვამეყ" არის ოდიშის ერისთავთერისთავი ვამეყ I დადიანი, ხოლო თვით ეს მონეტა არის "ცხუმური თეთრის" დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ეგზემპლიარი.

"ცხუმური თეთრი" ცხუმის ზარაფხანაში იჭრებოდა. ამ ფულის მოჭრას ისეთივე მიზანი ჰქონდა, რაც "კირმანეულის" ემისიას: ამით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, თავისი ქვეშევრდომი ვაჭრებისთვის შავიზღვისპირეთში ვაჭრობა გაეადვილებინა. ამ ორ მონეტას შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ კირმანეულს სამეფო ხელისუფლება ჭრიდა, ხოლო ცხუმურ თეთრს, ამ ხელისუფლების ნებართვით, ოდიშის ერისთავი.[769].

XVს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ცხუმში და საერთოდ მთელ შავიზღვისპირეთში ურთიერთობა ოდიშის ერისთავთერისთავსა და გენუელებს შორის ძალზე დაიძაბა, რის შესახებაც კაფას ხელისუფლებამ გენუაში, „წმ. გიორგის ბანკის" პროტექტორებს

---

767 . . . ..., გვ. 100-101.

768 . . ალარდ. ა ღომანიე..., გვ. 658-668; . . -
, . VIII. , 1878, გვ. 53-155.

769 . დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 174; . . ანგ, შტუდიეს ინ ტჰე ნუმისმატიც ჰისტორყ ოფ ეორგია ინ თრანსცაუცასია, ეწ- ორკ, 1955, გვ. 87; . ალარდ, ა ღომანიე..., გვ. 608; . . M ..., გვ. 100-112.

აცნობა. ბანკი საქართველოსთან კონფლიქტს ძალზე ერიდებოდა, ამიტომ 1465 წლის მაისში კაფაში გაგზავნილი წერილით პროტექტორებმა კაფის ხელისუფლებას ოდიშის ერისთავთერისთავთან მორიგება მოსთხოვა. „შევისწავლეთ რა ყველაფერი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა შევიკავოთ მდგომარეობის ყოველგვარი გამწვავებისაგან, რის გამოც კაფას ვაჭრებს შეიძლება საქართველოში ვაჭრობა აეკრძალოს... რათა მშვიდობა, რომელიც ქალაქს აქვს, არ დაირღვეს, ჩვენი ვალია, ვიმოქმედოთ ფრთხილად და არა გამომწვევად. თქვენ კარგად უნდა შეისწავლოთ ვითარება, მაგრამ არ უნდა მოკიდოთ ხელი იარაღს, არ უნდა წააქეზოთ გენუელები, რადგან შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც გააფუჭებს სამეგრელოსთან ვაჭრობის საქმეს... უფრო სასარგებლოა, წერილები გააგზავნოთ, დარწმუნებით და შეთანხმებით იმოქმედოთ... გენუელებისათვის იარაღისა და ძალის გამოყენების ნებას ჩვენ არ გაძლევთ და კიდევაც გიკრძალავთ, მაგრამ ეს აკრძალვა უნდა დარჩეს საიდუმლოდ”[770]. ამ ინსტრუქციის შესაბამისად, კაფას ადმინისტრაციამ სამეგრელოს მთავართან კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვარა. ეს ირკვევა „წმ. გიორგის ბანკის” პროტექტორების სხვა ინსტრუქციიდან, რომელიც 1475 წლის 4 დეკემბერს კაფაში გაიგზავნა: „თქვენ კარგად მოაგვარეთ საქმე ბედიანთან, სამეგრელოს მფლობელთან, მაგრამ თუ ამისთვის ხარჯები იყო საჭირო, ჩვენ მოვითხოვთ ამ ხარჯების დაფარვას წილგროვებით, ან კიდევ იმათზე განაწილებას, რომლებიც ჩავლენ და ივაჭრებენ მის სამფლობელოში”[771].

გენუელებსა და ქართველებს შორის გაუგებრობა შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. კაფას ხელისუფლებამ გენუელებისთვის საქართველოში მიყენებული ზარალი კაფაში ქართველ ვაჭრებზე საგანგებო გადასახადის შემოღების გზით ამოიღო და ოდიშის საერისთავოში, რომელშიც ცხუმი შედიოდა, ელჩობა გააგზავნა. ამას მოწმობს 1472 წლის ივნისში ბანკის პროტექტორების სახელით კაფაში გაგზავნილი ინსტრუქცია: „ასევე ვიწონებთ, რომ თქვენ მოაგვარეთ საკითხი ზარალის შესახებ, რომელიც მიაყენეს ჩვენებს ქართველებმა, საქართველოს საქონელზე გადასახადის დადების გზით და არა კონფისკაციით, რომელიც იწვევს დიდ შუღლს. ეს შეეხება აგრეთვე ელჩის გაგზავნას ბატონ ბენდიანოს შვილთან. ეცადეთ, მოაგვაროთ მასთან და სხვებთან ეს საქმე და არ მიიყვანოთ იგი კონფლიქტამდე, თუ ამას არ მოითხოვს აუცილებლობა”.[772]

იტალიური დოკუმენტების “ბენდიანო” ნამდვილად არის ლიპარიტ I დადიანი, ხოლო მისი “შვილი” ამ დადიანის ძე შამადავლე დადიანი, რომელიც მამასთან ერთად მართავდა სამეგრელოს.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავრის კარზე ელჩის გაგზავნა გამოწვეული იყო გენუელების შევიწროებით სოხუმში. საფიქრებელია, რომ მათ ბაჟი გაუდიდეს და შეიძლება თვითმმართველობის წართმევასაც აპირებდნენ. კაფას ელჩს თავისი მისია წარმატებით შეუსრულებია, რის შესახებ ცნობას გენუამდე მიუღწევია. ეს კარგად ჩანს წმინდა გიორგის ბანკის 1472წ. 15 დეკემბრის ინსტრუქციიდან: “.....ჩვენ აგრეთვე კმაყოფილნი ვართ, რომ თქვენ იმედი გაქვთ დადებთ ზავს ბატონ ბენდიანთან, სამეგრელოს მფლობელთან”. კაფას კომუნასა და სამეგრელოს სამთავროს შორის მოსალოდნელი საზავო ხელშეკრულების მუხლები ძირითადად სებასტოპოლის ფაქტორიას შეეხებოდა, რომელიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არსებობდა. ამ ფაქტორიის დღეისათვის ცნობილი უკანასკნელი კონსულია ქრისტოფორო დე კანევალე, რომელიც 1473წ. იყო სოხუმში ამ თანამდებობაზე.

1475 წელს ოსმალებმა კაფა და ყირიმის გენუელთა ყველა ფაქტორია დაიკავეს. საფიქრებელია, რომ ამავე წელს გენუელებმა თვითმმართველობა ცხუმშიც დაკარგეს. ასე რომ გენუელთა სავაჭრო ფაქტორიამ სამეგრელოს სამთავროში შემავალ ქართულ ქალაქ ცხუმში - სევასტოპოლში//სავასტოპოლში 121 წელი იარსება.

---

770 . ჩოდიცე დიპლომატიცო დელლე ცოლონიე თაურო- იგური დურანტე ლა სიგნორია დელლ’უფფიციო დი შ. იორგიო, . Vიგნა, პარტე II, შ შ, VII, 1871, გვ. 338-339.

771 . იქვე, გვ.534.

772 . იქვე, გვ. 873-874.

თავი VIII. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVI საუკუნეში

XVI საუკუნეს საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაშლილი შეხვდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველო, მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, იმერეთის სამეფოში გაერთიანდა. XVIს-ის დასაწყისში იმერეთის მეფე უშუალოდ საკუთრივ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის დიდ ნაწილს განაგებდა. საქართველოს შავიზღვისპირეთში ნახევრად დამოუკიდებელი გურიისა და ოდიშის სამთავროები, აგრეთვე აფხაზეთის საერისთავო მდებარეობდნენ.

XVIს-ის დასაწყისში თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი „ანაკოფიის მდინარემდე", ისევე როგორც XIV-XVსს. ოდიშის სამთავროში შედიოდა. „ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, - წერს ვახუშტი ბაგრატიონი – გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღჳსა ეგრეთვე ჩდილოდამ"[773]. ანაკოფიის მცირე მდინარეს დღეს ფსირცხა ეწოდება. ის სათავეს კავკასიონის მთავარი ქედის განშტოება ხიმსის მთიდან იღებს. მდინარეს მარჯვენა მხარეს თითქმის ზღვამდე პატარა ქედი - „ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული"[774] მიუყვება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახუშტის მიხედვით, სასაზღვრო ხაზი იყო ოდიშსა და აფხაზეთს შორის.

მდინარე ფსირცხის მარჯვენა ნაპირის გამყოლი ქედი ოდიშისა და აფხაზეთის საზღვრად XVI საუკუნის 20-30-იან წლებში თურქი მზვერავის პატაკშიც გვხვდება. „...იმერეთის ქვევეით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა (იგულისხმება ოდიში – ავტ.), იგი ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან იალბუზის (კავკასიონის მთავარი ქედის) მთის კალთა ეშვება, – წერს იგი, – იმის იქით არის აფხაზეთის (აბაზას) ქვეყნები"[775].

თურქი მზვერავისგან განსხვავებით, გერმანელ დიპლომატ ს. გერბერშტაინს აფხაზეთის ადგილმდებარეობაზე განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა. ის რუსეთს XVI ს-ის დასაწყისში ეწვია და აფხაზეთის შესახებ ცნობები რუსებმა მიაწოდეს: „მეოტიის ჭაობებთან (აზოვის ზღვასთან – ავტ.) და პონტოსთან (შავ ზღვასთან – ავტ.) მდინარე ყუბანზე, რომელიც ჭაობებს უერთდება, ცხოვრობს აფხაზების (aphgasi) ხალხი... ყუბანის იქით სამეგრელო (Mengrelia) მდებარეობს"[776].

XVI ს-ის პირველ ნახევარში ცხომი (სოხუმი), რომელიც ოდიშის სამთავროში შედიოდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქად რჩებოდა. XVI ს-ის შუა წლებში ამ ქალაქიდან ზღვით ყირიმში დიდი რაოდენობით საქართველოში მოყვანილი აბრეშუმის პარკი და საგანგებო ტომრებში დაფასოებული ბრინჯი გაჰქონდათ.[777]

გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ყველაზე სრული და ზუსტი აღწერილობა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში და მის მიერ გამოხაზულ რუკათა ატლასებში გვხვდება. ამ თხზულებაში და შესაბამის რუკებზე აფხაზეთი და საერთოდ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები იმ საზღვრებშია მოცემული, რომელიც მათ XV-XVI სს-ის მიჯნაზე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის დროისათვის ეკავათ[778].

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთს ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შავიზღვისპირეთის ერთ მონაკვეთს უწოდებს, რომელიც ამ ქალაქიდან „კაპეტის მდინარემდე" ვრცელდებოდა. „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის

---

[773] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 781.

[774] . იქვე, გვ. 776.

[775] . თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანითურთ, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბ., 1983, გვ.57.

[776] . . . . ., 1988, გვ. 181.

[777] . , . M ..., გვ. 125.

[778] . თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური..., გვ. 171; თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998, გვ. 103-104.

დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე. – წერს იგი, – დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე... ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჭრით ზღუა შავი“.[779]

ვახუშტი ბაგრატიონის „კაპპეტის მდინარე“ // „კაპპეტის წყალი“ გვიან შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „კაპპოეტის წყალი“. ეს არის მდინარე ბზიფი.[780] ამ მდინარის ჩრდილო-დასავლეთით ჯიქეთი იწყებოდა, რომელსაც ვახუშტის მიხედვით, „აღმოსავლით კაპპეტის წყალი, დასავლით შავი ზღუა, სამჭრით იგივე ზღუა, ჩრდილოთ კავკასი“ ესაზღვრება.[781] მდინარე ბზიფი უფრო ზუსტად, ამ მდინარის შესართავში მდებარე კონცხი „კავო დე ბუქსო“ აფხაზეთის და ჯიქეთის საზღვრად მოხსენიებული აქვს გენუელ ჯ. ინტერიანოს. 1551 წლის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერილობაში, სადაც ნათქვამია, რომ „ზიხები (ჯიქები) ცხოვრობენ ზღვის (შავი ზღვის)... სამხრეთით შავი ზღვის გასწვრივ ბზის კონცხამდე (Cavo de buxo) და ესაზღვრებიან ავოგაზიას, კოლხეთის შემადგენელ ნაწილს“.[782]

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის პოლიტიკურ ცენტრად „ზუფუს“ ასახელებს, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარის პირას მდებარეობს: „არს ზუფუ, მცირე ქალაქისაებრი, სახლი და სამყოფელი შარვაშიძისა, რომელიც მპყრობლობს აფხაზთა“.[783] „ზუფუს მდინარეს“ დღეს ხიფსთა ეწოდება, ხოლო „ზუფუს“ -- ლიხნი. ამ მდინარის სამხრეთ – აღმოსავლეთით ვახუშტი „აღაცოს წყალს“, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მუწის წყალს ასახელებს. მუწის წყალი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მდინარე მჭიშთაა, ხოლო აღაცოს წყალს“ დღეს მდინარე ააფსთა ან კიდევ ბაკლანოვკა ეწოდება.[784]

XVIს-ის პირველ ნახევარში აფხაზეთი იმერეთის სამეფოს საერისთავოდ ითვლებოდა, თუმცა, ისევე როგორც XIV-XVსს–ში, იგი მეფეზე უფრო ოდიშის მთავარს ემორჩილებოდა. ასეთ მორჩილებას შარვაშიძეთა საგვარეულო არცთუ დიდი ხალისით იტანდა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, XVIს-ის დასაწყისში „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“[785]. როგორც ჩანს, იმ დროისათვის დადიანების ძალაუფლება აფხაზეთზე რამდენადმე შესუსტებული იყო. მიუხედავად ამისა, დადიანებს ამ საერისთავოდან ეკლესიისთვის ყმა-მამულის შეწირვის უფლება ჰქონდათ. ამას მოწმობს XVIს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლი „ბიჭვინთის იადგარი“ : „კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა - დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა... აფხაზეთს ბიჭუნტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“.[786]

როგორც ვხედავთ, მამია III დადიანის (1512-1533წწ.) ეს შეწირულობა ერთმანეთის თანმიმდევრობით ლევან I დადიანს (1533-1572წწ.), გიორგი III დადიანს (1572-1582წწ.) და მამია IV დადიანს (1582-1590წწ.) დაუმტკიცებიათ. ასე რომ, დადიანებს აფხაზეთის ყმა-მამულზე ფაქტობრივად მთელი XVI საუკუნე ხელი მიუწვდებოდათ.

მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე დამკვიდრებული ჯიქები და მათი მოკავშირე მთიელები როგორც ზღვით, ისე ხმელეთით დასავლეთ საქართველოზე შეტევას აგრძელებდნენ და აფხაზეთის გავლით ბარში გაჭრას ცდილობდნენ. ამის საპასუხოდ 1533 წ. იანვარში ჯიქეთზე დიდი ლაშქრობა მოეწყო, რომელსაც მამია III დადიანი და მამია I გურიელი სარდლობდნენ. ქართველთა ლაშქარი ოდიშში აგებული დაახლოებით 100 საზღვაო საბრძოლო გემით ჯიქეთისკენ ზღვით გაემართა. ლაშქრობის დრო საგანგებოდ იყო შერჩეული: ზამთრობით შავ ზღვაზე ნაოსნობა წყდებოდა და ჯიქები

---

779 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.
780 . თ.ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და..., გვ. 104-105.
781 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 786.
782 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ. 63.
783 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.
784 . თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და..., გვ. 104-105.
785 . ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 349.
786 . ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1965, გვ. 179.

ზღვიდან თავდასხმას აღარ მოელოდნენ. ბრძოლის პირველ დღეს, 30 იანვარს, ქართველებმა ჯიქები დაამარცხეს, მაგრამ მეორე დღეს, 31 იანვარს ქართულმა ფლოტილიამ ხმელეთზე გადასული თავისი თანამოძმეები მიატოვა და სამშობლოსკენ გამოემართა. ამით გათამამებულმა ჯიქებმა ქართველებს ძლიერ შეუტიეს. სიმამაცის მიუხედავად, მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა. მამია III დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, მამია I გურიელი და ქართველთა ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. ტყვეები და მიცვალებულთა ცხედრები აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქია I-მა აბაშიძემ დიდი საფასით გამოიხსნა.[787]

ჯიქეთში მარცხმა ოდიშის გავლენა დიდად ვერ შეამცირა. აფხაზეთის ერისთავი თავის ლაშქრით დადიანებს კვლავინდებურად სამსახურს უწევდა. 1547 წელს, როდესაც სამხრეთ–დასავლეთიდან გურიას ოსმალეთმა შემოუტია, ლევან I-მა დადიანმა გურიის დასახმარებლად „შემოიყარა სრულიად აფხაზნი და ოდიშარნი“ და „სპითა ოდიშ-აფხაზთათა“ თავისი ფლოტით რიონის შესართავში, „რიონის თუალსა ზედა“, იგივე „რიონის ლიმონში“ ანუ ფოთის ნავსადგურში დაიბანაკა. სამწუხაროდ, პოლიტიკური ინტრიგების გამო ოდიშის მთავარი ფლოტით გურიელს ვერ დაეხმარა და ჭანეთი ოსმალეთს დარჩა.[788]

1548 წელს ბაგრატ იმერთა მეფემ ლევან I დადიანი მოტყუებით შეიპყრო და გელათის მონასტრის სამრეკლოში გამოამწყვდია. 1550 წელს დადიანმა ტყვეობას თავი დააღწია და ოდიშში დაბრუნდა. ამის შემდეგ მან თავი დამოუკიდებლად (მთავრად) გამოაცხადა და „ხელმწიფე დადიანის“ ტიტული მიიღო. ეს ტიტული 1557 წელს ლევან I დადიანს ოსმალეთის სულთანმაც დაუდასტურა.

1557 წელს სტამბოლში ჩასულმა ლევან I დადიანმა სულთანს ექვსი თუ ცხრა საბრძოლო კატარღა გამოსთხოვა და ჯიქების წინააღმდეგ საზღვაო ომი წამოიწყო. ეს ომი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ზავით დასრულდა. ამ ზავის შედეგად ჯიქების თავდასხმები საქართველოს ზღვისპირეთში ერთხანს შეჩერდა.[789]

1572 წელს ლევან I დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო ტახტი მისმა ძემ გიორგი III დადიანმა დაიკავა. მალე ახალი მთავარი ტახტზე მისივე ძმამ მამია IV დადიანმა შეცვალა. გიორგი III დადიანმა დახმარებისთვის „აფხაზნი, ჯიქნი და ჩერქეზნი“ გამოიყენა. შინაომი ოდიშში ექვსი წელი გაგრძელდა, რამაც ოდიშის მთავართა გავლენა აფხაზეთში ძალზე შეასუსტა. 1578 წელს ძმამ გიორგი III დადიანს ტახტი დაუბრუნა და ოდიშის მთავრის ხელისუფლება აფხაზეთზე ხელახლა გაძლიერდა.[790]

1578 წელს ოსმალეთმა ირანთან მორიგი ომი წამოიწყო. ომის დაწყებისთანავე ოსმალები საქართველოს ზღვისპირეთის დაპყრობას შეეცადნენ, რათა დასავლეთ საქართველოს გავლით აღმოსავლეთ ამიერკავკასიისკენ უმოკლესი გზა გაეხსნათ. 1578 წლის აგვისტოში სოხუმის ყურეში ოსმალეთის ესკადრა შემოვიდა, რომელზეც სოხუმის ბეგლარბეგად დანიშნული ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა იმყოფებოდა. ფაშა სოხუმში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადავიდა და საბეგლარბეგოს მართვა-გამგებლობას შეუდგა. ბეგლარბეგის დანიშვნის მიზანს სოხუმის „ქართველი ივერიელების“[791] დამორჩილება წარმოადგენდა. ოსმალები სოხუმის დაპყრობის შემდეგ აქ ციხე-სიმაგრის აგებას შეუდგნენ. ამ მიზნით მათ ანტიკური დიოსკურია–სებასტოპოლისის ციხის ნანგრევები გამოიყენეს, რომელიც მდინარე გუმისთის მარცხენა ნაპირზე, ზღვასთან ახლოს იდგა. 1579 წელს ოსმალებმა ფოთიც დაიკავეს.

სოხუმის საბეგლარბეგომ სულ რამდენიმე წელს იარსება. ოსმალებს ამ საბეგლარბეგოს დავთარიც კი არ შეუდგენიათ. ჰაიდარ ფაშამ სოხუმი 1580 წელს დატოვა. მისი მომდევნო ფაშის სახელი არ შემოგვრჩა. როგორც ირკვევა, 1581 წლის შემდგომ ხანებში ოსმალებმა სოხუმიდან ადმინისტრაცია გაიწვიეს და ქალაქი დატოვეს. ამით სოხუმის საბეგლარბეგომ არსებობა შეწყვიტა.[792]

---

787 . ქართლის ცხოვრება, ტII , გვ. 497; იქვე, ტ. IV, გვ. 811; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1982, გვ. 42.

788 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 814; იქვე, ტ. II, გვ. 360, 502.

789 . . . ..., გვ. 208-210.

790 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 817-818.

791 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

792 . . . ..., გვ. 21-22, 58-60.

ოსმალებმა სოხუმი აფხაზი ფეოდალების, პირველ რიგში, შარვაშიძეთა დახმარებით აიღეს. მათ ასეთი დახმარება თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდათ, როდესაც ბეგლარბეგად ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა დანიშნეს.[793] ამიტომ ოსმალებმა სოხუმი, საბეგლარბეგოს გაუქმების შემდეგ, შარვაშიძეებს გადასცეს. ამის შემდეგ აფხაზეთის საზღვარმა სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა. სოხუმიდან ოსმალების წასვლის შემდეგ მამია IV დადიანმა აფხაზეთზე პოლიტიკური გავლენა აღადგინა. ეს გავლენა ოდიშმა მისი მემკვიდრის მანუჩარ დადიანის (1590-1611წწ.) დროსაც შეინარჩუნა.[794]

XIV-XV სს-ში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ეკლესიურად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა. ეს ტერიტორია ოთხ საეპისკოპოსოს შორის იყო განაწილებული. მდინარე ენგურსა და "დადის წყალს" (ერისწყალს) შორის მოქცეული სოფლები წალენჯიხის ეპარქიაში შედიოდა. ერისწყალსა და მოქვის წყალს შორის ტერიტორია ბედიელის სამწყსოს წარმოადგენდა. მოქვის წყალიდან მდინარე კოდორამდე - მოქვის ეპისკოპოსის, ხოლო მდინარე კოდორიდან ანაკოფიის ჩათვლით - დრანდის საეპისკოპოსოს სამწყსო იყო.[795] საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო ეკლესიურად უშუალოდ აფხაზეთის კათოლიკოსს ექვემდებარებოდა.

X საუკუნის დამლევს საქართველოს ეკლესიის გაერთიანების პროცესის დასრულების შემდეგ აფხაზეთის საკათოლიკოსოს ტახტი არ გაუქმებულა, თუმცა აფხაზეთის კათოლიკოსი ქართლის კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლის ტენდენციების ზრდასთან ერთად აფხაზეთის კათოლიკოსის როლი თანდათანობით იზრდებოდა. ეს ვითარება საკუთარი პოლიტიკური პოზიციების განსამტკიცებლად გამოიყენეს იმერეთის მეფემ ბაგრატ მეორემ და ოდიშის მთავარმა შამადავლე დადიანმა.[796]

მათ ისარგებლეს 1470-1474 წლებში დასავლეთ საქართველოში შესაწირავის შეს-აგროვებლად ჩამოსული იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის სტუმრობით და „ცაიშელ-ბედიელი მთავარებისკოპოზი იოვაკიმე" აფხაზეთის კათოლიკოსად აკურთხებინეს. მღვდელმთავრებმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის სახელით საგანგებო „მცნებაჲ სასჯულო" შეადგინეს, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანა, „ლიხთ-ამერისა და აფხაზეთის" დამოუკიდებელ კათოლიკოსად იოვაკიმის კურთხევა ყოველნაირად გაამართლეს. იმისათვის, რომ დამოუკიდებელი საკათოლიკოსოს შექმნა დაესრულებინათ, დოკუმენტის ავტორებმა დასავლეთ საქართველოში სარწმუნოებრივი მდგომარეობა მუქ ფერებში წარმოადგინეს: „აფხაზეთი (დასავლეთ საქართვველო – ავტ.) ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს"[797].

მცხეთისგან დამოუკიდებელი აფხაზეთის პირველ კათოლიკოსს იოვაკიმს უფლება მიეცა „ლიხთ-იმერის, ჭოროხს აქათ, ოვსეთს აქათ, ზღუაი პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭვინტისა საზღუარი მიაწევს" ეპისკოპოსები დაენიშნა. აფხაზეთის საკათოლიკოსო საკუთრივ იმერეთის, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის გარდა თავის სამწყსოდ საქართ-ველოს ისტორიულ მიწებსაც მიიჩნევდა. „კათალიკოზის საკურთხი არის, სამწყსო-ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა". აფხაზეთის საკათოლიკოსოს ეს საზღვრები დაფიქსირებულია 1525-1550 წწ. შედგენილ „ბიჭვინთის იადგარში"[798] (სახსენებელი, საჩუქარი), რომელიც ქართული სამართლის, კონკრეტულად საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. საკათოლიკოსოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის კაფასთან და რუსეთის სამხრეთ მიჯნასთან დაფიქსირება ასახავს იმ რეალობას, როცა შავიზღვისპირეთში მოსახლე ჯიქები და ქაშქები საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდნენ.

---

793 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 70.
794 . იქვე, გვ. 71.
795 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 778-781.
796 . ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 222.
797 . ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 180.
798 . ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 176-183.

„ბიჭვინთის იადგარი“ შეიცავს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მიერ გაკეთებულ შემოწირულობათა ჩამონათვალს, ბიჭვინთის საყდრის, კათოლიკოსის ქონებისა და ყმა-მსახურთა დამცავ სამართლებრივ ნორმებს, გვიანდელი ხანის საერო და სასულიერო პირთა მინაწერებს. დოკუმენტს ხელს აწერს აფხაზეთის რვა კათოლიკოსი დაწყებული მალაქია I აბაშიძით (XVI ს-ის 20-50-ანი წლები), რომლის დროსაც შედგა „ბიჭვინთის იადგარი“, და დამთავრებული დავით ნემსაძით (1673-1696 წწ.), რომლის კათოლიკოსობის პერიოდში დასრულდა მთიელთა მიერ სამეგრელოს მიწების დიდი ნაწილის მიტაცება.

„ბიჭვინთის იადგარის“ გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია XVI-XVII საუკუნეების აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის სწორად გაშუქება, როგორც ამას „ახერხებენ“ სეპარატისტი ავტორები.

აფხაზეთის კათოლიკოსის მთავარ რეზიდენციას XVI ს-ის 50-იან წლებამდე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესია წარმოადგენდა. 1568-1578 წლებში, როცა აფხაზეთის კათოლიკოსის ტახტი ევდემონ ჩხეტისძეს ეკავა, მისი მთავარი რეზიდენცია გელათის მონასტრის წმიდა გიორგის ეკლესია გახდა.[799] რეზიდენციის გადატანა განაპირობა აფხაზეთში წარმართ მთიელთა მასობრივმა ჩამოწოლამ, რასაც საერისთავოს მაშინდელ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების დაცარიელება, სამღვდელოების სრული ევაკუაცია და ქრისტიანობის განადგურება მოჰყვა[800]. აფხაზეთის კათოლიკოსის ბიჭვინთიდან იძულებით გელათში გადასვლა, საკუთრივ აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მკვეთრმა ცვლილებამ გამოიწვია და არა თურქულმა ექსპანსიამ, როგორც ამას სეპარატისტული ისტორიოგრაფია ამტკიცებს.

ისევე როგორც წინა საუკუნეებში, XVIს-შიც, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია–მონასტრები ქართული განათლებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიჭვინთა შემდგომშიაც რჩებოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრად, სადაც ხდებოდა წმ. მირონის კურთხევა. აფხაზეთის კათოლიკოსები მზრუნველობას არ აკლებდნენ ბიჭვინთის ტაძარს, ოდიშის შემადგენლობაში მყოფ დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოებს. ბიჭვინთიდან დევნილი კათოლიკოსის გელათში გადასვლით კათოლიკოსის რეზიდენცია იმერეთის სამეფო რეზიდენციას დაუახლოვდა, რამაც სამეფო და საეკლესიო ხელისუფლება ერთმანეთს დაუახლოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის კათოლიკოს ექვთიმე I საყვარელიძის (1578-1614წწ.) ღვაწლი. ის იყო მოქვის მთავარეპისკოპოსიც. ექვთიმე I-ის ბრძანებით, მოქვის ტაძარში ნ. ცინცაძემ გადაწერა მეტაფრასი; ზებედე დიაკვნისა და გიორგი მწერლის მიერ გადაიწერა გულანი; შესანიშნავი წიგნსაცავი არსებობდა ბედიის ტაძარშიც, სადაც ხელნაწერები დაუმზადებიათ ბედიელ მღვდელმთავრებს ანტონ ჟვანისძეს და გერმანე ჩხეტიძეს. აქ მოღვაწეობდნენ კალიგრაფები და მწიგნობრები გაბრიელ ლომსაძე, საბა ნაფოტაძე და სხვები.[801]

თანამედროვე აფხაზეთი ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას რომ წარმოადგენდა, ამას კარგად მოწმობს ბედიის გულანიც. მის ერთ ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „ბედიელ მიტროპოლიტი, მთავარებისკოპოსი ჩხეტისძე გერმან ადიდე ღმერთმან... რომლისა ბრძანებითა წამოველ მთებით შავშეთით, დაბით დიობნით, ძირით მთით კარჩხალთაჲ, და ნებითა და შეწევნითა ღვთისაჲთა მოვიწიე ოდიშს ბედიის ტაძარსა და საყდარსა ვლაქერნისა ღვთისმშობლისასა და შეწევნითა და წარმართებითა მისითა ვიწყე წერად წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა თუეცთა იანვრით ერთითგან ვიდრე აქამომდე, ყოვლითურთ სრულისა და უკლებისა, ვითა უნდოდა ბევრით წიგნისაგან ვიძიე და გავასრულე, რაჲცა უნდოდა, რისაცა დედა ვიშოე, არა დამიკლია რაჲ, ღმრთისა შეწევნითა. ამისა მწერალსა ფრიად ცოდვილსა კერძო დიაკონსა გაბრიელს ლომსანისძესა... შეუნდვნეს ღმერთმან... მისსა ამხანაგსა მწერალსა

---

799 . ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I. თბ., 1966, გვ. 177-186.

800 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 173-183.

801 . იქვე, გვ. 185-186.

სვიმონ გიორგის ძესა... შეუნდვნეს ღმერთმან“[802]. სამწუხაროა, რომ სეპარატისტული ისტორიოგრაფია მსგავს ისტორიულ წყაროებს არ იყენებს.

თავი IX. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში

1. პოლიტიკური ვითარება

XVII საუკუნის I ნახევარში თანამედროვე აფხაზეთის უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც XVI საუკუნეში, უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში. მაშინდელი აფხაზეთი კი ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად იყო დაყოფილი, რომელთაგან ყველაზე დიდს საშარვაშიძეო (ბზიფის აფხაზეთი) წარმოადგენდა. ჩრდილო-დასავლეთით შარვაშიძეთა მიწა-წყალი გაგრის ქედამდე ვერ აღწევდა. აქაურობას ევლია ჩელების ცნობებს (XVII საუკუნის 40-იანი წლები) თუ დავეყრდნობით, დამოუკიდებელი აბაზა „ბეგები“ (ანუ ჯიქი აზნაურები) განაგებდნენ.[803] ამიტომ, საფიქრებელია, რომ საშარვაშიძეო ამ დროს დასავლეთიდან შემოსაზღვრული უნდა ყოფილიყო მდინარე ბზიფით, რომლის გადაღმა ჯიქეთი იწყებოდა.

აღმოსავლეთით აფხაზეთი, იტალიელი მისიონერის ლამბერტის მონაცემებით (XVII საუკუნის 30-50-იანი წლები), მდინარე კოდორამდე ვრცელდებოდა.[804] მისი თანამედროვე კასტელის ცნობითაც, „კოლხეთი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია კორაჩეს, აკუს მთით“. ე.ი. კოდორის ქედით. გარდა ამისა, იგივე ავტორი ერთადერთია, ვინც დრანდის საეპისკოპოსოს აფხაზეთში იხსენიებს.[805]

თეათინელ მისიონერთა ეს ცნობები ანტიკური წყაროების გავლენით უნდა იყოს შედგენილი, ვინაიდან ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ ასევე აღნიშნული აქვს, რომ ოდიშის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ეკლესია, კერძოდ, დრანდისა, „მდებარეობს მდინარე კოდორზე, აფხაზეთის საზღვარზე.“[806] ე.ი. ლამბერტის წარმოდგენით, მდინარე კოდორის ქვემო წელის დასავლეთითაც მნიშვნელოვანი ტერიტორია სამეგრელო იყო.

1639-1640 წლებში ოდიშში მყოფი რუსეთის ელჩის, ზახარიევის „ანგარიშში“ სამეგრელოს სოფელთა შორის მოხსენიებულია ფშაფი და დრანდა[807], რაც ასევე მიუთითებს, რომ სამეგრელო დასავლეთიდან მდინარე კოდორით არ იყო შემოსაზღვრული.

მსგავსი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ 1664 წელს ოდიშში მყოფი იერუსალიმის პატრიარქის, მაკარიოსის ცნობიდანაც, რომლის თანახმად, როცა გაიგო მისი მოქვში ყოფნის შესახებ, ერთი უზნეო ქალი „დრანდიდან აფხაზეთში გადაიხვეწა.“[808]

ამდენად, უფრო სარწმუნოა იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკას ცნობა, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის საზღვარი ქალაქ სკისორნუმთან ჩამავალ მდინარე აბსიზე გადიოდა.[809] სკისორნუმი თურქული სახელწოდება ესკი სუხუმის (ანუ ძველი სოხუმის) იტალიურად დამახინჯებული ფორმაა. ამრიგად, ჯოვანი და ლუკას ცნობებზე დაყრდნობით, აფხაზეთისა და სამეგრელოს ეთნიკურ საზღვრად სოხუმზე (ცხუმზე) გამავალი მდინარე ბესლეთი უნდა მივიჩნიოთ.

საისტორიო წყაროებში არ ჩანს, შარვაშიძის ხელისუფლება ცხუმამდე ვრცელდებოდა თუ არა. ის გარემოება, რომ ევლია ჩელები ჩაჩების მიწაზე, ანუ

---

802 . ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ( ) კოლექციისა, ტ. I, თბ. 1976, გვ. 319

803. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნ. I. თბ., 1971, გვ. 100.

804 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ., 1938, გვ. 5-6, 176.

805 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბ., 1976, გვ. 51, 180.

806 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 120.

807 . . . . ., 1888, გვ. 351.

808 . . . XVII . , 1905, გვ. 32.

809 . ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III. თბ., 1987, გვ. 157.

საშარვაშიძეოში არ იხსენიებს სოხუმს და ანაკოფიას, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ შარვაშიძეებს ცხუმსა და მის მიმდებარე მხარეზე ხელი არ მიუწვდებოდათ. მას სხვა აფხაზი თავადი განაგებდა და უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში, ხოლო შარვაშიძე, რომელიც დადიანის სიუზერენობას აღიარებდა, მართავდა მცირე ტერიტორიას ანაკოფიასა და კაპოეტის წყალს შორის.

მანუჩარ დადიანის გარდაცვალების (1611წ.) შემდეგ ოდიშის მთავარი გახდა მისი ძე ლევანი, რომელსაც მცირეწლოვნების გამო რეგენტად დაუნიშნეს ბიძა, მანუჩარის ძმა, სალიპარტიანოს ბატონი გიორგი. ლამბერტის სიტყვებით, ლიპარტიანი იყო „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგეობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა“. თავად ლევანი დაახლოებით 1615 წელს ჩაუდგა სათავეში სამთავროს.[810]

ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „1615 წელს, ოსმალეთის მიერ შავიზღვისპირეთის ბლოკადით შევიწროებული სამეგრელო და გურია იძულებულნი გახდნენ მისი მოხარკენი გამხდარიყვნენ, რითაც ისარგებლა შარვაშიძემ და თავი დამოუკიდებელ მთავრად გამოაცხადა.“[811]

აღსანიშნავია, რომ საგარეო სიტუაციის გართულებას დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ვითარების შეცვლა არ გამოუწვევია. XVII საუკუნის II ათწლეულში აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფის დამადასტურებელი საისტორიო წყარო ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლევან II დადიანის მთავრობის დროს (1611-1657წწ.) „სამეგრელოს სამთავრო აღწევს მანამდე არნახულსა და შემდეგში აღარ განმეორებულს ძლიერებას“.[812] ლევან II-ის მმართველობის წლები იყო ის ხანა, როდესაც აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფისა და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბებისთვის ყველაზე ნაკლები პირობები არსებობდა.

ფაქტორი, რომელიც შეიძლება XVII საუკუნის I ნახევარში აფხაზეთის სამთავროს არსებობაზე მიუთითებდეს, არის ევროპელ ავტორთა ნაშრომებში შარვაშიძეების „პრინცეპს“-ად მოხსენიება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შარვაშიძე მთავარი, ხოლო მისი სამფლობელო – სამთავრო იყო, ვინაიდან ლათინური სიტყვა „პრინცეპს“ და იტალიური „პრინჩიპე“ ნიშნავს როგორც ხელმწიფეს, ხელისუფალს, ასევე თავადს, ბელადს და წინამძღოლს. იგივე ევროპელი ავტორები ამავე ტერმინით მოიხსენიებენ არა მარტო არსებით მთავრებს, არამედ წვრილი სამფლობელოების (სენიორიების) მმართველებსაც. მაგალითად, ფრანგი ჟან შარდენის მიხედვით, ლევან დადიანის ბიძა გიორგი იყო „სალიპარტიანოს სუვერენული მთავარი“.[813] იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ლეჩხუმი არის „სვანებით დასახლებული სამთავრო კავკასიის მთებში“.[814] ცნობილია, რომ XVII საუკუნეში არც სალიპარტიანო და არც ლეჩხუმი სამთავროებად არ იყვნენ ფორმირებულნი და არც მათი მფლობელები იყვნენ მთავრები. ამდენად, უცხოელ ავტორთა ცნობებში აღნიშნული აფხაზეთის მმართველთა ტიტულატურით ვერ გაირკვევა, XVII საუკუნის I ნახევარში იყო თუ არა ჩამოყალიბებული აფხაზეთის სამთავრო.

ნიშანდობლივია, რომ იმ დროის საისტორიო წყაროებში დადიანი, შარვაშიძისგან განსხვავებით, ხელმწიფედ და მეფედ მოიხსენიება. 1639 წელს ოდიშში მყოფი რუსეთის ელჩის, ზახარიევის „ანგარიშში“ ლევან დადიანს მეფე (ცარ) ეწოდება, მთავრის ყოფილი მეუღლე „წეთანურია“ კი აფხაზი თავადის (კნიაზ) ქალიშვილად არის მოხსენიებული[815].

ლამბერტი ორივეს - შარვაშიძეს და დადიანს - მთავარს უწოდებს, მაგრამ განმარტავს, რომ ოდიშში „ყველაზე უფროსია მთავარი, რომელსაც ჰქვიან დადიანი. ასე უწოდებენ მის გვარს და არა ღირსებას. მეგრული სიტყვა „ხელმწიფე“ ნიშნავს იმას,

---

810 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ.15; ი. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ., 1990, გვ. 40-47.

811 . . . . . , 1991, გვ. 120.

812 . ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. – შრომები, ტ. VI. თბ., 1988, გვ.36.

813 . ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 233.

814 . იქვე, გვ. 248.

815 . . . , გვ. 358.

რასაც იტალიური „ილ რე“. ეს წოდება კიდეც შეეფერება დადიანის ღირსებას. ამიტომაც, როცა უნდათ მოიხსენიონ მისი ღირსება, ამბობენ: დადიანი ხელმწიფე“.[816] ლამბერტის თანამედროვე ოდიშის მთავარი მართლაც იწოდებოდა როგორც „ხელმწიფე დადიანი პატრონი ლევან, ძე ხელმწიფისა მანუჩარისა“.[817] მსგავსი რამ იმდროინდელ, თუ ადრინდელ შარვაშიძეთა ტიტულატურაში არ ჩანს.

აღსანიშნავია ჯოვანი და ლუკას ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც აფხაზეთის მმართველები მთავრებად იწოდებიან, ხოლო ლევან II დადიანი, მათგან განსხვავებით, მოხსენიებულია როგორც სამეგრელოს დიდი მთავარი.[818]

ჯერ კიდევ XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მეფის მოხელე ერისთავები თან-დათანობით მთავრებად ან თავადებად გადაიქცნენ. სიტყვა ერისთავმაც ახალი შინაარსი შეიძინა. სათავადოების ჩამოყალიბების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი XIV საუკუნის დასასრულიდან, დასავლეთ საქართველოში სამეფო-სამთავროთა საბოლოო ფორმირების პარალელურად და მის შემდეგაც, XVII საუკუნეშიაც მიმდინარეობდა, რაც ქვეყნის ფეოდალური დაშლის შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა.[819] სათავადოს უფროსი მთავრისგან იმით განსხვავდება, რომ თავადი მეფის ყმაა. მას მეფის „ხმობითა“ და „ქვეგანწესებით“ ლაშქრობა-ნადირობა და ზოგ შემთხვევაში მისი „სამსახური და ხარჯი“ მართებდა; მთავარი კი მეფის წინაშე ყოველგვარი ვალდებულებისგან თავისუფალი იყო. მთავრის ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა, თავადს კი სათავადოს უფროსობას სახლიკაცები აძლევენ არჩევის წესით.

თავადი თავისი უფლებრივი მდგომარეობით ერისთავზე მაღლა დგას და მთავარზე დაბლა. თავადი მთავრამდე რომ ამაღლდეს, ამისათვის მან სამეფო ან სამთავრო ვალდებულება მთლიანად უნდა მოიშოროს. იგი სიუზერენის ყოველგვარი დამოკიდებულებისგან უნდა განთავისუფლდეს.[820]

ჰქონდათ თუ არა სამეფო ან სამთავრო ვალდებულებები მთლიანად მოშორებული შარვაშიძეებს XVII საუკუნის I ნახევარში? იყვნენ თუ არა ისინი სიუზერენის ყოველგვარი დამოკიდებულებისგან თავისუფალნი? XVII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ლევან II დადიანი „სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა“ იმერეთის მეფეს ებრძვის,[821] რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აღნიშნული დროისთვისაც აფხაზეთი ჯერ კიდევ არ იყო ოდიშისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ისევე როგორც XVI საუკუნეში, აფხაზები კვლავ ოდიშართა ლაშქარში იბრძვიან დადიანის მტრის წინააღმდეგ.

1626 წლის 4 მაისს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ (ვატიკანის განყოფილება, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამისიონერო საქმიანობას) სპეციალუ-რი დეკრეტით გადაწყვიტა, რომ საქართველოში დაეარსებინა თეათინელთა ორდენის მისიონი. იმავე წლის 16 ივნისს პროპაგანდამ დაამტკიცა საქართველოში გასაგზავნი მისიონერების შემადგენლობა. მისიონის პრეფექტად დაინიშნა დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელსაც რომში ჩაბარდა პაპ ურბან VIII-ის მიერ ხელმოწერილი, 1626 წლის 4 ივლისით დათარიღებული ლათინურ ენაზე შედგენილი სარეკომენდაციო წერილები შემდეგი პირებისთვის: საქართველოს კათალიკოსისა და მიტროპოლიტისთვის, კახეთისა და იმერეთის მეფეებისთვის, გურიისა და ოდიშის მთავრებისთვის.[822] როგორც ვხედავთ, მათ შორის არ ჩანს აფხაზთა მმართველი, რაც ირიბად მიუთითებს, რომ XVII საუკუნის 20-იანი წლების I ნახევარში სამეგრელოს დასავლეთით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, დადიანისგან დამოუკიდებელი რაიმე პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა.

1620წ. ახლო ხანებში ლევან II დაქორწინდა ერთ-ერთი აფხაზი თავადის, სეტემან

---

816 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 9.

817 . კ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII. თბ., 1943, გვ. 157.

818 . ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, გვ. 160; მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., 1902, გვ.146.

819 . ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1966, გვ. 37.

820 . იქვე, გვ. 40.

821 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 826.

822 . ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II. თბ., 1986, გვ. 211.

შარვაშიძის ასულ დარეჯანზე. შარვაშიძესთან დამოყვრებით იგი ზურგს იმაგრებდა ზუფუდან, საიდანაც აფხაზთა და ჯიქთა მნიშვნელოვან სამხედრო ძალას იღებდა.

1622წ. დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანი ხანა დასრულდა. ლევან II-მ დაამარცხა იმერეთის მეფე, რის შემდეგაც მალე გაფუჭდა მისი ურთიერთობა შარვაშიძესთან.

კასტელის თანახმად, შარვაშიძეს დადიანის „დიდი პატივისცემა და რიდი ჰქონდა“, მაგრამ გარკვეულ ძალებს მოუხერხებიათ მათ შორის „კეთილგანწყობილების დარღვევა“ და „სიძულვილის გაღვივება“.[823] ოდიშის მთავარმა, მეუღლის სავარაუდო ღალატის შემდეგ ზუფუში (დღევანდელი ლიხნი) ილაშქრა, დასახიჩრებული მეუღლე იქვე დატოვა და უკანვე გამობრუნდა. დადიანის ლაშქრობა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ შარვაშიძემ მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მთებში გაქცევით უშველა თავს.[824]

XVII საუკუნის 20-იანი წლების II ნახევარში ლევან II დადიანის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომლის მიზანი იყო დადიანის მოკვლა და მის მაგივრად ძმის, იოსების გამთავრება. ლამბერტის მიხედვით, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ იმერეთის მეფე, გურიელი, შარვაშიძე და ის ვეზირი, რომელიც დადიანმა მეუღლესთან მრუშობის ბრალდებით დააპატიმრა, თუმცა, როგორც ჩანს, მისი ავტორიტეტის გამო სიკვდილით ვერ დასაჯა და დაპატიმრებული გურიელს გადასცა.[825]

კასტელის მიხედვითაც, შეთქმულებაში დადიანის ყოფილი ვეზირისა და გურიელის გარდა მონაწილეობას იღებდნენ იმერეთის მეფე გიორგი, აფხაზეთის მთავარი და დადიანის ძმა იოსები. შეთანხმების თანახმად, შეთქმულებს „ცალ-ცალკე უნდა შეედგინათ სამი ჯარი, რომლებიც შემდეგ ერთად შეიყრებოდნენ და გარს შემოერტყმოდნენ დადიანის სამეფოს“.[826] თეათინელი მისიონერების (ლამბერტი, კასტელი) მიერ მოხსენიებული „აფხაზეთის მთავარი“ ლევან დადიანის ყოფილი სიმამრი იყო, რომელსაც ასულის დასჯითა და შემდეგ სამფლობელოს აოხრებით შეურაცხყოფილს შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დიდი საფუძველი ჰქონდა.

შეთქმულება ჩაიშალა. ყოფილი ვეზირის, საკუთარი ძმის და სხვა მოღალატეების დასჯის შემდეგ ლევან დადიანი გურიაში შეიჭრა, დაამარცხა სიმონ გურიელი და გურიის მთავრად დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსი მალაქია II (გურიელი) დასვა. ამიერიდან გურიის სამთავრო დადიანის ხანგრძლივი ჰეგემონიის ქვეშ მოექცა. კათოლიკოსი მალაქია ნომინალურად იყო მთავარი, გურიის პოლიტიკურ გეზს თავისი ინტერესების შესაბამისად ოდიშის მთავარი წარმართავდა.[827]

გურიის საკითხის მოგვარების შემდეგ ლევან II დადიანი შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს, შარვაშიძეს მიუბრუნდა. ლამბერტის ცნობით, „აფხაზები ბუნებითაც მოუსვენარნი არიან და ამის გარდა, დადიანისგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ, რადგან ამან გააგდო ცოლი, მათის მთავრის ქალი. ამის გამო აფხაზები ისე ბრაზმორეულნი იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო თავის ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს. დადიანმა, როგორც კი შინაური საქმეებისაგან მოიცალა, საჩქაროდ გაილაშქრა აფხაზების წინააღმდეგ და მალეც დაამარცხა ისინი. აფხაზებმა მორჩილება განუცხადეს, ხარკი იტვირთეს, მაგრამ, რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად, დადიანმა მათ ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მეძებარი და მიმინო, რომლებითაც აფხაზები ნაქებია“.[828]

ამ ცნობაზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ხარკის ამგვარი სახე განპირობებული იყო აფხაზთა დადიანზე დამოკიდებულების ნომინალური

---

823 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 16.
824 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 43.
825 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 19.
826 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 44.
827 . ი. ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 69.
828 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 22.

ხასიათით“,[829] მაგრამ თეათინელ მისიონერს კარგად აქვს ახსნილი, თუ რატომ იხდიდნენ აფხაზები ხარკის სახით მხოლოდ „მწევარ-მეძებარსა და მიმინოს“.

ლამბერტის ცნობას კიდევ უფრო ავსებს ჯუდიჩეს რელაცია, რომლის თანახმად დადიანმა „დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა იმერეთის მეფე, მთავარი გურიელი, სამეგრელოს მეოთხე ერისთავი და აფხაზეთის ერთი მთავარი“.[830] ავტორი იქვე დასძენს: „ზემოთ ხსენებული სამი მთავარი, რომელთა შორის ერთი იმერელია, მეორე გურული, მესამე აფხაზი, მოვალენი არიან ომის დროს დაეხმარონ ოდიშის მთავარს“,[831] ე. ი. ზემოთ აღნიშნული ხარკის გარდა, შარვაშიძე ვალდებული ყოფილა, სამხედრო სამსახური გაეწია დადიანისთვის. ოდიშის მთავრის მიერ თავისი ხელისუფლების აფხაზეთზე გავრცელებას ადასტურებს კასტელიც: „აფხაზები ცხოვრობენ მკაცრ და მიუვალ მთებში. ამის გამო დადიანს არ შეეძლო ცეცხლითა და მახვილით შესეოდა მთა-გორიან მხარეს და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში მისი მცირე რაზმები აფხაზებს თავს ესხმოდნენ და ზიანს აყენებდნენ. რადგან ამ მთის ხალხმა ბევრი ნაკლოვანება ვეღარ დაითმინა, გადაწყვიტა მძიმე უღლის ქვეშ ყოფნა“.[832]

საინტერესოა იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის ცნობაც: „ლევან დადიანმა, რომელიც დიდხანს მეფობდა იქ, 40 000 აფხაზი მონათლა... და მათ ეპისკოპოსიც დაუნიშნა“.[833] როგორც ვხედავთ, ოდიშის მთავრის ხელისუფლება ვრცელდებოდა აფხაზეთზე, მას ხელეწიფებოდა აფხაზთა მონათვლა და მათთვის ეპისკოპოსის დანიშვნაც.

ლევან II დადიანის მმართველობის ხანაში აფხაზეთი რომ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, მოწმობს კიდევ ერთი უცხოური საისტორიო წყარო. დომინიკელი მისიონერის, ემიდიო დორტელი დ'ასკოლის 1634 წ. დათარიღებული ცნობით, „ჩერქეზეთის ზღვისპირა ქალაქი აბაზა სამეგრელოს საზღვართან მდებარეობს“.[834] ქალაქი აბაზა (სხვა ცნობებით, აბხასი, ავოგაზია) მდებარეობდა მდინარე მზიმთას შესართავთან.

ცნობები XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ოდიშის მთავრის აფხაზეთში გამარჯვებებისა და, შესაბამისად, აქ მისი იურისდიქციის აღდგენის შესახებ დაცულია ქართულ საისტორიო წყაროებშიც. აი, რას აღნიშნავს ლევან II დადიანი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში: „მიუხვედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალს აქეთ ავაოხრეთ. კიდევე მიუხვედით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქეთ სრულებით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავხოცეთ და ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებულები მოვედით“.[835]

აფხაზეთის საერისთავოს სამეგრელოს შემადგენლობაში ყოფნის ფაქტი დადასტურებულია მოსკოვში თეიმურაზ I-ის ელჩის, მიტროპოლიტ ნიკიფორეს ცნობაში სამეგრელოს საზღვრების შესახებ, რომელიც მან 1636 წ. 24 ივლისს რუსეთის საგარეო უწყებას (საელჩო პრიკაზს) მიაწოდა. მიტროპოლიტის ინფორმაციით, სამეგრელო ერთი მხრით ესაზღვრება შავ ზღვას, მეორე მხრით – თურქეთს, მესამე მხრით - ყიზილბაშთა ტერიტორიას, მეოთხე მხრით – მთიელ ჩერქეზებს.[836] მეზობლებს შორის ნიკიფორე აფხაზეთს და აფხაზებს არ ახსენებდა, ვინაიდან მათ სამეგრელოს შემადგენლობაში გულისხმობდა.

ლევან II დადიანი თავის წერილებში რუსეთის ხელმწიფისადმი (1636 და 1640 წწ.) ხაზს უსვამდა, რომ მისი სამთავრო – სამეგრელო, რომელიც აფხაზეთსაც მოიცავდა, არის ივერიის ერთ-ერთი ქვეყანა, ანუ საქართველოს ნაწილი.[837]

1643 წელს ლევან II დადიანი რომის პაპს, ურბან VIII-ს სწერდა, რომ უზენაესი

---

829 . . . , გვ. 265.

830 . ჯუდიჩე ჯუზეპე. წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბ., 1964, გვ. 81.

831 . იქვე, გვ. 86.

832 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 51.

833 . . . , . I, გვ. 28.

834 . . , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

835 . კ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 157.

836 . . . ..., გვ. 267.

837 . იქვე, გვ. 272, 296-301.

ღმრთის შემწეობით დაიმორჩილა აფხაზეთი, იმერეთი და გურია.[838]

1649 წელს რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში იმერეთის მეფე ალექსანდრე III ჩივის: „დადიანი ადრე ჩემი მონა იყო და ხარკს მიხდიდა, შემდეგ გადამიდგა და სულთანს დაუკავშირდა. კრებს თავის მეომრებს და აფხაზ-ჯიქებთან ერთად ყოველ წელს თავს გვესხმის“.[839] ამ წერილშიაც ჩანს, რომ აფხაზები XVII საუკუნის 40-იან წლებშიც ულაშქრებდნენ ოდიშის მთავარს.

ფეშანგის სიტყვებით, ლევან II დადიანს „აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმევლად, ზაფხულ ზუფუს მივიდოდის, იგი იყუის ხანდაზმულად“.[840] ვახუშტის მიხედვითაც, „დადიანმან ლევან განიწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი ვიდრე დაპყრობამდე“.[841]

საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ბერი ეგნატაშვილის ზემოთ მოყვანილი ცნობები. თუ საქართველოს მონარქიის დაშლისას „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“,[842] XVII საუკუნეში, 50-იანი წლების მიწურულამდე „იყო დადიანი მდიდარ ფრიად და მორჩილობდნენ სრულიად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდნენ და ულაშქრებდნენ დადიანსა“.[843]

ამრიგად, საისტორიო წყაროებში კარგად ჩანს, რომ დადიანი არის შარვაშიძის სიუზერენი. ეს უკანასკნელი გარკვეული ფორმით ვალდებულია ოდიშის მთავრის წინაშე, უხდის ხარკს და მოვალეა, ომის შემთხვევაში სამხედრო სამსახური გაუწიოს დადიანს. არსებითად, XVII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე აფხაზეთში სამთავრო ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, შარვაშიძე უფლებრივი მდგომარეობით ვერ ამაღლდა მთავრამდე, ის არ წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ ფიგურას, როგორიც იყო დადიანი, ან კიდევ გურიელი. შეიძლება ითქვას, რომ თავისი უფლებრივი მდგომარეობით შარვაშიძე ჯერ კიდევ თავადის დონეზე იდგა. გარდა ამისა, აფხაზეთი ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წამოადგენდა და რამდენიმე სამფლობელოდ იყო დაყოფილი, რაც კარგად ჩანს XVII საუკუნის ავტორთა, ჯოვანი და ლუკას, ევლია ჩელების, პავლე ალეპოელის, კასტელის და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, კასტელის ცნობით აფხაზეთს ერთდროულად არა ერთი, არამედ სამი „მთავარი“, ძმები ბესლაკო, სოლომონ და სეტემან შარვაშიძეები მართავდნენ, თუმცა ამათგან ბესლაკო ასაკითაც და პატივითაც უფროსი ყოფილა.[844]

გვიან შუა საუკუნეებში, ქართული სამეფო-სამთავროების შიგნით სენიორიების გაძლიერების პირობებში, შარვაშიძეც იბრძვის სიუზერენის დამოკიდებულებისგან განთავისუფლებისათვის. ეს პროცესი XVII საუკუნის I ნახევარშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ოდიშის ძლიერმა ხელისუფალმა, ლევან II დადიანმა შეძლო თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა შარვაშიძე. ლევან II დადიანის დიდი თუ მცირე ლაშქრობები აფხაზეთში მიზნად ისახავდა ოდიშის სამთავროს მთლიანობის განმტკიცებას, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი მთიელი ტომების თარეშის აღკვეთას და, რაც მთავარია, აფხაზეთის მტკიცედ დაჭერით დადიანი კეტავდა იმ ერთ-ერთ გზას, რომლითაც ოსმალეთი გაბატონებას ცდილობდა არა მარტო ოდიშში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში.

1615 წელს ოდიშის სამთავრო ოსმალეთის მორჩილი პოლიტიკური ერთეული გახდა. XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ის კვლავ ოსმალეთის ვასალია, მაგრამ დამოუკიდებლად უჭირავს თავი და რიგ შემთხვევებში ანტიოსმალურ აქციებშიც მონაწილეობს. 1640 წელს ლევან დადიანმა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ჯარით აიღო და დაანგრია ფოთის ციხე, რომელიც ოსმალებს ეკავათ. ამის შემდეგ, გურია-სამეგრელო-აფხაზეთში ოსმალური გარნიზონი არსად იდგა.[845]

---

838 . მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბ., 1995, გვ. 611.

839 . ი. ცინცაძე. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (1650-1652წწ.). თბ., 1970, გვ. 157.

840 . ფეშანგი. შაჰნავაზიანი. გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, ტ. I. თბ., 1935, გვ. 84.

841 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 828.

842 . ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 349.

843 . იქვე, გვ. 421.

844 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 192, 194.

845 . . . . ., 1989, გვ. 61.

ოდიშის სამთავროს გაძლიერებას საგარეო ვითარებამაც შეუწყო ხელი. XVII საუკუნის I ნახევარში ოსმალეთმა არაერთი ომი გადაიტანა სპარსეთთან, რომელმაც მცირე ინტერვალებით 1639 წლამდე გასტანა. ირანი ყოველმხრივ ცდილობდა შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია და მასში ჩაერთო დასავლეთ ევროპა, პოლონეთი, კაზაკობა და ოდიში. XVII საუკუნის 20-იან წლებიდან გახშირდა კაზაკთა თავდასხმები ოსმალეთის შავიზღვისპირა ქალაქებზე. ოსმალეთს გართულებული ჰქონდა ურთიერთობა პოლონეთთან და დასავლეთ ევროპასთან. თვით იმპერიის შიგნითაც არ იყო საქმე დაწყობილი. 1622-1623 წლებში აჯანყებულმა იანიჩარებმა ორი სულთანი ჩამოაგდეს ტახტიდან. 1622 წელს დაიწყო აბაზა ფაშას დიდი აჯანყება, რომელმაც თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია ტერიტორია არზრუმიდან ბოსფორამდე, რითაც სტამბოლსა და საქართველოს შორის დიდი ზღუდე შეიქმნა. 1631-1632 წლებში კვლავ იანიჩართა აჯანყებებია.[846]

ცხადია, ამგვარ პირობებში სულთანს არ შეეძლო, აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა ურჩი დადიანის წინააღმდეგ. 1637 წელს, მას შემდეგ რაც დადიანმა უარი თქვა სულთნის ბრძანების შესრულებაზე, რომ ერთობლივად ებრძოლათ კაზაკთა წინააღმდეგ, ოსმალებმა საზღვაო დესანტი გადმოსხეს კოდორის შესართავთან და სასტიკად დაარბიეს დრანდის მონასტერი და მისი შემოგარენი. თანაც ოსმალებმა დრანდაში ლაშქრობა მაშინ მოაწყვეს, როცა დადიანი იმერეთის მეფესთან ბრძოლით იყო დაკავებული.[847] მეტი ღონისძიება სულთანმა ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ ვერ ჩაატარა, მაგრამ ყოველნაირად უწყობდა ხელს დადიანის მოწინააღმდეგე ძალებს დასავლეთ საქართველოში. თავისი მიზნების მისაღწევად ოსმალეთი კარგად იყენებდა აფხაზ ფეოდალებს და მით უფრო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ტომებს, რომლებშიაც მისი გავლენა დიდი იყო.

გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთკავკასიელი და ადგილობრივი მთიელების შემოსევებისაგან თავდასაცავად დადიანებმა საგანგებოდ გაამაგრეს ოდიშის ჩრდილოეთი საზღვრები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კოდორის ხეობიდან კოლხეთის დაბლობზე გადმოსასვლელების დაცვას.[848] სწორედ აქ აღმართული კედელი აქვთ აღნიშნული ლამბერტის და კასტელის კოლხეთის რუკებზე.

აღნიშნულ საფორტიფიკაციო სისტემას ლამბერტის მიერ შედგენილ კოლხეთის რუკაზე აწერია: „სამოცი ათასი ნაბიჯის (სიგრძისა), აბაზგთა თავდასხმების მოსაგერიებლად“.[849] იმავე ზღუდეს კასტელის მიერ შედგენილ კოლხეთის რუკაზე შემ-დეგი წარწერა აქვს: „აბაზთა შემოსევების საწინააღმდეგოდ აგებული სამოცი მილის სიგრძის კედელი“[850] (იხ. აქვე, რუკა №13).

XVII საუკუნეში ოდიშის სამთავროში მოქმედი საფორტიფიკაციო სისტემის შესახებ არქანჯელო ლამბერტი წერდა: “კოლხიდა ბუნებით დაცულია მტრებისაგან, როგორც ზღვით, ისე მთებით, ხოლო რაც ბუნებას დაჰკლებია, ის მთავრების მეცადინეობას და მოხერხებულობას დაუსრულებია. ზღვის მხრით ზოგან არც ტყე არის და არც ჭაობი და იქიდან მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც, რადგანაც ერთ ადგილს, რომელსაც ოლუშე ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფით შეიარაღებული მცველები. რომ ამ კოშკებს დარაჯი არასოდეს მოაკლდეს, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებს და დიდებულებს თავის შორის მორიგეობა გაუნაწილებიათ, თვეობით, ისე რომ თვითეული თითო თვეს იცავს ამ ადგილს თავისი კაცებით”.[851]

კედელი რომ ლევან II დადიანის გამთავრებამდეც (1611 წლამდე) გაცილებით ადრე

---

[846] . ი. ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 88.

[847] . . . , გვ. 324.

[848] . თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV. თბ., 1971; კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 35.

[849] . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იხ. რუკა.

[850] . ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II. იხ. კასტელის რუკა.

[851] . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 166.

შენდებოდა, მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ლამბერტის სიტყვები: კოლხეთისთვის რაც ბუნებას დაუკლია, ის მთავრების მეცადინეობას და მოხერხებას დაუსრულებია. როგორც ვხედავთ, წინა საუკუნეშიც კედლის მშენებლობაში სამეგრელოს არაერთ მთავარს მიუღია მონაწილეობა.

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა – „ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმად არს“.[852] ვახუშტის ცნობას იმეორებს ნიკო დადიანი და აკონკრეტებს, რომ ეს კედელი ააშენა „ლეონ დადიანმან მანუჩარის ძემან“[853].

როგორც ზემოთ ვნახეთ, მთელი რიგი ქართული და უცხოური წყაროები ნათლად მიუთითებენ, რომ სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის, ისევე როგორც მისი წინამორბედი მთავრების დროს, აფხაზეთი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო მოქცეული. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს კასტელის ალბომში შემონახული დავით ჩიჯავაძის სურათი. თეათინელ მისიონერს ის მოხსენიებული ჰყავს, როგორც ანაკოფიის ციხისა და ნავსაყუდარის მფლობელი.[854] უეჭველია, დავით ჩიჯავაძე ლევან II დადიანის მიერ იყო დანიშნული ანაკოფიის ციხისთავად და მას ამ მხარის მმართველობა ჰქონდა ჩაბარებული.

1657 წელს ლევან დადიანი გარდაიცვალა, რის შემდეგაც დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა სამთავრო ტახტის დასაკავებლად. ოდიშის მთავარი იმერეთის მეფის ალექსანდრე III დახმარებით (მან ოდიშში გაილაშქრა) გახდა ლევანის ბიძაშვილი ვამეყ III ლიპარტიანი (1658-1661წწ.). ოდიშის ტახტზე პრეტენზიები ჰქონდა ლევანის ძმისწულსაც ლიპარიტ დადიანსაც. 1658 წელს, ვამეყმა ასევე იმერეთის მეფის დახმარებით ბანძის ბრძოლაში (1658წ.) დაამარცხა მეტოქე და ტახტი შეინარჩუნა. აფხაზები სოლომონ შარვაშიძის ხელმძღვანელობით მაშინ ვამეყის ლაშქარში იბრძოდნენ.[855] ამ მოვლენის აღსანიშნავად გამარჯვებულებმა ბიჭვინთის სახარება მოაჭედინეს. ბანძის ბრძოლის შესახებ ცნობა დაცულია ბიჭვინთის სახარების მინაწერში: „დიდო ბიჭვინტის ღმრთის მშობელო, თქვენ შეავედრეთ და შეწევნითა თქვენითა მეფესა და დადიანს წინ გავიმარჯვეთ გურიელზე და ლიპარი დადიაზედა და ამისთვინ მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება... ჩვენ შარვაშიძემან სოლომონ და ძემან ჩვენმან აზრაყან თქვენდა სადიდებლად და ჩვენდა სადღეგრძელოდ და აზრაყანისა აღსაზრდელად და მას საუკუნოსა ჩვენისა სულის სახსრად და საოხად.“[856]

1659 წელს ვამეყ ლიპარტიანი გურიაში ლაშქრობს და ამ ბრძოლაშიც აფხაზები მის ჯარში იბრძვიან, ე.ი. აფხაზეთი ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია.

1661წ. იმერეთის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675წწ.) ჩაერთო. მან ჯერ ქუთაისი დაიკავა, შემდეგ ოდიშში გადავიდა. სვანეთში გაქცეული ვამეყ III-ს ნაცვლად ტახტზე ლევან II დადიანის ძმისწული ლევან III აიყვანა და მას ცოლად საკუთარი ძმისწული თამარი შერთო. ვახტანგ V-ს ზუგდიდში შარვაშიძე ეახლა. „მოვიდა ზუგდიდს და მუნ მოერთო შარვაშიძე ძღუნითა დიდითა და აფხაზითა“[857], - წერდა ვახუშტი. ამით აფხაზეთის ერისთავმა და აფხაზობამ ქართლის მეფის უზენაესობა აღიარეს. მეფემ აფხაზეთი ისევ ოდიშის მთავარს დაუმორჩილა.[858] მისი ვაჟის – არჩილის იმერეთში გამეფება საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ეს გეგმა თურქეთის ზეწოლით ჩაიშალა. ამ ფაქტიდებიდანაც ცხადია, რომ აფხაზეთი მაშინაც სამეგრელოსა და მთლიანად ქართული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა.

---

[852] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 782.

[853] . ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 151.

[854] . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 82. კასტელის, ვახუშტი ბატონიშვილის და ნიკო დადიანის ცნობებზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საფორტიფიკაციო სისტემა კოდორის ქედის გარდა არსებობდა ანაკოფიაშიც. აქ მდებარე ციხესიმაგრისა და კედლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო არა მარტო მთიელთა თავდასხმების მოგერიება, არამედ ოდიშის მთავრის ხელისუფლების განმტკიცება ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთის საერისთავოზე (კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 27-36).

[855] . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. თბ., 1996, გვ. 100.

[856] . ხელნაწერთა აღწერილობა. კოლექცია, ტ. V. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ. თბ.,1949, გვ. 74.

[857] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 836.

[858] . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. გვ. 104

აფხაზეთის ამგვარი დამოკიდებულება ოდიშისადმი შემდგომში დიდხანს არ გაგრძელებულა. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინაომებით და ოდიშის მთავრის ხელისუფლების დასუსტებით კარგად ისარგებლეს აფხაზმა თავადებმა და ბაგრატ (საუსტან) შარვაშიძის ხელმძღვანელობით XVII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან ლაშქრობებს აწყობენ სამეგრელოს არა მარტო განაპირა, არამედ შიდა მხარეშიც.[859]

1672 წელს ოდიშში ახალციხის ფაშის მეთაურობით ოსმალთა ჯარი შემოიჭრა, რომლის მიზანი იყო ტახტზე სულთნის საიმედო პირის დასმა. მთავარი იძულებული გახდა რუხის ციხეში ჩაკეტილიყო. მან დახმარებისთვის აფხაზებს მიმართა, მაგრამ აფხაზებმა დახმარების ნაცვლად სამეგრელო დაარბიეს და უკან გაბრუნდნენ.[860]

1678წ. აფხაზებმა მორიგი ლაშქრობა მოაწყვეს. ამ ამბების თვითმხილველ პატრიარქ დოსითეოსის სიტყვებით, „აფხაზებმა დაარბიეს მოქვი, ზუგდიდი, ცაიში, ხობი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე. დადიანს ძალა არ შესწევდა მათ გასარეკად“.[861]

ოდიშში მოღვაწე თეათინელი მისიონერი მარი ძამპი XVII ს. 70-იანი წლების დასაწყისში აღნიშნავდა: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია“. ძამპისვე ცნობით, სამეგრელოს აფხაზებთან ერთად ჯიქები, ალანები და ჩერქეზები არბევდნენ.[862] აფხაზთა მოთარეშე რაზმები გურიამდეც აღწევდნენ, მაგრამ გურიელმა „მოსრნა მეკობრედ მოსულნი აფხაზნი მრავალგზის“.[863]

1681 წელს ლევან III დადიანი გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე მანუჩარი გურიელს ჰყავდა მძევლად. ოდიშში გაბატონების მიზნით გურიელმა მანუჩარი მოკლა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა სორეხ (სავარეხ) საუსტანის ძე შარვაშიძემ და თავი ოდიშის მთავრად გამოაცხადა. 1683 წელს ლიპარტიანის დახმარებით ოდიშის მთავარი გახდა ლევან IV (1683-1691წწ.). ფაქტობრივად ოდიშის სამთავრო ორად იქნა გაყოფილი: ენგურის აღმოსავლეთ ნაწილს დადიანი განაგებდა, ხოლო დასავლეთს – სორეხ შარ-ვაშიძე. ამის შემდეგ სორეხ შარვაშიძემ რამდენჯერმე სცადა მთელ სამეგრელოზე გაევრცელებინა თავისი ხელისუფლება, მაგრამ უშედეგოდ, სამაგიეროდ მტკიცედ დამკვიდრდა ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში. ნიშანდობლივია, რომ იტალიელი მისიონერები მას არა აფხაზეთის, არამედ სამეგრელოს მთავარს უწოდებენ.[864]

სამეგრელოში სორეხის გამთავრების მიუხედავად, აფხაზთა მაოხარი ლაშქრობები არ შეწყვეტილა. მათ მიზანს უკვე წარმოადგენდა როგორც ნადავლის ხელში ჩაგდება, ისე ენგურს დასავლეთით მდებარე სამეგრელოს მიწების აფხაზეთთან მიერთება და იქ მთიელთა ჩასახლება. 1685 წელს აფხაზები სორეხ შარვაშიძის სამფლობელოში შეიჭრნენ და სამეგრელოს ეს ნაწილი კვლავ ააოხრეს.[865] შესაძლოა, ამ ლაშქრობის შედეგად, ან სორეხ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, ზეგნაყ შარვაშიძემ ენგურს დასავლეთით მდებარე ოდიშის მიწა-წყალი უშუალოდ აფხაზეთს შეუერთა.

1689 წელს, იმერეთის სამეფო ტახტის გარშემო ატეხილი ბრძოლების ჟამს, აფხაზეთში შაჰნავაზის ძე არჩილი ჩავიდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მიეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იმყოფებოდა ზუფუს ჟამრაოდენმე“.[866] ეს ფაქტი ადასტურებს, რომ შარვაშიძე, მიუხედავად სამეგრელოს დაქვემდებარებიდან გამოსვლისა, იმერეთის მეფის უზენაესობას აღიარებდა.

ზეგნაყ შარვაშიძე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას განაგებდა მდინარე ბზიფს, კავკასიონსა და ენგურის ქვემო წელს შორის, თუმცა აფხაზეთს ამ საზღვრებში

---

[859] . იქვე, გვ. 110.

[860] . ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 207, 248.

[861] . . . , . I. გვ. 46.

[862] . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 204, 207.

[863] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 840.

[864] . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 208.

[865] . თ. ბერაძე. ოდიში XVII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. - სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 219.

[866] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 851.

დიდხანს არ უარსებია. დაახლოებით XVII საუკუნის 90-იან წლებში, ზეგნაყის გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელო შვილებმა გაინაწილეს. უფროსს – როსტომს ერგო ტერიტორია მდინარეებს ბზიფსა და კოდორს შორის. შუათანას – ჯიქეშიას – მდინარეებს კოდორსა და ღალიძგას შორის. ამ სათავადოს შემდეგში აფსუები აბჟუას უწოდებდნენ. უმცროს ძეს, ყვაპუს წილად ხვდა მიწა-წყალი მდინარე ღალიძგასა და მდინარე ენგურის ქვემო წელს შორის, მერმინდელი სამურზაყანო.[867]

ამრიგად, XVII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებამდე აფხაზეთი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდა. შარვაშიძეები და სხვა აფხაზი თავადები დამოკიდებულნი იყვნენ დადიანზე, რაც სხვადასხვა სახის ვალდებულებებში გამოიხატებოდა, კერძოდ, იხდიდნენ სადადიანო გადასახადს და ომის შემთხვევაში „ულაშქრებდნენ“ მას. XVII საუკუნის 70-იან წლებამდე შარვაშიძის ბრძოლა ოდიშის მთავრის წინააღმდეგ წარმოადგენდა ბრძოლას სიუზერენის (დადიანის) წინააღმდეგ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ მხრივ ის ძირეულად განსხვავდებოდა დადიანსა და გურიელს შორის დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისთვის წარმოებული ბრძოლებისგან.

აფხაზეთის ოდიშისაგან ფაქტობრივი გამოყოფა და მისი ცალკე სამთავროდ თუ სათავადოდ ჩამოყალიბება XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დასრულდა, როდესაც მან მოიშორა სამთავრო ვალდებულებები და სიუზერენის ყოველგვარი დამოკიდებულებისგან გათავისუფლდა. ამიერიდან შარვაშიძე უშუალოდ, თუმცა ნომინალურად ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოდიშიდან გამოყოფისა და სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცების მიუხედავად, აფხაზეთი არ წარმოადგენდა ისეთსავე მყარ პოლიტიკურ ერთეულს, როგორიც მისი მეზობელი ოდიშის (ან გურიის) სამთავრო იყო. ის იმთავითვე დაიშალა ცალკეულ სათავადოებად. აფხაზი მთავრის (ზუფუელი შარვაშიძის) ხელისუფლება მხოლოდ მდინარეებს ბზიფსა და კოდორს შორის მდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. აბჟუელი თავადი შარვაშიძე მას მხოლოდ ნომინალურად, ან საერთოდ არ ემორჩილებოდა. რაც შეეხება აბჟუის აღმოსავლეთით მდებარე მხარეს, 1702 წელს ოდიშის მთავარმა შეძლო ენგურიდან ღალიძგამდე მდებარე მიწების დაბრუნება, თუმცა ამ კუთხის მმართველად კვლავ შარვაშიძეთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი რჩებოდა, რომელიც დადიანს ექვემდებარებოდა.

2. ეთნიკური პროცესები

გვიან შუა საუკუნეებში მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობა. დაცარიელებულ ბარის რეგიონებში მთიელები სახლდებოდნენ. მოსახლეობა შემცირებულ და დაცარიელებულ მთის კალთებს კი კავკასიონის ჩრდილოეთიდან გადმოსული მთიელები იკავებდნენ. ასე ჩამოყალიბდა კახეთში ჭარ-ბელაქნისა და თალას ე.წ. ლეკური უბატონო თემები, ასევე შიდა ქართლის მთიანეთში, მთისწინეთსა და ბარშიც ოსთა კომპაქტური მოსახლეობა.[868] ამგვარი ვითარება იქმნება ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს სხვა რაიონებშიც, სადაც ჩრდილო-კავკასიური - ჯიქურ-აბაზური თემები მკვიდრდებიან.

XVIIს-ში და, საერთოდ, გვიან შუა საუკუნეებში, ჯიქებს არ გააჩნდათ რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და ცალკეულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მთიელ და ზღვისპირა თემებად დაყოფილნი ცხოვრობდნენ. ევლია ჩელების ნაშრომში ფიქსირებულია მთიელი ჯიქური თემების სახელები: იაიხარშ, მაჯარ, ჩმაკურს, ალაკარიშ, ბაღრს, ვაი ფიღა, მქლიე, ბსლბ, ახჩფსი, ფუშრხი.[869] სამწუხაროდ, ამ თემების ადგილმდებარეობის განსაზღვრა ძნელდება. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ახჩფსის თემი არის იგივე აჰჭიფსოუ, რომელიც მდინარე მზიმთას სათავეებში ცხოვრობდა, ხოლო ბსლბ აბაზური ბაშილბაის თემი უნდა იყოს.

---

867 . თ. ჭიჭინაძე. „ბედიის ხელნაწერი“. – კვალი, 1897, 11 მაისი, №20.
868 . მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 20.
869 . ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნ. I, გვ. 106.

ჯიქეთის ზღვისპირა თემებიდან ევლია ჩელების მოხსენიებული ჰყავს: კუთასი, სოუკსუ, აშღილი, უსუვიში, ბუზუდუკი, ჯმბა, სოჩა, კამშ, ართ, გეჩ, დიდი ჩანდები, მთის ჩანდები.[870] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჯიქეთ-ჩერქეზეთის თემები და ტომები ძირითადად იმ მდინარის სახელის მიხედვით იწოდებოდნენ, რომლის ნაპირებზეც მოსახლეობდნენ, ან იმ ადგილის სახელის მიხედვით იწოდებოდნენ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, შედარებით ადვილდება ევლიასეული ზღვისპირა ჯიქური თემების ადგილმდებარეობის განსაზღვრაც. ასე, მაგალითად: შეიძლება ითქვას, რომ კუთასის თემი კოდოშის კონცხსა და მის მიდამოებში მოსახლეობდა, უსუვიშის (სუბაშის) თემს მდინარე სუბაშის ანუ შახეს ხეობა ეკავა. შესაბამისად, სოუკსუსა და აშღილის თემები კოდოშის კონცხსა და მდინარე შახეს შუა არის საძიებელი. სოჩის თემს, როგორც თვით სახელწოდება მიუთითებს, მდინარე სოჭის ხეობა ეკავა. უსუვიშისა და სოჩას თემებს შორის მოხსენიებული ბჟედუღები უფრო მდ.შახესთან ახლოს ცხოვრობდნენ, ხოლო ჯმბა – მდინარე სოჭისგან დასავლეთით. კამშის თემს მდინარე ხამიშის ხეობა ეკავა, ართებს – მდინარე მზიმთას ქვემო წელი, ხოლო გეჩებს – მდინარე ფსოუს ქვედა ნაწილის ველი, რომელსაც მოგვიანებით გეჩრიფში ერქვა. გეჩებისგან აღმოსავლეთით გაგრის ქედზე და მის მიმდებარე მხარეებში დიდი ჩანდები, ანუ ცანდები და მთის ჩანდები ცხოვრობდნენ. თვით გაგრა მთის ჩანდებს ეკუთვნოდათ. გაგრის ქედის გადმოღმა აფხაზი ფეოდალების სამფლობელოები იწყებოდა.

გვიან შუა საუკუნეებში ადიღურ–უბიხური ტომების მიერ შევიწროვებულ ჯიქთა და აგრეთვე აბაზთა ნაწილის აფხაზეთში დამკვიდრების შედეგად ამ კუთხეების ეთნიკურ-სოციალური და კულტურული იერ-სახე არსებითად შეიცვალა.

აფხაზთა ყოფა-ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა არქანჯელო ლამბერტი: „ამათი მშვენიერი და საუცხოვო ქვეყანა სულ დაყოფილია ნაყოფიერი გორაკებით. რადგან ჰაერი მრთელი და მშრალია, ხალხიც არის მშვენიერი სისხლისა, ლამაზი სახისა და თეთრი ხორცისა, კარგად მოყვანილი, ღონიერი, მკვირცხლი და მარდი... აფხაზებს ბევრი ჯოგი ჰყავთ, მათი ყოველდღიური საჭმელია: ყველი, რძე და გარეული ნადირი. თევზს არა სჭამენ, თუმცა შეეძლოთ ბევრი დაეჭირათ მდინარეებშიც და ზღვაშიც. კიბო საშინლად ეზიზღებათ, როგორც გველი და დასცინიან მეგრელებს, რომელთაც ძალიან უყვართ კიბო.

აფხაზები ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა, გარეშე ხალხი კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და სძარცვავენ ერთმანეთს. ხოლო ართმევენ ერთმანეთს სახლის ავეჯს კი არა, რადგან აფხაზს ასეთი ავეჯი არც კი გააჩნია, არამედ კაცებს, ქალებს და ბიჭებს. ამისათვის ჩვეულებრივ ღამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახელებენ, დაიჭერენ და წაიყვანებენ.

აფხაზებს აქვთ ერთი შესანიშნავი ჩვეულება, რომელიც სხვაგან არ მოიპოვება, სახელდობრ ის, რომ მიცვალებულს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგის წესით. გამოღარავენ ხის ღერს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარი ღეროებით ჩამოჰკიდებენ ხის წვერზე. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა."[871]

ლამბერტის და XVII საუკუნის სხვა უცხოელ ავტორთა (ჯოვანი და ლუკა, კასტელი, ევლია ჩელები...) ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს ყოფით, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, – ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნეში საკუთრივ აფხაზეთის მოსახლეობა მართლაც ახალ ჩამოსული კავკასიელი მთიელები არიან. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ზღვისპირეთი და მთიელთა წესებით ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა, ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებად

870 . იქვე, გვ. 105-106.

871 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 168.

განსახლებულნი ცხოვრობდნენ. თუ მათ მიწის საკუთრება ჰქონდათ, ის უთუოდ ამ ინსტიტუტის დასაწყისი სტადია შეიძლება იყოს, რამდენადაც აფხაზები უმთავრესად მეჯოგეობას მისდევდნენ და არა მიწათმოქმედებას.[872]

ამრიგად, XVII საუკუნის აფხაზები თავისთავადი ხალხია, პრიმიტიული ყოფით და წარმართული რელიგიით. და ეს მაშინ, როდესაც ადრეულ შუა საუკუნეებში აფხაზეთი იყო ეკონომიკურად განვითარებული და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა დასავლეთ კავკასიაში ვრცელდებოდა.

გვიან შუა საუკუნეებში მთიელი ტომები რამდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. XVI საუკუნეში, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები, ეს პროცესი საკმაოდ შორს არის წასული, რისი აშკარა მოწმობაა დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო ტახტის გადატანა ბიჭვინთიდან გელათში. XVII საუკუნეში მთიელთა მორიგი ნაკადის ჩამოსვლამ კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა. იმავე საუკუნის I ნახევარში, როდესაც დასავლეთ საქართველოს კავკასიურ ტომთა ახალი ნაკადი აწვება, ქართულ ხელისუფლებას ჯერ კიდევ შესწევს უნარი, წინ აღუდგეს და „აღმოფხვრას“ ისინი. სწორედ ამიტომ არის, რომ ფეშანგი ლევან II დადიანს ახასიათებს, როგორც „ჯიქისა და ალანისა დაუდგომლად სისხლთა მღვრელად“.[873]

ლამბერტის ცნობით, XVII საუკუნის I ნახევარში აფხაზები კოდორს გადაღმა ცხოვრობდნენ „თავისი განსაკუთრებული ენით“.[874] თუმცა თეათინელი მისიონერის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა იმის საშუალებას მაინც არ იძლევა, რომ XVII საუკუნის I ნახევარში მდინარე კოდორის დასავლეთით ერთგვაროვანი, აფხაზური მოსახლეობა ვიგულისხმოთ. ლამბერტის თანამედროვე მრავალი უცხოელი ავტორის ცნობებში ჩანს, რომ აღნიშნული დროისათვის თანამედროვე გულრიფშის რაიონში და მის ჩრდილო-დასავლეთით მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ ქართველები შეადგენ-დნენ.

კასტელიმ, რომელმაც 1634-1639 წლებს შორის იმოგზაურა აფხაზეთში, იქ რამდენიმე გვარი ჩაიწერა. ესენია: შარაშია, აჩაბაია, ჩიჯავაძე, კასაია, გიმეტია.[875] როგორც ვხედავთ, ყველა ჩამოთვლილი გვარი დასავლურ-ქართულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კასტელის აფხაზ დიდებულთა გვარები შარვაშიძე და ანჩაბაძე მაინცდამაინც მეგრული ფორმით (შარაშია, აჩაბაია) აქვს მოხსენიებული. კასტელის ალბომში ფიქსირებული რამდენიმე გვარი XVII საუკუნის I ნახევრის საკუთრივ აფხაზეთის ეთნიკურ ვითარებაზე სრულ წარმოდგენას, რა თქმა უნდა, ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ეს ფაქტი ამ მხარეში ქართველების მოსახლეობას ნამდვილად ადასტურებს.

კოდორის დასავლეთით ქართველთა მოსახლეობა დასტურდება ჯოვანი და ლუკას ცნობებითაც. დომინიკელ მისიონერს სამეგრელოს საზღვართან, ქალაქ სკისორნუმში, რომელიც მდებარეობდა სოხუმის მიდამოებში, ადგილობრივი თავადი პუტო ამცნობს --- „თუმცა ქართველები ჩემი მეზობლები არიან, მაგრამ მე მათთან თანხმობა არა მაქვს“-ო.[876]

ევლია ჩელების მიხედვით, სამეგრელოს ზღვისპირეთში აბაზური თემებიდან ჩაჩები ესაზღვრებდნენ, რომლებიც მეგრულადაც ლაპარაკობდნენ.[877] ოსმალო მოგზაურის ცნობებით ვერ ირკვევა, თუ სად ემიჯნებოდა ჩაჩების მიწა სამეგრელოს; ცხადია მხოლოდ, რომ მათ მიწაზე მდებარეობდა ნავსადგური ლაკბა. ბრუნის მოსაზრებით, ამ ნავსადგურს ლაკია ეწოდებოდა და მდებარეობდა ბომბორის ყურეში, რომელსაც აფხაზები XIX საუკუნეშიც ლიხინს უწოდებდნენ.[878] ევლიასეული „ჩაჩი“ მოსახლეობის ის ნაწილი იყო, რომელსაც შარვაშიძე (ჩაჩბა) ედგა სათავეში. ევლია ჩელების ცნობა ჩაჩების ორენოვნების შესახებ იმ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ საშარვაშიძეოში აფხაზებთან ერთად მეგრელებიც მოსახლეობდნენ, რაც დასტურდება კიდეც კასტელის მონაცემებით.

---

872 . ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. თბ., 1990. გვ. 614.
873 . ფეშანგი. შაჰნავაზიანი, გვ. 84.
874 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ.176.
875 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 80, 82, 134, 136, 171, 178.
876 . ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, გვ. 158.
877 . ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნ. I, გვ. 100.
878 . . . . – . , 1875, გვ. 13.

XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში მეტად მწირია ცნობები აფხაზეთის აღმოსავლეთ მთიანეთის ეთნიკური სურათის შესახებ. თეათინელი მისიონერების კოლხეთის რუკების (აქვე, რუკა №13) მიხედვით, კოდორის ქედზე მდებარე კედლის წარწერა (რომ ის აბაზათა საწინააღმდეგოდ არის აგებული) სრულებით არ გამორიცხავს XVII ს. I ნახევარში კოდორის ხეობაში შერეული ქართულ-აფხაზური მოსახლეობის არსებობას, ვინაიდან ეს კედელი აშენებული იყო არა აქაური თემების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი ტომებისგან თავდაცვის მიზნით.

ევლია ჩელები მთებში მოსახლე აფხაზურ-აბაზური თემებიდან აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით პირველად ფუშრხის აფიქსირებს, რომელიც, ავტორის მიხედვით, „მეგრელებთან ახლოა“.[879] ბრუნის მიხედვით, ფუშრხი იგივე ფსხუა.[880] ე.ი. ოსმალო მოგზაურს მდინარე ბზიფის სათავეების აღმოსავლეთით მეგრელები ეგულება.

საკუთრივ აფხაზეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ტერიტორია მდინარე ბზიფის გადაღმა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას თუ დავეყრდნობით, ჯერ კიდევ „ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე“ ჯიქებით იყო დასახლებული,[881] მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVII საუკუნეშიც აქ, ისევე როგორც საკუთრივ აფხაზეთში - კაპოეტის წყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ტერიტორიაზე, მთიელთა ჩამოწოლის პროცესი გრძელდებოდა.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელო აფხაზეთის შემადგენლობაში მოექცა, აქ ეთნიკური სურათი მნიშვნელოვნად იცვლება. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ მთიელებს (აფხაზებსა და ჯიქ-აბაზებს) ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შედარებით ადვილად უნდა აეთვისებინათ ცხუმის მხარე, რომელიც გარეშე მტერთა თავდასხმების შედეგად XV საუკუნის II ნახევრიდან თანდათანობით კარგავს ძველ ძლიერებას, ჩანაგდება და მოსახლეობისგან იცლება. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ წარსულში სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მძლავრი ცხუმი, XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში ფაქტობრივად აღარ მოიხსენიება. აწინდელი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის ისტორიულ-ეთნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ერთ-ერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, „აფხაზეთის სამთავროს მიერ ისტორიული ცხუმისა და ნაწილობრივ ბედიის საერისთავოების ტერიტორიის შემოერთებას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ ეს კუთხე მნიშვნელოვან-წილად დასახლებული იყო აფხაზურენოვანი თემებით, რომლებიც ფეოდალური ეკლესიის, პირველ რიგში, დრანდის, მოქვის და ბედიის საეპისკოპოსოებისადმი დამოკიდებულების პირობებში, საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას“.[882] იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე ენგურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მნიშვნელობის პუნქტები (ბიჭვინთა, დრანდა, მოქვი, ბედია და. ა.შ.) ზოგჯერ უფრო დიდ როლს ასრულებდნენ ოდიშის სამთავროს ცხოვრებაში, ვიდრე ის პუნქტები, რომლებიც ენგურს აღმოსავლეთით მდებარეობდნენ. დადიანებს ზუგდიდის გარდა სასახლეები ჰქონდათ ხაუჟელში, ღალიძგაში, მოქვსა და მერკულაში. შემთხვევითი არაა ისიც, რომ გორიდან გადმოსულ თეათინელ მისიონერებს ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი 1633 წლის ნოემბერში მერკულაში ღებულობს და იქ უმართავს აუდიენციას.[883] ანტიოქიის პატრიარქის, მაკარიოსის ცნობით (1664წ.), სამეგრელოს საეპისკოპოსოებს შორის ყველაზე დიდი ბედიისა ყოფილა.[884] ნიშანდობლივია, რომ ოდიშის სამთავროს ექვსი საეპისკოპოსოდან ენგურის დასავლეთით, გარდა ბედიისა, მოქმედებდნენ მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოები. ამავე მხარეში მდებარეობდნენ ქიაჩისა და წიფურიას

---

879 . ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნ. I, გვ. 106.
880 . . . . . , გვ. 20.
881 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.786.
882 . . , . . , გვ. 125.
883 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 171.
884 . . . XVII , გვ. 32.

მონასტრები.[885] წიფურიას მონასტერი მრავალი წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე თეათინელი მისიონერების რეზიდენცია იყო.

ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაციებში მოთხრობილია, რომ მის დროს სამეგრელოში განსაკუთრებით ოთხ დღესასწაულს ზეიმობდნენ: აღდგომას, დადიანობას, მარიამობას და გიორგობას. ამათგან, მისიონერის მიხედვით, ყველაზე დიდი იყო წმინდა გიორგის დღესასწაული, რომელსაც ნოემბერში ბედიელი ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ატარებდნენ.[886]

მდ.ენგურის ჩრდილო-დასავლეთით ფუნქციონირებდნენ აგრეთვე ოდიშის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრები. ლამბერტის მიხედვით, უმთავრესი ბაზრობა წიფურიაში იმართებოდა. მის გარდა ამგვარ მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდნენ ილორი და ბედია.[887] სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ოდიშში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მდინარე კოდორის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სკურჩას ნავსადგურს.[888] დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის 80-იან წლებამდე ოდიშის სამთავროს ძირითადი ეკონომიკური და კულტურული ნაწილი მდინარე ენგურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდნენ.

XVII საუკუნის 80-იან წლებამდელი საისტორიო წყაროებით, მდინარეებს, ენგურსა და კელასურს შორის მდებარე მხარე არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც სამეგრელოა, რაც კარგად ჩანს ლუი დე გრანჟიეს მოხსენებაშიც,[889] რომელიც 1615 წლის 2 მარტს, სამეგრელოს სოფელ მოქვშია დაწერილი. გრანჟიეს მოწმობა იმითაა საინტერესო, რომ ის მოქვს სამეგრელოში გულისხმობს, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა იმით, რომ აქ ის საჭიროდ სცნობს სამოღვაწეოდ შეისწავლოს მეგრული და სამწიგნობრო ქართული; მაშასადამე, მოქვის მხარე მეგრელებითაა დასახლებული, ქართული კი სახელმწიფო და ქრისტიანობის ენაა. იმ დროს აქ სხვა ენის მქონე ხალხს, კერძოდ, თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებს რომ ეცხოვრა, საფიქრებელია, გრანჟიე იმ ხალხის ენის შესწავლას ასევე საჭიროდ დაინახავდა.[890]

საკითხთან დაკავშირებით უძვირფასეს მასალას წარმოადგენს XVII საუკუნის ტოპონიმია. თეათინელ მისიონერთა რუკებზე აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ჩამავალ მდინარეს კოდორი ეწოდება. ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში დღესაც ცნობილია მსგავსი გეოგრაფიული სახელები: კოდორე, კოდარა, კოდიფონი, კოდორა, კოდორქალაქი, კოდორფონი, კოდორჭაე, გაენკოდორი, კოდოროუ, კოდორი და ა.შ.[891]

ხსენებულ რუკებზე სახელწოდება დრანდა გადმოცემულია მეგრული ფორმით – დანდრა, რაც კიდევ ერთი დამატებითი საბუთია იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ დრანდა და მისი მიმდებარე მხარე არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით შედიოდა ოდიშის შემადგენლობაში, არამედ ის ეთნიკურადაც სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო.

XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში მდინარეებს კოდორსა და ენგურს შორის მოხსენიებულია შემდეგი გეოგრაფიული სახელები:

მარმარწყარი – პატარა მდინარე, რომელიც ზღვას ერთვის კოდორის აღმოსავლეთით. მის შუა წელზე, მარჯვენა მხარეს, მისიონერებს აღნიშნული აქვთ სოფელი მარმარიშკარი.

ჯოვანი და ლუკას მოხსენიებული აქვს სოფელი სკურჩა[892], რომელიც მდებარეობდა მდინარე სკურიას შესართავთან. სკურჩას აგრეთვე ტყაურუ ეწოდებოდა.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში მოხსენიებული სოფელი ფშია[893], თეათინელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე ფიქსირებულია მარმარწყარის, იგივე სკურიას სათავეებთან.

---

885 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 120-121.
886 . ჯუდიჩე ჯუზეპე. წერილები საქართველოზე, გვ. 96-97.
887 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 157-158.
888 . ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 212.
889 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 135.
890 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 611.
891 . გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. თბ.,1977, გვ. 19, 24, 39, 51, 103.
892 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა.., გვ. 145; ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის...., ტ. III, გვ. 160.
893 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი. – საისტორიო ძიებანი, წ. II, ტფ., 1925, გვ. 187.

ლამბერტის თანახმად, ოდიშის ერთ-ერთი მონასტერი აგებული იყო ქიაჩის მთაზე, წმ.მიქელის სახელობაზე[894]. ქიაჩი მდებარეობდა კოდორის ქედის სამხრეთ კალთებზე, თანამედროვე ჯგერდაში.

კვიტოული[895] – სოფელი მდებარეობს მდინარე მოქვის დასავლეთით, აღნიშნულია ლამბერტისა და კასტელის რუკებზე, მოხსენიებული აქვთ 1639-1640 წწ. სამეგრელოში მყოფ რუს ელჩებს.

კამულეთი[896] – მდ.მოქვის მარჯვენა შენაკადის, კამურჩას ნაპირზე[897].

ჭალა[898] – აფსუური თემების დამკვიდრების შემდეგ მას ჭილოუ ეწოდა. მდებარეობს ოჩამჩირისგან ჩრდილო-დასავლეთით.

თილითი[899] – თეათინელი მისიონერების რუკებზე ეს სოფელი აღნიშნულია მდ.მოქვის სათავეებში განსხვავებული სახელწოდებით – თილიში[900]. ამ შემთხვევაში ტოპონიმი -ით ბოლოსართის ნაცვლად ნაწარმოებია ზანურ-სვანური -იშ სუფიქსით.

თხალარი[901] – სავარაუდოდ, მდებარეობდა თანამედროვე თხინას მიდამოებში[902].

თეათინელ მისიონერთა რუკებზე მდინარეებს ღალიძგასა და ოქუმს შორის მთებში აღნიშნულია სოფელი მარცხული. მოხსენიებულია კასტელის ალბომშიც[903].

ზეგანი[904] – მდინარეებს ღალიძგასა და მოქვს შორის, ამჟამინდელი გუფის მიდამოებში.

ხაუჟელი[905] – დაახლოებით თილითსა და ღალიძგას შორის.

ღალიძგა[906] – მდებარეობდა ამავე სახელწოდების მდინარის შუა წელზე, თანამედროვე სოფელ ბესლახუბას მიდამოებში. თეათინელ მისიონერთა რუკებზე მდ.ღალიძგას აწერია ეგრისი. ასევე უწოდებს მას ლამბერტი თავის აღწერაშიც[907]. მხოლოდ შემდეგში მდინარე ეგრისმა მიიღო მის სანაპიროზე მდებარე სოფლის სახელი და ეწოდა ღალიძგა. რუსი ელჩები ახსენებენ მას „გამბლი“-ს ფორმით.

ილორი[908] – სოფელი მდებარეობს მდ. ღალიძგის შესართავთან. ლამბერტისეულ რუკაზე ასეთი სოფელი აღნიშნულია მდ.ცხენისწყლის ნაპირებთანაც. ცნობილია, რომ სამეგრელოში ილორი რამდენიმე სოფელს ეწოდებოდა.[909]

ხოირი[910] – სავარაუდოდ უნდა იყოს აწინდელი სოფელი ოხურეი.

სუბვი[911] – საეკლესიო საბუთებში მოხსენიებული ეს სოფელი თეათინელი მისიონერების რუკებზე დაფიქსირებულია ფორმით სუბეიში, მდინარე ოქუმის მარჯვენა სანაპიროზე. მდებარეობდა აწინდელი აჩიგვარას მიდამოებში[912].

ნაჟანეო – იხსენიება ბიჭვინთის იადგარში (XVIს.),[913] როგორც ენგურისპირა სოფელი. XVII საუკუნის საეკლესიო საბუთებში მოხსენიებულია ფორმით ნაჟანეული[914]. ამჟამად მას სავარაუდოდ, ოტობაია ეწოდება[915].

---

894 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 121.

895 . შ. ბურჯანაძე. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. I. თბ.,1958, გვ. 151.

896 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფილისი, 1921, გვ. 41.

897 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 175.

898 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი.. - საისტორიო მოამბე, წ. II. ტფილისი, 1925, გვ. 187.

899 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 33.

900 . ამგვარადაა ის ფიქსირებული ლამბერტის რუკაზე, ხოლო კასტელისთან მას თილითი ეწოდება. ამ ადგილებში დღესაცაა შემორჩენილი ტოპონიმი თლით აბაა (აფხაზურად თილითის ციხე) სოფ თხინასთან. იხ.: თ.ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. _ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის... სერია, №3, 1971, გვ. 154.

901 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 41.

902 . პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 174.

903 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი, გვ. 151.

904 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 41.

905 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი. ტფილისი, 1914, გვ. 36.

906 . ღაპპორტს სურ უნ ვოყაგე არცჰ ოლოგიქუე დანს ლა ორგიე ეტ დანს ლ’ რმენი . ხეცუტე ენ 1847-1848, პარ . როსსეტ, შტ. ეტერსბურგს, 1849, VIII, გვ. 106.

907 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 176.

908 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 41.

909 . კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში, გვ. 95.

910 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 29.

911 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 31.

912 . ვ. ზუხბაია. აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის. –რიწა, №1–2, 1997, გვ. 136.

913 . ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბ., 1965, გვ. 179.

914 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 24, 53.

915 . ვ. ზუხბაია. აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 135.

წამხარი – აღნიშნულია თეათინელ მისიონერთა რუკებზე. დღეს წამხარი თაგილონის ერთ-ერთი უბანია.[916]

თეათინელ მისიონერთა რუკებზე მდ.ღალიძგის დასავლეთით აღნიშნულია მდინარე მოქვი (მოქვიშწყარი). ლამბერტის თანახმად, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“.[917]

გრანჟიეს მოხსენებაში მოქვის მახლობლად ფიქსირებულია სოფელი მარგულა[918]. დღეს მას მერკულა ეწოდება. მდებარეობს მდინარე მოქვის შესართავთან, მარცხენა მხარეს.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს მდინარეთა შორის ასახელებს ოქუმს[919]. მდ.ოქუმი ასევე აღნიშნულია ლამბერტისა და კასტელის რუკებზე.

ბედია – XVII საუკუნეში მოხსენიებული აქვს მრავალ ავტორს.

თეათინელ მისიონერს ძამპის სამეგრელოს დასავლეთ ნაწილში მოხსენიებული აქვს სოფელი ფუწყური[920]. ამჟამად ეს სოფელი გალიდან ჩრდილო-დასავლეთით, წარჩესთან ახლოს მდებარეობს[921].

კოლხეთის მდინარეთა აღწერისას ლამბერტი აღნიშნავს: „ენგურის იქით არის ხეთი, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, ზღვას შეერთვის გაგიდასთან“.[922]

ლამბერტთან ფიქსირებული მდ.ხეთიწყარი არის ერწყარი (ერისწყალი), ხოლო სოფელი გაგიდა ამჟამადაც მდებარეობს მდინარე ერწყარის შესართავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ლამბერტის ზემოთ მოტანილი ერთერთი ცნობით, სამეგრელოში „ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი, სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფით შეიარაღებული მცველები“.[923]

თეათინელ მისიონერთა რუკებზე ოლუშე აღნიშნულია მდინარე ღალიძგის სათავეებში, საფორტიფიკაციო სისტემასთან. ცნობილია, რომ დღეს ოლუშე ეწოდება მთას ტყვარჩელთან[924]. ამგვარი ტოპონიმები ოლუშე//ოლეშე გვხვდება ლებარდესთან (მდინარე ტეხურის სათავეებში) და სკურთან (მდინარე ჭანისწყლის სათავეებში). გ.ელიავას მეგრული სიტყვა „ოლეშე“ განმარტებული აქვს, როგორც გასასვლელი, ხოლო ოლუ არის გზა, ასევე გასასვლელი. იგი იქვე დასძენს, რომ მტრის შემოსევისას ასეთი გზა იკვრებოდა ქვითკირის კედლით და უკეთდებოდა მცირე გასასვლელი მუხის კარებით[925].

ლამბერტი ოდიშის მონასტერთაგან განსაკუთრებულად აღნიშნავს წიფურიას მონასტერს, რომელიც, მისიონერის სიტყვებით, „აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირას. ეს მონასტერი ეხლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღმრთისმშობლის სახელობაზეა და მეორე – წმ.გიორგისაზე“.[926]

კასტელის მიხედვითაც, წიფურია ენგურისპირა სოფელი იყო, ხოლო თეათინელ მისიონერთა რეზიდენცია აქ მდინარიდან „ხელით გასროლილი ქვის მანძილზე“ მდებარეობდა[927]. სოფელი აღნიშნულია კასტელისა და ლამბერტის რუკებზეც.

წიფურია მდებარეობდა დღევანდელი ენგურისპირა სოფ.თაგილონის ტერიტორიაზე[928].

ლამბერტისა და კასტელის მიერ შედგენილ რუკებზე მდინარეებს კოდორსა და

---

916 . თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა, გვ. 152.
917 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 176.
918 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 140.
919 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 176.
920 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 655.
921 . თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა, გვ. 153.
922 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 175.
923 . იქვე, გვ. 166.
924 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 96.
925 . გ. ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1997 გვ. 255.
926 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 121.
927 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი, გვ. 195.
928 . თ.ბერაძის აზრით, წიფურია განარჯია-მუხურის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იხ. მისი: ოდიშის სამთავროს რუკა.., გვ.150.

ენგურს შორის ასევე აღნიშნულია შემდეგი სოფლები:

სათამაშია, წყურგილი, ტკვაჯა, დღვანა, პიტაური, ჯობაწყარი, გუდაში, პაპათი, სანარი, საჩინო, წარჩე, ჩხორთოლი, ბარღეფი, ნაბაკია, სუდაში, კადარი, გოგიელი, ჟირპიჯი, გენათი, სათანჯო, სუჯონა.

ამრიგად, XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, უცხოელ ავტორთა ცნობები, თეათინელ მისიონერთა კოლხეთის რუკები) კარგად ჩანს, რომ აწინდელი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მხოლოდ ქართული (მეგრული) ტოპონიმები და ჰიდრონიმები ფიგურირებს.

თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთში XVIს. ბოლოსა და XVII საუკუნეში დამოწმებულია შემდეგი გვარ-სახელები:

ნაჟანეულში (XVIს. დასასრული): **შუშანია, ჯგვიბურია თოლიოქრო, სუბუქია, ჯაკობია გუგუტია, მჭიშია კაკური, უჩაია მამისშური, უჩაია სოხერდია, უჩაია თოლსკვამია, დიდია გაბრიელა, კოდია კაციბაია, ელიშია თომიხილა, რუსაყია მარცვალია, მატუფია შურითოლი, გოგილავა მამისმამა, გოგილავა შურითოლი, ღრუბელაია მამისმამა, მამასფერი, გურუა ჭუჭა, ცისტარია მამისმამა, კოდია თოლიბედი, ქაჯაია დეისმამა, ლოგუა კურცხაი, ჯგუბურია ნიკოლაა, ძაძუა, კონჯარია, ფიოლია** და ა.შ.

სოფელი ნაჟანეული (1621წ.): **უჩაია მიხილია, უჩაია გურმიხილი, უჩაია მირჩქილია, ჯაკობია თოლიოქრო, დიდია ჯგექოჩი, დიდია ქოჩილეი, კოდია ორქოლეი, კოდია მაჭიხოლა, კოდია სოლერდია, კოდია მიხილია, ჯგუბურია გურიშია, შუშანია სოხერდია, კოჩივარა კუატარა, ძაძუა გაბრიელი, ძაძუა არდაშელა, ძაძუა ინგარია, გოგილაა თოლიოქრო, ქაჯაია მესტუმრია, კოჩილა მარკოზია, ციკუტია მიძირუდა, ღრუბელაია კოჭოლა, გურუა გემჭიშია, ხისტარია თოლიმაფუ, დავითია მესტუმრია, ცისტარია კოჩია, ლოგუა თოლიშია, ელიშია კოჩილა, ელიშია თოლმიხილა, ელიშია უსკუამადა, კონჯარია მამალეი, კონჯარია თოსკუამია, ჭუტიშია თოლიოქრო, მირჩქილია ფიოლია, ჭუჭუ კონტარია** და ა.შ.

სოფელი ხოირი//ოხურეი (1621წ.): **დიდია ხახუტა, ჩაგუა გოგია, ლასურია უკულაში, ლასურია უსკუამია, ლასურია მიხილია, მამულია წებელარა, ჩაგუა გურმიხილა, გუნია ბაბადია, გრიგოლია გოკურცხია, ჯიქია სკუამილეი, დიდია თოლიოქრო, ამბალია ხუხულია, ამბალია ხუცი, ჯომნია გამიგონა, ჯომნია ვაჟიკოჩა, კაკუა მხიარულა, კაკუა იშამორთა, კაკუა მოირდინა, გამკერვალია ხახუტა** და ა.შ.

სოფელი სუბვი//სუბეიში//აჩიგვარა (1621წ.): **კიტია ქუაქუალია, კიტია ქერაბიმი, კიტია მამულია, კიტია შურიმიდგი, კიტია ჯგირკოჩი, კიტია პირნათე, პერტია, ქორჩოლუა მამაში, ჯაკონია კაკა, ჯაკონია ვაჟობა, ჯაკონია პაპიშია, ჯაკონია ბაბადიში, ჯაკონია სკუამილი, ჯაკონია ქოძირია, ლუაჯაგია სანატრელი, არტონია მამულია, ხუნგია უწყინარა, მიქელია შურიმიდგი, ბიგუა უჩალეი** და ა.შ.

სოფელი თილითი (1621წ.): **თიფშხუა ხუცესი, თიფშხუა ნანარტია, თიფშხუა იესე, ცქურია ჯგეკოჩი, ცქურია სორდი, გულუა თუთაშხია, სთეფანასკირი შურითოლი, სთეფანასკირი მიხილია, ჟვანესკერია ბაბაშური, ბულია მორდილია, თუთაშხია ქუფაჩა, თოლისკუამი ფაჟა, თოლისკუა კირჩხელი, შანტია უჩაკოჩი, მალურავა შურითოლი, ჩხირუა შურიმიდგი, გორგილავა ორქოია** და ა.შ.

სოფელი ხაუჟელი (1621წ.): **ვარდანია ხუცესი, ვართანგია, ბაგია მითანაფი, წებლარია გაჭირდია, წებლარია ქაქალია, ხალიბესშვილი დალაბა, სალატია უჩარდია, სალატია გაირჩქინი, დუშია თოსკუამია, დუშია ძუკა, დუშია მამაია, ვარდანია საბედო, ვარდანია მიხილია, ვარდანია სკუმიშია, შონია უჩარდია, ნისერია მამიყორდი (მე მიყვარდი), ნისერია კახაბერ, ნისერია უწყინარი, ნისერია ქაქალია** და ა.შ.

სოფელი ტყაურუ (1621წ.): **შამბია (შამგია) თავაზა, შამბია ქუქუალია, შამბია მაშუტუა, ჭუჭურია უჩაკოჩი, გავაშელი დათია.**

სოფელი ჭალა//ჭლოუ, სადაც იყო საყდარი და ჯაიანების სასახლე (1621წ.): **გოგორდავა ხუცესი, გოგორდავა გვატა, მიხილია ჩაგლია, ჭანია მაჭიხოლი, ფალია შურიმიდგი, მარღია ქვაცხა, ლორტეგ ბიბილია, გიჩორდი ფხა** და ა.შ.[929]

ეთნიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვთ XVII-ს-ის ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულ გვარ-სახელებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც, მათ შორის წამხარში: **მჭითანავა, მარღია, ტანია, ძასანია**[930]; კადარსა და მის მიმდებარე სოფლებში: **დათუსკარია (დათუსკირია?),**

---

929 . ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. თბ., 1970, გვ. 382, 419, 423, 425, 426, 428, 431, 434.

930 . ღაპპორტს.., IX, გვ. 19-20.

ჩხორელია, კობახია, ალბარია, ბორქია[931]; ილორში: **გომიძულა წაწულუა**[932], **ჩხოხოძე**[933], **შეგუა, გერმანია**[934]; კამულეთში: **გურმიხილი კუბეცია;** ღალიძგაში: **ალესანდრია**[935], **მოირდი კვირკველია, უსკვამა კვირკველია, გვიანიში ჩაგალოსკირი**[936]; ზეგანში: **მუთაგიღუნ ხუბილავა, გოგუა, ნადარაია**[937]; სოფ. თხალარში: **გაბრავა;** სოფ. მარცხულში: **გურმიხილი ესებია**[938]; კვიტოულში: **ტოტოჯი დავითია, გაიზარდი აფია, ანჩიბუხუ ჩხანგუა, ბებელია ბაგათელია, მისი ცოლი აფაქიძის ქალი და მათი შვილი მასი ბაგათელია, ბელეშია**[939]; სოფ. გუფუში: **მახუ ვარდანია, საბედო ვარდანია, ნიხილია ვარდანია, სკუმიშია ვარდანია; გიორგი ვარდანია;** სოფ. ფშიაში: **ჯაიანი, ბიბილია**[940].

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ XVII საუკუნის 80-იან წლებამდელ ენგურ-კელასურის შუამდინარეთში მხოლოდდამხოლოდ ქართული (მეგრული) მოსახლეობა იყო.

XVII ს. 60-80-იან წლებში კელასურ-ღალიძგას შუამდინარეთში აფხაზური და ჯიქურ-აბაზური თემები იწყებენ დამკვიდრებას. ვახუშტის ცნობით, „დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“[941]. ამ ტერიტორიაზე აფხაზებმა მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ამოჟლიტეს, ან ტყვედ გაყიდეს, მცირე ნაწილმა სამეგრელოსა და იმერეთის შიდა რეგიონებს შეაფარა თავი. განსაკუთრებული სისასტიკით გაანადგურეს თავადაზნაურობა, როგორც ოდიშის მთავრის ძირითადი დასაყრდენი. სოფელ ჭალას (ჭილოუ) მფლობელი მერაბ ჯაიანი იქიდან გამოიქცა და აფხაზეთის კათოლიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ასეთი შინაარსის პირობის წიგნი მიართვა: „ესე მტკიცე წიგნი მოგართვი თქვენ, კათალიკოზს ბატონს გრიგოლს ჩვენ, ჯაინმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და მერმე ამხელი კაცი ვარ იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ...”[942]. XVII-XVIIIსს. მიჯნაზე მერაბ ჯაიანის ბედი სხვებმაც გაიზიარეს, ვინაიდან აწინდელი აფხაზეთი „თათრის ხელად შეიქმნა”.

ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე გაბატონების შემდეგ ყვაპუ შარვაშიძემ ადგილობრივი მოსახლეობის თურქებზე გაყიდვა დაიწყო. მართალია, მან შემდეგში ორჯერ ფიციც მისცა კათალიკოსებს დავით ნემსაძესა (1673-1696წწ.) და გრიგოლ ლორთქიფანიძეს (1696-1742წწ.), რომ ტყვეებს არ გაყიდდა,[943] მაგრამ პირობა არ შეასრულა. ჯერ მთიელთა თარეშის, შემდეგ კი ტყვეთა სყიდვის შედეგად ეს მხარეც მნიშვნელოვნად დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისგან.

დაცარიელებულ ტერიტორიაზე ყვაპუ შარვაშიძემ ბზიფიდან გადმოასახლა „რამდენიმე გვარნი თავადნი და აზნაურნი, სახელდობრ: ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვანბაია, ლაკირბაია და აქირთავა, რომლებთათვისაც დაუნაწილებია ესე საზღვარი, ხოლო თვისდა სახასოდ შეუცავს სოფლები ბედია, ფახულანი და ბარბალო (კოკი).“[944] ჩამოსახლებულთ თან ჩამოჰყვნენ დაბალი ფენებიც. ამ დროიდან გაჩნდნენ სამურზაყანოშიც აწინდელ აფხაზთა წინაპრები, რომლებიც შემდეგში მკვიდრ მოსახლეობაში აითქვიფნენ და გაქართველდნენ.

აფსუათა აფხაზეთში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მოსულობის შესახებ უცხოურ საისტორიო წყაროებში ცნობები ჯერ კიდევ XVIII ს. I ნახევრიდან მოგვეპოვება. კერძოდ, რუსი ისტორიკოსის ვ.ტატიშჩევის სიტყვებით, აფხაზეთის არის „ჩრდილოეთ

---

931 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 211.
932 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 40-41.
933 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, გვ. 190.
934 . კ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 157.
935 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 41.
936 . ღაპპორტს.., VIII, გვ. 106.
937 . ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 41.
938 . იქვე.
939 . შ. ბურჯანაძე. ისტორიული დოკუმენტები.., წ. I, გვ. 151.
940 . ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, გვ. 187.
941 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 845.
942 . ს.კაკაბაძე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.I, გვ. 149-150.
943 . ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. I. ტფილისი, 1920, გვ. 36; ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 276-281.
944 . თ. ჭიჭინაძე. „ბედიის ხელნაწერი“. –კვალი- 1897, 11 მაისი, №20.

სამეგრელოს ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები აბხაზოსს, ხოლო ჩვენი წინაპრები ობეზს უწოდებდნენ, მისი მეტი ნაწილი დღეს ყუბანელებითაა დასახლებული“.[945]

ინგლისელი ედ. სპენსერი კი წერდა (1851წ.), რომ სოხუმის მიდამოებში მცხოვრები აფხაზები „ნაწილობრივ ყირიმისა (ყაბარდოს – ავტ.) და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“.[8]

აღსანიშნავია ა.დიაჩკოვ-ტარასოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ადიღებისგან შევიწროებულმა აბასგებმა,[9] როგორც ჩანს, XVI-XVII საუკუნეებში გადალახეს გაგრის ქედი, ასევე ფსეაშხოს, ახბირცის, ცაგერკერის, მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილები.[10] იმავე ავტორის დაკვირვებით, XIII-XIV საუკუნეების აფხაზეთის საზღვარი მდინარეებს ფსოუსა და ხოსთას შორის მერყეობდა. XVIს. ადიღების მიერ შევიწროებულმა ჯიქებმა გაგრის გასასვლელი დაიკავეს და საზღვარი კიდევ უფრო სამხრეთით, გაგრის ქედს გადაღმა გადასწიეს.

გარდა ამისა, ა.დიაჩკოვ-ტარასოვი თავის მორიგ ნაშრომში – „ბზიფის აფხაზეთი“ – შემდეგ დასკვნას აკეთებდა: „აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ. მათი გადმოცემები, წეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემი ადასტურებს, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავიწროვეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ. აქ მოხდა ორი სხვადასხვა წარმოშობის ხალხის – მეგრელებისა და აფხაზების ურთიერთშერწყმა, რის შედეგადაც წარმოიშვა კოდორსა და ენგურს შორის მოქცეული სამურზაყანოს მოსახლეობა“.[946]

აფხაზეთში მთიელთა მიგრაციული პროცესების შესახებ არსებულ მწირ საისტორიო წყაროებს მნიშვნელოვანწილად ავსებს ტოპონიმური და ფოლკლორული მასალა. კერძოდ, მდინარე კელასურის აღმოსავლეთით ზღვაში ჩაედინება მდ. მაჭარა, რომლის ნაპირებზეც მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელი. ცნობილმა აფხაზმა მკვლევარმა ხ. ბდაჟბამ მდინარისა და სოფლის სახელი მაჭარა ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნში მოხსენიებულ თემის სახელს მაჭარ-ს დაუკავშირა, რომელმაც გადმოსახლების შედეგად აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელებში თავისი კვალი დატოვა. ხ. ბღაჟბა ამავე თემს უკავშირებს აფხაზეთში გავრცელებულ გვარსახელს – ამიჭბა.[947] ოსმალო მოგზაურის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, მაჭარას თემის (ევლიასთან მაჯარ) ლოკალიზება ტუაფსისგან აღმოსავლეთით, მთებში მოგვიწევს. ძნელი დასადგენია, თუ როდის გადმოსახლდა ეს თემი ჯიქეთიდან აფხაზეთში, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ მათი მიგრაცია XVII საუკუნის I ნახევრის შემდეგ მოხდა. გარდა ამისა, ლინგვისტურად უსაფუძვლოა მაჭარის დაკავშირება ამიჭბა-სთან.

აფხაზეთში აფსუათა მოსულობის თვალსაზრისს გარკვეულწილად ეხმიანება მათი გადმოცემები. ზოგი ვერსიის თანახმად, ისინი აფხაზეთში ეგვიპტიდან, აბისინიიდან არიან მოსულნი, ზოგი ვერსიით - არმენიაზე გავლით ყუბანში დასახლდნენ, საიდანაც სიცივისგან შეწუხებულნი აფხაზეთში გადავიდნენ.[948] ერთ-ერთი გადმოცემით, შორეულ წარსულში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა წანის, ანუ წანიას გვარის ხალხი. წანები მეჯოგეები იყვნენ, თავს რძეულითა და უმი ხორცით ირჩენდნენ, მაგრამ რადგანაც წანები უსჯულონი იყვნენ და ღმერთს არაფრად აგდებდნენ, ღმერთმა ისინი დასაჯა. მათ საცხოვრისს ცეცხლი გაუჩინა და მასთან ერთად უსჯულო წანებიც გადაბუგა.[949]

ეს გადმოცემა დაკავშირებულია აფხაზეთის თავისებურ არქეოლოგიურ ნაშთებთან, რომელნიც ნახევრად ციკლოპური, მეგალითური ხასიათისა არიან და ვრცელდებოდა ბზიფიდან ენგურამდე. ეს ძეგლები გვხვდება მთებში და წარმოადგენენ ყორულად ნაგებ

---

945 . . . , . I. .- ., 1962, გვ. 171.

8. კ. კოხისა და ე. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ. 135.

9 . ავტორი აბასგებში გულისხმობს აფსუების, ჯიქების და აბაზების წინაპრებს.

10 . . - . . , 1903, გვ. 36, 50.

946 . . - . . –
, . XVIII. , 1905, გვ . 65.

947 . . . – , . I, , 1987, გვ. 145.

948 . . - . . , 1965, გვ. 37.

949 . ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, ტ. III. თბ., 1959, გვ. 14.

ოთხკუთხედ ან არასწორი წრის სახის მქონე „ბაკებს“. მათ აფხაზები აწანგვარას//წანიგვარას ეძახიან, რაც წანის საცხოვრისს ნიშნავს. ს.ჯანაშიას სიტყვებით, „აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრივ, სვანური შტოსი, მეორე მხრივ, ჭანურ-მეგრულისა. მოყვანილ გადმოცემაში სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი გვაქვს. წანი ამ შემთხვევაში ჭანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ეს იყო ერთ-ერთი ტომთაგანი ჭანურ-მეგრული განშტოებისა“.[950]

ნ.ბერძენიშვილის შენიშვნით, „თუ ესენი იმ აფხაზების გენეტიკური მემკვიდრენი არიან, მათ ისტორიულ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდეს... ნართების ეპოსი მათ მთიელობაზე მიუთითებს“.[951] თავად აფხაზური ხალხური ტრადიციით, ნართები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, ყუბანისპირეთიდან არიან.[952]

აფხაზურ საგვარეულოთა შორის მრავლად მოიძებნება გადმოცემები, რომლებიც მათ გადმოსახლებაზე და საცხოვრისის შეცვლაზე მიუთითებს. მაგალითად, აშუბების უხუცესებში დაცული იყო გადმოცემა, რომ მათი წინაპრები ძველად ჯგერდაში ფსხუდან გადმოსახლდნენ.[953] ადლეიბების მიხედვით, თვით ადლეიბები, აგრეთვე აგრბები და ინაფშბები აფხაზეთში ყარაჩაიდან გადმოსულან.[954] კვიწინიებში, ავიძბებში, ზუხბებში და აშუბებში დაცული გადმოცემებით, მათი წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან, ან სოჭის მიმდებარე მხარეებიდან გადასახლდნენ აფხაზეთში. ერთ-ერთი აფხაზური თქმულებით, აჩბები აფხაზეთში ქედს გაღმიდან გადმოვიდნენ.[955] გუდაუთელი ამაბების გადმოცემებით, ისინი წარმოშობით აჰჭიფსოუდან იყვნენ და მათი გადმოსახლება XVII საუკუნის მიწურულს უნდა მომხდარიყო.[956]

რასაკვირველია, ეს ლეგენდა-გადმოცემები არ იძლევა კავკასიელ მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლების ეპოქის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ ზემოთ განხილულ ცნობებთან ერთად, რომლებიც აშკარად მიუთითებენ XVII საუკუნეში აფხაზეთში მიმდინარე ეთნიკურ, უპირველეს ყოვლისა, მიგრაციულ პროცესებზე, ეს გადმოცემებიც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ.

3. რელიგიური ვითარება

XVIIს. 80-იან წლებამდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ჯერ კიდევ უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში, კვლავ ჰყვაოდა ქრისტიანული სარწმუნოება. აქ მოქმედებდა მთელ საქართველოში სახელგანთქმული სამი საეპისკოპოსო (ბედიის, მოქვის, დრანდის), რამდენიმე მონასტერი (ქიაჩი, წიფურია და ა.შ.) და ათობით (ფაქტობრივად ყველა სოფელში) ეკლესია.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო საკუთრივ აფხაზეთში. გვიან შუა საუკუნეებში აქ შექმნილი მძიმე პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თავს იჩენს მოსახლეობის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში და, საერთოდ, სულიერ კულტურაში. მთაშიც და ბარშიც ქრისტიანობა მეტად შესუსტებულია, ეკლესია-მონასტრები არ ფუნქციონირებენ. გამონაკლისი არც XVIს. შუახანებიდან ფაქტობრივად დაცარიელებული ბიჭვინთის ტაძარი იყო, თუმცა ფორმალურად ის რჩებოდა საკათოლიკოსო კათედრად. ლევან მეორე დადიანის ელჩმა მოსკოვში, მღვდელმა გაბრიელ გეგენავამ 1638 წელს რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლებს ორჯერ განუმარტა, რომ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის

---

950 . იქვე, გვ. 15.
951 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 618.
952 . . . , . I. ., 1949, გვ. 321.
953 . . . ..., გვ. 51.
954 . ნ. ლომოური. . – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის... სერია, №3, 1990. გვ. 170.
955 . ს.ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება. აფხაზურიდან თარგმნეს თ.გვანცელაძემ და ა.არაბულმა. თბ., 1988, გვ. 214, 366.
956 . . . XVII-XVIII . , 1951, გვ. 93.

სამეგრელოს პატრიარქი (კათოლიკოსი) ცხოვრობს ბიჭვინთაში[957]. გაბრიელ გეგენავას აფხაზები არ უხსენებია.

აფხაზები „სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიან ვითარცა კერპნი“[958], - წერდა ვახუშტი. მისი ეს ცნობა ოდნავ მოგვიანებით არის დაწერილი, მაგრამ ამასვე მოგვითხრობენ XVIIს. უცხოელი ავტორებიც.

ჯოვანი და ლუკას სიტყვებით: „აფხაზების ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. არა აქვთ დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების შესრულების გარეშე. ბევრი ჯვარი ვნახე ამ ქვეყანაში“.[959] მისიონერის მიხედვით, ბიჭვინთის საკათალიკოსო ეკლესიაში წირვა წარმოებს ერთი მღვდლით, სოფლის მოსახლეობაც ამ ეკლესიაში დადის. აშკარაა, ის ლაპარაკობს არა ერთეულ შემთხვევაზე, როცა ღვთისმსახურება ასე თუ ისე წესების დაცვით სრულდება, არამედ საერთო მდგომარეობაზე. აქაური მმართველიც მაჰმადიანი ჩანს, რაზედაც მეტყველებს მისი სახელი – ყარა ბეი და ისიც, რომ ის ჯოვანი და ლუკას მიერ ბიჭვინთაში ჩატარებულ წირვას არ დასწრებია.[960]

ყარაბეისგან განსხვავებით, „მთავარი“ პუტო, რომელიც შეიტყობს ჯოვანი და ლუკას ჩამოსვლის მიზანს, მას ცხუმში დარჩენას სთავაზობს, ამცნობს სტუმარს, რომ ისიც თავისი სამფლობელოთი ქრისტიანია და ისეთი მღვდელი სჭირდება, როგორც მეზობლად მცხოვრებ ქართველებს ჰყავთ, ან როგორიც თვით ჯოვანი და ლუკა იყო.[961]

ლამბერტი აფხაზებს რელიგიური თვალსაზრისით კავკასიის მთიელ ხალხებს ადარებს: „ესენი ყველანი ქრისტიანებად იწოდებიან, მაგრამ კანონები კი არა აქვთ... მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით ქრისტიანობა მათ სრულებით არ ეტყობოდათ“.[962]

კასტელის ალბომის მიხედვით კარგად ჩანს, რომ აფხაზეთის ეკლესიებში ღმრთისმსახურება აღარ მიმდინარეობს, ისინი მიტოვებულია. თაყვანისცემა აღარაა ბიჭვინთის ეკლესიაშიც: „იქ მხოლოდ ძველი ჯვარია შემონახული“. შარვაშიძეები დაცარიელებულ ეკლესიებს იტალიელ მისიონერებს გადასცემდნენ, რათა მათთვის ერთობლივად მოევლოთ. კასტელის სიტყვებით, „მათ სურთ ქვეყანაში ასწავლონ ქრისტეს წმინდა სარწმუნოება, რომელსაც ისინი აღიარებენ, მაგრამ არა ჰყავთ არც ერთი მღვდელი“.[963]

ევლია ჩელები ამგვარად ახასიათებს აფხაზეთის რელიგიურ ვითარებას: „მათ რომ ქაფირი (ე.ი. ურჯულო, არამუსლიმი – ავტ.) უწოდონ, კაცს მოკლავენ, მუსლიმი რომ უწოდონ, გაეხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ქაფირი არ უყვართ და მუსლიმს კი სულს მისცემენ“.[964] იგივე ავტორი ჩაჩების თემის შესახებ აღნიშნავს, რომ „ყველა ერთი სარწმუნოების არ არის“, ხოლო ართებში (მდინარე მზიმთის შესართავთან) „ისლამის სარწმუნოება და ყურანი რა არის, არ იციან“.[965]

პატრიარქ დოსითეოსის ცნობით, აფხაზების სარწმუნოება ჯიქებისა და ალანების რელიგიის მსგავსია.[966] ცხადია, იმჟამინდელი აფხაზები განსხვავდებოდნენ იმ აფხაზებისგან, რომლებიც წინა საუკუნეებში დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების მესვეურნი იყვნენ. დოსითეოსს აღნიშნული აქვს, როგორ არბევდნენ აფხაზები ეკლესია-მონასტრებს სამეგრელოში[967]. ზემოთმოყვანილი მისი ცნობა ლევან II დადიანის მიერ 40 ათასი აფხაზის მონათვლის და მათთვის ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ უტყუარი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ მაშინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მკვიდრი ქრისტიანული ქართული მოსახლეობა მთიელმა წარმართებმა

---

957 . . . ..., გვ. 271, 275.
958 . ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ. 785.
959 . ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, გვ. 170.
960 . ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I. თბ., 1966, გვ. 216.
961 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 145.
962 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 5, 166.
963 . ქრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გვ. 177, 192.
964 . ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნ. I, გვ. 106.
965 . იქვე, გვ. 100, 101.
966 . . . , . I, გვ. 28.
967 . იქვე, გვ. 46.

შეცვალეს. სხვანაირად არ იქნებოდა საჭიროება მოსახლეობის მასობრივი მონათვლისა იმ მხარეში, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა, ლიხნის, ანაკოფიის, გაგრის, ბომბორის, ანუხვისა და სხვა ეკლესია-მონასტრები.

ანტიოქიელ პატრიარქ მაკარიოსს სამეგრელოში, კერძოდ, მოქვში ყოფნისას ეახლნენ აფხაზები, რომლებმაც მას მონათვლა სთხოვეს. მაკარიოსის სიტყვებით, „აფხაზებს სურდათ ჰყოლოდათ ადამიანი, რომელიც მათ მონათლავდა და ქრისტეს რწმენას ასწავლიდა. ახლო წარსულამდე ისინი ქრისტიანებად ითვლებოდნენ. მათ ქვეყანაში იყო საკათალიკოზო ტახტი, რომელიც ახლა იმერეთშია. აფხაზთა ქვეყანაშია წმ.ანდრია მოციქულის ეკლესია და მას აფხაზები დიდ პატივს მიაგებენ. ჩვენს დროს აფხაზთა მცირე ნაწილმა იცის პირჯვრის გარდასახვა და მცირე ნაწილი ასრულებს ქრისტიანულ რიტუალებს, ვინაიდან არ ჰყავთ მღვდელთმსახურები და მათზე არავინ ზრუნავს“[968]. ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს წარმართულ აფხაზეთში დარჩენილ ქართველებზე.

პავლე ალეპოელის მიხედვით, „აფხაზების ნაწილი ქრისტიანობას საერთოდ არ აღიარებს, მეორე ნაწილი კი, რომლებიც დადიანს ემორჩილებიან, სახელით ქრისტიანებია, ეთაყვანებიან ხატებს და პატივს მიაგებენ ეკლესიებს, მაგრამ იმის გამო, რომ არ ჰყავთ მღვდლები და ეპისკოპოსები, მონათლულნი არ არიან“.[969]

ვიტსენის ცნობით, „აფხაზების ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. კანონები და დამწერლობა მათ არა აქვთ, სახელით ქრისტიანებია, მაგრამ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს არ იცავენ. მათ ქვეყანაში მრავლად ნახავ აღმართულ ჯვარს“.[970]

ზემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით, აფხაზეთი ისტორიულად ქრისტიანული ქვეყანაა, ისლამი სუსტად ან საერთოდ არ არის გავრცელებული; აფხაზებს მხოლოდ სახელით შეიძლება ეწოდოს ქრისტიანები, თორემ სარწმუნოებით და მოქმედებით ქრისტიანობა სრულებით არ ეტყობათ; მათ არა აქვთ საეკლესიო წიგნები, ისე კი თაყვანს სცემენ ხატებს, ჯვრებს და ეკლესიებს. მათი სარწმუნოება კავკასიელი მთის ტომების რელიგიის მსგავსია. ამგვარი ვითარება XVII ს. ზოგიერთ ავტორს იმის საბაბს აძლევს, რომ აფხაზები საერთოდ სარწმუნოების გარეშე მყოფ ხალხად ჩათვალოს. ამავე ავტორთა დაკვირვებით, ძველად აფხაზეთში, როდესაც აქ საკათალიკოსო მოქმედებდა, სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო.[971]

ბუნებრივია, გვიან შუა საუკუნეების საქართველოში და საერთოდ კავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია (შინა ომები, გარეშე მტერთა თავდასხმები, მაჰმადიანობის გავრცელება) ხელს უწყობდა აფხაზეთში ქრისტიანობის დასუსტებას, მაგრამ აქ ქრისტიანობის დაკნინების უმთავრეს მიზეზად ჯიქურ-აბაზური ტომების მოძალება უნდა მივიჩნიოთ და არა „ფეოდალის ხელისუფლების დასუსტება“[972], როგორც ეს მიაჩნია აფხაზ მკვლევართა ნაწილს.

საისტორიო წყაროებში კარგად ჩანს, რომ XVII საუკუნის 60-80-იან წლებში, აფხაზების და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტომების სამეგრელოში ლაშქრობებისას სოფლებთან ერთად ეკლესია-მონასტრებიც ნადგურდებოდა.[973] ერთ-ერთ იტალიურ წყაროში ისიც არის აღნიშნული, თუ როგორ დახოცეს ასზე მეტი „ბერძენი“, ე.ი. მართლმადიდებელი მღვდელი ყვაპუ შარვაშიძის ბრძანებით.[974] სასულიერო პირები მან ძვირფასი თვლებით შემკული წმ.სტეფანეს სტატუის მოპარვის მოგონილი ბრალდებით დაახოცვინა. მართლმადიდებელი მღვდლების გაულეტვის ნამდვილი მიზეზი კი შარვაშიძეებისადმი დაუმორჩილებლობა და დადიანის მხარდაჭერა უნდა ყოფილიყო.[975]

მთიელთა ექსპანსიის შედეგად ჩრდილო-დასავლეთ ოდიშში XVIIს. ბოლოდან

---

968 . . . XVII , გვ. 43.

969 . ნ. ასათიანი. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ. თბ., 1973, გვ. 75.

970 . . , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

971 . ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 227.

972 . . . . . , 1991, გვ .149.

973 . . . , . I, გვ .46; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. ტ. III. ტფილისი, 1913-1914, გვ. 188, 222.

974 . მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 209.

975 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 266.

შექმნილი სიტუაციის გამო რელიგიის მსახურნი იძულებულნი ხდებიან, საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარი სამეგრელოს შიდა მხარეში გადაიტანონ, კერძოდ: ქიაჩის მონასტრის წმ.გიორგის ხატი ობუჯის ეკლესიაში გადმოიტანეს, ქიაჩის მონასტრის მთავარანგელოზის ხატი – ჭოღაში, მოქვის სახარება – მარტვილში, მოქვის ღმრთისმშობლის ორი ხატიდან ერთი ზუგდიდის ეკლესიაში, მეორე ხობის მონასტერში გადმოასვენეს, ბედიის ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც დადიანების მთავარ სალოცავად ითვლებოდა, მარტვილში გადმოასვენეს.[976]

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან, აფხაზთა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტომების სამეგრელოში ლაშქრობების, მდ. ენგურამდე მდებარე მიწა-წყლის აფხაზეთთან შეერთების, აქ აფხაზური და ჯიქურ-აბაზური თემების დამკვიდრების შედეგად ზედიზედ გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები. XVII-XVIIIსს. მიჯნაზე დასრულდა სხვა ქრისტიანული კერების, შესაბამისად, მართლმადიდებლური სარწმუნოების განადგურება, განსაკუთრებით მდ.ღალიძგამდე. მიუხედავად აფხაზეთის კათოლიკოსების დავით ნემსაძისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის მცდელობებისა, ვერ მოხერხდა მრავალრიცხოვანი საეკლესიო მამულების გადარჩენა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. საეკლესიო გლეხების ნაწილი მომხდურებმა ტყვედ გაყიდეს, ან საკუთარ მონებად აქციეს, ნაწილი კი კათოლიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ სამეგრელოში გადმოასახლა.[977]

წარმართული წეს-ჩვეულებების დამკვიდრებისა და გაძლიერების მიუხედავად, აფ-ხაზეთში მაინც შემორჩა თაყვანისცემა ეკლესიებისადმი, მოკრძალება წმინდანებისადმი. უეჭველია, ეს გარემოება მიგრაციული პროცესების მიუხედავად, ამ კუთხეში ძველი აფხაზური (ქართული) მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დარჩენით უნდა აიხსნას.

ლამბერტის თანახმად, ილორის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიას დიდ პატივს სცემდნენ არამცთუ ქართველები, არამედ მეზობელი ხალხებიც. „იმდენად თაყვანსა სცემენ ამ ეკლესიას, რომ თუმცა იგი მოშორებულია და ზღვის პირად სდგას, ფიქრი არ არის, რომ ვინმემ გაქურდოს იგი, ან მტრის გემით მოვიდნენ და გაძარცვონ იგი, არამცთუ კარის გატეხის შიში არა აქვთ, არამედ მისი ძვირფასი ქვები რომ ახლო-მახლო გზაში დააბნიონ, იმასაც ხელს არავინ ახლებს. ამ წმინდანის შიში მარტო აქაურებს კი არა აქვთ, არამედ თვით აფხაზებსაც, რომელნიც სახელგანთქმული ქურდები არიან“. ამავე ავტორის სიტყვებით, „წმინდა გიორგის დღესასწაულს არა მარტო ოდიშელები, არამედ აფხაზებიც და სვანებიც ბლომად ესწრებიან“.[978]

ძამპის ერთ-ერთი რელაციის მიხედვითაც ილორის ეკლესიას „მეზობელი ხალხებიც დიდ თაყვანს სცემენ, თვით ბარბაროსებიც კი. ასე რომ, უახლოესი მეზობლები, როგორიც არიან აფხაზები, ალანები, ჯიქები და სხვა არამართლმორწმუნენი, მის გაძარცვას ვერ ბედავენ, თუმცა იციან, რომ ეს ეკლესია ძვირფასეულობით და ფულით ძალზე მდიდარია.”[979].

შარდენს სამეგრელოში, კერძოდ, სკურჩაში (ავტორის სიტყვებით ისგაურში) თავად ჰყავს ნახული აფხაზები, რომლებმაც ამ მხარეში ერთ-ერთი ლაშქრობისას ხატის ვერცხლის ჩარჩო გაიტაცეს, თვით ხატი, წმინდანის რისხვით შეშინებულებმა, ადგილზე დატოვეს.[980]

ამრიგად, XVII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთი რელიგიური თვალსაზრისით ძლიერ განსხვავდებოდა როგორც ადრეული შუა საუკუნეების აფხაზეთისგან, ისე საქართველოს დანარჩენი, მეზობელი კუთხეებისგან, სამაგიეროდ მკვეთრ მსგავსებას ავლენდა კავკასიის მთიანეთთან. გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში ქრისტიანული რელიგიის დაცემის და სამაგიეროდ წარმართობის მომძლავრების მთავარი მიზეზი იყო მეზობელი მთიელების, ძირითადად ჯიქურ-აბაზური თემების დამკვიდრება, რომლებმაც აქ მთისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა და წარმართობა ჩამოიტანეს.

---

976 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIIIსს., გვ. 112-113.
977. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 381-382.
978 . არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 141, 142.
979 . ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 197.
980 . იქვე, გვ. 212.

თავი X. ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის.

ანთროპოლოგიურად აფხაზები ერთ-ერთი კარგად შესწავლილი ეთნიკური ჯგუფია კავკასიაში[981]. შესწავლილია მათი სომატოლოგიური[982], კრანიოლოგიური,[983] სისხლის გენეტიკური მარკერები[984], დერმატოგლიფიკა[985], ოდონტოლოგია[986], ფიზიკური განვითარება[987]. მიუხედავად ამისა, აფხაზების წარმომავლობის საკითხი დღემდე სადისკუსიო თემად რჩება.

ამ კვლევების შედეგად შექმნილია სხვადასხვა ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია. ვ.ალექსეევის მიხედვით, კავკასიაში გავრცელებულია სამი რასა: ბალკანურ-კავკასიური, წინააზიური და ინდოპამირული[988]. მისი აზრით, ბალკანურ-კავკასიური რასა წარმოდგენილია კავკასიონის და პონტოური ტიპებით, წინააზიური-არმენოიდულით, ხოლო ინდო პამირული – კასპიურით. სამივე რასას ავტორი განიხილავს დამოუკიდებელი სამხრეთევროპოიდული რასის შემადგენლობაში, აფხაზებს მოიაზრებს ბალკანურ-კავკასიური რასის შემადგენლობაში, ამავე დროს აღნიშნავს კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (ბრაქიკეფალია)[989].

მეტად საინტერესოა ვ.ბუნაკის მიერ შემუშავებული კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის კლასიფიკაცია. მან გამოყო ოთხი რასა: პონტოური, კასპიური, პონტოურზაგროსული (ანუ არმენოიდული) და კავკასიური. პონტოური რასის კლასიკურ წარმომადგენლებად ვ.ბუნაკი მიიჩნევდა ადიღელებს, კასპიურისა – აზერბაიჯანელებს, ხოლო კავკასიურის – იმერლებს. კავკასიური რასა, მისი აზრით, იყოფა: ქვემორიონულად, ყვირილურად და ლიახვ-ალაზნურ ტიპებად[990]. ამავე ნაშრომში ვ.ბუნაკი აფხაზებს განსაზღვრავდა, როგორც ქვემორიონული ტიპის ლოკალურ ვარიანტს.

მ.აბდუშელიშვილის მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა ბევრად უფრო დააზუსტა აფხაზების ადგილი ზოგად სისტემატიკაში. მან აფხაზები ისევე, როგორც ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და გალის რაიონების ქართველები

---

981 . ნაშრომი დაიწერა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეკრულებით (გრანტი №Ш /Ш06/1-032). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებას.

982 . В.В.Бунак. Антропологический состав населения Кавказа. – Вестник Гос. Музея Грузии. Тб., 1946, т. XIIIA, გვ. 89-108; Г.К. Джанберидзе. Абхазо-адыгейские взаимоотношения в свете данных антропологии. - Тез. докл. VII научной сессии Института экспериментальной морфологии АН ГССР. Тб., 1956, გვ. 13-14; Г.К. Джанберидзе. Проблема происхождения абхазов в свете антропологических данных. Автореферат дис. на соискание учён. степени канд. биол. наук. М., 1963, გვ. 13; М.Г. Абдушелишвили. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб., 1964.

983 . მ. აბდუშელიშვილი. მასალები კავკასიის კრანიოლოგიისათვის. - საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. 1955, ტ. 5. გვ. 327-339; . . . .,1974.

984 . А.А. Воронов. Геногеография факторов крови в Закавказье. - IX Международный Конгресс антропологических и этнографических наук. М., 1983, с.1-20; Robert E. Ferrell, Naira Salamatina, S.M. Dalakishvili, N. A. Bakuradze and Ranajit Chakraborty. A population Genetic Study in the Ochamchir Region Abkhazia, USSR. - American journal of Physical Antropology. 1985, p. 63-71, 66; А.А. Воронов, С.М. Далакишвили. Н.В. Соломатина, Р.У. Фуррелл. Генетическая характеристика абхазов. – Абхазское долгожительство. М., 1987, გვ. 127-141.

985 . И.П. Ладария. К изучению дерматоглифики населения Кавказа. - Сов. Этнография, 1975, №4, გვ. 121-130; Г.Л. Хить. Дерматоглифика народов Кавказа. - Полевые исследования института этнографии. М., 1980, გვ. 189-198.

986 . Р.С.Кочиев. Одонтологическая характеристика этнических групп Кавказа. Автореф. дис. на соиск. учён. степ. канд. ист. наук. М., 1971; В.Ф. Кашибадзе. Дифференциация населения Кавказа по одонтологическим данным. - Вопр. антропологии, 1988, вып. 80, გვ.75-78.; Г.А. Аксянова. Характеристика зубной системы (сроки прорезывания, расовые особенности, поражённость кариесом). – Абзаское долгожительство, გვ. 120-125.

987 . П.К. Квициния. Морфологические особенности коренного населения Абхазии (на примере мужчин абхазов), Автореферат на соискание учён. степ. канд. биол наук. М., 1982; Е.Н.Миклашевская, В.С. Соловьёва, О.А. Гилярова, М.Ю Пескина. Особенности соматического развития детей и подростков абхазов. - Феномен долгожительства. М. Наука, 1982, გვ. 160-169.

988 . . . . . ., 1974, გვ. 194.

989 . ბრაქიკეფალია – მოკლე და განიერი თავი.

990 . . . . , - . . ., 1946, . XIII , გვ. 93.

კოლხური ტიპის შავიზღვისპირულ ვარიანტში გააერთიანა[991]. აფხაზების (გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის) ანთროპოლოგიური დაპირისპირება მხოლოდ სომატოლოგიური ნიშნების საფუძველზე, ერთი მხრივ, დასავლურქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან და, მეორე მხრივ, ჩრდილოკავკასიელებთან (ადიღელები), როგორც ჩანს, ამტკიცებს მათ კავშირს უფრო მეტად ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, ვიდრე ადიღელებთან[992].

მოსახლეობის თანამედროვე ანთროპოლოგიური შემადგენლობისა და ეთნოგენეზის კვლევამ ზოგადად აჩვენა, რომ ხალხთა კულტურული და ენობრივი ნათესაობა ხშირად არ შეესაბამება მათ წარმომავლობით ნათესაობას და საერთო გენოფონდს. ცნობილია, რომ ენა და კულტურა შეიძლება გავრცელდეს მათი მატარებლების გარეშე, ხოლო ანთროპოლოგიურ ტიპს ყოველთვის თან ახლავს ენისა და კულტურის გავრცელება[993]. მაშასადამე, ანთროპოლოგიური მონაცემების როლი მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს წერილობითი, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები.

ეთნიკური ანთროპოლოგია ეძიებს რასობრივ და ტომობრივ ელემენტებს, რომლებიც შესულია ამა თუ იმ ეთნოსში. ამდენად ანთროპოლოგიური მასალა იქცევა ისტორიული პროცესების შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ.

ეთნოსი რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომელიც შედეგია ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა. ის წარმოიქმნება, ვითარდება, ზოგჯერ იშლება კიდეც; ამიტომ შეუძლებელია იმ აზრის დაშვებაც კი, რომ რომელიმე ეთნოსს ჩვენამდე მოეღწიოს თავდაპირველი, უცვლელი სახით. შეიძლება შეიცვალოს (და კიდევაც იცვლება ხოლმე) არა მარტო ეთნოსისათვის დამახასიათებელი ენა, კულტურა და ა.შ., არამედ მისი ანთროპოლოგიური იერიც, რაც აუცილებელს ხდის ეთნიკური ჯგუფის ანთროპოლოგიურ შესწავლას სივრცესა და დროში.

ცხადია, რომ აფხაზები გამონაკლისი არ არიან და მათი დღევანდელი სახით ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ადგილი ჰქონდა მათ შეხებას სხვა ტომების წარმომადგენლებთან.

თანამედროვე აფხაზების ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს მიეკუთვნება[994], ხოლო მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრება, მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები მათ საქართველოსთან და ქართველებთან აკავშირებს. ამიტომ, აფხაზთა მორფოლოგიური ტიპის თავისებურების გარკვევა უპრიანია დასავლეთ კავკასიაში განსახლებული თანამედროვე ეთნიკური ჯგუფების ფონზე. ესენი არიან: ქართველები (ლაზები, აჭარლები, გურულები, მეგრელები, სვანები), ადიღები (შაფსუღები, ბჟედუღები, ჭემგუები, აბაძეხები, ზელენჩუკელები, ბესლენელები), აბაზები (აშხარელები და ტაპანტელები) გარემოცვაში. მათ ყველას აქვს თავისი საკუთარი ისტორია, ენა და კულტურა.

ნიშნები, რომელთა საფუძველზე აფხაზები და ადიღები სხვადასხვა რასობრივ ტიპში აღმოჩნდნენ, არის სხეულის სიმაღლე, სახის სიგანე და სიმაღლე, თავის ქალისა და ცხვირის ფორმა.

პონტოური ტიპის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელია სხეულის შედარებით მცირე სიმაღლე (165სმ.), ვიწრო და მაღალი სახე, მეზოკეფალია[995], ვიწრო და სწორი ცხვირი, აპრეხილი ცხვირის წვეტი და ა.შ.

აფხაზები, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები, ხასიათდებიან სხეულის შედარებით დიდი სიმაღლით (168სმ.), განიერი და დაბალი სახით, გამოდრეკილი ცხვირის ზურგითა და დაშვებული წვეტით, მკვეთრად გამოხატული ბრაქიკეფალიით. აფხაზებს ბრაქიკეფალია კიდევ უფრო მეტად აქვთ გამოხატული, ვიდრე დასავლელ ქართველებს. განსხვავება თავის ფორმის მიხედვით აღინიშნება კრანიოლოგიურ მასალაშიც. თავის ქალის მაჩვენებელი აფხაზთა სერიაში (საშუალო) მკვეთრად ბრაქიკრანიულია – 83.5, ადიღების – მეზოკრანიული (76.5.).[996]

აფხაზურ ენაში ორ მთავარ დიალექტს გამოყოფენ: აბჟუურს და ბზიფურს. ანთროპოლოგიური მასალა აღებულია ორივე დიალექტის გავრცელების არეალიდან. შესწავლილია გაგრის (ბზიფი), გუდაუთის (აბღარხუქი, აჭანდარა, დურიფში, ჯირხვა)

---

991 . . . . . ., 1964, გვ. 57.

992 . იქვე, გვ. 58.

993 . . . , . . , ... -
. , 1952, 1. გვ. 22-35.

994 . . . . . - . - , . 4. ., 1967, გვ.. 101-123.

995 . მეზოკეფალია – საშუალო სიგრძის და სიგანის თავი.

996. ბრაქიკრანია – მოკლე და განიერი თავის ქალა; მეზოკრანია – საშუალო სიგრძისა და სიგანის თავის ქალა.

და ოჩამჩირის (კვიტოული, ჯგერდა) რაიონების სოფლებში. აფხაზების სამივე ჯგუფის შიდა-პოპულაციურმა და პოპულაციებს შორის კვლევამ ზოგადად გვიჩვენა საკმაოდ მაღალი მსგავსება.

ყოველ წყვილ პოპულაციას შორის წარმოებულმა შედარებამ აჩვენა, რომ გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის მოსახ-ლეობას შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. გაგრისა და გუდ-აუთის მოსახლეობა განსხვავდება ოჩამჩირის მოსახლეობისაგან ზედა ტუჩის შედარებით დაბალი სიმაღლით, გაგრის მოსახლეობას აქვს შედარებით ნაკლებად გამოხატული ორივე ტუჩის სისქე. ამ ორივე შემთხვევაში P<0.05-ისა.

ჩატარებული კომპონენტური ანალიზი წარმოდგენილია 7 ძირითადი კომპონენტით, რომლებიც მოიცავენ საერთო ვარიაციის 89.1%-ს. მორფომეტრული მონაცემების მიხედვით თითოეული კომპონენტის დატვირთვა საერთო ჯამში გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის მოსახლეობას არ განასხვავებს ერთმანეთისაგან და წარმოაჩენს, როგორც ერთიან პოლიმორფულ ჯგუფს.

იმავე მასალაზე გ.ჯანბერიძემ[997] (ჯანბერიძე – ხელნაწერი) ცალკე შეისწავლა ის ინდივიდები, რომელთა გვარები არ იწვევდნენ არავითარ ეჭვს მათ აფხაზურ წარმომავლობაში და შეადარა ქართულგვარებიან აფხაზებს. განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის არ აღინიშნა. როგორც ავტორი წერს, ამით ამოწურულია ყველა მეთოდი და საშუალება ქართველებსა (მეგრელებსა) და აფხაზებს შორის არსებული განსხვავებული ელემენტის აღმოჩენისათვის (გვ. 21)[998]. უფრო ნათელია აფხაზების მეგრელებთან მსგავსება, ვიდრე ენით მონათესავე აბაზებთან და ადიღელებთან შედარებისას.

მთელ რიგ ტაქსონომიურად მადიფერენცირებელ ნიშნებზე დაკვირვებამ ნათლად გამოაჩინა, რომ შესწავლილი ჯგუფები ქმნიან კავკასიონის ქედით გაყოფილი მსგავსების ორ წრეს: სამხრეთით – ქართულ (მეგრულ)-აფხაზურს და ჩრდილოეთით ადიღურ-აბაზურს. ჩრდილოეთის წრეში შემავალი ორივე ეთნიკური ჯგუფი თანაბრად განსხვავდება მეგრელებისა და აფხაზებისაგან მაშინ, როდესაც ჩანს მათ შორის არსებული შინაგანი მსგავსება[999].

აფხაზების პოპულაციებს შორის გაგრის აფხაზები გამორჩეულად ახლო მორფოლო-გიურ დისტანციებს ამჟღავნებენ როგორც ქართველთა ჯფგუფებთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობასთან. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ ეს დისტანცია ქართველებთან მიმართებაში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიელებთან. გაგრელ აფხაზებთან ყველაზე დაახლოებულ ჯგუფებად მოიაზრებიან გალელი მეგრელები (დისტანცია 0.04) და ლანჩხუთელი გურულები (დისტანცია 0.05). ჩხოროწყუს მეგრელები, ოზურგეთელი გურულები, ხულოს, ქედისა და ქობულეთის აჭარლები, ამბროლაურის რაჭველები და ზესტაფონელი იმერლები მათგან დაშორებული არიან 0.06 მორფოლოგიური დისტანციით. ჩოხატაურის გურულები, ვანელი იმერლები და ყაბარდოელები – 0.07-ით; წალენჯიხის მეგრელები და ჭიათურის იმერლები – 0.08-ით; ხელვაჩაურის ლაზები, რიყეთის აჭარლები, ადიღე-აბაძეხები, ზელენჩუკისა და ბესლენეის ჩერქეზები – 0.09-ით და ზუგდიდის მეგრელები – 0.10-ით.

აღსანიშნავია, რომ აფხაზებს შორის შიდა საერთო მორფოლოგიური დისტანცია არის 0.0933, ლაზებს შორის – 0.0900, აჭარლებს შორის – 0.0852, მეგრელებს შორის – 0.0840, იმერლებს შორის – 0.0700, გურულებს შორის – 0.0633, სვანებს შორის – 0.0600, ყაბარდოელებს შორის – 0.0667, ჩერქეზებს შორის – 0.0600, აბაზებს შორის – 0.0600, ადიღეელებს შორის – 0.0560.

მორფოლოგიური დისტანციები აფხაზებსა და ქართველებს, აფხაზებსა და არაქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის შემდეგნაირად განაწილდა:

აფხაზები – მეგრელები – 0.0893

---

997 . გ. ჯანბერიძე. აფხაზების ანთროპოლოგიური ურთიერთობა ქართველურ და ჩრდილო-კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფებთან. ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების ფონდში. საბეჭდი მანქანით აკრებილი 25 გვერდი).

998 . იქვე.

999 . იქვე, გვ. 21.

აფხაზები – იმერლები	–	0.1050
აფხაზები – აჭარლები	–	0.1081
აფხაზები – ლაზები	–	0.1083
აფხაზები – ადიღელები	–	0.1387
აფხაზები – აბაზები	–	0.1500

ამავე დროს დისტანცია მეგრელებსა და ადიღელებს შორის არის 0.17933.

მოყვანილი დისტანციები მეტყველებენ კავკასიის ხალხთა ახლო მორფოლოგიურ მსგავსებაზე, ხოლო აფხაზები უფრო მეტად ქართველურ ჯგუფებს შორის მოიაზრებიან, ვიდრე ჩრდილოეთკავკასიელებში. მორფოლოგიური დისტანცია აფხაზებსა და მეგრელებს შორის (0.0893), პრაქტიკულად იდენტურია მეგრელებსა და გურულებს შორის არსებული დისტანციისა (0.084).

პალეოანთროპოლოგიური მასალები აფხაზეთის ტერიტორიიდან კერძოდ, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ზოგადად, ძალზე მცირეა. ყველაზე ადრეული მასალა აფხაზეთიდან მცირერიცხოვანი სერიაა გუდაუთის რაიონის სოფელ ღურიფშიდან, რომელიც დათარიღებულია XI–XIII საუკუნეებით. ზოგადად, სერია ხასიათდება ქალასარქველის საშუალო გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი (მკვეთრად ბრაქიკრანული ფორმით), სახე საშუალო სიგანის, მაგრამ უახლოვდება ამ კატეგორიის უმაღლეს ზღვარს, სახის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლის მიხედვით სერია ექცევა ეუროპროზოპულ[1000] კატეგორიაში. ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლისა, უნაგირი ძალზე მაღალი. ნიშნების ეს კომპლექსი წინააზიურ რასობრივ ტიპს ეკუთვნის და ამდენად აფხაზეთის მოსახლეობა განვითარებულ შუა საუკუნეებში, როგორც გენეტიკურად, ისე მორფოლოგიურად შედიოდა წინააზიური რასობრივი ტიპების იმავე ვარიაციების ფარგლებში, რომლებშიაც ასევე შედიოდა ამავე პერიოდის საქართველოს დანარჩენი მოსახლეობაც. უფრო სოლიდურია თანამედროვე სერია აფხაზეთიდან, რომელიც მოპოვებულია სოხუმის მახლობლად[1001]. ზოგადად სერიისათვის დამახასიათებელია მცირე გრძივი და საშუალო განივი დიამეტრები, თავის ქალას მაჩვენებელი - მაღალი (ბრაქიკრანიული), შუბლი - სწორი და ზომიერი სიგანისა, სახის ფუძის სიგრძე - მცირე, ყვრიმალთშუა დიამეტრი - საშუალო, სახის ზედა სიგანე - საშუალო, ცხვირი - საშუალო სიგანისა და სიმაღლისა, მაღალი უნაგირით, მკვეთრად წინ წარზიდული, ორბიტები - საშუალო სიგანისა და სიმაღლისა, სახე - პროფილირებული ჰორიზონტალურ სიბრტყეში და სწორი ვერტიკალურში.

ეს ზოგადი დახასიათება საერთოა მამაკაცებისა და დედაკაცებისათვის. განსხვავება სქესთა შორის თავის ქალას ფორმების მიხედვითაც არ აღინიშნება. გამოთვლილ სერიებში თავის ქალას ფორმების განაწილება ძალზე მსგავსია. მამაკაცებში დოლიქო[1002] - და მეზოკრანიული – 23,8%, ბრაქიკრანიული – 31,0%, ჰიპერბრაქიკრანიული – 38,1%, ულტრაბრაქიკრანიული – 7,1%. იგივე ფორმები დედაკაცების სერიაში შემდეგი შემცველობით აღინიშნება – მეზოკრანიული – 23,5%, ბრაქიკრანიული – 29,4%, ჰიპერბრაქიკრანიული – 41,2% და ულტრაბრაქიკრანიული – 5,9%. თუ ბრაქიკრანიული სერიების შემცველობას შევაჯამებთ, მაშინ მსგავსება აბსოლუტურია (მამაკაცებში – 23,8%, დოლიქო-, მეზო - და – 76,2%. ბრაქიკრანია, ხოლო დედაკაცებში – 23,5% და – 76,5% შესაბამისად).

თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიური პოლიმორფიზმის საფუძველზე მოსახლეობა განეკუთვნება ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. საინტერესოა იმ მორფოლოგიური თავისებურებების აღნიშვნა, რომლებიც კონკრეტულად ამა თუ იმ სერიას აკავშირებს საქართველოს სხვადასხვა ანთროპოლოგიურ ტიპთან. აჭარლების, მეგრელებისა და აფხაზების კრანიოლოგიური სერიები შედარებით ვიწრო სახითა და ცხვირით უსათუოდ კოლხური ტიპის წარმომადგენლები არიან. ავენისის კრანიოლოგიურ სერიაში შეინიშნება კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი შედარებით ფართო სახე. აღსა-

---

[1000] . ეუროპროზოპია – განიერი სახე.

[1001] . **В.И.Чернявский. Яшу-Аху, Абхазия, 1878г. см. в каталоге- Т.И. Алексеева и др. Краниологические и остеологические коллекции Института и Музея антропологии МГУ. М., МГУ, 1986, გვ. 176.**

[1002] . დოლიქოკრანია – გრძელი და ვიწრო თავის ქალა.

ნიშნავია ისიც, რომ ბრაქიკეფალიზაციის პროცესი განხილულ სერიებში არ არის ბოლომდე მისული, რადგან ყველა სერიაში ჯერ კიდევ მეზოკრანების საკმაო რაოდენობაა დაფიქსირებული. თანამედროვე კრანიოლოგიური ტიპები ინდო-ხმელთაშუა რასობრივი შტოს წინააზიური (კრანიოლოგიური სერიები აჭარლების, მთიულების, აფხაზების, სომხების), კასპიური (აზერბაიჯანელების კრანიოლოგიური სერია) და პონტოური (ჩერქეზების კრანიოლოგიური სერია) რასის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევიან. ამ ნიშანთა კომპლექსითაც აფხაზები და ქართველები ერთ რასობრივ კატეგო-რიაში ხვდებიან.

ამრიგად, ანთროპოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ აფხაზთა მორფოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები მათ ქართველურ სამყაროსთან აერთიანებს. ყველა სისტემის მიხედვით - კრანიოლოგია (აჭარლებთან), სომატოლოგია (მეგრელებთან, აჭარლებთან), დერმატოგლიფიკა (აჭარლებთან, ზოგადად ქართველებთან), სისხლის იზოანტიგენური სისტემები და ოდონტოლოგია (დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან) - ერთმნიშვნელოვნად ავლენენ მაღალ მორფოლოგიურ მსგავსებას ქართველებთან. როგორც მ.აბდუშელიშვილი წერდა, "ქართველური და აფხაზური ჯგუფების მსგავსება გენეტიკური ნათესაობის ხასიათისაა"[1003]. ეს გენეტიკური ნათესაობა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, იმით რომ ძველი აფხაზები, ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, სვანები[1004]; მეორე, როგორც გ.ჯანბერიძემ დაასკვნა, აფხაზთა თავისებური მდგომარეობა ადიღურ ენობრივ ჯგუფში აიხსნება დასავლელ ქართველებთან მათი ნათესაობით. მისი აზრით, რომელსაც მორფოლოგიური ფაქტები ადასტურებენ, აფხაზთა ეთნოგენეზი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველების რომელიღაც ჯგუფის ადიღურ ენაზე გადასვლა; ანუ აფხაზთა ფიზიკური წინაპრების უდიდესი უმრავლესობა ნაწილი იყო არა სხვა აფსუა-ადიღურ ხალხთა წინაპრებისა, არამედ თანამედროვე ქართველების ქართულენოვანი წინაპრებისა[1005]. ამ მოსაზრებას იზიარებს ვ.ალექსეევიც. ის ეთანხმება თვალსაზრისს, რომ ანთროპოლოგიურად აფხაზები უფრო ახლოს დგანან ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, ვიდრე ადიღელებთან. იგი წერს: „აფხაზთა გაერთიანება ადიღური ენობრივი ჯგუფის შემადგენლობაში, ალბათ, შედარებით გვიან განხორციელდა და, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენს მეორად მოვლენას მათ ეთნიკურ ისტორიაში."[1006] მესამე, უძველესი კავკასიური კულტურული და ეთნიკური ერთობლიობის[1007] საფუძველია ის ძველი სუბსტრატი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. III ათასწლეულში მაინც საერთო იყო კავკასიის აბორიგენი მოსახლეობისათვის. ეს ნათლად ჩანს დასავლეთ საქათველოს მოსახლეობის, როგორც მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობაში, ასევე ზოგიერთი გენეტიკური მარკერების გავრცელებაში. ამის ერთ-ერთი ნათელი დასტურია ABO სისტემის სისხლის ჯგუფების გავრცელება საქართველოში. მთლიანობაში ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა ძირითადად ორ მეტ-ნაკლებად მსგავს ჯგუფად დიფერენცირდება. როგორც წესი, ეთნიკურ ჯგუფებში შემადგენელი ნიშნების რასობრივი თავისებურებანი დიდხანს ინახავენ ერთობისა და მსგავსების იმ ფორმებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ მათ ჩამოყალიბებას. მით უმეტეს, ტერიტორიულად დაახლოებული ადგილობრივი ჯგუფების ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი ეთნიკური ერთობლიობა ანთროპოლოგიურად რჩება ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ცვალებადობის ფარგლებში[1008].

1003 . მ.აბდუშელიშვილი. მასალები კავკასიის კრანიოლოგიისათვის. - საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტეს შრომები, ტ. 5. თბ., 1955, გვ. 327-392.

1004 . გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998.

1005 . . . ., გვ. 13.

1006 . იქვე გვ. 10; . . . ., 1974, გვ. 194.

1007 . . . . ( ). „1963, გვ. 8.

1008 . . . . - . „1974, გვ. 3-10.

თავი XI. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები

ისტორიკოსები და ეთნოლოგები ხშირად იყენებენ ენობრივ ფაქტებს ისტორიულ-ეთნოლოგიურ საკითხთა კვლევისას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ზოგი ისტორიული ეპოქის შესახებ ან საერთოდ არ არსებობს არავითარი წერილობითი წყაროები, ან ისინი საკმარისი არ არის, ან კიდევ არსებული წერილობითი წყაროების ცნობები გარკვეულ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ბუნდოვანია; ენა კი ის ფენომენია, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს კონკრეტული ეთნოსის მიერ განვლილ ისტორიულ გზას და გვაწვდის უტყუარ, გაუყალბებელ მონაცემებს იმის შესახებ, თუ სად უცხოვრია ეთნოსს, ისტორიულ-კულტურული განვითარების რა საფეხურები გაუვლია მას, როგორი ურთიერთობები ჰქონია მეზობელ ეთნოსებთან და ა.შ.

პირველი მკვლევარი, ვინც დიდ ყურადღებას უთმობდა ენობრივ ფაქტებს და მათ საფუძველზე გამოჰქონდა დასკვნები თანამედროვე აფხაზი ხალხის გენეზისის, მისი თავდაპირველი საცხოვრისის ლოკალიზაციისა და აფხაზთა წინაპრების მიგრაციის მიმართულებათა შესახებ, იყო აკად. ნიკო მარი[1009]. სწორედ ნ. მარის დასკვნები უდევს საფუძვლად მომდევნო პერიოდის ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა, არქეოლოგთა და ენათმეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ გაზიარებულ და შევსებულ-მოდიფიცირებულ ჰიპოთეზებს იმის შესახებ, თითქოს:

1. დასავლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო აფხაზთა, აბაზათა, ადიღელთა, ყაბარდოელთა და უბიხთა საერთო წინაპარი ტომებით (წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსით), რის დასტურადაც ასახელებენ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ **ფს(ა)**, **ყვა** და **რა** მარცვლების შემცველ ტოპონიმებს, ჰიდრონიმებსა და სატომო სახელებს, რომლებიც წინარეაფხაზურ-ადიღური მოსახლეობის შექმნილად ცხადდება.

2. წინარეაფხაზურ-ადიღური მოსახლეობა სამხრეთით ვრცელდებოდა თითქმის ანატოლიის შუამდე, რის დამადასტურებლადაც მიიჩნევენ ძვ.წ. II ათასწლეულში ფიქსირებულ ეთნონიმებს **აბეშლასა** და **კაშკს**. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს დასახელებულ ეთნონიმთა ფონეტიკური მსგავსება აფხაზთა ავტოეთნონიმ **აფსუა**-სთან და ჩერქეზთა აღმნიშვნელ ქართულ **ქაშაგ** (რუს. касог)-თან.

3. ახ.წ. დასაწყისის ბერძნულ-ლათინურ წყაროებში დასახელებული **აფშილები** და **აბასგები** აფხაზებისა და აბაზების წინაპრები ყოფილან. აბაზათა ერთი ნაწილი (ტაპანთელები) ჩრდილოეთ კავკასიაში XIII-XIV საუკუნეებში გადასახლებულა, მეორე ნაწილი კი (აშხარელები) – XVII-XVIII საუკუნეებში.

4. ქართული მოსახლეობა თავიდანვე არ ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში. მეგრულ და სვანურ მეტყველებებს ამჟამინდელ აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში წინ უსწრებდა აფხაზურ-აბაზური, უბიხური და ჩერქეზული ენები, რომელთა კვალი ენობრივი სუბსტრატის სახით დღემდე ჩანს მეგრულ-სვანურის სტრუქტურასა და ლექსიკაში და ა. შ.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანი და დასაბუთებულია დასახელებული დასკვნები, რომლებიც ნ. მარისაგან მომდინარეობს, უპრიანია, კრიტიკულად შევაფასოთ ნ. მარის დასკვნების სანდოობის ხარისხი და კვლევის მეთოდოლოგია.

მაგალითად, აფხაზური ენის კვლევისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ უპირველეს ნაშრომში ნ. მარი წარმოადგენს თავის მოსაზრებებს აფხაზთა შორის გავრცელებული გვარსახელის **გუბაზ**-ის შესახებ. იგი სიტყვას ასე შლის: **გუ-ბა-ზ** ← ***გუ-ბა-ძე**. მკვლევრის აზ-

[1009]. **Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. Ленинград, 1936.**

რით, პირველი მარცვალი **გუ** გულის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-გუ**[1010] სიტყვის ძირია, **ბა** აფხაზურ გვარსახელთა მაწარმოებელი სუფიქსია (შდრ. თარ-ბა, ამიჭ-ბა, აჯ-ბა...), ხოლო **ზ** თანხმოვანი მიღებულია ქართულ გვარსახელთა მაწარმოებელი **ძე**-საგან ხმოვნის დაკარგვისა და **ძ** → **ზ** პროცესის შედეგად. ავტორს მიაჩნია, რომ **გუბაზ** ფორმა ნაა-ფხაზარი, ქართიზებული სახეობაა ამოსავალი **გუბა** ვარიანტისა („გულაძე, გულიძე“). იგივე **გუბაზ** ფორმა მოგვიანებით თურმე მამაკაცის სახელადაც ქცეულა (შდრ. ლაზი-კის ცნობილი მეფე გუბაზი V საუკუნეში). ამისი დამადასტურებელი ყოფილა გურიის მდინარე **გუბაზოულის** სახელიც. გვარსახელის ამგვარ ინტერპრეტაციას მოსდევს და-სკვნა, თითქოს აფხაზთა წინაპრებს V საუკუნემდე დიდი ხნით ადრე ეცხოვროთ არა მარტო აწინდელი აფხაზეთის, არამედ გურიის ტერიტორიაზეც და მეფე გუბაზ I-ის და-ბადებამდე მომხდარიყოს აფხაზთა ქართიზაცია[1011].

რამდენად მართებულია ნ. მარის ეს მსჯელობა? პასუხი ასეთია:

ჯერ ერთი, ახ. წ. V საუკუნემდე **-ბა** სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელთა და, საერ-თოდ, გვარების რაიმე მოდელის არსებობა აფხაზთა შორის **წარმოუდგენელია**, ვინაიდან იმ დროს გვარსახელები არ ჰქონდათ აფხაზთა წინაპრებზე ბევრად დაწინაურებულ ხალხებსაც კი.

მეორე, თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ XIII-XIV საუკუნეებამდე აფხაზები და აბაზები ერთად სახლობდნენ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და მდ. ყუბანის ხეობაში პირველად ტაპანთელები გადასახლდნენ, მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ტაპანთელებს შორისაც უნდა იყოს გავრცელებული **-ბა** სუფიქსიანი გვარსახელები. რე-ალურად კი, ტაპანთურ სოფლებში ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ **თარ-ბა**-ს ტიპის გვარსახელები საერთოდ არ არის გავრცელე-ბული ტაპანთელებში, ხოლო აშხარელ აბაზათა შორის სულ 13 გვარსახელს უჩანს იგივე **-ბა** დაბოლოება[1012]. საყურადღებოა, რომ ამ 13 გვარსახელიდან 9-ს ორ-ორი ვა-რიანტი აქვს (**-ბა** სუფიქსიანი და კრებით სახელთა **-აა** მაწარმოებლიანი), 3 გვარსა-ხელს – სამ-სამი (იმავე მაწარმოებლებითა და **-ძა** სუფიქსით, რომელიც ქართული -ძე სუფიქსისაგან მომდინარეობს[1013]). პარალელური ვარიანტების არსებობა და ის ფაქტი, რომ **-ბა** სუფიქსი მხოლოდ რუსულ გამოთქმაში გამოიყენება[1014], იძლევა საფუძველს მტკიცებისათვის, რომ **-ბა სუფიქსიანი წარმოება არ არის ორგანული არც აშხარული გვარსახელებისათვის და აშკარად აფხაზური ენის გავლენის შედეგი ჩანს.** ამ დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი რეალურ-ისტორიული ფაქტი: XX საუკუნის 20-30-იან წლებში აშხარელთა 60 კომლი სოფელ ფსჰუში (გუდაუთის რ-ნი) ჩამოასახ-ლეს[1015], როგორც ჩანს, აფხაზთა შორის ინტეგრაციისათვის, მაგრამ ისინი შემდგომში (მეორე მსოფლიო ომამდე) უკან დაბრუნდნენ. უსაფუძვლო არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ სწორედ ფსჰუში ბინადრობისას დაუმკვიდრდათ **-ბა** სუფიქსიანი აფხაზური მოდელის გვარსახელები აშხარელ მიგრანტებს, რაზეც **-ბა** სუფიქსიანი ვარიანტების მხოლოდ რუსულ გამოთქმაში გამოყენების ფაქტიც მიანიშნებს (ეს პასპორტიზაციის ზეგავლე-ნაა). ასე რომ, აშხარელთა შორის გვარსახელთა აფხაზური მოდელის გავრცელება აფხაზ კომუნისტთა **ენობრივი პოლიტიკის შედეგია** და არა ძველისძველი ისტორიული ფაქტის გამოძახილი.

მესამე, ქართულ გვარსახელთა **-ძე** დაბოლოება შესაბამისი გვარების მატარებელთა გააფხაზების შემთხვევაში არ იძლევა ოდენ **ზ** თანხმოვანს. წესი ასეთია: თუ გვარის წარმომადგენელი ახალი გააფხაზებულია, **-ძე** დაბოლოება აფხაზურ გამოთქმაში უც-ვლელი რჩება (ჩაკვეტაძე, არუხაძე, ჩხიიძე||ჩხეიძე...), ხოლო თუ გააფხაზება დიდი ხნის მომხდარია, მაშინ დაბოლოების **ძ** თანხმოვანი უცვლელი რჩება, ხოლო **ე** ხმოვანი იშ-ლება **ᲂᲐ** კომპლექსად, ან აბაზურში გადადის **ა** ხმოვნად (შდრ. კასრაძე → აფხაზ. **კას-**

[1010]. ტექნიკური მიზეზების გამო აფხაზურ-აბაზური ენობრივი მასალა აქაც და ქვემოთაც გადმოცემული გვაქვს გამარტივებული ტრანსკრიფციით.

[1011]. Н. Я. Марр. Из лингвистической поездки в Абхазию, გვ. 57-58.

[1012]. ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბ., 1954, გვ. 223.

[1013]. იქვე, გვ. 224.

[1014]. იქვე, გვ. 224.

[1015]. იქვე, გვ. IX.

ლანძია, კილაძე → აფხაზ. **კილ-ბა**, აბაზ. **კილძა**)[1016].

რაც შეეხება ჰიდრონიმ **გუბაზოულს**, მას საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელის[7] კნინობითი **გუბაზ-ა** ფორმა, რომელსაც დაერთვის **-ულ**‖**-ურ** სუფიქსი. ეს სუფიქსი, ჩვეულებრივ, მიწის ნაკვეთის მფლობელობას აღნიშნავს (შდრ. მახინჯ-ა-ურ-ი, ამბროლ-ა-ური, ხარაგ-ა-ულ-ი). ასეთი სახელების ჰიდრონიმებად ქცევაც არ არის უჩვეულო მოვლენა. რაც მთავარია, **გუბაზოული** არც ისე ძველი სახელია, როგორც ეს ნ. მარს მიაჩნდა.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ აფხაზური მოსახლეობა არასოდეს ბინადრობდა გურიაში და აკად. ნ. მარის „თეორიას“ მთელ დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად აფხაზთა წინაპრების ცხოვრების შესახებ არა აქვს არც ლინგვისტური და არც ისტორიული საფუძვლები.

იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოში **ფს(ა)**, **ყვა**, **რა** ელემენტებიანი და ზოგი სხვა ტიპის ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და სატომო სახელების მცდარი ანალიზის საფუძველზე შექმნილი შეხედულების შესახებ, თითქოს ასეთი ენობრივი ფაქტები ადასტურებდნენ დასავლეთ საქართველოში წინარე-აფხაზურ-ადიღურ ტომთა ცხოვრებასა და მათ შემდგომ ასიმილაციას გვიან მოსული ქართველური მოსახლეობის მიერ. თანამედროვე მკვლევრები უკვე აღარ იზიარებენ ამ დაუსაბუთებელ „თეორიებს“ და ახლებურად ხსნიან ამგვარ ფაქტებს (იხ.: ა. ონიანის, ტ. ფუტკარაძის, მ. ჩუხუასა და სხვათა ახალი გამოკვლევები). აქ თვალსაჩინოებისათვის მოკლედ შევეხებით ერთ სადავო საკითხს:

გურია-აჭარის ტერიტორიაზე დასტურდება რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, რომლებიც **ყვ(ა)** მარცვალს შეიცავენ: **მალთაყვა**, **ბობოყვათი**, **ჯურუყვეთი**... გურიაშივე გავრცელებულია ამავე მარცვლის შემცველი გვარსახელები: **ინგოროყვა**, **როყვა**, **ართილაყვა**, **ღელეყვა**... ერთი თვალსაზრისით, დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებში **ყვა** ელემენტი ჩერქეზული სიტყვაა და ღელეს, ხევს ნიშნავს, ხოლო დასახელებულ გვარებში გამოყოფენ ასევე ჩერქეზულ **ყვა** („ძე, ვაჟი“) ფუძეს, რაც თითქოს გურია-აჭარაში ჩერქეზთა ოდინდელი ბინადრობის დამადასტურებელია. მეორე თვალსაზრისით, დასახელებულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში **ყვა** სოხუმის აფხაზურ სახელს **აყვა**-ს უკავშირდება, რაც იმავე ტერიტორიაზე აფხაზთა წინაპრების ცხოვრების მანიშნებელი ყოფილა. ორივე თვალსაზრისს ერთი **არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი** აქვს: საანალიზო სიტყვებში გამოიყოფა და „იდენტიფიცირდება“ მხოლოდ ერთი სეგმენტი, სიტყვათა დანარჩენი სეგმენტების ახსნას კი ვეღარ ახერხებენ. არავინ იწუხებდა თავს იმის დამაჯერებელი განმარტებით, თუ რას წარმოადგენს **მალთა**, **ბობო**, **ჯურუ** (გეოგრ. სახელებში), ან **ინგორო**, **რო**, **ართილა**, **ღელე** (გვარსახელებში). ეს იმას ნიშნავს, რომ საანალიზო მასალის **ეტიმოლოგია დაუდგენელია,** არადა სწორედ სანახევრო „ანალიზის“ საფუძველზე კეთდება შორს მიმავალი ისტორიულ-ეთნოლოგიური დასკვნები, რაც ყოვლად გაუმართლებელია[1017].

1. **აფხაზური ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით**

ის ეთნოსი, რომელიც თავის დედაენაზე საკუთარ ეთნიკურ ვინაობას **აფსუა** სახელით აღნიშნავს, გვიანდელი ქართული ტრადიციის მიხედვით აღინიშნება **აფხაზის** სახელწოდებით. აფხაზებთან ენობრივ-ეთნიკური ნიშნებით ყველაზე ახლოს დგანან **აბაზები**, რომლებიც ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის ხეობაში გაფანტვით მდებარე 13 სოფელში სახლობენ (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკა). აფხაზთა კიდევ ერთი ახლომონათესავე ეთნოსი – **უბიხები** 1864 წლამდე ცხოვრობდნენ ქ. სოჭისა და ადლერის მიმდებარე ზოლში. ეს ხალხი მთლიანად გადასახლდა ოსმალეთში, სადაც

[1016]. აფხაზთა შორის გავრცელებულ გვარსახელთა ლინგვისტური ანალიზი ვრცლად წარმოდგენილია ქვემოთ. რაც შეეხება ნ. მარის კიდევ ერთ სანახევროდ მეცნიერულ ნაშრომს ტერმინ „აფხაზის“ შესახებ, მისი კრიტიკული შეფასებაც ქვემოთაა მოცემული.

[7]. მაგალითად, ეგრისის მეფეები გუბაზ I (V ს. 50-60-იანი წლები) და გუბაზ II (VI ს. 40-50-იანი წლები).

[1017]. განსახილველ საკითხს საყურადღებო ნამშრომი უძღვნა მ. ჩუხუამ 2006 წლის 22-23 სექტემბერს ბათუმში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელშიც დასახელებული მასალა ახსნილია ქართველურ ნიადაგზე. ნაშრომი იბეჭდება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყვა დაბოლოებიანი გვარსახელები არ ფიქსირდება უძველეს წერილობით წყაროებში და ამიტომაც არ გამოდგება ისტორიამდელი ვითარების საკვლევად.

დაკარგა დედაენა და შეერია თურქებსა და კავკასიელ მუჰაჯირებს. აფხაზთა ახლომონათესავენი არიან აგრეთვე **ჩერქეზების** ზოგადი სახელით ცნობილი **ადიღელები** (ადიღეს რესპუბლიკაში) და **ყაბარდოელები** (ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში).

აფხაზური ენა შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში აბაზურ, უბიხურ, ადიღურ და ყაბარდოულ „ენებთან“ ერთად. რეალურად აფხაზური და აბაზური არ არის ერთმანეთისაგან იმდენად დაშორებული მეტყველებანი, რომ მათ დამოუკიდებელი ენები ეწოდოს[1018]. მათ შორის ისეთივე დაცილების ხარისხია, როგორც ქართული ენის გურულ და კახურ კილოებს შორის გვაქვს. კიდევ უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან ადიღეური და ყაბარდოული. ამიტომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლური ჯგუფის დახასიათებისას უფრო მართებული იქნებოდა, გვესაუბრა არა ამ ჯგუფში შემავალ 5 ენობრივ ერთეულზე, არამედ 3 ენაზე (1. აფხაზურ-აბაზური ენა; 2. უბიხური ენა; 3. ჩერქეზული ენა). სამივე ეს ენა მომდინარეობს წინარეიბერიულ-კავკასიური ენისაგან წარმოქმნილი წინარე-აფხაზურ-ადიღური ენისაგან, რომელსაც, სავარაუდოდ, უნდა ეარსება ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან ახ. წ. დასაწყისამდე და ამ დროს უნდა დაშლილიყო ამჟამად არსებულ 3 ენად. სხვაგვარად შეუძლებელი ჩანს იმ სტრუქტურული და მატერიალური სიახლოვის ახსნა, რაც თვალნათლივ შეინიშნება აფხაზურ-აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებს შორის.

წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად სად ბინადრობდნენ ამჟამინდელ აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრები, ანუ წინარეაფხაზურ-ადიღურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა. რაკი, წინარეაფხაზურ-ადიღურ ენაზე თუ თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ, ან ჩერქეზულ ენებზე მოლაპარაკეთა ბინადრობა დასავლეთ საქართველოში ვერ მტკიცდება ვერც წერილობითი წყაროებისა და ვერც ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, ლოგიკურია, მათი საცხოვრისი ვეძიოთ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზიდან მდინარე თერგის ნაპირებამდე მდებარე ტერიტორიაზე. ეს ის ტერიტორიაა, სადაც შუა საუკუნეების ისტორიული წყაროები ტრადიციულად მიუთითებენ უბიხთა, ჩერქეზთა და, რაც მთავარია, აფხაზ-აბაზათა ბინადრობას და სადაც დღემდე ცხოვრობენ აბაზები და ჩერქეზები (1864 წლამდე – უბიხებიც). საყურადღებოა, რომ აფხაზი ხალხია **ერთადერთი** აფხაზურ-ადიღური მოდგმის ეთნოსი, რომელიც სამხრეთ კავკასიაშია წარმოდგენილი, დანარჩენები კი ჩრდილოეთ კავკასიაში ბინადრობდნენ აბაზების ჩათვლით. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. არცერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან არც აფხაზები, არც აბაზები, არც უბიხები და არც ჩერქეზები, სამაგიეროდ აქ სახელდებიან კოლხების//ეგრების უეჭველად ქართველური ტომები[1019], აქვე დასტურდება ასევე ქართველური წარმოშობის გეოგრაფიული სახელებიც (იხ. ქვემოთ).

მაინც სად უნდა გამოცალკევებულიყვნენ აფხაზ-აბაზათა საერთო წინაპრები წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსისაგან? ამ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ იმ ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეთნარქ-ეპონიმების განსახლების სქემა. უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი **საერთოდ არ იყენებს** ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, რაც ავტორის მყარი კონცეფციის გამოხატულებაა. მემატიანისათვის **თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ეთნიკურ-ტერიტორიულ ერთეულს** და იგი არა მარტო ეგრისის განუყოფელი ნაწილია (იხ. აქვე, გვ. 30), არამედ მისი კულტურულ-იდეოლოგიური და პოლიტიკური ცენტრის – ბედიის (ქ. ეგრისის) სამყოფელია. თარგამოსის – ყოველთა კავკასიელთა მამის – შესახებ ლეონტი წერს: „ხოლო ეგრისსა [= ეგროსსა – ავტ.] მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა სა-

[1018]. ნიშანდობლივია, რომ აფხაზურ-აბაზური ენის უდიდესი მკვლევარი, აკად. ქ. ლომთათიძე 1954 წლამდე გამოცემულ არცერთ ნაშრომში ცალკე ენად არ ასახელებდა აბაზურს და ტაპანთურ-აშხარულ მეტყველებებს აფხაზური ენის დიალექტებს უწოდებდა.

[1019]. არავითარ ანგარიშგასაწევ არგუმენტს არ ემყარება თვალსაზრისი, თითქოს კოლხების სახელით აფხაზთა წინაპრებიც აღინიშნებოდნენ. ეს მოსაზრება სასურველის რეალურად წარმოდგენა უფრაა, ვიდრე ემპირიული მასალის ობიექტური მეცნიერული კვლევის შედეგი.

ზღუარი აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქუიან ლიხი, დასავლით ზღუა, მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქუიან ბედიაჲ"[1020]. ე. ი. ლეონტის ცნობით, **ეგრისი** (**ეგრი** და **ეგური**) ერქვა მიწა-წყალს ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და ამ მიწის ჩრდილოეთის საზღვარი მდინარე ყუბანის (მცირე ხაზარეთის მდინარის) შესართავთან გადიოდა. ამ მიწაზე მობინადრეებს მემატიანე **მეგრნი**, **მეგრელნი** სახელით აღნიშნავს და გულისხმობს არა მხოლოდ ამჟამინდელ მეგრელთა უშუალო წინაპრებს, არამედ ეგრისის ყველა მცხოვრებს მეგრელების, სვანებისა და ლაზების წინაპართა ჩათვლით, მაგრამ არამცდაარამც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებს.

იქვე მემატიანე ასახელებს **კავკას(ოს)ს**, რომელიც აფხაზურ-ადიღურ ეთნოსთა, მათ შორის აფხაზთა, საერთო წინაპარია. კავკასოსის წილხვედრი მიწა განისაზღვრება მდინარე თერგიდან კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ პუნქტამდე, ანუ მდინარე ყუბანის ზღვასთან შესართავამდე (ეგროსის წილხვედრი მიწის ჩრდილოეთის საზღვრამდე): „და მისცა კავკასის [= კავკასოსს – ავტ.] მდინარეთაგან ლომეკისა [= თერგი – ავტ.] ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა [= კავკასიონისა – ავტ.] დასავლით"[1021].

მემატიანეს ერთმანეთში არ აერეოდა ეთნიკური ქართველი (მეგრელი, ლაზი, სვანი) და ეთნიკური აფხაზი (აფსუა) და მათ საერთო წინაპრად ეგროსს არ იგულისხმებდა. ლეონტი მროველს სწორედ კავკასოსი მიაჩნდა აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრად. მისი სამფლობელოც უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართველთა მიწა-წყალს, თანაც სწორედ მდინარე ყუბანის შესართავთან, რომლის სიახლოვესაც ბერძენი ავტორები შემთხვევით სულაც არ უნდა ასახელებდნენ ქალაქ **ძველ ლაზიკას** (ლაზიკაც, როგორც ცნობილია, იმ ეტაპზე მთელ დასავლეთ საქართველოს ერქვა და ლეონტისეული **ეგურის, ეგრისა** და **ეგრისის** სინონიმი იყო).

ამრიგად, **ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან ახ. წ. დაწყებამდე ამჟამინდელ აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრები, რომლებიც ჯერ კიდევ დაუშლელ ენობრივ-ეთნიკურ ერთობას ქმნიდნენ, ბინადრობდნენ არა დასავლეთ საქართველოს მიწაზე, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირიდან მოკიდებული მდინარე ყუბანის შესართავამდე, სადაც „წასწუდების წუერი" კავკასიონისა, ე. ი. ქედის უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე.**

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან იწყება ერთიანი წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსის დაშლა, ჩნდება 3 ენა (აფხაზურ-აბაზური, უბიხური და ჩერქეზული), რაც 3 ახალი ეთნოსის ჩამოყალიბების მომასწავებელია. თავის მხრივ, აფხაზურ-აბაზურ ენაზე მოლაპარაკე ახალი ეთნოსი 2 მთავარი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგებოდა 2 მთავარი დიალექტით: ამჟამინდელ აფხაზთა, ანუ აფსუათა ტომისაგან და აბაზათა ტომისაგან. მეზობელი ეთნოსები (განსაკუთრებით ჩერქეზები) აფხაზ-აბაზათა განმაზოგადებელ, საერთო სახელწოდებად იყენებდნენ **აბაზა** ტერმინს, რომელიც მათგან ოსმალებს შეუთვისებიათ: გვიან შუა საუკუნეთა ოსმალურ წყაროებშიც და ამჟამინდელ თურქულშიც აფხაზებს **აბაზა** სახელით (მრ. რ. **აბაზა-ლარ**) აღნიშნავენ[1022].

მოსაზრება საერთო იბერიულ-კავკასიური (წინარეკავკასიური) ენისაგან წინარეაფხაზურ-ადიღური ენის ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე გამოყოფის შესახებ ემყარება სანდო ლინგვისტურ-ისტორიულ მონაცემებს, თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს ქართველურ ენა-კილოთა ნათესაობას აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებთან. კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობის ფაქტი 1979 წ. საბოლოოდ დაადგინა აკად. არნ. ჩიქობავამ ყველა ამ ენის უმდიდრეს ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ მონაცემთა აკადემიური ანალიზის საფუძველზე[1023]. არსებითია ის ფაქტიც, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობას უპირატესად უარყოფენ ის ავტორები, რომლებიც იცნობენ და იკვლევენ ან მხოლოდ ქართველურ ენა-კილოებს და ხელი არ მიუწვდებათ აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა

[1020]. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1942, გვ. 2.

[1021]. იქვე, გვ. 3.

[1022]. ც. აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 274-276.

[1023]. არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 253.

კვლევაზე, ან პირიქით, იცნობენ და იკვლევენ აფხაზურ-ადიღურ თუ ნახურ-დაღესტნურ ენებს, მაგრამ არ ძალუძთ ქართველურ ენა-კილოთა დამოუკიდებლად ანალიზი. ამიტომ, ბუნებრივია, ამ საკითხზე იმ მეცნიერთა დასკვნები უნდა იქნეს გაზიარებული, ვისაც დასახელებული ნაკლი არა აქვს.

სამხრეთ კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მობინადრე წინარეკავკასიელების საზიარო ენა ალბათ მინიმუმ 4 მთავარი დიალექტისაგან შედგებოდა, რომელთა თანდათანობითი ენობრივი დაშორება უნდა გამოეწვია წინარეკავკასიელთა განსახლების არეალის გაფართოებას. სავარაუდოა, რომ წინარეკავკასიური ენის წინარეაფხაზურ-ადიღურ დიალექტზე (და არა ენაზე) მოლაპარაკენი უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში დასახლდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე თერგიდან ყუბანის შესართავამდე, წინარენახურ-დაღესტნურ დიალექტზე მოსაუბრენი – თერგიდან დარუბანდამდე, წინარე-ალბანურ დიალექტზე მოლაპარაკენი უნდა დარჩენილიყვნენ ამჟამინდელი აზერბაიჯანის მიწაზე (ისტორიული ჰერეთის გამოკლებით), ხოლო ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრათ არაინდოევროპულ დიალექტზე მოლაპარაკე ტომებს, რომლებიც ემეზობლებოდნენ ურარტუელებს. რაც შეეხება წინარექართველურ დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობას, იგი ცხოვრობდა ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (შდრ. ლეონტი მროველის სქემა) და სამხრეთ-დასავლეთით ემიჯნებოდა პროტოხეთურ (ხათურ)-ხურიტულ ტომებს. ძვ. წ. I ათასწლეულის ახლოს ეს წინარეკავკასიური დიალექტები უკვე ენებად ჩამოყალიბდა და ასე მივიღეთ წინარექართველური, წინარეაფხაზურ-ადიღური, წინარენახურ-დაღესტნური და წინარეალბანური ენები, რომლებიც თავის მხრივ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დაიშალა იმ ენებად, რომლებიც ამჟამად ქმნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს არაინდოევროპული წინარესომხური (ჰაიური) ენა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეში წყვეტს არსებობას ინდოევროპელი არმენების შემოსევებისა და სომხეთში დამკვიდრების გამო.

ასე რომ, სრულიად ნათელი ხდება, თუ რატომ არ ჩანს და არცაა საძიებელი თანამედროვე აფხაზ-აბაზათა, ჩერქეზთა და უბიხთა წინაპრების ნაკვალევი ამჟამინდელი ტუაფსე-ფსოუს, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარისა და ლაზეთის მიწებზე, თუ რატომ არ იხსენიებიან აფხაზ-აბაზა-უბიხ-ჩერქეზთა წინაპრები ანტიკურ წყაროებში, თუ რატომაა მეცნიერულად გაუმართავი ზოგი აფხაზი ავტორის მითოლოგიზებული განცხადებანი: „აღიარებულია, რომ აფხაზური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენაა“; „აფხაზურ-ადიღური წინარეენის დაშლა სამ ძირითად შტოდ (აფხაზებად, ადიღებად, უბიხებად), როგორც მიჩნეულია, დაიწყო ხუთიათასი წლის წინათ“; „აფხაზ-ადიღთა წინარეენაზე მოლაპარაკე ხალხი მისდევდა მესაქონლეობას, იშენებდა საქონელს, ამზადებდა სხვადასხვაგვარ ხელოსნურ ნაწარმს, ამუშავებდა ლითონებს. ამას ადასტურებენ აფხაზეთის არქეოლოგიური მასალები“; „იმის სასარგებლოდ, რომ წინარეენის მატარებელნი ცხოვრობდნენ დაახლოებით იმგვარსავე პირობებში, როგორშიც ბინადრობენ ამჟამინდელი აფხაზ-ადიღები, და ჩამოყალიბდნენ დასავლურკავკასიური ტერიტორიის ფარგლებში, მეტყველებენ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ზღვა“, „ნაპირი“, „თევზი“, „მთა (ტყიანი)“, „ტყე (ფოთლოვანი)“, „ტყე (წიწვიანი)“, „სოჭი“, „წიფელი“, „შინდი“, „წაბლი“ და მისთანანი. იმავეზე მეტყველებენ ტოპონიმიკური სახელებიც, მაგალითად, იმ მდინარეთა სახელწოდებანი, რომლებიც შეიცავენ ფს - „წყალი“, „მდინარე“ ელემენტს (არიფსა, სუფსა, აკამფსისი, აფსარი, ლაგუმფსა), აგრეთვე ყვა - „ხევი“, „მდინარე“, სახელს და სხვა“.[1024] ამ განცხადებებს საერთო არაფერი აქვს მეცნიერებასთან.

გამოსარიცხია აგრეთვე მოსაზრება აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრებად ძვ. წ. II ათასწლეულში წინა აზიაში მოსახლე აბეშლასა და ქასქების მიჩნევის შესახებ (იხ. აქვე, გვ. 32-36), ვინაიდან: ჯერ ერთი, იმ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც აფხაზურ-აბაზური და ჩერქეზული (ადიღეურ-ყაბარდოული) ენები და არც შესაბამისი ეთნოსები; მეორე, ამ მოსაზრებას არ ადასტურებს აბეშლაურ-ქაშქური ენის მონაცემთა მკაცრი კრიტიკული ანალიზი: ამ ენის ლექსიკა ძალზე შორს დგას აფხაზურ-აბაზური

[1024]. იქვე.

და ჩერქეზული ენების ლექსიკისაგან.

ამრიგად, ზემოთ განხილული და ქვემოთ განსახილველი მასალა სრული უეჭველობით ადასტურებს, რომ **ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნემდე არასოდეს უცხოვრიათ აფხაზთა წინაპრებს, რომ არაფერი ვთქვათ ჩერქეზ-უბიხთა წინაპრებზე**. გარდა ამისა, ძვ. წ. III ათასწლეულში საერთოდ არ არსებობდა არც წინარეაფხაზურ-ადიღური და არც წინარექართველური ენები, ისინი მხოლოდ ათასი წლის შემდგომ თუ წარმოიქმნებოდა. რაც შეეხება ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე ორი აბორიგენი ეთნოსის ბინადრობის „თეორიას“, მას არანაირი ისტორიული და ლინგვისტური საფუძვლები არა აქვს.

2. „აფხაზის“, „აფხაზეთისა“ და მათი ფარდი ტერმინების სემანტიკა ძველ წყაროთა მიხედვით

აფხაზი ისტორიკოსები და ქართველ ისტორიკოსთა უფროსი თაობის ერთი ნაწილი იზიარებენ მოსაზრებას, რომ ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ სხვადასხვა ეპოქაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელობებით:

ა) ახ. წ. IX საუკუნემდე „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ აღნიშნავდა აფსუებსა და მათ საბინადროს, ანუ თანამედროვე აფხაზეთს;

ბ) IX-X საუკუნეებში იგივე ტერმინები პარალელურად გამოიყენებოდა უფრო ფართო მნიშვნელობითაც და აღნიშნავდა მთელ დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის უკლებლივ ყველა ბინადარსაც (ე. ი. ქართველებსა და აფსუებს);

გ) XI საუკუნიდან XVI საუკუნემდე „აფხაზეთი“ სრულიად საქართველოსაც ერქვა, ხოლო „აფხაზი“ აღნიშნავდა ამ ქვეყნის ნებისმიერ ბინადარს;

დ) XVI საუკუნიდან ორივე ტერმინმა დაკარგა ფართო მნიშვნელობები და ნიშნავს იმას, რასაც ამჟამად[1025].

ამ მოსაზრებას აქვს **მეტად სერიოზული ნაკლი. ის** არ ითვალისწინებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ არცერთ **ძველ წერილობით წყაროში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე არ დასტურდება „აფხაზი“, „აფხაზეთი“, ან ფონეტიკურად მსგავსი ჟღერადობის მქონე რაიმე სხვა ტერმინი არამცთუ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიისა და მის მცხოვრებთა, არამედ შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე მიწა-წყლისა და მის ბინადართა აღსანიშნავადაც, რაც ფრიად საყურადღებოა**. მეტიც, ქართულ წერილობით წყაროთაგან ტერმინი „აფხაზეთი“ **ყველაზე ადრე** ახ. წ. V საუკუნის ამბებთან დაკავშირებით არის გამოყენებული ჯუანშერის მატიანის იმ ნაწილში, რომლის აუთენტურობა საეჭვო ჩანს: „ამასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი **აფხაზეთით** (A ხელნაწერში: **„აფხაზეთად“**), რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყლის ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე გოჯადმდე“[1026].

რაც შეეხება სხვა ტერმინებს, მათგან ტერმინ **„აფსუა“**-ს მსგავსი ჟღერადობის **„აფსილი“** ახ. წ. I საუკუნიდან დასტურდება ლათინურ წყაროში (შდრ. გვიანდელი ქართული **„აფშილეთი“** ‖ **„აფშელეთი“**, ბერძნ. **„აფსელლოჲ“**, სომხ. **აფშეღ**), ხოლო ტერმინ **„აბაზა“**-ს მსგავსი ჟღერადობის **„აბასგი“** ‖ **„აბასხი“** ‖ **„აბასკი“** ბერძნულ წყაროში გვხვდება ახ. წ. II საუკუნიდან. აფხაზ ისტორიკოსებსა და ქართველ ისტორიკოსთა უფროსი თაობის ნაწილს მიაჩნიათ, რომ ტერმინი **„აფსილი“** ‖ **„აფშილი“** ტერმინ **„აფსუა“**-ს ვარიანტია და აწინდელ აფხაზთა უშუალო წინაპრებს აღნიშნავდა, ხოლო **„აბასგი“** ‖ **„აბასხი“** ‖ **„აბასკი“** მომდინარეობს სახელ „აბაზა“-საგან და აბაზების უშუალო წინაპართა სახელი იყო, მაგრამ საკითხი ასე მარტივად, მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების ნიადაგზე ვერ წყდება დამატებითი უეჭველი ლინგვისტური და ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალის არარსებობის გამო. მაგალითად, დანამდვილებით არ ვიცით, თუ რომელ კონკრეტულ ენაზე ლაპარაკობდნენ ახ. წ. I-II საუკუნეებში მცხოვრები აბასგები და აფსილები (გვაქვს მხოლოდ დაუკონკრეტებელი ცნობა, რომ მათ სხვადასხვა ენა ჰქონდათ); ჩვენამდე არ მოღწეულა არცერთი აფსილური და აბასგური სიტყვის ჩანაწერი,

---

[1025]. **Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников, გვ. 3.**

[1026]. **ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1942, გვ. 94. იმავე ტექსტში არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ტერმინი „აფხაზეთი“ იხმარება ახ. წ. I საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. იგი აშკარა ანაქრონიზმია და მართებულადაც მიიჩნევა გვიანდელ ჩანართად: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 177.**

რომ მათი დახმარებით გაირკვეს აფსილთა და აბასგთა დედაენის თუ დედაენათა ზუსტი რაობა; ტერმინთა გარეგნული მსგავსება არ არის საკმარისი ამ სიტყვათა სემანტიკის დასადგენად, ვინაიდან ეთნონიმები და სატომო სახელები საკმაოდ ხშირად იცვლიან მნიშვნელობას სხვადასხვა მიზეზთა გამო, რაც კარგად ჩანს თვით ტერმინების „აფხაზისა“ და „აბასგის“ გამოყენების ისტორიიდანაც. სანამ ეს საკითხები არ გარკვეულა, გვრჩება მხოლოდ ვარაუდების გამოთქმის უფლება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ეთნიკურ-ენობრივად აბასგები და აფსილები ახ. წ. I-II საუკუნეებში. ერთი დასკვნა კი უეჭველად შეგვიძლია გამოვიტანოთ:

ახ. წ. VI საუკუნემდე მაინც ქართულ ენაზე „აფხაზეთი“ არ ერქვა არც ამჟამინდელი აფხაზეთის მთელ ტერიტორიას და არც მის რომელიმე ნაწილს.

საკითხის გასარკვევად ყურადღებას იქცევს დ. ლეთოდიანის მიერ გამოვლენილი ფაქტი ახ. წ. VI საუკუნეში ბერძნულ ენაში **„აბასგია“** და **„აბასგოს“** სახელთა ფართო, აშკარად პოლიტიკური და არა ეთნიკური სემანტიკით გამოყენებისა. ბიზანტიის მიერ ქართველური ლაზიკის (ეგრისის) დასუსტების მიზნით ერთ პოლიტიკურ ოდენობად გაერთიანებულ აბასგიასა და უეჭველად ქართველურ სანიგეთს ბერძენი ავტორები ამ დროს უკვე განზოგადებულ-გაფართოებული **„აბასგია“** სახელით აღნიშნავდნენ, ხოლო აბასგებსა და სანიგებს შესაბამისად **„აბასგებს“** უწოდებდნენ[1027], ე. ი. ეს სახელი ბერძნულში **პოლიტონიმად გადაიქცა VI საუკუნეში**, რაც ბიზანტიური იმპერიული პოლიტიკის შედეგი და დამპყრობლის თვალთახედვის ანარეკლია. სავარაუდოა, რომ VI საუკუნემდე ქართველურ ენა-კილოებში **საერთოდ არ გამოიყენებოდა** „აბასგია“ – „აბასგის“ შესაბამისი „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ტერმინები (ყოველ შემთხვევაში, თანადროულ წყაროებში ისინი არ ჩანს) და ამ პოლიტიკურმა ფაქტმა შეუწყო ხელი მათ დამკვიდრებას პოლიტიკური სემანტიკით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ქართველურ ენა-კილოებში ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ თავდაპირველად დამკვიდრდა არა როგორც ეთნიკური შინაარსის მატარებელი სახელები, არამედ როგორც წმინდა პოლიტიკური სახელწოდებები**. გავიხსენოთ, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ არ იყენებს ამ ტერმინებს, მატიანეში, რომელშიც აღწერილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე.

VI საუკუნიდან აბასგია ანუ პოლიტიკური აფხაზეთი ბიზანტიის ხელშეწყობით, ძლერდებოდა, რაც VIII საუკუნის 70-80-იანი წლებისათვის თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი აფხაზეთის სამთავროს შექმნით დასრულდა[1028]. ბუნებრივია, სამთავროს ტერიტორიის ზრდა აისახებოდა ტერმინთა („აბასგია–აფხაზეთი“, „აბასგი–აფხაზი“) სემანტიკის გაფართოებაშიც. კერძოდ, **VI-VIII საუკუნეებშიც ტერმინი „აფხაზი“ უფრო პოლიტონიმი იყო, ვიდრე სატომო სახელი**, ხოლო ტერმინი „აფხაზეთი“ ერქვა ჯერ აწინდელი აფხაზეთის ერთ მცირე ნაწილს, VIII საუკუნის ბოლოსათვის კი მთელ დასავლეთ საქართველოს, რასაც თვალნათლივ ადასტურებს 786 წლის ახლო ხანებში დაწერილი იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამება“, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის სამთავრო უკვე მოიცავდა ტერიტორიას ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ნაფსაის (ნიკოფსიის) ნავსადგურამდე და ლიხის ქედამდე[1029]. ე. ი. საეჭვოა, რომ IX საუკუნემდე ტერმინი „აფხაზი“ აღნიშნავდა ეთნიკურ აფხაზებს, ანუ ამჟამინდელ აფსუათა წინაპრებს, ხოლო ტერმინი „აფხაზეთი“ ერქვა აწინდელ აფხაზეთს. **არსებული ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, რომ VI საუკუნიდან IX საუკუნემდე პერიოდში ორივე ტერმინი ქართულ ენაში და ტერმინები „აბასგი“ და „აბასგია“ ბერძნულ ენაში გამოიყენებოდა ფართო სემანტიკით და ეს მნიშვნელობანი განუწყვეტლივ ფართოვდებოდა მანამ, სანამ ტერმინებმა არ მიიღეს მთელი დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის მცხოვრებთა აღმნიშვნელი განზოგადებული სახელების ფუნქცია**[1030]. რაც შეეხება ახ. წ. I-V საუკუნეების აბას-

---

[1027]. დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1991, გვ. 39.

[1028]. შდრ.: ზ. პაპასქირი. აფხაზეთი - საქართველოა. თბ., 1998, გვ. 110-111.

[1029]. იოვანე საბანისძე. წამებაჲ წმინდისა და ნეტარისა მოწამისა ჰაბოჲსი. - ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ. თბ., 1946, გვ. 62.

[1030]. ცალკე განხილვას მოითხოვს ჯუანშერის მატიანის ტექსტის მონაცემები (ანაქრონიზმები, ტექსტის ავტორისეულობა და სხვ.). ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის

გებისა და აფშილების ეთნიკურ ვინაობას, **საკითხი ღიად რჩება** სათანადო ენობრივი მასალის უქონლობის გამო. აფშილები და აბასგები არ უნდა ყოფილიყვნენ თანამედროვე აფხაზ-აბაზათა წინაპრები, მაგრამ კიდევაც რომ ყოფილიყვნენ, მაინც **ვერ ჩაითვლებიან შავი ზღვის სანაპიროს აბორიგენებად** თუნდაც იმიტომ, რომ ისინი არცერთ წყაროში არ ჩანან ამ ტერიტორიაზე ახ. წ. I-II საუკუნეებამდე.

IX-X საუკუნეებში, როცა არსებობდა მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი აფხაზეთის ანუ ეგრისის ქართული სამეფო, ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ სისტემატურად გამოიყენებოდა მთელი ამ სამეფოსა და მის მოქალაქეთა აღმნიშვნელად, ანუ პოლიტიკურ სახელებად. მაგრამ საყურადღებოა ზოგი სხვა მონაცემიც. მაგალითად, ამავე პერიოდში სომხურ წყაროებში „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ სინონიმებად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები **ეგერაციქ** „ეგრისელები“ და **აშხარჰ ეგერაცუც** „ეგრისელთა ქვეყანა“[1031], რომლებიც ლეონტი მროველისეული **ეგრ-ი‖ეგურ-ი‖ეგრის-ი** და **მეგრ-ი‖მეგრელ-ი** ტერმინების ზუსტი შესატყვისებია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინდელმა სომეხმა ავტორებმა იცოდნენ დასავლეთ საქართველოს ქართველური მოსახლეობით დასახლებულობის ამბავი. ასეთივე მნიშვნელობისაა X საუკუნის, კერძოდ, 982-983 წლების ანონიმური სპარსული წყაროს „ქეთაბე ჰოდუდ ალ-ალემ“-ის („წიგნი ქვეყნის საზღვრებისა“) მონაცემები: ამ თხზულებაში შავ ზღვას **„ქართველთა ზღვა“ („გორჯი დარიაჲ“)** ეწოდება 5 ადგილას[1032] (ამ ზღვის სხვა სახელი მასში არ დასტურდება).

რაც შეეხება XI-XV საუკუნეთა ვითარებას, ამ ეტაპზე საანალიზო ტერმინები გამოიყენებოდა უფართოესი პოლიტიკური სემანტიკით და აღნიშნავდა სრულიად საქართველოსა და მის მოქალაქეებს, რაც კარგად ჩანს როგორც ქართული, ისე უცხოური (ბერძნული, სომხური, არაბული, სპარსული...) წყაროებიდან[1033]. ამ პერიოდის წყაროთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მატიანის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ზემოთმოტანილი ცნობა თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) ბედნიერი მეფობის შესახებ, რომელშიც აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ქვეყნად მოიხსენიება, ალანთა ქვეყნის გვერდით: „თ9თ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად, ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერით და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის **ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი**, ოდესმე გურგენის ზღუადმდე“[1034]. მატიანის ეს ცნობა წარმოადგენს **უძველეს წერილობით დადასტურებას ეთნიკური აფხაზეთის მდებარეობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, მდ. ყუბანის აუზში**. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა შემდეგ გარემოებათა გათვალისწინება:

ა) ალანთა ქვეყანას არასოდეს უარსებია კავკასიონის სამხრეთით, მით უმეტეს, ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე;

ბ) მატიანის მიხედვით, ალანთა ქვეყანა და აფხაზეთი XII საუკუნის დასასრულს მდებარეობდა პონტოს (შავი) ზღვის აღმოსავლეთით, ხმელეთის სიღრმეში;

გ) ალანთა ქვეყანა იმ პერიოდში არ შედიოდა სრულიად საქართველოს ანუ „აფხაზეთის“ შემადგენლობაში, იგი მხოლოდ საქართველოს ყმადნაფიცი იყო;

დ) „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი „ალანი“ არ უდრის „ოვსს“ („ოვსები“ და „ოვსეთი“ მასში ხშირად იხსენიება, „ალანთა ქუეყანა“ კი ზემოთ მითითებულ ერთადერთ შემთხვევაში). „ალანი“ აქ აღნიშნავს ამჟამინდელ ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს (შდრ. მეგრული **ალანი** „ყარაჩაელი“, **ალანი კოჩი** „ღონიერი, ვაჟკაცი კაცი“[1035]), რაზეც გვიანი შუა საუკუნეების ევროპული რუკებიც მიუთითებენ (მაგ.: 1654 წლის ლათინურ-

---

ტექსტში. თბ., 1997; თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. - აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ. 19-23.

[1031]. ე. ცაგარეიშვილი. „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 207-208.

[1032]. ჰოდუდ ალ-ალემი. - ისთახრი; ჰოდუდ ალ-ალემი; ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა. თბ., 1937, გვ. 13, გვ. 16.

[1033]. იხ. კრებულში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშველი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.

[1034]. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 15; თ. გვანცელაძე. ქართლის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის („ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“)“. - ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II. ქუთაისი, 1998.

[1035]. И. Киншидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб., 1914, გვ. 193; ნ. ბაღათურია. თურქული სატომო სახელები ქართულ დიალექტებსა და ფოლკლორში (ყაზახი, ალანი). - ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II, გვ. 38-39.

ფრანგული რუკა "თაბულა ჩოლცჰიდის ჰოდიე ენგრელის", რომელზეც კავკასიონის გადაღმა, ახლანდელი აფხაზეთის გასწვრივ დასახელებულნი არიან აფხაზები და ალანები – " ბკასჰი ჰოდიე ბბასა" და " ლანი". შდრ. აგრეთვე არქანჯელო ლამბერტის ანალოგიური ცნობა და ა. შ.);

ე) აფხაზებისა და ალანების მეზობლობას კავკასიონის გადაღმა ადასტურებს აგრეთვე ინგლისელი ჯონ მანდევილის 1375 წლის ცნობაც[1036], რომელიც **უძველესი უცხოური დადასტურებაა** აფხაზთა სამშობლოს ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობისა;

ვ) ეთნიკური აფხაზეთის ლოკალიზაცია XII საუკუნის მეორე ნახევარში გამორიცხავს იმ მოსაზრებას, თითქოს აფხაზები და აბაზები თავიდანვე ბინადრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე და ტაპანთელები პირველნი გადასახლდნენ ყუბანის აუზში.

ზ) ეთნიკური აფხაზეთის მდებარეობას მდინარე ყუბანის აუზში ადასტურებს 1992 წლის მარტში ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის წიგნსაცავში მიკვლეული 13 რუკაც. მათგან ერთ-ერთზე, რომელიც შედგენილია იტალიელი ჯაკოპო გასტალდის მიერ 1561 წელს, აფხაზეთი, აფსუათა ოლქი (ბცვას რეგი.) და ქალაქი ცვა (შდრ. სოხუმის აწინდელი აფხაზური სახელწოდება „აყვა“) გამოსახულია ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანის შუა წელზე, ხოლო ამჟამინდელი აფხაზეთი სამეგრელოს (ენგრელია რეგი.) შემადგენლობაშია (იხ. აქვე, რუკა №11). რაც შეეხება დანარჩენ 12 რუკას, მათზეც ქალაქი **აყვა** ყუბანის ნაპირზეა მითითებული (ეს რუკებია: მერკატორის 1591 წლის, მერკატორისა და იუდოკუს ჰონდიუსის 1633 წლის, იუდოკუს ჰონდიუსის XVII ს. I ნახევრის, ფრედერიკ დე ვიტის 1671 წლის, იოან იანსონის XVII საუკუნის, დავიდ დე ვილჰელმის XVIII საუკუნისა და ა. შ.)[1037].

ამრიგად, არსებობს წერილობით, ლინგვისტურ და კარტოგრაფიულ ცნობათა მთელი კომპლექსი, რომელიც ადასტურებს, რომ **თანამედროვე აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში, ხოლო აფხაზთა წინაპრების მასობრივი ჩამოსახლება ქედს აქეთ დაიწყო XVI საუკუნეში**.

3. **ტერმინ „აფხაზის“ წარმომავლობა და ურთიერთობა სხვა ფუძეებთან**

„აფხაზი“, „აფსუა“, „აბაზა“, „აბასგი“, „აფსილი ‖ აფშელი“, „აფსარი“ ტერმინების ეტიმოლოგიისა და ურთიერთმიმართების შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ამ საკითხების გარკვევას ცდილობდნენ ნ. მარი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ო. კახაძე, ე. ოსიძე, თ. გამყრელიძე, თ. გვანცელაძე, ვ. შენგელია, ჯ. ჰიუიტი, ვ. ჩირიკბა, ე. ლომთაძე, რ. შეროზია, ტ. ფუტკარაძე და სხვანი, მაგრამ გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება. წარმოვადგენთ მხოლოდ იმ დებულებებს, რომლებიც, ითვალისწინებს როგორც ქართველურ ენა-კილოთა, ისე აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენათა ენობრივ სპეციფიკას. **ტერმინი „აფსუა“**: ეს სახელი ამჟამინდელ აფხაზთა ავტოეთნონიმია. აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტში ტერმინი ჟღერს როგორც **აფსსჟა** (აქაც და ქვემოთაც ნეიტრალური, ანუ „რაციონალური“ ხმოვანი აღინიშნება **ს** ასოთი), ბზიფურ დიალექტში კი მის შემადგენლობაში შედის არა სადა **ს** თანხმოვანი, არამედ ძველი წარმოშობის სისინ-შიშინა **ს'** ბგერა, რომელიც შუალედური თანხმოვანია სისინა **ს** და შიშინა **შ** ბგერებს შორის. ე. ი. არსებული ორი ფორმიდან ამოსავალია ბზიფურის ვარიანტი. სიტყვის თავში წარმოდგენილი **ა** ხმოვანი არ არის ფუძის ორგანული ნაწილი და იგი ხშირად ჩამოსცილდება ხოლმე მას (მაგ.: ფსუა წასლა „აფხაზური წესით“). ეს **ა-** თავსართი სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელია (შდრ.: ა-ქრთსჟა „ქართველი“, ა-ურსს „რუსი“, ა-ბ**ს**რზენ „ბერძენი“...) და თავის მხრივ მომდინარეობს უფრო ძველი **ԫა-** ვარიანტისაგან (შდრ.: ა-ԫა-დსგԫ „ადიღელი“). **აფსს**ჟა სახელში გამოიყოფა აგრეთვე ადამიანის აღმნიშვნელი **ჟა** ძირ-სუფიქსიც, რომელიც ფუძეს გამოეყოფა მრავლობითი რიცხვის ფორმაში და მის წინ აღდგება **ა** ხმოვანი: ა-ფსა-ცჟა‖ა-ფსა-ქჟა „აფხაზები“. მრავლობითი რიცხვის მონაცემები გვიჩვენებს, რომ „აფსუა“ სახელის ამოსავალი ძირია **ფს'ა**, რომელშიც აფხაზურ-აბაზურ ძირთა ამოსავალი ჩV, ან ჩVჩV

[1036]. თ. გვანცელაძე. ჯონ მანდევილის 1375 წლის ცნობის მნიშვნელობა ეთნიკური აფხაზეთის ლოკალიზაციისათვის. - კავკასიოლოგიური კრებული. ეძღვნება კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 70 წლისთავს. თბ., 2004, გვ. 48-51; ჯ. მანდევილი აფხაზეთს ჩრდილოეთ კავკასიაში ათავსებს და მას Abson (შდრ. აფსნ^) სახელით აღნიშნავს.

[1037]. იხ. აგრეთვე: P. Allen. The Atlas of Atlases. The Map maker's vision of the World. Atlases from the Cadbury Collection. Birmingham Central Library. London, 1988; Дж.Гамахариа, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი.

(თანხმოვანი + ხმოვანი, ან თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი) მოდელის მიხედვით შესაძლებელია **ფას'ა** ვარიანტის აღდგენა[1038]. შესაბამისად, აფხაზთა ამჟამინდელი ავტოეთნონიმის თავდაპირველ ფორმად უნდა ჩაითვალოს ***ჲა-ფას'ა** ვარიანტი, რომელსაც მოგვიანებით უნდა დართვოდა ადამიანის აღმნიშვნელი **ჟა** ძირ-სუფიქსი. ტერმინის ფორმობრივი ისტორია ასე წარმოიდგინება სქემის სახით: ***ჲაფას'ა → *აფს'ა → *აფს'აჟა → აფს'სჟა → აფსჟა**. ნ. მარისა და მის მიმდევართა მოსაზრებებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია დამაჯერებლად მივიჩნიოთ ამ ტერმინის დაკავშირება **მესხ** ფუძის რომელიმე ვარიანტთან. ძნელია იმის თქმაც, თუ რა სემანტიკა უნდა ჰქონოდა ამოსავალ ***ჲაფას'ა** სახეობას (ეთნონიმთა ამოსავალი სემანტიკის გარკვევა საერთოდ ურთულესი ამოცანაა და ვარაუდთა მთელ კასკადს წარმოშობს!).

„აფსუა“ სახელის რეალურ და აღდგენილ ვარიანტებთან ფონეტიკურად ყველაზე ახლოს დგანან ლათინურ წყაროში წარმოდგენილი **აფსილ**, ბერძნული **აფსილ‖აფსელ**, ქართული **აფშილ‖აფშელ**, სომხური **აფშეღ** და ქართული **აფსარ** სახეობები, რომელთა სტრუქტურის შესახებ ასევე აზრთა დიდი სხვაობაა. რეალობასთან ახლოს დგას შემდეგი ვარაუდები: დასახელებულ ვარიანტებში **ს** და **შ** თანხმოვანთა არსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ლათინურ, ბერძნულ, ქართულ და სომხურ ვარიანტებს საფუძვლად უნდა ედოს სისინ-შიშინა **ს'** თანხმოვნის შემცველი სახეობა **აფს'ა**. **აფსილ‖აფშილ** და **აფშელ‖აფშეღ** ვარიანტებში აშკარად გამოსაყოფია ადამიანთა სადაურობის ქართული **-ელ** სუფიქსი (**ე → ი** ცვალებადობა ქართველურ ენა-კილოებში ჩვეულებრივი მოვლენაა), რაზეც ბერძნული **აფსელ** ფორმაც მიუთითებს[1039]. **ღ** თანხმოვანი სომხურში **ლ**-ს კანონზომიერი მონაცვლეა. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გვიან შუასაუკუნოვან ჩანართში ხმარებულ **აფსარ** ფორმას, მასშიც გამოიყოფა ადამიანთა სადაურობის ქართველური **-არ** სუფიქსი (შდრ.: სომხით-**არ**-ი, სამშვილდ-**არ**-ი, ოლთის-**არ**-ი, ოპიზ-**არ**-ი, ზუფუ-**არ**-ი, ზუგიდ-**არ**-ი, სენაკ-**არ**-ი, ხუნწ-**არ**-ი...). უნდა დავასკვნათ: ახ. წ. I საუკუნეში პლინიუსის ჩანაწერებში წარმოდგენილი ლათინური აპსილაე სახელი უეჭველად შეიცავს ქართულ სუფიქსს, რაც იმას ნიშნავს, რომ რომაელი ავტორი შესაბამის ტომს ქართველების მეშვეობით გასცნობია.

ტერმინები „აბაზა“, „აბასგი‖აბასკი‖აბასხი“, „აფხაზი“ და „აბაზახა“: ამ ტერმინთა პირველადობა-მეორეულობისა და ფორმობრივი მიმართების საკითხიც ცხოველ კამათს იწვევს. საყურადღებო ჩანს **ვარაუდი** ამ სახელთა კავშირის შესახებ, თუმცა საკამათო მაინც ბევრი რამ რჩება.

თუ დავუშვებთ, რომ ახ. წ. II საუკუნიდან ცნობილი **აბასკ-ოი** ვარიანტი (ფლავიუს არიანე) მართლაც მომდინარეობს **აბაზა** ფორმისაგან, მაშინ აუხსნელი რჩება, თუ რა მორფოლოგიური ფუნქცია აქვს ფუძეში წარმოდგენილ **კ** თანხმოვანს. **აბასკოი** რომ მართლაც **აბაზა**-საგან მომდინარეობდეს, მაშინ ძველ ბერძნულ ენაში უნდა გვქონოდა სულ სხვა, **აბაძა** ფორმა (ძვ. ბერძნულში არ იყო **ზ** თანხმოვანი და იგი **ძ**-თი იცვლებოდა). ასე რომ, ისტორიკოსთა ნაწილის მიერ გაზიარებული მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზაა და მოითხოვს ორი არსებითი (ფონეტიკური და მორფოლოგიური) პრობლემის დამაჯერებლად ახსნას.

საგანგებო განხილვას მოითხოვს ნ. მარის მცდელობა ტერმინ **აფხაზ**-ის ეტიმოლოგიის გარკვევისა. ნ. მარის კონცეფცია ასეთია:

ტერმინი **აფხაზ-ი** იაფეტურია (ქართველურია). იგი მომდინარეობს ***აბაზ-ხ** ვარიანტისაგან. **-ხ** სუფიქსი იაფეტურ სატომო სახელებში გამოიყოფა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია, რაც არ არის მართალი. ნ. მარი იქვე აღადგენს უფრო ძველ ***აბაზ-ხ**, ***აფაზ-ხ**, ***აფას-ხ** სახეობებს. მისი აზრით, ***აფასხ → *აფაზხ →** ქართ. **აფხაზ-ი**, ხოლო ***აბაზ-ხ →** ბერძნ. **აბასგ** ‖ ჩერქეზ. **აბაძ+ე-ხ**. იგივე ***აბაზ-ხ** ნ. მარს დაკავშირებული აქვს

[1038]. q. lomTaTiZe. adamianis aRmniSvneli ao9 sityva afxazurSi. - saqarTvelos ssr mecnierebaTa akademiis moambe, t. IV, #7. Tb., 1947, gv. 726; q. lomTaTiZe. afxazuri da abazuri enebis istoriul-SedarebiTi analizi. I. fonologiuri sistema da fonetikuri procesebi. Tb., 1975 (garekanze _ 1976), gv. 8-12, 80-81, 103-104, 240.

[1039]. სატომო სახელზე სადაურობის -ელ სუფიქსის დართვა უცხო არ არის ქართულ სინამდვილეში. შდრ. კახ-ი → კახ-ელ-ი, მესხ-ი → გვარსახელი მესხ-ელ-ი, სვან-ი → გვარსახელი სვან-ელ-ი...

აბაზა სახელთანაც, რომელსაც იგი ხედავს **ბაზ-გ-უნ‖ბაზ-გ-ონ** ფორმებშიც (ბაზგუნები კი კასპიის ზღვის მიდამოებში სახელდებოდნენ), **ბას-ილ-ქ** ვარიანტშიც და პლინიუსის **აფსილ** სახეობაშიც (აფსილები ნ. მარს უეჭველად აფხაზებად მიაჩნდა). აღდგენილი **ბას** ძირი მეცნიერს გამოყოფილი აქვს მდინარის **ბზსბ** სახელში (ასეთი სახეობა კი რეალურად არ არსებობს) და **ზუფუ** ტოპონიმში, აგრეთვე **აბჟუა** ფორმაში, **აფსუა** და **აფსნს** სახელებში. ნ. მარი კიდევ უფრო შორს მიდის და ამავე ძირთან აკავშირებს შემდეგ სიტყვებს: **ტუაფსე**, **ჯიქი (ზიქხოი, ძუგოი)**, **ადსღე**, **ოდიში**, **ფასი (მთა)**, **ფაშგვაში, ბასიანი**, **ფასისი**, **დვაბზუ**, **მესხი‖მოსოხი**, **მასქუთი**, **მასისი**, **მცხეთა, სამცხე**, **სომეხი**[1040].

გამოდის, რომ ნ. მარს ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრების საცხოვრისად და მათი მიგრაციის ადგილებად მიაჩნდა თითქმის მთელი კავკასია (ტაო-კლარჯეთი, სამცხე, ქართლი, რაჭა, სვანეთი, ამჟამინდელი აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, კასპიის ზღვის მიდამოები). მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად შეესატყვისება მისი ვარაუდები წარსულის ისტორიულ ვითარებას, ან რამდენად საფუძვლიანია ლინგვისტური თვალსაზრისით მისი „ეტიმოლოგიები“. მაგალითად, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ნ. მარის მიერ **ბას‖ფას‖ბაზ** ძირებთან ისეთი სხვადასხვაენოვანი და, შესაბამისად, სხვადასხვა წარმოშობის სიტყვების დაკავშირება, როგორიცაა ზემოთ დასახელებულ სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა: ადიღე, ჯიქი, ტუაფსე, ოდიში, ფასი, ფაზისი, ფაშგვაში, ბასილი, დვაბზუ, მესხი, მასქუთი, მცხეთა, სომეხი და ა. შ. ამ მორევში იკარგება ის რაციონალური მარცვლებიც, რომლებიც უდავოდ არის ნ. მარის განხილულ ნაშრომში. მაგალითად:

დამაჯერებელი ჩანს ძველ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული **აბასხ‖აბასკ‖აბასგ** ვარიანტთა შესაძლო მომდინარეობა ქართული **აფხაზ** ფუძისაგან. ძნელი არ არის იმის ახსნა, რომ ბერძნულისათვის უცხო თავკიდურა **ფხ** კომპლექსი შეცვალა ამ ენისათვის უფრო ბუნებრივმა ბოლოკიდურა **სხ** კომპლექსმა, რომლისგანაც იოლად მივიღებდით მეორეულ **სკ‖სგ** კომპლექსებს[1041]. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახ. წ. II საუკუნის ახლო ხანში ბერძნებს ქართული ენისაგან უნდა ესესხებინათ ეს სიტყვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელით ქართულში ან ბერძნულში მაინცდამაინც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები აღინიშნებოდნენ. ტერმინების **აფხაზი**, **აბასხოს‖აბასკოს‖აბასგოს** სემანტიკა იმ დროისათვის ჯერ კიდევ საკვლევი რჩება.

ასევე საძიებელია ტერმინ **აბაზა**-ს სტრუქტურა და ამოსავალი სემანტიკა, თუმცა ამ ეტაპზე სრულიად უეჭველია, რომ XVI საუკუნიდან დღემდე (უფრო ადრე იგი არ ჩანს წყაროებში) ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. იგი არის აბაზათა ავტოეთნონიმი და მათივე ამჟამინდელი სახელი მეზობელ ხალხთა ენებში (ჩერქეზულში, ყარაჩაულ-ბალყარულში, ნოღაურში, ოსურში, რუსულში...); 2. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე თურქები ამ სახელს იყენებენ აფხაზთა და აბაზათა გამაერთიანებელ ტერმინად; 3. გვიან შუა საუკუნეთა ევროპულ წყაროებში, აგრეთვე XIX-XX საუკუნეთა მასალების მიხედვით, „აბაზა“ ერქვათ დასავლურჩერქეზულ ტომებს (აბაძეხებს, შაფსუღებს, ნათხვაჯებს, მახვაშებს, ბუედუღებს, ჟანეელებს...), რომლებიც ეროვნულ-ენობრივადაც აბაზები ყოფილან და XVII-XVIII საუკუნეებში გაჩერქეზებულან (ს. ბრონევსკი, ლ. ლულიე, ხან-გირეი, ლ. ლოპატინსკი, ა. დირი, ლ. ლავროვი, ნ. ვოლკოვა, ჯ. კოკოვი...). ადიღეში მოსახლე აბაზათა გაჩერქეზების პროცესი მთავრდებოდა 1929 წელს, ს. ჯანაშიას იქ მივლინებით ყოფნის დროს[1042].

„აბაზა“ ტერმინთან ფონეტიკურად ახლოსაა ძველ სლავურ მატიანეებში ხშირად გამოყენებული ვარიანტები: Обез//Обежанин, რომლებიც **აბაზა** ფორმისაგან მომდინარეობენ, მაგრამ სრულიად საქართველოსა და ქართველებს აღნიშნავენ[1043]. **აბაზა** სახეობასთან ფონეტიკურად ახლოსაა ყარაჩაულ-ბალყარული ტერმინი **ებზე**, რომელიც ასევე საქართველოსა და ქართველს (უფრო ზუსტად, სვანეთსა და სვანს) აღნიშნავს, თუმცა

[1040]. **Н. Я. Марр. История термина "Абхаз".**

[1041]. **თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 584-585.**

[1042]. **ც. აბულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 274-275; Л. И. Лавров. "Обезы" русских летописей. - Советская этнография, №4, 1946, გვ. 163; Н. Г. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, გვ. 36; ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში, აპრილ-მაისი, 1929. შრომები, ტ. IV. თბ., 1968, გვ. 74, 77, 98, 104, 110, 124...**

[1043]. **Г. Г. Паичадзе. Названия Грузии в русских письменных исторических источниках. Тб., 1989, გვ. 11-60.**

ამავე ენაში **აბაზა** ტერმინიც არსებობს, რომელიც აბაზებს აღნიშნავს. დაისმის საკითხი: როდის უნდა შეეთვისებინათ სლავებსა და ყარაჩაელ-ბალყარელებს **ობეზ** და **ებზე** ტერმინები საქართველოსა და ქართველთა აღსანიშნად? ალბათ მხოლოდ მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოსა და იქაურ ქართველებს თვით ქართულ ენაზეც **აფხაზეთი** და **აფხაზნი** ერქვა, ანუ IX-XV საუკუნეებში, შუამავალი კი ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე რომელიმე ხალხი იყო, რომლის ენაშიც, ეტყობა, **აბაზა** სახელით დასავლეთ საქართველო და იქაური ქართველები აღინიშნებოდა (ასეთ ეთნოსად შეიძლება ვიგულისხმოთ ყივჩაღები, პაჭანიკები, ან ხაზარები).

ტერმინ „აფხაზის“ ეტიმოლოგიზების უამრავი მცდელობიდან საინტერესოდ გამოიყურება ო. კახაძის თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სახელს საფუძვლად უდევს ამჟამინდელი ერთ-ერთი ჩერქეზული ეთნოგრაფიული ჯგუფის, აბაძეხების (აბაძახების) აღმნიშვნელი ჩერქეზული **აბაზახა** სახელწოდება. ამ ორი სახელის მიმართება მკვლევარს ასე წარმოუდგენია: ჩერქეზ. **აბაზახა** → ჩერქეზ. **აბზახა** → მეგრ. დიალ. ***აბხაზა** → ***აბხაზ-ი**[1044]. ჩვენი აზრით, ზედმეტია **ბ** თანხმოვნიანი ვარიანტების აღდგენა ქართველური ენა-კილოებისათვის, ვინაიდან **ბხ** კომპლექსი აქ არაბუნებრივია და მყისვე იცვლება უფრო ბუნებრივი **ფხ** კომპლექსით. ამიტომ გარდაქმნათა ჯაჭვი ასე შეიძლება აღდგეს: **აბაზახა** → **აბზახა** → **აფხაზა** → **აფხაზ-ი**. თავის ვარაუდს ო. კახაძე ამყარებს ს. ჯანაშიას მიერ უშუალოდ ჩერქეზეთში მოპოვებული ორი საყურადღებო ცნობით: 1. ჩერქეზულ ენაში **-ხა** სუფიქსი გამოიყენება გვარსახელთა კრებითობის ფორმისა და სატომო სახელთა მაწარმოებლად, 2. აბაძეხები XIX საუკუნის 60-იანი წლების მუჰაჯირობამდე სახლობდნენ მდინარე ყუბანის მარცხენა შენაკადების ნაპირებზე და დასავლეთიდან უშუალოდ ემეზობლებოდნენ აბაზურ ტომებს (ბარაყაისა და ბაღს)[1045]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აბაძეხები XVII-XVIII საუკუნეებამდე ენობრივ-ეთნიკურად აბაზები იყვნენ (იხ. ზემოთ), ხოლო ს. ჯანაშიას 1929 წელს ადიღეში ყოფნისას დაუდასტურებია, რომ აბაძეხები მაშინ ჯერ კიდევ არ მიიჩნევდნენ თავს ჩერქეზებად და არც სხვა ჩერქეზები მიათვლიდნენ მათ ჩერქეზებს, ადიღეში (სოფ. ულაფში) მოსახლე თითქმის გაჩერქეზებული აბაზები კი აბაძეხებს თავიანთ უახლოეს მონათესავეებად აცხადებდნენ და მათ სახელწოდებას თარგმნიდნენ როგორც „აბაზას ქვემოთ“[1046].

არსებითია ერთიც: ჩერქეზულ ენაში **-ხა** სუფიქსი ზემოთ აღნიშნულის გარდა გამოხატავს ცნებებს: „ქვემოთ“, „მდინარის ქვემო წელისაკენ“, „დასავლეთით“ (ს. ჯანაშია, ჯ. კოკოვი...). ამის გათვალისწინებით სახელი **აბაზახა** ჩერქეზულიდან შეიძლება ითარგმნოს როგორც „ქვემოური, ქვემოელი აბაზა“, ანდა „დასავლელი აბაზა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველურ ენა-კილოებში ტერმინ **აფხაზის** დამკვიდრების დროსაც და შემდგომაც **ჩრდილოეთ კავკასიაში, ახლანდელი აფხაზეთის გადაღმა მოსახლე აფხაზურ-აბაზური ერთობის ზოგადი სახელი „აბაზა“ იყო და ეს ერთობა იყოფოდა ორ მთავარ შტოდ: ა) ზემოურ, ანუ აღმოსავლელ აბაზებად, რომლებიც შესაძლოა ამჟამინდელ აბაზათა უშუალო წინაპრები იყვნენ და ბ) ქვემოურ, ანუ დასავლელ აბაზებად, რომლებიც ამჟამინდელ აფხაზთა, შაფსუღთა, აბაძეხთა და სხვა ამჟამინდელ დასავლურ-ჩერქეზულ ტომთა უშუალო წინაპრები იყვნენ**.

საყურადღებოა, რომ ამ სავარაუდო დასკვნას, გარდა ზემოთ განხილული ისტორიული და ლინგვისტური მონაცემებისა, მხარს უჭერს ჯუანშერის მატიანის ერთი ცნობაც ვახტანგ გორგასლის (V ს.) მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ოვსთა წინააღმდეგ მოწყობილი ექსპედიციის შესახებ: „...რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვარედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, **და ჯიქეთი მუნ იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი, [და] ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიგნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა**“[1047]. ეს ცნობა ადასტურებს, რომ

[1044]. ო. კახაძე. აფხაზ|აფხაზა... ფუძის თაობაზე. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 557.

[1045]. ს. ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. შრომები, ტ. III. თბ., 1959, გვ. 102; მისივე: აბაძახები. საენციკლოპედიო მასალა. შრომები, ტ. VI. თბ., 1988, გვ. 227-228.

[1046]. ს. ჯანაშია. ექსპედიცია... გვ. 74, 77, 98, 104, 110, 124.

[1047]. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა... თბ., 1942, გვ. 103. ცნობის მოკლე შინაარსი შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანშიც: „შევიდნენ ბაჯან[იკ]ეთსა და ჯიქეთს, რომელიც აფხაზეთის ქვემოთაა“. იხ.:

ვახტანგ გორგასლის დროს აფხაზურ-ადიღური მოდგმის ჯიქები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ არამცთუ ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე, არამედ არც შავი ზღვის ახლოს და თანამედროვე ქ. სოჭიდან ყუბანის შესართავამდე ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოგვიანებით დამკვიდრებულან, რაც სავსებით ეთანხმება ლეონტი მროველის კონცეფციასაც კავკასიის ხალხთა საცხოვრისის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ო. კახაძის ვარაუდი საკმაოდ მწყობრია და ლინგვისტური თვალსაზრისით დაბრკოლება არ ახლავს, მაგრამ მას მხარს არ უჭერენ ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ისტორიული წყაროების მონაცემები. კერძოდ, არცერთ ძველ დოკუ-მენტში აბაძეხები საერთოდ არ იხსენიებიან, მათ მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან ასახელებენ ევროპელი მოგზაურები.

არსებობს კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრება ტერმინ „აფხაზის“ წარმოშობისა და აგებულების შესახებ. კერძოდ, ა. ლომთაძე და რ. შეროზია ვარაუდობენ, რომ **აფხაზ‖აფხაზა** სახეობათა ამოსავალი ფორმაა სვანური შესიტყვება **აფხაშ ზანი** „მთის (ზურგის) ზანი“[1048], მაგრამ ამ ვარაუდსაც იგივე ნაკლი აქვს, რაც ო. კახაძისას: არცერთ ძველ წერილობით წყაროში არ დასტურდება შესიტყვება **აფხაშ ზანი**, თუ არ ჩავთვლით მასთან ფონეტიკურად ახლომდგომ **აფხაზანა** (Апхазана) ტოპონიმს, რომელიც XVII საუკუნეში, 1667 წელს დასტურდება აფხაზეთის სახელად პავლე ალეპოელის ცნობებში[1049]. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ამ საკმაოდ გვიანდელ წყაროში ტოპონიმთა ფონეტიკური დამახინჯების უამრავი მაგალითი დასტურდება (ცნობები არ არის ჩაწერილი უშუალოდ ავტორის, პავლე ალეპოელის მიერ). ამიტომ შესაძლებელია **აფხაზანა** ფორმა შემთხვევითიც იყოს.

ტერმინ „აფხაზის“ გამოყენების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შუასაუკუნოვან წყაროებში **აფხაზი** ერქვა 2 ქალაქს – ერთი მათგანი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა, მეორე კი ბაქოდარუბანდის გზაზე (თანამედროვე ქალაქ ქუბასთან). ეს აშკარად პოლიტიკურად სიმბოლური ჩანს და ახსნას მოითხოვს.

4. **ქართველური სუბსტრატი აფხაზურ ენაში**

კარგადაა ცნობილი, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე მრავალ ქართველურ ტომს უცხოვრია ძველთაგანვე[1050], რომელნიც წელთაღრიცხვათა მიჯნამდე ლაპარაკობდნენ წინარექართველურ ენაზე, მერე კი მეგრულ და სვანურ დიალექტებზე, აგრეთვე ქართველურ (ქართულ) სამწიგნობრო ენაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიწაზე მოსახლე სვანები უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში გათქვეფილან მეგრულ მოსახლეობაში, რის გამოც აფხაზურმა ენამ, რომელიც აწინდელი აფხაზეთის მიწაზე გავრცელდა მხოლოდ XVI საუკუნიდან, ვეღარ მოუსწრო სვანურ კილოებს. ამის გამო აფხაზურში ამ კილოთა გავლენის კვალი არ ჩანს, სამაგიეროდ ძალზე მკაფიოა მეგრულისა და სამწიგნობრო ქართულის ანაბეჭდები.

ქართველური ქრისტიანული ტერმინები აფხაზურში. როგორც ქართულ, ისე ბერძნულ წყაროებში დაცულია ცნობები ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ახ. წ. I-IV-VI საუკუნეებში. თუკი ამ პერიოდში ახლანდელ აფხაზთა და აბაზათა წინაპრები რეალურად ცხოვრობდნენ და საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდნენ ქრისტეს რჯულს, მაშინ აფხაზურსა და აბაზურ ლექსიკაში უეჭველად უნდა ჩანდეს, ერთი მხრივ, ბერძნულ ენასთან უშუალო მჭიდრო კონტაქტის კვალი და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი უნდა იყოს საკუთრივ აფხაზურ-აბაზური წარმოშობის ქრისტიანული ტერმინები, მესამე მხრივ კი ბიბლეიზმები (ბიბლიის ტექსტიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზმები და ეპითეტ-მეტაფორები). საგანგებოდ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ: 1. **ბერძნულ ენასთან ხანგრძლივი უშუალო კონტაქტის კვალი საერთოდ არ**

ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბ., 1953, გვ. 150.

[1048]. ა. ლომთაძე, რ. შეროზია. ეთნონიმ აფხაზის ეტიმოლოგიისა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. - საისტორიო შტუდიები, ტ. 3. თბ., 2002, გვ. 257.

[1049]. ნ. ასათიანი. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერა, შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ). თბ., 1973, გვ. 75.

[1050]. სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა იხ. წიგნში: ტ. ფუტკარაძე. ქართველები. ნაწილი I, გვ. 175-200; 264-297.

შეინიშნება აფხაზურ-აბაზურ ლექსიკაში. მეტიც, თვით ბერძენის აღმნიშვნელი **ა-ბსრზენ** ეთნონიმი აფხაზურს შეუთვისებია მეგრულისაგან (შდრ. მეგრ. **ბერზენი**), რაც შეეხება **ა-გრეკ** სიტყვას, იგი რუსულიდანაა შეთვისებული 100-150 წლის წინ. 2. **არ არსებობს აფხაზურ-აბაზური ენებისათვის საზიარო ორიგინალური, ან კალკირებული ქრისტიანული ტერმინები.** საკუთრივ აფხაზურ ქრისტიანულ ტერმინთა მცირე ჯგუფს (გარდა ღმერთის აღმნიშვნელი **ანცვა** სიტყვისა რომელიც პოლითეიზმის დროინდელი ტერმინია და ნიშნავს „დედებს“) სიძველის კვალი არ ემჩნევა, ისინი აშკარად გვიან შუა საუკუნეებშია შექმნილი. 3. **არც აფხაზურში და არც აბაზურში არ დასტურდება ბიბლეიზმები** „მამა აბრამის ბატკანი“-ს, „ურწმუნო თომა“-ს, „სოდომის ცოდვისა“ და სხვათა ტიპისა. ამ მონაცემთა საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ **აფხაზთა და აბაზათა წინაპრებს არ ჰქონიათ უშუალო, ხანგრძლივი და ინტენსიური კონტაქტები ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროსთან ახ. წ. I-VI საუკუნეებში**. საყურადღებოა ის, რომ აფხაზურ ენაში ძირითად ქრისტიანულ ცნებათა გამოსახატად საკმაოდ ხშირად გამოიყენება **მაჰმადიანური ტერმინები,** რომლებიც ამ ენაში გვიან შუა საუკუნეებამდე ვერ მოხვდებოდნენ (ეს ტერმინები ძირითადად თურქულიდან, ან ამ ენის შუამავლობითაა ნასესხები). ეს ტერმინებია: ჯანათ „სამოთხე“, ჯაჰანსმ „ჯოჯოხეთი“, ა-მაალსქი „ანგელოზი“, ა-ფა�მბარ „წინასწარმეტყველი“, ა-კაამეთ „მეორედ მოსვლა; საშინელება“, აჯალ „სიკვდილის ჟამი“ და მრ. სხვანი.

მნიშვნელოვანია სხვა გარემოებაც: აფხაზურ ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში გამოიყენება ქართველური წარმოშობის, ან ქართველიზებული ტერმინების ერთი ჯგუფი, რომლებიც საშუალებას იძლევა ამ სიტყვათა აფხაზურ ენაში დამკვიდრების დროის მიახლოებით განსაზღვრისა, შესაბამისად, ამ ტერმინთა მეშვეობით **შესაძლებელია აფხაზთა გაქრისტიანების დროის გარკვევაც.** ასეთია, მაგალითად, ტერმინი **ა-ჟახვამა** „სალოცავი, ეკლესია“, რომელიც დასტურდება აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებში. ამ სიტყვის წყარო მეგრული **ხვამა** „ლოცვა“ სიტყვისაგან მომდინარე **ო-ხვამ-ე** „სალოცავი“ ფორმაა (შდრ. სვან. **ლა-ჭვამ** „სალოცავი“). სვანური ვარიანტის **ჭ** თანხმოვანი მიგვანიშნებს, რომ მეგრულშიც თავიდანვე იგივე ბგერა უნდა ყოფილიყო, რაც ბზიფურში მოგვცემდა სპეციფიკურ ყელისმიერ თანხმოვანს, რომელიც კანონზომიერად ენაცვლება აბაზურ **ჭ**-ს. მაგრამ რეალურად ბზიფურში წარმოდგენილია ჩვეულებრივი **ხ** თანხმოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვა **ოხვამე** აფხაზურ ენას მაშინ შეუთვისებია, როცა მეგრულში ამოსავალი **ჭ** თანხმოვანი უკვე ჩანაცვლებული იყო **ხ** თანხმოვნით, რაც X საუკუნის შემდგომ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაშასადამე, ეკლესიის აღმნიშვნელი ტერმინი აფხაზურ ენაში X საუკუნიდან XVIII საუკუნემდეა შესული მეგრულიდან.

აფხაზური ენის ორსავე დიალექტში დიდი ზომის ცვილის სანთელს **ა-კალანტარ** ტერმინი აღნიშნავს. სიტყვა მომდინარეობს ბერძნული **კეროლამპტერ** „სასანთლე, სანთლის სადგარი“ ფორმისაგან, მაგრამ ნასესხებია არა უშუალოდ, არამედ ქართველურ ენა-კილოთა მეშვეობით. შდრ.: სამწიგნობრო ქართულის **კელაპტარ-ი** → მეგრ. **კელანტარ-ი** → აფხაზ. **ა-კალანტარ**. როდის უნდა ესესხებინა ეს ტერმინი აფხაზურს მეგრულისაგან? როდის და სად შეეცვალა ამ სიტყვას ამოსავალი სემანტიკა („სასანთლე“) ახალი მნიშვნელობით („დიდი ზომის ცვილის სანთელი“)? ამ კითხვათა პასუხებს გვაწვდიან ძველქართული წერილობითი ძეგლები. კერძოდ, 1042-1044 წლებში დაწერილ გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ **კელაპტარი** ჯერ კიდევ სასანთლეს აღნიშნავს და მას სემანტიკა XI საუკუნის მერე შესცვლია, რაც პირდაპირ აქვს მითითებული სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში (დაიწერა 1685-1716 წლებში): „**კელაპტარი** – სასანთლე, ხოლო აწ დიდს სანთელსა უჭმობენ ტყუვილად“[1051]. ბუნებრივია, მეგრული **კელანტარი** სიტყვაც XI-XVII საუკუნეებს შორის შეიცვლიდა მნიშვნელობას, ხოლო აფხაზურ ენას მეგრულიდან ეს ტერმინი უკვე შეცვლილი სემანტიკით იმავე XI-XVII საუკუნეებს შორის შეეძლო ესესხებინა.

განხილული ორი ტერმინი გვიკარნახებს, რომ: **ა) აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანული ტერმინოლოგია დასჭირვებიათ X-XI საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე, ე. ი. X საუკუნე-**

[1051]. გიორგი მთაწმინდელი. იოანესა და ეფვთიმეს ცხოვრება. - ქართული პროზა, ტ. I. თბ., 1981, გვ. 382; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბ., 1991, გვ. 364.

მდე მაინც ისინი ქრისტიანები არ ყოფილან; ბ) აფხაზებს ქრისტიანობა ბერძნებისაგან კი არა, ქართველებისაგან მიუღიათ და ქრისტიანულ ტერმინებსაც (მათ შორის ბერძნული წარმოშობისასაც) ქართველურ ენა-კილოთაგან ითვისებდნენ; გ) უარსაყოფია მოსაზრებანი, თითქოს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე აფშილები და აბასგები ამჟამინდელ აფხაზთა და აბაზათა წინაპრები იყვნენ და მათ ქრისტიანობა I, IV და VI საუკუნეებში მიეღოთ.

ამ დასკვნებს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ აფხაზურ ენაში სწორედ ქართველური ან ქართველიზებული საკულტო ლექსიკით გადმოიცემა ძირითადი ქრისტიანული ცნებები: ჯვარი, ქრისტე, ქრისტეშობა, ქრისტიანი, მთავარანგელოზი, წყალკურთხევა, ეპისკოპოსი, ბერი, კვირიკობა, პეტრეობა, ბზობა და მრ. სხვა. აფხაზთა შორის ქრისტიანობის XVI-XVIII საუკუნეებში გავრცელება და პოზიციის სისუსტე (რწმენის ზედაპირულობა) ჩანს იქიდანაც, რომ **აფხაზურ ენაში თითქმის არ გამოიყენება ბიბლეიზმები და აფხაზეთში არ დასტურდება არცერთი აფხაზური ტოპონიმი, რომელიმე ქრისტიანული ცნების, ან წმინდანის სახელთან რომ იყოს დაკავშირებული** (შდრ. ქართული ტოპონიმები: ჯვარი, სამება, შემოქმედი, ამაღლება, ნინოწმინდა, ანდრიაწმინდა, სტეფანწმინდა, მანცხვარკარი...)[1052].

5. **ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში**

ანტიკური, ადრეფეოდალური და შუა საუკუნეების **არცერთი წერილობითი წყარო ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ასახელებს არცერთ ისეთ გეოგრაფიულ სახელს, რომელთაც აფხაზურად ან აბაზურად უპრობლემო ახსნა დაეძებნებოდა,** სამაგიეროდ არცთუ იშვიათია ისეთი ტოპონიმები და ჰიდრონიმები, რომლებიც აშკარად ქართველური წარმოშობისაა.

ჩამოვთვლით იმ გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც დასტურდება ნარატიულ წერილობით წყაროებში უძველესი დროიდან 1801 წლამდე და რომელთა ქართველური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს:

ზიგანა‖სიგანეი‖ზიგანევი (დასტურდება ახ. წ. I საუკუნიდან); **მოხორა‖მუხორისი‖მუხური** (ახ. წ. V საუკუნიდან); **წიბილი‖წიბილიუმი‖წიბელი** (554 წლიდან); **დანდარი‖დრანდა** (VI საუკუნიდან); **ფუსტა, მოქვი** და **ჯიხახორა** (662 წლიდან); **ცხუმი‖ცხომი** (VIIII საუკუნიდან); **ნაჟანეო‖ნაჟანეული‖ნაჟანაური‖ნაჟანევი, წამხარი, ტყაურუ‖ტყავრუ, მარმარისკარი** (ყველა 1525-1550 წლებიდან); **ბედია** (XI საუკუნიდან ისტორიამდელ ამბებთან დაკავშირებით), **ქ. ეგრისი** (XI საუკუნიდან ისტორიამდელ ამბებთან დაკავშირებით); **ეგრისწყალი** (XI საუკუნიდან ძვ. წ. IV ს. ამბებთან დაკავშირებით); **მაგულა‖მარგულა‖მორგულა‖მერკულა** (1615 წლიდან); **ხოირი, ხაუჟელი, თილითი, ჭალა** (ყველა 1621 წლიდან); **სკურჩა‖სქურჩა** (1630 წლიდან); სოფ. და მდ. **ღალიძგა** (1639 წლიდან); **სკავრი‖ისგაური‖იზგაური** (1634 წლიდან); **კვიტაული‖კვიტოული‖კიტოული‖პიტაური, ფუწყური** (1640 წლიდან); **ოქუმი, კოდორი, ილორი, წიფურია, კორცხერი, ოლუშე** (ყველა 1654 წლიდან); **კაპეტის წყალი** (XVIII საუკუნიდან) და ა. შ.

ამ გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი მეგრულია, ნაწილი – სვანური, ნაწილი კი სამწიგნობრო ქართულისაგან მომდინარეობს.

უეჭველად ქართველური წარმოშობისაა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ოიკონიმები და პოლისონიმები: **გაგრა‖გაგარი‖გაკარი‖კაკარი, აჟადჰარა, ოთჰარა, ტყვარჩელი, გენწვიში, მგუძირხვა, მერხეული, კოპიტი, კამანი, ამტყელი**[1053] და მრ. სხვა. არანაკლებ ხშირია ქართველური წარმოშობის გააფხაზურებული მიკროტოპონიმები აფხაზურ სოფლებში (მაგალითად, ტოპონიმი **ასაყუდარა** ს. მოქვში, **ჭალა-აიმარა** ს. ჭლოუში...), რომლებიც ამ სოფლებში აფხაზთა დასახლებამდეა შექმნილი.

წერილობით დადასტურებული ტოპონიმებიდან აფხაზური ენის წესების მიხედვით

[1052]. ამ საკითხთა შესახებ ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. - ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I. ქუთაისი, 1996.

[1053]. ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი). - არტანუჯი, №10, 2000, გვ. 87-92; თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ავადჰარა, ოთჰარა. - ქართველოლოგიური კრებული, I. თბ., 2002, გვ. 34-41; თ. გვანცელაძე. ტოპონიმ „ტყვარჩელისა“ და ყოჩივარდას მეგრული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის. - ქართველური ონომასტიკა, I. თბ., 1998, გვ. 102-108. ქ. ლომთათიძე. ბაგისმიერის მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი „ამტყიალ“. ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბ., 1995, გვ. 19.

გაფორმებულ უძველეს **გეოგრაფიულ სახელებად** უნდა ჩაითვალოს XVI საუკუნის პირველ ნახევარში მამია III დადიანის (1512-1523 წწ.) მიერ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრის სახელზე გაცემულ „ბიჭვინტის იადგარში“ მოხსენიებული სოფლის სახელები **აითარნე** და **არუხა**. პირველ ტოპონიმს საფუძვლად უდევს მესაქონლეობის წარმართული ღვთაების, აითარის სახელი (შდრ. მეგრ. ჟინი ანთარი), რომელსაც ერთვის აფხაზური მატოპონიმებელი –**ნ ს** სუფიქსი, მეორე სახელის ფუძედ **რუხა** გამოდის, რომელიც არ უნდა იყოს აფხაზური წარმოშობისა, მაგრამ ერთვის აფხაზურ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი. მესაქონლეობის ღმერთის სახელის შერქმევა სოფლისათვის პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ XVI საუკუნეში აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფხაზთა მთავარი საქმიანობა მეცხოველეობა იყო, რაც ეხმიანება ქათიბ ჩელების 1645 წლის შემდგომდროინდელ ცნობას: აბაზებს [იგულისხმებიან აფხაზები – ავტ.] შორის ვერსად შეხვდებით ზღვაოსნებს, მიწათმოქმედთ და ურმებსო[1054].

6. **ქართველური გვარსახელები აფხაზთა შორის**

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა ჩამოსახლებამდე მობინადრე ქართველთა ეთნიკური იდენტობის მასობრივი ცვლის უტყუარი საბუთია უკლებლივ ყველა აფხაზურ სოფელში მოსახლე აფხაზთა შორის ქართველური წარმოშობის გვარსახელთა ფართოდ გავრცელების ფაქტი.

შიდარეგიონული მასშტაბის იძულებით მიგრანტებად უნდა ჩაითვალონ XVI-XVIII საუკუნეებში ამჟამინდელი აფხაზეთის ქართული სოფლებიდან აფხაზურ სოფლებში ტყვედ გატაცებული და აგრუას (მოჯალაბის) სოციალურ კატეგორიაში გადაყვანილი ქართველები, რომელთაც საკუთარი გვარის ტარების უფლებაც ერთმეოდათ და **აგრუას „მეგრელის“** გვარს ანიჭებდნენ აფხაზი პატრონები. ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის გვარსახელი **აგრუა** ძალზე გავრცელებული ყოფილა აფხაზეთში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან ზოლში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველ ტყვეთა თავმოყრა ძირითადად სწორედ მაღალ მთაში განლაგებულ აფხაზურ სოფლებში ხდებოდა. ამისი დამადასტურებელია 1867-1869 წლებში რუსი მოხელეების მიერ შედგენილი მუჰაჯირთა კომლობრივი სიები, რომელთა მიხედვითაც მუჰაჯირებად ქცეულა აგრუას გვარის 239 კომლი[1055]. მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთში აგრუას გვარის არცერთი მატარებელი აღარ ცხოვრობდა. ხოლო თურქეთში ამ გვარის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ აუკრძალეს გვარსახელის ტარება და თურქული გვარებით „დაასაჩუქრეს“.

რაც შეეხება აფხაზურ სოფლებში მასობრივად მოსახლე ქართველური წარმოშობის გვარსახელების მატარებელთა **აბსოლუტურ უმრავლესობას, ისინი არ არიან მიგრანტთა შთამომავალნი და თავიანთი ქართველი წინაპრების მიწაზე სახლობენ**, თუმცა ისტორიული მიზეზების გამო გამოცვლილი აქვთ ეროვნება. XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილ სხვადასხვა შინაარსის ქართულ იურიდიულ დოკუმენტებში ამჟამად აფხაზებით თუ ქართველებით დასახლებულ სოფლებში და ნასოფლარებში ათეულობით ქართველი სახელდება, რომელთაც გვარსახელებიც ქართული აქვთ. ეს გვარებია: აბაშია, აბლოთია, არდაშელია, ბებუა, ბეკვერია, ბულისკერია, ბასარია, გამსახურდია, გამისონია, გარგულია, გარმელია, ეთერია, ელერჯია, გვაგვალია, გოჩავა, გურგულია, ვარდანია, ვაჭარია, თოფურია, კვეკვესქირი, კილანავა, კორსანტია, ლამანძია, მარხულია, მარკელია, მელია, მირცხულავა, მინჯორაია, მოროხია, ნანავა, ორჟონია, პაპავა, პაპასქირი, პაპასქუა, რიგვავა, როგავა, სარია, სარუა, სექანია, სირგინავა, სონძია, სოფია, ტორუა, ტუფურია, უბირია, ქვარანძია, ქვაჩახია, ღვინჯილია, ყურდგელია, შავაია, შანგუა, შარანგია, შარია, ჩაბრავა, ჩაჩხალია, ჩქოტუა, ცაცუა, ჭილავა, ჭოლარია, ხარბედია, ხარებავა, ხარჩილავა, ხეცია, ხორავა, ხუბუტია, ჯანჯულია, ჯგუბურია, ჯეჯეია, ჰარანია და მრ. სხვა[1056]. საყურადღებოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე IX საუკუნიდან მოკიდებული 100-მდე ქართულენოვანი წარწერაა შესრულებული ტაძრებზე, ჯვრებზე, ხიდებზე. მათგან **არცერთში არ იხსენიება ეროვნებით აფხაზი ქტიტორი, შემსრულებელი თუ საეკლესიო პირი,** სამაგიეროდ ილორის XI საუკუნის ეკლესიის წარწერაზე დაფიქსირებულია ქარ-

---

[1054]. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 136.

[1055]. ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2004, გვ. 123-170.

[1056]. იხ.: Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, დოკუმენტები №№ 78, 82, 88, 94, 103 და მათი კომენტარები.

თული გვარი **ქოჩოლვაჲ** (ქოჩოლავა), მერე კი უამრავი სხვა ქართველია ნახსენები სხვა წარწერებში[1057].

ქართული გვარსახელების გააფხაზურება მომხდარა აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სესხების წესთა სრული დაცვით. კერძოდ:

ა) **-(ვ)ა** დაბოლოებიანი მეგრული გვარსახელების ეს დაბოლოება, რომელიც **-ან** სუფიქსისაგან მომდინარეობს (შდრ.: გიგ-**ან**-ი, ბაბლუ-**ან**-ი, ფანგ-**ან**-ი, ნაკ-**ან**-ი...), გადააზრებულია არსებით სახელთა კრებითობის აფხაზურ **-აა** სუფიქსად (შდრ. ამჭ-**ბა** → კრებ. ამჭ-**აა** „ამიჭბები"...), ხოლო ხმოვანთა გამყარის ფუნქციის მქონე **ვ** თანხმოვანი იკარგება, თუმცა იგი მეგრულ გამოთქმაში ისედაც არ ისმის. ამ გზითაა მიღებული გვარსახელები: ჭ**ს**თანაა ← ჭითანავა, ს**ს**ჭ**ს**ნაა ← სიჭინავა, თარნაა ← თურნავა, ბიგვაა ← ბიგვავა, გერზმაა ← გერზმავა, ლაგვლაა ← ლაგვილავა და მრ. სხვ.

ბ) **-ია** ← **-იან** დაბოლოებიანი გვარები ან ინარჩუნებენ ამ დაბოლოებას, ან ჩამოიცილებენ მას და დაირთავენ აფხაზურ **ა-** თავსართს. შდრ., ერთი მხრივ, გერია, შარია, კუცია, ხასაია, ბერზენია, გულია... და, მეორე მხრივ, ა-მარშან ← მარშანია ← მარუშიანი (შდრ. მარუშისძე), ა-მქვაბ‖ა-ნქვაბ ← მიქვაბია, ა-მფარ ← მეფორია, ა-ჯ**ს**ნჯალ ← ჯინჯოლია, ა-ბლ**ს**სკირ ← ბულისკირია‖ბულეისკირი.

გ) **-უა** დაბოლოება უცვლელი რჩება: ლოგუა, ჭოლოკუა, ჯოლოგუა, მატუა, ძაძუა, ასაბუა ← ესებუა. დაბოლოების შენარჩუნებას ალბათ ხელი შეუწყო გვარსახელებად გადაქცეული აფხაზური სადაურობის სახელების ფუძეში **-უა** ‖ **-ჟა** სუფიქსის არსებობამ: აგრუა „მეგრელი", აშვანუა „სვანი", აშხარუა „მთიელი" (შდრ. აშხარაა გვარსახელი).

7. **ზღვაოსნობისა და მეთევზეობის ტერმინები აფხაზურ ენაში**

ზღვის ნაპირას მუდმივად მოსახლე ეთნოსის ცხოვრებაში ზღვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი არის მთავარი სატრანსპორტო არტერია და ადამიანს უხვად აწვდის საკვებს. ზღვასთან სიახლოვე აუცილებლად აისახება ზღვისპირელი ეთნოსის ენაში ნაოსნობის, მეთევზეობისა და კულინარულ ტერმინთა სიუხვით, ასევე ფრაზეოლოგიაში. ბუნებრივია, ლექსიკის ეს დარგობრივი ჯგუფები აფხაზურშიც უხვად უნდა იყოს წარმოდგენილი, თუკი აფხაზები მართლაც იმთავითვე სახლობდნენ ზღვის სანაპიროზე.

შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზთა აბორიგენობის კონცეფცია უდევს საფუძვლად ო. ძიძარიას (ძარიას) მონოგრაფიას, რომელშიც განხილულია აფხაზურ ენაში არსებული ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა[1058]. წიგნში ავტორს წარმოდგენილი აქვს თავისი შეხედულებანი 124 ლექსიკური ერთეულის წარმომავლობისა და აგებულების შესახებ[1059] (შედარებისათვის: მ. სალიამ შეკრიბა და გააანალიზა 536 მეგრულ-ჭანური ლექსიკური ერთეული, რომლებიც მხოლოდ მეთევზეობასთანაა დაკავშირებული, და ამჟამად აგროვებს და იკვლევს ნაოსნობის ლექსიკას)[1060]. ავტორის დასკვნით, ამ 124 ძირითადი ტერმინიდან 80 საკუთრივ აფხაზური წარმოშობისაა, 15 სიტყვის წარმომავლობა გაურკვეველია, ხოლო დანარჩენები აფხაზურს შეუთვისებია ქართველური ენა-კილოებიდან (ძირითადად მეგრულიდან), თურქულიდან, ბერძნულიდან და ფინიკიურიდანაც კი.

დასახელებული ცნება-ტერმინებიდან საკმაოდ დიდი ნაწილი ან საერთოდ არ უკავშირდება ზღვას (მდინარის თევზთა სახეობები: ლოქო, ქარიყლაპია...; თავკომბალა), ან მათი კავშირი ზღვასთან ძალზე პირობითია, ვინაიდან იმავე ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები არსებობს იმ ეთნოსთა ენებშიც, რომლებიც არ ცხოვრობენ ზღვის ნაპირზე, მაგრამ კარგად იცნობენ მდინარეებსა და ტბებს (ნაპირი, ნიჩაბი, მორევი, ცურვა, წარღვნა, წყალდიდობა, წალეკვა, წყლის აზვირთება, ყურე, ტივი, თევზსაჭერი კალათი, გემი, ნავი, გემისა და ნავის ნაწილები, ქერცლი, მლაშე წყალი, ქვიშა, თევზი, აფრა, აფრიანი გემი, აფრის სახეობები, ამოყვინთვა, ჩაყვინთვა, ჩაძირვა, ნემსკავი, ანკესი, ჭვილ-

---

[1057]. ვრცლად იხ.: ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I; თ. გვანცელაძე. ჩრდილოდასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. - ქართველური მემკვიდრეობა, ტ. III. ქუთაისი, 1999.

[1058]. О. П. Дзидзария (Дзария). Морская лексика в абхазском языке. Сухуми, 1989.

[1059]. იქვე, გვ. 46-69.

[1060]. მ. სალია. მეთევზეობის ლექსიკა ზანურში. თბ., 2005.

თი, ცურვის სახეობები, კუნძული, ნახევარკუნძული). ასეთ ტერმინ-ცნებათა რაოდენობა ო. ძიძარიასეულ სიაში 48 ერთეულს, ანუ ძირეულ აფხაზურ საზღვაო ტერმინებად მიჩნეული სიტყვების ნახევარსა და მთლიანად განხილული 124 სიტყვის 38,7%-ს შეადგენს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ 124 სიტყვიდან 34 ნასესხებია სხვა ენებიდან, გამოვა, რომ აფხაზურ ენაში უშუალოდ მხოლოდ ზღვასთან დაკავშირებული ყოფილა 42 ძირეული (საკუთრივ აფხაზური) სიტყვა[1061], რაც აფხაზთა წინაპრების „ზღვასთან ინტიმური ურთიერთობის“ მაჩვენებელი სულაც არ არის. თქმული იმ მოსაზრებასაც აცლის საფუძველს, თითქოს აფხაზები მეზობელ ხალხთა მასწავლებლები ყოფილიყვნენ საზღვაო საქმეში, ვინაიდან ამ 42 ტერმინიდან ქართველურ ენა-კილოებში არცერთი არ არის ნასესხები აფხაზურიდან. საყურადღებოა ისიც, რომ ა. ლამბერტის, ქათიბ ჩელების, ჟ. შარდენის, ნ. ვიტზენის, ს. ორბელიანის, ვ. ბაგრატიონის, ი. ბლარამბერგის, ფ. დიუბუა დე მონპერესა და სხვათა ცნობებით, **წარსულში აფხაზები არ მისდევდნენ მეთევზეობას და მათ რაციონში არ შედიოდა თევზეული,** სამაგიეროდ ისინი განთქმულნი იყვნენ როგორც სეზონური საზღვაო მეკობრეები. ამჟამად ზღვისპირა სოფლებში მოსახლე აფხაზებიც არ მიირთმევენ თევზეულს, არ ამზადებენ ნავებსა და სათევზაო მოწყობილობას. ეს უეჭველად იმის მანიშნებელია, რომ **აფხაზებმა ზღვა გვიან გაიცნეს და მას მხოლოდ მეკობრეობისათვის იყენებდნენ.** საყურადღებოა ისიც, რომ **აფხაზურ ენაში ქართველური ენობრივი სამყაროდან შეთვისებულია თევზის იმ ჯიშთა სახელები, რომელთაც თევზის მოყვარულ ეთნოსთა შორის დიდი მნიშვნელობა აქვთ და გამოირჩევიან საკვები ღირსებებით** (ზუთხი, სვია, კამბალა, ლოქო, კალმახი, ორაგული, წვერა‖მურწა, წვერედი, ღორჯო და ა. შ.). **ამ სახელწოდებებს აფხაზურში მხოლოდ ნომინატიური (სახელის რქმევის) ფუნქცია აქვთ და არ უკავშირდებიან ეთნოგრაფიულ-კულტურულ რეალიებს.**

აფხაზთა თავდაპირველი ეთნიკური სამშობლოს ადგილმდებარეობის გარკვევისათვის განსაკუთრებით ფასეულია ერთი ტერმინის ანალიზის შედეგები: აფხაზურ ენაში ზღვას ამჟამად ორი სიტყვა აღნიშნავს – **ა-მშსნ** და **ა-გა**. სახელი **ა-გა** პირველ სახელთან შედარებით უფრო ფართო სემანტიკის მქონეა და ზღვასთან ერთად აღნიშნავს ზღვის ნაპირსაც და, რაც არსებითია საკვლევი საკითხისათვის, **სამხრეთსაც**[1062]. თანამედროვე აფხაზეთში **ზღვა ზუსტად სამხრეთის მიმართულებით მდებარეობს ქ. გუდაუთიდან სოფ. ფსირცხამდე მდებარე რამდენიმეკილომეტრიან ზოლში,** დანარჩენ მონაკვეთებზე კი ზღვა ხმელეთს აკრავს დასავლეთიდან, ანდა სამხრეთ-დასავლეთიდან. ეს ფაქტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ **ა-გა სიტყვას სამხრეთის აღმნიშვნელის ფუნქცია უნდა მინიჭებოდა მაშინ, როცა აფხაზთა წინაპრები ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების ნაპირებზე, საიდანაც შავი ზღვისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა სამხრეთისაკენ გადიოდა.** დამატებით საბუთად გამოდგება აფხაზურ ენაში ზღვაურის (ზღვიდან მონაბერი ქარის) აღსანიშნავად **აგაფშა** (ზედმიწ.: „ზღვის ქარი“) და **აგსრფშა** (ზედმიწ.: „მეგრული ქარი“) სინონიმურ ტერმინთა არსებობაც, რაც **უეჭველად იმას ნიშნავს, რომ XVI საუკუნემდე აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვა და სამეგრელო (ეგრისი) ერთ ადგილას (ერთ მხარეს), კერძოდ კი სამხრეთით ეგულებოდათ.** ზღვისა და ზღვის სანაპიროს გაიგივება ეგრისთან იმ პერიოდის ანარეკლია, როცა მეგრელები უწყვეტ ზოლად სახლობდნენ არა მარტო თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე, არამედ განსახლებულნი იყვნენ მდინარე ფსოუდან ნიკოფსიამდეც (ისტ. ძველ ლაზიკამდე).

8. **სხვა დარგობრივ ჯგუფთა ლექსიკა აფხაზურ ენაში**

ტექნიკური მიზეზების გამო აქ მოკლედ მიმოვიხილავთ ბოტანიკურ, მეცხოველეობა-მეცხენეობის, სამიწათმოქმედო, სამშენებლო და სხვა დარგობრივ ჯგუფთა ლექსიკის ანალიზის შედეგებს. მაგალითად, ირკვევა, რომ კულტურულ მცენარეთა 120 სახელწოდებიდან 34 ტერმინი (28,3%) აფხაზურს შეუთვისებია მეგრული დიალექტისაგან, ან ქარ-

---

[1061]. თუ ამ რაოდენობას გამოვაკლებთ გაურკვეველი წარმოშობის 15 სიტყვასაც, მაშინ ძირეულ აფხაზურ ტერმინთა საერთო რიცხვი 27 ერთეულამდე ჩამოვა.

[1062]. К. С. Шакрыл, В. Х. Конджария. Словарь абхазского языка, т. I. Сухуми, 1986, გვ. 33. ზღვის ნაპირს აღნიშნავს აგრეთვე კომპოზიტი აგაჭა, რომელიც შედგება აგა „ზღვა“ და ა-ჭS ← *ა-ჭა „პირი“ სიტყვებისაგან. საინტერესოა, რომ ო. ძიძარია არ უთითებს იმ ფაქტს, რომ აგა სამხრეთსაც ნიშნავს.

თული სამწიგნობრო ენისაგან. ამ ჯგუფს განეკუთვნება ჭვავის, ქერის, ჭარხლის, თალგამის, კიტრის, ატმის, ლობიოს ჯიშთა, კომშის, ვაზის ჯიშთა და სხვა მცენარეთა სახელები. წილობრივი თვალსაზრისით გაცილებით ნაკლებია ქართველიზმები ველურ მცენარეთა სახელწოდებებს შორის – 20 სიტყვა 145-დან (13,7%). ამ ჯგუფში შედის ძირითადად პრაქტიკული გამოყენების მქონე (სამკურნალო და სამეურნეო დანიშნულების) მცენარეთა სახელები (ისლი, ბაია, კოწახური, იონჯა, სურო, კლერტა და ა. შ.), მაგრამ **დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ნასესხობათა შორის არ დასტურდება არცერთი ისეთი მცენარის სახელი, რომელთა გავრცელების არეალი შემოიფარგლება მხოლოდ მაღალმთიანეთის (ალპური და სუბალპური) სარტყელით. აფხაზურს მეგრული დიალექტიდან და ქართული სამწიგნობრო ენიდან შეუთვისებია იმ კულტურულ და ველურ მცენარეთა სახელები, რომლებიც გავრცელებულია დაბლობში, ჭაობებში და დაბალი, ან საშუალო სიმაღლის მთათა სარტყელში**. ეს ფაქტი უტყუვრად ასახავს აფხაზთა წინაპრების ჩრდილოეთ კავკასიიდან კავკასიონის უღელტეხილთა გადმოვლით ამჟამინდელი აფხაზეთის ზღვისპირა ჭაობიან და დაბლობ ადგილებში დამკვიდრების მარშრუტს. ყუბანის აუზის დაბლობიდან და დაბალმთიანეთიდან აფხაზებს ჯერ უნდა აენაცვლებინათ კავკასიონის ჩრდილოეთის მაღალმთიან ზოლში (იხ. ზემოთნახსენები 1654წ. რუკა), სადაც ხანგრძლივი ცხოვრების დროს გამოუმუშავდათ მთიელის ფსიქოლოგია, რაც ენაშიც აისახა (აფხაზურში მეტად დეტალიზებულია მაღალი მთის ლანდშაფტის ამსახველი ლექსიკა). XVI საუკუნიდან აფხაზები სახლდებიან მძიმთის, ფსოუს, ბზიფისა და გუმისთის სათავეებში, უფრო გვიან კი კოდორის სათავეებშიც. აქ, მაღალ მთაში მათ არ დასჭირდებოდათ მთის ლანდშაფტის, ფლორისა და ფაუნის ამსახველი ლექსიკის სესხება ქართველთაგან, ვინაიდან ეს ლექსიკა მათ ენაში კარგად იყო განვითარებულ-დეტალიზებული. მაგრამ როცა აფხაზები დაეშვნენ აფხაზეთის ბარში, ჭაობიან ზღვისპირა ზოლში, აფხაზურ ენას აუცილებლად შეექმნებოდა საჭიროება მეგრულიდან, ან ქართული სამწიგნობრო ენიდან ესესხებინა სრულიად ახალი გეოგრაფიული გარემოს ამსახველი ლექსიკა[1063].

მეცხენეობისა და ცხენოსნობის ტერმინებიდან მეგრულს აფხაზურისაგან ნასესხები აქვს ძირითადად ცხენის სადგომთან დაკავშირებული ტერმინები, რომლებიც მთის ლანდშაფტს უკავშირდება. ეს ლექსიკა არ ჩანს ლაზურში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფხაზური მეცხენეობის ტერმინები მეგრულში შემოსულა მეგრელ-ლაზთა ტერიტორიული დაშორების (VIII-IX სს.) შემდგომ, ხოლო აბაზურში შესული ამ ჯგუფის სახელები უნდა მოწმობდეს მათ სესხებას ჯერ კიდევ დაუშლელი აფხაზურ-აბაზური ენობრივი კოლექტივის მიერ XVI საუკუნემდე[1064]. რაც შეეხება მწყემსურ ლექსიკას, ამ დარგში სესხება ორმხრივია და ძირითადად ის ტერმინებია გაცვლილი, რომლებიც მთიან იალაღზე ყოფნას უკავშირდება[1065]. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლექსიკიდან აფხაზურს უამრავი ქართველური ტერმინი აქვს ნასესხები (მიწის ნაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვით დაწყებული სამეურნეო იარაღების სახელებით დამთავრებული), რაც იმისი კიდევ ერთი საბუთია, რომ აფხაზთა წინაპრები მესაქონლე მთიელები იყვნენ და ნაკლებად იცნობდნენ მიწათმოქმედებას[1066]. რაც შეეხება სამშენებლო ლექსიკას, აფხაზურში სწორედ ქართველიზმებით აღინიშნება საცხოვრებელთა ძირითადი ტიპები (ფაცხის გარდა), შენობის ნაწილებისა და სამშენებლო იარაღების უმრავლესობა[1067]. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აფხაზურ ენას არ მოეპოვება კაპიტალურ მშენებლობასთან დაკავშირებული საკუთარი, ძირეული ლექსიკა და იგი ამ მიზნით იყენებს ძირითადად ქართველური ენა-კილოებიდან შეთვისებულ ტერმინებს...

[1063]. ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე. ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი. - გიორგი როგავას (საიუბილეო კრებული). თბ., 1997; ნ. მაჭავარიანი. მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი). თბ., 2006.

[1064]. მ. ბუკია. მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში. თბ., 2006, გვ. 183.

[1065]. მ. ბუკია. აფხაზური წარმოშობის აფუნ-ის სემანტიკური ველი მეგრულში. - საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. 10. თბ., 2000, გვ. 243-245.

[1066]. ი. ბებია. მეგრული ნასესხობანი აფხაზურ სამიწათმოქმედო ლექსიკაში. - XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2000, გვ. 27-30.

[1067]. თ. გვანცელაძე. აფხაზურ საცხოვრებელთა ძირითადი ტიპები და მათი სახელწოდებანი. - არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1998, გვ. 20-21; შდრ. ი. ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წ. II. თბ., 1968.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენობრივი მასალა სრულიად უეჭველად ადასტურებს, რომ აფხაზთა წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი არ ყოფილა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია და ისინი აქ არ სახლობდნენ XVI საუკუნემდე.

თავი XII. აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე

XVII-XVIIIსს. მიჯნაზე დასავლეთ საქართველო თურქეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში რჩებოდა. იმერეთის მეფეს, ოდიშის, გურიის, აფხაზეთის მთავრებს ტახტზე სულთანი ამტკიცებდა. მათი ოსმალეთზე დამოკიდებულება სულთნისათვის ყოველწლიური მისართმეველის - „ქრთამის“ გაგზავნაში გამოიხატებოდა. რაც შეეხება სასულიერო ხელისუფლებას, ის თურქეთზე არაფრით იყო დამოკიდებული და მაჰმადიანობის მოძალებას ენერგიულად ებრძოდა[1068]. დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ, რომ ოსმალთა დამოკიდებულებიდან გათავისუფლებულიყვნენ.

1702წ. ახალციხის ფაშას ყოველწლიური მისართმეველის მიცემა შეუწყვიტეს იმერეთის, გურიის, ოდიშის მესვეურებმა, რითაც ოსმალეთის მორჩილებაზე უარი თქვეს. მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თურქ ვაჭრებს თავს ესხმოდნენ. ქართველებს ოსმალებისთვის რამდენიმე ციხეც წაურთმევიათ[1069]. ამ ამბებს უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის იმდროინდელ ანტითურქულ გეგმებთან. პეტრე I-ის მიერ 1696წ. თურქებისთვის აზოვის ციხის წართმევამ და რუსეთის ფლოტის შავ ზღვაზე გამოჩენამ დასავლეთ საქართველოს მესვეურებს გარკვეული იმედები ჩაუსახა.

ბრწყინვალე პორტამ გადამჭრელ ზომებს მიმართა. 1703წ. ზაფხულში ოსმალები დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ. მოსახლეობა მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მომხდურთა სიმრავლემ და ფეოდალურმა განკერძოებულობამ დამპყრობთა წარმატებას ხელი შეუწყო. ოსმალებმა გურიის ციხეები დაიკავეს, შემდეგ ოდიშში შეიჭრნენ და ააოხრეს, რუხში მეციხოვნეები ჩააყენეს, ზღვისპირას ახალი დასაყრდენის შექმნის მიზნით ანაკლიის ციხე ააშენეს. იმავდროულად ოსმალებს ხომალდები გაუგზავნიათ აფხაზების წინააღმდეგ, რომლებმაც „შექმნეს ზოგიერთი არევ-დარევა სანაპიროებზე“[1070]. დასავლეთ საქართველო სრული დაპყრობის საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. სტამბოლში აჯანყდა საქართველოში გამოსაგზავნად გამზადებული ჯარი, რასაც თურქეთში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. ახალმა სულთანმა აჰმედ III-მ (1703-1730წწ.) დასავლეთ საქართველოდან ლაშქრის გამოწვევა ბრძანა, რადგან პორტას ლაშქრობის გაგრძელება არ შეეძლო.

ოსმალები მხოლოდ ბათუმის, ფოთის, რუხის, ანაკლიის ციხეებში დარჩნენ. მალე მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაიშალა. 1704წ. ზაფხულში ოდიშის მთავარმა ოსმალთა მიერ დაკავებულ ციხეებზე მიიტანა იერიში. მას აფხაზებიც ეხმარებოდნენ. ქუთაისის ყადის ელჰაჯ ომერის 1704წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ დადიანი მორჩილებიდან გამოვიდა, ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე აფხაზები შეუერთდნენ და თურქთა ხელში მყოფი რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს. თუმცა მალე ეს ციხეები კვლავ ოსმალებმა დაიბრუნეს[1071].

ოდიშის ლაშქარი აფხაზებთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა, თავს ესხმოდა ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს და აწიოკებდა. 1714წ. დიდი სიძნელეები შეჰქმნიათ რუხისა და ანაკლიის თურქ მეციხოვნეებს „აფხაზ და

[1068] . ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770წწ.), შ.ბურჯანაძის რედაქციით. თბ.,1959, გვ. 45; ქ. ჩხატარაიშვილი. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან..., გვ. 43-44; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 455.

[1069] . ქართლის ცხოვრება, ტ.IV.გვ.863; მეჰმედ რაშიდი. ისტორია, ტ.II, გვ.581; იხ. ვ.ჩოჩიევი. მეჰმედ რაშიდის ცნობები..., გვ.25.

[1070] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 863-864; ქ. ჩხატარაიშვილი. საქართველოს..., გვ. 58-61; მისივე: დასავლეთ საქართველო. – საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, გვ. 457-458; ი.ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა. თბ.,1972, გვ. 63.

[1071] . ნ. შენგელია. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 21, 23-27.

მეგრელ ურწმუნო ყაჩაღთა“ თავდასხმების გამო. ოსმალები იძულებული გახდნენ რუხის ციხე დაეცალათ, თუმცა 1719წ. მიწურულს თურქებმა ციხე კვლავ დაიკავეს და 65 მეციხოვნე ჩააყენეს[1072].

20-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართულებით რუსეთის იმპერია გააქტიურდა. რუსეთის წინსვლამ კასპიისპირეთში, ურთიერთობამ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ოსმალეთის მმართველი წრეების შეშფოთება გამოიწვია. 1723წ. ოსმალეთმა, რომელმაც სეფიანთა დინასტიის დაცემის (1722წ.) შემდეგ ირანის ჩრდილოეთი და ცენტრალური ოლქები დაიკავა (1723წ.), სასწრაფოდ გადმოისროლა დამატებითი ძალები კავკასიაში და რუსეთი აიძულა, შეეწყვიტა წინსვლა კასპიისპირეთში. იმავე წლის ივნისში თურქებმა თბილისი აიღეს. პორტამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროც გაამაგრა, თავიდან ააშენეს ფოთისა და სოხუმის ციხეები, დაარღვიეს რუხის ციხე და მისი ქვებით კიდევ უფრო გაამაგრეს ანაკლია. ოსმალო მეციხოვნეები ჩადგნენ ციხისძირში, ანაკოფიასა და ბიჭვინთაში[1073]. ფოთს 200 თურქი მეციხოვნე იცავდა, სოხუმის ციხეში 100 მეციხოვნე იდგა 10 ზამბურაკით (საციხო თოფებით); ანაკლიის ციხეში 10 მეციხოვნე იყო. ამდენივე იდგა ზამბურაკებით ანაკოფიაში. 1725წ. ოსმალებმა ფოთში ორთუღიანი ფაშა დასვეს და მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს[1074]. ერთი თურქული წყაროს ცნობით, 1722წ. სოხუმის ციხის მფლობელად მოხსენიებულია როსტომ-ბეგის ძმისწული გიორგი[1075]. ეს როსტომ-ბეგი უნდა იყოს ზეგნაყ შარვაშიძის შვილი, რომელმაც ძმებთან ერთად აფხაზთა მიწა-წყალი გაინაწილა. ამრიგად, ოსმალეთი დაეუფლა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებს. მოსახლეობა თურქთა ძალადობას არ ურიგდებოდა. ოსმალო მემატიანის ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობით, აფხაზები ზღვიდან და ხმელეთიდან ნიადაგ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, რომლებიც სოხუმში ციხეს აშენებდნენ. ამიტომ ისინი იძულებული გამხდარან, თავი მოეყარათ მთელი თავიანთი ძალებისათვის და ამ გზით დაემორჩილებინათ აფხაზეთი[1076].

1725წ. გაზაფხულზე ოდიშის მთავარი ბეჟან დადიანი და იმერეთის მესვეურები ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს გამოსვლა ვერ განხორციელდა. იმავე წელს აფხაზებმაც სცადეს თურქთა განდევნა სოხუმის ციხიდან, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა[1077]. ამის თაობაზე რუსეთის დესპანი სტამბოლში ა.რუმიანცევი და რეზიდენტი ი.ნეპლიუევი იტყობინებოდნენ: „სამეგრელოს ცნობილი მთავრის ბეჟან დადიანის მიერ დაწყებული არეულობა იზრდება და თითქოს აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ახლადაგებული ერთ-ერთი ციხიდან თურქები განდევნეს“-ო; 1726წ. 22 ივნისს ა.რუმიანცევი იტყობინებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთში ახალი არეულობის შესახებ; 1728წ. აფხაზებმა ისევ შემოარტყეს ალყა სოხუმის ციხეს. თურქები ეჭვობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში ანტიოსმალური გამოსვლები რუსეთის მხარდაჭერით ხორციელდებოდა და მას ქართლის დევნილი მეფე ვახტანგ VI (1703-1724წწ.) ხელმძღვანელობდა[1078]. 1728წ. ახალციხელი ისაყ ფაშას შვილმა აფხაზები შემოირიგა, ხოლო ანტიოსმალური ბრძოლის მოთავე ბეჟან დადიანი ღალატით მოაკვლევინა.

მიუხედავად ამისა, ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ საქართველოში არ ჩამცხრალა. ოსმალებმა ვერ შეძლეს საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, სრული დამორჩილება. დამპყრობლები მათ მიერ დაკავებულ ციხეებშიც

1072 . იქვე, გვ. 90-92, 97.

1073 . ქათიბ ჩელები. ისტორიულ მოვლენათა კალენდარი, გვ.135; ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ.134, 253; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 883; შ.ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737წ. რუკა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყარო, - ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1. თბ.,1959, გვ. 192-197; ქ.ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს. – საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV. გვ. 461-462.

1074 . შ.ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737წ. რუკა, გვ.183; ქ.ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო..., გვ. 462.

1075 . ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 134.

1076 . ნ.შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ.116.

1077 . ქ.ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო..., გვ. 467.

1078 . . . . - XVIII . .,1977, გვ.63,79.

თავს მყარად ვერ გრძნობდნენ[1079]. ეს იყო პერიოდი, როდესაც შარვაშიძეები, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „არავის მორჩილებასა შინა“ არ იმყოფებოდნენ[1080].

1730წ. გაზაფხულზე ოსმალებმა გადაწყვიტეს ბათუმიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს საბოლოოდ დაპყრობა და ჯიქების დამორჩილება. ლაშქრობას, რომელშიც იმერეთის მეფეც მონაწილეობდა, ფოთის ფაშა სარდლობდა. ოსმალებმა ოდიში მოარბიეს. მოსახლეობა, ვიდრე აფხაზეთამდე, მდ.ღალიძგამდე, სრულიად დახიზნულიყო. „არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევნიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ, - წერს ვახუშტი ბატონიშვილი, - შევიდნენ ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპნეს დახატულებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“. აფხაზთა მთავარმა წინააღმდეგობა გაუწია მათ, მაგრამ დამარცხდა და მორჩილება გამოაცხადა. ოსმალებმა მთავარი და მისი ახლობლები ძალით გაამაჰმადიანეს, რის შემდეგაც, თურქები ჯიქეთისაკენ დაიძრნენ. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას მხოლოდ უბედურება მოჰქონდა მისი ქვეყნისთვის, ამიტომ თავისი ლაშქრით გზიდან გამოიპარა. მალე აფხაზებიც აჯანყდნენ და ოსმალებმა ვეღარ გააგრძელეს ლაშქრობა. აფხაზებმა მათი დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი გაიქცა. ფაშამაც გაქცევით უშველა თავს[1081]. თუმცა მოგვიანებით ოსმალებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი გავლენა აფხაზეთზე. 1730-31წწ. სოხუმის ციხეში ალი არსლან ბეგის ხელმძღვანელობით ოსმალთა 70-დან 100-მდე მეციხოვნე იდგა; 1731-1735წწ. ოსმალები ანაკოფიის ციხეშიც იდგნენ - 70 კაცი.[1082]

აფხაზები კარგად გრძნობდნენ საფრთხეს, რასაც დასავლეთ საქართველოში თურქების გაბატონება უქადდა მათ, ამიტომ, ოდიშთან დაპირისპირების მიუხედავად, ქართველებთან ერთად ებრძოდნენ დამპყრობლებს; ამავე დროს მონაწილეობდნენ ფეოდალურ შინაომში და ამ ბრძოლაში ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს. ეს ალბათ ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ოდიშარ-აფხაზთა ერთობლივი ბრძოლის, შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობის შედეგი იყო.

მალე ანაკოფიიდან და ბიჭვინთიდან თურქი მეციხოვნეები გაიყვანეს, სამაგიეროდ, პორტამ სოხუმის ციხე გააძლიერა. 1737წ. აქ ორთუღიანი ფაშა იჯდა, რომელსაც ანაკლიის ციხეც ემორჩილებოდა. სოხუმის ციხის გარნიზონი 200 იანიჩარისაგან შედგებოდა, ხოლო შეიარაღებაში 60 ქვემეხი იყო[1083].

შინაომებისა და ოსმალთა შემოსევებისაგან დასავლეთ საქართველო საშინლად იყო აოხრებული. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთში, რომელიც შინაურმა არეულობამ მოიცვა. აფხაზთა მთავრები ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას. შავი ზღვის სანაპიროზე ტყვის მსყიდველები თარეშობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აფხაზები აქტიურობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზები „დაუÃდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა“[1084]. ისინი მოულოდნელად ადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოიხელთებდნენ, იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ, ან აფხაზეთში მონებად ასახლებდნენ[1085]. ამასთან, აფხაზეთიც ხშირად განიცდიდა მეზობელი მთის ტომების თავდასხმებს, ქვეყნის შიდა რაიონებში ხშირად იჭრებოდნენ თავისუფალი აფხაზური თემების – წებელის, დალის, ფსხუს, აჰჭიფსის – მკვიდრნი[1086]. ერთი გადმოცემით, აფხაზთა მეზობელმა მთის ტომებმა წებელისა და დალის თემების მკვიდრთა მხარდაჭერით – მძარცველური თავდასხმის დროს მოარბიეს დრანდა, მერხეული, კვიტოული, დიდძალი ნადავლი და ტყვე იგდეს ხელთ და

1079 . ს.ჯიქია. დოკუმენტები ოსმანთა გარნიზონის სოხუმში ყოფნის ეპიზოდის შესახებ. – საქართველო და აღმოსავლეთი. თბ., 1984, გვ.217-223.

1080 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.

1081 . იქვე, გვ. 887-888.

1082 . ნ.შენგელია. ოსმალური „ქუჩუქ ბერათები“ სოხუმის ციხის შესახებ. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. თბ., 1991, გვ.311-314; . . . ..., გვ. 274-286.

1083 . შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა..., გვ.123, 225-226.

1084 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.785.

1085 . . . . XVII-XVIII , 2 – . ,1951, გვ. 156.

1086 . . . . , . I. ., 1864, გვ.45; . . - . ,- , XXIX, ,1958, გვ.78,81.

ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. აფხაზთა მთავარი ჯიქეშია ამ ტომების მეთაურებთან მოსალაპარაკებლად გაემართა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მაგრამ უკან დაბრუნებული მთავარი ღამით ტყეში გადააწყდა მარბიელთა ჯგუფს და მათთან შეტაკებაში დაიღუპა[1087].

აფხაზთა სამთავრო ტახტზე ჯიქეშიას უფროსი ვაჟი მანუჩარი ავიდა. ამ პერიოდში ოსმალებმა მოახერხეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება. ამის შემდეგ ისინი სულ უფრო აქტიურად ერეოდნენ სამთავროს საშინაო საქმეებში და მხარს უჭერდნენ სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ძალებს. 30-იან წლებში ოსმალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს მანუჩარ შარვაშიძე და ორ უმცროს ძმასთან - ზურაბთან და შირვანთან ერთად ოსმალეთში გააგზავნეს, სადაც ძალით გაამაჰმადიანეს. აფხაზეთის გამგებლობა სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის ასლან-ბეი გეჩის ხელში გადავიდა. ამ პერიოდში აფხაზეთში დიდი გავლენა მოიპოვა სამთავრო სახლის მეტოქე ძაფშ-იფების საგვარეულომ, რომლის გაძლიერებასაც მხარს უჭერდა ასლან-ბეი გეჩი. ძაფშ-იფებმა დაიკავეს სოხუმის მიდამოები, ტერიტორია მდინარეებს ფსირცხასა და კოდორს შორის და მთავრის კუთვნილი მთელი რიგი ფეოდალური შემოსავლები მიითვისეს[1088].

შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს ოსმალებთან საერთო ენის გამონახვა. ასე რომ, 1744წ. მანუჩარ შარვაშიძე ბათუმის ბეგად იჯდა, ზურაბი - სოხუმისა, ხოლო შერვანი ფაშას ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოღმა“[1089]. ერთი ცნობით, ზურაბი დიდი ამბით მიიღეს აფხაზეთში, მაგრამ გაქრისტიანება მოსთხოვეს, ისიც მოინათლა ილორის ეკლესიაში და ამის შემდეგ სამთავრო ტახტი დაიკავა[1090]. როგორც ჩანს, აფხაზეთში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიცია, რომ აფხაზეთის მთავარი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. ზურაბს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ამიტომ ოსმალეთიდან ჩამოიყვანა თავისი ძმისწული ქელაიშ-აჰმედ-ბეი (ქელეშ-ბეი) მანუჩარის ძე, რომელიც ახალგაზრდობიდან მძევლად იყო სტამბოლში და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ, ზურაბმა ბათუმიდან ჩამოიყვანა მეორე ძმისწული ბექირ-ბეი შერვანის ძე, რომელსაც აბჟუა უბოძა. აფხაზთა მთავარმა ძაფშ-იფების ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს მისამხრობად მათი ასული შერთო ქელეშ-ბეის, რასაც ძაფშ-იფების ოპოზიციის რამდენადმე შესუსტება მოჰყვა[1091].

XVIIIს. შუა ხანებში აფხაზეთის საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ.ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას ოდიში ესაზღვრებოდა; ჩრდილო-დასავლეთით – მდ.ბზიფზე (კაპეტის წყალი), სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა[1092]. მდ.ღალიძგასა და მდ.ენგურს შორის მდებარე ტერიტორია – სამურზაყანო - ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამ მხარის მმართველებად აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. ამის გამო სამურზაყანოს აღმნიშვნელად ამ ხანის ქართულ წყაროებში მკვიდრდება ტერმინები: „ზემო აფხაზეთი“ და „სამურზაყანო აფხაზეთი“[1093]. იგი კვლავ ქართულ რეგიონად რჩებოდა და ოდიშის შემადგენლობაში იმყოფებოდა. აღსანიშნავია სამურზაყანოს მაშინდელი მფლობელის ხუტუნია შარვაშიძის თავდადება ხრესილის ბრძოლაში (1757წ.), როცა ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სოლომონ I-ის მეთაურობით ოსმალები დაამარცხა.

XVIIIს. 60-იან წლებში აფხაზეთში თურქული გარნიზონი მხოლოდ სოხუმის ციხეში იდგა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩის, მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელის მიერ 1769წ. შედგენილ იმერეთის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ სოხუმი არის ნავსადგური და ციხე, სადაც ოსმალთა გარნიზონი იდგა[1094]. რუსი ოფიცერი, კაპიტანი იაზიკოვი 1770წ. მოხსენებაში, შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეთა შორის ასახელებს

1087 . . . .., გვ. 246.
1088 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.. თბ., 1996, გვ.131.
1089 . ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო..., გვ. 469.
1090 . . . ...,გვ.247.
1091 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ.131-132.
1092 . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 783; ბ.ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ.132.
1093 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ.132.
1094 . . . . XVIII , , . I. - ., 1891, გვ.28.

აყუს, ანუ სოხუმს, სადაც დგას ოსმალთა გარნიზონი და მცხოვრებნიც ყველანი თურქები არიან[1095].

XVIIIს. II ნახევარში დასავლეთ საქართველოში გააქტიურდა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იმერეთ-ოდიშ-გურიის მესვეურნი ერთად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ სოლომონ I-მა კარგად იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად საკუთარი ძალები საკმარისი არ იყო, ამიტომ როგორც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798წწ.), სოლომონიც რუსეთთან კავშირს ეძიებდა. 1768წ. რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1768-1774წწ.) დაიწყო. ომის თეატრმა ამიერკავკასიაც მოიცვა. ერეკლე II და სოლომონ I რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ თურქთა განდევნას საქართველოდან. 1769წ. საქართველოში რუსეთის საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა, რომელიც 1770წ. ივნისიდან ქართველებთან ერთად თითქმის ორ წელს დასავლეთ საქართველოში ეწეოდა საომარ მოქმედებებს ოსმალთა წინააღმდეგ. მოკავშირეთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს შავიზღვისპირეთიდან თურქების განდევნა იყო. 1770წ. ოქტომბერში რუსეთის კორპუსი ფოთისკენ დაიძრა. კორპუსის სამეგრელოში შემოსვლისას ოსმალებმა რუხისა და ანაკლიის ციხეები დაცალეს და ისინი ოდიშის მთავარმა დაიკავა. ამის შემდეგ ტოტლებენმა დადიანთან ერთად ფოთს ალყა შემოარტყა, რომელიც სამთვენახევარს გაგრძელდა. 1771წ. თებერვალში სოლომონ I-მა ტოტლებენს აცნობა, რომ ზურაბ და ქელეშ-ბეი შარვაშიძეები აპირებდნენ, რუსეთის კორპუსს თავს დასხმოდნენ, რათა აეძულებინათ, ფოთს გასცლოდა. მართლაც, აფხაზები თავს დაესხნენ რუსთა კორპუსს და ცხენები გაიტაცეს[1096]. 1771წ. ზაფხულში რუსთა კორპუსმა ფოთს კვლავ შემოარტყა ალყა, თუმცა ისევ უშედეგოდ. ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში ფოთთან იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც თავისი რაზმით. იმავდროულად აფხაზები აჯანყდნენ თურქების წინააღმდეგ. აფხაზთა მთავარმა ზურაბ შარვაშიძემ და სამურზაყანოს მფლობელმა ლევან შარვაშიძემ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოხუმის ციხე და თურქები განდევნეს, მაგრამ მალე უთანხმოება ჩამოვარდა ზურაბ და ლევან შარვაშიძეებს შორის და ამ უკანასკნელმა ციხე თურქებს მიჰყიდა, თუმცა, ისინი ძლივს უმკლავდებოდნენ აფხაზთა თავდასხმებს. ამ ამბების შემდეგ ბრწყინვალე პორტა უკვე აღარ ენდობოდა ზურაბ შარვაშიძეს და ყოველმხრივ უჭერდა მხარს ქელეშ-ბეის, თუმცა ამჯერად მაინც ვერ გაბედა ზურაბისათვის მთავრობა ჩამოერთმია[1097].

70-იან წლებში იმერეთის ციხეებიდან თურქები განდევნეს. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774წ. 10 ივლისი) დადების შემდეგ, ოსმალეთი ხედავდა, რომ იმერეთს კარგავდა, ამიტომ ოდიშში ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ასეთ ვითარებაში, პორტამ ხელი შეუწყო აფხაზი „ბატონების“ ლაშქრობას ოდიშზე. ოსმალები შეუთანხმდნენ აფხაზებს; ზურაბ შარვაშიძე, სოხუმის (აყუს) ციხის მფლობელი ქელეშ-ბეი და აბჟუას მფლობელი ბექირ-ბეი შეკავშირდნენ; ოდიშის მთავარს განუდგა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც და ისიც ხსენებულ შარვაშიძეებს შეუერთდა[1098]. „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისი ბატონებით, შარვაშიძეები, ჯიქი, ალანი, და ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო ცხენოსანი და ქვეითი ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით“ და ოდიშისაკენ დაიძრნენ[1099]. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ამ ლაშქრობას მთავარი ზურაბ შარვაშიძე კი არ სარდლობდა, არამედ ქელეშ-ბეი. საფიქრებელია, რომ თურქები სწორედ ქელეშ-ბეის შეუთანხმდნენ ლაშქრობაზე და ზურაბმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა[1100].

კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონმა თავის ლაშქარს სოფ.ბანძაში უბრძანა თავმოყრა, აქვე დაიბარა გურიელიც. ბანძიდან მეფე თავისი ჯარით მალევე მივიდა რუხის ციხემდე. ბრძოლა გაიმართა 1780 წლის მარტში

1095 . იქვე, გვ. 261.

1096 . ვ. მაჭარაძე. მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. 2, გვ. 42-45.

1097 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ.161.

1098 . ნ.დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ.180; ქ.ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIIIს. 70-80-იან წლებში, გვ.665.

1099 . ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში, გვ. 665.

1100 . ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ.162.

ს.რუხში. ნ.დადიანი ბრძოლის სურათს ასე გადმოგვცემს: „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდენ აფხაზნი და მოურიდებლად გამოვიდნენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა ამხედრდენ აფხაზნი და წარმოემართნენ ზარბაზან-არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა. აქათ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რაოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერეთ-ოდიშართასა და მიუხტა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა განგლიჯა რაზმი, და შევიდენ სპანი მეფისა და დადიანისა რაზმსა შუა და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინააღუდგენ, და ივლტოდენ აფხაზნი და გაემარჯვათ სახელოვნად მეფესა და დადიანსა“[1101]. რუხის ბრძოლამ, რომელიც ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ბოლო მოუღო აფხაზების შემოტევას ოდიშის სამთავროზე. ეს ბრძოლა ქართველობამ თავიდანვე აღიქვა, როგორც ბრძოლა ქრის-ტიანობასა და მაჰმადიანობას შორის. ქართველთა სიმამაცემ და მხნეობამ ოდიში აფხაზ-ჯიქ-ჩერქეზთა წალეკვისაგან იხსნა, რომელთა ზურგს უკან ოსმალეთი და მისი ვასალი ყირიმის ხანი იდგნენ.

XVIII საუკუნეში აფხაზეთში ქრისტიანობა სულს ღაფავდა, ახალმა მოსახლეობამ თან ჩამოიტანა წარმართობა, ვრცელდება ისლამიც. დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები ზრუნავდნენ ქრისტიანობის აღორძინებისათვის აფხაზეთში, თუმცა ამას მაშინდელ პირობებში არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ს.-ს. ორბელიანის მიერ საფრანგეთის იმპერატორის ლუი XIV-ის სახელზე შედგენილ მემორანდუმში (1714წ.) აფხაზეთის კათოლიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის (1696-1742წწ.) თხოვნით შევიდა პუნქტი კათოლიკე მისიონერების გაგზავნის შესახებ ჩერქეზეთსა და აფხაზეთში ქრისტიანობის ასაღორძინებლად[1102], თუმცა მათი ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.[1103] XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს აფხაზთა მძლავრობის გამო სამურზაყანოში ბედიის კათედრაც გაუქმდა[1104]. დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპარქიების გაუქმების შემდეგ აფხაზეთში მხოლოდ ილორის წმ.გიორგის ეკლესია მოქმედებდა, რომელიც ცაიშის ეპარქიაში შედიოდა. მიტროპოლიტი გრიგოლ ცაიშელი (1777-1823წწ.) აღნიშნავდა: „მახლობელობისათვის სამურზაყანო აფხაზეთსაც ვმწყსიდი და ვიღვწოდი, რათა სარწმუნოება განმრავლებით მრავალთა შორის მტკიცედ გებულ იყო“[1105]. იგი ბევრს იღვწოდა ქრისტიანობის გავრცელებისათვის აფხაზებში, ბევრიც მონათლა და ბევრჯერ დაიფარა ეპარქია აოხრებისაგან. XVIIIს. მიწურულს იგი თავის ანდერძში აღნიშნავდა: „გულმოდგინებით მაქვნდა აფხაზეთის ერნი გარდაქცეულნი სარწმუნოებისაგან, რომელიც ხელმისაწთომელ იყო ჩემ მიერ, იგინი მომეყვანა სარწმუნოებად და მრავალნიცა მოქცეული იქმნენ და მონათლულ. სიფრთხილითა და ღვაწლითაცა ჩემითა დავფარე მრავალგზის წარტყვევნისაგან წარმართთასა საეკლესიო მამული და საეპარხიოცა“[1106].

სამურზაყანოს ქართველობა მართლმადებლობას, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა. განსხვავებული ვითარება იყო აფხაზეთში, სადაც ჩამოსახლებულმა წარმართებმა ბოლო მოუღეს ქრისტიანობას. მთელი XVIIIს. განმავლობაში მდ.ღალიძგის ჩრდილო-დასავლეთით არ ფუნქციონირებდა არცერთი ეკლესია, აფხაზეთის დევნილ კათოლიკოსებს და სამღვდელოებას ფეხიც არ დაუდგამთ ახალ, წარმართულ აფხაზეთში[1107].

XVIIIს-ში ქართული და აფსუური ეთნოსების, შესაბამისად, ქართული ქრისტიანული კულტურისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოტანილი წარმართობის შერწყმის საფუძველზე მიმდინარეობდა თანამედროვე აფხაზი (აფსუა) ერის ფორმირების პროცესი. ამან განაპირობა ახალი აფხაზების რელიგიური წარმოდგენების გაორება;

1101 . ნ.დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ.180.
1102 . ი.ტაბაღუა. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1965, №3, გვ. 84.
1103 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 302-303.
1104 . ბ.ხორავა. ბედიის საეპისკოპოსო. – საისტორიო ძიებანი, III. თბ., 2000, გვ. 41.
1105 . ა. ტუღუში. ცაიშის საეპისკოპოსო. ზუგდიდი, 2001, გვ. 97.
1106 . იქვე, გვ.65.
1107 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 303-309.

ერის ჩამოყალიბების აღნიშნულმა თავისებურებამ განსაზღვრა ქართველებისა და აფხაზების კულტურათა და ტრადიციათა სიახლოვე.[1108]

მიუხედავად წარმართობის დამკვიდრებისა, აფხაზეთში ქრისტიანობა სავსებით არ აღმოფხვრილა და მისი ნაკვალევი დარჩა ასიმილირებული მკვიდრი ქართველების რწმენასა და ყოფაში. აფხაზეთში შემორჩა ილორის (ელირნიხა), ქიაჩის (ქიაჩნიხა), ლიხნის, ბიჭვინთის, ლაშკენდარის თაყვანისცემა; ამავე დროს მკვიდრდება ახალი სალოცავები: ინალ-კუბა (ინალის საფლავი ფსხუში), დიდრიფში (სოფ.აჭანდარა), ლაფირნიხ (სოფ.ბლაბურხვა), ჩიგურ-ნიხ (სოფ.ჯირხვა), აგა-ნიხა (სოფ.მარმარისკარი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ მათი ერთი ნაწილი ქრისტიანული ეკლესიების ადგილას იყო, ნაწილი კი, აშკარად შემოტანილია აფხაზეთში ჩამოსახლებული ტომების მიერ. XVIII საუკუნიდან აფხაზეთში ვრცელდება ისლამი, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევარში მას ფართო მასშტაბებისთვის არ მიუღწევია. პირველად მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენა – სამთავრო სახლი და ფეოდალური წრეები გამაჰმადიანდნენ.

XVIIIს-ის აფხაზეთი დიდად განსხვავდებოდა წინა ეპოქების აფხაზეთისაგან. არსებითად, ეს იყო ახალი აფხაზეთი, ახალი პოლიტიკური ერთეული ბევრად მეტი ტერიტორიით, მოსახლეობის განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით, სხვა სარწმუნოებით, უფრო მაღალი სტატუსით (საერისთაო ფაქტობრივად იქცა სამთავროდ), ქართულ სამყაროსთან შესუსტებული კავშირით და თურქეთის გაზრდილი გავლენით. მიუხედავად ყოველივე ამისა, სამთავრო სახლი და წარჩინებულთა წრე პირად ნათესაურ ურთიერთობაში იყო ოდიშის, იმერეთის, გურიის მმართველ სახლებთან და წარჩინებულ საგვარეულოებთან. აფხაზთა მთავრები თავს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებდნენ. საქართველოსა და იმერეთის მეფეთა უზენაესობას ფორმალურად, მაგრამ მაინც აღიარებდნენ. გვიან შუა საუკუნეებში ქართული ენა აფხაზეთში რამდენადმე თმობს პოზიციებს. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის აფხაზების შესახებ წერდა: „ენა საკუთარი თჳისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“[1109]. ქართულ ენაზე მუშაობდა კვლავაც მთავრის კანცელარია. ს.-ს.ორბელიანი, რომელიც პარიზიდან და რომიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, 1714 წლის დეკემბერში მალტაში შემთხვევით ქართველებს შეხვდა. „ქართველნიც ვნახე – ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ, - წერდა საბა. – ენა ისევ კარგად იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული”[1110]. გაკვირვების მიზეზი ახალ აფხაზეთში არსებული სრულიად განსხვავებული ვითარება უნდა ყოფილიყო.

[1108] . იქვე, გვ. 321-322.
[1109] . ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 786.
[1110] . ქართული მწერლობა, ტ. VII. თბ., 1989, გვ. 272.

თავი XIII. აფხაზეთი XVIIIს. მიწურულსა და XIXს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში"

XVIIIს. მიწურულს ოსმალეთი ცდილობდა პოზიციები განემტკიცებინა აფხაზეთში, ამიტომ შეეცადა თავიდან მოეშორებინა პროქართულად განწყობილი ზურაბ შარვაშიძე და მის წინააღმდეგ ქელეშ-ბეი წააქეზა. „დროსა ამას, - წერს ნ.დადიანი, - შეიშურვენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა." ზურაბ შარვაშიძემ ოდიშის მთავარ კაცია დადიანს სთხოვა დახმარება. დადიანმა სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი, სარდლად თავისი ძმა გიორგი ჩაუყენა და აფხაზეთში გაგზავნა. „მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგნენ ცხომის ციხეს." მეციხოვნეების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად გიორგი დადიანის ძემ ციხე აიღო და ურჩნი ისევ ზურაბ შარვაშიძეს დაუმორჩილა[1111].

ამრიგად, ზურაბ შარვაშიძემ ოდიშის მთავრის დახმარებით შეინარჩუნა ხელისუფლება. დადიანისათვის, რა თქმა უნდა, აფხაზთის ტახტზე სასურველი იყო პროქართული ორიენტაციის ზურაბ შარვაშიძე, ვიდრე თურქოფილი ქელეშ-ბეი. ამ პერიოდში, აფხაზთა სამთავროს მხარეებიდან შუა სოფელს, ანუ აბჟუას, ტერიტორიას მდ.ღალიძგასა და მდ.კოდორს შორის, ფლობდა ზურაბ შარვაშიძის ძმისწული ბექირ-ბეი; სოხუმის ციხეს (აყუ) და გუმისთის აფხაზეთს, ანუ ტერიტორიას მდ.კოდორსა და მდ.გუმისთას შორის - ქელეშ-ბეი; ბზიფის აფხაზეთს, ტერიტორიას მდ.გუმისთასა და მდ.ბზიფს შორის, - ზურაბ შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთის დანარჩენ მხარეთა სიუზერენია[1112].

მიუხედავად განცდილი მარცხისა, პორტა აფხაზეთის მიმართ თავისი გეგმის განხორციელებას ჯიუტად ცდილობდა. მისი მორიგი მცდელობა წარმატებით დასრულდა. 80-იანი წლების დასაწყისში ქელეშ-ბეიმ ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ზურაბ შარვაშიძე და თვითონ გამთავრდა. იმავდროულად პოლიტიკური მოსაზრებით მთავრის რეზიდენცია ლიხნიდან, სამთავროს ძველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრიდან, სოხუმის ციხეში გადმოიტანა, სადაც თურქი მეციხოვნეები იდგნენ[1113]. თანამედროვეთა დახასიათებით, ქელეშ-ბეი იყო მამაცი, საზრიანი, ჭკვიანი ადამიანი. მას დიდი სახელი ჰქონდა ხალხში და გავლენით სარგებლობდა დასავლეთ კავკასიის მთიელებში. როდესაც მთავარი გახდა, ქელეშ-ბეი გაშორდა ცოლს – ძაფშ-იფების ასულს, რომელიც პოლიტიკური გარიგებით შერთეს. ამის შემდეგ ის დაქორწინდა დაბალი წარმოშობის ქალზე, გვარად ლეიბაზე (ტომით ჯიქი) სოფ.მუგუძირხვადან[1114]. ამით ქელეშ-ბეი ძაფშ-იფების გავლენიან საგვარეულოს დაუპირისპირდა, რადგან ტრადიციით, ცოლის გაშვება სირცხვილი იყო ქალის გვარისათვის და მისი ზღვევა მხოლოდ სისხლით შეიძლებოდა.

ქელეშ-ბეი მტკიცე მმართველი გამოდგა. მან თავიდანვე დაიწყო ზრუნვა მთავრის ხელისუფლების განმტკიცებისა და ცენტრალიზაციისათვის: დაამარცხა და დაიმორჩილა თავისი მეტოქე ბიძაშვილი, აბჟუის მმართველი ბექირ-ბეი, რომელსაც ანჩაბაძეთა მსხვილი და გავლენიანი ფეოდალური საგვარეულო უჭერდა მხარს, დაიმორჩილა

1111 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ.181.

1112 . ნ.დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 183-184; . . . – საისტორიო მოამბე, 1953, №7, გვ.244.

1113 . . . XVII-XVIII . 2– . , 1951, გვ.82; . . . – , I. , 1988, გვ. 22.

1114 . . . ..., გვ.231, 244.

წებელის მფლობელი მარშანიებიც, ცდილობდა თავისი გავლენა სამურზაყანოზეც გაევრცელებინა. დაქუცმაცებული სამთავროს გაერთიანებასა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში მან მაქსიმალურად გამოიყენა ოსმალეთის მხარდაჭერა, ამასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ჯიქებთან და უბიხებთან. ამრიგად, ქელეშ-ბეიმ განამტკიცა თავისი ხელისუფლება და მთელი აფხაზეთის მბრძანებელი გახდა. მას ანგარიშს უწევდნენ იმერეთის მეფე და ოდიშის მთავარიც. ერთი ცნობით, ქელეშ-ბეის მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალა ჰყავდა, რომელიც 10 ათასი მეომრისაგან შედგებოდა, ჰყავდა აგრეთვე „კარგად შეიარაღებილი გალერებისაგან“ შემდგარი ფლოტილია.

ქელეშ-ბეის ძალაუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იყო სოხუმში დისლოცირებული ოსმალთა გარნიზონის უფროსის მიერ. პორტა დიდ ყურადღებას უთმობდა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოხუმის ციხისა და ნავსადგურის შენარჩუნებას. სელიმ III-ის (1789-1807წწ.) ბრძანებით სოხუმში აიგო გემთსაშენი, სადაც ოსმალეთის სამხედრო ფლოტისათვის იალქნიანი საბრძოლო გემი „კილიდ ულ ბაჰირი“ ააგეს. შემდგომში პორტამ აფხაზეთში გემთმშენებლობა შეწყვიტა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ სოხუმის გემთსაშენი იმპერიის ცენტრიდან შორს იყო, ვერ ხერხდებოდა დროულად გემის მშენებლობისათვის აუცილებელი მასალის მიწოდება, არ იყო საკმარისი რაოდენობით მუშახელი და სპეციალისტები[1115].

1784წ. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფის ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. ეს ის პერიოდია, როცა გიორგიევსკი ტრაქტატი უკვე ხელმოწერილია და თურქეთი ყოველნაირად ცდილობს დასავლეთ საქართველოს შენარჩუნებას. იმერეთის მეფე კი რუსეთთან ანალოგიური ტრაქტატის დადების მიზნით 1784წ. პეტრებურგში აფხაზეთის კათოლიკოს მაქსიმე II აბაშიძეს, ზ.წერეთელს და დ.კვინიხიძეს აგზავნის. იმერეთის ელჩების შეხვედრამ ეკატერინე მეორესთან 1784წ. 29 დეკემბერს შედეგი ვერ გამოიღო. 1787 წლიდან მაქსიმე II იმერეთის ახალ ელჩთან ბესარიონ გაბაშვილთან ერთად აგრძელებს დიპლომატიურ საქმიანობას. ისინი ცდილობდნენ აფხაზეთის მხრიდან რუსეთის ჯარების შემოყვანას, აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ოსმალებისაგან გათავისუფლებას და ერთიანად რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას. მიზანს ვერც ახლა მიაღწიეს. ამასთან დაკავშირებით კათოლიკოსი მაქსიმე II სამეგრელოს სამღვდელოებას 1792 წლის 27 ივლისს სწერდა, რომ რუსეთში იგი დარჩა „ამ მიზეზით: მაგ შავს ზღვის პირებზედ რომ ჯარი წამოვიდა, სათუოდ არა მქონდა, ანაფიას (ანაპის – ავტ.) აღების მერე აფხაზეთში და იმერეთში მოვლენ. ანაფია რომ აიღეს (1791წ. 22 ივნისს – ავტ.), იმასა და ბიჭვინთას შუა ორმოცდაათი ვერსის მეტი თურმე არ არის; ვიღას ეგონა იმ მხარეს გაუშვებდნენ!

მე ამას ვემზადებოდი: რაც იმ ჩვენ საყდარს (ბიჭვინთას – ავტ.) ეჭირვებოდა, სულ ხელმწიფეს მოვახსენებ და წყალობას ვსთხოვ ყოველსავე საჭიროებასა იმ ჩვენის ეკლესიისა, და უთუოდ იმედიც იყო აღსრულებისა. მაგრამ ჩემის ცოდვის ძალით, ესეც უსრული შეიქმნა და საუკუნო ტკივილი დაშთა სულსა შინა ჩემსა“.[1116] დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთიანად) გაერთიანების, ოსმალებისაგან მისი გათავისუფლების, ბიჭვინთის საკათოლიკოსო საყდრის აღდგენის ოცნება განუხორციელებელი დარჩა. მაქსიმე II სამშობლოში ვერ დაბრუნდა. 1795წ. 30 მაისს ის კიევში გარდაიცვალა და კიევ-პეჩორის ლავრაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

XVIIIს. 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ფეოდალურმა შინაომმა, რომელშიც ქელეშ-ბეიც ჩაერია. იმერეთის მეფემ, სოლომონ II-მ (1789-1810წწ.) მიზნად დაისახა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. ამას ხელს უწყობდა საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. თურქეთის იმპერია, რომელიც ცენტრიდანულ ძალებს უჭერდა მხარს, ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო და სათანადო კონტროლს ვერ უწევდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამით ისარგებლა სოლომონ II-მ და ხელმწიფის პრეტენზიები გამოხატა. იგი თავს

[1115] . ზ.წურწუმია. აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში. – საისტორიო ძიებანი, V. თბ., 2002, გვ. 130-132.

[1116] . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 331-339.

„ქუᲗმოისა ივერიისა და სხუათა მეფეს“ უწოდებდა. მეფის მარჯვენა ხელი სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო,“ მასვე ეკუთვნოდა ფოთის ციხეც. მეფე დადიანს უყურებდა როგორც ურჩ ყმას. მისი აზრით, მართალია, დადიანი „მთავრად დაიდგინა, მაგრამ მას მეფის წინააღმდეგობის უფლება არ ჰქონდა,“ იგი მეფის მორჩილი უნდა ყოფილიყო[1117]. დასავლეთ საქართველოს მთავრებს სრულიად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი და იმერეთის მეფის უზენაესობას არ სცნობდნენ. 1792წ. შეთქმულებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა იმერეთის მეფე, გრიგოლ დადიანი გადააყენეს და მთავრად მისი უმცროსი ძმა მანუჩარი დასვეს. გრიგოლ დადიანმა სამურზაყანოს შეაფარა თავი[1118].

1794წ. იმერეთის ტახტის მაძიებელი დავით გიორგის ძე იმერეთში შეიჭრა და ქუთაისის ახლოს დაბანაკდა. იმერეთის მეფის დასახმარებლად მანუჩარ დადიანი მოვიდა ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქრით. ამავე დროს, სამურზაყანოდან გრიგოლ დადიანი გამოემართა მეფის წინააღმდეგ. „ჟამსა ამას, - წერს ნ.დადიანი, - შეკრბენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწევნად
გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ,“ და ბანძის მახლობლად, მარსილში დაბანაკდნენ. სოლომონმა დასწრება გადაწყვიტა. იმერთა ლაშქარი ღამით მოულოდნელად თავს დაესხა გრიგოლ დადიანს და დაამარცხა იგი. გრიგოლ დადიანმა აფხაზთა მთავარს მიმართა დახმარებისათვის. ქელეშ-ბეი აფხაზთა ლაშქრით ოდიშში გადავიდა და ხიბულაში დაბანაკდა. ამ დროს სოლომონს მოუვიდა ერეკლე II-ის გამოგზავნილი დამხმარე ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით. სოლომონი 24 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდა და დაამარცხა დავით გიორგის ძე, რომელიც ამის შემდეგ გრიგოლ დადიანისა და ქელეშ-ბეის ბანაკში მივიდა. ქელეშ-ბეიმ თავი აარიდა იმერეთის მეფესთან ბრძოლას და აფხაზეთში დაბრუნდა[1119]. 1798წ. გრიგოლ დადიანი კვლავ დაეუფლა ოდიშს, მაგრამ სოლომონს ამის შემდეგაც არ აუღია ხელი ოდიშის სამთავროს დამორჩილების განზრახვაზე, თუმცა გრიგოლ დადიანის ოდიშიდან განდევნა ვერ შეძლო. სოლომონ II, რადგან თავის მიზანს ვერ მიაღწია, ყოველ წელს იჭრებოდა ოდიშში იმერელთა და ლეკთა დაქირავებული ლაშქრით, „სტყვევნიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აოხრებდა“ ოდიშს[1120].

1802 წ. ზაფხულში იმერეთის მეფემ ისევ დაამარცხა გრიგოლ დადიანი. ოდიშის მთავარმა დახმარება კვლავ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს სთხოვა, „რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ღალიძგამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო აფხაზეთსა“[1121]. აფხაზთა მთავარმა მძევალი მოითხოვა. დადიანმა ტახტის მემკვიდრე ლევანი გაუგზავნა მძევლად. ამის შემდეგ ქელეშ-ბეი თავისი ლაშქრით, 20 ათასი მეომრითა და 3 ზარბაზნით ოდიშში გადმოვიდა და სოფელ აბედათში დაბანაკდა. შემოდგომაზე სოლომონ II ოდიშში შეიჭრა და მის შემომტკიცებას შეუდგა. ქელეშ-ბეიმ მეფესთან შებრძოლება ვერ გაბედა, დაუზავდა მას და აფხაზეთში დაბრუნდა[1122]. გრიგოლ დადიანისთვის ცხადი შეიქნა, რომ საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის მძლავრობას წინ ვერ აღუდგებოდა, ამიტომ რუსეთის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და შესაბამისი თხოვნით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოში რუსულ ადმინისტრაციას.

როგორც ცნობილია, რუსეთთან მფარველობითი კავშირის ძიება 1801წ. რუსეთის იმპერიაში ქართლ-კახეთის სამეფოს ინკორპორაციით დამთავრდა. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა. ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების რუსეთთან შეერთება მხოლოდ დროის საქმე იყო. რუსეთი ფლობდა მნიშვნელოვან სამხედრო-

---

1117 . მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIXს. პირველ ნახევარში. თბ., 1957. გვ.134-135.

1118 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186; მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ.,1982, გვ. 220.

1119 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-188; ბ.ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 167-168.

1120 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.

1121 . იქვე, გვ. 192.

1122 . , . II, გვ. 577, № 688, გვ. 340; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

სტრატეგიულ პლაცდარმს და მისთვის უკვე ადვილი იყო რეგიონის პოლიტიკური ერთეულების ძალით დაპყრობა, ან „ნებაყოფლობით“ დამორჩილება.

პოლიტიკა დასავლეთ საქართველოს მიმართ აშკარად გამოჩნდა უკვე 1802 წელს, როცა საქართველოს მთავარსარდალსა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს, ფაქტობრივად, კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ პ.ციციანოვს (1802-1806წწ.) დაევალა ყველა ღონე ეხმარა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისა და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე განმტკიცებისათვის[1123]. გარკვეული მიზეზების გამო რუსეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში ფრთხილად მოქმედებდა და მხარის უშუალო შეერთებისაგან თავს იკავებდა. მიუხედავად ამისა, პ.ციციანოვის მეცადინეობით მოხერხდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან ფაქტობრივი მიერთება.

1803წ. გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა „სათხოვარ პუნქტებს“ მეფის რუსეთისადმი, სადაც ის ოდიშისა და აფხაზეთის მთავრად წარმოადგენდა თავს, რითაც პრეტენზიას აცხადებდა ამ მხარეზე. სამეგრელოს ნაწილად აფხაზეთის წარმოჩენას ისახავდა მიზნად აგრეთვე გრიგოლ დადიანის მიერ რუსეთში დესპანად გაგზავნილ არქიმანდრიტ პაფნოტი ხოზიაშვილისთვის მოქვის ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება[1124]. 1803წ. დეკემბერში გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა „სამფარველო” ხელშეკრულებას და რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა. იმავდროულად მდ.ხობისწყლის შესართავში გადმოსხდა რუსული პოლკი, რომელმაც სოფელ ყულევის ადგილას 1804წ. სიმაგრე რედუტ-ყალე ააგო. ეს იყო რუსების მიერ დაკავებული პირველი პუნქტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ცოტა უფრო ადრე, იმავე 1803წ. გრიგოლ დადიანმა პ.ციციანოვს აცნობა, რომ „ქელეშ-ბეგ შარვაშიძე, მფლობელი აფხაზეთისა, ეძიებს მფარველობასა რუსეთისა,“ და თითქოს ის არ იყო დამოკიდებული ოსმალეთზე და მან თვითონ სთხოვა სამეგრელოს მთავარს, რუსეთის ხელისუფლებასთან შუამავალი ყოფილიყო. პ.ციციანოვმა გრიგოლ დადიანს შესთავაზა, ერჩია ქელეშ-ბეისთვის, საგანგებო კაცი გამოეგზავნა თბილისში ან წერილობით განეცხადებინა თავისი სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ; ამასთან განეცხადებინა, რომ ფოთს თავისი ხალხით იცავდა არა იმიტომ, რომ ოსმალეთისაგან ჯამაგირს იღებდა, არამედ იცავდა როგორც საკუთარ სამფლობელოს, რომელიც მზად იყო გადაეცა რუსეთისთვის, ასევე ანაკლიაც. პ.ციციანოვი გრიგოლ და-დიანს პირობას აძლევდა, რომ ყოველივე ეს შეწყნარებული იქნებოდა და ის „მფარველობას” მიიღებდა. სამეგრელოს სამთავროს შეერთებით რუსეთი გზას იკაფავდა შავი ზღვის სანაპიროსკენ და შეეძლო ზეწოლა მოეხდინა იმერეთის სამეფოზეც. 1804წ. 25 აპრილს იმერეთის მეფე სოლომონ II იძულებული გახდა, რუსეთის მთავრობის მიერ ნაკარნახევი „სამფარველო” პირობები მიეღო. 25 აპრილის ელაზნაურის „სამფარველო” ხელშეკრულება გურიის სამთავროზეც ვრცელდებოდა, რადგან გურია იმერეთის სამეფოს შემადგენელ სამთავროდ ცხადდებოდა[1125].

იმპერატორმა იმერეთის მეფესთან დადებული ხელშეკრულება და დადიანის „სათხოვარი პუნქტები“ 1804წ. 4 ივლისს დაამტკიცა. მალე საქართველოს მთავარსარდალმა „სამეგრელო-იმერეთისა და გურიის მმართველად“ საგანგებო მოხელე - გენერალი პ.ლიტვინოვი მოავლინა, რომლის მიზანი მეფე-მთავრებთან დადებული შეთანხმების პრაქტიკული ხორცშესხმა იყო.

რუსეთის ხელისუფლებას განსაკუთრებით აინტერესებდა შავი ზღვის კავკასიის სანაპირო და, კერძოდ, აფხაზეთი. 1803წ. 2 იანვარს იმერეთის მეფე სოლომონ II წერდა, რომ აფხაზებს, ისევე როგორც სხვა მთიელებს (მათ შორის სვანებს, ჯიქებს, ალანებს), არ აქვთ კანონები (არიან беззаконные)[1126]. პ.ციციანოვმა აფხაზეთის შემოერთების ისტორიულ-ქრისტიანული საფუძველი განავითარა. იგი წერდა, რომ აფხაზეთი ივერიის (საქართველოს) პროვინცია იყო და აქ თურქებმა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობა, გადაშენების პირამდე მიიყვანეს ქრისტიანობა

1123 . რ. ლომინაძე. რუსეთის ბატონობის დამყარება საქართველოში, გვ.127.
1124 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 343.
1125 . მ. დუმბაძე. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება, გვ. 855-856.
1126 . , . II, გვ. 340-341.

და სხვა[1127]. როდესაც XIXს. დამდეგს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე რუსეთი გაბატონდა, ცხადია, აფხაზეთი ამ პროცესის მიღმა ვერ დარჩებოდა.

XIXს. დასაწყისში კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცების შემდეგ ქელეშ-ბეი შარვაშიძე პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის გაცნობიერებას იწყებს[1128]. თურქეთის მხარდაჭერით მან მიაღწია პოლიტიკური მიზნების განხორციელებას - აფხაზეთში გაბატონებას, მოწინააღმდეგე ფეოდალთა დამორჩილებას, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას და სხვა, მაგრამ ვასალური დამოკიდებულება დესპოტურ იმპერიასთან მას უკვე სულს უხუთავს. იგი ეძიებდა უფრო მტკიცე საყრდენს და მფარველს, ვიდრე ოსმალეთი იყო. აფხაზთა მთავარი კარგად ხედავდა, რომ საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები, ამასთან ღრმა კრიზისს განიცდიდა ოსმალეთის იმპერია. იგი ხვდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა, რადგან აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ნაწილი იყო[1129]. ამიტომ ქელეშ-ბეი რუსეთთან დაახლოებისკენ ისწრაფვის. საფიქრებელია, რუსეთის მფარველობა მით უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომ სურდა საიმედოდ უზრუნველეყო საფარ-ბეისათვის მემკვიდრის უფლება, რადგან უთანასწორო ქორწინების შედეგად შეძენილი შვილი არ შეიძლებოდა მემკვიდრე ყოფილიყო[1130].

მიუხედავად ქელეშ-ბეის სურვილისა, დაახლოებოდა რუსეთს, ცარიზმი რთული საერთაშორისო ვითარების გამო სიფრთხილეს იჩენდა. პეტერბურგი კარგად ხედავდა, რომ მოსალოდნელი იყო ომი ნაპოლეონთან და ამიტომ ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა. თუმცა რუსეთი თავის მხრივაც დიდად იყო დაინტერესებული აფხაზეთის შეერთებით და ამ გზით დასავლეთ კავკასიაში პლაცდარმის მოპოვებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქელეშ-ბეი აქტიურად ეძიებდა რუსეთის მფარველობას, ოფიციალურად იგი არ წყვეტდა კავშირს ოსმალეთთან და მის სამსახურში იმყოფებოდა. ამდენად, მისი პოლიტიკა ორმაგი თამაში იყო[1131]. თუმცა თანდათან იკვეთება ქელეშ-ბეის დაპირისპირება პორტასთან. მან, როგორც ჩანს, უკვე აშკარად გადაწყვიტა ჩამოშორებოდა ოსმალეთს და მხოლოდ საბაბს ეძებდა. ჯერ კიდევ 1803წ. გრიგოლ დადიანის რწმუნებულებმა კვინიხიძეებმა პ.ციციანოვს აცნობეს, რომ ქელეშ-ბეი „არაფრით არ იყო დამოკიდებული ოტომანის ბრწყინვალე პორტაზე“[1132]. რუსეთის ხელისუფლებას აინტერესებდა, რამდენად გულწრფელი იყო ქელეშ-ბეის ერთგულება რუსეთისადმი და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ის პორტასთან, რომელიც მას ქვეშევრდომად თვლიდა. პ.ციციანოვმა პ.ლიტვინოვს დაავალა, საიდუმლოდ ეწარმოებინა მოლაპარაკება ქელეშ-ბეისთან რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, თუმცა აფხაზთა მთავრის სურვილის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებოდა. პ.ლიტვინოვმა შეისწავლა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ორიენტაციის საკითხი, შეკრიბა საჭირო მასალები ქელეშ-ბეის შესახებ და პ.ციციანოვს მოახსენა, რომ მისი ნდობა შეუძლებელი იყო[1133].

ამ პერიოდში ქელეშ-ბეის ურთიერთობა გაურთულდა კავკასიაში რუსეთის სარდლობასთან მასთან მძევლად მყოფი სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის გამო. 1804წ. 23 ოქტომბერს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე, 12 წლის ლევანი აფხაზთა მთავარს ჰყავდა მძევლად. სამეგრელოს სამთავროს მესვეურებმა ქელეშ-ბეის სთხოვეს ტახტის მემკვიდრის გათავისუფლება, მაგრამ მან საზღაურად დიდი თანხა მოითხოვა. როდესაც ეს ცნობილი გახდა პ.ციციანოვისათვის, მან იმერეთსა და სამეგრელოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდალს გენერალ-მაიორ ი.რიკჰოფს უბრძანა, თუ ქელეშ-ბეი ლევანს არ გაათავისუფლებდა, „წარვიდეს თვისითა რწმუნებულითა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა დაშთეს ქვა-ქვასა ზედა,

---

1127 . იქვე, გვ. 463.
1128 . იქვე, გვ. 337-339.
1129 . . . ., გვ. 98-99. ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბ., 1964, გვ.109.
1130 . . . XIX . , 1940, გვ. 11.
1131 . . . ., გვ. 98-99.
1132 . , . II, გვ. 536.
1133 . იქვე.

რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად“[1134]. 1805წ. მარტში ი.რიკჰოფმა თავისი რაზმით და სამეგრელოს სახალხო ლაშქრით გადალახა მდ.ენგური, 20 ვერსის სიღრმეში შეიჭრა, სოფლები დალაშქრა, სამურზაყანოს თავად-აზნაურებს რუსეთის ერთგულების ფიცი დაადებინა და მძევლები აიყვანა. შეტევის შემდგომი გაგრძელება შეაფერხა უგზოობამ, ამიტომ გენერალი უკან მობრუნდა და გეზი ანაკლიისკენ აიღო. 28 მარტს ი.რიკჰოფმა სამ საათში აიღო კარგად გამაგრებული ანაკლიის ციხე და ზღვით სოხუმზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, როდესაც საომარი მოქმედებებით შეშინებულმა ქელეშ-ბეიმ 2 აპრილს ლევანი გაათავისუფლა, თავისი 8 მძევალიც გამოგზავნა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა ითხოვა[1135]. 16 აპრილს გენერალი ი.რიკჰოფი პ.ციციანოვს აცნობებდა, რომ აფხაზი თავადები, ვისგანაც მძევლები მიიღო, და ასევე ისინიც, ვინც წინათ დადიანის მორჩილებაში იყვნენ მდ.ღალიძგამდე, კვლავ სამეგრელოს სამთავროს მფლობელობაში შემოვიდნენ, რაზეც ფიცი მისცეს ლევან დადიანს და სურთ რუსეთის მფარველობაში შესვლა[1136].

რუსეთის გააქტიურება აფხაზეთის მიმართ მტკივნეულად განიცადა ოსმალეთმა. ანაკლიის ციხის აღების გამო, რომელსაც ქელეშ-ბეი ფლობდა, თუმცა ოსმალეთს ეკუთვნოდა და ოსმალო მეციხოვნეებიც იდგნენ, პორტამ რუსეთის ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა. ალექსანდრე I-მა სულთნისადმი გაგზავნილ წერილში ბოდიში მოიხადა ამ ინციდენტის გამო და აღნიშნა, რომ ეს ფაქტი შეცდომისა და გაუგებრობის ნიადაგზე მოხდა. ივლისში გენერალ პ.ლიტვინოვს შეხვდა ოსმალეთის რეის ეფენდი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა შავი ზღვის სანაპიროს „სოხუმიდან დაწყებული ვიდრე ბათუმამდე“ დაცლა[1137]. იმპერატორმა პ.ციციანოვს დაავალა დაებრუნებინა ოსმალეთისათვის ანაკლია, ხოლო სტამბოლში რუსეთის ელჩს იტალინსკის დაევალა, დაერწმუნებინა პორტა, რომ ეს არასასიამოვნო ფაქტი უცაბედი შეცდომის გამო მოხდა. ოსმალეთი აღნიშნული განმარტებით დაკმაყოფილდა. ოქტომბერში რუსებმა ქელეშ-ბეის ანაკლია დაუბრუნეს და ათასი მანეთიც გადასცეს მიყენებული ზარალის საზღაურად. ამასთან პ. ლიტვინოვმა კატეგორიულად გააფრთხილა პორტა, შარვაშიძისთვის ტყვის სყიდვა აეკრძალა[1138]. ამრიგად, ოსმალეთის მძაფრი პროტესტის გამო რუსეთის ხელისუფლებამ ენერგიული მოქმედება აფხაზეთში მიზანშეუწონლად მიიჩნია და კონფლიქტის გაღრმავებისაგან თავი შეიკავა.

1805წ. 9 ივლისს სოფ. ბანძაში სამეგრელოს ახალმა მთავარმა ლევან V დადიანმა (1805-1840) რუსეთის ერთგულების ფიცი დადო. ფიცი დადეს აგრეთვე ოდითგან სამეგრელოს კუთვნილი სამურზაყანოს მფლობელებმა მანუჩარ და ლევან შარვაშიძეებმა: ***„ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზეთის თავადნი, სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავად-აზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდა სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამინდღეოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და ღალატობაში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიახ სწრაფად შევატყობინოთ, საცა მართებული იყოს და, როგორც ზემო სწერია, ის არ აღვასრულო, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა“***[1139]. ფიცი დამოწმებულია ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ბესარიონის (დადიანი) ბეჭდით.

ამრიგად, სამურზაყანომ, სადაც XVIIIს. 90-იანი წლების მიწურულიდან ქელეშ-ბეის გავლენა ვრცელდებოდა, სამეგრელოს მთავრის უზენაესობა აღიარა. სამურზაყანოს რუსეთის მფარველობაში შესვლისა და დასავლეთ საქართველოში რუსეთის

1134 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.
1135 . , . II, გვ. 510.
1136 . იქვე, გვ. 514.
1137 . იქვე, გვ. 518. ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 111.
1138 . , . II, გვ. 534; ნ.ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 111.
1139 . , . II, გვ. 527.

პოზიციების განმტკიცების პირობებში ქელეშ-ბეი სიუზერენთან აშკარა კონფრონტაციისაკენ იღებს კურსს. ამ პერიოდში, 1806წ. მარტის ბოლოს, ქელეშ-ბეისთან თავშესაფარი ჰპოვა ტრაპეზუნდელმა თაიარ ფაშამ, რომელსაც სახელმწიფო ღალატში ედებოდა ბრალი და გადაწყვიტა, რუსეთისათვის შეეფარებინა თავი[1140]. ჭანეთის ფაშა თაიარი განუდგა სულთან სელიმ III-ს და ცდილობდა, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ანატოლიის სხვა ფაშებიც აემხედრებინა. მან მიმოწერა გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან მფარველობაში შესვლის შესახებ და პირობას დებდა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და მთელ ანატოლიას რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანდა[1141]. როდესაც თაიარ ფაშას ღალატი გამჟღავნდა, სულთანმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, მაგრამ მეამბოხე ფაშა აფხაზეთში გაიქცა[1142]. როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა ქელეშ-ბეის პრორუსული განწყობის შესახებ, რადგან სწორედ მას შეაფარა თავი. სოხუმიდან თაიარ ფაშამ მოლაპარაკებები გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან, ამასთან თავისი სამსახური შესთავაზა რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის შესვლის საქმეში, რაც, ფაქტობრივად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის გაბატონებას მოასწავებდა.[1143] პორტამ ქელეშ-ბეის მოსთხოვა, თავი მოეკვეთა ფაშასთვის, მაგრამ მან ბრძანება არ შეასრულა. მაშინ სულთანმა თაიარ ფაშას გადაცემის მოთხოვნით მიმართა აფხაზ ფეოდალებს - ძაფშ-იფას, მარღანიას და სხვებს, შესთავაზა მათ, გავლენა მოეხდინათ ქელეშ-ბეიზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა[1144].

1806წ. მაისში ქელეშ-ბეიმ თხოვნით მიმართა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას, მიეღო აფხაზეთი რუსეთის მფარველობაში და ოსმალეთისაგან ძალადობის შემთხვევაში დაეცვა იგი. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება მასთან, როგორც ოსმალეთის ვასალთან, ურთიერთობისგან თავს იკავებდა, თუმცა მიაჩნდა, რომ იმჟამინდელ პირობებში ქელეშ-ბეის მიმხრობა, ან თუნდაც მისი ნეიტრალიზებაც კი სასარგებლო იქნებოდა; კარგი იქნებოდა მისი დაყოლიება, რომ ურთიერთობა არ ჰქონოდა რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულ იმერეთის მეფესთან, რომელიც თუ ქელეშ-ბეის თავის მხარეზე გადაიყვანდა, სამეგრელოს მნიშვნელოვნად ავნებდა[1145].

იმავდროულად ქელეშ-ბეიმ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სამეგრელოს სამთავრო სახლთან. გენერალ ი.რიკჰოფის შუამავლობით აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები, რომლებიც XIXს. დასაწყისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ. 1806წ. 20 მაისს სამეგრელოს დედოფლის ნინო დადიანის სახელზე გაგზავნილ წერილში ქელეშ-ბეი წერდა: „ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე“[1146]. ამასთან აფხაზთა სამთავრო სახლი დაუმოყვრდა სამეგრელოს სამთავრო სახლს. ქელეშ-ბეის ვაჟი საფარ-ბეი ფარულად მოინათლა (ნათლობის სახელი - გიორგი) და სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და თამარი შეირთო[1147]. ეს ფაქტი მოასწავებდა აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ კავშირს რუსეთის „მფარველობაში” მყოფ სამეგრელოსთან და ქელეშ-ბეის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე მეტყველებდა. როგორც ჩანს, ქელეშ-ბეის უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის მფარველობაში შესვლა და ეს საკითხი 1806წ. ივნისში განსახილველად გაიტანა სახალხო ყრილობაზე, რომელიც ჩვეულებრივ ლიხნში, მთავრის სასახლისწინა მოედანზე გაიმართა. ყრილობამ მხარი დაუჭირა ქელეშ-ბეის პოლიტიკურ კურსს[1148]. ამ ფაქტმა აფხაზთა მთავრის პოზიციები კიდევ უფრო გაამყარა.

1140 . იქვე, ტ. II, გვ. 534; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 111.
1141 . , . II, გვ. 885.
1142 . ამედე ჟობერი. მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში, თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი. თბ., 1997, გვ. 92.
1143 . , . II, გვ. 872; . . ..., გვ. 32-33.
1144 . . . ..., გვ. 33.
1145 . , .III, გვ. 190,194.
1146 . იქვე, . III, გვ. 190.
1147 . იქვე, გვ. 202, 209; ..., . III, . II, გვ. 541.
1148 . იქვე, . III, გვ. 191-192, 574.

პორტა შეეცადა, სამხედრო ძალით დაემორჩილებინა ურჩი ვასალი. ამასთან ოსმალეთი დიდი ხანია დასავლეთ საქართველოში შეჭრისთვის საბაბს ეძებდა და ჩათვალა, რომ ხელსაყრელი დრო დაუდგა. საქმე ის იყო, რომ რუსეთის აქტიურობამ შავ ზღვაზე და ანაკლიის დაუფლებამ ოსმალეთი შეაშფოთა. 1806წ. ივნისის დასაწყისში სულთანმა ახალციხისა და არზრუმის ფაშებს უბრძანა, ქელეშ-ბეის დასჯის მოტივით იმერეთსა და სამეგრელოში შეჭრილიყვნენ და შავი ზღვის სანაპიროს დაუფლებოდნენ. ხმელეთზე მოქმედი ჯარისთვის მხარი უნდა დაეჭირა საზღვაო ფლოტს.[1149] ივლისში აფხაზეთის სანაპიროსკენ დაიძრა ოსმალეთის ესკადრა 11 ხომალდის შემადგენლობით იუირუკ ბაირახდარის მეთაურობით. საზღვაო ესკადრის მეთაური ცდილობდა, გადაებირებინა ზოგიერთი აფხაზი ფეოდალი, მათ შორის სამუზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე, მაგრამ უშედეგოდ. ქელეშ-ბეიმ რუსეთის ხელისუფლებას მიმართა დახმარების თხოვნით, მაგრამ რუსეთი აფხაზეთის საკითხში ისევ სიფრთხილეს იჩენდა. მიუხედავად ამისა, კავკასიის სარდლობამ მიიღო ალექსანდრე I-ის ბრძანება, თუ ოსმალეთის არმია სამეგრელოს გავლით აფხაზეთისაკენ დაიძრებოდა, მისთვის გზა მოეჭრათ[1150].

ოსმალეთის აგრესიის მოსაგერიებლად ქელეშ-ბეიმ შეძლო 25 ათასი მებრძოლის დარაზმვა. აქედან, 10-12 ათასი იყო მხოლოდ აფხაზი, დანარჩენი - დაქირავებული ჩერქეზები. 25 ივლისს ოსმალეთის ესკადრა სოხუმს მიადგა, მაგრამ როდესაც თურქები დარწმუნდნენ, ქალაქი მტკიცედ იყო დაცული და ქელეშ-ბეის განზრახული ჰქონდა, მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. ახალციხისა და არზრუმის ფაშებმაც აფხაზეთში ლაშქრობისაგან თავი შეიკავეს[1151]. პორტასთვის ცხადი გახდა, რომ რა საბაბითაც უნდა მომხდარიყო ოსმალეთის ჯარების შეჭრა იმერეთსა და სამეგრელოში, რუსეთის ხელისუფლების მიერ ეს ფაქტი აღქმული იქნებოდა როგორც „სამშვიდობო ტრაქტატის“ დარღვევა, რადგან ეს კუთხეები რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა. ამიტომ ოსმალეთის ხელისუფლებამ თავი შეიკავა ხმელეთით ჯარების გაგზავნისაგან. ამ დროიდან, როგორც თაიარ-ფაშა აღნიშნავდა, აფხაზთა მთავარი „სულთნის ბრძანებებს არ ასრულებდა“[1152].

მალე აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაცია გართულდა. თურქეთმა გამოიყენა აფხაზეთის სამთავრო კარზე არსებული უთანხმოება და ქელეშ-ბეის მის მიერვე ათვალწუნებული უფროსი შვილი ასლან-ბეი დაუპირისპირა. ცოტა ხნით ადრე ქელეშ-ბეიმ სამთავრო ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა ასლან-ბეის, რომელიც მას პირველი ქორწინებიდან, ძაფშ-იფას ქალისგან ჰყავდა და ეს უფლება გადასცა საფარ-ბეის. მას კი, როგორც დაბალი წარმოშობის ქალის შვილს, ტახტი არ ეკუთვნოდა. ოსმალოფილური დაჯგუფების მიერ, რომელშიც შედიოდნენ ეშერელი ძაფშ-იფები და ასლან-ბეი, თურქეთის მხარდაჭერით მომზადდა შეთქმულება აფხაზთა მთავრის წინააღმდეგ, მაგრამ ქელეშ-ბეი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს, მოაკვლევინა მასთან მოსალაპარაკებლად მიწვეული სამი ძმა ძაფშ-იფა. ამ საგვარეულოს დანარჩენი წარმომადგენლები შურისძიების შიშით წებელში გაიქცნენ, მათი საგვარეულო მამული, მდ.შიცკვარას და მდ.აძაფშს (დამპალა) შორის, ქელეშ-ბეიმ თავის მამულს შეუერთა, რადგან ადათით, ძაფშ-იფებმა, როგორც აბრაგად გავარდნილებმა, საკუთრებაზე უფლება დაკარგეს[1153]. ამრიგად, ქელეშ-ბეიმ სიტუაციის სტაბილიზაციას მიაღწია.

ასეთ ვითარებაში, ოსმალეთი რუსეთთან ომისათვის მზადებას შეუდგა. პორტა აძლიერებდა შავი ზღვის სანაპირო ციხეებს - ბათუმს, ფოთს, სოხუმს, სუჯუკ-კალეს, ანაპას, რათა ისინი რუსეთისათვის აუღებელ ფორპოსტებად ექცია. რუსეთის მთავრობა, რომელიც დღე-დღეზე მოელოდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროს ციხე-სიმაგრეთა კომენდანტები მოესყიდა[1154]. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა.ბუდბერგმა 5 სექტემბერს კავკასიის ხაზისა და საქართველოს მთავარსარდალს ი.გუდოვიჩს (1806-1809წწ.) აუწყა ხელმწიფის ნება, ოსმალეთთან

1149 . იქვე, № 905, გვ. 517, № 906, გვ. 517-518, №908, გვ. 518.
1150 . იქვე, გვ. 192-193; , . I, გვ. 133-134.
1151 . , . III, გვ. 192-193; 519-520; №909, გვ. 519.
1152 . იქვე, № 912, გვ. 521.
1153 . . . ..., გვ. 231.
1154 . ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 114.

ურთიერთობის გაწყვეტისთანავე გამოეცხადებინა ქელეშ-ბეისათვის რუსეთის ქვეშევრდომობაში ოფიციალურად მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში არ გაჭირდებოდა პეტერბურგიდან სიგელისა და ინვესტიტურის ქელეშ-ბეისათვის გაგზავნა[1155]. რუსეთის ხელისუფლება დიდად იყო დაინტერესებული აფხაზეთის დაუფლებით. შავი ზღვის ვრცელი სანაპირო ზოლი ანაპის ციხიდან მდ.ენგურის შესართავამდე და რიონის მარცხენა ნაპირიდან, - პორტას მფლობელობაში იყო, მათ შორის, სოხუმის, ისგაურის, ანაკლიის, ფოთის, ბათუმის, გონიოს ციხეები. ამიტომ ა.ბუდბერგი 1806წ. 25 სექტემბრის წერილში ი.გუდოვიჩს სწერდა: „ეს ციხეები უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამიტომ არ შეიძლება, არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება და მთის ხალხების, ყუბანს იქით მცხოვრები ტომების, დამორჩილება, რომლებიც ანაპასა და სხვა თურქულ ციხეებში თავშესაფარს პოულობენ”[1156].

1806წ. ოქტომბერში ქელეშ-ბეიმ თაიარ ფაშა თავრიდაში გაისტუმრა და ნება დართო, შუამდგომლობა გაეწია აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში მიღების საქმეში. ამასთან მას გადასცა ის მოთხოვნები, რა პირობებითაც სურდა რუსეთის მფარველობაში შესვლა. თაიარ-ბეიმ ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორს ე.რიშელიეს გადასცა ქელეშ-ბეის მოთხოვნები, რომლებიც რვა მუხლისაგან შედგებოდა: აფხაზები მზად იქნებიან, ერთგულად ემსახურონ იმპერატორს ქვეშევრდომად აღიარების შემთხვევაში; ქელეშ-ბეი დარჩეს აფხაზთა მთავრად; ებოძოს მას ჩინი და დაენიშნოს წოდების შესაფერისი ჯამაგირი; მისი 6 შვილიდან უფროსს - საფარ-ბეის ებოძოს ასევე შესაფერისი ჩინი და დაენიშნოს ჯამაგირი; ხოლო მეორე შვილი მზად იყო პეტერბურგში სასწავლებლად (ფაქტობრივად, მძევლად) გაეგზავნა; ამასთან ითხოვდა 30 აფხაზი აზნაურის დაჯილდოებას; პორტას თავდასხმის შემთხვევაში მთავარი უნდა ყოფილიყო სათანადოდ მომარაგებული სურსათით; ქელეშ-ბეის სიმაგრე შეიარაღდეს რუსული ქვემეხებით და გაიგზავნოს იქ კანონიერები; რუსეთში აკრძალული ტყვის სყიდვა აფხაზებს არ უნდა აეკრძალოთ, რადგან უამისოდ არსებობა არ შეუძლიათ. ამასთან ქელეშ-ბეი პირობას დებდა, რომ თავისი 6 ათასი მეომრით საქართველოს საზღვრებზე და თბილისის მახლობლად გააგრძელებდა რუსეთის ტახტისადმი სამსახურს, ხელისუფლებას ჰპირდებოდა ხე-ტყეს გემთმშენებლობისათვის, რამდენიმე კარგ ადგილს ნავმისადგომად, რომლებიც ზამთარში საიმედო თავშესაფარი იქნებოდნენ რუსეთის ფლოტისათვის[1157].

ა. ბუდბერგი 1806წ. 14 ნოემბერს ე.რიშელიესადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა აფხაზთა მთავრის რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების მნიშვნელობას და რეკომენდაციას აძლევდა, ხელი მოეწერა ქელეშ-ბეისთან პრელიმინარული შეთანხმებისთვის მის მიერ წარმოდგენილ პირობებზე[1158].

1806წ. 24 დეკემბერს პორტამ რუსეთს ომი გამოუცხადა. ამასთან დაკავშირებით 1807წ. 7 იანვარს ა.ბუდბერგმა საგანგებო მიწერილობა გაუგზავნა ი.გუდოვიჩს და დაავალა, ეცადა სპარსეთთან ზავის დადება, ან დროებითი დაზავება მაინც; კავკასიაში არსებული რუსეთის მთელი ძალები საქართველოს მეზობელი თურქული ოლქების წინააღმდეგ წარემართა; ოსმალეთთან საბრძოლველად მიეწვია ქელეშ-ბეი, ყარსის ფაშა, ტრაპიზონის ფაშა თაიარი, რომელიც სულთანს შეურიგდა, და მოლაპარაკება დაეწყო ანაპის ციხის უფროსთან რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე[1159].

საომარი მოქმედებები დუნაის აუზში და ამიერკავკასიაში გაიშალა. ოსმალეთთან ახალი ომის (1806-1812წწ.) დაწყება ხელ-ფეხს უხსნიდა რუსეთს აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად. ომის დაწყებისას ქელეშ-ბეიმ რუსეთის სარდლობას აცნობა, რომ თურქებს განზრახული ჰქონდათ, თავს დასხმოდნენ ყულევს, ამავე დროს აფხაზთა მთავარი საჭიროების შემთხვევაში ჯარის მიშველებას ითხოვდა[1160].

1155 . , . III, გვ. 193.
1156 . იქვე, №918, გვ. 525-526.
1157 . იქვე, გვ. 191-192.
1158 . იქვე, გვ. 194-195.
1159 . იქვე, გვ. 531-532.
1160 . იქვე, გვ. 196.

ოსმალეთის მოკავშირე საფრანგეთი ცდილობდა, მტკიცე ანტირუსული ფრონტი შეექმნა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირანმა 1807წ. 20 იანვარს საფრანგეთის ელჩს თურქეთში სებასტიანს საგანგებო ინსტრუქცია მისცა: „აუცილებელია, რომ თურქეთის ესკადრამ იმოქმედოს შავ ზღვაში, სადაც რუსებს არ ძალუძთ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ... კეთილი ურთიერთობა შეინარჩუნეთ აფხაზთა მთავართან და დაარწმუნეთ ის, მონაწილეობა მიიღოს საერთო მტრის წინააღმდეგ დიდ დივერსიაში. დაე, ამ მთავარმა, არზრუმის ფაშამ, სპარსელებმა და პორტამ ერთდროულად შეუტიონ საქართველოს, ყირიმსა და ბესარაბიას“[1161]. როგორც ჩანს, ტალეირანისთვის ქელეშ-ბეი ცნობილი იყო როგორც პორტას ვასალი და მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალის მქონე მმართველი, რომლის გამოყენებას აუცილებლად თვლიდა. ამიტომაც რუსეთის მთავრობა არ ენდობოდა ქელეშ-ბეის, ფიქრობდა, რომ ის ორმაგ თამაშს ეწეოდა.

კავკასიაში საომარი მოქმედებები 1807წ. 8 თებერვალს თურქების რედუტ-ყალეზე (ყულევი) თავდასხმით დაიწყო. რუსებმა შეძლეს ამ შეტევის მოგერიება. რუსეთის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელთ ეგდო შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები - ანაპა, სოხუმი, ფოთი და სხვა. ამიტომ ი.გუდოვიჩს ებრძანა, არ შემოფარგლულიყო პასიური თავდაცვით, შეტევითი მოქმედება ეწარმოებინა ოსმალების წინააღმდეგ და ეს ციხეები დაეკავებინა. 1807წ. მაისში ი.გუდოვიჩი რუსთა და ქართველთა ლაშქრით ფოთისა და ახალქალაქის ციხეების აღებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. შემდგომში მოვლენები რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა – 1807წ. ივნისში ი.გუდოვიჩმა სასტიკად დაამარცხა სპარსეთი, ივლისში რუსეთ-საფრანგეთს შორის დაიდო ტილზიტის ზავი, ხოლო სპარსეთ-ოსმალეთის კავშირის გაფორმების მცდელობა ჩაიშალა.

კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობისას ქელეშ-ბეის მომლოდინე პოზიცია ეკავა. ი. გუდოვიჩი 1807წ. 14 ივლისის წერილში ქელეშ-ბეისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ის რუსეთის არმიას დახმარებას არ უწევდა და, უფრო მეტიც, ეჭვს აღძრავდა, რომ მოწინააღმდეგეს ეხმარებოდა. ი.გუდოვიჩი ქელეშ-ბეისაგან მოითხოვდა რუსეთისადმი ერთგულების დამტკიცებას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით და აშინებდა, რომ მაშველ ჯარს ყულევთან თუ არ გამოიყვანდა, მაშინ „დიდ წყალობას,“ ანუ იმპერატორის მფარველობას ვერ მიიღებდა[1162]. ქელეშ-ბეი ომში არ ჩაბმულა, მაგრამ მან საშუალება არ მისცა თურქებს დესანტი გადმოესხათ აფხაზეთის სანაპიროზე და ეს მხარე საომარი მოქმედებების პლაცდარმად ექციათ[1163].

1807წ. აგვისტოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულებით დასავლეთ საქართველოში რჩებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები, მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ოსმალეთის ხელიდან შავიზღვისპირა პროვინციების, მათ შორის, აფხაზეთის, გამოხსნისათვის ნიადაგი მზადდებოდა[1164].

1807წ. 23 აგვისტოს რედუტ-ყალედან სოხუმში ჩავიდა გემი „კონსტანტინე“, რომლის მეთაური იყო ფ.სკირნევსკი. იგი სოხუმში შეხვდა ქელეშ-ბეის. მისი ინფორმაციით, აფხაზთა მთავარი მოუთმენლად ელოდა ცნობას რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ. როდესაც ქვეშევრდომობაში მიიღებდნენ, იგი მზად იყო, თავისი 16 წლის შვილი პეტერბურგში გაეგზავნა სამხედრო სამსახურში; ამასთან თანახმა იყო, რუსეთის ფლოტის ხომალდებს სოხუმის რეიდისათვის თავი შეეფარებინათ. ფ.სკირნევსკიმ დაათვალიერა ციხე და ქალაქი. მისი დახასიათებით, ქელეშ-ბეი იყო დაახლოებით 60 წლის, ვაჟკაცური, მაღალი, კუნთმაგარი აგებულების ადამიანი.[1165]

ბრწყინვალე პორტასთვის ძნელი შეიქნა მეამბოხე ვასალის დამორჩილება და მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. პორტას იარაღად კვლავაც ასლან-ბეი გამოადგა. მამასთან დაპირისპირების პერიოდში იგი აფხაზთა და ჯიქთა რაზმით თავს ესხმოდა სამეგრელოს სამთავროს სანაპირო სოფლებს და არბევდა. შემდეგ ის ეახლა ქელეშ-

---

[1161] . . . . XIX . , 1958, გვ.145.

[1162] . , .III, გვ. 197-198.

[1163] . იქვე, გვ. 199.

[1164] . ნ.ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 185.

[1165] . , . IV, გვ. 49-50.

ბეის და შეურიგდა მას, თუმცა, როგორც ჩანს, მამისა და ძმის - საფარ-ბეის ჩამოშორებას და გამთავრებას იმთავითვე ფიქრობდა[1166]. 1808წ. 2 მაისის ღამეს ასლან-ბეი ბეჟან შარვაშიძესთან და თავის ამალასთან ერთად სოხუმის სასახლეში თავს დაესხა ქელეშ-ბეის, სასიკვდილოდ დაჭრა და შემდეგ ხმლით აკუწა[1167]. თავდასხმისას დაიჭრა ქელეშ-ბეის უმცროსი შვილი ბათალ-ბეიც. ასლან-ბეი დაეუფლა სოხუმის ციხეს და თავი აფხაზთა მთავრად და ოსმალეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა[1168]. ბრწყინვალე პორტამ მომხდარზე სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება და ასლან-ბეის სამხედრო და მატერიალური დახმარება გაუწია[1169].

საფარ-ბეი (გიორგი), რომელიც ქელეშ-ბეის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული მემკვიდრედ, ზუფუში (ლიხნი) იმყოფებოდა. იგი შეეცადა საკუთარი ძალებით აეღო სოხუმის ციხე, მაგრამ ვერ შეძლო და სამეგრელოში წავიდა[1170]. მან წერილობით სთხოვა ნინო და ლევან დადიანებს, ეშუამდგომლათ იმპერატორის წინაშე რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების თაობაზე. თავის მხრივ, ნინო დადიანი საფარ-ბეის ჩააგონებდა, რომ სამთავრო უფლების განსამტკიცებლად მისთვის საუკეთესო საშუალება რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა იქნებოდა. სამეგრელოდან საფარ-ბეი დედოფალ ნინოს მეშვეობით დაუკავშირდა რუსულ ადმინისტრაციას, დახმარება ითხოვა და აცნობა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, რუსეთის მფარველობაში შესულიყო[1171].

1808წ. 19 მაისის წერილით ი.გუდოვიჩმა ალექსანდრე I-ს აცნობა აფხაზთა მთავრის ქელეშ-ბეის მოკვლა შვილის, ასლან-ბეის მიერ და რომ იგი მთელი აფხაზეთის დაუფლებას ცდილობდა; ტახტის კანონიერი მემკვიდრე საფარ-ბეი დახმარებას ითხოვდა და პირობას დებდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდა. ი.გუდოვიჩი აღნიშნავდა, რომ იმჟამად არ შეეძლო მის დასახმარებლად ჯარის გაგზავნა, რადგან ეს საბაბს მისცემდა ოსმალეთს, ზავი დაერღვია[1172]. სამეგრელოს დედოფალი ნინოც დაუკავშირდა რუსეთის ხელისუფლებას და ცდილობდა, აფხაზეთის ტახტზე გიორგი შარვაშიძის დამკვიდრებისათვის ხელი შეეწყო. დედოფალი ნინო ი.გუდოვიჩისადმი 8 ივნისს გაგზავნილ წერილში რუსეთისათვის აფხაზეთის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. ასეთი შენაძენით, მისი აზრით, რუსეთის სახელმწიფოს შეუერთდებოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი, აფხაზების მეზობელი ჯიქები და ალანებიც (იგულისხმება ყარაჩაელები) დაუყოვნებლივ დამორჩილდებოდნენ რუსეთის იმპერატორს. იგი წერდა, რომ საფარ-ბეი საიდუმლოდ მონათლული იყო და თუ ხელმწიფე მას ქვეშევრდომობაში მიიღებდა, მთელ აფხაზეთში ქრისტიანობა გავრცელდებოდა. ამიტომ ითხოვდა, რომ მისთვის ანგარიში გაეწიათ და იმპერატორს მისი სიძე ქვეშევრდომობაში მიეღო, აგრეთვე აფხაზეთში ჯარები შეეყვანათ[1173]. იმავე დღეს ნინო დადიანმა იმპერატორსაც გაუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა, რომ მან საფარ-ბეი უკვე დააფიცა „ერთგულებით მონებად საიმპერიოსა ტახტსა თქვენსასა“. მისი აზრით, სწორედ ახლა იყო ხელსაყრელი დრო რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მისაღებად, რადგან საფარ-ბეი სამეგრელოს სამთავრო სახლის წევრი და მეზობელი იყო, წინათაც ეს მხარე სამეგრელოს სამთავრო სახლის სამფლობელოს წარმოადგენდა[1174]. სამეგრელოს დედოფალი რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ აფხაზეთის მფარველობაში მიღება დაეჩქარებინათ. ნინო დადიანის შუამდგომლობამ დააჩქარა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა. 13 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ.რუმიანცევმა ი.გუდოვიჩს გაუგზავნა მიწერილობა, რომლითაც დაავალა, საფარ-ბეის სურვილის გულწრფელობაში დარწმუნების შემთხვევაში დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა იმ პირობით, რომ ეს არ იქნებოდა გამოცხადებული, სანამ ოსმალეთთან

1166 . . . ..., გვ. 16.

1167 . ამ ფაქტს უარყოფს აფხაზური ისტორიოგრაფია. იხ. О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 213-214.

1168 . , .III, გვ. 200; . .II, გვ.41; ნ.დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

1169 . , . I, გვ. 137.

1170 . ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 197.

1171 . , .III, გვ. 200, 201-202, 205; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ.197; ..., . 1, გვ.137.

1172 . , .III, გვ. 198-199.

1173 . იქვე, გვ. 203.

1174 . იქვე, გვ. 201-202.

საზავო მოლაპარაკება არ დასრულდებოდა[1175]. საფარ-ბეიმაც 1808წ. 21 ივნისს გენერალ-მაიორ ი.რიკჰოფს მიმართა წერილით და სთხოვა, მის ქვეშევრდომ ხალხთან ერთად რუსეთის მფარველობაში მიეღო[1176].

ოსმალეთთან დროებითი ზავის (1807-1809წწ.) პირობებში, როდესაც საზავო მოლაპარაკებები კვლავ გრძელდებოდა, რუსეთი აფხაზეთის საშინაო საქმეებში ღიად ვერ ჩაერეოდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აფხაზეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლაზე ის ხელს აიღებდა. ი.გუდოვიჩმა ბრძანება მიიღო, შედგომოდა ზრუნვას რუსეთის იმპერიის მფარველობაში აფხაზეთის შესაყვანად. ის არ ჩქარობდა, მაგრამ ი.რიკჰოფს მისწერა, აფხაზების დასაშინებლად ეჩვენებინა, რომ რუსეთი მზად იყო საფარ-ბეისთვის დახმარება გაეწია, თუმცა აფხაზეთში არ შესულიყო; ამასთან სამეგრელოს დედოფალს და მანუჩარ შარვაშიძეს დაავალა, საფარ-ბეის დახმარებოდნენ; იმავდროულად მან საფარ-ბეის აცნობა, რომ იმპერატორი მას ქვეშევრდომობაში მიიღებდა[1177].

1808წ. აგვისტოს დასაწყისში სამეგრელოსა და აფხაზთა სამთავროს გაერთიანებული ძალები სოხუმის დაკავებას შეეცადნენ. ი.რიკჰოფმა სოხუმისკენ დაძრა ჯარის ნაწილი სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად. ლაშქრობას ნიკო დადიანი სარდლობდა. სოხუმის ციხის აღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ასლან-ბეი აიძულეს, გაეთავისუფლებინა ქელეშ-ბეის მეუღლე (მესამე ცოლი), რებია-ჰანუმ მარშანია და მისი შვილი ბათალ-ბეი. „და დავმძევლეთ ყოველი აფხაზეთი, – სწერს ნ.დადიანი, - ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგა – დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მშვიდობით წამოვედით ოდიშამდე“[1178]. ამავე ხანებში ასლან-ბეის დასახმარებლად სოხუმში სამი ხომალდით ჩავიდა მისი ნათესავი, ფოთის ციხის კომენდანტი ქუჩუქ-ბეი შარვაშიძე, ხოლო მთიდან სამასამდე ჩერქეზი ჩამოვიდა. ასლან-ბეისთან იყო ქელეშ-ბეიზე თავდასხმის მონაწილე ბეჟან შარვაშიძე. იგი სამურზაყანოს რუსეთის „მფარველობაში” შესვლის დროიდან მთებში იყო გაქცეული. ასლან-ბეის მნიშვნელოვანი მომხრეები ჰყავდა ფეოდალთა შორის. მას მხარს უჭერდნენ უმცროსი ძმა, აფხაზეთის ოლქის მმართველი ჰასან-ბეი და აბჟუის მფლობელი ალი-ბეი შარვაშიძე, რომლებსაც ამოძრავებდათ საფარ-ბეისადმი სიძულვილი და შიში, რომ ის რუსეთის შემწეობით გამთავრდებოდა.

სოხუმის ციხის დაუფლების უშედეგო ცდამ გიორგი შარვაშიძე დაარწმუნა, რომ აუ-ცილებელი იყო რუსეთთან სამფარველო ხელშეკრულების, ე.წ. „სათხოვარი პუნქტების“ გაფორმება. „სათხოვარი პუნქტების“ ტექსტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეადგინეს, შემდეგ ის ქართულად ითარგმნა და, როგორც ორიგინალი, გიორგი შარვა-შიძეს წარედგინა. 1808წ. 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და აფხაზეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა „სათხოვარი პუნქტების“ ქართულ ტექსტს ხელი მოაწერეს. ამ დოკუმენტით გიორგი შარვაშიძე ითხოვდა, მისთვის მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ ამ მხარის მმართველობა და მისი სამფლობელოთი მფარველობაში მიეღოთ. „სათხოვარ პუნქტებში“ ნათქვამია: *„უაღუსტესისა მონარხის ყოვლად მოწყალისასა ხელმწიფისა ჩვენისა უშევრდომილესი სათხოველი და მიცემა თავისა ჩემისა ქვეყნითურთ ჩემით წერილითა ამით ჩემითა ესევითარად.*

1. შჯულიერი მემკვიდრე და მპყრობელი აფხაზეთისა თავითვე სინდისითა ჩემითა შევეკრავ და შემოვალ მონად და მსახურად ვითარცა ყმა ჟ-დ უმოწყალესისა და უთვითმპყრობელისა სრულიად როსიის და სხვათა მპყრობლისა იმპერატორისა ალექსანდრეს პავლეს ძისა და აგრეთვე ტახტისა მისისა მიმღებელისადმი ვითარცა სარწმუნონი ყმანი მისნი.

2. შეკვრი ამიერიდან წერილითა ამით და მივსცემ ჩემსა და ჩემთანა აფხაზეთსა და აფხაზეთის შინა მკვიდრად ყმად და მონად ტახტსა ჟ-დ უმოწყალესისა ანუ უთვითმპყ-რობელესის, ს-დ როსიისა მონარხისა და ეგრეთვე ტახტის მისისა მიმღებელისადმი პირველითავი სარწმუნოებითა ჩვენითა, რომელიცა წინაპარნი ჩვენნი ქრისტიანედ ბერძნითავე კანონითა სჯულისათა.

1175 . იქვე, გვ. 205-206.
1176 . იქვე, გვ. 206.
1177 . იქვე, გვ. 208-209; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 261.
1178 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

3. ინებოს მოწყალებით მოხედვა ჩვენი სახიერებისაგან მისის იმპერატორებითა დიდებულების და აღმინიშნოს მე ნიშნითა ვითარცა სხვანი მთავარნი აღნიშნული არიან საიმპერიოსა ტახტისადმი მონად.

4. უსამღთოესითა მოქმედებითა და მოწყალებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა გარდმომცეს მე მემკვიდრეობისა ჩემისა დამამტკიცებელი და დამადგინებელი გრამატა, რათა ვიყო მე მთავრად და გამგებლად ქვეყნისა ჩემისა და აგრეთვე ძე ჩემი და ძის ძენი საუკუნოდ იყვნენ აღუხოცელ მთავრობისაგან და მპყრობელობისა სამკვიდროს სამფლობელოთა მოწყალებით ესრეთ, რომელ ჴე ტახტი საიმპერიო იყოს ბედნიერებით და ძლიერებით ხელმწიფედ მდგომარე, ეგრეთვე, მემკვიდრეობა და მთავრობა ჩემი ეგოს უსამღთოესითა მოწყალებისა გრამოტითა ჴდ უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა უსაშუალოდ ხელმოწერითა და დამტკიცებით.

5. შეიზღუდოს ქვეყანა ჩემი მხედრობითა ყდ უმოწყალესისა და უთვითმპყრობელესის ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისათა.

6. სახიერებისა და კაცთმოყვარებისა გამო უთვითმპყრობელესისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა დაუკლებელ მექმნეს მე სარგებლობა და მოწყალება რა იგი აქუნდა მემკვიდრესა და მფლობელსა აფხაზეთისა ქელაიშ აჰმად ბეგს მამასა ჩემსა.

7. ყოვლითა გულს მოდგინებითა ვიდრე სისხლითა წვეთამდე ვიწოდებ და ვინებებ ერთგულებასა და მონებასა და შეკვრი ფიცითა და აღთქმითა საუკუნისა პირისა დადებითა და ვექმნები მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართებელისა ერთგულთა და სარწმუნოთა მონათა და ყმათა ჩემთათანა და მივართმევ ხესა ხომალდისათვის ვითარ იგი მიირთვა უწინარეს ამისა პორტამან ათამანმან და აგრეთვე მადანსა ოქროსა და ვერცხლისასა უკეთუ იპოვების ქვეყანასა შინა ჩემსა რაოდენისა ნაწილისა გარდმოცემათა უხვებისაგან ჴდ უმოწყალესის და უთვითმპყრობელესისისა ხელმწიფისა ჩვენისა.

ესე ვითარ უქვეშევრდომილესთა და უმხურვალესისა ერთგულებითა მივცემ თავსა ჩემ ქვეშე ქვეყანასა ჩემსა ტახტსა რუსეთის საიმპერიოსასა აღთქმითა და ფიცითა და სარწმუნოებითა ბერძენთა სჯულისათა რომელსაცა ხელს ვაწერთ ესრედ.

მთავარი შარვაშიძე გიორგი
თავადი შარვაშიძე

თულა

ხელს ვაწერთ და ვამოწმებთ წერილსა ამას თავადნი აფხაზეთისანი: ნარჩოუ ინალის შვილი თედარუყა შერამეტ ბესლან, თავადი: თულაფსუ ლაკერბაია ხიტუ ჯამბულათ მუთ: თავადი ზეფის შვილი ლევან და ნარჩოუ, თავადი ჩაბალუხა ვომერ, თემურყა, შერამეტ წესუბია ნარეჯებ ნარჩოუ შარვან, ზენუბია ედგინ დედარუყა შარვან, ბაზუხ აქურთავა თელაფსუ ედგინ შერამეტ, თავადი ანჩაბაძე ხუტუნია, თავადი ანჩაბაძე ლევან ადლაგიყვა, მიქამბია შალამათ შერვან სალმან, მარდანია როსტომ, ხიტუ, ბეჟან, ლევან, ჯანბულათ, ასლან-ბეგ, როსტომ. წელსა 1808 აგვისტოს 12“[1179].

გიორგი შარვაშიძე აღნიშნავდა, რომ რუსებთან ადრე გაგზავნილი წერილები და „სათხოვარი პუნქტებიც“ დაწერილია სამეგრელოს სამთავრო კარის მოძღვრის დეკანოზ იოანე იოსელიანის მიერ, რომელიც „წრფელი გულით მირჩევდა გავმხდარვიყავი საიმპერატორო ტახტის ქვეშევრდომი“.[1180]

ქართულ ენაზე გაფორმებული დოკუმენტით, რომლითაც აფხაზთა სამთავრო ქვეშევრდომულ ურთიერთობას ამყარებდა რუსეთის სახელმწიფოსთან, ნათლად ჩანდა აფხაზეთის სამთავრო სახლის ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სამყაროსადმი კუთვნილება[1181]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „სათხოვარ პუნქტებს“ აფხაზური ისტორიოგრაფია უკანონო აქტს უწოდებს.[1182]

1809წ. მარტში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაირღვა და საომარი მოქმედებები განახლდა. ამ დროიდან რუსეთის სარდლობამ აფხაზეთის საკითხის გადასაჭრელად ბრძოლა გააააქტიურა. ივნისში ახალ მთავარმართებელს ა.ტორმასოვს (1809-1811წწ.) პეტერბურგიდან აცნობეს, რომ საფარ-ბეის მიღება „მფარველობაში” გადაწყვეტილი იყო და ინვესტიტურის ნიშნებიც მალე გამოეგზავნებოდა. იმპერატორის ბრძანებით, გიორგი შარვაშიძე დაჯილდოვდა წმ.ანას 1

[1179] . სახალხო განათლება, 1989, 31 მაისი.

[1180] . , .III, გვ. 202.

[1181] . . . 1810-1917 . – ..., გვ. 217; ზ.პაპასქირი. ნარკვევები..., I, გვ. 128.

[1182] . О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 216-217.

ხარისხის ორდენით და დაენიშნა პენსია 2500 ვერცხლის მანეთი წელიწადში, ხოლო მის დედინაცვალს, რებია-ჰანუმ მარშანიას – 1500 მანეთი. როგორც ვარაუდობდნენ, ხელმწიფის ეს წყალობა გავლენას მოახდენდა აფხაზ თავადაზნაურებზე და საფარ-ბეის ავტორიტეტს აამაღლებდა[1183]. ამრიგად, აფხაზეთი აღიარებულ იქნა რუსეთის „მფარველობაში" მყოფ პროვინციად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საფარ-ბეი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად აღიარა, ის რეალურად ყოველგვარ ძალას და ხელისუფლებას მოკლებული იყო. ამას კარგად ხედავდა კავკასიის რუსული ადმინისტრაცია. ამიტომ იყო, რომ ა.ტორმასოვი იმერეთ-სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ჯარის სარდალს დ.ორბელიანს, რომელიც მისი დავალებით ურთიერთობაში შევიდა აფხაზ მფლობელებთან და მათი ნდობა მოიპოვა, ავალებდა, საფარ-ბეისათვის მხარი დაეჭირა და აფხაზი მფლობელები მისთვის მიემხრო[1184].

ოსმალეთი ასლან-ბეის კვლავაც მხარს უჭერდა. ნინო დადიანმა დ.ორბელიანს აცნობა, რომ სტამბოლიდან სოხუმში ჩამოვიდა თურქული გემი საჩუქრებით და ფულით. პორტა ასლან-ბეის ჰპირდებოდა დახმარებას სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მანუჩარ შარვაშიძემ რუსებს აცნობა, რომ ფოთის კომენდანტმა ქუჩუქ-ბეი შარვაშიძემ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს სთხოვა დახმარება ჯარით და ეს ჯარი თითქოს უკვე იკრიბებოდა იმ განზრახვით, რომ ფოთი დაეცვა, ხელში ჩაეგდო რედუტ-ყალე და ანაკლია. ა.ტორმასოვმა დ.ორბელიანს უბრძანა, თურქების თავდასხმის შემთხვევაში რედუტ-ყალესა და სამეგრელოს დასაცავად საჭირო ზომები მიეღო, ასევე ცალკეული აფხაზი მფლობელები ასლან-ბეისაგან ჩამოეშორებინა[1185].

1809წ. გაზაფხულიდან რუსეთის სარდლობის ყურადღება გამახვილებული იყო შავი ზღვის სანაპიროზე მის ხელთ არსებული ფორპოსტების გამაგრებისა და ოსმალეთის ხელში მყოფი სიმაგრეების დაპყრობისაკენ. 1809წ. 15 ივნისს რუსების სამხედრო-საზღვაო ესკადრამ და სახმელეთო რაზმმა გენერალ-მაიორ ი.ფანჩულიძის მეთაურობით ანაპა აიღო, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ ომში. 12 აგვისტოს დ.ორბელიანი რუსეთის ჯარის ნაწილებით რედუტ-ყალედან ფოთისკენ დაიძრა. მას სამეგრელო-სამურზაყანოს სახალხო ლაშქარიც ახლდა ნიკო დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის მეთაურობით. სამეგრელოს სახალხო ლაშქარში იმყოფებოდნენ ლევან V დადიანი, ბესარიონ ჭყონდიდელი და გრიგოლ ცაიშელი. 15 ნოემბერს დ.ორბელიანმა ციხე აიღო[1186]. ფოთისათვის ბრძოლაში გურიისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად მხნედ იბრძოდნენ საფარ-ბეის მომხრე აფხაზებიც[1187].

ფოთის ციხის აღებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა რუსეთის გავლენა. შავი ზღვის აუზში გაბატონებისათვის რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის დაუფლებას და კარგად ესმოდა ამ ფაქტის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. სოხუმის აღებით არსებითად შესუსტდებოდა ოსმალეთის კავშირი მთის ხალხებთან და მათი მტრული მოქმედება რუსეთის მიმართ შეიზღუდებოდა. აფხაზეთის შეერთებით ამ მხრიდან თურქების თავდასხმის საფრთხეს ბოლო მოეღებოდა; რუსეთის ხელში იქნებოდა ანაკლია და სოხუმ-ყალე; ამდენად სამეგრელო სრულიად დაცული იქნებოდა; აგრეთვე ყირიმიდან მომავალი გემები მშვიდობიანად გადაცურავდნენ ზღვას; გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალას რუსეთი დიდი რაოდენობით დაეუფლებოდა[1188].

1810წ. 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საფარ-ბეი (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების აღიარებით და შინაგანი ავტონომიის ცნობით[1189]. ეს იყო ფორმალური აღიარება, რადგან აფხაზეთში ძალაუფლებას ასლან-ბეი ფლობდა, რომელიც სოხუმის ციხეში იჯდა. საფარ-ბეის

1183 . , . III, გვ. 204. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II. თბ., 1965. გვ. 408.

1184 . , .IV, №286, გვ. 206.

1185 . იქვე, №284, გვ.202-203; №519, გვ. 389-390.

1186 . იქვე, №524; გვ. 393-394; №291, გვ. 209; №290, გვ. 207; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 200; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 248-255.

1187 . ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს..., წ. II, გვ. 408.

1188 . , .III. გვ. 209; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 257.

1189 . იქვე, ტ. III, №571.

თავისი ძალებით არ შეეძლო აფხაზეთის დაუფლება, რადგან მას იქ მომხრეები არ ჰყავდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ აუცილებელი იყო საფარ-ბეის აფხაზეთში გაბატონება, მაგრამ რუსეთის ადმინისტრაციას ამ განზრახვის შესასრულებლად თავისუფალი ძალები იმჟამად არ ჰყავდა. 1 ივნისს ა.ტორმასოვმა ნინო დადიანს აუწყა, რომ იმპერატორმა საფარ-ალი-ბეი დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად. საფარ-ბეი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მას ყოველგვარი დახმარება გაეწეოდა ასლან-ბეის წინააღმდეგ და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში შავი ზღვის ფლოტილია სოხუმს დაიკავებდა[1190]. 8 ივნისს ა.ტორმასოვმა ნინო დადიანს სთხოვა საფარ-ბეისათვის გაეგზავნა სამეგრელოს სახალხო ლაშქარი მანუჩარ შარვაშიძის მეთაურობით, თუნდაც 1000 მეომარი, სანამ სოხუმის დასაუფლებლად ჯარი და ფლოტილია მოვიდოდა, რაც სამეგრელოს სამთავრო სახლს იმპერატორის სამსახურად ჩაეთვლებოდა[1191].

ივნისის დასაწყისში სევასტოპოლში თავი მოუყარეს საზღვაო ესკადრას, რომელსაც სოხუმი უნდა აეღო. ოპერაციის ხელმძღვანელად კაპიტან-ლეიტენანტი კ. დოტი დაინიშნა. ესკადრას სოხუმის სანაპიროზე უნდა გადმოესხა დესანტი – მე-4 საზღვაო პოლკის ბატალიონი 600 მეომრით, რომელიც სახმელეთო ჯარების მოსვლამდე იქ უნდა დარჩენილიყო. მას ასევე აქტიური ზომები უნდა მიეღო აფხაზების სოხუმიდან გასახლებასთან დაკავშირებით[1192]. ა.ტორმასოვი 26 ივნისის წერილში ლევან V დადიანისადმი იმედს გამოთქვამდა, რომ, როდესაც სოხუმის ციხის აღების დრო დადგებოდა, სამეგრელოს მთავარი საფარ-ბეის და იმერეთის მმართველს თ. სიმონოვიჩს დახმარებას გაუწევდა. სოხუმის ციხის აღება მას უსათუოდ ამ ზაფხულს სურდა და მასში სამეგრელოს მთავრის მონაწილეობა იმპერატორისადმი სამსახურიც იქნებოდა და სამეგრელოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანიც. იგი სამეგრელოს მთავარს სთხოვდა, საფარ-ბეი დაერწმუნებინა, რომ თავისი მომხრე აფხაზების რაც შეიძლება მეტი გუნდი შეეკრიბა; ამასთან სოხუმის ციხის აღების განზრახვა გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, რათა მოწინააღმდეგეს საპასუხო ზომები არ მიეღო[1193]. ასეთ ვითარებაში იმერეთში დაიწყო აჯანყება სოლომონ II-ის მეთაურობით, ამიტომ სამეგრელო-იმერეთში განლაგებულ ნაწილებს და სამეგრელოს სახალხო ლაშქარს საშუალება არ ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სოხუმის დაკავების ოპერაციაში.

1810წ. 8 ივლისს, დილით, რუსეთის ესკადრა სოხუმს მიადგა. კ.დოტმა ციხის ოსმალური გარნიზონს დანებების წინადადება მისცა, მაგრამ უარი მიიღო. იმავდროულად მოწინააღმდეგემ რუსეთის ესკადრას ცეცხლი გაუხსნა. მეორე დღეს, 9 ივლისს, დღის 4 საათზე ესკადრამ სოხუმის დაბომბვა დაიწყო და ნავსადგურში მდგარი 7 თურქული ხომალდი ჩაძირა. ციხეში ინგრეოდა და იწვოდა სახლები, მაგრამ მოწინააღმდეგე დანებებას არ აპირებდა. 10 ივლისს, როდესაც ციხის კედლები ზღვის მხრიდან მნიშვნელოვნად დაინგრა, დესანტი მაიორ კონრადინის მეთაურობით ნაპირზე გადასხდა და სოხუმის ციხე აიღო.[1194]

ვიდრე სოხუმისათვის ბრძოლა დაიწყებოდა, ასლან-ბეი სოლომონ II-ის დასახმარებლად გაემართა 4-ათასიანი მხედრობით. ის აპირებდა სამეგრელოზე თავდასხმას, რათა მას იმერეთის წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის ჯარისთვის დახმარება ვერ გაეწია. სოხუმზე რუსების თავდასხმის ცნობის მიღებისთანავე ასლან-ბეი უკან გამობრუნდა, მაგრამ ციხე უკვე აღებული დახვდა და იძულებული გახდა, მთებში გაქცეულიყო[1195]. სოხუმისა და მისი შემოგარენის მცხოვრებნი კ.დოტთან მიდიოდნენ, მფარველობას

1190 . იქვე, ტ. IV, №529, გვ. 396.

1191 . იქვე, №532, გვ. 396-397.

1192 . იქვე, გვ. 421; . - . 1806 1812 . .3. „1849, გვ. 266.

1193 . ც. ქირია, შ.სარია. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1967, №5, გვ. 30.

1194 . , .IV, გვ. 422-425; . - . ..., გვ. 266; . . , . I. , 1907, გვ. 248-249; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 264; . . ..., გვ. 46. . . ..., გვ. 25-26.

1195 . , .IV, №439, გვ. 328; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 873; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 264-265.

სთხოვდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილს გამოთქვამდნენ. მას ეახლნენ აგრეთვე საფარ-ბეის ძმები – ჰასან-ბეი და ბათალ-ბეი[1196].

სოხუმის ციხე თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. კ.დოტი შეეცადა იგი თავდაცვით მდგომარეობაში მოეყვანა და მისი აღდგენისათვის ზრუნვას შეუდგა. სასწრაფოდ შეაკეთეს დაზიანებული ადგილები და ციხეში რუსული გარნიზონი ჩააყენეს. ამის შემდეგ ესკადრა სევასტოპოლში დაბრუნდა[1197].

სოხუმის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 6 აგვისტოს ა.ტორმასოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ნ.რუმიანცევს აღფრთოვანებით ულოცავდა „სოხუმის ციხის შეძენას, რომელიც ბატონობს მთელ აფხაზ ხალხზე“ და იმედს გამოთქვამდა, რომ სოხუმის ფლობა რუსეთს „შავი ზღვის იმ ნაპირის სრულ მბრძანებლად“ აქცევდა[1198].

1810წ. აგვისტოს დასაწყისში ფ.სიმონოვიჩი იმერეთის მმართველად დაინიშნა. ოფიციალურად მას ეწოდებოდა „იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მმართველი“. იმავდროულად ის დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდალიც იყო. მას ემორჩილებოდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ციხე-სიმაგრეები და ნავსადგურები. ამრიგად, ერთი პირის ხელში იყო თავმოყრილი მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში[1199].

23 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ ფიცის ტექსტს ხელი მოაწერა, რაც აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის „მფარველობაში” შესვლას, არსებითად, სამთავროს ანექსიის პროცესის დაწყებას ნიშნავდა[1200]. 19 სექტემბერს ა.ტორმასოვი იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ თ. სიმონოვიჩს სწერდა, რომ ყურადღება მიექცია საფარ-ბეისათვის და მხარი დაეჭირა მისთვის, რათა ასლან-ბეი მეტად არ გაძლიერებულიყო და როდესაც ამისი საშუალება იქნებოდა, მისთვის სიგელი, სამთავრო ნიშნები და ინვესტიტურა გადაეცა, რათა აფხაზებს ენახათ, რომ იმპერატორი მას „მფარველობდა”[1201]. ოქტომბერში რუსთა ჯარის ასეულის თანხლებით, რომელსაც მაიორი მოიზი მეთაურობდა, გიორგი შარვაშიძე რედუტ-ყალედან სოხუმში ჩავიდა. აფხაზი თავად-აზნაურების, უხუცესებისა და ხალხის თანდასწრებით მან დაიფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. მაიორმა მოიზიმ გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადასცა სამთავრო ნიშნები და სიგელი მისი აფხაზეთის მთავრად დამტკიცების თაობაზე. როგორც ა.ტორმასოვი აღნიშნავდა, „იქ დამსწრე აფხაზებმა, მოხიბლულებმა მათთვის ესოდენ ახალი სანახაობით, საფარ-ალი-ბეგი თავიანთ მთავრად საზეიმოდ აღიარეს“[1202].

რუსეთის ჯარის მიერ სოხუმის აღების შემდეგ თურქებმა, რომლებიც აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, დაიწყეს ქალაქისა და მისი შემოგარენის დატოვება. ამის შემდეგ სოხუმი დაცარიელდა, იქ მხოლოდ რამდენიმე ათეული ბერძენი და სომეხი – ნახევრად ვაჭარი, კონტრაბანდისტი და ყაჩაღი, - დარჩა. სოხუმის ციხის დაუფლება, რაც მთელი აფხაზეთის დაუფლების წინაპირობას წარმოადგენდა და ქრისტიანი მთავრის დასმა რუსეთის დიდი გამარჯვება იყო. ის ფეხს იკიდებდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. საფარ-ბეისა და ასლან-ბეის შორის ბრძოლა იყო ბრძოლა რუსულ და თურქულ გავლენას შორის. სოხუმ-ყალეს აღება რუსების მიერ და ასლან-ბეის განდევნა იყო არა იმდენად საფარ-ბეის გამარჯვება ასლან-ბეიზე, რამდენადაც რუსეთის გამარჯვება ოსმალეთზე აფხაზეთში.[1203]

გიორგი შარვაშიძემ თავის რეზიდენციად სოხუმის ციხე აირჩია. იგი მხოლოდ საშინაო თვითმართველობას ინარჩუნებდა. სამთავრო ხელისუფლების დასაცავად რუსეთის სარდლობამ სოხუმის ციხეში 3 ასეული დატოვა. რუსეთის ჯარების დახმარე-

---

1196 . , IV, გვ. 425; . - . ..., გვ.266; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 265; . . ..., გვ. 46.

1197 . , IV, 424; . - , ..., გვ.267; . , ..., გვ. 27.

1198 . ..., . I, გვ. 140.

1199 . , . IV, № 434, გვ. 312; გ. ვაჭრიძე. იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840წწ.). ქუთაისი, 1999, გვ.117.

1200 . იქვე, ტ. IV, გვ.425.

1201 . იქვე, №434, გვ. 322.

1202 . იქვე, გვ. 425.

1203 . . . ..., გვ. 158.

ბის გარეშე საფარ-ბეი, ფაქტობრივად, ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომაც იყო, რომ რუსი მოხელე კროკი, რომელიც კარგად იცნობდა XIX ს. დასაწყისის აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე რუსეთის მიერ ძალით შექმნილი ხელისუფალი იყო[1204]. აფხაზური ისტორიოგრაფია მას უკანონო მთავრადაც მიიჩნევს.[1205] რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, გაეძლიერებინა საფარ-ბეის ხელისუფლება, აფხაზი მფლობელები მისთვის დაემორჩილებინა. ა.ტორმასოვი ნინო დადიანს სწერდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მისი პატივისცემით და ხათრით გაუწია დახმარება გიორგი შარვაშიძეს და კვლავაც მხარს დაუჭერდა. მთავარმართებელი ავალებდა ნინო დადიანს, დახმარებოდა საფარ-ბეის, რომ მას „აფხაზი ხალხი მიემხრო“ და ხელისუფლება განემტკიცებინა; მას აინტერესებდა, რა გავლენა ჰქონდა საფარ-ბეის ხალხში, ჰყავდა თუ არა მომხრეები, რომელთა მეშვეობითაც სამეგრელოს სამთავრო სახლისა და რუსეთის ხელისუფლების დახმარებით ხელისუფლებას განამტკიცებდა და სამეგრელოს სამთავრო სახლი ამ მიმართულებით რას აკეთებდა; სჭირდებოდა თუ არა მას კიდევ რუსეთის ჯარის დახმარება[1206].

XIXს. დასაწყისში აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ საზღვრად ჩრდილო-დასავ-ლეთით მდ.ბზიფი ითვლებოდა, რადგან გაგრის ვიწროებიდან მდ. ბზიფამდე მიწა-წყალი ჯიქებს ჰქონდათ მიტაცებული. სამხრეთ-აღმოსავლეთით მისი საზღვარი მდ.ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას სამეგრელოს სამთავრო ესაზღვრებოდა. ჩრდილოეთით საზღვარი ნომინალურად კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვებოდა, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა ეკვროდა. რუსეთის მფარველობაში შესვლის დროისთვის აფხაზეთის სამ-თავრო ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. ის ცალკეულ მხარეებად იყ-ოფოდა. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება მხოლოდ ზუფუზე ანუ ბზიფის ოლქზე (მდ.ბზიფსა და მდ.გუმისთას შორის) ვრცელდებოდა; გუმის ანუ აფხაზეთისა(მდ.გუმისთასა და მდ.კოდორს შორის) და აბჟუის (მდ.კოდორსა და მდ.ღალიძგას შორის) ოლქებს შარვაშიძეთა სამთავრო სახლის სხვა წევრები ფლობდნენ. მასთან ნომინალურად იყო დაკავშირებული მთიანი მხარეები: წებელი და ღალი მდ.კოდორის შუა და ზემო წელში, და ფსხუ - მდ.ბზიფის ზემო წელში, რომლებსაც მარშანიები განაგებდნენ. მარშანიებმა არ ცნეს გიორგი შარვაშიძის (1810-1821წწ.) ხელისუფლება და არც რუსეთის მფარველობაში შევიდნენ[1207]. იმავე 1810წ. აფხაზეთის მთავრის მაგალითით და გავლენით, ჯიქების მთავარი ლევან ცანბა (ცანუბაია) რუსეთის „მფარველობაში” შევიდა და აფხაზეთის მთავრის უზენაესობა აღიარა[1208].

1204 . საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, გვ. 873.
1205 О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 214.
1206 . , .IV, №536, გვ. 398-399.
1207 . იქვე, ტ. IV, №575, გვ. 425; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ..., გვ. 135-136, 178.
1208 . , .IV, №578, გვ. 426; №583, გვ. 429.

თავი XIV. აფხაზეთი 1810-1880 წლებში

1. რუსეთის ბატონობის განმტკიცების მცდელობანი. 1810-1820წწ.

ვითრება აფხაზეთში. აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ მთავრის არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად რუსეთს ვერ გადაეწყვიტა ქვეყნის სიღრმეში შესვლა და ურჩი მთიანი მხარეების - ფსხუს, წებელის, დალის დამორჩილება. ამ პერიოდში ცარიზმი ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროზე განმტკიცებულიყო და, ფაქტობრივად, ქვეყნის მართვაში არ ერეოდა. ამასთან სამთავროში არსებობდა მძლავრი პროთურქული ბანაკი, რომელსაც მთავრის ძმა ასლან-ბეი შარვაშიძე ედგა სათავეში. ამ უკანასკნელს, მთავრობისგან განსხვავებით, ხალხში მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰქონდა ანტირუსულად განწყობილი ძალების სახით.

რუსეთის ხელისუფლების პოზიციები აფხაზეთში ჯერ კიდევ სუსტი იყო. სოხუმის დაუფლება სულაც არ ნიშნავდა აფხაზეთის დაუფლებას. უფრო მეტიც, ასლან-ბეის მომხრეები სოხუმის ციხიდან 20 ვერსზე თავს ესხმოდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ, ადამიანებს და საქონელს იტაცებდნენ. ამ უწესრიგობების აღსაკვეთად და ქვეყნის დასამორჩილებლად გიორგი შარვაშიძემ 1810წ. დეკემბერში გენერალ-მაიორ ფ.სიმონოვიჩს სთხოვა, მისი ნათესავი, სამურზაყანოს სარდალ-მოურავი მანუჩარ შარვაშიძე ჯარით მის დასახმარებლად გაეგზავნა. ფ.სიმონოვიჩმა აფხაზეთის მთავრის ამ თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ნინო დადიანს მიმართა.[1209] დედოფალმა ნინომ სამეგრელოს სახალხო ლაშქარი აფხაზეთში გაგზავნა. ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის დახმარებით ლაშქარმა ოსმალოფილური პარტია დაამარცხა, რის შემდეგაც ასლან-ბეი ტრაპიზონში გაიქცა. სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა აფხაზეთის მთავარს ჯიქების რამდენიმე თემიც დაუქვემდებარა. ნინო დადიანმა გიორგი შარვაშიძესთან შეარიგა და მას დაუმორჩილა ბექირ-ბეი შარვაშიძის შვილები, გავლენიანი აფხაზი მფლობელები სოსლან-ბეი და ალი-ბეი, რომლებიც მას მტრობდნენ და ასლან-ბეის უჭერდნენ მხარს. ნინომ მათგან მძევლები აიყვანა და იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა. მისივე მითითებით რებია-ჰანუმ მარშანია მოლაპარაკებებს აწარმოებდა თავის ძმებთან, წებელის მფლობელ მარშანიებთან, გიორგი შარვაშიძის მთავრად ცნობისა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის თაობაზე.[1210]

ბუქარესტის ზავი. 1812წ. 16 მაისს, დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუქარესტში ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულების VI მუხლის მიხედვით, კავკასიაში საზღვრები ომამდელი სახით უნდა აღდგენილიყო. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლის მიხედვით, შავი ზღვის სანაპირო ორი საათის სავალზე მდ. რიონის მარჯვენა ნაპირიდან და ანაკლიიდან ოთხი საათის სავალზე, სადაც არ იყო სიმაგრეები, კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, რუსეთის სარგებლობაში გადადიოდა, თუმცა პორტას მფლობელობაში ითვლებოდა. არცერთ მხარეს არ შეეძლო აქ სიმაგრეების აგება[1211]. ხელშეკრულების VI მუხლი რუსეთს საშუალებას აძლევდა, თავის მფლობელობაში შეენარჩუნებინა დასავლეთ საქართველო. საიდუმლო მუხლის თანახმად კი, ფაქტობრივად, რუსეთის გამგებლობაში ექცეოდა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი მდ. ბზიფიდან მდ.ჩოლოქამდე.[1212]

[1209] . , . IV,№452, გვ. 339.

[1210] . იქვე, ტ. IV, №544, გვ. 405-406; №545, გვ. 406-407; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 266.

[1211] . , . VI, გვ. 413-414-415.

[1212] . ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 420-421; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 876.

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის სარდლობამ 1812წ. 29 სექტემბერს ახალქალაქი, ხოლო 7 დეკემბერს ფოთი, როგორც „იარაღის ძალით“ დაპყრობილი, თურქებს გადასცა. ოსმალეთის ხელისუფლება კატეგორიულად მოითხოვდა სოხუმის გადაცემასაც, მაგრამ მთავარმართებელმა და საქართველოს კორპუსის მთავარსარდალმა ნ.რტიშჩევმა ამ საკითხის გადაწყვეტა 1813წ. გაზაფხულისთვის გადადო.[1213]

სამურზაყანოს საკითხი. 1811წ. შიმშილობამ და ახალციხიდან თითქმის მთელ საქართველოში მოდებულმა შავი ჭირის ეპიდემიამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი სამურზაყანოსა და აფხაზეთში გაიხიზნა, რის შემდეგაც გაძლიერდა ტყვის სყიდვა. სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ სამეგრელოს მთავარს, ლევან V დადიანს (1805-1840წწ), წესრიგის დასამყარებლად აფხაზეთში გალაშქრება ურჩია: „თუ ახლავე არ უშველეთ, ტყვეები დაიყიდაო და კიდევ მრავალი დაიკარგებაო“. სამეგრელოს მთავარმა ლაშქარი შეკრიბა, ჭყონდიდელი და ცაიშელი მდვდელმთავრები იახლა და 1812წ. ოქტომბერში აფხაზეთისკენ გაემართა. სამურზაყანოში გადასული ლევან V დადიანი მანუჩარ შარვაშიძის ძმის, ლევანის მამულში, ბედიაში გაჩერდა ღამის გასათევად. ღამით, ლევან შარვაშიძის შვილის, ხუტუნიას მიგზავნილებმა მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. სამეგრელოს მთავრის ცნობით, მოკვლას მასაც უპირებდნენ, მაგრამ დროზე შეიტყო და გადარჩა.[1214] ლევან V დადიანი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ზუგდიდში. მას არ შეეძლო საკუთარი ძალებით აეღო კარგად გამაგრებული ბედიის ციხე, ამასთან ლევან შარვაშიძეც საკმაოდ გავლენიანი კაცი იყო სამურზაყანოში. ამიტომ მან დახმარება რუსულ ადმინისტრაციას სთხოვა. მთავარმართებლის ბრძანებით, დადიანის დასახმარებლად ორი ასეული ზარბაზნების თანხლებით, იმერეთისა და გურიის სახალხო ლაშქარი გაიგზავნა. 1812 წ. დეკემბერში ლევან V დადიანი ბედიისკენ გაემართა. ჯარის მიახლოებისთანავე ხუტუნია შარვაშიძე წებელში გაიქცა. ლევან შარვაშიძე მიხვდა, რომ დადიანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ციხე ჩააბარა. სამეგრელოს მთავარმა გულმოწყალება გამოიჩინა, ლევან შარვაშიძე მოხუცებულობის გამო არ დასაჯა, „გამოსაზრდელად“ სოფ. ფახულანი მიუჩინა და იქ გაგზავნა, შემდეგ ბედიის ციხე გაამაგრა, თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და ზუგდიდში დაბრუნდა.[1215]

ოსმალეთის პრეტენზიები. კვლავ მწვავედ იდგა სოხუმ-ყალეს ოსმალეთისთვის გადაცემის საკითხი. ნ. რტიშჩევი სოხუმის თურქებისთვის გადაცემის წინააღმდეგი იყო. 1813 წ. 3 იანვარს კანცლერ ნ.რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა, რომ აფხაზეთზე, როგორც ნებაყოფლობით შეერთებულ მხარეზე, პრეტენზია არ უნდა მიეღოთ, ხოლო სოხუმი ყოველთვის იყო აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია. მისი აზრით, მართალია, სოხუმი დასაბრუნებელი იყო, რადგან გიორგი შარვაშიძის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისას მას თურქული გარნიზონი იცავდა და მისი დაკავება იარაღით მოხდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ აფხაზები ემორჩილებოდნენ მხოლოდ იმას, ვინც სოხუმს ფლობდა. თუ ოსმალეთი დაეუფლებოდა სოხუმს, აფხაზები მთავარს განუდგებოდნენ; ქრისტიანობა, რომელიც კვლავ ვრცელდებოდა ამ მხარეში, დავიწყებას მიეცემოდა; რუსეთის ხელში თუ არ იქნებოდა სოხუმი და მისი ნავსადგური, აფხაზების დამორჩილება გაძნელდებოდა და აფხაზეთის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, იგი სვამდა კითხვას, საჭირო იყო თუ არა თურქებისათვის დაებრუნებინათ სოხუმი, იმ მთავრის რეზიდენცია, რომელიც მთელი თავისი ხალხით და სამფლობელოთი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. ყოველ შემთხვევაში, იგი აპირებდა სოხუმის გადაცემა კვლავ გაეჭიანურებინა.[1216]

ნ.რტიშჩევის დასაბუთება პეტერბურგში მხედველობაში მიიღეს. მალე, მან იმპერატორის დირექტივა მიიღო, მიუხედავად თურქების მოთხოვნისა, სოხუმი არ გადაეცა,

---

1213 . , . V, №926, გვ. 785.

1214 . საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II. ისტორიული დოკუმენტები, წ. I. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ. თბ., 1953, გვ. 136.

1215 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 204.

1216 . , . V, №926, გვ. 785-786.

რადგან ეს მთელი აფხაზეთის დაკარგვას გამოიწვევდა, თუმცა უარი სხვა მიზეზებით უნდა ყოფილიყო მოტივირებული.[1217] პეტერბურგის პოზიციის გარკვევის შემდეგ ნ.რტიშ-ჩევმა თურქებს უარი განუცხადა სოხუმის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ აფხაზეთი პორტას უშუალო საკუთრებას არასოდეს წარმოადგენდა, სამშვიდობო ხელშეკრულებაშიც არსად იხსენიებოდა, ამიტომ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო.[1218]

ოსმალეთი მხოლოდ სოხუმ-ყალეს გადაცემის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა და იმერეთზე, გურიასა და სამეგრელოზე პრეტენზია წამოაყენა.[1219] კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ინფორმაციით, თურქები აფხაზეთში ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს რუსეთმა ეს მხარე ბუქარესტის ტრაქტატით პორტას დაუთმო, ხოლო სოხუმ-ყალე ასლან-ბეის გადაეცა; ასეთი ხმების გავრცელების გამო აფხაზეთში უწესრიგობები მოხდა. ნ. რტიშჩევის აზრით, თურქები ცდილობდნენ აფხაზეთში შინაომის გაჩაღებასა და აფხაზების გიორგი შარვაშიძისაგან ჩამოშორებას, რისთვისაც ასლან-ბეის პარტიას აძლიერებდნენ. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია 1812წ. ბოლოს სამურზაყანოში მომხდარ ამბებშიც პროთურქულ ძალებს ადანაშაულებდა. თითქოს ასლან-ბეის მომხრე ლევან შარვაშიძემ, თურქების ჩაგონებით მოკლა თავისი ძმა, რუსეთის ერთგული პოლკოვნიკი მანუჩარ შარვაშიძე; გაძლიერდა ტყვის სყიდვა, მარტო 5 თვის განმავლობაში აფხაზეთიდან და სამეგრელოდან თურქებმა 300 ტყვე გაიყვანეს.[1220]

თუ წინათ თურქები დასავლეთ საქართველოს პროვინციების გადაცემას მხოლოდ მოითხოვდნენ, ახლა ძალით მათ დაუფლებას ცდილობდნენ. ისინი საგანგებოდ ამარაგებდნენ ფოთის ციხეს და ჯარს აძლიერებდნენ. 1813წ. 29 ივნისს ფოთში ჩავიდა სერასკირი სეიდ-სულეიმან ფაშა, რომელმაც 2 ათასი ჯარისკაცი ჩამოიყვანა. მას რწმუ-ნება ჰქონდა, დაეპყრო დასავლეთ საქართველო. ამავე ხანებში ჯიქეთში მყოფი ასლან-ბეი სტამბოლში ჩავიდა. როგორც ჩანს, მას დახმარებას შეჰპირდნენ. სტამბოლიდან ასლან-ბეი ფოთში ჩამოვიდა, შემდეგ თურქთა რაზმით ზღვით სოფ. გუდავაში გადავიდა, მერე სოფ.ტამიშიც დაიკავა და მთელი აფხაზეთის დასაუფლებლად ემზადებოდა. გიორგი შარვაშიძემ დახმარების თხოვნით რუსეთის ხელისუფლებას მიმართა.[1221]

ასლან-ბეის აფხაზების დიდი ნაწილი მიემხრო. მის მხარეზე გადავიდა რებია-ჰანუმ მარშანია ორ უმცროს შვილთან ერთად. მათ სოხუმი დატოვეს და ასლან-ბეის ბანაკში გადავიდნენ; აფხაზეთის დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილიც მის მხარეს დადგა[1222]. თურქები ასლან-ბეის ჯარით, საომარი საჭურვლით და სურსათით ფოთიდან ამარაგებდნენ. 6 ივლისს სერასკირმა ფოთიდან ასლან-ბეის 17 ნავით ჯარი და სურსათი, აგრეთვე ფული გაუგზავნა, ხოლო ჯარის მეორე ნაწილი სოხუმის ასაღებად გაემართა.[1223]

ივლისის დასაწყისში არზრუმის სერასკირმა ნ.რტიშჩევს მოსთხოვა, ოსმალეთისთვის გადაეცა იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი ყველა სიმაგრით. ასეთივე მოთხოვნით მას ტრაპიზონის სერასკირმა სეიდ-სულეიმან ფაშამაც მიმართა.[1224] ნ.რტიშჩევის აზრით, ეს გაუგონარი მოთხოვნები ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების VI მუხლის პირობას არ შეესაბამებოდა და, ამდენად, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა[1225]. ნ.რტიშჩევმა ტრაპიზონის სერასკირი გააფრთხილა, რომ თურქთა ჯარის შესვლა აფხაზეთში ასლან-ბეის მეთაურობით და იმ ტერიტორიების იარაღით დაპყრობის მცდელობა, რომელსაც ადრე პორტას სახელით მოითხოვდა, ტრაქტატის დარღვევად მიაჩნდა, რის გამოც ამ სამფლობელოების დასაცავად

1217 . იქვე, №595, გვ. 504.
1218 . იქვე, გვ. 505.
1219 . , . VII, გვ. 743.
1220 . АКАК, т. V, , 1873, №928, გვ. 789.
1221 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 205; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 446.
1222 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 205; , . V, №935, გვ. 798.
1223 . АКАК, т. V, №935, გვ. 798; ნ. ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 446.
1224 . , . V, №929, გვ. 790; №934, გვ. 790.
1225 . იქვე, გვ. 796-797.

სათანადო განკარგულება გასცა. იგი სერასკირს მოუწოდებდა, აფხაზეთიდან ჯარები გაეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც ადექვატურ ზომებს მიიღებდა.[1226]

ნ.რტიშჩევმა პოლკოვნიკ ს.მერლინს უბრძანა, აფხაზეთიდან თურქები განედევნა. ს.მერლინი შეუთანხმდა ლევან V დადიანსა და გიორგი შარვაშიძეს, ასლან-ბეისა და თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის შესახებ. მე-15 ეგერთა პოლკის მეთაურს, მაიორ კუტიევს დაევალა, სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად შეჭრილიყო აფხაზეთში, წინადადება მიეცა თურქებისთვის, დაეტოვებინათ ეს მხარე, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენებით განედევნა ისინი[1227].

მაიორ კუტიევის რაზმი, რომელსაც სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც ახლდა, ენგურზე გადავიდა და ერთდღიანი ლაშქრობის შემდეგ ილორში ჩავიდა. რუსთა და ქართველთა ჯარის მიახლოებისთანავე თურქებმა მიატოვეს ასლან-ბეი და ფოთში დაბრუნდნენ, ასლან-ბეი კი ჯიქეთში გაიქცა. გიორგი შარვაშიძემ ითხოვა, დახმარებოდნენ სამთავროს მოსახლეობის დამორჩილებაში, ამიტომ ჯარმა წინსვლა განაგრძო, აბჟუის ოლქში მძევლები აიყვანა თავად-აზნაურებისაგან და მთავრის ერთგულებაზე დააფიცა, შემდეგ კოდორი გადალახა, აფხაზეთის ოლქშიც აიყვანა მძევლები და თავად-აზნაურები მთავრის ერთგულებაზე დააფიცა. როდესაც ჯარი სოხუმში ჩავიდა, რებია-ჰანუმი და მისი ორი უმცროსი შვილიც მონანიებით ეახლნენ სარდლობას. სოხუმში მოიწვიეს ზუფუელი თავად-აზნაურებიც, მძევლები ჩამოართვეს და ერთგულების ფიცი დაადებინეს. ამრიგად, მთელი აფხაზეთი გიორგი შარვაშიძეს შემოუმტკიცეს. ლევან V დადიანის რჩევით, აფხაზეთის მთავარმა მოლაპარაკება გამართა წებელის მფლობელ მარშანიებთან, მოსთხოვა მათ, შეეწყვიტათ ყაჩაღობა და არ შეეფარებინათ ყაჩაღები, თუ ამ გაფრთხილებას არ შეისმენდნენ, ყაჩაღთა ბუდეს დააქცევდა და ააოხრებდა. ამის შემდეგ ჯარი უკან გამობრუნდა და თან წამოიყვანა ის ხალხი, რომლებსაც აქ შიმშილობისა და შავი ჭირის ეპიდემიის დროს თავი შეეფარებინა და აფხაზებს დაეტყვევებინა.[1228] უკან გამობრუნებულმა რუსთა და ქართველთა ლაშქარმა ლევან V დადიანსა და მანუჩარ შარვაშიძის ქვრივს ქეთევანს სამურზაყანო დაუმორჩილა.[1229]

ამრიგად, აფხაზეთში დაწყებული მღელვარება რუსულმა ხელისუფლებამ 1813წ. აგვისტოში სისხლისღვრის გარეშე ჩაახშო და მოსახლეობის დიდი ნაწილიც დაიმორჩილა.

1813წ. ნოემბერში პორტამ კვლავ მოითხოვა იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის, ასევე ციხეების – სოხუმ-ყალეს, ანაკლიის და კემხელის, დაბრუნება.[1230] ნ.რტიშჩევმა დასაბუთებული პასუხი გასცა პორტას,[1231] მაგრამ საკითხი ამით არ ამოწურულა.

წებელის მფლობელთა და სამურზაყანოელთა ფიცი. აფხაზეთში რთული ვითარება რჩებოდა. გიორგი შარვაშიძის ხელისუფლება კვლავ სუსტი იყო. მთავარს, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდნენ მისი ძმები და ცალკეულ მხარეთა მფლობელები. სამთავროს ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელი ტომები და აფხაზეთის მთის თემების მკვიდრნი. აქ არსებული უწესრიგობა და ანარქია მეზობელ სამეგრელოზეც ახდენდა გავლენას. ამიტომ 1814წ. 3 ოქტომბერს ლევან V დადიანმა ნ.რტიშჩევს აფხაზეთში ლაშქრობის ნებართვა სთხოვა. ლაშქრობის მიზანი უნდა ყოფილიყო წებელში წესრიგის დამყარება, რადგან ამ თემის სოფლები სამეგრელოსა და აფხაზეთის ავაზაკთა თავშესაფარს წარმოადგენდა[1232]. მაგრამ ლაშქრობის დაწყება გაჭიანურდა, მალე კი მისი საჭიროება მოიხსნა. 1815წ. შემოდგომაზე ლევან V დადიანმა წებელთან ურთიერთობა მშვიდობიანად მოაგვარა. 29 ნოემბერს სამურზაყანოს სოფ. ოქუმში ჩამოვიდნენ წებელის თემის ბატონები – მისოსტ, სარალუფუ, ზერეფსუ მარშანიები და ლევან V დადიანს ერთგულების ფიცი მისცეს, შეჰპირდნენ კეთილმეზობლობას და

1226 . იქვე, №934, გვ. 797.
1227 . იქვე, №935, გვ. 798; №936, გვ. 800.
1228 . იქვე, ტ. V, №596, გვ. 505-506; №597, გვ. 506; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 205.
1229 . АКАК, т. V, №596, გვ. 506; №597, გვ. 506.
1230 . იქვე, №940, გვ. 805.
1231 . იქვე, №940, გვ. 805,807.
1232 . ხელნაწერთა ინსტიტუტი, –1130, გვ. 34.

აღუთქვეს, რომ სამეგრელოდან ტყვეების გატაცებას, სხვა ბოროტმოქმედებას აღარ ჩაიდენდნენ. ფიცში იგულისხმებოდა, რომ ისინი ლევან V დადიანს წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, შეწყვეტდნენ თავდასხმებს სამურზაყანოზე. ფიცის ტექსტში, რომელიც ქართულადაა შედგენილი, ნათქვამია: *„ქ. ჩვენ ქვემო ხელის მომწერელნი წებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან, და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განგვიახლეთ, და ჩვენც რწმუნებულ – ვართ ამ თქვენის ჭეშმარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმიდასა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა, და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართებელთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლებისაებრ ჩვენისავე მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წინააღმდგომ ყოვლითა გზითა და არცა რაიმესა შინა თანხმა მათთანა სიტყვით ანუ საქმით, და ვიყვნეთვე კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა თქვენისა სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მასთა მცხოვრებთა და არცა შევიწყნაროთდა წინააღმდგომი ვინმე უმაღლესის რუსეთის ტახტისა და თქვენის უგანათლებულესობისაგან გამოქცეულნი ვინმე, და არცა ჩვენგან რაიმე იქმნას ავის მოქმედება სამფლობელოსა რუსეთისა და საკუთრათ თქვენისაც უგანათლებულესობისა სამთავროსა შინა, – არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე, და რომელიც არა არიან აქა სახლისკაცნი ჩვენნი, მათსაცა ვეცდებით ესთავე მოყვანასა და მორჩილებასა ესრეთვე, ვითა აღვთქვით ჩვენ. და ამა ფიცისა შემდგომად ვემთხვევით ამას წმიდასა ალყურანსა დასამტკიცებელათ ფიცისა ჩვენისასა და ვაწერთ ხელთა: თავადი მისოსტ შვილი უჩარდიასი მარშანია, თავადი სარალუფ შვილი თულაფსისა მარშანია, თავადი ზერეფსუ ომერის ძე მარშანია.“*[1233]

მიუხედავად წებელის მფლობელთა მიერ ფიცის დადებისა, ეს მხარე აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებისა და რუსეთის გავლენის მიღმა რჩებოდა. იმავდროულად ლევან V დადიანმა ბექირ-ბეი შარვაშიძის შვილი სოსლან-ბეი რუსეთის მხარეზე გადმოიბირა და იმპერატორის ერთგულების ფიცი დაადებინა[1234]. იგი აქტიურად ჩაერია სამურზაყანოს საქმეებშიც და ამ მხარეში წესრიგის დამყარებას შეეცადა. 1815წ. 20 ნოემბერს „სამურზაყანოს აფხაზეთისა მთავარმა“ ლევან V დადიანმა დადგენილება გამოსცა, რომლითაც მოითხოვა სამურზაყანოში ქურდობის, ავაზაკობის, ტყვის სყიდვის აკრძალვა, შავი ჭირის ეპიდემიისა და შიმშილობის დროს (1811-1812წწ.) აქ გადმოხვეწილი იმერელი და მეგრელი გლეხების ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, ამ მხარეში წესრიგის შენარჩუნება, რისი შესრულებაც სამურზაყანოს თავად-აზნაურებმა ფიცით აღუთქვეს[1235]. ფიცს ხელს აწერდნენ შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, ჩქოტუები, ემუხვარები, მარღანიები და სხვ.

რუსეთ - კავკასიის ომის დასაწყისი. XIXს. დასაწყისში ცარიზმისთვის გადაუდებელ სტრატეგიულ და პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა. იმპერიასთან მიერთებული ტერიტორიები კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარეობდა; მათი დაპყრობა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ზოლის შემომტკიცებამდე მოხდა. ამდენად იმპერიის კავკასიური სამფლობელოები მეტროპოლიიდან დაუმორჩილებელი ჩრდილოეთ კავკასიით გამიჯნული აღმოჩნდა. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ყუბან-თერგის „საკორდონო ხაზის“ სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის დაპყრობა. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, რუსეთის ბატონობა ამიერკავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა. ნაპოლეონთან საომარი კამპანიის დამთავრების შემდეგ ცარიზმი ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისათვის მზადებას შეუდგა[1236].

1233 . **АКАК, т. V, №599, გვ. 507-508.**
1234 . **ხელნაწერთა ინსტიტუტი, –1130, გვ. 79რ-82ვ.**
1235 . **იქვე, გვ. 94რ-98ვ.**
1236 . **А. В. Фадеев. Россия и Кавказ..., გვ. 282.**

1815წ. კავკასიის ხაზზე, საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარის ნაწილებისაგან საქართველოს კორპუსი ცალკე შეიქმნა. 1816წ. 12 ოქტომბერს კავკასიის მთავარმართებლად გენერალ-ლეიტენანტი ა.ერმოლოვი დაინიშნა. მოგვიანებით, ა. პუშკინი პოემაში „კავკასიის ტყვე“ დაწერს: „ძრწოდე, კავკასო: მოდის ერმოლოვი!“

ა.ერმოლოვი, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ცალკეულ სადამსჯელო ექსპედიციებს ატარებდნენ, ჩეჩნეთისა და დაღესტნის სიღრმეში გეგმაზომიერ შეტევაზე გადავიდა. რუსები ანადგურებდნენ მთიელთა სოფლებს, კაფავდნენ ტყეებს, გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს და მთების სიღრმეში ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ.[1237] ცარიზმი ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის დანერგვას, რამაც მისი კოლონიური პოლიტიკა გააშიშვლა. რუსეთის სამხედრო-ფეოდალურ ექსპანსიას ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა საპასუხო რეაქცია მოჰყვა. დაიწყო რუსეთ - კავკასიის ომი (1817-1864წწ), რომელშიც რუსეთი მიზნად ისახავდა მთიანი დაღესტნისა და დასავლეთ კავკასიის დაპყრობას, ხოლო კავკასიელ მთიელთა მხრიდან ომს ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა.[1238]

ომის მსვლელობისას რუსეთის სარდლობა დიდ ყურადღებას აქცევდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავებას, რადგან დასავლეთ კავკასიის მთიელები გარესამყაროსთან კავშირს აქედან ამყარებდნენ; ინგლისი და ოსმალეთი კავკასიელ მთიელებს იარაღით და ტყვია-წამლით აქედან ამარაგებდნენ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავების მიზნით რუსეთი ცდილობდა აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრებულიყო.

მთავრის ხელისუფლების გაძლიერების მცდელობა. რუსეთი შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე მხოლოდ სოხუმს ფლობდა, სადაც 500 ჯარისკაცი იყო დისლოცირებული. სოხუმის მცირერიცხოვანი გარნიზონი ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურობას ამ მხარეში, სარდლობას კი მისი გაზრდის საშუალება არ ჰქონდა. რუსეთის პოზიციების სისუსტეს აფხაზეთში მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სუსტი მთავრის ხელისუფლება და მისი დაბალი ავტორიტეტი ხალხში. აფხაზეთის მთავარი უძლური იყო, საკუთარი ძალებით დაეცხრო შინაპოლიტიკური ბრძოლა სამთავროში. აქ კვლავ გრძელდებოდა ადამიანების გატაცება, მკვლელობები, ძარცვა, მთავრისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა. 1817წ. გიორგი შარვაშიძე ლევან V დადიანთან და იმერეთის მმართველთან, გენერალ-მაიორ ი.კურნატოვსკისთან (1817-1820წწ.) ჩავიდა. იგი ითხოვდა, მისთვის მიეცათ სამეგრელოსა და იმერეთის ლაშქარი, რათა მათი მეშვეობით ქვეშევრდომები დაემორჩილებინა. დადიანმა და იმერეთის მმართველმა უმჯობესად ჩათვალეს, მშვიდობიანი საშუალებით ემოქმედათ და აფხაზეთის მთავარს პოლკოვნიკი ნიკო დადიანი გააყოლეს, რომელიც აფხაზებში დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა. ნიკო დადიანმა აფხაზეთის მთავართან შეარიგა და მას დაუმორჩილა მისი ძმა ჰასან-ბეი, დედა – რებია-ჰანუმ მარშანია, აბჟუის მფლობელი ალი-ბეი შარვაშიძე თავისი თავადაზნაურებით, ბზიფის ოლქის აზნაურები: თლაფს ლაკრიბა, ჯამლეთ ლაკრიბა, კაც მარღანია, რომლებმაც იმპერატორის ერთგულების ფიცი დადეს და მძევლები მისცეს. მხოლოდ ბზიფის ოლქის თავადებმა, ძმებმა ნარჩოუ, დარუკელ და გიორგი ინალ-იფებმა და აზნაურმა ედგი ზვანბაიამ განაცხადეს უარი მთავრის მორჩილებაზე.[1239] იმავე ხანებში ლევან V დადიანმა ალი-ბეი შარვაშიძე მოანათვლინა, ალექსანდრე უწოდა და ნიკო დადიანის ასული, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე კესარია შერთო.[1240]

აფხაზეთში დროებით სიმშვიდე ჩამოვარდა, მაგრამ მალე, 1818წ. აპრილში, გიორგი შარვაშიძემ ი.კურნატოვსკის კვლავ აცნობა თავისი ქვეშევრდომების აშკარა დაუმორჩილებლობის თაობაზე. აფხაზეთის მთავარი ითხოვდა, მისთვის მიეცათ

1237 . . . , . I, გვ. 32; . . , . . , . . . (XVIII – 80- XIX .). . , 1984, გვ. 35.

1238 . ჩრდილო კავკასიის ხალხთა...., II, გვ. 144.

1239 . АКАК, т. VI, . I, №926, გვ. 644.

1240 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

სამეგრელოს ლაშქარი და 300-მდე იმერელი მხედარი, რომელთაც ის თავის ერთგულ ქვეშევრდომებს დაუმატებდა და სამთავროს მოსახლეობას სისხლისღვრის გარეშე დაიმორჩილებდა; გარდა ამისა, იგი ითხოვდა აფხაზეთში რუსეთის ჯარის ნაწილების ჩაყენებას, რომელთა შიშითაც აფხაზები უკვე დაუმორჩილებლობას ვერ გაბედავდნენ. ი.კურნატოვსკი თვლიდა, რომ აფხაზეთის მთავარი იმაზე უფრო სუსტი იყო, ვიდრე ჩანდა. მას ხალხთან მარტო გამოჩენაც არ ძალუძდა. ამის მიზეზად იმერეთის მმართველს ის მიაჩნდა, რომ აფხაზების, მთის თავისუფალი და მეომრული სულის ხალხის მართვა რთული იყო; ამასთან, გიორგი შარვაშიძის მთავრად დამტკიცება მისდამი ხალხის ერთგულების გარკვევის გარეშე მოხდა. მისთვის აშკარა იყო, რომ ხალხი უფრო ჰასან-ბეის ემხრობოდა, რომელიც გიორგი შარვაშიძისგან განსხვავებით მტკიცე ხასიათის, ყოჩაღი და მამაცი იყო. იგი არ ემორჩილებოდა ძმას და შესაძლოა ფარულად ხალხსაც ამისკენ აქეზებდა. მაგრამ, რადგან გიორგი შარვაშიძე მთავრად იყო დანიშნული, ი.კურნატოვსკის აზრით, ხელისუფლებას მისთვის მფარველობა უნდა გაეწია და დაეცვა. ამიტომ უნდა დაეკმაყოფილებინათ მისი თხოვნა იმერეთისა და სამეგრელოს ლაშქრის მიცემის თაობაზე, რათა ამ მხარეში წესრიგი დაემყარებინა.[1241]

ამავე ხანებში ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია შეეცადა მოეგვარებინა სამურზაყანოს საკითხი, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავრო სახლებს შორის დაპირისპირების საგანი იყო. 1818წ. მაისში ი. კურნატოვსკის თანდასწრებით აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის შეთანხმება დაიდო. გიორგი შარვაშიძემ სამურზაყანო დადიანის სამფლობელოდ ცნო. როგორც ლევან V დადიანი აღნიშნავდა, ეს აქტი მიზნად ისახავდა ორ სამთავროს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას. შეთანხმების მიხედვით, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვრად მდ. ღალიძგა განისაზღვრა. ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა, მეამბოხეებისა და სხვა ჯურის დამნაშავეთათვის თავშესაფარი არ მიეცათ[1242]. ამრიგად, აფხაზეთის მთავარმა სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში აღიარა, რითაც ბოლო უნდა მოღებოდა შარვაშიძეთა სამთავრო სახლის პრეტენზიას ამ მხარეზე.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია გიორგი შარვაშიძის თხოვნის დაკმაყოფილება აფხაზეთში წესრიგის დასამყარებლად ჯარის გაგზავნის შესახებ, მაგრამ მუდამ მშფოთვარე მხარეში რუსეთის ჯარის ნაწილების გაგზავნა და მათი საფრთხეში ჩაგდება არ სურდა, ხოლო სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის გაგზავნის წინააღმდეგი არ იყო.[1243] ლევან V დადიანის აზრით, აფხაზეთში ლაშქრობის შემოდგომისთვის გადადება ჯობდა. იგი თვლიდა, რომ სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის აფხაზეთში გამოჩენის შემთხვევაში, აფხაზები წინააღმდეგობას არ გასწევდნენ და მორჩილებას გამოაცხადებდნენ, მაგრამ გაზაფხულზე მდინარეების ადიდების გამო მათი გადალახვა გაძნელდებოდა, აფხაზები კი, ჩვეულებრივ, ტყეს შეაფარებდნენ თავს. მისი აზრით, ლაშქრობის მოწყობა სასურველი იქნებოდა ოქტომბერში, როდესაც აფხაზები ღომს მოიწევდნენ და ღვინოს დააყენებდნენ. მაშინ მათ გაუჭირდებოდათ თავიანთი საცხოვრებლების დატოვება; ამასთან, მთებისთვის თავის შეფარება შეუძლებელი იქნებოდა თოვლის გამო, ლაშქარს არ გაუჭირდებოდა მდინარეების გადალახვა და აფხაზები იძულებული გახდებოდნენ მორჩილება გამოეცხადებინათ. რუსეთის სარდლობამ გაითვალისწინა სამეგრელოს მთავრის რჩევა და აფხაზეთში ლაშქრობა ოქტომბრისთვის გადადო[1244], მაგრამ მისი საჭიროება არ დადგა. შემოდგომისთვის აფხაზეთის მთავარმა ურჩ ქვეშევრდომებთან საქმე მშვიდობიანად მოაგვარა, ერთგულების ფიცი დაადებინა და მძევლები ჩამოართვა. რუსული ხელისუფლება სამართლიანად ფიქრობდა, რომ მშფოთვარე აფხაზები მთავრის მორჩილებაში დიდხანს არ იქნებოდნენ. ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციას აფხაზეთში სიმშვიდის შენარჩუნების, კავკასიელ მთიელთა თავდასხმების აღკვეთის ერთ-ერთ პირობად გაგრაში ჯარის ნაწილის ჩაყენება მიაჩნდა[1245], მაგრამ ამის გაკეთება მაშინ არ შეეძლო.

1241 . , . VI, . 1, №926, გვ. 644.
1242 . სცსსა, ფ. 1087, აღწ. .2, ს. 357, ფ. 14.
1243 . , . VI, . 1, №928, გვ. 645.
1244 . იქვე, №929, გვ. 645.
1245 . იქვე, №930, გვ. 645-646.

იმერეთის აჯანყება და აფხაზეთი. 1819წ. ივლისში იმერეთში აჯანყება დაიწყო. ი.კურნატოვსკი საქართველოს კორპუსის შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა.ველიამინოვს მაშინ სწერდა: „აჯანყების სული საყოველთაოა და აშკარად ჩვენს მხარეზე არავინაა, გურულები და მეგრელები მზად არიან, იმერლებთან ერთად იმოქმედონ, ხოლო აფხაზი გლეხები იმდენად თანაუგრძნობენ იმერეთის აჯანყებას, რომ იმერლებს ისღა დარჩენიათ, მხოლოდ მოიწვიონ აფხაზები... აქ ისეთი ხმებიც არის, თითქოს მთავრები ჩვენს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისთვის იწვევენ: სამეგრელოსი – სვანებს და აფხაზებს, ხოლო გურიელი – აჭარლებს“[1246]. როგორც ი.კურნატოვსკი აღიარებდა, აჯანყებას გურია-სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობაც თანაუგრძნობდა, მაგრამ რუსეთის სარდლობის მუქარამ დადიანი და გურიელი აიძულა მთავრობის მხარე დაეჭირათ. აჯანყებამ გურიაც მოიცვა და სამეგრელოშიც ჰპოვა გამოძახილი. ფრანგი კომერსანტის პოლ გიბალის ცნობით, რომელიც აფხაზეთში ამ ხანებში იმყოფებოდა, სოხუმსა და მის მიდამოებში დაახლოებით 8 სახალხო კრება – „სეიმი“ შედგა, სადაც იმერეთისა და სამეგრელოს მღელვარების საკითხი განიხილებოდა. სეიმის მიზანი იყო განესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა აჯანყებულებთან შეერთება. აღსანიშნავია, რომ „სეიმის მონაწილეთა დიდი ნაწილი ბრძოლის მომხრე იყო“[1247]. 1819წ. აგვისტოში სოხუმში იმყოფებოდა ქართველი მწერალი და მოგზაური გ. ავალიშვილი. მისი დაკვირვებით, „არა ცხრებიან აქაურნი მცხოვრებნი, ესე იგი აფხაზნი, ავაზაკებრითა ქცევითა თვისითა“ რუსეთის ხელისუფლების სავნებად. აქ იგი აფხაზეთის მთავარსაც შეხვდა და რუსეთის ერთგულება ურჩია. მისი დახასიათებით, გიორგი შარვაშიძე საშუალო ასაკის იყო, ხმელი, „ფერხღვლარჭნილი და ჩანსაცა უფლად კმად მცირეისა გონებისა“. გ.ავალიშვილი შეეცადა, გამოერკვია, რამდენი ენა იცოდა მთავარმა და გაარკვია, რომ რუსული არ იცოდა. მთავრის მხლებელმა უთხრა, რომ „არ უწყის მან სხუა ენა, გარდა აფხაზურისა, თუმცა ესმის კუალად მცირედ რაოდენმე ქართულიცა“. როდესაც გ.ავალიშვილი მთავარს ქართულად შეეკითხა, მხლებელმა უპასუხა, რომ „არ ძალუძს ლაპარაკი არა რომელსამე ენასა ზედა, ვითარ ოდენ აფხაზურისა“[1248]. ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა აფხაზეთის მთავარს და მის ურჩ ძმებს, რომ მეამბოხეებისთვის, რომლებიც სამეგრელოდან აფხაზეთში გარბოდნენ, თავშესაფარი არ მიეცათ[1249]. მიუხედავად ამისა, სამეგრელოში აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, მთავრის ძმამ გიორგი დადიანმა 1820წ. ივნისში აფხაზეთს შეაფარა თავი. ლევან V დადიანმა მისი გაცემა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, რომ „ძლევამოსილ რუსეთის ჯარებთან ერთად მთელ აფხაზეთს გადააბრუნებდა“. აფხაზეთის მთავარმა მისი გაცემა განიზრახა, ამიტომ გიორგი დადიანი ჯერ ფოთში, შემდეგ კი სვანეთში გაიქცა, სადაც სამეგრელოს მთავრის ბრძანებით შეიპყრეს და რუსეთის ხელისუფლებას გადასცეს[1250]. 1820წ. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილებმა იმერეთის 1819-1820წწ. აჯანყება მთელი სისასტიკით ჩაახშეს. აფხაზებს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა მას თანაუგრძნობდნენ.

ოსმალეთის პრეტენზიების განახლება. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებისა და ამ მხარეში რუსეთის სუსტი გავლენით წაქეზებული ოსმალეთი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა სოხუმისა და აფხაზეთის დაბრუნებას. რუსეთის ხელისუფლება ორჭოფობდა და დასაშვებადაც კი მიაჩნდა პორტას მოთხოვნის დაკმაყოფილება. საკითხის შესწავლა ა. ერმოლოვს დაევალა. 1820წ. 16 ივლისს მან პეტერბურგს ვრცელი მოხსენება წარუდგინა, სადაც იმ საფრთხის თაობაზე მიუთითებდა, რასაც აფხაზეთისა და სოხუმის დათმობა გამოიწვევდა. მისი აზრით, აფხაზეთის დათმობა ნეგატიურად იმოქმედებდა რუსეთის პოზიციებზე ამიერკავკასიის სხვა სამფლობელოებში, სადაც ოსმალეთის ჩარევა გაძლიერდებოდა და სამომავლოდ რეგიონში პოზიციების

[1246] . იქვე, № 744, გვ. 537.

[1247] . . , . . (XIX- XX .), . ,1981, გვ. 21.

[1248] . გ. ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1967, გვ. 29-30.

[1249] . , . VI, . 1, № 896, გვ. 630.

[1250] . ბ. ხორავა. დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია. თბ., 2001, გვ. 61-62.

შესანარჩუნებლად გაცილებით მეტი სამხედრო ძალა იქნებოდა საჭირო, მით უმეტეს, რომ რუსეთის გავლენა შავ ზღვაზე შესუსტდებოდა; გიორგი შარვაშიძე იძულებული გახდებოდა, ქრისტიანობა დაეთმო, ხოლო ტახტზე რუსეთის დაუძინებელი მტერი, თავგამოდებული მაჰმადიანი ჰასან-ბეი აღზევდებოდა; შეწყდებოდა ქრისტიანობის გავრცელება და ახალმონათლულები მძიმე დღეში აღმოჩნდებოდნენ. ყოველივე ეს სახელს გაუტეხდა რუსეთს დასავლეთ საქართველოს სხვა ქვეშევრდომთა თვალში, გაძლიერდებოდა ტყვის სყიდვა; აფხაზებს დიდი რაოდენობით ჰქონდათ ნავები და სანაპიროს მახლობლად ყაჩაღობას ეწეოდნენ. თუ მათ ნავმისადგომებად ექნებოდათ სოხუმისა და ბიჭვინთის ყურეები, რუსეთის ხომალდებს საშუალება მოესპობოდათ, ყირიმიდან რედუტ-ყალეში სურსათი ჩაეტანათ, არ შეეძლებოდათ თავიანთი სამფლობელოების დაცვა და მაშინ რუსეთი მხოლოდ აფხაზეთს როდი დაკარგავდა. აფხაზეთის დაკარგვით რუსეთს შეიძლებოდა მთელი დასავლეთ საქართველო დაეკარგა. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ან სოხუმის ბედი სხვაგვარად გადაწყდებოდა, ა.ერმოლოვი თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვდა[1251].

ა.ერმოლოვის მიერ საკითხის პრინციპულად დაყენებამ მთავრობა აიძულა, სოხუმისა და აფხაზეთის ოსმალეთისთვის გადაცემაზე ხელი აეღო. რუსეთი მოითხოვდა, პორტას მის მფლობელობაში ეცნო ანაკლია და კემხელი, როგორც სამეგრელოს კუთვნილი პუნქტები, ამასთან არც სოხუმისა და აფხაზეთის დათმობას აპირებდა[1252]. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოზიცია კატეგორიული იყო, პორტა კვლავ დაჟინებით მოითხოვდა ანაკლიისა და სოხუმ-ყალეს გადაცემას. 1820წ. დეკემბერში ა.ერმოლოვმა პეტერბურგს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ხელისუფლებას სირთულეები შეექმნებოდა მათი დათმობით ამ ციხეების მიმდებარე ტერიტორიების დაცვაში და თურქები ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ წააქეზებდნენ, ამიტომ მათი დათმობა მიზანშეწონილად არ მიაჩნდა[1253]. პეტერბურგში გაითვალისწინეს ა.ერმოლოვის არგუმენტები და ოსმალეთისათვის სოხუმის, ანაკლიისა და კემხელის გადაცემაზე ხელისუფლებამ უარი თქვა.

2. სახალხო აჯანყებები და რუსეთის მიერ გატარებული სამხედრო-დიპლომატიური ღონისძიებები. XIXს. 20-იანი წლები

აფხაზთა 1821 და 1824 წლების აჯანყებები. 1821წ. 7 თებერვალს აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე ლიხნში გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მთავარი რეალურად აფასებდა ქვეყანაში არსებულ ძალთა თანაფარდობას და სიკვდილის წინ უმცროს ძმას ჰასან-ბეის მეუღლესა და შვილებზე მზრუნველობა სთხოვა და რუსეთის ხელისუფლების მორჩილება ურჩია[1254]. მეორე დღეს, 8 თებერვალს, თამარ შარვაშიძემ წერილით აუწყა სოხუმის ციხის კომენდანტს, მაიორ პ.მოგილიანსკის გიორგი შარვაშიძის გარდაცვალება და სთხოვა, მთავარმართებლისთვის ეუწყებინა. ამასთანავე, ის ითხოვდა, გამოეგზავნათ უფროსი შვილი დიმიტრი, რომელიც პეტერბურგში პაჟთა კორპუსში იზრდებოდა და მისთვის ქვეყნის მართვა ჩაებარებინათ[1255]. რუსეთის რეალური ხელისუფლება აფხაზეთში სოხუმის ციხის კედლებს არ სცილდებოდა, სადაც 500 კაციანი რუსული გარნიზონი იდგა[1256]. თამარ შარვაშიძის გავლენაც უმნიშვნელო იყო, ტახტის მემკვიდრე დიმიტრი პეტერბურგში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში, სულ მცირე უთანხმოებას შეეძლო დიდი არეულობა გამოეწვია და ასეც მოხდა. 8 თებერვალს სოხუმის ციხიდან ტყეში შეშის საჭრელად გასულ ჯარისკაცთა რაზმს აფხაზები თავს დაესხნენ. ამ ფაქტმა, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისთვის უჩვეულო მასში არაფერი იყო, სამთავროში ვითარება დაძაბა. სოხუმის შემოგარენის მოსახლეობა ჰასან-ბეის ქვეშევრდომები იყვნენ, ამიტომ პ.მოგილიანსკიმ დამნაშავეთა

1251 . , . VI, . 1, №932, გვ. 653-654.
1252 . , . XI, გვ. 467.
1253 . , . VI, . 2, №759, გვ. 760; №760, გვ. 430.
1254 . ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. ვეიდენბაუმის ფონდი, №1717.
1255 . იქვე, №1716.
1256 . . . , . VI. ., გვ. 456-457.

გაცემის მოთხოვნით მას მიმართა. ლიხნში მყოფმა ჰასან-ბეიმ, პირობა დადო, რომ დამ-ნაშავეებს მოძებნიდა და მთავრობას გადასცემდა[1257]. იმავე დღეს პ.მოგილიანსკიმ კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა.ველიამინოვს, რომელიც კავკასიას ა.ერმოლოვის არყოფნის გამო მართავდა, გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებისა და სოხუმის ციხის გარნიზონის ჯარისკაცებზე აფხაზების თავდასხმის თაობაზე აუწყა. ეს ამბავი მან წარმოაჩინა როგორც ჰასან-ბეის წაქეზებით აფხაზების აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩასაგდე-ბად[1258].

ა.ველიამინოვს მიაჩნდა, რომ თუმცა ჰასან-ბეის მომხრეთა დაჯგუფებას ოსმალეთის დახმარების გარეშე რაიმე წარმატების მიღწევა არ შეეძლო, აფხაზეთში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მისი იზოლირება აუცილებელი იყო, ამიტომ პ. მოგილიანსკის უბრძანა, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ჰასან-ბეი დაეპატიმრებინა, ხოლო იმპერატორის მიერ აფხაზეთის მთავრის დამტკიცებამდე ქვეყნის მმართველად თამარ შარვაშიძე დაენიშნა. სოხუმის ციხის კომენდანტმა არ დააყოვნა ბრძანების შესრულება, თუმცა ხელსაყრელ შემთხვევას არ დაელოდა. 6 მარტს სოხუმის ციხეში მოსალაპარაკებლად მიიწვია ჰასან-ბეი და დააპატიმრა.[1259]

1821 წლის 14 მარტს თამარ შარვაშიძემ წერილით უშუალოდ ა. ველიამინოვს მიმართა და სთხოვა, ტახტის მემკვიდრე დიმიტრი აფხაზეთში გამოეგზავნათ. იგი წერდა, რომ მისმა შვილმა ამ ქვეყნის „არც ქცევა და არც ენა“ არ იცოდა, მაგრამ სამთავროს კარგად მოუვლიდა. ამასთან, ჰასან-ბეის გათავისუფლებასაც ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებლად მიაჩნდა აფხაზეთში დარჩენა. იგი ა.ველიამინოვს არწმუნებდა, რომ რუსეთის ხელისუფლების წინაშე ჰასან-ბეის დანაშაული არ მიუძღოდა[1260]. 1 აპრილს ა.ველიამინოვმა თამარ შარვაშიძეს დამამშვიდებელი წერილი გაუგზავნა. მასში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლს იმპერატორის მფარველობა არ მოაკლდებოდა, რუსეთის ჯარის ნაწილები მუდამ მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ მისი სახლისათვის და აფხაზეთში მას ვერავინ შეავიწროებდა. ა.ველიამინოვი გულახდილად წერდა, რომ ჰასან-ბეის დაპატიმრების მიზეზი გახდა გიორგი შარვაშიძის სიცოცხლეში მისი არაკეთილგანწყობილება და დაუმორჩილებლობა მთავრისადმი, რის გამოც განსვენებულ მთავარს არაერთხელ მიუმართავს რუსეთის ხელისუფლებისთვის. ამასთან, გენერლის აზრით, მას შეეძლო არეულობის მოხდენა, ამიტომ თამარ შარვაშიძეს მისი გათავისუფლება კი არ უნდა ეთხოვა, არამედ აფხაზეთიდან მოშორება[1261].

იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ პ.გორჩაკოვს (1820-1825წწ.) მიაჩნდა, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჰასან-ბეის შეპყრობა არ იყო გონივრული, რადგან ეს ხელს არ შეუწყობდა აფხაზთა დაშოშმინებას და უფრო მეტ მღელვარებას გამოიწვევდა. 1821 წლის 22 მარტს ა.ველიამინოვისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში იგი აღნიშნავდა, რომ პ.მოგილიანსკის ცნობამ აფხაზთა აჯანყების შესახებ მას თავიდანვე ეჭვი აღუძრა. მდგომარეობიდან გამოსასვლელად ხელისუფლებას ორი გზა ჰქონდა: პირველი, დაეკმაყოფილებინა ხალხის მოთხოვნა და ჰასან-ბეი გაეთავისუფლებინა; მეორე, აფხაზეთისკენ ჯარები დაეძრა. ამასთან, პირველი ღონისძიება სულაც არ იქნებოდა სისუსტის გამოვლენა; მეორე შემთხვევაში, დამატებით ათასამდე ჯარისკაცი მაინც გახდებოდა საჭირო; ჯარს უნდა გაევლო დაუმორჩილებელი სოფლები, წინააღმდეგობა იქნებოდა დესანტის გადასხმის დროსაც; აჯანყება მაინც არ შეწყდებოდა, თუ ჯარის ნაწილი დიდი ხნით აფხაზეთში არ ჩადგებოდა, რადგან სოხუმის ციხის გარნიზონს რეალურად დიდი ძალა არ შესწევდა[1262] და სიტუაციას მარტო ვერ გააკონტროლებდა.

1257 . ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.ვეიდენბაუმის ფონდი, №1717; , . III, . 2, გვ. 552.
1258 . ..., . III, . 2, იქვე.
1259 . იქვე; . . ..., . VI, გვ. 461-462.
1260 . ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. ვეიდენბაუმის ფონდი, №1718.
1261 . , . VI, . I, №934, გვ. 655.
1262 . ..., . III, . 2, გვ. 553-554.

ამრიგად, პ.გორჩაკოვმა სავსებით ნათლად დასვა საკითხი: უდანაშაულო ჰასან-ბეის გათავისუფლება, ან აფხაზეთის აჯანყება. ა.ველიამინოვი იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი ჰასან-ბეის მიმართ, რომ აფხაზთა აჯანყება ნაკლებ უბედურებად მიაჩნდა, ვიდრე მისი გათავისუფლება. „ჩვენთვის ბევრად უფრო მომგებიანია მშფოთვარე აფხაზეთი, ვიდრე ჰასან-ბეის გათავისუფლება, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ხალხში, ასევე თურქეთის მთავრობაშიც“, – წერდა ა.ველიამინოვი 28 მარტს პ.გორჩაკოვს. ხელისუფლებისათვის სასურველი იყო აფხაზეთიდან მისი მოშორება; აფხაზთა აჯანყების შედეგები ხელისუფლებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იქნებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ აჯანყებულები სოხუმის ციხეს თურქების დახმარების გარეშე ვერ აიღებდნენ. აუცილებლობის შემთხვევაში პ.გორჩაკოვს შეეძლო მის დასახმარებლად ქვემეხით შეიარაღებული ორი ან სამი ასეული გაეგზავნა[1263].

ამდენად, ა.ველიამინოვის აზრით, უმჯობესი იყო აფხაზთა აჯანყება, ვიდრე ჰასან-ბეის გათავისუფლება. 1821წ. აპრილში იგი ციმბირში გადაასახლეს[1264].

ა.ველიამინოვის იმედი, რომ ჰასან-ბეის გადასახლებით აფხაზეთში პრობლემები მოგვარდებოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ახდა. აფხაზეთის მმართველად თამარ შარვაშიძის დანიშვნას ხალხი საყოველთაო დრტვინვით და აღშფოთებით შეხვდა. ხალხი ეჭვობდა, რომ ჰასან-ბეის დაპატიმრება თამარ შარვაშიძის გარეშე არ მოხდებოდა, რომელსაც ალბათ მისი მოშორება სურდა, რათა დიმიტრისათვის ტახტისაკენ გზა გაეკაფა. აპრილის შუა რიცხვებში პ.გორჩაკოვი სოხუმში ჩავიდა, რათა აფხაზეთში შექმნილ ვითარებას ადგილზე გასცნობოდა. მან თანამდებობიდან გადააყენა სოხუმის ციხის კომენდანტი პ.მოგილიანსკი, რომელიც, მისი დახასიათებით, „საყოველთაო სიძულვილით“ სარგებლობდა და მის ნაცვლად მაიორი მიხინი დანიშნა, რომელმაც იმერეთის 1819-1820წწ. აჯანყებისას თავი გურიის დაშოშმინებაში გამოიჩინა[1265]. აფხაზეთში ქარიშხლის მოახლოების ნიშნები აშკარად ჩანდა, ამიტომ პ.გორჩაკოვმა აფხაზი თავად-აზნაურობა მოსალაპარაკებლად სოხუმში მიიწვია. თავად-აზნაურებმა წუხილი გამოთქვეს ჰასან-ბეის დაპატიმრების გამო და მისი უდანაშაულობა დაადასტურეს. ისინი აღიარებდნენ თავიანთ უძლურებას რუსეთთან ბრძოლაში და მტკიცედ აცხადებდნენ, რომ რუსეთის ჯარის ნაწილების აფხაზეთში შესვლის შემთხვევაში გადაწყვეტილი ჰქონდათ, დაეწვათ თავიანთი საცხოვრებლები და მთებში წასულიყვნენ. პ.გორჩაკოვთან შესახვედრად სოხუმში თამარ შარვაშიძე არ ჩავიდა, რითაც გამოხატა უნდობლობა ხელისუფლებისადმი ჰასან-ბეის უმიზეზო დაპატიმრების გამო, ხოლო იმერეთის მმართველმა ლიხნში გამგზავრება სახიფათოდ ჩათვალა[1266].

ამდენად, პ.გორჩაკოვი ქუთაისში უშედეგოდ დაბრუნდა. სულ მალე კი საყოველთაო მღელვარება აფხაზეთში რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა.

ჰასან-ბეის უმცროსი ძმები – ბათალ-ბეი, თაიარ-ბეი და როსტომ-ბეი, რომლებმაც მისი სახით მტკიცე საყრდენი და დამცველი დაკარგეს, ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდნენ. მათ მხარი დაუჭირეს ინალ-იფებმა, ჰასან-ბეის სიმამრმა და მისმა ნათესავებმა, ასევე მარშანიებმა, ნათესავებმა დედის – რებია-ჰანუმის მხრიდან. მეამბოხეები თავს ესხმოდნენ იმ ფეოდალებს, რომლებიც აჯანყებას არ თანაუგრძნობდნენ. მათი რისხვა პირველ რიგში თამარ შარვაშიძეს და სამთავრო სახლს დაატყდა თავს. სოხუმის კომენდანტმა თავისთან მიიწვია აფხაზი თავადები, რათა თამარ შარვაშიძის მიმართ მათი უკმაყოფილების მიზეზი გაერკვია. თავადები მიხინთან არ გამოცხადდნენ, თუმცა შეუთვალეს, რომ მანამდე არ დაემორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და თამარ შარვაშიძეს, სანამ მთავრობა ჰასან-ბეის არ დააბრუნებდა. მღელვარებამ უმთავრესად ჰასან-ბეის მამული, აფხაზეთის ოლქი მოიცვა, რაც შეეხება მთავრის

1263 . იქვე, გვ. 554-556.
1264 . იქვე, გვ. 556.
1265 . იქვე, გვ. 553-558.
1266 . იქვე, გვ. 557.

დომენს, ბზიფის ოლქს, თამარ შარვაშიძის ერთგული რჩებოდა, თუმცა აფხაზეთის დროებითი მმართველი მაინცდამაინც ბზიფელებსაც არ ენდობოდა[1267].

1821წ. ივნისის ბოლოს ოსმალეთიდან ჯიქეთში ჩავიდა ასლან-ბეი. მან დეპუტაციის მეშვეობით თამარ შარვაშიძეს მძევლები და აფხაზეთში თავისუფლად შეშვება მოსთხოვა. იგი ამ დროს სოხუმის ციხის მახლობლად იდგა ბანაკად. მან ასლან-ბეის მოციქულების მიხინის თანდასწრებით სოხუმის ციხეში მიიღო, მოისმინა მათი წინადადება და განუცხადა, რომ მამის მკვლელს აფხაზეთში არასდროს შეუშვებდა. თამარ შარვაშიძის ამალაში მყოფი ბზიფელი თავად-აზნაურებიც მას დაეთანხმნენ. შემდეგ უკვე, მიხინთან საუბარში თამარმა აღნიშნა, რომ დარწმუნებული არ იყო თავის ქვეშევრდომთა ერთგულებაში, ამიტომ სთხოვა, მისი სასახლის დასაცავად ლიხნში მცირე რაზმი გაეგზავნა[1268].

აფხაზეთში რუსეთის ბატონობის საკითხი საფრთხის ქვეშ იდგა, ვინაიდან მისი მომხრეთა რიცხვი მცირე იყო და მხოლოდ ქრისტიანებით შემოიფარგლებოდა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი, მაჰმადიანები და წარმართები, ოსმალურ ორიენტაციაზე იდგნენ, ან საერთოდ დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ[1269] სოხუმის ციხის გარნიზონი ამჯერადაც 500 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. პოლკოვნიკი მიხინი ყოველდღე თავდასხმას ელოდა, ამიტომ თამარ შარვაშიძის თხოვნას ვერ შეასრულებდა. მან თამარს სოხუმის ციხეში გადასვლა შესთავაზა, მაგრამ მთავრის ქვრივს ვერ გადაეწყვიტა ხალხის წინაშე თავისი უძლურების აღიარება, ამიტომ მან არჩია, სოფ. კოდორში წასულიყო, სადაც სახლი ჰქონდა. მაგრამ მდგომარეობა აქაც არანაკლებ საშიში აღმოჩნდა, ვიდრე ლიხნში. 1 ივლისს, საღამოს, მიხინმა თამარ შარვაშიძისაგან ცნობა მიიღო, რომ მეამბოხეებმა როსტომ-ბეის, თაიარ-ბეის და წებელელი მარშანიების მეთაურობით, მის სახლს ალყა შემოარტყეს. აჯანყებულებს მისი ტყვედ ჩაგდება და ასლან-ბეის მთავრად გამოცხადება სურდათ. თამარი შველას ითხოვდა. მიხინმა კოდორის კონცხისკენ დაუყოვნებლივ გააგზავნა სამხედრო ხომალდი „კონსტანტინე“ და მის მეთაურს, ლეიტენანტ ხომუტოვს დაავალა მთავრის ქვრივი შვილებთან ერთად დაეხსნა. იმავე ღამით ხომუტოვმა ისინი გამოიხსნა და 2 ივლისს სოხუმში ჩაიყვანა[1270].

ამასობაში პეტერბურგში აქტიურად მოქმედებდა ა. ერმოლოვი. მისი აზრით, საჭირო იყო დიმიტრის საჩქაროდ აფხაზეთში გაგზავნა, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მთავრის არყოფნაში ჰასან-ბეის მომხრეები უწესრიგობას მოაწყობდნენ. მას საჭიროდ მიაჩნდა, დიმიტრისათვის პოლკოვნიკის ჩინი ებოძებინათ და ა. ველიამინოვთან თბილისში გაეგზავნათ. ამასთან, ის შორს იყო იმ აზრისაგან, რომ „აფხაზეთის ველური და მხეცური ხალხი სრულიად დაემორჩილებოდა ახალ მთავარს“ მაგრამ, რადგან დიმიტრი პატარაობიდან რუსეთში იზრდებოდა, ალბათ შეძლებდა მათ დამორჩილებას[1271].

აგვისტოში დიმიტრი შარვაშიძე პაუთა კორპუსიდან გამოიყვანეს, იმპერატორის ბრძანებით, მას პოლკოვნიკის ჩინი ებოძა და აფხაზეთის მთავრად დაინიშნა.[1272] 23 აგვისტოს დიმიტრი შარვაშიძე პეტერბურგიდან თბილისში გამოემგზავრა.

ივლისში აფხაზეთში სიწყნარე იყო. ამით დამშვიდებულმა თამარ შარვაშიძემ, მიუხედავად მიხინის წინააღმდეგობისა, სოხუმი დატოვა და კვლავ კოდორის მამულში გადავიდა. ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ ეს იყო სიწყნარე ქარიშხლის წინ. ა. ერმოლოვის ინფორმაციით, ასლან-ბეი ანაპის ფაშას დახმარებით მთებში ლაშქარს კრებდა და აფხაზეთში შესაჭრელად ემზადებოდა. იგი წერილებს აგზავნიდა აფხაზეთში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა[1273]. აგვისტოს შუა რიცხვებში ასლან-ბეი 600 - კაციანი რაზმით ჯიქეთიდან აფხაზეთში შეიჭრა. 21 აგვისტოს იგი თამარ შარვაშიძის რეზიდენციასთან გამოჩნდა. თამარის მომხრეებიდან

1267 . იქვე, გვ. 558.
1268 . იქვე, გვ. 558-589.
1269 . . . . . ., . VI, გვ. 459.
1270 . , . VI, . I, №940, გვ. 659; ..., . III, . 2, გვ. 560.
1271 . , . VI, . I, №935, გვ. 655.
1272 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209, . VI, . I, №937, გვ. 656.
1273 . , . VI, . II, , 1875, №1094, გვ. 746.

ბევრი ასლან-ბეის მხარეზე გადავიდა. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს კოდორის სასახლეს. ორი კვირა სასახლის კოშკში ჩაკეტილი თამარ შარვაშიძე იძულებული გახდა, ფიცი დაედო, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტდა. 11 სექტემბერს აჯანყებულთა მხედრობა გაშლილი დროშებით მიადგა სოხუმის ციხეს, მაგრამ გარნიზონმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნა და უკუაგდო. ასლან-ბეიმ ალყა შემოარტყა სოხუმს და თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავა. სექტემბრის შუა რიცხვებში ის სამეგრელოს სამთავროს საზღვართან, მდ. ღალიძგაზე გამოჩნდა. ლევან V დადიანმა მას შეუთვალა, რომ ნებას არ მისცემდა, მის სამფლობელოში შეჭრილიყო და ქვრივსა და ობლებს, ე.ი. თამარ შარვშიძეს და მის შვილებს დაიცავდა[1274].

იმავდროულად სამეგრელოს მთავარმა პ.გორჩაკოვს აცნობა, რომ ლაშქარს აგროვებდა, რათა თავისი სამფლობელო დაეცვა და გიორგი შარვაშიძის ქვრივ-ობლებს დახმარებოდა. იმერეთის მმართველმა ჩათვალა, რომ ლევან V დადიანს სურდა, აფხაზთა მღელვარებით ესარგებლა და აფხაზეთის ის მიწა-წყალი შეეერთებინა, რომელიც ოდესღაც სამეგრელოს ეკუთვნოდა. ამიტომ სამეგრელოს მთავარს დაჟინებით მოსთხოვა, აფხაზეთში ლაშქრობის განზრახვაზე ხელი აეღო და მთავრის ქვრივ-ობლებზე ზრუნვა ხელისუფლებისთვის მიენდო[1275]. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ხელისუფლება აფხაზეთში სამეგრელოს მთავრის აქტიურობით დაინტერესებული არ იყო. ლევან V დადიანისადმი გაგზავნილ 15 სექტემბრის წერილში პ.გორჩაკოვი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თამარი აჯანყებულებს შეურიგდა მაშინ, როცა მას ყოველთვის შეეძლო სოხუმის ციხეში თავშესაფარი ეპოვა. იმერეთის მმართველი სამეგრელოს მთავარს ავალებდა, ზომები მიეღო, რათა მეამბოხეები სამურზაყანოში ვერ შესულიყვნენ[1276].

ასლან-ბეიმ გამოაცხადა, რომ მას ხელთ ჰქონდა სულთნის ფირმანი, რომლის ძალი-თაც ის აფხაზეთის მთავრად იყო დანიშნული და რუსეთიც სოხუმს მას უთმობდა. ამან აფხაზებზე დიდი გავლენა მოახდინა და ბევრი თავადი მის მხარეზე გადავიდა, მათ შორის ძმები ბათალ-ბეი, თაიარ-ბეი და როსტომ-ბეი შარვაშიძეები, აგრეთვე ჰასან-ბეის სიმამრი ნარჩოუ ინალიშვილი, მისი ძმა გიორგი ინალიშვილი, აბჟუის მფლობელი ალი-ბეი (ალექსანდრე) შარვაშიძე. ამბოხებულთა დასაყრდენს შეადგენდნენ სოფ. კელასურისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი – ჰასან-ბეის ქვეშევრდომები, აგრეთვე ბიჭვინთისა და მისი შემოგარენის მცხოვრებნი და წებელელები. ბზიფის ოლქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, მათ შორის, ლიხნელები, დიდხანს ინარჩუნებდნენ თამარ შარვაშიძის ერთგულებას და აჯანყებულებს იარაღითაც უწევდნენ გარკვეულ წინააღმდეგობას, მაგრამ შემდეგ ისინიც ასლან-ბეის მხარეზე გადავიდნენ[1277]. ამრიგად, 1821 წლის ოქტომბრისთვის მთელი აფხაზეთი ასლან-ბეის ემორჩილებოდა.

შექმნილ ვითარებაში კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აფხაზეთში ექსპედიციის მოსაწყობად მზადებას შეუდგა[1278]. სექტემბრის ბოლოს დიმიტრი შარვაშიძე თბილისში ჩამოვიდა. აფხაზთა აჯანყების ჩახშობა და სამთავრო ტახტზე მისი აყვანა პ.გორჩაკოვს დაევალა. ექსპედიციაში სამეგრელოს სამთავროს ლაშქარსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. ა.ველიამინოვმა დიმიტრი შარვაშიძეს დაწვრილებითი ინსტრუქცია მისცა. აფხაზეთში ჩასვლისთანავე მას უნდა მოეხმო სამთავრო სახლის ერთგული თავადები და მათი მეშვეობით გაევრცელებინა პროკლამაცია, რომელიც ახალგაზრდა მთავრის სახელით იყო შედგენილი და აფხაზეთის მოსახლეობას აუწყებდა, რომ ის დაინიშნა აფხაზეთის მთავრად, მოსახლეობას მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, ხოლო თავადებისაგან ერთგულების ნიშნად მძევლებს მოითხოვდა[1279]. ა.ველიამინოვის აზრით, ეს რამდენადმე ხელს შეუწყობდა ასლან-ბეის იმ სიცრუის გაქარწყლებას, თითქოს რუსეთის ხელისუფლებამ დაადასტურა სულთნის ფირმანი აფხაზეთის მთავრად მისი დამტკიცების თაობაზე. რუსეთის ჯარის ნაწილების შესვლა კიდევ უფრო

1274 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; , . VI, . I, №940, გვ. 659; №941, გვ. 659; . VI, . II, №1094, გვ. 746; ..., . III, . 2, გვ. 560; . . ..., . VI, გვ. 464-466.

1275 . . . ..., . VI, გვ. 460; ..., . III, . 2, გვ. 560.

1276 . ც. ქირია, შ. სარია. მასალები..., №13, გვ. 38-39.

1277 . , . VI, . I, №940, გვ. 659; . . ..., . VI, გვ. 464.

1278 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

1279 . იქვე, გვ. 209; , . VI, . I, №940, გვ. 658-659.

დაარწმუნებდა აფხაზებს, რომ იმპერატორმა დიმიტრი შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად და სამთავრო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ის იყო; ახალ მთავარს დაუყოვნებლივ უნდა დაედგინა თამარ შარვაშიძის ადგილსამყოფელი და ეცნობებინა ჯარით მისი აფხაზეთში შესვლა, დაერწმუნებინა იგი სოხუმში გადასულიყო, რათა იქ დალოდებოდა მას; დიმიტრი შემწყნარებელი და გულმოწყალე უნდა ყოფილიყო იმათ მიმართ, ვინც მოინანიებდა და მორჩილებას გამოაცხადებდა, განსაკუთრებით უბრალო ხალხის მიმართ, მაგრამ ვინც შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდა, მკაცრად
უნდა დასჯილიყო; აჯანყების მოთავეები ძლიერი საგვარეულოებიდან, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მტრობდნენ სამთავრო სახლს და კვლავაც შეეძლოთ აფხაზეთში სიმშვიდის დარღვევა, აუცილებლად უნდა გაენადგურებინათ, ან შეეპყროთ და აფხაზეთიდან გაესახლებინათ. ამასთან, არ უნდა ყოფილიყო სარწმუნოებრივი დევნა და ძალით გაქრისტიანება. როდესაც სიმშვიდე დამყარდებოდა და ხელისუფლება განმტკიცდებოდა, წარმართთა გასაქრისტიანებლად მთავრობა იზრუნებდა. ა.ველიამინოვი მთავარს ურჩევდა არაფერი მოემოქმედებინა პ.გორჩაკოვის რჩევის გარეშე; ამასთან, მისი სრული უსაფრთხოებისათვის სასურველი იყო პირველ ხანებში საცხოვრებლად სოხუმის ციხის გარნიზონში დარჩენა[1280].

ამასობაში პ. გორჩაკოვმა რედუტ-ყალეში თავი მოუყარა აფხაზეთის ექსპედიციას, რომელიც შედგებოდა სამეგრელოს ქვეითთა და 44-ე ეგერთა პოლკების ორი ბატალიონისაგან 600 მეომრითა და ორი ქვემეხით, კაზაკთა რაზმისა და სამეგრელოს სამთავროს ცხენოსანი მილიციისაგან. 1821წ. 21 ოქტომბერს დიმიტრი შარვაშიძე ქუთაისში გაემგზავრა, იქიდან კი პ.გორჩაკოვისა და სამეგრელოს სამთავროს ცხენოსანი მილიციის თანხლებით აფხაზეთისკენ გაემართა. ლევან V დადიანმა პ.გორჩაკოვი სამეგრელოს სამთავროს საზღვრამდე, მდ. ღალიძგამდე გააცილა, იქიდან კი სამეგრელოს ლაშქარს პოლკოვნიკი ნიკო დადიანი წარუძღვა. მას, როგორც ლეჩხუმის სარდალ-მოურავს, ძირითადად ლეჩხუმელთა მხედრობა ახლდა – სულ 600 მეომარი[1281].

1821წ. 1 ნოემბერს პ.გორჩაკოვმა სამურზაყანოს საზღვარზე ცნობა მიიღო, რომ ასლან-ბეი 3 ათასკაციანი აფხაზთა და ჯიქთა რაზმით კოდორის კონცხსა და სოფ. კელასურს შორის იყო გამაგრებული[1282], თვითონ კი აფხაზთა ლაშქრით მოქვში იდგა. ნიკო დადიანმა გადმოიბირა ასლან-ბეის ბანაკში მყოფი მისი სიძე ალი-ბეი შარვაშიძე და ცოლისძმა სალარუფუ მარშანია, „რომელსა უსმენდნენ სრული წებელნი და სხვანიცა. და იყო მას ჟამსა აფხაზთა შორის შემძლე კაცი“, და ისინი თავის ბანაკში გადმოიყვანა. მათი გადაბირების შემდეგ ასლან-ბეი მოქვიდან გაიქცა. რუსთა და ქართველთა მხედრობაც უკან მიჰყვა და წყაბაში დაბანაკდა[1283]. ცნობილი გახდა, რომ ასლან-ბეის კელასურამდე გზაზე რამდენიმე ადგილას ძლიერი საფარი მოეწყო. 14 ნოემბერს სამეგრელოს მხედრობა, რომელიც ავანგარდში იყო, მდ. კოდორიდან 4 ვერსზე მოწინააღმდეგის ძლიერ საფარს წააწყდა და მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. მას მიეშველა ეგერთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ივანე აფხაზი, რომელმაც მოწინააღმდეგის ხერგილები ბრძოლით დაიკავა. აფხაზები უშედეგოდ ცდილობდნენ შეტევის შეჩერებას, მაგრამ ქვემეხები წმენდდნენ გზას. ნ.დადიანის ცნობით, დიდი ბრძოლა მოხდა აშიღვარასთან ახლოს, რომელიც 16 საათს გაგრძელდა. რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ასლან-ბეის საფრები აიღო და მისი რაზმი გააქცია, თუმცა თავადაც საკმაოდ დაზარალდა. პ.გორჩაკოვის რაზმი იმ ღამით მდ.მაჭარის პირას დაბანაკდა, ხოლო დილით ისევ გააგრძელა შეტევა. აფხაზებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ლეჩხუმელთა შეტევას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. პ.გორჩაკოვის რაზმი თხუბუნში ჩავიდა და დაბა, ახლო-მახლო სოფლები, ჰასან-ბეი შარვაშიძის სასახლე სოფ. კელასურში გადაწვა და ააოხრა, აქედან კი

1280 . , . VI, . I, №940, გვ. 658-659; №941, გვ. 659; ..., . III, . 2, გვ. 563-564.

1281 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; АКАК, т. VI, ч. I, №941, გვ. 659; Н. Дубровин. История..., т. VI, გვ. 465; Утверждение..., т. III, ч. 2, გვ. 565-566.

1282 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209-210.

1283 . იქვე, გვ. 210. . . ..., . VI, გვ. 468; ..., . III, . 2, გვ. 566.

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე სოხუმში ჩავიდა[1284]. პ.გორჩაკოვის დამსჯელი ექსპედიციის სოხუმში ჩასვლის შემდეგ აჯანყება თანდათან ჩაცხრა. ასლან-ბეი ჯიქეთში გაიქცა. რუსთა და ქართველთა ლაშქარი სოხუმის ციხეში რამდენიმე დღეს დარჩა, მცირედ დაისვენა და ლიხნისაკენ გაემართა. ლიხნში მოვიდნენ ბზიფის აფხაზეთის თავადები და მორჩილების პირობა დადეს. რადგან ნარჩოუ და გიორგი ინალიშვილები მათ შორის არ იყვნენ, პ.გორჩაკოვმა საინალიშვილოს ასაოხრებლად და მორჩილებაში მოსაყვანად დამსჯელი რაზმი გაგზავნა ნიკო დადიანისა და ივანე აფხაზის მეთაურობით. გიორგი ინალიშვილმა დამსჯელი რაზმის მეთაურებს მორჩილება გამოუცხადა და ეპატია დანაშაული, ხოლო ნარჩოუ ინალიშვილი მიიმალა. ნ.დადიანი და ი.აფხაზი ამ უკანასკნელის სახლში დაბანაკდნენ მდ.კაპოეტის წყლის (ბზიფი) პირას და ლეჩხუმელთა რაზმი სათარეშოდ გაგზავნეს. ლეჩხუმელებმა მოითარეშეს ახლო-მახლო სოფლები და ალაფით დატვირთული დაბრუნდნენ. დამსჯელმა ექსპედიციამ ნარჩოუ ინალიშვილის სახლი და ახლო-მახლო სოფლები გადაწვა და აფხაზებთან მცირე შეტაკებისა და მათი გაფანტვის შემდეგ ლიხნში დაბრუნდა[1285].

30 ნოემბერს ლიხნში პ.გორჩაკოვმა აფხაზ თავად-აზნაურთა და რუსეთის ჯარის ნაწილების თანდასწრებით დიმიტრი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად საზეიმოდ გამოაცხადა. მას გადაეცა დროშა და ხმალი, როგორც უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო, და აფხაზმა თავად-აზნაურებმა მისი ერთგულების ფიცი დადეს. პ.გორჩაკოვმა მთავრის დასაცავად ლიხნში სამეგრელოს ეგერთა პოლკის ორი ასეული დატოვა მაიორ რაკოცის მეთაურობით. ამის შემდეგ მან თავისი ფუნქცია აფხაზეთში ამოწურულად ჩათვალა, რუსთა და ქართველთა ლაშქრით სოხუმში დაბრუნდა, იქიდან კი რეგულარული ჯარის ნაწილებით ზღვით რედუტ-ყალეში ჩავიდა, ხოლო ნ.დადიანი სახალხო ლაშქრით სახმელეთო გზით სამეგრელოში დაბრუნდა[1286].

დიმიტრი შარვაშიძემ (1821-1822წწ.) ვერ შეძლო მტკიცე ხელით აეღო სამთავროს მართვა. მისი ხელისუფლებაც მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. როგორც ჟ.–ფ. გამბა აღნიშნავდა, პეტერბურგიდან, ალექსანდრე I-ის სასახლიდან „მამისეულ ხის უბრალი სახლში გადმოსახლებული მთავარი, რომელიც არც თავის ხალხს იცნობდა და არც მისი ენა იცოდა, ორი წლის განმავლობაში უფრო ტყვეს ჰგავდა, ვიდრე სუვერენს“, ქვეყანას ფაქტობრივად დედამისი განაგებდა[1287]. პეტერბურგში გაზრდილი ახალგაზრდა მთავარი სამშობლოში თავს უცხოდ გრძნობდა და ხალხიც მას უცხოსავით უყურებდა. მისი ძირითადი გართობა ლიხნის გარნიზონის ოფიცრების მონახულება იყო. ეს საზოგადოება უფრო შეეფერებოდა მას აღზრდით, განათლებით და თვით ენითაც, ვიდრე ისინი, ვინც მას გარს ეხვია და კარისკაცების მოვალეობას ასრულებდა[1288].

1821წ. მიწურულს ცნობილი გახდა, რომ ასლან-ბეი ანაპის ფაშას დახმარებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებში ლაშქარს აგროვებდა და რუსეთის მიერ დანიშნული მთავრის განსადევნად კვლავ აფხაზეთში შეჭრას აპირებდა. დიმიტრი შარვაშიძემ ჯიქების თავადებს, რომლებიც ადრე აფხაზეთის მთავარს ემორჩილებოდნენ, მოსთხოვა, ასლან-ბეი თავიანთ სამფლობელოზე არ გაეტარებინათ. ჯიქეთის თავადებმა უარი თქვეს ამ მოთხოვნის შესრულებაზე და განაცხადეს, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის მემკვიდრედ დიმიტრის არ ცნობდნენ. ისინი მისგან მოითხოვდნენ აფხაზეთიდან და სოხუმიდან რუსების განდევნას[1289]. ასლან-ბეის მოსალოდნელი შემოსევით შეშინებული მთავარი ლიხნიდან სოხუმის ციხეში გადავიდა. 1822წ. იანვარში ასლან-ბეი ჯიქებისა და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელ ტომთა ლაშქრით აფხაზეთში შეიჭრა

1284 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 210-211.

1285 . იქვე, გვ. 211; . , ..., . VI, გვ. 468; ..., . III, . 2, გვ. 566.

1286 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211; . , ..., ,VI, გვ. 469-470; ..., . III, . 2, გვ. 566.

1287 . ჟ. ფ. გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1987, გვ. 86.

1288 . ..., . III, . 2, გვ. 568.

1289 . . VI, . II, №777, გვ. 437; №779, გვ. 438 . . ..., . VI, გვ. 471.

და ლიხნის გარნიზონზე მიიტანა იერიში. ნ.დადიანის ცნობით, „რუსთა დაუწყეს ბრძოლა და გააქციეს ჯიქნი და მრავალნი მოკლეს და ალაფი დააყრევინეს“[1290].

ამრიგად, ლიხნისათვის ბრძოლაში (31 იანვარი – 3 თებერვალი) ასლან-ბეი დამარცხდა. მან მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა და ისევ ჯიქეთში გაიქცა,შემდეგ კი ოსმალეთში წავიდა და ტრაპიზონში დამკვიდრდა. თუმცა ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის იმთავითვე აშკარა იყო, რომ აფხაზთა მღელვარებების მიზეზი ასლან-ბეი პორტას მხარდაჭერით სარგებლობდა და მას გარეშე ძალები აქეზებდნენ[1291].

აფხაზეთი მცირე ხნით სიმშვიდემ მოიცვა. 1822წ. ზაფხულში აფხაზეთში იმოგზაურა ჟ. -ფ. გამბამ. მან ნათლად დაინახა, რომ ამ მხარეში რუსების გამგებლობაში მხოლოდ სოხუმის ციხე იყო, მისი გალავნის მიღმა კი რუს ჯარისკაცებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებოდათ. აფხაზთა თავდასხმისა და ტყვედ გატაცების შიშით ჯარისკაცები ციხიდან შეიარაღებული გადიოდნენ. სოხუმის ციხეში ყოველდღე მოდიოდნენ აფხაზები საქონლის გაცვლის მიზნით. ჩვეულებრივ, ისინი დიდი ჯგუფებით მოდიოდნენ. ვიდრე ციხეში შევიდოდნენ, იარაღს აიხსნიდნენ, ხოლო გასვლისას კვლავ აისხამდნენ[1292]. როგორც ჟ.-ფ. გამბას ცნობიდან ჩანს, მიუხედავად სიმშვიდისა, რეგიონში ფარული დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. დიმიტრი შარვაშიძე შეეცადა, ეს პერიოდი ხელისუფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა და ოპოზიციურ ძალებთან მოლაპარაკებებს შეუდგა. ლიხნში დაბრუნებულ დიმიტრი შარვაშიძეს ციების ნიშნები აღმოაჩნდა. მალე სენი გაუძლიერდა და ლოგინად ჩააგდო. 1822წ. 16 ოქტომბერს დიმიტრი შარვაშიძე, რომელიც მაშინ მხოლოდ 20 წლის იყო, გარდაიცვალა[1293].

თამარ შარვაშიძემ პ.გორჩაკოვს დიმიტრის გარდაცვალება აცნობა და სამთავროს მართვაში დახმარება და მატერიალური შემწეობა ითხოვა. იგი შეშფოთებას გამოთქვამდა აფხაზეთის საქმეების გამო და მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად სამხედრო დახმარებას – ლიხნის გარნიზონის გაძლიერებას ითხოვდა. მისი ცნობით, ვრცელდებოდა ხმები, რომ ასლან-ბეი მოდიოდა აფხაზეთში. თამარი აფრთხილებდა პ.გორჩაკოვს, რომ თუ ჯარი დროზე არ მოვიდოდა, აფხაზები კვლავ აჯანყდებოდნენ[1294]. დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, იმ მიზეზით, რომ მას პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, აფხაზეთის სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი მომდევნო ძმა, 13 წლის მიხეილი იყო. რუსეთის ხელისუფლება სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული აფხაზეთის სამთავრო ტახტზე გიორგი შარვაშიძის სახლის განმტკიცებით, ამიტომ სოხუმის კომენდანტს დაევალა, დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბა მის შესახებ და სარდლობისთვის დაუყოვნებლივ მიეწოდებინა. ამასთან ხელისუფლება ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თამარ შარვაშიძე გაემხნევებინა, დაემშვიდებინა და დაეიმედებინა[1295]. პ.გორჩაკოვმა აცნობა ა.ველიამინოვს, რომ მიხეილ შარვაშიძე ნამდვილად ფლობდა ისეთ თვისებებს, რასაც კავკასიის მთიელები დიდად აფასებდნენ: ის იყო მამაცი, უშიშარი და კარგი მხედარი, უფროს ძმასთან შედარებით უფრო თამამი და მარჯვეც ჩანდა. ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ 1821წ. აფხაზთა აჯანყების დროს ლიხნის დაცვისას მან სამხედრო უნარიც გამოავლინა[1296].

ნოემბერში თამარ შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა იმ საქმის მოსაგვარებლად, რომელიც დიმიტრის დაუმთავრებელი დარჩა – წებელელი მარშანიების შემოსარიგებლად. დედოფალმა ისინი სოხუმში მიიწვია, მაგრამ მარშანიები არ ჩამოვიდნენ. მაშინ თამარ შარვაშიძე თავად-აზნაურთა ჯგუფთან ერთად წებელისკენ გაემართა. საზღვარზე მას მარშანიები შეეგებნენ, მორჩილება გამოუცხადეს და მძევლებიც მისცეს[1297]. ნოემბრის

1290 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211.
1291 . . VI, . II, №777, გვ. 437; №779, გვ. 438.
1292 . ჟ.–ფ. გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 81-82.
1293 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება,გვ. 211; . . ..., . VI, გვ. 471; ..., . III, . 2, გვ. 568-569.
1294 . , . VI, . I, №944, გვ. 660.
1295 . იქვე, №946, გვ. 661; ..., . III, . 2, გვ. 570.
1296 . . , . VI, . I, № 946, გვ. 661; ..., . III, . 2, გვ. 570.
1297 . იქვე, №947, გვ. 661.

ბოლოს თამარ შარვაშიძემ ა.ერმოლოვთან გაგზავნა თემურყვა ანჩაბაძე და თლაფს მარღანია წერილით, რომელშიც მთელი აფხაზი ხალხის სახელით მიხეილის მთავრად დამტკიცებას ითხოვდა[1298]. საპატიო თავადთა და მთელი აფხაზი ხალხის სახელით მიხეილ შარვაშიძის მთავრად დამტკიცების თხოვნა მხოლოდ სასურველის რეალობად წარმოჩენა იყო, თუმცა ორივე მხარეს ეს ხელს აძლევდა.

1823წ. 14 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად დაამტკიცა. მას ებოძა მაიორის ჩინი და ჯამაგირი დაენიშნა[1299]. ა. ერმოლოვმა მიხეილ შარვაშიძე თბილისში დაიბარა და გააცნო იმპერატორის ბრძანება მისი მთავრად დამტკიცების შესახებ. მთავარმართებელმა დაარიგა ის, ყოფილიყო სამართლიანი, გამოეჩინა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, ხალხთან დამოკიდებულებაში ყოფილიყო მშვიდი და თბილი, რაც მას ხალხის სიყვარულს მოუტანდა, ამასთანავე მისი ბედნიერი მმართველობის გარანტიც იქნებოდა. ამის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში გაისტუმრა[1300]. პ.გორჩაკოვმა იგი ლიხნში ჩაიყვანა, სადაც აფხაზი თავად-აზნაურობისა და ჯარის ნაწილის წინაშე წაიკითხა იმპერატორის ბრძანება მიხეილის მთავრად დამტკიცების თაობაზე, რის შემდეგაც მთავარმა იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო. პ.გორჩაკოვმა მის დასაცავად ლიხნში სამეგრელოს ეგერთა პოლკის ორი ასეული დატოვა 2 მსუბუქი ქვემეხით და ქუთაისში დაბრუნდა[1301].

მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლებაც სუსტი იყო. ძნელი აღმოჩნდა, ახალგაზრდა მთავრისთვის იმ ინტრიგებთან გამკლავება, რომლის ძაფები თავს იყრიდა მისი ძლიერი და მოხერხებული ბიძის ასლან-ბეის ხელში. მიხეილის მცირეწლოვნობის გამო სამთავროს ფაქტობრივად დედამისი – თამარ შარვაშიძე მართავდა. ა.ერმოლოვი თამარს ურჩევდა, მიხეილი სათანადოდ დაემოძღვრა, თავად მთავარს კი დაავალა მუდმივად ჰქონოდა კავშირი პ.გორჩაკოვთან, რომელსაც მისი მოთხოვნები, რომლებიც „სამთავროს მართვისა და რუსეთის იმპერატორის ინტერესებს წაადგებოდნენ“, უნდა დაეკმაყოფილებინა[1302].

1823წ. მარტში ურჩმა აფხაზმა და წებელელმა თავად-აზნაურებმა, მათ შორის როსტომ-ბეიმ, თამარ შარვაშიძეს იმპერატორის ერთგულების, ქვეშევრდომობისა და აფხაზეთის მთავრისადმი მორჩილების ფიცი მისცეს. იმავდროულად პ.გორჩაკოვს ეთხოვა პატიება გამოეცხადებინა როსტომ-ბეისთვის და ლევან V დადიანის დაზე, მანუჩარ შარვაშიძის ქვრივ ქეთევანზე ქორწინების ნება დაერთო[1303]. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია უკმაყოფილო იყო როსტომ-ბეის „არა კეთილ ქცეულებისა გამო“, მაგრამ სამეგრელოს მთავრის პატივისცემით მიუტევა მას და ქორწინების ნებაც დართო. 1823წ. ლევან V დადიანმა როსტომ-ბეი მოანათვლინა და ქეთევანი შერთო[1304]. ამ ნაბიჯით სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ერთ-ერთი გავლენიანი აფხაზი თავადი შემორიგებულ იქნა.

თამარ შარვაშიძე კარგად ხედავდა, რომ მიხეილის ხელისუფლება მყარი არ იყო, ამიტომ ა.ერმოლოვს ლიხნის გარნიზონის გაძლიერება სთხოვა. კავკასიის სარდლობას საამისო ძალები არ გააჩნდა, რის გამოც მთავარსარდალმა თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ თამარ შარვაშიძე კვლავ ამტკიცებდა იმ საფრთხის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, სამთავრო სახლს ემუქრებოდა. როგორც ჩანს, ამ მიზნით დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ მან ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციას ყოფილი მთავრის მოწამვლის თაობაზე აცნობა. თამარ შარვაშიძე სოხუმის ციხის კომენდანტს, პოდპოლკოვნიკ მიხინს წერილებში და პირად საუბარში არწმუნებდა, რომ დიმიტრი შარვაშიძე მისმა ერთ-ერთმა მოსამსახურემ ურუს ლაკვარმა მოწამლა. იგი დააპატიმრეს, მაგრამ ბრალდებას უარყოფდა. მიხეილ შარვაშიძის

1298 . იქვე, №949, გვ. 661; იქვე, №948, გვ. 661; ..., . III, . 2, გვ. 569.

1299 . ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 212; . VI, . I, 951, გვ. 662; №953, გვ. 663; №956, გვ. 664; . . ..., . VI, გვ. 471; ..., . III, . 2, გვ. 570.

1300 . , . VI, . I, №956, გვ. 664; ..., . III, . 2, გვ. 570.

1301 . . , გვ. 133.

1302 . , . VI, . I, №953, გვ. 662; ..., . III, . 2, გვ. 570.

1303 . , . VI, . I, №952, გვ. 662- 663.

1304 . ნ.დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 212.

განცხადებით, ეჭვმიტანილი მისი და უმცროსი ძმის – კონსტანტინეს მოწამვლასაც ცდილა. აფხაზი თავად-აზნაურები ადასტურებდნენ, რომ ურუსს ნამდვილად ჰქონდა კავშირი ასლან-ბეისთან. პ.გორჩაკოვმა მიხეილ შარვაშიძისა და მისი დედის თამარის – აფხაზეთის ფაქტობრივი მმართველის პრესტიჟის ამაღლების მიზნით ჩათვალა, რომ მათი მოწმობა სავსებით სანდო ჩანდა, ურუს ლაკვარი დამნაშავედ ცნო და ა.ერმოლოვს მისი ჩამოხრჩობის ნებართვა სთხოვა, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. 1823წ. შემოდგომაზე დიმიტრი შარვაშიძის მოწამვლაში ბრალდებული პიროვნება ლიხნში, მთავრის სასახლისწინა მოედანზე ჩამოახრჩვეს[1305]

აფხაზეთში პოლიტიკური ხელისუფლების სისუსტით დასავლეთ კავკასიის მთის ტომები სარგებლობდნენ. ჯიქები და უბიხები ყოველწლიურად მთებით ან შავი ზღვის სანაპირო ზოლით გადმოდიოდნენ მდ.ბზიფზე. ისინი ძარცვავდნენ სოფლებს, მიერეკებოდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა მარბიელი ლაშქრობები ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდებოდა, ხალხს დიდ ზიანს აყენებდა. 1823 წლის ზაფხულში უბიხების ათასკაციანი რაზმი საჰათქერი ადაგვას ძე ბარზეგის მეთაურობით მთის ბილიკებით აფხაზეთში გადმოვიდა, მაგრამ მწყემსებმა შენიშნეს და ხალხს შეატყობინეს. აფხაზებმა უბიხებს უკანდასახევი გზები მოუჭრეს და მთლიანად ამოწყვიტეს. მათი წინამძღოლიც შეტაკებისას დაიღუპა. ამის შემდეგ უბიხები მხოლოდ ზამთარში, იანვარ-თებერვალში ესხმოდნენ თავს აფხაზეთს[1306]. მთიელთა თავდასხმებმა მიხეილ შარვაშიძე აიძულა, რუსეთის სარდლობისათვის აფხაზეთის ბუნებრივი ჭიშკრის – გაგრის დაკავება ეთხოვა[1307]. რუსეთის სარდლობასაც კარგად ესმოდა გაგრის სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი დაკავების ძალა არ შესწევდა. ჯერ საჭირო იყო ბზიფის აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრება[1308].

მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული გარკვეული ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის ახალგაზრდა მთავრის ხელისუფლების განმტკიცებას, მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლება კვლავაც სუსტი იყო. სამთავროს სხვადასხვა მხარეში გრძელდებოდა მღელვარებები. მოსახლეობაში ანტირუსული მოძრაობის ზრდას განაპირობებდა თვით რუსეთის მთავრობის მოუქნელი პოლიტიკა. რუსი მოხელეები აფხაზებს ველურებს, მხეცებს და მოურჯულებლებს უწოდებდნენ, შესაბამისად, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში მზად იყვნენ, მათ მხეცურად გასწორებოდნენ. მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა 1824 წლის გაზაფხულზე. ასეთ ვითარებაში წებელელმა ხინკურას მარშანიამ მოკლა როსტომ-ბეი შარვაშიძე. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. აფხაზების დაშინების მიზნით რუსულმა ადმინისტრაციამ ზოგიერთ სოფელში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადაწყვიტა. 1824 წლის 22 მაისს სოხუმის ციხის გარნიზონის რაზმი. 225 ჯარისკაცის შემადგენლობით პოდპოლკოვნიკ მიხინის მეთაურობით თავს დაესხა სოფ. აკაფას, სადაც, მისი ინფორმაციით, მეამბოხეები აფარებდნენ თავს. რუსთა რაზმმა დაარბია და გადაწვა სოფელი, შეიპყრო ხინკურას მარშანია. უკან დაბრუნებულ რაზმს თავს დაესხნენ აფხაზები. შეტაკებისას მიხინი და 42 ჯარისკაცი დაიღუპა. აფხაზთა მხრიდან ორმხრივ სროლაში დაიჭრნენ თავადები ყაზილბეკ და ლევან მარშანიები, რომელთაც რუსეთის ხელისუფლება მთავარ მეამბოხეებს და უწესრიგობების წამომწყებთ უწოდებდა[1309]. ეს შემთხვევა აფხაზთა საერთო-სახალხო აჯანყების ნიშანი გახდა.

5 ივნისს პ.გორჩაკოვი აუწყებდა ა.ველიამინოვს, რომ დაფერფლილ სოფ. აკაფის მცხოვრებთ ამის შემდეგ რუსეთის ჯარის ნაწილებზე რაიმე თავდასხმა არ მოუწყვიათ და ფსხუში გადასახლება სურდათ. სოხუმის ციხეში მოსალაპარაკებლად მოვიდნენ წებელელები. ისინი ხინკურას მარშანიას გათავისუფლებას ითხოვდნენ, სამაგიეროდ მორჩილების გამოცხადებასა და მძევლების მიცემის პირობას დებდნენ. ისინიც ფსხუში აპირებდნენ გადასახლებას მარშანიების ჩაგონებით, რომლებიც, ერთი სალარუფუს

1305 . , . VI, . I, №955, გვ. 663.; იქვე, №957, გვ. 664-665; №958, გვ. 665; ..., . III, . 2, გვ. 571.

1306 . . . . , 1982, გვ. 15-16.

1307 . ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 93.

1308 . იქვე.

1309 . ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა,შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. , 2005, გვ. 217; , . VI, . I. №962, გვ. 668; . . ..., . VI, გვ. 512; ..., . III, . 2, გვ. 572.

გარდა, რუსეთის ხელისუფლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. პ.გორჩაკოვის ცნობით, წებელში დაახლოებით 800 კომლი ცხოვრობდა, რომელთა დიდი ნაწილი უეჭველად წავიდოდა ფსხუში, რადგან რუსეთის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისა და როსტომ-ბეის მკვლელობის გამო შარვაშიძეების მხრიდან შურისძიების შემთხვევაში წებელში დარჩენა ფაქტობრივად არ შეეძლოთ. პ.გორჩაკოვმა ვერაგული გადაწყვეტილება მიიღო - აფხაზ თავადებს ნება დართო, თავდასხმები მოეწყოთ დაუმორჩილებელ წებელელებზე, შური ეძიათ მათზე, წაერთმიათ საქონელი და, საერთოდ, მათ წინააღმდეგ იარაღით ემოქმედათ. მალე აკაფელები წებელში გადავიდნენ, რათა გადაეწყვიტათ, დამორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას, თუ ფსხუში გადასახ-ლებულიყვნენ, თუმცა ეს საკითხი მაშინ ვერ გადაწყდა[1310].

როდესაც აფხაზეთში ვითარება გართულდა, ოსმალეთიდან ჯიქეთში სასწრაფოდ ჩამოვიდა ასლან-ბეი, ლაშქარი შეკრიბა და აფხაზეთში შეიჭრა. მან თამარ შარვაშიძის მმართველობით უკმაყოფილო აფხაზებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. აჯანყებულები თავს ესხმოდნენ რუსული ორიენტაციის თავად-აზნაურთა მამულებს და აწიოკებდნენ. მიხეილ შარვაშიძე ამ დროს დედასთან და და-ძმებთან ერთად ლიხნში იმყოფებოდა. მან სწორად განჭვრიტა შექმნილი მდგომარეობის მთელი სიმძიმე, დედა და და-ძმები სოხუმის ციხეში გაგზავნა, თვითონ კი ლიხნის სასახლეში გამაგრდა, რომელსაც სამეგრელოს პოლკის 300 ჯარისკაცი იცავდა[1311].

აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს იმათაც, ვინც მიხეილ შარვაშიძის ყველაზე ერთ-გულებად ითვლებოდნენ. ბზიფის ოლქში ამბოხებას მეთაურობდა აზნაური კაც მარღანია, რომელსაც თავისი ჭკუით, სიმამაცით და ძლიერი ხასიათით დიდი სახელი ჰქონდა არა მარტო აფხაზთა, არამედ მეზობელ მთიელთა შორის. ბევრი აფხაზი თავადი და აზნაური მასთან მეგობრობას და კავშირს ეძიებდა[1312]. აჯანყებას შეუერთდნენ დიდი გავლენის მქონე თავადი ნარჩოუ ინალ-იფა (ინალიშვილი), აზნაური გიდ ლაკრბა, ჯიქი თავადი ედიგეი ცამბა და სხვ. მეამბოხეებმა ფიცი დადეს, ბოლომდე ებრძოლათ რუსეთის ინტერესების გამომხატველი მიხეილ შარვაშიძის წინააღმდეგ და სიცოცხლე მოესპოთ ყველასთვის, ვინც ფიცს გატეხდა, თუნდაც მათი ახლო ნათესავი ყოფილიყო. აჯნყებულებმა შიკრიკები გაგზავნეს წებელში, ჯიქეთში, უბიხეთში, ადიღურ ტომებში და დახმარება ითხოვეს. მთიელებმა სიამოვნებით მიიღეს ეს მოწოდება და ლიხნისკენ ხალისით გამოემართნენ. მეამბოხეთა საერთო რაოდენობამ 10-12 ათასს მიაღწია[1313].

7 ივნისს ლიხნის გარნიზონის უფროსმა, შტაბს-კაპიტანმა მარაჩევსკიმ ცნობა მიიღო, რომ აჯანყებულები მთავრის სასახლეზე აპირებდნენ თავდასხმას. სასახლის მახლობლად იდგა კარის ეკლესია – სახელგანთქმული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ეზოს მარცხნივ ეკრა მესრით, თხრილებითა და მიწაყრილებით გამაგრებული პატარა მიწური სიმაგრე, რომელიც რუსთა რაზმს ეჭირა. სიმაგრის დასაცავად მარაჩევსკიმ საგანგებო ზომები მიიღო. მეორე დღეს, დილით, აჯანყებულებმა სიმაგრეს ალყა შემოარტყეს. მათ კარის ეკლესიაც დაიკავეს და იქიდან სიმაგრეს ცეცხლი დაუშინეს. 18 ივნისს, ღამით, რუსთა რაზმი ეკლესიაში შეიჭრა და იქ გამაგრებული აფხაზები ამოწყვიტა. მხოლოდ ერთი, კაც მარღანია გადარჩა შემთხვევით და შემდეგ თავისი ბობოქარი ცხოვრების ამ ეპიზოდს ყოველთვის ძრწოლით იხსენებდა. ამის შემდეგ აფხაზები ლიხნის კარის ეკლესიაში გამაგრებას ვერ ბედავდნენ[1314]. მიუხედავად ამისა, ვითარება კვლავ კრიტიკული იყო. თვის ბოლოს ლიხნის გარნიზონს სურსათის მარაგი შემოელია. სოხუმიდან დახმარების იმედი არ ჩანდა, რადგან ისიც ალყაშემორტყმული იყო მეამბოხეების მიერ და ყოველდღე იერიშს ელოდა[1315].

აფხაზთა აჯანყების ჩახშობა კავკასიის სარდლობამ პ.გორჩაკოვს დაავალა. მას ლიხნის გარნიზონი და მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში სიმშვიდისა და მისი ხელისუ-

---

1310 . , . VI, . I, №961, გვ. 665; №962, გვ. 668.

1311 . . , გვ. 133; ..., . III, . 2, გვ. 572.

1312 . . . . . , 1885, გვ. 191.

1313 . ..., . III, . 2, გვ. 572.

1314 . ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 216-217; . . ..., . VI, გვ. 513; ..., . III, . 2, გვ. 573-574.

1315 . ..., . III, . 2, გვ. 574-575;.

ფლების აღდგენამდე სოხუმში უნდა გადაეყვანა[1316]. სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობის შესახებ მიწერილობა ლევან V დადიანმაც მიიღო. 1824წ. 1 ივლისს დამსჯელი ექსპედიცია პ. გორჩაკოვის მეთაურობით რედუტ-ყალედან აფხაზეთისკენ დაიძრა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდა სამეგრელოს ქვეითთა და 44-ე ეგერთა პოლკების 1400 მეომარი ქვემეხით, აგრეთვე სამეგრელოს სახალხო ლაშქარი – 1100 მეომარი ლევან V დადიანის მეთაურობით. ექსპედიციას სანაპიროს გასწვრივ სამხედრო ხომალდები – ბრიგი „ორფეოსი“ და ფრეგატი „სპეშნი“ აცილებდა[1317]. ექსპედიცია მძიმე ბრძოლებით მიიწევდა წინ. მის შეტევას მასირებული ცეცხლით მხარს უჭერდა სამხედრო-საზღვაო ხომალდების არტილერია. 8 ივლისს ექსპედიციამ მდ. კოდორს მიაღწია. კოდორიდან სოხუმამდე პ. გორჩაკოვს კვლავ აფხაზთა ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა. 10 ივლისს, საღამოს, მან დიდი მსხვერპლის ფასად სოხუმს მიაღწია[1318]. 16 ივლისს პ.გორჩაკოვი „ორფეოსით“ სანაპიროს გასწვრივ ლიხნისაკენ გზის დასაზვერად გაემართა და დარწმუნდა, რომ სოხუმიდან ლიხნამდე გზის გაგრძელება დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა, რადგან აფხაზებს ყველგან საფრები ჰქონდათ მოწყობილი, ამიტომ მან ჯარის ნაწილების ზღვით გაყვანა გადაწყვიტა[1319]. 21 ივლისს, დილით, პ.გორჩაკოვმა ექსპედიციის ნაწილი, 800 მეომარი, ბომბორის მახლობლად გადასხა. აჯანყებულები შეეცადნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ დესანტისთვის და სანაპიროზე პლაცდარმის დაკავებაში ხელი შეეშალათ, მაგრამ ხომალდების არტილერიის ცეცხლმა მათ ამის საშუალება არ მისცა. 24 ივლისს, განთიადისას, ჯარის დანარჩენი ნაწილიც გადასხდა და პ.გორჩაკოვი ლიხნისკენ გაემართა. მეამბოხეები დესანტს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მათ ზურგიდან ლიხნის გარნიზონმაც შეუტია. ისინი ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ და გაიფანტნენ. პ.გორჩაკოვმა დაიხსნა მიხეილ შარვაშიძე ლიხნის გარნიზონთან ერთად და იმავე საღამოს სოხუმში დაბრუნდა[1320]. ექსპედიცია სოხუმის ციხის მახლობლად დაბანაკდა. აფხაზები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ბანაკს, თუმცა უშედეგოდ. იმერეთის მმართველი უკან დასაბრუნებლად მზადებას შეუდგა, მაგრამ მისთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზებს გზაზე საფრები ჰქონდათ მოწყობილი. მან სოხუმის ციხის გარნიზონის გასაძლიერებლად 44-ე ეგერთა პოლკის სამი ასეული და ერთი საველე ქვემეხი დატოვა, ხოლო ჯარის დანარჩენი ნაწილებით და სამეგრელოს სახალხო ლაშქრით ზღვით რედუტ-ყალეში გადავიდა, იქიდან კი ქუთაისში დაბრუნდა[1321].

ამის შემდეგ აჯანყება თანდათან ჩაცხრა. ასლან-ბეი კვლავ ჯიქეთში გაიქცა. რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძეს, რეგიონში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა აფხაზეთს გასცლოდა. დედასთან და და-ძმასთან ერთად პ.გორჩაკოვმა იგი სამეგრელოში გადაიყვანა. აფხაზეთის მთავრის ოჯახი სოფ. ხეთაში, ხოლო შემდეგ რედუტ-ყალეში სახელმწიფო ხარჯზე რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა[1322].

1824 წლის ივლისის ექსპედიციის წარმატებით დასრულების შემდეგ ა.ერმოლოვს აინტერესებდა, როდის შეიძლებოდა ექსპედიციის განმეორებით მოწყობა აფხაზთა დასამორჩილებლად. პ.გორჩაკოვმა 24 აგვისტოს ა.ერმოლოვს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, სადაც აღნიშნავდა, რომ აფხაზები არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ; ისინი ჩერქეზების მსგავსად ძარცვით და ტყვის სყიდვით ცხოვრობდნენ, შესაბამისად, მათ ზნე-ჩვეულებები უნდა შეეცვალათ. მისი აზრით, დაიმორჩილებდნენ აფხაზებს, მაგრამ ყოველთვის იქნებოდა მღელვარებები. ამიტომ უმჯობესი იყო

1316 . . . ..., . VI, გვ. 513-514.

1317 . ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 217; . , გვ. 134; . . ..., . VI, გვ. 514; ..., . III, . 2, გვ. 575.

1318 . საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი ( ) კოლექცია, ტ. I. თბ., 1957, გვ. 265; ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 217; . , ..., . VI, გვ. 575-576.

1319 . ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 217; . , გვ. 134; . . ..., . VI, გვ. 516; ..., . III, . 2, გვ. 577.

1320 . ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი ( ) კოლექცია, ტ. I, გვ. 265; . , გვ. 134-135; . . ..., . VI, გვ. 516-517; ..., . III, . 2,. გვ. 578.

1321 . ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 218; . , გვ. 136; . . ..., . VI, 517; ..., . III, . 2, გვ. 578.

1322 . - . – , . III, ,1870, გვ. 211; . . ..., . VI , გვ. 517.

აფხაზეთის სანაპიროზე რამდენიმე ადგილას - გაგრასა და ბიჭვინთაში, აგრეთვე ილ-ორში, სიმაგრეების მოწყობა; მაშინ, ერთი წლის შემდეგ აფხაზეთი სრულად იქნებოდა დამორჩილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპედიციები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდნენ. ა.ერმოლოვმა დამაჯერებლად მიიჩნია პ.გორჩაკოვის არგუმენტები და დამსჯელი ექსპედიციის მოწყობაზე ხელი აიღო[1323].

აფხაზეთში რუსეთის მფლობელობაში მხოლოდ სოხუმი დარჩა, რომელიც, ფაქტობრივად, აფხაზთა ბლოკადაში იმყოფებოდა. სექტემბერში, ასლან-ბეი კვლავ გამოჩნდა. იგი შეეცადა მიხეილ შარვაშიძესთან და დედამისთან კავშირი დაემყარებინა. მან მთავარს შესთავაზა, რომ დაემორჩილებოდა მის ხელისუფლებას, თუ ჰასან-ბეის მამულს მისცემდნენ და მიხეილიც პირობას დადებდა, რომ რუსებს სამთავროში არ შეუშვებდა. მიხეილ შარვაშიძემ მას, რა თქმა უნდა, უარი შეუთვალა. სოხუმის ციხის კომენდანტის, კაპიტან ლინდენფელდის ცნობით, ასლან-ბეი გამთავრებას ცდილობდა. იგი მოსახლეობისაგან მთავრად აღიარებას, ერთგულების ფიცს და მძევლებს მოითხოვდა. ამასთანავე პირობას დებდა, რომ თურქების დახმარებით სოხუმიდან რუსებს განდევნიდა. აფხაზეთის სანაპიროზე გახშირდა თურქული კანჯოების ვიზიტი, რომელთაც იარაღი შემოჰქონდათ, ფართო მასშტაბები მიიღო ადამიანებით ვაჭრობამ[1324].

ქრისტიანობის აღორძინების პირველი მცდელობები. რუსეთი და აფხაზეთის მთავარი ამ მხარეში საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდნენ. ცარიზმი ქრისტიანობის მფარველობის დროშით ნიღბავდა დამპყრობლურ მიზნებს და კოლონიურ პოლიტიკას საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში. ქრის-ტიანობის გავრცელება რუსეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ყურადღება მიექცა ამ მხარეში ქრისტიანობის აღორძინებას.

აფხაზეთში რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ დეკანოზმა იოანე იოსელიანმა საკუთარი სახსრებით აღადგინა სამთავრო სახლის კარის ეკლესია – ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, განაახლა ღვთისმსახურება და მღვდლები (იოანე ქავთარაძე და სიმეონ ჟორდანია) გაამწესა, ამასთან მრავალი აფხაზიც მონათლა, მათ შორის აფხაზეთის მთავრის გიორგი შარვაშიძის ოჯახიც. ამასთანავე 1810წ. მან საკითხი აღძრა ლიხნში სასულიერო სასწავლებლის გახსნის თაობაზე. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ამ გზით აფხაზეთს ქრისტიანობის ნათელი კვლავ მოეფინებოდა, თუმცა რთული პოლიტიკური ვითარების გამო ხელისუფლებამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა.

1817 წლიდან სოხუმის ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი სოლომონ ნადიროვი (ნადირაძე თუ ნადარეიშვილი), რომელიც ქრისტიანობას ქადაგებდა აფხაზებში და მრავალიც მონათლა. მის თბილ დამოკიდებულებას აფხაზებისადმი, დიდ გულმოდგინებას მათი გაქრისტიანების საქმეში 1823წ. მაღალ შეფასებას აძლევდა აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარი მიხეილ შარვაშიძე. 1823-1824წწ. სოლომონმა ლიხნსა და ბიჭვინთაში 62 წარმართი და მაჰმადიანი აფხაზი მონათლა[1325]. 20-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა აფხაზთა გაქრისტიანების პროცესი გარკვეული ხნით შეაფერხა.

აფხაზეთი 20-იანი წლების მეორე ნახევარში. 1826წ. 1 ივლისს რუსეთსა და ოს-მალეთს შორის ქ.აკერმანში (ამჟამად უკრაინა, ოდესის ოლქის ქ.ბელგოროდ-დნესტროვსკი) მოლაპარაკებები დაიწყო, რომელიც კონვენციის ხელმოწერით დასრულდა. აკერმანის კონვენცია ადასტურებდა ბუქარესტის ზავის პირობებს. ოსმალეთმა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ოფიციალურად აღიარა შავი ზღვის ნავსადგურები: სოხუმი, რედუტ-ყალე (კემხელი), ანაკლია, რითაც მის მრავალსაუკუნოვან, მათ შორის უკანასკნელი პერიოდის პრეტენზიებს ამ მხარეზე ბოლო მოეღო.[1326] მთავრის პოლიტიკურ ხელისუფლებას მოკლებულ აფხაზეთში არსებული რთული ვითარება სამეგრელოზეც ახდენდა ნეგატიურ გავლენას. აფხაზები

1323 . ..., . III, . 2, 578-580, გვ. 581.
1324 . იქვე, გვ. 581; . , ..., . VI, გვ. 517.
1325 . გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს. თბ., 2002, გვ. 80.
1326 . , . XIV,გვ. 850-853.

ხშირად იჭრებოდნენ სამეგრელოში, იტაცებდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის ე. აიხვალდის ცნობით, როგორც კი სამეგრელოს მთავარი მათ დასასჯელად გაილაშქრებდა, ისინი ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს და მათი დასჯა მხოლოდ ზამთარში იყო შესაძლებელი, როდესაც ასეთ თავშესაფარს მოკლებული იყვნენ. 1826წ. მაისში, როდესაც ე.აიხვალდი სამეგრელოში ჩავიდა, გაიგო, რომ აფხაზები კვლავ შემოჭრილიყვნენ სამთავროში და ლევან V დადიანი მათ გასადევნად და აფხაზეთთან საზღვრის გასამაგრებლად იყო წასული. აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს მთავრის მიახლოებისთანავე აფხაზები ჩვეულებრივ მთებში გაქცეულიყვნენ[1327].

ლევან V დადიანი და კავკასიის რუსული ადმინისტრაცია სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული აფხაზეთში სიტუაციის მოგვარებით. მიხეილ შარვაშიძეც ფიქრობდა იმ გზებზე, რომლებიც მას ფაქტობრივად დროებით დაკარგულ აფხაზეთის ტახტს დაუბრუნებდა. როგორც ჩანს, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხოლოდ ჰასან-ბეის ავტორიტეტს შეეძლო მისთვის დაუმორჩილებელი აფხაზების მიმხრობა და, საბოლოოდ, რეალური ძალაუფლების მოპოვება. ამიტომ მან ა.ერმოლოვს სთხოვა ციმბირიდან ჰასან-ბეის დაბრუნება, რომელიც ხელმწიფის მორჩილი ქვეშევრდომი იქნებოდა და სამთავროს მართვაში დაეხმარებოდა. მთავარმართებელმა გაითვალისწინა აფხაზეთის მთავრის თხოვნა და 1827წ. 15 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შესაბამისი შუამდგომლობა აღძრა. ა.ერმოლოვი აღნიშნავდა, რომ 6 წლის გადასახლების შემდეგ ჰასან-ბეი განკურნებული იქნებოდა სამთავროს დაუფლების სურვილისაგან და თავისი გავლენით ხელისუფლებას აფხაზეთში დიდად დაეხმარებოდა[1328]. იმავდროულად, 1827წ. 7 თებერვალს ა. ერმოლოვმა ლევან V დადიანს დაავალა, გაეგო აფხაზეთში არსებული ვითარება და ამ მხარეში პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგების საქმეში აქტიურად ჩართულიყო. დავალების შესრულების მიზნით, სამეგრელოს მთავარმა აფხაზეთში თავადები მანუჩარ ჩქოტუა და თლაფს მარღანია გააგზავნა. 14 მარტს ისინი აფხაზეთიდან დაბრუნდნენ. მათი ცნობით, აფხაზი და წებელელი თავადები მზად იყვნენ, მოსულიყვნენ ალი-ბეი შარვაშიძის კუთვნილ სოფელ გუფუში და მორჩილება გამოეცხადებინათ[1329].

ასეთ ვითარებაში კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. 1827წ. 27 მარტს ა.ერმოლოვი კავკასიიდან გაიწვიეს, 28 მარტს კი კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი ი.პასკევიჩი (1827-1831წწ.) დაინიშნა. ამ გარემოებამ მცირე ხნით შეაფერხა აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების მოწესრიგება. 30 აპრილს 129 აფხაზმა და წებელელმა თავად-აზნაურმა მოინანია აჯანყებაში მონაწილეობა და რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო[1330]. მათ შორის იყო აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი კაც მარღანიაც. 30 აპრილს ი.პასკევიჩი საიმპერატორო მთავარი შტაბის უფროსს აუწყებდა, რომ 1824წ. აჯანყებულმა აფხაზეთმა, როგორც იქნა, აჯანყების დროშა დაუშვა და სურვილი გამოთქვა, იმპერატორის ნებას დამორჩილებოდა; ზოგიერთმა აფხაზმა და წებელელმა თავად-აზნაურმა ერთგულების ფიცი დადო და მათ იმპერატორის სახელით პატიება გამოეცხადათ. სხვა თავად-აზნაურებისაგან ფიცის ჩამოსართმევად ლევან V დადიანი და კაპიტანი ნიკოლოზ დადიანი გაიგზავნა. ი.პასკევიჩი სიხარულით აღნიშნავდა, რომ 3 წლის განმავლობაში ჩამოშორებული ქვეყანა გასროლის გარეშე იქნა დაბრუნებული[1331].

ამრიგად, აფხაზეთი კვლავ დაემორჩილა რუსეთის ხელისუფლებას, რაშიც დიდი იყო ლევან V დადიანის წვლილი. 3 მაისს ი.პასკევიჩმა იმერეთის მმართველს ვ.ბებუთოვს (1825-1827წწ.) უბრძანა, მიხეილ შარვაშიძე ლიხნში გაეგზავნა და მისთვის ჩაეგონებინა, რომ ქვეშევრდომებისადმი თბილი მოპყრობით, შემწყნარებლობით, უმნიშვნელო ცოდვების დავიწყებით და არა შურისძიებით, მათი სიყვარულის მოპოვებას შეძლებდა. როგორც ჩანს, ი. პასკევიჩი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული აფხაზეთში სიმშვიდის

1327 . ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 173.
1328 . ..., . III, . 2, გვ. 581-582.
1329 . , . VI, . I, №960, გვ. 665.
1330 . , . VII. , 1878, №334, გვ. 401; . . . . ., 1972, გვ. 75.
1331 . , . VII, №332, გვ. 401.

შენარჩუნებაში, ამიტომ ვ. ბებუთოვს უბრძანა, თამარ შარვაშიძე და მისი ქალიშვილები სოხუმში გადაეყვანა[1332]. 1827წ. მაისში მიხეილ შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს, რეიდზე მდგარმა რუსეთის სამხედრო ხომალდებმა მისი დაბრუნება ზარბაზნების სალუტით აღნიშნეს[1333].

რუსეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთში მისი გავლენის განმტკიცების გარანტი სამთავრო ტახტზე რუსულ-ქრისტიანული ორიენტაციის მთავრის ხელისუფლება იყო, ამიტომ ყოველმხრივ მხარს უჭერდა მიხეილ შარვაშიძეს და მისი ხელისუფლების გაძლიერებას ცდილობდა. მთავრის ხელისუფლება რეალურად მხოლოდ ბზიფის ოლქზე ვრცელდებოდა. მას ნომინალურად ემორჩილებოდა აფხაზეთისა და აბჟუის ოლქები. მთავრის ხელისუფლებას არ ცნობდნენ აფხაზეთის მთის თემები – წებელი, დალი და ფსხუ. სამთავროში ხშირად იჭრებოდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ჯიქები და უბიხები, სანაპირო ზოლში – აფხაზეთის მთის თემების მკვიდრნი; გრძელდებოდა ადამიანების გატაცება, ტყვის სყიდვა და სხვა დანაშაულობები. 1827წ. მიხეილ შარვაშიძემ რუსეთის სარდლობისაგან დაჟინებით ითხოვა გაგრის დაკავება, რათა ჯიქებისა და უბიხების თავდასხმებს აფხაზეთზე ბოლო მოღებოდა[1334]. აფხაზეთში არსებული რთული ვითარება სამეგრელოს სამთავროზეც ახდენდა გავლენას, სადაც გახშირდა ადამიანთა გატაცება, ტყვის სყიდვა. 1827წ. ლევან V დადიანი წყალობის წიგნს აძლევს მანუჩარ ზაალის ძე ფაღავას, ქართველი კაცი უსჯულოზე გაუყიდიათ, ახლა ის კაცი აფხაზეთშია, გამოისყიდე და შენ გყავდესო; აგრეთვე, სოფ. ბანძის მცხოვრებ აზნაურ გაბუნიას ბახია თავისი ცოლ-შვილით აფხაზეთში გაუყიდია, ახლა სოფელ ფოქვეშში არის, ეცადე, გამოიყვანო და შენ გიბოძებო[1335].

მიხეილ შარვაშიძე ქვეყნის მართვაში ჰასან-ბეიზე ამყარებდა იმედებს. ამიტომ მან დედამისთან ერთად რუსეთის ხელისუფლებას ჰასან-ბეის გადასახლებიდან დაბრუნება სთხოვა. ჰასან-ბეიც პირობას დებდა, რომ შეწყალების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების ერთგული იქნებოდა და მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლების მორჩილი გახდებოდა. ი.პასკევიჩმაც აღძრა შუამდგომლობა ჰასან-ბეის გადასახლებიდან დაბრუნების თაობაზე. სულ მალე მას სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს[1336].

1828წ. ჰასან-ბეი აფხაზეთში დაბრუნდა. ამ დროიდან იწყება მკაცრი შინაპოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მთავრის ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისაკენ იყო მიმართული[1337]. ჰასან-ბეის არ სურდა მიხეილ შარვაშიძის ერთგული ვასალის როლში ყოფნა. ის თავს არ თვლიდა მიხეილ შარვაშიძის ქვეშევრდომად და მიაჩნდა, რომ მას სამთავრო ტახტზე ნაკლები უფლება ჰქონდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჰასან-ბეის ნება დაერთო, გახიზნული თანამემამულეები შემოეკრიბა. ის აფხაზ თავად-აზნაურებს რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა და თვითონაც ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმს, თუმცა ვითარებას ძაბავდა მიხეილ შარვაშიძესა და ჰასან-ბეის შორის არსებული შეურიგებელი დაპირისპირება, რომელიც მალე ღია მტრობაში გადაიზარდა. მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ჩარევამ აიძულა, მოწინააღმდეგეები გარეგნულად ლოიალური ურთიერთობა ეჩვენებინათ[1338].

3. აფხაზეთის სამთავრო XIXს. 30-50-იან წლებში

XIXს. 20-იან წლებში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კავკასიაში. 1826-1828წწ. რუსეთ-ირანის ომში გამარჯვებამ ცარიზმს აღმოსავლეთ ამიერკავკასია მოუპოვა. რუსეთის წარმატებამ აღმოსავლეთში შეაშფოთა ინგლისი, რომელიც ცდილობდა, ირანი ძლიერ ბუფერულ სახელმწიფოდ გადაექცია და მისი საშუალებით

1332 . იქვე, №333, გვ. 401.

1333 . . . , . II. . ,1847,გვ. 180.

1334 . ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, გაგრა..., გვ. 94.

1335 . ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. №1562.

1336 . , . VII, №335, გვ. 402.

1337 . ნ. თაკალანძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

1338 . . . 1870 . Сухуми, 1939, გვ. 108.

გზა ჩაეკეტა რუსეთისათვის ინდოეთისაკენ. ამასთან, ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთის ბატონობა კავკასიაში მოესპო. ირანთან ომის დამთავრებისთანავე რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1828-1829წწ.) დაიწყო. ამ ომში რუსეთის გამარჯვებამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საკითხი გადაწყვიტა. ადრიანოპოლის ზავით (1829წ. 14 სექტემბერი) კავკასიაში რუსეთის ხელში გადავიდა სამცხე-ჯავახეთი ძველი ქართული ქალაქებით: ახალციხით, ახალქალაქით, ასპინძით, აწყურით, და სხვ. აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე ქალაქებით: ანაპით და ფოთით. ბრწყინვალე პორტა უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიაზე რუსეთ-თურქეთის ახალი საზღვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე და მათ „რუსეთის იმპერიის სამუდამო მფლობელობაში“ ცნობდა. ამ ტერიტორიებში შედიოდა დასავლეთ კავკასია, რომელიც, მართალია, თურქეთის მფლობელობაში არ იყო, მაგრამ მასზე ბრწყინვალე პორტას პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა. თურქეთის ეს ნომინალური გავლენა იმით იყო გამოწვეული, რომ სულთანი ითვლებოდა ყველა მუსლიმის, მათ შორის, კავკასიელი მთიელების, უზენაეს მფარველად და მბრძანებლად. პოლიტიკურად ისინი სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით ცნობდნენ სულთნის უზენაესობას. ამდენად, თუმცა თურქეთმა დასავლეთ კავკასია რუსეთის მფლობელობაში ცნო, ეს მხარე რუსეთს ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა.

სანამ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას, მათ შორის ყუბანის მხარეს არ დაიპყრობდა, მისი ბატონობა სამხრეთ კავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა. ამიტომ ცარიზმი ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ზრუნვას შეუდგა. როცა ნიკოლოზ I (1825-1855წწ.) კავკასიის მთავარმართებელს ი.პასკევიჩს რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებას ულოცავდა, წერდა: „...დაამთავრეთ რა ამრიგად ერთი დიდებული საქმე, თქვენ მოგელით მეორე, ჩემი აზრით, ისეთივე დიდებული, ხოლო პირდაპირი სარგებლის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი – მთიელთა სრული დამორჩილება ან მათი განადგურება“.[1339]

იმპერატორის დირექტივა – „მთიელთა სრული დამორჩილება ან მათი განადგურება“, – ნათლად ახასიათებს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსს და მიზანს კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ისეთი ლიბერალური და დემოკრატიული ძალა ამ ხანის რუსეთში, როგორებიც იყვნენ დეკაბრისტები, ასეთსავე პოზიციაზე იდგნენ. დეკაბრისტთა „სამხრეთის საზოგადოების“ ლიდერი პ.პესტელი საპროგრამო დოკუმენტში „რუსსკაია პრავდა“, კავკასიის ხალხებს ყოფდა მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. მისი აზრით, აუცილებელი იყო პირველთა გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო მეორეთა თანდათანობითი ასიმილაცია და სრული გათქვეფა კავკასიაში ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობაში[1340]. შემდეგში ცარიზმი სწორედ ასე მოიქცა.

ირანთან და თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, XIXს. 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჯარებმა გააქტიურეს მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ნიკოლოზ I-ის დირექტივის რეალიზების მიზნით ი. პასკევიჩმა შეიმუშავა კავკასიის მთის ხალხების, მათ შორის აფხაზების, სწრაფი დამორჩილების გეგმა, რომელიც იმპერატორმა 1829წ. ოქტომბერში დაამტკიცა[1341]. გეგმა ითვალისწინებდა დასავლეთ კავკასიაში – ყუბანის მხარეში და კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ადიღური ტომების დამორჩილებას, რისთვისაც საჭიროდ იყო მიჩნეული შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სიმაგრეების რედუტ-ყალეს, სოხუმის, ანაპას გარდა ახალი სიმაგრეების აგება, მათი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირება სანაპირო გზით, აგრეთვე ჩრდილოეთიდან რამდენიმე ექსპედიციის მოწყობა ყუბანის მხარეში. ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით შეიქმნა „აფხაზეთის ექსპედიცია“, რომლის მიზანს სოხუმიდან ანაპამდე სანაპირო ზოლის დაკავება, გამაგრებული სანაპირო ხაზის შექმნა და სიმაგრეებს შორის სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში კი დასავლეთ კავკასიის მთიანეთში რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარება წარმოადგენდა. 1830 წლის 8 ივლისს რუსთა დესანტი სოხუმიდან ზღვით გაგრაში გადასხდა და დაიკავა

1339. . . . - - , . III. . ,1891,გვ. 229-230.

1340 . . . . . ., 1906, გვ. 48.

1341 . . - , . X. ,1889, გვ. 123.

იგი. ამ ცნობის მიღების შემდეგ „აფხაზეთის ექსპედიცია“, რომლის უშუალო მეთაურად დანიშნული იყო გენერალი კ. გესე, სოხუმიდან გავიდა და 16 ივლისს ბომბორა დაიკავა. აქვე ექსპედიციას ლიხნიდან აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე შეუერთდა. შემდეგ ექსპედიციამ წინსვლა განაგრძო და 19 ივლისს ბიჭვინთა დაიკავა. მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, გაგრის ჩრდილო-დასავლეთით რუსეთის ჯარის წინსვლა შეფერხდა ჯიქებისა და უბიხების მედგარი წინააღმდეგობის გამო. „აფხაზეთის ექსპედიციის“ მოქმედების პარალელურად ი. პასკევიჩმა მდ. ყუბანი გადალახა და შაფსუღების სოფლები გაანადგურა, ამასთან მდ. ყუბანზე რამდენიმე სიმაგრე ააგო. ამდენად, ექსპედიციამ დასახულ მიზანს სრულად ვერ მიაღწია. აფხაზეთის სანაპირო ზოლში – ბომბორაში, ბიჭვინთაში, გაგრაში რუსები სიმაგრეების აგებას შეუდგნენ. ბომბორაში დაბინავდა „აფხაზეთის ექსპედიციის“ შტაბიც. ამ სიმაგრეებს ჯიქებისა და უბიხებისათვის უნდა გადაეკეტათ სანაპირო გზა, რომლითაც ისინი აფხაზეთში იჭრებოდნენ, მათ უნდა განემტკიცებინათ აგრეთვე რუსეთის ბატონობა აფხაზეთში[1342].

რუსების მიერ აფხაზეთის სანაპირო ზოლის დაკავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯიქებზე, უბიხებზე და თვით აფხაზებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაგრის გასასვლელის დაკავება, რასაც მიხეილ შარვაშიძე დიდი ხანია რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდა.

ამავე ხანებში აფხაზეთის მთავარმა სამურზაყანოზე განაცხადა პრეტენზია. 1834 წ. მიხეილ შარვაშიძე სოფ. ილორში შეიჭრა და სოფლის მცხოვრებლებს ერთგულების ფიცი დაადებინა. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მკაცრად გააფრთხილა აფხაზეთის მთავარი, თვითნებობაზე ხელი აეღო. მთავარმართებელი, ბარონი გ. როზენი მიხეილ შარვაშიძეს სწერდა: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში უწესრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ, გთხოვოთ, გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიცემული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს“[1343]. მიხეილ შარვაშიძე იძულებული გახდა, ილორი დაეტოვებინა.

1834-1835წწ. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ რედუტ-ყალედან სოხუმამდე და სოხუმიდან გაგრამდე გზა გაიყვანა. იმავდროულად, 1835წ. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ორი სიმაგრე ააგეს – ილორსა და დრანდაში[1344]. სოხუმიდან ბომბორისა და ბიჭვინთის გავლით გაგრამდე გზის გაყვანის შემდეგ მდ. ბზიფსა და გაგრას შორის ტერიტორია აფხაზეთის მთავრის იურისდიქციაში დაბრუნდა[1345]. იმავე ხანებში რუსეთის ხელისუფლებამ მიხეილ შარვაშიძეს აბჟუისა და აფხაზეთის ოლქების მფლობელები ალი-ბეი და ჰასან-ბეი შარვაშიძეები დაუმორჩილა, რითაც ის ერთმმართველად აქცია. ამდენად, ფაქტობრივად, აფხაზეთის სამთავრო მხოლოდ XIX ს. 30-იან წლებში რუსეთის სამხედრო ძალით შეიქმნა.

აფხაზები და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ჯიქები და უბიხები მცირე რაზმებით თავს ესხმოდნენ რუსულ სიმაგრეებს, რუსეთის ჯარის ნაწილებს და მუდმივი შიშის ქვეშ ჰყავდათ რუსული გარნიზონები. ამ პარტიზანულ რაზმებს მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ აფხაზეთის მთის თემები, რომელთაც რუსეთის ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებდა. ყველაზე ძლიერსა და მედგარ წინააღმდეგობას რუსეთის გაბატონებას აფხაზეთში წებელი უწევდა. 1837წ. მაისში ბარონმა გ.როზენმა ექსპედიცია მოაწყო წებელში და მარშანიები დაიმორჩილა, რომლებმაც მას რუსეთის ერთგულების ფიცი მისცეს. ამ დროიდან თემის სახელწოდებად რუსული ფორმა – წებელდა მკვიდრდება. იმავდროულად გ.როზენთან

1342 . ბ. ხორავა. 1830 წლის აფხაზეთის ექსპედიცია. - საისტორიო ძიებანი, VI. თბ., 2003, გვ. 93-112.
1343 . , . VIII, გვ. 449.
1344 . ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 28.
1345 . ა. დიაჩკოვ – ტარასოვი. გაგრა..., გვ. 108.

გამოცხადდნენ დალელი მარშანიები, რომლებმაც ასევე მორჩილება აღუთქვეს მას. ამ მთის თემებში რუსული მმართველობა დამყარდა, შეიქმნა წებელდის საბოქაულო ადმინისტრაციული ცენტრით სოფ. მრამბაში[1346].

მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში. 30-იან წლებში აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების შედარებით განმტკიცების შემდეგ აქ ქართველ სასულიერო პირთა მისიონერული მოღვაწეობა გაიშალა, რომლის აუცილებლობასაც ამ მხარეში ქრისტიანობის სავალალო მდგომარეობა განაპირობებდა. მიხეილ შარვაშიძეს კარგად ესმოდა სამთავროში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობა მისი ხელისუფლების განმტკიცების თვალსაზრისით. 1831წ. იმერეთის მმართველისადმი წერილში იგი აღნიშნავდა, რომ მისი ქვეშევრდომების დიდი ნაწილი მაჰმადიანი იყო; მათზე უარყოფით გავლენას ახდენდნენ ჩერქეზები; წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის მთავრობისა და მთავრის ღონისძიებებს, რომლებიც ამ მხარეში სიმშვიდის უზრუნველყოფისაკენ იყო მიმართული. რათა ჩამოეშორებინა აფხაზები ჩერქეზების მავნე ზეგავლენისაგან, მთავარს საჭიროდ მიაჩნდა მათი გაქრისტიანება. ამ მიზნით ის წინადადებას აყენებდა, აფხაზეთში შექმნილიყო ცალკე ეპარქია და მღვდელმთავრად დაენიშნათ მისი ნათესავი, ცაგერის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ანტონ დადიანი. მთავარი წერდა, რომ ანტონ დადიანს პატივს სცემდნენ როგორც წარმოშობის, ისე მისი წოდებისა და შესანიშნავი თვისებების გამო, მან შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე და ადგილობრივი ენა. მიხეილი იმედს გამოთქვამდა, რომ ის აფხაზეთში ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა[1347].

კავკასიის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა და საქართველოს სამოქალაქო ნაწილის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნ.პანკრატიევმა საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ იონას სთხოვა, აფხაზეთის მთავრის შუამდგომლობის თაობაზე თავისი აზრი გამოეთქვა. ამასთან დაკავშირებით სინოდალურმა კანტორამ სამეგრელოს ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ დავით წერეთელს (1829-1834წწ.) სთხოვა, მიეწოდებინა ცნობები აფხაზეთში არსებული ეკლესიებისა და მღვდელმსახურთა რაოდენობის თაობაზე. 1831წ. 5 ნოემბერს მიტროპოლიტმა დავითმა სინოდალურ კანტორას აცნობა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მაჰმადიანი იყო და მხოლოდ ერთი ეკლესია ფუნ-ქციონირებდა ლიხნში, სადაც ღვთისმსახურებას მისი ეპარქიის მღვდელი სიმეონ ჟორდანია ეწეოდა[1348].

იმის გამო, რომ აფხაზეთში ეკლესიებისა და მრევლის რაოდენობა უმნიშვნელო იყო, სინოდალურმა კანტორამ აფხაზეთის მთავრის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, ამასთან მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზეთში მისიონერული მოღვაწეობის გასაშლელად სამეგრელოს ეპარქიიდან მღვდლების გაგზავნა. რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ სასურველი იყო აფხაზეთში მისიონერული საქმიანობისათვის თავდაპირველად ქართველი სასულიერო პირები გამოეყენებინათ. ამ საკითხის განხილვის შემდეგ სინოდმა დაადგინა, იღუმენი ანტონ დადიანი არქიმანდრიტის ხარისხში აემაღლებინათ, მიეცათ მისთვის ერთი მონასტერი სამეგრელოში და მის უმთავრეს მოვალეობად აფხაზეთში ურწმუნოთა გაქრისტიანება განესაზღვრათ. 1833წ. თებერვალში ანტონ დადიანი არქიმანდრიტად ეკურთხა, ხოლო მომდევნო წლის დასაწყისში ის აფხაზეთში ჩავიდა და მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგა. მისიონერული მოღვაწეობის დადებითი შედეგები მალე აშკარა გახდა. 1834წ. მარტიდან მაისამდე მხოლოდ ლიხნში 155 კაცი მოინათლა. ბზიფის ოლქში აფხაზთა გაქრისტიანებაში არქიმანდრიტ ანტონსა და მის თანაშემწეებს დიდი დახმარება გაუწიეს თამარ შარვაშიძემ და თავადმა სალარუფ ინალ-იფამ. მისიონერები აბჟუის მხარეშიც მოღვაწეობდნენ. 1834წ. კვიტოულში 156 კაცი მოინათლა, ტამიშში – 93, კინ-დღში – 72. მთლიანად აფხაზეთში მისიონერებმა პირველ წელს 554 აფხაზი მონათლეს.

1346 . ბ. ხორავა. რუსული მმართველობის დამყარება წებელდაში 1837 წელს. – ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა IV საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 2006, გვ. 201-205;
, . I, გვ. 180.

1347 . , . VII, . I, №341, გვ. 404.

1348 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 378.

ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. 1835 წ. მოინათლა 784, ხოლო 1836წ. 617 კაცი.[1349]. არსებობს 1834-1836წწ. მონათლულთა სიები, რომლებიც ქართულ ენაზეა შედგენილი. ეს სიები შესანიშნავი წყაროა XIXს. 30-იანი წლების აფხაზეთის ტოპონიმიკის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და სხვა საკითხების შესასწავლად[1350]. ამ სიებიდან კარგად ჩანს, რომ ბზიფის მხარეში ძირითადად აფხაზური გვარები ჭარბობს, თუმცა საკმაოდ ბევრია ქართული (მეგრული) გვარებიც, როგორც ჩანს, გააფხაზებული ქართველები; აბჟუაში უფრო მეტი ქართული (მეგრული) გვარები გვხვდება.

30-იანი წლების მეორე ნახევარში მისიონერული მუშაობა შეფერხდა, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული. სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან ჩამოსული სასულიერო პირები ციებით დაავადდნენ, რითაც ხელი ეშლებოდათ საქმიანობაში; თუ პირველ წლებში სანაპირო ზოლის მოსახლეობა გაქრისტიანდა, ახლა ჯერი მთიან სოფლებზე მიდგა. სანაპირო ზოლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ძირითადად გააფხაზებული ქართველებისაგან შედგებოდა, რომელთაც დიდად არ ეუცხოებოდათ მამა-პაპათა სარწმუნოებისაკენ მობრუნება, ამასთან ისინი ჯერაც მოკრძალებით იყვნენ გამსჭვალული აქ შემორჩენილი მიტოვებული თუ დანგრეული ეკლესიებისადმი; მთაში კი ცხოვრობდნენ არცთუ დიდი ხნის წინ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული წარმართი და მაჰმადიანი მთიელები, რომლებიც მისიონერებს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ. ქრისტიანობის გავრცელება მათთვის მიუღებელი რუსული ხელისუფლების განმტკიცებას და თანამოძმე მთიელებთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა. ისინი ხვდებოდნენ, რომ ხელისუფლებას მათი გაქრისტიანება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სურდა. ამიტომ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანობის გავრცელებას, უფრო მეტიც, ახალმონათლულთა კვლავ გამაჰმადიანებას ცდილობდნენ[1351]. 1836წ. 31 მარტს ლევან V დადიანმა წერილით მიმართა ბარონ როზენს. იგი გამოთქვამდა აზრს, რომ მისიონერული მოღვაწეობა დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა. მას აეჭვებდა, რომ მთავრობის განზრახვა „საჭურვლისა ჯვარისათა“ დაეძლია მთიელთა ურჩობა და დაუმორჩილებლობა, წარმატებას მიაღწევდა[1352]. ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მართლმადიდებლობის მეშვეობით აფხაზეთში იმპერიის პოზიციების განმტკიცების მცდელობას სამხედრო ძალის გამოყენებით მოქმედება არჩია[1353]. თუმცა, რთული პირობების მიუხედავად, ქართველი მისიონერები კვლავ აგრძელებდნენ მოღვაწეობას აფხაზეთში.

შავი ზღვის სანაპირო ხაზი და აფხაზეთი. 1837წ. მიწურულს კავკასიის მთავარმართებლად და ჯარების სარდლად ბარონ როზენის ნაცვლად გენერალი ე. გოლოვინი (1837-1842წწ.) დაინიშნა. ამ დროიდან რუსეთის სარდლობამ კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით მეტი ყურადღება მიაქცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სიმაგრეების აგებას და დაპყრობილ ტერიტორიებზე გზების გაყვანას. როგორც წესი, სიმაგრეები და ფორტები იგებოდა მდინარეების შესართავთან, ადგილობრივ მკვიდრთათვის წართმეულ მიწებზე. სიმაგრეების აშენებით რუსები კავკასიელ მთიელებს უსპობდნენ ზღვით გარესამყაროსთან, პირველ რიგში, თურქეთთან და ინგლისთან ურთიერთობის საშუალებას, ამასთან რუსები მაგრდებოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, რუსეთის ფლოტს ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა შავ ზღვაზე ბატონობისათვის. 1837წ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აიგო სიმაგრეები: სვიატოგო დუხა (ადლერი) – მდ.მძიმთას შესართავთან, ადლერის კონცხზე; ნოვო ტროიცკოე – მდ. ფშადის შესართავთან; მიხაილოვსკოე – მდ.ვულანის შესართავთან; 1838 წელს: ალექსანდრიის ფორტი, რომელსაც 1839წ. ნავაგინსკი ეწოდა – მდ.სოჩის შესართავთან; ველიამინოვსკოე – მდ. ტუაფსეს შესართავთან; თენგინსკოე –

1349 . გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს. , გვ. 83-85; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდ-
ებლობა, გვ. 379.

1350 . გ. გასვიანი. ძველი და ახალი აფხაზები, გვ. 139-184.

1351 . გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს. გვ. 87; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 390.

1352 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 394-395.

1353 . იქვე, გვ. 398.

მდ.შაფსუხოს შესართავთან; ნოვოროსიისკი – ცემესის ყურეში; 1839 წელს: ფორტი გოლოვინსკი – მდ.სუბაშის (შახე) შესართავთან; ფორტი ლაზარევსკოე – მდ.ფსეზუაფსეს შესართავთან. 1839 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველა რუსული სიმაგრე ერთმანეთთან სახმელეთო გზით დააკავშირეს. აღნიშნული სიმაგრეები მდ.ყუბანის შესართავიდან მდ.ჩოლოქამდე, აგრეთვე აფხაზეთი და წებელდა იქ განლაგებულ ჯარებთან ერთად შევიდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სისტემაში, რომლის უფროსად გენერალი ნ.რაევსკი დაინიშნა. სანაპირო ხაზი ორ განყოფილებად გაიყო: I. მდ.ყუბანის შესართავიდან მდ. სოჩის შესართავამდე (ნავაგინსკი); II. მდ.სოჩის შესართავიდან მდ.ჩოლოქამდე (წმ.ნიკოლოზის საგუშაგო, შეკვეთილი). სანაპირო ხაზის II განყოფილების უფროსი იმავდროულად აფხაზეთში განლაგებული ჯარების უფროსის მოვალეობას ასრულებდა[1354]. შავი ზღვის სანაპირო ხაზის სისტემაში აფხაზეთის გაერთიანება ამ მხარის საქართველოდან ჩამოშორების პირველი სერიოზული მცდელობა იყო.

1840 წლის ოქტომბერში შავი ზღვის სანაპირო ხაზის რეორგანიზაცია განხორციელდა. ჩამოყალიბდა სამი განყოფილება: I. ყუბანის შესართავიდან გელენჯიკამდე; II. გელენჯიკიდან ნავაგინსკამდე; III განყოფილებას შეადგენდა: ნავაგინსკის, გოლოვინსკის, ადლერის, გაგრის, ბიჭვინთის, ბომბორის, სოხუმ-ყალეს სიმაგრეები; მრამბის, დრანდის, კვიტოულის, ილორის საგუშაგოები; ანაკლიის, რედუტ-ყალეს, ფოთის, ოზურგეთის სიმაგრეები და წმ. ნიკოლოზის საგუშაგო. III განყოფილების უფროსი ვალდებული იყო, „პოლიტიკური მეთვალყურეობა გაეწია აფხაზეთზე“. აუცილებლობის შემთხვევაში მას იარაღის გამოყენების უფლებაც ჰქონდა[1355].

რუსეთის სარდლობა თვლიდა, რომ სანამ ჯიქებსა და უბიხებს არ დაიმორჩილებდა, მანამდე აფხაზეთის დამორჩილება სრული ვერ იქნებოდა. 1840 წლის დასაწყისში ჯიქებმა, უბიხებმა და შაფსუღებმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გააააქტიურეს მოქმედება რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. დასავლეთ კავკასიაში ანტირუსულ განწყობილებას აღვივებდნენ ინგლისის აგენტები, რომლებიც კავკასიელ მთიელებს მფარველობას ჰპირდებოდნენ. ინგლისი ცდილობდა რუსეთის პოზიციების შესუსტებას კავკასიაში და, საბოლოოდ, ამ მხარის რუსეთისაგან მოწყვეტას[1356]. კავკასიელი მთიელებისათვის ცნობილი იყო, რომ შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიმაგრეები სათანადოდ არ იყო დაცული; მცირერიცხოვანი იყო სიმაგრეთა გარნიზონი, ჯარისკაცებს მრავალი პრობლემა ჰქონდათ, მათ შორის, შეიარაღების მხრივ. ამით შეგულიანებულმა მთიელებმა რუსების სიმაგრეებს შეუტიეს და თებერვალ-მარტში ლაზარევსკოე, ველიამინოვსკოე და მიხაილოვსკოე დაიკავეს. იმავდროულად აჯანყდა წებელი და დალი. მათ დასახმარებლად მოუწოდეს ფსხუელებსა და სვანებს. ზაფხულში რუსეთის სარდლობამ აფხაზეთის მთის თემების დასამორჩილებლად დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა, რომელშიც აფხაზეთის სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა მიხეილ შარვაშიძის მეთაურობით. ექსპედიციამ წებელდა დაიკავა, წებელდისა და დალის მარშანიებს ერთგულების ფიცი დაადებინა[1357]. იმავე 1840 წლის ივლისში რუსებმა ფსხუ დალაშქრეს. აფხაზეთის ამ მთის თემში რუსული მმართველობა დამყარდა. შეიქმნა ფსხუს საბოქაულო[1358].

წებელდისა და დალის დამორჩილება მოჩვენებითი აღმოჩნდა. მალე სიტუაცია ამ მხარეში კვლავ დაიძაბა. 1840წ. ოქტომბერში ნ. რაევსკი წერდა: „წებელდელებს უბიხები აქეზებენ... აფხაზეთში ხალხის ნაწილი მზადაა აჯანყდეს მთავრის წინააღმდეგ და უბიხებს შეუერთდეს“[1359]. რუსეთის სარდლობისთვის ცნობილი გახდა, რომ დალელებმა დახმარებისთვის მეზობელ მთიელებს მიმართეს, ხოლო უბიხებმა დალის დასახმარებლად ათასკაციანი რაზმი შექმნეს. სარდლობამ გადაწყვიტა, არ დაეშვა მთიელთა გაერთიანება და დალი მანამდე დაემორჩილებინა. 1840 წლის დეკემბერში დალის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიცია გაიგზავნა შავი ზღვის სანაპირო ხაზის III

1354 . , . IX, №404, გვ. 460-461; ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 29-30.
1355 . . . . , გვ. 50; ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 30.
1356 . . . . XVI-XIX . . ,1958, გვ. 197.
1357 . , . IX, №426, გვ. 492-493; , . I, გვ. 180.
1358 . . . . , გვ. 63.
1359 . . . . . , 1990, გვ. 17-18.

განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ნ. მურავიოვის მეთაურობით. ექსპედიციაში აფხაზეთისა და სამურზაყანოს სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა. 1841 წლის იანვარში ექსპედიციამ შტურმით დაიკავა დალის „ჭიშკარი“ – ბაგადის ვიწროები და ხეობაში შეიჭრა. დალელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურთ, მაგრამ დამარცხდნენ. ნ.მურავიოვის ბრძანებით რუსებმა სასტიკად ააწიოკეს დალი, ცეცხლს მისცეს მთიელთა დასახლებები და სურსათის მარაგი, ხოლო მოსახლეობა თავიანთი სამკვიდროდან გაასახლეს[1360]. ნ.მურავიოვმა ითხოვა დალში 500 რუსის ოჯახის ჩასახლება, რათა დაეცვათ აფხაზეთი და წებელდა კავკასიელ მთიელთა შემოსევებისაგან, რადგან ყუბანის აუზიდან აფხაზეთისაკენ გზა კავკასიონის ქედის გავლით სწორედ დალზე გადიოდა. ამასთან, მან ზომები მიიღო, რომ დალში არ დაეშვა ადგილობრივთა დაბრუნება. მაგრამ ნ.მურავიოვმა ასეთი ნებართვა ვერ მიიღო. შემდეგ იქ ჩრდილოკავკასიელი მთიელები ჩასახლდნენ,[1361] ადგილობრივ მკვიდრთა ნაწილიც დაბრუნდა.

1841 წლის მარტში სანაპირო ჯიქების თემები რუსებს დამორჩილდნენ, რაშიც დიდი იყო მიხეილ შარვაშიძის წვლილი. ამის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების მთავარი ამოცანა გახდა ჯიქეთში განმტკიცება. ამ მიზნით რუსეთის სარდლობა აფხაზეთიდან ჯიქეთისაკენ გზის გაყვანას შეუდგა. ზაფხულში უბიხების თემმა საშემ და ჯიქების მთის თემმა წვიჯმა რუსეთის სარდლობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყეს. ასეთ ვითარებაში დასავლეთ კავკასიაში გავრცელდა ცნობა გურიის აჯანყების შესახებ. იმავე ხანებში რუსეთის სარდლობა აპირებდა ექსპედიციის მოწყობას უბიხეთში, მაგრამ არ გამოცხადდა გურიისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარი, ძალიან მცირერიცხოვანი იყო სამურზაყანოდან და სვანეთიდან მოსული მილიცია. რუსეთის სარდლობა ბოლომდე არ ენდობოდა აფხაზეთის მთავარსაც. ჯიქებამდე და უბიხებამდე გურიის აჯანყების (1841წ. მაისი-სექტემბერი) ამბები დამახინჯებული და გაზვიადებული აღწევდა, ამის გამო წვიჯისა და საშას თემებმა რუსებთან მოლაპარაკება შეწყვიტეს. მაგრამ სექტემბერში რუსებმა გურიის აჯანყება სასტიკად ჩაახშეს და კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მეტი შესაძლებლობა მიეცათ.

სექტემბრის ბოლოს რუსეთის სარდლობა უბიხეთში ექსპედიციის მომზადებას შეუდგა. სანაპირო ხაზის III განყოფილების ჯარის ნაწილებთან ერთად ექსპედიციაში აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის, სამეგრელოს, იმერეთის, გურიის სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას მიხეილ შარვაშიძე უწევდა. მისი მეთაურობით ოქტომბრის დასაწყისში ექსპედიცია უბიხეთში შეიჭრა, რამდენიმე სოფელი გაანადგურა, გადაწვა სახლები და ნავაგინსკამდე მიაღწია. ნოემბრის დასაწყისში ექსპედიცია ადლერში დაბრუნდა, თუმცა რაიმე რეალური შედეგი მას არ მოჰყოლია.[1362]

1841-1842წწ. კვლავ იყო გამოსვლები დალში, წებელდაში, ფსხუში, სოფლებში: გუმა, ჯგერდა, ჭლოუ, რომლებიც რუსეთის სარდლობამ სასტიკად ჩაახშო[1363]. 1843წ. დეკემბრის ბოლოს დამსჯელმა ექსპედიციამ აფხაზეთის მთავრის უშუალო მეთაურობით კვლავ დალაშქრა და დროებით დაიმორჩილა ფსხუ[1364]. ცოტა ხანში ფსხუელებმა კვლავ გააგრძელეს დაუმორჩილებლობა და ბრძოლა რუსების წინააღმდეგ.

სამურზაყანოს საკითხი. 30-იანი წლების მიწურულს აფხაზეთის მთავარი შეეცადა ხელისუფლებაზე ზეწოლით სამურზაყანოს დაუფლებოდა. 1839წ. მიხეილ შარვაშიძემ თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, რომ სამურზაყანო, როგორც ადრე აფხაზეთის კუთვნილი მხარე, ჩამორთმეოდა დადიანს და აფხაზეთის სამთავროს გადასცემოდა[1365]. ამით აღშფოთებულმა ლევან V დადიანმა ვრცელი მოხსენებითი

1360 . , . IX, №432, გვ. 496-497;ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 33.

1361 . . . . XIX . , 1982, გვ. 373.

1362 . , . IX, გვ. 513-519; ა.დიაჩკოვ–ტარასოვი. გაგრა..., გვ. 121; ბ.ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ.35.

1363 . . . ., გვ. 55,69-70.

1364 . , . I, გვ. 183.

1365 . ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში. – სიგკ, VII. თბ., 1989, გვ. 97.

ბარათით მიმართა ხელისუფლებას. იგი აფხაზეთის მთავრის პრეტენზიებს უსაფუძვლოდ მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო ძველთაგანვე სამეგრელოს სამთავროში შედიოდა და მან მემკვიდრეობით მიიღო. ამასთან სამეგრელოს მთავარს ამ ოლქზე მისი კანონიერი უფლებების დასამტკიცებლად გიორგი შარვაშიძესთან 1818წ. და მიხეილ შარვაშიძესთან 1827წ. დადებული შეთანხმებები მოჰქონდა, რომლითაც აფხაზეთის მთავრები სამურზაყანოს სამეგრელოს სამთავროს შემადგენელ ნაწილად აღიარებდნენ[1366]. მიხეილ შარვაშიძეს სამურზაყანოს გადაცემაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ის აფხაზეთის სამთავროსაგან დიდი ხნის წინ იყო გამოყოფილი, მაგრამ ხელისუფლების გადაწყვეტილებით ის არც სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო. რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა ახლად შეძენილ ტერიტორიებზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, შემოეღო რუსული მმართველობა.

1840წ. თებერვალში რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო, ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის, ჩამოართვა სამეგრელოს მთავარს და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო, რომელიც ქუთაისის გუბერნატორს ემორჩილებოდა[1367]. სამურზაყანოს მიმართ ცარიზმს ასეთი გადაწყვეტილების მიღება აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის ატეხილმა დავამ გაუადვილა, თუმცა მთელი XIXს. პირველი მესამედის მანძილზე რუსეთის ადმინისტრაცია სამურზაყანოს სამეგრელოს ნაწილად აღიარებდა. ლევან V დადიანმა გაასაჩივრა სამურზაყანოს ჩამორთმევა და მოითხოვა, თუ დაბრუნება არა, საზღაურის მიცემა მაინც. 1847წ. ხელისუფლებამ სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს სამურზაყანოს სანაცვლოდ კომპენსაციის სახით 25 ათასი ვერცხლის მანეთი გადაუხადა. ამ ფაქტმა აფხაზეთის მთავარი გაანაწყენა. იგი იმითაც იყო ნაწყენი, რომ 1847წ. მაისში ხელისუფლებამ მას ჩამოართვა გუდას (გუდაუთის), ოჩამჩირის, კელასურის ნავსადგურები, საიდანაც კონტრაბანდული ვაჭრობიდან მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. ეს ნავსადგურები საბაჟო უწყებას გადაეცა, ხოლო მთავარს სანაცვლოდ პენსია დაენიშნა – 12 ათასი მან. წელიწადში. მიხეილ შარვაშიძე ხედავდა, რომ ცარიზმი მის ხელისუფლებას ზღუდავდა, რამაც ის გააღიზიანა. ამ ფაქტების გამო პროტესტი მან 1847წ. 10 ნოემბერს სამთავრო უფლებებზე უარის თქმით გამოხატა[1368].

აფხაზეთის მთავარი გრძნობდა, რომ მისი მომავალი ბეწვზე ეკიდა, ამიტომ გადაწყვიტა, მოვლენებისთვის დაესწრო. მაგრამ მისმა ნაბიჯმა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა, რადგან მას იმხანად სრულებით არ შეეძლო, საკუთარი ძალებით აფხაზეთისთვის მოევლო. ფაქტობრივად, მიხეილ შარვაშიძე რუსებმა აქციეს აფხაზეთის ნამდვილ მთავრად, აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერების კვალად გაძლიერდა მისი ხელისუფლებაც. მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტი 30-40-იან წლებში გაიზარდა, როცა აფხაზეთში თავისი ძალაუფლების გაძლიერების მიზნით ცარიზმი სამთავრო ხელისუფლების გავლენის ამაღლებაზე ზრუნავდა. მიხეილ შარვაშიძემ რუსეთის ჯარების დახმარებით დაიმორჩილა ფეოდალური ოპოზიცია; აფხაზეთში რუსული სიმაგრეების აგებამ, აფხაზეთის მთის თემების დამორჩილებამ, ხელისუფლების მიერ ბოძებულმა წოდებებმა და ჯილდოებმა გაზარდეს მისი ძალა და ავტორიტეტი. ამასთან, რუსეთის ხელისუფლება სათანადოდ აფასებდა მიხეილ შარვაშიძის დამსახურებას აფხაზეთის მთის თემების დამორჩილებაში, დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 1841წ. ჯიქების სანაპირო თემების დამორჩილებაში და სხვ. აფხაზეთის მთავარს დიდი გავლენა ჰქონდა ჯიქებს, უბიხებს, შაფსუღებს, აბაძეხებს შორის, ამიტომ რუსეთს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. მეფისნაცვალმა მ.ვორონცოვმა (1844-1854წწ.) აფხაზეთის მთავარს წერილით მიმართა, რომელშიც მთელი მონდომებით არწმუნებდა, ხელი აეღო თავის განზრახვაზე[1369]. მართლაც, ეს ამბავი მაშინ ჩაიფარცხა.

1366 . მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბ., 1957, გვ. 268.
1367 . , . X, №256, გვ. 248.
1368 . , . X, №278, გვ. 268; . . , . I, გვ. 134-135.
1369 . . . , . I, გვ. 135-137.

აფხაზეთის ეპარქიის შექმნა. 40-იანი წლების ბოლოს მომწიფდა აფხაზეთის ცალკე ეპარქიის შექმნის საკითხი. შესაბამისი წინადადებით საქართველოს ეგზარქოსს მიხეილ შარვაშიძემ 1849 წ. მიმართა. 1851 წ. 30 აპრილს იმპერატორის განკარგულებით აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრა დაფუძნდა. აფხაზეთის ეპისკოპოსად ეკურთხა მიხეილ შარვაშიძის სულიერი მოძღვარი გერმანე (გოგელაშვილი)[1370]. კავკასიის ომისა და დასავლეთ კავკასიაში მიურიდიზმის შეღწევის მცდელობის ფონზე აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობა აშკარა იყო. კვლავ გრძელდებოდა ქართველი მისიონერების მოღვაწეობა აფხაზეთში. 1851წ. სამურზაყანოს ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფ. ოქუმში და ასევე სოფ. ილორში გაიხსნა ამ მხარეში პირველი სკოლები, ხოლო 1852წ. აფხაზეთში, კერძოდ, ლიხნში დაარსდა პირველი სკოლა – ლიხნის სასულიერო სასწავლებელი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარეში განათლების გავრცელების თვალსაზრისით. სასწავლებელი განკუთვნილი იყო აფხაზეთის სასულიერო პირებისა და ადგილობრივ მკვიდრთა ყველა ფენის შვილების სწავლა-აღზრდისათვის.[1371] მოგვიანებით, სხვა აფხაზ ბავშვებთან ერთად, სასწავლებელში აფხაზეთის მთავრის შვილი გიორგიც სწავლობდა. სასწავლებლის ფუნქციონირებას და ბავშვების შენახვას დიდი ამაგი დასდო სასწავლებლის ზედამხედველმა, იღუმენმა ალექსანდრე ოქროპირიძემ.

ყირიმის ომი და აფხაზეთი. XIXს. 40-იანი წლების მიწურულს კვლავ გამწვავდა „აღმოსავლეთის საკითხი“. ახლო აღმოსავლეთში გაბატონების პრეტენზია ჰქონდა, ერთი მხრივ, რუსეთს, რომელიც ცდილობდა გავლენის განმტკიცებას თურქეთში; მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც დომინირებდნენ ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე, სურდათ ამ რეგიონში გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობის მოპოვება, თურქეთისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის დამორჩილება; ავსტრიას თავისი ინტერესები ჰქონდა ბალკანეთში, სადაც ასევე რუსეთი ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ეს სახელმწიფოები შიშობდნენ, რომ მოწინააღმდეგეები დაასწრებდნენ, ამიტომ 50-იანი წლების დასაწყისში ისინი ცდილობდნენ კვანძის გახსნა დაეჩქარებინათ.

რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ინგლისი და საფრანგეთი დააახლოვა. მათი მთავარი მიზანი გახდა, ხელი შეეშალათ რუსეთისათვის, წაექეზებინათ ბრწყინვალე პორტა და საქმე რუსეთ-თურქეთის ომამდე მიეყვანათ. ინგლისს და საფრანგეთს სურდათ რუსეთის განდევნა ყირიმიდან და კავკასიიდან. ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ჰ.პალმერსტონის გეგმით გათვალისწინებული იყო რუსეთის დანაწილება. მას უნდა ჩამორთმეოდა მთელი რიგი სამფლობელოები, მათ შორის, ყირიმი და კავკასია. ყირიმი და საქართველო უნდა გადასცემოდა თურქეთს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც პალმერსტონი ჩერქეზეთს უწოდებდა, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ჩერქეზეთი, რომლის სათავეშიც შამილი მოიაზრებოდა. ჩერქეზეთი იქნებოდა დამოუკიდებელი, ან თურქეთის პროტექტორატის ქვეშ გადავიდოდა. ამ კავკასიურ სახელმწიფოს უნდა გადაეკეტა გზა რუსეთის წინსვლისათვის სამხრეთისაკენ. ამდენად, ინგლისს მხარი უნდა დაეჭირა შამილის ბრძოლისათვის[1372]. ინგლისის გეგმები ეთანხმებოდა თურქეთის რევანშისტულ მისწრაფებებს, რომელიც ყირიმისა და კავკასიის დაბრუნებას გულისხმობდა.

1853 წლის 4(16) ოქტომბერს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. დაიწყო აღმოსავლეთის ომი (1853-1856წწ.), რომელიც ასევე ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. ომის დასაწყისში რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. 1854წ. მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს მას. ომის მთავარი მოვლენები ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარდა, მაგრამ ყირიმსა და ბალკანეთში რუსეთის მიერ განცდილი მარცხის ერთგვარი კომპენსაცია გახდა რუსეთის ჯარების წარმატება კავკასიის ფრონტზე.

შავ ზღვაზე ინგლის-საფრანგეთის ფლოტის გაბატონების გამო რუსეთის სარდლობას არ შეეძლო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, მათ შორის,

---

1370 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 413.

1371 . წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. შემდგ. ჯ. გამახარია. თბ., 2006. გვ. 14-21.

1372 . . უედალლა. ალმერსტონ. ონდონ, 1926, გვ. 360-361; , . I,გვ. 656-664.

აფხაზეთთან კავშირურთიერთობის განხორციელება. ამიტომ რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა, 1854წ. მარტ-აპრილში სრულებით დაეცალა აფხაზეთი და შავი ზღვის სანაპირო ხაზის ლიკვიდაციაც მოეხდინა. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეებიდან გარნიზონები ევაკუირებულ იქნა, ხოლო თვით სიმაგრეები ააფეთქეს[1373]. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სოხუმის, ბომბორის, ბიჭვინთის, წებელდის სიმაგრეებიდან რუსეთის სამხედრო ნაწილების ევაკუაცია, რისთვისაც რუსეთის სარდლობა მთავარს დიდად ემადლიერებოდა.

1855 წლის მარტში სოხუმში თურქეთის ჯარის ნაწილი გადმოსხდა. თურქული ადმინისტრაციის უფროსი სოხუმში მუსტაფა-ფაშა აფხაზური არისტოკრატიის გადაბირებას აქტიურად ცდილობდა. ქართველი მისიონერების მიერ აფხაზების მონათვლამ, ეკლესიების განახლებამ, აგრეთვე მიხეილ შარვაშიძის ძალისხმევამ ჩაშალა თურქთა გეგმები, მათ ვერ შეძლეს აფხაზების მასობრივად გადაბირება.[1374] აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში, თავისი სიმამრის – გიორგი დადიანის მამულში გაიხიზნა. ის იმედოვნებდა, რომ როგორც რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს და იმპერატორის გენერალ-ადიუტანტს, შესაფერის სამსახურს შესთავაზებდნენ, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. ამასთან სამეგრელოს მთავრის ქვრივი ეკატერინე დადიანი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა, მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელო დაეტოვებინა. მაისში მიხეილი აფხაზეთში დაბრუნდა და თურქთა სარდლობასთან პირდაპირი ურთიერთობა დაამყარა. იგი თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში გადასვლას იმით ხსნიდა, რომ სურდა სამთავროში განვითარებული მოვლენების გაკონტროლება და რუსეთის სარდლობისათვის შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოჩენა. მართლაც, მას არ შეუწყვეტია ფარული კონტაქტები რუსეთის სარდლობასთან და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა. ივნისში მან ჩაშალა ლიხნში მთიელებისა და აფხაზების განზრახვა, მარბიელი ლაშქრობა მოეწყოთ სამურზაყანოში ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით. ამასთან იგი ცდილობდა თურქებთან საერთო ენა გამოენახა[1375].

1855წ. ივნისში რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ყარსს და ამით თურქეთის უმთავრეს ცენტრებს საფრთხე შეუქმნა. ყარსის გადასარჩენად თურქებმა სექტემბრის დასაწყისში სოხუმში ომერ ფაშას სარდლობით 45 ათასიანი დესანტი გადმოსხეს[1376]. ომერ ფაშას გადაწყვეტილი ჰქონდა, საქართველოს გავლით ყარსამდე ჩაეღწია და ალყაშემორტყმულ ციხეს დახმარებოდა. ოქტომბერში თურქეთის არმიამ თითქმის მთელი სამეგრელო დაიკავა, მაგრამ შემდგომი წინსვლა შეფერხდა.

1855 წლის 16 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრე რუსებს დანებდა. ამდენად, ომერ ფაშას ლაშქრობამ ყარსის დასახმარებლად აზრი დაკარგა. სამეგრელოში გაჩაღებული პარტიზანული ბრძოლითა და რუსთა მაშველი ჯარების მიერ შევიწროებულმა ომერ ფაშამ შავი ზღვის სანაპიროსაკენ დაიხია, ხოლო 1856 წლის თებერვალში მისი საკმაოდ შეთხელებული არმია სოხუმიდან და რედუტ-ყალედან ზღვით ბათუმისა და ტრაპიზონისაკენ გაემართა, 10 ივლისს კი სოხუმი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს[1377]. თურქებთან ერთად აფხაზეთიდან მოსახლეობის მცირე ნაწილიც წავიდა, უმთავრესად თავად-აზნაურობა[1378].

1856 წლის მარტში პარიზში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც რუსეთმა შეინარჩუნა თავისი კავკასიური სამფლობელოები ომამდელ საზღვრებში, ხოლო დაპყრობილი ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები თურქეთს დაუბრუნა. მას აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და შავი ზღვის ნავსადგურების

[1373] . , . X, №282, გვ. 270; №283, გვ. 271;№286, გვ. 273-274; ე. ბურჭულაძე. ყირიმის ომი და საქართველო. თბ., 1960, გვ. 268-270.

[1374] . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 431.

[1375] . ნ. თაკალანძე. მიხეილ შარვაშიძე და ყირიმის ომი. - საისტორიო ძიებანი, II. თბ., 1999, გვ. 114-115.

[1376] . ე. ბურჭულაძე. ყირიმის ომი და საქართველო. თბ., 1960, გვ. 270.

[1377] . იქვე, გვ. 405-421; , . I, გვ. 196.

[1378] . . . 1853- 1856 . – ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX. სოხუმი, 1956, გვ. 196.

გამაგრება. ამდენად, პარიზის ტრაქტატმა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ რუსეთის სწრაფვას ზღვარი დაუდო.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმს თითქმის თავიდან მოუხდა აფხაზეთის დაპყრობა. სანაპირო ზოლში ისევ ჩადგნენ რუსეთის სამხედრო ნაწილები. ანტირუსული მოძრაობა აფხაზეთში დაქვეითების გზას დაადგა. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება თავს დამშვიდებულად ვერ გრძნობდა. ამიტომაც 1856წ. ივნისში, როცა მეფისნაცვალმა ნ.მურავიოვმა (1854-1856წწ.) ყირიმის ომის დროს თითქოსდა მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის რუსეთის რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადასახლების საკითხი აღძრა[1379], იმპერატორმა ეს წინადადება არ მიიღო. რუსეთის ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთსა და დასავლეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის აღდგენისა და განმტკიცების ერთგვარ გარანტად მიიჩნევდა. საომარი მოქმედებები კვლავ გრძელდებოდა ჩეჩნეთ-დაღესტანში, დასავლეთ კავკასია დასაპყრობი იყო, არც აფხაზეთში სუფევდა სიმშვიდე. ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ღალატი დამტკიცებულად არ ცნო და ეს საქმე მიყუჩდა.

1856 წლის ივნისში მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალი ა.ბარიატინსკი (1856-1862წწ.) დაინიშნა. მან კავკასიის კორპუსის მართვის რეორგანიზაცია განახორციელა, აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი ახლებურად გაიაზრა. ყირიმის ომის დროს საომარმა მოქმედებებმა ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაერთიანება გამოიწვია. მართვის ცენტრალიზაციის მიზნით, 1856 წლის აგვისტოში ქუთაისის გუბერნიისა და შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილების გაერთიანებით შეიქმნა ქუთაისის საგენერალგუბერნატორო; შემოღებულ იქნა აფხაზეთის ჯარების უფროსის თანამდებობა. აფხაზეთის სამთავრო ნომინალურად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ხოლო რეალურად კი მეფისნაცვალს დაექვემდებარა[1380]. იმავდროულად ცარიზმი თავისი პოზიციების განმტკიცებას საქართველოში ფეოდალური სამთავროების გაუქმებით – 1857წ. სამეგრელოს, ხოლო 1858წ. სვანეთისა და იქ რუსული მმართველობის შემოღებით შეეცადა. დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებაც, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროებით გადაიდო.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუსეთ-კავკასიის ომს. ცარიზმს საშუალება მიეცა, კავკასიაში თავი მოეყარა მნიშვნელოვანი ძალებისათვის. კავკასიის კორპუსი არმიად გარდაიქმნა. ა. ბარიატინსკის ყურადღება ძირითადად ჩეჩნეთ-დაღესტნისაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ იგი ფიქრობდა, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და აფხაზეთში განმტკიცების გარეშე დასავლეთ კავკასიის დაპყრობა შეუძლებელი იყო[1381]. მაგრამ ვითარება აფხაზეთში რუსეთისათვის სახარბიელო არ იყო. კავკასიის არმიის მარჯვენა ფრთის სარდალი, გენერალი გრ. ფილიპსონი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ დ.მილიუტინს 1858წ. 13 მაისს სწერდა: „ვითარება აფხაზეთში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ჩვენს ჯარისკაცებს ისე არ შეუძლიათ მოშორდნენ თავიანთ სიმაგრეებს ერთ ვერსზე, რომ ტყვედ ჩავარდნის ან სიკვდილის საფრთხის ქვეშ არ იყვნენ. ერთი სიტყვით, ჩვენ გვიკავია აფხაზეთი, მაგრამ ვერ ვფლობთ მას“[1382]. ამ აზრს ეთანხმებოდა რუსეთის ჯარების სარდალი აფხაზეთში, გენერალი მ.ლორის-მელიქოვი, რომელიც 1858წ. 12 აგვისტოს მოხსენებითი ბარათით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ გ. ერისთავს აუწყებდა: „ჩვენ დავიკავეთ სოხუმი 1810 წელს. ამის შემდეგ უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გავლენა აფხაზეთში ოდნავადაც არ გაზრდილა. ასე, რომ როგორც გენერალმა ფილიპსონმა აღნიშნა, ჩვენ კი არ ვფლობთ აფხაზეთს, არამედ გვიკავია იგი...და ესეც

1379 . , . XI, №43, გვ. 54.

1380 . . . , . I, გვ. 97-99.

1381 . . . . ,1815- 1879, . , 1888, გვ. 33-35.

1382 . , . XII, . II, გვ. 776.

ნაკლებად მტკიცედ, ვიდრე უწინ“[1383]. კავკასიის ომის პირობებში რუსეთი თავს იკავებდა აფხაზეთში გადამწყვეტი ზომების მიღებისაგან.

4. რუსეთ-კავკასიის ომის დასრულება და აფხაზეთის სამთავროს გაუქმება

ცარიზმმა დიდი ძალებით შეუტია კავკასიელ მთიელებს. 1859 წლის 25 აგვისტოს რუსეთის სარდლობას დანებდა კავკასიელ მთიელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური შამილი. რუსეთმა ჩეჩნეთ-დაღესტანი დაიპყრო. მთიელები დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან ბრძოლის განახლება უაზრობა იყო და გადაწყვიტეს, გასცლოდნენ მათთვის მიუღებელ ახლადდამყარებულ კოლონიურ რეჟიმს. თურქეთის ემისრების, მთიელთა სოციალური ზედაფენისა და სასულიერო წრეების ზეგავლენით, რუსეთის ხელისუფლების ზეწოლით კავკასიელმა მთიელებმა თურქეთში გადასახლება გადაწყვიტეს. ასი ათასამდე დაღესტნელი, ჩეჩენი, ოსი თურქეთში გადასახლდა.

რუსეთის მიერ ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები. ამიტომ რუსეთის სარდლობამ აქეთკენ გადმოისროლა 200 ათასიანი კავკასიის არმიის ძირითადი ნაწილები. ალექსანდრე II (1855-1881წწ.) სარდლობისაგან მოითხოვდა, რომ რუსეთ-კავკასიის ომი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე გაჭიანურდა და უზარმაზარ სახსრებს ნთქავდა, მალე დაემთავრებინათ. დასავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აფხაზეთს. რუსეთის სარდლობისათვის ნათელი იყო, რომ სანამ მათ აფხაზეთში მხოლოდ სანაპირო ზოლი ეჭირათ, რუსეთის გავლენა ამ მხარეში მტკიცე ვერ იქნებოდა. 1860წ. დამდეგს რუსეთის სარდლობამ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების გაყვანაზე, რასაც სამხედრო და ადმინისტრაციული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ რიგში, გადაწყდა, აფხაზეთის სანაპიროდან ფსხუმდე სასაპალნე გზის გაყვანა. ფსხუელები კვლავ ესხმოდნენ თავს აფხაზეთის სოფლებს, რუსულ სიმაგრეებს, მიჰყავდათ ტყვეები. ამიტომ გზის გაყვანა რომ არ შეფერხებულიყო და საბოლოოდ დაემორჩილებინათ ეს თემი, გადაწყდა ექსპედიციის მოწყობა. 1860წ. აგვისტოში რუსეთის ჯარის ნაწილები ფსხუსკენ დაიძრნენ. ექსპედიციაში 3000 აფხაზი მილიციელიც მონაწილეობდა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ფსხუელები დამარცხდნენ და რუსეთის სარდლობას მორჩილება გამოუცხადეს. ექსპედიციის წარმატებას მთის ამ თემში რუსეთის გავლენის გაძლიერება არ მოჰყოლია.[1384] ფსხუ კვლავ რჩებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

1860წ. სექტემბერში კავკასიის არმიის სარდლობამ ომის სწრაფად დამთავრების მიზნით ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთ კავკასიის მთიელების აყრას თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და იქ რუსების ჩასახლებას. რუსულ კოლონიზაციას არა მხოლოდ უნდა დაეგვირგვინებინა ქვეყნის დაპყრობა, არამედ ის თვითონ უნდა ყოფილიყო დაპყრობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება[1385]. აქამდე მთიელების წინააღმდეგ ეწყობოდა ექსპედიციები, ამარცხებდნენ მათ, მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, ქვეყანა დაუმორჩილებელი რჩებოდა. ამიერიდან გადაწყდა, შეეწყვიტათ დიდ მსხვერპლთან დაკავშირებული სამხედრო ექსპედიციები და შედგომოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სისტემურ დასახლებას კაზაკთა სტანიცებით, ხოლო კავკასიელი მთიელები გადაესახლებინათ დაბლობზე, ან გაესახლებინათ თურქეთში. რუსეთის ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა მათთვის მოესპო ბუნებრივი თავშესაფარი მთების სახით და თავისი ადმინისტრაციის კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, ან თურქეთში გადასახლებით დაესუსტებინა ისინი. ა.ბარიატინსკი გულახდილად აღნიშნავდა, რომ მთიელთა

1383 . იქვე, გვ. 792.

1384 . იქვე, №737, გვ. 859-860; №739, გვ. 861-865. , . I, გვ. 188; ბ. ხორავა. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი. - საისტორიო ძიებანი, VII, თბ. ,2004, გვ. 110-111.

1385 . . . . , გვ. 371; ბ. ხორავა. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი, გვ. 111-112.

გადასახლების მიზანი იყო ამ შესანიშნავი და ნაყოფიერი ადგილების კაზაკთა დასახლებებისათვის გათავისუფლება[1386].

დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობაში რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის ფაქტორს და მიხეილ შარვაშიძის როლს. 1862წ. აპრილში ა.ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს დ.მილიუტინს სწერდა: მიხეილ შარვაშიძის „გავლენა აფხაზეთში და მეზობელ ტომებზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია...ამიტომ ამ კაცის კეთილად განწყობა ჩვენ მიმართ ძალზე საჭიროდ მიმაჩნია“[1387]. ნათელი იყო, რომ აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცება დასავლეთ კავკასიაში მისი მფლობელობის დამყარების კვალად მოხდებოდა. ეს კარგად იცოდა მიხეილ შარვაშიძემაც. რუსეთის სარდლობა ფიქრობდა, რომ აფხაზეთის მთავარი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჯიქებს, უბიხებს,შაფსუღებს, აბაძეხებს და სხვ. შორის, ფარულად უჭერდა მხარს მათ ბრძოლას. აფხაზეთის მთავარმაც კარგად იცოდა, რომ ამ ტომების რუსეთისადმი დამორჩილების შემდეგ მის ხელისუფლებასაც ბოლო მოეღებოდა. ამიტომაც მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მთის თემების გავლით ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გზების გაყვანას კეთილგანწყობით არ უცქერდა[1388].

1864წ. თებერვალში რუსებმა დაიწყეს კავკასიონის ქედის გადმოლახვა. ისინი უტევდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლშიც. მარტში, მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი (1862-1881წწ.) ალექსანდრე II-ს სწერდა: „ვიმოქმედოთ წინდახედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ გავწმინდოთ შავი ზღვის მთელი სანაპირო. საფიქრებელია, რომ მთიელების დიდი ნაწილი არჩევს თურქეთში გადასახლდეს, ვიდრე გადავიდეს მათთვის განსაზღვრულ ადგილებზე ყუბანში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საბოლოო დაპყრობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია ადგილობრივ მკვიდრთა გასახლების სისწრაფეზე“[1389].

1864 წლის მაისში რუსეთის ჯარის ნაწილებმა კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა, ჯიქების მთის თემი აჰჭიფსი დაიკავეს მდ. მძიმთას ზემო წელში. 21 მაისს, აჰჭიფსის ცენტრში, სოფ. გუბაადვში, კავკასიის ომი დამთავრებულად გამოცხადდა. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები ფსხუში შეიჭრნენ, ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის მხრიდან სანჭაროს უღელტეხილით, და აფხაზეთიდან, დოუს უღელტეხილით. ფსხუელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ბრძოლის შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა ფსხუელებმა ცეცხლი წაუკიდეს თავიანთ სახლებს და ხეობა დატოვეს.[1390]

ამრიგად, 1864 წლის ივლისში რუსებმა ფსხუ დაიკავეს; 105 ოჯახი (862 კაცი) ამ თემიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე კუმას ხეობაში გადასახლდა, ხოლო 3,5 ათასი კაცი თურქეთში წავიდა.[1391] ამის შედეგად ბზიფის ხეობის ზემო წელი მთლიანად დაიცალა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღეელებისა და აბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი, უბიხები კი - მთლიანად 1858-1864წწ. იძულებით თურქეთში გადასახლდნენ. რუსეთის სარდლობის ანგარიშის თანახმად, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში გადასახლდა 418 ათასი კაცი, ხოლო ყუბანსა და ლაბაზე – დაახლ. 90 ათასი კაცი. გადასახლების პროცესი 1865 წელსაც გრძელდებოდა. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის არ დარჩნენ ადიღეელები და აბაზები, მათი მცირე ნაწილი აულებად ჩაასახლეს ყუბანზე. სულ, ოფიციალური, მაგრამ, საფიქრებელია არასრული მონაცემებით, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში თითქოს 470 ათასი ადამიანი გადასახლდა[1392].

1386 . . . ., გვ. 198.

1387 . . . . , გვ. 388.

1388 . ბ. ხორავა. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი, გვ. 116-117.

1389 . . . ., გვ. 183.

1390 . ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 61.

1391 . . . ., გვ. 195; ბ. ხორავა. ფსხუელების გადასახლება. – II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2004, გვ. 256-259.

1392 . . . , . I, გვ. 52; ბ.ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა,
გვ. 62.

რუსეთ-კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. 1861-1864წწ. დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა 111 სტანიცა (14239 ოჯახი, 85 ათასი კაცი) ჩაასახლეს. იმავდროულად, ამ მხარეში ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ რუსებს, უკრაინელებს, თურქეთიდან გადმოსახლებულ ბერძნებს და სომხებს[1393].

1866წ. ცარიზმმა დასავლეთ კავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმა განახორციელა. ვრცელი მხარე მდ.ყუბანიდან კავკასიონის ქედამდე ყუბანის ოლქის, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო – შავი ზღვის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც ყუბანის ოლქის უფროსს ექვემდებარებოდა.

ამრიგად, ცარიზმმა მიაღწია მიზანს – დასავლეთ კავკასია იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში მოაქცია. ამის შემდეგ დღის წესრიგში აფხაზეთის საკითხიც დადგა.

ჯერ კიდევ კავკასიის ომის დამთავრებამდე მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მ.რომანოვმა სამხედრო მინისტრის დ.მილიუტინისადმი 1864 წლის 27 მარტს გაგზავნილ წერილში სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა. მისი აზრით, ეს ღონისძიება საჭირო იყო იმისათვის, რომ შესრულებულიყო უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული პროექტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე კაზაკთა სტანიცების მოწყობის შესახებ. მან ამის თაობაზე პრაქტიკული წინადადებებიც წამოაყენა: 1. მთავრისა და მისი მემკვიდრის დათანხმება, რათა უარი თქვან ტახტზე; 2. მთავარს და მის მემკვიდრეებს დაენიშნოთ შესაფერისი ჯამაგირი; 3. აფხაზეთისაგან შეიქმნას სამხედრო ოკრუგი, რომელიც წებელდასთან ერთად დაექვემდებარება განსაკუთრებულ სამხედრო პირს ოლქებში განყოფილებების უფროსების უფლებით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი დაქვემდებარებით; 4. თუკი თავისუფალი მიწების რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ენგურის შესართავამდე, შეიქმნას კაზაკთა დასახლებები, რომლებიც მდ.ბზიფზე განლაგებულ დასახლებებთან ერთად შექმნიან აფხაზეთის კაზაკთა ჯარს აფხაზეთის სამხედრო ოკრუგის უფროსის მეთაურობით; 5. ყუბანისა და აფხაზეთის ჯარებს შორის საზღვრად დაწესდეს ქედი, რომელიც გაგრის ვიწროებს კეტავს და ამჟამად აფხაზეთს ჯიქების მიწა-წყლისაგან გამოყოფს[1394].

1864 წლის აპრილში ალექსანდრე II-მ მოიწონა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ წარმოდგენილი წინადადებები. მაისში მ.რომანოვს გაეგზავნა იმპერატორის შესაბამისი ბრძანება, რომლის რეალიზაცია მან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დ.სვიატოპოლკ-მირსკის და აფხაზეთის ჯარების სარდალს, გენერალ პ.შატილოვს დაავალა. 24 ივნისს მ.რომანოვმა ოფიციალურად აუწყა მიხეილ შარვაშიძეს იმპერატორის ბრძანება აფხაზეთის მთავრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ[1395]. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე მზად ჰქონდათ წინადადებები აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ მისი მიწა-წყლის მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლის შესახებ. დ.სვიატოპოლკ-მირსკი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ ა.კარცოვს 1864 წლის 27 ივნისს სწერდა: „თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ვფიქრობ, ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“[1396]. ხელისუფლებას სურდა, რაც შეიძლება ჩქარა შედგომოდა აფხაზეთის კოლონიზაციას. „თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკ-რუსების მეშვეობით“[1397], – აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მისი წინადადებით, ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიას შორის საზღვრად უნდა დადგენილიყო გაგრის ქედი და ესეც მხოლოდ ერთი მიზნით: „თუ ჩვენ ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფის ორსავე მხარეს, –

1393 . . . ., გვ. 208; ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 63.
1394 . სცსსა, ფ. 5, აღწ. 1, ს. 7506, ფ. 41; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი. გვ. 329-333.
1395 . სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, ს. 177, ფ. 48; . . , ..., გვ. 250-252.
1396 . ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, გვ. 7.
1397 . იქვე.

სწერდა დ.სვიატოპოლკ-მირსკი 1864 წლის 6 ივნისის წერილში გენერალ ა.კარცოვს, – შევძლებთ საფუძველი ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში“[1398].

1864 წლის 12 ივლისს ქ.სოხუმში ჩამოსულმა დ.სვიატოპოლკ-მირსკიმ აფხაზეთის სამივე ოლქის წარმომადგენლებს გამოუცხადა იმპერატორის ბრძანებულება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების და უშუალო რუსული მმართველობის შემოღების შესახებ[1399]. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. იგი შედგებოდა ბზიფის, სოხუმის, აბჟუის ოკრუგებისაგან, სამურზაყანოსა და წებელდის საბოქაულობებისაგან. სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) უფროსად აფხაზეთის ჯარების სარდალი, გენერალი პ.შატილოვი დაინიშნა[1400]. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელიც მაშინ ავადმყოფობდა და ითხოვდა, აფხაზეთში თუ არა, იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში ცხოვრების უფლება მიეცათ, 1864 წლის ნოემბერში ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც 1866 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა. მაისში მისი ნეშტი ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს[1401]. ამრიგად, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით და რუსული მმართველობის შემოღებით ამ მხარეში კოლონიური პოლიტიკური რეჟიმი მკვიდრდება[1402].

1865 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 13037 კომლი (79190 სული) შეადგინა[1403].

უშუალო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, აფხაზეთის რუსული ადმინ-ისტრაცია შეუდგა ზრუნვას ამ მხარეში „სახელმწიფოებრივი წესრიგის“ დამყარებისათვის, რაც, პირველ რიგში, თანმიმდევრული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. 1866 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილებაში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის მზადება დაიწყო, მაგრამ აფხაზეთის სოციალურ-საზოგადოებრივი წყობის თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ, ჩინოვნიკური აპარატის უხეშმა ჩარევამ აფხაზთა ცხოვრების წესში, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ადგილობრივი მოსახლეობისა-თვის მიუღებელმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ და თავისი ხასიათით ბატონყმური რეფორმისათვის ნიადაგის მომზადებამ აფხაზეთის მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. იგი დაიწყო 1866 წლის 26 ივლისს სოფ. ლიხნში მრავალათასიანი შეკრებით. იმავე დღეს აჯანყებულებმა მთავრის სასახლეში შეხიზნული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კონიარი და სხვა ჩინოვნიკები სიცოცხლეს გამოასალმეს. აჯანყებამ მალე თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა. ცარიზმმა აფხაზეთში სასწრაფოდ გადაისროლა ჯარის ნაწილები და აგვისტოში აჯანყება ჩაახშეს. მისი ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები სასტიკად დასაჯეს.

ამის შემდეგ ცარიზმი მხარის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმის მომზადებას შეუდგა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გაძლიერებას. 1866წ. 11 აგვისტოს დებულების თანახმად, სოხუმის სამხედრო განყოფილება ბიჭვინთის, დრანდის, წებელდის, ოქუმის ოკრუგებად დაიყო. ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით შევიდა მასში ქ.სოხუმი. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლება მიენიჭა, თუმცა ნომინალურად ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. იმის გამო, რომ ცარიზმს გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. ბზიფიდან მდ. ენგურამდე შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაცია კაზაკ-რუსებით, სამურზაყანო (ოქუმის ოკრუგი) აფხაზეთს შეუერთეს.

1866 წლის აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების გეგმის პირველი დასაბუთება, რომელიც მოცემულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ.სვიატოპოლკ-მირსკის 1866 წლის 27 ოქტომბრის მიმართვაში კავკასიის მთიელთა სამ-მართველოს უფროსის დ.სტაროსელსკისადმი. მასში ნათქვამია: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი

1398 . იქვე.

1399 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 711-712.

1400 . სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, ს. 177, ფ. 78; , . 1, გვ. 201; . . . , გვ. 67.

1401 . , 1866, №68.

1402 . , გვ. 87.

1403 . . . - , V. - , 1866, №76.

საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება“[1404]. დ.სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, თუ ამ ნაბიჯზე წავიდოდნენ, ყველა სხვა საშუალება ზედმეტი იქნებოდა და საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდებოდა. იგი ამ ღონისძიებას იმ სისტემის დაგვირგვინებად მიიჩნევდა, რაც მიღებულ იქნა დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომთა მიმართ[1405]. კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აფხაზთა გადასახლებას მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნევდნენ, რამდენადაც აფხაზეთი და წებელდა გეოგრაფიული მდებარეობის გამო დიდ როლს ასრულებდნენ კავკასიის ომის დროს და, მათი აზრით, კვლავაც ექნებოდა დიდი მნიშვნელობა კავკასიაში ყოველგვარი საომარი მოქმედებისას. ამიტომ ამ მხარის მუსლიმი მოსახლეობის შემცირება მათი თურქეთში გადასახლების გზით, როგორც მიაჩნდა მთავრობას, ხელს შეუწყობდა პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ამ მხარეში[1406]. მეფისნაცვალი მ.რომანოვი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „აფხაზთა გადასახლების მთავარ ამოცანად მიაჩნია რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან მოსახლეობის იმ ნაწილის მოშორება, რომელიც ხელისუფლებისადმი ყველაზე უფრო მტრულად არის განწყობილი“[1407].

1866 წლის ნოემბერში ალექსანდრე II დათანხმდა, პირველივე შესაძლებლობისთანავე აფხაზეთისა და წებელდის მუსლიმი მოსახლეობა თურქეთში გაესახლებინათ. იმპერატორისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, მიხეილ რომანოვმა კავკასიის ჯარების შტაბის უფროსს, გენერალ ა.კარცოვს უბრძანა, დაუყოვნებლივ შედგომოდა ამ გადაწყვეტილების შესრულებას[1408]. თავის მხრივ, მუსლიმი აფხაზებიც დაჟინებით მოითხოვდნენ თურქეთში გადასახლებას, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ ელჩს თურქეთში, გრაფ ნ. იგნატიევს დაავალა, ამის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა პორტასთან. მალე რუსეთის ელჩი შეუთანხმდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი ფაშას აფხაზთა გადასახლების შესახებ. შეთანხმება მოხდა იმაზეც, რომ თურქეთის ხელისუფლებას მუჰაჯირები რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა[1409].

კავკასიის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ იმჟამად ხელისუფლებისათვის უმთავრესი აფხაზთა გადასახლების საკითხი იყო. ამასთან, ხელისუფლება აღიარებდა, რომ თუ აფხაზეთის მთელი მუსლიმი მოსახლეობა მოისურვებდა გადასახლებას, გარკვეულ სირთულესა და უხერხულობას შექმნიდა. ამიტომ, მათი აზრით, ეს პროცესი უნდა დაერეგულირებინათ. რეკომენდებული იყო ასევე, რომ გადასახლებულთათვის უკან დაბრუნების ნება არ დაერთოთ[1410].

რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარ განსაზღვრა ემიგრანტთა რიცხვი. ნავარაუდევი იყო აფხაზთა 4500 ოჯახის გასახლება. თავის მხრივ, პორტა მზადყოფნას გამოთქვამდა, აფხაზეთიდან 4000 ოჯახი მიეღო[1411].

მეფისნაცვალი მ.რომანოვი 1867 წლის 13 თებერვალს ალექსანდრე II-ს სწერდა, რომ კავკასიის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ძალით არ განდევნოს აფხაზები თურქეთში, მაგრამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ გადასახლებას. ამასთანავე ხელისუფლებას სურდა პირველ რიგში გაესახლებინა სტრატეგიული მნიშვნელობის, – წებელდა-დალის მუსლიმი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა მთის ძნელად მისადგომ ადგილებში და კავკასიონის ქედის უღელტეხილებით კავშირი ჰქონდა ყარაჩაელებთან და ყაბარდოელებთან. ამასთან ხელისუფლება მათ რეფორმის საწინააღმდეგო მოძრაობაში სდებდა ბრალს და თვლიდა, რომ წებელდა-დალი მეტნაკლებად დაკავშირებული იყო აჯანყებასთან[1412].

1404 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფ. 21; . . . ...,გვ. 283.
1405 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფ. 21.
1406 . . . .,გვ. 284.
1407 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1,ს. 91, ფ. 74; . . . ..., გვ. 284.
1408 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1,ს. 91, ფ.. 19; . . , ...,გვ. 284.
1409 . . . .,გვ. 285.
1410 . იქვე.
1411 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1,ს. 91, ფ. 4-6; . . . ...,გვ. 283.
1412 . . . ., გვ. 285-286.

თურქეთისაგან თანხმობის მიღების შემდეგ მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა, აპრილის ბოლოდან დაწყებულიყო აფხაზთა გადასახლების პროცესი. სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ადგილებში კვლავ გადაისროლეს ჯარები[1413]. ჯერ კიდევ გადასახლების დაწყებამდე, 1867 წლის 6 აპრილს, სოფ. ფსირცხადან მუჰაჯირთა პირველი ნაკადი სამი ხომალდით წავიდა ბათუმში, რომელიც მაშინ თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ესენი იყვნენ ჯიქები და ფსხუელები (49 ოჯახი, 218 სული), რომლებიც სოფ. ფსირცხაში 1864 წლიდან ცხოვრობდნენ[1414].

1867 წლის აპრილის ბოლოს მუჰაჯირობის ორგანიზებული პროცესი დაიწყო. აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა, რაც აშკარად ჩანს იმდროინდელი დოკუმენტებიდან. 1867წ. 31 მარტს მეფისნაცვალი იმპერატორს სწერდა, რომ ბიჭვინთის ოლქის მცხოვრებთ არ სურდათ თურქეთში წასვლა. აფხაზები ნებაყოფლობით

ქრისტიანობასაც იღებდნენ, რომ დარჩენა მოეხერხებინათ[1415]. გაზ. „დროება“ მაშინ იუწყებოდა: „აფხაზები ძლიერ დაჯავრიანებულნი არიან... სამურზაყანოში კანკალებენ შიშით, ვაითუ ჩვენც გადაგვასახლონო... აქაურებს და აფხაზებს დიდი ნათესაობა აქვთ. წებელდელები, დალელები და გუფუელები წავიდნენ. აბჟუის მაზრიდანაც მრავალი წავიდა. ჭილოუელები და ჯგერდელები გამორეკეს თავიანთი ბინიდან. მათ საშინელი გულით არ უნდათ წასვლა. აფხაზები დიდად აქებენ ბზუფუს მაზრის უფროსს დიმიტრი ჭავჭავაძეს. მან მამობრივი მზრუნველობით აუხსნა, რომ რუსის მმართველობის ქვეშ ყოფნა სჯობს ოსმალეთში გადასახლებას“[1416]. მიუხედავად იმ შიშისა, რომელიც სამურზაყანოელებს ჰქონდათ, მუჰაჯირობა მათ არ შეხებია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობა ძირითადად ქართული და, შესაბამისად, ქრისტიანული იყო, ხოლო აფხაზები, ვინც აქ ცხოვრობდნენ, ქრისტიანები იყვნენ.

წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) მოგვიანებით იგონებდა, რომ მუჰაჯირობის დროს აფხაზეთის ეპისკოპოსთან ალექსანდრე ოქროპირიძესთან (1862-1869წწ.), რომელიც დიდი სიყვარულითა სარგებლობდა აფხაზებში, მოსულა მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, 12 წლის შვილთან ერთად. მან მღვდელმთავარს აუხსნა, რომ სამუდამოდ მიდის ოსმალეთში. მისი თხოვნა ასეთი იყო:

„ჩემი ვაჟი მინდა დავსტოვო შენთან... ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი, რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ სამშობლოს. არ მინდა, ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი, მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულათ და იქნება ბედნიერი“.[1417] თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა შვილს, რომელიც ეპ. ალექსანდრემ აღზარდა, გახდა მღვდელი და დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში.

კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ა.კარცოვი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა გადასახლების ხელშემწყობი გარემოება იყო „აფხაზური საგვარეულოების ნათესაური თუ მეგობრული კავშირები თურქეთში წასულ აფხაზურ თუ დასავლეთ კავკასიის მთიელებთან“[1418]. მათმა გადასახლებამ ნამდვილად იქონია დიდი გავლენა ამ მოძრაობის დაწყებაზე აფხაზეთში. იგივე ა.კარცოვი ხაზს უსვამდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით საზოგადოების ზედაფენებს არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, მიებაძათ ერთმორწმუნე მთიელებისათვის და თურქეთში წასულიყვნენ[1419].

1413 . იქვე, გვ. 286.

1414 . სცსსა,ფ. 545, აღწ. I, ს. 91, ფურც. 115: . . . ,გვ. 286.

1415 . . . . , გვ. 288.

1416 . ,დროება, 1867, №23. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთის ოლქის მცხოვრებლებმა 1868 წ. თხოვნით მიმართეს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს გენერალ ვ. გეიმანს, ოლქის უფროსად მაიორ დ. ჭავჭავაძის დატოვების შესახებ,რომელსაც ძალიან ემადლიერებოდნენ, განსაკუთრებით, 1867 წლის მუჰაჯირობის დროს დაკავებული პოზიციის გამო (სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 324, ფ. 5-11).

1417 . წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი..., გვ. 205; ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 70.

1418 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფ. 27: . . . ,გვ. 282.

1419 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფ. 28.

აფხაზი მემამულეები დაშინებული იყვნენ საგლეხო რეფორმითაც. ისინი ხედავდნენ, რომ სამთავროს გაუქმებისა და 1866წ. აჯანყების შემდეგ ხელისუფლების დამოკიდებულება მათ მიმართ შეიცვალა. ცარიზმს ადგილობრივი თავადაზნაურობა უკვე არ მიაჩნდა დასაყრდენად, რაც იმაში გამოიხატა, რომ არ ცნო მათი უფლებები გლეხთა მიწებზე. ამაში მჟღავნდებოდა ცარიზმის სურვილი, თავის განკარგულებაში მიეღო მიწების მნიშვნელოვანი ფონდი შემდგომი კოლონიზაციისათვის[1420]. ამის გამო აფხაზმა თავადაზნაურობამ გადაწყვიტა, თურქეთში წაეყვანა დამოკიდებული გლეხობაც და მათ ხარჯზე აეგო იქ თავისი ბედნიერება[1421].

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, გენ. მ.ტოლსტოი 1867წ. 16 მარტს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სწერდა, რომ დაახლოებით 40 წებელდელ თავადს 1 მაისიდან განზრახული ჰქონდა თურქეთში გადასახლება გლეხთა 2170 ოჯახთან ერთად[1422]. გლეხები აუცილებლად უნდა წაჰყოლოდნენ თავიანთ მემამულეებს. ამას განაპირობებდა ტრადიცია და ნათესაური დამოკიდებულება თავად-აზნაურებთან. წებელდა-დალიდან გადასახლებულთა შორის იყვნენ 1866წ. აჯანყების აქტიური მონაწილეები: კვაჯ ზურაბ-იფა მარშანი, თათლასთან თენგიზ-იფა მარშანი, ფსხუბეი სასტანღაზ-იფა მარშანი, ყიზილბეკ მარშანი, შირინბეი მარშანი და სხვები[1423].

როცა გადასახლების პროცესმა მნიშვნელოვანი გაქანება მიიღო, ხელისუფლება შეეცადა, შეეზღუდა იგი, რასაც მიაღწია კიდეც. 1867 წლის ივნისის დასაწყისში გადასახლების პროცესი დასრულდა. თურქეთის ხელისუფლებამ, შეთანხმებისამებრ, მუჰაჯირები რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან შორს დაასახლა – ნაწილი ანატოლიაში, ხოლო ნაწილი ბალკანეთში, ძირითადად ბულგარეთში[1424].

გადასახლების პროცესში დგებოდა მუჰაჯირთა სიები სოფლების მიხედვით, ოჯახების რაოდენობის, ოჯახის თავკაცების სახელისა და გვარის მითითებით, ოჯახის წევრთა (ქალები, კაცები) რაოდენობის ჩვენებით. ამ სიების მიხედვით, სოფ. ფსირცხადან გადასახლდა 51 ოჯახი(210 სული), სოფ. ფოქვეშიდან – 10(69 სული). აქედან 9 ოჯახი ფაჩულია – 65 სული, 1 ოჯახი ჯინჯია - 4 სული), სოფ. ჭლოუდან – 125 (539 სული), სოფ. ათარიდან – 7 (43 სული) და ა.შ. ბიჭვინთის ოკრუგიდან გადასახლდა 226 ოჯახი(1357 სული), დრანდის ოკრუგიდან – 629 ოჯახი (3245 სული), წებელდის ოკრუგიდან – 2503 ოჯახი (14740 სული). ამრიგად, აფხაზეთიდან, წებელდა-დალთან ერთად, გადასახლდა არა დაგეგმილი 4500, არამედ 3358 ოჯახი, 19342 სული[1425].

1867 წლის აგვისტო-სექტემბერში სოხუმის ოლქის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვ.გეიმანმა შემოიარა მისდამი რწმუნებული მხარე. 26-28 სექტემბერს ის იყო წებელდასა და დალში. მხარე თითქმის მთლიანად იყო „გაწმენდილი“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ვ.გეიმანმა ნება დართო მიხეილ მარშანს, 17 ოჯახთან ერთად, რომლებმაც კოდორის ადიდების გამო ვერ მოახერხეს თურქეთში წასვლა, აქ გაზაფხულამდე დარჩენილიყო[1426].

კავკასიის მთიელთა სამმართველოს ცნობით[1427], 1867 წლის ნოემბრისათვის სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) მოსახლეობა ოკრუგების მიხედვით ასეთი იყო:

ოკრუგები	კომლების რაოდენობა	ოჯახების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა		
			მამაკაცთა	ქალთა	სულ

1420 . . . . , გვ. 279-280.
1421 . იქვე, გვ. 280.
1422 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1, ს. 91, ფ. 1; . . . , გვ. 281.
1423 . იხ. . . ...,იქვე, გვ. 118-119.
1424 . . . .,გვ. 287-289.
1425 . ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 72-73.
1426 . სცსსა, ფ. 545, აღწ. 1,ს. 252,ფ. 2.
1427 . , . 1, . II, გვ. 39.

ბიჭვინთის	4730	14183	14183	12300	26483
დრანდის	2868	3278	8824	7681	16505
ოქუმის	3493	3493	11795	10063	21858
წებელდის	27	27	46	41	87
სულ	11118	12696	34848	30085	64933

თითქმის მთლიანად „გაიწმინდა“ წებელდა და დალი. ამ თემების თითქმის 15 ათასიანი მოსახლეობა თავისი სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გადაასახლეს. 1868 წლის მონაცემებით, წებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში – არცერთი[1428]. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ სულ მალე, 1874 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ინგლისელი მოგზაური გროვე. იგი ყარაჩაიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში. ინგლისელი მოგზაური მოიხიბლა კოდორის ხეობით: „ძნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელოთი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება“, – აღფრთოვანებით წერს იგი. მაგრამ მოგზაურს სევდა და ნაღველი იპყრობს, როცა ხედავს, რომ აქ ადამიანის ყოფნის არავითარი კვალი არ ჩანს. „ხეობის ზემო წელი სრულიად უკაცრიელი იყო“ – აღნიშნავს იგი[1429].

1867 წელს აფხაზთა მუჰაჯირობის გამო დაცარიელებული მიწა-წყლის დასახლებისა და სოხუმის სამხედრო განყოფილების მმართველობის შემდგომი ცენტრალიზაციის აუ-ცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება, რომელიც 1868 წლის მაისში განხორციელდა. გამსხვილდა ადმინისტრაციულ-ტერიტო-რიული ერთეულები. შეიქმნა ორი ოკრუგი: ბიჭვინთის, რომელიც შედგებოდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებისაგან, და ოჩამჩირის - კოდორისა და სამურზაყანოს უბნებისაგან. კოლონიზაციისათვის განკუთვნილ წებელდაში, განსაზღვრული იყო დასახლებათა სამზრუნველოს შექმნა[1430]. ასეთმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1883 წლამდე იარსება.

სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ.ბეღერეფსთაზე (ხოლოდნაია რეჩკა) გადიოდა, სადაც მას ყუბანის ოლქის შავი ზღვის ოკრუგი ესაზღვრებოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგურზე, ხოლო ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე[1431].

აფხაზეთის ეკლესია 60-იან წლებში. 1860წ. 9 ივნისს შეიქმნა „კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, რომელიც მოწოდებული იყო ამ მხარეში მაჰმადიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით მის ფარგლებში იყო გათვალისწინებული მისიონერული მუშაობა. საზოგადოების დროშით, რუსი მისიონერების მეშვეობით კავკასიაში მთიელთა აშკარა რუსიფიკაცია წარიმართა[1432]. საზოგადოებამ თავისი მუშაობა აფხაზეთშიც გაშალა. ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ (1862-1869წწ.) შეძლო მართლმადიდებლობის პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება აფხაზეთში. მისი მეცადინეობითა და ბიჭვინთის ოკრუგის უფროსის დ.ჭა-ვჭავაძის ძალისხმევით 1867წ. მოხერხდა სამი ათასამდე აფხაზის მონათვლა. ეპისკოპოსი ალექსანდრე საკუთარი სახსრებით ზრდიდა და სასულიერო განათლებას აძლევდა აფხაზ ყმაწვილებს[1433].

1867წ. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ.გეიმანმა მეფისნაცვალს ვრცელი მოხსენება წარუდგინა „აფხაზეთში ქრისტიანობის შესახებ“, სადაც აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება „გაუგებარ ქართულ ენაზე

1428 . იქვე.
1429 . . , გვ. 212.
1430 . . . ...,გვ. 279; , გვ. 89-90, . , ..., გვ. 32.
1431 . ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 74.
1432 . : . . . . . ,1989, გვ. 442.
1433 . წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ. 36-37, 143-145.

სრულდებოდა“. მოსახლეობის მცირერიცხოვნების გამო იგი აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებისა და მისი იმერეთის ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარების საკითხს აყენებდა. აფხაზთა 1866წ. აჯანყებისა და 1867წ. მუჰაჯირობის შემდეგ ვ. გეიმანმა ჩათვალა, რომ ხელსაყრელი დრო დადგა აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის გარუსებისათვის, ამასთან მას ქართული სამღვდელოების ჩამოშორება და მათი რუსი სამღვდელოებით შეცვლა სურდა. 1869წ. 30 მაისს აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიას შეუერთდა. იმერეთის ეპისკოპოსი და აფხაზეთის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) დიდ მისიონერულ მუშაობას ეწეოდა აფხაზეთში. 1868-1877წწ. მისი ძალისხმევით 19 ათასამდე აფხაზი მოინათლა[1434]. აფხაზეთის დაჩქარებული ასიმილაციის იმპერიული გეგმა კი ვერ განხორციელდა, რაშიც უზარმაზარი წვლილი გაბრიელ ეპისკოპოსს მიუძღვის.

აფხაზური დამწერლობის შექმნა. 1861 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის მთის უდამწერლობო ხალხებისათვის დამწერლობის შექმნის თაობაზე. ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ ენათმეცნიერი, მეფის არმიის გენერალი პ.უსლარი წერდა: „ამ ენების უგულებელყოფა შეუძლებელია... რამდენი ენაც უნდა შევისწავლოთ, ვერცერთი ვერ აღიბეჭდება ჩვენს სულიერ სამყაროში ისე ღრმად, როგორც მშობლიური ენა, ენა, რომლითაც უშუალოდ გამოითქმის ჩვენი ცნობიერების თავისებური წყობა. ეს მშობლიური ენები საიმედო მეგზურები არიან მთიელთა შორის ახალი ყაიდის მცნებათა გავრცელებისათვის. ავიყვანოთ ეს მეგზურები საკუთარ ხელში, შევძლოთ მათი გამოყენება და მართვა... რთული საქმეა, მაგრამ იმსახურებს იმას, რომ მასზე დავფიქრდეთ“[1435]. რუსეთის ხელისუფლება დათანხმდა კავკასიის მთის ხალხებისათვის დამწერლობის შექმნას, მაგრამ გადასაწყვეტი დარჩა, რომელი ანბანი (გრაფიკა) იყო მიზანშეწონილი ამ მიზნით გამოსაყენებლად. ცნობილი ენათმეცნიერები: გ.როზენი, ა.შიოგრენი, ა.შიფნერი სამართლიანად თვლიდნენ, რომ მთის კავკასიურ ენებსა და ქართულს ერთი ბგერითი სისტემა აქვთ, ამიტომ ქართული ანბანი (გრაფიკა) მცირეოდენი ცვლილებების შემდეგ სავსებით გამოსადეგია კავკასიური ენებისათვის. ამ აზრს პ.უსლარიც იზიარებდა. მისი აზრით, ქართული ანბანი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი იყო არსებულ ანბანთა შორის, სადაც ყოველი ბგერა ცალკე ასო-ნიშნით გადმოიცემა და ყოველი ასო-ნიშანი ყოველთვის ერთსადაიმავე ბგერას გამოსახავს. „ქართული ანბანის სისტემა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყველა კავკასიური ენის ანბანის საფუძვლად, რომელთაც დღეს დამწერლობა არა აქვთ. მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან არამხოლოდ ანბანის სისტემას, არამედ ასოების მოხაზულობასაც ვისესხებთ, სრულიად თავისუფლად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო იქნება საგრძნობი, რაც წერა-კითხვის ცოდნა კავკასიაში გავრცელდება“[1436]. ამრიგად, კავკასიის მთის უდამწერლობო ხალხებისათვის დამწერლობის შექმნა ემსახურებოდა არა კულტურულ, არამედ პოლიტიკურ მიზნებს – გაეადვილებინა მთიელებისათვის რუსული ენის შესწავლა და, საბოლოო აზრით, მათი ასიმილაცია. ამიტომ მიჩნეულ იქნა, რომ კავკასიის მთის ხალხთა ენებისათვის, და მათ შორის აფხაზურისათვის, მიზანშეწონილი იყო რუსული ანბანის (გრაფიკის) გამოყენება გარკვეული ცვლილებებით.

1861წ. თბილისში შეიქმნა სპეციალური კომისია ცნობილი ნუმიზმატისა და სიძველეთა მკვლევარის, მეფის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, ი. ბართოლომეის ხელმძღვანელობით, რომელიც შეუდგა მუშაობას აფხაზური დამწერლობისა და საანბანო წიგნის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ დ.ფურცელაძე, მღვდელი ვ.ტრირიროგოვი, აფხაზეთის მკვიდრნი: მღვდელი იოანე გეგია, პრაპორშიკი გიორგი ქურციკიძე, აზნაური სიმონ ეშბა, რომლებმაც იცოდნენ აფხაზური, ქართული და რუსული ენები. 1862 წლიდან პ. უსლარიც შეუდგა აფხაზური ენის შესწავლას. სულ მოკლე ხანში პ.უსლარი გაერკვა ამ ენის სტრუქტურაში და იმავე 1862 წლის მაისში თბილისში გამოსცა მონოგრაფია „აფხაზური ენა“, რომელსაც ერთვოდა მის მიერ რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი აფხაზური ანბანი.

1434 . წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი. შემდგ. ჯ. გამახარია. თბ., 2007, გვ. 124, 200-204.

1435 . . . . , გვ. 16-17.

1436 . . . ., გვ. 48-49.

აფხაზურ ანბანში ყოველგვარი ცვლილების გარეშე შევიდა რუსული ანბანის 24 ასო-ნიშანი (19 თანხმოვანი და 5 ხმოვანი), რომლებიც ორივე ენისათვის საერთო ფონემებს აღნიშნავდა; დანარჩენი სპეციფიკური ფონემების გამოსახატავად გამოყენებული იყო რუსული ანბანის ასო-ნიშნები გარკვეული ცვლილებებით. გარდა ამისა, ზოგიერთი ასო-ნიშანი ნასესხები იყო სხვა ანბანებიდან (ქართული, ლათინური, ბერძნული, სლავური). მოგვიანებით, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორმა მ. ზავადსკიმ 1887წ. პ.უსლარის „აფხაზური ენა“ სტამბური წესით გამოსცა, აფხაზური ანბანიდან ამოიღო მის მიერ ნასესხები ქართული ასოები: წ,ჭ,ჯ. ამდენად, მან ეს სამი ქართული ასო-ნიშანიც ვერ აიტანა აფხაზურ ანბანში.

თითქმის იმავდროულად ი.ბართოლომეის კომისიამაც დაასრულა მუშაობა აფხაზურ საანბანო წიგნზე და ანბანზე, რომელშიც გამოყენებული იყო ქართული გრაფიკა. თუმცა, საბოლოოდ, კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პ.უსლარის მიერ შედგენილი ანბანი უფრო შეესაბამებოდა აფხაზური ენის ბგერებს. როგორც ჩანს, კომისიის ამ გადაწყვეტილებაშიც შორსმიმავალი პოლიტიკური ზრახვები იმალებოდა. ცნობილი ქართველი მოღვაწე ნ.ჯანაშია ამის თაობაზე წერდა, რომ რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, ბოლო მოეღო იმ მცირეოდენი ნაშთისათვისაც კი ისტორიული კავშირისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა აფხაზებსა და ქართველებს და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენეს ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორიც არის დამწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე. ქართულ ასოებსაც შესწამეს პოლიტიკური არასაიმედოობა და ქართული ანბანი უარყოფილ იქნა[1437].

აფხაზური დამწერლობის შექმნა ემსახურებოდა ქართული სამყაროსაგან აფხაზთა ჩამოცილებისა და მათი გარუსების მიზანს, თუმცა პოლიტიკური მიზანდასახულობის მიუხედავად, ეს იყო მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული მოვლენა აფხაზი ხალხის ცხოვრებაში[1438]. რეალურად ხელისუფლებას აფხაზური ენის ბედი არ აინტერესებდა, რადგან მისი ადგილი რუსულ ენას უნდა დაეკავებინა. პ.უსლარი გულახდილად აღნიშნავდა, რომ „...ტუზემცების დამწერლობა უნდა ემსახუროს მხოლოდ იმას, რომ მათ გაუადვილდეთ რუსული ენის შესწავლა. თავიანთი მდგომარეობის გამო მათ დამოუკიდებელი ლიტერატურის შექმნა არ შეუძლიათ და იგი არც არასოდეს ექნებათ“[1439]. აფხაზური დამწერლობის შექმნა რომ ემსახურებოდა არა კულტურულ, არამედ პოლიტიკურ მიზანს, ამაზე დაუფარავად წერდა მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ე.ვეიდენბაუმი: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა განწირულია გასაქრობად ასე თუ ისე ახლო მომავალში. საკითხი ისაა, რომელი ენა შეცვლის მას. ალბათ, მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებების გამტარებლის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის გამოყენების დასუსტებისა და სახელმწიფო ენით მისი თანდათან შეცვლის საშუალება“[1440].

ი.ბართოლომეის კომისიამ დიდი მუშაობა გასწია აფხაზური საანბანო წიგნის შესადგენად. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა აფხაზმა მოღვაწეებმა კ.შარვაშიძემ და გრ.შარვაშიძემ. საანბანო წიგნს საფუძვლად დაედო პ.უსლარის ანბანი, რომელმაც გარკვეული ცვლილება განიცადა, და აფხაზური ენის აბჟუური დიალექტი. 1865წ. თბილისში გამოვიდა „აფხაზური საანბანო წიგნი“, რომელიც პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. ცარიზმი ცდილობდა მოსახლეობისათვის პირველ რიგში საეკლესიო ლიტერატურა მიეწოდებინა მისთვის ყველაზე უფრო გასაგებ მშობლიურ ენაზე. 1866წ. თბილისში კიდევ ერთი წიგნი გამოვიდა აფხაზურ ენაზე: „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ გამოსცა

1437 . ჰამუთ-ბეი. ჭრელი შენიშვნები აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ, მეხუთე წერილი. – დროება, 1909, ნოემბერ-დეკემბერი.

1438 . თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია. ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. – ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი 2001, გვ. 101-102.

1439 . Ш. Д. Инал-Ипа. Страницы абхазской литературы. Сухуми,1980,გვ. 23.

1440 . . . . . , 1970, გვ. 96.

„მოკლე წმიდა ისტორია“, რომელიც რუსულიდან ი.გეგიამ, გ.ქურციკიძემ, დ.მარდანიამ თარგმნეს. მაგრამ 1866 წლიდან ცარიზმის მიერ აფხაზების მიმართ დაკავებულმა პოზიციამ აფხაზური დამწერლობის განვითარებაში უარყოფითი როლი შეასრულა. 1868წ. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ საბჭომ აფხაზური ენა მიიჩნია „იმდენად ჩვილ და განუვითარებელ“ ენად, რომ მასზე ყოველგვარი თარგმანის მცდელობა შეწყდა[1441].

აფხაზთა საზოგადოების ზედაფენა, რომელსაც უსიტყვოდ მიჰყვებოდა ხალხის დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ ქართული ორიენტაციისა იყო, რაც კარგად ჩანს აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის დეპუტატთა 1870წ. 23 მარტის მოხსენებითი ბარათიდან წოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ დ.სვიატოპოლკ-მირსკისადმი. მას ხელს აწერდნენ ბ.ემუხვარი, მ.მარშანი, ტ.მარდანი, კ.ინალ-იფა. აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. ისინი ხაზს უსვამდნენ აფხაზთა და ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების, ისტორიული ბედის ერთიანობას.

5. აფხაზეთის კოლონიზაცია XIX ს. 60-70-იან წლებში

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ ცარიზმმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. აფხაზეთის უცხოური კოლონიზაცია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების საფიქრალს წარმოადგენდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ შავი ზღვის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის იდეოლოგი ა. ვერეშჩაგინი მაშინ წერდა: „როგორც ფსოუს, ისე მძიმთას აუზებში უკვე რამდენიმე წელია სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ იყო“[1442].

მკვიდრთა გასახლების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების წინაშე იდგა ამოცანა, კვლავ დაესახლებინა ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ გაუკაცრიელებული მხარე; მისი ბუნებრივი სიმდიდრე – ვრცელი ტყეები და ნაყოფიერი მიწები – აეთვისებინა, განევითარებინა მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა. მაგრამ უმთავრესი იყო მხარის მოსახლეობის საკითხი. ხელისუფლებას სურდა, შავი ზღვის სანაპირო ზოლში პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად საიმედო მოსახლეობა ჰყოლოდა[1443]. ამ ამოცანების რეალიზაციის მიზნით შემუშავდა „დებულება შავი ზღვის ოკრუგის დასახლებისა და მისი მართვის შესახებ“, რომელიც იმპერატორმა 1866 წლის 10 მარტს დაამტკიცა. დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა შავი ზღვის ოკრუგი[1444].

1866წ. 10 მარტის დებულების თანახმად შავი ზღვის სანაპირო ზოლი განსაზღვრული იყო რუს მოახალშენეთა „სანაპირო სასოფლო დასახლებების“ შესაქმნელად. გადმოსახლებულებისათვის გათვალისწინებული იყო მთელი რიგი შეღავათები: ნადელები – ოჯახზე 30 დესეტინა, ერთდროული ფულადი დახმარება (50 მან.), გადასახადებისაგან გათავისუფლება 15 წლით, სარეკრუტო ვალდებულებისაგან გათავისუფლება და სხვ. მაგრამ პირველ ხანებში შავი ზღვის ოკრუგში გადმოსახლებული რუსების რიცხვი მაინც მცირე იყო. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გადმოსახლებაზე უარი არ ეთქვა ქრისტიანებისთვის ამიერკავკასიიდან და ანატოლიიდან, სლავებისათვის, მოლდაველებისათვის და სხვ. ასეთი პოლიტიკის წყალობით, ანაპასა და ნოვოროსიისკს შორის რუსების გარდა დასახლდნენ ჩეხები, ბულგარელები, ბერძნები[1445]. შავი ზღვის ოკრუგის საუკეთესო მიწები დაისაკუთრეს იმპერატორმა და მისმა ნათესავებმა, კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკებმა. მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე, სამხედრო დასახლება

1441 . 1860-1910 . , გვ. 157.
1442 . . . ., გვ. 66.
1443 . . . ., გვ. 7-16.
1444 . . . ., გვ. 7-11; . . . ..., გვ. 24.
1445 . . . ., გვ. 16-17; . . . ..., გვ. 20.

მოეწყო, ხოლო მდ.ცანდრიფშიდან ორ ვერსზე – მოლდაველების დასახლება, რომელსაც შავი ზღვის ოკრუგის უფროსის დ.პილენკოს პატივსაცემად 1870წ. პილენკოვო ეწოდა; ჯიქების აულში მდ.ფსოუს მარჯვენა ნაპირზე რუსები ჩასახლდნენ და მას ვესიოლოე ეწოდა[1446].

აფხაზეთის კოლონიზაცია იმავე პრინციპებით უნდა განხორციელებულიყო, როგორც შავი ზღვის ოკრუგის კოლონიზაცია. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ცარიზმმა ყოფილი მთავრისა და სამთავრო სახლის წევრთა ვრცელი სამფლობელოების კონფისკაცია მოახდინა. 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთში ბევრი „თავისუფალი მიწა“ გაჩნდა. ეს მიწები შევიდა სახაზინო მიწების ფონდში, რომელსაც კავკასიის მთიელთა სამმართველო განაგებდა[1447]. სახაზინო მიწების ფონდში შევიდა აგრეთვე მოსახლეობისაგან სრულიად გათავისუფლებული წებელდა, რომელსაც ასევე კავკასიის მთიელთა სამმართველო განაგებდა. წებელდის ოკრუგის ნაცვლად შეიქმნა წებელდის დასახლებათა „სამზრუნველო“. პირველ მზრუნველად რუსი ოფიცერი ნ.დიაჩკოვ-ტარასოვი დაინიშნა. მის მოვალეობას შეადგენდა მხარის გაწმენდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რომლებიც თავს აფარებდნენ ხეობის მიუვალ ადგილებს, განსაკუთრებით მდ. საკენის ხეობას; მას უნდა შეერჩია ადგილები მომავალი დასახლებების მოსაწყობად[1448]. ხელისუფლება თვლიდა, რომ წებელდის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს მხარე პოლიტიკური თვალსაზრისით სანდო ხალხით უნდა დასახლებულიყო. ნ.დიაჩკოვ-ტარასოვის აზრით, წებელდის კოლონიზაცია საჭირო იყო ამ მხარეში მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც აფხაზთა ხელში „საცოდავ დღეში იყო“. მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, აქ უნდა განევითარებინათ მებაღეობა, მეხილეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა, მესიმინდეობა. მრეწველობის განვითარებისთვის აქ იყო სამშენებლო ხე-ტყე, სპილენძის, რკინის, ტყვიის მადნები.[1449] გამოირჩეოდა ჯანსაღი ჰავით, რბილი კლიმატით, ნაყოფიერი ნიადაგით, ამიტომ წებელდის დასახლებათა მზრუნველის აზრით, პრობლემა არ უნდა გამხდარიყო აქ მოსახლეობის მოზიდვა. ამდენად, წებელდა შეიძლებოდა გამხდარიყო აყვავებული მხარე – შესანიშნავი ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, სამთამადნო წარმოებით, ოღონდ ამისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი და მთავარი პირობა – გზების გაყვანა[1450].

1867წ. წებელდაში 6 პუნქტი გამოიყო დასახლებისათვის: მიხაილოვსკოე – მდ.ამტყელის სანაპიროზე, ოლგინსკოე – მდ. აღმ. მაჭარის სათავესთან, ალექსანდროვსკოე – მდ.კელასურზე, ანასტასიევსკოე და ნიკოლაევსკოე – აფიანჩას მთასთან, მდ.ნაუშზე, ყოფილი სოფ. ნაუშის ტერიტორიაზე, გეორგიევსკოე – სოფ. ჯამფალის ტერიტორიაზე[1451].

ხელისუფლებას სურდა, წებელდაში აუცილებლად რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი პირველ ხანებში ხალისით არ მოდიოდნენ. ამასთან, მიწის სიმწირე-სივიწროვით სულშეხუთული ქართველები მოიწევდნენ აქ დასასახლებლად, რაც ხელისუფლების შეშფოთებას იწვევდა.

ასეთ პირობებში მთავრობამ არჩევანი უცხოელებზე შეაჩერა, უფრო სანდოდ ანატოლიელი ბერძნები და ბულგარელები მიიჩნია. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ ვ.გეიმანის ბრძანებით თურქეთიდან გადმოსახლებული პირველი ბერძენი კოლონისტები 1869წ. თებერვალ-მარტში სამ სოფელში – ალექსანდროვსკოეში, გეორგიევსკოეში, ოლგინსკოეში ჩაასახლეს. 1869წ. ივნისში სოხუმში ჩამოვიდა 1800-იანი წლების დასაწყისიდან ტირასპოლის გუბერნიაში მცხოვრები ბულგარელების 62 ოჯახი, რომლებიც ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში ჩაასახლეს[1452].

1446 . . . ., გვ. 70-95.
1447 . . . - . ..., გვ. 191; . . . ..., გვ. 431.
1448 . . . - . ..., გვ. 194.
1449 . . . - . . - , 1868, 129.
1450 . . . - . ...,გვ. 196.
1451 . იქვე.
1452 . იქვე, გვ. 196-199.

იმავდროულად ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი უბოძა რუს ჩინოვნიკებს – სამხედრო და სამოქალაქო პირებს, მაგრამ მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა სამსახურის პარალელურად მეურნეობის გაძღოლა, მიწების იჯარით გადაცემის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, რადგან მსურველები არ ჩანდნენ. ამის გამო მიწების დიდი ნაწილი გამოუყენებელი იყო. ასე თუ ისე აწყობილი მეურნეობა კოლონისტების მხოლოდ 8-10%-ს ჰქონდა. ჩინოვნიკთა დასახლებები არ ვითარდებოდა, მიწები დაუმუშავებლად იყო მიგდებული[1453].

1866 წლის აფხაზთა აჯანყების ჩახშობისა და 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ ცარიზმი უფრო მშვიდად შეუდგა აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებას. 1870წ. 8 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა დებულება სოხუმის სამხედრო განყოფილებაში საგლეხო რეფორმის შესახებ, რომლის გამოცხადება მთავრობამ რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ათ წლისთავს – 1871წ. 19 თებერვალს დაამთხვია. აფხაზეთში გაუქმდა ბატონყმობა, გლეხობა გათავისუფლდა ფეოდალთა პირადი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ უმნიშვნელო ნადელები მიიღო და დროებით დამოკიდებულ ურთიერთობაში დარჩა.

1872 წლიდან აფხაზეთში მიმდინარეობდა ე.წ. „საკურორტო“ კოლონიზაცია. ერთიდან სამ დესეტინამდე მიწა, ე.წ. „სანიტარული ნაკვეთები“ სოხუმსა და მის შემოგარენში შეღავათიანი პირობებით ეძლეოდათ რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს, მაგრამ 70-იან წლებში არც ამას მოჰყოლია დიდი წარმატებები[1454]. ხელისუფლება ფსხუს დასახლებასაც შეეცადა. ამ მიზნით აქ 21-ე სახაზო ბატალიონის შტაბი და 2 ასეული განათავსეს, რომლებიც 1874 წლამდე დარჩნენ. ამ დროიდან ბზიფის ხეობის ზემო წელი სრულიად დაცარიელდა. აფხაზებს, მათი პოლიტიკური არასაიმედოობის გამო, ისევე როგორც წებელდაში, ფსხუში დასახლება ეკრძალებოდათ[1455].

70-იანი წლებიდან აფხაზეთში სამონასტრო კოლონიზაციაც წარიმართა. 1872წ. დაფუძნდა ბიჭვინთის რუსული მონასტერი, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა 1049 დესეტინა მიწის ნაკვეთი, ფიჭვნარი და ინკითის ტბა. 1875წ. ფსირცხაში ათონის მთის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი დაფუძნდა. მონასტერს ჯერ გამოეყო 327 დესეტინა მიწა და 200 დესეტინა ტყის მასივი, მოგვიანებით კიდევ 1000, ხოლო შემდგომში - 4 ათასამდე დესეტინა მიწა.[1456]

რუსეთ-თურქეთის ომი და აფხაზთა ახალი მუჰაჯირობა. 1877 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. მისი დაწყებიდანვე რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის კულმინაციას მიაღწია და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში 29 აპრილს გუდაუთასთან თურქეთის დესანტი გადმოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. სოხუმის გარნიზონის უფროსმა, გენერალ-მაიორმა პ. კრავჩენკომ, რომელიც იმავდროულად სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი იყო, ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მტერთან შებმა, სოხუმი დატოვა და მდ.კოდორისკენ დაიხია. აპრილ-მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ჩეჩნეთსა და დაღესტანშიც. ბრწყინვალე პორტას იმედი მიეცა, რომ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის მთელ მაჰმადიანურ მოსახლეობას
აამხედრებდა, მაგრამ რუსეთის ჯარების წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე და განსაკუთრებით ბალკანეთში, იმედები გაუცრუა. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ აფხაზეთში და უკვე აგვისტოში მთელი მხარე გაწმინდეს ოკუპანტებისაგან[1457]. აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა. მაგრამ

1453 . . . ., გვ. 78; . . . ...,გვ. 432.

1454 . იქვე, გვ. 79.

1455 . . . ..., 7, გვ. 90.

1456 . წმ. მღვდელმოწამე კირიონი და აფხაზეთი, გვ. 203; წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 44-58.

1457 . . . . - 1877-1878 . გვ. 77-84; შ. მეგრელიძე. საქართველო აღმოსავლეთის ომებში, გვ. 74.

მათი მეტი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები (მეგრელები) და ბერძნები ძალით წაიყვანეს[1458].

1877წ. აფხაზეთიდან მუჰაჯირობაში წასულთა რიცხვის გაანგარიშება შესაძლებელია 1878წ. ბოლოს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ პ. არაკინის მასალების მიხედვით. 1878 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების ოჩამჩირის ოკრუგის სამურზაყანოს უბანში (9 სასოფლო თემი) 24 461 სული ცხოვრობდა. სამურზაყანოს მუჰაჯირობის პროცესი ამჯერადაც არ შეხებია. ოჩამჩირის ოკრუგის კოდორის უბანში (9 სასოფლო თემი) 3 935 ოჯახი ცხოვრობდა. აქედან 1 071 ოჯახი გადასახლდა. „კავკაზსკი კალენდრის“ რედაქციას საჭიროდ მიუჩნევია კოდორის უბნის მოსახლეობის სულადობრივი გაანგარიშება, რისთვისაც ამოსავლად აუღია გუმისთისა და გუდაუთის უბნების კომლობრივ-სულადობრივი მონაცემები. კერძოდ, თითოეული კომლის წევრთა საშუალო ოდენობის განმსაზღვრელად, არგუმენტირებული ვარაუდით, ოთხნახევარი სული მიუჩნევიათ. ასეთი გაანგარიშებით თურქეთში გადასახლებამდე კოდორის უბანში მოსახლეობის ოდენობა დაახლ. 17 707 სული უნდა ყოფილიყო, საიდანაც თურქეთში დაახლოებით 4819 სული გადასახლდა, ხოლო დაახლოებით 12 888 ადგილზე დარჩა. ბიჭვინთის ოკრუგის გუმისთის უბნიდან (8 სასოფლო თემი), სადაც 2 221 ოჯახი (9 985 სული) ცხოვრობდა, ყველა გადასახლდა. გუდაუთის უბნის (17 სასოფლო თემი) 5 293 ოჯახიდან (23 545 სული) 17 160 მცხოვრები (3 775 ოჯახი) გადასახლდა, ხოლო 6 385 სული ადგილზე დარჩა[1459]. ამრიგად, 1877 წელს მუჰაჯირობაში აფხაზეთის დაახლოებით 31 964 მცხოვრები წავიდა. თუ 1867წ. მუჰაჯირობის შედეგად მთლიანად დაიცალა კოდორის ხეობის ზემო წელი – წებელდა და დალი, 1877 წლის მუჰაჯირობის შედეგად თითქმის დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. აღსანიშნავია, რომ ქართველი მისიონერების დაუღალავმა საქმიანობამ, ათასობით აფხაზის მონათვლამ, აფხაზი ხალხი მასობრივად გადასახლებისაგან იხსნა და ამ გზით, უბიხების მსგავსად ფიზიკური განადგურებისაგან დაიფარა[1460].

როდესაც თურქული სამოთხის შესახებ მითი დაიმსხვრა, მუჰაჯირები დაბრუნებას შეეცადნენ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას მათი მიღება არ სურდა. რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული შეთანხმებითაც მუჰაჯირებს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ, რამაც უკან დაბრუნების მსურველთა ნაკადი შეამცირა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუჰაჯირები ყოველნაირად ცდილობდნენ სამშობლოში დაბრუნებას. სან-სტეფანოს ზავის დადების შემდეგ ისინი პირველ რიგში ბათუმისკენ გაემართნენ და იქიდან შეეცადნენ აფხაზეთში დაბრუნებას. ბევრი მათგანი ბათუმსა და მის შემოგარენში დამკვიდრდა და მათი შთამომავლები დღესაც იქ ცხოვრობენ. 1879წ. 27 იანვარს რუსეთ-თურქეთს შორის ხელი მოეწერა კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ დაუშვა აფხაზების ნაწილობრივი რეპატრიაცია ხელშეკრულების მოწერის დღიდან სამი წლით. 1881 წლისთვის აფხაზეთში 15 ათასამდე მუჰაჯირი დაბრუნდა[1461]. მუჰაჯირობის შემდეგ გაუკაცურებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო. როგორც ნ.მარი აღნიშნავდა: „აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გაველურებული ეზოები ხეხილით, არ იყო არც ერთი აფხაზი და არც აფხაზური სიტყვა ისმოდა“ (ни души абхазской, ни звука абхазского)[1462].

ცარიზმმა ვრცელი მიწა-წყალი მიიღო საკოლონიზაციოდ, ამჯერად აფხაზეთის სანაპირო ზოლში, და მის წინაშე კვლავ დადგა საკითხი, ვინ დაესახლებინა აფხაზეთში. მაშინ, ცხელ კვალზე, 1877 წლის 27 სექტემბერს, გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკი“ წერდა: „ახლანდელმა ომმა, სხვა მრავალ შედეგებთან ერთად, გამოიწვია ის შედეგიც, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე მოულოდნელად გაუდაბურდა, ვინაიდან ის მიატოვა თითქმის ყველა მისმა მკვიდრმა მცხოვრებმა. ჩვენ ვლაპარაკობთ აფხაზეთისა და მისი მცხოვრებლების შესახებ, რომლებმაც დატოვეს თავიანთი

1458 . . . - . ..., გვ. 206-208; . . . ..., გვ. 356-369.
1459 . 1879 , გვ. 330-331.
1460 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 511, 515.
1461 . . . ., გვ. 381, 396.
1462 . . . . , გვ. 177.

სამშობლო და გადასახლდნენ თურქეთში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს გადასახლება დროებითი არ არის, არამედ სამუდამოა: აფხაზეთი ვერასოდეს ვეღარ იხილავს თავის შვილებს. ეს გარემოება რიგში აყენებს საკითხს: ვინ უნდა დასახლდეს ამ მხარეში, რომელიც სამუდამოდ დატოვა მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ“. წერილის ავტორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ი.გოგებაშვილი (1840-1912წწ.). მისი გამოქვეყნება გამოწვეული იყო იმით, რომ 1877წ. გაზ. „კავკაზი“-ს №207 დაიბეჭდა სოხუმის ოკრუგის უფროსის ა. ვედენსკის სტატია, რომელიც, თავის მხრივ, მიმართული იყო ი. გოგებაშვილის წერილების წინააღმდეგ, რომლებიც „ტიფლისკი ვესტნიკის“ №209-210-ში გამოქვეყნდა. ი.გოგებაშვილის ამ წერილებში ის აზრი იყო გატარებული, რომ დაცარიელებული აფხაზეთისათვის საუკეთესო კონტინგენტს შეადგენდნენ მეგრელები, იმერლები და გურულები. სწორედ ამ წერილს მოჰყვა ა.ვედენსკის გამოლაშქრება. მის პასუხად ი. გოგებაშვილმა ყოველმხრივ შეისწავლა საკითხი და ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებდა. როგორც აღმოჩნდა, ა.ვედენსკი დაეთანხმა მის მოსაზრებას აფხაზეთში ქართველთა დაბრუნების შესახებ, გაზეთის რედაქციას ესტუმრა და განაცხადა, რომ ამიერიდან იმ აზრს ეთანხმებოდა, რომელიც სრული საფუძვლიანობით იყო გაზეთში გატარებული.[1463]

1878წ. გაზაფხულიდან ხელისუფლება აფხაზეთის კოლონიზაციისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა. 1878წ. 1 მაისს ბიჭვინთის ოკრუგის მმართველობამ გამოაქვეყნა განცხადება სოფ. ანუხვის ვენახებისა და ხეხილის ბაღების ერთი წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. იმავე წლის 25 მაისს გამოცხადდა მდ.გუმისთიდან მდ.კოდორამდე ტერიტორიაზე არსებული ხეხილის ბაღებისა და ვენახების ერთი წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. 5 ოქტომბერს სოხუმის სამხედრო განყოფილების სახელით გამოცხადდა მდ.მაჭარასა და მდ.კოდორს შორის ტერიტორიიდან გადასახლებული აფხაზების მიწების იჯარით გაცემის თაობაზე. გარდა მოიჯარეთა მოწვევისა, ბიჭვინთის ოკრუგში სამი ნაკვეთი გამოიყო რუსი კოლონისტებისათვის სამუდამო მფლობელობაში გადასაცემად[1464].

1879წ. ბიჭვინთის ოკრუგში რუსი გლეხების 137 ოჯახი ჩაასახლეს, მაგრამ უკვე 1881წ. მათგან მხოლოდ 99 ოჯახი იყო დარჩენილი. აქ ვერც გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ. 24 გერმანელი კოლონისტის ოჯახიდან 1883 წლისთვის აფხაზეთში მხოლოდ 3 ოჯახი იყო დარჩენილი[1465].

ამდენად, 60-70-იან წლებში კოლონიზაციის წარმატებები აფხაზეთში უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ცარიზმის დიდი მონდომებისა, აფხაზეთის კოლონიზაცია გაჭიანურდა. რუსები ვერ ეგუებოდნენ აფხაზეთის ბუნებრივ პირობებს – ნოტიო ჰავას, ტყიან, მთიან მხარეს, ჭაობიან სანაპირო ზოლს; აქ პური არ მოდიოდა, მარცვლეული კულტურებიდან სიმინდი ხარობდა, რაც უჩვეულო იყო რუსებისათვის[1466]. სანაპირო ზოლში ციებიანი ჰავა მუსრს ავლებდა კოლონისტებს; წებელდისა და დალის მაღალმთიანი პირობები უჩვეულო იყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მიწები რუს ჩინოვნიკებს დაურიგეს, ქვეყანა კვლავ დაუსახლებელი იყო, მიწები კი უპატრონოდ მიგდებული. წებელდაში მიწებს 24, ხოლო დალში 23 მემამულე ფლობდა. ისინი რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ აკითხავდნენ თავიანთ მამულებს. დალში, სადაც 1867 წლის მუჰაჯირობამდე 5 ათასამდე მცხოვრები იყო, XIXს. მიწურულსაც კი არავინ ცხოვრობდა. ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე ჭარაია 1897წ. დალის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაჭედილი იყო აფხაზებითა... ძველათ იქაურ მცხოვრებთა ვაჟკაცობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს“[1467].

აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, როდესაც აფხაზეთის დიდი ნაწილი გაუკაცურდა და გავერანდა, ხოლო რუსები და უცხოელები ხალისით სულაც არ მოდიოდნენ აქ

1463 . ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 3, თბ. ,1954, გვ. 317.
1464 . . . .,გვ. 79.
1465 . იქვე, გვ. 79.
1466 . ს. მესხი. აფხაზეთის დასახლება. - დროება, 1878, №24.
1467 . პ. ჭარაია. მიწათ-მფლობელობა აფხაზეთში. - კვალი, 1897, №13, გვ. 268.

დასასახლებლად, იმერეთიდან და სამეგრელოდან მიწის სიმცირითა და სიმწირით სულშეხუთული
გლეხობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში,აშრობდა ჭაობებს, კაფავდა ბუჩქნა-რებს, ნარ-ეკალს და მეურნეობას მისდევდა. დასავლეთ საქართველოდან გლეხების გადასვლამ და აფხაზეთში დამკვიდრებამ ხელისუფლება შეაშფოთა. გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ მაშინ წერდა: „აუცილებელია ჩქარა დავასახლოთ რუსები შავი ზღვის სანაპიროზე, თორემ მეგრელები დაღუპავენ ამ წმიდა საქმესო“[1468]. ცარიზმის მოხელეები თვლიდნენ, რომ წლების განმავლობაში ხელისუფლებას აფხაზეთის კოლონიზაცია „საჭირო სისტემურობის გარეშე უწარმოებია, რადგან რუსებს აქ ფეხი ისე ვერ მოუკიდებიათ, როგორც საჭირო იყო“[1469]. ა.ვერეშჩაგინი ამის თაობაზე 1878წ. 19 იანვარს აღნიშნავდა: „...შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე, როგორც სახელმწიფოს განაპირა მხარეში, რომელიც ასე ბევრი რუსული სისხლი და ფული დაჯდა, სამართლიანად უნდა ბატონობდნენ რუსული ეკლესია, რუსული ენა, რუსული წერა-კითხვა. მოსახლეობის სხვადასხვა ტომობრიობა იწვევს სკოლების დაარსების აუცილებლობას, რადგან მხოლოდ სკოლით შეიძლება ეს სხვადასხვატომობრივი მოსახლეობა მომავალში რუსად იქცეს“[1470].

ცარიზმის პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო აფხაზთა და ქართველთა წი-ნააღმდეგ. 1877 წლის ანტიცარისტული აჯანყების გამო იმპერატორის 1880 წლის 31 მაისის ბრძანებულებით გუდაუთის, გუმისთის და კოდორის უბნების აფხაზურ მოსახლეობას ჩამოერთვა მიწაზე საკუთრების უფლება და მათი მიწები სახაზინო უწყებას გადაეცა; აფხაზებს აეკრძალათ სოხუმიდან 20 ვერსზე და სანაპირო ზოლში მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის დასახლება და მიენიჭათ „დამნაშავე“ მოსახლეობის სტატუსი[1471]. იმხანად ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ჯუღელი წერდა: „ახლა აფხაზეთში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია აქაური უდაბური ადგილების დასახლება. უკანასკნელი ომის (1877-1878წწ. ომი, – ავტ.) შემდეგ უმაღლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შუა მდებარე ადგილებზე აფხაზები არ დასახლებულიყვნენ. მათ გარდა ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა. ქვეყანას მილეთის ხალხი მოაწყდა, მაგრამ აქაურობას ვერავინ შეეთვისა გარდა იმერელ-მეგრელებისა და ბერძნებისა. ამჟამად სოხუმის გარშემო შვიდი-რვა მეგრელების სოფელია და სამი თუ ოთხი ბერძნებისა“[1472]. მოგვიანებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი ს.შარაპოვი რუსეთის ზრახვებზე აფხაზეთში გულახდილად აღნიშნავდა: „მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლისას, მიისწრაფვის რა სამხრეთისაკენ, თბილი ცისა და თბილი ზღვისაკენ, რუსი ხალხი იღებს მსხვერპლს და, აი, ბოლოს მას აქვს ეს ცაც და ეს ზღვაც. აქ ფრიალებს რუსული დროშა, დალივლივებს რუსული არწივი. მაგრამ რა-ტომაა, რომ რუსი კაცი აქ ლაღად ვერ გრძნობს თავს, რატომაა, რომ ის აქ შევიწროე-ბულია, სულშეხუთულია? რატომაა უცხო ის ამ თბილ ნაპირზე, ამ კაშკაშა მზის ქვეშ? ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსული სიკეთის წყალობით აქ, ამ მიწაზე, რომელიც რუსული სისხლითაა მოპოვებული, მოკალათდა ყოველგვარი უცხოტომელი, განსახლდა საუკეთესო ადგილებზე და არა მარტო ავიწროებს რუს ადამიანს, არამედ დასცინის მას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ, ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“[1473]. ამ რეალური საფრთხის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად ქართველთა დაბრუნება თავის ისტორიულ მიწა-წყალზე.

1468 . ცნობის ფურცელი, 1905, №2821.
1469 . . . , გვ. 21.
1470 . . . ..., გვ. 22.
1471 . . . O ...,გვ. 35.
1472 . დროება, 1883, №240.
1473 . ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, გვ. 134-135.

თავი XV. აფხაზეთი 1881 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე

1. რუსული კოლონიალური პოლიტიკის გამკაცრება აფხაზეთში. 1880-1905წწ.

კოლონიზაცია და ეთნიკური შემადგენლობა. 1881 წლის 11 მარტს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ რუსეთში მკაცრი პოლიტიკური რეაქციის ხანა დადგა. 1881წ. მიწურულს ცარიზმმა კავკასიაში მეფისნაცვლობა გააუქმა და მთავარმართებლობა აღადგინა. კავკასიიდან გაიწვიეს მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი და მთავარმართებლად დაინიშნა უკიდურესი რეაქციონერი ა.დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1887წწ.). ეს პერიოდი კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთში, ეროვნული ჩაგვრისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის მკვეთრი განვითარებით აღინიშნა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას აფხაზეთში მხარის კოლონიალიზაციის ინტენსიური გაგრძელება წარმოადგენდა. ეს პროცესი სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა: 1. არენდული კოლონიზაცია, როდესაც ადგილობრივი მემამულეებისაგან საგადასახლებლო ჯგუფები რუსი გლეხებისათვის იღებდნენ არენდით მიწებს, რის უფლებასაც ქართველ გლეხებს არ აძლევდნენ (ხშირად უკან აბრუნებდნენ აქ ჩამოსულ მთიანი რაჭა-იმერეთის და სამეგრელოს მოსახლეობას). 2. სამონასტრო კოლონიზაცია, როდესაც რუსეთის მიერ აღდგენილ თუ ახლად დაარსებულ ეკლესია-მონასტრებს მიწების დიდი ფონდი ეძლეოდა. მთავრობა ამ მონასტრებს მიიჩნევდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და კოლონიური მეურნეობის მნიშვნელოვან დასაყრდენად აფხაზეთის სანაპიროზე. 3. საკურორტო და სათავადაზნაურო კოლონიზაცია. რუსეთში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ათამაშებდა ლატარიას აფხაზეთში მიწის ნაკვეთების მოსაგებად და გასაყიდად.[1474] რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს მეფის ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეები მზრუნველობას არ აკლებდნენ, „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება" ახალმოსახლეებს (რუსებს, ესტონელებს, ბერძნებს, სომხებს) სახლ-კარის მოსაწყობად აძლევდა ფულს; აფხაზ გლეხებს აიძულებდნენ, ახალმოსახლეთა მიწები უსასყიდლოდ დაემუშავებინათ. კოლონისტებს ნება ეძლეოდათ სახელმწიფო ტყიდან სამშენებლო მასალა „მუქთად" გაეტანათ. ეს მაშინ, როცა თავისუფალ მიწებზე დასასახლებლად სენაკიდან ჩამოსულთ, როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, „ძე-ხორციელი" არავინ მიშველებია, „თუ რამე გააკეთეს, ისევ საკუთარი ოფლითა და ხარჯებით".[1475]

მეფის ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ისტორიულ მიწაზე უაპელაციოდ ეპატიჟებოდა სხვადასხვა ეთნოსებისა და რელიგიური აღმსარებლობის (სექტანტები) ადამიანებს, ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნიდა ქართველებს. ასეთი დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, აღაშფოთებდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ისინი მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ მცირერიცხოვანი აფხაზების გარუსებისაგან და აფხაზეთის ტერიტორიის, რუსული ექსპანსიისაგან გადარჩენა XVI-XVII საუკუნეებში, მთის ჩამოწოლის შედეგად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განთესილი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლების დაბრუნებით იყო შესაძლებელი. ქართველთა დაბრუნება აფხაზეთში უცხოური კოლონიზაციის საპირწონე ღონისძიებას წარმოადგენდა.[1476]

ცარიზმისაგან მოსალოდნელ საშიშროებას ჩინებულად გრძნობდნენ ადგილობრივი მამულიშვილები აი, რას წერდა აფხაზეთის მიწების გასხვისების თაობაზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია: „გასული საუკუნის (XIXს.–ავტ.) უკანასკნელ მეოთხედში საზოგადოდ სოხუმის ოლქი, კერძოდ, მისი საუკეთესო, თვალწარმტაცი ნაწილი მდ. კოდორიდან ღელე გაგრიფშამდის მიზანში ამოიღო რუსეთის ბურჟუაზიამ და

[1474]. დ. ჭუმბურიძე. რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს-ში) და „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება". – ,საქართველოში რუსეთის კოლონიალიზმის პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები, წ. I. თბ., 2007, გვ. 85-86.

[1475]. ცნობის ფურცელი, 1902, .25 ივნისი.

[1476]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 57-58; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 643.

საუკეთესო ადგილები შეიძინა. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოებული ნაწილი აფხაზეთისა მოსკოველ და პეტერბურგელ ჯიბესქელთა ხელშია უკვე. მიდიხარ და მისდევ ამ ნაპირს: აქ ბაღია, სახელად „ოტრადნოე", იქ „სჩასტიე", ფეხს მოინაცვლებ, „ლუბოვს" ანდა „დრუჟბას" მიადგები. მათი უწინდელი პატრონები აფხაზები კი ხელცარიელნი დარჩნენ: რაც ფული აიღეს, მოეხარჯათ, მამულიც ხელიდან გამოუძვრათ..."[1477]

მხარის ეთნიკური შემადგენლობის რადიკალური ცვლა თვალსაჩინოდ აისახა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსფორმაციაში. ტოპონიმიკის ცვლას 1864 წლიდან დღემდე სპეციალისტები ხუთ ეტაპად ყოფენ. პირველი ეტაპი განხორციელდა 1864 -1918 წლებში.[1478] ყველა ეტაპს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდა: ერთდროულად დიდი რაოდენობით უქმდებოდა ისტორიული გეოგრაფიული სახელები და მათ ნაცვლად ინერგებოდა სხვა, უცხო ენისათვის, ძირითადად რუსულისათვის დამახასიათებელი სტილის ტოპონიმია. უმეტეს შემთხვევაში ისტორიული ტოპონიმების ჩანაცვლება რომანოვების სამეფო სახლის წარმომადგენლების, რუსი სამხედრო ჩინოსნებისა ან სხვა მოხელეების პატივსაცემად ხდებოდა. მაგალითად, 1914 წელს შედგენილი სოხუმის ოლქის დასახლებული პუნქტების იმ სიაში, რომელიც დაცული იყო აფხაზეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში და შეიცავდა 213 მსხვილი სოფლის სახელს, არ არის წარმოდგენილი გაგრის ზონის დასახლებული პუნქტები, ვინაიდან ეს მხარე 1904 წელს ცარიზმის დამქაშებმა თვითნებურად მიუერთეს შავი ზღვის გუბერნიას. ამ 213 სოფლიდან ახალი რუსული, ანდა რუსიფიცირებული სახელი აქვს 33 სოფელს. ესენია: ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლოე, პეტროვსკოე, ალექსანდროვსკოე, ანდრეევსკოე, ვასილევკა, ვორონცოვკა, მიხაილოვსკოე, ნაა-არმიანსკოე, ოლგინსკოე, ვლადიმიროვკა, და ა.შ.[1479] როგორც ვხედავთ, ტოპონიმთა ცვლა უცხო არ იყო აფხაზეთისათვის და ასახავს ცარისტული იმპერიული რეჟიმის მიერ წინასწარ დაგეგმილ კოლონიურ და ენობრივ პოლიტიკას.

სეპარატისტები ცდილობენ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ ქართველები უკვე იმ პერიოდში აყალიბებდნენ „იმპერიულ შეგნებას" და ახალისებდნენ თანამემამულეებს „ხელში ჩაეგდოთ" აფხაზების მიწები.[1480] მათ არ სურთ გაიხსენონ, რომ იმჟამად საქართველო თვითონ იმყოფებოდა კოლონიალიზმის მარწუხებში, მისი ენა და ტრადიციები ყოველდღიურად ფეხქვეშ ითელებოდა რუსი კოლონიზატორების მიერ. ასეთ ვითარებაში ქართველი ერი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო იმპერიული ცნობიერების მატარებელი.

ცარიზმის მცდელობის მიუხედავად, მე-19ს-ის 80-იან წლებში და შემდეგაც აფხაზეთში ქართველობა რიცხობრივად უმრავლესობას წარმოადგენდა. სტატისტიკური ცნობები მუთითებენ, რომ 1880 წელს სოხუმის ოლქში ქართველები წამყვანი ეთნიკური ჯგუფია. ამაზე მეტყველებენ გერმანელი ეთნოგრაფის ნ. ზაიდლიცის მონაცემებიც.[1481] განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სტატისტიკა. ის ყველაზე კარგად უჩვენებს, თუ რომელ ეთნოსს ეკავა წამყვანი ადგილი მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში.

როგორც ცნობილია, 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა. მისი მონაცემებით, აფხაზეთში სულ ცხოვრობდა – 106 179 კაცი,[1482] ქ.სოხუმის მოსახლეობა შეადგენდა 7 998 კაცს.[1483] სოხუმის ოლქის მოსახლეობიდან ქართველი იყო 25 873 კაცი, რუსები – 5 135, ჩერქეზი – 58 715, სომხები – 6 552, ბერძნები – 5 393, გერმანელები – 406, დანარჩენი – 4 105 კაცი.[1484] რაც შეეხება

1477. ჯ. გამახარია. ქართულ აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 17.; იხ რ. ჭანტურია. სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა აფხაზეთში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (1864-1905 წწ.) . თბ., 2006.

1478 . თ. გვანცელაძე. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV. თბ., 2000, გვ. 45.

1479 . იქვე, გვ. 47.

1480 . . . , . . . , გვ. 261.

1481 . Дж. гамахариа, Б. Гогиа. დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

1482 . 1897 . XVI, ... 1905, გვ. V.

1483. იქვე.

1484. იქვე, გვ. 88-93. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 3.

აფხაზებს (აფსუებს), ამ დოკუმენტში ისინი ცალკე ეთნიკურ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში გამოვლინდა 60 სხვადასხვა ენობრივი ჯგუფი და მათ შორის 59 469 კაცი აფხაზურენოვანი მოსახლეობა.[1485]

1897 წლის აღწერაში სამურზაყანოელები შეგნებულად მიათვალეს მთიელებს, რითაც მიზანმიმართულად გააყალბეს რეალური ეთნიკური სურათი. შედეგად მიიღეს გაზრდილი რიცხოვნობა აფხაზებისა. ასევე სამურზაყანოელთა ხარჯზე „წინ წამოწიეს“ აფხაზების კულტურული მდგომარეობა (წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, მღვდელმსახურთა რაოდენობა და ა.შ.). ამ სტატისტიკასთან წინააღმდეგობაში მოდის ქუთაისის გუბერნატორის თ. გერშელმანის მონაცემები, რომელთა მიხედვით XIXს. ბოლოს აფხაზეთში მხოლოდ 2 აფხაზი მღვდელი მოღვაწეობდა, და ეს მაშინ, როდესაც 1897 წლის აღწერის მიხედვით სოხუმის ოლქში მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და მათი ოჯახის წევრების საერთო რაოდენობა იყო – 801, მათ შორის აფხაზი – 102, 333 – ქართველი, 226 რუსი (უკრაინელებთან და ბელორუსებთან ერთად) და ა.შ. როგორც გამოიკვეთა, ერთ შემთხვევაში – 102 აფხაზია დასახელებული, მეორე შემთხვევაში კი – 2. შეუძლებელია ორი აფხაზი მღვდლის ოჯახის წევრების საერთო რაოდენობა ყოფილიყო 102. მიზეზი მსგავსი შეუსაბამობებისა სამურზაყანოელების აფსუა-აფხაზებად გასაღების მცდელობაში მდგომარეობდა.

არსებობს შედარებით გვიანდელი სტატისტიკაც. როგორც სოხუმის ოლქის უფროსი, თავადი ლ. ჯანდიერი ეპისკოპოს კირიონისადმი გაგზავნილ დეპეშაში მიუთითებს, 1906 წელს სოხუმის ოლქში ცხოვრობდა 3 419 სული რუსი (ორივე სქესის), აფხაზი – 40 978, მეგრელი – 9 037, სამურზაყანოელი – 44 623, გურული – 56, ქართველი – 60, იმერელი – 53, ბერძენი 4 946, სომეხი – 6 313, თურქი – 935, სპარსი – 17, ესტონელი – 299, ლატვიელი – 48, ბულგარელი – 230, მოლდაველი – 254, ოსი – 2, ლეკი – 9, ალბანელი – 12, თათარი – 2, პოლონელი – 8, ფრანგი – 5, ჩეხი – 3, ავსტრიელი, გერმანელი – 5.[1486]

ყველა ზემოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემი აშკარად მიუთითებს, რომ XIX-XX საუკენეების მიჯნაზე აფხაზეთში ძირითადი, წამყვანი ეთნოსი იყო ქართველი.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აფხაზეთი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ეკონომიკური თვალსაზრისით ძირითადად აგრარული კუთხე იყო. აფხაზი თავადები – შარვაშიძეები, ინალ-იფები, მარშანიები, ანჩაბაძეები, ემუხვარები, ჩიჩბები, მარღანიები და ა.შ. სხვადასხვა სიდიდის მამულებს ფლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ფეოდალიზმი კუდშეკვეცილი, პრიმიტიული იყო, გლეხს მაინც ევალებოდა გადაეხადა განსაზღვრული გადასახადი თავადის სასარგებლოდ.[1487]

აფხაზეთში შედარებით სუსტად იყო განვითარებული მევენახეობა, აბრეშუმის წარმოებას კი აქ XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი.[1488] XXს-ის დასაწყისიდან ამ დარგის განვითარება შეფერხდა. თუმცა ადამიანების გარკვეული ჯგუფი მაქსიმალურად ცდილობდა მეაბრეშუმეობის ფართოდ დაენერგვას მოსახლეობაში. მაგალითად, აფხაზეთში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ანთიმოზ ჯუღელმა ასწავლა სოხუმელებს აბრეშუმის ჭიის მოვლა.

აფხაზეთის საზოგადო მოღვაწენი ცდილობდნენ გლეხებისათვის სოფლის მეურნეობის გაძღოლის პროგრესული მეთოდების გაცნობას. მოსახლეობისათვის აგრონომიული დახმარებისა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მიღების მიზნით 1898 წ-დან ჩამოყალიბდა სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომელსაც თავისი განყოფილება ჰქონდა გუდაუთაში და რომელმაც 1903წ. დაიწყო საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა დანართითურთ.[1489] ამავე წლის 19 დეკემბერს გაგრაში პრინც ალექსანდრე

[1485]. იქვე, გვ. VI.

[1486] . წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 124. სტატისტიკა ემსახურებოდა იმპერიულ მიზნებს და კუთხური ნიშნით ცალცალკე აღრიცხავდა ქართველებს, მათ შორის მეგრელებსა და სამურზაყანოელებს.

[1487] . გ. ზარიძე. აფხაზეთის თავადაზნაურობის სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი XIX საუკუნეში. – კლიო თბ., 2006, №30, გვ. 104.

[1488] . . . ., 1982. გვ. 30.

[1489] . . . . . , 1960. გვ. 282.

ოლდენბურგელის თაოსნობით გაიხსნა „სამცენარეულო გამოფენა", სადაც 300 ექსპონატზე მეტი ყოფილა წარმოდგენილი[1490].

ნელა, მაგრამ მაინც ჩაისახა და ვითარდებოდა აფხაზეთში მრეწველობა. 1881 წელს გულრიფშში გაიხსნა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა თავად ერისთავს.[1491] 1898 წელს გაიხსნა აფხაზეთში ყველაზე დიდი – მაქსიმოვის ქარხანა და 1913 წლამდე მოქმედებდა.[1492]

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება იწვევდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობას. XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ერთადერთი ქალაქი, მთავარი ადმინისტრაციული, სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო სოხუმი. გუდაუთაში 1903 წლისათვის 1117 კაცი ცხოვრობდა, იზრდებოდა ოჩამჩირის, გაგრისა და სხვა დაბების მოსახლეობა.[1493]

თანდათან დაიწყო აფხაზეთის უნიკალური საკურორტო რეგიონის სააგარაკო-დასასვენებელი საქმიანობისათვის გამოყენებაც. სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო გაგრის საკურორტო ზონის მშენებლობაში. 1903 წლის 9 იანვარს პრინც ოლდენბურგელის ინიციატივით აგებული კლიმატოლოგიური სადგური გაიხსნა. მეორე დღეს პრინცმა იმპერატორ ნიკოლოზ II-გან მიიღო ასეთი შინაარსის დეპეშა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგრის კლიმატოლოგიური სადგური გახსნილია. გულითად მადლობას გიგზავნი შენ მისი მოწყობისათვის გაწეული შრომისა და გარჯისათვის. ღმერთმა ინებოს, ნახო შენი ენერგიული მოღვაწეობის შემდგომი შედეგები."[1494] შედეგმა კი არ დააყოვნა და 1904 წლის 25 დეკემბერს იმპერატორის სპეციალური ბრძანებულებით გაგრის კლიმატოლოგიური სადგურის ტერიტორია გამოეყო სოხუმის ოლქს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთეს. ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოჭრისა და მხარის ასიმილაციის გზაზე.[1495]

XIXს-ის დასასრულს აშკარად გამოიკვეთა აფხაზეთის ეკონომიკური შესაძლებლობები: სოფლის მეურნეობაში – მეთამბაქოეობა, მრეწველობაში – ქვანახშირის და ხე-ტყის ექსპლუატაცია და საკურორტო ბიზნესი.

ანტიკოლონიური მოძრაობა. რუსეთის აღვირახსნილი კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ანტიქართული ფსიქოზის დანერგვა ერთნაირად აღელვებდათ აფხაზ და ქართველ მამულიშვილებს. რეგიონის მოსახლეობის ინტერესების სადარაჯოზე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც სასულიერო წოდების წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ბლაღოჩინი დავითი (მაჭავარიანი), სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი – ამბროსი (ხელაია) და სხვანი ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველთა და აფხაზთა კანონიერი უფლებების დაცვას. 1886 წლის ბოლომდე აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიასთან იყო შეერთებული და მას ეპისკოპოსი გაბრიელი ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპარქიაში მაშინ სვანეთიც და სამეგრელოც შედიოდა, არ ყოფილა აფხაზეთში არცერთი კუთხე, რომ ეპ. გაბრიელს ცხენით ან ფეხით არ შემოევლო და არ ექადაგა ქრისტიანული რწმენის, ზნეობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მცდელობები აფხაზური ენის სწავლებისა და ამ ენაზე ღვთისმსახურების შემოღების თაობაზე, რასაც ხელისუფალება სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.[1496]

აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი მაჰმადიანურ მოძღვრებას აღიარებდა. ვითარებას ართულებდა თურქი მოლების მოძალებაც. ისლამის აქტიური პროპაგანდისტები ხდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებული მუჰაჯირები. მათი საქმიანობა აფხაზურ მოსახლეობაში ქრისტიანობის დასუსტებას უწყობდა ხელს. ისლამიზაციის

1490 . ივერია. 1903, 21 სექტემბერი.

1491 . ვ. ზუხბაია, ხ. ზანთარაია. გალი. სოხუმი, 1988, გვ. 89. იხ. ასევე: დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში, თბ., 2006. გვ. 51-55. იხ. მისივე, აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის პირველ ოცეულში. თბ., 2002, გვ. 3-17.

1492 . კვალი, 1899, №13.

1493 . თ. სახოკია. მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 303.

1494 . ჯ. გამახარია. ქართულ აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 18.

1495 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 610..

1496 . იხ. ვრცლად: წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, თბ., 2007.

კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო აფხაზი ხალხის დამნაშავე ერად გამოცხადება (1880წ. 31 მაისი), მასთან დაკავშირებული სოციალური თუ პოლიტიკური შეზღუდვები, მხარის უცხოური კოლონიზაცია.[1497]

ცარიზმის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის ისეთი ტერიტორიული გადანაწილება, რომელიც უზრუნველყოფდა იმპერიასთან მის ორგანულ შერწყმას, საქართველოსაგან ნაკლებმტკივნეულად გამოყოფას, ადვილ კოლონიზაციას. XIXს. 80-იან წლებში როგორც ადმინისტრაციულ, ისე საეკლესიო სფეროში რეფორმები განხორციელდა. 1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილებას სოხუმის ოლქი ეწოდა და ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა. ადრე არსებული ორი ოლქისაგან ოთხი უბანი ჩამოყალიბდა: გუდაუთის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოსი.[1498]

1885 წლის 12 ივნისს იმპერატორის ბრძანებით და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აღდგა აფხაზეთის (სოხუმის) ცალკე ეპარქია. იმავე წელს განხორციელდა კავკასიის ეპარქიის რეორგანიზაცია – იგი ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის ეპარქიებად დაიყო, ხოლო შავიზღვისპირეთის გუბერნიის 10 ეკლესია სოხუმის ეპარქიას შემოუერთდა.[1499]

ცარიზმის პოლიტიკა უფრო და უფრო გამკაცრდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სამურზაყანოს მაგალითზე. 1897 წლის აღწერაში სამურზაყანოს ქართული მოსახლეობა, როგორც უკვე ითქვა, აფხაზებთან ერთად მთიელებად წარმოაჩინეს, რითაც ცდილობდნენ, დაენერგათ შეხედულება, თითქოს სამურზაყანოელები სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ მეგრელებისაგან. ამიტომაც გადაწყვიტეს მათთვის მეგრული დამწერლობის შემოღება; ამით სურდათ ეს შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობა ერთიანი ქართველი ერისაგან ჩამოეცილებინათ ისეთნაირად, რომ არც „დამნაშავე" აფხაზებს შერწყმოდნენ და ასე იოლად გაერუსებინათ.[1500] ამ მცდელობებს მედგრად წინ აღუდგნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები – როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწეები. მათგან განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ამბროსი ხელაიას დამსახურება.

1899 წლის 22 თებერვალს (6 მარტი) გაზეთმა „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი"-მ გამოაქვეყნა ანონიმური კორესპოდენცია სათაურით: „სუხუმ". არსებობს ვარაუდი, რომ ეს წერილი ამბროსი ხელაიას ან თედო სახოკიას კალამს ეკუთვნის. წერილში მხილებული იყო ეპისკოპოს არსენის მიერ გატარებული მიუღებელი ქმედობები, მის მიერ სამურზაყანოს არაქართულ სამრევლოდ გამოცხადების მცდელობა და ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვა.

ამ წერილს გამოეხმაურა ცნობილი რენეგატი კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი. 1899 წლის 31 მარტი – 3 აპრილს გაზეთში „ჩერნომორსკი ვესტნიკ" (№№72-75) დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი სათაურით „აქვთ თუ არა სამურზაყანოელებს უფლება, თავიანთ თავს მეგრელებს უწოდებდნენ". მასში ავტორი აფხაზეთის ისტორიის საკითხებში არაკომპეტენურობას და საოცარ ტენდენციურობას ამჟღავნებდა და „ამტკიცებდა", თითქოს სამურზაყანოელები ქართველები არ ყოფილიყვნენ.

ამბროსი ხელაიას „გოლოს სამურზაკანცა", რომელიც 1899 წლის 6 მაისს გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ში დაიბეჭდა, სწორედ ამ წერილის საპასუხოდ დაიწერა. მასში უტყუარ ისტორიულ წყაროებზე მითითებით ნაჩვენებია, რომ სოხუმის ოლქი მდინარე ფსირცხამდე მეგრელებით იყო დასახლებული, მაგრამ შემდგომში ისინი სამურზაყანოს საზღვრებამდე შეავიწროვეს. ამის დასტურად ავტორმა კ.მაჭავარიანს შესაბამის წყაროებში არსებული მონაცემები მიუთითა.[1501] პირველი დისკუსია აფხაზეთ-სამურზაყანოს ისტორიის საკითხებზე ამით არ დასრულებულა და რამდენიმე ურთიერთსაპასუხო წერილის სახით გრძელდებოდა.[1502]

პუბლიცისტურ კამათს ცარიზმის მხრიდან მალე მოჰყვა კონკრეტული ქმედობები. სამურზაყანოს ჩამოაჭრეს რიგი ტერიტორიები (მათ შორის ილორი, მისი უნიკალური

1497 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. გვ. 516-17.
1498 . იქვე, გვ. 524.
1499 . მწყემსი, 1885, №18.
1500 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 552.
1501 . წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. გვ. 62-68.
1502 . იხ. , 1899, 8-9 , 102-103.; 17,18,19 , 133-135; 20 , 136, 23 , 138.

სატაძრო კომპლექსით). 1903 წელს სოხუმის ოლქი, რომელსაც 1899 წელს შემოღებული თვითმმართველობა განაგებდა, გამოყვეს ქუთაისის გუბერნიისაგან და კავკასიის არმიის სარდლობას დაუქვემდებარეს.[1503] პოლიციურად რეგიონი კვლავ ქუთაისის გუბერნიის გამგეობაში დარჩა.

ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომელთა საქმიანობამ ჟანდარმერიის სამმართველოს ყურადღებაც კი მიიპყრო. ამ მხრივ საყურადღებოა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის და ანტიქართულად განწყობილი სოხუმის ეპისკოპოს არსენის საიდუმლო მიმოწერა. წერილი აშკარად მიუთითებს რუსი დიდმოხელის შეშფოთებაზე აფხაზეთში „ქართული პარტიის“ წევრების ენერგიული მოქმედების გამო, რომელთაც „...თავის მიზნად დაუსახავთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სრულიად გაქართველება ქართული სკოლების დახმარებით და წირვა-ლოცვის და ყოველივე მღვდელმსახურების ქართულს ენაზედ შესრულებით, რაიც სრულიად უცნობია აფხაზთათვის.“[1504] იმავე დროს ჟანდარმერიას აინტერესებდა, სდევნიდა თუ არა „ქართველთა პარტია” რუსოფილებს ღვთისმსახურებისა და განათლების სფეროში, რამდენად ცდილობდა იგი აფხაზეთის გაქართველებას.[1505]

მეფის ჟანდარმერიამ „ქართული პარტიის” წარმომადგენლებზე დეტალური ინფორმაცია შეაგროვა და 1904 წლის 1 მაისს მთავარმართებლის საბჭომ განიხილა ქართველი პატრიოტების მოღვაწეობა, რომლებიც ქართული ენის დანერგვით ხელს უშლიდნენ აფხაზეთის მოსახლეობის გარუსებას. „ქართული პარტიის” აქტივისტებს კავკასიის უვადო დატოვება მიესაჯათ.[1506]

„ქართულ პარტიაში“ შედიოდნენ: თ.სახოკია, ანთ.ჯუღელი, სპ.ნორაკიძე, ივ.გეგია, მღვდლები: დ.მაჭავარიანი, ი.კერესელიძე, ი.ჩხენკელი, ბეს. ხელაია და სხვ. აფხაზეთის ქართული სამღვდელოებისადმი მთავარმართებლის საბჭოს მიერ წაყენებული ოფიციალური ბრალდება, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა სოხუმის „ოლქის მოსახლეობის უსწრაფესად გარუსებისაკენ მიმართულ მთავრობის საკეთილდღეო ღონისძიებებს“, სინამდვილეში იყო უმაღლესი შეფასება მათი ისტორიული მნიშვნელობის ღვაწლისა[1507].

„ქართული პარტიის” საქმიანობა რუსი ოფიციალური პირებისათვის აშკარად იყო „ბოროტება“, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ საფუძვლიანად უნდა აღმოფხვრილიყო.[1508] რუსეთის ზეწოლას მამულიშვილები მაინც არ შეუშინდნენ, რასაც ნათლად ცხადყოფს მათი შემდგომი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური საქმიანობა.

რელიგიული ცხოვრება. XIX საუკუნის ბოლოს აფხაზებში კვლავ დომინირებდნენ ტრადიციული (წარმართული) რწმენა-წარმოდგენები, თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ქრისტიანობის ან ისლამისკენ იხრებოდნენ. აფხაზეთში მართლმადიდებლობას ძირითადად ქართველები, რუსები და ბერძნები მისდევდნენ.[1509]

ამ პერიოდისათვის მთლიანად აფხაზეთში 74 ეკლესია იყო, მათგან გუდაუთის უბანში 13, გუმისთაში – 14, კოდორში – 16, სამურზაყანოში – 31. მათში მღვდლებად მსახურობდნენ 60 ქართველი, 7 ბერძენი 5 რუსი და 2 აფხაზი.[1510] ეკლესიები დაზიანდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ომის შემდგომ აქტიურად დაიწყო მათი აღდგენა. ამ მხრივ დიდი ღვაწლი გასწია ეპისკოპოსმა გაბრიელმა. აღდგენილ იქნა ოჩამჩირის, გუდაუთის, მერხეულის და სხვა ეკლესიები.[1511] 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან აფხაზეთი დამოუკიდებელი ეპარქიაა, რომელსაც, ეპ.გაბრიელის შემდგომ, 1906 წლის დასაწყისამდე რუსი მღვდელმთავრები მართავდნენ. ესენი იყვნენ:

1. წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) – 1868 წლის ივნისიდან ეპარქიის დროებითი მმართველი, 1869 წლის 30 მაისიდან 1886 წლის 28 დეკემბრამდე –

1503 . ვ. ზუხბაია. სოხუმი. თბ., 1997, გვ. 138; 50 . , 1971, გვ. 26..
1504 . წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 144..
1505 . იქვე, გვ. 145..
1506 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 598-601..
1507 . იქვე, გვ. 600..
1508 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვეთი I., გვ. 228..
1509 . იხ. ა. ნოდია. წერილი აფხაზეთიდან. - ივერია, 1902, 29 მარტი.
1510 . წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 385-391.
1511 . წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 64, 631-632.

მმართველი; ამ თანამდებობაზე იგი ფაქტობრივად 1887 წლის 15 თებერვლამდე რჩებოდა.

2. გენადი (პავლინსკი) - დაინიშნა 1886წ. 29 ნოემბერს, იკურთხა იმავე წლის 28 დეკემბერს; 1889 წლის 31 მარტს გარდაიცვალა ახალ ათონში.

3. ალექსანდრე (ხოვანსკი), 1889წ. 24 მაისი – 1889წ. 12 თებერვალი.

4. აგაფოდორი (პრეობრაჟენსკი) – 1891წ. 2 მარტი – 1893 წ. 17 ივლისი.

5. პეტრე (დრუგოვი) – 1893წ. 21 აგვისტო – 1895წ. 28 იანვარი.

6. არსენი (იზოტოვი) – 1895წ. 2 თებერვალი – 1905წ. 26 მარტი.

7. სერაფიმე (ჩიჩაგოვი) – 1905წ. 27 მარტი – 1906წ. 3 თებერვალი.[1512]

მათ შორის, როგორც აღინიშნა, გამოირჩეოდა ეპისკოპოსი არსენი – არქირეაქციონერი და შოვინისტი. მას ისე სძულდა ქართველები და ქართული ენა, რომ 1897 წლიდან მისი ბრძანებით, ეპარქიაში ქართულ ენაზე შესრულებული ღვთისმსახურება არ ახსოვდათ. მანვე 1901წ. 20 ოქტომბერს უწმინდესი სინოდის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მისადმი რწმუნებული ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფისა და მისთვის თვითმდგომი ეპარქიის სტატუსის მინიჭების შესახებ. შუამდგომლობის საფუძვლად კი ის ასახელებდა იმას, თითქოს სოხუმის ეპარქიაში ძირითადად აფხაზური და რუსული მოსახლეობაა და მათ არავითარი ტომობრივი კავშირი არ ჰქონდათ საეგზარქოსოში შემავალ სხვა ეპარქიებთან; გამოყოფის აუცილებლობას, არსენის მტკიცებით, მართვის მოუხერხებელი სისტემის არსებობაც განაპირობებდა.

სოხუმის ეპისკოპოსმა იმავდროულად მთავარმართებელ გ.გოლიცინსაც მიმართა. იგი დაეთანხმა არსენის მოსაზრებებს და სინოდის ობერ-პროკურორ კ.პობედონოსცევს ამ თემაზე 1901წ. 15 დეკემბერს წერილი გაუგზავნა.[1513] უწ. სინოდმა ეპ. არსენის შუამდგომლობა მთავარმართებლის წერილთან ერთად 1902წ. 4 იანვარს დასკვნისათვის საქართველოს ეგზარქოს ალექსის გადმოუგზავნა. ის ძირითადად დაეთანხმა წარმოდგენილ დოკუმენტებში გაჟღერებულ მოსაზრებას, ეპ. არსენის არგუმენტებს და სოხუმის ეპარქიის ყუბანის ოლქთან შეერთების ახალი გეგმა წამოაყენა, რასაც მხარი გ. გოლიცინმაც დაუჭირა.

რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლება სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფას და ყუბანის ოლქთან გაერთიანებას, აფხაზეთის მოსახლეობის რუსულ მასაში გათქვეფის, ქართველთა და აფხაზთა ასიმილაციის მიზნით გეგმავდა. ამ განზრახვას არაფერი ჰქონდა საერთო მართლმადიდებლობის ინტერესებთან.

1903 წლის ოქტომბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმის ეპარქია უკვე ჩამოაცილეს საქართველოს საეგზარქოსოს და უშუალოდ სინოდს დაუქვემდებარეს. სავარაუდოდ, სოხუმის ეპარქიის გამოყოფის თაობაზე პეტერბურგში გადაწყვეტილება მიღებული იყო, მაგრამ უწმინდესი სინოდი მისი გაცხადებისათვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა. წინარევოლუციური და მით უმეტეს რევოლუციის აღმავლობის პერიოდი ნამდვილად არ იყო სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის გამოცხადებისათვის საუკეთესო დრო. შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ უწმ. სინოდი აიძულა, უარი ეთქვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, თუ უკვე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაზე.[1514]

რუსი ეპისკოპოსების პოლიტიკა შორს გამიზნული და ვერაგული იყო. მათ სურდათ ძალადობის გზით საბოლოოდ განედევნათ აფხაზეთიდან ისტორიულად დამკვიდრებული წესი - ღვთისმსახურების აღსრულება ქართულ ენაზე, შეეცვალათ ის სლავური ლიტურგიით და ამით სულიერ სფეროში გადაულახავი უფსკრული შეექმნათ ქართულ-აფხაზური ურთიერთობისათვის. სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფა კი, მათი აზრით, დააჩქარებდა მხარის ასიმილაციას.

1512 . იქვე, გვ. 671-672.

1513 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 610-612.

1514 . იქვე, გვ. 616 - 617.

რუს ეპისკოპოსებს მხარდამჭერად ქუთაისის გუბერნატორი თ.გერშელმანი მოევლინა, რომელიც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო და თავის ერთ-ერთ საიდუმლო წერილში დაუფარავად ავლენდა რუსეთის დიდმპყრობელურ მიზნებს. აფხაზეთში „ერთადერთი რადიკალური ღონისძიება ამ მიმართებით იქნება ის, - წერდა გუბერნატორი, - რომ გამოვგლიჯოთ სკოლა და ეკლესია ქართულ საზოგადოებას ხელიდან, რომ წირვა-ლოცვა სკოლებსა და ეკლესიებში ტარდებოდეს სლავურ ენაზე. ამ ღონისძიებებით გადავარჩენთ ადგილობრივ მოსახლეობას ქართული გავლენისაგან, გაქართველებისაგან".[1515] ამასთან მეტად მნიშვნელოვანია აფხაზეთში ქართველთა შევიწროების, რუსული ენის დანერგვისა და მოსახლეობის ასიმილაციის თაობაზე თ.გერშელმანის წერილში ხაზგასმული მოთხოვნაც: „...რუსული ენის დანერგვა ეპარქიაში ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივი და გონვბრივი განვითარების დონის ამაღლებას. ასევე საჭირო და აუცილებელია, სოხუმის სკოლებში ქართველი მასწავლებლები შეიცვალოს რუსული წარმომავლობის მასწავლებლებით. ყოველივე ეს მომავალში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შერწყმას, შეერთებას რუს მოსახლეობასთან".[1516]

სამართლიანად მიუთითებენ, რომ რუსი მღვდელმთავრების მხრიდან ქრისტიანობის ძალდატანებით დამკვიდრების მცდელობამ, რის შესახებ ს. ბასარიაც წერდა, კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზთა ლტოლვა ისლამისაკენ.[1517]

1897 წლის აღწერით, აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, მათი რიცხვი 87 064 კაცს შეადგენდა, მაჰმადიანები იყვნენ 11 062 კაცი, სომეხი გრიგორიანელები – 6 536 კაცი, ლუთერანები – 954 კაცი, კათოლიკეები (სომეხი და „რომაელი") – 375 კაცი, იუდეველები – 162 კაცი,[1518] სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს კი მცირერიცხოვანი მიმდევარი ჰყავდა.

აფხაზეთში რუსული რელიგიული ზეგავლენის განმხორციელებელი იყო ახალი ათონის მონასტერი, სადაც ასობით რუსი ბერი მოღვაწეობდა. აღსანიშნავია, რომ კ.მაჭავარიანი ამ მონასტერს უწოდებდა „სახელმწიფოს სახელმწიფოში".[1519] ახალი ათონის მონასტერს ჰქონდა უზარმაზარი მამულები იმპერიის სხვადასხვა რეგიონებშიც: პეტერბურგში, ნოვოროსიისკში, ტუაფსეში, ბიჭვინთაში და ა.შ., საიდანაც დიდძალი შემოსავალი შესდიოდათ. კასპიის ზღვაზე მას საკუთრებაში ჰქონდა თევზის სარეწები.[1520] მონასტერი ეწეოდა კომერციულ საქმიანობას, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა.

1885 წელს იმპერატორის განკარგულებით, ბიჭვინთის მონასტერი კუთვნილი მიწის ნაკვეთით, ფიჭვნარითა და ტბით ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს შეუერთდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართული ეკლესიის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა რეზიდენციაც, რუსი ბერების ხელში გადავიდა.[1521]

უწმინდესი სინოდის 1898წ. 3 სექტემბრის განკარგულებით დადგინდა, რომ ღვთისმსახურება ტაძრებში აფხაზურენოვანი მრევლით აღესრულებინათ სლავურ ენაზე.[1522]

საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა აღესრულებოდა ქართულ ენაზე, საეკლესიო ლიტერატურაც და საგალობლებიც ქართულ ენაზე იყო შექმნილი. მართალია, გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთზე კონტროლის დროებით დაკარგვამ, აფსუების ჩამოწოლამ, მაჰმადის რჯულისა და წარმართობის გავრცელებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ადგილობრივი მოსახლეობის

1515 . კ. ტოლიაშვილი. რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX საუკუნის 80-იანი – 1917წწ.), საკანდ. დის. თბ., 2005. გვ. 35.

1516 . იქვე, 35.

1517 . . . , გვ. 55. იხ. გ. როგავა. ქართველთა სასულიერო მოღვაწეობა XIX საუკუნის აფხაზეთში. თბ., 2002. გვ. 34.

1518 . Первая всеобщая перепись..., გვ. 86-87.

1519 . . . , გვ. 190-191. იხ. . - . . . 1965. გვ. 505.

1520 . . . . , 1977, გვ. 6-8; იხ. წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 45-57.

1521 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 523.

1522 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვეთი I, გვ. 228.

მართლმადიდებლურ აღმსარებლობას, მაგრამ ქართული საეკლესიო ტრადიციები კვლავ ძლიერი იყო აფხაზეთის მთელ რიგ რეგიონებში. მოსახლეობაში განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა რუსულ ენაზე წირვა-ლოცვა. აი, რას წერდა იმჟამინდელი კორესპოდენტი: „გუდაუთში არის ექვსასი მცხოვრები, ამათგან რუსი და სომეხი ორმოცდაათამდე იქნება, დანარჩენი ყველა ქართველია. ამდენ ქართველს ათი წელიწადი იქნება ქართული წირვა-ლოცვა არ მოუსმენია. მონატრებული ვართ ჩვენებურს გალობას, მშობლიურ ხმებს. უმეტესობას არ გვესმის რუსული ანდა სლავიანური, წირვა-ლოცვაც ხომ არავის ესმის ჩვენთაგან. ამნაირად ვიტანჯებით ამდენი მოსახლე კაცი, დიდს მადლს გვიზამდნენ, თუ უმაღლეს მთავრობის ყურამდე მიიტანდნენ ჩვენს გაჭირვებას"[1523].

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ მთავრ დაბრკოლებას მხარის გარუსებაში ქართული სამღვდელოება წარმოადგენდა, რადგან მათ ხელში ისევ რჩებოდა ეკლესია და სკოლა. ამიტომაც ცდილობდა მათ წართმევას ქართული სამღვდელოებისათვის. ამ მიზნით მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.[1524]

ასევე განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდა აფხაზეთში ქრისტიანობის აღსადგენად, რაც რუსეთს საკუთარი კოლონიალისტური ინტერესებიდან გამომდინარე სჭირდებოდა. თუ ცარიზმი შეძლებდა აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის აფხაზების, ეკლესიის მეშვეობით რუსიფიკაციას, მას მნიშვნელოვნად გაუადვილდებოდა ამ ტერიტორიის ინკორპორირება. საეკლესიო-სამრევლო სკოლები, როგორც დასტურდება, მათი მნიშვნელოვანი იარაღი გახდა ამ საქმეში. სამრევლო სკოლებში ახალგაზრდობა უნდა აღზრდილიყო რუსული მართლმადიდებლური ტრადიციების შეთვისება-გათავისების საფუძველზე. ირკვევა, რომ 1900 წლისათვის რუსეთის ეკლესია კიდევ უფრო ინტენსიურად ცდილობდა განათლების სექტორზე მონოპოლიის მოპოვებას. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელმა საზოგადოებამ", რომელმაც გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქრისტიანობის აღდგენა-დამკვიდრებაშიც. მისი ფინანსებით და ძალისხმევით აფხაზეთში აშენდა არაერთი ეკლესია, გაიხსნა საეკლესიო-სამრევლო სკოლები. XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიმჩნევა სამრევლო სკოლების მშენებლობის ინტენსიფიკაცია.[1525]

მეფის ხელისუფლება დიდად არ ზრუნავდა აფხაზეთის სამრევლო სკოლების პედაგოგიური კონტინგენტის პროფესიულ სრულყოფაზე. არსებობს ცნობები, რომ ზოგიერთ სამრევლო სკოლაში პედაგოგებად დაუნიშნავთ ყოფილი სტრაჟნიკები და გუდაუთის 2 - კლასიანი სამრევლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები იმ მოტივით, რომ „აფხაზურის სწავლება შეუძლიათო".[1526]

არ შეიძლება, არ დავინახოთ, რომ რუსეთის რეაქციულმა სასულიერო პირებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზებში ანტიქართული ფსიქოზის დასანერგად. პირველ რიგში, ეს გამოვლინდა სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის ტოტალურ განდევნაში. XIXს. 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული ენა განდევნეს აფხაზეთ-სამურზაყანოს სკოლებიდან და წირვა-ლოცვის ქართულად შესრულებაც აკრძალეს.[1527] იმავდროულად აკრძალული იყო აფხაზური ენის გამოყენებაც ამ ენის „განუვითარებლობის" მოტივით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ მოსახლეობას თავს ახვევდნენ რუსულ ენას სამრევლო სკოლებში და სლავურ ენას – ეკლესიაში, რაც მათი საბოლოო გარუსების საფუძველს ქმნიდა. ასეთი ვითარება კი პატრიოტი პედაგოგების სერიოზულ უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევდა.

განათლება. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 ომის შედეგად დაზიანდა ან განადგურდა აფხაზეთის სკოლების დიდი ნაწილი. ომის დასრულების შემდეგ თანდათან დაიწყო მათი აღდგენა და სასწავლო პროცესის განახლება. 1880 წლის მონაცემებით, აფხაზეთის

1523 . ივერია, 1902, 14 დეკემბერი.

1524 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვეთი I, გვ. 228.

1525 . იხ. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისა და საეპარქიო სასწავლო საბჭოს სკოლების ჩამონათვალი (1851-1917 წწ.). წიგნში: ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 1020.-1029.

1526 . ისარი, 1907, 24 ივლისი.

1527 . ტროფ. ხუნდაძე. ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში 1881-1917 წწ. თბ., 1948, გვ.7.

სკოლებში 190 ქართველი და 36 აფხაზი სწავლობდა.[1528] ცარიზმის მოხელეებმა უკვე მოიცალეს განათლების სფეროში უფრო ენერგიული ქმედებებისათვის, რათა მხარის გარუსებისათვის სკოლების სახით უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმი შეექმნათ. 1884 წლის 13 ივნისს იმპერატორმა დაამტკიცა საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება, ხოლო 1885 წელს მართმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საეკლესიო-სამრევლო სკოლები სამრევლო სკოლებად გადაკეთდა.[1529]

XIX საუკუნის დასასრულს აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, განათლებული მოსახლეობის რაოდენობა სოხუმის ოლქში 9,7 %-ს შეადგენდა, ხოლო ქალაქ სოხუმში – 41,7 %-ს.[1530]

აღსანიშავია, რომ ამ პერიოდში უმაღლესი და ტექნიკური განათლება აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში არცერთ კაცს არ ჰქონდა; უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ სოხუმის ოლქში მცხოვრებ კაზაკებსა და სხვა უცხოელ ახალმოსახლეებსაც.[1531] აფხაზეთში მოსახლეობის ამ კატეგორიიდან მხოლოდ ქალაქ სოხუმში აღმოჩნდა 3 კაცი, რომელსაც საშუალოსპეციალური განათლება ჰქონდა, ხოლო მთლიანად ოლქში ამ ფენებიდან 32 კაცი და 36 ქალი იყო საშუალო განათლებით.[1532] ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა სოხუმის ოლქის თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკების ოჯახებში. ამ სოციალურ კატეგორიაში წერა-კითხვის მცოდნე იყო 1653 კაცი, წერა-კითხვის უცოდინარი – 3574 კაცი.[1533] უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიღებული ჰქონდა 35 კაცს, სპეციალური ტექნიკური განათლებით იყო 7 კაცი, საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდა 20 კაცს, საშუალო განათლება კი – 275.[1534]

განათლების მხრივ სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სოხუმის ოლქის სასულიერო და საზოგადოების სხვა ფენებშიც. გაზეთ „სახალხო ფურცელში" თედო სახოკია ფსევდონიმით „სოხუმელი" ხაზგასმით მიუთითებდა: „სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღემდე ამ ნიჭიერ ხალხის, როგორიც აფხაზები არიან, შვილთაგან უმაღლესი სასწავლებელი არავის დაუმთავრებია".[1535] აქედან გამომდინარე, განათლებას და საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოს ამ კუთხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს იყო შედეგი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის, ისტორიული ბედუკუღმართობის, გარეშე მტრების განუწყვეტელი ექსპანსიისა, რის გამოც საგრძნობლად შეფერხდა საქართველოს კულტურული განვითარება. ყოველივე ამან რეგიონში სერიოზულად შეასუსტა ქრისტიანული ტრადიციები, გააძლიერა მაჰმადის რჯული და წარმართობაც. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ორი იყო: ან აფხაზეთი დაუბრუნდებოდა მამა-პაპათა კულტურულ ფასეულობებს – საერთო ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ კულტურულ სამყაროს, ან დაადგებოდა რუსეთის მიერ თავს მოხვეულ ძალმომრეობით კულტურულ ცხოვრებას, რომლის შედეგი რუსულ კულტურულ სივრცესთან შეერთება და საბოლოოდ რუსიფიკაცია იქნებოდა.

აშკარაა, რომ ცარიზმი, თავისი კოლონიური პილიტიკიდან გამომდინარე, საქართველოს ამ კუთხეში განათლების ქართულ სისტემას არ შექმნიდა.[1536] მისი გლობალური პოლიტიკური ამოცანა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცეში აქტიურ რუსიფიკაციას გულისხმობდა, რაც რუსული განათლების სისტემის ყოველმხრივი კულტივირების საფუძველზე შეიძლებოდა მხოლოდ მომხდარიყო. ამიტომაც ეს პოლიტიკა ძირითადად განმსაზღვრელი იყო XIX საუკუნის ბოლოდან 1917 წლამდე.

1880 წლიდან 1905 წლამდე აფხაზეთში გაიხსნა 86 სკოლა, აქედან მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხაზით სამი – მოქვში, აჭანდარასა და

1528 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 520.
1529 . იქვე, გვ. 520, 521.
1530 . Первая всеобщая перепись ..., გვ. 1.
1531 . იქვე, გვ. 80.
1532 . იქვე, გვ. 80.
1533 . იქვე, გვ. 78.
1534 . იქვე, გვ. 78 -83.
1535 . სახალხო ფურცელი, 1905, 1 აპრილი.
1536 . ვრცლად იხ. ი. გელენავა. სასულიერო სამრევლო სკოლები აფხაზეთში (1900-1917 წწ.). – ლოგოსი, 2007, №IV, გვ. 209-215; И. Геленава. О некоторых аспектах религиозно-просветительной политики царизма в Абхазии (1900-1917 г.г.). – საისტორიო ვერტიკალები, 2005, №9, გვ. 81-89.

ფოქვეშში, დანარჩენები კი საეპარქიო სასწავლო საბჭოს დაქვემდებარებაში იყვნენ.[1537]

აფხაზეთში, კერძოდ, სამურზაყანოში სკოლების სიმცირისა და მიუწვდომლობის გამო, კვლავ გამოიყენებოდა სწავლა-აღზრდის ხალხური წესები:[1538] საშინაო აღზრდაში მთავარი ადგილი ოსტატს (მასწავლებელს), მღვდელს, ბერსა და ოჯახის დიასახლისს ეჭირა. ოჯახში არსებობდა „ზეპირი სკოლები“, რომლებშიც „ვეფხისტყაოსანს“ და სხვა ნაწარმოებებს ასწავლიდნენ. დიდწილად ამან შეინარჩუნა აფხაზეთში ქართული სული.

1900 წელს აფხაზეთის სახალხო სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი აღწევდა 46-ს; მათ შორის აფხაზი იყო 3, ქართველი - 25, რუსი - 14, ესტონელი - 3 და გერმანელი - 1.[1539]

1880 წელს სოხუმის მთიელთა სკოლაში (რომელიც 1863 წელს გაიხსნა მთიელთა შვილებისათვის და იმყოფებოდა სამხედრო უწყების მეთვალყურეობაში, ამავე დროს შედიოდა სახალსო განათლების სამინისტროს სისტემაში და სწავლა-აღზრდის მხრივ ემორჩილებოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. სკოლა 1917 წლამდე ფუნქციონირებდა) ირიცხებოდა 80 აღსაზრდელი. 1900 წელს კი აქ გაიხსნა ბიბლიოთეკა. სკოლა თავისი არსებობის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის გარუსების საქმეს.[1540]

XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისისათვის თავი გამოიჩინეს აფხაზმა, ქართველმა და სხვა ეროვნების პედაგოგებმა, მათ შორის იყვნენ თ.ეშბა, ა.ჭოჭუა, ივ.გეგია, პ.ჭარაია, თ.სახოკია, ანთ.ჯუღელი, კ.მაჭავარიანი, პ.შაყრილი, ნ.ჭედია, ნ.ჯანაშია, ი.ლაკერბაია, გ.ეშბა, ნ.ქირთბაია, კ.მარშანია, გრაცკი, დ.აჯამოვი და სხვ.

გრძელდებოდა აფხაზური ანბანის დახვეწაზე მუშაობა. 1892 წელს კ.მაჭავარიანმა და დ.გულიამ შეადგინეს ახალი აფხაზური საანბანო წიგნი და გამოსცეს თბილისში. ეჭვგარეშეა, ქართველი მოღვაწეების თანადგომა აფხაზური დამწერლობის შექმნაში პატივისცემის გულწრფელი გამოვლინება იყო აფხაზი ხალხისადმი. დ.გულიას აზრით, „ეს ანბანი აფხაზურმა სკოლებმა ნახეს პირველად და მისის საშუალებით აფხაზმა ბავშვებმა დაიწყეს სწავლა მშობლიურ ენაზე. გამოჩნდა საშუალება მშობლიურ ენაზე ხალხთან საუბრისა“.[1541] ამ წიგნმა მაინც ვერ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი აფხაზი მოსახლეობის განათლების საქმეში, რადგანაც ცარიზმის მიზანი რეგიონის რუსიფიკაცია იყო..

1900-იან წლებში მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული „ჭეშმარიტი რუსების კავშირს“. მისი წევრები იბრძოდნენ, რათა აღმოეფხვრათ ქართული ენა სოხუმის ოლქში. კავშირის მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ ადგილობრივი რუსული მოსახლეობა, რუსული სამღვდელოება, მათ შორის: ლ.პროგულბიცკი (ოლქის უფროსი), ვ.იასტრებოვი (ეპარქიალური ზედამხედველი), მღვდლები ს.პროტოპოპოვი, ს.ალფიოროვი, გ.გოლუბცოვი (იმ პერიოდში სამოსწავლო საბჭოს წევრი) და სხვა. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ რეგიონის გარუსებისათვის, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირებისათვის; ცდილობდნენ, რაიმე ზიანი მიეყენებინათ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფი ქართველებისათვის; აშკარა ცილისწამებას და ბეზღობასაც არ ერიდებოდნენ.[1542] საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება.[1543]

ცარიზმის მცდელობის მიუხედავად, ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრული ურთიერთობები მაინც გრძელდებოდა. შთამომავლობისათვის უდიდესი მაგალითია გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძისა (1847-1918წწ.) და აკაკი წერეთლის მეგობრული ურთიერთობა, ერთმანეთისადმი მიძღვნილი ლექსები. ლიტერატურათმცოდნეებმა დაადგინეს, რომ გ.შარვაშიძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში იგრძნობა ღრმა

1537 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 1020-1029.

1538 . ი. გელენავა. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ აფხაზეთში XIX ს. დასასრულსა და XX ს. პირველ ოცწლეულში (სამურზაყანოს მასალებზე დაყრდნობით). – კლიო, 2005, №26, გვ. 77-98.

1539 . ნ. ვეკუა. სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში (1851-1917). სოხუმი, 1958.

1540 . ნ. ვეკუა. სოხუმის მთიელთა სასწავლებელი (1863-1917 წწ).. – კომუნისტური აღზრდისათვის, 1958, №5, გვ. 73.

1541 . . . , . I. , 1925, გვ. 21.

1542 . ა. ხვინგია.. „მოგონებები“ (ხელნაწერი). რვეული №2. გვ. 54. იხ. ს.გ.მ. 4669. გვ. 56. იხ. ზ. ცინცაძე, აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის სათავეებთან.. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ. 1998, გვ. 138.

1543 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 591-592.

ნათესაობა როგორც ესთეტიკური, ისე თემატური, იდეური და რელიგიური თვალსაზრისით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უნგრელმა მხატვარმა მიხაილ ზიჩიმ სწორედ გ.შარვაშიძე გამოიყენა ნატურად „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ავთანდილის სახის შექმნისას.

აღსანიშნავია ასევე კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძის (1813-1883წწ.), დავით ჩქოტუას, ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის (1855-1932წწ.)[1544] მამულიშვილური შემართება, მათი ბრძოლა რუსეთის მცდელობის წინააღმდეგ ღრმა და გადაულახავი უფსკრული შეექმნა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა აფხაზეთში საქართველოს უგვირგვინო მეფე – ილია ჭავჭავაძე. 1903 წლის 22 მაისს ილია სტუმრობდა სოხუმს. აქ ის გაგრიდან ჩამოვიდა, სადაც პრინც ა.ოლდენბურგელის მიწვევით იმყოფებოდა.[1545] სოხუმის მოსახლეობა აღფრთოვანებითა და დიდი სიყვარულით შეხვდა მგოსანს. მას ორი თანამგზავრი ახლდა: ალ. ორბელიანი და დიმიტრი ჩოლოყაშვილი.[1546] აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“: „22 მაისს, საღამოზე სოხუმის „ბულვარში“ სასეირნოდ გამოსულს ხალხში გაისმა მხიარული ჩურჩული: „ილია ჩამოსულა, ილია გვეწვია“, და თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს ბაღში მოსეირნე ჩვენს სახელოვან მგოსანს ილია ჭავჭავაძეს...

...ყველას უნდოდა ახლო დაენახა ეს სასიქადულო მამულიშვილი საქართველოსი, ყველა ნატრობდა მისი ხმის გაგონებას და ფეხაკრეფით მისდევდა“.[1547]

ქართულ-აფხაზურმა ინტელიგენციამ – ივანე მიმინოშვილმა, თ.სახოკიამ, ს.თურქიამ, ა.ჩუკბარმა, ე.გაბუნიამ, მაშო ანჩაბაძემ (შალვა დადიანის და), გ.ნორაკიძემ და სხვებმა ილიას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და 24 მაისს საზეიმო სადილიც გაუმართეს, რომელიც მოეწყო ალექსანდრე და ივანე შარვაშიძეების ბაღში. გაიშალა მდიდრული ტრადიციული ქართულ-აფხაზური სუფრა, ტკბილი სიმღერებით, თვალწარმტაცი გულთბილი სადღეგრძელოებით. ილიას დინჯად წარმოუთქვამს შემდეგი სიტყვა: „მე ჩემი ამხანაგების მაგიერ და ჩემთავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებული პატივისცემისაგან და ღმერთსა ვთხოვ, გიხსნათ თქვენ იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავივით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე.

დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და, ასეა თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობელიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენდა შვილთა და ახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონად”[1548].

სუფრა აფხაზურ-ქართულ სიმღერებსა და იშვიათი სილამაზის ცეკვებს შეუმკიათ ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. ზეიმი 6-7 საათამდე გაგრძელებულა.[1549]

XXს-ის 80-იანი წლებიდან იმპერიალისტური პოლიტიკა აფხაზეთში განსაკუთრებით გამკაცრდა. ყველაზე მკაფიოდ ეს განათლების სფეროში იგრძნობოდა, რაც სკოლებიდან ქართული ენის მთლიანად განდევნასა და რუსულის დამკვიდრებაში გამოიხატა. ხორციელდებოდა ეკლესიების რუსიფიკაციის პროცესი, საიდანაც ასევე განიდევნა ენა ქართული, ინიშნებოდნენ რუსი მღვდელმთავრები, აქტიურად დაიწყო მუშაობა აფხაზეთის

[1544] . თ. მიბჩუანი. აფხაზეთი. II ნაწილი. თბ., 2006, გვ. 148-150.

[1545] . ж. , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 727.

[1546] . ი. გოგებაშვილი. აფხაზეთის შესახებ. - თხზ. თბ., 1955, ტ. 4, გვ. 200.

[1547] . ივერია, 1903, №118, 4 ივნისი.

[1548] . ივერია, 1903, 4 ივნისი. იხ. ი. გელენავა. აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (1917-1921 წწ. თბ., 2003. გვ. 35-36.

[1549] . საბჭოთა აფხაზეთი, 1966, 15 ივნისი, გვ. 3.

ტერიტორიის დასანაწევრებლად, გაგრის უბანი ჩამოშორდა აფხაზეთს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთდა. ფართო მასშტაბები შეიძინა რეგიონის უცხოური კოლონიზაციის პროცესმა, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი დაპირისპირების გაღრმავება ქართველებსა და აფხაზებს შორის, განსაკუთრებით გაძლიერდა ზეწოლა ქართველობაზე.

2. აფხაზეთი დემოკრატიული რევოლუციის, რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. 1905-1917წწ.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მთელი იმპერია მოიცვა ფართო რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელმაც იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი შეიძინა. 1901-1903 წლებში წინარევოლუციური სიტუაცია საქართველოს მთელ რიგ რაიონებშიც აშკარად შეიმჩნეოდა. წარმოიშვა სერიოზული დაპირისპირება მეფის ხელისუფლებასა და დემოკრატიულ ძალებს, გლეხობასა და მემამულეებს, კაპიტალისტებსა და მუშებს, ცარიზმსა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას შორის, რამაც თავისი კონცენტრირებული გამოხატულება 1905 წლის წინა თვეებში შექმნილ რევოლუციურ სიტუაციაში ჰპოვა.

რევოლუციურმა და დემოკრატიულმა განწყობილებამ თავი იჩინა აფხაზეთშიც, სადაც მშრომელი მასა ძირითადად ქართველი, რუსი და ბერძენი ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა (აფხაზები მუშებს შორის ერთეულები იყვნენ). მიუთითებენ, რომ 1905 წლის რევოლუციის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში აფხაზეთში მოეწყო 11-მდე გაფიცვა, მიტინგი, მანიფესტაცია და სახალხო შეკრება.[1550]

აფხაზეთის ზოგიერთ რეგიონში გლეხები ახერხებდნენ ხელისუფლების ხელში აღებას, თავისი გავლენის დამკვიდრებას და სახალხო-დემოკრატიული მმართველობის შექმნას. ასეთი რამ მოხდა სამურზაყანოს ერთ ნაწილში, რაც ისტორიაში „სამურზაყანოს რესპუბლიკის" სახელითაა ცნობილი. ამ ხელისუფლებამ იარსება თითქმის ერთი წელი.[1551] ისტორიას შემორჩა მოგონება „გაგრის რესპუბლიკის" შესახებ. ამ ხელისუფლებამ ორი თვე იარსება. არის ცნობა, რომ 1905 წლის 16 ნოემბრიდან 20 დეკემბრემდე სოხუმში არსებობდა „რევოლუციური მთავრობა".[1552]

დემოკრატიული მოძრაობის ზეწოლით ცარიზმი იძულებით დათმობაზე მაინც წავიდა. ლიბერალური რეფორმები კავკასიაშიც განხორციელდა. კვლავ აღდგა მეფისნაცვლის ინსტიტუტი. 1905 წ. იანვარში თანამდებობიდან გაათავისუფლეს მთავარმართებელი გ. გოლიცინი. იმავე წლის თებერვალში კავკასიაში მეფისნაცვლის პოსტი ი. ვორონცოვ-დაშკოვმა დაიკავა. თითქმის ერთდროულად სოხუმის ოლქის შოვინისტი უფროსი ვ. პროგულბიცკი თავადმა ლ. ჯანდიერმა შეცვალა. საქართველოს და მათ შორის აფხაზეთს მოაშორეს შოვინისტურად განწყობილი მღვდელმთავრებიც – ეგზარქოსი ალექსი, სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, რუსიფიკაციის პოლიტიკის მთავარი იდეოლოგი და ცხოვრებაში მისი გამტარებელი, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი დეკანოზი ი. ვოსტორგოვი. ახალი ეგზარქოსი ნიკოლოზი (1905-1906წწ.) და სოხუმის ეპისკოპოსი სერაფიმე შედარებით ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. ეპ. სერაფიმემ თხუთმეტწლიანი აკრძალვის შემდეგ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვაც აღადგინა.[1553] მიღებული ზომების მიუხედავად, ხალხის უკმაყოფილება არ ჩამცხრალა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა აფხაზეთში განსაკუთრებით შეიმჩნევა 1905 წლის შემოდგომიდან. ამას განაპირობებდა რევოლუციური მოვლენების ინტენსიფიკაცია, როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვში. იმპერიის „ორივე დედაქალაქში" მღელვარებამ თავის აპოგეას 17 ოქტომბრისათვის მიაღწია. ნიკოლოზ II

1550 . . . . , გვ. 265.

1551 . . . 1905-0907 . , 1984, გვ. 42.

1552 . იქვე, გვ. 37.

1553 . .ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 617-680.

იძულებული გახდა იმავე დღეს გამოეცა მანიფესტი, რომლითაც რუსეთის მოსახლეობას მიანიჭა ყველა ძირითადი დემოკრატიული უფლება და დაჰპირდა სახელმწიფო სათათბიროს გადაუდებელ მოწვევას.

ქართული და აფხაზური ისტორიოგრაფია სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაში ეთნიკური აფხაზების განდგომაზე. ჯერ კიდევ 1910 წელს, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი გიორგი შარვაშიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „გამოვიდა მოულოდნელი კაზუსი, როგორ მოხდა, აფხაზები – „ცნობილი მეამბოხენი", უეცრად იყვნენ მშვიდად და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია... ვერ გაუგებ ამ ხალხს. მუდამ აკეთებენ იმას, რასაც არანაირად არ ელოდები... მათთვის ჯერ კიდევ ფეოდალიზმი გრძელდება, საჭიროა მათში ამ განცდის აღმოფხვრა, რადგან სასაცილოა, ჩვენს დროში, გყავდეს სახელმწიფოში ხალხი ფეოდალური წყობილების ყოფითი სისტემით... რევოლუციურმა პროპაგანდამ აქ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ არ არსებობდა წოდებრივი დაპირისპირება."[1554]

1906წ. მაისში მეფისნაცვლის საბჭოზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა, რომელიც ოფიციალურად ატარებდა დამნაშავის სახელს, ბოლო თვეების მოვლენების დროს გამოირჩეოდა მთავრობისადმი ლოიალობით მეზობელი რაიონების მოსახლეობასთან შედარებით,[1555] რითაც აფხაზების გარკვეული ნაწილი ამაყობდა კიდეც.[1556] ერთი რამ უეჭველია: აფხაზეთში საოციალური კონფლიქტი აქ არსებული სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობის გამო ეროვნებათშორის კონფლიქტად იქცა. თავადაზნაურობის გაბატონებულმა მდგომარეობამ განაპირობა აფხაზთა უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება დემოკრატიული გარდაქმნებისადმი, რისთვისაც იბრძოდნენ სხვა ერების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ქართველები. ასეთი მდგომარეობა და განწყობა ზრდიდა დაპირისპირებას ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ს.ლაკობას აზრით, აფხაზი გლეხი, სხვებისაგან განსხვავებით, ვერ შეძლებდა სოციალ-დემოკრატიული იდეების აღქმას; სხვები იხრებოდნენ ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისაკენ, აფხაზები კი ვაჭრობაში და სხვა სახის შრომით სამსახურში ჩართული არ იყვნენ, რადგან ეს დამამცირებლად მიაჩნდათ. ისინი იშვიათი გამონაკლისის გარდა არ ცხოვრობდნენ სოხუმში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში.[1557]

ს.ლაკობა რევოლუციიდან აფხაზთა განდგომის ერთერთ მიზეზად ასახელებს იმასაც, რომ ისინი ამ მოვლენებს აღიქვამდნენ როგორც ქართულ რევოლუციას. აფხაზთა ერთი ნაწილის ასეთი წარმოდგენა რევოლუციაზე, სწორედ რუსი აგიტატორების მიერ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული პროპაგანდისტული და „აღმზრდელობითი" მუშაობის ნაყოფი იყო. სწორედ ისინი უნერგავდნენ ცარიზმის მიერ დამნაშავედ გამოცხადებული და დასჯილი ერის წარმომადგენლებს, ქართველებისაგან თითქოს „დაჩაგრულ" აფხაზებს სიძულვილს „ქართველი დამპყრობლებისადმი". და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც აფხაზების მიერ გამოთავისუფლებულ მიწებზე მთავრობა ოპერატიულად ასახლებდა სხვადასხვა მიმართულების სექტანტებსა და ნებისმიერი ეროვნების ადამიანებს, გარდა ქართველებისა.

საქართველოს პროგრესული საზოგადოება შეშფოთებული იყო აფხაზეთში 1905წ. შექმნილი სიტუაციით. აშკარა იყო შავრაზმელების „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკის პირველი საგრძნობი შედეგები. ისინი სისტემატურად აქვეყნებდნენ პრესაში წერილებს, რომლებშიც მხილებულნი იყვნენ „ბნელი ძალები", რომლებიც აფხაზეთში ავრცელებდნენ ათასგვარ ბინძურ მონაჭორს, თითქოს ქართველები აპირებდნენ აფხაზთა ამოწყვეტას და მათი მამულების მიტაცებას.[1558] აქტიური იდეოლოგიური მუშაობა ხორციელდებოდა აფხაზების ყველა ფენაში: „თქვენ მშვიდი, კეთილი და

1554 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვეთი I, გვ.242.
1555 . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 23.
1556 . კავკაზ, 1906, 13 იანვარი.
1557 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. I, გვ. 243.
1558 . იქვე, გვ. 243-244.

წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უწესობა არ არის მოსალოდნელი, დარწმუნებული ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები სანდონი არ არიან; იმათგან თქვენს დასაღუპავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ „ჰკა მაგათო" დარწმუნებული იყავით, ამისათვის ჯილდოს მეტი სხვა არაფერი გელითო"[1559], - აქეზებდნენ აფხაზებს.

1905 წლის დეკემბერში, მოსკოვის სისხლიანი წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, დაიწყო რევოლუციის დაღმავლობა. ცარიზმი, რომელმაც მიიღო დასავლეთევროპული სუბსიდიები, რევანშისათვის ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში მეფის ხელისუფლება შეეცადა, გარკვეული ადმინისტრაციული ცვლილებები განეხორციელებინა სოხუმის ოლქში. უკვე დიდი ხანი ამუშავებდნენ პროექტს, რომ სოხუმის ოლქი შეეერთებინათ შავი ზღვის გუბერნიისათვის. ამასთან დაკავშირებით სოხუმის ქალაქის თავმა ნიკო თავდგირიძემ და ალექსანდრე შარვაშიძემ აფხაზეთის სახელით მეფისნაცვალს შუამდგომლობა წარუდგინეს სოხუმის ოლქის არა შავიზღვისპირეთის, არამედ ქუთაისის გუბერნიისათვის მიერთების შესახებ. „ეს შუამდგომლობა, – წერდა „ცნობის ფურცელი" 1905წ. 7 სექტემბერს, – ნამესტნიკმა გადასცა ქუთაისის გუბერნატორს და დაავალა, ამ საგნის შესახებ მცოდნე პირთაგან კომისია შეადგინოს და გამოიკვლიოს, ქუთაისის თუ ჩერნომორიის გუბერნიას მიეწეროს სოხუმის ოლქი". ერთობლივი ქართულ-აფხაზური ინტერესების გამომხატველი იყო მეფისნაცვლისათვის წარდგენილი და 1905წ. 19 ნოემბერს „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებული სოხუმის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნები. დოკუმენტის ავტორები მეფისნაცვალს სთხოვდნენ:

„1. ,ამ ოლქის მთლიანად დატოვება თავის ისტორიულ საზღვრებში, როგორც განსაკუთრებული დამოუკიდებელი კუთხე ადმინისტრაციულ მმართველობის მხრივ – და თუ ასეთი დატოვება არ მოხერხდა, მაშინ იგი შეუერთდეს ჩერნომორსკი გუბერნიას, ისე კი, რომ ადმინისტრაციულ ცენტრად სოხუმი იყოს.

2. ამ ოლქში მცხოვრები აფხაზები აღარ მოიხსენიონ მეტად საძრახის და დაუმსახურებელ სახელით: „დამნაშავენი", როგორც ამ ჟამად სჩადიან ადმინისტრაციის მოხელენი მიწერ-მოწერის და მათთან საუბრის დროს.

3. ამ ოლქის მცხოვრებთაც მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც სამურზაყანოს ოლქის მცხოვრებთა აქვთ; ოლქის უმიწაწყლო მკვიდრთ ეხლავ დაურიგდეთ მიწები; ის მცხოვრებნი ამ ოლქისა, რუსის ქვეშევრდომნი, რომელიც არა ნაკლებ 7 წლისა დასახლებულან და მფლობელობენ ამა თუ იმ მიწით, ეხლავ მიეწერნენ ამა თუ იმ საზოგადოებას და ამ მიწითაც მხოლოდ მათ და მათ შთამომავლობას შეეძლოთ სარგებლობა და არა სხვა ვისმე; მეგრელები, რომელნიც ამ ოლქში სცხოვრობენ ნაყიდ მიწებზე, ჩაირიცხნენ იმ საზოგადოებებში, სადაც ამ ჟამად სცხოვრობენ და ამოიშალნენ იმ საზოგადოებიდან, საიდანაც მოსულნი არიან.

4. უმაღლესად ნება დართონ დაბრუნდნენ ის აფხაზები, რომელნიც 1877-1878 წწ. ოსმალეთში გადასახლდნენ და ამჟამად დაბრუნება სურთ. ამათ უნდა დაუბრუნდეთ სასახლკაროდ სახელმწიფო მიწები.

5. უსასყიდლოდ დაეთმოს ხალხს აქაური სახელმწიფო და საზაფხულო საძოვარი ადგილები.

6. ეხლავ გაუქმებულ იქნას კავკასიის საპოლიციო დარაჯი, რადგან მას ხალხისათვის არავითარი სარგებლობა, ზარალის მეტი, არა მოაქვს-რა. ამის ნაცვლად თავის დასაცველად ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგეს რაზმი.

7. ეხლავ გაიხსნას საფოსტო გზა გაგრასა და ზუგდიდს შუა და განთავისუფლებულ იქნას ხალხი ფოსტის ცხენების შენახვისაგან.

8. ეხლავ შემოღებულ იქნას საერო, უფასო და სავალდებულო სწავლება.

9. ყველა სტიპენდია სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიიდან განთავისუფლების შემდეგ გადმოტანილ იქნას სოხუმის რეალურ სასწავლებელში და თვით სტიპენდიების რიცხვი გამრავლდეს.

10. ყველა ამ ოლქში არსებულ სასწავლებელში სავალდებულო გახდეს სწავლება ქართულ ენისა, ხოლო ვისაც სურს, აფხაზურისა და მაჰმადიან-აბხაზებისათვის–არაბულ ენებისა.

11. უმაღლეს სასწავლებლებში ამ ოლქის მცხოვრებთათვის დაარსდეს სტიპენდია.

12. სოხუმის სამთო სკოლა ეხლავე გადაკეთდეს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად მოსამზადებელ განყოფილებით.

[1559] . ცნობის ფურცელი, 1905, 22 აპრილი.

13. სამკურნალო ნაწილი კარგად მოეწყოს, დაარდეს ქსენონები და საავადმყოფოები და სხვა.

14. სოხუმის ოლქის ჯარის-კაცთ ეხლავ მიეცეთ ნება კავკასიაში მოიხადონ ბეგარა და არა სხვაგან სადმე.

15. ეხლავ შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ინსტიტუტი ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეებისა.

16. ხალხს მიეცეთ უფლება, თვითონ აირჩიოს სასულიერო პირი, როგორც მართლმადიდებელ, ისე მაჰმადიანურ მოძღვრებისა.

17. ყველა სამსახურში, თუ განათლების ცენზი უფლებას აძლევს, ადგილი დაეთმოს ადგილობრივ მკვიდრს".

სოხუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით შედგენილი ამ მოთხოვნებიდან თვალნათლივ ჩანს წინააღმდეგობები. მაგალითად, პუნქტების – 1, 7, და 10-ის შეჯერება გვიჩვენებს საზოგადოებაში არსებულ აზრთა სხვაობას, თუმცა ნათელია განწყობა საქართველოსთან და ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. პირველი პუნქტი აშკარა მცდელობაა, რომ თუკი სოხუმის ოლქი შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთდებოდა, მაშინ ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო სოხუმში. ამით მოხდებოდა ისტორიული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის აღდგენა, შედეგად გაგრის რაიონი კვლავ სოხუმის ოლქს შემოუერთდებოდა; ამასთან ოლქის შემადგენლობაში შემოვიდოდა ტერიტორია მდინარე ყუბანამდე.[1560] მეფისნაცვალი იძულებული იყო, დასთანხმებოდა სოხუმის ოლქის მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნების გარკვეულ ნაწილს.

რევოლუციური პროცესებისაგან აფხაზთა განდგომის გამო უაღრესად კმაყოფილნი იყვნენ ცარიზმის მოხელეები. 1906 წელს გაზეთი „ოკრაინი როსიი" წერდა: „აფხაზებმა ჯერ კიდევ ვერ გაითავისეს სოციალიზმი, ამიტომაც მათთან ცხოვრება შეიძლება."[1561] სწორედ ამიტომ 1907 წლის 27 აპრილს გამოქვეყნდა იმპერატორის „წყალობა", რომლის მიხედვითაც აფხაზებს ოფიციალურად მოეხსნათ „დამნაშავე მოსახლეობის" სტატუსი. ეს იყო მეფის წინაშე გამოჩენილი ერთგულებისათვის მიღებული ჯილდო. კავკასიის მეფისნაცვალი ი.ვორონცოვ-დაშკოვი თავის 1907წ. 11 მაისის მიმართვაში აფხაზებისადმი იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში „აფხაზები თავისი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე დამნაშავეები არანაირ ვითარებაში არ იქნებიან", რომ მათ ღირსეულად გაუძლეს გამოცდას.[1562] მეფის „მოწყალებამ" აღაფრთოვანა აფხაზობა, მალე მათ ჯარში სამსახურის ნებართვა ითხოვეს და მიიღეს კიდეც (ქრისტიანებმა). დაიწყო ხალხის თვითშეგნების არა გამოღვიძება, როგორც გაზეთი „კავკაზი" 1907წ. 12 დეკემბერს წერდა, არამედ ამ თვითშეგნების ძირეული გარდაქმნა; ერი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ძლევამოსილი იმპერიის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა და ამ ბრძოლაში „დამნაშავის" საპატიო სახელი მოიპოვა, ახლა იმავე იმპერიის ერთგული გახდა.

რუსეთის ისტორიაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად იქცა I სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, რაც მეფის 1905წ. 17 ოქტომბრის მანიფესტით იყო გადაწყვეტილი. რევოლუციის აღმავლობამ I სათათბიროს არჩევნები ჩაშალა, თუმცა 1906წ. თებერვალ-მარტში მაინც შედგა. საქართველოში ეს არჩევნები 1906წ. აპრილ-მაისში ჩატარდა. სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან სათათბიროს წევრი გახდა გენერალი პროკოფი შარვაშიძე[1563]. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხების უწმ. სინოდში განხილვასთან დაკავშირებით პეტერბურგში მყოფი სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი ერთხელ იყო I სახელმწიფო სათათბიროს სტუმარი. ის დიდი პატივით მიიღო სათათბიროს თავმჯდომარემ ს.მურომცევმა და მინისტრების გვერდით ლოჟა დაუთმო. „მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ბაასი, – წერდა ეპ.კირიონი, – ისე თავისუფლად ჩემ დღეში არ ამომისუნთქია, როგორც სათათბიროში. მჭევრმეტყველება დუღს და

[1560] . ჯ. , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 730.

[1561] . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. I, გვ. 243.

[1562] . ჯ. , . . დასახ. ნაშრომი, გვ. 368-369.

[1563] . მეორე სახელმწიფო სათათბიროში (1907 წ. თებერვალ-ივნისი) იმავე ოლქებიდან წარმოდგენილი იყო კონსტანტინე კანდელაკი, მესამეში (1907 წ. სექტემბერ-ოქტომბერი – 1912 წ. ივნისი) – კვლავ პრ. შარვაშიძე, მეოთხეში (1912 წ. სექტემბერ-ოქტომბერი – 1917 წ. თებერვალი) – სამურზაყანოელი აკაკი ჩხენკელი. – იხ. გ. საითიძე. ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917). თბ., 2005.

გადმოდის. წესიერება თათბირის დროს სამაგალითოა. თუმცა ყველა ორატორს სიფიცხე ეტყობა. ყველა ერთგულად მუშაობს საზოგადო საქმისთვის. დიდ მნიშვნელობას ამ სათათბიროს ისტორია აღნიშნავს. ეხლა კი მთავრობისგან დევნის მეტი არაფერს უნდა მოელოდეს“[1564]. მართლაც, სულ მალე, 1906წ. 8 ივლისს, ურჩი სათათბირო დაითხოვეს.

სოხუმის კათედრაზე ეპ. კირიონის დანიშვნა (1906წ. 3 თებერვალი) თავისთავად წარმოადგენდა დათმობას სოხუმის ოლქში დემოკრატიული რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალის – ქართველების წინაშე. აფხაზეთში მისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდი შეადგენს მთელ ეპოქას რეგიონის საეკლესიო ცხოვრებაში. ეპ.კირიონმა იმთავითვე უარყო რუსი მღვდელმთავრების მიერ დანერგილი იძულებითი გაქრისტიანების პრაქტიკა და მთელი ყურადღება მრევლთან შეხვედრებზე, ქადაგებებზე, ახალი სამრევლოების გახსნაზე, ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაზე გადაიტანა; ჰქონდა გეგმა, სოხუმში აეშენებინა „ორი შეუპოვარი სიმაგრე ქართველი ეროვნებისა“[1565] – ეკლესია და სკოლა, მაგრამ არ დასცალდა. ცხუმელი ეპისკოპოსის ერთ-ერთი დამსახურება ის იყო, რომ მან ყველა ეროვნების მრევლს – ქართველებს, რუსებს, ბერძნებს – საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების შესაძლებლობა მისცა. აფხაზებსაც რომ ასეთივე შესაძლებლობა ჰქონოდათ, ეპ.კირიონმა აფხაზთაგან ჩამოაყალიბა და ინტენსიურად მუშაობდა საეკლესიო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი კომისია, რომელიც ძირითადად აფხაზური ეროვნების სასულიერო პირებისაგან და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. კირიონ ეპისკოპოსმა მოასწრო კომისიის ორი სხდომის ჩატარება. აფხაზეთიდან ქართველი მღვდელმთავრის გაწვევის შემდეგ კომისიის საქმიანობა შეჩერდა, მაგრამ მოგვიანებით მან კვლავ განაახლა მუშაობა, რომელიც 1913 წლამდე გაგრძელდა და უფლის სიტყვის აფხაზურ ენაზე თარგმნით დასრულდა (შეასრულეს დ.გულიამ და მღვდლებმა ნ.ლადარიამ, ნ.პატეიფამ და დ.მარღანიამ)[1566].

კირიონ ეპისკოპოსს მიზნად ჰქონდა დასახული გამოჩენილი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის დახმარებით აფხაზური დედაენის შედგენა და გამოცემა[1567]. მისმა მოულოდნელმა გადაყენებამ ეს გეგმაც ჩაშალა.

ეპ.კირიონის კალამს ეკუთვნის 1906წ. ცხუმელის სახელით პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურა „აბხაზია“. საქართველოს ამ უძველესი რეგიონის – აფხაზეთის ისტორიისა და აწმყოს მიმოხილვის შემდეგ ავტორი აკეთებს დასკვნას კანონიკური და ისტორიული თვალსაზრისით სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის დაუშვებლობის შესახებ[1568]. ბროშურის წინააღმდეგ გაილაშქრა ვინმე ლ.ვორონოვმა, რომელმაც 1907წ. მოსკოვში გამოსცა „წიგნი” „აფხაზეთი საქართველო არ არის“ (Абхазия – не Грузия). მიუხედავად მყვირალა სათაურისა, „ნაშრომს“ არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ავტორმა მიზანს – ქართველთა და აფხაზთა გაუცხოებას, მათ შორის დაპირისპირებას – ნამდვილად მიაღწია. „აფხაზეთი საქართველო არ არის“ დღემდე სეპარატისტთა ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს.

ეპ.კირიონის სოხუმის კათედრაზე დანიშვნამ და მისმა მოღვაწეობამ შოვინისტთა გაღიზიანება გამოიწვია. ქართველ მღვდელმთავარს ისინი ნაციონალისტური ინტერესების ლობირებაში ადანაშაულებდნენ, ხოლო აფხაზეთში მის დანიშვნას რუსეთის ინტერესების შელახვად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა

1564 . წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.148. სათათბიროში სტუმრობამდე, 1906წ. 22 თებერვალს, ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე (ოქროპირიძე) გატჩინაში შეხვდნენ თბილისის ყოფილ გუბერნატორს, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დედის კანცელარიის უფროსს, გენერალ გ.დ.შარვაშიძეს. შეიტყო რა მიზანი ქართველი მღვდელმთავრების სტუმრობისა, გენერალმა თქვა: „მე თანაუგრძნობ ავტოკეფალიას, ავტონომიას“; შეხვედრის დასრულების შემდეგ ეპ. კირიონმა აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენელი ასე დაახასიათა: „ბევრისგან გამიგია, რომ შერვაშიძე არ არის გულით ქართველიო, მაგრამ ეს ცილისწამებაა“ (იქვე, გვ. 118-119).

1565 . იქვე, გვ. 213.

1566 . ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 692; წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.33, 305-307.

1567 . წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 268.

1568 . იქვე, გვ. 423-438.

ი.ვოსტორგოვი[1569], რომლის ცილისწამებებმა დიდწილად განაპირობეს 1907წ. 24 იანვარს ეპ.კირიონის სოხუმიდან გაწვევა და წლების განმავლობაში მისი დევნა-შევიწროება. შემდგომში სოხუმის კათედრის მმართველებად წმ.სინოდი მხოლოდ რუს მღვდელმთავრებს ნიშნავდა. 1907-1919წწ. სოხუმის კათედრას მართავდნენ: დიმიტრი სპეროვსკი (1907წ. 25 იანვარი – 1911წ. 25 ივლისი), ანდრია უხტომსკი (1911წ. 25 ივლისი – 1913წ. 22 დეკემბერი), სერგი პეტროვი (1913წ. 22 დეკემბერი – 1919წ. 1 სექტემბერი)[1570]. რუსი ეპისკოპოსები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეპ. ანდრიას ლიბერალურ-ფარისევლურ პოლიტიკას, ასიმილატორულ, ეროვნებათაშორისი შუღლის გაღრმავების, ქართველთა დევნის პოლიტიკას ახორციელებდნენ.

XXს. დასაწყისიდან აშკარა იყო საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება. დემოკრატიული ფენები ცდილობდნენ მოსახლეობის ერთფეროვანი ყოფა უკეთესობისაკენ შეეცვალათ. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თვითმოქმედი გაერთიანებები, თანამეგობრობები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სათვისტომოები და სხვ. ასეთი გაერთიანებების ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, საინვესტიციო პოლიტიკა, ჯანმრთელობა, უპოვართა და ლტოლვილთა დახმარება, მოსახლეობის დასვენებისა და კულტურული გართობის ორგანიზაცია. ყველაზე ეფექტური შედეგებით გამოირჩეოდნენ ეკონომიკური პროფილის გაერთიანებები.

განსაკუთრებული აქტიურობა შავი ზღვის პირას რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით გამოიკვეთა. რკინიგზას აფხაზეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც ბუნებრივად ჩანს „კავკავის გზის საზოგადოების" წევრთა აქტივობა, რომ მიეღოთ მთავრობისაგან მისი გაყვანის უფლება, რაც მოიპოვეს კიდეც 1902წელს.[1571]

ჯერ კიდევ 1899წ. დასაწყისში დრანდაში დაარსდა „მეაბრეშუმეობის ამხანაგობა",[1572] 1900წ. სოხუმში დაფუძნდა „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება" რომლის წესდებაც დაამტკიცა კავკასიის მთავარმართებელმა[1573]. ამავე პერიოდში დრანდაში არსდება „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება",[1574] 1903წ. შეიქმნა „სამურზაყანო-კოდორის ფრინველთა გამშენებელი საზოგადოება".[1575] 1911წ. სოხუმში ჩამოყალიბდა მომხმარებელთა საზოგადოება „სოლიდარობა", რომელსაც თავისი წესდება ჰქონდა[1576], შეიქმნა ასევე „ექიმთა საზოგადოება" და სხვ.

1915წ. დაბა ოჩამჩირის მცხოვრებნი ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობენ, დააარსონ „ოჩამჩირის მომხმარებელი საზოგადოება".[1577] ამავე წელს სოფ.გუდაუთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების" დაარსების შესახებ[1578]. ამავე პერიოდში სოხუმში მოქმედებას იწყებს სამომხმარებლო კოოპერატიული საზოგადოება „პატრონი".[1579]

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ერთ-ერთი მიმართულება იყო პირველი მსოფლიო ომის მძიმე პირობებში მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგება. ისინი აარსებდნენ საცხობებს, პურის მაღაზიებს, ფარდულებს და ა.შ. 1915წ. სამურზაყანოში გახსნეს კოოპერატიული ფურნე.[1580] ამავე წლის მიწურულს დაბა ოჩამჩირის მცხოვრებლებმა დააარსეს „მომხმარებელთა საზოგადოება". იგი დახმარებას უწევდა მატერიალურად გაჭირვებულ ხალხს. „ეს ამხანაგობა მხოლოდ სამი თვეა არსებობს და

1569 . 1906 წ. მარტში ჟ. „კოლოკოლში" (№45) ეპ.კირიონის სოხუმში დანიშვნის წინააღმდეგ ი.ვოსტორგოვმა ფსევდონიმით „რუსი" გამოაქვეყნა ბინძური წერილი „Голос из Сухума". მაშინ მას საკადრისი პასუხი გასცა არქინამდრიტმა ამბროსი ხელაიამ სპეციალურ წერილში „По поводу статьи «Голос из Сухума»". მასში მოცემულია საფუძვლიანი კრიტიკა რუსიფიკატორული პოლიტიკისა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში. ი. ვოსტორგოვს ეკუთვნის კიდევ ერთი პასკვილი ეპ. კირიონის წინააღმდეგ „Скоро ли конец", რომელიც 1906 წ. სექტემბერში ჟ. „კოლოკოლმა" (№261) გამოაქვეყნა.

1570 . წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 672.

1571 . ცნობის ფურცელი, 1902. 27 ივნისი.

1572 . კვალი, 1901. 25 თებერვალი; იხ. ასევე: თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., 1984, გვ. 52.

1573 . ივერია, 1900, 28 მაისი.

1574 . ცნობის ფურცელი, 1904, №2418.

1575 . ივერია, 1903. 19 აპრილი.

1576 . სახალხო გაზეთი, 1911 წ, 26 ივლისი.

1577 . საქართველო, 1915, 12 ქრისტეშობისთვე.

1578 . საქართველო, 1916, 1 მარტი.

1579 . საქართველო, 1915, 3 ნოემბერი.

1580 . საქართველო, 1915, 22 ოქტომბერი.

უკვე კვალიც დაამჩნია",[1581] - წერდა გაზ. „საქართველო".

აფხაზეთში საკმაოდ წარმატებული იყო ურთიერთდამხმარე, ანუ „საურთიერთობო" საზოგადოებები. მისი პირველი ხსენება 1900წ. ფიქსირდება[1582]. 1904წ. 14 დეკემბერს სოხუმში აკურთხეს ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილი ღამის თავშესაფარი. ღამის გათევის გარდა გაჭირვებულთ აქ შეეძლოთ ჩაისა და ცხელი კერძების მიღებაც[1583].

ქველმოქმედება ამხანაგობებისა და საზოგადოებების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. აფხაზეთში სპეციალური საქველმოქმედო საზოგადოებები იქმნებოდა, რომელთა საწესდებო მოვალეობას შეადგენდა უპოვართა და მიუსაფართა მატერიალური და სულიერი დახმარება, ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა გაერთიანება. მაგალითად, სოხუმში შედგა „ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება", რომლის მიზანი იყო, ერთ ჯგუფად გაეერთიანებინა სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, აღმოეჩინა წევრებისა და მათი ოჯახებისათვის მატერიალური თუ სულიერი დახმარება, გაეცა სესხი. თუ ამ ორგანიზაციის წევრს დაითხოვდნენ სამუშაოდან, საზოგადოებას უნდა ეზრუნა მისი დასაქმებისათვის, მიეწოდებინა „გონიერი და სასარგებლო გასართობი". საზოგადოებას უნდა უზრუნველეყო თავისი წევრების გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის საჭირო პირობები, როცა მათ ამისათვის ექნებოდათ თავისუფალი დრო[1584].

1908-1911 წლებში სოხუმში ასევე ფუნქციონირებდა „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება",[1585] „ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება" (რომლის წესდება მთავრობას 1904წ. დაუმტკიცებია),[1586] „ქართული სასკოლო საზოგადოება",[1587] „აფხაზეთის სასკოლო საზოგადოება",[1588] „ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება"[1589] და სხვ.

განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩეოდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სოხუმის განყოფილება, რომელიც დაარსდა 1915 წლის ნოემბერში. იგი დახმარებას უწევდა ხელმოკლე ოჯახებს. დაარსებიდან ერთი თვის განმავლობაში ამ საზოგადოებისათვის დახმარების სათხოვნელად 166 ოჯახს მიუმართავს. მრავალეროვან აფ-ხაზეთში პარალელურად მოქმედებდნენ საზოგადოებები ეროვნული ნიშნით. მაგალითად, არსებობდა ბერძნების[1590], სომხებისა და რუსების (ჭეშმარიტ რუსთა კავშირი) საზოგადოებები[1591]. ამ უკანასკნელის მოღვაწეობა გამოირჩეოდა ანტიქართული საქმიანობით.

სოხუმში ფუნქციონირებდნენ „ფილარმონიული საზოგადოება",[1592] „სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება", რომელიც 1908 წელს დაარსდა. მოქმედება დაიწყო სახალხო უნივერსიტეტმა, რომლის კურსებზე 30-40 კაცი ირიცხებოდა; სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა[1593]. სოხუმში გაიხსნა დრამატული ხელოვნების მოყვარულთა წრე, რომელსაც თავისი წესდებაც ჰქონდა[1594]. 1911 წელს მას სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან შეერთებაც კი განუზრახავს[1595].

საქველმოქმედო საზოგადოებები და გაერთიანებები ყურადღებას უთმობდნენ მოსახლეობის განათლებას და კულტურულ დაწინაურებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" მიუძღვის. ამ ორგანიზაციის სოხუმის განყოფილების პირველი კრება 1909 წლის 17 მაისს იქნა მოწვეული[1596]. თუმცა მანამდეც იგი აქტიურად იყო ჩაბმული აფხაზეთში კულტურისა და

1581 . საქართველო, 1916, 9 თებერვალი.
1582 . თემი, 1912, №91.
1583 . ივერია, 1904. 6 იანვარი.
1584 . კვალი, 1902, 29 სექტემბერი.
1585 . სახალხო გაზეთი, 1911, 14 დეკემბერი.
1586 . ცნობის ფურცელი, 1904, 17 ნოემბერი; იხ. სახალხო გაზეთი, 1911, 14 დეკემბერი.
1587 . სახალხო გაზეთი, 1911, 14 დეკემბერი.
1588 . იქვე.
1589 . ბათუმის გაზეთი, 1911, 19 ოქტომბერი.
1590 . ბათუმის გაზეთი, 1911, 27 ნოემბერი.
1591 . დროება, 1909, 25 ივნისი.
1592 . სახალხო გაზეთი, 1912, 13 ივლისი.
1593 . საქართველო, 1915, 6 ქრისტეშობისთვე.
1594 . სახალხო გაზეთი, 1911, 10 ივლისი.
1595 . იქვე, 20 ოქტომბერი.
1596 . დროება, 1909, 25 ივნისი.

განათლების გავრცელების საქმეში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სოხუმის განყოფილების გახსნის შემდეგ აფხაზეთის დაბებში შეიმჩნევა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების გახსნის მცდელობა. 1912 წელს გუდაუთის ქართველობა ცდილობდა დაეარსებინა ადგილობრივი განყოფილება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა".[1597] ეს ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩაბმული მხარის კულტურულ ცხოვრებაში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან" შეთანხმებით ქ.სოჭში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე, რომელმაც წარმატებით დაიწყო მოღვაწეობა.[1598] აფხაზთა კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა 1913 წ. 25 აგვისტოს ს.ლიხნში აფხაზთა შორის განათლების ბზიფის კომიტეტის დაარსება. საზეიმო დამფუძნებელ კრებას, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარემ ს.აშხვაწაამ გახსნა, გუდაუთის უბნის უფროსი დ.ქელბაქიანი თავმჯდომარეობდა[1599].

აფხაზეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პირველი მსოფლიო ომის პირობებშიც შეძლეს მოწინავე აგრარული ტექნოლოგიების შეძლებისამებრ დანერგვა, გაჭირვებულთა და მიუსაფართა მატერიალური დახმარება, კულტურული ცხოვრების ორგანიზება, ჯანმრთელობის კერების შექმნა.

1905-1907წ-ბის რევოლუციისა და შემდეგ პერიოდში განხორციელებულ შეზღუდული დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე აფხაზეთში აქტიურდება კულტურული ცხოვრება.

სოხუმის ოლქში მოღვაწე ქართველი პედაგოგები მსჯელობდნენ აფხაზეთის ისტორიასა და მის კულტურულ-ისტორიულ კავშირზე საქართველოსთან. მაგალითად, პეტრე ჭარაიამ გამოაქვეყნა კაპიტალური მეცნიერულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი „აფხაზეთი და აფხაზები"[1600]. ნიკო ჯანაშიამ დაბეჭდა ეთნოგრაფიული წერილები: „აფხაზები", „აბრსკილი"[1601], „ამირანი", „ხალხური აფხაზური გამოცანები"[1602] და სხვა. მრავალი საინტერესო სტატია გამოაქვეყნეს აფხაზეთის შესახებ ივანე გეგიამ,[1603] ანთიმოზ ჯუღელმა, თედო სახოკიამ,[1604] მარიამ დადიან-ანჩაბაძემ[1605] და სხვა მამულიშვილებმა, რომლებშიც საუბარი იყო ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ კავშირზე, მათ ნათესაობაზე.

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ბრძოლა სასულიერო და საერო სასწავლებლებში მშობლიური ენის უფლებების აღსადგენად განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 - 1907 წლების რევოლუციის პერიოდში. 1905 წლის 17 დეკემბრის სოხუმის ოლქის სკოლების მასწავლებელთა I არალეგალური ყრილობა იყო პირველი მნიშვნელოვანი ცდა, სასკოლო რეფორმის თვითნებური, ცარიზმისათვის არც თუ ისე მისაღები წესით გატარებისა.[1606] ყრილობას ესწრებოდნენ ოლქის როგორც სამინისტრო უწყების, ისე საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები.[1607] მართალია, იგი არალეგალურად შეიკრიბა, მაგრამ თავისი მუშაობა ჩაატარა საქალაქო სკოლის დარბაზში. შეკრებილებმა განიხილეს საკითხები: ყველა სკოლის სახალხო ეროვნულ სკოლად გამოცხადება; სასწავლო დისციპლინების სწავლება დედაენაზე და რუსული ენის სწავლების დატოვება სკოლებში როგორც ცალკე სასწავლო საგნისა; ბევრი ითქვა მასწავლებლის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ასეთი ეროვნული მიზნების რეალიზაციას მეფის მთავრობა ყოველთვის უპირისპირებდა საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცარიზმი დროებით დათმობაზე წავიდა და ნება დართო, სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმართულიყო. ეს მოხდა

1597 . ბათუმის გაზეთი, 1912, 27 ივნისი.
1598 . საქართველო, 1915, 5 ქრისტეშობისთვე.
1599 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 693.
1600 . ლიტერატურული საქართველო, 1964, 31 ივლისი.
1601 . გრ. შარია. პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. - საბჭოთა აფხაზეთი, 1962, 29 ივლისი.
1602 . ა.ხუნდაძე. ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ჯანაშია. თბ., 1949, გვ. 28.
1603 . სახალხო განათლება, 1946, №41.
1604 . ც. არდაშელია. გოგებაშვილის ლაშქარი. - განთიადი, 1989, №1, გვ. 252.
1605 . სახალხო განათლების სახალხო მასწავლებლები და ქართველი მოღვაწეები, კრებული, III, გვ. 199.
1606 . ნ. ვეკუა. მასწავლებელთა პირველი არალეგალური ყრილობა. - საბჭოთა აფხაზეთი, 1965, 28 დეკემბერი.
1607 . ნ. ვეკუა. ქართველი და აფხაზი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. - სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, 1956, IX, გვ. 152.

რევოლუციის წლებში. ქართული ენა ისევ დაბრუნდა აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და აჭარაში.[1608]

რევოლუციის დამარცხების შემდეგ საერო და სასულიერო მთავრობა ცდილობდა სწავლის ძველი ტრადიციული სისტემა აღედგინა, თუმცა 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ სავსებით ნათელი გახადა, რომ სკოლა ვერ გადაიქცა თვითმპყრობელობის ერთგული მოხელეების აღმზრდელად, ეროვნული გადაგვარების საიმედო იარაღად. ამიტომ შეეცადნენ უფრო შენიღბული და რაფინირებული ფორმები გამოეყენებინათ.

აფხაზეთში, ქართველ მასწავლებლებთან ერთად, მოღვაწეობდნენ და უსამართლობას უპირისპირდებოდნენ აფხაზი პედაგოგებიც. აფხაზი ბავშვებისათვის სანატრელი იყო აფხაზური ენა, მიმდინარეობდა მათი ასიმილაცია. ის აფხაზი მასწავლებელი, ვინც არ უშინდებოდა მთავრობისაგან მოსალოდნელ სასჯელს და განაგრძობდა აფხაზი ბავშვების დედაენაზე სწავლებას, ათვალწუნებული ჰყავდათ განათლების მესვეურებს. ასეთი იყო თომა ეშბა, რომელმაც სოფ. ბედიაში მოღვაწეობის დროს გახსნა სკოლა და იქ ასწავლიდა აფხაზურ ენას.[1609] საყურადღებოა წარმოშობით სამურზაყანოელი იოსებ ლაკერბაიას (ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი და გუდაუთის უბნის ბლაღოჩინი მღვდელი) მოღვაწეობა, რომელიც სოფ. ლიხნში შეთავსებით სკოლის გამგედ მუშაობდა, ასწავლიდა ბავშვებს აფხაზურ ენას.[1610] გერასიმე ეშბა ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურ ენას, თარგმნიდა რელიგიურ ლიტერატურას. ნესტორ ქირთბაია მასწავლებლობდა ოტობაიის ორკლასიან სასწავლებელში; მისი, როგორც ხელმძღვანელის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ოტობაიის სკოლა 1919წ. გადაკეთდა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად.[1611] კონსტანტინე მარშანია მუშაობდა ტამიშის ორკლასიან სკოლაში, მისი ინიციატივით აფხაზეთში რამდენიმე სკოლა გაიხსნა.

აფხაზური სალიტერატურო ენის ფუძემდებლია აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია (1874-1960წწ.)[1612]. პირველად მან 1907წ. თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა „აფხაზური ანდაზები, გამოცანები და ენის გასატეხები“[1613]. მისი პირველი ლიტერატურული კრებული სახელწოდებით „ლექსები” ასევე გამოდის თბილისში 1912წ. ამ წიგნმა აფხაზურ პოეზიას ჩაუყარა საფუძველი.[1614] 1913 წელს გამოდის მისივე „ჭაბუკის წერილი გოგონას“; ამ პოემამ საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ სატრფიალო ლირიკას.[1615]

1907 წლისათვის აფხაზეთის მკვიდრმა კ.მაჭავარიანმა, რომელიც იმხანად ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად მუშაობდა, მოამზადა და გამოსცა აფხაზური ენის სახელმძღვანელო. როგორც გაზეთი „ზაკავკაზიე“ 1907წ. 4(17) თებერვალს იტყობინებოდა, საზოგადოების ნაწილი უარყოფითად შეხვდა აფხაზური ლიტერატურის ხელოვნურად შექმნის იდეას[1616]. ამ პუბლიკაციას გამოეხმაურა ი.გოგებაშვილი. მან არ გაიზიარა „გაზეთების ზოგი კორესპონდენტის“ პოზიცია და აღნიშნა, რომ „ვინაიდან აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე, როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“[1617]

1907 წელს თომა ეშბამ დაწერა აფხაზურ ენაზე სასწავლო წიგნი მათემატიკაში. 1908 წელს ა.ჭოჭუამ ახალი ანბანის საფუძველზე გამოსცა საკითხავი წიგნი აფხაზურ ენაზე. 1912 წელს რუსეთის არმიის ოფიცერმა, პირველმა აფხაზმა გეოგრაფმა მ.შერვაშიძემ დაასრულა აფხაზეთის რუკის შედგენა აფხაზურ ენაზე აფხაზური

1608 . ივერია, 1906, №66.

1609 . , 1977, 2 სექტემბერი.

1610 . . . . , 1979, გვ. 111.

1611 . ა. სამხარაძე. დასავლეთ საქართველოს პედაგოგების ბრძოლა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ 1900-1907წწ. საკანდ. დის. თბ., 1999, გვ. 105.

1612 . . . ..., გვ. 112.

1613 . აფხაზური ლიტერატურა (მოკლე ნარკვევი). რედ. მ. მირნელი. თბ., 1975, გვ. 14.

1614 . აფხაზური პოეზიის ანთოლოგია. რედ. ი. აბაშიძე. თბ.., 1957, გვ. 7.

1615 . აფხაზური ლიტერატურა (მოკლე ნარკვევი), გვ. 17.

1616 . წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 617.

1617 . ი. გოგებაშვილი. თხზ., ტ. 4. თბ., 1955, გვ. 200.

სკოლებისათვის (АпсныАпсны ахсаалаахсаала). შეიქმნა სხვადასხვა კულტურულ-საგამანათლებლო დაწესებულებები. სოხუმში გამოიცემოდა რამდენიმე გაზეთი, რომელთაგანაც მთავარს წარმოადგენდნენ „სუხუმსკი ვესტნიკ" და „სუხუმსკი ლისტოკ".

1914წ. 1 აგვისტოს რუსეთი ჩაება პირველ მსოფლიო ომში, რომლის მიზანი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება იყო. მან შეაჩერა იმპერიაში დაწყებული ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა. ომში გაიწვიეს ათასობით ქართველი აფხაზეთიდან, ბევრი აფხაზიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ხალხის მდგომარეობა გაუარესდა, გაიზარდა გადასახადები, იმატა უმუშევართა რიცხვმა. ომის სიმძიმე აფხაზეთში ყველაზე მეტად ქართველებს დააწვათ (სომხები და ბერძნები, რომლებსაც რუსეთის ქვეშევრდომობა არ ჰქონდათ, ჯარში არ მიჰყავდათ, აფხაზები კი მხოლოდ მოხალისეებად მიდიოდნენ); მასობრივმა გაწვევებმა საგრძნობლად შეამცირა მათი ხვედრითი წილი მოსახლეობაში. შესაბამისად გაძლიერდა მათზე ზეწოლაც. 1917წ. 1 მარტს გაზ. „სახალხო ფურცელი" აღნიშნავდა, რომ ამ მძიმე ვითარებაში მოხდა ქართველთა და აფხაზთა შეკავშირება, მრავლად იყო ურთიერთთანადგომის ფაქტები.

აფხაზეთში კარგად იყო ორგანიზებული დახმარება ფრონტისათვის, ომში წასულთა ოჯახებისათვის. აქტიურად მოქმედებდა წითელი ჯვრის აფხაზეთის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა სოხუმის ქალაქის თავის მეუღლე ე.თავდგირიძე[1618].

პირველი მსოფლიო ომის წლებში აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე მოგვითხრობს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომელმაც 1915წ. ოქტომბერში მთელი რეგიონი შემოიარა. ოჩამჩირეში ყოფნისას მან შენიშნა, რომ იქ არ იყო „გაბმული ძაფი დანარჩენ საქართველოსთან და აქაური მაჯა არ უერთდება სამშობლოს საერთო მაჯისცემას". შედარებით უკეთესი მდგომარეობა ნახა ს.ფირცხალავამ სოხუმში. ქალაქის 40 ათასიანი მოსახლეობის ნახევარს ქართველები შეადგენდნენ, ქონებრივადაც უპირატესობა მათ ეკუთვნოდათ. სოხუმში გაცილებით უფრო ძლიერი იყო ქართველთა ეროვნული თვითშეგნება (აფხაზები ქალაქში თითქმის არ ცხოვრობდნენ). „აქ ქართველობა ჰგრძნობს თავის სახეს... სწყურია დაეწაფოს ეროვნულ ცხოვრებას და მჭიდროდ დაუახლოვდეს მთელს ჩვენს ქვეყანას", – წერდა ს. ფირცხალავა. არსებობდა სერიოზული პრობლემებიც. 1915წ. გახსნილ სამასწავლებლო სემინარიაში არცერთი ქართველი არ მიუღიათ, ქართულ ენას იქ არ ასწავლიდნენ; ქალაქის ოთხი ეკლესიიდან არცერთში წირვა-ლოცვა ქართულად არ წარმოებდა.

სოხუმის ოლქის ყველაზე მწვავე პრობლემად ს.ფირცხალავა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პრობლემას მიიჩნევდა. აფხაზთა შორის, – წერდა იგი, – გამოჩნდნენ „ისეთები, რომელთაც დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ ქართველებთან საერთო არც გვქონია და არც გვაქვსო... საბედნიეროდ ასეთი მიდრეკილება ნელ-ნელა ჰქრება". განცალკევების მქადაგებელ ინტელიგენტ აფხაზებზე უარყოფითი გავლენა აკად. ნ.მარის ბოლოდროინდელ გამოკვლევებს (აქვე, გვ. 31) მოუხდენია, – შენიშნავდა ს.ფირცხალავა.[1619] მას ,ალბათ, მხედველობაში ჰყავდა მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული, რუსიფიკაციის პოლიტიკის ზეგავლენით აღზრდილი ახალი ინტელიგენცია – მ.თარნავა, ს.ჭანბა, ა.ჩუკბარი და სხვები. მათი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა ძირძველი აფხაზური თავადაზნაურული ინტელიგენციის (გიორგი შარვაშიძე და სხვ.) პროქართული შეხედულებებისაგან. ამიტომ XX საუკუნია 10-იან წლებში მიმდინარეობდა არა აფხაზი ხალხის აღორძინებისა და თვითგამორკვევის პროცესი, როგორც ეს სეპარატისტულ ისტორიოგრაფიას მიაჩნია[1620], არამედ ხდებოდა ხალხის მოწყვეტა ეროვნული ფესვებისაგან, პროიმპერიული თვითშეგნების ჩამოყალიბება. ს.ფირცხალავას აზრით, ამ პროცესს ხელი შეუწყვეს ნ. მარის შრომებმაც.

აფხაზეთში ყოფნისას ს.ფირცხალავას ახალი ათონის მონასტერიც მოუნახულებია. ბერების რაოდენობა 600-700-დან სამასამდე შემცირებულა; ქართველ ბერებს ან

1618 . .ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 722-723.
1619 . იქვე, გვ. 736-737.
1620 . О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии, გვ. 271-272.

მორჩილებს მონასტერში არ იღებდნენ. გუდაუთაში ქართველობა ეკონომიკურად ძლიერი ყოფილა, მაგრამ „ეროვნული ინტერესები აქაც აბუჩადაა აგდებული“. ს.ფირცხალავას ცნობით, გუდაუთაში არსებულა „მცირე წრე აფხაზთა ინტელიგენტებისა, რომელთაც სურთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. ბევრი სიმწარე გადმომცეს აფხაზების მდგომარეობისა. ძლიერ ჩამორჩენილნი და დაქვეითებულნი არიან და ეხლა იწყებენ ნელ-ნელა მოქალაქეობრივ ცხოვრებას. ყველა მათ სჩაგრავდა და იბრიყვებდა და ქართველებმაც ვერ გავუწიეთ კეთილი ძმობა“. ს.ფირცხალავა მოუწოდებდა ქართველობას, „გავუწოდოთ აფხაზებს ძლიერი ხელი... რაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისთვის, იმას არ გაგვიკეთებს არავინ უცხო და გარეშე“. აფხაზეთიდან ის წამოვიდა მწარე შეგნებით, „რომ უგუნურად მივიწყებულია ის მხარე, რომელიც სალაროა საგანძურებისა და რომელიც საფუძველია ჩვენის ეროვნულის განვითარებისა. წარმოვიღე შეგნება იმისა, რომ ეს მხარე უკიდურეს საფრთხეშია, მას ყოველის მხრით ეტანება ურიცხვი მტერი და თუ განსაკუთრებული ზომები არ მივიღეთ, ხელიდან გამოგვტაცებენ. და როდესაც ამ შავი ზღვის პირს დავკარგავთ, მაშინ იძულებული გავხდებით თავშესაფარი გამოვძებნოთ სადმე შორეულ აზიაში...“[1621]. ს.ფირცხალავას დაკვირვებები და დასკვნები დღესაც აქტუალურია.

მეფის ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა აფხაზეთის ქართული სამყაროსაგან ჩამოცილებას, რომლის წინაპირობად მას საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფა მიაჩნდა. ამ გეგმის განხორციელების პირველი მცდელობა, როგორც ზემოთ ითქვა, დემოკრატიულმა რევოლუციამ ჩაშალა. მიზანი ვერ იქნა მიღწეული 1907-1908 და 1912-1915 წლებშიც.

1916წ. დასაწყისში უწმ. სინოდის გეგმაც სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან, ხოლო სოხუმის ეპარქიისაგან - სამურზაყანოს გამოყოფას (ამით უწმ. სინოდმა საბოლოოდ აღიარა სამურზაყანოელთა ქართველობა) ითვალისწინებდა. რუსეთის ხელისუფლება სჯიდა ქართველებს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნისათვის; აფხაზეთის დაყოფის გეგმა კი სოხუმის ოლქის თვითმმართველობის შექმნაზე ფიქრის დაწყებით იყო ნაკარნახევი.

ქართულმა საზოგადოებამ განგაში ატეხა. უწმ. სინოდის ვერაგული გეგმა სასტიკად გააკრიტიკა ნ.დურნოვომ[1622]. 1916წ. აპრილ-მაისში არქ. ამბროსი ხელაიამ პეტერბურგში გამოაქვეყნა მეტად მწვავე და საინტერესო წერილი „სოხუმის ეპარქიის შესახებ“; მისი ძირითადი ნაწილი აფხაზეთ-სამურზაყანოს ისტორიის საკითხებს ეხებოდა. წერილში დასაბუთებულია წინადადება: „სოხუმის ეპარქია უნდა დარჩეს აფხაზებს და სამურზაყანოელებს, გამოიყოს მისგან შავიზღვისპირეთის გუბერნია. სოხუმში უნდა იჯდეს ცხუმელი, როგორც ეს იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ჟამს.“[1623]. ამ წერილის პუბლიკაცია დროში ემთხვევა თბილისში აფხაზეთის დელეგაციის ჩამოსვლას. მის შემედგენლობაში შედიოდნენ: ა.შარვაშიძე, გ.შარვაშიძე, პ.ანჩაბაძე, მ.ემუხვარი, ა.ინალ-იფა, ნ.მარდანია, ბ.ეზუგბაია, ა.ჩუკბარი და ა.შ. მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან შეხვედრისას (26 აპრილი) დელეგაციამ აფხაზეთის ცალკე გუბერნიად გარდაქმნის საკითხი დასვა, გამოთქვა წუხილი იმის თაობაზე, რომ „განზრახულია სოხუმის ოლქი ჩამოშორდეს ქუთაისის გუბერნიას, რათა შავი ზღვის გუბერნიას შეუერთონ“.

1916წ. 27 აპრილს აფხაზეთის დელეგაცია ეგზარქოს პლატონს შეხვდა და სოხუმის ეპარქიის საეგზარქოსოს შემადგენლობაში დატოვება, აფხაზურ სამრევლოებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმოება და აფხაზურ სამრევლო სკოლებში ქართულ ენაზე სავალდებულო სწავლების შემოღება მოითხოვა. იგივე მოსაზრებაა დაფიქსირებული აფხაზური საზოგადოების წარმომადგენელთა შუამდგომლობაში უწმ. სინოდის წინაშე[1624].

აფხაზეთის დელეგაციის თბილისში ჩამოსვლამ ნამდვილად ითამაშა გადამწყვეტი როლი საერო და სასულიერო ხელისუფლების მზაკვრული გეგმების

1621 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 738.
1622 . იქვე, გვ. 742-743.
1623 . წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 566.
1624 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 744-748.

ჩაშლაში, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან მაინც არ მოხსნილა. 1917წ. 27 თებერვალს სოხუმის საქალაქო საბჭო იხილავდა დეკ. გ.გოლუბცოვის მიერ დასმულ საკითხს: „გამოეყოს სოხუმის ეპარქია აფხაზეთ-საქართველოს ეკლესიას, თუ მისივე ნაწილად დარჩეს“. აფხაზი ხმოსნები ნიკო ჯანაშია და ტიმოთე ანუა ქართველებთან ერთად ორი მონათესავე ერის ეკლესიურ ერთიანობას უჭერდნენ მხარს. კენიჭისყრისას დეკ. გოლუბცოვის რეზოლუციამ მხოლოდ 6 ხმა მიიღო, ქართველ-აფხაზთა რეზოლუციამ – 17[1625]. შოვინისტთა მორიგი ავანტიურაც ამით ჩაიშალა. იმავე დღეს პეტერბურგში თვითმპყრობელური რეჟიმი დაემხო, რუსეთში დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

[1625] . იქვე, გვ. 774-776.

თავი XVI. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1. აფხაზეთის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. 1917 წ. თებერვალი – 1918 წ. მაისი

1917წ. თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში დაამხო თვითმპყრობელური რეჟიმი და იმპერიის სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა. 1917წ. 9 მარტს ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა განსაკუთრებულ კომიტეტს – ოზაკომ-ს[1626] გადაეცა. მისი ხელმძღვანელი და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი (კომისარი) გახდა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან, სამურზაყანოელი აკაკი ჩხენკელი. 1917წ. 10 მარტს რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენელთა თათბირზე სოხუმის ოლქის იმჟამინდელი უფროსის, პოლკოვნიკ ნ.პოლივანოვის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ოზაკომ-ის ადგილობრივი ორგანო - საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი ა.შარვაშიძის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრები გახდნენ: დ.ზახაროვი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ.თავდგირიძე, ვ. ლაკერბაია და სხვ.; პოლიციის უფროსად ტ. მარშანია დაინიშნა, სოხუმის ქალაქისთავად – ბ. ჩხიკვიშვილი.[1627]

1917წ. 2 ივლისს გაიმართა სოხუმის საოლქო სათათბიროს არჩევნები. გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა (18 ადგილი), წარმატებას მიაღწიეს ასევე ესერებმა (10 ადგილი) და სოციალისტ-ფედერალისტებმა (2 ადგილი). 1917წ. 30 სექტემბერს საოლქო სათათბირომ რეორგანიზებული საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია ბ.ჩხიკვიშვილი, ბ.ზახაროვა, წივწივაძე, ი.გოგელაშვილი, ცარიოვა და სხვები; 12 ოქტომბერს შედგა პრეზიდიუმისა და საოლქო აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნები. კომიტეტის თავმჯდომარე გახდა ვ.შარვაშიძე, მდივანი– დ.ზახაროვი; საოლქო კომისრად აირჩიეს ს.ბასარია, საოლქო მილიციის უფროსად – ლ.კარტოზია. 27 ოქტომბერს ს.ბასარია დ.ზახაროვმა შეცვალა.[1628]

სამსახურიდან დათხოვნილი რუსი ჩინოვნიკები ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას ცდილობდნენ. არც მათ და არც აფხაზებს არ აწყობდათ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, სახელისუფლებო სტრუქტურების არჩევითობა. სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), რომელთა ხელში აღმოჩნდა ხელისუფლების სადავეები, ფრთხილ საკადრო პოლიტიკას აწარმოებდნენ, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდებოდა ეროვნული ფაქტორის სათანადოდ გათვალისწინება.

შოვინისტების ხელი ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა. ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და უპირისპირდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართულ ნებისმიერ ღონისძიებას. ამ პროცესში იყვნენ ჩართული სეპარატისტებიც. მაგალითად, 1917წ. 12 მარტს ქართულმა ეკლესიამ აღადგინა ავტოკეფალია. შოვინისტებმა ამ სამართლიან აქტს ვითომ აფხაზური სამღვდელოების (სოხუმის ეპარქიაში სულ ხუთი აფხაზი მღვდელი მსახურობდა) კრების მოწვევით (1917წ. 24-27 მაისი) უპასუხეს. კრებამ, რომელიც მღვდელ-ბოლშევიკ (?!) ვ.აგრბასთან ერთად სამოქალაქო პირებმა – ს.ბასარიამ (კრების თავმჯდომარე), ს.ჭანბამ (მდივანი) და სხვებმა ჩაატარეს, მიიღო

1626 . Особый Закавказский Комитет. იხ. რ. გრძელიძე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ., 1998, გვ. 82.

1627 . Г. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интелдигенции. Тб., 1979. გვ. 284; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 67-68.

1628 . დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო. თბ., 2006, გვ 106-108.

გადაწყვეტილება თვითმდგომი აფხაზური ეკლესიის შექმნის შესახებ.[1629] მისი გადაწყეტილებები არ გაიზიარეს 1917წ. ივნისში გამართულმა სამურზაყანოელთა საეკ-ლესიო კრებამ და მთლიანად აფხაზეთის ქართულმა სამღვდელოებამ, რომელიც დედა ეკლესიას შეუერთდა.[1630]

ეროვნულ საკითხებში ძირითადი ქართული პარტიების შეთანხმებას, ინტერპარტიული საბჭოს დაარსებას (1917წ. 3 აგვისტო) და I ეროვნული ყრილობის მოწვევის მზადების დაწყებას[1631] ისევ და ისევ შოვინისტთა წაქეზებით აფხაზთა გააქტიურება, ჩრდილოეთკავკასიური ორიენტაციის გაძლიერება მოჰყვა. 1917წ. 6 მარტს შექმნილმა მთიელთა დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე წლის 1 მაისს ვლადიკავკაზში მთიელთა I ყრილობა მოიწვია. აფხაზეთიდან მას ალ. შარვაშიძე ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ დელეგატები ოვაციებით შეხვდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის გამოსვლას. ყრილობამ ჩამოაყალიბა გაერთიანებულ მთიელთა კავშირი, აირჩია ცენტრალური კომიტეტი (მთავრობა).

1917 წლის 10-17 აგვისტოს გაიმართა მთიელთა II ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა დებულება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. ის ითვალისწინებდა ავტონომიური შტატების სახით ამ ხალხების რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას. მთიელთა ცენტრალურმა კომიტეტმა – მთავრობამ 1917წ. 20 ოქტომბერს კაზაკთა რადასთან (შეიქმნა 1917წ. სექტემბერში) ერთად ჩამოაყალიბა „კაზაკთა კავშირის, კავკასიელი მთიელებისა და სტეპების თავისუფალი ხალხების სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი“. მის შემადგენლობაში შევიდა „სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები)“[1632] და არა სოხუმის ოლქი, როგორც ცრუობს სეპარატისტული ისტორიოგრაფია[1633].

1917წ. 16 ნოემბერს ეკატერინოდარში მუშაობას შეუდგა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის გაერთიანებული მთავრობა. ამ კავშირის შემადგენლობაში შემავალი მთიელთა კავშირი თავისი მთავრობით აგრძელებდა მუშაობას. კავშირის წარმომადგენელი, სოხუმში ჩამოსული ჩეჩენი ეროვნების ასლანბეგ შერიპოვი (რომელიც მალე ბოლშევიკი გახდა) 1917 წლის შემოდგომაზე ბევრს ცდილობდა მასში აფხაზთა ოფიციალურად ჩართვას, მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდა. ეს საკითხი მოიხსნა მას შემდეგ, რაც სტუმარმა მოსახლეობას აუხსნა, რომ მთიელთა კავშირი წარმოადგენდა პოლიტიკურ და არა ადმინისტრაციულ გაერთიანებას[1634]. ა.შერიპოვის რჩევით და ძალისხმევით, 1917 წლის 7-8 ნოემბერს გაიმართა აფხაზი ხალხის ყრილობა[1635]. მან მიიღო გადაწყვეტილება მთიელთა კავშირში გაწევრიანების შესახებ, დაამტკიცა ყრილობის დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია აფხაზთა სახ-ალხო საბჭო (თავმჯდომარე – ს.ბასარია, მოადგილე – გ.აჯამოვი, მდივანი – მ.თარ-ნავა)[1636]. ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით თბილისიდან ჩამოვიდა და აფხაზთა ყრილობას დაესწრო დელეგაცია ა. ჩხენკელის ხელმძღვანელობით.

ყრილობა წარმოადგენდა აფხაზთა თვითგამორკვევისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, თუმცა ორიენტირები ჯერ არ იყო მკაფიოდ და ცალსახად ჩამოყალიბებული.

1629 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 777-781. ყრილობის დელეგატები იყვნენ არა სასულიერო პირები, არამედ სოფლებიდან ჩამოყვანილი გლეხები, რომელთა წინაშე სიტყვით ბოლშევიკი ნ. ლაკობაც გამოვიდა (Г. Дзидзария. Формирование..., გვ. 287-288).

1630 . წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 345-353, 473—474; წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 193-197, 396-398.

1631. რ. გრძელიძე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, გვ. 109-121.

1632 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი გვ. 389.

1633 . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 289.

1634 . Э.Эшба. Асланбек Шерипов. Сухуми, 1990, გვ. 158.

1635 . ა. შერიპოვი იყო ყრილობაზე მთავარი მომხსენებელიც. ამდენად, არ შეესაბამება სინამდვილეს ვ. შნირელმანის მტკიცება, თითქოს, ყრილობის მოწვევის ინიციატორები მენშევიკები იყვნენ (В. Шнирельман. დასახ. ნაშრომი, გვ. 261). პირიქით, თვით ა. ჩხენკელის გამოსვლამ ყრილობაზე შედეგი ვერ გამოიღო (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 290).

1636 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 69, 389-391, 740-741; იხ აგრეთვე С. Басария. Абхазия, გვ. 86-90.

სახალხო საბჭო, როგორც ეროვნულ-პილიტიკური ორგანიზაცია, ცნობდა „სოხუმის ოლქის კომიტეტის, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაწესებულებისა და პირის, გაერთიანებულ მთიელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და დროებითი მთავრობის ძალაუფლებასა და კომპეტენციას“[1637]. ამრიგად, აფხაზებმა პოლიტიკური კავშირი კი დაამყარეს მთიელებთან, მაგრამ ადმინისტრაციულად რჩებოდნენ ამიერკავკასიის შემადგენლობაში. მთიელთა კავშირის დროებითმა მთავრობამ, რომლის წევრი აფხაზთაგან გახდა ს.აშვხაწაა, თავისი №1 დეკრეტის პირველ პარაგრაფში განსაზღვრა ტერიტორია, რომელზეც მთლიანად ვრცელდებოდა მისი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება; მეორე პარაგრაფში კი ვკითხულობთ: „ზაქათალისა და სოხუმის ოლქების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება აქვს ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში, ხოლო მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავე და მთლიანად გავრცელება ამ ოლქებზე გადასაწყვეტად მიენდოს ზაქათალისა და სოხუმის ოლქების სახალხო საბჭოებს“[1638]. აფხაზთა სახალხო საბჭომ არაერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთი რჩება ამიერ-

კავკასიის შემადგენლობაში[1639]. საოლქო ყრილობამაც (1918წ. 4-10 მარტი) გადაწყვიტა: „აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხების საერთო შემადგენლობაში როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი“[1640]. მიუხედავად ამისა, სეპარატისტები კვლავ და კვლავ ცრუობენ და აცხადებენ, რომ მთიელთა მთავრობა 1917წ. ბოლოდან ვითომ აფხაზეთზეც ავრცელებდა სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას[1641].

რუსეთში 1917წ. 25 ოქტომბრის გადატრიალებამ შეცვალა პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაშიც. იმავე წლის 11 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა – კომისარიატი ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის (1918წ. იანვარი) შემდეგ ამიერკავკასიამ გეზი დამოუკიდებლობისაკენ აიღო. 1918წ. 10 თებერვალს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სეიმი, რომლის წევრები გახდნენ ძალადობის გზით დაშლილი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ამიერკავკასიიდან. 9 აპრილს სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალ მთავრობას სათავეში ა.ჩხენკელი ჩაუდგა. აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის ნაწილს წარმოადგენდა.

თვითგამორკვევის გზას დაადგა საქართველო. I ეროვნულმა ყრილობამ (1917წ. 19-23 ნოემბერი) მოისმინა ნ. ჟორდანიას მოხსენება და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის სრული თვითმმართველობის მინიჭების პროგრამა წამოაყენა, აირჩია ეროვნული საბჭო. სამურზაყანოს სახელით გამოსულმა ივანე გეგიამ ყრილობის დელეგატებს შეახსენა ისტორიულად აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების შესახებ; აღნიშნა, რომ სამურზაყანო არ შეუერთდა აფხაზებს მთიელებთან კავშირის საკითხში, მაგრამ მუდამჟამს ვიყავით და ვრჩებით მეგობრებად; სამურზაყანო თამაშობს მომრიგებლის როლს და მომავალშიც ხიდად გაიდება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. „მოქალაქენო! ჩვენი სურვილია, აფხაზეთი საქართველოს შეუერთდეს“, – განაცხადა ორატორმა და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „დასასრულ, ჩვენი სურვილია, აფხაზეთ-სამურზაყანო, სოხუმის ოლქი დარჩეს უცვლელად და მიეცეს ეროვნულ-კულტურული ავტონომია თავის საზღვრებში“[1642]. აფხაზეთსაც გულისხმობდა I ეროვნული ყრილობა, როცა თავის რეზოლუციაში „დღევანდელი მომენტი და საქართველოს თვითმმართველობა“ ჩაწერა: „ფართო თვითმმართველობა მიენიჭება ყველა იმ განაპირა ადგილებს, რომელთა მცხოვრებნი მოისურვებენ საქართველოს

[1637] . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 37-38.

[1638] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 397.

[1639]. ჯ. გამახარია. აფხაზეთი: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები. წერილების კრებული. შეადგინა რ. ხარებავამ. თბ., 2000, გვ. 90.

[1640]. ერთობა, 1918, 22, 24 მარტი.

[1641]. О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии, გვ. 290.

[1642]. ალიონი, 1917, 30 ნოემბერი.

თვითმმართველ ერთეულში შემოსვლას“[1643].

სულ მალე ეს საკითხი ქართველთა და აფხაზთა წარმომადგენლების განხილვის საგანი გახდა. 1918წ. 9 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციების შეხვედრა, რომელიც შეთანხმებით დასრულდა. შეხვედრას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი. ინიციატივა საქართველოს ეროვნული საბჭოსაგან მოდიოდა. 1918წ. დასაწყისში მან წინადადებით მიმართა აფხაზთა საბჭოს, გამართულიყო ერთობლივი თათბირი საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის გასარკვევად. ამ შეხვედრაზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სამურზაყანოს წარმომადგენლებიც მოიწვია და სთხოვა მათ, ხელი შეუწყონ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ძმური კავშირის განმტკიცებას[1644].

9 თებერვლის შეხვედრას თბილისში აფხაზთა მხრიდან ესწრებოდნენ ა. შარვაშიძე, მ. ემუხვარი, ნ. მარღანია, პოლკოვნიკი რ. ჩხოტუა, ბ. ცაგურია. ქართულ მხარეს წარ-მოადგენდნენ ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრები ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე. აფხაზური დელეგაცია რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ითხოვდა. ეროვნული საბჭოს ლიდერები არ დაეთანხმნენ აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეას და საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური უფლებებით მისი შესვლის სურვილი გამოთქვეს. ამასთანავე, ა. ჩხენკელმა აფხაზებს აღუთქვა დახმარება 1904წ. შავიზღვისპირეთის ოლქისათვის მიერთებული გაგრის ზონის დაბრუნებაში; მოსაგვარებელი იყო ასევე ურთიერთობა სამურზაყანოსთან, ვინაიდან ის ფაქტობრივად გამოვიდა სოხუმის ოლქის შემადგენლობიდან მთიელთა კავშირთან აფხაზების მიერთების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გამო. „ჩვენი მიზანია, – განაცხადა ა. ჩხენკელმა, – სოხუმის ოლქის როგორც აფხაზეთის აღდგენა“[1645]. აფხაზები დათმობაზე წავიდნენ. მიღებული შეთანხმების პირველი პუნქტი შეიცავდა საერთო მისწრაფებას - „საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდ.მზიმთამდე აღდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო“[1646]. გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებდა მომავალში აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხის დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე გადაჭრას; მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ, სხვა ერებთან თუ სახელმწიფოებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლამდე ამ საკითხზე ერთმანეთთან წინასწარ გამართონ მოლაპარაკებები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 9 თებერვლისათვის აფხაზთა და ქართველთა წინაშე აღნიშნული პრობლემა არ იდგა, აფხაზები ფაქტობრივად არ გაწევრიანებულან მთიელთა კავშირში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რუსეთში სამოქალაქო ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი ვერ ხერხდებოდა, მთიელთა ორგანიზაციებიც ვერ ფუნქციონირებდნენ.

1918წ. 16-20 თებერვალს სოხუმი რუსმა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, შექმნეს ე.წ. რევოლუციური კომიტეტი ე. ეშბას მეთაურობით. ძირითადად იგი ეყრდნობოდა პატიმრობაში მყოფ და კომუნისტების მიერ გათავისუფლებულ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავდნენ მოსახლეობას. მათ ხელში ჩაიგდეს სერიოზული შეიარაღება და ნაძარცვი ქონება, 20 თებერვალს რევოლუციურმა კომიტეტმა „უფლებამოსილება“ მოიხსნა, მისი მოთავეები კი საზღვაო გზით რუსეთში გაიქცნენ. 21 თებერვლის ღამეს სამთავრობო ფორმირებებმა სოხუმი დაიკავეს. ყოველივე მომხდარის შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქალაქის თავმა ბ.ჩხიკვიშვილმა შეატყობინა. იგი წერდა, რომ განთავისუფლებული და შეიარაღებული დამნაშავეები დრანდის რაიონში გაიქცნენ, თავი ბოლშევიკებად გამოაცხადეს და დაიწყეს ადგილობრივი ქართული (მეგრული) მოსახლეობის დარაზმვა „აფხაზებისა და

[1643]. იქვე.

[1644]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 744-745.

[1645]. А. Ментешашвили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 16.

[1646]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით“[1647]; „სასოწარკვეთილებამდე მიყვანილმა“ აფხაზებმა, – აგრძელებდა ბ.ჩხიკვიშვილი, – რომლებიც ლოიალურად არიან განწყობილი მეგრელებისა და სხვათა მიმართ, „შესაძლოა თურქეთს სთხოვონ დესანტი, თუ თქვენი მხრიდან არ იქნება დახმარება წესრიგის აღსადგენად“.[1648]

სულ მალე აფხაზეთში ეროვნული საბჭოს წევრები დ. სულიაშვილი და ქრ. რაჭველიშვილი, ასევე ზუგდიდელი გლეხების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ისინი დაესწრნენ სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობას (1918წ. 4-9 მარტი), რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, აფხაზეთი შევიდეს კავკასიელი ერების საერთო ოჯახში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი და თავისი საუკეთესო მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედოს. ყრილობამ აირჩია გლეხთა საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის, დიმიტრი გულიას, მ. ცაავას, მ. ცაგურიას, ვ. ესვანჯიას, კ. ძიძარიას, აბუხბას, ბარციცის, დოცენკოს შემადგენლობით (მდივანი გახდა გ. აჯამოვი)[1649].

1918წ. აპრილში თურქეთმა აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიკავა. ზუსტად იმ დღეებში აფხაზეთს რუსეთიდან შემოჭრილი ბოლშევიკები დაეუფლნენ[1650]. მათ „დაავიწყდათ“ დაპირებები ერთა თვითგამორკვევის, ავტონომიის შესახებ და აღადგინეს სოხუმის ოლქი. ხელისუფლების ბოლშევიკურმა ორგანომ – ე.წ. რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომი), რომლის დოკუმენტებში „აფხაზეთი“ საერთოდ არ ფიგურირებს, აფხაზთა სახალხო საბჭო ფაქტობრივად დაშალა, მისი თავმჯდომარე და წევრების დიდი ნაწილი დააპატიმრა. ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის დავალებით ეროვნულმა გვარდიამ ვ.ჯუღელის მეთაურობით 1918წ. 17 მაისს ქ.სოხუმი გაათავისუფლა ბოლშევიკებისაგან და შემდგომში მტერი აფხაზეთის ფარგლებიდანაც განდევნა[1651]. იმავე წლის 29 მაისს ვ.ჯუღელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით მოახსენებდა, თუ როგორ აღვივებდნენ და ამწვავებდნენ ბოლშევიკები შუღლს ქართველებსა და აფხაზებს შორის, ასევე ქართველებსა და სომხებს შორის, მაგრამ ბოლომდე მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. „არსად ისე აღფრთოვანებით არ მივუღივართ მცხოვრებთ, როგორც ოჩამჩირეში, რამდენი ტაში, რამდენი ყვავილები, რამდენი დღესასწაული... კოდორის აფხაზები ჩვენთან იყვნენ, გუდაუთისა – ბოლშევიკების მხარეზე“[1652], – აცხადებდა ვ.ჯუღელი. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ მოსახლეობას ბოლშევიკურ ავანტიურაში აქტიური მონაწილეობა მართლაც არ მიუღია, თუმცა რევკომის თავმჯდომარედ, გასაგები მიზეზების გამო, ე.ეშბა დაინიშნა. ამბოხების მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ჩრდილოეთიდან მოვლენილი რუსი და უფრო მეტად ქართული ეროვნების ბოლშევიკები[1653], რომლებიც სამშობლოს ღალატობდნენ. ამ დროს, მტკიცება, თითქოს ბრესტის ზავიდან გამომდინარე, საბჭოთა რუსეთს არ ჰქონდა აფხაზეთისათვის (ასეთ პოლიტიკურ ერთეულს ბოლშევიკები საერთოდ არ სცნობდნენ) დახმარების გაწევის შესაძლებლობა[1654], უსაფუძვლოა. თანამედროვე სეპარატისტები, ისევე როგორც თავის დროზე ს.ბასარია, არაფერს ამბობენ არნახულ ბოლშევიკურ ძალადობაზე, ძარცვაზე, სახალხო საბჭოს, თვით ს.ბასარიას დაპატიმრებაზე და წერენ ქართველთა „იმპერიული“ მიზნების, საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობის შემდეგ მენშევიკური „სამხედრო

[1647]. 1918 წ. იანვარში ქ. სოხუმი და მთელი აფხაზეთი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცა. მხოლოდ საალყო წესების შემოღებისა და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების გზით მოხერხდა ქალაქში წესრიგის დამყარება, დამნაშავეთა განეიტრალება (საქართველო, 1918, 18 იანვარი). ამ დამნაშავეებს ეყრდნობოდნენ ბოლშევიკები.

[1648]. **Дж. Гамахария, Б. Гогия.** დასახ. ნაშრომი გვ. 404.

[1649]. ერთობა, 1918, 22, 24 მარტი. ანგარიში ყრილობის შესახებ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია: **Дж. Гамахария, Б. Гогия.** დასახ. ნაშრომი, გვ. 405-409.

[1650]. იხ. ამის შესახებ: ერთობა, 1918, 17 აპრილი (ბ. ჩხიკვიშვილის წერილი).

[1651]. აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შესვლას წინ უძღოდა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მიმართვა აფხაზებისა და სამურზაყანოელებისადმი თხოვნით, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და შეაჩერონ ანარქია, გამოგზავნონ უფლებამოსილი წარმომადგენლები თბილისში, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან ერთად აქ შევიმუშაოთ კონსტიტუცია, დავადგინოთ სახელმწიფო საზღვრები, რათა ამაში ჰპოვონ თავიანთი მოლოდინის აღსრულება (ერთობა, 1918, 10 მაისი; **Дж. Гамахария, Б. Гогия.** დასახ. ნაშრომი, გვ.412).

[1652]. საქართველო, 1918, 1 თიბათვე (ივნისი). ბოლშევიკების წინააღმდეგ საომრად მზად იყო ტ. მარშანია აფხაზთა რაზმით, მაგრამ ვ. ჯუღელმა მისი წინადადება არ მიიღო (დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 160).

[1653]. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 46-47.

[1654]. **О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии,** გვ. 294.

დიქტატურის“ დამყარების შესახებ.[1655] სინამდვილეში კი ბოლშევიკური ტირანიისაგან „სოხუმის ოლქის“ განთავისუფლებას მოჰყვა პოლიტიკური ერთეულის – აფხაზეთის ფაქტობრივი აღდგენა და რამდენადმე განახლებული (მეორე მოწვევის) აფხაზთა სახალხო საბჭოსათვის მთელი ძალაუფლების გადაცემა.

სეპარატისტები, ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებას (რომელმაც სოხუმის ოლქი აღადგინა) მისტირიან; მეორე მხრივ, 1918წ. 11 მაისს, როცა სოხუმში ჯერ კიდევ ბოლშევიკები ბატონობდნენ, „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის“ დღედ აცხადებენ იმ მოტივით, რომ მაშინ ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე თურქეთმა აღიარა მთიელთა რესპუბლიკა, ამ უკანასკნელის შემადგენლობაში კი ვითომ აფხაზეთიც შედიოდა[1656]. ეს არის აშკარა, ყოველგვარ საფუძველს და ლოგიკას მოკლებული მორიგი ტყუილი. 1918წ. 17 მაისამდე, ბოლშევიკების დამარცხებამდე, პოლიტიკური ერთეული – აფხაზეთი არც არსებობდა; ბოლშევიკთა ხელში მყოფ სოხუმის ოლქს კი არანაირად არ შეეძლო „სახელმწიფოებრიობის“ აღდგენა. გარდა ამისა, 1918წ. 20 მაისს აფხაზთა სახალხო საბჭომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია, „რომლის მიხედვით, კატეგორიულად მტკიცდება აფხაზთა სახალხო საბჭოს და საოლქო გლეხთა საბჭოს (4-10 მარტი) გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადო ოჯახში, როგორც მისი თანასწორი წევრი, რაც დაუყოვნებლივ ეუწყება ბათუმის საზავო კონფერენციას საკუთარი დელეგატების პირით“[1657]. საბჭოს ნების წინააღმდეგ, ალ. შარვაშიძის ხელმძღვანელობით რამდენიმე პირის მიერ ბათუმში გაკეთებულ განცხადებას (ისინი არც კონფერენციის მონაწილეები იყვნენ და არც სახალხო საბჭოს წარმომადგენლები) არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა. შესაბამისად, არანაირი სამართლებრივი შედეგი ასეთ განცხადებას არ მოჰყოლია[1658]. მთიელთა რესპუბლიკის დეკლარაციაში აფხაზეთი მის შემადგენელ ნაწილად არ დასახელებულა. მასში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ რესპუბლიკის სამხრეთის საზღვარი ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით დადგინდება[1659].

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციის ჩაშლას ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება მოჰყვა. 1918წ. 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პირველად საქართველომ აღიდგინა. მის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფოს ტერიტორიების ის ნაწილები, რომლებიც ისტორიულად საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდნენ და ამჯერად აზერბაიჯანის ან სომხეთის ნაწილი არ გამხდარან. ასეთი იყო აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაც. ამ საკითხში თავისებური ხედვა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარი გარანტის – გერმანიის წარმომადგენელს ფონ-ლოსოვს. ბათუმის კონფერენციაზე, თურქეთისა და ასევე სეპარატისტთა პოზიციის გათვალისწინებით, 1918წ. 28 მაისს საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში ის აღნიშნავდა, რომ სოხუმის ოლქი (გაგრის ჩათვლით) შეადგენს საქართველოს ნაწილს მანამდე, სანამ კავკასიის ფარგლებში საქართველო იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. **საქართველოს მონაწილეობით** (ხაზგასმა ავტ.) კავკასიელი ხალხების კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში სოხუმის ოლქის მოსახლეობას უნდა მიეცეს უფლება კავკასიის ქვეყნებს შორის თავისი მდგომარეობის თაობაზე საკითხის გადაჭრისა“[1660]. ჯერ ერთი, ეს იყო არა „გერმანიის გეგმა“, როგორც სეპარატისტებს ჰგონიათ, არამედ ფონ-ლოსოვის მოსაზრება; მეორეც, კავკასიის კონფედერაციაში აფხაზეთის ცალკე ყოფნას ის უშვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოც ამ კონფედერაციის ნაწილი გახდებოდა. ეს „მცირე დეტალი“ მუდმივად ავიწყდებათ სეპარატისტებს[1661]. უსაფუძვლოა

[1655]. იქვე, გვ. 295; С. Басария. Абхазия, გვ. 91, 92.

[1656]. О. Бгажба, С. Лакоба. დასახ. ნაშრომი, გვ. 297-298. 1918 წ. 11 მაისს გამოცხადებული მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა თურქეთმა, სინამდვილეში, იმავე წლის 8 ივნისს აღიარა და სამოკავშირეო ხელშეკრულებაც გააფორმა (მ. გაბედავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წწ. თბ., 1993, გვ. 18). აფხაზეთი ამ რესპუბლიკის ნაწილი რომ ყოფილიყო, სახალხო საბჭოს წარმომადგენლები ზუსტად 8 ივნისს ხელს არ მოაწერდნენ საქართველოსთან ხელშეკრულების პროექტს, 11 ივნისს – ხელშეკრულებას (აქვე, გვ. 291).

[1657]. საქართველო, 1918, 23 მაისი.

[1658]. იხ. ამის შესახებ: А. М. Чочуа. Избр. соч. Тб., 1987, გვ. 69-70.

[1659]. ერი, 1992, 14 თებერვალი.

[1660]. А. Ментешашвили. Исторические предпосылки…, გვ. 17-18.

[1661]. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 300.

მათი მტკიცება, თითქოს საზღვრების მითითების გარეშე 1918წ. 26 მაისის აქტის გამოცხადების მომენტისათვის აფხაზეთი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა[1662]. ამიერკავკასიის ტერიტორია, რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო აფხაზეთი, სამმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ - საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა გაინაწილა. დამოუკიდებლობის აქტებში საზღვრები მხოლოდ იმიტომ არ მიუთითებიათ, რომ ერთმანეთთან იყო შესათანხმებელი მომიჯნავე სადავო ტერიტორიების ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი კუთვნილების საკითხი. აფხაზეთი არ ყოფილა სადავო, ამდენად, მასზე ვრცელდებოდა ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია. უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ 1918წ. 28 მაისს სოხუმის საოლქო სასამართლოს განყოფილებამ თავის შეკრებაზე საგანგებოდ განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აფხაზეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის საკითხი. ვინაიდან აფხაზეთი იურიდიულად ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი ამიერიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილია[1663]. ამ გარემოებას არ ითვალისწინებდა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე და სამართლებრივ საკითხებში არაკომპეტენტური წევრებისაგან შესდგებოდა.

2. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული. 1918 წ. ივნისი – 1919 წ. მარტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აფხაზეთში შექმნილი ვითარება სახალხო საბჭომ 1918 წლის 2 ივნისს განიხილა. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული ამიერკავკასიის წითელი გვარდია, ამჟამად კი საქართველოს სამხედრო ნაწილი, 26 მაისიდან საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, მაგრამ რეალური ძალაუფლება მის ხელშია; გამომდინარე აქედან, საბჭომ დაადგინა, თვითონ აიღოს ხელში ძალაუფლება და მიმართოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნით, აღმოუჩინოს დახმარება აფხაზეთს ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში, ხოლო სოხუმში მყოფი ქართული გვარდია დარჩეს ადგილზე და გადავიდეს სახალხო საბჭოს დაქვემდებარებაში[1664]. ეს ფაქტი, აგრეთვე დელეგაციის მივლინება თბილისში და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვის შემდეგ 1918წ. 11 ივნისის ხელშეკრულების გაფორმება საბოლოოდ აქარწყლებენ სეპარატისტთა მონაჭორებს მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის გაწევრიანების შესახებ. როგორც სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი მ.თარნავაც წერდა, სახალხო საბჭოს წევრებმა, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ერთიანად აირჩიეს „ორიენტაცია მენშევიკურ საქართველოზე“ და მის „შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის საფუძვლების თაობაზე“ ხელშეკრულების
გასაფორმებლად „სახალხო საბჭოს დეპუტატებმა თბილისში დელეგაცია გაგზავნეს“[1665].

აფხაზური დელეგაცია რ.კაკუბას ხელმძღვანელობით 1918წ. 6 ივნისს შეხვდა საქართველოს მთავრობის დელეგაციას სამხედრო მინისტრის – გ.გიორგაძის ხელმძღვანელობით. რ.კაკუბა, როგორც ეტყობა, იცავდა აფხაზთა სახალხო საბჭოს 2 ივნისის გადაწყვეტილებას; საინტერესოა მისი მოსაზრება აფხაზეთში არსებული პილიტიკური მიმდინარეობებისა და შესაბამისი ორიენტაციების შესახებ: თავადაზნაურობას აშკარად თურქული ორიენტაცია აქვს, – განაცხადა მან; არსებობდა უმნიშვნელო ბოლშევიკური ორიენტაცია, მოსახლეობის ნაწილი მხარს უჭერდა მთის ორიენტაციას. იგულისხმებოდა, რომ თბილისში ჩამოსული აფხაზური დელეგაცია, საკუთარ თავს პროქართულ ორიენტაციას მიაკუთვნებდა.

მხარეების მიერ 1918წ. 8 ივნისს ხელმოწერილი ხელშეკრულების პროექტი აფხა-ზურმა დელეგაციამ სოხუმს გადაუგზავნა და მოითხოვა მანდატი საბოლოო ვარიანტის ხელმოწერაზე. ამასთანავე, ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის

[1662]. იქვე, გვ. 301.
[1663]. დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 169.
[1664]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 413.
[1665]. იქვე, გვ. 748-749.

გამოცხადების შემთხვევაში საქართველო ვერ დააკმაყოფილებდა აფხაზთა სახალხო საბჭოს 2 ივნისის შუამდგომლობას. თბილისს აუცილებლად მიაჩნდა ურთიერთობის გარკვევა აფხაზეთის დამფუძებელი კრების მოწვევამდე. 1918წ. 10 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ თბილისში მყოფ დელეგაციას ხელშეკრულების საკუთარი ვარიანტი შესთავაზა და მისცა მანდატი დოკუმენტის ხელმოწერაზე. 1918წ. 11 ივნისს ხელი მოეწერა ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტს[1666]. ბუნებრივია, იგი რამდენადმე განსხვავდება სახალხო საბჭოს პროექტისაგან და 8 ივნისს ხელმოწერილი სამუშაო ვარიანტისაგან. ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს საფუძველი მტკიცებისათვის, თითქოს მოხდა დოკუმენტის ჩანაცვლება, მანდატის გარეშე მასზე ხელმოწერა[1667] და ა.შ.

1918წ. 11 ივნისის ხელშეკრულება მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტია, რომელიც 1918წ. თებერვლის შეთანხმების გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენდა. საქართველომ გადადგა სერიოზული ნაბიჯი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ტერიტორიის შემომტკიცებისკენ. რეალურად აფხაზეთი იქცა საქართველოს ავტონომიურ ერთეულად[1668]. ცენტრალურ მთავრობაში შემოიღეს აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა, რომელიც სახალხო საბჭოს წარდგინებით რ.ჩქოტუამ დაიკავა.

შოვინისტებს არ აწყობდათ აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირება. 1918წ. შუახანებში მდგომარეობა კვლავ გამწვავდა – სოჭიდან შემოჭრილი ბოლშევიკთა რაზმები ახალ ათონამდე მოვიდნენ. 1918წ. 16 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრებმა დახმარებისათვის გენერალ გ.მაზნიაშვილს მიმართეს. გენერალმა დეპუტაცია მთავრობასთან გაგზავნა. 18 ივნისს გ.მაზნიაშვილმა მიიღო სამხედრო მინისტრის დეპეშა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნისა და დაუყოვნებლივ სოხუმში გამგზავრების შესახებ. 19 ივნისს ის უკვე ქ.სოხუმში იმყოფებოდა. 27 ივნისს შეტევაზე გადასულმა ქართულმა ჯარებმა გ. მაზნიაშვილის ინიციატივით სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ აფხაზურ კავალერიასთან (300 კაცი) ერთად აფხაზეთი ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს და ნავსადგურ ტუაფსეს დაკავების თაობაზე სახალხო საბჭოს 1918წ. 24 ივნისის გადაწყვეტილების[1669] თანახმად, გააგრძელეს წინსვლა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. 26 ივლისს მათ ხელში აღმოჩნდა ტუაფსე. საბოლოო მიზანი იყო ტუაფსე-მაიკოპის რკინიგზის დაკავება. 1918წ. აგვისტოში თეთრგვარდიელთა გააქტიურებამ ქართული ჯარები აიძულა, უკან დაეხიათ ჯერ მდ.შახემდე, შემდეგ კი – ქ.სოჭამდე[1670].

სეპარატისტებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და 1918წ. 27 ივნისს, როცა აფხაზეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, კოდორის მაზრაში მათი მოწვევით ძირითადად მუჰაჯირებით დაკომპლექტებული თურქული დესანტი გადმოსხდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად იყო ეს აქცია კოორდინირებული ბოლშევიკებთან, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად – ისინი სხვადასხვა მხრიდან თითქმის ერთდროულად შემოვიდნენ აფხაზეთში[1671]. ქართულმა შენაერთებმა და რუს-კაზაკთა რაზმებმა დესანტიც
გაანადგურეს. სამხედრო ოპერაციას თან ახლდა ზედმეტად მკაცრი და რეპრესიული ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებული სისასტიკით კაზაკები გამოირჩეოდნენ. ისინი თურქეთისადმი თანაგრძნობაში „ეჭვმიტანილთა“ ძარცვითა და სახლ-კარის გადაწვით იყვნენ დაკავებულნი[1672], რაზეც პასუხისმგებლობა მაინც ქართულ

[1666]. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки…, გვ. 20-22; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 414, 748-753.**

[1667]. **О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 304-306.**

[1668]. **იხ. ამის შესახებ: Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 752-753, 759.**

[1669]. **იქვე, გვ. 415.**

[1670]. **გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. ბათუმი, 1990, გვ. 59-79; საქართველოს რესპუბლიკა, 1918, 30 ივლისი, 8 აგვისტო; Борьба, 1918, 22 августа და ა. შ.**

[1671]. **სრულიად უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს თურქული დესანტი გ. მაზნიაშვილის უკანონო მოქმედებების პასუხად ჩამოიყვანეს (Литературная Абхазия, №1, с. 212; - С. Лакоба; В. Шнирельман. Войны памяти, გვ. 263). თურქული დესანტის ჩამოყვანა აფხაზეთში, როგორც უტყუარი ისტორიული წყაროები მოწმობენ, 1917 წლის ბოლოდან და 1918 წ. დასაწყისიდან იგეგმებოდა (იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.78-81).**

[1672]. **С. Басария. Абхазия, გვ. 95.**

სარდლობას ეკისრებოდა. 1918წ. სექტემბრის დასაწყისში აფხაზეთში ჩასულმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია) სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძისა და საბჭოს წევრის ჯოტო შარვაშიძის თხოვნით, მიიღო ზომები სამხედროთა თვითნებობის აღსაკვეთად. 3 სექტემბერს იგი საავადმყოფოში ეწვია გ. მაზნიაშვილის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ თუხარელს და ვითარების განმუხტვის მიზნით სასწრაფო ზომების მიღება სთხოვა. პოლკოვნიკმა მიტროპოლიტ ამბროსის შუამდგომლობით რვა აფხაზი ტუსაღი გაათავისუფლა; ოჩამჩირეში გაგზავნა სასწრაფო ბრძანება: „სახლ-კარის გადაწვა შეჩერებულ იქნას, გამოყვანილი იყოს ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის“[1673]. გარკვეული ზომები მიიღეს აფხაზთა სახალხო საბჭომ და საქართველოს მთავრობამაც[1674]. სეპარატისტული ისტორიოგრაფია თავისებურ შეფასებას აძლევს თურქული დესანტის გადმოსხმის ფაქტს; ამტკიცებს, რომ ის გახლდათ პასუხი აფხაზეთში გ. მაზნიაშვილის შემოსვლაზე და „ოკუპაციაზე“. სეპარატისტების აზრით, დესანტი, იყო არა თურქული, არამედ აფხაზური და წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას[1675]. ეს ყველაფერი შორს არის რეალობისაგან. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ თურქული დესანტის აფხაზეთში გადმოსხმა გ. მაზნიაშვილის შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არსებობდა ინფორმაცია აფხაზეთში თურქების მოწვევის, სოხუმის დაკავების თაობაზე თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ[1676]. 1918წ. 29 მაისს ვ. ჯუღელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოახსენებდა, რომ აფხაზეთში მის ჩასვლამდე (10 მაისი) თურქებმა უკვე მოასწრეს აფხაზეთის ნაპირებზე 200-300 კაცის გადმოსხმა, რომლებსაც ნიადაგი უნდა მოემზადებინათ დესანტის მისაღებად[1677]. 1918წ. 15 მაისს აკ.ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ბათუმიდან აცნობებდა, რომ აქ ჩამოსულ აფხაზთა წარმომადგენლებს „უნდათ და კიდეც შეასრულებენ თურქების თავდასხმას აფხაზეთზე. არის გეგმაც, არის საამისოდ გამზადებული ძალებიც. შევეცდები, ხელი შევუშალო ამ განზრახვის განხორციელებას“[1678].

იყო თუ არა დესანტი აფხაზური? როგორც უკვე ითქვა, ძირითადად ის მუჰაჯირების შთამომავლებისაგან შედგებოდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დესანტი იყო აფხაზური. სახალხო საბჭოს სხდომაზე 1918წ. 30 ივლისს, ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ვ. ემუხვარმა განაცხადა, რომ დესანტი და მისი წევრები მოვიდნენ „ჩვენთან როგორც თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილი და დღემდე ასეთებად რჩებიან. ჯარისკაცები ვერ შეძლებდნენ დეზერტირობას ომის დროს. თურქეთში ჯერ დემობილიზაცია არ გამოცხადებულა. თუ თურქეთის მთავრობა ამას უშვებს, მაშასადამე, აკეთებს განზრახ“[1679]. სავსებით სწორი შეფასებაა – აფხაზეთში შემოვიდა თურქული არმიის ქვედანაყოფი.

გაუგებარია, რატომ წარმოადგენდა დესანტი მთიელთა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას. აფხაზეთს ოფიციალურად არასოდეს უცვნია თავი ამ რესპუბლიკის ნაწილად. პირიქით, 1918წ. 11 ივნისიდან ის საქართველოს ნაწილად იყო აღიარებული. როგორც ჩანს, თურქეთი, რომელსაც აფხაზეთის დაკავება სურდა, თავის მიზანს მთიელთა რე-სპუბლიკას ამოფარებული ახორციელებდა. მოგვიანებით ეფრემ ეშბა ერთმანეთთან აკავშირებდა 1918 წლის ივნისში თურქეთსა და მთიელთა კავშირს (გ.ბამატოვი, ჩერმოევი, კანტემიროვი) შორის დადებულ ხელშეკრულებას აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმასთან[1680]. აფხაზეთში თურქული მმართველობის დამყარება იყო

[1673]. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 223; საქართველოს რესპუბლიკა, 1918, 2 ოქტომბერი.

[1674]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 424, 766-767. 1918 წლის 17 დეკემბერს მთავრობის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, საგანგებო კომისიის მიერ გამოძიებული მასალები იმ ზარალის შესახებ, რაც მიადგა მოსახლეობას თურქი ასკერებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებისას, გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს (ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 73).

[1675]. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 312-313.

[1676]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი გვ. 80.

[1677]. საქართველო, 1918, 1 თიბათვე.

[1678]. დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 168.

[1679]. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 67.

[1680]. Е. Эшба. Асланбек Шерипов, გვ. 161.

თვით სეპარატისტთა მიზანი და ამას სულაც არ მალავდა მ.თარნავა. სახალხო საბჭო, – წერდა იგი, – როგორც ეროვნული ორგანო გამოყენებულ იქნა აფხაზეთში თურქული მმართველობის დამყარების სურვილის უქონლობის გამოსახატავად, მაგრამ საბჭოში ისეთი დეპუტატებიც მოღვაწეობდნენ, „რომლებიც განწყობილნი იყვნენ აფხაზეთში თურქული ხელისუფლების სასარგებლოდ“[1681].

ამრიგად, გენერალ გ.მაზნიაშვილის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს 1918წ. ზაფხულში ბოლშევიკური ავანტიურის ჩახშობა, საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენა და, რა თქმა უნდა,თურქული აგრესიის აღკვეთა. ყოველივე ამან, ცხადია, სხვადასხვა ორიენტაციის (რუსულ-ბოლშევიკური, რუსულ-თეთრგვარდიული, თურქულ-მთიულური) ძალების უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია. თვით მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმაც კი, რომლებსაც საქართველოს მთავრობასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ეტყობა, თურქეთის დავალებით, 1918წ. ზაფხულში გააკეთეს განცხადებები აფხაზეთიდან ქართული ჯარების გაყვანის მოთხოვნით[1682]. სეპარატისტებმაც ასევე ატეხეს ხმაური საქართველოს მხრიდან აფხაზეთის „ოკუპირების“ შესახებ, რაც თანამედროვე აფხაზურმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა[1683]. სამართლებრივად და ფაქტობრივად თეზისი „ოკუპაციის“ თაობაზე ყოვლად უსაფუძვლოა. სეპარატისტები მალავენ მის კომუნისტურ წარმომავლობას. 1918წ. მაისში, როცა ვ.ჯუღელის გვარდია აფხაზეთიდან ერეკებოდა ბოლშევიკებს, ამ უკანასკნელებმა მიმართეს „ცილისწამებას, ვითომც ქართველობა აფხაზეთის დასაპყრობად მოდიოდა“[1684].

ბოლშევიკთა მონაჭორს სეპარატისტები, სამწუხაროდ, დღემდე იმეორებენ. „ოკუპაციაში“ გულისხმობდნენ და გულისხმობენ გ.მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნას და მის მიერ ვითომ მთელი ხელისუფლების უზურპაციას. მსგავსი მტკიცებები სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გენერალ-გუბერნატორები, რომლებიც ინიშნებოდნენ საბრძოლო მოქმედებების ზონებში, ან ფრონტისპირა რაიონებში, არ წარმოადგენდნენ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებს. „აფხაზეთის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში არ ვერეოდი, – წერდა თავად გ.მაზნიაშვილი, – რადგან, ჯერ ერთი, ამ საქმისათვის აფხაზეთის ეროვნულ საბჭოსთან იყო საქართველოს წარმომადგენელი, და, მეორეც, სრულებით არ ვიყავი მომზადებული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება სამხედრო საქმეზე მქონდა მიქცეული“[1685]. სეპარატისტულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნია ერთი ფაქტიც კი, რომელიც გ.მაზნიაშვილის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მითვისებას დაადასტურებდა. გენერლის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობა წინასწარ არ ჩააყენა საქმის კურსში 1918წ. 23 ივნისის №1 ბრძანების თაობაზე, რომლის ძალითაც აფხაზეთი სოხუმის საგენერალგუბერნატოროდ გამოაცხადა. ამან კი სახალხო საბჭოს, მისი თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გაოცება და უკმაყოფილება გამოიწვია[1686]. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ ძალაუფლებას მთლიანად სახალხო საბჭო ფლობდა, არ ყოფილა შემთხვევა გ.მაზნიაშვილის მხრიდან მასზე ზემოქმედების მცდელობისა. მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად 1918წ. 6 ივლისს ვ. შარვაშიძემ ნ.ჟორდანიას წინაშე სახალხო საბჭოში საგანგებო უფლებებით აღჭურვილი მთავრობის წარმომადგენლის მოვლინების საკითხი დასვა, გამოთქვა სურვილი წარმომადგენლის ფუნქციები ისიდორე რამიშვილისათვის დაეკისრებინათ[1687].

სულ მალე ი.რამიშვილი მთავრობის წარმომადგენლის რანგში სოხუმში ჩამოვიდა და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში. მისი ჩამოსვლა დაემთხვა სახალხო საბჭოში ქართული ჯარებისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვას. 1918წ. 17 ივლისს დეპუტატებმა, რომელთა შორის იყვნენ ვ. შარვაშიძე, დ.გულია, ს.ბასარია და

1681 . Литературная Абхазия, 1991, №1, გვ. 201-202.
1682 . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 310-311.
1683 . იქვე, გვ. 307-308.
1684 . საქართველო, 1918, 1 თიბათვე.
1685 . გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 97.
1686 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 415-418.
1687 . იქვე, გვ. 760.

სხვები, უარყვეს მღვდელ ვ.აგრბას მეთაურობით მოქმედი, ბანდიტებისა და მძარცველებისაგან შემდგარი

ბოლშევიკური რაზმის „კიარაზის“ წინადადებები ქართული ჯარების გაყვანის, მოსახლეობის განიარაღების შეწყვეტის, ეკატერინოდარში მყოფ ბოლშევიკებთან (ნ.ლაკობა, ე. ეშბა) დელეგაციის გაგზავნის შესახებ, რათა შეწყვეტილიყო შემოსევები ჩრდილოეთიდან და ა.შ. ბოლშევიკებს, როგორც ჩანს, დაგეგმილი ჰქონდათ ჩრდილოეთიდან შემოსევების შეწყვეტის „გარანტიის“ მიცემა; ამის შემდეგ კი უნდა მომხდარიყო ქართული ჯარების გაყვანა, რათა მოულოდნელი დარტყმით აეღოთ დაუცველი აფხაზეთი. დეპუტატები, ალბათ, მიუხვდნენ ბოლშევიკთა ჩანაფიქრს, ამიტომ სახალხო საბჭომ ერთხმად დაადგინა, „გულისწყრომით უარი ეთქვას“ „კიარაზის“ მოთხოვნებს[1688]. იმავე სხდომაზე საბჭომ კენჭი უყარა გ.მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხს. თითქმის ერთხმად გადაწყდა (მხოლოდ ორმა შეიკავა თავი), „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“[1689].

1918წ. 18 ივლისს სახალხო საბჭოს სხდომაზე მკვეთრი განცხადება გააკეთა ი. რამიშვილმა. მან დაახასიათა ზოგადპოლიტიკური ვითარება, ისაუბრა დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ აფხაზ ხალხთან ერთად ბრძოლის აუცილებლობაზე, მიუთითა არსებულ საშიშროებაზე ვიწრონაციონალისტური და შოვინისტური ელემენტების მხრიდან, რომლებიც ბოლშევიკებთან ერთად დაუპირისპირდებოდნენ დემოკრატიას. „აფხაზი ხალხის გონება განწყობილია ქართული დემოკრატიისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელთა მიმართ გაავრცელეს ჭორები, თითქოს აფხაზი ხალხისათვის მათ მოაქვთ დამონება და დაპყრობა, – განაცხადა ი.რამიშვილმა, – მიდის ძლიერი აგიტაცია საქართველოს მიზნების წინააღმდეგ... ვითარება გვეხატება იმდაგვარად, რომ უეჭველად საჭიროა ქართული ჯარების აქედან გაყვანა... უმჯობესია დროულად გავიყვანოთ ჯარები, ვიდრე ველოდოთ სისხლისღვრას“. ი.რამიშვილის განცხადების პათოსი არცერთმა დეპუტატმა არ გაიზიარა, ხოლო სიტყვით გამოსულმა რ.კაკუბამ და დ.მარშანიამ ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანა დაუშვებლად მიიჩნიეს. 19 ივლისის სხდომაზე კი დ.მარშანიამ ასეთი განცხადება გააკეთა: „მოღალატური ნაბიჯები ჩვენი მხრიდან არ შეიძლება იყოს, ვინაიდან ქართული ნაწილები მოწვეულია ჩვენთვის მძიმე წუთებში დახმარების გასაწევად და საერთოდ ქართველებთან ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით... არიან ადამიანები, რომელთაც სურთ წაგვკიდონ ქართველებთან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა“[1690].

1918წ. 20 ივლისს დეპუტატმა გ. თუმანოვმა (მღვდელი) კვლავ დასვა საკითხი აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ. სახალხო საბჭოს სხდომის წევრთაგან მას მხარი მხოლოდ ი.რამიშვილმა დაუჭირა: „თუ მიგაჩნიათ, რომ მათ (ჯარებმა – ავტ.) შეასრულეს თავიანთი მისია, მაშინ ისინი წავლენ... რაც უფრო ადრე განთავისუფლდებიან აქ სამხედრო ნაწილები, მით უკეთესია საქართველოსათვის“[1691]. ირამიშვილმა დასძინა, რომ პროპაგანდას ჯარების გაყვანის შესახებ ეწევიან მონარქისტები და თავადაზნაურობის მომხრეები. მათ შორის იყვნენ პრობოლშევიკური და პროთურქული ძალებიც.

მოყვანილი ფაქტები უარყოფენ მტკიცებას „ოკუპაცია“–„ანექსიის“ შესახებ[1692]. სახალხო საბჭო, რომელსაც ვითომ პოლიტიკური ძალაუფლება ჩამოართვა გ. მაზნიაშვილმა, მიუხედავად თავიდან არსებული მცირე გაუგებრობებისა, მხარს უჭერდა ქართული ჯარების აფხაზეთში ყოფნას, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, მთლიანობისა და ავტონომიურობის მთავარ გარანტს. რაც შეეხება სახალხო საბჭოს, მას არა თუ არ დაუკარგავს ძალაუფლება, როგორც ეს

1688 . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 60-61.

1689 . იქვე, გვ. 62.

1690 . იქვე, გვ. 62-63, 65.

1691 . იქვე, გვ. 63.

1692 . 1918-1921 წწ. საქართველოს მიერ აფხაზეთის „ანექსია“–„ოკუპაციის“ თეორიას ს. ჩერვონნაია უაზროს, უცნაურს უწოდებს (С. М. Червонная. Абхазия 1992: Посткоммунистическая Вандея Грузии. М., 1993, გვ. 39), თუმცა არ უარყოფს, რომ იმ პერიოდში ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს აღორძინების რთულ და მძიმე პროცესს თან ახლდა შეცდომები, პროვოკაციები, დანაშაულობები (იქვე, გვ. 42).

მოხდა ბოლშევიკების შემოსევების დროს, არამედ ქართული ჯარების წყალობით ის აღდგა თავის უფლებებში და აფხაზეთის რეალური ბატონ-პატრონი გახდა.. სეპარატისტული ისტორიოგრაფია უძლურია რაიმე ახსნა მოუძებნოს ზემოაღნიშნულ ფაქტებს იმის შესახებ, რომ „ოკუპანტებს“ უნდოდათ წასვლა აფხაზეთიდან, „დაპყრობილები“ კი ამას ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ. ამიტომაც იგი ცდილობს, ეს და სხვა მსგავსი ფაქტები მკითხველებს დაუმალოს.

1918წ. ივლის-აგვისტოში აფხაზეთის სახალხო საბჭოს რეორგანიზაცია განხორ-ცილდა. 1917წ. 8 ნოემბერს გლეხთა I ყრილობაზე არჩეული საბჭო ლეგიტიმურ ორგანოდ ვერ ჩაითვლებოდა. გარდა ამისა, იგი მხოლოდ ერთი ერის – აფხაზთა ინტერესებს გამოხატავდა. რეგიონში კი იმ დროისათვის ფუნქციონირებდნენ ქართველთა (თავ-რე ი.გოგელაშვილი), სომეხთა (თავ-რე ხ. ავდალბეკიანი), ბერძენთა (თავ-რე ი. ფაშალიდი) ეროვნული საბჭოები; 25 აგვისტოს ჩამოყალიბდა რუსების ეროვნული საბჭო; არსებობდნენ აგრეთვე ებრაული, უკრაინული, პოლონური და სხვა ეროვნული ორგანიზაციები[1693]. ამდენად, აუცილებელი იყო მრავალეროვნული მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანოს ჩამოყალიბება. 1918წ. ივლისში აფხაზეთის უბნებში ჩატარდა სახალხო საბჭოს გადარჩევები მიტინგებსა და კრებებზე. 27 ივლისს სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხვა ერების წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. საბჭოს წევრები გახდნენ ი.გოგელაშვილი, ხ.ავდალბეკიანი, ი. ფაშალიდი, მოგვიანებით – ი. მიხელსონი (ესტონელი) და სხვ. 31 ივლისს აფხაზთა სახალხო საბჭომ თავის შემადგენლობაში არჩეულად სცნო 35 დეპუტატი. ახალ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ალ. შარვაშიძე, ტ.მარშანია და სხვები, რომელთა მიმართ თურქული დესანტის შემოყვანისათვის სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.[1694] 8 აგვისტოს დეპუტატების რ. კაკუბას, ნ. ხასაიას, ვ. ღურჯუას და ა.ინალ-იფას მონაწილეობით საბჭომ ჩამოაყალიბა დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსამზადებელი კომისია. 15 აგვისტოს დასრულდა სახალხო საბჭოს რეორგანიზაცია. უმრავლესობამ მოიწონა ძველის დათხოვნა და ახალი დროებითი საბჭოს ფორმირება. მის შემადგენლობაში დარჩენილი ძველი საბჭოს უმრავლესობას დაემატა სხვა ეროვნებათა საბჭოების წარმომადგენლები. თურქოფილები სამშობლოდან განდევნილად გამოცხადდნენ[1695]. სახალხო საბჭოს რეორგანიზაციას ჯერ ბათუმში (თურქებთან), შემ-დეგ კი კრასნოდარში (თეთრგვარდიელებთან) მყოფმა ალ. შარვაშიძემ[1696] საბჭოს გარეკვა უწოდა. ამ სიცრუეს დღემდე უაპელაციოდ იმეორებს აფხაზური ისტორიოგრაფია[1697].

ბოლშევიკური და თურქული ავანტიურის ძირშივე აღკვეთამ, სახალხო საბჭოში პროქართული კურსის გამარჯვებამ, საბჭოს რეორგანიზაციამ, ახალი დემოკრატიული არჩევნების მოსამზადებელი კომისიის შექმნამ და სხვა მოვლენებმა საგონებელში ჩააგდო შოვინისტები, ასევე სეპარატისტები, რომლებიც ნებისმიერ ანტიქართულ ორიენტაციას ემხრობოდნენ. ამჯერად ყველაზე მიმზიდველი აღმოჩნდა მათთვის რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი „მოხალისეთა არმია“ გენერალ მ.ალექსეევის მეთაურობით. 1918წ. 15 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე.გეგეჭკორი სოჭიდან ნ.ჟორდანიას აცნობებდა, რომ ალექსეევთან გაგზავნილმა აფხაზთა დელეგაციამ თეთრგვარდიელ გენერალს „მთელი სულით“ რუსეთის მომხრე აფხაზების ქართველი „მოძალადეებისაგან“ დაცვა სთხოვა[1698]. ცხადია,

---

[1693]. **Г. Дзидзария. Формирование…, გვ. 294-295; ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 67-70.**

[1694]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი გვ. 763-766. არ შეესაბამება სინამდვილეს მტკიცება, თითქოს ახალ საბჭოში „ჭარბობდნენ ქართველი დელეგატები“ (В. Шнирельман. Войны памяти, გვ. 263).**

[1695]. **დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 226-227.**

[1696]. **1918წ. 18 სექტემბერს აფხაზეთის საქმეთა მინისტრმა რ. ჩქოტუამ სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა კავკასიაში გერმანიის დელეგაციის მეთაურის ფონ კრესის 9 სექტემბრის წერილი. გერმანელი დიპლომატი რ. ჩქოტუას წერდა: „ვიყავი ბატონ ჟორდანიასთან და თანხმობა ვთხოვე თავად ალ. შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნებაზე.**

ბატონმა ჟორდანიამ მიპასუხა შემდეგი: თუ აფხაზეთის სახალხო საბჭო შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს მთავრობის წინაშე თავ. ალ. შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნების თაობაზე და იგი ანგარიშს წარუდგენს ეროვნულ საბჭოს თავის მოქმედებაზე, საქართველოს მთავრობა დააკმაყოფილებს აფხაზეთის სახალხო საბჭოს შუამდგომლობას“ (დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 476).

[1697]. **С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии, გვ. 68; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 314.**

[1698]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.**

სოჭის ოლქის დაკავებით უკმაყოფილო მ.ალექსეევი ამ „თხოვნას“ (შესაძლოა, იგი მისი ინსპირირებულიც კი იყო) საქართველოზე ზეწოლისათვის გამოიყენებდა, მათ შორის უახლოეს დღეებში დაგეგმილ შეხვედრებზეც. 1918წ. 15 სექტემბერს ე. გეგეჭკორმა მთავრობის თავმჯდომარეს იმის შესახებაც მოახსენა, რომ სოჭში მოქმედი სოციალისტური პარტიები შესაძლებლად და აუცილებლად მიიჩნევენ ოლქის საქართველოსთან შეერთებას. „ჩვენი მხრიდან მიუტევებელი შეცდომა იყო, – წერდა მინისტრი, – რომ არ გამოვიყენეთ ჩვენთვის ხელსაყრელი კონიუნქტურა, როცა ოლქის მთელი მოსახლეობა აღფრთოვანებით ხვდებოდა ჩვენს ჯარებს. ამჟამად ვითარება უარესობისაკენ შეიცვალა... ჩემი ღრმა რწმენით, უნდა გამოვიყენოთ ერთადერთი კოზირი ჩვენს ხელში – ადგილობრივი სოციალ-დემოკრატებისა და ესერების თანაგრძნობა ჩვენდამი და მოვახდინოთ ოლქის შემოერთების დეკრეტირება“[1699]. ე.გეგეჭკორს სურდა, ფაქტის წინაშე დაეყენებინათ მ.ალექსეევი, ასევე ა.დენიკინი, რომელმაც შავიზღვისპირეთის გუბერნია (რომლის ნაწილიც იყო სოჭის ოლქი) მოხალისეთა არმიის სარდლობას დაუქვემდებარა. სოჭში ე.გეგეჭკორის მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს 1918წ. 18 სექტემბრის რეზოლუცია სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ. იგივე გადაწყვეტილება მიიღო 20 სექტემბერს ქ.სოჭის მოსახლეობის საერთო კრებამაც[1700].

საქართველოს მთავრობა არ ჩქარობდა სოჭის შემოერთების დეკრეტირებას, მაგრამ ბრძოლა ოლქისათვის გრძელდებოდა. 1918წ. 25 სექტემბერს ეკატერინოდარში ეს საკითხი იხილებოდა მოხალისეთა არმიის სარდლობისა და ყუბანის წარმომადგენლებთან საქართველოს დელეგაციის შეხვედრაზე. ინიციატივა, როგორც ეტყობა, მ.ალექსეევისაგან მოდიოდა; 16 აგვისტოს მას „მეგობრული“ წერილით მიუმართავს გენერალ გ. მაზნიაშვილისათვის, რომელშიც „მოკავშირეობაზე“, საქართველოსთვის სურსათით დახმარებაზე, ფართო თანამშრომლობაზე იყო საუბარი; ამ და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლად გენერალი ეკატერინოდარში იწვევდა საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილ პირებს[1701]. 1918წ. 25 სექტემბერს ასეთი შეხვედრა მართლაც შედგა. საქართველოს მხრიდან მასში მონაწილეობდნენ ე.გეგეჭკორი და გ.მაზნიაშვილი, თეთრგვარდიელთა მხრიდან – გენერლები მ.ალექსეევი, ა.დენიკინი, ი.რომანოვსკი, ა.დრაგომიროვი, ა.ლუკომსკი, აგრეთვე ვ.შულგინი და ვ.სტეპანოვი. ყუბანის მთავრობას ბიჩი და ნ.ვორობიოვი წარმოადგენდნენ[1702]. რუსები კატეგორიულად მოითხოვდნენ სოჭის ოლქისა და გაგრის დაცლას. „მოხალისეები“ აფხაზთა „დამცველების“ როლში გამოდიოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ნ. ვორობიოვი. მან პირველმა გაამახვილა ყურადღება გაგრაზე, რომელიც პრინცმა ოლდენბურგელმა ააშენა და ამისათვის „10 მილიონი მანეთი დახარჯა ძველი ვალუტით“; რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს, – განაცხადა ნ.ვორობიოვმა, – „იგი უნდა განისაზღვროს მხოლოდ აფხაზეთამდე, რადგან ცნობები გვაქვს, რომ აფხაზები არაფერს ზოგავენ, ოღონდ ისევ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. მართალია, ბოლო ხანებში საქართველოს მთავრობა ცდილობს გააქართულოს ქალაქები, ნიშნავენ იქ კომისრებს და სხვა, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ოლქები ქართულ ოლქებად ჩავთვალოთ. დღეს ამით შემოვიფარგლები“[1703]. ქართულმა დელეგაციამ დაუშვებლად მიიჩნია უკვე გადაწყვეტილ საკითხზე – აფხაზეთზე, მათ შორის გაგრაზე საუბარი „მოხალისეთა“, როგორც ე. გეგეჭკორმა უწოდა, „კერძო ორგანიზაციასთან“ და მოითხოვა მოლაპარაკების გაგრძელება მხოლოდ სოჭის ოლქთან დაკავშირებით. ანგარიში უნდა გაეწიოს, – თქვა

[1699]. იქვე, გვ. 756.

[1700]. А. Ментешашвили. Исторические предпосылки…, გვ. 25-26.

[1701]. А. И. Деникин. Очерки русской смуты. Белое движение и борьба добровольческой армии. Май-сентябрь 1918 г. Минск, Харвест, 2002, გვ. 398-399.

[1702]. გ. დოლიძე. როგორ უნდა ველაპარაკოთ რუს გენერლებს და პოლკოვნიკებს ანუ რა მოხდა ქ. ეკატერინოდარში 89 წლის წინ. თბ., 2007, გვ. 8, 31.

[1703]. იქვე, გვ. 65; ნ. ვორობიოვი 26 სექტემბერსაც არაერთხელ შეეხო გაგრა-აფხაზეთის თემას (იქვე, გვ. 71, 73, 81), შეხვედრის დამთავრებიდან ცოტა ხანში კი „გამოაცხო“ ზემოთნახსენები, მეცნიერული თვალსაზრისით უსაფუძვლო ბროშურა (აქვე, გვ. 68.).

მან, – ადგილობრივი დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დადგენილებებს სოჭის ოლქის საქართველოს საზღვრებში დატოვების შესახებ. „სოჭი, თანახმად მცხოვრებთა სურვილისა, დროებით უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში და დაჟინებით მოვითხოვ ამას“,[1704] – განაცხადა ე.გეგეჭკორმა. საქართველოს პოზიცია სოჭთან დაკავშირებით იყო ურყევი. 26 სექტემბერს ე. გეგეჭკორმა კვლავ დაადასტურა, რომ მას მისაღებად მიაჩნია „ფორმულა-სოჭის ოლქის დროებით დატოვება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში“.[1705] ამის შემდეგ მ. ალექსეევმა მოლაპარაკების გაგრძელება და სხვა საკითხების განხილვა შეუძლებლად მიიჩნია. იმავე დღეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. აშკარა გახდა, რომ „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთისათვის მებრძოლი „მოხალისეები“ საქართველოს წინააღმდეგ მომავალშიც დიდი „ხალისით“ გამოიყენებდნენ უპრინციპო სეპარატისტებს.

ში'ში გამართლდა. 1918 წლის 9 ოქტომბერს „მოხალისეთა“ წაქეზებით და დახმარებით სეპარატისტთა მცირე ჯგუფმა სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა სცადა. შეთქმულებას სათავეში ედგნენ აფხაზეთის საქმეთა მინისტრი რ. ჩქოტუა[1706] და საოლქო კომისარი ი. მარღანია. მათი მითითებით, სახალხო საბჭოს სხდომაზე შეჭრილმა შეიარაღებულმა პირებმა მილიციის რაზმიდან და „აფხაზთა ასეულიდან“ ულტიმატუმის წესით საბჭოს ხელმძღვანელობის გადაყენება მოითხოვეს და აიძულეს პრეზიდიუმი, გადამდგარიყო. ამ ვითარებაში სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე, როგორც მ. თარნავა იგონებს[1707], არ დაიბნა; ის არ დაემორჩილა მეამბოხეებს და მომხდარის შესახებ აცნობა სამთავრობო ჯარების შტაბს, რომელმაც დაუყოვნებლივ აღადგინა წესრიგი. სახალხო საბჭომ ოპოზიცია სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა. იმავე დღეს – 9 ოქტომბერს ვ. შარვაშიძემ, დ. ემუხვარმა, ი. გოგელაშვილმა, ი. ფაშალიდიმ და პ.გელოვანმა[1708] ამბოხების თაობაზე თბილისს აცნობეს. მათი აზრით, სახალხო საბჭოში წარმოდგენილ არცერთ ჯგუფს უკვე არ ჰქონდა ხალხის სახელით საუბრის მორალური უფლება, ამიტომ მი-ზანშეწონილად მიიჩნიეს ამ ორგანოს დათხოვნა და ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლები სთხოვდნენ საქართველოს მთავრობას, თავის თავზე აეღო არჩევნების მომზადება, საარჩევნო დებულების შემუშავება, რომელიც საბჭოს უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ „ალექსეეველთა“ ობსტრუქციის გამო ვერ მოხერხდა; მომავალში სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ისინი ითხოვდნენ აგრეთვე ამბოხების სულისჩამდგმელებისა და ხელმძღვანელების – რ. ჩქოტუას, ი. მარღანიას, ს. აშხვაწაას, გ. აჯამოვის, ა. ინალ-იფას, გ. თუმანოვის, ნ. მარშანიას და სხვათა დაპატიმრებას, საქართველოს მთავრობასთან არსებული აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობის გაუქმებას, სამხარეო კომისრის დანიშვნას, რომელიც აღადგენდა წესრიგს, შექმნიდა ძლიერ ადმინისტრაციულ მმართ-ველობას; სამთავრობო ჯარების შტაბს კი უნდა მიეღო გადამწყვეტი ზომები „ალექსეეველთა“ შესაძლო მორიგი პროვოკაციების აღსაკვეთად[1709].

სოხუმიდან მიღებული ინფორმაციისა და წინადადებების საფუძველზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს ადეკვატური ზომები მიიღო. დააპატიმრეს აფხაზთა სახალხო საბჭოს ექვსი მეამბოხე წევრი[1710], აგრეთვე რუსული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. სახალხო საბჭო, რომელიც არ იყო დემოკრატიული წესით არჩეული და, შესაბამისად, არ გამოხატავდა აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობის ინტერესებს, მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა და

[1704]. იქვე, გვ. 81.

[1705] . იქვე, გვ. 83.

[1706] . რაფიელ ჩქოტუა ადრე საკუთარ თავს ქართველად მიიჩნევდა და ორიენტაციაც ქართული ჰქონდა. როგორც დელეგატი აფხაზეთიდან, ის ესწრებოდა საქართველოს I საეკლესიო ყრილობას (1917 წ. 8-17 სექტემბერი), სადაც გამოვიდა სიტყვით, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა (წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 195).

[1707] . Литературная Абхазия, 1991, №1, გვ. 202-203.

[1708]. პ.გელოვანი იყო ალექსანდრე შარვაშიძის მამიდაშვილი, სოხუმის სათათბიროს თავმჯდომარე (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 457).

[1709]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი გვ. 84-86.

[1710]. დააპატიმრეს ს. აშხვაწაა (თავმჯდომარეობის კანდიდატი ამბოხებული ოპოზიციისაგან), ი. მარღანია, დ.ალანია, გ. აჯამოვი, გ. თუმანოვი, მ. შლატერი და სხვები.

ახალი არჩევნები (საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე) დანიშნა, შექმნა საარჩევნო კომისია ვ. შარვაშიძის, ი. რამიშვილის, ვ. ღურჯუას, ი. ფაშალიდის და გ. შანშიევის შემადგენლობით, რომელსაც თავმჯდომარის არჩევისა და ახალი წევრების კოოპტაციის უფლება მიეცა (მასვე დაევალა სახალხო საბჭოს ქონებისა და საქმეების დაცვა); აფხაზთა სახალხო საბჭოს არჩევნებამდე მთელი ძალაუფლება სოხუმის ოლქის კომისრად დანიშნული ბენია ჩხიკვიშვილის ხელში გადადიოდა, მის ჩამოსვლამდე კი ეს ფუნქცია სამთავრობო ჯარების შტაბის უფროსს თუხარელს უნდა შეესრულებინა; აფხაზეთის საქმეთა მინისტრის რ. ჩქოტუას უფლებამოსილება მთავრობამ ამოწურულად სცნო, ხოლო მისი ფუნქციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შეუთავსა[1711]. მიღებულ მკაცრ, მაგრამ კანონიერ ზომებს სეპარატისტები აფხაზეთის „ქართულ ოკუპაციად“, 11 ივნისის ხელშეკრულების უხეშ დარღვევად მიიჩნევენ[1712], მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნულ ხელშეკრულებას შეიარაღებული თურქი ჯარისკაცების აფხაზეთში შემოყვანა, თეთრგვარდიელ გენერლებთან მ. ალექსეევთან და ა. დენიკინთან ალიანსი და სხვა დანაშაულებრივი ქმედობები.

აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე) რეგიონში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, ასევე ცალკეული უბნების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა არჩევნების დებულების პროექტი. 1918 წლის 17 დეკემბერს იგი მოიწონა საქართველოს მთავრობამ და დასამტკიცებლად პარლამენტს გადასცა; მთავრობამ დაადგინა „გამოქვეყნდეს მთავრობის მიმართვა, სადაც მითითებული უნდა იქნეს, რომ აფხაზეთს ენიჭება სახალხო წარმომადგენლობის უფლება და ამით შინაური ცხოვრების მოწყობა ავტონომიის საწყისებზე“[1713].

1918 წლის 27 დეკემბერს პარლამენტმა აფხაზეთის საარჩევნო დებულება დაამტკიცა. რამდენადაც მომავალ სახალხო საბჭოს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა რეგიონის პოლიტიკური მოწყობის, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის საკითხი, არჩევნებში მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ენიჭებოდათ 1914 წლის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე) აფხაზეთში დამკვიდრებულ ნებისმიერ მოქალაქეს (ასეთი გადაწყვეტილება სახალხო საბჭომ 1918 წლის 2 ოქტომბერს მიიღო). საბჭოში არჩევის უფლებით სარგებლობდნენ პირები, რომლებმაც აფხაზეთში ბინადრობის უფლება მოიპოვეს 1914 წლის 19 ივლისის შემდეგაც, აგრეთვე აფხაზეთში არმოსახლე საქართველოს ქვეშევრდომები[1714].

აფხაზთა სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდი დროში ემთხვევა საქართველოს დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდს, როცა ქვეყანას გარეშე მტრების მოგერიება ერთდროულად ორ, უნდა ვივარაუდოდ, ერთმანეთთან კოორდინირებულ ფრონტზე მოუხდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას სომხეთი უტევდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან – თეთრგვარდიელ მოხალისეთა არმია ა. დენიკინის მეთაურობით. 1918 წლის დეკემბერში ინგლისელებისაგან დაიმედებულმა საქართველომ, რომ სოჭის ოლქი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდებოდა, დაიწყო იქიდან ჯარების გაყვანა. შავიზღვისპირეთის ფრონტის სარდალი გენერალი კონიაშვილი ამასთან დაკავშირებით 16 დეკემბერს განმარტავდა: „სოჭის ოლქი ინგლისელებთან შეთანხმებით ნეიტრალურადაა აღიარებული. ამ შემთხვევის ძალით, ნებისმიერი არმიის (მოხალისეების – ავტ.) ან სახელმწიფოს (საქართველოს – ავტ.) შეიარაღებული ჯარის ოლქის ტერიტორიაზე შესვლა არ უნდა მოხდეს... ოლქში რჩება ქართული მართვა-გამგეობა“[1715]. ინგლისელებისაგან შესაბამისი მითითება მიიღო ა. დენიკინმაც; მაშინ მან ნაცად ხერხს მიმართა – სოჭის ოლქში მოაწყო ქართველთა მიერ ვითომ შევიწროებული სომხების აჯანყება, ორგანიზება გაუკეთეს ამ უკანასკნელთა წერილობით „თხოვნას“, რომ მოხალისეთა არმიამ „სოხუმის ოლქის, კერძოდ, სოფ. გუ-

---

[1711]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 424-425.**

[1712] **. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ.323.**

[1713] **. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 73.**

[1714] **. იქვე, გვ. 73-74.**

[1715] **. А. И. Деникин. Очерки русской смуты. Вооруженные силы юга России. Распад Российской империи. Октябрь 1918 – январь 1919. Минск, Харвест, 2002, გვ. 282.**

დაუთის სომხური ეროვნების მოსახლეობა დაიცვას ძალადობისაგან ქართული ჯარების მხრიდან“[1716]. რა თქმა უნდა, ეს იყო პროვოკაცია. აფხაზეთის სომხური (ასევე ბერძნული, ესტონური და ა.შ.) მოსახლეობა მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას[1717]. ამიტომაც დასჭირდა ა. დენიკინს სოჭის ოლქის სომხების „თხოვნა“ აფხაზეთელი თანამოძმეების „დაცვის“ თაობაზე. აჯანყებულ და „შევიწროებულ“ სომეხთა „დაცვის“ საბაბით, ა. დენიკინმა 1919 წლის 24 იანვარს (6 თებერვალს) სოჭი დაიკავა, ხოლო მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში დაიკავა ტერიტორია მდ. ბზიფამდე[1718].

ასეთი მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია. 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში პირველად მის ისტორიაში ჩატარდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. რამდენიც არ უნდა იცრუონ სეპარატისტებმა, არჩევნები იმდენად თავისუფალი იყო, რომ მასში მონაწილეობა მიაღებინეს 1918 წლის 9-10 ოქტომბრის ამბოხების ჯერ დაპატიმრებულ, შემდეგ კი თეორგვარდიელთა და ინგლისელთა მოთხოვნით განთავისუფლებულ მოთავეებსაც კი. აფხაზთა სახალხო საბჭოში 40 დეპუტატი აირჩიეს, რომელთა შორის იყო 27 – სოციალ-დემოკრატი, 4 – დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 – ესერი, 3 – მემარჯვენე; თითო დეპუტატი გაიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვ-
ნულ-დემოკრატებმა და კოლონისტებმა[1719].

ერთდროულად ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები (1919წ. 14-16 თებერვალი). გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციიდან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდნენ ვ. შარვაშიძე, დ. ემუხვარი, ვ. ღურჯუა, დ. ზახაროვი და ი.ფაშალიდი[1720]. 1919წ. 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე სხვა კოლეგებთან ერთად მათ ხელი მოაწერეს 1918 წ. 26 მაისს მიღებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს.

ახლადარჩეული სახალხო საბჭოს პირველი სხდომა 1919წ. 18 მარტს შედგა. მან აირჩია თავმჯდომარე (დ.ემუხვარი), მოადგილე (მ.ბერულავა) და პირველი მდივანი ვ. კოროლიოვი. 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო ისტორიული დოკუმენტი – „აქტი

[1716] . იქვე, გვ. 282-283; Деникин-Юденич-Врангель. М.-Л., 1927, გვ. 96.

[1717] . სეპარატისტული ისტორიოგრაფია ცრუობს, როცა საქართველოს მთავრობას სომხური, ბერძნული თუ სხვა ეროვნების მოსახლეობის დევნაში ადანაშაულებს (О.Бгажба, С.Лакоба. История Абхазии, გვ. 335-336). უტყუარი ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოზე მიუთითებენ. ასე, მაგალითად, 1919წ. დასაწყისში ქართული სამხედრო ნაწილების მოქმედებით უკმაყოფილო სომხური ათარის წარმომადგენლები სოხუმის ოლქის კომისარ ბ.ჩხიკვიშვილს სწერდნენ: „ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვიყავით მოძმე ერის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ოლქში ბოლშევიკური ანარქიის დროს ჩვენ ვმუშაობდით და ვიბრძოდით გმირულ სახალხო გვარდიასთან ერთად. თურქული დესანტის დღეებში ჩვენ ყველანაირად ვეხმარებოდით ჩვენს რაიონში მოქმედ სამხედრო ნაწილებს. საქართველოსთან სომხეთის ომშიც დავამტკიცეთ, რომ კეთილგანწყობილნი ვართ დემოკრატიული მთავრობის მიმართ. ჩვენ ღრმად გვწამს, ვენდობით, მომავალშიც ვიწამებთ და მივენდობით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ოლქში მის წარმომადგენლებს, რომლებთანაც მუდამ სოლიდარულები იყვნენ ჩვენი არჩევითი წარმომადგენლები საოლქო სომხურ ეროვნულ საბჭოში” (ჯ.გამახარია. აფხაზეთი: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები, გვ. 116). 1919წ. მარტში აფხაზეთში სომხური ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და სახალხო საბჭოს წევრი ხ. ავდალბეკიანიც იმავეს სწერდა ნ.ჟორდანიას: „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე სოხუმის ოლქის სომხური მოსახლეობა მხურვალე სიმპატიებით იყო გამსჭვალული ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოსადმი. თავისი დამოკიდებულება მან ფაქტობრივად დააფიქსირა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში მასობრივი მონაწილეობით, ერთიანად მისცა რა ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 91). ზუსტად იგივე ითქმის ბერძნულ მოსახლეობაზეც, რომლის ეროვნული საბჭო (თავმჯდომარე – სახალხო საბჭოს წევრი ი. ფაშალიდი) მტკიცედ უჭერდა მხარს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამის შესახებ წერდა თვით ს.ბასარიაც (С. Басария. Абхазия..., გვ. 95). ბერძნული მოსახლეობა დევნას განიცდიდა არა ქართველების მხრიდან, არამედ ბანდიტური ორგანიზაცია „კიარაზისაგან“, რის შესახებაც მსჯელობა სახალხო საბჭოშიც (1918წ. 20 ივლისი) გაიმართა (ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 61). სეპარატისტთა უკმაყოფილებას იწვევდა სწორედ სახელმწიფოს ერთგული სომხებისა და ბერძნების აფხაზებთან გათანაბრება პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ (აგრარულ) უფლებებში (იხ. აქვე, გვ. 304,-305). საქართველოს სახელმწიფოსადმი აფხაზეთის გერმანული მოსახლეობის ერთგულება გახდა საბაბი სეპარატისტების მხრიდან მათი დარბევის მცდელობისა; ამასთან დაკავშირებით, კავკასიაში გერმანიის წარმომადგენელი სთხოვდა რ. ჩქოტუას, მიეღო ზომები მოსალოდნელი უბედურებისაგან გერმანელ კოლონისტთა დასაცავად (დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 255-256).

[1718] . А. Деникин. Очерки русской смуты. Октябрь 1918 – январь 1919, გვ. 283.

[1719]. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 73.

[1720]. სიცრუეა, თითქოს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა დამფუძნებელი კრების არჩევნებს (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 335). მსგავსი მტკიცებებისათვის საფუძველს არ იძლევა დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებში აფხაზეთის მონაწილეობის საკითხის განხილვის ჩაშლა სახალხო საბჭოს 1919წ. 25 ნოემბრის სხდომაზე (დ.ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი, გვ. 316-317).

აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას“[1721]. „აქტის“ მიხედვით, აფხაზეთის კონსტიტუციას შეიმუშავებდა დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს შერეული პარიტეტული კომისია და ძალაში შევიდოდა ორივე ორგანოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

სახალხო საბჭოს პირველმა სხდომამ მოითხოვა გაგრის უბნის დაუყოვნებლივ განთავისუფლება „მოხალისეებისაგან“ ისტორიულ საზღვრამდე – მდ.მზიმთამდე, წარდგინებით მიმართა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთა ამნისტირების შესახებ[1722].

„აქტით აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ მოხდა რეგიონის თვითგამორკვევა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, საქართველოს ეს უძველესი მხარე, გარეშე მტრული ძალების მხრიდან მისი მიტაცების არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. ამით აფხაზეთისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი ეტაპი წარმატებით დაგვირგვინდა.

3. პოლიტიკური ვითარება ავტონომიურ აფხაზეთში და მისი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ. 1919წ. მარტი – 1921წ. მარტი

ახალ ვითარებაში, როცა რეგიონის წინაშე ავტონომიის რეალურად განხორციელების ამოცანა იდგა, მთავარი გახლდათ მტკიცე დემოკრატიული ხელისუფლების ორგანიზაცია და მისი ეფექტურობის ამაღლება. სახალხო საბჭო, როგორც არჩევითი ორგანო, სრულად მოიცავდა აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ სპექტრს. მყარი უმრავლესობის მქონე მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ძლიერი და გარედან მართული ოპოზიცია ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური იყო „დამოუკიდებელი სოციალისტების“ ფრაქცია (დ.ალანია, მ.ცაგურია, ს.ჭანბა, ი.მარღანია, რ.კაკუბა, ა.დემიანოვი, რ.ჩქოტუა), რომლის ერთი ნაწილი ბოლშევიკებთან თანამშრომლობდა, მეორე – თეორგვარდიელებთან. მათ საერთო პლატფორმას აფხაზეთში მდგომარეობის დესტაბილიზაცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტაცია და დამხობა წარმოადგენდა. მოგვიანებით (1919წ. ნოემბერი) სოციალ-დემოკრატებს გამოეყო „ინტერნაციონალისტთა“ ფრაქცია (კ.ბარციცი, დ.ძკუია, მ.თარნავა). ძალიან ხშირად ისინი მხარს უჭერდნენ „დამოუკიდებელ სოციალისტებს“, მონაწილეობდნენ ყველა ანტიქართულ აქციაში.

სახალხო საბჭოს ჰყავდა პრეზიდიუმი (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) და „სენიორენ კონვენტი“ (უხუცესთა საბჭო). ისინი ერთობლივ სხდომებს ატარებდნენ, სადაც წინასწარ იხილავდნენ საბჭოს დღის წესრიგს, აგრეთვე სამეურნეო და სხვა შიდა საკითხებს. 1919წ. 20 მაისს სახალხო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ვარლამ შარვაშიძემ დაიკავა. 1920წ. თებერვლამდე მისი მოადგილე იყო მ. ბერულავა, შემდგომში კი – ტ. კვარაცხელია (მომავალში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი). მდივნის თანამდებობა კ. აქირთავამ დაიკავა. „სენიორენ კონვენტში“ შედიოდნენ ს.ჭანბა, ვ.ანჩაბაძე, მ.თარნავა, დ.ალანია, დ.ემუხვარი. სახალხო საბჭო ზოგჯერ მცირე შემადგენლობით იკრიბებოდა („მცირე სახალხო საბჭო“) და განსახილველ საკითხებს წინასწარ ამუშავებდა. მის სხდომებს ესწრებოდნენ ვ.შარვაშიძე, დ.ემუხვარი, პ.გელოვანი, ვ.ანჩაბაძე, დ.ალანია, მ.ბერულავა, ი.ლორთქიფანიძე, გ.კოროლიოვი, ტ.კვარაცხელია, გ.ზუხბაია[1723].

აფხაზთა სახალხო საბჭო 1919წ. 8-10 აპრილს განიხილავდა მართვის ორგანოების ფორმირების საკითხს. გადაწყდა, შექმნილიყო აფხაზეთის მართვის ორგანო, რომელიც კონსტიტუციის შემუშავებამდე იხელმძღვანელებდა სახალხო საბჭოს ინსტრუქციებით.

[1721]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 435.**
[1722]. **იქვე, გვ. 433-435, 772.**
[1723]. **იქვე, გვ. 772-773.**

მართვის კოლექტიური ორგანო – კომისარიატი სამი წევრისაგან შედგებოდა: შინაგან საქმეთა კომისარი, იუსტიციის, განათლებისა და ჯანდაცვის კომისარი, სახალხო მეურნეობის კომისარი. სახალხო საბჭო ირჩევდა მხოლოდ ერთ კომისარს (პასუხისმგებელს საბჭოს წინაშე), რომელსაც ევალებოდა სხვა კომისრების შერჩევა და კოლეგიის შედგენა.კოლეგიას ამტკიცებდა სახალხო საბჭო. 1919წ. 13 მაისს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღმასრულებელი ორგანოს – კომისარიატის (მთავრობა) შექმნის შესახებ, თავმჯდომარედ დამტკიცდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი. აფხაზთა სახალხო საბჭოს ეწოდა აფხაზეთის სახალხო საბჭო, სოხუმის ოლქს – აფხაზეთი, უბნებს – მაზრები[1724].

სეპარატისტულ ძალებს, ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა ა.დენიკინის შტაბთან და მუდმივად ცდილობდნენ ვითარების დესტაბილიზაციას. „მოხალისეებთან“ თავშეფარებულ ალ. შარვაშიძეს და სხვებს დააწერინეს „თხოვნა“ „აფხაზეთის ოლქიდან“ ქართველთა განდევნისა და რუსეთთან მისი მიერთების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ა.დენიკინმა ჯერ კიდევ გაგრის აღებამდე, 1919წ. 1 თებერვალს ახლო აღმოსავლეთში ინგლისელთა ჯარების მთავარსარდალ მილნს და 27-ე დივიზიის მეთაურს ფორესტიე უოკერს (მას ემორჩილებოდა ინგლისელთა ჯარები ამიერკავკასიაში) გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც „აფხაზეთის დაშოშმინებისა და საქართველოსთან ჩვენი შეტაკების საბაბის მოხსნის“ მიზნით შემდეგ წინადადებებს აყენებდა: „**1**. გამოცხადდეს სოხუმის ოლქი ნეიტრალურად; **2**. დაუყოვნებლივ გავიდნენ იქიდან ქართული ჯარები და ადმინისტრაცია; **3**. წესრიგის დაცვა დაეკისროს მათ მიერ თავისუფლად არჩეულ აფხაზურ ხელისუფლებას და აფხაზებისაგან შემდგარ სახალხო რაზმებს“[1725]. ა.დენიკინის გეგმის მიხედვით, ქართულ ჯარებს მდ. ენგურამდე უნდა დაეხიათ. ამ ე.წ. მემორანდუმის შესახებ სახალხო საბჭოსათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. 1919წ. 15 აპრილს, მან მოისმინა ი.რამიშვილის მოხსენება და მიიღო მკვეთრი რეზოლუცია. აფხაზეთის ერთადერთი უფლებამოსილი და სრულუფლებიანი წარმომადგენელია სახალხო საბჭო, რომლის მეშვეობით აფხაზეთმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოსთან, გახდა მისი ავტონომიური ნაწილი და დაადგინა სავსებით საერთო საზღვრები, – ნათქვამია დოკუმენტში; მემორანდუმში მოხსენიებული „აფხაზი ხალხის წარმომადგენლები“ გამოცხადდნენ თვითმარქვიებად, დემოკრატიის მტრებად, კონტრრევოლუციონერებად, საკუთარი ხალხის მოღალატეებად; ა.დენიკინის მემორანდუმს საბჭომ „სინამდვილესთან შეუსაბამო“ უწოდა და სთხოვა საქართველოს მთავრობას, 15 აპრილს მიღებული რეზოლუცია მიაწოდოს მოკავშირე სახელმწიფოებს[1726]. სახალხო საბჭოს ყველა ფრაქციამ, თვით „დამოუკიდებელმა სოციალისტებმაც“ კი დაგმეს მემორანდუმი და ა.დენიკინთან გამოცხადებული თვითმარქვიები. სულ მალე გაირკვა, რომ ესენი იყვნენ ალ. შარვაშიძე და ა.ხასაია. 1919წ. 21 ივნისს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის გაზეთმა „ნაშე სლოვო“-მ, რომელსაც დიმიტრი გულია რედაქტორობდა, გამოაქვეყნა წერილი „აფხაზეთის იუდა“. „აფხაზეთის წარმომადგენელი, რომელიც ა. დენიკინთან გამოცხადდა დაჟინებული თხოვნით დენიკინის ჯარების მიერ აფხაზეთის დაკავების თაობაზე, აფხაზეთის მოღალატე, გამოვლენილია.

ეს არის ალექსანდრე შარვაშიძე, ვინც თავის დროზე აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმას ცდილობდა, ის რუსი „პატრიოტი“, რომელსაც სურდა თურქებისათვის რუსეთის ყოფილი ნაწილის გადაცემა.

აი, ვისი სახელით ამართლებდა დენიკინი ევროპის წინაშე საქართველოზე, აფხაზეთზე თავის ყაჩაღურ თავდასხმას“. გაუგებარია, როდესაც თანამედროვე სეპარატისტული ისტორიოგრაფია, ხოტბას ასხამს ა.დენიკინს და მასთან გამოცხადებულ „აფხაზეთის იუდას“, კრინტს არ ძრავს სახალხო საბჭოს 1919წ. 15 აპრილის გადაწყვეტილებისა და დიმიტრი გულიას გაზეთის პუბლიკაციის შესახებ.

[1724]. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 82. აფხაზთა სახალხო საბჭოს სახელი გადაერქვა 1919წ. 13 მაისს და არა 1918წ. აგვისტოში, ან 1919წ. თებერვალში, როგორც ფიქრობს დ. ჩიტაია (იხ. მისი: აფხაზეთის საკითხი, გვ. 237, 239).

[1725]. **А. И. Деникин. Очерки русской смуты..., октябрь 1918г. - январь 1919г., გვ. 284.**

[1726]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 436-437, 774.**

მიუხედავად ა.დენიკინის მემორანდუმისა და სეპარატისტთა „თხოვნისა“, ინგლისელებმა არაერთხელ მოითხოვეს არა აფხაზეთის, არამედ სოჭის ოლქისა და გაგრის გამოცხადება ნეიტრალურ ზონად, იქიდან „მოხალისეთა“ გაყვანა, მაგრამ თეორგვარდიელები დათმობაზე არ მიდიოდნენ. 1919წ. თებერვალში მდ.ბზიფის გასწვრივ დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინგლისელთა ასეული ჩადგა. ამას დიდად არ შეუშლია ხელი ქართული ჯარებისათვის, რომლებმაც გენერალ გედევანიშვილის სარდლობით 4 აპრილს გადალახეს მდ. ბზიფი და რამდენიმე დღეში დაიკავეს ტერიტორია მდ.მზიმთამდე. მალე ოდნავ უკან დაიხიეს და მდ.მეხადირზე გამაგრდნენ[1727]. ა.დენიკინი მისი ჯარების სრულ განადგურებამდე და რუსეთიდან გაქცევამდე ცდილობდა გაგრიდან ქართველთა განდევას, მთელი აფხაზეთის ხელში ჩაგდებას. სასაზღვრო საკითხი იხილებოდა 1919წ. 23 მაისს ე.გეგეჭკორისა და ნ.რამიშვილის შეხვედრაზე ინგლისელ გენერალ ბრიგსთან, რომელიც „მოხალისეთა“ პოზიციას გამოხატავდა. ქართულმა მხარემ უარყო ბრიგსის წინადადება მდ.ბზიფამდე უკანდახევის შესახებ[1728]. როგორც ა.დენიკინი ამოწმებს, 1919წ. 9 აპრილს გენერალი მილნი საქართველოსაგან მდ.ბზიფამდე ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. იგივე გაიმეორა ინგლისელთა მისიამ 12 ივნისს, მაგრამ, „ეტყობა, ბრიტანელთა ავტორიტეტი, – წერდა ა.დენიკინი – უკვე არ იყო საკმარისი შეტაკების არც თავიდან აცილებისათვის, არც ლიკვიდაციისათვის... ქართველები დარჩნენ მეხადირზე... სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იდგნენ სანაპიროზე ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე მხარის ჯარები, რომლებიც ყოველ წუთს რისკავდნენ იმით, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო თოფები და ქვემეხები „თავად ალაპარაკდებოდნენ“[1729]. ხშირი იყო უნდობლობითა და ეჭვებით გამოწვეული შეტაკებები მდ.მეხადირზე. გაურკვეველი მდგომარეობა „არც მშვიდობა, არც ომი“[1730] ბოლომდე გაგრძელდა.

გენ. ა.დენიკინის მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ მისი საერთო სამხედრო წარმატებების ფონზე მართლაც სახიფათო ხდებოდა. აქტიურობდა თეორგვარდიელთა აგენტურაც სეპარატისტების სახით. 1919წ. მაისში „მოხალისეებმა“ მთიელთა რესპუბლიკა გაანადგურეს. აფხაზი სეპარატისტები ჩრდილოეთკავკასიელთა მოტყუებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მუდმივად ცდილობენ და თავიანთ შრომებშიც ამტკიცებენ, ვითომ აფხაზეთი ყოველთვის იყო მთიელთა რესპუბლიკის ნაწილი[1731]. ა.დენიკინის მიერ ამ რესპუბლიკის განადგურებასთან დაკავშირებით კი სეპარატისტებს ხმა არ ამოუღიათ 1919 წელს; დღესაც აფხაზური ისტორიოგრაფია გვერდს უვლის აღნიშნულ თემას და დაკავებულია მხოლოდ ცილისწამებებით საქართველოს წინააღმდეგ. არადა, სწორედ საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელიც აზერბაიჯანთან ერთად ყოველნაირად მხარში ედგა მთიელებს, ამარაგებდა მათ იარაღით, ეხმარებოდა ცოცხალი ძალით.

ნ. ჟორდანია თავის მოგონებებში წერდა, რომ მთიელთათვის გულუხვ დახმარებას „ითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების უზრუნველყოფა: ძლიერი, დამოუკიდებელი მთა იყო ჩვენი სიმაგრე, მოსკოვის წინააღმდეგ ამართული. მის არსებობაში ვიყავით ყოველნაირად დაინტერესებული და ეს გვიკარნახებდა ჩვენს დამოკიდებულებას მასთან“[1732]. ორ რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე თბილისში ევაკუირებული დევნილი მეჯლისის მიერ მთიელთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად ქართველი გენერლის კერესელიძის დანიშვნაც მიუთითებს. 1919წ. სექტემბრამდე ის ჩეჩნეთში იმყოფებოდა და საომარ მოქმედებებს ხელმძღვანელობდა. ამის გამო ა.დენიკინმა საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა

[1727]. **А. И. Деникин. Очерки русской смуты...,. Октябрь 1918 г. - январь 1919, გვ. 288-293.**

[1728]. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки..., გვ. 36-41.**

[1729]. **А. И. Деникин. Очерки русской смуты..., Октябрь 1918 г. - январь 1919, , გვ. 296.**

[1730]. **იქვე, январь 1919 – март 1920. Минск, Харвест, 2002, გვ. 273; 1919წ. 18 ივნისს ე. გეგეჭკორმა სთხოვა შუამდგომლობა იტალიის მისიას და განაცხადა: „საქართველოს მთავრობა დენიკინის საზღვრებს დასთანხმდება, თუ ბზიფსა და მეხადირს შორის ნეიტრალურ ზონაში იტალიელები ჩადგებიან“ (დ. ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921წწ. თბ., 1997, გვ. 100). მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ იტალიის ჯარები საქართველოში ინგლისელებს არ შეცვლიდნენ, მთავრობამ გაგრის ზონის ნეიტრალიზაცია ისევ ინგლისელებს სთხოვა. მიუხედავად ამისა, ქართველებს მდ. მეხადირი არ დაუტოვებიათ.**

[1731]. **О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 320 და ა.შ.**

[1732]. **ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული (მოგონებანი). თბ., 1990, გვ. 110-111.**

გამოუცხადა[1733].

თეთრგვარდიელთა აგრესიული მოქმედებებისადმი მსოფლიოს ყურადღების მიპყრობის მიზნით, 1919წ. 14 ივნისს პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ნ.ჩხეიძემ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის დელეგაციებს წერილობით აცნობა ა.დენიკინის გეგმებზე – საქართველოსათვის წაერთმია აფხაზეთის ნაწილი, „რომლის საქართველოსთან შემოერთება სანქცირებული იყო მისი ხალხის კენჭისყრით და რომლის მმართველობას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში უზრუნველყოფდა საყოველთაო კენჭისყრით არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭო“[1734]. 1919წ. ივნისის დასაწყისში თეთრგვარდიელთა აგრესიისაგან საქართველოს დაცვის მიზნით დიდ სახელმწიფოებს ნოტები გაუგზავნეს ესტონეთის, ლატვიის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის, ლიტვის, პოლონეთისა და საქართველოს წარმომადგენლობებმა[1735].

საზღვრების საკითხი გადაწყდა საქართველო-რუსეთს შორის 1920წ. 7 მაისს დადებული ისტორიული ხელშეკრულების ძალით. მაშინ საბჭოთა რუსეთმა სოხუმის ოლქი საქართველოს უდავო ტერიტორიად აღიარა, სახელმწიფოთაშორისი საზღვარი კი მდ.ფსოუზე გადიოდა[1736]. ამის თაობაზე 1920წ. 18 მაისს დ. ემუხვარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სახალხო საბჭომ სიხარულით მიიღო და დამფუძნებელ კრებას სპეციალური რეზოლუციაც გაუგზავნა[1737].

შოვინისტებისა და მათი დამქაშების გეგმები საზღვრებთან დაკავშირებით ჩაიშალა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არ აკმაყოფილებდა საზღვარი მდ. მეხადირთან. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველომ 1919წ. მარტში და ივლისში წარადგინა თავისი მოთხოვნები საზღვრებთან დაკავშირებით. ისტორიულ დასაბუთებაში (შეადგინა ივ. ჯავახიშვილმა) ნაჩვენები იყო, რომ საქართველოს ეთნიკური და სახელმწიფოებრივი საზღვარი უძველესი დროიდან მდ.ყუბანამდე, XVს. შემდეგ კი მდ. მაკოფსემდე აღწევდა. საქართველო სწორედ აქ მოითხოვდა რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის დაფიქსირებას. ამასთანავე, თურქეთში იძულებით გადასახლებულ მთიელთა დაბრუნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, ქართული მხარე წინააღმდეგი არ იყო საზღვრის გადასინჯვისა და ახალი მიჯნის დადგენისა მდ.მზიმთასა და მაკოფსეს შორის[1738]. აღნიშნულ ფაქტს მალავს სეპარატისტული ისტორიოგრაფია და რუსეთის იმპერიის საამებლად საქართველოს „იმპერიალისტურ მისწრაფებებზე“ საუბრობს[1739]; ამავე დროს, ვერ „ამჩნევს“ აქ საქართველო-აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენის მცდელობას, ზღვაზე გასასვლელის მქონე ჩრდილოკავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, მთიელთა სამშობლოში დაბრუნებაზე ზრუნვას.

სეპარატისტული ისტორიოგრაფია თავის მკითხველებს საგულდაგულოდ უმალავს იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920წ. აპრილში საერთაშორისო არენაზე გადადგა სერიოზული ნაბიჯები ქართველ და აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების მიზნით[1740]. რომ არა გასაბჭოება, საკითხი დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი. ცნობილია, ეს პრობლემა როგორ აწუხებდა აფხაზურ მოსახლეობას, განსაკუთრებით ინტელიგენციას[1741].

1733. **А. И. Деникин. Очерки русской смуты..., Январь 1919 – март 1920, გვ. 266-271.**

1734. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки..., გვ. 46.**

1735. **იქვე, გვ. 46-47.**

1736. **Оккупация и фактическая аннексия Грузии. Документы и материалы, Тб., 1990, გვ. 75-76; თანამედროვე სეპარატისტები უკანა რიცხვით აცხადებენ, რომ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება „ანექსირებულ“ აფხაზეთზე არ ვრცელდებოდა (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 337), რაც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების არცოდნის თუ იგნორირების მაჩვენებელია.**

1737. **ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 80.**

1738. **Оккупация и фактическая аннексия Грузии, გვ. 64-68; ლევან თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991, გვ. 211-215.**

1739. **О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 316-321.**

1740. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки..., გვ. 47-49.**

1741. **1920 წ. თებერვალში აფხაზური ინტელიგენციის ყრილობამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო მუჰაჯირების დაბრუნების თაობაზე და მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა მას შესაბამისი ზომები მიეღო (ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 81). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მუჰაჯირების დაბრუნების საკითხი გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს წინაშე დააყენა, ვ. შნირელმანი**

აფხაზეთის ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემად ექცა სოხუმის რუსი ეპისკოპოსის სერგის, მთლიანად რუსული სამღვდელოების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სოხუმის ეპისკოპოსი ე.წ. კავკასიის საეგზარქოსოს (შეიქმნა 1917წ. ივლისში) ექვემდებარებოდა. საქართველოს პირველმა საეკლესიო კრებამ (1917წ. 8-17 სექტემბერი) შექმნა ცხუმ-ბედიის ეპარქია. მთელ აფხაზეთზე ქართული ეკლესიის იურისდიქციის გავრცელებამდე იგი დროებით ჭყონდიდის ეპარქიას მიეწერა. 1917წ. ბოლოდან ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში გადმოვიდნენ სამურზაყანოში მოქმედი ეკლესიები და სხვა ქართული სამრევლოები დანარჩენ აფხაზეთში.

რუს მღვდელმსახურთა ქმედობები პირდაპირ კავშირში იყო რუსეთის სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელთა წარმატება-წარუმატებლობასთან. ეპ. სერგი უარს ამბობდა ქართულ სამღვდელოებასთან, მათ შორის ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსისთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, ცდილობდა კავკასიის საეგზარქოსოსაგან გამოყოფას, სანამ საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციას მთელ აფხაზეთზე გაავრცელებდა. აღნიშნული გეგმის ჩაშლის შემდეგ იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით უმაღლეს საეკლესიო სამმართველოს ემორჩილებოდა[1742]. ასეთი მდგომარეობა აფხაზეთში ვითარების სტაბილიზაციამდე გაგრძელდა. 1919წ. 20 მარტის ისტორიული აქტის მიღებამ და აფხაზეთის სტატუსის გარკვევამ დღის წესრიგში დააყენა სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციის საკითხიც. 1919წ. 1 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ. სოხუმის საკათედრო ტაძარი, მისი კრებულისა და მღვდელმთავრის სახლები აფხაზეთის საკუთრებად იქნა აღიარებული; ვაკანტურად გამოცხადდა საეპისკოპოსო კათედრა; ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე დაინიშნა ეპარქიის დროებითი მმართველი. ეს თანამდებობა თავიდან არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილს, 11 სექტემბრიდან კი ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) ეკავა. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1918წ. 7 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრება გაიმართა. მან მოისმინა მიტროპოლიტ ამბროსის ბრწყინვალე მოხსენება და მისი ძირითადი დებულებების გათვალისწინებით ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. ამიერიდან ყოფილ სოხუმის ეპარქიას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა და იგი კვლავ ქართული ეკლესიის ორგანული ნაწილი გახდა; მიტროპოლიტის თანამდებობაზე კრებამ წმ.აღმსარებელი ამბროსი ერთხმად აირჩია. საგანგებო კრების გადაწყვეტილებები 1919წ. 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ დაამტკიცა[1743].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის გაერთიანება საეკლესიო და საერო კანონების სრული დაცვით განხორციელდა. ბოლო მოეღო აფხაზეთში ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფის (ფილეტიზმი) ანტიკანონიკურ პრაქტიკას, ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისათვის ღვთისმსახურთა გამოყენებას. ამიტომაც არ მოსწონდათ რუს შოვინისტებს, მათთან ალიანსში მყოფ სეპარატისტებს აფხაზეთში განხორციელებული საეკლესიო რეფორმა და შეეცადნენ, ეს საკითხი სახალხო საბჭოს სხდომაზე[1744], აგრეთვე საერთაშორისო დონეზე[1745] განხილვის საგნად ექციათ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

სეპარატისტები ცრუობენ, როცა წერენ, რომ საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის დაწესებულებებს და სასწავლებლებს თავს მოახვია ქართული ენა.[1746] ეს არ მომხდარა, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა დებულება (1918წ. 20 ივლისი) ფოსტა-ტელეგრაფის ნაციონალიზაციის (ქართულ ენაზე გადაყვანის) შესახებ[1747]. რაც შეეხება 1919 წლიდან სკოლებში ქართული ენის შემოღებას, ვ.ანჩაბაძე

ცრუობს და აცხადებს, რომ აფხაზთა მიმართვები საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნულ თემაზე „დახეტიალობდა ბიუროკრატიული არხებით“ (В. Шнирельман. Войны памяти, გვ. 265).

1742. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. გვ. 48-50, 240-241.

1743 . იქვე, გვ. 51-52, 258-281.

1744 ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 816-821

1745. იქვე, გვ. 812-814; წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 291-295.

1746. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 336.

1747. შსს-ს 1918 წ. 20 ივლისის დებულებასთან დაკავშირებით სახალხო საბჭომ 1918 წ. 25 ივლისს იმსჯელა. მან მიზანშეწონილად მიიჩნია დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, მაგრამ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამის განხორციელებისათვის პირობები არ არსებობს; ამიტომაც გადაწყდა: „აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო

სახალხო საბჭოს სხდომაზე (1919წ. 18 ნოემბერი) განმარტავდა: „ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო ენის სწავლა, თუ მასზე სწავლება არა, სახელმწიფო სამართლის ანაბანას წარმოადგენს“[1748]. სეპარატისტებს, სამწუხაროდ, ეს არ ესმით. საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ჩქარობდა სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციას (საქმისწარმოება აფხაზეთში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ურიერთობა კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან სახელმწიფო ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს მოთხოვნაც ხშირად ირღვეოდა), ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას, რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა დამფუძნებელი კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური ოპოზიცია[1749].

საქართველოს მთავრობა, რომელსაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია დენიკინელებზე დაყრდნობით მუდმივად „შოვინიზმში ადანაშაულებს“[1750], ზრუნავდა აფხაზეთის, განსაკუთრებით აფხაზთა კულტურული განვითარებისათვის. ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა მშობლიურ ენაზე პირველი გაზეთის გამოშვება. აფხაზ ხალხს ასეთი გაზეთი მხოლოდ „შოვინისტი“ ქართველი სოციალ-დემოკრატების „ბატონობის“ დროს ეღირსა – 1919წ. 27 თებერვალს სოხუმში აფხაზურენოვან გაზეთ „აფსნის“ პირველი ნომერი გამოვიდა, აფხაზური შრიფტი თბილისში დამზადდა[1751]; ისტორიაში პირველ აფხაზურ გაზეთს ხელმძღვანელობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი დ.გულია, რომელიც მანამდე (1918წ. 1 სექტემბრიდან) სოხუმის საოსტატო სემინარიის აფხაზური ენის მასწავლებლად საშტატო თანამდებობაზე იყო (ასევე პირველად ისტორიაში) დამტკიცებული. აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1918წ. მხატვარ ა.კ. შარვაშიძის თაოსნობით დრამატული სასწავლებლის გახსნა; 1919წ. სოხუმში დაარსდა აგრევე ლიტერატურულ-დრამატული წრე და ა.შ.[1752].

საქართველოს მთავრობა ყურადღებით ეკიდებოდა ნებისმიერ თხოვნას აფხაზეთიდან, მით უმეტეს, თუ იგი აფხაზი ხალხის ინტერესებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, 1919წ. 1 ნოემბერს ნ. რამიშვილი მთავრობას მოახსენებდა აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის დ.ემუხვარის შუამდგომლობის თაობაზე სამხედრო სამსახურისაგან, განურჩევლად სარწმუნოებისა (მანამდე ჯარში მხოლოდ ქრისტიანი აფხაზები მიჰყავდათ), ყველა აფხაზის გათავისუფლების შესახებ. იმავეს ითხოვდა გუდაუთის მაზრის თემთა წარმომადგენლების კრება სოფ. ლიხნში 1920წ. 13 მაისს[1753]. თხოვნა დაკმაყოფილდა.

აფხაზეთში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეკითხვის საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919წ. 2 აგვისტოს გამართული დებატები. შეკითხვის ავტორებს აინტერესებდათ ინფორმაცია აფხაზეთში „საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჯგუფის მეცადინეობით“ შექმნილი განწყობილების, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ და ა.შ. შეკითხვას პასუხი ნ.რამიშვილმა გასცა. „აფხაზეთის მდგომარეობა როგორც შინაური, აგრეთვე საგარეო ძალთა შეჯახების მხრივ მეტისმეტად რთულია და თავისთავად აშკარაა, რომ ამ რთულ პირობებში მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს ფხიზელი და არავითარ აჩქარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დაწესებულებების ენად დროებით დარჩეს რუსული ენა“ (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 420). 1918წ. 20 ივლისს შსს-მ სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს აცნობა, რომ მთავრობას არ გამოუცია არანაირი განკარგულება სოხუმის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციის შესახებ და არც აპირებს ამის გაკეთებას. სოხუმის ოლქში (ისევე, როგორც ქ. თბილისში, ზაქათალასა და ბორჩალოში) ფოსტა-ტელეგრაფი ქართულ და რუსულ ენებზე ფუნქციონირებდა (იქვე, გვ. 761-762).

[1748]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 454-856.

[1749]. ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიან მკითხველს, თითქოს 1919წ. 2 აგვისტოს დამფუძნებელი კრების წევრი, მწერალი ლეო ქიაჩელი (შენგელაია) აფხაზეთის „ნაციონალიზაციის“ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა (О. Бгажба, С.Лакоба. История Абхазии, გვ. 336). პირიქით, მთავრობა მან ასეთი პოლიტიკის გაუტარებლობის გამო, აგრეთვე 1918წ. რეგიონისათვის ზედმეტი უფლებების მინიჭებისათვის გააკრიტიკა (საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში. 45-ე სხდომა, 1919, 2 აგვისტო, გვ. 25).

[1750]. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 336.

[1751]. ზ. პაპასქირი. ნარკვევები...., ნაკვ. II, გვ. 65.

[1752]. იქვე, გვ. 66; С. Лакоба. «Крылились дни в Сухум-кале». Сухуми, 1988 გვ. 53-55, 63; ო. ჟორდანია. დიმიტრი გულია: მასალები პედაგოგიური მოღვაწეობიდან. – ბიულეტენი. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, 2008 №3, გვ. 6.

[1753]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 453-454, 781.

ეჭვს გარეშე არის, რომ იქ, აფხაზეთში, არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ებრძვიან ჩვენს სახელმწიფოებრიობას და ეს ელემენტები არიან, უპირველეს ყოვლისა, ის მემარჯვენეები, რომელნიც თავიდანვე ცდილობენ, რომ საქართველოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონოდა აფხაზეთს"[1754]. საქართველოს მთავრობა, – ნ.რამიშვილის თქმით, – მიზანმიმართულად ატარებდა რეგიონის მთელი მოსახლეობის აგრარულ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებში გათანაბრების დემოკრატიულ პოლიტიკას. ანტიქართული ძალები ცდილობდნენ, ეს პოლიტიკა სახელმწიფოს წინააღმდეგ აფხაზთა ასამხედრებლად გამოეყენებინათ. ნ.რამიშვილმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, აფხაზეთის სახალხო საბჭო, აფხაზური მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ფარგლებში კონსტიტუციით გარანტირებულ ავტონომიურ მართვა-გამგეობას. მინისტრის გამოსვლას მხარი დაუჭირეს დამფუძნებელი კრების (ასევე აფხაზეთის სახალხო საბჭოს) წევრებმა, აფხაზმა ვ.ღურჯუამ და ბ.ჩხიკვიშვილმა. ვ.ღურჯუამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი, რომლის ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ინტერესებს, დაექვემდებარება საერთო სახელმწიფო კანონებს, მაგრამ ითხოვს დამოუკიდებლობას საშინაო საკითხებში. ამის წინააღმდეგი, – თქვა მან, – ქართული დემოკრატიული ძალები არ იყვნენ და არც იქნებიან. „გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს"[1755], – განაცხადა ვ.ღურჯუამ.

ესერმა ლეო შენგელაიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია აფხაზეთში საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობის არსებობა, თუმცა „აფხაზეთს უნდა მიეცეს ფართო ავტონომია"[1756], – თქვა ორატორმა. სოციალისტ-ფედერალისტი ს. მდივანი, რომელიც შედარებით ლოიალობას იჩენდა მთავრობის მიმართ, საერთო შეცდომად მიიჩნევდა სეპარატისტებისათვის ილუზიების შექმნას, ხელშეკრულების დადებას (1918წ.) ყოველგვარ სამართალში გაუთვითცნობიერებელ ადამიანებთან, აფხაზთა (და არა აფხაზეთის) სახალხო საბჭოს შექმნას და ა.შ. მისი აზრით, საჭირო იყო ბრძოლის გაძლიერება თავადაზნაურობისა და რუსეთიდან ჩამოსული შოვინისტების წინააღმდეგ[1757].

მთავრობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპ. კედია. აფხაზეთში არსებულ ვითარებას მან სახიფათო უწოდა; მთავრობის პოლიტიკით აფხაზთა უმეტესობის უკმაყოფილებას, მისი მტკიცებით, ომის შემთხვევაში (დენიკინელებთან) მტრები იოლად გამოიყენებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად გამომსვლელმა თურქეთის ქვეშევრდომებისათვის მიწის დარიგება დაასახელა. „საერთოდ აფხაზეთში ნიადაგი მერყევია, დიდი ანტიქართული მოძრაობაა, რომელსაც ხელმძღვანელობენ და აღრმავებენ რუს-სომხის ბოლშევიკ-დენიკინელები და აფხაზთა ინტელიგენციის ერთი ნაწილი", – განაცხადა სპ. კედიამ და პოლიტიკურ პარტიებს ერთობლივი მუშაობისაკენ მოუწოდა, რათა „ეს ჩვენი საერთო საქმე, რომელიც დღეს აფხაზეთში განსაცდელშია, შეერთებულის ძალ-ღონით, ერთმანეთის ლოიალური გაგებით, ჩვენდა სასარგებლოდ გამოვაკეთოთ"[1758].

დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს უფრო მეტად აფხაზეთის კონსტიტუციაზე მუშაობის მიმდინარეობა აღელვებდათ. ეს საკითხი, მართლაც, ყველაზე მწვავე აღმოჩნდა. სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ 1919წ. 30 მარტს თავის პირველ სხდომაზე ერთხმად მიიღო მომავალი კონსტიტუციის პირველი მუხლი: „აფხაზეთი შედის დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული"[1759]. რადგანაც ეს იყო „აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტის" პირველი პუნქტის ფაქტობრივი გამეორება, მას კამათი არ გამოუწვევია. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კომისიაში ერთსულოვნება არ სუფევდა, მისი მუშაობა დაძაბულად მიმდინარეობდა. 1919წ. 23 მაისს საკონსტიტუციო კომისია ორ ქვეკომისიად გაიყო და, შესაბამისად, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროექტი

[1754]. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 45-ე სხდომა, 1919, 2 აგვისტო, გვ. 12-16.
[1755]. იქვე, გვ. 16-17.
[1756]. იქვე, გვ. 25-27.
[1757]. იქვე, გვ. 28.
[1758]. იქვე, გვ. 29-35.
[1759]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

მომზადდა. მესამე – შემრიგებლური პროექტი შეადგინა აფხაზეთის კომისარიატმა[1760]. მათ შორის ვერცერთმა ვერ მიიღო სახალხო საბჭოს წევრთა ხმების საჭირო რაოდენობა, მაგრამ მეტი მოწონება (20 ხმა) მაინც კომისარიატის პროექტმა დაიმსახურა. 1919წ. 21 ივლისს სახალხო საბჭომ აირჩია დელეგაცია (დ. ემუხვარი, გ.კოროლიოვი, მ.უბირია, ვ.ღურჯუა, მ.ცაავა, მ. გრიგოლია), რომელსაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკონსტიტუციო საკითხების განხილვა დაევალა. 1919წ. სექტემბერ-ოქტომბერში ის თბილისში იმყოფებოდა. 4 ოქტომბერს დელეგაციამ მოხსენებითი ბარათი მიართვა მთავრობას, რომელშიც საუბარი იყო ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის, კონსტიტუციის მიღების აუცილებლობაზე, აგრარულ რეფორმაზე, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა, სახალხო საბჭოს თხოვნით, აფხაზეთის საკონ-სტიტუციო საკითხებზე სამუშაოდ გამოყო ხუთკაციანი (პ.საყვარელიძე, ს.დადიანი, გ.გვაზავა, ნანეიშვილი, მ.ხოჭოლავა) კომისია. დელეგაციისა და კომისიის ერთობლივი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. შეიქმნა რესპუბლიკასა და ავტონომიას შორის შეთანხმების პროექტი აფხაზეთის მმართველობის ძირითადი დებულებების შესახებ. მასში აისახა ცენტრსა და რეგიონს შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი. სახალხო საბჭოს დელეგაციის 1919წ. 4 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მთავრობამ იმავე წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა „აგრარული რეფორმისა და აფხაზეთში სახელმწიფო ქონების მართვის დროებითი დებულება“[1761].

საქართველოს მთავრობის მოწვევით 1919წ. სექტემბრის ბოლოდან თბილისში იმყოფებოდა კიდევ ერთი დელეგაცია აფხაზეთიდან (ი.მარღანია, დ.ალანია, მ.ცაგურია, მ.თარნავა), რომელიც სახალხო საბჭოს 14 სეპარატისტულად განწყობილი წევრის პოზიციას გამოხატავდა. მთავრობა, როგორც ვხედავთ, ყველა მიმდინარეობასთან მოლა-პარაკებისა და შეთანხმების გზას ადგა. სეპარატისტებთან შეხვედრას მან მიუძღვნა სპეციალური სხდომა, რომელზეც დელეგაცია მოხსენებით წარდგა. ნ.ჟორდანიას თხოვნით, ეს მოხსენება წერილობით გაფორმდა და 1919წ. 29 სექტემბერს მთავრობას წარედგინა. მასში სეპარატისტებისათვის ჩვეული ტენდენციურობით იყო გაშუქებული აფხაზეთში არსებული ვითარება. გამოსავალს დელეგაციის წევრები მათ მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტის[1762] მიღებაში ხედავდნენ. 1919წ. 15 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ თბილისში ოფიციალურად მივლინებული დელეგაციის მოხსენება მოისმინა. სიტყვით გამოსულმა მ.უბირიამ აღნიშნა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობისას თავიდანვე წარმოიშვა ორი მიმდინარეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ისტორიული მომენტისადმი, კერძოდ, აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებისადმი მიდგომებით; ერთ მიმდინარეობას, მომენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთის რაც შეიძლება მალე შეერთება საქართველოსთან, რაც ჩვენს ბობოქარ ეპოქაში მისი უსაფრთხოების, ხოლო მომავალში მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საწინდარი იქნებოდა. მეორე მიმდინარეობაც სცნობდა აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობას, – დასძენდა მ. უბირია, – მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო მართებულად მიაჩნდა რესპუბლიკასთან რაც შეიძლება სუსტი კავშირის დამყარება, მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ვითარების შეცვლის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემდა[1763]. ეს ორი მიდგომა აისახა საკონსტიტუციო კომისიაში შედგენილ

[1760]. სამივე პროექტი გამოქვეყნებულია. იხ.: А. Ментешашвили. Исторические предпосылки..., გვ. 80-94.

[1761]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 98-100, 451-453.

[1762] . А. Ментешашвили. Исторические предпосылки…, გვ. 89-94.

[1763] . სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტთა პრობოლშევიკური ფრაქციის დეკლარაციაში, რომელიც 1919 წ. 25 ნოემბერს სახალხო საბჭოს სხდომაზე მ.თარნავამ გააჟღერა, ნათქვამი იყო, რომ თანამედროვე კონიუნქტურის პირობებში აღიარებენ და იცავენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შიდა და გარეშე მტრებისაგან; საქართველოს დამოუკიდებლობა ფრაქციისათვის წარმოადგენდა მიზნის მიღწევის საშუალებას; მომავალში კი, როცა პოლიტიკური ვითარება შეიცვლებოდა, „ინტერნაციონალისტები“ მხარს დაუჭერდნენ საქართველოსა და აფხაზეთის მიერთებას „რუსეთის ხალხების საერთო ოჯახთან“ ისე, რომ წინასწარ არ აყენებდნენ პირობებს ამ „საერთო ოჯახში“ მათი პოლიტიკური მოწყობის ფორმების შესახებ (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 111). ამრიგად, კონსტიტუციის გარშემო სეპარატისტთა მიერ ატეხილი აურზაური ვითარების დესტაბილიზაციის ინტერესებს უფრო უკავშირდებოდა, ვიდრე რეალური ავტონომიის მოპოვების მიზანს. ამიტომ სიცრუეა სეპარატისტული ისტორიოგრაფიის

პროექტებში. მ. უბირიამ აღნიშნა, რომ თბილისი არ ჩქარობდა აფხაზეთის (ქვეყნის ნაწილის) კონსტიტუციის დამტკიცებას, სანამ არ იქნებოდა მიღებული ქვეყნის ძირითადი კანონი. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, მოხერხდა აფხაზეთის მმართველობის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება.

სახალხო საბჭოს 15 ნოემბრის სხდომაზე თბილისში მიწვეული მეორე დელეგაციის წევრებიც გამოვიდნენ. მ. თარნავას განცხადებით, მთავრობასთან ჩვენი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. ი. მარღანიამ დაუმატა, რომ, ნ. ჟორდანიას სიტყვებით, შეთანხმება შესაძლებელია, თუ მოვრიგდებით დენიკინისადმი დამოკიდებულების საკითხში.

აფხაზეთის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიცია 1920წ. 6 თებერვალს სახალხო საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოსულმა ნ.რამიშვილმა განმარტა; როცა საქართველო უკვე აღიარეს დასავლეთის ქვეყნებმა, ჩვენი ამოცანაა დემოკრატიის გაღრმავება, ხალხის როლის გაფართოება, – განაცხადა მან. მომხსენებელმა უარყო ჭორები, თითქოს მთავრობას სურს შეკვეცოს აფხაზეთის ავტონომიური უფლებები, შეზღუდოს სახალხო საბჭო და ა.შ. ნ.რამიშვილმა მთავრობის სახელით საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ „აქ, აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მშენებლობის ერთადერთი გზაა აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განმტკიცება“.[1764] ნ.რამიშვილის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო გამოსვლა სახალხო საბჭოს სხდომაზე მალე პროკლამაციის სახით დაიბეჭდა და ყველა აფხაზურ დასახლებულ პუნქტში გამოიკრა. სეპარატისტები იტყუებიან, თითქოს ნ.რამიშვილი საბჭოზე მუქარის შემცველი სიტყვით გამოვიდა.[1765]

1920წ. 22-23 თებერვალს სოხუმში აფხაზური ინტელიგენციის ყრილობა გაიმართა (თავმჯდომარე გ. ზუხბაია, მოადგილეები – ვ.ანჩაბაძე და დ. გულია). მის მუშაობაში სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების მონაწილეობამ ყრილობა პოლიტიკურ ტრიბუნად აქცია. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართული ორიენტაციისა და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები. „ჩვენ, აფხაზები, რუსულ კულტურასთან ვართ ნაზიარები, გვართმევენ ამ კულტურას, ამ ენას და იძულებით თავს გვახვევენ ქართულ ენას. ქართველები მოვიდნენ და წაგვართვეს ჩვენი კულტურა, ქართველები ძალმომრეობით შემოიჭრნენ აფხაზეთში“[1766], – ასეთი იყო რენეგატ ი. მარღანიას პოზიცია. საკადრისი პასუხი მას, ასევე სხვა სეპარატისტებს, ჭეშმარიტმა აფხაზმა, ნამდვილმა ინტელიგენტმა ვ. შარვაშიძემ გასცა და ბოლოს ყრილობაც დატოვა. დ. ალანიას, ვ. ანჩაბაძის, მ. თარნავას, მ. უბირიას, ვ. ღურჯუას, დ.ემუხვარის გამოსვლებმა თვალნათლივ წარმოაჩინეს აფხაზურ ინტელიგენციაში არსებული უთანხმოებანი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში, რაც, თავის მხრივ, იყო მიზეზი საკონსტიტუციო უთანხმოებებისა.

აფხაზური ინტელიგენციის ყრილობამ დაადასტურა კონსტიტუციის პროექტის სასწრაფოდ შემუშავებისა და დამტკიცების აუცილებლობა. სახალხო საბჭოში გრძელდებოდა მუშაობა ამ მიმართულებით. 1920წ. 21 მაისს არჩეული საბჭოს დელეგაცია ვ. შარვაშიძის, დ. ემუხვარის, დ. ზახაროვის, გ. ზუხბაიას, მ. თარნავას და ვ. ანჩაბაძის შემადგენლობით მალე თბილისს ეწვია. 1920წ. 1 ივლისს მან მოხსენებითი ბარათი წარუდგინა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. „ვნებათაღელვის ჩასაცხრობად“ დელეგაცია ითხოვდა დამფუძნებული კრების სესიაზე აფხაზეთის საქართველოს ავტონომიურ ერთეულად აღიარებას, მისი წარმომადგენლობითი ორგანოსა და მთავრობის კომპეტენციის საკითხების განხილვას. „ამასთან,

---

მტკიცება, თითქოს ოპოზიცია „ნამდვილი თვითმმართველობის და კონსტიტუციის მიღებისათვის იბრძოდა“ (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 334). ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა, – მ.თარნავას თქმით,– მიზნად ისახავდა მხოლოდ შეთანხმების ჩაშლას და მთავრობის კრიტიკას; „ვმოქმედებდით რა ასე, ერთდროულად ჩვენ ვეძებდით რსფსრ-სთან ურთიერთობისა და მის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობას“, - აცხადებდა მ. თარნავა (Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. Тб., 1996, გვ. 6). აი, როგორი „პატრიოტები“ იყვნენ ე.წ. „ინტერნაციონალისტები“, „დამოუკიდებლები“ და მათი მხარდამჭერები სახალხო საბჭოში.

[1764] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 101-102.

[1765] . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 334.

[1766]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

მოგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო კომისიაში (საქართველოსი – ავტ.) ეს საკითხები დადებითადაა გადაწყვეტილი[1767],“ – ნათქვამია 1 ივლისის ბარათში.

1920წ. 10 სექტემბერს თბილისიდან დაბრუნებულმა დელეგაციამ სახალხო საბჭოს მოახსენა თბილისში ჩატარებული მუშაობის, აფხაზეთის კონსტიტუციის ორი ვარიანტის შემუშავების შესახებ. საკონსტიტუციო კომისიამ (გ.ზუხბაია, დ.ზახაროვი, მ.წულუკიძე, გ.კოროლიოვი, მ.თარნავა) მათ საფუძველზე ერთი პროექტი შეადგინა. რამდენიმე სხდომაზე მისი დეტალური მუხლობრივი განხილვის შემდეგ, 1920წ. 16 ოქტომბერს სახალხო საბჭომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის საკუთარი ვარიანტი დაამტკიცა. პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ კონსტიტუცია შემუშავებულია 1919წ. 20 მარტის „აქტისა“ და საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე. პირველი მუხლის მიხედვით, აფხაზეთი მდ. ენგურიდან ყუბანისა და თერგის ოლქების მიმდებარე კავკასიის ქედამდე შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული. როგორც ვხედავთ, სახალხო საბჭო სოლიდარული იყო საქართველოს მთავრობასთან ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან დაკავშირებით (აქვე, გვ. 302).

კონსტიტუციის პროექტი ზუსტად მიჯნავდა ცენტრისა და რეგიონის ფუნქციებს; აფხაზეთის კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება 15 დღის ვადაში განსახილველად გადასცემდა მას სენატს (უმაღლეს სასამართლოს). ამ უკანასკნელის კომპეტენციას განეკუთვნებოდა აფხაზეთის გაპროტესტებული კანონის მოქმედების შეჩერება. პროექტის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ საერთოსახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები ინიშნებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თანაც, შეძლებისდაგვარად, ადგილობრივ მკვიდრთაგან. აფხაზეთის მთავრობას შეეძლო რეკომენდაცია გაეწია აღნიშნულ თანამდებობებზე დასანიშნი პირებისათვის, ან, პირიქით, ეშუამდგომლა მათი განთავისუფლების თაობაზე. მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებისა და სამოქალაქო უფლებების გარანტიას აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენდა; საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები აფხაზეთის ტერიტორიაზეც მოქალაქეობის უფლებით სარგებლობდნენ[1768].

1920წ. 4 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა სახალხო საბჭოს დელეგაცია (ვ. შარვაშიძე, ვ. ღურჯუა, დ. ზახაროვი, მ. უბირია, ი. ფაშალიდი, მ. ცაგურია, დ. ალანია, მ. თარნავა, მ. ბერულავა). 16 ნოემბერს ის ნ. ჟორდანიას შეხვდა. მთავრობის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ აფხაზეთის ავტონომიის საკითხი ეჭვგარეშეა, კონსტიტუციის შემუშავების პრეროგატივა კი მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის. აფხაზეთს ავტონომია უნდა მიეცეს, – განაცხადა ნ.ჟორდანიამ, – საერთო კონსტიტუციის მიღების შემდეგ. თუ ძირითადი კანონის დამტკიცება გაჭიანურდება, მაშინ გამოიცეს ჯერ დროებითი კანონი, რომელიც შემდგომში ქვეყნის კონსტიტუციის ცალკე თავი გახდება. ქვეყნის პირველი პირის ასეთი პოზიცია მისაღები იყო სახალხო საბჭოს დელეგა-ციისათვის.

ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა ის გარემოება, რომ დამფუძნებელი კრება არ დაეთანხმა პარიტეტული საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, როგორც ამას სახალხო საბჭოს 1919წ. 20 მარტის აქტი და დელეგაციის მანდატი ითვალისწინებდა. როცა ამის თაობაზე საბჭოს ეცნობა, მან 5 დეკემბერს დელეგაციის წევრები სოხუმში გამოიძახა მოხსენებისათვის. 6 დეკემბერს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა მ.ცაგურიას, დ. ალანიას და მ. თარნავას განცხადება აფხაზეთის კონსტიტუციის განხილვის წესის (განხილვა არა პარიტეტულ კომისიაში, არამედ დამფუძნებელ კრებაში სახალხო საბჭოს წევრების მონაწილეობით) მიუღებლობის გამო პროექტის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმისა და აფხაზეთში დაბრუნების შესახებ. განცხადება ცნობად იქნა მიღებული.

თბილისიდან დელეგაციის წევრების უშედეგოდ დაბრუნებამ უკიდურესად დაძაბა ვითარება სახალხო საბჭოში. ვ. შარვაშიძემ 24 დეკემბერს თავისი და ასევე პრეზიდიუმის წევრების გადადგომის საკითხიც დასვა კენჭის საყრელად, მაგრამ

[1767]. იქვე, გვ. 105.
[1768]. იქვე, გვ. 105-108.

გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. სახალხო საბჭომ მხოლოდ 1921წ. 4 იანვარს განიხილა და მოიწონა საკონსტიტუციო დელეგაციის მიერ თბილისში გაწეული მუშაობა.

1920წ. 21 დეკემბერს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ დაამტკიცა ავტონომიური აფხაზეთის მმართველობის დებულების პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო სახალხო საბჭოს მიერ 1920წ. 16 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის პროექტი. 1921წ. 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ეს დებულებაც დაამტკიცა,[1769] თუმცა უკვე გვიანი იყო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ბოლშევიკური აგრესიის შედეგად სისხლისაგან იცლებოდა, წითელი არმია აფხაზეთშიც შემოიჭრა.

1918წ. გაზაფხულ-ზაფხულში განცდილი სამხედრო-პოლიტიკური მარცხის შემდეგ ისედაც უკიდურესად სუსტი კომუნისტური მოძრაობა აფხაზეთში საერთოდ გაქრა. მისი აღორძინება 1919წ. გაზაფხულიდან იწყება, რასაც ხელი შეუწყო ორმა ფაქტორმა: დენიკინის მიერ დაკავებული ეკატერინოდარიდან, განსაკუთრებით სოჭის ოლქიდან რეპრესიებს გამოქცეული ბოლშევიკების ჩამოსვლამ და სახალხო საბჭოს შუამდგომლობის (1919წ. 20 მარტი) საფუძველზე ბოლშევიკურ გამოსვლებში მონაწილეთა მიმართ ამნისტიის გამოცხადებამ. ამის შემდეგ ნ. ლაკობა 1919წ. ზაფხულამდე კოდორის მაზრის კომისრად მსახურობდა.

1919წ. აპრილში მოხერხდა დროებითი ბოლშევიკური კომიტეტის (ა.ბელიაკოვი, ს.კუხალეიშვილი, მ. მგელაძე, ი. ჟვანია, ი. ხიოტი და სხვ.) შექმნა; იმავე წლის აგვისტოში კომუნისტებმა დააარსეს ახალი იატაკქვეშა კომიტეტი ს.კუხალეიშვილის თავმჯდომარეობით. 1920წ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ი.ვიგრიანოვი, ნ.სვანიძე, ნ.აქირთავა და ს.კუხალეიშვილი.

ბოლშევიკებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს სეპარატისტულ ნაწილს. მ.ცაგურია 1919 წლიდან იყო რუსეთის კომპარტიის წევრი. დ.ალანიასა და ი.მარღანიასთან ერთად 1920წ. გაზაფხულზე იგი დააპატიმრეს ბოლშევიკებთან თანამშრომლობისათვის; მ. თარნავა 1920წ. ბოლოს აფხაზ ბოლშევიკებთან (ე. ეშბა, ნ. ლაკობა, კ. ინალ-იფა, მ. ლაკობა) ერთად რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ (კავბიურომ) მიავლინა თურქეთში, სადაც ახლადდაფუძნებული კომპარტიისათვის (იგი კავბიუროს ექვემდებარებოდა) დახმარება უნდა აღმოეჩინათ პროპაგანდისტულ საქმიანობაში, პირველ რიგში, კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის.

ბოლშევიკური მოძრაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო საქართველო-რუსეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ (1920წ. 7 მაისი), რომელიც საქართველოში კომპარტიის ლეგალიზაციასაც ითვალისწინებდა. ამ მოძრაობას რეალურად თბილისში რუსეთის საელჩო წარმართავდა. ელჩის – ს. კიროვის მითითებით სოხუმში მოქმედებდა საგანგებო კომისია (ვ.ივანოვი, ვ.სვერდლოვი, ბ.ვოლხოვსკი, მუზიკანტსკი). მას ევალებოდა საელჩოსათვის ჯაშუშური ცნობების მიწოდება. 1920წ. ოქტომბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღკვეთა აფხაზეთში ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა (დააპატიმრა ს.
კუხალეიშვილი, ნ. სვანიძე და სხვ.). დაგეგმილი ამბოხების მოთავეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გაგრის ფრონტზე განლაგებულ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ნაწილებთან, საიდანაც მიიღეს შეიარაღება და დიდძალი ფინანსური დახმარება (20 მლნ. მან.). გაგრაში მოქმედი ე.წ. რევოლუციური კომიტეტი ჯაშუშურ მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, ფრონტის დასუსტების მიზნით აგიტაცია-პროპაგანდას უწევდა ქართული ჯარის ნაწილებს. 1920წ. მაისიდან გაგრაში მოქმედ ბოლშევიკურ კომიტეტს ჰყავდა თავისი საბრძოლო რაზმი; საქართველოზე წითელი არმიის შეტევის მომენტისათვის მას შეიარაღებული აჯანყება უნდა დაეწყო; რაზმის უშუალო ამოცანას „ქართული ფრონტის ზურგის მოშლა“ და „გაგრის ქართული ფრონტის ლიკვიდაცია წარმოადგენდა“. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას თან ახლდა მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, „ავრცელებდნენ ხმებს აფხაზეთის საქართველოსაგან

[1769] . იქვე, გვ. 108-110, 466-469, 787.

ჩამოცილების შესახებ, ურჩევდნენ აფხაზებს რუსეთთან შეერთებას“[1770].

სახელმწიფოს მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად აფხაზეთში 1920წ. ბოლოსათვის განადგურებულმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა 1921წ. იანვარში კვლავ იწყეს აღორძინება. 1920წ. 2 იანვარს ს.ორჯონიკიძე და ს.კიროვი რუსეთის კომპარტიის ცეკა-ს არწმუნებდნენ საქართველოს ძალით გასაბჭოების აუცილებლობაში და წერდნენ, რომ საჭირო არ არის უშუალო თავდასხმა, არის „შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაში“[1771]. იმავე წლის 25 იანვარს საბჭოთა რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე თბილისში პ.სიტინი მოსკოვს აცნობებდა, რომ მუშაობა აფხაზეთში წარმატებით მიდის, შექმნილია აქტიური პარტიული მუშაკების კოლექტივი, სოხუმის გარნიზონში კი სამკაციანი რევოლუციური კომიტეტი მოქმედებდა. პ.სიტინის შეფასებით, 1920წ. ბოლოს თბილისში კონსტიტუციურ საკითხებზე მუშაობის ჩაშლამ აფხაზეთში უკმაყოფილება გამოიწვია და „ეს ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს ჩვენთვის“[1772].

1921წ. 14 თებერვალს რუსეთის კომპარტიის ცკ-ს კავკასიის ბიუროს (კავბიურო) მითითებით, აფხაზეთში ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტი ჩამოყალიბდა მ.კარგაროდსკაიას (კავბიუროს წარმომადგენელი), ე.სვერდლოვისა და ი.ჟვანიას (თავმჯდომარე) შემადგენლობით. 18 თებერვალს შეიქმნა დროებითი რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელშიც შევიდნენ ი. ჟვანია (თავმჯდომარე), ე. სვერდლოვი და მ.ცაგურია. მის ამოცანას ადგილობრივი რევკომებისა და მეამბოხეთა რაზმის ფორმირება წარმოადგენდა[1773]. იმ დღეებში მ.ცაგურიამ მიიღო კავბიუროს წარმომადგენლის ა.საჯაიას წერილი, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ მალე მოხდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და აფხაზეთს თვითგამორკვევის უფლება მიეცემოდა; წერილის ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ სახალხო საბჭოს დამოუკიდებელთა ფრაქცია ყველა ზომას მიიღებდა „აფხაზეთის მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის... შემიძლია წინასწარ ვთქვა, – წერდა ა. საჯაია, – რომ აფხაზეთს აქვს უფლება ისეთივე თავისუფალი განვითარებისა, როგორიც მისცა საბჭოთა რუსეთმა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა მცირერიცხოვან ხალხს“[1774].

მოტანილი მასალები ადასტურებენ, რომ „რევოლუციური“ მოძრაობა აფხაზეთში ინსპირირებული იყო გარედან და იმართებოდა არააფხაზი ბოლშევიკების მიერ. მათ გაითვალისწინეს 1918 წლის გამოცდილება და თავიანთი პროპაგანდისტული საქმიანობა აფხაზეთის საქართველოსაგან „განთავისუფლებაზე“, მის ვითომ თვითგამორკვევაზე ააგეს.

1921წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ თბილისი დაიკავა, გაგრის მხრიდან შემოსულმა მე-9 არმიის ნაწილებმა კი 4 მარტს სოხუმი დაიკავეს; 6 მარტს არსებობა შეწყვიტა აფხაზეთის დროებითმა რევკომმა და ძალაუფლება კავბიუროს მიერ ე.ეშბას (თავმჯდომარე), ნ.ლაკობასა და ნ.აქირთავას შემადგენლობით შექმნილ საოკუპაციო ორგანოს – რევკომს გადაეცა. 1921წ. მარტში დასრულდა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის სრული ოკუპაცია შემდგომი ანექსიით. დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, ისტორიასა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

1770. იქვე, გვ. 456, 785-786.

1771. საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 6 ივნისი.

1772. Борьба за Октябрь в Абхазии. Сб. док. и мат. 1917-1921 гг. Сухуми, 1967, გვ. 172-173.

1773. იქვე, გვ. 175-176. არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს თებერვლის შუა რიცხვებში შექმნილი რევკომის შემადგენლობაში შედიოდნენ ე. ეშბა, ნ. ლაკობა და ნ. აქირთავა (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 340).

1774. Борьба за Октябрь в Абхазии, გვ. 175.

თავი XVII. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937წწ.

iZulebiT gasabWoebuli afxazeTi ruseTis kompartiis centraluri komitetis kavbiuros (mdivani g.orjonikiZe) gamgeblobis qveS moeqca. am organos mier daniSnuli afxazeTis revkomis wevrebs ar hqondaT Camoyalibebuli saboloo pozicia regionis momaval statusTan dakavSirebiT, Tumca jer kidev gasabWoebamde qarTveli da afxazi bolSevikebi moskovSi SeTanxmdnen avtonomiis uflebebiT afxazeTis saqarTvelos ssr SemadgenlobaSi Sesvlis Taobaze; am faqts e.eSbac adasturebda[1775]. gasabWoebis Semdeg sxva gadawyvetileba iqna miRebuli. 1921w. martis dasawyisSi afxazeTis revkomma kavbiuros sTxova ganmarteba ramdenime sakiTxze: `a) TurqeTis Sesaxeb, b) mTielTa avtonomiur respublikebs Soris (maT Soris afxazeTisa) urTierTobis Sesaxeb, g) afxazeTisa da saqarTvelos urTierTobis Sesaxeb~[1776]. unda vivaraudoT, rom TurqeTTan da mTielebTan (da ara sabWoTa ruseTTan) urTierTobis sakiTxis wina planze wamoweva XIX saukunis, aseve 1918 wlis zafxulis movlenebis gaTvaliswinebiT, seriozulad daafiqrebda sabWoTa ruseTis mesveurebsa da afxazeTSi mivlinebul mis warmomadgenlebs. axali winadadebis SemuSaveba moxda afxazeTis pasuxismgebel muSakTa or TaTbirze, romlebsac eswrebodnen da warmarTavdnen rkp ck-s kavbiuros rwmunebuli vinme liaki (Ляк), kavbiuros warmomadgeneli ivanicki da ruseTis IX saokupacio armiis samxedro sabWos wevri epSteini. am sami pirovnebis karnaxiT, afxazeTis revkomis mier v. leninisa da i. stalinis saxelze 1921w. 26 marts gagzavnil werilSi vkiTxulobT: `iqneba ki sabWoTa afxazeTi damoukidebeli (самостоятельная) respublika Tu administraciuli erTeuli da rogori iqneba saerTo politika afxazeTSi~[1777]; werilis avtorebi regionisaTvis administraciuli erTeulis statussac ar Takilobdnen, magram mizanSewonilad miiCnevdnen afxazeTis gamocxadebas saerTo rusul federaciaSi Semaval damoukidebel respublikad. amrigad, `damoukideblobis~ cneba maT esmodaT sabWouri gagebiT _ uSualod Sesvla ruseTis SemadgenlobaSi. aRniSnuli winadadeba motivirebuli iyo mosaxleobis viTomda antiqarTuli ganwyobiT. aseTive Sinaarsis werilebi gaigzavna rostovSi kavbiuros saxelze da TbilisSi imave kavbiuros xelmZRvanelTan _ g. orjonikiZesTan. es ukanaskneli 27 marts daeTanxma damoukidebel respublikad afxazeTis gamocxadebis ideas, magram uari Tqva ruseTTan federirebaze im motiviT, rom dasavleTi amas CaTvlida ruseTis mier afxazeTis aneqsiad[1778].

1921w. 28 marts baTumSi gaimarTa saokupacio organoTa _ kavbiuros, saqarTvelos kompartiis xelmZRvanelobis da afxazeTis revkomis warmomadgenelTa TaTbiri g. orjonikiZis, S.eliavas, s.qavTaraZis, m.toroSeliZis, e.eSbasa da n.lakobas monawileobiT. maT ganixiles sakiTxi afxazeTSi sabWoTa xelisuflebisa da kompartiis struqturis Sesaxeb da daadgines: **`afxazeTis sabWoebis yrilobamde** (xazgasma avt.) sabWoTa afxazeTis rsfsr-sTan Tu saq. ssr-sTan federaciis sakiTxi rCeba Riad da afxazeTi cxaddeba socialistur respublikad.

partiuli organizacia **konferenciamde** (xazgasma avt.) atarebs saxels _ rkp(b)-s orgbiuro afxazeTSi da muSaobs rkp(b) ck-is kavbiuros direqtivebis Sesabamisad.

saqarTvelos revkomis dekretebi unda warmoadgendnen masalas (afxazeTis) revkomisaTvis, raTa orive revkomis moqmedebaSi winaaRmdegoba ar iyos~[1779]. TaTbiris es gadawyvetileba gaxda safuZveli 1921w. 31 marts afxazeTis sabWoTa socialisturi respublikis gamocxadebisa. xazgasmiT unda aRiniSnos, rom 1921w. afxazeTis sakiTxi erTxelac ar gamxdara sabWoTa ruseTis centraluri partiuli Tu saxelmwifo organoebis msjelobis sagani. v. leninis werilebis, aseve misi biografiuli qronikis mixedviT Tu vimsjelebT, sabWoTa imperiis pirvel pirs uSualo Sexeba afxazeTTan, afxaz bolSevikebTan, miT umetes regionis statusis dadgenasTan ar hqonia[1780]. afxazeTTan dakavSirebuli yvela problema TbilisSi kavbiuros sxdomebze an g.orjonikiZesa da ruseTis erovnebaTa saqmis saxalxo komisars (ministrs) _ i.stalins Soris

---

[1775]. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки, გვ. 59.**

[1776]. **Б.Сагария. Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921-1938). Сухуми, 1981, გვ.41.**

[1777]. **Трудящиеся Абхазии В. И. Ленину (1918, 1921-1924 гг.). Сб. док. Составил Г. Дзидзария. Сухуми, 1970, გვ. 31.**

[1778]. **А. Ментешашвили. Исторические предпосылки…, გვ. 59-60 იხ. აგრეთვე Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи, т. 1. М., 1956, გვ. 200-201.**

[1779]. **Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 469.**

[1780] . **სეპარატისტული ისტორიოგრაფია ტყუის, როცა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებას ვ. ლენინის სახელს უკავშირებს (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 430-431). აფხაზეთიდან რევკომის, სხვა ორგანიზაციების თუ პირების მიერ ვ. ლენინისათვის გაგზავნილი არცერთი წერილი, მიმართვა, მისალმება (იხ. Трудящиеся Абхазии В. И. Ленину...) მას პირადად არ მიუღია, არ განუხილავს და არც პასუხი გაუცია.**

sityvieri SeTanxmebiT wydeboda.

afxazeTis damoukidebloba warmoadgenda wminda wylis fiqcias; moskovi, bunebrivia, mas ar aRiarebda. e.w. damoukidebloba mogonili iyo saqarTvelos daSoSminebis, damoukideblobis survilis samudamod Cakvlis mizniT. ruseTis yofilma samxedro ataSem saqarTvelos demokratiul respublikaSi p.sitinma, romelic sabWoTa periodSic agrZelebda TbilisSi Tavis jaSuSur saqmianobas, 1921w. 22 aprils moskovs `qarTuli Sovinizmis~ (saxelmwifoebrivi damoukideblobis) winaaRmdeg brZolis `gegma~ warudgina. sxvadasxva zomebis miRebasTan (ruseTis jarebis ganlageba upiratesad TurqeTis sazRvarTan, samegrelos avtonomizacia, rusuli mosaxleobis mxardaWera da gaaqtiureba, amierkavkasiis rkinigzis moskovisaTvis gadacema) erTad igi iTvaliswinebda ruseTis federaciis sazRvris gadatanas md. bzifamde, afxazeTSi plebiscitis Catarebas da ruseTTan mis mierTebas; es gamoiwvevda `qarTuli Sovinizmis~ dasustebas teritoriulad da materialurad~[1781]. afxazeTis uSualod ruseTTan SeerTebas p. sitini imitomac moiTxovda, rom sxva SemTxvevaSi igi mTielTa respublikasTan gaerTiandeboda da maSin, garTulebis dros, ruseTs Seeqmneboda `dabrkoleba zRvidan zRvamde~[1782].

ruseTis saokupacio saxelisuflebo organom saqarTveloSi _ revkomma 1921w. 21 maiss aRiara afxazeTis ssr, magram iqve gamoTqva imedi, rom sakiTxi saqarTvelos ssr da afxazeTis ssr urTierTobis Sesaxeb sabolood gadawydeboda orive respublikis `muSaTa da glexTa sabWoebis pirvel yrilobaze~[1783]. es aRiarebac formalur xasiaTs atarebda. saqarTvelos revkoms afxazeTis statusis sakiTxi saerTod ar ganuxilavs, maT Soris arc 21 maiss. sabWoTa afxazeTis xelmZRvanelebi e.eSba da gansakuTrebiT n.lakoba xSirad usvamdnen xazs, rom `damoukidebloba~ gamocxadda droebiT, `erTi wuTiT~, rom es iyo mxolod `abra~ da a. S.[1784] afxazeTis mSromelTa warmomadgenlebis I yrilobam (1921w. 28 maisi), ufro sworad, misma organizatorebma gaiTvaliswines es garemoeba da SekrebilT miaRebines gadawyvetileba rogorc `damoukideblobis~ mowonebis, ise yvela sabWoTa respublikis mSromelebTan, `pirvel rigSi, kulturiT, ekonomikuri da geografiuli mdgomareobiT, yofiT yvelaze axlos mdgomi sabWoTa saqarTvelos muSebTan da glexebTan~ umWidroesi kavSiris damyarebis Sesaxeb; yrilobam imedi gamoTqva, rom saqarTvelosa da afxazeTis sabWoebis I yriloba `sabolood gansazRvravda afxazeTisa da saqarTvelos Zmuri TanamSromlobis formebs~[1785]. yrilobaze e.eSbam isic ganacxada, rom `sabWoTa xelisuflebisaTvis ar arsebobs erovnuli sakiTxi~[1786].

აფხაზეთი „ერთი წუთითაც“ არ ყოფილა რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. რეგიონის მმართველი პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების, მათი პირადი შემადგენლობის (განსაკუთრებით ხელმძღვანელების) დამტკიცება ხდებოდა ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისში მოქმედი კავბიუროს გადაწყვეტილებით. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები, ყველაზე ხშირად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და მისი სამმართველოები აფხაზეთის რევკომს უგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს, თანაც ქართულ ენაზე „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“ და ა.შ. ასე, მაგალითად, საქართველოს შს სახალხო კომისარიატის ლტოლვილთა მთავარმა სამმართველომ ნ. სოკოლოვსკის ხელმოწერით 1921წ. 3 აგვისტოს ცირკულარული წერილი გაუგზავნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაზრებისა და ქალაქების, **აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების** (ხაზგასმა ავტ.) რევკომების თავმჯდომარეებს“ და მოსთხოვა, „არც ერთი ლტოლვილი არ იქნეს შემოშვებული საბჭოთა საქართველოს საზღვრებში“[1787]. ნ.სოკოლოვსკის მშვენივრად ესმოდა, რომ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი სინამდვილეში წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს ფარგლებში. შემდგომშიც შს სახალხო კომისარიატს არაერთხელ გამოუგზავნია სოხუმში შესასრულებლად სავალდებულო განკარგულებები[1788].

საქართველოს რევკომიც აფხაზეთს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. 1921წ. 14 აპრილის სხდომაზე მან განიხილა ტყვარჩელის მაღაროების საკითხი, 21 აპრილს 1 მილიარდი მანეთის კრედიტი გაუხსნა აფხაზეთს, 30 მაისს იმსჯელა ბზიფის

1781 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 470.
1782 . იქვე, გვ. 471.
1783 . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 117.
1784 . იქვე, გვ. 118.
1785 . Укрепление советской власти в Абхазии. Сб. док. и мат. (1921-1925 гг.). Сухуми, 1957, გვ. 44-51.
1786 . იქვე, გვ. 47.
1787 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 480.
1788 . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 118-119.

კონცესიების შესახებ (ეს საკითხი მრავალჯერ იქნა განხილული)[1789]. იგივე საკითხი საქართველოს კომპარტიის ცკ-მ აფხაზეთის დამოუკიდებლობის „აღიარების“ დღეს – 1921წ. 21 მაისს განიხილა და დაადგინა, რომ არაა წინააღმდეგი საქართველოს „მთავრობის მიერ ამ კონცესიის დადებისა, თუ ის არის სოლიდური და სასარგებლო“[1790]. საქართველოს კომპარტიის ცეკა არ მიიჩნევდა აფხაზეთს „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად და თავის თეზისებში (თბილისის კომიტეტთან ერთად) აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ძალისხმევის გაერთიანება სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, ნაკარნახევია“ საერთაშორისო და საშინაო პირობებით[1791]. „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებს შორის, როგორც ვხედავთ, აფხაზეთი არ ჩანს.

საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში – კომპარტიის ცკ-ს კავბიურო აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად არ თვლიდა. აღნიშნული ორგანოს პლენარულ სხდომებს აფხაზეთის, მთიელთა რესპუბლიკისა და დაღესტნის, როგორც ავტონომიების, წარმომადგენლები მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ. 1921წ. 2-3 ივლისს კავბიუროს პლენუმმა „საჭიროდ ცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარება“[1792], „დამოუკიდებელ“ აფხაზეთზე კი საუბარი არ ყოფილა. მისი რეალური სტატუსი ზოგჯერ უფრო დაბალი ჩანდა, ვიდრე დაღესტნისა და მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკებისა, ნახიჭევანისა და ყაბარდოსი. მათგან განსხვავებით, აფხაზეთი არ შედიოდა უშუალოდ კავკასიის ეკონომიკურ კავშირში (შეიქმნა 1921წ. აგვისტოში); „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ვერ მოხვდა ასევე კავბიუროს მიერ 1921წ. 16 აგვისტოს შექმნილ ეკონომიკურ ბიუროში, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებდა[1793]. აფხაზეთის დაბალ სტატუსზე მიუთითებს ვ.ლენინის 1921წ. 14 აპრილის წერილი კავკასიელი კომუნისტებისადმი, რომლის ადრესატები იყვნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკების ბოლშევიკური ორგანიზაციები[1794], მაგრამ არა აფხაზეთი. ის არ მოიხსენიება ვ. ლენინის მიერ 1921წ. 28 ნოემბერს დაწერილ რკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიუროს დადგენილების პროექტში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ. მასში მხოლოდ საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზეა საუბარი[1795].

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ვ.ლენინს ორივეჯერ იმიტომ „გამორჩა“, რომ ოფიციალური მოსკოვი, როგორც უკვე ითქვა, მას არ აღიარებდა და საქართველოს ფარგლებში გულისხმობდა.ეს ფაქტი ვ.ლენინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 1921წ. 1 სექტემბერს, როცა მას წარუდგინეს საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების მიერ ბზიფის ხე-ტყის დამუშავების თაობაზე დადებული საკონცესიო ხელშეკრულების ტექსტი. ამასთან დაკავშირებით „ბელადმა“ მთავრობის საქმეთა მმართველის თანაშემწეს ვ.სმოლიანინოვს დაავალა, გაერკვია, დაიცვა თუ არა საქართველოს მთავრობამ (აფხაზეთსა და მის მთავრობას ამჯერადაც არ ახსენებდა) ის პირობა, რომ საკონცესიო ხელშეკრულებების დადება რსფსრ-ს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება[1796].

საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიაში, მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც ცნობდა მხოლოდ სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკას: საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს. სამივე რესპუბლიკასთან რუსეთმა ხელი მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებებს (საქართველოსთან ასეთი ხელშეკრულება 1921წ. 21 მაისს დაიდო)[1797], გაცვალა წარმომადგენლობები.აფხაზეთი ასეთ „პატივს“ მოკლებული იყო. არ არსებობს რკპ(ბ) ცკ-ს,

---

1789 . იქვე, გვ. 120.
1790 . იქვე, გვ. 121.
1791 . Правда Грузии, 1921, 22 ноября.
1792 . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 121.
1793 . იქვე, გვ. 121-122.
1794 . В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 43, გვ. 198-200.
1795 . იქვე, ტ. 44, გვ. 255.
1796 . В. И. Ленин. Биографическая хроника, т. XI. М., 1980, გვ. 270.
1797 . მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბ., 2007, გვ. 59-60.

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის), მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობის (უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს), ან ცაკის – საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ყრილობებს შორის მოქმედი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) თუნდაც ერთი დოკუმენტი, სადაც აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად (ან საერთოდ) მოიხსენიება. რაც შეეხება ისეთ სპეციალურ ორგანოს, როგორიც იყო რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი, ის აფხაზეთს საქართველოს ავტონომიურ ნაწილად განიხილავდა. ამ უწყების ხელმძღვანელი ი.სტალინი 1921წ. 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ის მდივანს ა.ენუქიძეს სწერდა: „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი, ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ-დან მას არ შეუძლია“[1798]. ი.სტალინი, როგორც რუსეთის მუშურ-გლეხური ინსპექციის თავმჯდომარე (მას მთავრობაში ორი უწყების ხელმძღვანელის პოსტი ეჭირა), 1921წ. 13 სექტემბერს იმავე ა. ენუქიძეს აცნობებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე აფხაზეთისათვის ფულის გამოყოფა დაუშვებელია[1799].

საუბარიც კი ზედმეტია იმაზე, რომ აფხაზეთი ოდესმე ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამ დროს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ფორმალურად ჯერ კიდევ რჩებოდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. 1921წ. 13 ოქტომბერს მათ ხელიც მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას თურქეთთან. აფხაზეთი, ცხადია, მსგავს დოკუმენტებს ხელს არ აწერდა.

amrigad, savsebiT naTelia, rom afxazeTi sabWoTa gagebiTac ki ar warmoadgenda damoukidebel (uSualod moskovs daqvemdebarebul) politikur erTeuls. 1921 welsac is rCeboda saqarTvelos gansakuTrebuli statusis mqone nawilad da formalurad, droebiT, `erTi wuTiT~ sabWoTa socialistur respublikad iwodeboda. imave wels daisva sakiTxi da daiwyo praqtikuli nabijebis gadadgma arsebuli formalobis aRmosafxvrelad, rusuli aneqsiis Sedegad centrsa (Tbilissa) da regions (soxums) Soris droebiT warmoqmnili samarTlebrivi vakuumis Sesavsebad.

1921w. 5 ivliss kavbiurom miiRo gadawyvetileba, gaweul iqnes partiuli muSaoba im mimarTulebiT, rom avtonomiuri respublikis saxiT afxazeTi Sevides saqarTvelos SemadgenlobaSi[1800]. imave wlis 23 ivliss afxazeTis pasuxismgebel muSakTa TaTbirze n.lakobam ganacxada: `sabWoTa saqarTvelo an afxazeTi damoukideblebi arian sameurneo da ekonomikuri TvalsazrisiT, magram politikurad yvela isini centrs emorCilebian kompartiis meSveobiT saqarTvelos kompartiis ck-sa da rkp ck-s kavbiuros saxiT, amitom savsebiT sul erTia, visTanac unda moaxdinos afxazeTma federireba~; n.lakoba saubrobda saqarTvelos ruseTTan mierTebis SeuZleblobaze da saqarTvelosTan federirebis aucileblobaze, gamomdinare eTnografiuli, istoriuli da yofacxovrebiTi pirobebidan. TaTbirma Tavis rezoluciaSi aRniSna, rom saqarTvelos revkomis deklaracia damoukideblobis Sesaxeb (1921w. 21 maisi) aZlevs afxaz xalxs `maqsimaluri avtonomiuri uflebebis garantias~, sruli damoukidebloba ki `praqtikulad ganuxorcielebelia~; amitom TaTbirma axlo momavalSi saqarTvelosTan federaciuli kavSiris damyarebis rwmena gamoTqva[1801]. igive gadawyvetileba miiRo pasuxismgebeli muSakebis 1921w. 15 oqtombris TaTbirmac[1802]. aseTive iyo `mSromelTa~ (maTi saxeliT spekulirebdnen bolSevikebi), gansakuTrebiT samurzayanoelTa survili[1803], rom araferi vTqvaT afxazeTis sxva raionebSi mcxovrebTa umravlesobazec _ ZiriTadad qarTvelobaze[1804].

1921w. 1 noembers kavbiurom saWirod miiCnia afxazeT-saqarTvelos momavali xelSekrulebis proeqtis SemuSaveba, risTvisac Seiqmna komisia e.eSbas, S.eliavasa da saqarTveloSi ruseTis

---

[1798] . **А. Ментешашвили. Исторические предпосылки…,** გვ. 67.

[1799] . იქვე; აფხაზეთს აფინანსებდა საქართველოს რევკომი; აფხაზეთის რევკომი კი ვალდებული იყო, წარედგინა მისთვის ხარჯთაღრიცხვა და შესაბამისი ანგარიშები; საქართველოს ბიუჯეტის შევსებაში აფხაზეთი 1921 წელსაც მონაწილეობდა (ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 118-120).

[1800] . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 123.

[1801] . იქვე, გვ. 123-124; **Дж. Гамахария, Б. Гогия.** დასახ. ნაშრომი, გვ. 475.

[1802] . **Дж. Гамахария, Б. Гогия.** დასახ. ნაშრომი, გვ. 481.

[1803] . სოციალ-ფედერალისტი, 1921, 20 ივლისი.

[1804] . კავბიუროს მოთხოვნით, აფხაზეთში რკპ(ბ)-ს ორგბიუროს მიერ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თაობაზე თბილისში გაგზავნილი ცნობის მიხედვით, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის (181382 კაცი) 38,5%-ს ქართველები შეადგენდნენ, მთიელები და აფხაზები – 25%-ს, აზიური ხალხები – 11,1%-ს, რუსები – 9,9%-ს, ევროპელი ხალხები – 7,6%-ს, სომხები – 7,5%-ს, ებრაელები – 0,3%-ს (ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 124).

warmomadgenlis _ legranis (komisiis Tav-re) monawileobiT. aTdRian vadaSi mas unda daesrulebina xelSekrulebis proeqtis SemuSaveba. 14 noembers e.eSbam amierkavkasiis federaciaSi afxazeTis uSualod (da ara saqarTvelos meSveobiT) Sesvlis winadadeba wamoayena (SesaZloa, wamoayenebines)[1805]. kavbiuros 1921 wlis 16 noembris gadawyvetileba iyo Taviseburi pasuxi e. eSbas axal `iniciativaze~:

`1. ekonomikurad da politikurad mizanSeuwonlad CaiTvalos damoukidebeli afxazeTis arseboba.

2. winadadeba mieces amxanag eSbas, warmoadginos Tavisi saboloo daskvna saxelSekrulebo sawyisebze afxazeTis saqarTvelos federaciis SemadgenlobaSi an avtonomiuri olqis sawyisebze rsfsr-Si Sesvlis Sesaxeb~[1806].

kavbiuros es dadgenileba mniSvnelovania imiT,rom masSi gansazRvrulia afxazeTis statusi sabWoTa ruseTis kriteriumebis mixedviT _ avtonomiuri olqi. ufro maRali statusi mas eZleoda imisaTvis, rom moskovis xelSi yofiliyo damoukideblobisaken saqarTvelos swrafvis Semaferxebeli berketi.

sabWoTa saqarTvelos iurisdiqciis afxazeTze srulad gavrcelebis gzaze didi mniSvneloba hqonda kavbiuros 1921w. 21 noembris gadawyvetilebas afxazeTSi rkp-s orgbiuros organizaciulad saqarTvelos kompartiis ck-sTan dakavSirebisa da am ukanasknelis SemadgenlobaSi e.eSbas Seyvanis Sesaxeb[1807].

1921w. 16 dekembers saqarTvelom da afxazeTma xeli moaweres sakavSiro xelSekrulebas[1808]. dokumentis meoTxe punqti pirdapir miuTiTebda, rom afxazeTi gaxda kavSiris ara sruluflebiani wevri, aramed saqarTvelos Semadgeneli nawili. masSi naTqvamia: `yvela samxareo gaerTianebaSi, kerZod, amierkavkasiis respublikebis federaciaSi afxazeTi Sedis saqarTvelos meSveobTT, romelic aZlevs mas Tavisi adgilebis erT mesameds~[1809].

afxazeTis sabWoebis pirvelma yrilobam 1922w. 17 Tebervals moiwona xelSekruleba saqarTvelosTan. afxazeTis ssr-s Sesvla saqarTvelos ssr-s SemadgenlobaSi daadastura sruliad saqarTvelos sabWoebis I yrilobaze (1922w. 25 II _ 3 III) miRebulma konstituciam, romelSic vkiTxulobT: `saqarTvelos socialistur sabWoTa respublikaSi Tavisufali TviTgamorkvevis safuZvelze Sedian: aWaris avtonomiuri socialisturi sabWoTa respublika, samxreT oseTis avtonomiuri olqi da afxazeTis socialisturi sabWoTa respublika; ukanaskneli ukavSirdeba saqarTvelos socialistur sabWoTa respublikas _ am respublikaTa Soris dadebul, gansakuTrebul sakavSiro xelSekrulebis safuZvelze~[1810]. miuxedavad aseTi mkafio Canawerisa saqarTvelos konstituciaSi, separatistuli istoriografia amtkicebs, TiTqos afxazeTis ssr ar Sedioda saqarTvelos SemadgenlobaSi[1811], magram ar ambobs (da verc ityvis), romeli respublikis Tu qveynis nawils warmoadgenda igi. afxazeTi ar Sedioda amierkavkasiis federaciis SemadgenlobaSi; is ar aris moxseniebuli amierkavkasiis respublikebis sakavSiro xelSekrulebaSi (1922w. 12 marti)[1812], agreTve amierkavkasiis federaciis konstituciaSi (1922w. 13 dekemberi)[1813]. vinaidan afxazeTi amierkavkasiis federaciis subieqtic ki ar iyo, cxadia, is ver gaxdeboda ssr kavSiris dafuZnebis Sesaxeb xelSekrulebis (1922w. 30 dekemberi)[1814] uSualo monawile. sicruea, TiTqos am dokuments xeli moawera `afxazeTis ssr-s warmomadgenelma n.aqirTavam~[1815]. sinamdvileSi, aRniSnul xelSekrulebas xeli moaweres mxolod ruseTis federaciis, ukrainis, belorusiisa da amierkavkasiis federaciis warmomadgenlebma. amierkavkasiis saxeliT dokuments xels awerda 22 kaci, maT Soris iyo ara n. aqirTava, aramed n. lakoba[1816].

faqtobrivad da iuridiulad afxazeTis ssr warmoadgenda avtonomiur res-publikas. am statusiT moixsenieba igi saqarTvelos kompartiis ck-s 1922w. 27 Te-bervlis dadgenilebaSi centralur aRmasrulebel komitetSi adgilebis gada-nawilebis Sesaxeb: `mieces: centrs 35, afxazeTis, aWaris avtonomiur

---

[1805]. 1921წ. 14 ნოემბერს საქ. კომპარტიის ცკ-ს პლენუმმა მოიწონა რკპ(ბ) ცკ-ს კავბიუროს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ (Очерки истории коммунистической партии Грузии, ч. II. Тб., 1983, გვ. 28), მაგრამ ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგეც (ბ. მდივანი და სხვ.) ჰყავდა. ისინი „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათლეს. როგორც ჩანს, ე.ეშბამ გადაწყვიტა, ესარგებლა ამ ვითარებით. არც ის არის გამორიცხული, რომ „ნაციონალ-უკლონისტების“ დასაშინებლად მას დაევალა მსგავსი წინადადების წამოყენება.

[1806] . ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 125; Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 16-17.

[1807] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 482.

[1808] . ხელშეკრულებას საქართველოს სახელით ხელი მოაწერა ს. ქავთარაძემ, აფხაზეთის სახელით – ე. ეშბამ და ს. კარტოზიამ.

[1809] . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 483-484.

[1810] . საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978). თბ., 1983, გვ. 73.

[1811] . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 342

[1812] . Образование Союза Советских Социалистических Республик. Сб. док. М., 1972, გვ. 257-259.

[1813] . იქვე, გვ. 349-359.

[1814] . იქვე, გვ. 381-386.

[1815] . О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 342.

[1816] . Правда,1922, 31 декабря.

respublikebs sam-sami adgili~[1817]. afxazeTis partiuli da saxelmwifo struqturebi saqarTvelos Sesabamisi struqturebis Semadgenelni da mis winaSe angariSvaldebulni gaxdnen[1818].

maleve daiwyo winaswari msjelobebi konstituciidan cnebis _ `saxelSekrulebo respublika~ amoRebis Sesaxeb. amis Taobaze saqarTvelos kompartiis ck-s mdivans beso lominaZes usaubria nestor lakobasTan. saqarTvelos kompartiis III yrilobas 1924w. 8 maiss n.lakoba moaxsenebda: `axla lominaZe micxadebs, rom erT weliwadSi amovSliT sityvas `saxelSekrulebo respublika~... Cven ubralod vambobT, rom varT saxelSekrulebo respublika, da me myofnis gambedaoba, ganvacxado, rom afxazeTis glexoba or weliwadSi am sityvebsac amoSlis~; gaixsena ra, Tu rogor upirispirebda mefis xelisufleba `kulturul qarTvel ers afxazur erovnebas (народность)~, n.lakoba agrZelebda: `afxazebs istoriuli TvalTaxedviT rom miudgeT, ra Tqma unda, araviTari rolis TamaSi kacobriobis istoriaSi ar SeeZloT, Tundac imitom, rom am xalxs... ara aqvs arc Tavisi istoria, arc Tavisi damwerloba, arc Tavisi literatura~[1819]. afxazeTs saqarTvelos avtonomiad miiCnevda regionis `damoukideblobis~ gamocxadebaze sanqciis mimcemi g. orjonikiZec. 1923w. 21 dekembers afxazeTis sabWoebis meore yrilobaze man ganacxada: `afxazebma unda icodnen, rom afxazeTi avtonomiuri respublikaa da Tanasworia Cvens kavSirSi~[1820]. amis Sesaxeb dRemde araferi `icis~ mxolod separatistulma istoriografiam. g. orjonikiZem 1924w. 5 seqtembers Tbilisis sabWos sxdomaze gamosvlisas afxazeTi kvlav avtonomiur respublikad moixsenia[1821]. igive gaimeora man rkp(b) ck-s 1924w. plenumze: `Cvenma avtonomiurma respublikebma da olqebma (aWara, afxazeTi, samxreT oseTi) da araqarTveli mosaxleobis raionebSi ar isargebles ajanyebiT (1924w. _ avt.) separatistuli miznebisaTvis~[1822]. aseTi iyo (avtonomia) afxazeTis namdvili statusi. afxazeTis istoriis falsifikatorebi arc ssr kavSiris 1924w. konstitucias uweven angariSs; masSi ki SaviT TeTrze weria: `avtonomiuri respublikebi aWara da afxazeTi da avtonomiuri olqebi samxreT oseTi, mTiani yarabaxi da naxiWevani erovnebaTa sabWoSi TiTo warmomadgenels agzavnian~[1823]. gamodis, rom `damoukidebel~ afxazeTs realurad iseTive statusi hqonda, rogorc avtonomiur olqebs[1824].

afxazeTis sabWoebis III yrilobam (1925w. 26 marti _ 1 aprili) 1925 wlis 1 aprils yovelgvari ganxilvis gareSe daamtkica konstitucia, romelic faqtobrivad imeorebda saqarTvelos 1922 wlis konstitucias. am mizezis gamo is ewinaaRmdegeboda saqarTvelos, amierkavkasiisa da ssr kavSiris konstituciebs, saqarTvelosTan dadebul xelSekrulebas. soxumSi miRebuli konstituciis mixedviT, afxazeTi cxaddeboda suverenul respublikad; masSi deklarirebuli iyo amierkavkasiis federaciidan da ssr kavSiridan Tavisufali gasvlis ufleba; saxelmwifo enad rusuli dgindeboda[1825]. marTali gaxldaT n. lakoba, roca dokuments sul male man `konstituciuri sisulele~, sulelurad dawerili konstitucia uwoda[1826], Tumca Tavad brZandeboda misi mTavari Semoqmedi. ZiriTadi `sisulele~ imaSi mdgomareobda, rom konstituciaSi ignorirebuli iyo gansakuTrebuli xelSekrulebis safuZvelze afxazeTis saqarTvelos SemadgenlobaSi yofnisa da mxolod misi meSveobiT (da ara nebayoflobiT) amierkavkasiis federaciaSi, am ukanasknelis meSveobiT ki ssr kavSirSi gaerTianebis faqti. gamomdinare aqedan, is veranairad ver iqneboda suverenuli respublika, ver gavidoda amierkavkasiisa da sabWoTa kavSiris Semadgenlobidan, vinaidan ar gaxldaT maTi subieqti; saxelmwifo enad ara afxazuris, aramed ucxo enis gamocxadebac sulac ar miuTiTebda afxazeTis suverenitetze.

1925 wlis konstitucia ar gamoqveynebula[1827], Sesabamisad, ZalaSi ar Sesula. ufro metic, sabWoebis III yrilobis biuletenSi, romelic afxazeTis centralurma aRmasrulebelma komitetma (caki) gamosca, naTqvamia: `yrilobam gadawyvita, dasruldes muSaoba yrilobisaTvis wardgenil proeqtze, moyvanil iqnes

---

1817 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 98.

1818 . იქვე, გვ. 98-99.

1819 . Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 29-30. ავტორი უთითებს პირველწყაროს: პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, ს. 1, ფ. 230-235.

1820 . Съезды Советов Абхазии. Сб. док. и мат. 1922-1923. Сухуми, 1959, გვ. 153.

1821 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 99.

1822 . საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 თებერვალი (პლენუმის ოქმების პუბლიკაცია ზ. გამსახურდიას წინასიტყვაობით).

1823 . Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 489.

1824. სსრ კავშირის 1924 წ. კონსტიტუციის (IV, 15) მიხედვით, რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკები ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდნენ ხუთ-ხუთ წარმომადგენელს (ე. ი. ხუთჯერ მეტს, ვიდრე „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი), ხოლო ავტონომიური ოლქები – თითოს (როგორც აფხაზეთი).

1825. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 489-490.

1826. Н. А. Лакоба. Статьи и речи. Сухуми, 1987, გვ. 177; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 491.

1827. პირველად გამოქვეყნდა კრებულში: Съезды Советов союзных и автономных советских социалистических республик Закавказья. Сборник документов (1923-1937 гг.), т. 6, М., 1964, გვ. 686-700.

igi SesabamisobaSi saqarTvelos ssr da amierkavkasiis sfsr konstituciebTan~[1828]. amrigad, afxazeTis cakma 1925w. 1 aprils namdvilad miRebuli konstitucia, romelic arsad ganxilula da ar gamoqveynebula, aRiara mxolod proeqtad. am faqts malavs separatistuli istoriografia.

ruseTis kompartiis amierkavkasiis samxareo komitetma 1925w. 6 seqtembers afxazeTis konstituciasTan dakavSirebiT daamtkica samxareo cak-is komisiis winadadebebi da daadgina: `1. aucileblad saWirod iqnas cnobili, rom afxazeTis ssr-sa da saqarTvelos ssr-s Soris urTierToba gaformdes konstituciuri wesiT da gadaisinjos afxazeTis sabWoebis III yrilobaze miRebuli konstitucia.

2. winadadeba mieces partiis afxazeTis saolqo komitets da saxalxo komisarTa sabWos erovnuli sakiTxis daregulirebis mizniT amierkavkasiis cakisa da saqarTvelos cakis arsebuli dekretebis safuZvelze SeimuSaos proeqti enebis gamoyenebis Sesaxeb da warudginos saqarTvelos kompartiis ck-s.

3. sabWoTa da profesiuli organoebis arCevisas mxedvelobaSi iqnes miRebuli raionisa da mazris erovnuli Semadgenloba~[1829].

afxazeTis konstituciis sakiTxi 1925w. 6 da 31 ivliss ganixiles saqarTvelos kompartiis centralur komitetSi[1830]. imave wlis 11 seqtembers saqarTvelos kompartiis afxazeTis saolqo komitetis biurom cak-s da mTavrobas daavala afxazeTis konstituciis im muxlebis gadasinjva, romlebic saqarTvelosTan urTierTobas exebodnen, agreTve konstituciis axali proeqtis momzadeba. sakonstitucio komisiam n. lakobas xelmZRvanelobiT mokle vadaSi moamzada afxazeTis konstituciaSi Sesatani cvlilebebis proeqti da 1925w. 27 seqtembers saqarTvelos kompartiis ck-s samdivnos warudgina dasamtkiceblad. samdivnom proeqti moiwona. cvlilebebi Seexeboda `suverenitetisa~ da saxelmwifo enis (enebis) sakiTxebs. axali proeqtiT afxazeTis xelisuflebis damoukidebloba izRudeboda ara mxolod amierkavkasiisa da ssr kavSiris konstituciebiT (pirvandeli varianti), aramed saqarTvelosTan saxelSekrulebo urTierTobebiTac. saxelmwifo enebad cxaddeboda afxazuri, qarTuli da rusuli[1831].

aRniSnulma cvlilebebma asaxva hpoves afxazeTis 1926w. konstituciaSi. mis miRebas win uZRvoda saqarTvelos konstituciis damtkiceba 1926w. 11-16 ivniss soxumSi gamarTul sruliad saqarTvelos cakis III sesiaze. saqarTvelos mTavrobis angariSi sesias S.eliavam warudgina. rogorc `didi eris~ warmomadgenelma, man dagmo saqarTvelos demokratiuli respublikis menSevikuri mTavroba, romelic, oratoris mtkicebiT, afxazeTs ganixilavda ara avtonomiur respublikad, aramed qveynis provinciad. isaubra ra bolSevikuri erovnuli politikis `miRwevebze~, S.eliavam ganacxada: `bunebrivia, afxazeTic, romelic erTgvar xelSekrulebis pirobebSi Sedis saqarTvelos SemadgenlobaSi, Tavis Tavs am didi kavSiris nawilad grZnobs[1832].~

afxazeTis mTavrobis angariSiT saqarTvelos cakis sesiaze n.lakoba wardga. rogorc `mcire eris~ warmomadgeneli, is sxva erebis interesebis dacvaze da saqarTvelosTan kavSirze saubrobda. `afxazeTis respublika, _ Tqva n.lakobam, _ zogierTs esmis ise, rom Tu respublikas afxazeTisas uwodeben, es imas niSnavs, rom respublika mxolod afxazebisaTvis aris. aseTi Sexeduleba ar Seesabameba saqmis namdvil mdgomareobas afxazeTSi. aq umTavresi erebi Tavisi ricxviT da xvedriTi woniT, arian afxazebi, qarTvelebi, somxebi, rusebi da berZnebi~. momxsenebelma yuradReba gaamaxvila politikur mowinaaRmdegeebze: `ai, ras emyarebian isini: afxazeTi moindomebs _ wava saqarTvelodan, moindomebs _ darCeba saqarTveloSi, _ dasZenda n.lakoba. _ imisaTvis, rom amis Sesaxeb ar iyos odesme raime gaugebroba, saWiroa, sruliad gadaWriT ganvacxadoT, rom afxazeTs saqarTvelodan wasvla ar SeuZlia, ar aqvs ganzraxva da arc surs es. magram sabWoTa saqarTvelosTan erTad afxazeTi wava Tugind saiqioSi~[1833].

sesiaze sityviT gamovida soxumSi Camosuli rkp(b)-s kavkasiis samxareo komitetis pirveli mdivani mamia oraxelaSvili (14 ivnisi). man aseve dagmo afxazeTis `mCagvreli~ saqarTvelos demokratiuli respublika; ganacxada, rom `afxazeTis respublikas umTavresad, Tu SeiZleba ase iTqvas, sawarmoo xasiaTi aqvs. is mowodebulia Seqmnas da gamoasworos savsebiT afxazeTis mSromelTa kultura~ (anu daamyaros faqtobrivi Tanasworoba, rogorc im periodSi qadagebda kompartia)[1834]; m.oraxelaSvili akritikebda afxazeTis respublikis Seqmnis mowinaaRmdegeebs, aseve im pirebs, vinc, TiTqos, Seegua

---

[1828]. **Съезды советов..., ტ. VI, გვ. 673. წყაროდ მითითებულია „Бюллетень III Всеабхазского съезда советов. Изд. АбЦИК, 1925, გვ. 10-11.**

[1829]. **Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 25.**

[1830] **История Абхазской АССР. Сухуми, 1983, გვ. 197.**

[1831]. **Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 25**

[1832]. **კომუნისტი, 1926, 13 ივნისი.**

[1833]. **კომუნისტი, 926 წ. 15 ივნისი.**

[1834]. **И. В. Сталин. Соч., т. 5. М., 1953, გვ. 24, 35-36, 38, 188-189 და ა. შ.**

aseTi respublikis Seqmnis faqts, magram, oratoris TqmiT, qarTuli umravlesobisaTvis[1835] gabatonebuli mdgomareobis uzrunvelyofas moiTxovda. umciresobaSi afxazTa yofnas `rodi aqvs gadamwyveti mniSvneloba, _ acxadebda m.oraxelaSvili. _ Cven rom gvindodes afxazeTis gadaqceva saqarTvelos respublikis meore gamocemad, es sasacilo iqneboda. Cven saqarTvelos respublikis dublikati ar Segviqmnia da arc vfiqrobT mis Seqmnas. amitom, cxadia, Cven ar SegviZlia sakiTxis ase dayeneba, rom raki afxazeTSi qarTuli mosaxleoba umravlesobas warmoadgens, amitom Zalaufleba, pirveloba da politikuri xelisuflebis yvela upiratesoba mosaxleobis qarTul nawils unda ekuTvnodes~[1836].

შ. ელიავას, ნ. ლაკობასა და მ. ორახელაშვილის გამოსვლებში მკაცრად იყო დაცული XXს. 20-30-იან წლებში კომპარტიის ე.წ. ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნები დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და „წვრილბურჟუაზიულ“ ნაციონალიზმთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ[1837]. ამ ფარისევლური პოლიტიკის შესაბამისად, ქართველ ბოლშევიკებს ევალებოდათ „ქართული შოვინიზმის“ დაგმობა და აფხაზების დაცვა[1838]; აფხაზ ბოლშევიკებს კი უნდა ესაუბრათ ნაციონალისტურ გადახრებზე აფხაზეთში და საქართველოსთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე. ასეც მოიქცნენ ძირითადი გამომსვლელები საქართველოს ცაკის III ყრილობაზე, მაგრამ რეალურად არსებული პრობლემების მოგვარება მსგავს გამოსვლებს, ცხადია, არ შეეძლო.

შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ სესიის 13 ივნისის სხდომაზე აფხაზი გლეხის, ვინმე მათუას გამოსვლას. მან ილაპარაკა 1877წ. თურქეთში გადასახლებულთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე და სთხოვა მთავრობას, „მიიღოს ზომები მუჰაჯირების სამშობლოში დასაბრუნებლად“[1839]. თავის დროზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ძალიან ახლოს იყო აღნიშნული პრობლემის გადაჭრასთან (აქვე, გვ. 302), მაგრამ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მოსკოვის დიქტატს დაქვემდებარებულ საბჭოთა საქართველოს შეეძლო, იყო ცაკის სესიაზე მათუას გამოსვლის ორგანიზება (ან წინააღმდეგობის არგაწევა) და ამის შესახებ გაზეთში მოკლე ინფორმაციის გამოქვეყნება.

საქართველოს ცაკის III სესიამ სოხუმში მიიღო საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია; მისი V თავი – „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ მთლიანად ეძღვნებოდა საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის ურთიერთობის კონსტიტუციური წესით დარეგულირებას[1840]. საქართველოს ძირითადი კანონის ეს ნაწილი (V თავი) უცვლელად შევიდა საბჭოთა აფხაზეთის ფაქტობრივად პირველ კონსტიტუციაში და შეადგინა მისი მეორე თავი. 1926წ. 27 ოქტომბერს იგი მიიღო აფხაზეთის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) III სესიამ[1841] და საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ (1927წ. 5-10 მარტი). კონსტიტუციაში ორჯერ არის დაფიქსირებული (მუხლები 2 და 17), რომ აფხაზეთის სსრ „განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის“ საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის ფედერაციაში. სახელმწიფო ენად აღიარებულია აფხაზური, ქართული და რუსული (მუხლი 8); თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებას მიჯნავდა 21-ე მუხლი. აფხაზეთის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედების და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) მოქმედებდნენ საქართველოს სათანადო

[1835]. 1926 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 212 ათას კაცს, მათ შორის ყველაზე მეტი იყო ქართველი – 68 ათასი, შემდეგ მოდიოდა აფხაზი – 55,9 ათასი, სომეხი – 34,7 ათასი, რუსი – 20,4 ათასი, ბერძენი – 27 ათასი, სხვები – 6 ათასი (Г. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии (конец XIX – 70-е годы XX в.). Сухуми, 1889, გვ. 26).

[1836]. კომუნისტი, 1926, 16 ივნისი.

[1837]. И. В. Сталин. Соч., т. 5. М., 1953, გვ. 27-28, 40, 187-190 და ა. შ.

[1838]. 1923 წ. მარტში ი. სტალინი წერდა: „ქართული შოვინიზმის“ შესახებ, „რომელიც მიმართულია სომხების, ოსების და აფხაზების წინააღმდეგ“ (И. В. Сталин. Соч., т. 5б გვ. 189). ეს იყო ბოლშევიკური სიცრუე და ცილისწამება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველ კომუნისტებს მაინც უნდა „ებრძოლათ“ ამ მოგონილი შოვინიზმის წინააღმდეგ.

[1839]. კომუნისტი, 1926, 16 ივნისი.

[1840]. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, გვ. 117-120. კონსტიტუცია საბოლოოდ დაამტკიცა საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობამ (1927 წ. 28 მარტი – 3 აპრილი).

[1841]. აფხაზეთის კონსტიტუცია გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა 1926 წელს. იხ. Основной закон (Конституция) Советской Социалистической Республики Абхазии. Сухуми, 1926.

კომისარიატებისაგან დამოუკიდებლად; სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა; აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით (ამის შესახებ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ცაკი იღებდა) შედიოდნენ ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულები, რომლებიც საქართველოს შესაბამისი კომისარიატების ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ პერიოდულად ანგარიშს უდგენდნენ აფხაზეთის ცაკს და მთავრობას; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ საქართველოს ცაკის კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდათ აფხაზეთის სსრ ტერიტორიაზე; კონსტიტუციასთან შეუსაბამო აფხაზეთის საბჭოების ყრილობების, ცაკის სესიებისა და მთავრობის დადგენილებებს აუქმებდა საქართველოს საბჭოების ყრილობა ან ცაკი; 125-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის სსრ ბიუჯეტი მისი დამტკიცების შემდეგ ხდებოდა საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი.

ერთი შეხედვით, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილება საკმაოდ მკაფიოდ გაიმიჯნა. სინამდვილეში, საბჭოთა კონსტიტუციები ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ; რეალური ძალაუფლება პარტიული ორგანოების ხელში იყო თავმოყრილი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ნებისმიერი გადაწყვეტილება ნებისმიერ სფეროში სავალდებულო გახლდათ აფხაზეთის ორგანიზაციისათვის. გარდა ამისა, აფხაზეთისათვის, ცხადია, სავალდებულო იყო ამიერკავკასიის და სსრ კავშირის პარტიული თუ სახელმწიფო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება.

ამრიგად, აფხაზეთის სსრ-ს განსაკუთრებულ გამგებლობას არ განეკუთვნებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო მაშინ, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მას ბევრად მეტი უფლებები ჰქონდა. 1921წ. 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით ავტონომიური აფხაზეთის სრულ გამგებლობაში რჩებოდა სახალხო განათლება, მათ შორის უმაღლესი, კულტურული მშენებლობა, სამომრიგებლო სასამართლო, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, ჯანდაცვა და ა.შ.[1842]

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიზნით შეიქმნა (თუნდაც დროებით) აფხაზეთის სსრ, უფრო სწორად, რატომ ეწოდა აფხაზეთის ავტონომიას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა? ოფიციალური ვერსიით, რომელიც დაფიქსირებულია ადგილობრივი პარტიული თუ საბჭოთა ორგანოების მასალებში, ხელმძღვანელი პირების გამოსვლებში, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დროებითი გამოცხადება მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების იდეის განმტკიცებას, აგრეთვე მენშევიკების მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის ვითომ დათესილი ეროვნული შუღლის აღმოფხვრას[1843]. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რეგიონის ფორმალური დამოუკიდებლობის გამოცხადებით აფხაზთა შორის ადრე არაპოპულარული საბჭოთა იდეის განმტკიცების მიზანი ნამდვილად იქნა მიღწეული. ამიერიდან საბჭოთა ხელისუფლების დაცვა აფხაზეთში უნდა გაიგივებულიყო „დამოუკიდებლობის“ დაცვასთან; ამიტომ სეპარატისტული ისტორიოგრაფია დღემდე ხოტბას ასხამს კაცობრიობის ისტორიაში ამ ერთ-ერთ ყველაზე ანტიადამიანურ პოლიტიკურ რეჟიმს[1844], რომელიც არავის ანიჭებდა ნამდვილ დამოუკიდებლობას, პირიქით, ძალით იპყრობდა და საბჭოურ იმპერიას უერთებდა ადრე დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. სეპარატისტებს „არ მოსწონთ“ მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე მყოფი ქართველები, განსაკუთრებით, ვითომდა აფხაზეთის „საზიანოდ“ საქართველოზე „მზრუნველი“ ი.სტალინი და ლ. ბერია[1845]. რაც შეეხება ქართველთა და აფხაზთა შორის ეროვნული შუღლის აღმოფხვრას, რეალურად ასეთი მიზანი საბჭოთა ხელისუფლებას

[1842]. 1919 წ. შემოდგომაზე აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასა და დამფუძნებელი კრების წარმომადგენლებს შორის მიღწეული შეთანხმებით, რომელიც გასაბჭოებამდე მოქმედებდა, აფხაზეთის სრულ გამგებლობას განეკუთვნებოდა ყველა სფერო, გარდა საგარეო პოლიტიკისა, ჯარისა, საზღვაო პორტებისა, საბაჟოსი, საფინანსო და სასამართლო სისტემებისა, ფოსტა-ტელეგრაფისა, რკინიგზისა და საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 451-453, 466-469).

[1843]. ჯ. გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 116-118.

[1844]. იხ. С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии და ა.შ.

[1845]. ამ საკითხში სეპარატისტთა შეხედულებების კრიტიკა იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 120-131.

არც დაუსახავს. პირიქით, აფხაზეთის სსრ-ს გამოცხადებით მეფის რუსეთის (და არა მენშევიკების) მიერ დათესილი შუღლი და უნდობლობა კიდევ უფრო გაღრმავდა, რის შესახებაც გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტმა“ 1921წ. ივნის-ივლისში რამდენიმე უაღრესად მწვავე წერილი გამოაქვეყნა[1846]. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში, ისევე როგორც თავის დროზე მეფის რუსეთში, გაძლიერდა ანტიქართული პროპაგანდა, ქართველთა დევნა-შევიწროება[1847]. აფხაზეთის მოსახლეობის ქართული უმრავლესობა ამასთან დაკავშირებით ხმამაღლა გამოხატავდა უკმაყოფილებას. ხმა აღიმაღლა საქართველოს ინტელიგენციამაც. ვახტანგ კოტეტიშვილი აღშფოთებული წერდა იმის შესახებ, თუ როგორ იკრძალებოდა „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში, „ეშბა-ლაკობას მამულში“ ყოველივე ქართული, როგორ იჩაგრებოდა მოსახლეობის უმრავლესობა; ეს ყოველივე, მისი აზრით, სულაც არ უწყობდა ხელს აფხაზთა ეროვნულ აღორძინებას, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ; პირიქით, მიმდინარეობდა რეგიონის რუსიფიკაცია. ვ.კოტეტიშვილმა საქართველოს რევკომს მოუწოდა, ბოლო მოუღოს ანტიქართულ პოლიტიკას, გააუქმოს სადღაც „კაბინეტებში“ მიღებული დეკლარაცია აფხაზეთის დამოუკიდებლოვის შესახებ და აღადგინოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა[1848].

აფხაზეთში ქართველთა შევიწროების მიზანმიმართული პოლიტიკა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა და მისი ხელმძღვანელის – მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) დევნაშიც გამოიხატა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტით სოხუმის საკათედრო ტაძარი გადაეცა რუსულ სამღვდელოებას, რომელიც ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას ჯერ კიდევ არ ექვემდებარებოდა; ეპარქიას ჩამოართვეს სამღვდელმთავრო სახლი; მიტროპოლიტ ამბროსის მოუწია „ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება“, დაანგრიეს კარის ეკლესია, სანახევროდ გაანადგურეს არქივი, მღვდელმსახურთ ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლები. „ყოველი ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესვე“[1849], – ბრძანებდა წმ. აღმსარებელი ამბროსი.

დაპირისპირებამ ეროვნულ ნიადაგზე სახიფათო მასშტაბებს მიაღწია; ამ თემაზე ღიად საუბრობდა ნ. ლაკობაც. სოხუმში გამართულ საქართველოს ცაკ-ის III სესიაზე მის მიერ გაკეთებული განცხადებით, ქართველები, სომხები და ბერძნები არ ეთანხმებიან იმას, რომ აფხაზეთის მთელი მმართველობა იყოს მხოლოდ აფხაზთა ხელში[1850]. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 1926წ. 1 ივნისის პლენუმზეც ითქვა იმის შესახებ, რომ ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობამ, გაუმართლებელმა პრივილეგიებმა აფხაზებისათვის (სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება, მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილება, უპირატესობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე კადრების შერჩევისას და ა.შ.) გამოიწვიეს მოსახლეობის იძულებითი ასიმილაცია (გააფხაზება)[1851].

იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეროვნული შუღლის გაღვივება და ამ მოტივით საქართველოსაგან მისი ჩამოცილების გეგმის განხორციელება იყო, რასაც ცალსახად ადასტურებს პ. სიტინის ზემოთმოტანილი მოხსენებაც. ისიც ცხადია, რომ გასაბჭოებამდე ბოლშევიკები აფხაზეთში ავრცელებდნენ ხმებს საქართველოსაგან მისი გამოყოფის შესახებ, მოუწოდებდნენ აფხაზებს რუსეთთან მიერთებისაკენ[1852]. აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ წარმოადგენდა მხოლოდ პირველ ნაბიჯს ამ მოწოდებებისა თუ დაპირებების რეალიზაციის გზაზე, მიზნის მიღწევის ერთგვარ შუალედურ მოდელს, პოლიტიკური მოწყობის გარდამავალ ფორმას იმ ეტაპისათვის, როცა რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ რეგიონი ნაძალადევად გასაბჭოებული

[1846]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 474-480.

[1847]. ვრცლად ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 109-118.

[1848]. სოციალისტ-ფედერალისტი, 1926 წ. 26 ივლისი (იხ. აგრეთვე Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 478-480).

[1849]. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 351.

[1850]. Трудовая Абхазия, 1926, 19 ივნისს; იხ. აგრეთვე: კომუნისტი, 1926, 15 ივნისი. აფხაზეთის ხელისუფლებაში 14 ხელმძღვანელი პირიდან 1927 წ. იყო 9 აფხაზი, 3 ქართველი, თითო სომეხი და რუსი. 1929 წლისათვის სურათი ოდნავ შეიცვალა: 7 აფხაზი, 5 ქართველი, თითო რუსი და ბერძენი (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 801).

[1851]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[1852]. იქვე, გვ. 465.

საქართველოს იურისდიქციის მიღმა დააფიქსირა და ღიად დატოვა მისი შემდგომი ბედის (რუსეთთან თუ საქართველოსთან შეერთების) საკითხი[1853]. აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის მცდელობა ქართულმა საზოგადოებამ ჩაშალა; ამ ვერაგულ ჩანაფიქრს, როგორც ზემოთ ითქვა, წინ აღუდგა ინტელიგენცია. ზედმეტი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ი. სტალინი და გ. ორჯონიკიძე, ეტყობა, არ წავიდნენ მორიგ მძიმე დანაშაულზე, სამაგიეროდ მარჯვედ გაითამაშეს აფხაზეთის კარტი ურჩი საქართველოს დასასჯელად. აფხაზეთის დროებით „დამოუკიდებლობას“ რუსეთი იყენებდა საქართველოზე ზეწოლისათვის და აიძულებდა მას შეგუებოდა საბჭოთა წყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდა მხოლოდ „დროებით ჩამორთმეულ“ ტერიტორიას; აფხაზეთს კი ამ დროს მოჩვენებითი დამოუკიდებლობის უფლება საბჭოთა რუსეთისადმი გაორკეცებული ერთგულებით უნდა დაემსახურებინა, თუ არ სურდა კვლავ საქართველოსთან მიერთება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე, როცა იმპერიის მესვეურთა აზრით, მოიხსნა მისი დამოუკიდებლობის აღდგენის საფრთხე, აფხაზეთის სსრ-ს შემაკავებელი ფუნქცია ამოწურულად ჩაითვალა. გარდა ამისა, 20-30-ან წლებში მიმდინარეობდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიების რეორგანიზაცია. აფხაზებზე ბევრად მრავალრიცხოვანი ერები ავტონომიური ოლქების, საუკეთესო შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ინარჩუნებდნენ, ან ღებულობდნენ. სსრ კავშირის კონსტიტუციით, აფხაზეთიც ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა, საქართველოს კონსტიტუციით კი – საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. მისი მაგალითი, შესაძლოა, გადამდებიც გამხდარიყო სხვა ავტონომიებისათვის და საფრთხე შეექმნა რუსეთის მთლიანობისათვის. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აფხაზეთ-საქართველოს 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულება უკვე არ შეესაბამებოდა კონსტიტუციური გზით რეგულირებად რეალურ ურთიერთობებს.

ამ ვითარებაში სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამის აუცილებლობას გულისხმობდა, ალბათ, ნ.ლაკობა, როცა 1929წ. 4 ივლისს საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე განაცხადა: „კონსტიტუციური ურთიერთობა აფხაზეთსა და საქართველოს შორის ისეთნაირადაა ფორმირებული, რომ თვით აფხაზეთს მოუწევს რაღაცეების გასწორება თავის კონსტიტუციაში; საუბარი იმაზე, რომ აფხაზეთი უკმაყოფილოა საქართველოთი, სრული სისულელეა“[1854]. მისი თქმით, საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელების პოლიტიკური თანასწორობა დიდი ხნის უზრუნველყოფილია, მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად კი საქართველო ყველაფერს აკეთებდა. ეს იყო მინიშნება იმაზე, რომ აფხაზეთის რესპუბლიკამ თავისი მისია შეასრულა. 1930წ. 17 აპრილს აფხაზეთის ცაკ-ის III სესიამ განიხილა აფხაზეთ-საქართველოს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი. სესიისათვის აფხაზეთის მთავრობის მიერ მომზადებულ ცნობაში ნათქვამია: „იმასთან დაკავშირებით, რომ 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულებამ დაკარგა რეალური მნიშვნელობა და, შესაბამისად, იგი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც შეთანხმება აფხაზეთის სსრ და საქართველოს სსრ გაერთიანების შესახებ, ხოლო ამ რესპუბლიკების ნამდვილი ურთიერთობები ზუსტადაა განსაზღვრული მათ კონსტიტუციებში, – აუცილებელია ვაღიაროთ, რომ აფხაზეთის სსრ სახელწოდებას „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ რეალური შინაარსი არ გააჩნია“[1855]. მართლაც, ხელშეკრულების თანახმად, აფხაზეთის თუ საქართველოს კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებები ამიერკავკასიის და სსრ კავშირის გამგებლობაში გადავიდა; ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოსა და აფხაზეთის

[1853]. დაახლოებით იგივე ვითარება შეიქმნა უფრო ადრე ნახიჭევანის გარშემოც, რომელსაც ვერ იყოფდნენ აზერბაიჯანი და სომხეთი. 1920 წ. ივლისში გამოცხადდა ნახიჭევანის სსრ, მაგრამ 1923 წ. თებერვალში ის შევიდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში ავტონომიური მხარის სტატუსით, 1924 წლიდან კი – ავტონომიური რესპუბლიკაა (А. Ментешашвили. Исторические предпосылки, გვ. 68).

[1854]. Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 26.

[1855]. იქვე, გვ. 27.

კონსტიტუციებთანაც. ამიტომაც დაკარგა მან რეალური შინაარსი. სესიამ ეს გაითვალისწინა და კონსტიტუციიდან ამოიღო სახელწოდება „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ და იგი „ავტონომიური რესპუბლიკა“-თი შეცვალა[1856]. ამასთანავე, 1926წ. კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა გადასინჯვა არ მომხდარა.

კონსტიტუციაში შევიდა კიდევ ერთი ახალი ცვლილება – ცაკ-ს შეერწყა სახალხო კომისართა საბჭო. 1931წ. 11 თებერვალს ეს ცვლილებები დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ, რომელსაც ბაგაფში თავმჯდომარეობდა[1857]. ამიერიდან გაუქმებულად ჩაითვალა 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულება. ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ნ.ლაკობამ აღნიშნა: „საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებს შორის ურთიერთობის საკითხი მთლიანად გადაწყვეტილია“[1858]. მან გააკრიტიკა აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელიც, მისი აზრით, არ ითვალისწინებდა აფხაზური ენის შესაძლებლობებს და ცდილობდა ამ ენაზე „უთარგმნელის თარგმნას“, აგრეთვე იმის „დამტკიცებას, რომ აფხაზური ლიტერატურა ჯერ კიდევ ადამზე ადრე არსებობდა. ისტორიაში ის არ არსებულა და დაუსვით წერტილი“[1859]. ასეთი იყო ნ. ლაკობას ოფიციალური პოზიცია.

1931წ. 14 თებერვალს საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ მოისმინა საქართველოსა ცაკის მდივნის ს. თოდრიას მოხსენება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მან დაადასტურა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილება - აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. 1921წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულება კი ძალადაკარგულად გამოცხადდა[1860].

აფხაზეთისა და საქართველოს საბჭოების VI ყრილობების საკონსტიტუციო გადაწყვეტილებებს გუდაუთის რაიონში სეპარატისტთა გამოსვლები მოჰყვა, რომლებშიც ნ.ლაკობას დედაც მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ გამოსვლების უკან ნ.ლაკობა იდგა[1861]. მისი სიტყვა და საქმე ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ. ერთი მხრივ, ნ.ლაკობა საქართველოსთან ერთიანობას ქადაგებდა, მეორე მხრივ, ეთნოკრატიულ, კლანურ რეჟიმზე დაყრდნობით, სეპარატისტულ და შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდა[1862].

აფხაზეთის სსრ-ის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნამ, სერიოზული დარტყმა მიაყენა სეპარატისტებს, გამოაშკარავა ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ სიყალბე; მითი იმის შესახებ, თითქოს კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ „დაჩაგრულ“ და ამ „ჩაგვრის“ წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ აფხაზ ხალხს უბოძა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საპნის ბუშტივით გასკდა[1863].

შორს არის სინამდვილისაგან მტკიცება, თითქოს 1931წ. შეილახა „აფხაზეთის სუვერენული უფლებები“[1864]. არც 1921წ. ხელშეკრულებაში, არც 1926წ. კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ. სეპარატისტებს არ სურთ, თვალი გაუსწორონ სიმართლეს და აღიარონ, რომ 1931წ. აფხაზეთის კონსტუტუცია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის მოქმედ (1924 წლიდან) კონსტიტუციასთან, სადაც აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით არის დაფიქსირებული.

ცვლილებები აფხაზეთის კონსტიტუციაში განხორციელდა სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ პოლიტიკის კონტექსტში, რომელსაც XXს. 30-იან წლებში საბჭოთა რეჟიმი

[1856]. არ არსებობს მონაცემები, რომლებიც დაადასტურებენ სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ი.სტალინი მზად იყო, უარი ეთქვა აფხაზეთში კოლექტივიზაციის ჩატარებაზე თუ რესპუბლიკა ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში შევიდოდა (О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии, გვ. 343).

[1857]. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 125, 503-504.

[1858]. იქვე, გვ. 503.

[1859]. იქვე.

[1860]. Коммунистъ, 1931, 20 თებერვალი; Съезды Советов..., т. VI, გვ. 557-561.

[1861]. О. Бгажба, С.. Лакоба. История Абхазии, გვ. 347.

[1862]. ვრცლად ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 110-113, 117, 122-123; ჯ.ანჩაბაძე. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., 2005, გვ. 76.

[1863]. ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 118.

[1864]. О. Бгажба, С.. Лакоба. История Абхазии, გვ. 344.

ატარებდა. კერძოდ, მიმდინარეობდა ხელისუფლების ცენტრალიზაციის, სსრ კავშირის უნიტარიზაციის, კანონმდებლობის, პირველ რიგში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების უნიფიცირების პროცესი, რომელიც გამონაკლისს აფხაზეთისათვის ვერ დაუშვებდა. აღნიშნულმა პროცესმა მოითხოვა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადება. აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ (1935წ. 2-7 იანვარი) 1935 წლის 7 იანვარს დაამტკიცა კონსტიტუცია,[1865] რომელმაც განსაზღვრა ავტონომიის სამართლებრივი მდგომარეობა. თუ 1926წ. კონსტიტუცია ფორმალურად მაინც მიჯნავდა უფლებამოსილებას თბილისსა და სოხუმს შორის, 1935წ. კონსტიტუციამ სრული ცენტრალიზაცია დააფიქსირა – ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატი საქართველოს სათანადო უწყებებს დაექვემდებარა (მუხლი 42)[1866]. საქართველოს კონსტიტუციაშიც (მუხლი 78) შევიდა შესაბამისი დამატება, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად საბჭოების VII ყრილობამ (1935წ. 10-14 იანვარი) დაამტკიცა[1867].

აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ ცაკის თავმჯდომარის ნ.ლაკობას მოხსენების საფუძველზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ნორმა სამი სახელმწიფო ენის შესახებ ცხოვრებაში რეალურად არ ტარდება[1868]. ყრილობამ სოფლებში საქმისწარმოების მშობლიურ ენაზე გადაყვანა მოითხოვა[1869].

სსრ კავშირის უნიტარიზაციისა და ქვეყანაში ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936 წლის 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე „სტალინური კონსტიტუციის“ მიღებით ძირითადად დასრულდა[1870]. გაუქმდა (1936წ.) ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველო უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ (1936წ. 15 ნოემბერი, 1937წ. 10-13 თებერვალი) 1937წ. 13 თებერვალს მიიღო. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ (1936წ. 12-13 ნოემბერი, 1937წ. 30 ივლისი – 2 აგვისტო) მოისმინა ცაკის თავმჯდომარის ა.აგრბას მოხსენება და 1937წ. 2 აგვისტოს მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია[1871], საიდანაც გაქრა 1935 წლის კონსტიტუციაშიც შენარჩუნებული სახელმწიფოებრიობის ისეთი ატრიბუტებიც კი, როგორიცაა საკუთარი ღერბი და დროშა (მუხლები 83-84); სახელმწიფოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო ფორმალურადაც არ დარჩენილა არც საქართველოს და არც აფხაზეთის გამგებლობაში.

1937წ. მიღებული კონსტიტუციების შესაბამისად, საქართველოსა და აფხაზეთის ისედაც სუსტმა საბჭოურმა სახელმწიფოებრიობამ რეალური შინაარსი თითქმის დაკარგა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები მკაცრად ცენტრალიზებული ტოტალიტარული სახელმწიფოს – სსრ კავშირის უუფლებო ნაწილებად იქცნენ.

[1865]. **Съезды Советов... т. 6, გვ. 766-787.**

[1866]. **იქვე, გვ. 766-773.**

[1867]. **სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში). თბ, 1935, გვ. 248.**

[1868]. **ნ. ლაკობამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქმისწარმოება მშობლიურ (ქართულ) ენაზე გადავიდა მხოლოდ გალის რაიონში. – Советская Абхазия, 1935, 16 января.**

[1869]. **Советская Абхазия, 1935, 14 января; Съезды Советов..., т. 6, გვ. 764-765.**

[1870]. **კომუნისტური რეჟიმი ახალი კონსტიტუციის მიღებას სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების შექმნით ასაბუთებდა.**

[1871]. **Советская Абхазия, 1937, 4 августа.**

თავი XVIII. აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938–1990წწ.

აფხაზეთის 1937 წ. კონსტიტუციის საფუძველზე, რომელმაც განსაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური ორგანიზაციისა და სოციალურ–ეკონომიკური სისტემის საწყისები, მოხდა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფორმირება. 1938 წლის 12 ივნისს გაიმართა უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საბჭოს პირველმა სესიამ 1938 წლის 12-14 ივლისს აირჩია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (თავ-რე – მ. დელბა, მოადგილე – ი. ზარანდია) და აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს (თავ-რე – ა. რაფავა, მოადგილე – ი. ტანია) ახალი შემადგენლობა.[1872]

აფხაზეთში საბჭოური სოციალისტური წყობილების გენეზისისა და სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა საერთოიმპერიული კანონზომიერების ფარგლებში და საერთოსაკავშირო გენერალური მიმართულებების (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია,[1873] ახალი სოციალისტური მმართველობითი და გამანაწილებელი სისტემის ფორმირება, კომუნისტური იდეოლოგიური ორიენტაციის ინტელექტუალური ელიტის შექმნა და ა.შ.) რეგიონალური პროექციის საფუძველზე.

აფხაზეთში „სოციალიზმის მშენებლობის“ საფუძვლების დასრულებისა და განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის გამოცხადება, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ცხადია, ატარებდა უპირატესად იდეოლოგიურ, დოქტრინალურ ხასიათს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დასკვნა ემყარებოდა სავსებით რეალურ ობიექტურ საფუძვლებსაც. მათ განეკუთვნება: სამრეწველო ინდუსტრიის საფუძვლების შექმნა და ტოტალური აგრარული რეფორმა, აფხაზეთის სოციალური სტრუქტურის რადიკალური შეცვლა (30-იანი წლების დასასრულისათვის სოციალიზმის საყრდენად მიჩნეული ფენების ხვედრითი წილი შეადგენდა მოსახლეობის 80 %-ზე მეტს – მუშები 21 %-ს, გლეხობა – 60–61 %-ს), ახალი სოციალისტური ინტელიგენციისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელების ფორმირება. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში. აქტიურ ცხოვრებისეულ მოღვაწეობაში ჩაება თაობა, რომელიც აღიზარდა 20–30-იან წლებში და რომლისთვისაც სოციალიზმამდელი პერიოდი (მათ შორის 1918–1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველ ხალხთან ერთად დემოკრატიული და ავტონომიური პრინციპების საფუძველზე თანაცხოვრებისა და თანაგანვითარების ტრადიცია) უკვე ისტორიის კუთვნილება იყო. ამის გამო პროგრესულ–კონსერვატიული ანტისოციალისტური მოძრაობის ობიექტური შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხა.

სოციალისტური რეჟიმი აფხაზეთში შევიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაზაში. სწორედ ამ დროს რეგიონს გადაუარა მასობრივი სახელმწიფო ტერორისა და პოლიტიკური რეპრესიების ტალღამ, რომელმაც ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ასეულობით მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. უსაფუძვლო რეპრესიებს დაექვემდებარა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ოფიციალური მონაცემებით, 1937 წლის ივლისიდან 1938 წლის ოქტომბრამდე აფხაზეთში რეპრესირებულ იქნა 2186 ადამიანი, მათ შორის 794 – სასჯელის უმაღლესი ზომით.[1874] განსაკუთრებით გახმაურდა პროცესები ისეთ საქმეებზე, როგორიცაა „აფხაზეთში ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ორგანიზაციის შესახებ“ და „აფხაზეთში კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, საჯაშუშო და ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ“. უფრო ადრე, 1936 წელს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ აფხაზეთში კომუნისტური მოძრაობის ვეტერანები და, ამავე დროს, სეპარატისტული სოციალიზმის ცნობილი იდეოლოგები ნ.ლაკობა და ნ.აქირთავა.

1872 . საბჭოთა აფხაზეთი, 1938, 14-16 ივლისი.

1873 . გ. გასვიანი. აფხაზეთი XIXს. ბოლოსა და XX საუკუნეებში. თბ., 2004, გვ. 388-401.

1874 . , , 1991, გვ. 348.

პოლიტიკური რეპრესიები აფხაზეთში წარმოადგენდა დანარჩენ საქართველოსა და მთელ საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე სახელმწიფო ტერორის საერთო პროცესის ნაწილს. ეს იყო საერთო ტრაგედია, რომელიც იმპერიაში ინკორპორირებულ უკლებლივ ყველა ხალხს დაატეხა თავს ბოლშევიკურ-რადიკალურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულმა კომუნისტურმა სისტემამ და ტოტალიტარული სახელმწიფოს რეპრესიულმა ინსტიტუტებმა. ეს იყო უმკაცრესი პოლიტიკური დიქტატის, სახელმწიფო ტერორისა და სანქცირებული ძალადობის გზით საზოგადოების, მათ შორის ცალკეულ ეთნოსთა კულტურის, განვითარების ბლოკირების უნივერსალური სტრატეგია. ამ პროცესში აფხაზმა ეთნოსმა ისეთივე რეპრესიული ზეწოლა განიცადა, როგორიც გაცილებით დიდი მასშტაბით განიცადა ქართველმა ერმა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალმა სხვა ერებმა.

ამიტომ 30-იანი წლების მეორე ნახევრის პოლიტიკური რეპრესიების პრობლემატიკის ფარგლებში რომელიმე ხალხისთვის შედავათებისა „მინიჭების“ ხაზგასმა ისევე უსაფუძლოა, როგორც, ვთქვათ, კონკრეტულად აფხაზი ხალხის უფლებათა განსაკუთრებული შელახვის ან რეპრესიების სპეციფიკური ანტიაფხაზური ეთნოდივერსიული შემადგენლის თეორიული კონსტრუირება, როგორც ამას ცდილობს აფხაზური ისტორიოგრაფია. რეპრესიებმა უდიდესი ზიანი მიაყენა „სტალინის სამშობლოსაც“ მოსახლეობის ნაწილის ფიზიკური განადგურებისა და ციმბირში გადასახლების, ქართული არისტოკრატიისა და ინტელექტუალური ელიტის ლიკვიდაციის სახით.

აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოსა და მთლიანად საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ორგანულ ნაწილს, მის რეგიონალურ ვარიანტს. ამიტომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება წარიმართა საერთოდ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული იდეოლოგიის დამკვიდრების, კომუნისტური პარტიის დიქტატურის განმტკიცების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების არ არსებობის, სოციალისტური კულტურული მშენებლობის („ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის“) უნივერსალური პროცესის ფარგლებში.

განვითარების უნივერსალური ხაზის გარდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა მეორე პარალელური ტენდენცია, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე და მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდეც გასული საუკუნის დასასრულის დესტრუქციული პროცესები. ამ პარალელური პროცესის შინაგანი სტრუქტურა სამი საბაზისო იდეოლოგიური სისტემის – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ქართული იდეის, რუსული საბჭოთა იმპერიალიზმისა და აფხაზური სეპარატიზმის „თანაარსებობა–თანაგანვითარებასა“ და მათ ბაზაზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სუბსტრუქტურების სტრატეგიულ დაპირისპირებაში მდგომარეობს.

XXს. 40-იანი წლებიდან აფხაზეთი წარმოადგენდა ამ სამი იდეოლოგიური სისტემის, სამი მსოფლმხედველობრივი სამყაროს კონფლიქტის ველს. აფხაზეთის საზოგადოებრივი და კულტურული გარემო, მისი პოლიტიკური სივრცე ერთგვარად გაჯერებული იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ქართული იდეის, რუსული იმპერიალიზმისა და აფხაზური სეპარატიზმის პერმანენტული შეჯახების სხვადასხვა ეტაპებით. თითოეულ ამ სისტემას ჰქონდა საკუთარი სპეციფიკური ინტერესები, მიზნები, ისტორიულ-კულტურული კონცეფციები და, რაც მთავარია, აფხაზეთის ტერიტორიულ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდენტიფიკაციის საკუთარი მოდელები.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-იდეოლოგიური სივრცის ეს სამწევრიანი პლურალიზმი უმრავლეს შემთხვევაში მაინც პირობითი იყო და ბიპოლარიზმის ფორმატს ატარებდა, რადგანაც რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმი და აფხაზური სეპარატიზმი მაინც ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ საქართველოს წი-

ნააღმდეგ და აფხაზეთის სინამდვილეში ქმნიდნენ ქართული იდეის საპირისპირო ალტერნატივას.

აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში სამპოლუსიანი იდეოლოგიური „სამკუთხედის“ შიგნით სერიოზული სტრუქტურული კრიზისი დაკავშირებულია XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში გატარებული რეფორმების პოლიტიკასთან.

აფხაზური ისტორიოგრაფია და სეპარატიზმის იდეოლოგთა რიგი სხვა „კორპორაციები“ აღნიშნული რეფორმების (აფხაზური დამწერლობის გრაფიკული სისტემის რეფორმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმა) კრიტიკული ანალიზის დროს ავითარებენ კატეგორიულ თეზისს ამ რეფორმების „თბილისური წარმომავლობის“ და ანტიაფხაზური ქართულ-იმპერიული მიზანდასახულობის შესახებ. საფუძვლიანი არგუმენტაციისა და ობიექტური შეფასებების გარეშე ისინი ცდილობენ, რეფორმები განიხილონ საბჭოთა კავშირის მასშტაბით განხორციელებული ანალოგიური რეფორმისაგან მოწყვეტით, ერთგვარად ჩაკეტილი აბსტრაქტული მოდელის ფარგლებში, სურთ წარმოაჩინონ ისინი საქართველოს ლოკალურ ინიციატივად და ქართველ ხალხს დააბრალონ აფხაზი ერის თვითმყოფადობის მოშლის მცდელობა.

შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი მასალის ანალიზი და საბჭოთა კავშირის მასშტაბით კულტურული მშენებლობის სფეროში გატარებული ზოგადი პოლიტიკის ცალკეული სპეციფიკური ასპექტების გათვალისწინება ზემოხსენებული კონცეფციის არათუ კონსტრუქციული კრიტიკის, არამედ მისი სრული მოხსნის საშუალებას იძლევა.

30-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა სახელმწიფოში განხორციელებული „[illegible]ურული რევოლუციისა“ და „ლენინური ეროვნულ-კულტურული პოლიტიკის“ გატარების საერთო პროცესის ფარგლებში, კრემლმა მიიღო ერთი სპეციალური გადაწყვეტილება საბჭოთა იმპერიის ოთხსაფეხურიანი ფედერალური სისტემის მესამე და მეოთხე საფეხურების სუბიექტების – ავტონომიური რესპუბლიკების „სატიტულო მცირე ერების“ ანბანის შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დამწერლობის გრაფიკულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ[1875]. ფორმალურად ეს ანბანური რეფორმა არ ტოვებდა იმპერიულ-ასიმილატორული მიზანდასახულობის შთაბეჭდილებას და არ ჩანდა „მცირე ერებზე“ კულტურულ-ცივილიზაციური დარტყმის გამოვლინებად – „მცირე ერების“ დამწერლობა გადაჰყავდათ იმ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენის გრაფიკაზე, რომლის შემადგენლობაშიც ამ ერების ავტონომიური წარმონაქმნები შედიოდნენ. ამიტომ დამწერლობის სისტემა მოდიოდა გარკვეულ ჰარმონიზაციაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემასთან და მოკავშირე რესპუბლიკებზე ავტონომიური ერთეულების უშუალო დაქვემდებარების ზოგად პოლიტიკურ მოდელთან. თანაც ეს რეფორმა ხორციელდებოდა ოფიციალურად, ორგანული კანონმდებლობისა და კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში.

მაგრამ სულ სხვა ანალიტიკურ სიბრტყეში მოიაზრება რეფორმის ლატენტური მხარე, რომელიც რეალურად იმპერიულ-ასიმილატორულ ხასიათს ატარებდა, ოღონდ რუსიფიკაციის კონტექსტში. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის იმ პერიოდში მხოლოდ ოთხის – რსფსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ და საქართველოს სსრ – ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სტრუქტურას გააჩნდა ავტონომიური წარმონაქმნები, ხოლო მათგან მხოლოდ საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენას – ქართულ ენას ჰქონდა საკუთრივ ორიგინალური ანბანი, დანარჩენი რესპუბლიკების სახელმწიფო ენების დამწერლობა კი გაწყობილი იყო სლავურ-რუსულ ანბანზე, ე.წ. „კირილიცაზე“.

ამდენად, ცხადზე უცხადესია, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევრის „საანბანო რევოლუციის“ ძირითადი მიზანი იყო „მცირე ერების“ დამწერლობათა სისტემების

[1875] . ზ .პაპასქირი. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში. – საისტორიო ძიებანი, VI. თბ., 2003, გვ. 134.

გადაყვანა რუსულ-სლავურ გრაფიკულ სისტემაზე და უნიფიკაციის ამგვარი მოდელის ფარგლებში (ეს პროცესი წარიმართა 1938–1941 წლებში ლათინური შრიფტის „კირილიცაზე“ მასობრივი გადაყვანით) მათი კულტურულ-ინსტიტუციონალური რუსიფიკაციის ქმედითი ბაზისის შექმნა. აფხაზური დამწერლობის რეფორმა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დამწერლობის ლათინური შრიფტის[1876] გადაყვანა ქართულ გრაფიკულ სისტემაზე განხორციელდა „საანბანო რევოლუციის“ იმპერიული მოდელის ფარგლებს გარეთ, უფრო მეტიც, მისი ერთგვარი ალტერნაციის კონტექსტში. მაგრამ ამისი მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ი. სტალინის და ლ. ბერიას ეთნიკურ ქართველობაში, არც პიროვნების კულტისა და საბჭოთა რეჟიმის ტოტალიტარულ-რეპრესიული პოლიტიკის სპეციფიკურად ანტიაფხაზურ მიმართულებაში და განსაკუთრებით არც ქართველების მხრიდან აფხაზური ეთნოკულტურული თვითობის დესტრუქციის მცდელობაში, არამედ იმ სრულიად უდავო ლინგვოისტორიულ გარემოებაში, რომ ავტონომიების მქონე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებიდან მხოლოდ ქართული გამოირჩეოდა „კირილიცისგან“ დიამეტრალურად განსხვავებული ანბანური დამწერლობით. ცხადია, იმპერიული ცენტრი თავის გადაწყვეტილებაში ვერ მოახდენდა ამ ქართული სპეციფიკის ნეიტრალიზებას და საქართველოსთვის ცალკე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა.[1877]

უაღრესად საინტერესოა აფხაზეთში დამწერლობის სისტემის რეფორმის პროცესუალური მხარე. რეფორმის მომზადება დაიწყო 1937 წლის მაისში, როდესაც საქართვე-ლოს კპ(ბ) აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზური დამწერლობის ლათინური შრიფტის ქართულზე გარდაქმნის მიზანშეწონილობის შესახებ. ამის შემდეგ შეიქმნა რეფორმის მოსამზადებელი კომისია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივნის პ.შარიას თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში აფხაზი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები შევიდნენ: დ.გულია, ა.ჭოჭუა, მ.დელბა, ა.ხაშბა, დ.ჩაგავა, მ.ხაშბა.[1878] საგულისხმოა, რომ რეფორმის მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სწორედ აფხაზი ინტელიგენციისა და ნომენკლატურული ელიტის წარმომადგენლებმა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის დ.გულიას მოსაზრებანი აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის მიზანშეწონილობის შესახებ. თავის წერილში ის აღნიშნავდა: „ეს ღონისძიება, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს მთელი აფხაზური კულტურის განმტკიცებას და ზრდას, რადგანაც ქართული ანბანი არის ყველაზე შესაფერისი აფხაზური ენის ბგერების უფრო მთლიანი და სრულყოფილი გადმოცემისათვის“.[1879]

ეს არის რეფორმის ეთნოკულტურული და ეთნოლინგვისტური ოპტიმიზაციის და ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან თავისუფალი არგუმენტაციის კლასიკური მაგალითი, თანაც გამოთქმული აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსის მიერ. მართლაც, რა დიდი დისკუსია უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცებას, რომ აფხაზური ენისთვის, ორთოგრაფიისთვის და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მაკროოჯახის ფარგლებში მონათესავე ქართული ენის გრაფიკული სისტემა უფრო ოპტიმალურია, ვიდრე რუსულ-სლავური „კირილიცა“ ან ლათინური? ამის შესახებ მიუთითებდნენ XIX საუკუნის რუსი მოღვაწეებიც, მათ შორის „აფხაზური კირილიცის“ შემქმნელი პ. უსლარი.

[1876] . ჯერ კიდევ 1862-1865 წლებში გენერალ-ნუმიზმატ ი.ბართოლომეის და განსაკუთრებით პ.უსლარის მიერ რუსული შრიფტის საფუძველზე შექმნილმა და 1892 წელს კ.მაჭავარიანისა და დ.გულიას მიერ მოდიფიცირებულმა აფხაზურმა დამწერლობამ „ლათინიზაციის“ ორი ეტაპი გაიარა: 1926 წელს შემოღებულ იქნა ნ. მარის მიერ შედგენილი ლათინური შრიფტი (ე.წ. „ანალიზურ-იაფეტიდოლოგიური“), ხოლო 1928 წელს – ნ.იაკოვლევის მიერ შექმნილი ლათინური გრაფიკა, რომელიც 1938 წლამდე მოქმედებდა.

[1877] . ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ სომხეთში, რომლის შემადგენლობაში არ შედიოდა არცერთი ავტონომია, ამავე პერიოდში ქურთული დამწერლობა გადაყვანილ იქნა სომხურ გრაფიკაზე.

[1878] . , 1991, გვ. 348.

[1879] . , 1937 „ 11 .

1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში, ნ. მარის სახელობის კვლევით ინსტიტუტში გაიმართა სპეციალური თათბირი აფხაზი, ქართველი და რუსი მეცნიერების მონაწილეობით. თათბირზე წარმოდგენილ იქნა ანბანური რეფორმის ოთხი პროექტი (აკაკი შანიძის, სიმონ ჯანაშიას, დიმიტრი გულიასა და დ.გულია–ა.ჭოჭუა–მ.ხაშბას ერთობლივი პროექტი), რომელთა შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე სპეციალურმა კომისიამ[1880] 5 დეკემბრის დასკვნით სხდომაზე მიიღო ინტეგრირებული პროექტი.[1881]

როგორც თათბირის საოქმო აღწერილობა მეტყველებს, აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხი ფაქტობრივად სერიოზული დისკუსიის გარეშე იქნა განხილული. უფრო მეტიც, აფხაზ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს „სიტყვა არ დასცდენიათ აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანის იდეის საწინააღმდეგოდ“.[1882] საყურადღებოა ცნობილი აფხაზი მოღვაწის ხ.ბღაჟბას მიერ ახალი აფხაზური ანბანის შეფასება. ის წერდა: „ეს ანბანი სრულყოფილად გამოხატავდა აფხაზური სალიტერატურო ენის მთელ, სრულ ბგერით შედგენილობას“.[1883]

აფხაზური დამწერლობის რეფორმის პროცესი დასრულდა 1938 წლის თებერვალში, როდესაც პ.შარიას კომისიისა და 1937 წლის 4–5 დეკემბრის სამუშაო თათბირის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.

სეპარატისტთა მოსაზრება, თითქოს 1937–1938წწ. აფხაზური დამწერლობის გრაფიკული სისტემის რეფორმა წარმოადგენდა აფხაზური კულტურისა და ეთნოიდენტურობის წინააღმდეგ მიმართულ პროქართულ პოლიტიკურ აქციას, აბსოლუტურად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებადია. ამ პროცესის სხვადასხვა შემადგენელი ასპექტების ანალიზი, შემდგომ კი მათი ურთიერთდაკავშირება და ერთიან მთლიანობაში კონცეპტუალიზაცია შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1) 1937–1938 წლების რეფორმა წარმოადგენდა აფხაზური დამწერლობის ევოლუციის გარკვეულ ეტაპს („უსლარის ანბანის“, „ბართოლომეის კომისიის ანბანის“, „მაჭავარიან – გულიას ანბანის“, ნ.მარისა და ნ.იაკოვლევის „ლათინური ანბანების“ ეტაპების შემდგომ სტადიას), მისი გრაფიკული ტიპოლოგიის ქართული ციკლის დასაწყისს. ცნობილია, რომ ეს ციკლი აღმოჩნდა საკმაოდ მოკლევადიანი და 1954 წლამდე იარსება;

2) 1937–1938 წლების რეფორმა არ ყოფილა საქართველოს რესპუბლიკური პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობისა და ქართული ინტელექტუალური ელიტის ლოკალური ინიციატივა. ის წარმოადგენდა 30-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩამოყალიბებული კულტურული კონიუნქტურის, კონკრეტულად კი „ავტონომიური ერების“ დამწერლობის შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენის დამწერლობასთან უნიფიკაციის პროცესის ორგანულ შემადგენელ ნაწილს;

3) რეფორმა, პროცესუალური თვალსაზრისით, მომზადდა და განხორციელდა თანაბარზომიერი დიალოგისა და კონსენსუსის ფორმატში, აფხაზურ ინტელექტუალურ ელიტასთან სოლიდარიზმისა და სამეცნიერო კონსულტაციების რეჟიმში.

4) რეფორმას არ ჰქონია (და ვერც ექნებოდა) აფხაზური დამწერლობის ინტრაგენული ინფილტრაციის ხასიათი იმ ელემენტარული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, რომ აფხაზურ ენას (ისევე როგორც მსოფლიოს უმრავლესი ხალხების ენებს) არ გააჩნია თავისი ორიგინალური გრაფიკული სისტემა და საჭიროებს დამწერ-

---

1880 . კომისიის (თავმჯდომარე დ. გულია), 7 წევრიდან ხუთი აფხაზი იყო.

1881 . თ.გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – ბედია, №6-7, თბ., 2000, გვ. 89.

1882 . თ.გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის..., გვ. 88-89; ზ .პაპასქირი. მითი ქართველთა მხრიდან..., გვ. 9.

1883 . . . , I. , 1987, გვ. 28.

ლობითი გრაფიკის „სესხებას“. რეფორმამ აფხაზური დამწერლობის შრიფტი კი არ გააუქმა (არარსებული ვერ გაუქმდებოდა), არამედ მის რეციპიენტულ არსში ლათინური გრაფიკული „დონორი“ ქართულით ჩაანაცვლა. ამიტომ საუბარი ეთნოიდენტურობის ლიკვიდაციის მცდელობაზე მაშინ, როდესაც დამწერლობის გრაფიკული თვითიდენტურობა არ არსებობს, უბრალოდ არამეცნიერულია. მით უფრო, რომ ქართული გრაფიკის გაცილებით მეტი შესაფერისობა აფხაზური დამწერლობისათვის ლათინურთან და რუსულ-სლავურთან შედარებით სრულიად უდავო ლინგვისტური ფაქტია, რასაც თითქმის მთელი კავკასიოლოგია, თვით აფხაზური დამწერლობის რუსული შრიფტის შემქმნელი კოლონიზატორებიც კი აღიარებდნენ XIX საუკუნეში. არაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში საუკუნეების მანძილზე სწორედ ქართული მწიგნობრობა ბატონობდა.

რაც შეეხება 1945 წლის სასკოლო რეფორმას, ყველაზე ოპტიმალური გზა მისი მიუკერძოებელი ანალიზური სქემის შექმნისათვის აქაც მდგომარეობს მის განხილვაში ზოგადსაკავშირო საგანმანათლებლო-სასკოლო პოლიტიკის კონტექსტში. ამ გლობალური მაკროპედაგოგიკური „ფონის“ შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკ. კპ(ბ) ცკ-ის ორგბიუროს 1938 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებას, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირში საგანმანათლებლო სექტორის გარდაქმნის იმპერატიულ რეკომენდაციას. კერძოდ, დადგენილებაში აღნიშნულია: „ა) გარდაიქმნას განსაკუთრებული ეროვნული სკოლები (გერმანული, ფინური, პოლონური, ლატვიური, ესტონური, ბერძნული, იუორული და ა.შ.) ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად, ასევე გაუქმდეს ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული განსაკუთრებული ეროვნული განყოფილებები; ბ) ...აუცილებელია განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია მოხდეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანის გზით, შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე სწავლების შემოღებით...“[1884]

როგორც ვხედავთ, 1945–1946 სასწავლო წლიდან აფხაზეთში ინიცირებული სასკოლო რეფორმის (7 წლის დაგვიანებით მისი განხორციელების დაწყება საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხისადმი ფრთხილ მიდგომაზე მიუთითებს) საწყისი აღმასრულებელი არხი ისევ და ისევ მოსკოვის დირექტივა იყო და ეს ხორციელდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში. აფხაზური სასკოლო სისტემა, თავისი სპეციფიკური ნიშნების გამო, მთლიანად ექცეოდა 1938 წლის 24 იანვრის იმპერატიული დადგენილების რეალიზაციის არეში. სპეციფიკა კი სწორედ ე.წ. „აფხაზური სკოლის“ რელატიურ ხასიათში მდგომარეობს, რადგანაც აფხაზურ ენაზე მხოლოდ I–IV კლასებში სწავლებისა და V–X კლასებში სწავლების რუსულ ენაზე მიმდინარეობის გამო, ის არსებითად რუსულ სკოლას და აფხაზი ერის რუსიფიკაციის ინსტიტუტს წარმოადგენდა (სამწუხაროდ, ამჟამადაც ასეა). ასეთი ბინარული სტრუქტურის გამო „აფხაზური სკოლა“ აკმაყოფილებდა ზემოხსენებული დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულ „განსაკუთრებული ეროვნული სკოლის“ სტატუსსაც და „ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული ეროვნული განყოფილების“ სტატუსსაც, რადგანაც აფხაზურ ენაზე მხოლოდ I–IV კლასებში სწავლება აფხაზურ სექტორს მართლაც სკოლის ცალკე განყოფილებად აქცევდა. აი, რატომ მოექცა „აფხაზური სკოლა“ საბჭოთა ცენტრის დადგენილების მოქმედების არეალში.

ამასთან, 1945 წლის სასკოლო რეფორმის არსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს 1938 წლის 24 იანვრის იმპერატიული დადგენილების ბ პუნქტის ანალიზს. მასში დაგეგმილი რეფორმის ფორმალური პროცედურა ისეა წარმოდგენილი, რომ აფხაზეთის შემთხვევაში სწავლება უნდა შემოღებულიყო მხოლოდ ქართულ ან რუსულ ენაზე, ყოველგვარი სხვა ალტერნატივის გამორიცხვით. მაშასადამე, რეფორმას, აღნიშნული თვალსაზრისით, ხელი უნდა შეეწყო აფხაზი ხალხის დერუსიფიკაციისა და ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში რეინტეგრაციისათვის.

[1884] . ციტირებულია: ზ. პაპასქირი. მითი ქართველთა მხრიდან..., გვ. 19.

რასაკვირველია, ეროვნული სკოლის არარსებობა იყო და არის აფხაზი ხალხის ტრაგედია, გამოწვეული რუსულ-იმპერიული დიდმპყრობელური შოვინიზმით. შეუძლებელია კულტუროსანი ადამიანის შემეცნებაში, მით უმეტეს, კულტუროსანი ქართველის გონებაში არ წარმოშვას ერთგვარი უკმარისობისა და ზნეობრივი სოლიდარობის გრძნობა იმ გარემოებამ, რომ თვითმყოფადი ტრადიციების, ადათ-წესების, ეპოსის და სხვა სულიერ-კულტურული ინსტიტუტების მქონე აფხაზ ხალხს არ გააჩნდა ეროვნული სკოლა – კულტურული და საგანმანათლებლო სოციალიზაციის ეს ფუნდამენტური არხი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ხოლო ამ ფაქტის მიზეზი საბჭოთა-რუსული იმპერიალიზმის პრაქტიკაში დევს.

1945 წლის სასკოლო რეფორმის ინიციატივა მოდიოდა საკუთრივ აფხაზური პედაგოგიური კორპუსისაგან. 1944 წლის 28 აგვისტოთი თარიღდება ცნობილი აფხაზი პედაგოგის, მოქვის საშუალო სკოლის დირექტორის ბ. კაციას წერილი პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისადმი, რომელშიც სათანადო არგუმენტების მოხმობის საფუძველზე ავტორი გადაჭრით წერდა: „მე მიმაჩნია, რომ აფხაზურ სკოლებში სწავლება უნდა გადავიდეს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზური ენა დარჩეს, როგორც საგანი“[1885]

ანალოგიური ხასიათის საინიციატივო მიმართვები საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ინსტანციების მისამართით გააკეთეს: ნ.გერიამ (აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის მოადგილემ), სახალხო განათლების ოჩამჩირის რაიონული განყოფილების უფროსმა ა. მარღანიამ და პედაგოგმა ს. აშვანბამ (1944 წლის 3 ოქტომბერს), ბედიის პირველი აფხაზური სკოლის დირექტორმა მ. ბუავამ (1944 წლის 30 დეკემბერს),[1886] ასევე აფხაზური ელიტის სხვა წარმომადგენლებმა. ბ. საღარიას მტკიცება, თითქოს ხსენებული პედაგოგები წინასწარ „დაამუშავეს“ საოლქო კომიტეტის თათბირზე, აბსოლუტურად უსაფუძვლოა[1887], რადგანაც მან ვერ მიაკვლია ამ თათბირის შესახებ არათუ საოქმო აღწერილობას, არამედ რაიმე ხელშესახებ რეპრეზენტატულ მასალას.

1945 წლის 9 იანვარს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა შექმნა სასკოლო რეფორმის მოსამზადებელი სპეციალური კომისია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ.დელბას მეთაურობით. ორთვიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, 12 მარტს კომისიამ საოლქო კომიტეტში სათანადო დასკვნა წარადგინა.[1888] დასკვნაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასკოლო რეფორმის განმაპირობებელ ისეთ მიზეზობრივ ფაქტორებზე, როგორიცაა აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართული ენის ცოდნა, ქართული და აფხაზური ენების ლექსიკური სიახლოვე და ერთიანი ანბანური სისტემა. ცხადია, აფხაზური სკოლის ინსტიტუციური და საგნობრივი რუსიფიკაციის დაუშვებლობის არგუმენტი დასკვნაში ღიად ვერ დაფიქსირდებოდა, არადა, სწორედ ეს იყო რეფორმის ფაქტობრივი და, ასე ვთქვათ, ანონიმური მიზანდასახულობა.

კომისიის დასკვნის საფუძველზე, 1945წ. 13 მარტს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა 1945-46 სასწავლო წლიდან აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანას. იმავე წლის 13 ივნისს ეს დადგენილება დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.[1889] რეფორმა მართლაც 1945-46 სასწავლო წლის დასაწყისიდან განხორციელდა. 1947წ. თებერვალში აფხაზი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა (კ. შაყრილი, გ. ძიძარია და ბ. შინქუბა) მოსკოვში გაგზავნა (ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. კუზნეცოვის აპარატში) სასკოლო რეფორმის საწინააღმდეგო საპროტესტო

[1885] . **В . Пачулия. Советы Абхазской АССР в период великой отечественной войны (1941-1945гг). Сухуми 1990, გვ. 115.**

[1886] . იქვე.

[1887] . აფსნი ყაფშ, 1989, 2 აგვისტო.

[1888] . , 1991, გვ. 360.

[1889] . იქვე, გვ. 361.

წერილი[1890]. მაგრამ მასში მოყვანილი ფაქტები, ისევე როგორც წერილის ზოგადი ტენდენცია, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

აფხაზურ სკოლებში სწავლების გადაყვანამ რუსულიდან ქართულ ენაზე ხელი შეუწყო აფხაზური ენის განვითარებას. ქართულ სკოლებში მისი სწავლება სავალდებულო გახდა. ბ. შინქუბა თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა: „იმ წელს (1945 – ავტ.) დავბრუნდი სოხუმში, მუშაობა დავიწყე აფხაზურ ინსტიტუტში. ვამუშავებდი აფხაზური ენის სიტყვის აგებულების საკითხს, ვაკეთებდი შენიშვნებს აფხაზურ ენაში მახვილის შესახებ. შევუდექი აფხაზური ზეპირსიტყვიერების მუდმივად ჩაწერას. მონაწილეობა მივიღე აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენაში, დავწერე და ახლაც გამოიცემა აფხაზური ენის გრამატიკა II და III კლასებისათვის.“[1891] მეორე მსოფლიო ომის წლებში გამოიცა პოეტური კრებულები აფხაზურ ენაზე: „სამშობლოსათვის“ (1941წ.), „წინ, დასავლეთისაკენ“ (1942წ.), „სიმღერები სამშობლოზე“ (1943წ.). გარდა ამისა, 1938 – 1954 წლებში აფხაზურ ენაზე გამოქვეყნდა აფხაზ პოეტთა – ბ. შინქუბას, ა. ლასურიას, ა. ჯონუას, ჭ. ჯონუას და სხვათა კრებულები.[1892]

მოტანილი მასალა სავსებით საკმარისია იმ ელემენტარული ჭეშმარიტების სამტკიცებლად, რომ აფხაზური ენა და ლიტერატურა არათუ შევიწროებას, არამედ ქართული კულტურული ძალების, ასევე ხელისუფლების მხარდაჭერითა და დახმარებით აშკარა აღმავლობას განიცდიდა.

ცალკე განხილვის სფეროა XX საუკუნის 40-იან წლებში აფხაზეთის ონომასტიკონში, კონკრეტულად კი ტოპონიმიკაში მომხდარი ცვლილებები. ეს საკითხიც სეპარატისტთა მხრიდან მუდმივი სპეკულაციის საგანს წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდში და წარმოადგენს დღესაც.

1940 წლის 14 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა „დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის კომისია“ მ.ხაშბას თავმჯდომარეობით[1893]. კომოსიის წევრები იყვნენ და ტოპონიმ-ჰიდრონიმების შეცვლის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო მესვეურები – დ. გულია და ა. ჭოჭუა (აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი). კომისიის წარდგინებათა საფუძველზე 1940–1944 წლებში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ განახორციელა დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა გარდაქმნის სრულმასშტაბიანი აქცია.

ტრანსკრიფციათა ძირითადი ქრონოლოგიური და ონომასტიკური ნუსხა ასეთია (პირველად მითითებულია ძველი, მეორედ კი – ახალი სახელწოდებანი): 1943 წლის 10 მაისს – ვოლოდაროვსკის, გრადენბერგისა და ნეიდორფის ნაცვლად – ახალი სოფელი (სოხუმის რაიონი);[1894] 1943 წლის 8 სექტემბერს – ანასტასიევკის, ვლადიმიროვკისა და ოლგინსკოეს ნაცვლად – შესაბამისად, განახლება, კოდორი და ოქტომბერი (გულრიფშის რაიონი); 1943 წლის 21 ოქტომბერს – პილენკოვოს ნაცვლად – განთიადი (გაგრის ზონა); 1943 წლის 23 დეკემბერს – ბეშკარდაშის, ეკატერინოვკასა და მიხაილოვკას ნაცვლად – შესაბამისად, მთის-უბანი, კელასური და შრომა (სოხუმის რაიონი); 1944 წლის 12 იანვარს – ქრისტოფოროვოს ნაცვლად – ბაღნარი (გაგრის ზონა), კონსტანტინოვკასა და ანდრეევკას ნაცვლად – შესაბამისად, ოდიში და ახალშენი (სოხუმის
რაიონი) და ზახაროვკას ნაცვლად – ხევი (გულრიფშის რაიონი); 1944 წლის 12 ივნისს – ერმოლოვსკისა და სალმეს ნაცვლად – ლესელიძე (გაგრის ზონა).[1895]

როგორც ვხედავთ, 1940–1944 წლების ცვლილებებს ჰქონდა აფხაზეთის რუსულ-თურქული (და არა აფხაზური) ონომასტიკის დაშლის მიზანდასახულობა.

1890 . აფხაზეთის ლაბირინთი, 1999, გვ. 25-26.

1891 . ბ. შინქუბა წლების ნაკვალევი. წიგნიდან – თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. III. სოხუმი, 1989, გვ. 540 (აფხაზურ ენაზე). აქ და სხვა შემთხვევებში აფხაზური ენიდან თარგმნილი მასალა მოგვაწოდა პროფ. თ. გვანცელაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

1892 . აფხაზური ლიტერატურის ისტორია, წიგნი I. სოხუმი, 1986 (აფხაზურ ენაზე).

1893 . . . დასახ. ნაშრ., გვ. 15.

1894 . . . . , 1985, გვ. 45.

1895 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17.

გაუგებარია, რატომ უნდა გამოეწვია აფხაზი ხალხის ღირსების, ისტორიისა და კულტურის შელახვა რუსული და თურქული ტოპონიმების შეცვლას. ეს ტოპონიმები ხომ ნამდვილად არ იყო უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები და წარმოადგენდნენ აფხაზეთის რუსული კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინ-ფილტრაციის შედეგს.

აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის იდეა და მისი იურიდიული, ეკონომი-კური და პოლიტიკური ასპექტების დამუშავების მცდელობა ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში შეიქმნა აფხაზეთისა და სოჭის ოლქის კურორტების გაერთიანების და ამის ბაზაზე მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარებით ერთიანი შავიზღვისპირა საკურორტო ოლქის შექმნის პროექტი. აფხაზეთის გეოგრაფიული ნომენკლატურისა და საკურორტო ინდუსტრიის განვი-თარების იმდროინდელი დონის გათვალისწინებით, ეს იყო საქართველოს ტერიტორიული დეკონსტრუქციის გეგმა.

აფხაზეთში საკურორტო ინფრასტრუქტურის ქსელი მოიცავდა შავი ზღვის სანაპირო ზოლს მდ.ფსოუდან მდ.კოდორამდე, რომლის შეერთებით სოჭის ოლქის სა-კურორტო ქსელთან უნდა ჩამოყალიბებულიყო განსაკუთრებული საკურორტო ოლქი, თანაც იმპერიული ცენტრის პირდაპირი იურისდიქციის ქვეშ, რეგიონალური კომუნის-ტური ადმინისტრაციის სახელისუფლებო პრეროგატივების გამოთიშვით. პროექტი წარმოადგენდა საქართველოს მიმართ რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმის თვისობრივად ახალ ფორმას, რადგანაც მისი ტერიტორიის ნაწილის ანექსიის და ერთიანი პოლიტიკური სივრცის დაშლის მოტივაციად საკურორტო ინდუსტრიის გაუმჯობე-სების იდეას ავითარებდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, „საკურორტო იდეოლოგია“ ნამდვილად ახალი და ორიგინალური ფენომენი იყო საბჭოთა კოლონიალიზმის იდეოლოგიურ არსენალში. ამავე დროს, პროექტს ანტიაფხაზური მიმართულებაც ჰქონდა, რამეთუ მის რეალიზაციას უნდა მოჰყოლოდა რეგიონში ავტონომიური სახ-ელისუფლებო ინსტიტუტების გაუქმება და საბჭოთა ცენტრს დაქვემდებარებული საკურორტო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, ე.ი. აფხაზეთის ავტონომიის ლიკვიდაცია.

„საკურორტო რესპუბლიკის“ შექმნის იმპერიული იდეა პირველად გააჟღერა სა-კავშირო კპ(ბ) ცკ-ს მდივანმა მ. სუსლოვმა 1945 წელს, როგორც ამას აღნიშნავს თავის მემუარებში აკ. მგელაძე, 1943–1951 წლებში საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი.[1896] თუმცა, როგორც ჩანს, მ.სუსლოვის ამ ავანტიურისტულ აქციას საკითხის წამოჭრისა და ვითარების წინასწარი ზონდირების ფუნქცია უნდა ჰქონოდა მხოლოდ.

გაცილებით მასშტაბურად დადგა ინტეგრირებული საკურორტო ოლქის ფორმირე-ბის საკითხი 1948 წელს, რადგანაც მისი განხილვის ინიციატივა წამოვიდა უკვე ი.სტალინის უშუალო გარემოცვის, კერძოდ, ცკ-ს განსაკუთრებული განყოფილების უფროსისა და სტალინის პირადი მდივნის ა.პოსკრებიშევის მხრიდან.

1948 წლის შემოდგომაზე, აფხაზეთში ი.სტალინის დასვენების დროს, ერთ-ერთ არაოფიციალურ სადილზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კპ(ბ) ცკ-სა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნები კ.ჩარკვიანი და ა.მგელაძე, ასევე საქართველოს უშიშროების მინისტრი დ. რაფავა, ა. პოსკრებიშევმა კვლავ წამოჭრა აღნიშნული საკითხი. „რას ფიქრობენ აფხაზი და ქართველი ამხანაგები, – აღნიშნა მან, – თუ სოხუმს, ახალ ათონს, გუდაუთასა და გაგრას გავაერთიანებთ და ერთიან საკურორტო ოლქს შევქმნით, მომარაგება უკეთესი იქნება...“,[1897] ამაზე ა.მგელაძემ და კ.ჩარკვიანმა უპასუხეს, რომ ეს ნიშნავს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას და საქართველოსაგან მის მოგლეჯას.[1898]

თავი რომ დავანებოთ ტიპური კომუნისტი ფუნქციონერისათვის დამახასიათებელ უკიდურეს ცინიზმს, რომელსაც ის ყოველგვარი მორალური და სამართლებრივი

[1896] . . . . . ., 2001, გვ. 108.

[1897] . იქვე.

[1898] . იქვე..

კრიტერიუმების მიღმა მყოფი კაცი აყენებს საკითხს გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოტივაციით ქვეყნისაგან ძირძველი ისტორიული კუთხის ჩამორთმევის შესახებ, საკურორტო ოლქის შექმნის იდეის წამოჭრა უკვე სერიოზული რისკის ფაქტორის ტოლფასი იყო: ცხადი გახდა, რომ პროექტის დამუშავება და ოფიციალური ობიექტივაციისათვის მისი მომზადება ხორციელდებოდა უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ინსტანციების და, შესაძლოა, თვით ი.სტალინის დონეზე.

საკურორტო ოლქის შექმნის პროექტი არ განხორციელებულა. სამწუხაროდ, ა.მგელაძის მემუარები, რომლებიც წარმოადგენს მკვლევართა ხელთ არსებულ ერთადერთ წყაროს, საკითხს პროექტის ჩაგდების მიზეზების შესახებ ფაქტობრივად ღიად ტოვებს. ამ მიზეზების ანალიზი უაღრესად ძნელია ნებისმიერ კონცეპტუალურ კონსტრუქციაში. ა.პოსკრებიშევთან საუბრის დროს ა. მგელაძის მინიშნების – პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოში მოსალოდნელი საპროტესტო მოძრაობის შესახებ – მიზეზად დასახელება დამაჯერებელი ვერ იქნება. თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარიზმის არსს და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს, ასევე სწორედ 1948 წლისათვის რეპრესიების ახალი ტალღის დასაწყისს.

მთავარი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს პროექტის ჩაშლა, შეიძლებოდა ყოფილიყო ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პირობებში ამ გრანდიოზული ინფრასტრუქტურული საკურორტო გეგმის ფინანსურ-ეკონომიკური სიძვირე, ასევე რადიკალური შეუსაბამობა საბჭოთა ფედერალიზმის კონსტიტუციურ სისტემასთან, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურირება კურორტოლოგიის (?) პრინციპების საფუძველზე. მოვლენათა ლოგიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მძლავრი იმპულსი საკურორტო ოლქის პროექტის ცენტრში ჯერ დამუხრუჭების, შემდეგ კი ჩაშლის პროცესში ყოფილიყო ლ.ბერიას პოლიტიკური კლანის ზეწოლა.

მიუხედავად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მოღვაწეობის და კონკრეტულად ლ. ბერიას რეპრესიული პოლიტიკის კრიტიკისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებისა და 50-იანი წლების დასაწყისის კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში საბჭოთა იმპერიის უმაღლეს იერარქიაში ლ.ბერიას პოლიტიკური კლანის ფაქტობრივმა ბატონობამ უზრუნველყო ქართული ინტერესების რეგულირება აფხაზეთში, რითაც მათი დამცავი მექანიზმის და აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის პრევენციის როლი შეასრულა.

ლ. ბერიას პოლიტიკურ ფიგურაში, ტიპური საბჭოთა ჯალათისა და რეპრესიული სტრუქტურის ორგანიზატორის თვისობრივ მახასიათებლებთან ერთად, აშკარად შეიმჩნევა ქართული რეგიონალურ-ლოკალური ეგოცენტრიზმის ნიშნებიც. მისი პოლიტიკური კლანის მიერ 1938–1953 წლებში აფხაზეთში გატარებული პოლიტიკა, ამ პოლიტიკის ოფიციალური საბჭოთა შემადგენელი ელემენტების პარალელურად, შეიცავდა კულტურული და დემოგრაფიული პროცესების ქართული ინტერესების შესაბამისად პროგრამირების ლატენტურ სტრატეგიას. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში XXსაუკუნის 40-იან წლებში[1899]. ეს იყო არა აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია, არამედ სახელმწიფო დონეზე გატარებული ღონისძიება, რომელმაც უზრუნველყო რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის (ქართველებისა და აფხაზების) ეროვნულ-კულტურული განვითარება.

1953 წლის მარტში ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ძალაუფლებისათვის მძაფრი ბრძოლის შედეგად დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა გარკვეული გავლენა მოახდინა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე და არსებითად განსაზღვრა კიდეც შემდგომი დესტრუქციული პროცესების მიმართულება. იმავე წლის შემოდგომაზე განხორციელდა რეგიონალური ნომენკლატურის შეცვლა. მოსკოვის კარნახით,

[1899] . ვრცლად იხ.: ზ.პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 148-153.

საქართველოს კპ ცკ-ის „რეკომენდაციით“ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 1953 წლის 2 ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებით, საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე გ. ქარჩავა შეცვალა გ. გეგეშიძემ; იმავე დღეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადააყენა მ. დელბა და დანიშნა ა. ლაბახუა.[1900] 1953 წლის მეორე ნახევარში მოხდა რუსულენოვანი აფხაზური და სომხური სკოლების აღდგენა. 1954 წლის მარტ-აპრილში აფხაზური დამწერლობა ქართული გრაფიკული სისტემიდან გადაიყვანეს არა ლათინურზე, როგორც ეს იყო 1938 წლამდე, არამედ რუსულ-სლავურ „კირილიცაზე“, რითაც შეიქმნა აფხაზთა რუსიფიკაციის მძლავრი კულტუროლოგიური მექანიზმი.

1954 წლის იანვარში მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება საქართველოს სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. იგი მოითხოვდა თბილისში რუსული პედინსტიტუტის დაარსებას, ამავე დროს, აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის აო-ს სკოლებში რუსული ენის გაფართოებულ სწავლებას.[1901] საგულისხმოა, რომ დადგენილება არ ითვალისწინებდა აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლების აღდგენას ან თავიდან შემოღებას, რაც იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ ენებზე სწავლება არასოდეს გაუქმებულა.

თუმცა, აღსანიშნავია ასევე პოზიტიური კულტურულ-საგანმანათლებლო ინოვაციებიც, რომლებიც გამიზნული იყო აფხაზი ერის კანონზომიერი კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. მაგალითად, 1953 წლიდან სოხუმის ა.გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრა, გაიხსნა ფილოლოგიური ფაკულტეტის აფხაზური სექტორი.[1902]

იმპერიული ცენტრი დაადგა აფხაზეთში ქართული და აფხაზურ-სეპარატისტული ინტერესების პერმამენტული შეჯახებებისა და მათი მედიატორული რეგულირების, ესე იგი მართვადი დაძაბულობის სტრატეგიას. სეპარატისტულ „ეროვნულ“ იდეას და კომუნისტური ვარიანტის ეთნონაციონალიზმს სჭირდებოდა სეპარატიზმის მატარებელი სოციალური კასტა. სეპარატისტული სოციალური კორპორატივიზმის სპეციფიკურ გამოვლინებას წარმოადგენდა აფხაზური ეთნოკრატიის ჩამოყალიბება.

აფხაზური ეთნოკრატია არის პრივილეგირებული ეთნიკურ-პოლიტიკური კლასი, გარკვეულ-წილად კასტური პრინციპით ორგანიზებული ჩაკეტილი ეთნოკორპორაცია, აფხაზი ეთნოსის პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზაცია ისეთი ნომენკლატურის შექმნის გზით, რომლის ფორმირების უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენდა ინდივიდის აფხაზური ეთნიკური წარმომავლობა.

50-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული, უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კრემლიდან მართვადი პროცესის ფარგლებში განვითარებულმა ეთნოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია სტაბილური ეთნიკური ნომენკლატურის შექმნა, თითქმის ყველა დონეზე დივერსიფიცირებული სტრუქტურით – ეთნიკური პარტოკრატიით, ეთნიკური ბიუროკრატიით, ეთნიკური სამეურნეო–კორპორაციული ელიტით, ეთნიკური სამეცნიერო-შემოქმედებითი ბიუროკრატიით და სხვა სოციალურ-იერარქიული „სტრატებით“.

თავისი ინსტიტუციური დიზაინითა და შიდაპოლიტიკური ანთროპოლოგიით აფხაზური ეთნოკრატია გამოირჩევა არაერთგვაროვნებით, რაც გამოიხატა მისი ე.წ. „გუდაუთური“ და „ოჩამჩირული“ სექტორების თანაარსებობაში. ამას, თავის მხრივ, ისტორიული ძირები აქვს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობეს ეს ჰეტეროგენობა და შინაგანი დუალიზმი, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზი ეთნოსი იყოფა ორ სუბეთნოსად – გუდაუთის, იგივე ჩრდილო-დასავლეთის და ოჩამჩირის, იგივე სამხრეთ-აღმოსავლეთის, – რაც „ბზიფელი აფხაზებისა“ და „აბჟუის აფხაზების“ ისტორიული დუალიზმის გაგრძელებაა. დღემდე შენარჩუნებულია განსხვავება სუბეთნოსებს შორის

1900 . საბჭოთა აფხაზეთი, 1953, 4 ოქტომბერი.
1901 . აფსნი ყაფშ, 1954, 8 იანვარი.
1902 . , 1991, გვ. 368-369.

დიალექტსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროში. ეთნოკრატიამ უზრუნველყო შემდეგი სამი იმპერიული ფუნქციის რეალიზაცია:

ფუნქცია პირველი – ეთნოკრატია უზრუნველყოფდა რაოდენობრივად მცირე აფხაზი ეთნოსის პრივილეგირებულ სტატუსს და პოლიტიკურ ბატონობას ავტონომიურ რესპუბლიკაში. იმის გამო, რომ აფხაზთა ეთნოკრატიული სტატუსი მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივ-კულტურული მახასიათებლების არაეკვივალენტური იყო, აპრიორულად არსებობდა ქართველთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა უკმაყოფილების საფუძველი. ამით ეთნოკრატიული მეთოდი თავის თავში შეიცავდა კონფლიქტური სიტუაციის იმანენტურ წყაროებს, რომელთა გაღვივების შემთხვევაში კრემლი უზრუნველყოფდა „გათიშე და იბატონე“-ს იმპერიული მექანიზმის ამოქმედებას.

ფუნქცია მეორე – აფხაზური ეთნოკრატია წარმოადგენდა ჩაკეტილ, კასტურ სისტემას. მისი კორპორაციული არატრანსპარენტულობა, ერთგვარი დისტანცირება ქართული ელიტისაგან და საერთო-ქართული პრობლემებისაგან სტიმულს აძლევდა ეთნოკრატიის პოლიტიკურ ავტარკიას. ავტარკიიდან სეპარატიზმამდე კი ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ფუნქცია მესამე – აფხაზური ეთნოკრატია იყო სეპარატიზმის მთავარი წყარო, მისი იდეური და ორგანიზაციული ბირთვი, სეპარატისტული პოლიტიკური კონიუნქტურის ერთგვარი მატრიცა. ის წარმოადგენდა სეპარატისტული მოძრაობის წარმმართველ ძალასაც და მოსკოვთან მის დამაკავშირებელ პირდაპირ არხსაც. თეორიულად აფხაზური ეთნოკრატიის ეს ფუნქცია შეიძლება შეფასდეს, როგორც შიდა კოლონიალიზმი და ამ ფორმით საბჭოთა კოლონიალიზმის რეგიონალური მიკროვარიანტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ შემდგომში ძირითადი სეპარატისტული პარტიები თუ გაერთიანებანი აფხაზური ეთნოკრატიის სხვადასხვა დაჯგუფებების წიაღში წარმოიშვნენ.

ეს ფუნქციური ტრიალიზმი სრულიად ლოგიკურად და არაორაზროვნად მიუთითებს კრემლის მიზნებზე – თუ რატომ დაადგა ის წინასწარ დაგეგმილი და დაპროგრამებული მართვადი პოლიტიკის გზით აფხაზეთში პრივილეგირებული ეთნოკორპორაციული ელიტის შექმნის კურსს: იმიტომ, რომ შესაბამის ვითარებაში გამოეყენებინა აფხაზური ეთნოკრატია საკუთარი იმპეროკრატიული ამბიციების დაკმაყოფილებისათვის, ტრადიციული იმპერიული მექანიზმის „გათიშე და იბატონე“-ს ამოქმედებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეკავება-დამარცხებისათვის, ან, ყოველი შემთხვევისათვის, მისი სტაბილური განეიტრალებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური ეთნოკრატიის ჩამოყალიბება დაიწყო საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ნ. ხრუშჩოვის მოსვლისა და პარტიულ-პოლიტიკური ელიტის პოსტსტალინურ გენერაციაში პროაფხაზური ლობის წარმოქმნის შედეგად. სწორედ ამ პერიოდში იღებს სათავეს ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნოკრატიული მოდელის პარტიულ-სახელმწიფო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და საგანმანათლებლო სტრუქტურების ფორმირების ეტაპობრივი პროცესი.

აფხაზური ეთნოკრატიისა და სეპარატისტული პოლიტიკური კონიუნქტურის ფორმირების ყოველი სტადია წინასწარ იყო დაგეგმილი და მათ იმპერიული ცენტრიდან ინსპირირებული აფხაზური გამოსვლების მიმართ გამოვლენილი „იძულებითი“ ოპერატიული რეაქციის ფორმა ჰქონდათ. ასე იყო 1957, 1967, 1977–1978 და 1988–1989 წლებში, რაც ერთობლიობაში წარმოადგენს აფხაზური სეპარატიზმის გენეზისის სტადიალურ ქრონოლოგიას – ოფიციალური მოსკოვიდან ინსპირირებული სეპარატისტული პოლიტიკური მოთხოვნებისა და ინიციატივების ცალკეული ტალღების სახით, რომელთა დროსაც ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურ უმცირესობას ეძლეოდა გარკვეული პრივილეგიები და ეთნიკური პრეფერენციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. პირველი ასეთი დესტრუქციული გამოსვლა მოხდა 1957 წელს. კრიზისული ვითარების წარმოქმნის საბაბად დესტრუქციულმა ძალებმა გამოიყენეს ქართველი მეცნიერის პ.ინგოროყვას

წიგნის „გიორგი მერჩულე“ – გამოქვეყნება (1954 წელს) და აფხაზეთის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე მასში წამოყენებული დებულებების განხილვა ქართული აკადემიური ისტორიოგრაფიის წრეებში (1956წ.). ამასთან დაკავშირებით, გარკვეულმა ძალებმა ააგორეს ანტიქართული საპროტესტო მოძრაობა და მასში ჩააბეს ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი მოსახლეობის ნაწილი. ამ მოძრაობის კატალიზატორად იქცა სკკპ ცკ-ს 1956 წლის 10 ივლისის ზემოთხსენებული დადგენილება (აქვე, გვ. 33).

1957 წლის 11–13 აპრილს სოხუმში გაიმართა 200 კაციანი საპროტესტო აქცია პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობასთან. მღელვარებას ჰქონდა ადგილი ა.გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აფხაზი ინტელიგენციის ცალკეული ჯგუფები გავიდნენ სოფლებში, მოძრაობის მასობრივი ბაზის შექმნისა და ორგანიზებული პროტესტის გამოწვევისათვის. გაჩნდა პოლიტიკური ლოზუნგებიც. აფხაზი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფებმა სკკპ ცკ-ისა და პირადად ნ.ხრუშჩოვის სახელზე გააგზავნეს რამდენიმე წერილი–პეტიცია. ისინი მოითხოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ბოლომდე შესრულებას, შიდარესპუბლიკური მიგრაციის შეწყვეტას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რსფსრ-ს იურისდიქციაში გადასვლას.[1903]

ვითარების ნორმალიზაცია მხოლოდ საქართველოს ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1957 წლის 12 აპრილის და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს 15–16 აპრილის გადაწყვეტილებებმა დროებით, კონფლიქტური არსენალის ადმინისტრაციული კონსერვაციით განმუხტა დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია.

აბსოლუტურად მცდარია და სერიოზულ კორექციას საჭიროებს მოსაზრება, რომელიც 1957 წლის სეპარატისტული აქციის წანამძღვრების შეფასებისას ამ აქციის მთავარ მიზეზად თვლის პ.ინგოროყვას ნაშრომის გამოცემას, რომელიც თითქოსდა აფხაზთა გენოციდისა და ასიმილაციის მეცნიერულ-იდეოლოგიური არგუმენტაციის მიზანდასახულობით გამოიცა. სინამდვილეში 1957 წლის საპროტესტო აქცია წარმოადგენს აფხაზური ეთნოკრატიის პირველ ორგანიზებულ გამოსვლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, აფხაზური სეპარატიზმის პოლიტიკური პროექტის პირველ ოფიციალურ დემონსტრაციას, რომლის დროსაც ამ დესტრუქციულმა ფენომენმა გამოხატა თავისი პროიმპერიული და ანტიქართული თვითიდენტურობა. ამას ნათლად ადასტურებს აქციის სრულიად მიზანმიმართული პოლიტიკური პლასტი – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა ავტონომიური რესპუბლიკის სახით, ამ პოლიტიკური ლოზუნგის რეალიზაციის მიზნით პეტიციების გაგზავნა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტრუქტურებში, ლიხნისა და მოქვის თავყრილობების მოწვევის მცდელობა სეპარატისტული ლოზუნგისათვის საერთო-სახალხო პლებისციტარული საწყისების მისანიჭებლად.

1964 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში და უშუალოდ ნ. ხრუშჩოვის უახლოესი გარემოცვის წრეში შეიქმნა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და რსფსრ-ს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით ინკორპორაციის გეგმა. ამ გეგმის შესახებ ირიბი ცნობა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივანს ვ.მჟავანაძეს მიაწოდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა მ.ბღაჟბამ. დაგეგმილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ცვლილებას უშუალოდ ნ.ხრუშჩოვი ლობირებდა.

როგორც დ.სტურუა (საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანი იდეოლოგიის დარგში) თავის მემუარებში წერს, 1964 წლის აგვისტოში ვ.მჟავანაძის კაბინეტში შეხვედრისას მ. ბღაჟბამ აღნიშნა, რომ ის ხრუშჩოვმა მიიწვია ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკზე და უბრძანა, დაეწერა მოხსენებითი ბარათი აფხაზეთის რსფსრ-ში შესვლის

[1903] . . . : . ., 1999, გვ. 127.

თხოვნით.[1904] როგორც ჩანს, გეგმა რეალურად არსებობდა, თუ გავითვალისწინებთ სულ ცოტა ორ მომენტს; ჯერ ერთი, აფხაზური სეპარატიზმის წახალისება და საქართველოსაგან აფხაზეთის სეცესია ყოველთვის ფიგურირებდა საბჭოთა კავშირის ელიტური ჯგუფების იმპერიულ სტრატეგიაში, რადგანაც ეს იდეა გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის ობიექტი იყო 1921 წლიდან მოყოლებული; მეორე, 1954 წელს ნ.ხრუშჩოვმა სრულიად უმტკივნეულოდ, პარტოკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი მონოპოლიური გადაწყვეტილებით განახორციელა ანალოგიური ცვლილება ყირიმის რსფსრ-დან უკრაინის შემადგენლობაში გადაყვანით. სხვა საკითხია ამ ცვლილების სამართლიანობა თუ ისტორიული ასპექტები. ფაქტია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე ჰქონდა „ზემოდან“ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შეცვლის პრეცენდენტი და ფაქტობრივად ამგვარი ცვლილების განხორციელების უმტკივნეულო (საპროტესტო მოძრაობის თვალსაზრისით) პრაქტიკა.

რატომ ჩავარდა აფხაზეთის საქართველოსგან მოწყვეტის მორიგი იმპერიული (ნ.ხრუშჩოვისეული) გეგმა? ის გარემოება, რომ მ.ბღაჟბამ გამოიჩინა ტრადიციული აფხაზური პატრიოტიზმი, ღრმად გააცნობიერა იმპერიული გეგმის რეალიზაციის გარდაუვალი ტრაგიკული შედეგები, პირველ რიგში, თვით აფხაზი ხალხისა და მისი კულტურისათვის და მოხსენებითი ბარათის დაწერის ნაცვლად სასწრაფოდ გაემგზავრა თბილისში საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ინფორმირებისათვის, თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს ფაქტი თვით მ.ბღაჟბას წარმოაჩენს, როგორც საღად მოაზროვნე, პროგრესული ორიენტაციის ფუნქციონერს. მაგრამ არც მ.ბღაჟბას უარს (მოეხდინა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის წერილობითი ინიცირება), და არც საქართველოს პარტიულ-პოლიტიკური ელიტის ლოკალურ პროტესტს, ცხადია, არ შეეძლო გეგმის განხორციელების ბლოკირება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელო-
ბას ნებისმიერ მომენტში შეეძლო სხვადასხვა რესურსების გამოყენებით საპროტესტო მოძრაობის პარალიზება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რუსეთთან შეერთების მზაკვრული გეგმის განხორციელება ჩაშალა 1964 წლის ოქტომბრის კრემლის „სასახლის გადატრიალებამ“ და ბრეჟნევ-სემიჩასტნი-შელეპინ-სუსლოვის ჯგუფის მიერ ნ.ხრუშჩოვის გადაყენებამ.

აფხაზეთში არსებული სიტუაციის ფორმატში არცთუ ისე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა, ასე ვთქვათ, შიდაელიტურ კრიზისს – აფხაზური ეროვნული ბიუროკრატიის ეთნოცენტრისტული „მოსკოვური“ ფრთისა და ზომიერ-ცენტრისტული „პროქართულ-პროაფხაზური“ ფრთის დაპირისპირებას. ეს დაპირისპირება მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა აფხაზური ეთნოკრატიის დაყოფას „გუდაუთურ“ და „ოჩამჩირულ“ ნაწილებად, ან უფრო ფართო ასპექტში – აფხაზი ეთნოსის დაყოფას ჩრდილო-დასავლურ და სამხრეთ-აღმოსავლურ სუბეთნოსებად.

ქართლოცენტრისტული და სეპარატისტული ტენდენციების დაპირისპირების ფორმით აფხაზურ ნომენკლატურაში შიდაელიტური კრიზისის კონკრეტული გა-მოვლენა იყო 1964–1965 წლებში განვითარებული მოვლენები საკადრო პოლიტიკის სფეროში. 1964 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცკ-ში გაიგზავნა ანონიმური წერილი, რომელიც შეიცავდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მ.ბღაჟბას ნეგატიურ დახასიათებას, ცხადია, დაკავებული თანამდებობიდან მისი გადაყენების ქვეტექსტური მოთხოვნით. ავტორები მ. ბღაჟბას ადანაშაულებდნენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებაში, კადრების არასწორ შერჩევაში, მექრთამეობაში, ზნეობრივ გახრწნილობაში, დამნაშავეთა მფარველობაში და ა.შ.[1905]

ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს ავტონომიური რესპუბლიკის მმართველ ეშელონებში შიდაელიტური კრიზისის არსებობაზე ელიტა-კონტრელიტის

[1904] . . . . ., 1995, გვ. 3-4.

[1905] . იქვე, გვ. 21.

დიქოტომიის ფორმატში. ამ შემთხვევაში ელიტას ქმნიდნენ მ. ბღაჟბა და მისი პროქართულ-პროაფხაზური ჯგუფი, ხოლო კონტრელიტას – ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო აპარატში მოკალათებული ულტრანაციონალისტური „პრომოსკოვური“ დაჯგუფება, რომელსაც მეთაურობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასლან ოთირბა. როგორც ჩანს, „ოთირბას იატაკქვეშა კომიტეტს“ ჰყავდა მხარდამჭერები აფხაზი ინტელიგენციის წრეებში, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ფენებში. თვით ა.ოთირბას ფსიქოლოგიური პორტრეტი ხასიათდება აშკარად გამოხატული ანტიქართული პათოსით, ის გამოირჩეოდა სეპარატისტული და რადიკალურად ეთნონაციონალისტური განწყობილებით.

მ.ბღაჟბას დაბალანსებული პოლიტიკა იწვევდა სეპარატისტების უკმაყოფილებას. ამიტომ ისინი ცდილობდნენ, მიეღწიათ მ.ბღაჟბას გადაყენებისა და მის ადგილას ა.ოთირბას დანიშვნისათვის. კარიერისტული და ვიწროუწყებრივი ინტერესების გარდა, აქ იკვეთება სეპარატისტულ-კორპორატიული მიზანდასახულობა და სწორედ ეს იყო მთავარი – რეგიონალურ ელიტაში „ბღაჟბას გუნდის“ „ოთირბას ჯგუფით“ ჩანაცვლების შემთხვევაში ავტონომიურ რესპუბლიკაში ირღვეოდა ისედაც მყიფე ბალანსი და სტრატეგიული პოლიტიკური უპირატესობა გადადიოდა სეპარატისტულ-რევანშისტული კოალიციის ხელში, რაც, თავის მხრივ, რადიკალურად ცვლიდა რეგიონალური პოლიტიკური პროცესის სტრუქტურას ანტიქართული და პრომოსკოვური მიმართულების გააქტიურების თვალსაზრისით.

1964 წლის დეკემბრის ანონიმური წერილი მიზნად ისახავდა მ.ბღაჟბასა და მისი გუნდის დისკრედიტაციას საქართველოს პარტიული ელიტის წინაშე და ამ ფორმით „ოთირბას გუნდით“ მისი ჩანაცვლების არგუმენტირებას. როგორც დ. სტურუა მიუთითებს, ა.ოთირბა არც კი მალავდა ამგვარ მიზანსწრაფვას.[1906]

საქართველოს კომპარტიის ცკ-მ ანონიმური წერილი განიხილა 1964 წლის 24 დეკემბრის პრეზიდიუმის სხდომაზე და მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა მ. ბღაჟბა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე, წერილში მითითებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის მოთხოვნით.[1907] ამით საქართველოს რესპუბლიკურმა ხელმძღვა-ნელობამ დროებით შეძლო აფხაზეთში სეპარატისტული „საკადრო რევოლუციის“ ბლოკირება და რეგიონალურ ელიტაში მ.ბღაჟბას პროქართული-პროაფხაზური ჯგუფის შენარჩუნება. მაგრამ 1965 წელს, უკვე სკკპ ცკ-ს აშკარა ადმინისტრაციული ზეწოლით, მ.ბღაჟბა გაათავისუფლეს საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. ამ საკადრო პერტურბაციის დროს ვ.მჟავანაძემ მაინც მოახერხა ხელი შეეშალა „ოთირბას ჯგუფის“ თანამდებობრივი აღმასვლისათვის. სეპარატისტული პროცესის მთავარი ფიგურანტის ა.ოთირბას ნაცვლად საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ვ.კობახია. მართალია, ვ.კობახია არ გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული პროქართული სიმპათიებით, მაგრამ არც სეპარატისტულ-ულტრანაციონალისტურ პლატფორმაზე იდგა (ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში). ის, ისევე როგორც საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში მ.ხვარწკია, კომუნისტ-ინტერნაციონალისტის იმიჯს ფლობდა, „პროქართულ-პროაფხაზურ“ და „პრომოსკოვურ“ ორიენტაციებს შორის შუალედური მდგომარეობითა და ზომიერ-ცენტრისტული ტაქტიკით. 1967 წელს სეპარატისტულმა რევანშისტულმა კოალიციამ კვლავ ჩართო მოქმედებაში 1957 წლის მოდელი – ისტორიოგრაფიული კონფლიქტის ინიცირებით ფართო-მასშტაბიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტის გაჩაღება. ამჯერად კრიზისის ისტორიოგრაფიული საბაბი გახდა 1966 წელს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა მესამე ტომის გამოცემა, რომელშიც შევიდა 1951 წლის წერილი „მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე“. მასში ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა მოსაზრება ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიურად მონაწილე ძველი აფხაზების იბერ-ლაზებთან ნათესაობის შესახებ (აქვე, გვ. 70). აფხაზურ ეთნოკრატიასა და მასთან ასოცირებულ გარკვეულ წრეებში ეს კონცეფცია აღქმულ იქნა, როგორც აფხაზთა ეთნოგენეტიკური ქართველობის

[1906] . იქვე.
[1907] . იქვე., გვ. 22.

მტკიცება და, აქედან გამომდინარე, აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხში ნ. ბერძენიშვილის მიერ პ. ინგოროყვას თეორიის გაზიარება. სამეცნიერო პოლემიკაში ჩაერთო აფხაზი მოსახლეობის ფაქტობრივად ყველა ფენა, რაც ფართომასშტაბიან საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა.

1967 წლის 7–9 აპრილს სოხუმის საზაფხულო თეატრში შეკრებილ ათასკაციან თავყრილობაზე ჩამოყალიბდა შვიდწევრიანი დელეგაცია, რომელსაც დაევალა აფხაზი მოსახლეობის მოთხოვნების ოფიციალური წარდგენა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ტ. შაყრილი, ჯ. ახუბა, ა. აგრბა, ხ. ჩარაგუა, ო. შამბა, ო. დამენია და ა. ზუხბა.[1908] მათ მიერ აპრილის შუა რიცხვებში ცენტრალურ საკავშირო პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებში წარდგენილი დოკუმენტი თავისი პათოსით, შინაარსითა და მიზანდასახულობით პირწმინდად სეპარა-ტისტულ ხასიათს ატარებდა. პრეამბულაში აღნიშნული იყო აფხაზთა ვითომ დევნა-შევიწროების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე არდაშვების, ასიმილაციის, აფხაზეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხელოვნურად დამუხრუჭების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დოკუმენტის ავტორთა მოთხოვნები თურქეთიდან 200 ათასი მუჰაჯირის რეპატრიაციის, ანტიქართული ტოპონიმიკური ცვლილებების გატარებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსამდე ამაღლების შესახებ (რაც, რასაკვირველია, ნიშნავდა გამოყოფას საქართველოსაგან).[1909]

ყურადღებას იქცევს ასევე 1967წ. საპროტესტო მოძრაობის პოლიტიკური ანთროპოლოგია. დელეგაციის წევრებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომლებიც ქმნიდნენ მოძრაობის არაინსტიტუციურ სეგმენტს, ალიანსში იყო ეთნოკრატიის სეპარატისტული ფრთა, უკვე ნახსენები ა.ოთირბასა და კულტურის მინისტრის რ. კვარჭელიას მეთაურობით. ამიტომ 1967წ. საპროტესტო მოძრაობა წარმოადგენდა აფხაზური ეთნოკრატიისა და სეპარატისტული ინტელიგენციის ალიანსის ბაზაზე ორგანიზებული სამოქალაქო პუტჩის მცდელობა საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის მიზნით.

1967 წლის 14 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიურომ მიიღო ხუთპუნქტიანი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთ პრაქტიკულ ღონისძიებას აფხაზეთში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვისათვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ ნ.ბერძენიშვილის თხზულებათა მესამე ტომის გამოცემის დროს დაშვებულ იქნა გარკვეული ხარვეზები და ზოგიერთი ფორმულირება საჭიროებს კორექტირებას.[1910]

მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი აფხაზეთის ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა (გაგრის ზონის სოფ. ნაკადულს ეწოდა მეხადირი, გულრიფშის რაიონის სოფ. ნეძონას – ხიზარუხა და გუდაუთის რაიონის სოფლებს ბამბუკოვანს, გოგირდწყალს და შუამთას – შესაბამისად აკალამრა, არსაული და ჩირგოსტა).[1911] საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სამდივნოს დაევალა აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

1967 წლის 18 აპრილს გაიმართა აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის გაფართოებული კრება. მიღებულ რეზოლუციაში 7–9 აპრილის თავყრილობა შეფასდა პროვოკაციად, რომელიც ხელს უშლიდა ორი მოძმე ერის ურთიერთობის ნორმალიზაციას.[1912]

სიტუაციის დებლოკირება მოხდა უკვე ივნის-ივლისისათვის. სეპარატისტთა სამოქალაქო პუტჩის მცდელობა კრახით დასრულდა, თუმცა მას უკვალოდ არ ჩაუვლია. საპროტესტო გამოსვლების გარკვეული უარყოფითი შედეგები უკავშირდება ზოგიერთ

1908 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 133.
1909 . იქვე, ვ. 133.
1910 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
1911 . იქვე, გვ. 35.
1912 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ნომენკლატურულ ცვლილებას, რომელსაც ანტიქართული ხასიათი ჰქონდა. 1967 წლის 21 მაისს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დემონსტრაციულად გამოიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. გოგოხია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩიქოვანი.[1913]

მორიგი ანტიქართული საპროტესტო გამოსვლის საბაბად სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ გამოიყენა მთელ საბჭოთა კავშირში კონსტიტუციური სისტემის ფორმალურ-იურიდიული შეცვლის პროცესი. საკავშირო კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნის პარალელურად, ცხადია, უნდა შეცვლილიყო საქართველოს რესპუბლიკური და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური კონსტიტუციებიც. სკკპ ცკ-ს 1977 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიურომ 13 ივნისს მიიღო დადგენილება საქართველოსა და მისი ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ.[1914]

1977 წლის 10 დეკემბერს აფხაზური ელიტის 130 წარმომადგენელმა სპეციალური წერილით მიმართა იმპერიის ცენტრალურ ინსტანციებს – სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს, პირადად ლ. ბრეჟნევს და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. იასნოვს. წერილი გამოირჩეოდა საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ უსაზღვრო სიძულვილით, ხოლო საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობა გამოცხადებული იყო „ბერიას საქმის“ გამგრძელებლად, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული შევიწროებისა და ასიმილაციის პოლიტიკის გამტარებლად. წერილში ცენტრალური ადგილი ეჭირა სეპარატისტულ მოთხოვნას – მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილების ფარგლებში აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან და მის გადასვლას რსფსრ-ს ტერიტორიულ-სამართლებრივ სივრცეში კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში. წერილის ავტორები მოითხოვდნენ სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნას საკავშირო დონეზე.[1915]

სკკპ ცკ-დან აღნიშნული დეკლარაცია გადააგზავნეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტში შესაბამისი რეაგირებისათვის. პირველადი რეაგირება მართლაც ოპერატიული და ობიექტური გამოდგა როგორც საოლქო კომიტეტის, ისე საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მხრიდან. 1978 წლის 22 და 24 თებერვლის სხდომებზე საოლქო კომიტეტის ბიურომ და საქართველოს კპ ცკ-ს ბიურომ წერილის ავტორების პოზიცია შეაფასეს, როგორც „აღმაშფოთებელი და უპრინციპო“.[1916] მაგრამ ეს რადიკალურად ანტისეპარატისტული ხაზი არ მოეწონათ იმპერიულ ცენტრში. 1978 წლის 3 მაისს სკკპ ცკ-ს სამდივნომ სპეციალურ სხდომაზე განიხილა აფხაზეთში არსებული ვითარება.[1917] მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავტონომიის პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ვ. ხინთბას ნაცვლად დაინიშნა ბ. ადლეიბა. ადგილზე ვითარების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად მიზანშეწონილად ჩაითვალა სპეციალური ჯგუფის აფხაზეთში ჩასვლა სკკპ ცკ-ს მდივნის ი. კაპიტონოვის მეთაურობით.

ი. კაპიტონოვი და საქართველოს კპ ცკ-ს პირველი მდივანი ე. შევარდნაძე სოხუმში 19 მაისს ჩამოვიდნენ. სწორედ ი. კაპიტონოვის ჯგუფის ჩამოსვლას მოჰყვა სეპარატისტული პუტჩის აქტივიზაციის განსაკუთრებულად მაქსიმალური ტალღა, აფხაზთა ანტიკონსტიტუციური მოთხოვნების რადიკალიზაცია, ესკალაციის მასშტაბური გაფართოება და ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციის უმართაობის პრეცედენტის შექმნა. სოხუმში, გაგრასა და გუდაუთაში ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო დისციპლინის მასობრივ დარღვევებს. სეპარატისტებმა მიმართეს საბოტაჟის ტაქტიკას – მოაწყვეს მასობრივი გაფიცვები ტრანსპორტსა და სავაჭრო ქსელის ობიექტებში.

1913 . ზ . პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვეთი II, გვ. 173.
1914 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
1915 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
1916 . იქვე.
1917 . იქვე, გვ. 152.

1978 წლის 21 მაისს, აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე ი. კაპიტონოვმა ცალსახად დააფიქსირა იმპერიული ცენტრის პოზიცია: საპროტესტო მოძრაობის მოთხოვნები ანტიკონსტიტუციურია და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსაგან ამ ეტაპზე გამორიცხულია. მან, კერძოდ, აღნიშნა: „ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ უნივერსიტეტისა და ტელევიზიის საკითხი, მაგრამ აფხაზეთის გადასვლა რსფსრ-ს შემადგენლობაში გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია ახალ კონსტიტუციაში ასეთი გადასვლის უფლების შესახებ სპეციალური მუხლის შეტანა“.[1918]

დაძაბულობის ესკალაციის უმაღლეს პუნქტს წარმოადგენდა 22 მაისს მთავრობის სახლის წინ ორგანიზებულ მრავალათასიან მიტინგზე სეპარატისტების მიერ მოწყობილი ობსტრუქცია. ი. კაპიტონოვის გამოსვლას, რომელშიც მან გაიმეორა აქტივის კრებაზე წინა დღეს გამოთქმული დებულებები, მოჰყვა საპროტესტო შეძახილები, ხოლო ე. შევარდნაძეს საერთოდ არ მისცეს გამოსვლის უფლება, რის შემდეგაც მათ სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

შექმნილ სიტუაციაში საქართველოს პარტიულმა ნომენკლატურამ და პირადად ე. შევარდნაძემ გამოიჩინეს აბსოლუტური უპრინციპობა, მოახდინეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების იგნორირება, დაადგნენ რა სეპარატისტების მიმართ ყოვლად გაუმართლებელი დათმობების ტაქტიკას მაშინ, როდესაც, 1957 და 1967 წლებისგან განსხვავებით, ამ პერიოდში იმპერიული ცენტრი ფაქტობრივად არ იყო დაინტერესებული ამ ეტაპზე მაინც არსებული ბალანსის დარღვევასა და აფხაზური ეთნოკრატიის ცენტრიდანული მოძრაობის სტიმულირებაში. უფრო მეტიც, როგორც ინფორმაციის კულუარული წყაროები ცხადყოფენ, 1978 წლის 22 მაისს ი. კაპიტონოვმა წამოაყენა ცენტრიდან სეპარატისტული მიტინგის ძალისმიერი ბლოკირების სანქციის გამოთხოვის იდეა, რაც კატეგორიულად უარყო ე. შევარდნაძემ.

კომპრომისული ტაქტიკის იმპერატიული ბაზა გახდა საქართველოს კპ ცკ-ს 1978წლის 24 მაისის გადაწყვეტილება „აფხაზეთის ასსრ-ს ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებში ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.“[1919] სწორედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის ფარგლებში მოხდა აფხაზური ტელევიზიის გახსნა, ა. გორკის სახელობის სოხუმის პედინსტიტუტის გარდაქმნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად და სხვ.

ე. შევარდნაძემ აფხაზური ეთნოკრატიის ინტერესების შესაბამისად განახორციელა ნომენკლატურული ცვლილებები აფხაზეთის პარტიულ-სახელმწიფო ელიტაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. კობახია, რაც იყო აშკარა კაპიტულაცია ეთნოკრატიის გუდაუთური კლანის წინაშე. გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, გ. კვანტალიანის ნაცვლად, ჯერ დაინიშნა ქართველი გ. ნაჭყებია, მაგრამ სულ ცოტა ხანში მის ნაცვლად დანიშნეს სეპარატისტულად განწყობილი ა. გვარამია, რის შემდეგაც ე. შევარდნაძემ თქვა, რომ „გამოასწორა შეცდომა“.[1920] საერთოდ, ე. შევარდნაძის საკადრო პოლიტიკას სავალალო შედეგები მოჰყვა, განსაკუთრებით რეგიონალურ ელიტაში სეპარატისტული ელემენტების წინ წამოწევისა და მათი კლანურ-კორპორაციული თვითდამკვიდრების თვალსაზრისით. განხორციელებილი საკადრო ცვლილებებით ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყო ეთნოკრატიული მოდელის საბოლოო ფორმირება და აფხაზური ეთნოკრატიის, როგორც ელიტარული პოლიტიკური კლასის, ჩამოყალიბება. მიუხედავად დისკრეტული შიდაკორპორაციული სტრუქტურისა (პარტიული ელიტა, სახელმწიფო ჩინოვნიკები, მინისტრები, სამეურნეო ელიტა და დირექტორთა კორპუსი, სახელისუფლებო სტრუქტურებში ინტეგრირებული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილი), ეთნოკრატიამ შეიძინა ერთიანი მმართველი კლასის ფუნქციები და ანტიქართული სეპარატისტული იდეური პლატფორმა. ყურადღებას იქცევს ეთნოკრატიული რეჟიმის იმდროინდელი ფაქტოლოგიური სტატისტიკა,

---

1918 . იქვე.
1919 . კომუნისტი, 1978, 26 მაისი.
1920 . . . დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

რომელიც მოჰყავს ლ. მარშანიას: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეული 15 სსრკ-ს სახალხო დეპუტატიდან რვა იყო აფხაზი... აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 (40,7 %) იყო აფხაზი, 53 (37,9 %) – ქართველი, 30 (21,4 %) –– დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი. საქალაქო და სასოფლო საბჭოების შემადგენლობის მესამედს და მინისტრთა საბჭოსა და საოლქო კომიტეტის აპარატის ნახევარს შეადგენდნენ აფხაზები. 12 მინისტრიდან რვა და სახელმწიფო კომიტეტის რვა თავმჯდომარიდან ხუთი იყო აფხაზი. ქალაქისა და რაიონების რვა პროკურორიდან ხუთი იყო აფხაზი“.[1921]

1985 წლის მარტში საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მოხდა ფორმალურად მორიგი, მაგრამ თავისი შინაარსითა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ხარისხით რადიკალური ცვლილებები. ხელისუფლების სათავეში მოვიდა „გორბაჩოვის გუნდი“, რომელმაც გამოაცხადა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის („პერესტროიკის“) კურსი. მისმა პირველმა ორნახევარმა წელიწადმა აჩვენა, რომ ტოტალიტარული სისტემა მისი სრული დემონტაჟის გარეშე არ ექვემდებარებოდა რეფორმებს. 1987 წლის ოქტომბრიდან მ. გორბაჩოვი იძულებული გახდა გამოეცხადებინა გადასვლა „პერესტროიკის“ მეორე ეტაპზე – დემოკრატიისა და საჯაროობის პოლიტიკაზე, რამაც სტიმული მისცა რეჟიმის მიმართ ოპოზიციური მოძრაობების გააქტიურებას, რამაც ძირი გამოუთხარა და საფუძვლიანად შეარყია კომუნისტური რეჟიმი. სწორედ ამ ეტაპზე მოხდა საქართველოს დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრა-ობის ლეგალიზაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ოფიციალური დაყენება დღის წესრიგში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის არცერთ პოლიტიკურ ძალას ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთის ავტონომიის მიზანშეწონილობის საკითხი. რაც შეეხება აფხაზთა უფლებების ხელყოფის პროგრამას, აქაც უნდა აღინიშნოს ერთი კონცეპტუალური მომენტის შესახებ: ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თეორიულ-კონცეპტუალურ კონსტრუქციებში არასოდეს არ დასმულა ოფიციალურად აფხაზთა უფლებების დესტრუქციის მოთხოვნა. პირიქით, იმდენად, რამდენადაც ეს მოძრაობა აფხაზურ სეპარატიზმს განიხილავდა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის რეგიონალური მექანიზმის კონტექსტში, აფხაზთა ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური უფლებების გარანტირება ერთიან ქართულ სივრცეში და ამ გზით „აფხაზეთის აფხაზიზაცია“ სწორედ ქართულ ეროვნულ-სტრატეგიულ ინტერესებთან იყო თანხვედრილი. „აფხაზეთის აფხაზიზაცია“ გულისხმობდა პარალელურ დერუსიფიკაციას ან, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის იდეოლოგიურ-კულტურული ზეგავლენის მინიმიზაციას. ამიტომ აფხაზეთის „ნაციონალიზაცია“ უზრუნველყოფდა მის ამოგდებას იმპერიული ვერტიკალიდან და აფხაზური ეთნოკრატიის დისტანცირებას საბჭოთა რუსული იმპერიის ცენტრალური ისტებლიშმენტისაგან. ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართული ეროვნული პროექტის რეალიზაცია აპრიორი გამორიცხავდა აფხაზთა უფლებების დისკრიმინაციას და მათ დენაციონალიზაციას.

„პერესტროიკის“ მიერ შექმნილი პლურალიზმისა და საჯაროობის პირობებში აფხაზური სეპარატიზმის პირველ ოფიციალურ გამოვლინებას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „სამოცის წერილი“ – აფხაზური მეცნიერებისა და კულტურის სამოცი თვალსაჩინო წარმომადგენლის 1988 წლის 17 ივნისის მიმართვა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციისადმი.[1922] ეს ე.წ. „აფხაზური წერილი“ გამოირჩეოდა რადიკალური ანტიქართული პათოსით, უსაფუძვლო თავდასხმებით ქართველ ხალხზე და საქართველოს ხელმძღვანელობაზე. დოკუმენტის ცენტრალური იდეა იყო საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის ანტიკონსტიტუციური მოთხოვნა. მართალია, წერილი არც კი გამხდარა პარტკონფერენციაზე პრეზენტაციისა და განხილვის საგანი, მაგრამ მისმა გამოქვეყნებამ მაინც დაძაბა საზოგადოებრივი ატმოსფერო ავტონომიურ რესპუბლიკაში.

1921 . . . . ., 1995, გვ. 11-12.

1922 . ., . , გვ. 414.

1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი მოსახლეობის მრავალათასიანი თავყრილობა, რომელმაც მიიღო ეგრეთ წოდებული „ლიხნის დეკლარაცია“ – მიმართვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლის შესახებ. მიმართვას ხელს აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ინსტანციების ხელმძღვანელი პირები, მათ შორის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

გაოცებას იწვევს აფხაზური ისტორიოგრაფიისა და პოლიტიკური პუბლიცისტიკის აშკარად არაობიექტური და არააკადემიური „კონცეფცია“, რომელშიც ლიხნის თავყრი-ლობა სახელდებულია „საერთოაფხაზურ პლებისციტად“ (?), ხოლო მის მიერ მიღებული მიმართვა ცენტრალური იმპერიული ინსტანციებისადმი – „აფხაზი ხალხის ეროვნული მოძრაობის აქტად“[1923] (?).

სამართლებრივ ცნობიერებაში არ არსებობს რაიმე ოფიციალური აქტის გარეშე ორგანიზებული შეკრების პლებისციტად განსაზღვრის, ხოლო მასზე მიღებული დოკუმენტებისათვის დეკლარაციად წოდების პრეცედენტი. ლიხნის თავყრილობა, ცხადია, ვერ ჩაითვლება პლებისციტარულ-რეფერენდუმული საწყისების მქონე ოფიციალურ კრებად. ეს იყო მოსახლეობის ნაწილის მიერ სტიქიურად, კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში აუცილებელი ფორმალურ-იურიდიული პროცედურების გვერდის ავლით ორგანიზებული არაფორმალური შეკრება. მის მიერ მიღებულ მიმართვას არ ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის ნების გამოხატვის ფუნქცია და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინებას. თავისთავად კი აფხაზური ეთნიკური ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის ეს „დეკლარაცია“ იყო ანტიკონსტიტუციური, უკანონო და რადიკალურ-კონფრონტაციული, რადგანაც მან სტიმული მისცა დაძაბულობის ესკალაციას როგორც თბილისში, ისე საკუთრივ აფხაზეთშიც.

„ლიხნის დეკლარაციამ“ განსაკუთრებით გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში, სტიმული მისცა ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციას და საქართველოს ეროვნული მოძრაობის აფხაზეთის სექტორის გააქტიურებას. ამგვარი გააქტიურების საწყისად უნდა მივიჩნიოთ ქართული ეროვნული პარტიების მიერ ორგანიზებული პირველი მასობრივი ანტისაბჭოთა აქცია სოხუმში 1988 წლის 3 დეკემბერს. ამ მიტინგზე ქართული ეროვნული თვალსაზრისი და აფხაზ ხალხთან ერთად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მზადყოფნა დააფიქსირეს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერებმა მ. კოსტავამ, ზ. ჭავჭავაძემ და ქართული ეროვნული მოძრაობის აფხაზეთის სექტორის ლიდერებმა ვ. ვეკუამ, ნ. მგალობლიშვილმა და სხვებმა. 25 მარტს სოხუმსა და გალში გაიმართა ქართული მოსახლეობის გრანდიოზული საპროტესტო მიტინგები. 1 აპრილს დაბა ლესელიძეში ჩატარდა ანტიიმპერიალისტური მიტინგი, რომლის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დარბეულ იქნა აფხაზთა ეგზალტირებული მასის მიერ ბზიფსა და ახალ ათონთან; იყვნენ დაჭრილებიც. ამ ვერაგული აქციის საპასუხოდ, 2 აპრილს სოხუმში გაიმართა ქართული მოსახლეობის მიტინგები და მანიფესტაციები, რამაც შექმნა სიტუაციის უკიდურესად ესკალაციისა და გარკვეულწილად მისი უმართაობის საფრთხე.

ამ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საპროტესტო აქციების აფხაზეთიდან დედაქალაქში გადატანა. ასე დაიწყო თბილისის 1989 წლის 4-9 აპრილის აქცია. იგი აფხაზეთის კრიზისზე სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი რეაქციის დაფიქსირებით დაიწყო, მალე გადაიზარდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის მოთხოვნის მქონე საპროტესტო მოძრაობად, რასაც შედეგად მოჰყვა ცხრა აპრილის ტრაგედია – სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა

[1923] . იქვე, გვ. 372-373.

სამინისტროების სპეცნაწილების მიერ მშვიდობიანი მიტინგისა და შიმშილობის აქციის ძალისმიერი დარბევა. ამ ბარბაროსულ აქციას მოჰყვა 19 ქართველის დაღუპვა და რამდენიმე ათასის მოწამვლა ქიმიური ნივთიერებებით.

აფხაზეთში დესტაბილიზაციის ღერძული ზონა გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, კონკრეტულად, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი ქართული სექტორი წარმოადგენდა აფხაზეთში ქართული კულტურისა და განათლების, ასევე საქართველოს ეროვნული მოძრაობის მთავარ კერას და, აქედან გამომდინარე, აფხაზური სეპარატიზმის მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის ბირთვს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ლიხნის დესტრუქციული პარაპოლიტიკური „დეკლარაცია“ გაცილებით მტკივნეულად სწორედ უნივერსიტეტში აღიქვეს. მით უმეტეს, რომ „დეკლარაციის“ ხელმომწერთა შორის ფიგურირებდა უნივერსიტეტის რექტორი ა. გვარამია, რომლის შიდასაუნივერსიტეტო პოლიტიკა ქართული სექტორის დისკრიმინაციული შეზღუდვის თვალსაზრისით ისედაც იწვევდა უკმაყოფილებას. ყოველივე ამას მოჰყვა უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფა და მის ბაზაზე თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ჩამოყალიბება, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის განკარგულების საფუძველზე. ეს გახდა საბაბი 1989 წლის 15–16 ივლისს სამოქალაქო მღელვარების შეიარაღებულ შეტაკებებში გადაზრდისა, რომლის დროსაც აფხაზების შეიარაღებულმა ეგზალტირებულმა ბრბომ თავდასხმა განახორციელა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში განთავსებული ფილიალის მიმღებ კომისიაზე და რუსთაველის პარკში შეკრებილ ქართულ საზოგადოებრიობაზე. პირველი ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველი.[1924] დაღუპულთა შორის იყო აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი, „სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა. ასევე მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ იმავე წლის შემოდგომაზე ამ მოძრაობის მეორე აღიარებული ლიდერის იოსებ (სოსო) ადამიას ავტოკატასტროფაში ტრაგიკული დაღუპვით.

1990 წლის 3 აპრილს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი[1925], რომლის თანახმადაც მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრუ-ლების დენონსაციისა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლის შეთხვევაში, ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე მიეღოთ გადაწყვეტილება, დარჩენილიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცენტრთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ბაზაზე.

ძნელი მისახვედრი არაა ის ფაქტი, რომ კანონი ქმნიდა საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლის მსურველი ეროვნული რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრცისა და ტერიტორიული მთლიანობის დაშლის იურიდიულ მექანიზმს. აქედან გამომდინარე, მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ამ მექანიზმის შესაძლო ამოქმედების შიშით უნდა დამდგარიყვნენ სრული დამოუკიდებლობის უარყოფის პლატფორმაზე, რადგანაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მათი გასვლა ერთ სიბრტყეში იყო დაყენებული მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობიდან ავტონომიური რესპუბლიკების შესაძლო გასვლასთან. ავტონომიური რესპუბლიკების სუვერენიზაციითა და მათი ეთნიკური ნომენკლატურის ლეგიტიმაციით მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შეკავება – ეს იყო ცენტრის სტრატეგიული გათვლა და 1990 წლის აპრილის კანონით შექმნილი მაკროფორმატი მთელი იმპერიის მასშტაბით.

რაც შეეხება მიკროფორმატს კონკრეტულად აფხაზეთის შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ 1990 წლის აპრილის კანონმა შექმნა საქართველოს იმდროინდელ პარტიულ-სახელმწიფო ელიტასა და აფხაზურ ეთნოკრატიას შორის „კანონთა ომის“, ანუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი დისბალანსის ატმოსფერო.

[1924] . . 1992-1993. წწწ. კა.წიკიპედია.ორგ/წიკი/.

[1925] . .Известия, 1990, 5 апреля.

1990 წლის 9 მარტს, საქართველოს ეროვნული მოძრაობის პოზიტიური ზეწოლით და ინიცირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-13 რიგგარეშე სესიამ მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი – დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“[1926]. დადგენილება ოფიციალურად ადასტურებდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რუსეთის მხრიდან 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად დარღვევის ფაქტს. აქედან გამომდინარე, უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ ჩაითვალა ყველა ის ხელშეკრულება, რომელთა ძალითაც საქართველო შეყვანილ იქნა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში და განხორციელდა დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის, სოვეტიზაციისა და ანექსიის ეტაპობრივი პროცესი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და მისი აფხაზეთის სექტორის პოლიტიკური სტრუქტურირების ღონისძიებებს. 1990 წ. 13–15 მარტს თბილისში ჩატარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციაზე შეიქმნა მთავარი მაკოორდინირებელი სტრუქტურა – ეროვნული ფორუმი. პარალელურად ანალოგიური სტრუქტურა ჩამოყალიბდა აფხაზეთში. კერძოდ, 1990 წ. მარტში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის, რუსთაველის საზოგადოების, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების, მერაბ კოსტავას საზოგადოების და სადროშო „ლემი“-ს კოალიციის ბაზაზე შეიქმნა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი (ცაეკ).

სამწუხაროდ, ეროვნულ პარტიებს შორის კონფრონტაციის „თბილისური ფორმატი“ მალევე გადატანილ იქნა აფხაზეთშიც. ცნობილია, რომ 1990 წლის 7 მაისს საქართველოს ეროვნული ფორუმი დაიშალა „მრგვალ მაგიდად“ და კონგრესისტული ორიენტაციის პოლიტიკური ძალების ცენტრად. ამისი ანალოგიით აფხაზეთშიც მოხდა პოლიტიკური განხეთქილება: ჰელსინკის კავშირის, წმიდა ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების და მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის აფხაზეთის რეგიონალურმა ფილიალებმა დატოვეს ცაეკი და დააფუძნეს „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია.

1990 წლის 25 აგვისტოს გამოცხადდა, რომ აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესმა საბჭომ (მომხსენებელი ვ. კობახია) მიიღო ორი აქტი: „დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“ და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“.[1927] აღნიშნული დოკუმენტები ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციას და თვით აფხაზეთის 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წ. 26 აგვისტოს[1928] დადგენილებით გაუქმებულად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა ზემოხსენებული აქტები, რომლებიც არღვევდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სულ მალე გაირკვა, რომ 1990 წ. 25 აგვისტოს სესია იყო ფალსიფიცირებული; სინამდვილეში იგი წარმოადგენდა დეპუტატთა ჯგუფის (ნახევარზე ნაკლების) კრებას. 1990 წ. 31 აგვისტოს მოწვეულმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიამ (მომხსენებელი ვ. ყოლბაია) გააუქმა 25 აგვისტოს ქვორუმის გარეშე და პროცედურული ნორმების დარღვევით მიღებული აქტები. ინფორმაცია ამის შესახებ ფართოდ გავრცელდა მთელ სსრ კავშირში, რითაც დიდი პოლიტიკური და მორალური დარტყმა იგემეს სეპარატისტებმა[1929].

1990 წლის შემოდგომისათვის მოვლენათა მსვლელობამ აფხაზეთში წარმოშვა სერიოზული პოლიტიკურ-კონსტიტუციური კონფლიქტის გაჩაღების წანამძღვრები. გამოიკვეთა სეპარატისტებისა და იმპერიული ცენტრის ალიანსის მხრიდან

1926 . კომუნისტი, 1990, 10 მარტი.
1927 . Советская , 1990, 28 .
1928 . კომუნისტი, 1990, 27 აგვისტო.
1929 . ჯ. გამახარია. აფხაზეთი..., გვ. 8.

საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტზე მორიგი შეტევის რეალური ტენდენცია. პოლიტიკურ-სიტუაციური ფორმატის ამგვარი სცენარის ბლოკირება იმ ეტაპზე უზრუნველყო 1990 წლის ოქტომბრის ეროვნულმა საპარლამენტო რევოლუციამ საქართველოში.

თავი XIX. აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990–1992წწ.).

1990წ. 28 ოქტომბერს ჩატარებულ არასაბჭოურ და პლურალისტურ საპარლამენტო არჩევნებში ბლოკმა – „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 57 % და შექმნა მყარი საკანონმდებლო უმრავლესობა.

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ, 1990წ. 14 ნოემბერს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია, მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიებათა კომპლექსს საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე და დე-ფაქტო აღდგენის უზრუნველსაყოფად.

ამდენად, 1990 წლის ოქტომბრის საპარლამენტო რევოლუციის შედეგად საქართველოს ეროვნული მოძრაობა გახდა ოფიციალური სახელმწიფო ხელისუფლება, კონსტიტუციური სისტემის უმაღლესი სუბიექტი. მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი კიდევ განაგრძობდა არსებობას და საქართველოც დე-ფაქტო მის შემადგენლობაში შედიოდა, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება იმავდროულად წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებელ სტრუქტურას და იმპერიული ცენტრის მიმართ ეროვნული დაუმორჩილებლობის ინსტიტუტს.

შექმნილი სპეციფიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ინსტიტუციონალური დუალიზმის გათვალისწინებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში მის მიერ გადადგმული ზოგიერთი არაორდინალური ნაბიჯის ობიექტური გაცნობიერებისათვის.

საქართველოს ეროვნული მთავრობისა და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას[1930] პოლიტიკა აფხაზეთში მთლიანად და სავსებით გამომდინარეობდა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის ფუძემდებლური კონცეფციიდან. საქართველოს ახალ პოლიტიკურ ელიტას შესანიშნავად ესმოდა აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურად გადაწყვეტის დიდი, ზოგიერთი თვალსაზრისით კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესში. ამასთან, აფხაზეთსა და მის გარშემო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი კრემლის მიერ აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერისა და ეთნოკრიზისის ინსპირირების რეალური პერსპექტივისადმი ანგარიშის გაწევის გამო, ეს პოლიტიკა ხასიათდებოდა აფხაზურ ეთნოკრატიასთან იძულებითი, ასე ვთქვათ, ფორს-მაჟორული კომპრომისის ტაქტიკის გამოყენების ტენდენციით. კომპრომისის ტაქტიკა, რომელიც ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზთა სპეციფიკური პოლიტიკური უფლებების გარანტირებას, არ იყო ზ. გამსახურდიას ხელისუფლების თვითმიზნური პოლიტოგემა: კომპრომისის გავრცელების ველს და დისკუსიას არ ექვემდებარებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული უნიტარიზმი და სუვერენიტეტის სივრცის ხელშეუხებლობა მდ. ფსოუმდე.

1990 წლის დეკემბრის დასაწყისში წარუმატებულად დასრულდა ბ. ადლეიბასა და მისი „ოჩამჩირული დაჯგუფების“ პოლიტიკურ პროცესში დამკვიდრების მცდელობა, რასაც საწყის ეტაპზე მხარს უჭერდა ზ. გამსახურდია[1931].

1991 წელს აფხაზეთში ინტენსიურად წარიმართა იმპერიულ ცენტრს დაქვემდებარებული სეპარატისტული პოლიტიკური კონიუნქტურის ფორმირების პროცესი – სეპარატისტული ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების, ჯგუფებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება. ამ პროცესის ლოგიკური შედეგი იყო იმპერიულ ცენტრს დაქვემდებარებული და მისი მხრიდან სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკურ

[1930] . 1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ხოლო 26 მაისის საქართველოს ისტორიაში პირველ პლურალისტურ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ.

[1931] . დაწვრილებით იხ: ვ. ჭანია კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორიული კანონზომიერება თუ საბედისწერო შეცდომა?! თბ., 2003, გვ. 142-156..

პროტექციაზე ორიენტირებული სეპარატისტული პოლიტიკური სივრცის, იგივე „ომის რეზერვუარის“ შექმნა[1932]

აფხაზური ეთნოკრატიის ცენტრალური პოლიტიკური პარტია და სეპარატიზმის ინსტიტუციონალური ბირთვი გახდა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ („თანადგომა“), რომელიც 1988წ. 13 დეკემბრის დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა. მისი პირველი თავმჯდომარე იყო აფხაზი პოეტი ა. გოგუა. „აიდგილარას“ მეორე (რიგგარეშე) ყრილობაზე 1990წ. 3 თებერვალს ფორუმის ლიდერი გახდა ს. შამბა. თავისი ეკლექტიკური თეორიული დებულებების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია ამ ორგანიზაციის პოლიტიკური კონცეფციის დახასიათება პოლიტოლოგიის ნორმატიული სქემების ფარგლებში. შეუძლებელია ასევე მისი მიკუთვნება ამა თუ იმ პოლიტიკურ-პარტიული „არეოპაგისთვის“ – მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული, მემარჯვენე-ცენტრისტული თუ მემარცხენე-ცენტრისტული. ერთადერთი რამ, რაშიც შეიძლება ცალსახად და არაორაზროვნად დახასიათდეს „აიდგილარას“ პოლიტიკური რენომე – ეს არის ანტიქართული სეპარატისტული იდეოლოგია: საქართველო არის „მცირე იმპერია“; მას ახასიათებს იმპერიული მენტალიტეტი; აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსგან არის „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის უმაღლესი ფორმა“ და მისი უსაფრთხოების გარანტია.

„აიდგილარა“ იმთავითვე მოითხოვდა აფხაზეთის სუვერენიზაციას. 1989–1991წწ. პირობებში ამ სტატუსის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად მას მიაჩნდა „საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ოთხსაფეხურიანი სტრუქტურის გაუქმება და ფედერაციის მშენებლობა ჰორიზონტალური პრინციპით“[1933]. საქართველოს შემთხვევაში ფედერალური ჰორიზონტალიზმი, გულისხმობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების სტატუსის გაფართოებას მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსის დონეზე და უშუალო დაქვემდებარებას მოსკოვისადმი. 1992 წლიდან „აიდგილარას“ სეპარატისტული საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა, ხოლო აფხაზეთის ომის შემდეგ მან შეასრულა სეპარატისტული კვაზისახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერებისა და ისტებლიშმენტის ინკუბაციის ფუნქცია.

1991წ. შეიქმნა მემარცხენე-ცენტრისტული ორიენტაციის აფხაზეთის სახალხო პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ლაკობა[1934]. ფაქტობრივად ეს პარტია იყო (და არის) ანალოგიური სახელწოდების რუსეთის პარტიის ფილიალი[1935]. შექმნის დღიდანვე აფხაზეთის სახალხო პარტია ავითარებდა გარკვეულწილად კრიტიკულ-ოპოზიციურ ხაზს „აიდგილარას“ მიმართ, მაგრამ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებისა და ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხებში ისინი გამოდიოდნენ ერთიანი პოზიციითა და ინტეგრალური სეპარატისტული პლატფორმით.

სეპარატისტული პოლიტიკური კონიუნქტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აფხაზეთში მცხოვრები არაქართულ-არააფხაზური ეთნიკური თემების კონსოლიდაციის მიზნით შექმნილმა პარაპოლიტიკურმა გაერთიანებებმა.

1991 წლის 23 აპრილს შეიქმნა „სლავური სახლი – რუსული კულტურის საზოგადოება აფხაზეთში“, რომლის გამგეობის თავმჯდომარე გახდა ვ. ლოგინოვი. ოფიციალურად დეკლარირებული საქველმოქმედო კულტურული პროექტების მიუხედავად, „სლავური სახლი“ იყო მკაცრად იდეოლოგიზებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ფუნქციას აფხაზეთში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარება წარმოადგენდა. ეს ფუნქცია მას უნდა განეხორციელებინა საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურებთან პირდაპირი კავშირებით, აფხაზეთში მოქმედი ყველა არააფხაზური ჯგუფის კონსოლიდაციით ანტიქართულ პლატფორმაზე.

1932 . ამ საკითხის დაწვრილებითი ანალიზი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ომისშემდგომი სეპარატისტული კვაზისახელმწიფოს მმართველი ნომენკლატურა სწორედ „ომის პარტიის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა უპირატესწილად.

1933 . („ “), 1, 1989, 25

1934 . . . . . WWW. ნოვოპოლ.რუ/არტიცლე 1283. ჰტმლ.

1935 . „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ერთ-ერთი პარტიის ლიდერი ი. ლაკობა 2003 წ. მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, რუსეთის სახალხო პარტიის სიით (სიც!).

„სლავური სახლის“ საქმიანობის კონტექსტში ყურადღებას იქცევს ერთი ნიშანდობლივი მომენტი: მთელ საბჭოთა კავშირში (განსაკუთრებით ბალტიისპირეთსა და რუსეთის ფედერაციის მუსულმანურ ანკლავებში) ანალოგიური ფორმალური სტატუსის მქონე სტრუქტურები „მოღვაწეობდნენ“ რუსულ-სლავური მოძრაობის უფლებადაცვითი ფორმატით, რუსული დიასპორის კულტურულ მოთხოვნილებათა რეალიზაციისთვის. ეს გარემოება ობიექტურად განაპირობებდა მათ ოპოზიციას „სატიტულო“ ერების (ესტონელების, ლიტველების, ბაშკირების, თათრების და სხვ.) წარმომადგენლებთან. აფხაზეთში ამგვარი ოპოზიციურობის ნატამალიც არ იგრძნობოდა და „სლავური სახლი“ „აიდგილარას“ ოპონენტის კი არა, არამედ აშკარა მხარდამჭერისა და ერთგვარი „გონებრივი ცენტრის“ ფუნქციას ასრულებდა.

„სლავური სახლი“ მოგვიანებით სამხედრო დახმარებასაც უწევდა აფხაზ სეპარატისტებს და მათ რუსულ-კაზაკური ფორმირების ჩამოყალიბებაში უწყობდა ხელს. ასე, მაგალითად, 1992 წლის 14 ივნისს „სლავური სახლის“ ეგიდით გამართულ აფხაზეთის კაზაკთა ყრილობაზე შეიქმნა გასამხედროებული ორგანიზაცია „სათვისტომო“, რომლის ატამანად აირჩიეს ვინმე ვ. შმალი[1936].

ეთნოპოლიტიკური ნიშნით და რუსულ-იმპერიული ინტერესების საფუძველზე შეიქმნა სომხური გაერთიანება „კრუნქი“. ის მთლიანად მოექცა აფხაზური ეთნოკრატიისა და „სლავური სახლის“ გავლენის ქვეშ. “კრუნქის“ ლიდერი ა. ტოპოლიანი სეპარატისტული ნომენკლატურის აქტიური წევრი გახდა, ხოლო სომხური მოსახლეობის რეკრუტირების ბაზაზე შექმნილი ე.წ. „ბაგრამიანის ბატალიონი“ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით ქართველი მოსახლეობის მიმართ, იყო ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ჰუმანიტარული კატასტროფის ერთ-ერთი აქტიური „შემოქმედი“.

ასე ჩამოყალიბდა აფხაზეთში პოლიტიკური სივრცის იმპერიულ ცენტრზე ორიენტირებული და მთლიანად მისი პროტექციის ქვეშ მყოფი სეპარატისტული სეგმენტი, როგორც ინტეგრირებული „ომის პარტია“.

მაგრამ 1991 წლის კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში, ზ. გამსახურდიას ხელისუფლების სტაბილური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციისა და მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, ვ. არძინბას კლანი ვერ ბედავდა აშკარა სეპარატისტული პოლიტიკის წარმოებას. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა, მიუხედავად ანტიქართული ორიენტაციისა, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ არსებული „თამაშის წესები“ და თავი შეეკავებინათ აქტიური სეპარატისტული პოლიტიკური აქციებისაგან.

თუ არ ჩავთვლით 1991 წლის 17 მარტს აფხაზეთის ტერიტორიაზე სსრკ-ს შენარჩუნების თაობაზე მასობრივი გაყალბებისა და კენჭისყრის პროცესიდან გალის რ-ნის გამოთიშვის გზით ჩატარებულ „რეფერენდუმს“, ამასთანავე 1991 წლის აპრილ-ივნისში ვ. არძინბას უკანონო მონაწილეობას საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის მიერ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად „9+1“ ფორმატით ინიცირებულ ე.წ „ნოვო ოგარიოვოს პროცესში“, თბილისის გადატრიალებამდე ვ. არძინბას არ (თუ ვერ) მიუღია არცერთი სეცესიონისტური იურიდიული აქტი. ოფიციალურ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობა მიმდინარეობდა „კანონთა ომის“ ან, ვთქვათ, „ცივი ომის“ ფორმატში, თანაც არსებული კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში.

საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის, იმპერიული ცენტრის მიერ აფხაზეთში ეთნოკონფლიქტის ინსპირირების რეალური ბერკეტების ფლობის გამო ზ. გამსახურდიამ კომპრომისული ტაქტიკა განაგრძო მას შემდეგაც, რაც 1991 წ. 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა, იმავე წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციამ და 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში. ამაზე ნათლად მეტყველებს რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური სტატისტიკაც. მიუხედავად „აიდგილარას“ და სხვა სეპარატისტული ორგანიზაციების, თვით ვ. არძინბას რეჟიმის მხრიდან ბოიკოტის გა-

[1936] . ს. ჩერვონაია. დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

მოცხადებისა, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175) 61,27%-მა. საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 60%-მა. თითქმის იგივე მაჩვენებელი განმეორდა საპრეზიდენტო არჩევნებშიც.[1937]

თავის საინაუგურაციო გამოსვლაში, 1991 წლის 7 ივნისს, ზ. გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა დამოუკიდებელი საქართველოს ურყევი ნება – დაეცვა აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა პოლიტიკური ავტონომიის კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე.[1938]

1991 წლის ივნის-ივლისში ოფიციალურ თბილისსა და ვ. არძინბას გარემოცვას შორის გამართული ინტენსიური კონსულტაციების შედეგად შემუშავდა კომპრომისული კონსტიტუციური შეთანხმებების პაკეტი, რომელიც შეიცავდა ახალ საარჩევნო კოდექსს და კონსტიტუციური ცვლილებების პაკეტს, რომლის საკანონმდებლო რეალიზაცია განხორციელდა 1991 წლის ივლის-აგვისტოში.

9 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი – კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“.[1939] კანონი ითვალისწინებდა ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის ძირითადი პრინციპების დაცვით ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების დემარკაციას ეთნიკურ ზონებად და ავტონომიური პარლამენტის დაკომპლექტებას ეთნიკური კვოტების პრინციპით. უმაღლესი საბჭოს 1991 წ. 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით, აფხაზური ეთნიკური ზონა წარმოდგენილი იყო 28 ერთმანდატიანი ოლქით მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17,3 %-ის პირობებში, ქართული – 26-ით მოსახლეობის საერთო რაოდენობის 47,7 %-ის შემთხვევაში, ხოლო სხვა დანარჩენი ეროვნებების – 11. აქედან გამომდინარე, 65 წევრიდან პარლამენტში აფხაზებს ეძლეოდათ 28 სადეპუტატო მანდატი, ქართველებს – 26 და დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლებს – 11. წარმომადგენლობითი პროპორცია 28+26+11 ცალსახად არ შეესაბამებოდა აფხაზეთის მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიულ სტრუქტურას და ეთნიკური თემების რაოდენობრივ-პროცენტულ თანაფარდობას.[1940]

27 აგვისტოს მიღებულ იქნა კონსტიტუციურ ცვლილებათა პაკეტი. კანონით „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციის 98-ე მუხლი ჩამოყალიბდა ასეთი რედაქციით: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმებით...“[1941]

იმავე დღეს მიღებულ იქნა კანონის „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“ ახალი რედაქცია, რომლის მეხუთე მუხლში დაფიქსირდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმის დასანიშნად საჭირო იყო დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის თანხმობა.[1942]

1991 წლის კომპრომისის საკანონმდებლო მოდელის როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი კრიტიკოსები მას ცალსახად ნეგატიურ შეფასებას აძლევენ, მიიჩნევენ ზ. გამსახურდიას სერიოზულ შეცდომად და ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-1993 წლებში დატრიალებული ტრაგედიის ერთერთ მიზეზად. ამასთან, ისინი ეყრდნობიან შიშველ აბსტრაქტულ სქემებს და არა პოლიტოლოგიისა და კონსენსუსური პოლიტიკური დიალოგის კანონზომიერებებს. ოპონენტები ცდილობენ საპარლამენტო ეთნოკვოტირების სპეციფიკას მოუძებნონ ზედაპირული საერთაშორისო „ანალოგიები“, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ათწლეულების განმავლობაში მოქმედი აპარტეიდული სისტემის სახით. ასე გაჩნდა ისტორიოგრაფიასა და პოლიტიკური პუბლიცისტიკის ერთ ნაწილში 1991 წლის 9

1937 . ჯ. გამახარია. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990–1993 წწ.), თბ., 2004, გვ. 7.

1938 . საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 8 ივნისი.

1939 . აფხაზეთის ხმა, 1991, 18 ივლისი.

1940 . იხ. ამის შესახებ: ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 314-322.

1941 . რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთ. რედაქტორი თ. დიასამიძე. თბ., 2002, გვ. 51.

1942 . იქვე.

ივლისის საარჩევნო კანონის „აპარტეიდულ“ კანონად, ხოლო მის საფუძველზე აფხაზეთში ჩამოყალიბებული პარტიულ-პოლიტიკური სისტემის „აპარტეიდად“ სახელდების კონიუნქტურული ტენდენცია.

გაოცებას იწვევს „აპარტეიდისტების“ უაღრესად ვულგარული და ანტიმეცნიერული პარალელიზმი, მათ მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არსებული აპარტეიდული რეჟიმის სუბსტრატული მახასიათებლების – თეთრკანიანთა და ფერადკანიანთა სრული გამიჯნვა, რასობრივი და ეთნიკური სეგრეგაციის სახელმწიფო პრაქტიკა და ა.შ. – გაუთვალისწინებლობა.

ისმის კითხვა: აფხაზეთის ქართული მოსახლეობის რომელი „რეზერვატი“, „ლოკაცია“ თუ „ბანტუსტანი“ იქმნებოდა 1991 წლის საარჩევნო კანონით? ან რომელი სამთავრობო თუ საზოგადოებრივი დაწესებულების ცალ-ცალკე, აფხაზთა და ქართველთა ეთნოკორპორაციული გამხოლოების საფუძველზე ჩამოყალიბებას უწყობდა ის ხელს?

მაინც როგორ აზრობრივ კონსტრუქციაში შეიძლება ავხსნათ 1991 წ. კომპრომისი და რა ფაქტორების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება უკუვაგდოთ „აპარტეიდისტების“ არაადეკვატური, ხშირ შემთხვევაში პიროვნულად ზ. გამსახურდიასადმი პათოლოგიური სიძულვილით ნასაზრდოები იაფფასიანი და აშკარად რედუცირებული ინტერპრეტაციები? უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ანალიზის მეთოდოლოგიური პლასტის ოპტიმიზაცია. „აპარტეიდისტები“ პრობლემას უდგებიან კონიუნქტურული და ნაწილობრივ მორალური პოზიციებიდან, აქაოდა როგორ შეიძლებოდა ქართული 47,7%-იანი მოსახლეობის საპარლამენტო წარმომადგენლობა განსაზღვრულიყო 26, ხოლო 17,3%-იანი აფხაზი მოსახლეობისა – 28 დეპუტატით. ისინი მიზანმიმართულად ახდენენ კომპრომისის ქართული სეგმენტის (ფორმულის 28+26+11) აბსოლუტიზაციას, თითქოს კომპრო-მისის შემხვედრი აფხაზური სეგმენტი (საკონსტიტუციო ცვლილებები) სულაც არ ყოფილიყოს. არადა, ამ შემთვევაში საჭირო და აუცილებელია სწორედ რეალპოლიტიკური მიდგომა, საკითხის ანალიზი კონსენსუსის, კომპრომისული დიალოგის, ინტერესთა ურთიერთბალანსის პოლიტიკურ-ტექნოკრატიულ სქემებში.

რასაკვირველია, ეთნოკვოტირების პრინციპი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ეთნიკური შემადგენლობის შეუსაბამობა ავტონომიური რესპუბლიკის ეთნოდემოგრაფიულ სტრუქტურასთან იყო საპარლამენტო პრაქტიკისთვის არატრადიციული, არასასიამოვნო და გარკვეულწილად არაპოპულარული ფაქტი. ამ თვალსაზრისით, კომპრომისს ჰქონდა ნეგატიური ასპექტები (რაზეც არაერთხელ მიუთითებდა ზ. გამსახურდიაც), მაგრამ ნებისმიერი კომპრომისის არსიც ხომ ამაშია.

ეთნოკვოტირების ფორმულა (28+26+11), 1991 წ. 9 ივლისს მიღებული საარჩევნო კანონის უხეში დარღვევით ერთმანდატიან ქართულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის 4–5-ჯერ და მეტად აღმატება აფხაზური ოლქების ანალოგიურ მაჩვენებელზე ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების ტრადიციულ პრაქტიკას, არამედ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის[1943] პრინციპებს ეროვნული წარმომავ-ლობის მიუხედავად ადამიანთა პოლიტიკური თანასწორობის შესახებ.

მაგრამ ეს იყო დროებითი, იძულებითი კომპრომისი, გამოწვეული გლობალური სიტუაციის სპეციფიკითა და საქართველოზე ზემოქმედი მადესტაბილიზებელი ტენდენ-ციებით. ამ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია: იმპერიული ცენტრის ძლიერება, მის მიერ უკვე გახსნილი პირველი ანტიქართული ფრონტი შიდა ქართლში და აფხაზეთში ეთნოკონფლიქტის ინსპირირების პერსპექტივა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპრომისი მიზნად ისახავდა დაძაბულობის განმუხტვას და ქვეყნის დაცვას ომისა და სახელმწიფოებრივი დაშლისაგან.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ერთი გარემოება: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წ. 27 თებერვლის

[1943] . 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, 1966 წლის ადამიანის უფლებათა ჟენევის ფაკულტა-ტური ოქმის, 1966 წლის ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ევროპული კონვენციის და სხვ.

დადგენილების შესაბამისად, იმავე წლის 1 ოქტომბერს მთავრდებოდა აფხაზეთის 1986 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს გადარჩევისათვის დადგენილი ახალი ვადა[1944] და ამ დრომდე არჩევნების ჩაუტარებლობის შემთხვევაში კრემლს შეიძლებოდა შემოეღო პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის რეჟიმი. ამიტომ საარჩევნო კანონმდებლობის საკითხზე მოლაპარაკების ჩაშლითა და კანონის ოპტიმალურ ვადებში არმიღებით საქართველოს ხელისუფლება იურიდიულ საბაბს აძლევდა კრემლს აფხაზეთზე პირდაპირი იურისდიქციის დაწესებისათვის.

რაც შეეხება კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტის შინაგან ანატომიას, ის შეიცავდა აფხაზეთში ქართული ინტერესების რეალიზაციის მთელ კომპლექსს. აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე (როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე რეფერენდუმულ-პლებისციტარულ დონეზე) გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო კვალიფიცირებული უმრავლესობა, რომელსაც არათუ აფხაზური დეპუტაცია, არამედ მასთან ინტეგრირებული სხვა ეროვნებათა დეპუტატებიც ვერ ქმნიდნენ ერთად აღებულნი. მაშასადამე, აფხაზეთის პარლამენტში ეთნიკური აფხაზების უმნიშვნელო უმრავლესობა და საერთოდ ნებისმიერი კოალიცია ქართული ეთნიკური დეპუტაციის გარეშე არ წარმოადგენდა „კონსტიტუციურ უმრავლესობას“, რადგანაც კონსტიტუციური ცვლილებების მისაღებად საჭირო იყო ქართული ფრაქციის თანხმობა.

პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტს შესაძლებლობა ჰქონდა გაეუქმებინა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის, ან ამგვარი გამოყოფის ეტაპობრივ-პროცესუალური უზრუნველყოფის ნებისმიერი უკანონო გადაწყვეტილება. ეს მომენტი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლის ბლოკირების მექანიზმი, პრეზიდენტის დე-ფაქტო და დე-იურე ვეტო აფხაზეთის შესაძლო სეცესიაზე – უნდა მივიჩნიოთ 1991 წ. კომპრომისის უმთავრეს მახასიათებლად. კომპრომისული პაკეტი ასევე ითვალისწინებდა ქართულ-აფხაზურ თანხმობას სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. ქართული სექტორის ნომენკლატურული პრეფერენცია გარანტირებული იყო პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ეთნიკური ქართველობით.

ავტონომიური რესპუბლიკის ისტებლიშმენტს უნდა ემუშავა „ორმხრივი კონსენსუსის“ წესებით, ე.ი. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო მოსახლეობის ორი ძირითადი ეთნიკური (ქართულ-აფხაზური) ზონის კოოპერაცია და კონსტრუქციული თანამშრომლობა. მაგალითად, მინისტრების დამტკიცებას პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობა, შესაბამისად, შეთანხმება სჭირდებოდა.

1991 წლის კომპრომისის მთავარი მიზანი აფხაზური ეთნოკრატიის ინტეგრაციული ვექტორის რადიკალური შემობრუნება, რუსული ორიენტაციის განეიტრალება და ქართულ სივრცეში მისი რეინტეგრაციის დაწყება იყო. ამ თვალსაზრისით კომპრომისი მიზნად ისახავდა სეპარატისტული პოლიტიკური ენერგიის ეფექტურ მართვას და მისთვის შიდასახელმწიფოებრივი დინების მიცემას. ოსების ავტონომიის ლიკვიდაციისა და აჭარის ავტონომიის გაუქმების რეფერენდუმული საწყისების მზადების პარალელურად 1991 წლის კომპრომისული პაკეტის დადების ფონზე აფხაზებმა მართლაც ირწმუნეს, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ანტიავტონომისტური კურსი მათ არ შეეხებათ და თბილისთან შეიძლება დიალოგი გარკვეულ პოზიტიურ პლატფორმაზე.

ფორმულა 28+26+11 აფხაზეთში ნერგავდა მკვიდრი (28+26) და არამკვიდრი (11) ეთნოსების ცნებას. აქედან გამომდინარე, აფხაზური ეთნოკრატია ქართველებს ცნობდა აფხაზეთის მკვიდრ ეთნოსად, შესაბამისი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი გარანტიებით, და პირიქით. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები - „საქართველოს სსრ-ს“ ნაცვლად ჩაიწერა „საქართველოს რესპუბლიკა“, რითაც აფხაზურმა მხარემ აღიარა საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის ლიკვიდაციის ფაქტი, აფხაზეთის ასსრ კი დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს

[1944] . ჯ. გამახარია. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში, გვ. 4.

რესპუბლიკის ნაწილად დაფიქსირდა. აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონი ძალაში შედიოდა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური პარლამენტების მიერ მისი მიღების მომენტიდან. ამით ფაქტობრივად გამოირიცხა სტატუსის თაობაზე ცალმხრივი კანონიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ აფხაზურმა ეთნოკრატიამ ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ყოველგვარი შუამავალი მისიებისა და მოსკოვის მედიატორობის გარეშე ოფიციალურ თბილისთან დადო პოლიტიკური შეთანხმება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ყოფნის შესახებ, თანაც საქართველოს ფედერალიზაციის თუ კონფედერალიზაციის მოთხოვნის გარეშე. ამით აფხაზურმა ეთნოკრატიამ როგორც საკუთარი პოლიტიკური უფლებების, ისე აფხაზეთში მთელი პოლიტიკური პროცესის წყაროდ და სუბიექტად დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ცნო. პირდაპირ თუ ირიბად, აფხაზებმა აღიარეს, რომ ავტონომიის სტატუსის საფუძველი არის არა ცალკე აფხაზი ერის თვითგამორკვევა ან რომელიმე საკავშირო-იმპერიული აქტი, არამედ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მასთან შეთანხმება.

დაბოლოს, კიდევ ერთი სადისკუსიო საკითხის შესახებ: აბსოლუტურად მცდარია მოსაზრება ეთნოკვოტირების მოდელის უპრეცენდენტობის შესახებ, თითქოს ეს იყო ექსკლუზიურად ზ. გამსახურდიას ხელისუფლების გამოგონება.

აფხაზეთის ისტორიაში პირველ პარლამენტში, ე.ი. 1919 წლის 13 თებერვალს არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში 40 წევრიდან 17 ეთნიკური აფხაზი იყო, 15 – ქართველი და 8 – სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

აფხაზეთის ბოლო საბჭოთა პარლამენტში, 1986 – 1991 წწ. მოწვევის უმაღლეს საბჭოში კი ასეთი პროპორციის ეთნოსტრუქტურა იყო: 140 წევრიდან – 57 აფხაზი, 54 ქართველი და 29 სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ასე რომ, წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ეთნიკურ აფხაზთა წარმომადგენლობითი პრეფერენციის პრინციპი არსებობდა ავტონომიური პარლამენტარიზმის ისტორიის თითქმის ყოველ ეტაპზე. ის გარემოება, რომ ეთნოკვოტირება ფაქტობრივი და არა იურიდიულად სანქცირებული იყო, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის.

რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, პოლიტიკურ-ეთნიკური ან პოლიტიკურ-კონფესიური კვოტირების პრინციპი საფუძვლად უდევს ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემას, როგორც პოსტკონფლიქტური დარეგულირების ან ანტიკონფლიქტური პრევენციის საშუალება. მაგალითად, იტალიის ტრენტინო-ალტო-ადიჯეს პროვინციაში, ტიროლში გარანტირებულია გერმანელთა ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური და წარმომადგენლობითი პრეფერენციები, რათა მათ არ გამოთქვან ავსტრიასთან შეერთების სურვილი. ლიბანის 1943 წ. „ეროვნული პაქტის“ თანახმად, სახელმწიფოში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მუსლიმანები წარმოადგენენ, პრეზიდენტი უნდა იყოს მარონიტი-ქრისტიანი. კვოტირებულია ასევე პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის სპიკერის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და სხვა თანამდებობები. XX ს. 70-იან წლებში ლიბანის სამოქალაქო ომი გამოიწვია ამ კვოტირებული ბალანსის დაშლამ, რისი მიზეზიც გახდა ქვეყანაში პალესტინური სტრუქტურების ინფილტრაცია. ეთნოპოლიტიკური კვოტირების პრინციპის რეალიზაციის მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე კვიპროსის პოლიტიკური სისტემა 1974 წ. კრიზისამდე და შვეიცარიის ზოგიერთი კანტონის ადმინისტრაციული სტრუქტურა.

1991 წლის ივლის-აგვისტოს კომპრომისმა აფხაზეთში შექმნა ეთნოკონსტიტუციური წონასწორობისა და პოლიტიკური ბალანსის მდგომარეობა. ასეთ ბალანსს ქმნიდა ქართული და აფხაზური მხარეების არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი (და ეს იყო მთავარი) ურთიერთთანაფარდობის სისტემა – ეთნოკვოტირებული უზენაესი საბჭო, კონსტიტუციური ცვლილებებისათვის და მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. კვალიფიციური უმრავლესობის აუცილებლობა, საქართველოს პრეზიდენტის დე-ფაქტო და დე-იურე ვეტო აფხაზეთის შესაძლო სეცესიაზე, ქართველი ეროვნების პირველი ვიცე-სპიკერი და პრემიერ-მინისტრი.

1991 წლის კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტი, ცხადია, მიზნად ისახავდა აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილებას, მოსალოდნელი კონფრონტაციის ლოკალიზებას საპარლამენტო-კონსტიტუციურ ჩარჩოებში და რეალური, ასე ვთქვათ, „ცხელი ომის“ მოქცევას „ცივი ომის“ თუ „ცივი მშვიდობის“ ფორმატში.

სწორედ ამგვარ ტენდენციას ჰქონდა ადგილი 1991 წლის შემოდგომაზე. ზ. გამსახურდიამ იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ზოგიერთი ანტიკონსტიტუციური აქტი – აფხაზეთის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ (1991 წლის 27 სექტემბერი), აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ (1991 წლის 27 სექტემბერი), აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ (1991 წლის 22 ოქტომბერი) და სხვა აქტები[1945].

ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1991 წლის 29 სექტემბერს (ზოგიერთ ოლქში მეორე ტური თუ ხელახალი არჩევნები გაიმართა 13 ოქტომბერსა და 1 დეკემბერს). კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტის საფუძველზე პოლიტიკური ბალანსის სისტემის ფორმირების პროცესი შეწყვიტა 1991–1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოში.

1991 წლის 18–21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დროს ზ. გამსახურდიამ აირჩია პოზიტიური ნეიტრალიტეტის ტაქტიკა, რაც შექმნილ პირობებში ყველაზე ადეკვატურად პასუხობდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. პუტჩისტთა ჯგუფის მიერ პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის გადაყენების მცდელობა, უკანონო „საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის“ მიერ ძალაუფლების ხელში აღება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება წარმოადგენდა ანტიკონსტიტუციურ სახელმწიფო გადატრიალებას. მაგრამ საქართველოს ანტიიმპერიული ინტერესების კონტექსტში ფაქტობრივად შეუძლებელია აგვისტოს პუტჩის დახასიათება ტოტალიტარიზმ-დემოკრატიის დიქოტომიის კონცეფციაში, რადგანაც ორივე დაპირისპირებული ბლოკი თითქმის იდენტური ნეგატიურობით უყურებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. ამიტომ საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით ეს იყო „სასახლის გადატრიალების“ წარუმატებელი მცდელობა, ერთგვარი შიდასახელისუფლებო ფრონდა. მას შედეგად მოჰყვა არა პოსტტოტალიტარული ტრანზიტი და დემოკრატიაზე გადასვლა, არამედ იმპერიის უმაღლეს იერარქიაში ნომენკლატურული ცირკულაცია – „გორბაჩოვური ცენტრის“ ჩანაცვლება „ელცინური ცენტრით“.

ზ. გამსახურდიამ ობიექტურად შეაფასა აგვისტოს პუტჩის ეს ლატენტური არსი და პოზიტიური ნეიტრალიტეტის ტაქტიკა აირჩია, ანუ ერთი იმპეროკრატიული დაჯგუფების მხარდაჭერით საქართველო მეორე იმპეროკრატიული დაჯგუფების მხრიდან შესაძლო სამხედრო დარტყმის საშიშროების ქვეშ არ დააყენა. მიუხედავად ამისა, ან შესაძლოა სწორედ ამიტომ, მოსკოვის პუტჩმა სტიმული მისცა უაღრესად დესტრუქციული პროცესების განვითარებას საქართველოში.

პუტჩის დროს ზ. გამსახურდიას მიერ გატარებული პოზიტიური ნეიტრალიტეტის ტაქტიკამ გამოიწვია ბ. ელცინისა და მისი ნომენკლატურის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრდა საქართველოს მიერ „დემოკრატიული“ რუსეთის პატრონაჟის ქვეშ ფორმირებად ნეოიმპერიულ სტრუქტურაში – დსთ-ში ინტეგრირებაზე უარის თქმის ფონზე.

მოსკოვის პუტჩის დროს განვითარებულმა მოვლენებმა საკუთრივ საქართველოში გამოიწვიეს დესტრუქციული ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის გააქტიურება. ჩამოყა-ლიბდა ქართული პუტჩის სოციოპოლიტიკური ინფრასტრუქტურა – ეროვნული გვარდიის არაკონტროლირებადი ნაწილის, ეროვნული მოძრაობის ოპოზიციური შეიარა-ღებული ჯგუფების, ფსევდოლიბერალურ ფასეულობებზე ორიენტირებული

[1945] . რეგიონული კონფლიქტები..., გვ. 49-50, 54.

ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის, კრიმინალური პარამილიტარული დაჯგუფებებისა და ყოფილი პარტოკრატიის რევანშისტული ანტიეროვნული კოალიციის სახით. ბ. ელცინის გარემოცვამ განახორციელა ამ რევანშისტული კოალიციური კონგლომერატის პოლიტიკურ-დიპლომატიური, ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა.

სახელმწიფო გადატრიალებას შედეგად მოჰყვა პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა[1946], უზენაესი საბჭოს დათხოვნა და კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება. 1992წ. 2 იანვარს შეიქმნა სამხედრო საბჭო ტრიუმვირატის – თ. სიგუას (პრემიერ-მინისტრი), ჯ. იოსელიანის (პარამილიტარული „მხედრიონის“ ლიდერი) და თ. კიტოვანის (გვარდიის უკონტროლო ნაწილის სარდალი) შემადგენლობით. უკანონო რეჟიმის ერთგვარი მოდიფიკაცია მოხდა: 7 მარტის შემდეგ, როცა საქართველოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე. 10 მარტს მისი თავმჯდომარეობით საქმიანობას შეუდგა სახელმწიფო საბჭო.

თბილისის გადატრიალებამ აფხაზეთის პოლიტიკურ სივრცეში თვისობრივად ახალი ვითარება შექმნა რეგიონალური პოლიტიკური პროცესის სტრუქტურების და მექანიზმების გადაჯგუფების თვალსაზრისით. დაიშალა 1991წ. კომპრომისის მოდელი და დაინგრა მასზე დაფუძნებული ბალანსირებული პარტიულ-პოლიტიკური სისტემა. ამ სისტემის აფხაზური სექტორი უკვე ღიად დაადგა სეცესიონისტურ პლატფორმას და სეპარატიზმის გზას. გადატრიალებამ მოშალა აფხაზეთის სეცესიის ბლოკირების მთავარი პოლიტიკური ღერძი – საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელსაც ამ საკითხში ვეტოს კონსტიტუციური პრეროგატივა ჰქონდა.

გადატრიალებამ მოშალა აგრეთვე აფხაზეთის სეცესიის აღკვეთის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმიც: საქართველოს სამხედრო საბჭომ 1992 წლის 2 იანვარს შეაჩერა ქვეყნის კონსტიტუციის მოქმედება, ხოლო 21 თებერვალს ფორმალურად აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921წ. კონსტიტუცია. რეალურად შექმნილმა სამართლებრივმა ვაკუუმმა ვ. არძინბას ანტიქართულ ჯგუფს სეცესიის ან კონფედერაციულ საწყისებზე ქართულ-აფხაზური სახელშეკრულებო ორსუბიექტიანი გაერთიანების შექმნის დამატებითი იურიდიული არგუმენტაციის შესაძლებლობა მისცა – თითქოს სამართლებრივი ვაკუუმის გამო აფხაზეთი იძულებული გახდა პროცესი დაეწყო „ნულოვანი ვარიანტიდან“ და განეხორციელებინა იძულებითი ფორსმაჟორული სუვერენიზაცია. ამიტომ გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წ. კონსტიტუციის აღდგენასა და სეპარატისტების მიერ 1992წ. 23 ივლისს მიღებულ აქტს შორის (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) სრულიად ნათელია.

სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ დასავლეთ საქართველოში 1992წ. თებერვალ-მარტსა და ივლისში ჩატარებულმა ექსპედიციებმა ნეგატიური როლი შეასრულეს. მათ გამოიწვიეს მერიდიონალური შიდაქართული გეოპოლიტიკური განხეთქილება[1947] (საბედნიეროდ, დროებითი) და აფხაზეთსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის შექმნეს ერთგვარი ბუფერული ზონა. ამ გარემოებამ აფხაზეთის ქართული მოსახლეობისათვის (ისევე როგორც შემდგომში ქართული შეიარაღებული ძალებისათვის) ერთბაშად მოშალა „სამეგრელოს ზურგი“ და ის ფაქტობრივად ანკლავურ მდგომარეობაში ჩააყენა.

თუ ზ.გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში ხასიათდებოდა „ცივი ომის“ („კანონთა ომის“) თუ „ცივი მშვიდობის“ ფაზების

[1946] . აფხაზეთის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა ზუსტად იმ დღეს, როდესაც კანონიერმა პრეზიდენტმა იძულებით დატოვა საქართველოს ტერიტორია - 1992 წლის 6 იანვარს.

[1947] . დროებითი მერიდიონალური შიდაქართული გეოპოლიტიკური განხეთქილების შედეგი ისიც იყო, რომ სამხედრო რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკით სარგებლობდა რუსეთის იმპერია. მაგალითად, 1993 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტ ბ. ელცინის გარემოცვაში არსებობდა საქართველოს ტერიტორიული დაშლის პროექტი: ზ. გამსახურდიას უნდა შეექმნა საქართველოსა და აფხაზეთს შორის ბუფერული დასავლურქართული სახელმწიფო და თავისი იურისდიქცია შემოესაზღვრა მხოლოდ ამ ტერიტორიით. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდა ის რუსეთიდან სამხედრო და ფინანსურ გარანტიებს. ცხადია, პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ კატეგორიულად უარყო ეს გეგმა.

პერმანენტული ურთიერთმონაცვლეობით, თბილისის გადატრიალების დროიდან ვ. არძინბას პოლიტიკური კლანი საბოლოოდ დაადგა გამოყოფის სტრატეგიას. სწორედ ამ დროიდან დაიწყო აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის და მისი სუვერენიზაციის პოლიტიკური, სამხედრო და სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფის მცდელობანი. 1991წ. 29 დეკემბერს ვ. არძინბამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილებისა და საჯარისო დაწესებულებათა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ.[1948] დადგენილების თანახმად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეიქმნა ე.წ. „დროებითი სამხედრო საბჭო“, რომელიც თავისი სტრუქტურით და დანიშნულებით წარმოადგენდა სეპარატისტული რეჟიმის მომავალი სამხედრო სისტემის მაკოორდინირებელ ორგანოს.

1992წ. 31 მარტის დადგენილებით „აფხაზეთის შინაგანი ჯარების პოლკის შექმნის შესახებ“ ჩამოყალიბდა აფხაზური მონოეთნიკური გვარდია. 30 აპრილის დადგენილებით, ვ. არძინბამ გამოაცხადა 1965–1974წწ. დაბადებულ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა.[1949] საგულისხმოა, რომ აფხაზური მონოეთნიკური საჯარისო ფორმირების შექმნა მოხდა საქართველოს სამხედრო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებებისაგან აფხაზეთის „დაცვის“ საბაბით და ეს მაშინ, როდესაც სამხედრო საბჭომ მიზანმიმართულად დაშალა აფხაზეთში ზ. გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული გვარდიის ოთხივე ბატალიონი – გაგრის, სოხუმის, გულრიფშისა და გალისა.

ვ. არძინბამ დაარღვია ასევე 1991 წლის კომპრომისული პაკეტი და ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე თანამდებობიდან გადააყენა ქართველი ეროვნების მინისტრები და რეგლამენტის დარღვევით ისინი ჩაანაცვლა სეპარატისტული ორიენტაციის ეთნიკური აფხაზებით.

დანაშაულებრივ სეცესიონისტურ აქციათა ეს სერია ვ. არძინბას კლანმა განახორციელა აბსოლუტურად მიზანმიმართულად, თბილისის მხრიდან ეფექტური კონტრზომების გარეშე. სამწუხაროდ, ვერც ქართულ და ვერც ზომიერ-ლიბერალურ აფხაზურ წრეებში ვერ გაიმარჯვა ბლოკური სტრატეგიის ტრადიციამ. შექმნილ პოლიტიკურ კონიუნქტურაში ცენტრიზმი, როგორც უკიდურესი ქართული და აფხაზური ულტრარადიკალური ფლანგების გაწონასწორების სტრატეგია, დამარცხდა.

1992 წლის 5 მაისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ფაქტობრივად გაითიშა ეთნოპოლიტიკური ნიშნით. უკვე არ ტარდებოდა ერთობლივი სხდომები. მანამდე, 1992 წლის მარტში „აიდგილარას“, „აფხაზეთის სახალხო პარტიის“, „სლავური სახლისა“ და სომხური „კრუნქის“ გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა სეპარატისტული ცენტრი – ბლოკი „სოიუზი“, რომელიც წარმოადგენდა ანტიქართული, პროიმპერიული და კონტრდემოკრატიული ძალების კოალიციას. ქართულ-აფხაზური კოალიციური ცენტრი კი ვერ შეიქმნა. დამხობილი ეროვნული ხელისუფლების ძალებს, გასაგები მიზეზების გამო, ვერ აღმოაჩნდათ საკმარისი რესურსები ქართულ-აფხაზური ცენტრისტული კოალიციის შესაქმნელად, დარღვეული პოლიტიკური ბალანსისა და 1991 წლის კომპრომისული მოდელის აღსადგენად, რაც შექმნილ სიტუაციაში ომის ერთადერთ რაციონალურ ალტერნატივას წარმოადგენდა.

1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძე-ელცინის დაგომისის შეხვედრაზე, გარდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპებისა, განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საერთო კომპლექსი. მიღებულ „კომუნიკეში“, სხვათა შორის, აღინიშნა: „საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აღკვეთენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრად სამხედრო და თვითნებურად შექმნილი რაზმებისა და ჯგუფების მოღვაწეობას...“[1950] ღრმა საექსპერტო ატრიბუცია არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ დაგომისის შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ ბ. ელცინისაგან მიიღო აფხაზეთის ავტონომიური

[1948] . რეგიონული კონფლიქტები..., გვ. 268.
[1949] . აფხაზეთის ხმა, 1992, 12 მაისი.
[1950] . საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 27 ივნისი.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია, როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წლის 18 ივლისს სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა ვ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებთან.[1951] მოვლენათა ლოგიკის თანახმად და შეხვედრიდან სულ რაღაც ხუთიოდე დღეში აფხაზთა მიერ სეპარატისტული კანონმდებლობის მიღების თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს ომის ინიცირების სანქცია, ოღონდ ამჯერად რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით.

ამავე პერიოდში სახელმწიფო საბჭომ გადადგა კომპრომისული ნაბიჯი და წამოაყენა ერთიანი ქართულ-აფხაზური ინტეგრირებული სამხედრო შენაერთის შექმნის წინადადება. პროექტის თანახმად, რომელიც სოხუმში ჩაიტანეს თავდაცვის მინისტრმა თ. კიტოვანმა და მისმა პირველმა მოადგილემ ლ. შარაშენიძემ, აფხაზური გვარდიისა და შინაგანი ჯარის ქართული ბატალიონის ინტეგრაციის ბაზაზე უნდა შექმნილიყო ერთიანი ქვედანაყოფი დუალისტური დაქვემდებარების (აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმაგ დაქვემდებარებაში) სტატუსით. მაგრამ აღნიშნული პროექტი ჩააგდეს სახელმწიფო საბჭოს მხარდამჭერი ქართული ორგანიზაციებისაგან შემდგარ „ეროვნული ერთიანობის საბჭოში“, მიიჩნიეს რა ის „სეპარატისტების წინაშე ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ კაპიტულაციად“.[1952]

1992წ. 26 ივნისს ვ. არძინბამ გამართა ძალოვანი უწყებების აფხაზური ბირთვის შემადგენლობით მოწვეული თათბირი,[1953] სადაც გადაწყდა, რომ ადრე მიღებული აფხაზი ხალხის ეროვნულ უფლებათა ვითომ დამრღვევი აქტებისა და დადგენილების გაუქმების შემთხვევაში შესაძლო ექსცესების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: აფხაზური გვარდიის დაკანონება, სამხედრო და მილიციის ნაწილების მზადყოფნაში მოყვანა, საკვანძო ობიექტების კონტროლის ქვეშ აყვანა და ა.შ. ეს იყო ომის ინფრასტრუქტურის შექმნის პირდაპირი გზა.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ, ყოველგვარი პროცესუალური ნორმებისა და რეგლამენტის აშკარა დარღვევით მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ.[1954] დადგენილება მიღებულ იქნა 1991 წლის კანონმდებლობის გვერდის ავლითა და იგნორირებით. 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების უკანონოდ, ცალმხრივი წესით შეჩერება, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ნიშნავდა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული ავტონომიური სტატუსის იმავე წესით გაუქმებას და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თვითლიკვიდაციას.

1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა ფაქტობრივად საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის დეკლარირებას წარმოადგენდა, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ეს კონსტიტუცია თავიდანვე მკვდრადშობილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების მიღების პარალელურად უზენაესი საბჭოს აფხაზურმა ნაწილმა შექმნა სამუშაო ჯგუფი ერთიანი ორსუბიექტიანი ქართულ-აფხაზური ფედერაციული სახელმწიფოს პროექტის შესამუშავებლად, 23 ივლისის აქტი უნდა შეფასდეს, როგორც რეგიონალური პოლიტიკური გადატრიალება, ან უფრო კონკრეტულად, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ანტიკონსტიტუციური გზით გამოსვლის მცდელობა.

„კონსტიტუციურ რევოლუციასთან“ დაკავშირებით, 1992წ. 28–30 ივლისს აფხაზეთის პარლამენტის ქართულმა ფრაქციამ „დემოკრატიული აფხაზეთი“ გამართა

1951 . . . ? , 2001, გვ. 25.

1952 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 355.

1953 . აფხაზეთის ლაბირინთი. თბ., 1999, გვ. 32.

1954 . . , . . , გვ. 415.

კონტრსესია, გააუქმა 23 ივლისის უკანონო აქტი და მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთისათვის სახელწოდება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ მინიჭების შესახებ[1955].

თავი XX. აფხაზეთი 1992-2007 წლებში

[1955] . დემოკრატიული აფხაზეთი, 1992, 2 აგვისტო.

1. ომი აფხაზეთში. 1992 – 1993წწ.

1992 წლის 14 აგვისტოს, რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილების, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის (ე. შევარდნაძე, ჯ. იოსელიანი, თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ვ. გოგუაძე) 1992 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სპეციალური გეგმის (კოდური სახელწოდებით „მახვილი") თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები გადაადგილდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეზღუდული კონტინგენტის ჯავშანკოლონას აფხაზი ბოევიკებისაგან შემდგარმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან, რასაც მოჰყვა პირველი მსხვერპლი. სერიოზული ბრძოლა გაიმართა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერასთან, სადაც ე.წ. „აფხაზეთის შინაგანი ჯარის განსაკუთრებული პოლკის" ბატალიონმა გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია ქართულ ჯარს და ერთი ჯავშანმანქანა ააფეთქა.[1956]

ასე დაიწყო აფხაზეთის ომი.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის შეყვანა არ წარმოადგენდა ინტერვენციონისტულ და, მით უმეტეს, საოკუპაციო აქციას. ნებისმიერ შემთხვევაში, ფორმალურ-იურიდიული ასპექტით, ის უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჯარების გადაადგილება, ან რედისლოკაცია საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობისა და იურისდიქციის სივრცის ფარგლებში.

ამავე დროს, პოზიტიური საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ეს აქცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი რეპრესალია, ერთგვარი სამხედრო სანქცია, რომელსაც მიმართა საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის ხელმძღვანელობის ცალმხრივი უკანონო ქმედობის (23 ივლისის სეპარატისტული გადაწყვეტილების) საპასუხოდ, ამ ქმედობის ფაქტობრივი შედეგის (ე.ი. სახელმწიფოებრივი დაშლის) შეკავებისათვის.

სხვა საკითხია, რომ 14 აგვისტოს აქციის ამგვარი ოფიციალური ინტერპრეტაცია ე. შევარდნაძემ არ გააკეთა და ის სატრანსპორტო მაგისტრალის აფხაზეთის მონაკვეთის დებლოკირების აუცილებლობამდე დაიყვანა, რამაც აპრიორი გამოიწვია საქართველოს დამარცხება საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში.

რაც შეეხება „სატრანსპორტო ვერსიას", ცხადია, მას უკავია გარკვეული ადგილი აფხაზეთის ომის გამომწვევ მიზეზთა კომპლექსში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მართლაც იძარცვებოდა საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანისათვის განკუთვნილი სარკინიგზო შემადგენლობანი. ამის საფუძველზე ომის დაწყების ვერსია მართლაც ფიგურირებს მიზეზთა იერარქიაში, მაგრამ არა ცენტრალური მიზეზის ხარისხში. ამ იერარქიაში შეგნებულად გამოტოვებულია აფხაზეთში ომის ინიცირების კიდევ ერთი არსებითი მიზეზი – პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მხარდამჭერი კონსტიტუციონალისტური მოძრაობის პოლიტიკური და ფიზიკური ლიკვიდაცია, რომლის ძირითადი ცენტრები მაშინ სწორედ აფხაზეთში მოქმედებდნენ. შემდგომში კონფლიქტის დინამიკამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა და მოწინააღმდეგე ძალები რუსული აგრესიის წინააღმდეგ ერთიან ქართულ ფრონტში გააერთიანა.

ომის მიზეზთა შორის გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს შიდაელიტური კრიზისიც. ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოში არსებობდა ღია თუ ფარული დაპირისპირება ე. შევარდნაძის პარტოკრატიულ-ნომენკლატურულ, ჯ. იოსელიანის პარამილიტარულ და სიგუა-კიტოვანის ულტრარადიკალურ კორპორაციულ კლანებს შორის. ამ შიდაელიტურ კორპორატიზმში ე. შევარდნაძის სამო-

[1956] . გ. გასვიანი. თ. გასვიანი. აფხაზეთის ომი. თბ.., 2005, გვ. 161..

ქალაქო სექტორი ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდა კიტოვან-იოსელიანის სამხედრო ბლოკს და, შესაბამისად, ვერ ანეიტრალებდა ამ „ომის პარტიის“ მილიტარისტულ ინიციატივებს, მათ შორის აფხაზეთში ჯარის შეყვანის გეგმებს.

მაგრამ ეს არ არის ომის ძირითადი მიზეზი, თვით ე. შევარდნაძე და მისი აპოლოგეტიკით გამორჩეული ბევრი მოღვაწე მოხერხებულად სარგებლობდნენ შიდაელიტური კონფლიქტის ფაქტით და აფხაზეთში ჯარის შეყვანას თ. კიტოვანის ლამის პირად ინიციატივად ასაღებდნენ (თანაც თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ). ეს „კონცეფცია“ არ შეესაბამება სინამდვილეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთის ომის ინიცირებისა და მისი ნეგატიური შედეგებისათვის ეკისრებათ ე. შევარდნაძეს და მის იმდროინდელ ელიტარულ გარემოცვას ვ. არძინბას კლანთან და რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან ერთად.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული ჯარების კონტინგენტის გადაადგილების პარალელურად იმავე 14 აგვისტოს სეპარატისტული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც მომხდარი შეაფასა „საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარების მიერ სუვერენული აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციად“ (?) და გამოაცხადა სამხედრო მობილიზაცია 17-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობას შორის. ამავე დროს, სეპარატისტებმა შექმნეს ე.წ. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ვ. არძინბას თავმჯდომარეობით, რომელიც 1993 წლის 8 იანვრიდან გახდა ე.წ. შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.[1957]

1992 წლის 15 აგვისტოს გაგრის ზონის დაბა განთიადში გადასხდა საქართველოს შეიარაღებული ძალების საზღვაო დესანტი, რომელმაც კონტროლი დაამყარა განთიად-ლესელიძის ზონასა და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე მდ. ფსოუზე. ეს იყო დროული და სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის დამყარებით უზრუნველყოფილი იყო მდ. ფსოუს მხრიდან რუსეთისა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის საჯარისო შენაერთების პირდაპირი ინტერვენციის ბლოკირება. ამის შემდეგ აფხაზურ ფორმირებებთან წარმოებული ოთხდღიანი ბრძოლების შედეგად ქართული დესანტი 19 აგვისტოს ქ. გაგრაში შევიდა და დაამყარა კონტროლი გაგრის რაიონსა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან გაგრის ქედზე.

ომის დაწყების მეორე დღეს, 15 აგვისტოს სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ჯ. იოსელიანი. მათგან და აფხაზეთის ქართველ ხელისუფალთაგან (თ. ნადარეიშვილი, ვ. ყოლბაია, ა. იოსელიანი, ნ. მესხია) შემდგარმა ჯგუფმა მოლაპარაკება გამართა აფხაზური მხარის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ბაგაფში.

მოლაპარაკების დასაწყისშივე ქართულმა მხარემ მოითხოვა, რომ შეხვედრაში ჩართულიყო ვ. არძინბა, მაგრამ ამაოდ.[1958] მძიმე დისკუსიის შემდეგ მიღებულ იქნა წინასწარი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. სოხუმის დემილიტარიზაციას (სამი დღის განმავლობაში ქართული ნაწილებისა და სამხედრო ტექნიკის განლაგებას სოფ. ბაღმარანთან, ხოლო აფხაზურისა – მდ. გუმისთაზე) და პარიტეტულ საწყისებზე 400-კაციანი ქართულ-აფხაზური შენაერთის ჩამოყალიბებას ფსოუდან ენგურამდე საკომუნიკაციო მაგისტრალების დასაცავად. სიტუაციის განმუხტვისა და სამხედრო ესკალაციის თავიდან აცილების ეს შანსი აფხაზური მხარის მეცადინეობით ჩაიშალა, რადგანაც ს. ბაგაფშმა, ვ. არძინბასთან კონსულტაციის მომიზეზებით, პროექტს ხელი არ მოაწერა.[1959]

18 აგვისტოს ქართული ეროვნული გვარდიისა და მხედრიონის ნაწილები ქ. სოხუმში შევიდნენ. ვ. არძინბას დაჯგუფება და სეპარატისტული ხელისუფლების

1957 . . . . წწწ. აბკაზეტი.ნაროდ.რუ/პაგეს/2/161.ჰტმ/

1958 . აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 125.

1959 . იქვე.

ორგანოები გუდაუთაში გადავიდნენ, ხოლო აფხაზურმა ფორმირებებმა მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს პოზიციები.

ე. შევარდნაძემ და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ომის დასაწყისშივე დაუშვეს სტრატეგიული შეცდომები და დანაშაულებრივი ინფანტილიზმი გამოიჩინეს. ჯერ ერთი, ქართული ნაწილები მთელი სამი-ოთხი დღის განმავლობაში შეჩერებულნი იყვნენ ქ. სოხუმის შესასვლელთან, რამაც ვ. არძინბას დაჯგუფებას სოხუმიდან გუდაუთაში თავისუფალი ევაკუაციის საშუალება მისცა; მეორე, სოხუმის დაკავებისა და მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე გამაგრების შემდეგ ქართულ ფორმირებებს თავისუფლად შეეძლოთ ეშერის ქედის დაკავება და იქიდან ახალი ათონი-გუდაუთის ხაზზე გასვლა. ეს ნაბიჯი არ გადაიდგა, რაც მიუთითებს ე. შევარდნაძის აბსოლუტურ არაკომპეტენტურობაზე სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებში. ქართული შეიარაღებული ძალების გუდაუთისაკენ წინსვლით, უკიდურეს შემთხვევაში, მოხდებოდა სეპარატისტული კლანის იზოლაცია და აფხაზური მცირერიცხოვანი საჯარისო ფორმირებების ინტერნირება, როგორც ამას ითვალისწინებს ომის ზოგადი ლოგიკა და სიტუაციური ფორმატი. ე. შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება, ისევე როგორც იმ პერიოდში მის მიერ წარმოებული პოლიტიკის ზოგადი ტენდენცია – როცა საჭირო იყო მოლაპარაკება და მშვიდობიანი პოლიტიკა – ჯარების შეყვანა, ხოლო ჯარების შეყვანის შემდეგ, როცა საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა – პირიქით – ჰუმანისტური და პაციფისტური ლოზუნგომანია – აშკარად მიუთითებს ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის სრულ უსუსურობაზე, ომის ხელოვნური გაჭიანურების და იმანენტური ესკალაციის რუსული სტრატეგიის რეალიზაციაზე.

ქართული შენაერთების ახალი ათონი-გუდაუთის ხაზის მიმართულებით შეტევის ბლოკირებამ აფხაზურ მხარეს შესაძლებლობა მისცა, გამაგრებულიყო მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე და შეექმნა იქ მეტ-ნაკლებად სტაბილური ფრონტის ხაზი, ე.წ. დასავლეთის ფრონტის, იგივე „გუმისთის თავდაცვითი საზღვრის“ სახით.

აფხაზეთის ომის პირველი დღეებიდანვე სრულიად განსაკუთრებული ნეგატიური როლი შეასრულა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის „ახალმა მოთამაშემ“ – კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ (კმხკ).

1992 წ. 18 აგვისტოს კმხკ-ს პრეზიდენტმა მ. შანიბოვმა და პარლამენტის სპიკერმა ი. სოსლანბეკოვმა გამოსცეს შემდეგი ბრძანებულება: „1. კონფედერაციის ყველა შტაბმა განახორციელოს მოხალისეთა გადასროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე აგრესორისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად... 3. ქ. თბილისი გამოცხადდეს უბედურების ზონად; 4. კონფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქართველი ეროვნების ადამიანი გამოცხადდეს მძევლად; 5. დაკავებულ იქნეს საქართველოსადმი კუთვნილი ყველა ტვირთი და აღიკვეთოს მისი დანიშნულების ადგილზე გადაზიდვა.“[1960]

ამ დროიდან დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიიდან მოხალისეთა ძალების შემოსვლა და კონცენტრაცია აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელსაც გუდაუთის დაჯგუფება აკონტროლებდა. ვოლონტიორთა ჯგუფების ბაზაზე ერთიანი სამხედრო სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა პირველი და მეორე განსაკუთრებული ბატალიონები, ასევე მესამე სარეზერვო ბატალიონი. კმხკ-ს მიერ კონტროლირებადი ვოლონტიორთა კორპუსის ჯამური რაოდენობა აღწევდა 1700–2100 ადამიანს. კონფედერატების პირველი ძირითადი დამრტყმელი ძალა – 286 მებრძოლისაგან შემდგარი ე.წ. „აფხაზეთის ბატალიონი“ ჩეჩენი ეროვნების საველე მეთაურის შ. ბასაევის მეთაურობით უკვე 22 აგვისტოს ჩაება საბრძოლო მოქმედებებში მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირის სტრატეგიულ ხაზზე.

პროაფხაზურ ვოლონტიორულ მოძრაობაში კმხკ-ს გარდა აქტიურად მონაწილეობდა კაზაკობა და სამხრეთ რუსეთიდან და პოსტსაბჭოთა სივრცის რუსულენოვანი მოსახლეობისაგან რეკრუტირებული მოხალისეთა რაზმები. ამ პროცესში სრულიად აშკარაა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების, რეგიონალური

[1960] . გ. გასვიანი, თ. გასვიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

ელიტებისა და სპეცსამსახურების მაორგანიზებელი როლი. კაზაკებისა და პოსტსაბჭოთა სივრცის რუსული რეგიონებიდან (განსაკუთრებით დნესტრისპირეთიდან) ორგანიზებული ვოლონტიორული რაზმებისაგან ჩამოყალიბდა ე. წ. „სლავბატი“ („სლავური ბატალიონი“), რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საომარ მოქმედებებში.

აფხაზეთის ომის მაგისტრალურ ფაქტორს წარმოადგენს მასში რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა, თანაც მონაწილეობა არა დისტანციურ-მინიმალური ფორმატით, ან კიდევ პროაფხაზური დაინტერესებული მხარის სტატუსით, არამედ უშუალო მეომარი მხარის ფორმით. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს აფხაზეთის კონფლიქტის დეტერმინაციას დე-ფაქტო რუსეთ-საქართველოს ომად.

აფხაზეთის ომში რუსეთის უშუალო მონაწილეობა ორი ძირითადი მიმართულებით – სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-დიპლომატიური მიმართულებით წარიმართა. სამხედრო-სტრატეგიულ სფეროში რუსეთის მონაწილეობა პოსტულირდება შემდეგი სფეროებით:

– საომარ მოქმედებებში რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების მონაწილეობა. ესენია – განსაკუთრებული დანიშნულების ფსკოვის დივიზია, 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი, 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, ბომბორის ავიაბაზაზე დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, სამხედრო-საჰაერო ძალების 529-ე საავიაციო პოლკი, შავი ზღვის სამხედრო ფლოტი, ქვემო ეშერასა და ოჩამჩირეში დისლოცირებული ბატალიონები, სპეცსამსახურების ნაწილები;

– სეპარატისტთა და ვოლონტიორთა საჯარისო შენაერთების მომარაგება შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკითა და მასალებით (რუსეთის სპეცსამსახურების ხაზით ვ. არძინბას მრჩევლის მ. დემიანოვის მონაცემებით, ომის დასაწყისშივე რუსეთის შეიარაღებული ძალების 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკმა სეპარატისტებს გადასცა 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ხელყუმბარა, 600 სასიგნალო რაკეტა, ნახევარ მილიონზე მეტი ტყვია, სამხედრო-სატვირთო მანქანები, სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა და სხვ);[1961]

– სეპარატისტების სამხედრო-საექსპერტო დახმარება საჯარისო შენაერთების სტრატეგიული მართვის უზრუნველყოფითა და რუსეთის გენერალიტეტისა (გ. კონდრატიევი, რ. ჩინდაროვი, ა. კვაშნინი, ი. სიგუტკინი და სხვ.) და ოფიცერთა კორპუსის მიერ მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების დაგეგმვით;

– რუსეთის ტერიტორიაზე მოხალისეთა ჯგუფების ორგანიზაცია და მათი გადასროლა კონფლიქტის ზონაში;

– რუსეთის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალების მიერ ქართული ჯარის პოზიციებისა და ქართველებით დასახლებული ზონების მასირებული დაბომბვები.

– რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან (მაგ., ვიცე-პრეზიდენტი ა. რუცკოი, პარლამენტის სპიკერი რ. ხასბულატოვი) საქართველოს ხელისუფლებისადმი პერმამენტული დამუქრება თბილისსა და სხვა ადგილებზე საჰაერო თავდასხმით და ამით ქართული ჯარის მნიშვნელოვანი ოპერაციების ბლოკირება.

აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობის პოლიტიკურ-დიპლომატიური ფორმატი გულისხმობს რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკას – საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლითა და მოლაპარაკებათა პროცესში ცრუ გარანტიების შეთავაზებით ომში საქართველოს დამარცხების დიპლომატიურ-სახელშეკრულებო ბაზისის უზრუნველყოფას (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში დიდი როლი შეასრულა ე. შევარდნაძის მუდმივმა თვითმოტყუებამ, მისმა უაღრესად კაპიტულანტურმა დიპლომატიურმა თამაშმა).

აფხაზეთის ომის საწყის ფაზაში სტრატეგიული სიტუაცია საქართველოსთვის საკმაოდ ხელსაყრელი იყო. აფხაზეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ქართული სამოქალაქო ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. გუდაუთის დაჯგუფების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები და შესაბამისად სეპარა-

[1961] . აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 208.

ტისტული სამხედრო ძალების კონცენტრაციის ცენტრები – გუდაუთა-ახალი ათონის ხაზი და ტყვარჩელის ზონა იმყოფებოდნენ ანკლავურ მდგომარეობაში.

ქ. სოხუმსა და ქართული საჯარისო ფორმირებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელების მიზნით, 1992 წ. 31 აგვისტოს შეიქმნა „სტაბილიზაციის დროებითი საკოორდინაციო საბჭო“ გ. ლომინაძის თავმჯდომარეობით.[1962] მაგრამ სტრატეგიული ვითარება რადიკალურად შეიცვალა სულ მცირე ხანში. 1992 წ. 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ორმხრივი შეთანხმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. მაგრამ აფხაზურმა მხარემ, ისარგებლა შეთანხმების შედეგად ქართული მხარის ყურადღების მოდუნებით და მოამზადა გაგრის ზონის ხელში ჩაგდების ოპერაცია.

1992 წლის 1 ოქტომბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ დაიწყო მასირებული შეტევა გაგრის ზონის მიმართულებით. საგულისხმოა, რომ შეტევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუსულმა სამშვიდობო ძალებმა, რომლებიც აქ განლაგებულნი იყვნენ 3 სექტემბრის შეთანხმების თანახმად, დატოვეს სადამკვირვებლო წერტილები და დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდნენ(?). 1 ოქტომბრის საღამოსთვის მტერმა დაიკავა სოფ. კოლხიდა, ხოლო 2 ოქტომბერს – ქ. გაგრა.

გაგრის ოპერაციაში აფხაზურ და კონფედერატულ (შ. ბასაევის „აფხაზური ბატალიონი“) დაჯგუფებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის რეგულარული შენაერთები, კონკრეტულად კი – 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი. ამავე დროს, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდებმა უზრუნველყვეს გაგრის ზონაში მებრძოლი ქართული დაჯგუფებისათვის (ძირითადად „მხედრიონისა“ და „თეთრი არწივის“ ქვედანაყოფებისათვის) დესანტის გადასხმით დახმარების გაწევის ბლოკირება.

ოპერაციის მიმდინარეობის დროს მოწინააღმდეგე მხარეს საბრძოლო იარაღით, საწვავითა და სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზა და ზღვიდან რუსული ტანკერი ბენზინმზიდი.

არსებობს მნიშვნელოვანი დოკუმენტური ცნობა – ერთ-ერთი რუსული სამხედრო ხომალდის მეთაურის, პირველი რანგის კაპიტნის ვ. ფომინის პატაკი, რომელიც ცხადყოფს რუსეთის სამხედრო ფლოტის უშუალო მონაწილეობას გაგრის ოპერაციაში[1963]. წყაროს რეპრეზენტატული მონაცემებით, რუსეთის მხრიდან ამ ოპერაციას სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი გ. კონდრატიევი. არსებობს ინფორმაცია, რომ გაგრის ოპერაციას საერთო ხელმძღვანელობას ფაქტობრივად უწევდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი მ. კოლესნიკოვი.

გაგრის ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე ომში ჩაება ქვემო ეშერაში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილი. 22 სექტემბერს ამ ნაწილიდან ქვეითთა საბრძოლო მანქანამ ცეცხლი გაუხსნა ქართული ჯარის პოზიციებს და საცეცხლე წერტილების ჩაქრობის შემდეგ შეტევაზე გადავიდა – რუსებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები: სოხუმის ნავთობბაზა და წისქვილკომბინატი.

გაგრის დატოვების შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით გადანაცვლებული ფორმირებებისაგან გ. ყარყარაშვილმა სცადა ჯარების ერთიანი ჯგუფის შექმნა. სამწუხაროდ, გაგრის დაკარგვით გამოწვეულ ქაოსსა და დეზორგანიზაციაში, ასევე უმაღლესი სარდლობის მხრიდან სრული განუკითხაობის პირობებში ეს ვერ მოხერხდა. 6 ოქტომბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ დაიკავა ლესელიძე, განთიადი და გავიდა საქართველო-რუსეთის საზღვარზე.

[1962] . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 375.

[1963] . **„В 17.00 2 октября первый заместитель Министра Обороны России генерал-полковник Кондратьев Г.Г. поставил боевую задачу СКР „Безукоризненный“: 1. Не допустить высадки морского десанта грузинской стороны в районе Пицунда – Гагры вплоть до применения оружия; 2. Осуществить ПВО АЭ Гудаута; 3. Установить факт подпитки Гагрской группировки грузинской стороны войсками и оружием путём переброски их морем из Туапсе, Сочи в Гагры в прибрежной полосе...“[1]**

1992 წლის 1–6 ოქტომბრის მარცხმა უაღრესად ნეგატიური როლი შეასრულა აფხაზეთის ომის მსვლელობაში. საქართველომ დაკარგა კონტროლი სტრატეგიულად მნიშვნელოვან გაგრის ზონაზე. გუდაუთა-ახალი ათონის დაჯგუფების ანკლავური მდგომარეობის დებლოკირებით და რუსეთთან საზღვარზე კონტროლის დამყარებით სეპარატისტებმა მიიღეს თავიანთ მთავარ მხარდამჭერებთან უშუალო საკომუნიკაციო კავშირის დამყარების შესაძლებლობა.

გაგრასა და მის ზონაში რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა ძალებმა განახორციელეს ქართული მოსახლეობის მასობრივი გენოციდი და ხოცვა-ჟლეტა, ასევე საერთაშორისო კონვენციებით დასჯადი სხვა დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ.

გაგრის ტრაგედიის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა აფხაზეთის ქართული ხელისუფლების პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურაში. „დროებითი საკოორდინაციო საბჭოს“ ნაცვლად შეიქმნა აფხაზეთის საქმეებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი, რომელზეც დაინიშნა გ. ხაინდრავა. 1992 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი თ. ნადარეიშვილის თავმჯდომარეობით.[1964]

ქ. სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ქართული მოსახლეობისაგან შემდგარმა სახალხო ლაშქარმა მიიღო ოფიციალურად სტრუქტურირებული სამხედრო შენაერთების ფორმა. ჩამოყალიბდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის (სარდალი – გენერალ-მაიორი პ. დათუაშვილი) 23-ე (მეთაური გ. ადამია) და 24-ე (მეთაური ზ. უჩაძე, შემდგომ – ბ. თოხაძე) მექანიზებული ბრიგადები.

გაგრის სამხედრო ოპერაციის წარმატებას არ მოჰყოლია რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის მიერ არსებითი უპირატესობის მოპოვება სხვა ფრონტებზე. ამ ეტაპზე ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა და სახალხო ლაშქარმა შეძლეს ფრონტების სტაბილიზაცია სხვადასხვა უბანზე, ტყვარჩელის სტრატეგიული ბლოკადის შენარჩუნება. 1992 წლის 26 ოქტომბერს მტრის ძალების განადგურებითა და უკანდახევით დასრულდა მათ მიერ დაგეგმილი ოჩამჩირის აღების ოპერაცია. სამწუხაროდ, ქართული შენაერთების მიერ ტყვარჩელის დაუფლების ოპერაციის დაბლოკვა იყო საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და უმაღლესი სამხედრო სარდლობის სტრატეგიული შეცდომა, რადგანაც ხელიდან იქნა გაშვებული მოწინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფების ნეიტრალიზაციისა და 80კმიანი ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტის“ ლიკვიდაციის რეალური შანსი.

1992 წ. 3 ნოემბერს ქართულმა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს რუსულ-აფხაზური ძალების შეტევა გუმისთის ფრონტის შრომის უბანზე.[1965] აღნიშნული წარუმატებლობების კომპენსირების სახით მოწინააღმდეგემ გააქტიურა „დისტანციური ომის“ ტაქტიკა – 1992 წ. ნოემბერ-დეკემბრიდან დაიწყო ქ. სოხუმისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სხვა დასახლებული პუნქტების ინტენსიური დაბომბვა როგორც ჰაერიდან, ისევე ზალპური ცეცხლის რეაქტიული არტილერიით. 9 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა სოხუმის საცხოვრებელი უბნები და ხალხმრავალი ბაზარი, რასაც 13 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. 11 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაზე, რის შედეგადაც 11 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 60-ზე მეტი დაიჭრა.[1966]

აფხაზეთის ომის პირველი ეტაპის განმავლობაში ქართული მხარის სტრატეგიული უპირატესობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა საომარი ოპერაციებით მოცული გეოსტრატეგიული სივრცის დისკრეტული ხასიათი: საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აფხაზეთის ქართული სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ქალაქ სოხუმთან ერთად. მოწინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფება იმყოფებოდა

1964 . ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., ნაკვ. II, გვ. 389.

1965 . . , . . , გვ. 380.

1966 . გ. გასვიანი, თ. გასვიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

ბლოკადაში, ხოლო ბლოკადური ჯაჭვი შეკრული იყო გუმისთის ფრონტის ხაზით, რადგანაც ქართული ძალების სოხუმ-გულრიფშის დაჯგუფება უზრუნველყოფდა აფხაზეთის ორი ისტორიული ნაწილისა და სეპარატისტთა სამხედრო ძალების ორი ცენტრის – ბზიფ-გუდაუთისა და აბჟუა-ტყვარჩელის ცენტრების – ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

1993 წლის პირველ თვეებში მოწინააღმდეგემ ორჯერ სცადა ბლოკადური ჯაჭვის ლიკვიდაცია და გუმისთის ფრონტის გარღვევით სოხუმის დაკავება. 1993 წლის 2 იანვარს რუსულ-აფხაზურმა ძალებმა გუმისთის პოზიციიდან „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარებიდან მასირებული ცეცხლი გაუხსნეს სოხუმის საცხოვრებელ უბნებს, რათა პანიკა და შიში დაეთესათ მებრძოლებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში. 4–5 იანვარს მოწინააღმდეგემ დაიწყო შეტევა რუსული ჯავშანტექნიკის გამოყენებით, გუმისთის ფრონტის აჩადარის უბანზე. ერთხანს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა ჯგუფებმა შეძლეს მდინარის ფორსირება და მარცხენა ნაპირზე მცირე პლაცდარმის შექმნა, მაგრამ არტილერიის კონტრდარტყმებისა და გუმისთის ფრონტის ნაწილების კონტრშეტევის შედეგად მტერი განადგურებულ იქნა. მოწინააღმდეგემ დახოცილთა სახით 90-მდე მებრძოლი, ასევე ხუთი ჯავშანმანქანა დაკარგა.[1967]

„აჩადარის ოპერაციის“ ჩავარდნამ და დიდძალმა ადამიანურმა დანაკარგებმა გამოიწვია სერიოზული დაპირისპირების პროვოცირება გუდაუთის დაჯგუფების ზედა ეშელონებში. ვ. არძინბას ღიად დაუპირისპირდა აფხაზ ფუნქციონერთა ერთი ჯგუფი, მაგრამ ამ ეტაპზე ვ. არძინბამ შეძლო კრიზისის ნეიტრალიზაცია და თავიდან აიცილა სეპარატისტული რეჟიმის შიდა დესტაბილიზაცია.

რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის მეორე და გაცილებით მასშტაბური შეტევითი ოპერაცია გუმისთის ფრონტზე მოხდა 1993 წლის 14–16 მარტს. რუსული ავიაციის და სეპარატისტთა მძიმე არტილერიის მიერ სოხუმისა და ქართული არმიის პოზიციების მასირებული დაბომბვის შემდეგ აფხაზების, კონფედერატებისა და „სლავბატის“ გაერთიანებული ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგემ შეძლო ქართული შენაერთების პოზიციის გარღვევა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე და ქართული ნაწილების მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში შემოაღწია, მაგრამ სწორედ აქ მოექცა ის ალყაში და ქართული მძიმე არტილერიის მიერ პროფესიონალურად და ოპერატიულად განხორციელებული მასირებული ცეცხლისაგან წარმოქმნილ „ქვაბში“. სეპარატისტთა და კონფედერატთა დანაკარგები მართლაც რომ ყველაზე დიდი იყო ომის დაწყებიდან როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო ტექნიკის მხრივ.

ქართული არმიის კონტრშეტევა 17 მარტს დასრულდა გუმისთის ფრონტზე შეტევამდე არსებული სტრატეგიული სიტუაციის აღდგენით. ე. შევარდნაძისა და უმაღლესი სამხედრო სარდლობის ბრძანებით ქართული შენაერთები შეაჩერეს ფრონტის ხაზზე, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მარტის ოპერაციის დროს არსებობდა ფაქტობრივად ერთადერთი ყველაზე რეალური შანსი მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე გასვლისა და მოწინააღმდეგის გუდაუთა-ახალი ათონის დაჯგუფების ლიკვიდაციისა.

ამრიგად, 1993 წ. იანვრისა და მარტის ბრძოლებს აფხაზეთის ომის საერთო სტრატეგიულ ფორმატში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მყარი და გონივრული თავდაცვის, მტრის შემტევი დაჯგუფებების ეფექტური დეზორგანიზაციისა და, რაც ყველაზე არსებითია, გუმისთის ფრონტის ცენტრსა და ფლანგებზე ძლიერი საარტილერიო კონტრდარტყმებით ჩაშალეს მოწინააღმდეგის მცდელობა – დაეკავებინა სოხუმი და მიეღწია სტრატეგიული უპირატესობისათვის.

საქართველოს პარლამენტმა ე. შევარდნაძეს მოსთხოვა, ოფიციალურად დაესვა საერთაშორისო დონეზე საკითხი რუსეთის აგრესიის შესახებ. 1993 წ. 24 აპრილის დადგენილებაში აღინიშნა: „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს

1967 . აფხაზეთის ხმა, 1993, 14 იანვარი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს – აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე... ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდ. გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან – გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში – საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის".[1968] საქართველოს პარლამენტის ეს დადგენილება ქაღალდზე დარჩა.

1993 წლის 29 აპრილს შეიქმნა ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანო – აფხაზეთის თავდაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: თ. ნადარეიშვილი (თავმჯდომარე), გ. გაბისკირია (ქ. სოხუმის მერი), დ. გულუა (აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი), ი. კეშელავა (აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი), ვ. ქვარაია (მეორე საარმიო კორპუსის მეთაური), ზ. უჩაძე (24-ე ბრიგადის მეთაური), გ. ადამია (23-ე ბრიგადის მეთაური), ლ. მარშანია და რ. სიჭინავა (აფხაზეთის **არ** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები)[1969].

მაგრამ მიმდინარე პროცესებზე ოპერატიული რეაგირების ნაცვლად და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ ე. შევარდნაძემ კიდევ უფრო გააააქტიურა სტრატეგიულად წამგებიანი კაპიტულანტური დიპლომატიური თამაში. 1993 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საფუძვლების შესახებ. შეთანხმებას, რომელმაც კვლავ მოადუნა ქართული მხარის ყურადღება და საომარი სიფხიზლე, შედეგად მოჰყვა ტრაგიკული სტრატეგიული შედეგები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის იყო ტყვარჩელის ბლოკადის მოხსნა და მოწინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფების სტრატეგიული ტრომბის დებლოკირება. ამ აქციაზე საქართველოს ხელისუფლების ყოვლად გაუმართლებელი და დანაშაულებრივი თანხმობა სწორედ 14 მაისის კაპიტულანტური შეთანხმებით გათვალისწინებული ე.წ. ჰუმანიტარული დერეფნის ორგანიზების ფარგლებში მოხდა.

1993 წლის 16 ივნისს საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ განახორციელა „ჰუმანიტარული" დახმარების ოპერაცია: სადესანტო-სატრანსპორტო ხომალდებმა სოჭიდან ზღვით სოხუმში ჩაიტანეს „კამაზის" ტიპის 30 სატრანსპორტო ტრაილერი, სოხუმიდან კი კოლონა ყოველგვარი შეფერხებისა და მონიტორინგის გარეშე (?) ტყვარჩელში ჩავიდა. ეს იყო უპრეცედენტო და მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგის არმქონე აქცია, რადგანაც ბლოკირებული ტყვარჩელისათვის აუცილებელ სურსათთან და მედიკამენტებთან ერთად, აფხაზეთის ე. წ. აღმოსავლეთის ფრონტის საჭიროებისათვის ტრანსპორტირებულ იქნა დიდი რაოდენობის ტყვია-წამალი, საბრძოლო მასალა და, შესაძლოა, ცოცხალი ძალაც.

1993 წლის შუა ხანებისათვის აფხაზეთის ომში შექმნილმა ოპერატიულ-სტრატეგიულმა ვითარებამ, იანვრისა და მარტის შეტევითი ოპერაციების დიდი დანაკარგებით ჩავარდნამ რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიცია დააყენა სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობის წინაშე. კერძოდ, ისინი დარწმუნ-დნენ, რომ გუმისთის ფრონტის გარღვევა ერთი სტრატეგიული მიმართულებით შეტევის ფორმით, თანაც ქართული მხარის სოხუმიგულრიფშის დაჯგუფების ხელში არსებული სტრატეგიულ-ტექნიკური არსენალის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მოწინააღმდეგის სამხედრო სარდლობამ შეიმუშავა თვისობრივად ახალი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა კომბინირებულ ტაქტიკურ ფორმატს – ერთდროულ

[1968] . საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1993, №5-8, გვ. 135-136.

[1969] . აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, I. თბ., 2000, გვ. 171.

შეტევას ერთბაშად ორივე ფრონტის ყველა უბანზე, თანაც წინასწარი მადეზორიენ-ტირებელი სამხედრო მანევრებით, რომელთა მიზანი იყო ქართული მხარის ყურადღების გადატანა და კონცენტრაცია სწორედ ამ არაძირითად დარტყმაზე. აფხაზური ისტორიოგრაფიის მოსაზრება, თითქოს ეს ახალი სამხედრო სტრატეგია მომზადდა აფხაზეთის სამხედრო სარდლობის მიერ, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეეფერება. ახალი გეგმა მთლიანად დამუშავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შესაბამის სტრუქტურებში, ხოლო მისი პრაქტიკული რეალიზაცია უშუალო საომარ ოპერაციებში – განხორციელდა რუსეთის გენერალიტეტისა და ოფიცერთა სპეციალური ჯგუფების ოპერატიულ-ტაქტიკური და სამხედრო-საექსპერტო დახმარებით.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა სოხუმის აღების სპეციალური საიდუმლო გეგმა, რომელიც შედგებოდა ოთხი პუნქტისაგან: „1) ტყვარჩელის დაჯგუფების მიერ ოჩამჩირის რაიონის ავტოტრასის ხელში ჩაგდება; 2) ოჩამჩირეში საზღვაო დესანტის გადასხმა ტამიშთან და მისი შეერთება ტყვარჩელის დაჯგუფებასთან; 3) პარალელურად შეტევის განხორციელება გუმისთიდან და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდება; 4) საბოლოო ჯამში, სოხუმის რკალში მოქცევა და აღება“.[1970] სტრატეგიული ატრიბუციის თვალსაზრისით ცხადია, რომ გეგმა მიზნად ისახავდა საომარი მოქმედებების თეატრის დაყოფას ორ საოპერაციო ზონად, რომელთაგან ერთში უნდა განხორციელებულიყო მთავარი დარტყმა, ხოლო მეორეს უნდა ჰქონოდა ქართული მხარის დეზორიენტაციისა და ყურადღების გადატანის ფუნქცია.

1993 წ. 2 ივლისს სოფ. ტამიშთან რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადესანტო ხომალდებიდან გადმოსხდა რუსულ-აფხაზური დესანტი 300 მებრძოლის შემადგენლობით და თითო-თითო ერთეული ტანკით, ჯავშანტრანსპორტიორითა და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარით.[1971] სოფ. ლაბრასთან და ტამიშთან დისლოცირებულმა ქართულმა შენაერთებმა შეტევის მოულოდნელობის გამო ვერ შეძლეს დესანტის ბლოკირება, რომელმაც ტამიშთან მცირე პლაცდარმის შექმნის შემდეგ მოახერხა „აღმოსავლეთის ფრონტის“ ნაწილებთან შეერთება და გაერთიანებული ძალებით ოჩამჩირე-სოხუმის ავტომაგისტრალის გარკვეული მონაკვეთის გაკონტროლება.

როგორც ჩანს, ტამიშის დესანტს ჰქონდა ყურადღების გადატანის ფუნქცია, რადგანაც იმავე 2 ივლისს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა ფორმირებებმა დაიწყეს მასი-რებული შეტევა გუმისთის ფრონტის მარცხენა სექტორზე. მათ ისარგებლეს ტამიშის დესანტის მიერ ოჩამჩირე-სოხუმის ავტომაგისტრალის მნიშვნელოვანი მონაკვეთის ხელში ჩაგდებით და ქართული შეიარაღებული ძალების სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფების ბლოკირებით. მოწინააღმდეგემ შეძლო მდ. გუმისთის ფორსირება, ფრონტის გარღვევა და სოხუმის ჩრდილოეთით სოფლების – კამანის, ახალშენისა და გუმას დაკავებით მძლავრი პლაცდარმის შექმნა სოფ. შრომის ასაღებად. 9 ივლისს რუსულ-აფხაზურმა ძალებმა კონტროლი დაამყარეს სოფ. შრომაზე და ცუგუროვკისა და ახბიუკის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სიმაღლეებზე.

ქართულმა შენაერთებმა და სახალხო ლაშქარმა, გმირული ბრძოლების და შეთანხმებული ოპერატიულ-ტაქტიკური ღონისძიებების, განსაკუთრებულად კი მძიმე არტილერიის პრაქტიკულად უშეცდომო მოქმედებების შედეგად წარმატებით დაასრულეს ტამიშის დესანტის ლიკვიდაციის ოპერაცია: დესანტისა და მასთან გაერთიანებული აღმოსავლეთის ფრონტის ფორმირებები თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა შეერთება ტყვარჩელის დაჯგუფებასთან.

მიუხედავად ამისა, ივლისის ოპერაციის შედეგად ფრონტებზე შექმნილი სტრატეგიული სიტუაცია არახელსაყრელი იყო ქართული მხარისათვის. გუმისთის ფრონტზე

[1970] . აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 150.

[1971] . გ. გასვიანი, თ. გასვიანი დასახ. ნაშრომი., გვ. 191.

მოწინააღმდეგემ შეძლო სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება – ფრონტი ფაქტობრივად შუაზე გაიხლიჩა, სეპარატისტებმა კონტროლი დაამყარეს შრომა-სოხუმის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტრასაზე, ასევე ცუგუროვკისა და ახბიუკის სიმაღლეებზე. აღმოსავლეთის ფრონტზე კი, ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთ სოფელზე კონტროლის დამყარებით, აფხაზურმა ფორმირებებმა შექმნეს ცენტრალურ ავტომაგისტრალთან მაქსიმალურად მიახლოებული საოპერაციო ზონა, რომლიდანაც გაცილებით ადვილი იყო ოჩამჩირე-სოხუმის სტრატეგიული კომუნიკაციის ბლოკირება დიდ სიგრძეზე – სოფ. ლაბრიდან მდ. კოდორის ხიდამდე.

რუსულ-აფხაზური ძალების 2–9 ივლისის შეტევის შედეგების ლიკვიდაცია მოითხოვდა გადაუდებელი სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის ღონისძიებების გატარებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში არსებული სტრატეგიული რესურსების თავმოყრის, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური კრიზისის განეიტრალების, შეიარაღებული ძალების მართვის სტრუქტურის გაუმჯობესების, ცალკეული ნაწილებისა და შენაერთების მოქმედებათა ოპერატიული კოორდინაციისა და სხვ. თვალსაზრისით.

ყოველივე ამის ნაცვლად, ე. შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ ომის ფრონტებზე ივლისამდე არსებული ბალანსირებული სტრატეგიული სიტუაციის აღდგენის გარეშე (არადა, ამისათვის ადამიანური და ტექნიკური რესურსები ჯერ კიდევ არსებობდა), გააგრძელა კაპიტულანტური დიპლომატიური თამაში რუსეთთან და მის კონტროლქვეშ მყოფ სეპარატისტებთან.

1993 წ. 27 ივლისს, წინა დღეებში რუსეთის ფლოტისა და ავიაციის მიერ სოხუმისა და სოფ. დრანდის დაბომბვის (21 ივლისს), ასევე რუსულ-აფხაზური ძალების მიერ ტამიშის მიდამოებთან განხორციელებული შეტევების (23–24 ივლისს) ფონზე, ქ. სოჭში ხელმოწერილ იქნა სამმხრივი (რუსულ-ქართულ-აფხაზური) შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.[1972] თავისთავად ის წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამშვიდობო აქტს, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, მეომარ მხარეთა დაშორიშორებას, ქ. სოხუმისა და სხვა ზონების დემილიტარიზაციას, სამშვიდობო პროცესის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური საკონტროლო მექანიზმის შექმნას. მაგრამ ეს არის სოჭის ხელშეკრულების აბსტრაქტული კონფლიქტოლოგიური ატრიბუცია.

რეალურად კი შეუძლებელია 27 ივლისის ხელშეკრულების განხილვა აფხაზეთში არსებული სამხედრო -სტრატეგიული და ოპერატიული სიტუაციის კონტექსტის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, როგორც უკვე ვნახეთ, 1993 წ. 2–9 ივლისის რუსულ-აფხაზურმა შეტევამ ფაქტობრივად უზრუნველყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბში შემუშავებული სოხუმის აღების 4-პუნქტიანი ოპერატიული გეგმის სამი პუნქტის რეალიზაცია. რჩებოდა მხოლოდ ბოლო პუნქტის – უშუალოდ სოხუმის დაუფლების – განხორციელება, რასაც აბრკოლებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სოხუმი–გულრიფშის დაჯგუფება და მის ხელში არსებული სტრატეგიულ-ტექნიკური არსენალი. მაშასადამე, საჭირო იყო ამ დაჯგუფების დაშლა, მისი ძირითადი ნაწილის გაყვანა აფხაზეთიდან და მძიმე საბრძოლო ტექნიკის გატანა. სწორედ ამას ითვალისწინებდა სოჭის ხელშეკრულება: თავისი ფორმალური სამშვიდობო პათეტიკის მიუხედავად, სოჭის ხელშეკრულების სიღრმისეულ სტრატეგიულ ატრიბუციას პრაქტიკულად ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ – ის ითვალისწინებდა საქართველოს ჯარების გაყვანას აფხაზეთიდან.

ამდენად, სოჭის 27 ივლისის ხელშეკრულება ფაქტობრივად იყო არა ორდინალური სამშვიდობო ფორმატის შეთანხმება, არამედ რუსულ-აფხაზური კოალიციის მიერ სოხუმის აღების ოპერატიული გეგმის ორგანული ნაწილი.

1993 წ. აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ნახევარში, სოჭის ხელშეკრულების პირობების შესრულების ფორმატით, ე. შევარდნაძემ განახორციელა სტრატეგიულად კაპიტულანტურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი: გუმისთისა და ოჩამჩირის ფრონტების დაშლა, გუმისთის ხაზზე მხოლოდ ორი (?) ქართული სამეთვალყურეო

[1972] . რეგიონული კონფლიქტები..., გვ. 111-112.

პუნქტის დატოვება, ქართული სამხედრო შენაერთებისა და ბატალიონების, მათ შორის სოხუმის დაცვის ღერძული სამხედრო სტრუქტურის – თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის, ასევე მოსახლეობის ვოლონტიორული კორპუსების დაშლა, მძიმე სამხედრო ტექნიკის (ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, არტილერია, საზენიტო დანადგარები და სხვ.) გატანა კონფლიქტის ზონიდან (რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებებისათვის გარკვეული თანხის გადახდით (sic).

ასე განახორციელა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ სოხუმის დაცვის სამხედრო ინფრასტრუქტურის დემონტაჟი. ე. შევარდნაძისა და მისი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის აპელირება რუსეთის, როგორც სოჭის ხელშეკრულების მთავარი ფორმალურ-იურიდიული გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უკვე მერამდენედ შეუსრულებლობაზე, რაც, რასაკვირველია, ფაქტია, ამ შემთხვევაში არ ცვლის საქმის ვითარებას და ვერც ხელისუფლების დანაშაულებრივ სამხედრო-დიპლომატიურ პოლიტიკას ამართლებს.

მთელი ამ ხნის მანძილზე იძულებით ექსორიაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მაქსიმალურად ცდილობდა პროცესებზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენას. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთიანი მართვისა და კოორდინაციის ოპტიმალურ ვარიანტს სთავაზობდა თვით ოფიციალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ქართულ შენაერთებსაც. ამ კურსის გამოხატულებაა მისი მიმართვა აფხაზეთში დისლოცირებული ქართველი მეომრებისადმი (1993 წ. 7 ივნისს).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 20 ივლისის მიმართვა „ქართველ ერს და აფხაზეთში დისლოცირებულ ყველა ქართველ მეომარს“.მიმართვაში ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მზადდებოდა ახალი სამმხრივი შეთანხმება აფხაზეთის დემილიტარიზაციის, სოხუმიდან ქართული ჯარების, მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გატანის და აფხაზეთში ე.წ. „ცხინვალის ვარიანტის“ (ე.ი. ქართული საჯარისო ნაწილების მიერ რეგიონის დატოვებისა და იქ რუსეთის „სამშვიდობო“ კონტინგენტის დისლოკაციის) გადატანის პერსპექტივით. ყოველივე ამის ფონზე, მან მოუწოდა აფხაზეთში დისლოცირებულ ყველა ქართული შენაერთის სამეთაურო და პირად შემადგენლობას, არ დამორჩილებოდნენ მომავალი ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნებს, ვინაიდან ამას „ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია“ მოჰყვებოდა; ამიტომ უნდა გაეგრძელებინათ ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.[1973] ზვიად გამსახურდიას ეს პატრიოტული და, სამწუხაროდ, წინასწარმეტყველური განცხადება გაკეთდა სოჭის ავბედით ხელშეკრულებამდე ერთი კვირით ადრე და ამ ხელშეკრულების ძალით სოხუმისა და მთელი აფხაზეთის დაცემამდე სამოცდაათი დღით ადრე.

1993 წ. 16 სექტემბერს მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაიწყო შეტევა ოჩამჩირის ფრონტზე. ტყვარჩელის დაჯგუფების შენაერთებმა გადაკეტეს ოჩამჩირე-გულრიფშის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვართან, მდ. კოდორზე არსებული საავტომობილო და სარკინიგზო ხიდები. სოხუმის დამცველებისათვის სამხედრო დახმარების ჩასაშლელად ორგანიზებული სტრატეგიული ტრომბის პარალელურად, მტრის ძალებმა დაიწყეს მიმდებარე სოფლების (ვარჩე, ყორასი, დრანდა, ბაბუშარა) და სოხუმის აეროპორტის დაბომბვა.

17 სექტემბერს მოწინააღმდეგე გადმოვიდა შეტევაზე გუმისთის ფრონტზე. ყურადღებას იქცევს შეტევის ოპერატიული მხარე. თუ ადრე მტრის შეტევების ოპერატიული სტრუქტურა იყო ერთიანი, ამჯერად მან მიიღო ეშელონიზებული ფორმა: პირველ ეშელონს ქმნიდნენ რუსეთის რეგულარული არმიის სპეცნაწილები და კონფედერატთა რაზმები; მეორე ეშელონს – აფხაზური ბატალიონები. გარდა ამისა, გამოყოფილი იყო მესამე, სარეზერვო ეშელონი რუსეთის არმიის ნაწილების სახით,

[1973] . ჯ. გამახარია. საქართველოს დევნილი ხელისუფლება და აფხაზეთის ომი. თბ., 1998, გვ. 59.

რომელიც მოიცავდა ქვეითთა, სატანკო და საარტილერიო რეზერვებს. სარეზერვო ეშელონის ამოქმედება გათვალისწინებული იყო პირველი და მეორე ეშელონების წარუმატებლობის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში, რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის შეტევის ოპერატიულმა სიღრმემ შეადგინა რამდენიმე კილომეტრი. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ ქართულმა მხარემ შეძლო შედარებით ნაკლები რაოდენობის ცოცხალი ძალის მობილიზაცია, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისაგან, თანაც თითქმის ყოველგვარი მძიმე ტექნიკის გარეშე. ამავე დროს, ფაქტობრივად ვერ მოხერხდა თავდაცვის ეშელონიზებული ტაქტიკური ზონის აღდგენა – ქართული მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების შესრულების მასშტაბებმა გამორიცხა ამის შესაძლებლობა.

მოწინააღმდეგემ შეტევის პირველსავე დღეს შეძლო მდ. გუმისთაზე ორივე ხიდის აღება და ავიაციისა და არტილერიის მხარდაჭერით კონტროლი დაამყარა სოხუმის მიმდებარე სოფლებზე – თავისუფლებაზე, ბირცხასა და ოდიშზე.[1974]

სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული წრის შეკვრაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა. უკვე 16–17 სექტემბრიდან რუსულმა ხომალდებმა სოხუმ-გულრიფშის აკვატორიაში ქართული არმიის პოზიციებისა და აეროპორტის პერმამენტულ დაბომბვასთან ერთად, უზრუნველყვეს ქართული კომუნიკაციების ბლოკირება.

21 სექტემბერს ადლერში გაიმართა ე. შევარდნაძის, თავდაცვის მინისტრის გ. ყარყარაშვილისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის ი. ბათიაშვილის შეხვედრა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან პ. გრაჩოვთან. შეხვედრაზე საქართველოს მხარემ მოითხოვა რუსეთის მიერ სოჭის შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ე.ი. მოწინააღმდეგე მხარის შეტევის სამხედრო ბლოკირება ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტის დაცვა. მაგრამ რუსეთმა აქაც გამოავლინა თავისი მზაკვრული იმპერიული სახე. „გრაჩოვმა, – აღნიშნავს ე. შევარდნაძე, – მთელი პრინციპულობით დააყენა საკითხი: „აფხაზეთის პრობლემას მოგიხსნით, საჭიროა მხოლოდ ორი სრულფასოვანი დივიზია შემოვიყვანოთ.“[1975]

როგორც ჩანს, რუსეთი თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პირობად აყენებდა არა საკუთრივ სოჭის ხელშეკრულების ძალით სანქცირებულ ჩარევას, რისთვისაც აბსოლუტურად საკმარისი რესურსები არსებობდა აფხაზეთში რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფის (სარდალი – გენერალ-ლეიტენანტი ჩინდაროვი) სახით, არამედ დამატებითი სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე ორი სპეცდივიზიის დისლოკაციას, რაც საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ფაქტობრივ ოკუპაციას გულისხმობდა (თანაც, უკეთეს შემთხვევაში, აფხაზეთის ომის გუმისთის ფრონტზე ვადაგაურკვეველი დაკონსერვებით). შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

1993 წ. 24 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა დევნილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია[1976]. იმავე დღეს მან გამოაცხადა, რომ შეუდგება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, დაგეგმილი სტრატეგიული ღონისძიებების (ჯარების მართვის ერთიანი სისტემის შექმნა და სამობილიზაციო შტაბების ორგანიზაცია) განხორციელება ვერ მოხერხდა. 23 სექტემბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა რაზმებმა დაიკავეს სოფ. აჩადარა. 25 სექტემბრისათვის მათ დაამყარეს კონტროლი ეშბას ქუჩასა და რკინიგზის სადგურზე. დაიწყო სისხლისმღვრელი ქუჩის ბრძოლები. მძიმე ტექნიკისა და მძლავრი საბრძოლო იარაღის უქონლობის პირობებში, სოხუმის დამცველები გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მოწინააღმდეგის კბილებამდე შეიარაღებულ შენაერთებს. 10–11 დღიანი გმირული ბრძოლების შემდეგ, როდესაც ყველა შესაძლებელი რესურსი ამოიწურა, სოხუმის დამცველების წინააღმდეგობა გატეხილ იქნა: 27 სექტემბერს მოწინააღმდეგემ აიღო მთავრობის სასახლის შენობა და კონტროლი დაამყარა სოხუმზე. 28–30 სექტემბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა

1974 . გ. გასვიანი., თ. გასვიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 198.
1975 . ე. შევარდნაძე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე, თბ., 2005, გვ. 177.
1976 . ჯ. გამახარია. საქართველოდან დევნილი..., გვ. 15.

კოალიციამ გააგრძელა შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და 30 სექტემბერს გავიდა მდ. ენგურზე, გალისა და ზუგდიდის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე. აფხაზეთის ომი, როგორც ასეთი, ე.ი. როგორც საკუთრივ საომარი მოქმედებების ერთობლიობა, დასრულდა საქართველოს დამარცხებითა და სახელმწიფოებრივი კატასტროფით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთიდან ევაკუაციის შემდეგ რუსულ-აფხაზურ-სომხურ-კონფედერატულმა შენაერთებმა განახორციელეს ქართული მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები, წამების და ძალადობის ბარბაროსული აქტები, ქართველების კუთვნილი სახლებისა და სხვა უძრავი ქონების განადგურება-მიტაცება. ყოველგვარი საერთაშორისო ნორმებისა და ელემენტარული ადამიანური პრინციპების უგულვებელყოფით მომხვდურებმა ფიზიკურად გაანადგურეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. შარტავა, ქ. სოხუმის მერი გ. გაბესკირია, მრეწველობის მინისტრი რ. ეშბა, მთავრობის სხვა წევრები და მათი თანმხლები პირები.

ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კატასტროფა მოჰყვა კოდორის ხეობით (მერხეული-წებელდა-ლათა-აჟარა-გენწვიში-ჩხალთა-საკენი-ჭუბერის მიმართულებით ე.წ. „გოლგოთის გზით“) კონფლიქტის ზონიდან ქართული მოსახლეობის ევაკუაციას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის 400-მდე ბავშვი დაიღუპა სიცივისა და შიმშილისაგან ჭუბერის უღელტეხილზე.

რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიწყო ქართული მოსახლეობის ტოტალური ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის გატარება, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერ აქტში კვალიფიცირდება, როგორც სამხედრო დანაშაული და დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ეთნოციდის მსხვერპლთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს არაკომბატანტი მშვიდობიანი მოსახლეობა.

ომისა და შემდგომი ეთნოწმენდა-გენოციდის შედეგად, ზოგიერთი მონაცემით, დაიღუპა 30 ათასი ეთნიკური ქართველი, სხვადასხვა ეროვნების 300 ათასზე მეტი ადამიანი (უპირატესად ქართველობა) გახდა აფხაზეთიდან ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი. ეს არის აფხაზეთის ომის ყველაზე კატასტროფული შედეგი – რეგიონში ეთნო-დემოგრაფიული ბალანსის რადიკალური ტრანსფორმაცია და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული უზენაესობის უზრუნველყოფის მთავარი გარანტის – ქართული ეთნიკური უმრავლესობის – არარსებობა. ომმა სერიოზული ზარალი მიაყენა აფხაზი ეთნოსის გენოფონდსაც. დაუზუსტებელი სტატისტიკური მონაცემებით, დაიღუპა ოთხი ათასამდე აფხაზი და 20 ათასზე მეტი ლტოლვილად იქცა.

ომმა უაღრესად ნეგატიური ფონი შექმნა ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დაირღვა აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმები და მეგობრულ-ნათესაური კავშირები, რომელთა აღდგენას, ალბათ, გარკვეული დრო დასჭირდება. ამავე დროს სერიოზული ზიანი მიადგა იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას და ერთიანი კავკასიის იდეას.

2. აფხაზეთი ომისშემდგომ წლებში. 1993-2007 წწ.

აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხებას, შეიარაღებული ძალებისა და ქართული მოსახლეობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვებას შედეგად მოჰყვა რეგიონზე საქართველოს იურისდიქციის შეწყვეტა. ამიტომ პოსტკონფლიქტური აფხაზეთი, რეგიონალური პოლიტიკური პროცესის თვალსაზრისით, წარმოადგენს სეპარატისტული რეჟიმის კონტროლის ქვეშ მყოფ პოლიტიკურ სივრცეს. ის არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური სუვერენიტეტისა და იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მყოფი სეცესიური ლოკალური ზონა,რომელიც რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული მხარდაჭერის საფუძველზე ცალსახად უარყოფს ოფიციალური თბილისის უზენაესობის აღდგენის ნებისმიერ გამოვლინებას.

აფხაზეთის სეცესია საქართველოსაგან არ განხორციელებულა თვითგამორკვევის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების ან დევოლუციის პლებისციტარული შიდაკონსტიტუციური პროცესის საფუძველზე[1977]. ის მოხდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აფხაზი სეპარატისტების ანტიკონსტიტუციური ამბოხებისა და სამხედრო დაუმორჩილებლობის გზით, კონკრეტულად – რუსეთ-საქართველოს ომში უშუალო მონაწილეობის სახით. ამიტომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული უდავო საერთაშორისო დელიქტია, რის გამოც მისი ოფიციალური სტატუირება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გამორიცხულია. საერთაშორისო სამართალი არ ცნობს (და არც არასოდეს აღიარებს) საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფას, როგორც ფაქტს და არც ამ გამოყოფის პროდუქტს – აფხაზეთის სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

მაგრამ მიუხედავად ოფიციალური სამართლებრივი ცნობიერებისა, ფაქტია, რომ საქართველომ დროებით დაკარგა კონტროლი აფხაზეთზე. მისი დაბრუნების, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ქმნადობის გლობალური საკითხი.

აფხაზეთის დროებითი დაკარგვის ისტორიულ-გეოპოლიტიკური შედეგები, მოკლედ, ასეთი პრობლემური ნუსხის ფორმას იღებს:

– დაკარგულია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის 13 % (69,5 ათასი კმ^2-ისა და 8,7 ათასი კმ^2 შეფარდებით);

– დაკარგულია საქართველოს საზღვაო საზღვრის და, აქედან გამომდინარე, შავ ზღვასა და ბოსფორ-დარდანელისა და ატლანტიკა-მედიტერანული აუზის გლობალური მნიშვნელობის სატრანზიტო კომუნიკაციებზე გასასვლელის დაახლოებით 65–67 %;

– რესურსულ-სანედლეულო თვალსაზრისით დაკარგულია შავი ზღვის შელფის დაახლოებით 65–67 %;

– დაკარგულია პირდაპირი სახმელეთო გასასვლელი რუსეთ-უკრაინის სექტორზე და იქიდან ევროპაზე, რის შედეგადაც საქართველო იმყოფება ნახევარანკლავის მდგომარეობაში;

– მოხდა საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების „ამოძრავება“ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რის გამოც შემცირდა მანძილი საზღვრის საწყისი წერტილიდან საქართველოს შიდა სიღრმეებამდე, სტრატეგიული დანიშნულების ქალაქებამდე და სხვა ობიექტებამდე (ამას ემატება ანალოგიური პრობლემა შიდა ქართლში, რის გამოც არსებობს ქვეყნის ცენტრალური საკომუნიკაციო არტერიების „გადაჭრის“ საფრთხე);

– აფხაზეთი გადაქცეულია რუსეთის ფაქტობრივ პოლიტიკურ და სამხედრო კოლონიად;

– საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შექმნილია ქართული მოსახლეობის ვაკუუმი, რაც ნებისმიერ შემთხვევაში და, მით უმეტეს, ამ ვაკუუმის სხვა ეთნიკური მასივით ჩანაცვლების შემთხვევაში, ეთნოდემოგრაფიული კატასტროფის ტოლფასია,

– დაკარგულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის და მისი საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქციის გარკვეული ტერიტორიული ნაწილი. ამასთან, არსებობს მოსკოვის პატრიარქატს დაქვემდებარებულ პროზელიტურ ეპარქიად მისი გადაქცევის პერსპექტივა, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს სულიერ სუვერენიტეტს;

– აფხაზეთში მიმდინარეობს „კულტურული გენოციდი“ (ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება) საქართველოს წინააღმდეგ.

– დაკარგულია ქართველი ერის ეთნოგენეზის ისტორიული არეალის ჩრდილო-დასავლეთი სექტორი. ამის შედეგად საგრძნობლად შეიზღუდა ერის „სასიცოცხლო სივრცე“, მისი კულტურულ-გონითი აქტიურობის ველი;

[1977] . პირველის კლასიკური მაგალითია, ვთქვათ, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირება რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, მეორისა – სლოვაკეთის გამოყოფა ჩეხოსლოვაკიისაგან 1992 წლის 1 იანვარს.

– აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების ფორმატში, ფორსმაჟორულ რეჟიმში საქართველო იძულებულია დროებით დათმოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი რუსეთის სასარგებლოდ;

– აფხაზეთის დროებით დაკარგვაში რუსეთის წარმმართველი როლის გამო, საქართველო იძულებულია უარი თქვას გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიულ ნეიტრალიტეტზე და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები მიიღოს ევროატლანტიკური სამხედრო სისტემის ფარგლებში, ევრაზიის სამხრეთ-დასავლეთ ზონაში ამ სისტემის ერთ-ერთ პლაცდარმად გადაქცევის პერსპექტივით.

მიუხედავად აუღიარებელი ფორმარულ-იურიდიული მდგომარეობისა და საერთაშორისო სუბიექტუნარიანობის არქონისა, ფაქტია, რომ სეპარატისტული რეჟიმი არსებობს და დე-ფაქტო აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიის 13 %-ს. მას არ გააჩნია ლეგიტიმაციის საერთაშორისო და ზოგადსახელმწიფოებრივი (საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით) საფუძვლები, მაგრამ ამის პარალელურად რეჟიმი ფლობს ლეგიტიმაციის შიდა ლოკალურ წყაროებს და სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს – ე. წ. კონსტიტუცია, გერბი, ჰიმნი, დროშა, საარჩევნო კანონმდებლობა და მცირე ელექტორატი, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სისტემა, პარტიულ-პოლიტიკური სპექტრი, სეპარატისტული კვაზისახელმწიფოს 14–15 წლიანი პოლიტიკური პრაქტიკა და ა.შ.

საქართველოს შემადგენლობიდან დე-ფაქტო გამოსვლის პირობებში, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური და საექსპერტო-პოლიტტექნოლოგიური დახმარების საფუძველზე ვ. არძინბას კლანმა განახორციელა სეპარატისტული რეჟიმის ინსტიტუციონალიზაცია. მიღებულ იქნა რიგი უკანონო აქტებისა, რომლებმაც განსაზღვრეს სეპარატისტული აფხაზეთის მმართველობის ფორმა, შექმნეს დე-ფაქტო სახელმწიფო ინსტიტუტები და ამით მოახდინეს კვაზისახელმწიფოს ფორმირება. ამ უკანონო აქტებს შორის აღსანიშნავია – 1994 წ. 26 ნოემბერს ე.წ. „პირველი პარლამენტის“ მიერ მიღებული „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია“; 1996 წლის 26 ნოემბრის საპარლამენტო და 1998 წ. 14 მარტის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები; 1999 წ. 3 ოქტომბრის უკანონო რეფერენდუმი „აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხზე“ და 1999 წ. 12 ოქტომბრის ე.წ. „აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“.

პოლიტოლოგიური შეფასების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტული რეჟიმის პოლიტიკური ინფრასტრუქტურა თავის თავში აერთიანებს ავტორიტარიზმის, სამხედრო დიქტატურის, აფხაზური ეთნოკრატიზმის, ნომენკლატურული რესტავრაციის, რუსეთის ფაქტობრივი პროტექტორატისა და კრიმინალიტეტის ნიშნებს.

სეპარატისტულ აფხაზეთში ოპოზიციური პოლიტიკური ქსელის ყველაზე გავლენიანი ძალები არიან: პარამილიტარული გასამხედროებული პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარა“; პარტია „ერთიანი აფხაზეთი“; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აითაირა“ („აღორძინება“); ინტერპარტიული „სახალხო ერთიანობის ოპოზიციური ფორუმი“, რომელიც შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და სახალხო პარტიების კოალიციის ბაზაზე; აფხაზეთის კომუნისტური პარტია.

სეპარატისტული რეჟიმი განიცდის ქრონიკულ შიდაპოლიტიკურ კრიზისს, რომლის არსებითი მიზეზია აფხაზური ეთნოკრატიის სხვადასხვა შიდაელიტური ჯგუფებისა და დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირება. კრიზისის კულმინაციას წარმოადგენდა 2004–2005 წლების ოქტომბერ–იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებიც ს. ბაგაფშისა და რ. ხაჯიმბას პოლიტიკური კლანების დაპირისპირების ფორმით გამოვლინდა. აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა, მაგრამ რუსეთის აშკარა ჩარევამ დროებით შეინარჩუნა მყიფე პოლიტიკური წონასწორობა.

სეპარატისტული კონიუნქტურის არსებითი ნიშანია რუსეთის დე-ფაქტო პროტექტორატი. ფაქტობრივად მოქმედებს გარეგანი მმართველობის რეჟიმი, რომლის დროსაც რუსეთი მთლიანად აკონტროლებს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სახეზეა რუსეთის მიერ აფხაზეთის პროტექტორული მმართველობა, პოლიტიკური კოლონიზაციის აშკარა ნიშნები.

აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს 1993წ. ნოემბრიდან გაერო-ს ეგიდით, ეუთო-ს მონაწილეობითა და რუსეთის „შუამავლობით“.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის „სამშვიდობო“ მისიამ აფხაზეთში, რომელსაც რუსეთი ახორციელებს, უზრუნველყო მხოლოდ კონფლიქტის სამხედრო ფაზის შეწყვეტა და ძალის გამოუყენებლობის რეჟიმის შენარჩუნება. კონფლიქტის მოწესრიგების სახელშეკრულებო ბაზის ძირითადი მოთხოვნები კი – პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა, ლტოლვილთა დაბრუნება და უსაფრთხოება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დე-ფაქტო აღდგენა – ბლოკირებულია და ფაქტობრივად გაყინულია 1993 წ. სექტემბრის მდგომარეობით. სახეზეა ჰუმანიტარული კატასტროფა რუსი „სამშვიდობოების“ უშუალო პასუხისმგებლობის ზონაში (გალის რაიონში), სადაც სამი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ერთი სიტყვით, რუსეთის „სამშვიდობო“ კონტინგენტი წარმოადგენს დე-ფაქტო გეოსტრატეგიულ ანკლავს, ხოლო „სამშვიდობო მისია“ არ უზრუნველყოფს კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას. ის წარმოადგენს რეგიონში რუსეთის სტრატეგიული ყოფნის გახანგრძლივებისა და მდინარე ენგურზე საზღვრის დაფიქსირებით აფხაზური სეპარატიზმის ტერიტორიულ-პოლიტიკურ გარანტიას. უფრო მეტიც, ახორციელებს რა აფხაზეთის დე-იურე მითვისების პოლიტიკას, რუსეთმა უკანონო პასპორტიზაციის გზით საკუთარ მოქალაქეებად გამოაცხადა რეგიონში დარჩენილი მოსახლეობა და ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების იგნორირებით იჩემებს მისი „დამცველის“ ფუნქციას. აფხაზეთის მოსახლეობის უკანონო პასპორტიზაციის შედეგად რუსეთმა დაკარგა მორალური უფლება იყოს ნეიტრალური შუამავალი „საკუთარ მოქალაქეებსა“ და ქართულ მხარეს შორის.

რუსეთი მიზანმიმართულად ბლოკავს კონფლიქტის პოზიტიური მოწესრიგების ხელშემწყობ საერთაშორისო აქტებს. ეუთო-მ რამდენჯერმე მიიღო აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის აღიარებისა და დაგმობის აქტები. მაგალითად, 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდაპეშტის სამიტის და 1996 წ. 3 დეკემბრის ლისაბონის სამიტის დასკვნითმა აქტებმა სრულიად არაორაზროვნად დააფიქსირეს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტი[1978]. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეუთო-ს სტამბოლის 1999 წ. 17–18 ნოემბრის სამიტს, რომელზეც ეთნოწმენდა–გენოციდის აღიარების დეკლარაციასთან ერთად მიღებულ იქნა საქართველო–რუსეთის შეთანხმება ვაზიანიდან და გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე.[1979]

2003 წ. 22–23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციისა“ და ე. შევარდნაძის რეჟიმის მშვიდობიანი მეთოდებით დამხობის შედეგად საქართველოს სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით კურსი აიღო აფხაზეთის კონფლიქტის ტრანსფორმაციისაკენ, რომლის სტრატეგიის არსებითი მახასიათებლებია: საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური გაჯანსაღება; სამხედრო მშენებლობის რადიკალური სრულყოფა და ნატოს სტანდარტების შესაბამისი მობილური შეიარაღებული ძალების შექმნა; სამშვიდობო პროცესში სახალხო დიპლომატიის აქტივიზაცია; საკითხის დასმა სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის, რუსეთის საარმიო კონტინგენტის საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების თაობაზე; კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის ოპტიმიზაცია, არაფორმალური კრიმინალური ანკლავების ლიკვიდაცია და ა.შ. ტრანსფორმაციის სტრატეგიის გამოვლინება იყო 2006წ. ივლისის მოვლენები კოდორის (დალის) ხეობის ზემო ნაწილში, რომელსაც უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს სუბრეგიონი წარმოადგენს სოხუმისა და აფხაზეთის ცენტრალური ზონისაკენ, ასევე ტყვარჩელისაკენ მიმავალი სტრატეგიული კომუნიკაციების მაინტეგრირებელ არეალს, გარდა ამისა, სეპარატისტული რეჟიმის

[1978] . აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში (1989-1999), ნაწ. I, გვ. 408–410; ნაწ. II, გვ. 126.

[1979] . იქვე, ნაწ. II, გვ. 333.

მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების „ზემოდან კონტროლის“ ღერძულ ზონას და დასავლეთ საქართველო-ჭუბერი-საკენის ხაზით მათი შესაძლო სტრატეგიული შევიწროების მთავარ დერეფანს.

სოხუმის დაცემის შემდეგ სომხურ-აფხაზური ფორმირებები რუსეთის ავიაციის დახმარებით უტევდნენ კოდორის ხეობის ზემო ნაწილს. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა 1993წ. ორი ოქტომბრის, ოთხი ოქტომბრის, 23–27 ნოემბრისა და 1994წ. 26 მაისის შემოტევები.[1980] მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის გმირული წინააღმდეგობის ფასად რეგიონზე შენარჩუნებულ იქნა საქართველოს იურისდიქცია. 2006წ. ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცქვედანაყოფებმა თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით კოდორის ხეობის ზემო ნაწილში განახორციელეს ძალისმიერი ანტიკრიმინალური ოპერაცია, რომლის შედეგადაც საქრთველოს მიერ კონტროლირებად აფხაზეთის მთიანეთს ეწოდა ოფიციალური სახელი „ზემო აფხაზეთი“ და იქ განთავსდა ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა (თავმჯდომარე მ. აკიშბაია) და ადმინისტრაციული სტრუქტურები. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო (თავმჯდომარე თ. მჟავია) ფუნქციონირებას კვლავ თბილისში აგრძელებს.

აფხაზეთის „განთავისუფლებას“ სიკეთე აფხაზებისათვის არ მოუტანია: ეკონომიკა მოშლილია, მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევარი და სოციალურად დაუცველია, გაბატონებულია ანტიქართულ-აპარტეიდული ფსიქოზი; ეთნოსი რომელმაც საქართველოს შემადგენლობაში არნახულ კულტურულ აღმავლობას მიაღწია, დღეს გადაშენების საფრთხის წინაშე დგას. ომისშემდგომ მიღებულმა „კონსტიტუციამ“ ქართულ ენას ყოველგვარი იურიდიული უფლებები გაუუქმა, მაგრამ ამით აფხაზური ენის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა – ოფიციალური საქმისწარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მასმედიაც ძირითადად რუსულად მუშაობს, „აფხაზური სკოლების“ V-XI კლასებში სწავლების ენა კვლავაც რუსულია, რაც მასობრივი დენაციონალიზაციის საფრთხის წინაშე აყენებს აფხაზ ეთნოსს.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე, რომლებიც რეგიონის კანონიერი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, სხვა პრობლემები და ამოცანები დგას, რომელთა შორის უმთავრესია საკუთარ სახლებში უსაფრთხო და უპირობო დაბრუნება, აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, აფხაზ ხალხთან შერიგება.

[1980] . გ. გასვიანი, თ. გასვიანი დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

თავი XXI. ჩრდილო-დასავლეთ საქართველო უცხოენოვან რუკებზე

არსებობს უამრავი ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკა, რომლებიც ასახავენ შესაბამისი ეპოქის ან ადრინდელი ხანის საერთაშორისო პოლიტიკურ ვთარებას. რუკების შექმნას თავის დროზე განაპირობებდა ევროპის ქვეყნების კოლონიური პოლიტიკა, ასევე საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობის განვითარება, ახალი ბაზრების ძიების აუცილებლობა. თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო კარტოგრაფთა ინტერესის სფეროში საქართველოც მოექცა. მისი პოლიტიკური საზღვრები დაფიქსირებული იყო ანტიკური პერიოდიდან. მაგალითად, ჰეროდოტეს (ძვ.წ. Vს.) მიხედვით, უძველესი ქართული სახელმწიფოს, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები მეოტის (აზოვის) ზღვამდე აღწევდა (იხ. პომპონიუს მელას რუკა).

ძველ ევროპულ სამეფო პოლიტიკურ რუკებზე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ყოველთვის მოხაზულია ჯიქეთ-აფხაზეთითურთ, ან მხოლოდ აფხაზეთითურთ. სწორედ ასეთ საქართველოს იცნობდნენ საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, იტალიის, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოები.

შუა საუკუნეებისა და გვიანდელი ეპოქის ევროპელი კარტოგრაფები მეზღვაურებისა და მოგზაურების მიერ შედგენილი ინფორმაციებისა თუ ახალი პორტოლანების დახმარებით გადაამოწმებდნენ ხოლმე სახელმწიფოთაშორისი საზღვრების მდგომარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, რუკებში კორექტივები შეჰქონდათ.

პოლიტიკური რუკების ნაწილზე მითითებულია სახელმწიფოთაშორისი საზღვრები, ნაწილზე კი საზღვრები დაფიქსირებული არ არის, მხოლოდ გეოგრაფიული ნომენკლატურაა დატანილი. ასეთ შემთხვევაშიც ჩანს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს ნაწილი. კავკასიონის მთაგრეხილი თავიდანვე იყო საქართველოს ბუნებრივი, აქედან კი პოლიტიკური საზღვარი ჩრდილოეთის მხრიდან. მაგალითად, დიეგო ჰომემის რუკაზე (1559წ.), რომელზეც აწერია ***მენგრელია*** (ანუ სამეგრელო, დაახლ. დღევანდელ გელენჯიკთან), მხარის ჰიდროტოპონიმიკა წარმოდგენილია ქართველური ენა-კილოებიდან ბერძნულ-ლათინურ და სხვა ევროპულ ენებზე ევროპელი კარტოგრაფების მიერ თარგმნილი ფორმებით. ევროპელმა ავტორებმა ასევე ბლომად ჩაიწერეს და შემოგვინახეს ქართველური სახელწოდებები. აფსუურ-აფხაზური და თურქული გეოგრაფიული ნომენკლატურა მხარეში ჩნდება გვიან შუა საუკუნეებში, რუსული კი – XIX საუკუნეში.

წარმოდგენილი ევროპული და რუსული კარტოგრაფიული მასალა (იხ. აგრეთვე გ.კერის „ქართული პროვინციების...“ – 1732წ.) უდაოდ მიუთითებს, რომ არა მხოლოდ ჯიქეთ-აფხაზეთი, არამედ მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი მდ.ყუბანამდე და აზოვის ზღვამდე უძველესი ხანიდან იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ამ ფაქტს არ ცნობენ სეპარატისტები, მათი მფარველები, მაგრამ ოპონენტებს შესაბამისი კარტოგრაფიული და სხვა დოკუმენტური საბუთები ვერ მოაქვთ ასეთი მასალების არარსებობის გამო.

პირთა საძიებელი*

აბაევი ვ. 168
აბაზა-ფაშა 156
აბაშიძე ირ. 282
აბდუშელიშვილი მ. 173, 176
აბო თბილელი 92, 185
აბრამიშვილი გ. 118
აბრამიშვილი რ. 24
აბულასან იობის ძე 117, 128
აბულაძე ი. 189
აბულაძე ც. 146, 182, 188
აბულ-კასიმი 101, 102
აბუსაჯისძე 101
აბუხბა 288
აგათანგელოსი 73
აგათია სქოლასტიკოსი 61, 82
აგაფოდორი (პრეობრაჟენსკი, სოხ.ეპ.) 269
აგნეზი ბ. – რუკა №6
აგრბა ა. 322
აგრბა ა. 336
აგრბა ვ. 285, 293
ადამია გ. 357, 359
ადამია ზ. 77
ადამია ი. 196
ადლეიბა ბ. 337, 340, 343
ადრიანე 58
ავაგ ამირსპასალარი 125, 126
ავალიშვილი გ. 225
ავგუსტუსი გაიუს ოქტავიანე 4
ავდალბეკიანი ხ. 294, 295, 298
ავიტაბილე პ. 153
ავიძბა ა. 106
ავიძბა ს. 270
აიეტი 28, 29, 53
აიხვალდი ედ. 235-238
აკაბა ნ. 3
აკიშბაია მ. 367
აკიშბაია ო. 75
ალადაშვილი ნ. 105, 125
ალანია დ. 297, 299, 305, 307, 308
ალასანია გ. 63, 72, 147
ალენი პ. 186
ალექსანდრე 133
ალექსანდრე ბაგრატის ძე 138
ალექსანდრე ბატონიშვილი 205
ალექსანდრე მაკედონელი 80
ალექსანდრე I (დიდი) 135, 137
ალექსანდრე I (რუს,) 232, 233
ალექსანდრე II (რუს.) 249-251, 253, 260, 264
ალექსანდრე III (იმერ.) 155, 157
ალექსანდრე ოქროპირიძე. იხ. წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე
ალექსანდრე უფლისწული 133
ალექსანდრე (ხოვანსკი, სოხ. ეპ.) 269
ალექსეევა ე. 34
ალექსეევა ტ. 176
ალექსეევი ვ. 173, 177
ალექსეევი მ. 295-297
ალექსი (ექზარქ.) 269, 275
ალექსიძე ზ. 106, 113, 118, 155
ალი–არსან ბეგი 199
ალ-კალკაშანდი 133
ალ-მუჰიბი 132, 133
ალ-უმარი 133
ალი-ფაშა 253
ამანელისძე 121
ამბროსი (ხელაია). იხ. წმ. აღმსარებელი ამბროსი
ამბროჯიო დი პიეტრო 142
ამბროჯიო დე პოცო 142-143

* შეადგინეს რუსუდან ხარებავამ, სალომე გამახარიამ და სოფიო გამახარიამ

ამიანე მარცელინუსი 45, 48, 49
ამირანაშვილი შ. 111
ამიჩბა გ. 123
ამფისტე (ამფისტოსი, ამფისტრატოსი) 4, 48, 49
ანა დედოფალი 181, 184, 189
ანანია შირაკაცი 93
ანასტასი აპოკრისიარი 75, 85
ანასტასი II (არტემი) 86
ანდრია პირველწოდებული 76, 128, 170
ანდრია (უხტომსკი, სოხ.ეპ.) 279
ანთელავა ი. 121, 152, 154, 156, 169, 199, 203, 206, 207
ანთელავა ნ. 65
ანონიმი (Vს.) 45, 49, 59, 62, 73, 139
ანონიმი (XIIIს.) 74
ანუა იური (გიორგი) 77
ანუა ტ. 284
ანქიალე 58
ანჩაბაძე ვ. 299,303, 306, 307
ანჩაბაძე ზ. 34, 39, 42, 45, 46, 50, 51, 61, 62, 69, 70, 74, 83, 88, 92, 94, 96, 121, 122, 124, 138, 141, 154, 258
ანჩაბაძე ლ. 214
ანჩაბაძე (დადიანი) მაშო 274, 281
ანჩაბაძე პ. 284
ანჩაბაძე ხ. 214
ანჩაბაძე ჯ. 321
აპიანე 28, 48, 54
აპოლონიოს როდოსელი 28, 29
არაბული ა. 169
არახამია გ. 119
არბოლიშვილი ლ. 46, 48, 54, 57
არდაშელია ც. 281
არიანე ფლავიუსი 29, 45, 46, 56, 58, 59, 60, 62, 67, 72, 73, 75
არისტაკეს ლასტივერტცი – 119
არისტარხი 54
არისტოტელე 29, 46
არსენი (იზიტოვი, სომ. ეპ) 268, 269, 275
არტემიდორე 48, 75
არჩილ სტეფანოზის ძე 85-88, 91
არჩილ II 158, 159
არძინბა ვ. 345, 350-352, 354, 356, 358, 366
ასათიანი ლ. 151
ასათიანი ნ. 129, 170, 190
აუტლევი პ. 28
აფაქიძე ა. 25
აფაქიძე ჯ. 18, 24, 25
აფსირტე 28
აფხაზავა ნ. 71
აფხაზი ივ. 231
აფხაზოსი 65
აქირთავა კ. 299
აქირთავა ნ. 308, 309, 315, 323
აქსიანოვა გ. 173
აქურთავა ბაზუხ... 214
აშვამბა ს. 328
აშხვაწაა ს. 32, 68, 281, 286, 297
აწუგბა თ. 3
ახალაძე ლ. 87, 95, 96, 97, 99, 100, 102, 105, 106, 108-110, 117, 119, 121, 127, 128, 193
ახვლედიანი გ. 36, 69, 70
ახუბა ჯ. 336
აჯამოვი ა. 273
აჯამოვი გ. 286, 288, 297
აჯინჯალი ე. 3, 84, 85, 104
ბაგაფში ს. 354, 366
ბაგაფში 321
ბაგრატ I (აფხ.) 97, 100, 101, 119
ბაგრატ I (კურაპალატი) 98
ბაგრატ II – 106, 108, 117
ბაგრატ II (იმერ.) 149
ბაგრატ III 92, 97, 108, 117-121, 128
ბაგრატ III (იმერ.) 148
ბაგრატ IV 122, 123, 126-128
ბაგრატ VI 137, 138
ბაგრატ გიორგის ძე 107
ბაგრატ დემეტრეს ძე 99

ბაგრატ კონსტანტინეს ძე 104
ბაგრატ მიქელის ძე 131
ბაგრატი 137
ბაგრატიონი აშოტი 98, 99
ბაგრატიონი ვახუშტი 6, 63-65,
91, 93, 94, 97, 98, 104, 120, 121,
130, 133, 135, 136, 137, 146, 147,
155-159, 162, 167, 169, 194, 198,
200, 202
ბაგრატიონი თეიმურაზ 65
ბათიაშვილი ი. 363
ბაკურაძე ნ. 173
ბალარდი მ. 142-144
ბარამიძე მ. 9, 13, 15, 17, 20, 21-26
ბართოლომეი ი. 257, 258, 325, 327
ბარიატინსკი ა. 248, 250
ბარნაველი თ. 121
ბარციც კ. 288, 299
ბასაევი შ. 355, 356
ბასარია ს. 32, 68, 270, 285, 286,
289, 292, 293, 298
ბასილის ძე გიორგი 2, 127
ბასილისძე დემეტრე 128
ბასილისძე თევდორე 128
ბასილისძე მერკილე 128
ბაქრაძე დ. 65, 66, 94
ბადათურია ნ. 186
ბახია 239
ბახტაძე მ. 120, 121
ბებია ი. 196
ბებუთოვი ვ. 239
ბელიაკოვი ა. 308
ბელოკუროვი ს. 151, 152, 155, 156,
169
ბელოცერკოვსკაია ვ. 116
ბენინკაზი ან. 139
ბერაძე თ. 29, 30, 38, 55, 78, 80,
82, 83, 85, 86, 95, 129, 131, 132, 134,
137, 140, 141, 143, 144, 146-148, 156,
159, 164, 165, რუკა №13
ბერია ლ. 319, 325, 331, 337
ბერიძე ვ. 111-115, 121
ბერნარდო მორო 131
ბერტოლდ ვოლი 142
ბერულავა კ. 134
ბერულავა მ. 299, 307
ბერულავა ნ. 38, 47, 53-55, 72
ბერძენიშვილი ი. 113
ბერძენიშვილი ნ. 9, 60, 68-70, 89,
161, 163, 168, 214, 215, 336
ბესარიონ ჭყონდიდელი 208, 215
ბესსა 81
ბიანკო 139
ბიჩი 296
ბლაიხშტაინერი ლ. 69
ბლარამბერგი ი. 194
ბლიევი მ. 223
ბოგვერაძე ა. 80
ბჟანია ვ. 9, 13, 15
ბრაგვაძე ზ. 89
ბრეგაძე ბ. 91
ბრეჟნევი ლ. 335, 337
ბრიგსი 301
ბრონევსკი ს. 45, 188
ბროსე მ. 28, 66, 164
ბრუნი თ. 139, 161, 162
ბუავა მ. 328
ბუდბერგი ა. 210, 211
ბუკია მ. 196
ბუნაკი ვ. 173, 177
ბურაჩკოვი 43
ბურჭულაძე ე. 247
ბურჯანაძე შ. 164, 166, 197-199,

220
ბღაჟბა მ. 334, 335
ბღაჟბა ო. 3, 12, 23, 24, 26, 28, 32, 46, 53, 79, 81, 88, 94-96, 100, 103, 106, 110, 121, 122, 124, 125, 212, 214, 217, 265, 275, 283, 286, 287, 289, 291-293, 295, 297, 298, 301-304, 306, 309, 311, 315, 319, 321, 322, 339, 340, 352, 358
ბღაჟბა ხ. 69, 109, 110, 168, 326
გაბაშვილი ბესარიონ 204
გაბედავა მ. 289
გაბისქირია გ. 359, 364
გაბრიელ ეპისკოპოსი იხ: წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი
გაბუნია 239
გაბუნია ა. 274
გაბუნია გ. 118
გამახარია ჯ. 33, 43, 45, 48, 49, 57, 59, 64-66, 68, 71-73, 76, 77, 81, 84, 87, 90, 94-96, 104, 107, 109, 127, 139, 140, 148, 149, 155, 170, 171-186, 193, 201, 202, 204, 205, 242, 243, 246, 247, 251, 252, 253, 256, 261, 264, 265, 267-269, 271, 278, 281, 283, 284-295, 297-300, 302-308, 310-316, 319-321, 342, 345, 347, 362, 363, რუკა №№7-10, 13-15
გამბა ფ. 232
გამსახურდია ზ. 41, 315, 343, 345-351, 353, 362, 363
გამყრელიძე ალ. 57
გამყრელიძე გ. 54
გამყრელიძე თ. 28, 30, 66, 71, 186, 188
გასვიანი გ. 45, 47, 62, 68, 70, 71, 74, 82, 176, 242, 323, 353, 355, 358, 360, 363, 367
გასვიანი თ. 353, 355, 358, 360, 363, 367
გასტალდი ჯაკ. 4, 186, რუკა №11
გეგია ივ. 268, 273, 281, 287
გეგია იოანე 257
გეგენავა გაბრიელი 169
გეგეშიძე გ. 331
გეგეჭკორი ე. 287, 295, 296, 300
გეეორკიანი მ. 59
გეიმანი ვ. 254-256, 260
გელასი კესარიელი 76, 77
გელასი კვიზირელი 76
გელაშვილი გ. 235
გელბი ი. 35
გელენავა ი. 272, 274
გელოვანი პ. 297, 299
გელცერი ჰ. 67
გენადი (პავლინსკი, სოხ. ეპ.) 269
გენსელიუსი – რუკა №14
გერბერშტაინი ს. 63
გერია ნ. 328
გერმანე (გოგელაშვილი, აფხ. ეპ.) 246
გერშელმანი თ. 68, 263, 270
გესე კ. 241
გეჩი ასლანბეი 199
გვაზავა გ. 287-305
გვანცელაძე თ. 31, 65, 71, 74-76, 109, 169, 185, 186, 192, 193, 195, 196, 257, 265, 326, 327, 329, რუკა №13
გვარამია ა. 341
გვარამია ა. 338
გიბალი პ. 225
გიგინეიშვილი ბ. 47
გილიაროვა ო. 173
გიორგაძე ბ. 151-154
გიორგაძე გ. 291
გიორგაძე გრ. 35-37
გიორგი I (აფხ.) 97-100, 119
გიორგი I 122
გიორგი II (აფხ.) 97, 104-109, 117, 119-121, 128
გიორგი II 123, 126, 128
გიორგი III 106, 124
გიორგი IV ლაშა 123-126
გიორგი V ბრწყინვალე 131, 134
გიორგი VII 134, 135
გიორგი VIII 136, 137
გიორგი ალექსანდრეს ძე 134
გიორგი გალატოზი 128
გიორგი კედრენე 73
გიორგი მეგრელი 140
გიორგი მთავარეპისკოპოსი 121, 127
გიორგი მთაწმინდელი 122, 123, 191
გიორგი მწერალი 150
გიორგი მცირე 123
გიორგი რუსი 124

გიორგი სინგელოზი 73
გიორგი 128
გიორგი 198
გიორგი (მთავარეპ.) 127
გლოველი შ. 92, 93, 109
გობეჯიშვილი გ. 25
გოგებაშვილი ი. 262, 274, 279, 282
გოგელაშვილი ი. 285, 294, 295, 297
გოგია ბ. 33, 43, 45-48, 49-51, 57, 59, 62, 64-68, 71-73, 90, 94, 95, 107, 139, 140, 148, 155, 170, 186, 193, 251, 252, 265, 274, 278, 285-300, 302-308, 310-316, 319-321, რუკა №№1-15
გოგიძე ს. 3
გოგოლაძე დ. 71, 74
გოგოხია დ. 337
გოგუა ა. 344
გოგუაძე ვ. 353
გოზალიშვილი გ. 54
გოლენკო კ. 39
გოლიცინი გ. 269, 275
გოლოვინი ე. 243
გოლუბცოვი გ. 284
გონგლიბაისძე მიქაელ 127
გონგლიბაისძე ნიკოლოზ 127
გონგლიბაისძე სოფრონ 127
გორბაჩოვი მ. 339, 345, 349
გორდეზიანი რ. 30
გორკი მ. 248
გორჩაკოვი პ. 227, 228, 230-237
გრანჟიე ლ. 163, 165
გრაჩოვი პ. 363
გრაცკი 273
გრიგოლ გალატოზუხუცესი 128
გრიგოლ (ლორთქიფანიძე, აფხ. კათ.) 167, 171, 201
გრიგოლ ხანძთელი 41, 99, 109
გრიგოლი (მაგისტროსი) 85
გრიგოლი (ცაიშელი) 201, 215
გრიგოლი (IXს.) 98
გრიგოლია გ. 9, 22
გრიგოლია კ. 152, 155, 156
გრიგოლია გ. 305
გრიგორასი ნ. 73
გროვე 255
გროზნი ბ. 73
გრძელიშვილი ი. 24
გრძელიძე რ. 285, 286
გუარამ მამფალი 101
გუბაზ I 179
გუბაზ II 80-82, 179
გუბაზ ტაოელი 124
გუდოვიჩი ი. 210-213
გულია დ. 31, 32, 36, 45, 46, 49, 51, 62, 68, 69, 72, 94, 110, 273, 278, 282, 288, 293, 300, 304, 306, 325, 326, 329
გულუა გ. 359
გუნბა მ. 3, 94, 107, 110, 118, 121, 122, 124, 125
გურგენი 106, 117, 120
გურიელი მამია 137
გურიელი მამია I 147
გურიელი სიმონ 154
გურანდუხტი (VIIIს.) 88
გურანდუხტი (Xს.) 106, 107
გურგენისძე გ. 121, 127, 128
გურული ვ. 313
დადიანი ანტონი (ეპ.) 242
დადიანი ბედან I 137
დადიანი ბედან II 129, 130
დადიანი ბეჟანი 198
დადიანი გიორგი 128
დადიანი გიორგი I 130, 131
დადიანი გიორგი 203
დადიანი გიორგი 147, 148
დადიანი გიორგი (გრიგოლის ძე) 225, 226
დადიანი გიორგი 248
დადიანი გრიგოლ 204-207
დადიანი დავიდ 245

დადიანი ვამეყ I 144
დადიანი ვამეყ II 133, 134, 138
დადიანი იოსები 154
დადიანი კაცია II 201, 203
დადიანი ლევან I 147, 148
დადიანი ლევან II 151-158, 161, 162, 169, 170
დადიანი ლევან III 158
დადიანი ლევან IV-158
დადიანი ლევან V 207, 208, 215, 216, 220-225, 230, 231, 234, 236, 238, 239, 243, 245
დადიანი ლიპარიტ I 144
დადიანი ლიპარიტ II 135, 137, 138
დადიანი ლიპარიტ 157
დადიანი მამია I 131, 132
დადიანი მამია II 135
დადიანი მამია III 147, 192
დადიანი მამია IV 147, 148
დადიანი მანუჩარ 128, 151, 152, 157
დადიანი მანუჩარ 204
დადიანი ნიკო 157, 201, 203-205, 207, 212, 213, 215, 220-222, 224, 229-234
დადიანი ნიკოლოზი 238-239
დადიანი ნინო 209, 212, 213, 215, 217, 219
დადიანი ს.305
დადიანი ქ. 234
დადიანი შამადავლე 144, 145, 149
დადიანი შ. 274
დადიანი ცოტნე 125, 126, 128, 129
დავით III (ტაოელი) 117, 118
დავით IV აღმაშენებელი 124-127
დავით VII ლაშას ძე 129
დავით IX 135
დავით გიორგის ძე (იმერ.) 204, 205
დავით VI ნარინი 126, 129, 130, 133
დავით სოსლანი 124
დავითი (ნემსაძე, აფხ. კათ.) 149, 167-171
დავითი (არგვეთი) 87
დავითი (წერეთელი, მიტრ.) 242
დავითი (ქორეპ.) 120
დავლიანიძე-ტატიშვილი ლ. 119
დათუაშვილი პ. 357
დალაქიშვილი ს. 173
დამენია ო. 336
დანიელი (მათავარეპ.) 128, 130
დარსალია დ. 3
დბარი დ. 3, 85
დე ვილჰელმი დ. 186
დე ვიტი ფრ. 186
დებეცი გ. 174
დეგოევი ვ. 223
დელბა მ. 323, 326, 331
დემეტრე I 99
დემეტრე II (აფხ.) 98-100, 109
დემეტრე III (აფხ.) 107-108
დემეტრე (უფლისწული) 122
დემიანოვი ა. 298
დემიანოვი მ. 356
დენიკინი ა. 295-298, 300, 301, 308
დიაკონოვი ი. 28, 33, 34
დიასამიძე ბ. 77, 81, 84
დიასამიძე თ. 346
დიაჩკოვ-ტარასოვი ა. 43, 46, 67, 167, 168, 234, 239, 241, 245, 259, 261
დიაჩკოვ-ტარასოვი ნ. 67, 259
დილი შ. 91
დიმიტრი (სპეროვსკი, სოხ. ეპ.) 279

დიოდორე სიცილიელი 29, 30
დიონისე პერიეგეტი 40, 45
დირი ა. 188
დიუბუა დე მონპერე ფრედერიკ 29, 39, 45, 65, 194, რუკა №2
დიუვალი პ. რუკა №12
დიულჩერტი ანჯ. რუკა №5
დოლიძე გ. 296
დოლიძე ი. 147, 164
დომიციანე 56
დომნუსი 77
დონდუკოვ-კორსაკოვი ა. 264
დოსითეოსი (იერუს. პატრ.) 84, 154, 158, 170
დოტი 216
დოცენკო 288
დრაგომიროვი ა. 296
დუბროვინი ნ. 227, 229-233, 235-237
დუბეცკი ი. 233, 235-237
დუკა 135
დუმბაძე მ. 204, 206, 245
დუნაევსკაია ი. 33, 34
დურნოვო ნ. 284
ეგნატაშვილი (ბერი) 145, 155
ეგროსი 63, 65, 70, 75, 87, 181
ედუარდ მეფე 132
ევაგრე სიცილიელი 76
ევდემონ (ჩხეტიძე, აფხ. კათ.) 149
ევმელოს კორინთელი 29
ევსტათი ანტიოქელი 73
ევსტათი კესარიელი 62
ევსტათი ნეტარი 87
ეზუხბაია ბ. 284
ეკატერინე II (რუს.) 204
ელიავა გ. 163, 165
ელიავა შ. 310, 314, 317
ელცინი ბ. 349, 351, 352
ელპაჯ ომერი 197
ემიდიო დორტელი დე ასკოლი 155
ემუხვარი ბ. 258
ემუხვარი დიმიტრი (არზაყანი) 288, 297-300, 302, 304, 305, 307
ემუხვარი ვ. 292
ემუხვარი მ. 284, 287
ენუქიძე ა. 313
ეპიფანე კვიპრელი 73, 74, 76
ეპიფანე კონსტანტინოპოლელი 76, 92, 93
ეპშტეინი 310
ერეკლე (იმპ.) იხ. ჰერაკლე
ერეკლე II 200, 205
ერისთავი გ. 249
ერმოლოვი ა. 223, 226, 227, 229, 233, 234, 237, 238
ესაძე ს. 216, 223, 246, 248, 250, 256
ესვანჯია ვ. 288
ეფრემ მაწყვერელი 41
ეფრემ მცირე 76
ექვთიმე ათონელი 74, 76, 191
ექვთიმე I საყვარელიძე (აფხაზ. კათ.) 150
ეშბა გ. 273, 282
ეშბა ე. 286, 288, 292, 293, 308-311, 314
ეშბა თ. 273, 282
ეშბა რ. 364
ეშბა ს. 257
ვალერიუს ფლავიუსი 45
ვარამ მსახურთუხუცესი 125
ვარდან არეველცი 94
ვარდან ფილიპიკოსი 85
ვარსიმაშვილი ი. 115
ვარსქენი 41
ვასილისკო 77
ვაჩე პროტოსპათარი და იპატოსი 123
ვაჩნაძე მ. 313
ვაჭრიძე გ. 217
ვახტანგ გორგასალი 77, 80, 94, 189
ვახტანგ V (შაჰნავაზი) 158, 159
ვახტანგ VI 198

ვედენსკი ა. 262
ვეიდენბაუმი ე. 226, 227, 258
ვეკუა ვ. 340, 341
ვეკუა ნ. 273, 281
ვეილიამინოვი ა. 225, 227-229, 233, 235
ვერეშაგინი ა. 258, 259, 263
ვესკონტე პეტრუს 139
ვიგრიანოვი ი. 308
ვიტზენი ნ. 194
ვოლკოვა ნ. 34, 35, 188
ვოლხოვსკი ბ. 308
ვორობიოვი ნ. 68, 296
ვორონოვი ა. 173
ვორონოვი ი. 9, 12, 24, 46, 116, 121, 162
ვორონოვი ლ. 68, 279
ვორონცოვი მ. 246
ვორონცოვ-დაშკოვი ი. 275, 278
ვოსტორგოვი ი. 275, 279
ზავადსკი მ. 257
ზაიდლიცი ნ. 265
ზამიატნინი ს. 9, 10, 13
ზანთარაია ხ. 266.
ზარანდია ი. 323
ზარიძე გ. 266
ზაქარაია პ. 115
ზაქარია მიტილენელი 72
ზაქარია მხარგრძელი 125
ზახარიევი პ. 151, 152
ზახაროვა ბ. 285
ზახაროვი დ. 285, 298, 307
ზებედე (დიაკვ.) 150
ზევაკინი ე. 141
ზენუბია ედგინ... 214
ზეფისშვილი ლევან 214
ზეფისშვილი ნარჩოუ 214
ზისერმანი ა. 248-250
ზუხბა ა. 336
ზუხბა ს. 169
ზუხბაია გ. 299, 306, 307
ზუხბაია ვ. 164, 266, 268
თავდგირიძე ე. 283
თავდგირიძე ნ. 276, 285
თაიარ-ფაშა 208-211
თაკალანძე ნ. 239, 247
თამარ მეფე 123-125
თამარაშვილი მ. 33, 137, 152, 155, 158, 162, 163, 165, 166, 169, 171
თამარი (დედოფალი) 158
თარგამოსი 74, 181
თარნავა მ. 283, 286, 290, 293, 296, 299, 305-308
თაყაიშვილი ე. 109, 134, 167, 171
თევდორე ტირონი 77
თეიმურაზ I 155
თემურ ლენგი 133-135
თეოდორე კვირელი 79
თეოდოსი („მწუხარე“) 107, 108, 118
თეოდოსი II (აფხ.) 98, 100
თეოდოსი 77
თეოდოსი განგრელი 6, 75, 85
თერდეტი 81
თეოფანე ჟამთააღმწერელი 86,
87
თეოფილაქტე ანტიოქელი 84
თოგოშვილი გ. 103
თოდრია ს. 321
თოდუა თ. 54, 56, 78
თოიძე ლ. 302, 306, 314-317, 321
თომა (სომეხი) 103
თოფჩიშვილი რ. 42, 45
თოხაძე ბ. 357
თუმანიშვილი დ. 113, 116
თუმანოვი გ. 294, 297
იაზიკოვი 200
იაკობსონი ა. 113

იაკობ ხუცესი 41
იაკოვლევი ნ. 325, 327
იაკუბ-ხანი 138
იანსონი ი. 186
იასნოვი მ. 337
იასონი (იაზონი) 28
იაფეტი 73
იაჰია დე კრემონა 131
იგნატიევი ნ. 253
იდესი ევ. რუკა №10
ივანე ახალციხელი 125
ივანიცკი 310
ივანოვი ვ. 308
ივანოვი ვიაჩ. 30, 34
იზიასლავ II 64
ილია II (კათ-პატრ.) 77
იმნაიშვილი ი. 94
ინალისშვილი ნარჩოუ ... 214
ინალ-იფა ა. 284, 295, 297
ინალ-იფა (ინალისშვილი)
გიორგი 224, 230, 231
ინალიფა (ინალის'შვილი)
არუკელ 224
ინალ-იფა კ. (XIXს.) 258
ინალ-იფა კ. 308
ინალ-იფა (ინალიშვილი)
ნარჩოუ 224, 230, 231, 235
ინალ-იფა სარალუფ 242
ინალ-იფა შ. 34, 52, 53, 61, 72,
94, 118, 121, 124, 168, 199, 257, 270
ინანიშვილი გ. 24
ინაძე მ. 37, 39, 42, 45-50, 52-55, 57,
58, 62, 63, 70-72
ინგოროყვა პ. 44-46, 50, 51, 62,
68-70, 74, 83-88, 91-93, 95, 96, 134,
164, 333, 334, 336
ინტერიანო ჯ. 147
იოანე ანტიოქელი 174
იოანე ბედიელი 127
იოანე დრასხანაკერტელი 95, 103,
113
იოანე ზონარა 73
იოანე თომას ძე 82
იოანე მინჩხი 109
იოანე მწიგნობართუხუცესი 123
იოანე საბანისძე 92, 93, 185
იოანე ოქროპირი 76, 79
იოანე ჭყონდიდელი 123
იოანე (VIIIს.) 88, 91
იოანე (კათ.) 84
იოანე 191
იოანე (სომეხი) 103
იოანისიანი ა. 211
იოვაკიმე (აფხ. კათ.) 149
იონა (ეგზარქ.) 242
იორდანიშვილი ს. 155
იოსებ ფლავიუსი 56
იოსელიანი ა. 354
იოსელიანი იოანე 214, 237
იოსელიანი ჯ. 350, 353, 354
იპოლიტე რომაელი 62, 63
ირინე 92
ირინეი 76
ისამი 87
ისამბერი მ. 65
იტალინსკი 207
იუირუკ ბაირახდარი 209
იულიანე 58
იულიუს კეისარი 54
იუსტინიანე II 86
კავადი 80
კავკასოს 181
კაკაბაძე ს. 30, 163, 164, 116, 167

კაკუბა რ. 291, 294, 295, 299
კალანდაძე ა. 9, 25
კალანდაძე კ. 12
კალანდია გ. 127
კალისტო III 136
კამენჰუბერი ა. 34
კანდელაკი კ. 278
კაპანაძე დ. 39, 126, 144
კარგაროდსკაია მ. 309
კარპოვი ს. 140
კარტოზია ს. 314
კარცოვი ა. 251, 254
კაპიტონოვი ი. 338
კასტელი ქრ. 45, 151, 153, 154, 156, 157, 160-162, 164, 165, 170
კასტორი 4, 48
კაცია ა. 116, 121
კაცია ბ. 328
კაცია რ. 141, 162
კაჭარავა დ. 45, 59
კაჭარავა ი. 225
კახაძე ო. 186, 189, 190
კახაბერ კახაბერისძე 129
კედია სპ. 305
კეკელიძე კ. 74, 92, 93
კერესელიძე იოანე 268
კერესელიძე 301
კერი გ. 368, რუკა №15
კეშელავა ი. 359
კეჭაყმაძე ნ. 29, 45, 58, 60, 62
კვანტალიანი გ. 338
კვარაცხელია ნ. 3
კვარაცხელია ტ. 299
კვარჭელია რ. 336
კვარჭია ვ. 329
კვაშნინი ა. 356
კვაჭანტირაძე ე. 94, 119
კვეზერელი-კოპაძე ნ. 49
კვინტუს კურციუს რუფუსი 49
კვირიკე (ქორეპ.) 101, 102
კვირიკე II 107
კვირკველია დ. 45, 59
კვიწინია პ. 173
კიკნაძე ვ. 132
კინიაპინა ნ. 227
კირზოღლუ მ. 135
კირიონ I (კათ.) 113
კირიონ ეპისკოპოსი. იხ. წმ. მღვდელმოწამე კირიონ II
კიროვი ს. 308, 309
კისლინგი 46, 69
კიტოვანი თ. 350, 352-354
კლავდიოს პტოლემაიოსი 45, 48, 56, 59, 62, 67, 73, რუკა №3
კლაპროთი ი. 64., 65
კლემენტი რომაელი 76
კლიბანოვი ა. 256
კლიმენტი პალმოსი 76
კობახია ვ. 336, 338, 342
კობიძე დ. 70, 119
კოვენსი ი. რუკა №10
კოზენკოვი ვ. 20
კოკიევი გ. 43
კოკოვი ჯ. 188, 189
კოლესნიკოვი მ. 357
კონდრატიევი გ. 357
კონიარი 252
კონიაშვილი 298
კონრადინი 216
კონჯარია ვ. 195
კონსტანტინე დავით ნარინის ძე 128-131
კონსტანტინე I 77
კონსტანტინე II 137, 138
კონსტანტინე II (აფხ.) 103
კონსტანტინე III (აფხ.) 95, 97, 101-104, 106, 109, 119, 120
კონსტანტინე (უფლისწული) 134, 135

კონსტანტინე (არგვეთი) 87
კორობკოვი ნ. 9
კოროლიოვი ვ. 299, 305, 307
კოსტავა მ. 340, 342
კოჩიევი რ. 173
კოხი კ. 167
კრავჩენკო პ. 260
კრეკასი - იხ. ტელხიუსი
კრილოვი ა. 344
კრუპნოვი ე. 20, 28, 177
კუდავა ბ. 81, 83, 84, 96, 120
კუდრიავცევი კ. 28, 45, 118, 121, 141, 217
კუზნეცოვი ა. 329
კურნატოვსკი ი. 224, 225
კუტიევი 222
კუფტინი ბ. 9, 15, 18, 45
კუშნარიოვა კ. 26
კუხალეიშვილი ს. 308
ლაბახუა ა. 331
ლადარია ი. 173
ლადარია ნ. 278
ლავროვი ლ. 28, 188
ლაკერბაია ე. 285
ლაკერბაია თულაფსუ... 214
ლაკერბაია ი. 273
ლაკვარი ურუსი 234
ლაკობა ი. 344
ლაკობა მ. 308
ლაკობა ნ. 285, 293, 308-311, 313, 315-317, 320-323
ლაკობა ს. 3, 12, 23, 24, 26, 28, 32, 46, 53, 79, 81, 88, 94-96, 100-103, 106, 110, 116, 121, 122, 124, 125, 152, 171, 212, 214, 217, 244, 263, 265, 275, 276, 283, 286, 287, 289, 291-293, 295, 297, 298, 301-304, 306, 309, 311, 315, 319, 321, 322, 339, 340, 352
ლაკრბა გიდ 235
ლაკრიბა თლაფს 224
ლაკრიბა ჯამლეთ 224
ლამბერტი არქ. 45, 151-154, 156, 157, 160, 161, 163–165, 169, 171, 186, 194, რუკა №13
ლასურია ა. 329
ლატიშევი ვ. 222, 73, 94
ლებარნიკიოსი 85
ლეგრანი 314
ლევინი მ. 174
ლეიბა 203
ლეთოდიანი დ. 62, 79, 81, 184
ლენგი დ. 144
ლენინი ვ. 310-312
ლეონ I (აფხ.) 86-89, 91
ლეონ II (აფხ.) 91-96, 98, 100
ლეონ III (აფხ.) 97, 107, 108, 119, 120
ლეონ გრამატიკოსი 73
ლეონ დიდი 80
ლეონ (ლევ) III ისავრიელი (ლეონ სპათარი) 84-87
ლეონიძე გ. 155
ლეონიდე (ოქროპირიძე) 278
ლეონტი მროველი 74, 76, 91, 181, 184, 189
ლეჟავა გ. 317, 333, 336-338
ლიაკი 310
ლინდენფელდი 237
ლიონიძე სოლომონ 204
ლიპარტიანი გიორგი 151, 152
ლიპარტიანი ვამეყ III 157, 158
ლიტვინოვი პ. 207, 208
ლოგინოვი ვ. 344
ლოლაშვილი ი. 123
ლოლუა ძუკუ 274
ლომთაძე ე. 186, 190
ლომთათიძე ქ. 36, 174, 179, 180, 186, 187, 192
ლომინაძე ბ. 149, 170
ლომინაძე ბესო 315
ლომინაძე გ. 356
ლომინაძე რ. 205
ლომოური ნ. 37-41, 45, 47, 48, 51,
58, 59, 61-63, 70-72, 78, 79, 89, 91,
119, 168
ლომსაძე გაბრიელ 150

ლოპატინსკი ლ. 188
ლორთქიფანიძე გ. 57
ლორთქიფანიძე ი. 299
ლორთქიფანიძე მ. 31, 38, 70, 91, 92, 94-100, 103, 105, 109, 117, 159
ლორთქიფანიძე ო. 29, 31, 38, 39, 43, 55
ლუდოვიკო ბოლონიელი 136
ლუდოვიკო IX 129
ლუდოვიკო XIV 201
ლუკა ჯ. 151, 152, 156, 160, 161, 163, 169
ლუკინი ა. 9
ლუკომსკი ა. 296
ლულიე ლ. 188
მაევსკი ვ. 260
მაზნიაშვილი გ. 291-294, 296
მათუა 318
მაიერი ედ. 33
მაკარიოსი (იერუს.პატრ.) 84, 151, 162, 170
მალასა 58
მალაქია I (აბაშიძე, აფხ. კათ.) 149
მალაქია II (გურიელი, აფხ. კათ.) 154
მალენი გ. 129
მამაცაშვილი ლ. 167
მამისთვალაშვილი ლ. 141
მანდეილი ჯ. 186
მანუელ პორფიროგენეტი 74
მარაჩევსკი 236
მარგიშვილი იოანე (ეპ.) 303
მარი ნ. 31, 32, 46, 50, 51, 62, 66-69, 76, 90, 152, 178, 179, 186-188, 261, 283, 325, 327
მარინე, მარიანე - იხ. მირი
მარიხი 128
მარკვარტი ჟ. 68
მარკოვინი ვ. 34
მარუხბა ი. 3
მარუშიანი ზვიად 107
მარუშისძე იოანე 117, 118
მარდანია ა. 328
მარდანია ასლანბეგ 214
მარდანია ბეჟანი 214
მარდანია დ. 278
მარდანია თლაფს 238
მარდანია ი. 296, 297, 299, 305, 306
მარდანია კაც 224, 235, 236, 238
მარდანია ლევანი 214
მარდანია ნ. 284, 287
მარდანია როსტომი 214
მარდანია ტ. 258
მარდანია ხიტუ 214
მარდანია ჯამბულატ 214
მარშანია დ. 294
მარშანია ზერეფსუ 222, 223
მარშანია თაფლასთან 254
მარშანია კ. 273, 282
მარშანია კვაჯი 254
მარშანია ლევანი 255
მარშანია ლორიკი 339, 359
მარშანია მ. 258
მარშანია მისოუსტ 222, 223
მარშანია ნ. 297
მარშანია რებიახანუმ 213, 214, 219, 221, 224, 228
მარშანია სარალუფ 222, 223, 231, 235
მარშანია ტ. 289, 295
მარშანია ფსხუბეი 254
მარშანია ყალიბეგ 235

მარშანია შირინბეი 254
მარშანია ხინკურას 235
მასისტიოს სირომიტრესის ძე 41
მაქსიმე აღმსარებელი 84, 85
მაქსიმე II (აბაშიძე, აფხ. კათ.) 204
მაქსიმე ქუთათელი 200
მაჭავარიანი დავითი (დეკ.) 268
მაჭავარიანი კ. 66, 67, 199, 200, 268, 270, 273, 282, 325, 327
მაჭავარიანი ნ. 195
მაჭარაძე ვ. 200
მაჯოლო ჯაკ. რუკა №8
მგალობლიშვილი ნ. 340
მგალობლიშვილი მ. 63, 232
მგელაძე ა. 330, 331
მგელაძე მ. 308
მდივანი ბ. 314
მდივანი ს. 304
მეგრელიძე შ. 261
მედეა 28, 29, 45
მედიჩი-ბეიშკიანი მ. 64, 69
მელიქიშვილი გ. 29, 31-33, 36, 44, 46, 47, 49, 52-54, 56, 58, 60-62, 70, 78, 79
მელიქიშვილი დ. 41
მენთეშაშვილი ა. 288, 290, 291, 295, 301, 302, 304-306, 310, 320
მერეტუკოვი კ. 75
მერკატორი 186
მერლინი ს. 221
მერჩულე გიორგი 41, 45, 50, 51, 52, 68-70, 74, 91, 92, 95, 99, 133, 134
მესხი ს. 362
მესხი კ. 287
მესხია ნ. 354
მეტრეველი ე. 123, 130, 226
მეტრეველი რ. 118
მეფარიშვილი ლ. 158
მეფისაშვილი რ. 101, 113
მეჰმედ II 135
მეჰმედ რაშიდი 197
მიბჩუანი თ. 46, 47, 62, 68, 71, 74, 79, 82, 274
მითრიდატე VI პონტოელი 50, 51, 53, 54, 61
მითრიდატე უმცროსი 53
მიკლაშევსკაია ე. 173
მილერი ვ. 137
მილიუტინი დ. 250
მილნი 300
მიმინოშვილი ივ. 274
მირი (მარინე, მარიანე) 85-88
მირნელი მ. 282
მიქაელ საბაძმინდელი 109
მიქაელი (იერუს. პატრ.) 149
მიქაელი 128
მიქამბია შალამათი... 214
მიქელაძე თ. 15, 17, 18, 20, 38, 51
მიქელი დავით ნარინის ძე 130, 131
მიხაილოვსკი-დანილევსკი ა. 216
მიხელსონი ი. 295
მიხინი 229, 234, 235
მოაფერნე 53
მოგილიანსკი პ. 226-228
მოიზი 217
მორტიერი კორნ. რუკა №10
მოსე ხორენაცი 93
მჟავანაძე ვ. 334, 336
მჟავია თ. 367
მუზიკანტსკი 308
მურავიოვი ნ. 244
მურვან ყრუ 86-88
მურზაკევიჩი ნ. 141
მურომცევი ს. 278
მუსხელიშვილი დ. 36, 52, 71, 74, 75, 83
ნაბედი 81
ნადარეიშვილი თ. 354, 357, 359
ნადიროვი სოლომონი 237
ნამიტოკი ა. 69
ნანეიშვილი 305

ნასრი გუარამისძე 101
ნაფოტაძე საბა 150
ნაჭყებია გ. 338
ნაჭყებია ი. 208
ნახორაგანი 82
ნებიერიძე ლ. 12
ნეპლიუევი ი. 198
ნერონი 56
ნიანია ნოველისიმოსი 128
ნიკეტა ხონიატე 74
ნიკიფორე (მიტრ.) 155
ნიკოლოზ I (რუს.) 240
ნიკოლოზ II (რუს.) 266, 275
ნიკოლოზ ბედიელი 130
ნიკოლოზ მისტიკოსი 104, 105
ნიკოლოზ პასეკი 142
ნიკონორ ალექსანდრიელი 28
ნინო კაბადოკიელი 76, 77
ნინუა დ. 248
ნოდია ა. 269
ნორაკიძე გ. 274
ნორაკიძე სპ. 268
ნუცუბიძე ლიკა (თეონა) 3
ოდისევსი 29
ოდიშელი ჯ. 155
ოვიდიუს ნაზონი 29
ოთირბა ა. 335
ოთირბა გ. 3
ოკუჯავა კ. 156, 157, 164
ოლდენბურგელი ა. (პრინცი) 266, 274
ოლონეცკი ა. 260, 262
ონიანი ა. 180
ორახელაშვილი მ. 317
ორბელი ი. 46, 61
ორბელიანი დ. 215
ორბელიანი ს-ს. 30, 35, 42, 49, 74, 75, 191, 194, 201, 202
ორბელიანი სტ. 119
ორენტიოსი 76
ორჯონიკიძე ა. 13
ორჯონიკიძე ს. 309-311, 315, 320
ოსიძე ე. 186
ოფსიტე 28
ოფსიტე 81
პავლე ალეპოელი 156, 170, 190
პაიჭაძე გ. 188, 198, 214
პაიჭაძე დ. 137
პალასი სიმეონ 64
პალეფატე აბიდოსელი 40, 50
პალმერსტონი ჰ. 247
პანკრატოვი ნ. 242
პაპასქირი ზ. 43, 68, 69, 91, 92, 94, 96, 100, 109, 117, 118, 119, 122, 141, 184, 214, 269, 271, 276, 277, 304, 315, 319, 321, 322, 325, 327, 331, 337, 346, 352, 356, 357
პასკევიჩი ი. 238-241
პატეიფა ნ. 278
პატკანოვი კ. 66, 90
პაფნოტი (ხოზიაშვილი, არქ.) 205
პახომოვი ა. 203, 210
პენჩკო ნ. 141
პესკინა მ. 173
პესტელი პ. 240
პეტრე I (რუს.) 197
პეტრე (დრუგოვი, სოხ. ეპ.) 269
პეტრიკ პატრიკი 122, 123
პეტრუს გერალდი 131, 132, 142
პითოდორისი 56
პილენკო დ. 259
პინელი ჯ. 135
პლატონი (ეგზარქ.) 284
პლინიუს უფროსი 45, 48, 49, 54, 56-59, 63, 67, 72, 75
პლუტარქე 89
პობედონოსცევი კ. 269
პოლემონ I 56

პოლემონ II 56
პოლიდევკე (პოლუქსი) 4, 48
პოლივანოვი ნ. 285
პოლუქსი - იხ. პოლიდევკე
პომპეუსი 54, 61
პომპონიუს მელა 45, 48, 50, 56, 57,
75, 368, რუკა №1
პოსკრებიშევი ა. 330, 331
პოტოცკი ჟან 64
პროგულბიცკი ვ. 275
პროკოპი კესარიელი 36, 37, 50,
51, 62, 65, 67, 73, 77, 79
პრომეთეოსი 58
პუტო 161, 169
პუშკინი ა. 223
ჟამთააღმწერელი 125, 126, 129
ჟან გეორგ და რეჯობუსი 142
ჟან პოლ ფრანცისკელი 142
ჟვანია დ. 3
ჟვანია ი. 308, 309
ჟობერი ა. 208
ჟორდანია თ. 66
ჟორდანია ნ. 287, 295, 298, 301,
305-307
ჟორდანია ო. 266, 304
ჟორდანია სიმეონ 237
ჟუანისძე ანტონი 127, 150
ჟუანისძე კირილე 127
ჟუზე პ. 151, 162, 170
რაბია (აფხ.) 137
რაევი ბ. 116
რაევსკი ნ. 244
რაკოცი 232
რამიშვილი ა. 24
რამიშვილი ნ. 301, 304
რამიშვილი ის. 293, 294, 297,
300
რანსიმენი 135
რატიანი ზ. 71, 75
რაფავა ა. 323
რაფავა დ. 330
რაჭველიშვილი ქრ. 288
რეკასი - იხ. ტელხიუსი
რესმაგა 58
რეხვიაშვილი მ. 204
რიკჰოფი ი. 207, 209, 213
რიჟოვი კ. 54
რი'შელიე ე. 210
რიჩარდი ჟ. 131
რობერტ ჰინტელსხანი 142
როგავა გიორგი 195
როგავა გ. 238, 242, 243, 270
როზენი გ. 241, 243
რომანოვი მიხეილ 250, 251, 253
რომანოვი ნ. ნ. 284
რომანოვსკი ი. 296
როსტომბეგი 198
როშა 128
რტიშევი ნ. 219-222
რუბრუკუსი ვ. 129
რუსთაველი შოთა 30, 41
რუფინუს ავიენიუსი 73
რუსუდან მეფე 125, 126, 128
რუცკოი ა. 356
რჩეულიშვილი ლ. 113, 115
სააკაშვილი მ. 367
საგდუხტი 128
სავლაკი 53
საითიძე გ. 278
სალამატინა ნ. 173
სალია მ. 194
სამხარაძე ა. 282
სანაძე მ. 30, 85, 86, 95

სანიკიძე ლ. 28, 53
სანსონი გ. რუკა №9
სანუდო მ. რუკა №4
სარია შ. 216
სარჯველაძე ზ. 42
საღარია ბ. 310, 328
საყვარელიძე პ. 287, 305
სახოკია თ. 266, 268, 273, 274, 279, 281
საჯაია ა. 309
სებასტინი 211
სევეროვი ნ. 114
სეიდ სულეიმან-ფაშა 221
სელეზნიოვი მ. 64, 154, 158, 170, 171, 239
სემი 73
სერაფიმე (ჩიჩაგოვი, სოხ. ეპ.) 269, 275
სერგი (პეტროვი, სოხ. ეპ.) 279, 302, 303
სერგი ბარნუკის ძე 85, 95
სესოსტრისი 41
სვანიძე მ. 135
სვანიძე ნ. 308
სვერდლოვი ვ. 308, 309
სვიატოპოლკ მირსკი დ. 251, 252, 258
სვიმეონ გალატოზუხუცესი 128
სვიმეონ ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი 127
სვიმონ კანანელი 76, 77, 270
სიგუა თ. 350, 353
სიგუტკინი ი. 356
სილოგავა ვ. 99, 105, 106, 108, 117, 121, 123, 126
სიმონოვიჩი თ. 216, 217, 219
სიტინი პ. 309, 311
სიჭინავა რ. 359
სკეპარნა 81
სკიმნოს ქიოსელი 40
სკირნევსკი თ. 211, 212
სმირი გ. 238
სმირნოვი ნ. 244
სობინინი (საბინინი) გ. 92
სოკოლოვსკი ნ. 312
სოლერი 139
სოლინუსი 48
სოლოვიოვა ვ. 173
სოლოვიოვი ლ. 9, 13, 15, 24, 34
სოლომონ I 200, 201, 204
სოლომონ II 204-206, 216
სონდულაშვილი ა. 71
სოსელია ო. 153
სოსლანბეკოვი ი. 355
სოტერიქე 82
სოფრონ ბედიელი 130
სპადაგა 58
სპენსერი ე. 167
სტალინი ი. 42, 310, 311, 313, 317-321, 324, 325, 330, 331
სტეფანე ბიზანტიელი 43, 45, 62
სტეფანე სანანოისძე 109
სტეფანოზ III 85, 86, 91, 93
სტრაბონი 43–45, 48, 49, 51-54, 56, 58, 67, 75
სტრატანოვსკი გ. 43
სტრატოფილე 77
სტურუა დ. 334-337
სულიაშვილი დ. 288
სუმბატ ბაგრატუნი 101, 103
სუმბატ დავითისძე 92, 97, 119
სუსლოვი მ. 330, 335
ტაბატაძე კ. 119
ტაბაღუა ი. 151-153, 157, 161, 163, 169, 197, 201
ტაბიძე მ. 257
ტალეირანი 211
ტანია ი. 323
ტატიშჩევი ვ. 64, 167
ტელხიუსი (ტელხიოსი, რეკასი, კრეკასი) 48-50
ტინინე 100
ტოლიაშვილი კ. 270
ტოლსტოი მ. 254

ტოლჩონოვი 155
ტორმასოვი ა. 214-217
ტორნაუ თ. 199
ტოროშელიძე მ. 310
ტოტლებენი 200
ტრაიანე 62
ტრაფში მ. 116
ტრიროგოვი ვ. 257
ტროგუს იუსტინუსი 49
ტროფიმოვა ვ. 174
ტურჩანინოვი გ. 28
ტუღუში ა. 75, 202
უბირია მ. 305-307
უვაროვა პ. 94, 141
უზუნ-ჰასანი 137
ურბან VIII 153, 155
ურიდია მ. 81
ურუშაძე ა. 28, 29, 40, 47, 89
უსლარი პ. 28, 256-258, 325, 326
უტჩენკო ს. 43
უშაკოვი პ. 46, 47
უჩაძე ზ. 357, 359
უხტანესი 89, 106, 107
ფადეევი ა. 32, 141, 168, 223, 239
ფალდა (ქორეპ.) 107
ფავსტოს ბუზანდი 59
ფანასკერტელი ზ. 35
ფანჩულიძე ი. 215
ფარადავლა თორელი 126
ფარასმანი 86
ფარნავაზი 53, 75, 93
ფარნაკე 54
ფარსმანი 58
ფადავა მ. 239
ფაშალიდი ი. 294, 295, 297, 298, 307
ფანულია ვ. 116
ფანულია ვ. 328-330
ფეშანგი 155, 161
ფილიპიკი 86
ფილიპსონი გ. 235, 249
ფირცხალავა ს. 283, 284
ფიფია გ. 72
ფონ-კრესი 295
ფონ-ლოსოვი 290
ფორესტიე უოკერი 300
ფორმოზოვი ა. 14
ფსამეტიხები 28
ფსევდო სკილაკს კარიანდელი 39, 40, 45, 48, 52, 75,
ფსევდო შაპუხ ბაგრატუნი 95
ფსელოსი მიხ. 28
ფუთურიძე გ. 151
ფუთურიძე ვ. 185
ფურელი რ. 173
ფუტკარაძე ტ. 30, 43, 45, 71. 90, 180, 186, 190
ფხაკაძე გ. 13, 15-17
ქავთარაძე იოანე 237
ქავთარაძე ს. 310
ქამი 73
ქარდავა ხ. 3
ქარჩავა გ. 331
ქარცივაძე ნ. 287
ქაშიბაძე ვ. 173
ქებულაძე რ. 126
ქელბაქიანი დ. 281
ქვარაია ვ. 359
ქირთბაია ნ. 273, 282
ქირია ც. 216
ქორთუა ნ. 207, 208, 210, 211, 213, 215, 216, 219, 221
ქორიძე დ. 24, 25
ქორიძე თ. 96
ქორქია ლ. 9
ქოჩოლავა გიორგი 121, 127
ქრისტოფორო დე კანევალე 145

ქურციკიძე გ. 257
ქუჩუკ ჩელები ზადე 198
ქუჯი 53, 75
ღურჯუა ვ. 295, 297, 298, 304, 305, 307
ყარაბეი 169
ყარყარაშვილი გ. 357, 363
ყაუხჩიშვილი თ. 28-30, 40, 41, 43, 45-49, 51-55, 56-58, 61, 75, 122
ყაუხჩიშვილი ს. 30, 50, 55, 62, 63, 69, 70, 81, 82, 87, 181, 184, 186, 263
ყიფშიძე ი. 186
ყოლბაია ვ. 342, 354
ყორანაშვილი გ. 28
ყუბანეიშვილი ს. 185
შავლიანი ადარნასე 101
შავლიანი იოანე 101
შალვა ახალციხელი 125, 126
შამბა ო. 336
შამბა ს. 3, 126, 344
შანიბოვი მ. 355
შანიძე ა. 94, 326
შანშე მანდატურთუხუცესი 125
შანშიევი გ. 297
შარაპოვი ს. 263
შარაშენიძე ლ. 352
შარდენი ჟან. 63, 152, 158, 163, 172, 194
შარვაშიძე ა.გ. 274, 276, 284, 285-287, 295, 300
შარვაშიძე ა.კ. 304
შარვაშიძე ალი-ბეი (ალექსანდრე) 213, 219, 224, 230, 231, 238, 241
შარვაშიძე არზაყანი 157, 158
შარვაშიძე ასლან-ბეი 209, 212, 215-217, 219, 221, 229-232, 234, 235, 237
შარვაშიძე ბაგრატი (საუსტან) 158
შარვაშიძე ბათალ-ბეი 213, 216, 228, 230
შარვაშიძე ბეჟან 212, 213
შარვაშიძე ბესლაკო 156
შარვაშიძე ბექირ-ბეი 200, 203, 219, 223
შარვაშიძე გ.დ. 278
შარვაშიძე გ.კ. 284
შარვაშიძე გ.მ. 109, 155, 251, 275, 283
შარვაშიძე გ. (საფარ-ბეი) 209, 210, 212-222, 224-227, 230, 245
შარვაშიძე გრიგოლ 258
შარვაშიძე დარდინ 126
შარვაშიძე დიმ. 227, 229-234
შარვაშიძე ვარლამ 285, 292, 293, 296-299, 307, 308
შარვაშიძე ზეგნაყ 159
შარვაშიძე ზურაბ 199-201, 203
შარვაშიძე თაიარ-ბეი 228, 230
შარვაშიძე (დადიანი) თამარი 209, 226-230, 233-235, 237, 239, 242
შარვაშიძე თულა 214
შარვაშიძე ივ. 274
შარვაშიძე (დადიანი) კესარია 224
შარვაშიძე კონსტ. 234, 258, 274
შარვაშიძე ლ. 201, 208, 220, 221
შარვაშიძე მანუჩარი 199-200
შარვაშიძე მანუჩარ (სამურზაყ.) 208, 209, 215, 216, 219-221, 234
შარვაშიძე მიხეილი 233-239, 241, 242, 244-248, 250-252
შარვაშიძე ოთადო ჭაჭას ძე 121, 122

შარვაშიძე პრ. 272
შარვაშიძე როსტომი 159
შარვაშიძე როსტომ-ბეი 228, 230,
234, 235
შარვაშიძე სეტემან 153, 156
შარვაშიძე სოლომონ 156–158
შარვაშიძე სორეხ (სავარეხ) 158
შარვაშიძე სოსლან-ბეი 219, 223
შარვაშიძე ქელეშ-ბეი 200, 201, 203-213
შარვაშიძე ქუნუქ-ბეი 215
შარვაშიძე ყვაპუ 159, 167, 171
შარვაშიძე შერვან 199, 200
შარვაშიძე წეთანურია (დარეჯან) 152, 153
შარვაშიძე ხუტუნია 220
შარვაშიძე ჯიქეშია 159, 199
შარვაშიძე ჯოტო 292
შარვაშიძე ხასან-ბეი 213, 216, 224, 226-229, 237-239, 241
შარია გრ. 281
შარია პ. 326
შარტავა ჟ. 364
შატილოვი პ. 251, 252
შაყრილი კ. 33, 195, 329
შაყრილი ტ. 336
შევარდნაძე ე. 338, 350, 351, 353-356, 359, 361, 363, 367
შენგელაია ლეო (ქიაჩელი) 303
შენგელია ნ. 197-199
შენგელია ვ. 186
შერბატოვი ა. 240
შერვაშიძე ლ. 106, 113, 133
შერვაშიძე მ. 282
შერიპოვი ასლან-ბეკ 286, 292
შეროზია რ. 186, 190, 257
შინქუბა ბ. 329
შლატერი ნ. 297
შმალი ვ. 345
შმერლინგი რ. 96, 116
შნირელმანი ვ. 28, 32, 38, 68, 286, 291, 295, 302
შოპენი ივ. 65
შოშიაშვილი ნ. 94, 99, 103, 117, 119
შულგინი ვ. 296
შურტა 107
შუშანიკი 241
ჩაბალუხა თემურყვა 214
ჩაბალუხა ვომერი 214
ჩაგავა დ. 326
ჩაკრაბორტი რ. 173
ჩარაგუა ხ. 336
ჩარკვიანი კ. 330
ჩელები ევლია 151, 156, 160-162, 168
ჩელები ქათიბ 63, 192, 194, 198
ჩერვონნაია ს. 294, 345
ჩერნიავსკი ვ. 66, 139, 176
ჩიგოშვილი თ. 21, 22
ჩინდაროვი რ. 356, 363
ჩირიკბა ვ. 3, 186
ჩიტაია დ. 266, 285, 290, 292, 295, 298, 300
ჩიტაია გ. 51, 64, 69
ჩიქობავა არნ. 31, 69, 75, 182, 196
ჩიქოვანი მ. 337
ჩიჯავაძე დ. 157
ჩოჩიევი ვ. 197
ჩოლოყაშვილი დ. 274
ჩუბინაშვილი გ. 105, 106, 112-114, 118
ჩუბინაშვილი დ. 35, 49
ჩუკბარი ა. 274, 283, 284
ჩუხუა მ. 28, 30, 180
ჩქოტუა დავით 274
ჩქოტუა მანუჩარი 238
ჩქოტუა რაფიელი 287, 295-299
ჩხატარაიშვილი ქ. 117, 197-199, 201
ჩხენკელი აკ. 278, 285-287
ჩხენკელი იოანე (მღვდ.) 268
ჩხეტია შ. 254

ჩხეტიძე გერმანე 127, 150
ჩხიკვიშვილი ბენია 285, 288, 297, 298, 304
ცაავა მ. 288, 305
ცაგარეიშვილი ე. 103, 119, 185
ცაგარელი ა. 200
ცაგურია ბ. 287
ცაგურია მ. 288, 299, 305, 307, 308
ცამბა ედიგეი 235
ცარიოვა 285
ცინცაძე ზ. 245, 273
ცინცაძე ი. 155
ცინცაძე ნ. 150
ციციანოვი პ. 205, 207
ციციშვილი ი. 111
ცქიტიშვილი გ. 121
ცხადაია პ. 75
ძამპი მ. 158, 165, 171
ძაფშბა თ. 3
ძიძარია გ. 203, 206, 208, 212, 216, 225, 244, 245, 250-255, 259, 260, 261, 266, 282, 285, 295, 310, 329
ძიძარია კ. 288
ძიძარია ო. 194, 195
ძიძიგური ლ. 25
ძიძიგური შ. 30
ძკუია დ. 299
წათე I 80
წათე II 82
წერეთელი ლ. 9–11
წესუბია შერამეტ... 214
წვინარია ი. 13, 15, 24
წივწივაძე 285
წმ. აღმსარებელი ამბროსი 66, 67, 75, 268, 269, 279, 284, 285, 292, 296, 303, 320
წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე 246, 254, 256
წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი 256, 260, 267, 269, 270, 282
წმ. მღვდელმოწამე კირიონ II 260, 266, 278, 279, 285
წულუკიძე მ. 307
წურწუმია ზ. 204
ჭავჭავაძე დ. 254, 256
ჭავჭავაძე ზ. 340
ჭავჭავაძე ი. 66, 274, 341, 342
ჭანბა ს. 283, 285, 299
ჭანია ვ. 343
ჭანტურია რ. 75, 257, 264
ჭარაია პ. 262, 273, 281
ჭედია ნ. 273
ჭიჭინაძე თ. 159, 167
ჭოჭუა ა. 273, 282, 289, 326, 329
ჭუმბურიძე დ. 264
ჭყონია ა. 151
ხაზარაძე ნ. 35, 50, 51
ხაინდრავა გ. 357
ხან-გირეი 188
ხარებავა რ. 287
ხასაია ა. 300
ხასაია ნ. 295
ხასბულატოვი რ. 356
ხაშბა ა. 326
ხაშბა მ. 326, 329
ხაჩიძე ლ. 109
ხახანაშვილი ა. 33, 67
ხახუტაიშვილი დ. 24
ხაჯინბა რ. 366
ხვარცკია მ. 336
ხვინგია ა. 273
ხვისტანი რ. 113, 116
ხითი ბ. 173
ხიმშიაშვილი ლ. 115
ხინთბა ვ. 337
ხიოტი ი. 308
ხონელია რ. 107
ხორავა ბ. 43, 127, 147, 148, 157,
158, 165, 172, 193, 199, 200, 201, 205, 218, 226, 241-245, 249-251, 254-256
ხომუტოვი 229
ხოტელაშვილი მ. 113

ხოშტარია ნ. 24
ხოშტარია-ბროსე ე. 68, 69, 71, 81
ხოჭოლავა მ. 305
ხრუშკოვა ლ. 96, 116, 125, 126
ხრუშჩოვი ნ. 333-335
ხუნდაძე ა. 281
ხუნდაძე ტრ. 271
ჯაიანი მ. 167
ჯალალ-ედ-დინი 125
ჯავახიშვილი ივ. 30, 32, 33, 36, 44-46, 50-52, 60, 67, 104, 117, 118, 138, 184, 302
ჯანაშვილი მ. 30
ჯანაშია ნიკო 257, 264, 273, 281, 284
ჯანაშია ნიკო (ლაშა) 93
ჯანაშია ს. 32, 33, 36, 37, 45, 46, 58, 60-62, 68, 71, 78, 83, 85, 92, 105, 109, 113, 152, 168, 186, 188, 189, 251, 326
ჯანბერიძე გ. 173, 175, 177
ჯანგველაძე ზ. 114
ჯანდიერი ლ. 275
ჯაფარიძე ანანია 76, 77, 81, 84, 90, 96
ჯაფარიძე გ. 91, 119
ჯაფარიძე დ. 354
ჯაფარიძე ო. 9, 11, 12, 17, 20, 21, 25, 30, 34, 71
ჯაყელი აღბუღა 136
ჯაყელი სარგის 126
ჯაყელი ყვარყვარე 126
ჯაყელი ყვარყვარე II 136, 137
ჯაყელი ყვარყვარე III 138
ჯიბლაძე ლ. 15, 17
ჯიქია ს. 198
ჯონუა ა. 329
ჯონუა ჭ. 329
ჯორბენაძე ბ. 192
ჯოჯუა დ. 301
ჯოჯუა ვ. 75
ჯუანშერი 88, 91
ჯუანშერი (მემატ.) 91, 183, 185, 189
ჯუდიჩე ჯუზეპე 154, 163
ჯუღელი ანთ. 263, 266, 268, 273, 281
ჯუღელი ვ. 289, 292
ჰაგბა ვ. 3
ჰაიდარ-ფაშა 148
ჰეიდი უ. 142
ჰეკათე მილეთელი 39, 40, 45
ჰელანიკე მიტილენელი 39, 40, 43, 45, 50, 51
ჰერაკლე (ერეკლე) 83, 84
ჰერაკლიდე ლემბუსი 45, 46
ჰეროდე აგრიპა 56
ჰეროდორე ჰერაკლელი 41
ჰეროდოტე 30, 39, 40, 43, 51, 52, 368
ჰეფესტო 58
ჰიუიტი ჯ. 94, 186
ჰოლუდ-ალ-ალემი 185
ჰომემი დიეგო. რუკა №7
ჰომეროსი 29, 30
ჰონდიუსი 186

კომპიუტერული უზრუნველყოფა

სიმონ გოგიძე
ხათუნა გოგიძე